გ. ბახტაძე, ა. ქისტაური, გ. ბახტაძე

თერაპიული ლექსიკონი

სინდრომები, სახელობითი სიმპტომები და დაავადებები

გამომცემლობა „საქართველო“

53.5(92)
615(035.5)
ბ 378

წარმოდგენილი ლექსიკონი თერაპიასა და მასთან მომიჯნავე სამედიცინო დარგებში არსებული მონაცემების სისტემატიზების ცდაა. აქ თავმოყრილი და განმარტებულია ხუთიათასამდე კლინიკური სინდრომი, დაავადება, სიმპტომი, ეპო-ტოპონიმური და აბრევიატურული ცნება.

განკუთვნილია ექიმებისა და მედიკოს-სტუდენტთათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

აკადემიკოსი ნ. უიშმიძე, პროფესორი ბ. რცხილაძე.

4108020000—019
ბ——————161—91
მ 601 (08) — 91

© გამომცემლობა „საქართველო", 1991

ISBN 5-529-00681-7

წინათქმა

ლექსიკონის მიზანია თერაპიისა და მის მომიჯნავე დისციპლინების ეპო-ტოპონიმური, აბრევიატურული და შედარებით განსხვავებული სახელწოდების სიმპტომების, სინდრომებისა და დაავადებათა აღნუსხვა, განმარტება, ეტიოლოგიის, ჩამოყალიბების, კლინიკური სურათის, და სინონიმების ჩვენებითურთ. გარდა სპეციალური ტერმინოლოგიისა, გამოყენებულია ეროვნულ სამედიცინო ლიტერატურაში დამკვიდრებული ქართული ტერმინები.

ლექსიკონში აღწერილია ხუთი ათასზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების სიმპტომი, სინდრომი და დაავადება. მისი შედგენისას, გარდა თერაპევტი სპეციალისტებისა, მხედველობაში გვყავდა მოსაზღვრე სპეციალობებში მომუშავე ექიმები, სტუდენტები, პედაგოგები, დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრე.

როდესაც განსამარტავი ორი სახელწოდება ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, ანდა თავისი შინაარსით იდენტურია, ჩვეულებრივ, მოცემულია ერთ-ერთი მათგანის განმარტება, მეორესთან კი მითითებულია „იხ".

ლექსიკონზე მუშაობა წლების მანძილზე მიმდინარეობდა და, მისი შედგენისას, მეცნიერული აღმოჩენებისა და ახალი, უწყვეტი ინფორმაციის ნაკადის პირობებ-

ში იწიც იცვლებოდა. ეს პროცესი ბუნებრივია, ახლაც გრძელდება, ამიტომ ავტორებს, გარკვეული თვალსაზრისით, არ შეიძლება ჰქონდეთ ნაშრომის სრულყოფილების პრეტენზია.

წიგნის მომზადებისას ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენდა ავტორთა გვარების უცხოური ტრანსკრიფციისამებრ ქართულ ენაზე ზუსტად გადმოტანა.

ავტორები კმაყოფილებითა და მადლობით მიიღებენ ყოველგვარ სამართლიან შენიშვნასა და წინადადებას.

აარონის სიმპტომი — ტკივილი მარცხენა ფერდქვეშა არეში ან მახვილისებრი მორჩის თავთან მაკ-ბერნეის წერტილზე ხელის დაჭერისას. აპენდიციტის ნიშანია.

აარსკოგ-სკოტის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი აუტოსომურ-დომინანტური და იქს-ქრომოსომასთან შებმული გადაცემის ტიპით: თვალის ჰიპერტელორიზმი, გადმობრუნებული ნესტოები, სქელი ზემო ტუჩი, უნაგირისმაგვარი სათესლე პარკი. შესაძლოა დაერთოს ზემო კიდურების თითების ზედმეტი გაშლა, ბრტყელი ტერფები.

აბადის სიმპტომი I — ტკივილის შეუგრძნებლობა აქილევსის მყესზე ხელის მოჭერისას. გვხვდება ზურგის ტვინის ხმობის დროს.

აბადის სიმპტომი II — ზემო ქუთუთოს ამწევი კუნთების სპაზმები თირეოტოქსიკოზის დროს.

აბდერჰალდენ-კაუფმანის დაავადება — ცისტინოზი. ოჯახური ცისტინური დიაბეტი. ცისტინური დაავადება. ცისტინის დაგროვების დაავადება. ამინომჟავური დიაბეტი. მიეკუთვნება თირკმლების მილაკების პათოლოგიას და ახასიათებს მემკვიდრეობითი გადაცემა. არსებობს ცისტინოზის მწვავე და ქრონიკული ფორმები. მწვავე უვითარდებათ ბავშვებს ერთ წლამდე ასაკში, ქრონიკული ელინდება ორი წლის ასაკიდან. მისი ნიშნებია: ქონდრისკაცობა, ინფანტილიზმი, რაქიტი (რეზისტენტობა „დ" ვიტამინისადმი), ძვლების დეფორმაცია, სკოლიოზი, იქსისებრ ფეხები, ჰეპატოსპლენომეგალია, სინათლისადმი შიში, გლიკოზურია, პროტეინურია, ამინოაციდურია, ჰიპოიზოსტენურია. ლეიკოციტებში გვხვდება ცისტინის კრისტალები, რომელთაც ენახულობთ ასევე კონიუნქტივაში, რქოვანაში, ძვლის ტვინში, ლიმფურ კვანძებში, თირკმლებში. სინონიმები: აბდერჰალდენ-ლინიაკის სინდრომი, აბდერჰალდენ-კაუფმან-ლინიაკის სინდრომი, ფანკონის სინდრომი, აბდერჰალდენ-ფანკონის სინდრომი, ლინიაკის სინდრომი, ლინიაკ-ფანკონის სინდრომი.

აბდერჰალდენ-კაუფმან-ლინიაკის სინდრომი — იხ. აბდერჰალდენ-კაუფმანის დაავადება.

აბდერჰალდენ-ლინიაკის სინდრომი — იხ. აბდერჰალდენ-კაუფმანის დაავადება.

აბდერჰალდენ-ფანკონის სინდრომი — იხ. აბდერჰალდენ-კაუფმანის დაავადება.

აბდომინო-თორაკალური სინდრომი — მუცლის ღრუს ორგანოების მწვავე დაავადებათა თორაკალური სიმპტომატიკით გამოვლინება. აშკარათია თორაკო-აბდომინალურ სინდრომთან შედარებით. გვხვდება უპირატესად მწვავე პანკრეატიტის, კუჭის პერფორირებული წყლულის, ჯორჯლის

სისხლძარღვთა თრომბო-ემბოლიის დროს. პათოგენეზურად უკავშირდება მუცლის და გულ-მკერდის ორგანოთა სიმპატიკური, ცდომილი და დიაფრაგმული ნერვებით საერთო ინერვაციას.

აბდომინური ანგინა — ნაწლავთა ფსევდოთრომბოზი. ნაწლავთა ათეროსკლეროზული დისპრაგია. მუცლის ღრუს ორგანოთა ინტერმიტირებული იშემია. მიზეზია მეზენტერიულ სისხლძარღვთა მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი, უფრო იშვიათად თრომბოზი. ნიშნები: შეტევითი ტკივილი მუცელში, ჯიპირატესად ჭიპის ირგვლივ ან ფერდქვეშ (რომელიც ჩნდება ჭამას ან ფიზიკური გარჯის შემდეგ), ბოყინი, შებერვა, მეტეორიზმი, შეკრულობა, პაროქსიზმული ქოშინი. დაავადება აღინიშნება ხასშიშესულ ასაკში. სინონიმი: ორტნერის სინდრომი.

აბდომინური იშემიის სინდრომი — პათოგენეზში დიდი როლი ენიჭება მუცლის ღრუს ორგანოთა არტერიების ათეროსკლეროზულ ცვლილებებს, მსგავსად გულის იშემიური დაავადებისა. კლინიკაში წამყვანია ტკივილის სინდრომი „აბდომინური ანგინის" ტიპისამებრ, საჭმლის მომნელებელ ტრაქტის ორგანოთა ფუნქციური დარღვევები და მათი მორფოლოგიური ცვლილებები წყლულების წარმოშობამდე.

აბდომინური შაკიკი — ნაწლავის შეტევითი გაძლიერებული მოტორიკა თავის ტვინის გაღიზიანების შედეგად. ნიშნები: პაროქსიზმული გაფანტული ტკივილი მუცელში; პროდრომულ პერიოდში გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, სიფერმკრთალე, ყურყური მუცელში; შეტევის დროს მუცლის კუნთების კლონური შეკუმშვა; შეტევის შემდეგ ძილიანობა, დამტვრეულობა. ელექტროენცეფალოგრამაზე ცვლებრული დიზრიტმია. სინონიმები: მერის სინდრომი, მუცლის შაკიკი, მუცლის ეპილეფსია.

აბდომინალგიური სინდრომი — კლინიკური ნიშნებით შედგება ვერტებრული და ექსტრავერტებრული დარღვევებისაგან: ტკივილი ხერხემალში, ვერტებრული დეფორმაციები, მოძრაობის შეზღუდვა, მყარი ტკივილი ბეცლის წინა კედლის მიდამოში. პროცესი უფრო ხშირად ორმხრივია და წ. უძღვის ხერხემლის ოსტეოქონდროზი. სინონიმები: მუცლის წინა კედლის კუნთების ნეიროდისტროფიული სინდრომი, ვერტებროგენული აბდომინალგიური სინდრომი.

აბერკომბის სინდრომი — სისტემური ამილოიდოზი, გენერალიზებული ამილოიდოზი, ზოგადი, გავრცელებული. დამახასიათებელია ამილოიდის ჩაღაგება მრავალ ორგანოსა და ქსოვილში, უფრო ხშირად ზიანდება ენელენთა, თირკმლები, თირკმელზედა ჯირკვლებ, ღვიძლი, ნაწლავები, გული.

აბო-ჰანსენის სინდრომი — ახალშობილთა დაავადება. ახასიათებს ხაზობრივად განლაგებული ლაქოვან-ვეზიკულური და პუსტულოზური გამონაყარი. მათ ადგილზე რჩება ჰიპერკერატოზული დანაშრევი და პიგმენტაცია.

აბრამის სინდრომი — სინონიმები: ბრულეს სინდრომი (იხ.), გარბენის სინდრომი, ვიდალ-აბრამის დაავადება.

აბრამოვ-ფიდლერის მიოკარდიტი ანუ დაავადება — ავთვისებიანი მიოკარდიტი, იდიოპათიკური მიოკარდიტი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადებაა,

წარიმართება გულის უკმარისობით, რიტმის და გამტარებლობის დარღვევით, გულშიდა თრომბების წარმოშობით და დიდი წრის არტერიების ემბოლიზაციით. სინონიმი: ფიდლერის მიოკარდიტი.

აბრიკოსოვის სიმსივნე — მარცვლოვანი მიობლასტომა, მიობლასტომა. კეთილთვისებიანი სიმსივნეა, შედგება სარკომბლასტების (მიობლასტების ტიპის დიდი უჯრედებისაგან, რომელთაც აქვთ მრგვალი, ოვალური ან პოლიგონალური ფორმა, ცენტრალურად განლაგებული მრგვალი ბირთვები, ქრომატინის ბადისებრი სტრუქტურა და ციტოპლაზმის ოქსიფილური მარცვლოვნება. ლოკალიზდება ენაზე, კიდურთა კუნთებში და ზოგიერთ სხვა ორგანოში.

აბსტინენციის სინდრომი — ზარხოშის სინდრომი. ალკოჰოლური აბსტინენციის სინდრომი. ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს აბსტინენციით გამოწვეული ვეგეტატიური, ნეეროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების შერწყმა.

აბტ-ლეტერერ-ზივეს დაავადება — სინონიმები: ლეტერერის აეთვისებური რეტიკულოზი, ლეტერერ-ზივეს დაავადება (იხ.).

აგზნების განმეორებითი შესვლის ფენომენი — აგზნების შებრუნების ფენომენი, აგზნების ცირკულაციის წარმოშობა მიოკარდიუმის გარკვეულ მონაკვეთში. გამომწვეული მისი რეფრაქტერობის ლოკალური მომატება ან იმპულსის გატარების ბლოკირება ერთი მიმართულებით. წარმოადგენს გულის რიტმის დარღვევათა მიზეზს.

ადაირ-დაიტონის სინდრომი — ცისფერი სკლერების სიმპტომი, დამახასიათებელია ცისფერი სკლერები, ძვლების მტვრევადობა და სმენის დაქვეითება ან სიყრუე. სიმპტომები სმენის ორგანოს მხრივ ვითარდება მოგვიანებით, ჩვეულებრივ სქესობრივი მომწიფების პერიოდში. არჩევენ სიმპტომოკომპლექსის ორ ტიპს: პირველია ფროლიკ-დიურანტის ტიპი (იხ.) რომლის დროსაც ძვლების მოტეხილობები ვლინდება ჯერ კიდევ ნაყოფად ყოფნის პერიოდში ან დაბადებისას. მეორეა ლობშტეინის ტიპი (იხ.), რომლის დროსაც ცისფერი სკლერები თანდაყოლილია, ხოლო ძვლების მტვრევადობა („შუშისებრი ადამიანი") მოგვიანებით ვლინდება. ძვლების მტვრევადობა 25 წლის მერე მნიშვნელოვნადაა შემცირებული. მიზეზია მეზენქიმიური ჩსოვილის განვითარების დარღვევა. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმი: ჰეევს სინდრომი.

ადამანტიად-ბეჰჩეტის სინდრომი — სინონიმები: ტურენის დიდი აფთოზი, ბეჰჩეტის სინდრომი, ჯილბერტ-ბეჰჩეტის სინდრომი (იხ).

ადამიუკ-რელმან-გვისტის სიმპტომი — საძრობის სიმპტომი. ვენულების გაფართოება და კორპსაძრობისმაგვარი დაკლაკნილობა, რომლებიც განლაგებულია ბადურაზე ყვითელი ლაქის ირგვლივ. აღინიშნება ჰიპერტონიული დაავადების დროს. სინონიმი: გვისტის სიმპტომი.

ადამკევიჩის არტერიის სინდრომი — არტერიის სინდრომი. ზურგის ტვინის (წელის მიდამოს) გასქელების, ქვედა კიდურთა პერიფერიული დამბლების შერწყმა პარესთეზიასთან, ზედაპირული მგრძნობელობის დარღვევასთან გულმკერდის VI—XII სეგმენტიდან ქვემოთ და მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის დარღვევები. გამოწვეულია ზურგის ტვინის არტერიებ-

ში სისხლის მიმოქცევის დარღვევით, რაც დაკავშირებულია ზურგის ტვინის გავა-წელის მიდამოს გასქელებასთან. აღინიშნება ხერხემლის ოსტეოქონდროზის, ექსტრამედულური სიმსივნეების, მუცლის აორტის თრომბოზის დროს.

ადამს-კერშნერის სინდრომი. სინონიმი: კერშნერ-ადამსის სინდრომი (იხ.).

ადამს-მორგან-სტოქსის სინდრომი — ცნობიერების მოულოდნელი დაკარგვა, რასაც თან სდევს კრუნჩხვები, ღებინება, სიფერმკრთალე, შემდეგ ციანოზი, სუნთქვის დარღვევა, შეტევის დროს წნევა არ ისაზღვრება და ჩვეულებრივ გულის ტონები არ ისმის. აღინიშნება გულის რიტმის და გამტარებლობის დარღვევის-ზოგიერთი ფორმის დროს, რაც იწვევს თავის ტვინის იშემიას. სინონიმები: ადამს-სტოქსის სინდრომი, მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი, სტოქსის სინდრომი.

ადამს-სტოქსის სინდრომი — სინონიმები: მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი, ადამს-მორგან-სტოქსის სინდრომი (იხ.), სტოქსის სინდრომი.

ადაპტაციის დარღვევის სიმპტომი — აქტიურებული დეპრესიის გაძლიერება ავადმყოფის ირგვლივ მყოფი გარემოს შეცვლის დროს. აღინიშნება ენდოგენური დეპრესიის, ინვოლუციური მელანქოლიის, სისხლძარღვოვანი და სენილური ფსიქოზების დროს. სინონიმი: შარპანტიეს ფენომენი.

ადაპტაციური სინდრომი — სინონიმი: სელიეს სინდრომი (იხ.).

ადერმანის სიმპტომი — კისრის ნერვული ფესვების სიმპტომი — მძაფრი ტკივილი კისრის ნერვების ფესვების გამოსვლის ადგილზე ზეწოლისას. აღინიშნება პარტახტიანი ტიფის მძიმე ფორმების დროს.

ადიპოზურ-გენიტალური დისტროფიის სინდრომი — სინონიმი: ბაბინსკი-ფრელიხის სინდრომი. იხ.

ადისონის დაავადება — ბრინჯაოს დაავადება, თირკმელზედა ჯირკვლების ქრონიკული უკმარისობა. ენდოკრინული დაავადება, გამოწვეულია თირკმელზედა ჯირკვლის ორმხრივი დაზიანებით, რომლის დროსაც გამორთულია ან შემცირებულია მისი ჰორმონების გამოყოფა. სიმპტომებია: ნელი მიმდინარეობა, ძლიერი სისუსტე, დაღლილობა, უმადობა, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, სიგამხდრე, კანისა და ლორწოვანი გარსის ჰიპერპიგმენტაცია, ამენორეა, სქესობრივი სისუსტე, ჰიპოტონია, ჰიპოთერმია, წყალ-მარილოვანი ცვლის მოშლა, დღიური დიურეზი შემცირებულია, ჰიპოგლიკემია, ჰიპონატრიემია, ჰიპერკალიემია.

ადისონ-ბირმერის დაავადება, ანუ სინდრომი — სინონიმები: ბირმერის დაავადება, ჰუნტერ-ადისონის ანემია (იხ.), ლებერტის ანემია, ბირმერ-ერლიხის ანემია.

ადისონ-გალის სინდრომი — კანის ქსანტომატოზისა და მელანოზის შერწყმა, რომელიც ვითარდება ბილიარული ციროზის დროს. მიზეზია ფოსფოლიპიდური ცვლის დარღვევა.

ადისონ შილდერის სინდრომი — სინონიმი: ფანკონ-პრადერის სინდრომი. იხ.

ადლერის ანომალია — იშვიათი ანომალიაა, დაკავშირებულია გლუკოზამინოგლიკანების მეტაბოლიზმის დარღვევასთან. აღინიშნება ხერხემ-

ლის დეფორმაციის და გარგოილიზმის ან ქონდროდისპლაზიის შერწყმა, ასომალიური მარცელოვნება ნეიტროფილებში, ეოზინოფილებში. მონოციტებსა და ლიმფოციტებში მსხვილი აზუროფილია.

ადრენოგენიტალური სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ვირილიზებადი დისფუნქცია. პათოლოგიური მდგომარეობა შეპირობებული თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის დისფუნქციით. აღინიშნება ანდროგენების ზომაზე მეტი სეკრეცია, რაც ყველაზე ხშირად ვლინდება ვირილიზაციის ნიშნებით. სინონიმები: კრუკ-აპერტ-გალას სინდრომი, აპერტ-გალას სინდრომი.

აერზის დაავადება ანუ სინდრომი — სეხსლის მიმოქცევის მცირე წრის პირველადი ჰიპერტენზია. აღინიშნება სკლეროზი მცირე წრის როგორც დიდ, ისე წვრილ არტერიებში. კლინიკური ნიშნებია: ძლიერი ციანოზი (თუჯისფერი ციანოზი), რესტრიქციული სუნთქვითი უკმარისობა სისხლის წნევის ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი მომატებით მცირე წრეში, რაც იწვევს გულის მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიას, დილატაციას, შემდეგ კი გულის მარჯვენამხრივ უკმარისობას. სინონიმი: აერზ-არილაგის დაავადება.

აერზ-არილაგის სინდრომი — იხ. სინონიმი: აერზის სინდრომი.

აველისის სინდრომი — რბილი სასის და ბგერითი კუნთის დამბლის შერწყმა პათოლოგიური კერის მხარეზე და ცენტრალური ჰემიპარეზი (ჰემიპლეგია) მოპირდაპირე მხარეს. აღინიშნება მოგრძო ტვინის დაზიანებისას. სინონიმები: აველის-შმიდტის სინდრომი, შმიდტის სინდრომი.

აველის-შმიდტის სინდრომი — იხ. სინონიმი: აველისის სინდრომი.

ავიატორთა დაავადება — „მფრინავთა დეკომპრესიული დაავადება". კესონური დაავადების (ანუ „კომპრესიული დაავადების") მსგავსია. კესონური დაავადების დროს დარღვევები ორგანიზმში დაკავშირებულია მომატებული ატმოსფერული წნევიდან ნორმალურ წნევაზე გადასვლასთან; ავიატორთა დაავადება (დეკომპრესიული დაავადება) კი ნორმალური ან მცირედ დაქვეითებული ატმოსფერული წნევიდან მძაფრად დაქვეითებული ატმოსფერული წნევის პირობებში გადასვლასთან, რაც აღინიშნება მაღალ სიმაღლეზე (800 მ და ზევით).

ავსიტიდიისკი-იგუმენაკისის სიმპტომი — მარჯვენა ლავიწის მკერდის ძვლისკენა ბოლოს გასქელება. მოსალოდნელი გვიანი ნიშანია ათაშანგისა.

ავსტრალიური დაავადება, ანუ ცხელება — ქუ-ცხელება, ოლიმპიური ცხელება, შუააზიური ცხელება. პნევმორიკეტსიოზი, მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზების ჯგუფიდან. გადაეცემა ჰაეროვან-წვეთოვანი, ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ახასიათებს რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანება, ინტოქსიკაცია, ცხელება, ხშირად ინტერსტიციული პნევმონია. სინონიმები: დერიკის დაავადება, დერიკ-ბერნეტის დაავადება,

ავტომატური პრონაციის სიმპტომი — დადამბლავებული ხელის პრონაცია ორივე ხელის წინ გაშვერისას სუპინაციის მდგომარეობაში. აღინიშნება ჰემიპარეზის დროს. სინონიმი: ბაბინსკის სიმპტომი.

ავცინის მეზოგლიობლასტომა — მიკროგლიომა, მეზოგლიომა, ცენტრა-

ლური ნერვული სისტემის სიმსივნე, რომელიც მიეკუთვნება პირველად ავთვისებიან ლიმფომებს და აგებულია მაკროგლიის ატიპიური უჯრედებისაგან.

აზუას პიოდერმია — წყლულოვანი ბეგეტირებადი ანუ ტუბერკულოზურ-კოლიკვატივმაგვარი პიოდერმია. დამახასიათებელია პოლიმორფული სიმსივნის მაგვარი წარმონაქმნების (ხშირად კვანძების სახით) გაჩენა, რომელთა ზედაპირი დაწყლულებულია და დაფარულია მრავლობითი პაპილომატოზური გამონაყარით. უკავშირდება სტაფილოკოკურ ინფექციას.

ათანასიოს სიმპტომი — გუგების დადებითი რეაქცია სინათლეზე, როცა უარყოფითი რეაქციაა აკომოდაციაზე. დეპრესიის გამომხატველი ნიშანია. ამ სიმპტომს მელანქოლიკის თვალებსაც უწოდებენ.

AJDS — სინდრომი (ქართულად შიდსი) — შეძენილი იმუნური დეფიციტის იხ. შიდს სინდრომი. დაავადების მიზეზია ვირუსი, რომელიც აზიანებს ადამიანის იმუნურ სისტემას, რის გამოც ორგანიზმი პრაქტიკულად დაუცველი ხდება ნებისმიერი ინფექციისა თუ პათოლოგიური პროცესის წინაშე. ლატენტური ან ინკუბაციური პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს 3 თვიდან წლამდე. მისი მოქმედების შედეგად დარღვეულ იმუნურ სისტემას არ ძალუძს აღუდგეს ისეთ დაავადებასაც კი, როგორიცაა ვირუსული გრიპი. ნებისმიერი დაავადება წარიმართება ძალზე მძიმედ და თითქმის ყოველთვის ლეტალურად მთავრდება.

ბივნის სიმპტომი — შუბლის წამოწევა თავის ქალას სახის ნაწილის წინ, ჰიდროცეფალიის ნიშანი. სინონიმი: ფრეის სიმპტომი.

ბირიხის დაავადება — ქრონიკული მოაქტივე ჰეილიტი. ტუჩების ანთება სინათლის ზემოქმედების შედეგად. ვლინდება სინათლით გამოწვეული დერმატიტების დროს, ზიანდება ტუჩების ღია ნაწილები, უფრო ხშირად ქვედა ტუჩისა. ძირითადად გვხვდება იმ ქვეყნებში, სადაც მოვაჭრებულია ინსოლაციაა. სიხშირით: ეუპერპენიგის აქტინურ-ალერგიული ჰეილიტი.

ბლერლუნდის ნიშანი — გვხვდება ქოლელითიაზის დროს, როცა მდგომარე ავადმყოფს ქოლეცისტოგრაფიას უტარებენ: კენჭები მწკრივებად ლაგდება ნაღვლის ბუშტის ქვედა მესამედში.

ბოკჯანიანის სიმპტომი — ავადმყოფისათვის დამახასიათებელია ქვედა ყბის პასიურად წინ სწრაფად წამოწევისას მოხრილი ხელების გაშლა. გვხვდება კოშკურ ძდგომარეობაში.

ბურეირის სინდრომი — პოლიმიელიტის მსგავსი ვირუსული ეტიოლოგიის იხფექციური დაავადება. აღინიშნება კონტინუას ტიპის ზომიერი ცხელება, ტკივილი კუნთებში, პარესთეზიები, კუნთების გარდამავალი ხასიათის მსუბუქი პარეზები, ფსიქომოტორული აგზნება, პროფუზული ოფლი, უძილობა. უმეტესად ავადდებიან 15—20 წლის ახალგაზრდები.

ბლანის სინდრომი — ადრეულ ასაკში გონებრივი განვითარების შეფერხება შერწყმული ეპილეფსიის გულყრებთან და ატაქსიასთან. დისნეტაბოლური ოლიგოფრენიის ნაირსახეობაა.

ბლაუუანინ-ტურელის სიმპტომი — გვხვდება ზურგის ტვინის წელის

მეხუთე ფესვის ან წვივის მცირე ნერვის დაზიანებისას. ამ დროს შეუძლებელია ქუსლით სიარული და ტერფი ჩამოკიდებულია.

ალბატროს-სინდრომი — კუჭ-ნაწლავის დისცირკულატორულ დარღვევათა კომპლექსი კუჭის რეზექციის ან გასტრექტომიის შემდგომ მოგვიანებით პერიოდში. ვლინდება ჭამიდან 10—15 წუთის შემდეგ (განსაკუთრებით რძის და ტკბილი საკვების მიღებისას) ძლიერი სისუსტით, შეხურებით, ოფლიანობით, თავის ტკივილით, გულის ფრიალით, კიდურების კანკალით, გულისრევით, პირღებინებით, წოლის აუცილებელი მოთხოვნილებით. აღინიშნება მაჯის აჩქარება, არტერიული წნევის შეცვლა, ცვლილება ელექტროენცეფალოგრამაზე. სინონიმი დემპინგ-სინდრომი.

ალბერსის სინდრომი — გულ-სისხლძარღვთა თანდაყოლილი ანომალიების ფორმა. ფილტვების ყველა ვენა შედის მარცხენა უსახელო ვენაში და წინაგულთა კომუნიკაციებში. ნიშნები: სხეულის სუსტი აგებულება, მორეციდივე ბრონქოპნევმონია, ცისანოზი, ჭოშინი, არადამახასიათებელი შეცვლები ფილტვების ზონაში, უპირატესად მარცხნივ, მეოთხე ნეკნთაშუა არეში, მეორე ტონის გაპობა, ელექტროკარდიოგრამაზე პულმონური კბილი „P", პარკუჭთაშუა გამტარებლობის დარღვევა, ჰისის კონის მარცხენა ფეხის ბლოკადა, მარჯვენა გულში წნევის მომატება, ზომიერი ანდროტროპიზმი. დამახასიათებელი სურათი მიიღება გულის კათეტერიზაციით. სინონიმები: ტოუსინგ-სნელ-ალბერსის სინდრომი, ალბერს-სნელის სინდრომი.

ალბერს-სნელის სინდრომი — სინონიმები: ალბერსის სინდრომი (იხ.), ტოუსინგ-სნელ-ალბერსის სინდრომი.

ალბერს-შენბერგის დაავადება — ძვლების მარმარილოსებრი დაავადება — ზოგადი ოსტეოსკლეროზის ყველაზე მძიმე ფორმა. დაავადება მემკვიდრეობითია. რენტგენოლოგიურად ყურადღებას იპყრობს ჩრდილის პათოლოგიური სიმკვრივე. დაკარგულია კომპაქტური ძვლების სტრუქტურა. მეტაფიზებში აღინიშნება ქინძისთავისებური გასქელება. ძვლები მტვრევადია. ხშირად წამყვანი ნიშანია ოსტეოსკლეროზული ანემია. მიმდინარეობა კეთილთვისებიანიცაა და ავთვისებიანიც. სინონიმი: კარშნერის ოსტეოპეროზი.

ალბერტის სინდრომი ანუ დაავადება — მტკივნეული ანთებადი რეაქცია ქუსლის ძვლის ბორცვისა და აქილევსის მყესის მიმაგრების ადგილას. ეტიოლოგია უფრო მეტად ტრავმულია, მაგრამ არ არის გამორიცხული ტუბერკულოზური, გონორეული და სხვა არასპეციფიკური მიზეზი.

ალბერტ-ადამსის ფენომენი — თავის უკან გადაწევისას სისხლძარღვთა მოყრუების ზონის გაფართოება მკერდის ძვალთან. აღინიშნება აორტის ანევრიზმის დროს.

ალდერის ანომალია — მრავლობითი მსხვილი ბაზოფილური მარცვლოვანობა ნეიტროფილური გრანულოციტების პროტოპლაზმაში. ასეთივე მარცვლოვნობა შეინიშნება ეოზინოფილებში, მონოციტებში, ლიმფოციტებში. ძვლის ტვინის გამოკვლევით ვლინდება მარცვლოვნობა ყველა გრანულოციტში, მიელოციტებიდან სეგმენტბირთვიანებამდე. ანომალიას არა აქვს კლინიკური ღირებულება. სინონიმი: ალდერ-რეილის ანომალია.

ალდერ-რეფლის ანომალია — სინონიმი: ალდერის ანომალია (იხ.).

ალემანის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილი ანომალია: თირკმლების გაორმაგება და დოლის ჯოხისებურად თითების დეფორმაცია.

ალენ-რაინეს სინდრომი — მემკვიდრეობითი მტკივნეული ლიპომატოზი. კლინიკურად ვლინდება ლიპომებისმაგვარი, გაფანტული კვანძების კიდურებსა და ტანზე ასიმეტრიულად გაჩენით. კვანძები მტკივნეულია, შესაძლებელია მათი გაქრობაც. უპირატესად ავადდებიან ქალები მენოპაუზის დროს. სინონიმები: დერკუმის დაავადება, დერკუმ-ვიტანტის სინდრომი, ანდერსის სინდრომი.

ალექსანდერის დაავადება I — ლეიკოდისტროფია დიფუზური ბოჭკოვანი ფორმაციით. დამახასიათებელია ჰიალინის ჩალაგება ტვინის ქსოვილში, რაც მიელინის დაშლის პროდუქტია. კლინიკა: ჰიდროცეფალია, კრუნჩხვის შეტევები, ჰკუასუსტობა, მოძრაობითი დარღვევები.

ალექსანდერის დაავადება II — ჰიპოპროკონვერტინემია — ოჯახური მემკვიდრეობითი ჰემორაგიული დიათეზი, გაპირობებული სისხლის შედედების ფაქტორ VII-ის არარსებობით, მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ალექსანდერის დაავადება III — ცენტრალური ნერვული სისტემის მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება მიელინის დაშლით. კლინიკურად ვლინდება კრუნჩხვებით, ცენტრალურ დამბლებით, პროგრესული ჰიდროცეფალიით. სინონიმი: როზენთალის ლეიკოდისტროფია.

ალექსანდერ-გოლდსტეინის სინდრომი — ფსევდოჰემოფილია, ანგიოჰემოფილია, მემკვიდრეობითი თრომბოციტოპათია ჰემორაგიული დიათეზით. ვლინდება ჯერ კიდევ ჩვილ ასაკში ლორწოვანი გარსებიდან პერიოდული სისხლდენით. თრომბოციტების რაოდენობა ნორმალურია ან ოდნავ შემცირებული. მათი აგლუტინაციის უნარი დაქვეითებულია, სისხლდენის დრო გახანგრძლივებულია. სისხლის კოლტის რეტრაქციის და შედედების დრო კი ნორმალურია. უპირატესად ავადდებიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები. სინონიმები: ვილებრანდ-იურგენსის სინდრომი, ვილებრანდის სინდრომი.

ალექსანდერ-მორისონის სინდრომი — კუჭუკანა ჯირკვლის ინსულარული აპარატის ადენომით ავადმყოფთა სიმპტომოკომპლექსი. ნიშნები: სიცხის შეგრძნება თავსა და მთელ სხეულში, რომელიც ცუდად ექვემდებარება ''ურნალობას, კოლაპტოიდური მდგომარეობები, ექსიკოზი, ზოგჯერ ტეტანსოიდური კრუნჩხვები. სისხლში ექსიკოზის ნიშნები, ჰიპოკალიემია. ადენომის მოცილების შემდეგ ეს კლინიკური ნიშნები ქრება. ცოლინგერ-ელისონის სინდრომისაგან განსხვავებით ჰიპერქლორჰიდრია და პეპტიკური წყლულები არ აღინიშნება. სინონიმები: ვერნერ-მორისონის სინდრომი, ალექსანდერ-პრუსტ-ვერნერ-მორისონის სინდრომი.

ალექსანდერ-პრუსტ-ვერნერ-მორისონის სინდრომი — სინონიმები: ვერნერ-მორისონის სინდრომი, ალექსანდერ-მორისონის სინდრომი (იხ.).

ალექსანდროვის სიმპტომი — კანის გასქელება და მისი ნაოჭის ნელ გაშლა (ორ თითს შორის თავმოყრილისა) ბარძაყის იმ მხარეს, რომ-

ლის მენჯ-ბარძაყის სახსარიცაა დაზიანებული ტუბერკულოზური პროცესით. სპეციფიკური კოქსიტის ადრეული დიაგნოსტიკური ნიშანია.

ალვარესის სინდრომი — ნეიროგენური ბუნების მუცლის გარდამავალი გაბერვა, რომელიც ხშირად ხდება დიაგნოსტიკური შეცდომების მიზეზი. სინდრომს, როგორც წესი, აღენიშნებათ ისტერიულ და ფსიქოპათიკურ ქალებს. მისი წარმოშობა ძირითადად დაკავშირებულია ჰაერის გადაყლაპვასთან (აეროფაგიასთან).

ალიბერის დაავადება — სოკოსებრი გრანულომა. ტროპიკული ლეიშმანიოზი. ფუნგოიდური გრანულომა. იწვევს პარაზიტი — ტროპიკული ლეიშმანია. გადაიტანება ფლებოტომუსის ოჯახის კოღოთი. ინკუბაცია 10—20 დღემდე. კანის ღია ადგილებში ჩნდება ხორკლი, მიდრეკილი რღვევებისა და დაწყლულებისადმი — შემობრუნებული კიდეებით. დიდდება რეგიონული ლიმფური კვანძები. სინონიმები: ალიბერ-ბაზენის მიკოზი, ბოროვსკის დაავადება, აშხაბადის წყლული, აღმოსავლეთის წყლული, ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი, პენდინის წყლული.

ალიბერის დერმატოლიზი — ჭალაზოდერმია, განვითარების ანომალია. კანი დუნეა, ატროფიული, პასტოზური, ადვილად იჭერცლება და იკეთებს ბევრ მოშვებულ ნაოჭს.

ალიბერის კელოიდი — კელოიდი, კანის შემაერთებელი ქსოვილის მყარი გაზრდა, მოგვაგონებს სიმსივნეს, მაგალითად დერმატოფიბრომას.

ალიბერ-ბაზენის მიკოზი — სინონიმები: ალიბერის დაავადება (იხ.), ბოროვსკის დაავადება, აშხაბადის დაავადება, წყლული, აღმოსავლეთის წყლული, ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი, პენდინის წყლული.

ალკენის სინდრომი — პროსტატოპათია, პროსტატის ნეკროზი, პროსტატორეა. უროგენიტალური სისტემის ნეიროვეგეტატიური რეგულაციის დარღვევა მამაკაცებში, შარდიდან დაცლის ფუნქციური დარღვევები. ნიშნები: პოლაკიურია სიცივეზე და ნერვიულობის დროს, დიზურია, სქესობრივი ფუნქციის დარღვევა (სუსტი ერექცია, თესლის ნაადრევი დაღვრა); დიზესთეზია შორისის მიდამოში — სიცივის შეგრძნება, ჰიპო-ან ჰიპერესთეზია, ქავილი, პროსტატორეა, თესლის სპონტანური დაჭცევა დეფეკაციის ან შარდვის დროს. რექტალური გასინჯვით შეიმჩნევა წინამდებარე ჯირკვლის ზომიერი გადიდება და მტკივნეულობა. იხ. სინონიმები: პოზნერის სიმპტომი, ბლუმენზატის სინდრომი.

„ალისა უცნაურობათა ქვეყანაში" — სინდრომი — დეპერსონალიზაციის მოვლენების თანხვედრა, გარემოსა და დროის ილუზიურად აღქმა, სხეულის შეგრძნების სქემის დარღვევა და ფსიქოსენსორული ცვლილებები. აღინიშნება ეპილეფსიის, ენტოქსიკაციების, თავის ტვინში სიმსივნეების დროს.

ალმეიდის დაავადება — ბრაზილიური ბლასტომიკოზი. სამხრეთ ამერიკული ბლასტომიკოზი. იწვევს ბრაზილიური სოკო ბლასტომიცი. ავადდებიან მებაღე მამაკაცები ბრაზილიაში. პირისა და ცხვირის ირგვლივ, ლოყებზე ლორწოვან გარსებზე ჩნდება კვანძები, რომლებიც მოგვიანებით წყლულდება, რეგიონულ ლიმფურ კვანძებში ჩნდება ჩირქოვანი ფისტულები. არაიშვიათად დისემინაციას ადგილი აქვს შინაგან ორგანოებში — უპირატესად კუჭ-ნაწლავში. სინონიმები: ლუტცის დაავადება, ლუტც-

სპლენდორ-ალმეიდის დაავადება ანუ სინდრომი, ალმეიდ-ლუტც-სპლენდორის დაავადება.

ალმეიდ-ლუტც-სპლენდორის დაავადება — სინონიმები: ალმეიდის დაავადება (იხ.), ლუტცის დაავადება, ლუტც-სპლენდორ-ალმეიდის დაავადება.

ალპორტის სინდრომი — სინონიმი: დიაინ[illegible]ონის სინდრომი (იხ.).

ალსტრემის სინდრომი — იხ. სინონიმი: ალსტრემ-ჰალგრენის სინდრომი.

ალსტრემ-ოლზენის სინდრომი — თანდაყოლილ მემკვიდრეობითი რეტინოპათია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-მემკვიდრეობითი. ხშირია ოჯახური შემთხვევები. აღინიშნება ცვლილებები ბადურის მხრივ. კლინიკურად მხედველობის მნიშვნელოვანი დაქვეითება.

ალსტრემ-ჰალგრენის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი (ოჯახური ხასიათის, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული), ნისტაგმი, სიელმე, პიგმენტური რეტინიტი, სიყრუე, სიმსუქნე, ჰეპერურიკემია, შაქრიანი დიაბეტი.

ალტერსაციული სინდრომი — პათოლოგიური კერის მხარეზე თვალის მამოძრავებელი ხერვის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანება, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე ჰემიტრემორი, ქორეულ-ათეტოზური მოძრაობები ან ინტენციური კანკალი. სინდრომი გვხვდება სისხლძარღვოვანი პათოლოგიის დროს ვერტებრულ-ბაზილურ სისტემაში. სინონიმი: ბენედიქტის სინდრომი.

ალცჰეიმერის დაავადება — პრესენილური ჭკუასუსტობის ნაირსახეობა. ამნესტიური ჭკუასუსტობის პროგრესირებასთან ერთად ვლინდება აფაზიური, აპრაქსიული და აგნოსტიკური დარღვევებით. დაავადების დასაწყისი აღინიშნება 5[illegible]—55 წლის ასაკში. უკავშირდება გენეტიკურად განპირობებულ (გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური) თავის ტვინის დიფეზურ ატროფიას. განსხვავებით ალცჰეიმერისებური სინდრომისაგან (იხ.), უფრო მეტადაა გამოხატული დაზიანებათა კეროვანი ხასიათი. სინონიმი: პაიდენჰაინის სინდრომი.

ალცჰეიმერისებური სინდრომი — სენილური ჭკუასუსტობა — ფსიქიკური დარღვევების სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება მოხუცებულობისას 60 სიბერის ასაკში. ვლინდება ჭკუასუსტობით, რომელიც შერწყმულია უმაღლესი ქერქულ ფუნქციების კეროვან დარღვევებთან (აფაზია, აპრაქსია, აგნოზია). დაავადების არსია ტვინში სისხლის მიმოქცევის უკმარისობა და ნერვულ უჯრედთა და ბოჭკოების დისტროფია, ძირითადად მარცხენა საფეთქლისა და თხემის მიდამოში. სინონიმი: ჰაკებუშ-ჰეიერ-ჰეიძახოვირის დაავადება.

ამას სიმპტომი — თვალის დახუჭვა პირის გაღების დროს ან ღეჭვისას (ყბასახის პირუკუ სიმპტომი). ვლინდება სახის ნერვის დამბლის უკუგანვითარების პერიოდში.

ამბურგეს მეთოდი — ფარული ერიტროციტურიის, ლეიკოციტურიის ან ცილინდრურიის გამოვლინების მეთოდი შარდის შეგროვებით. ისაზღვრება 3 საათში გამოყოფილ შარდში, რომლის ნალექში ითვლიან უჯრედო-

ვან ელემენტებს და ცილინდრებს. შემდეგ ხდება მათი გადაანგარიშება შარდის წუთიერულობაზე.

ამერიკული ენცეფალიტი — მწვავე ინფექციური ენცეფალიტი კოღოს ვირუსული ჯგუფის ენცეფალიტებიდან. იწვევს B ჯგუფის არბოვირუსული ანტიგენი. კლინიკურად იაპონური ენცეფალიტის მსგავსია. გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიასა და კუნძულ იამაიკაზე. სინონიმი: სენტ-ლუისის ენცეფალიტი.

ამერიკული კანის ლეიშმანიოზი — იხ. ამერიკული კან-ლორწოვანეს ლეიშმანიოზი.

ამერიკული კან-ლორწოვანის ლეიშმანიოზი — გამომწვეეია ბრაზილიური ლეიშმანია. ადამიანი ინფიცირდება ტყეში. დაავადება გვხვდება ბრაზილიაში, ბოლივიაში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, ეკვადორსა და პერუში. წყლული დიდხანს არ ხორცდება, ხშირია ლორწოვანის დაზიანება (ცხვირის, ხორხის, ხახის). სინონიმი: ბრაზილიური ლეიშმანიოზი.

ამერიკული ტრიპანოსომოზი — ტრიპანოსომოზი, გამოწვეული ტრიპანოსომა კრუციით. ენდემიურია ცენტრალური ამერიკისათვის. დამახასიათებელია გამომწვევის ლიმფოჰემატოგენური დისემინაცია, არამყარი ცხელება, ლიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია, შემდგომში ცენტრალური ნერვული სისტემის, მიოკარდიუმისა და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაზიანების ნელი განვითარება. სინონიმი: შაგასის დაავადება.

ამერიკული ტიპის რიკეტსიოზი — ინფექციური დაავადება ტკიპის რიკეტსიოზების ჯგუფიდან. დამახასიათებელია ცხელება, პოლიმორფული გამონაყარი მთელ სხეულზე (არაიშვიათად პაპულოზურ-ჰემორაგიული), ლორწოვანი გარსის ენანთემა და სხვადასხვა სახის გართულებები, განსაკუთრებით კანის ნეკროზები საზარდულის მიდამოში, ისე რომ პირველადი ეფექტი არ ახლავს. ენდემიურია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისათვის. სინონიმები: ცისფერი დაავადება, ბრაზილიური პარტასტიანი ტიფი, სანპაულოს ტიფი.

ამიერკარპატის ჰემორაგიული ცხელება — ჰემორაგიული ნეფროზონეფრიტი, ჰემორაგიული ცხელება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად მცირე სისხლძარღვთა და კაპილარების დაზიანება, განსაკუთრებით თირკმლების, შემდგომში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. სინონიმები: შორეული აღმოსავლეთის ჰემორაგიული ცხელება, კორეის ჰემორაგიული ცხელება, ურალის ჰემორაგიული ცხელება, იაროსლავლის ჰემორაგიული ცხელება.

ამოსის სიმპტომი — აღინიშნება ხერხემლის მტკივნეული მოხრის დროს. როცა ავადმყოფი წოლის შემდეგ ჯდება, ის ეხმარება თავის თავს— უკან გაშვერილი ხელებით იკავებს სხეულს. ეს სიმპტომი ვლინდება პოლიომიელიტის დროს, ჰაინე — მედინას დაავადების შემთხვევებში.

ანგელეხკუს სიმპტომი — ცნაურდება, როდესაც ავადმყოფს გულღმა წოლისას არ შეუძლია მოიხაროს ან ჩაიზნიქოს ტერფსა და კეფაზე დაყრდნობით. ტუბერკულოზური სპონდილიტის ნიშანია.

ანგიოტენზინგარდამჭმნელი ფერმენტის დისფუნქციის სინდრომი — აღნიშნული სინდრომი კლინიკურად ხასიათდება რბილი ჰიპერტონიით,

ჰიპოკალცემიური აღკალოზით, პლაზმაში რენინის აქტივობის და ანგიოტენზინ — I — კონცენტრაციის მომატებით. ანგიოტენზინ — II — და ალდოსტერონის დონე სისხლის შრატში ნორმალურია.

ანდერსენის დაავადება — მეოთხე ტიპის გლიკოგენოზი. დიფუზური გლიკოგენოზი ღვიძლის ციროზით. ამილოპექტინოზი. გლიკოგენოზი, გაპირობებული 7,4 გლუკან-6-ალფა-გლუკოზილტრანსფერაზის არარსებობით. ახასიათებს ჰეპატოსპლენომეგალია, სიყვითლე, ჰიპოგლიკემია, ღვიძლის ციროზი. მემკვიდრეობით გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. სინონიმი: კლარკ-ჰადფილდის სინდრომი.

ანდერსენის მეჰეჰოვანი მგლურა — კანის მეჰეჰოვანი ტუბერკულოზი. ხასიათდება უპირატესად კიდურთა კანის ზედაპირზე მკვრივი მოწითალო-მოლურჯო, ნელად მზარდი, შერწყმადი პაპულებით. მისი ზედაპირის ცენტრალურ ნაწილში არის უხეში გარქოვანების კერები. უფრო ხშირად ეთარდება ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანის კანზე, რომელსაც ეხება გამომწვევი. სინონიმი: რილ-პალტაუფის კანის მეჰეჰოვანი ტუბერკულოზი.

ანდერსენის სინდრომი — კუჭუკანა ჯირკვლის მემკვიდრეობითი კისტოზური ფიბროზი. მუკოვისციდოზი. პანკრეატობრონქოპულმონური კისტოზური ფიბროზი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. პათოგენეზი არ არის დადგენილი. ავადმყოფის პანკრეასული და ბრონქული სეკრეტი, ასევე ნაღველი მომატებული წებოვნებისაა. პროცესში ჩართულია ლორწოვანის, სანერწყვე და საოფლე ჯირკვლები. ნატრიუმის შემადგენლობა ნერწყვსა და ოფლში 2—5-ჯერ მატულობს. პანკრეასში არის დიფუზური ფიბროზი, გამომტანი სადინრები დიფუზურადაა გაფართოებული, ბრონქებში არის ლორწოვანი საცობები, ატელექტაზები, ბრონქოექტაზები, ღვიძლში კი — დიფუზური გაციმოვნება.

ანდერსის სინდრომი — მემკვიდრეობითი მტკივნეული ლიპომატოზი კლინიკურად ელინდება ლიპომებისმაგვარი გაფანტული კვანძები კიდურებსა და ტანზე ასიმეტრიულად გაჩენით. კვანძები მტკივნეულია, შესაძლებელია მათი გაჭრობაც. უპირატესად ავადდებიან ქალები მენოპაუზის დროს. სინონიმები: ალენ-რენეს სინდრომი, დერკუმის დაავადება, დერკუმ-ვიტანტის სინდრომი.

ანდრალის სიმპტომი — პლევრიტის საწყისი ფაზის ნიშანია: ავადმყოფი წევს ჯანმრთელ გვერდზე.

ანდრენ-ბიერსინგ-უილიამსის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი. მუცლის წინა კედლის ქვედა ნაწილის კუნთების სრული ან ნაწილობრივი დეფექტი, ორმხრივი კრიპტორქიზმი, ჰიდრონეფროზი, თირკმელების დისპლაზია. შესაძლოა კუჭ-ნაწლავის, გულის და ჩონჩხის ანომალიებთან შეუღლება, გვხვდება თითქმის მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებში. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით.

ანდრეოლის სინდრომი — ენტეროპულმონური სინდრომი: სასუნთქი ორგანოების ენტეროგენული პათოლოგია, რაც გამოიხატება ხშირ განმეორებით ბრონქიტში, რისი მიზეზიცაა ნაწლავის ჩხირი (იგი ამოითესება

წახველში). სინდრომი ყალიბდება ქრონიკული კოლიტის ან ხანგრძლივი შეკრულობის ფონზე.

ანდროგენის სინდრომი — დერმატოგენური კატარაქტა. კატარაქტა განვითარებული კანის ზოგიერთ დაავადების დროს, მაგალითად, დიფუზური ნეიროდერმიტის დროს.

ანდროსტენდიონის სინდრომი — აღინიშნება დიდი ბადექონის ნაწილის ფაშარ ქვემო მიდამოში მიხორცებისას. ნიშნები: გაურკვეველი ტკივილი მუცელში, რაც ძლიერდება მოძრაობისას და წუნარდება წოლვისას, შესაძლოა გულისრევა, პირღებინება, სისუსტე, მუცლის ღრუს ორგანოების სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული პროცესების სიმულაცია. მიზეზი: ოპერაციული ჩარევისას ბადექონის ნაწილის პერიტონეალურ ნაკერში შეხორცებითი პროცესების ან ბადექონის კეროვანი ანთების მოხვედრა ქირურგიული ინსტრუმენტით მისი ტრავმების, დრენაჟით ან ქიმიური ნივთიერებით გაღიზიანების ნიადაგზე.

ანიჩკოვის მიოციტები — ანიჩკოვის უჯრედები, უჯრედებში ბირთვის ქრომატინის დამახასიათებელი განლაგებით—კბილთა ზოლების სახით. ახასიათებს ფაგოციტური აქტივობა. გვხვდება მიოკარდიუმში, მაგალითად, მიოკარდიტის დროს.

ანო-კინერის დაავადება — დიფუზური მეზენქიმური ჰეპატიტი პარენქიმის კვანძოვანი ლიმფომატოზით და წილაკთაშორგელივი (და არა წილაკთაშიდა) ქოლესტაზით. უპირატესად ავადდებიან მამაკაცები. დამახასიათებელია სპლენომეგალია, ადენოპათია, ტკივილგსა და ცხელების შეტევა, საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები, ძლიერი მუქი სეყვითლე. ექვემდებარება ხანგრძლივ სტეროიდულ თერაპიას.

ანომალური მარცხენა კორონარული არტერიის სინდრომი: სინონიმი: ბლანდ-უაიტ-გარლანდის სინდრომი (იხ.).

ანო-რესელის დაავადება — „ობსტრუქციული ქოლანგიოლიტი დიფუზური ქოლანგიტის მიმდინარეობაში". აღმავალი ქოლანგიტი (ხშირად ბაქტერიული წარმოშობისა). წყლულოვანი დაავადებების, ამებური დიზენტერიის ან ქოლეცისტიტის დროს. ვლინდება ცხელების და ტკივილგს შეტევით, სიყვითლით, რაც ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების სიმულაციას იძლევა. მიმდინარეობა ნელი, ხანგრძლივი რემისიებით.

ანსელის სიმსივნე — ტრიქოეპითელიომა, მრავლობითი კისტოზური კეთილთვისებიანი ეპითელიომა-კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება თმიანი ფოლიკულისაგან და შეიცავს ჯირკვლოვან კისტებს.

ანტიკარდიოლიპინის სინდრომი — დაკავშირებულია კარდიოლიპინგს მიმართ ანტისხეულების წარმოშობასთან. კლინიკა: მორეციდივე თრომბოზი, სპონტანური აბორტები, თრომბოციტოპენია, ნევროლოგიური ხასიათის დარღვევები. ხშირია ემ პირებში, რომლებიც ღებულობენ პეროორალურ კონტრაცეპტივებს.

ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულების სინდრომი — ანტიფოსფოლიპიდური ანტისხეულები პასუხისმგებლები არიან ათაშანგის ცრუ დადებით სინჯებზე, შეიცავენ ლუპუს ანტიკოაგულიანტებს და ანტიკარდიოლიპინურ ანტისხეულებს. მათი გამოვლინება ხდება სპეციფიკური რადიოიმუნოლო-

ტური მეთოდებათ. კლინიკური ნიშნებია: არტერიული და ვენური თრომბოზი, თრომბოცატოპენია, ნეკროლოგიური დაავადებება, ნაყოფის პირველადი მოცილება.

ანტონის სიმპტომი — ანთზოგნოზია, საკუთარი დეფექტის კრიტიკული შეფასების ტკონლობა (დამბლის, მხედველობის და სმენის დაქვეითების და ხვ.), ილინიშნება ჩვეულებრივ თავის ტკივილს მარჯვენა თხემას წილის დაზიანებისას. სინონიმი: ანტონ-ბაბინსკის სინდრომი.

ანტონ-ბაბინსკის სიმპტომი — იხ. სინონიმი: ანტონის სიმპტომი.

ანფიმოვის სიმპტომი — გუხედება პირამიდული გზების დაზიანების დროს. თუ ავადმყოფს ვთხოვთ მაღლა ასწიოს ორივე ხელი და გააჩეროს ვერტიკალურ მდგომარეობაში, დაზიანებული კიდური ქვემოთ იწყებს დაშვებას.

ანშიუტცის სიმპტომი — ნიშანია გაუვალობისა მსხვილი ნაწლავის დონეზე: გამობატული ლოკალური მეტეორიზმი. ბრმა ნაწლავის მიდამოში.

ანჯელუჩის სინდრომი — საგაზაფხულო კონიუნქტივიტი, რასაც თან ახლავს მოუსვენრობა, სხეულის კანკალი, ტაქიკარდია, ვაზომოტორული დარღვევები, ფოტოფობია.

აორტის რკალის სნდრომი — საერთო სამძივე არტერიების მასტენოზებელი ათეროსკლეროზი. აწვევს თავის ტკივილს სისხლით მომარაგების ნაკლოვანებას. დასაწყისში გამოყლინდება მხოლოდ ფიზიკური დატვირთვის დროს ან ემოციური დაძაბვისას. საშუალო ასაკში ამ სინდრომის მიზეზია აორტისა და მისი რკალის ტოტების ანთება, ასაკოვან და მოხუცებულ პირებში — ათეროსკლეროზი. მისი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ნაწიბური და სიმსივნე. ყველაზე მძიმე კლინიკური სურათი ყალიბდება აორტის რკალის განშრევებადი ანევრიზმის განვითარებული სინდრომის დროს.

აპალიური სინდრომი — წარმოიშვება თავის ტვინის ქერქის დიდი უბნის დაზიანების დროს. მიზეზებია: ინფექცია, ინტოქსიკაცია, ტრავმა, სიმსივნე, ტვინის სისხლძარღვთა დაავადებები. კლინიკა: დაკარგულია აქტიური მოძრაობები, მეტყველება, ემოციური რეაქციები ავადმყოფთან კონტაქტის დამყარების მცდელობის დროს. კუნთოვანი ტონუსი ჩვეულებრივ მომატებულია. ტკივილით გამაღიზიანებელზე — ქაოტიური მოძრაობა, ძილი და ღვიძილი მონაცვლეობს დღე-ღამის დამოუკიდებლად. გამოსავალი მძიმე.

აპატენკოს ანგიოლეთომიომა — კეთილთვისებიანი სიმსივნეა წარმოშობილი სისხლძარღვთა კედლის სადაკუნთოვანი უჯრედებიდან. განლაგებულია კანქვეშა ქსოვილში სახსრებთან ახლოს — მორფოლოგიურად ხასიათდება ჩამკეტი არტერიების არსებობით.

აპერის სნნდრომი — აკროკრანიოდისფალანგია. აკროსფენოსინდაქტილია. აკროცეფალოსინდაქტილია — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი — შეიცავს თავის ქალას დეზოსტოზს, ჰიპერტელორიზმს, ეგზოფთალმს, სინდაქტილიას, თაღისებურ სასას და ა. შ. სინონიმი: პარკ-პოეერის სინდრომი.

აპერეს ჰირსუტიზმი — სახესა და ტანზე გაძლიერებული თმიანობა ქალებში ადრენოგენიტალური სინდრომის დროს.

აპერტის სინდრომი — თავის ქალას გვირგვინოვანი და საგიტილური ნაკერების, ზოგჯერ კი ყველა ნაკერის ნაადრევი შეხორცება, რასაც მოჰყვება თავის ქალას ფორმის შეცვლა — „თაღისებური თავი". იცვლება აგრეთვე სახეც — ცხვირის ფუძე გაფართოებულია, ორბიტები გაბრტყელებული, აღინიშნება ეგზოფთალმი. თან ახლავს სინდაქტილია, პოლიდაქტილია, სინოსტოზები იდაყვის და სხვის ძვლებს შორის. ახასიათებს აგრეთვე მხედველობის ნერვის ატროფია და ფიზიკური და ინტელექტუალური ჩამორჩენილობა.

აპერტ-გალაის სინდრომი — ადრენოგენიტალური სინდრომი. თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ვირილიზებადი დისფუნქცია. პათოლოგიური მდგომარეობა, შეპირობებული თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის დისფუნქციით. ადგილი აქვს ანდროგენების ზომაზე მეტ სეკრეციას, რაც ყველაზე ხშირად ვლინდება ვირილიზაციის ნიშნებით. სინონიმები: კროუე-აპერტ-გალაის სინდრომი.

აპერტ-კუშინგის სინდრომი — კლინიკურად აღიწერება ავადმყოფის შესახედაობის შეცვლის (სიმსუქნე, ცხიმის მეცლისა და კისრის უკანა არეში დაგროვების უპირატესობით, მთვარისებრი სახე, ჰირსუტიზმი, ატროფიული ზოლების — სტრიების არსებობა კანზე) შერწყმა არტერიულ ჰიპერტენზიასთან, ოსტეოპოროზთან, კუნთების სისუსტესთან, ქალებში მენსტრუალური ციკლის დარღვევასთან. აღინიშნება თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ჰიპერფუნქციის (ხშირად ჰორმონოაქტიური სიმსივნის არსებობისას) და ადრენოკორტიკოტროპულ და კორტიკოსტეროიდული პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობისას. სინონიმები: კრუკ-აპერტ-გალეზის სინდრომი, აშარ-თიერის სინდრომი, იცენკო-კუშინგის სინდრომი, კუშინგის სინდრომი.

აპერტ-პარკ-პაუერსის სინდრომი — აკროცეფალოსინდაქტილია — თავის ქალას თანდაყოლილი მანკების შერწყმა სინდაქტილიასთან.

აპნოეს სინდრომი ძილში — ანუ ძილში სუნთქვის გაჩერების სინდრომი ვითარდება ბარბიტურატების, ბენზოდიაპინინის, საღამოთი ალკოჰოლის მიღების შემდეგ და სხვ. განარჩევენ ობსტრუქციულ და ცენტრალურ სინდრომს. არის სიკვდილის რისკი. ნიშნები: ციკლური ხვრინვა, ძილიანობა დღის მანძილზე, ინტელექტუალური აქტივობის დაქვეითება, პაროვნების შეცვლა, ღამის ენურეზი, იმპოტენცია, სომნამბულიზმი.

**აპუდ-სისტემა-ეწოდება ნეიროენდოკრინულ უჯრედებს, რომლებიც გაფანტულია მთელ ორგანიზმში (უპირატესად კუჭ-ნაწლავის ტრაქტში) და სეკრეტირებს ჰორმონულად აქტიურ პოლიპეპტიდებს. ახასიათებს ამინების მაღალი შემადგენლობა, ამინების წინამორბედთა შეთვისება და ფერმენტ დეკარბოქსილაზის არსებობა. ამ მაჩვენებელთა (კრიტერიუმების) პირველი ლათინური ასოებისაგან შეიქმნა ტერმინი — აპუდ. აღნიშნული სისტემის ცნობილი „წარმომადგენლებია" კუპეკანა ჯირკვლის კუნძულაკების უჯრედები, ფარისებრი ჯირკვლის „C" უჯრედები, თირკმელზედა ჯირკვლის .ტეინოვანი შრის უჯრედები, ჰიპოფიზის ადრენოკორტიკოტ-

როპულ და მელანოციტმასტიმულირებელი ჰორმონის გამომყოფი უჯრედები.

არაკავას სინდრომი — ფერმენტოპათია. გულღსხმობს ერითროციტული ფორმიმინოტრანსფერაზის დეფიციტის ნიადაგზე ჩამოყალიბებულ კლინიკურ სიმპტომოკომპლექსს: გონებრივი განუვითარებლობა, სისხლში ფოლიუმ მჟავას მომატებული შემცველობა, შარდთან ფორმიმინგლუტამინური მჟავის გამოყოფა, ანემია მეგალობლასტებით, ქათმეს სიბრმავე, უროსეფსისი, რაც ხდება ლეტალური გამოსავლის უშუალო მიზეზი. დიაგნოსტიკურ მნიშვნელობა აქვს ლეიკოციტების რეზისტენტობას პეროქსიდაზა-ოქსიდაზა-სუქცინდეჰიდროგენაზის გამომაელინებელ, შემღებავ ნივთიერებათა მიმართ.

არან-დუშენის ამიოტროფია — ამიოტროფია, შეპირობებული ზერგის ტვინის წინა რქების უჯრედთა დეგენერაციული პროცესით. ახასიათებს პროგრესული პერიფერიული პარეზები და კიდურთა და ტანის დისტალურ, შემდეგში ასევე პროქსიმულ ნაწილთა დისტროფია. სინონიმი: ეულპიან-ბერნარის დაავადება.

არან-დუშენის ატროფიული ხელის მტევანი (ანუ ხელი) — მაიმუნის ხელის მტევანი. ხელის მტევანი, რომელსაც აქვს მაიმუნის თათის ფორმა. მიზეზია პირველი და მეხუთე თითების შემაღლებების, პირველი თითის მომტაცი ძვალთაშუა და ჰიისებური კუნთების ატროფია.

არაპოვის კონტრაქტურა — აპენდიციტის დროს მარჯვენამხრივი მენჯბარძაყის სახსრის ტკივილით გამოწვეული კონტრაქტურა.

არაჯანმრთელი სადგომის სინდრომი — თანამედროვედ აღშურვილ და ნაშენებ დაწესებულებებში მომუშაველნი ხშირად თავს არა გრძნობენ კარგად. შემაწუხებელი ნიშნები არაა სპეციფიკური, ესაა სისუსტე, ცუდი მხედველობა, შემცივნება, მოდუნება, ცუდი გუნებ-განწყობა და მსგავსი სხვა ნიშნები. გამომწვევ შესაძლებელ ფაქტორთა რიცხვი თვეთქმის 32-მდე ავიდა: ესენია: ოთახის ხელოვნური შიგნითა კლიმატი, რასაც იწვევეს ჰაერის კონდიცირება, თანამედროვე საშენი მასალები, ჰერიდან ჩამონაყარი, განათების კონტრასტები, ვიდეოეკრანთა ციმციმი, ულტრაიისფერი გამოსხივება სინათლის წყაროებიდან და დისპლეებიდან, ელექტრომაგნიტური ველები სხვადასხვა ელექტრონულ ხელსაწყოებიდან, მაღლივ შენობათა მექანიკური რხევები (გამოწვეული ქარით, ტრანსპორტით), ულტრა — და ინფრაბგერითი რხევები, სარეცხად გამოყენებული ქიმიური საშუალებები და აეროზოლი და სხვ.

არგაილ-რობერტსონის სინდრომი — ანუ არჟილ-რობერტსონის სინდრომი. გუგების რეფლექტორული უმოძრაობა. არ არის პირდაპირი და შეთანხმებული რეაქცია გუგებისა სინათლეზე, როცა ის შენახულია აკომოდაციასა და კონვენგენციაზე. ერთდროულად არის გუგის დავიწროება და მათი არაერთგვაროვნება. დამახასიათებელია ნერვული სისტემის ათაშანგისათვის.

არგაილ-რობერტსონის ცრუ სინდრომი — კონსტიტუციური არეფლექსია, პუპილოტონური ცრუტაბესი, სიმპტომოკომპლექსი შეხამებული ჩვეულებრივ გუგის რეაქციის ცალმხრივი შენელებით კონვერგენციაზე — ანი-

ზოკორიასთან და გუგის ზომის ცვლილებასთან დღის მანძილზე. ქვედა კიდურებზე მყესთა რეფლექსები არ იწვევა ან შესუსტებულია (იშვიათად ზედა კიდურებზე), ალინიშნება უფრო ხშირად ქალებში. სინონიმები: ეიდის სინდრომი, ეიდი-ჰოლმსის სინდრომი, ვეილ-რეა-ეიდის სინდრომი.

არგენტინული ჰემორაგიული ცხელება — იწვევს არბოვირუსის ჯგუფის ვირუსი. დამახასიათებელია გამოხატული სეზონურობა, გვხვდება სამხრეთ ამერიკის ენდემიურ რაიონებში. გამოვლინდება მაღალი მორემიტირე ცხელებით, მიალგიით, პეტექიალური გამონაყარით და სისხლდენით ლორწოვანი გარსებიდან.

არგონც-დელ კასტილიოს სინდრომი — ენდოკრინულ დარღვევათა ტრიადა: ამენორეა, გალაქტორეა, შარდში ჰონადოტროპინთა შემცველობის დაქვეითება. უხშირესად მემკვიდრეობითი წარმოშობისაა და უკავშირდება ჰიპოფიზის ადენომატოზს ან სიმსივნეს, გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. ვლინდება ალგაზრდა არანამშობიარებ ქალებში. სინონიმები: აუმადა-დელ კასტილიოს სენდრომი, ფორბეს-ოლბრაიტის სინდრომი.

არდმორის სინდრომი — გაურკვეველი ეტიოლოგიის ენფექციური დაავადება. საინკუბაციო პერიოდი 3—10 დღე. კლინიკურად გამოხატული რინიტი, ფარინგიტი, სუნთქვითი მიალგია გულმკერდის და მუცლის ზემო ნაწილის მიდამოში, ღებინება და ელენთის გადიდება და მტკივნეულობა, ლიმფური კვანძების გენერალიზებული გადიდება, გულისრევა. ხშირია მორეციდივე, გახანგრძლივებული (რამდენიმე თვის მანძილზე) მიმდინარეობა.

ართუსის ფენომენი — ადგილობრივი ჰიპერეგიული ანთებადი რეაქცია ქსოვილთა ნეკროზით. იწვევს ალერგენ-ანტისხეულის კომპლექსის პრეციპიტაციას სისხლძარღვთა კედელში და ქსოვილებში. კლინიკაში შეიძლება აღმოცენდეს როგორც გართულება სხვადასხვა შრატისა და სამკურნალწამლო საშუალებათა (მაგალითად, ანტიბიოტიკების) შეყვანისას.

არიასის ჰიპერბილირუბინემია — არაჰემოლიზურ მეორე ტიპის თანდაყოლილი სიყვითლე — მემკვიდრეობითი დაავადება. შეპირობებულია ფერმენტ გლუკორონოზილტრანსფერაზის უკმარისობით. ვლინდება სუსტად გამოხატული სიყვითლით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

არითმიული სინდრომი — დამახასიათებელია გულის სხვადასხვა დაავადებისათვის (კარდიომიოპათია, კარდიოსკლეროზი, მანკები და სხვ.). ამ სინდრომის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა ხასიათის არითმია, მათი მონაცვლეობა ან ერთად არსებობა.

არმანი-ებშტეინის უჯრედები — თირკმლის მილაკების პროქსიმალურ ნაწილებში არსებული ნათელი, გლიკოგენის შემცველი უჯრედები, რომლებიც გვხვდება შაქრიანი დიაბეტის დროს.

არმსტრონგის მწვავე სეროზული მენინგიტი — ლიმფოციტული ქორიომენინგიტი. კეთილთვისებიანი მენინგიტი. მწვავე ლიმფოციტური მენინგიტი — ინფექციური დაავადება. იწვევს იმავე სახელწოდების ვირუსი. ახასიათებს ქორიომენინგიტის განვითარება კეთილთვისებიანი მიმდინარე-

ობით. ცერებროსპინალურ ხითხეში აღინიშნება ლიმფოციტების შემადგენლობის მომატება. სინონიმი: ვალგრენ-არმსტრონგის დაავადება.

არნდტ-გოტრონის სინდრომი — სკლერომიქსედემა, კანის მუცინოზი. კანის ლორწოვანი დეგენერაციის ნაირსახეობა დაკავშირებული პარაპროტეინემიასთან. ვლინდება ეპირატესად სახეზე, კისერსა და ზემო კიდურებზე. კანი შეშუპებულია, მორეხო ელფერით, ალაგ-ალაგ დანაოჭებული. სახე ხდება ნელბისებური, გაძნელებულია პირის გაღება. კისერზე, ხელებზე და ტანზე ჩნდება მრავლობითი ლიქენოიდური მკრთალი ვარდისფერი კვანძები. ინფილტრატი კანშე წარმოადგენს პარაპროტეინის გროვებს, რაც ადგილობრივი ანთებითი რეაქციის განვითარების მიზეზი ხდება.

არნეთის სინდრომი — ვლინდება კრუპოზულე პნევმონიის მძიმე ფორმების დროს და განპირობებულია ფილტვის სრული ჰეპატიზაციით. ხასიათდება ბგერითი რხევის, მოყრუების და ბრონქოფონიის გაძლიერებით.

არნინგის ეპითელიომა ანუ კარცინოიდი — მრავლობითი ზედაპირული ეპითელიომა, კეთილთვისებიანი ეპითელიომა, კანის ზედაპირული კეთილთვისებიანი ეპითელიომა — ახასიათებს მრავლობითი ბაზოცელულარულე ცერულომები ქრონიკული კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ბრტყელი, უმნიშვნელოდ ინფილტრებული კერები გავრცელებულია პერიფერიულად, ჰგავს ფსორიაზს, ზედაპირულ მიკოზს ან ქრონიკულ ეგზემას. ყველაზე ხშირად ლოკალიზდება სახესა და ტანზე. სინონიმები: ლიტლის ერითემატოიდი, ვაისის ეპითელიომა.

არნოლდის სინდრომი — ხველის რეფლექსი, გამოწვეული არნოლდის ნერვის (ცოთმილე ნერვის ყურის ტოტი) საინერვაციო მიდამოს ან გარეთა სასმენი მილის ქვედა უკანა ნაწილის და დაფის აპკის უკანა ნახევრის გაღიზიანებით.

არნოს სიმპტომი — ტყუპით ორსულობის სიმპტომი. ვლინდება ნაყოფის გულისცემის რიტმის თავისებურებაში, რაც გამოიხატება ორი გულის მუშაობაში. მოგვაგონებს ორი მიმქროლავე ცხენის ფლოქვების თქარუნს.

არშტეინის ტიპის პოლიციტემია — ამ დროს არ აღინიშნება არც ელესთის გადიდება და არც ართერიული წნევის მომატება. პერიფერიულე სისხლის, ძვლის ტვინის პუნქტატისა და ტრეპანობიოპატატის ჰისტოლოგიური სურათი და მკურნალობა ეგივეა, რაც ვაქეზის დაავადების დროს.

არნოლდ-კიარის სინდრომი — ცერებრულ-მედულური სიმახინჯის სინდრომი — კრანიოცერვიკული მიდამოს განვითარების მანკი, რაც გამოიხატება კეფის დიდი ხვრელის შევიწროებით და ხერხემლის ზედა ნაწილის დეფორმაციით. ამას თან ახლავს ტვინის ღეროსა და ნათხემის ჩაწეულად დასახელებულ მიდამოში. კლინიკურ აღინიშნება ნათხემისა და თავის ტვინის X—XI წყვილი ნერვებით დაზიანების ნიშნები. ზიანდება აგრეთვე კისრის ზედა ნერვებიც, რაც ვლინდება კისრის უკანა ზედაპირზე ტკივილით. აღნიშნულ მანკს შეიძლება თან ახლდეს სპინა ბიფიდა კისრის ან გავა-წელის მიდამოში, ჰიდროცეფალია, ჰიდრომიელია (კისრის ნაწილში), მენინგოცელე, ატლანტის ასიმილაცია, კლიპელ-ვეილის სინდრომი (იხ.), იშიოფანტილური აგებულება და სხვ. აღინიშნება თავ-ზურგ-ტვინის სითხის ბლოკი, ქალას რენტგენოგრამაზე კეფის დიდი ხვრელის შევიწროება.

აროიოს სიმპტომი — თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობის ფაკულტატური ნიშანია: თვალის გუგების შენელებული რეაქცია სინათლეზე.

არონოვიჩის სიმპტომი — თოჯინის თვალის სიმპტომი — თავის წინ დახრის დროს თვალის კაკლებეს მოძრაობა ზევით და მათი მოძრაობა ქვევით თავის უკან გადაგდების დროს. აღინიშნება პარკინსონიზმის დროს.

არსენის სიმპტომი — კაროტიდულ ანგიოგრამაზე აღინიშნება ზონა, რომელიც თავისუფალია სისხლძარღვებისაგან. მოთავსებულია ჭალას კონტურსა და თავის ტვინის კომპრესირებულ ზონას შორის. უსისხლძარღვო ზონის გასწვრივ კონტრასტით შევსებული გაწოლილი სისხლძარღვოვანი ქსელი ჰამაკს ჰგავს (აქედან „ჰამაკის" სიმპტომი — იხ.). გვხვდება სუბდურული და ეპიდურული ჰემატომების დროს.

ასამური ცხელება — კალა — აზარი„ ლეიშმანიოზის ნაირსახეობა, ენდემიური დაავადება ტროპიკული ნესტიანი ზონისათვის, ძირითადად აღმოსავლეთ ინდოეთსა და ბანგლადეშისათვის. განსხვავდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის დაზიანებით და აქედან გამომდინარე კანის ძლიერი სიმუქით. სინონიმები: შავი დაავადება, ინდური ვისცერული ლეიშმანიოზი, დუმ-დუმ ცხელება.

ასბო-პანსენის სიმპტომი — ჰემშარიტი ჰემფიგუსის ნიშანი. ბუშტუკის ზომაში მომატება პერიფერიაზე, ზევიდან ზეწოლის შედეგად.

ასთენიური სინდრომი — ასთენია. მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ადვილად დაღლით, ხასიათის სწრაფი ცვალებადობით, გამღიზიანებლობით. ჰიპერესტეზიით. ვეგეტატიური დარღვევებით. უძილობით. არჩევენ ჰიპერსთენიულ (შედეგად აქტიური შემუხრუჭების ფუნქციის დარღვევის), ჰიპოსთენიურ (აღგზნებადობის პროცესის დაქვეითებისას), ინტოქსიკაციურს (ქოქსიკომანიის და ენტოქსიკაციის ნიადაგზე), ინფექციურ (ინფექციური დაავადების დროს ან შემდეგ — სინონიმია ბონგეფერის ასთენია). არჩევენ ორგანულ ანუ ფსევდონევრასთენიას, (აღინიშნება თავის ტვინის ორგანულ დაზიანებათა დროს), პერიოდულ, ფსიქიკურ (ძირითადად ფსიქიური პროცესების აღდგენითი დამუხრუჭებით), ფიზიკურ (სწრაფი ფიზიკური გამოფიტვის სიჭარბით) ასთენიებს.

ასთენოდეპრესიული სინდრომი — ეტიოლოგიური მნიშვნელობა ეძლევა წარსულში გადატანილ სომატიურ და ფსიქიკურ დაავადებებს, ფსიქიკურ ტრავმებს. ამ სინდრომის ფსიქოგენური და სხვა სახის გამოვლინებები რამდენიმეა.

ასთმის სინდრომი — ამ სინდრომს იწვევს გულის, ფილტვებისა და სხვა ორგანოთა დაავადებები. უფრო ხშირად ნავარაუდევია ბრონქული ასთმის შეტევა.

ასკანაზის უჯრედები — ოწკოციტები, განლაგებული ფარისებრ ჯირკვალში. სინონიმი: ჰურლეს უჯრედები.

ასკ-უპმარკის თირკმელი — შაბუკთა ავთვისებიანი ნეფროსკლეროზი. ერთი ან ორივე თირკმლის განვითარების თანდაყოლილი მანკი, რასაც თან სდევს მძიმე ჰიპერტენზია ლეტალური გამოსავლით. პნევმოგრაფიით თირკმლის ჰიპოპლაზია, თირკმლის არტერიოგრაფიით სისხლძარღვთა ნორმალური არქიტექტონიკის დარღვევა.

ასმანის აღრეული ინფილტრატი — ფილტვების ინფილტრაციული ტუ-

ბერკულოზის სიმპტომი. ახალი კერა, რომელშიც მანამდე არ იყო არავითარი ცვლილება. არამყარია, შეიძლება გაქრეს უკვალოდ, განიცადოს ფიბროზი, ან ხაჭოსებრი გადაგვარება კავერნის განვითარებით. მიმდინარეობა ხშირად უსიმპტომოა (გამოვლინება შემთხვევითია), ზოგჯერ არის შემდეგი ნიშნები: სუბფებრილიტეტი, ცუდი გუნებ-განწყობა, ედს-ის აჩქარება. იშვიათად მწვავე დასაწყისი ანთებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით; რენტგენოლოგიურად დამახასიათებელია ჩრდილი, ჩვეულებრივ ზედა წილის უკანა სეგმენტში ლოკალიზაციით (ლაიწყვეშა ინფილტრატი). სინონიმი: ასმან-რედეკერის ადრეული ინფილტრატი.

ასმან-რედეკერის ადრეული ინფილტრატი — იხ. სინონიმი: ასმანის ადრეული ინფილტრატი.

ასმან-ფაულჰაბერის სიმპტომი — რენტგონოლოგიური ნიშანია საყლაპავის დიაფრაგმულ ხვრელზე. აღინიშნება კუჭის თაღის გასქელება და დიაფრაგმის ზემო კონტურსა და კუჭის პარკოვან ბუშტუკს შორის მანძილის გაზრდა (1 სმ-ზე მეტი.)

ასტაპენკოს სირინგოეპითელიომა — (ანუ კისტოზური ეპითელიომა) — საოფლე ჯირკვლების სადინრების კეთილთვისებიანი სიმსივნე. შედგება უპირატესად ბრტყელეპითელური უჯრედებისაგან, რომლებიც ჩაზრდილია დერმის სიღრმეში. ზოგჯერ გვხვდება ერთეული ჯირკვლოვანი სტრუქტურა ან დიდი, ნათელი გლიკოგენის შემცველი უჯრედების შემადგენლობა.

ასტვაცატუროვის ცხვირ-ტუჩის რეფლექსი — ცხვირის ფუძეზე თითის ან ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმა იწვევს პირისირგვლივი კუნთის რეფლექსურ შეკუმშვას და ტუჩებს წოვით მოძრაობებს, ზოგჯერ კი თვალის ირგვლივ კუნთის შეკუმშვას და ხამხამს. გვხვდება ფსევდობულბური დამბლის დროს. მიაკუთვნებენ აქსიალური რეფლექსების ჯგუფს.

ასტლეი-კუპერის დაავადება — სათესლე ჯირკვლის ნეკრალგია. ტკივილი მკაფიოდ ძლიერდება მასზე უმნიშვნელო შეხებითაც კი.

ასტრე-ჰანის სინდრომი — იდიოპათიკური ინფექციური ეოზინოფილია. დამახასიათებელია ცხელება, სისუსტე, ტრაქეობრონქიტი, დისპეფსიური მოვლენები, ღვიძლის და ელენთის გადიდება, ეოზინოფილია, ვარაუდობენ ვირუსულ ეტიოლოგიას.

ასტროვის სიმპტომი — I — აღინიშნება მარცხენა ფილტვში ექინოკოკის დიდი ზომის კისტის არსებობისას და გამოიხატება მასთან მიმდებარე გულმკერდის ზედაპირის პულსაციით და გულის ტონების გატარებით ამავე მიდამოში.

ასტროვის სიმპტომი — II — ბარძაყის თიაქარის და კანქვეშა ვენის ვარიკოზული გაფართოების სადიფერენციაციო დიაგნოსტიკური ნიშანია: გამოდრეკის უბანი მის კიდეზე თითით მსუბუქი ზეწოლის შედეგად გაქრება, თუ იგი დაკავშირებულია გაფართოებულ სისხლძარღვთან.

ატოპიური სინდრომი — დაკავშირებულია ორგანიზმის რაიმე ალერგენზე იმუნური პასუხის კლინიკურ გამოვლინებასთან. კლასიკური მაგალითებია ალერგიული რინიტი, ჰინჩრის ცხელება, ბრონქული ასთმის ატოპიური ფორმა.

აუენბრუგერის სიმპტომი — I — გულმკერდზე ზომაზე მეტი გამობერ-

ეა ზომიერი ექსუდაციის შემთხვევაში პერიკარდიტის დროს და ეპიგასტრიუმის გამოდრეკა პერიკარდიუმის ღრუში სითხის დიდი რაოდენობით დაგროვებისას.

აუენბრუგერის სიმპტომი — II — ექსუდაციური პერიკარდიტის, მიტრალური სტენოზის ან სამკარიანი სარქველის გამოხატული უკმარისობის შესაძლო ნიშანი: გულისა და მახვილისებური მორჩის გამოდრეკა. სინონიმი: კორვიზარის სიმპტომი.

აუესკის დაავადება — ცრუ ცოფი. ინფექციური ბულბალური დამბლა. შინაური ბეწვიანი ცხოველების, მღრღნელების მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც გამოწვეულია ჰერპესის ჯგუფის ვირუსით და ცოფის მსგავსია. ადამიანებში იშვიათია. ხასიათდება მძაფრი ინტოქსიკაციით და ენცეფალომატოზული გამონაყარით, რომელიც ავადმყოფს ექაევება ინფექციის აღმძვრელის შეჭრის ადგილას.

აუმადას სინდრომი — ენდოკრინულ დარღვევათა ტრიადა: ამენორეა, გალაქტორეა, შარდში ჰონადოტროპინთა შემცველობის დაქვეითება. უხშირესად მემკვიდრეობითი წარმოშობისაა და უკავშირდება ჰიპოფიზის ადენომატოზს ან სიმსივნეს. გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. ვლინდება ახალგაზრდა ქალებში, რომლებიც არ ყოფილან ფეხმძიმედ და არ უმშობიარებიათ. სინონიმები: აუმადა-დელ კასტილიოს სინდრომი, არგონც-დელ კასტილიოს სინდრომი, ფობრეს-ოლბრაიტის სინდრომი.

აუმადა-დელ კასტილიოს სინდრომი—სინონიმები: ფობრეს-ოლბრაიტის სინდრომი, არგონც-დელ კასტილიოს სინდრომი, აუმადას სინდრომი. (იხ.).

აურენის დაავადება — ჰემოფილოიდური მღგომარეობა, Ac — გლობულინის ნაკლოვანება. ლაბილური ფაქტორის ნაკლოვანება. სისხლის შედედების დარღვევა, მიზეზია ფაქტორ ხუთის არარსებობა. ნიშნები: ხშირი სისხლძარღვები კანში და სისხლდენა ლორწოვანი გარსიდან, სისხლდენის და შედედების დრო გახანგრძლივებულია. ასევე გახანგრძლივებულია პროთრომბინის დრო. გვხვდება ღვიძლის მძიმე დაზიანებისა და გამოხატული „k" ჰიპოვიტამინოზის დროს.

აურიკულო-ტემპორალური სინდრომი — ყურისირგვლივი ნერვის სინდრომი — კანის ჰიპერემიისა და გაძლიერებული ოფლდენის შერწყმა ყურის ირგვლივ და საფეთქლის არეში საჭმლის მიღების დროს ან მის წარმოდგენაზე და ასევე ფიზიკურ მუშაობისას. აღინიშნება ყურ-საფეთქლის ნერვის დაზიანებისას. სინონიმები: ფრეი-ბაიარჟეს სინდრომი, ფრეის სენდრომი.

აურო-ურო-გენიტალური სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, გადაეცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. კლინიკა: თირკმლების და შარდსაწვეთების ცალმხრივი აპლაზია, საშოს აპლაზია ან რუდიმენტი, ზოგჯერ მისი ატრეზია, საშვილოსნოს და საკვერცხის ჰიპოპლაზია. სმენის გამოხატული ორმხრივი დაქვეითება, გამოწვეული შუა ყურის განვითარების ანომალიებით, გარეთა სასმენი ხვრელის სტენოზი, ყურის ნიჟარების ჰიპო და დისპლაზია, პატარა ჩაჭეჭყილი ცხვირი, მიკროგნატია, გინეკოტროპიზმი. სინონიმი: უინტერის სინდრომი.

აუსპიტცის სიმპტომი — წერტილოვანი სისხლდენის ფენომენი — სისხ-

ლოვანი ნამის ფენოვენი. პაპულიდან წერტილოვანი სისხლდენის გაჩენა მისი ქერქის ძალიან აფხეკის დროს — ფსორიაზის სიმპტომი.

აუფრეხტის სიმპტომი — ტრაქეის სტენოზის შესაძლებელი ნიშანი: სასულეზე მოისმენება შესუსტებული სუნთქვა.

აფრიკული ანემია — ნამგლისებური უჯრედიანი ჰემოლიზური მემკვიდრეობითი ანემია. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. გარდა ზოგადი ანემიური სიმპტომოკომპლექსისა, კლინიკურად აღინიშნება სიყვითლე, ჰეპატოსპლენომეგალია, ლიმფური კვანძების გადიდება, ინფანტილიზმი, მიდრეკილება თრომბოემბოლიისაკენ, ტროფიკული წყლულები წვივებზე, ოსტეოპოროზი, ავადდებიან მხოლოდ ზანგები. სინონიმი: ჰერიკის დაავადება, ანუ სინდრომი.

აფრიკული კარდიომიოპათია—რესტრიქტიული კარდიომიოპათია. ფიბროზული ენდოკარდიტი, ფიბროპლასტიკური ენდოკარდიტი — კარდიომიოპათია, რომელიც ხასიათდება გულის კუნთის გაუმქვის დარღვევით, მიზეზია ენდოკარდიული და სუბენდოკარდიული ფიბროზი. სინონიმები: ლეფლერის ენდოკარდიტი, ოგივეა ლეფლერის სინდრომი, ბეკერის დაავადება.

აფრიკული ლიმფომა — ცენტრალური აფრიკული ლიმფომა, ავთვისებიანი ლიმფომა—ლოკალიზდება ძირითადად ლიმფური კვანძების გარეთ—(თირკმლები, საკვერცხეები, ზედა ყბა). აღინიშნება უპირატესად ბავშვებში, გვხვდება აფრიკის და აზიის ცალკეულ ქვეყნებში. სინონიმი: ბერკიტის ლიმფომა, ანუ ბერკიტის ლიმფოსარკომა.

აფრიკული ტრიპანოსომიაზი — აფრიკული ძილის ავადმყოფობა. გამოიწვევია ტრიპანოსომის ორი სახეობა: გამბიური და როდეზიული. გადაიტანია ბუზი. 14 დღიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ვითარდება ცხელება, სხვადასხვა გამონაყარი, ლიმფადენიტი, დაუძლურება, ნეიროლოგიური და ფსიქიკური სიმპტომები, კომა. გამოსავალი ლეტალური. სინონიმი: დიეტონის დაავადება.

აფრიკული მისტოპლაზმოზი — მიკოზური დაავადება, რომლის დროს ძირითადად ზიანდება კანის საფარი, ძვლოვანი აპარატი და შინაგანი ორგანოები. ავადდებიან უპირატესად აფრიკაში მცხოვრებნი. გამომწვევია სპეციფიკური სოკო. მამაკაცები ავადდებიან სამჯერ უფრო ხშირად. ზოგჯერ დაავადებას წინ უძღვის ლატენტური პერიოდი, რომელიც შეიძლება რამდენიმე წელი გაგრძელდეს. მიმდინარეობს როგორც ქვემწვავე ან ქრონიკული დაავადება.

აფცელიუს-ლიპშუტცის ქრონიკული მბეგრირებადი ერითემა — ქრონიკული მიგრირებადი ერითემა — უცნობი ეტიოლოგიის ინფექციური დერმატოზი. ახასიათებს ტკაპის ნაბენის ადგილას რგოლისებრი ერითემის წარმოქმნა, რომელიც სწრაფად იზრდება დიამეტრში და თეთრდება ნაბენის ცენტრში. სინონიმი: ლიპშუტცის მიგრირებადი ერითემა.

აქილეს-ვენკებახის ნიშანი. — დიაფრაგმის ქვემოთ დაწევის შეზღუდვა შესუნთქვის დროს. აღინიშნება შეხორცებითი მედიასტინოპერიკარდიტისა და შეხორცებითი პლევრიტის დროს, იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი აქვს ნეკნების შეხორცებას დიაფრაგმასთან.

აქილევსის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი. აქილევსის მყესზე საექიმო ჩაქუჩით დარტყმისას ტერფის მოხრა ფეხისგულისაკენ.

აქსენფელდის სინდრომი — თვალების მემკვიდრეობითი დაავადება. გადაცემის ტიპი დომინანტურია, დამახასიათებელია ფერადი გარსის კოლობომა, ნაწილობრივი ანირიდია, ბროლის შემღერება და გუგის ექტოპია. ამ ნიშნების 50% ემთხვევა გლაუკომით დაავადებას.

აღმოსავლეთ აფრიკის ვისცერულ ლეიშმანიოზი — დამახასიათებელია სეზონურობა. გავრცელებულია სუდანში, კენიაში, ეთიოპიაში, სომალში და უგანდაში. დამახასიათებელია მცირე ზომის კვანძი ან წყლული, კანის ლეიშმანოიდები, მიდრეკილება რეციდივებისადმი.

აღმოსავლეთის წყლული ანუ მუწუკი — სინონიმები: ალიბერ-ბაზენის მიკოზი, ალიბერის დაავადება (იხ.), ბოროვსკის დაავადება, აშხაბადის წყლული, ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი, პენდინის წყლული.

აშარ-რამინის პოტომანია — მკვეთრად გამოხატული წყურვილი (პირველადი პოლიდიფსია, დართული მეორადი პოლიურიით). გეხვდება ბავშვებში. უნდა განვასხვავოთ უშაქრო დიაბეტისაგან.

აშარ-სენ ჟირონის არაპირდაპირი ბემატურია — ჰემოგლობინურია ჰემოგლობინემიის გარეშე, რომელიც ვითარდება ერითროციტების დესტრუქციის შედეგად თირკმლების სისხლძარღვოვან სისტემაში.

აშარ-ტიერის სინდრომი — სინონიმები: წვერიანი ქალების დიაბეტი, წვერიანი ქალების სინდრომი (იხ.).

აშარ-ფუა-კრუზონის სინდრომი — განვითარების ანომალია: გავის ქვედა მალების, მენჯის ზოგიერთი ძვლის და ქვედა კიდურთა კუნთების განუვითარებლობა. ხშირად თან ახლავს შარდისა და განავლის შეუკავებლობა.

აშარ-ფუა-მეზონის სიმპტომოკომპლექსი — იხ. სინონიმი: აშარ-ფუა-კრუზონის სინდრომი.

აშაფენბურგის სინდრომი — ფსიქიკის მწვავე დროებითი დარღვევა დაბნეულობის აფექტის სახით. აღინიშნება ზოგჯერ ქალებში მშობიარობის დროს ან უშუალოდ მის შემდეგ.

აშერის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, ახასიათებს ბლეფაროპტოზი, ტუჩების გასქელება (უფრო ხშირად ზედა), ლორწოვანი გარსის დუპლიკატურის წარმოშობა და სუსტად გამოხატული ჩიყვიფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის გარეშე. სინონიმი: ლაფერ-აშერის სინდრომი.

აშერმანის სინდრომი — მენსტრუალური და ბავშვის ყოლის ფუნქციის დარღვევა. მიზეზია საშვილოსნოშიდა სინექიები.

აშკენაზის სინდრომი — ანუ სისტემური პოლიქონდრიტი, პანქონდრიტი, სისტემური ქონდრომალაცია. დაავადების არსია პანქონდრიტის შეუღლება ქონდროლიზთან. იწყება რესპირაციული ინფექციით, რაც გადადის პროგრესულ სისუსტესა და ქოშინში (ეს დაკავშირებულია ხორხისა და ტრაქეის ხრტილების დაზიანებასთან), იცვლება ცხვირის ფორმა, აღინიშნება მეშუპება ხრტილთა ზონაში, ტკივილი სახსრებში, ტაქიკარდია, მიოკარდი-

უმის დაზიანების ნიშნები, ეპისკლერიტი, ეოზინოფილია, პროტეინურია, ედს-ს აჩქარება, ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია. სინონიმები: მეიენბურგის დაავადება, მეიენბურგ-ალტჰერ-ულინგერის სინდრომი.

აშკენაზ-როხის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი: კახექსია, მთელი სხეულის შეშუპება, ჰიპოთერმია, ტანის ქვემო ნაწილის ჰიპერტრიქოზი, ამენორეა, გინეკოტროპიზმი. მორფოლოგიურად ვლინდება ლანგერჰანსის კუნძულების ჰიპერტროფია.

აშნერის მეთოდი — სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდიის მოხსნის ხერხი. დამყარებულია ცთომილი ნერვის სტიმულაციაზე. იწვევა თვალის კაკლებზე ცერის რბილი ნაწილით ძლიერი (ტკივილამდე) ზეწოლით. ზეწოლა გრძელდება 10—15 წამ. სინონიმები: აშნერ — გერმანის მეთოდი, დანიინ-აშნერის მეთოდი, აშნერ-დანიინის მეთოდი.

აშნერ-გერმანის მეთოდი — სინონიმები: აშნერის მეთოდი (იხ.), დანიინ-აშნერის მეთოდი.

აშნერ-დანიანის მეთოდი — სინონიმი: აშნერის მეთოდი (იხ.).

აშნერის სიმპტომი — თვალის ფსკერის ცვლილებები ვაქეზის დაავადების დროს (იხ.); თვალის ფსკერი ჰიპერემიული, ვენური ძარღვები დაკლაკნილი, თვალის ნერვის დვრილი შეშუპებული, ზოგჯერ ბადურის არტერიის დახშობა.

აშოფის გრანულომა — რევმატიული გრანულომა. რევმატიული კვანძი — რევმატიზმის დროს სხვადასხვა ორგანოთა ინტერსტიციულ ქსოვილში წარმოშობილი გრანულომა. რევმატიული გრანულომის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულია პროლიფერირებადი და ჰიპერტროფირებული ჰისტიოციტები. სინონიმი: აშოფ-ტალალაევის გრანულომა.

აშოფის უჯრედები — დიდი ზომის მრგვალი ან წაგრძელებული ფორმის უჯრედები ეოზინოფილური ციტოპლაზმით. რევმატიული გრანულომის გაფორმებული უჯრედები.

აშოფ-პულის კერები — ფილტვების პათოლოგიურად შეცვლილი კერები (აცინუსისა და ნაწილაკების დონეზე) კეროვანი ტუბერკულოზის დროს. წარმოადგენს ჩაპარკულ პეტრიფიკატს, ან ხაჭოსებრი ნეკროზის კერას. სინონიმი: პულის კერები.

აშოფ-როკიტანსკის სინუსები — ნაღვლის ბუშტის დივერტიკულოზი. განვითარების თანდაყოლილი მანკი, რომელიც ხშირად შეუღლებულია ანთებით პროცესებთან. ქოლეცისტოგრამაზე ნაღვლის ბუშტის პროექციაზე დივერტიკულების მსგავსი ღრუები დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტთან.

აშოფ-ტავარას კვანძი — წინაგულ-პარკუჭოვანი კვანძი — ატრიოვენტრიკულური კვანძი, გულის გამტარი მიოციტების წნული კვანძის სახით, მოთავსებულია მარჯვენა წინაგულის კედელში. გადააქვს აგზნება სინუსურ-წინაგულოვანი კვანძიდან წინაგულოვან-პარკუჭოვან კონაში.

აშოფ-ტალალაევის გრანულომა. — სინონიმი: აშოფის გრანულომა (იხ.).

აშხაბადის წყლული — სინონიმები: ბოროესკის დაავადება, ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი, აღმოსაელეთის მუწუკი, პენდინის წყლული, ალიბერეს დაავადება (იხ.), ალიბერ-ბაზენის მიკოზი.

ახალგაზრდული ამავროზული იდიოტია — ვლინდება 6—10 წლის ასაკში პიგმენტური რეტინიტით, ინტელექტის დაქვეითებით, მოდუნებით, მეხსიერების დარღვევით, გამოხატული ვეგეტატიურ-ენდოკრინული დარღვევებით, არამუდმივი მოძრაობითი მოშლილობებით. სინონიმები: შპილმაიერ-ფოგტ-ბატენის ამავროზული იდიოტიის ფორმა, ანუ სინდრომი, შპილმაიერ შტოკის სინდრომი, შპილმაიერ-ფოგტის დაავადება.

ახენბახის სინდრომი — ხელების პაროქსიზმული ჰემატომა, თითების აპოპლექსია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, ახასიათებს ჰემატომების განვითარება (სპონტანურად ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად) ხელის-გულის მხარეს, თითების დისტალურ ფალანგებზე.

ახორ-სმითის სინდრომი — ნივთიერებათა ცვლის მოშლა ჰიპოკალიემიის, ნაწილობრივი შიმშილის ნიადაგზე. დამახასიათებელია სპრუს ნიშნები, კანის პელაგრისმაგვარი ცვლილებები, ჰიპერქრომული ანემია, დიარეა, ძლიერი სისუსტე, თირკმელზედა ჯირკვლეს უკმარისობის ნიშნები: აქლორჰიდრია, ჰიპოკალიემია, ჰიპოქრომია, ჰიპოკალციემია.

ბასფერის სინდრომი — ხშირია ნარკომანიის დროს: ავადმყოფი გამუდმებით მიმართავს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებას, თხზავს დრამატულ ანამნეზს, მიმართავს სხეულის თვით დაზიანებასაც კი, რათა დაიკმაყოფილოს ამა თუ იმ მედიკამენტის, უხშირესად კი ნარკოტიკული ნივთიერების მიღების მოთხოვნილება. ეპონიმურად სინდრომი კავშირშია შუასაუკუნეთა ლეგენდის პერსონაჟ ბასფერთან, რომელსაც ღმერთის მიერ თითქოსდა მიესაჯა მუდმივი ლტოლვილობა იმის გამო, რომ არ მისცა იესო ქრისტეს გზაში დასვენების საშუალება ჯვარცმეს წინ.

ბჰოპ-სენდრომი — სიმსუქნის, ინტერმიტირებული ჰიპერთერმიის, ოლიგომენორეის და მორეციდივე პაროტიტის შერწყმა. ხშირად თან ერთვის უძილობა, დეპრესია. მიეკუთვნება დიენცეფალოზთა რიცხვს.

ბაასტრუპის დაავადება — ინტერსპინალური ოსტეოქონდროზი. ინტერსპირალური ართროზი. ხასიათდება ხერხემლის მალების წარზიდული მორწის ქრონიკული ანთებადი ცვლილებებით. ტკივილი ძლიერდება ტვირთის ქვეშ ხერხემლის მოხრისას. რენტგენოლოგიურად — მორჩების სკლეროზი, ოსტეოფიტები. ავადდებიან უფრო 30—40 წლის ასაკში, უმთავრესად მტვირთავები. გადაცემა მემკვიდრეობითი.

ბაბეშეს სიმპტომი — ელენთის საპროექციო არეში პალპაციისას მუცლის ფარის რიგიდობა მტკივნეულობით. შეიძლება აღინიშნოს მუცლის აორტის ანევრიზმის დროს.

ბაბინსკის პარაპლეგია — ფეხის დამბლის დროს მოხრითი კონტრაქტურა, აღინიშნება ზურგის ტვინის დაზიანებისას. გვხვდება უკანა ფესვების გაღიზიანების პირობებში, ასევე დაძაბუნებულ ავადმყოფებშიც.

ბაბინსკის რეფლექსი — ხასიათდება ტერფის პირველი თითის ნელი გაშლით, ფეხისგულის კიდევ უფრო დაყოვნებული მოხრით, ან სხვა თითების მარაოსმაგვარი გაშლით, ფეხისგულის კანის გარეთა ნაწილის ხაზობრივი გაღიზიანების დროს. წარმოადგენს ფიზიოლოგიურ რეფლექსს

2-5 წლის ბავშვებისათვის, შედარებით მოზრდილ ასაკში კი პირამიდული გზის დაზიანებაზე მიუთითებს.

ბაბინსკის სიმპტომი — ავტომატური პრონაციის სიმპტომი — დადამბლავებული ხელის პრონაცია ორივე ხელის წინ გაშვერის დროს სუპინაციის მდგომარეობაში. აღინიშნება ჰემიპარეზის დროს.

ბაბინსკის სხივის სიმპტომი — სამედიცინო ჩაქუჩით სხივის ძვალზე დარტყმის პასუხად ხელისა და თითების მოხრა წინამხრის ერთდროული პრონაციის გარეშე. აღინიშნება ზურგის ტვინის კისრის მეხუთე სეგმენტის დაზიანების დროს.

ბაბინსკის ცრუ რეფლექსი — ტერფის პირველი თითის გაშლა ფეხის-გულის კანის გარეთა მხარის ხაზოვანი გაღიზიანების პასუხად. შეპირობებულია არა პირამიდული გზების დაზიანებით, არამედ ტერფის პირველი თითის მომხრელის პარეზით ან დამბლით, რაც გამოწვეულია წვეტის დიდი ნერვის დაზიანებით.

ბაბინსკის ჰემიპლეგიური სიმპტომი — გულაღმა მწოლიარე გულხელდაკრეფილი ავადმყოფის წამოჯდომის ცდის დროს პარეზის მხარეზე ფეხი იხრება და ჭუსლი რამდენადმე სცილდება საწოლს. ჯანმრთელი ფეხი უძრავად რჩება. გამოიყენება ორგანული პარეზის ისტერიულისაგან განსასხვავებლად. იგივე შეიძლება აღინიშნოს მჯდომარე ავადმყოფის მწოლიარე მდგომარეობაში გადასვლის ცდისას.

ბაბინსკი-ვაქეზის სინდრომი — გვიანი აოაშანგის მიმდინარეობის ვარიანტი. ახასიათებს მენინგოენცეფალიტი, აორტიტი, გუგის მოტორიკის დარღვევა და მუხლისა და აქილევსის რეფლექსების შესუსტება.

ბაბინსკი-ზუდეკ-ლერიშის დაავადება — პოსტტრავმული ოსტეოპოროზი. ძვლების პოსტტრავმული დეკალცინაცია. ძვლების მწვავე ატროფია: დაავადება ვლინდება რენტგენოლოგიურად: მოტეხილი ძვლის არეში აღინიშნება ლაქოვანი ოსტეოპოროზი. მიზეზია სისხლის მიმოქცევის დარღვევა და სიმპათიკური ნერვის დაზიანება.

ბაბინსკი-ნაეოტის სინდრომი — ეკუთვნის ალტერნატიულ სიმპტომთა ჯგუფს. პათოლოგიური კერის მხარეზე ადგილი აქვს ნათხემის დაზიანების სიმპტომებს — ჰემიატაქსიას, ჰემიასინერგიას, ვარდნას იმავე მხარეზე და კლონურ ბერსარ-ჰორნერის სინდრომს (იხ.) მოპირდაპირე მხარეზე. გვხვდება პათოლოგიური პროცესის არსებობისას მოგრძო ტვინში.

ბაბინსკი-ფრამანეს სინდრომი — პარეზების, კუნთოვანი კონტრაქტურების და ტკივილის შერწყმა, გამოწვეული მცირე ტრავმით, რომელიც არ წარმოადგენს დაავადების უშუალო მიზეზს.

ბაბინსკი-ფრელინის სინდრომი — ადიპოზურ-გენიტალური დისტროფიის სინდრომი — ხასიათდება პროგრესირებადი სიმსუქნით, სასქესო ორგანოების ინფანტილობით, მეორეული სასქესო ნიშნების გაპრობით, კანის სიმშრალით, ჰიპოთერმიით, სრულასაკოვნებში — იმპოტენციით, ამენორეით, ბავშვებში ზრდის შეჩერებით. სინდრომს ერთვის თავის ტკივილი, ბიტემპორალური ჰემიანოფსია, კრუნჩხვები, ზოგჯერ უშაქრო დიაბეტი. თურქული კეხის რენტგენოგრამაზე აღინიშნება ცვლილებები. სინდრომის განვითარებას უკავშირებენ ჰიპოფიზის ბაზოფილურ ადენომას, შე-

იძლება განვითარდეს ჰიპოთალამური მიდამოს ამა თუ იმ პათოლოგიური პროცესით, ანთებით, სისხლძარღვოვანი დაზიანებით.

ბაბკინის სინჯი — ინსულინ-ჰისტამინის სინჯი. კუჭის სეკრეციის გამოკვლევის მეთოდი ორმაგი გასტროდუოდენური ზონდის მეშვეობით. მისი გამოყენებით კუჭის წვენის გამოყოფის სტიმულირება პირველ დღეს ხდება ინსულინით, მეორე დღეს — ჰისტამინით.

ბაბუკის სიმპტომი — ნაწლავის სისხლიანი გამონარეცხი წყალი მუცლის პალპაციის შემდეგ. ადგილი აქვს მუცლის ღრუს სიმსივნურ ინვაგინაციისას.

ბადერის დერმატოსტომატიტი ანუ სინდრომი — ავთვისებიანი ექსუდაციური ერითემა — დერმატოზი. ხასიათდება ერითემატოზური ლაქებისა და ბუშტუკების პოლიმორფული გამონაყრებით, ხშირად ჰემორაგიული შემადგენლობისა. ლოკალიზაცია — კანი, ლორწოვანი გარსი, (პირის ღრუს და შარდსადენი გზების) კონიუნქტივა. თან სდევს ინტოქსიკაციის მოვლენები. სინონიმი: სტივენს-ჯონსონის სინდრომი.

ბად-კიარის სინდრომი — ღვიძლის ვენის მაობლიტერებელი ანთება. ახასიათებს პორტული ჰიპერტენზიისა და ღვიძლის ციროზის ნიშნები, დისპეპსიური მოვლენები, ღვიძლის გადიდება — ასციტი, აღინიშნება ღვიძლის ვენებიდან სისხლის უკუდენის დარღვევის გამო. განარჩევენ მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ ფორმებს. სინონიმები: კიარის სინდრომი, კიარი-ბრიკოსოვის დაავადება.

ბავშვებთან სახიფათო მოპყრობის სინდრომი — საკმარისად ხშირად კონსტატირებულია მცირეწლოვანთადმი უხეში ფიზიკური მოპყრობა. ბავშვებს ასე ეპყრობიან მშობლები, ნათესავები, მოზარდნი. ზოგჯერ ბავშვები ამის შემდეგ მძიმედ შავდებიან და ხეიბრად რჩებიან. სწორედ ამ ფიზიკური და სულიერი ტრავმების განსასაზღვრავად მედიცინაში წარმოიშვა ზემოდასახელებული სპეციალური ტერმინი.

ბავშვთა ლეიშმანიოზი — ძირითადად ავადდებიან ბავშვები. დაავადებას ახასიათებს სამი პერიოდი: საწყისი, სრული განვითარებისა და კახექსიის. ნიშნები: სისუსტე, ცხელება, პნევმონია, პასტოზობა, სიყვითლე, დიარეა, ჰეპატოსპლენომეგალია, ანემია, ლეიკოპენია, მაღალი ედს, ჰემორაგიები და სხვ. სინონიმი: ხმელთაშუა ზღვის ვისცერიული ლეიშმანიოზი.

ბავშვის უეცარი სიკვდილის სინდრომი — პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვის უეცარი, გამოხატული მიზეზის გარეშე განვითარებული, სიკვდილი. პათოგენეზი უცნობია. სექციაზე ორგანული ცვლილებები შინაგან ორგანოთა, ისევე როგორც ნერვული სისტემის მხრივ, არ ვლინდება. შედარებით ხშირია ბიჭებში და იმ ჩვილ ბავშვთა შორის, რომლებიც არ ტირიან, აქეთ ჭარბი ან დაქვეითებული სხეულის მასა. ვითარდება უპირატესად ღამის საათებში, ძილში. მიზეზთა შორის ასახელებენ 20 წამის ხანგრძლივობის აპნოეს, რის შემდეგაც სუნთქვის აღდგენა აღარ ხდება, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობას, იმუნური სისტემის დეფექტს.

ბაზანის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი, დაკავშირებული ემბრიონულ ანომალიასთან: ჰიპოტრიქოზი, ჰიპოჰიდროზი, პა'ი-

ლარული ნახატის ანომალია ან არარსებობა, კბილების დეფექტები. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტიურია.

ბაზედოვის დაავადება — დეფუზური ჩიყვი თირეოტოქსიკოზით, ტოქსიკური ჩიყვი, ეგზოფტალმური ჩიყვი — დაავადებას ახასიათებს ფარისებური ჯირკვლის დიფუზური გადიდება და მისი ფუნქციის მომატება. გამოკლინდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (მომატებით), სიგამხდრით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით, ტემპერატურის მომატებით, სშირია ეგზოფტალმი. სინონიმები: გრეივსის დაავადება, პერის დაავადება, ფლაიანის დაავადება, მარშის დაავადება.

ბაზედოვის მიქსედემა — ბაზედოვის ტუბეროზული წვივისწინა მიქსედემა. გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის დროს მისი ქირურგიული მოცილების, ფარმაკოლოგიურ მკურნალობისა და სხივური თერაპიის შემდეგ. მიზეზია თირეოტროპული ჰორმონის გაძლიერებული გამოყოფა. დამახასიათებელია წვივის წინა მიდამოებში ბრტყელი ხორკლოვანი ინფილტრატები — პრეტიბიალური მიქსედემა.

ბაზედოვის ტრიადა — ჩიყვის, ეგზოფტალმიისა და ტაქიკარდიის შერწყმა. აღინიშნება დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს. სინონიმი: მენზებურგის ტრიადა.

ბაზედოვის ციროზი — ღვიძლის პარენქიმის დაზიანება თირეოტოქსიკოზის გვიან პერიოდში. სიყვითლის გარეშე ჰეპატიტის ტიპიური მაგალითი. დამახასიათებელია პერიპორტული ლიმფოციტური ინფილტრაცია, ლობულარული სტრუქტურის შენარჩუნება, გვიან სტადიაში ამ სტრუქტურის დარღვევა შემაერთებელი ქსოვილის განვითარების გამო. ასევე ტიპიურია სუბკაპილარული ციროზი, კაპილარული შეგუბება, სკლეროზული და ფიბროზული ცელილებები.

ბაზედოვური პარალეგია შარკოსი — ხასიათდება თირეოტოქსიკოზით, ავადმყოფის უეცარი დავარდნით, უმთავრესად მუხლებზე და მოძრაობის მომდევნო სწრაფი აღდგენით. აღნიშნულ სინდრომს ამსგავსებენ კატაპლექსიას ან კიდურების პერიოდულ დამბლას, მიაკუთვნებენ ფუნქციურ ასინაფსიას.

ბაზედოვ-დელრიმპლის სიმპტომი — თირეოტოქსიკოზის და პარკინსონიზმის შესაძლო ნიშანი: თვალის გაფართოებული პრილი. სინონიმი: დელრიმპლის სიმპტომი.

ბაზეკის სინდრომი — პარანეოპლასტიკური ხასიათის ნიშნები საყლაბავის კიბოს, კუჭუკანა ჯირკვლისა და ზოგიერთი სხვა შინაგანი ორგანოს კიბოს დროს. ხასიათდება სხეულის და კიდურების კანის დიფუზური და კეროვანი მოყავისფრო პიგმენტაციით ან დეპიგმენტაციით, ჰიპერკერატოზით, ქავილით, აკროციანოზით.

ბაზენის დაავადება — კანის ინდურაციული ტუბერკულოზი. ინდურაციული ერითემა — კანის ტუბერკულოზი, რომელსაც ახასიათებს მომრგვალო, მკვრივი, თითქმის უმტკივნეულო მოლურჯო-იასამნის ფერი კვანძები კანქვეშ, უფრო ოშვიათად ბარძაყებზე. აღენიშნება ქალებს, უპირატესად ახალგაზრდებს, გამომწვევის ჰემატოგენური დისემინაციის დროს.

ბაზენის სინათლისებური ყვავილი — სინათლით გამოწვეული ყვავილი,

უოტოდერმატოზი. ახასიათებს ვეზიკულოზური გამონაყარი კანის ღია ადგილებზე, გამოსავალია ყვავილისმაგვარი ნაწიბურები.

ბაზეს სინდრომი — კანის ცვლილებები სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნური პროცესის დროს (უპირატესად ხორხის, საყლაპავის, კუჭუკანა ჯირკვლის): აკროციანოზი, ფრჩხილების მტვრევადობა, კოილონიხეა, ონიქოლიზი; სხეულის და კიდურების კანის პიგმენტურ ანომალიები; ყავისფერი დიფუზური ან კეროვანი პიგმენტაცია სტრიებით, დეპიგმენტაციის უბნებით.

ბაზეტის მაჩვენებელი — გულის ელექტრული სისტოლის ხანგრძლივობის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლებს შეფარდება გულის ციკლის ხანგრძლივობასთან. გამოისახება პროცენტებში. ბაზეტის მაჩვენებელი მამაკაცებისა და ბავშვებისათვის 37%-ია, ქალებისათვის 39%.

ბაზეტის ფორმულა — ფორმულა, რომლის მიხედვით გულის სავალდებულო ელექტრული სისტოლის ხანგრძლივობა ტოლია გულის ციკლის ხანგრძლივობისა ბაზეტის ფორმულით და ბაზეტის მაჩვენებლების ნამრავლის განაყოფისა ასზე. ბაზეტის ფორმულით ფაქტიური ელექტრული სისტოლის ხანგრძლიობის მნიშვნელოვანი გადახრა გაანგარიშებულისაგან ადასტურებს გულის მუშაობის დარღვევას.

ბაიარუეს ნიშანი — ანიზოკორია პროგრესული დამბლის დროს.

ბაიერის სიმპტომი — ავადმყოფს არ შესწევს უნარი, გამოეცნოს ექიმის მიერ მუცელზე ან ქვემო კიდურზე კანის ნაოჭების გადაადგილების მიმართულება. აღინიშნება ზურგის ტვინის ხმობისას.

ბაილის დაავადება — პროგრესული დამბლის ძველი სახელწოდება.

ბაიოტერსის სინდრომი — კრაშ-სინდრომი — თირკმლის მწვავე უკმარისობა კუნთოვანი ქსოვილის ერცელი დაზიანებესას ხანგრძლივი ზეწოლის და დაბეჟვის შედეგად. აღინიშნება ანურია, არტერიული ჰიპერტენზია, შოკი, აზოტემია, მეორადი ანემია, ლეიკოციტოზი, ჰიპერკალიემია. დიურეზის აღდგენისას თავს იჩენს გამოხატული ალბუმინ-კრეატინ-ჰემოგლობინ-მიოგლობინურია. ღვიძლში და თირკმელებში ჩნდება ნეკროზული კერები. სინონიმები: პაქსონის სინდრომი, ბლუმის სინდრომი II,

ბაკუინ-ეიჯერის სინდრომი — ოჯახური ოსტეოკლაზია მაკროკრანიით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადების დროს ვითარდება სტატიკური განვითარების შეჩერება, კიდურთა ძვლების პათოლოგიური მტვრევადობა და სპონტანური მოტეხილობები, თავის ქალას ძვლების გასქელება.

ბალარ-მილერ-დეიენ-პეს სინდრომი I — ჰიბრალტარის ცხელება, მალტის ცხელება, ხმელთაშუა ზღვის ცხელება. მელიტოკოკოზი. მელიკოკცემია. ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევეს მიკროორგანიზმები ბრუცელას ჯგუფიდან. ადამიანს გადაეცემა ავადმყოფი ცხოველიდან ალიმენტურად ან კონტაქტური გზით. ჩვეულებრივ მიმდინარეობს ქრონიოსეფსისის ტიპით, პოლიმორფულობით. სინონიმები: ბანგის დაავადება, ბრუსის დაავადება.

ბალარ-მილერ-დეიენ-პეს სინდრომი—II—მენინგოენცეფალიტის შემდგომი ენცეფალოპათია. ნიშნები: მეხსიერების და ცნობიერების დარღვევა,

ინიციატივის დაკარგვა, დეპრესიული მდგომარეობა, აფექტური ლაბილობა, თავბრუ, თავის ტკივილი, ასევე ხერხემალში, სწრაფი დაღლა.

ბალენსის სიმპტომი — მუცლის ღრუს ორივე მხარეს პერკუტორული ხმიანობის მოყრუება. უცვლელი მოყრუება მარცხნივ სხეულის მდებარეობის შეცვლისას მიუთითებს შედედებული სისხლის კოლტებზე. სხეულის მდებარეობის შეცვლისას მარჯვენამხრივი მოყრუების გადაადგილება ადასტურებს მუცლის ღრუში სითხის არსებობას. ელენთის გახეთქვის ნიშანია.

ბალერ-გეროლდის სინდრომი — ჩონჩხის თანდაყოლილი ანომალიების კომპლექსი (გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული წესით): კოშკისებური თავის ქალა, სხივის ძვლის აპლაზია და იდაყვის ძვლის ჰიპოპლაზია.

ბალეს სიმპტომი — I — ეგზოფთალმის და ოფტალმოპლეგიის შეუღლება დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის დროს.

ბალეს სიმპტომი—II—ღამით ხველის შეტევა (წოლით მდგომარეობაში) სასის ნუშისებრი ჯირკვლების ქრონიკული ანთებისას.

ბალეს ხველება — იხ. სინონიმი: ბალეს სიმპტომი II.

ბალეტის სიმპტომი — გეხვდება ბაზედოვის დაავადების დროს. დამახასიათებელია თვალის გარეთა კუნთების (ერთის ან ყველასი) ნაწილობრივი ან სრული უმოძრაობა. შიგნითა კუნთები არ არის დაზიანებული.

ბალზერის დაავადება (ანუ ბალზერის სინდრომი) — კუჭუკანა ჯირკვლის ცხიმოვანი ნეკროზი მწვავე ჰემორაგიული პანკრეატიტის დროს.

ბალზერის ფენომენი — იოდის სპირტიანი ხსნარით ნახერხისმაგვარი ლიქენით დაზიანებული კანის ქსოვილის უფრო ინტენსიური შეღებვა გარემომცველი კანის ქსოვილთან შედარებით რქოვანას გაფხვიერების გამო.

ბალზერ-სენეტრიეს ცხიმოვანი ჯირკვლების სიმეტრიული ადენომა — ადენოიდურ-კისტოზური ეპითელიომა, ჯირკვლოვან-კისტოზური მრავლობითი კეთილთვისებიანი ეპითელიომა, ნევუსი. წარმოშობილია ზრდადაუსრულებელი ან მანკიერად განვითარებული ცხიმოვანი ჯირკვლების ან მათების ფოლიკულების პროლიფერაციის შედეგად. სინონიმი: ბრუკის ჯირკვლოვან-კისტოზური ეპითელიომა.

ბალიანტის დიეტა — დიეტა, რომელიც შეზღუდულად შეიცავს სუფრისმარილიან პროდუქტებს.

ბალინტის სინდრომი — ოპტიკური ატაქსია, მხედველობის ფსიქიკური დამბლა. ავადმყოფს არა აქვს უნარი დაინახოს მხედველობის არეში მყოფი ყველა საგანი. მიზეზია მზერის გადატანისა და ფიქსაციის დარღვევა (თვალის ნერვების დამბლა ან პარეზი). ყოველივე ეს იწვევს სივრცეში ორიენტირების დარღვევას. აღინიშნება თავის ტვინის დაზიანების დროს.

ბალკანური გრიპი — ქუ-ცხელება, ავსტრალიური დაავადება, ოლიმპიური დაავადება, ქუ-რიკეტსიოზი, ჟეტრალიური ცხელება, პნევმორიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური, კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. გადაცემა ჰაეროვან-წვეთოვანი, ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ახასიათებს რეტიკულო-ენდოთელიური სისტემის დაზიანება, ინტოქსიკაცია, ცხელება, ხშირად ინტერსტიციული პნევმონია. სინონიმები: ბერ-

ნეტის დაავადება (ანუ ბერნეტის რიკეტსიოზი), დერიკის დაავადება. დერიკ-ბერნეტის დაავადება.

ბალდვ-ლელკესის სინდრომი — ვითარდება ხანგრძლივ ჰორმონულ ძვრებთან დაკავშირებული ავადმყოფობის შემდეგ ან ლოკალური პათოლოგიის ნიადაგზე და ვლინდება ენის ცვლილებებით: დვრილების გარჩოვანება, დასკდომა, ენის კუნთების ჰიპერტროფია. დამახასიათებელია აგრეთვე ჰიპერსალივაცია და კბილების დაცვენა.

ბალოს დაავადება — კონცენტრული პერიაქსიალური ენცეფალიტი. დემიელინიზებული დაავადება. კლინიკურად მსგავსი შილდერის დაავადებისა (იხ.), (ცენტრალური დამბლები და პარეზები, ჰიპერკინეზია, ეპილეპტიფორმული გულყრები, მხედველობის დარღვევა, ფსიქიკური მოშლილობანი და ა. შ.). განსხვავდება თავის ტვინის თეთრ ნივთიერებაში კონცენტრულად განლაგებული რგოლისებურად შეცვლილი ნერვული ქსოვილის არსებობით.

ბალფურის დაავადება — მიელოსარკომა. მიელოსარკომატოზი. ქლორილეიკემია. ქლორომა-მიელობლასტური ლეიკოზის ვარიანტი ბავშვთა და მოზარდთა ასაკში. ახასიათებს ძვლის ტვინში, ლიმფურ კვანძებში და ზოგიერთ შინაგან ორგანოში ლეიკოზური ინფილტრატების არსებობა, რომლებიც სიმსივნის მაგვარია და აქვს მწვანე ფერი.

ბამატერის სინდრომი — ოჯახური ხასიათის თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი, გადაცემის რეცესიული (X — ქრომოსომასთან შებმული) ტიპით. ადგილი აქვს პროგერიას, ნანიზმს, მსხვილი სახსრების ძვლების გენერალიზებულ დისპლაზიას, პიგმენტირებულ კბილებს, თვალის რქოვანა გარსის შემცირებას და შემღვრევას. კანი მომჩვარულია, სახის ნაკვთები მოგვაგონებს უოლტ-დისნეისებურ ჯუჯებს. ოჯახის სხვა წევრებს შესაძლოა აღენიშნოთ მიკროფტალმია და თანდაყოლილი გლაუკომა. სინონიმები: ბამატერ-ფრანცეშეტ-კლაინ-სიროს სინდრომი, უოლტ დისნეის ნანიზმი.

ბამატერ-ფრანცეშეტ-კლაინ-სიროს სინდრომი — სინონიმები: ბამატერის სინდრომი, (იხ.), დისნეის ნანიზმი (უოლტ დისნეის ნანიზმი).

ბამბერგერის ნიშანი — I — მოყურება ან ყრუ ხმიანობა მარცხენა ბეჭქვეშ, ზოგჯერ ბგერითი და სუნთქვითი ხმიანობის გაძლიერებით, ბრონქული ელფერით. ქრება ავადმყოფის წინ დახრისას, აღინიშნება გულის პერანგში სითხის დიდი რაოდენობით დაგროვების დროს და კავშირშია ფილტვზე ზეწოლასა და მის ატელექტაზთან.

ბამბერგერის ნიშანი — II — დამახასიათებელია გულმკერდის არეში ნეკნთაშუა მიღამოებზე შეერთებულად დადებული თითების გაშლა. აღინიშნება აორტის ანევრიზმის დროს გულმკერდის გაძლიერებული რხევის შეღეგად.

ბამბერგერის ნიშანი — III — საუღლე ვენის პულსაცია გულის სამკარიანი სარქველის უკმარისობის დროს, მარჯვენა წინაგულის გადაბერვით. გამოწვეულია სისტოლის დროს საუღლე ვენების სარქველთა არაეკარი დახურვით.

ბამბერგერის სიმპტომი — ექსუდაციური პლევრიტის დროს მარცხ-

ნივ, ბეჭის ქვემოთ ხერხემალთან პერკუსიისას შეიძლება აღინიშნოს ყრუ ხმიანობა (ეჯარტის სიმპტომი. იხ.), რომელიც ტანის წინ გადახრის შემდეგ ქრება.

ბამბერგერ-გერმეს ნიშანი — ხერხემლის მარცხენა ნაპირთან გულმკერდის II—V მალების დონეზე პერკუტორული ხმიანობის მოყრუება. ექსუდაციური პერიკარდიტის სიმპტომი.

ბამბერგერ-მარის პერიოსტოზი ანუ სინდრომი — მაოსიფიცირებელი გენერალიზებული ჰიპეროსტოზი. გენერალიზებული ოსტეოფიტოზი. პაქიპეროსტიტი. პერიოსტიტი. გენერალიზებული ჰიპერპლასტიკური, სისტემური მაოსიფიცირებელი პერიოსტოზი — ლულოვანი ძვლების სისტემური დაზიანება. ახასიათებს მათი დიაფიზებისა და მეტაფიზების ირგვლივ პერიოსტალური ნადებები. შეიძლება განვითარდეს ქრონიკულ დაავადებათა (უფრო ხშირად ფილტვებისა და გულის) შედეგად, რომლებიც იწვევენ ჰიპოქსიას.

ბამბის დაავადება — ეპიდემიური მიალგია. ეპიდემიური პლევროდინია. იწვევს კოქსაკის „ბ" ვირუსი. ვრცელდება ძირითადად ზაფხულსა და შემოდგომაზე ეპიდემიის, ენდემიის ან სპორადიული შემთხვევების სახით. ინკუბაციური პერიოდია რამდენიმე დღე. ნიშნები: მუცლისა და გულმკერდის კუნთების, უფრო იშვიათად კიდურების ძლიერი ტკივილი, რაც რამდენიმე საათი გრძელდება. ახასიათებს რეციდივები, ტემპერატურის მომატება და ზედა სასუნთქი გზების კატარი. პროგნოზი კარგია. სინონიმები: სილვესტის დაავადება, დარგენგენანის დაავადება, ფინსენის დაავადება.

ბანაიტისის ნახვევი — ნახვევი, მოწოდებული გულმკერდის ჭრილობაზე დასადებად, ღია პნევმოთორაქსის დროს. შედგება პლასტირის ზოლებით გამაგრებული ბამბისა და მარლის სქელი ნახვევით დაფარული ტაშპონისაგან.

ბანგის დაავადება — სინონიმები: ბრუსის დაავადება, ბალარ-მილერ-ღეენ-პეს სინდრომი I (იხ.)

ბანვართის მენინგოპოლინევრიტი — ლაიმის დაავადების (იხ.) ანუ ლაიმის ბერილიოზის ნევროლოგიური გამოვლინებები. აღინიშნება: მენინგიტი, ენცეფალიტი, რადიკულონევრიტი. ეს მოვლენები დაავადების მეორე სტადიაშია. პირველ სტადიაში ხშირია მიალგია და კუნთ-სახსროვანი მცოცავი ტკივილი.

ბანისტერის დაავადება — ანგიონევროზული შეშუპება: გიგანტური ურთიკარია. მწვავე შემოფარგლული შეშუპება. ალერგიული ან მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია სწრაფი განვითარება და სპონტანური დასასრული, კანის, კანქვეშა ქსოვილისა და ლორწოვანი გარსის მორეციდივე შეშუპება. სინონიმები: ქვინკეს შეშუპება, ანუ ქვინკეს დაავადება, მილტონის ურთიკარია.

ბანიტახის სიმპტომი — ტკივილის გაქრობა კუნის ან 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ნიადაგზე აღმოცენებულ სისხლდენის დროს და ტკივილის განახლება სისხლდენის ფონზე, როგორც წყლულის პერფორაციის ნიშანი.

ბანკის სინდრომი — ჩონჩხის თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი (აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით): შეერთებული მთვარის, სოლისებრი და მაჯის ძვლებით, კლინოდაქტილია, კლინომეტაკარპია, ბრაქიმეტაკარპია და ლეპტომეტაკარპია.

ბანკროფტის დაავადება — ფილიაროზი. ინფექციური დაავადება, გადამტანია სახლის კოღო. ეპიდემიური დაავადება აზიაში, ტროპიკულ აფრიკაში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ზიანდება ლიმფური კვანძები, რაც ხდება სპილოვნების (ელეფანტიაზის) მიზეზი.

ბანტის დაავადება — ძირითადად გვხვდება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. აღინიშნება მიმდინარეობის სამი პერიოდი. პირველი (3—12 წელი) — სპლენომეგალია, ჰიპერქრომული ანემია, მიკროციტოზი, პოიკილოციტოზი, ცხელება. მეორე სტადია (ერთი წელი) — ღვიძლის ციროზის პროგრესირება, ღვიძლის გადიდება. მესამე სტადია (ერთ წლამდე) — ღვიძლის დაპატარავება, ასციტი, სიყვითლე, ანემიის პროგრესირება, ცხელება, ფაღარათი, კახექსია. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმი: ფრუგონის დაავადება

ბანტის ნიშანი — ექსუდაციური პერიკარდიტის დროს გულის აბსოლუტური მოყრუების საზღვრის გადანაცვლება მეორე ნეკნთაშუა არემდე მარცხნივ, პერიკარდიტის დროს სითხის მომატების ნიშანია.

ბანტის სინდრომი — მეორადი სპლენოჰეპატომეგალიური სიმპტომოკომპლექსი: ანემია, თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია, შეგუბებითი სპლენომეგალია, ღვიძლის პორტული ციროზი. სინონიმი: სენატორ-ბანტის სინდრომი.

ბანტის ცრუ ნიშანი — სპლენომეგალიის შეუღლება ჰიპოპლასტიკური ანემიის სიმპტომებთან და სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან ელენთისა და ღვიძლის ვენებში იქ არსებული თრომბოზების გამო. აღინიშნება ზოგიერთი ინფექციური დაავადებისას (ვისცერული ლეიშმანიოზი).

ბარ-პიკის სინდრომი — პანკრეასულ-ბილიარული სინდრომი — პანკრეასის კიბოს ნიშნების (ტკივილი ეპიგასტრიუმში, ნიეთიერებათა ცვლის დარღვევა და სხვ.) შერწყმა სანაღვლე გზების სადინრებზე ზეწოლასთან (სიყვითლე, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გადიდება და სხვ.). შეპირობებულია სიმსივნის ლოკალიზაციით ფატერის დერილთან (იხ.): სინონიმები: კურვუაზიეს სინდრომი, პიკის სინდრომი, კურვუაზიე-ტერის სინდრომი.

ბარაკერ-ბორდას-რუიზ-დარას სინდრომი — ატაქსია, შეპირობებული ნათხემის მწვავე ატროფიით, ზოგჯერ აღინიშნება ბრონქების კიბოს დრის.

ბარაკერ-სიმონსის დაავადება — პარადოქსული ლიპოდისტროფია. პროგრესირებადი სეგმენტური ლიპოდისტროფია — ლიპოდისტროფია, რომლის დროსაც შემცირებულია ცხიმის დალაგება სხეულის ერთ უბანზე და გაძლიერებულია სხვა ადგილებში. სინონიმები: ქოლენდერ-სიმონსის ადგილობრივი დაავადება, სიმონსის სინდრომი, სმითის სინდრომი.

ბარაკეზ-როვირალტის რეფლექსი — ტერფის ძირის გაღიზიანებას თან ახლავს ყველა თითის ჰიპერრეფლექსია ტერფის ძირისაკენ. განეკუთვნება

პათოლოგიური რეფლექსების ჯგუფს. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

ბარანდუნის ტიპი მიპოგამაგლობულინემიის — იდიოპათიკური ჰიპოგამაგლობულინემია. დაავადებას ახასიათებს სისხლის შრატში გამაგლობულინების კონცენტრაციის დაქვეითება. ვლინდება ფილტვებისა და კანის ქრონიკული დაზიანებით, ჰეპატო-სპლენომეგალიით. ვარაუდობენ, რომ იდიოპათიკური ჰიპოგამაგლობულინების განვითარებაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ ფაქტორებს.

ბარანის აცილების სიმპტომი — ავადმყოფს გაშლილი ხელის სალოკი თითის ექიმის თითთან მიახლოებისას აღენიშნება ხელის გადახრა ნათხემის დაზიანებული ჰემისფეროს მხარეზე. გვხვდება ვესტიბულური აპარატის დაზიანების დროს.

ბარანის ხაჩვენებელი სინჯი — აცდენის რეაქცია — ვესტიბულური ანალიზატორის ფუნქციის გამოკვლევის მეთოდი. გამოსაკვლევ პირს ეძლევა წინადადება, საჩვენებელი თითი მოახვედროს ექიმის გამოწეული ხელის თითს (ჯერ თვალახელილმა, მერე თვალდახუჭულმა). ორივეჯერ აცდენა (ნისტაგმის ნელი კომპონენტის მიმართულებით) მიუთითებს ლაბირინთის ფუნქციის დარღვევას. ნათხემის დაავადებებისას ავადმყოფი უფრო ხშირად მხოლოდ ერთხელ აცდენს.

ბარანის სინდრომი — ლაბირინთული ტიპის თავბრუს შერწყმა სმენის ჰემილატერალურ დაქვეითებასთან და ყურებში შუილთან, ტკივილთან კეფის არეში და ასევე ბარანის საჩვენებელი სინჯის დროს ხელის თითის დახრა დაზიანების მხარეს. აღინიშნება ნათხემის სიმსივნის, ტრავმის და ანთებადი პროცესების დროს.

ბარანოვის სინდრომი — დიენცეფალურ-თირეოიდული სინდრომი, ვეგეტატურ-ვაზომოტორული რეაქციები ჩიყვის არსებობის დროს. კლინიკა: ემოციური ლაბილობა, ადვილად აგზნება, უმიზეზო ტირილი, შრომის უნარის დაქვეითება, ცუდი ძილი, ტაქიკარდია — შეტევების სახით, ვაზომოტორული ლაბილობა, ცივი, ნამიანი ციანოზური მტევნები. ძირითადად გვხვდება ახალგაზრდა ქალებში დიენცეფალური არის პირველადი დაზიანების დროს.

ბარბერის პუსტულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დერმატოზი. დამახასიათებელია ერითემის უმტკივნეულო კერები და აქერცვლა ხელისა და ფეხისგულებზე ცისფერი პუსტულებით.

ბარდეს სინდრომი — იხ. სინონიმი: ბარდე-ბიდლის სინდრომი.

ბარდე-ბიდლის სინდრომი — ცხიმოვანი ცვლის და სქესობრივი თანდაყოლილი დარღვევები (ფრელიხის ადიპოზოგენიტალური დისტროფიის მსგავსად (იხ.), პიგმენტური რეტინიტი, სინდაქტილია ან პოლიდაქტილია, გონებრივი განუვითარებლობა, ოლიგოფრენია, განვითარების მრავალი სხვა დეფექტი: სიბრმავე, გულის თანდაყოლილი მანკები, ორმხრივი ჰიდრონეფროზი, თავის ქალას დეფორმაცია, სმენის დაქვეითება, სიყრუე, ქვემო კიდურთა სპასტიკური დამბლები, სახსრებში მოძრაობის ფართის მომატება, მეშვიდერეობითი დიენცეფალურ-რეთინული დეგენერაცია. სინონიმები: ლორენსის სინდრომი, ბიმონდის სინდრომი, ჰეტჩინსონის სინდ-

რომი, მუნის სინდრომი, ბარდეს სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-როზაბალის სინდრომი, ლორენს-მუნ ბიდლის სინდრომი, ბარდე-ლორენს-ბიდლ-ბიმონდის სინდრომი, ლორენს-მუნ-პეტჩინსონის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეს სინდრომი, როზაბალის სინდრომი.

ბარდე-ლორენს-ბიდლ-ბიმონდის სინდრომი — სინონიმი: ბარდე-ბიდლის სინდრომი (იხ.).

ბარეს დისჰარმონიული სინდრომი — ხასიათდება სიარულის მოშლით და დაცემით რომბერგის სინჯის დროს (იხ.), ნისტაგმით, აღინიშნება ნათხემის ჰემისფეროს დაზიანების დროს.

ბარეს რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი. რეტრომალეოლური რეფლექსი: ტერფის მოხრა ფეხისგულისკენ ქუსლის ძვალზე მსუბუქი დარტყმისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

ბარეს სიმპტომი — I — ავადმყოფს ეძლევა წინადადება წინ გაშლილი ხელების თითები დააშოროს ერთმანეთს. დაზიანებული ხელის თითები ნაკლებად განიზიდება. აღინიშნება ჰემიპარეზის დროს.

ბარეს სიმპტომი — II — აქილევსის მყესზე ჩაქუჩის დარტყმით გამოცემული ხმა დაზიანების მხარეს უფრო ყრუ და დაბალია, ვიდრე ჯანსაღ მხარეზე. აღინიშნება საჯდომი ნერვის დაზიანების დროს.

ბარეს სიმპტომი — III — დაზიანების მხარეს ადგილი აქვს კუნთების ტონუსის დაქვეითებას, ზოგჯერ ატროფიის გარეშეც. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ბარეს სიმპტომი — IV — ავადმყოფს მხოლოდ რამდენიმე წამით შეუძლია შეაკავოს ხელი ექიმის დავალებისამებრ ნებისმიერ მდგომარეობაში. გვხვდება თავის ტვინის შუბლის წილის დაზიანების დროს.

ბარეს სიმპტომი — V — ბარეს ზედა ნიშანი — პირამიდული გზების დაზიანების გამოვლინების მეთოდი — დაზიანებული მხარის წინ გამოწეული ხელი ნელა ეშვება.

ბარეს ტკივილის სინდრომი — მუცლის არეში და ქვედა კიდურებზე მწველი და მომჭერი ტკივილი, ქვედა კიდურებში გაყინული ან ცხელი წყლის ჩამოღვრის შეგრძნება. აღინიშნება ზურგის ტვინზე ზეწოლის დროს.

ბარეს ქვედა სიმპტომი — პირამიდული გზების მხარის დაზიანების გარკვევის დიაგნოსტიკური ხერხი: სწორი კუთხით მოხრილი წვივებით თავდაღმა დაწოლილი ავადმყოფის პარეზული ფეხი ნელა ეშვება ქვემოთ, მიუხედავად კუნთების ხილული დაძიმვისა. სინონიმი: მანგანცინ-ბარეს სინჯი.

ბარეს „შვეულის" (ვერტიკალის) სიმპტომი — თუ ავადმყოფს დავაყენებთ ძაფზე ჩამოკიდებული მცირე ტვირთის წინ, შევამჩნევთ, რომ იგი გადახრილია ვერტიკალური ხაზიდან. გვხვდება ვესტიბულური სიმპტომოკომპლექსისა და ნათხემის ატაქსიის დროს.

ბარე-ლიეუს სინდრომი — კისრის შაკიკი. კისრის უკანა ნაწილის სიმეტრიული სინდრომი: ხერხემლის ნერვის სინდრომი. ხერხემლის არტერიის სინდრომი — ტკივილისა და პარესთეზიის შერწყმა (უფრო ხშირად ცალმხრივი) კისრის და თავის არეში: გარდამავალი თავბრუთი, ყურებში შეკილით, მხედველობის დაქვეითებით. აღინიშნება კისრის ოსტეოქონდრო-

ზის, კისრის ტრამვის ან სიმსივნის დროს, რაც იწვევს ხერხემლის არტერიაზე და მის სიმფატიკურ წნულზე ზეწოლას. სინონიმი: ნერი-ბარეს სინდრომი.

ბარე-მასონის სინდრომი (ანუ სიმსივნე) — დაავადება დაკავშირებულია სისხლძარღვოვან სისტემაში გლომანგიომის (პატარა აქტიური გლომუსური სიმსივნეების) წარმოშობასთან. ისინი განლაგებულია დერმაში, ლორწოვანაში, კუნთებში, ძვლებში, შინაგან ორგანოებში. ამ სიმსივნეებში წარმოშობილი არადიფერენცირებული ნივთიერებები იწვევს წნევის მომატებას, ტაქიკარდიას, ცხელებას, სულის ხუთვას, ფსიქომოციურ დარღვევებს, დისმენორეას. სინონიმი: მასონის სიმსივნე.

ბარე-მეტელგერის სიმპტომი — პათოლოგიური კერის მხარეს მიმართული ნისტაგმი, გადახრა და ვარდნა იმავე მხარეზე. გეხვდება ნათხემის დაზიანების დროს.

ბარეტის საყლაპავი — საყლაპავის ლორწოვანი გარსი შეცვლილია ცილინდრული ეპითელიუმით, დამახასიათებელი კუჭისა და ნაწლავებისათვის. პათოლოგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობა აქვს გასტროეზოფაგურ რეფლუქსს, შემკვიდრეობით მიდრეკილებას. თამბაქოსა და ალკოჰოლის მიღებას. ნიშნები: ტკივილი მკერდის უკან, დისფაგია, გართულებები: საყლაპავის სტრიქტურა, კიბოსწინა მდგომარეობა.

ბართელემის სიმპტომი — ტუბერკულოზური აკნიტი. პაპულონოდულური ტუბერკულიდი. სახეზე პაპულო-ნეკროზული ტიპის ტუბერკულოზური ცვლილებებით, გამოწვეულია ტუბერკულოზური მიკობაქტერიის ჰემატოგენური დისემინაციით. ტუბერკულოზური რეაქციები მკაფიოდ დადებითია, საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი.

ბარილის სინდრომი — რეტიკულოციტოზი ერითრემიის გარეშე. დი გულელმოს დაავადების (იხ.) ნაირსახეობა: მისგან განსხვავებით რეტიკულოენდოთელიოზი სჭარბობს ერითრემიას. დაუდგენელია, ერითრემია და რეტიკულოენდოთელიოზი ერთი დაავადების გამოვლინებაა, თუ პარალელურად მიმდინარე პროცესები.

ბარის სინდრომი — ორსულთა კოლიბაცილოზი, რაც ვლინდება აბდომინალური სიმპტომოკომპლექსით: ტკივილი ნაღველის ბუშტის, შარდსაწვეთის და აპენდიქსის მიდამოში, ცხელება, ბაქტერიურია. დაკავშირებულია ნაწლავის ჩხირის სხვადასხვა ორგანოებში ჰემატოგენური და ლიმფოგენური გზით შეღწევასთან შეკრულობის ნიადაგზე. არცთუ იშვიათად ციკლები გრძელდება მშობიარობის შემდგომ პერიოდშიც, როდესაც ივი მიზეზი ხდება პუერპერალური ინფექციის სიმულაციისა.

ბარკმანის რეფლექსი — მუცლის სწორი კუნთის შეკუმშვა იმავე მხარეზე სარძევე ჯირკვლის დვრილის ქვემოთ კანის გაღიზიანების საპასუხოდ.

ბარ-კურტიეს სინდრომი — ე. წ. გეიანი ციანოზი. ლიუტენბაშეს სინდრომის (იხ.) დროს (მიტრალური სტენოზი და წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი) მარცხენა წინაგული არ არის გადიდებული (სისხლი გადადის მარჯვენა წინაგულში). ციანოზი აღინიშნება, როცა ვითარდება მარჯვენა - პარკუჭის სისუსტე და სისხლი მარჯვენა წინაგულიდან გადადის მარცხენაში.

ბარლოუს დაავადება — ცინგა, სკორბუტი, დაავადება შეპირობებულია „დ“ ვიტამინის არასაკმარის მიწოდებასთან ანდა მისი შეწოვის დარღვევასთან. ვლინდება გინგივიტით, სისუსტით, სისხლჩაქცევებით კუნთებში, სახსრებში, კანქვეშა ქსოვილში და შინაგან ორგანოებში.

ბარლოუს სინდრომი — მიტრალური სარქველის პროლაფსი. არსებობს თანდაყოლილი ან რევმატიზმის, გულის იშემიური დაავადების, კარდიომიოპათიის, გულმკერდის ტრავმული დაზიანების ნიადაგზე განვითარებული, აგრეთვე იდიოპათიკური ხასიათისა. სუბიექტურად დამახასიათებელია ტკივილი ან დისკომფორტის შეგრძნება გულის მიდამოში, გულის ფრიალი, გულის წასვლა, ქოშინი, აღვილად დაღლა. სუბიექტური მონაცემები მატულობს ასაკთან ერთად. შესაძლოა უსიმპტომო მიმდინარეობაც. ობიექტური მონაცემებიდან მნიშვნელობა ენიჭება მეზოსისტოლურ ექსტრატონის ფენომენს (სისტოლურ „წკიპურტს“) და ტელესისტოლურ შუილს. გადამწყვეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს ფონოექოკარდიოგრაფიულ გამოკვლევებს. სინონიმები: რეიდ-ბარლოუს სინდრომი, კლიკ სინდრომი.

ბარლოუს ფენომენი — გულმკერდის პერკუსიის დროს დამახასიათებელი თანმიმდევრობა ხმიანობისა ზემოდან ქვეით ავადმყოფის დამჯდარი მდგომარეობისას: ფილტვის ხმიანობა, მოყურუება, ტიმპანიტი, სრული ყრუ ხმა. სუბდიაფრაგმული აბსცესის სიმპტომი, როცა იქ არის აირები.

ბარ-მაშაფერი-მელარკეიას სინდრომი — ჰიპოთალამური რეგულაციის დარღვევა. აღინიშნება პროლაქტინის მოჭარბებული გამოყოფა დღე-ღამით, გალაქტორეა, თურქული კეხი გაფართოებულია და შეიცავს ჰაერს („ცარიელი თურქული კეხი“). ჩვეულებისამებრ გეხვედება ქალებში.

ბარონის სიმპტომი — ტაქტილური მგრძნობელობის მომატება მარჯვნივ წელის კუნთის მიდამოში ქრონიკული აპენდიციტის დროს.

ბარჟონ-ლესტრადე-ლაბოეის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა: ინსულინდამოკიდებული ტიპის შაქრიანი დიაბეტი მანიფესტაციით სიცოცხლის პირველ ათწლეულში; სმენის ორმხრივი პროგრესირებადი დაქვეითება, დაკავშირებულია შიდა ყურის განვითარების ანომალიებთან; მხედველობის ნერვის პირველადი რეტროპულბარული ატროფია, ნაწილობრივი დალტონიზმი, შესაძლოა კატარაქტაც.

ბარტ-პამფრის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ხელისა და ფეხის თითების ფალანგთაშორისი სახსრების გამშლელ ზედაპირებზე ფიბროზული კვანძები. ფრჩხილების ლეიკოპათია (ლეიკონიქია) და სიყრუე, დაკავშირებული შიდა ყურის დაზიანებასთან. შესაძლოა პარამარული და პლანტარული კერატოზი. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით.

ბარტენ-ბერფერის სინდრომი — ჩონჩხის თანდაყოლილი ანომალიათა კომპლექსი: ეპიკანტუსი, ჰიპერტელორიზმი, ბრტყელი ცხვირი, თვალების ირიბი ჭრილი, მაღალი სასა, მონგოლოიდური სახე, დაბალი, დისპროპორციული ტანი, შედეგად წელის ლორდოზისა და პლასტისპონდოლიტის (გაბრტყელებული მალები), მენჯბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამო-

ვარდნილობა, ბრტყელტერფიანობა. რენტგენოლოგიურად ვლინდება ლულოვანი ძვლების სუსტად განვითარებული ეპიფიზები ან მათი არარსებობა. გონებრივი ჩამორჩენა არ აღინიშნება. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით.

ბარტერის სინდრომი — ძირითადი გამოვლინებაა სისხლში პროსტაგლანდინების, რენინის, ალდოსტერონის მკაფიო მომატება, კალიუმის დონის დაქვეითება (რისი მიზეზიცაა კალიურია) და მეტაბოლური ალკალოზი. კლინიკურ სურათს განსაზღვრავს გამოხატული ჰიპოკალიემია, რეზისტენტული კალიუმის ეკზოგენურ შეყვანასთან, რაც გამოიხატება ჩონჩხის კუნთების (კუნთოკანი სისუსტე, დუნე ცრუდამბლები), გლუვი კუნთების (ნაწლავების პოძრაობითი აქტივობის შემცირება (პარალიტიური ოლეუსი) და გულის კუნთების (ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები) დაზიანებებში. შესაძლებელია სხვა ცვლილებებიც.

ბარტერის ფსევდოსინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება საფაღარათო საშუალებების გადაჭარბებული და ხანგრძლივი მიღებისას: ნიშნები: კუჭის ხშირი მოქმედება, ჰიპოკალიემია, მეტაბოლური ალკალოზი, დეჰიდრატაცია, სისხლის პლაზმის რენინის მომატებული აქტივობა, სისხლში ალდოსტერონის მომატებული შემცველობა, საფაღარათო საშუალებების მიღების შეწყვეტის შემდეგ სიმპტომები სწრაფად ქრება. ბარტერის სინდრომისგან განსხვავებით სისხლის პლაზმაში მაგნიუმის ნორმალური შემცველობაა.

ბარტონიეს სიმპტომი — მარჯვენა ფერდქვეშა არის პალპაციის დროს ლოკალური ტკივილის წარმოშობა ან გაძლიერება ავადმყოფის მარცხენა გვერდზე წოლისას. ქრონიკული აპენდიციტის ნიშანია.

ბარუხის სიმპტომი — სხეულის რექტალურად გაზომილი მაღალი სიცხე არ იცვლება, თუ ავადმყოფი მიიღებს აბაზანას, რომელშიც წყლის ტემპერატურა 26 გრადუსია ცელსიუსით. აღინიშნება მუცლის ტიფის დროს.

ბარფორდ-ბარბენკის სინდრომი — აღინიშნება გულმკერდის ტრავმის შემთხვევებში. დამახასიათებელია ბრონქების ლორწოვანი გარსის სეკრეტორული აქტივობის გაძლიერება და ერთდროულად სეკრეტის ევაკუაციის დარღვევა.

ბარშონი-პოლგარის სინდრომი I — ჩონჩხის გაურკვეველი ეტიოლოგიის პათოლოგია, სიმპტომატიკის გამოვლინებით მოწიფულ ასაკში. დამახასიათებელია გავის ტკივილი ირადიაციით საჯდომის მიდამოში, მენჯ-ბარძაყის სახსარში მოძრაობის პროგრესირებადი შეზღუდვა, კანის ჰიპერესთეზია ლუმბოსაკრალურ მიდამოში. რენტგენოლოგიურად აღინიშნება თეძოს ძვლის ჰომოგენური გამკვრივება. ტკივილი მატულობს ფიზიკური დატვირთვისა და ფეხმძიმობის დროს. სინონიმი: ბრაილფორდ-ბარშონი-პოლგარის სინდრომი.

ბარშონი-პოლგარის სინდრომი II — საყლაპავის უცნობი ეტიოლოგიის დაავადება: დამახასიათებელია მისი ცირკულარული სპაზმები, რასაც თან სდევს მტკივნეული ყლაპვა და ყლაპვის გაძნელება, ლორწოს რეგურგიტაცია, ძლიერი ტკივილი მკერდის ძვლის უკან, მომატებული

მადა. ხშირად ადგილი აქვს ამ დაავადების კუპის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულთან და ნაღველ-კენჭოვან დაავადებასთან შერწყმას. თავს იჩენს უმეტესად 60 წელს გადაცილებულ პირებში. სინონიმი: ბარშონი-ტეშენდორფის სინდრომი.

ბარშონი-ტეშენდორფის სინდრომი — სინონიმი. ბარშონი-პოლგარის სინდრომი — II (იხ.)

ბარძაყის გაწევის სიმპტომი — ბარძაყის უნებლიე მოღუნვა და გაწევა ბარძაყის წინა ზედაპირის კანზე ან ბარძაყის ოთხთავა კუნთის მყესზე ჩქმეტისას, ანდა წვივის წინა ზედაპირზე მსუბუქი დარტყმისას. დიდი ტვინის შუბლის წილის სიმსივნის ნიშანია. სინონიმი: რაზდოლსკის სიმპტომი III.

ბასელი-ჰაგენის დაავადება — იდაყვის ძვლების დისტალური ნაწილების თანდაყოლილი განუვითარებლობა, ამ ძვლების პროქსიმალური ნაწილები გათხელებული და დაგრძელებულია. წინამხრის კუნთები ატროფიული, სხივის ძვალი გამრუდებულია ან მისი თავი ამოვარდნილია.

ბასენ-კორნცვეიგის დაავადება — აკანტოციტოზი, ა-ბეტა-ლიპოპროტეინემია. გენი გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. დამახასიათებელია სტეატორეა, ატიპიური პიგმენტური რეტინიტი, ნეიროლოგიური გამოვლინებები (გონებრივი ჩამორჩენლობა, ატაქსია). ერითროციტები წარმოდგენილია ეკლისმაგვარი წანაზარდებით — აკანტოციტები, თან ახლავს უმნიშვნელო ჰემოლიზი. სისხლის შრატში დაქვეითებულია გლობულინების, ქოლესტერინის, ფოსფოლიპიდებისა და ტრიგლიცერიდების შემცველობა. ბეტა-ლიპოპროტეინის შემცველობა ან ძლიერ დაქვეითებულია, ან სრულიად არ არის.

ბასის სინდრომი — მემკვიდრეობითი ბრაქიდაქტილიის ნაირსახეობა: ზემო და ქვემო კიდურების თითების დისპლაზია, ფრჩხილების დისტროფია, ხელ-ფეხის დიდი თითების ორმაგი დისტალური ფალანგები, რაც მიზეზია თითის ბოლოების გაფართოებისა. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური.

ბასლერის სიმპტომი — დამახასიათებელია ჰიპისა და თეძოს ძვალს შორის შემაერთებელი ხაზის შუაში არსებულ წერტილზე დაწოლისას ტკივილის შეგრძნება. აპენდიციტის ნიშანია.

ბასტედოს სიმპტომი — დამახასიათებელია მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის აღმოცენება სწორ ნაწლავში შეყვანილი კათეტერით მსხვილი ნაწლავის გაბერვისას. ქრონიკულიი აპენდიციტის ნიშანია.

ბატენის დაავადება — ნათხემისებრი თანდაყოლილი ატაქსია. მიზეზია ნათხემის თანდაყოლილი ჰიპოპლაზია, ნიშნები: ადინამია, ინტენციური კანკალი, მეტყველების დარღვევა.

ბატენ-მეიო-ფოგტ-შპილმაიერის სინდრომი — ტეი-საქსის სინდრომის (იხ.) იუვენილური ფორმა. ეს ფორმა იწყება 6-14 წლის ასაკში. კლინიკური სიმპტომებიდან აღსანიშნავია მხედველობის თანდათან გაუარესება, ჭკუასუსტობა, მხედველობის ნერვების ატროფია, ზოგჯერ პიგმენტური რეტინიტი. ბავშვი ფიზიკურად სუსტად ვითარდება და გარე სამყაროს მიმართ პასიურია. პერიფერიულ სისხლში ლიმფოციტები ვაკუოლიზებულია. რო-

გორც ჰეტერო, ასევე ჰომაზიგოტების ერითროციტებში გვხვდება აზუროფილური მარცვლოვანება.

ბატის კანი —, მოცემულ შემთხვევაში კანსე ამოწეულია კონუსის ფორმის თმის ფოლიკულები, რასაც იწვევს თმის ამწვეი კუნთების შეკუმშვა. აღინიშნება, მაგალითად, შემცივნებისას.

ბატლერ-ოლბრაიტის სინდრომი — ქრონიკული მილაკოვანი აციდოზი, ფოსფატ-დიაბეტი, ჰიპოფოსფატემიური ტუბულოპათია, რაქიტი — რეზისტენტული, ვიტამინ „დ"-ს მიმართ. რენალურ-ტუბულური აციდოზი. სინდრომი ყალიბდება ინტერსტიციული ალმავალი პიელონეფრიტის შედეგად. ამ დროს მკვეთრად ქვეითდება წყალბადის იონების გამოყოფა თირკმლებით, სამაგიეროდ აღინიშნება ბიკარბონატების, კალიუმისა და კალციუმის გაძლიერებული გამოყოფა. არის მეტაბოლური აციდოზი. ნიშნები: წყურვილი, პოლიდიფსია, პირსაქმება, შეკრულობა, სისუსტე, პოლიურია, ჰიპოსთენურია, ადინამია, ძვლებისა და კუნთების ტკივილი, თავბრუ, რაქიტი, ზრდის შეფერხება, ოსტეომალაცია, ჩონჩხის დეფორმაცია, პათოლოგიური მოტეხილობები, თირკმლის ჰვალი, ნეფროლითიაზი. სინონიმები: ოლბრაიტის სინდრომი, ოლბრაიტ-ბატლერ-ბლუმბერგის სინდრომი.

ბაუდიჩის კანონი — ჯანმრთელი გული გაღიზიანებაზე პასუხობს ან სრულყოფილი შეკუმშვით, ან სულ არ პასუხობს. ამას ასევე „სულ ან არაფრის" კანონი ეწოდება. სინონიმი: სტარლინგის კანონი.

ბაუმან-დეპერის სინდრომი — დისპეპსიის, ჰიპოტონიის, მიდრიაზის, ჰიპორეფლექსიის და მიოტონიის შეხამება, რომელიც აღინიშნება ჰიპოფიზის უკანა წილის ფუნქციის უკმარისობის დროს.

ბაუმგარტენ-კრუველიეს სინდრომი — ღვიძლის ატროფიული ციროზი მკვეთრად გამოხატული პორტალური ჰიპერტენზიით. ყურადღებას იპყრობს ჰიპის ვენის ძლიერი მეორადი გაფართოება და კოლატერალური სისხლმიმოქცევის განვითარება. კოლატერალების მიდამოში მოისმინება შუილი.

ბაჩელის ნიშანი — პლევრალურ ექსუდატის ზემოთ აუსკულტაციურად გამოვლინებული ჩურჩულის გაერცელება. აღინიშნება, როდესაც ექსუდატის მოცულობა არ არის დიდი და შეიცავს უჯრედოვანი ელემენტების მცირე რაოდენობას.

ბაცილური ინფლუენც სინდრომი — ინფლუენცის თავისებური მიმდინარეობის ფორმა. ნიშნები: დაავადების მწვავე დაწყება, ცხელება, ტკივილი ყელში, კისრის რიგიდობა, სასულეს სტენოზი — ინსპირაციული სტრიდორით, პერიკარდიუმის ხახუნი, გულის საზღვრების გადიდება, ექსუდატიური პერიკარდიტი (სეროზულ-ჩირქოვანი ან ჩირქოვანი), კრუპოზული პნევმონია, ჩირქოვანი პლევრიტი, მოგვიანებით ჩირქოვანი მენინგიტი. სინონიმი: კლეიხშმიდტის სინდრომი.

ბაჭიის თვალების" სიმპტომი — ერითერმიის დამახასიათებელი ნიშანია. სახის კანის, ხილული ლორწოვანი გარსების ალუბლისფერ-წითლად შეფერვა და კონიუნქტივის ჰიპერემია.

ბახმანის კონა — წინაგულებს შორის მოთავსებული გამტარებელი

პიკოების კანა, რომლითაც აგზნების იმპულსი მარკვენა წინაგულიდან პარკუნას გადაეცემა.

ბბბ — სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ოჯახური ტელეანგი, ჰიპერტელორიზმი, გონებრივი ჩამორჩენილობა, ძირითადი კბილების ოდენობის მომატება, ყბების არასრული თანადგომა, ჰიპოსპადია. გადაიცემა რეცესიულ იქსქრომოსომასთან შებმული ან აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. სინდრომის სახელწოდება აბრევიატურული ხასიათისაა და უკავშირდება ლიტერატურაში პირველად აღწერილ 3 ავადმყოფის გვარის პირველ ასოებს.

ბეალის კონიუნქტივიტი — მწვავე ფოლიკულური კონიუნქტივიტი. ნიშნები: მწვავე დასაწყისი, ზომიერი კლინიკური სიმპტომები, ირგვლივ მდებარე ლიმფური კვანძების ანთება, სწრაფი, სრული გაუმჯობესება. გვხვდება მოზრდილებში. მეორე თვალი ზიანდება 2—5 დღის შემდეგ. უკუგანვითარება 1—3 კვირაში. ეტიოლოგია ვირუსული.

ბეგუეზ-ცეზარის სინდრომი. — ნივთიერებათა ცვლის აშკარათა მემკვიდრეობითი დაავადება ანომალიური ლეიკოციტების გაჩენით და პიგმენტაციის დარღვევით. ხასიათდება პიოგენურ-ინფექციური პროცესების მოხშირებით მიმდინარეობით. ადგილი აქვს ზოგად ჰიპოპიგმენტაციას, ალბინიზმს, ოფლიანობას, ჰეპატოსპლენომეგალიას, ანემიას, ლეიკოპენიას, თრომბოციტოპენიას, გენერალიზებულ ლიმფადენოპათიას, რაც დაკავშირებულია გრანულოციტების ფუნქციის დარღვევასთან. ნეიტროფილებში არის გიგანტური სხივგადამტები გრანულომები. პროგნოზი არასახარბიელოა. ავადმყოფი იშვიათად აღწევს 20 წლის ასაკამდე. სინონიმები: ჩედიაკ-ჰიგაშის დაავადება ანუ სინდრომი, შტეინბრინკის სინდრომი, შტეინბრინკ-ბეგუეზ-ცეზარის ანომალია.

ბევერსტედტის სინდრომი — კანის სარკომატოზი. წარმოადგენს ლიმფორეტიკულური ქსოვილის კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიას, კანზე ან კანქვეშა ქსოვილში ჩნდება უმტკივნეულო, შემოფარგლული მოყავისფრო წარმონაქმნები, ლოკალიზაციის ადგილებია, ჩვეულებრივ, სახე, ყურის ბაბილო, სარძევე ჯირკვლის დვრილის ირგვლივ სათესლე პარკის კანი, მორფოლოგიურად დამახასიათებელია ნაზი ეპიდერმისი, ლეიკოციტური და რეტიკულური უჯრედებით ინფილტრაცია. მიმდინარეობა ქრონიკული. პროგნოზი კეთილსაიმედო. გვხვდება უპირატესად 5—10 წლის გოგონებში და 40—70 წლის ქალებშიც. სინონიმები: შპიგლერ-ფენდტის სარკომატოზი, კაპოში-შპიგლერის სარკომატოზი.

ბევორის სიმპტომი — ჭიპის აწევა მუცლის ზედაპირთან შედარებით, მუცლის სწორი კუნთების დამბლის დროს.

ბეზოს ჩხვლეტა პერიკარდიუმისა — პერიკარდიუმის ექსტრაპლევრალური ჩხვლეტა ექსუდაციური პერიკარდიტის დროს, რომელიც ტარდება მეოთხე ნეკნთაშუა არეში მარცხნივ, გულმკერდის კიდიდან 2 სმ გარეთ.

ბეთის სიმპტომი — სუნთქვის დროს იღლიაში ხელით შეგრძნობილი ნეკნების მოძრაობის შემცირება. სუნთქვითი ექსკურსიის ცალმხრივი შეზღუდვის ნიშანია. გულმკერდის ზედა ნახევარში (მაგალითად, ნეკნების მოტეხილობის დროს).

ბეიე-ბარდის სიმპტომი — აფონია ფილტვის განგრენის ადრეულ სტადიაში.

ბეიკერის კისტა — სახსრიდან ირგვლივმდებარე ქსოვილებში გადმოქცეული სითხის შემოფარგლული დაგროვება. აღინიშნება მძიმე ოსტეოართრიტების დროს.

ბეილის დაავადება — მეტალუესური ფსიქოზი. სიფილისური ფსიქოზი, ეციანი — ფსიქიკური დაავადება შეპირობებული სიფილისური მენინგოენცეფალიტით, რომელიც მიმდინარეობს პიროვნებისა და მისი ფსიქიკის მძიმე შეცვლით, აფექტური და ბოდვითი დარღვევებით, ნეიროსიფილისის ნევროლოგიური ნიშნებით. გამოვლინდება ათამშანგით დაავადების პირველი ათწლეულის ბოლოს.

ბეილის სინდრომი — დისფაგია, ტკივილი ყლაპვის დროს და გახდომა: მიზეზია საყლაპავის კუნთოვანი შრის არათანაბარი ჰიპერტროფია.

ბეილ-სტარლინგის „ნაწლავთა კანონი" — კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ნაწლავთა კედლების მექანიკური გაღიზიანება იწვევს მათ შეკუმშვას ზემოქმედების წერტილის ზემოთ და მოდუნებას მის ქვემოთ. წარმოადგენს პერისტალტიკის მექანიზმის ერთ-ერთ მომენტს

ბეინბრიჯის რეფლექსი — ფილტვების ვენებში, მარჯვენა წინაგულსა, ზედა და ქვედა ვენებში წნევის მომატება იწვევს ბარორეცეპტორების გაღიზიანებას, მოგრძო ტვინში სიმპათიკური ცენტრის აგზნებას და ტაქიკარდიას. ეს კი კომპენსატორული რეაქციაა სისხლის მიმოქცევის წონასწორობის აღსადგენად.

ბეისმანის სიმპტომი — თირეოთოქსიკოზის ნიშანი: სუსტი შეილი (პზუილი), რაც შესაძლოა მოვისმინოთ დახუჭული თვალების აუსკულტაციით.

ბეიტმენის მოხუცებულობითი პურპურა — კანის მოხუცებულობითი ბადისებრი ჰემოსიდეროზი, ჰემოსიდეროზი რეტიკულური, მოხუცებულობითი პურპუროზული დერმატიტი. ტელეანგიოექტაზიური დერმატიტი — კანის ჰემოსიდეროზი: ჩვეულებრივ, ხასიათდება ტერფზე, წვივზე, წინაბზარზე და წელის მტევნის გარეთა მხარეზე მორუხო-მოყავისფრო ლაქებით, მრავლობითი გაფანტული სისხლჩაქცევები, პეტექიები და ტელეანგიოექტაზიები. ვითარდება მოხუცებულობის ასაკში.

ბეკერენ-ელერს-დანლოსის სინდრომი — შემაერთებელი ქსოვილის მემკვიდრეობითი პათოლოგია. მისი სიმპტომოკომპლექსია — სახსარზე ჰიპერმოძრაობა, ხშირი ამოვარდნილობა, კანის ელასტიკურობის მომატება, სისხლძარღვთა და კანის მსხვრევადობა და კუნთების ჰიპოტონია. სინონიმები: ელერს-დანლოსის სინდრომი, ჩერნოუბოვის სინდრომი, ლეგერის მეზენქიმატოზი, ელასტიკური ფიბროდისპლაზია და მეზენქიმული დისტროფია.

ბეკერის დაავადება — რესტრიქციული კარდიომიოპათია: აფრიკული კარდიომიოპათია. ფიბროზული ენდოკარდიტი, ფიბროპლასტიკური ენდოკარდიტი — კარდიომიოპათია, რომელიც ხასიათდება გულის კუნთის გაჭიმვის დარღვევით, მიზეზია ენდოკარდიული და სუბენდოკარდიული ფიბროზი. სინონიმი: ლეფლერის ენდოკარდიტი, იგივეა ლეფლერის სინდრომი.

ბეკვინ-აიგერის სინდრომი — ოჯახური ოსტეოკლაზია მაკროკრანიით — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ქვედა კიდურთა ძვლების გაღუნვა, მათი პათოლოგიური მტვრევადობა, თავის ზომის გადიდება და მოძრაობითი ფუნქციების დარღვევა. მემკვიდრეობითი ტიპია აუტოსომურ-რეცესიული.

ბეკერის ფსევდოფოლიკულები — რეტიკულური ქსოვილის ლიმფური კვანძების დიდი (2—3 მ დიამეტრის) ზომის ჰიპერპლაზიის კერები. თავისი ფორმით მოგვაგონებს ლიმფატიურ ფოლიკულებს. აღინიშნება გიგანტოფოლიკულური ლიმფომის დროს.

ბეკერ-მიუერის სინდრომი — კისრის ფსევდოატროფოდერმა. ბრწყინვალე პარაკერატოზი — წვეთისმაგვარი სკლეროდერმიის მემკვიდრეობითი ფორმა, რომლის დროსაც კისერზე და გულმკერდის ზედა ნაწილზე აღინიშნება დეპიგმენტირებული მბრწყინავი, ფართო ბალთები. ეს წარმონაქმნები არ არის გამკვრივებული და ატროფირებულივით ჩანს.

ბეკერ-როიტერის სინდრომი — კანის მემკვიდრეობით — ოჯახურ ანომალიათა კომპლექსი. მრავლობითი პიგმენტური ლაქები — ატროფიული ზედაპირითა და ლოკალიზაციით ნიკაპზე, კისერზე, მხრებზე. ლაქები ჩნდება ადრეულ ბავშვთა ასაკში, რომლებიც ემოციური აღგზნებისას უფრო შესამჩნევი ხდება.

ბეკის დაავადება — ანუ ბეკის მგლურა — კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი. კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომატოზი, ატიპიური ტუბერკულოზი. უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ხასიათდება ლიმფური სისტემის შინაგან ორგანოთა და კანის დაზიანებით, შინაგან ორგანოთა და კანის სპეციფიკური გრანულომების წარმოშობით, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიალინის ფენით. სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება, ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, მორტიმერის დაავადება, ტენესონის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, იუნგლინგის დაავადება, დარიე-როსის დაავადება, მელერ-ბეკის დაავადება.

ბეკის მიოკარდიოფიბროზი — სარკოიდოზის დროს განვითარებული მიოკარდიოფიბროზი. კლინიკურად მძღავნდება გულის უკმარისობის მოვლენებით.

ბეკის მღერი — ნორვეგიული მღერი. არსებობს მღერის რამდენიმე ნაირსახეობა. იწვევს ადამიანის მღერის გამომწვევი ტკიპი. ვლინდება კანზე ნაკაწრებისა და ჩირქოვანი გართულებების სახით. უპირატესად ავადდებიან ფიზიკურად დაძაბუნებულნი, დაქვეითებული წინააღმდეგობის მქონე პირები, ზოგჯერ ფსიქიკურად დაავადებულნიც.

ბეკის ოსტეოპათია — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული კეთილთვისებიანი გრანულომატოზი. უპირატესი ლოკალიზაცია არის კბილებში. ნიშნები: ხელისა და ფეხის თითების ერთი ან რამდენიმე მტკივნეული შესივება, სიწითლე, ლეიკოპენია, ლიმფოპენია, ეოზინოფილია, მონოციტოზი. რენტგენოლოგიურად ძვლების კისტოზური ცვლილებები; ზომიერი სკლერო-

ზი და ოსტეოპოროზი. ცხვირის ხრტილების უმტკივნეულო დეფორმაცია. პროგნოზი კარგი. კერები ლიკვიდირდება რამდენიმე წელიწადში. ამ პათოლოგიას განიხილავენ ასევე, როგორც სარკოიდოზის ძვლის ფორმას. სინონიმები: იუნგლინგის დაავადება, ანუ იუნგლინგის პოლიკისტოზური ოსტეიტი, პერთეს-იუნგლინგის სინდრომი.

ბეკის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს გამოხატული ხელისგულ-ფეხისგულის კერატოდერმია, ნაადრევი გაუაღარავება, კბილების და ფრჩხილების დისტროფია და ჰიპერჰიდროზი.

ბეკის ტრიადა — ცენტრალური ვენური წნევის მომატების შერწყმა, ასციტთან და ასევე გულის ჰიპოკინეზიის რენტგენოლოგიურ და ჰემოდინამიკურ ნიშნებთან. აღინიშნება კონსტრიქციული პერიკარდიტის დროს.

ბეკუიტის (ბეკვითის) სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი. მაკროგლოსია, ომფაცელე ან ჭიპის სხვა ანომალიები, თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრის ციტომეგალია, თირკმლების ჰიპერპლაზია მედულარული სუბსტანციის დისპლაზიით, კუჭუკანა ჯირკვლის ჰიპერპლაზია, ტესტიკულებში ლეიდიგის უჯრედების ჰიპერპლაზია. დასაწყისში გამოხატულია ჰიპოგლიკემიური მდგომარეობა, რაც გრძელდება მხოლოდ რამდენიმე თვე. ხშირად აღინიშნება სწრაფი ზრდა ძვლების დაჩქარებულ განვითარებით. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით.

ბელა მანია — მწვავე ბოდვა, მწვავე ფსიქიკური აზოტემიური ენცეფალოპათია — ფსიქიკური მოშლილობა, რომელსაც ახასიათებს უწყვეტი მოძრაობითი აგზნება, გონების ღრმა დაბინდვით და წყვეტილი ჰალუცინაციებით, ასევე ჰიპერთერმია, ჰიპერაზოტემია — წყლის დაკარგვით, ტროფიკული დარღვევები. აღინიშნება შიზოფრენიისას.

ბელენსის სიმპტომი — ავადმყოფი წევს მარცხენა გვერდზე, მარჯვენაზე პერკუსიით ტიმპანიტი. აღინიშნება ელენთის გასკდომის დროს. სინონიმი: პიტს-ბელენსის სიმპტომი.

ბელის დამბლა — მიმიკური კუნთების დამბლა, გამოწვეული სახის ნერვის დაზიანებით.

ბელიხ სიმპტომი (ანუ ფენომენი) — თვალის დახუჭვის მცდელობისას ზემო ქუთუთო სახის ნერვის დაზიანების მხარეს არ ეშვება, ხოლო თვალის კაკალი გარეთ და ზემოთ იწევა.

ბელოტ-პეტელინის სიმპტომი — ფილტვის ექინოკოკის გამსკდარი ბუშტის რენტგენოლოგიური ნიშანი: ბუშტის დაცლის შემდეგ მოჩანს ბუშტის კედლის ან გარსის მოცურავე ყინულის ნატეხის ან ყვავილის მაგვარი ჩრდილი. სინონიმი: გარსია-როჯერსის სიმპტომი.

ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის ლაქები — წვრილი მოთეთრო პაპულები ლოყის ლორწოვან გარსზე ქვედა მეორე მოლარის მოპირდაპირე მხარეს. წარმოიშობა წითელათი დაავადების დასაწყისში. სინონიმები: ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ფილატოვის ლაქები, კოპლიკ-ბელსკი-ფილატოვის ლაქები.

ბელტცის სიმპტომი — კანის მოყვითალო ნარინჯისფერი შეფერება საკვებად ფორთოხლის, მანდარინის, კვახისა და სტაფილოს ხანგრძლივად და

უხვად გამოყენების შემდეგ. პიგმენტი კაროტინი ლაგდება ეპიდერმისის ქვედაპირულ ფენებში.

ბელტც-უნას ქეილიტი — ზედაპირული ჩირქოვანი გლანდულარული ქეილიტი. დამახასიათებელია ქსოვილთა ანთებადი ინფილტრატი წვრილი სანერწყვე ჯირკვლების ირგვლივ, მორეციდივე ეროზიები და წყლულები, ქვედა ტუჩის უპირატესი დაზიანებით. სინონიმი: ფოლკმანის ქეილიტი.

ბენ-აშერის სიმპტომი — ტკივილის აღმოცენება ილეოცეკალურ კუთხეში ღრმა შესუნთქვის დროს ანდა ხველებისას, როცა მარცხენა ფერდქვეშა არეზე ხდება პალპატორული ზეწოლა. მწვავე აპენდიციტის შესაძლო ნიშანი.

ბენდეკის სიმპტომი — კლაზომანია. სასოწარკვეთილი, განწირული ყვირილი, რაც გრძელდება რამდენიმე წუთს. ზოგჯერ აღინიშნება ლეთარგიული ენცეფალიტის დროს.

ბენდერის სინდრომი — ზედა ყბა-ცხვირის დიზოსტოზი. შედეგია სახის შუა ნაწილების განვითარების კომბინირებული შეფერხებისა. ცხვირი გაბრტყელებული, ხოლო ზედა ტუჩი გამობერილია, რის გამოც ცხვირის ნესტოები ნახევარმთვარისებურად დავიწროვებულია, ქვედა ყბის შუა ნაწილები ჰიპოპლაზიურია, ცხვირის ლორწოვანი ატროფიული. რენტგენოლოგიურად ცხვირის ძვლების ჰიპოპლაზია ან აპლაზია.

ბენდლერის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა შერწყმა, გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. დამახასიათებელია ჭორფლის მაგვარი მელანინის სხვადასხვა ზომის ლაქები სახის კანზე, პირის ღრუს ლორწოვანზე, ტუჩებზე და (იშვიათად) კიდურებზე, კუკ-ნაწლავის გავრცელებული ჰემანგიომატოზი სისხლდენისაკენ მიდრეკილებით, მეორადი პოსტჰემორაგიული ანემია.

ბენედიქტის სიმპტომი — კუპრის აუსკულტაციის დროს ადგილი არა აქვს კრეპიტაციის მსგავს ხმიანობას, რომელიც დამახასიათებელია სოდის მიღებისთანავე. აღინიშნება აქლორჰიდრიის დროს.

ბენეტის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ერითრობლასტური ანემია, ოსტეოპოროზი, სტეატორეა.

ბენზადონის სიმპტომი — ნიშანია სარძევე ჯირკვლის სიმსივნის ან დაჩირქებისა. ორი თითით დვრილის ფიქსირებისას, ხოლო სიმსივნური წარმონაქმნის შიგნით შეწევისას აღინიშნება ძუძუს თავის–შედრეკა.

ბენიამინის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია მძიმე ჰიპოქრომული ანემია შერწყმული პოიკილოციტოზთან, პოლიქრომაზიასთან, ჰიდროცეფალიასთან, კუნთოვან ჰიპერტროფიასთან და ბავშვის ზოგადი განვითარების შეფერხებასთან.

ბენიეს დაავადება — სარკოიდი მოყინვის შემდეგ. ხასიათდება ცხვირზე, ლოყებზე, ყურზე და ხელის თითებზე სიმეტრიულად ლურჯი ინფილტრატების გაჩენით. კანის რეაქტიულობა და ჰისტოლოგიური სურათი მსგავსია ბეკის სარკოიდოზისა (იხ.).

ბენიეს კეთილთვისებიანი ეპითელიური ცისტადენია — ერუპტიული ჰიპერადენომა. სირინგოცისტადენომა. საოფლე ჯირკვლის ადენომა. ხშირია ქალებში — კისერზე, გულმკერდის წინა ზედაპირზე და მუცლის კანში.

აღინიშნება პატარა ქინძისთავისა და ცერცვისოდენა ხორკლები, მრგვალი ან ოვალური, კანის ფერის ან მოყვითალო, სადა ზედაპირის, რბილი კონსისტენციისაა. სუბიექტურ გამოვლინებებს არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლების და მათი არხების გადაადგილებული ჩანასახებიდან. სინონიმი: ჟაკე-დარიეს სინდრომი.

ბენიეს კონუსები — შავი წერტილოვანი პაპულები ხელის თითების პროქსიმალურ ფალანგთა ზურგის მხარეზე. ჩნდება თმიანი ნახერხისმაგვარი წითელი ლიქენის დროს.

ბენიეს სიმეტრიული ერითემატოზული კერატოდერმია — დისემინირებული ლაქოვანი სიმეტრიული კერატოდერმა. კვანძოვანი მეპეპოვანი კერატოდერმია. ხელისგულ-ფეხისგულის წერტილოვანი პოროკერატოზი — მემკვიდრეობითი კერატოდერმია. ახასიათებს მრავლობითი, სიმეტრიულად განლაგებული გარქოვანების უბნები მოყვითალო-მოყავისფრო ფერით, ზომით 2—10 მმ. მემკვიდრეობის ტიპია აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ბუშკე-ფიშერის სიმეტრიული დისემინირებული ლაქოვანი კერატოდერმია, ლორტ-ეაკობის მეპეპოვანი კვანძოვანი კერატოდერმია, მანტუს ღერილოვანი ხელისგულ-ფეხისგულის პოროკერატოზი.

ბენიეს სიმპატომი — ნიშანია წითელი მგლურასი: ქიცვი მშიდროდაა მ.შაგრებული კანზე, მისი მოშორება მტკივნეულია. სინონიმი: ბენიე-მუშჩერსკის ნიშანი.

ბენიეს ციხტადენია — კეთილთვისებიანი ეპითელიური ცისტადენომა. ერუპტიული ჰიდრადენომა. სირინგოცისტადენომა; საოფლე ჯირკვლების ადენომა: ხშირად გვხვდება ქალებში — კისერზე, გულმკერდის წინა ზედაპირზე და მუცლის არეში. აღინიშნება პატარა ქინსძისთავისა და ცერცვისოდენა ხორკლები, მრგვალი ან ოვალური, კანის ფერით ან მოყვითალო სადა ზედაპირით, რბილი კონსისტენციისაა. სუბიექტურ გამოვლინებებს არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლების და მათი სადინრების გადაადგილებული ჩანასახიდან. სინონიმები: ჟაკე-დარიეს სინდრომი, ნეიმანის სირინგოცისტომა, იარიშის ჰემანგიოენდოთელიომა.

ბენიე-ბალზერის კანის კელოიდური დეგენერაცია — კანის კელოიდური დეგენერაცია. კელოიდური ფსევდომინიუმი, კანის ელასტოზი კვანძოვანი კისტოზური კომედონებით — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი, რომელიც გვხვდება მხოლოდ ხანშიშესულ მსუქან მამაკაცებში. ახასიათებს მრავლობითი, მომუქო, მკვრივი კვანძები და კომედონები გასქელებული, დანაოჭებული, მოწითალო ფერისა, ლოკალიზაცია — კანზე კისრის ირგვლივ, ყურის რიყარები და საფეთქლის ირგვლივ. სინონიმი: ფაერრაკუშოს დაავადება.

ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება — იხ. სინონიმი: ბეკის დაავადება.

ბენიე-ბროკის სინდრომი — ატონიური დერმატიტი. კონსტიტუციური ნეიროდერმიტი, გაფანტული ნეიროდერმიტი. ქრონიკული დიფუზური ნეიროდერმიტი. ენდოგენური ეგზემა, გვიანი ექსუდაციური ეჭზემატოიდი — ნეიროდერმიტი, რომელსაც ახასიათებს დაზიანებული უბნების სი-

მეტრიული განლაგება კიდურთა მოხრით ზედაპირზე, სასეზე, კისერზე, უკანა ტანის მიდამოში და სასქესო ორგანოებთან. ჩვეულებრივ თან სდევს ბუყარი თეთრი დერმოგრაფიზმი.

ბენიე-მეშიერსკის ნიშანი — სინონიმი: ბენიეს სიმპტომი (იხ.).

ბენიე-რენოს განგრენოზული ურთიკარია — დისმენორული სიმეტრიული დერმატიტი. ეტიოლოგია უცნობია. გეხვედება ახალგაზრდა ქალებში მენსტრუაციის არასწორი ტიპით, სქესობრივი მომწიფების პერიოდში. სავარაუდოა ენდოკრინული და ნეიროტროფიკული დარღვევების მნიშვნელობა. მიმდინარეობა მწვავე. გამონაყარი სიმეტრიულია სახესა და ხელებზე, ვითარდება რამდენიმე საათში. ერითემატოზურ-პროლიფერაციულ ცვლილებებს ემატება ეპიდერმისის ნეკროზი. რამდენიმე დღეში ვითარდება შეხორცება, რის შემდეგ რჩება პიგმენტაცია. სინონიმები: ვეიდენფელდის ისტერიული პემფიგუსი, მატცენაუერ-პოლანდის სინდრომი, როგის პაპულოზურ-ნეკროზული მორეციდივე ურთიკარია, დრაიერ-ველშის აკნე.

ბენიე-ტენეზონის გამძაფრებული მგლურა — გამძაფრებული მგლურა. სარკოიდოზის კლინიკური ვარიანტი. ახასიათებს კანზე იისფერი, მყარი ამოზნექილი ლაქები, დიასკოპიისას გამოვლინებული მოყვითალო ლაქებით. სინონიმი: ცილერის გამძაფრებული გრანულომა.

ბენს-ჯონსის მიელომა — მიელომური დაავადების, ანუ პლაზმოციტომის ვარიანტი — მსუბუქი ჯაჭვების დაავადება. ძირითადი კლინიკური და ლაბორატორიული ნიშნების განვითარების მიზეზია ძვლის ტვინის და სხვა ქსოვილების მიელომურ-უჯრედოვანი ინფილტრაცია და სიმსივნური უჯრედების მიერ პათოლოგიური ბენს-ჯონსის პარაპროტეინის (იხ.) სინთეზი.

ბენს-ჯონსის პარაპროტეინემია — იხ. სინონიმი: ბენს-ჯონსის მიელომა.

ბენს-ჯონსის პარაპროტეინი — თერმოლაბილური ცილა, რომელიც ჩნდება სისხლში და გამოიყოფა შარდთან მსუბუქი ჯაჭვების დაავადების დროს (იხ.).

ბენს-ჯონსის სინჯი — შარდში ბენს-ჯონსის ცილის (პარაპროტეინის, იხ.) გამოვლინების სინჯი. შეიმჩნევა თეთრი ნალექის სახით შარდის შემჟავების შემდეგ, როცა შეეკობთ 50—60 გრადუსზე ცელსიუსით. შემდგომი 80—100 გრადუსამდე გათბობისას ცილა იხსნება და ნალექი ქრება.

ბენზოლდის სინჯი — ამილოიდოზის დიაგნოსცირება სიცოცხლის პერიოდში, დაყარებულია სისხლში ამილოიდის გამოვლინებაზე. როცა ინტრავენურად შეყვანილი საღებავ-კონგოროტის კონცენტრაცია მკვეთრად მცირდება.

ბერარდინელის სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება. გამოვლინდება აკრომეგალიური გიგანტიზმით, ნასშირწყლოვანი და ცხიმოვანი ცვლის მოშლით და ჰიპოფიზის ჰიპერფუნქციის სხვა ნიშნებით. შესაძლებულია შეუმთხვევი ტვინის განვითარების ანომალიით ან დაზიანებით. სინონიმი: სეიპის სინდრომი.

ბერგერის სიპატომი — პროგრესირებადი დამბლის ადრეული ნიშანი; დამახასიათებელია არასწორი ფორმის ეოზინოფილური თვალის [illegible]

ბერგმანის ეზოფაგოკარდიული სინდრომი — ტკივილი და უსიამოვნო

შეგრძნება (უცხო სხეულისა) მკერდის მკლის უკან, სლოკინი, გულის რატმის დარღვევა. აღინიშნება საყლაპავის დიაფრაგმის ნაწილის თიაქრის დროს. სინონიმი: ბერგმანის სინდრომი II.

ბერგმანის სიმპტომი — ნიშანია გასტროენტერალური სისხლდენისა წყლულოვანი დაავადების დროს: დამახასიათებელია ტკივილის გაქრობა სისხლდენის დაწყების შემდეგ.

ბერგმანის სინდრომი I — აღინიშნება შემდეგი ნიშნების შერწყმა: სქესობრივი მომწიფების შენელება, ჯუჯისებრი სიმაღლე, სკლეროფორმული ცვლილებები და კანის პიგმენტაციის დარღვევა, იღლიებსა და პაკვენში თმების უქონლობა, ფრჩხილებისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის დისტროფია და ა. შ. მიზეზია პუბერტატულ პერიოდში ჰიპოფიზის წინა ნაწილის უკმარისობა. სინონიმი: ლორენ-ლევის სინდრომი.

ბერგმანის სინდრომი II — იხ. სინონიმი: ბერგმანის ეზოფაგოკარდიული სინდრომი.

ბერგსტრომ-ჯეკობსონის დაავადება — მემკვიდრეობითი კეთილთვისებიანი ერითროპოეტიკულოზი. ეტიოლოგია უცნობია. პერიფერიული სისხლისათვის დამახასიათებელია ნორმოქრომული ანემია (ჰემოლიზი არ აღინიშნება). ძვლის ტვინში გვხვდება მრავალბირთვიანი უჯრედები, ერითრონორმობლასტური რიგის უჯრედების ჰიპერპლაზია. ზოგიერთ შემთხვევაში ფეტალური ჰემოგლობინი იმატებს, შეიძლება შეგვხვდეს ერთიდაიგივე ოჯახის რამდენიმე წევრში. მიმდინარეობა კეთილთვისებიანი.

ბერდის სიმპტომი — ფილტვის ექინოკოკოზის ნიშანი: პერკუტორული ხმიანობის შემოფარგლული მოყრუება აუსკულტაციური მონაცემების გარეშე.

ბერეზოვსკის სიმპტომი — ტკივილი მარჯვენა წინამხარში მწვავე ქოლეცისტიტის დროს.

ბერეზოვსკი-შტერნბერგის უჯრედები — ორი ან მრავალბირთვიანი დიდი უჯრედები. აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზის დროს დაზიანებულ ლიმფურ კვანძებში. სინონიმები: რიდ-შტერნბერგის უჯრედები, შტერნბერგის უჯრედები.

ბერეტას სინდრომი — წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რეფლუქსის გართულებას და განიხილება როგორც სიმსივნისწინა დაავადება. კიბო ვითარდება საყლაპავის ქვედა ნაწილში და საყლაპავის გარეთაც (ენა, ხახა, სასა, ფილტვები). მამაკაცები ავადდებიან ორჯერ უფრო ხშირად. სინდრომის განვითარებას ხელს უწყობს ალკოჰოლი, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების რეგულარული მიღება და თამბაქოს წევა. დამახასიათებელია საყლაპავის წყლულის და სტრიქტურის განვითარება, დიაფრაგმული თიაქარი.

ბერეტის წყლული — საყლაპავის წყლული, კლინიკურ-მორფოლოგიური ნიშნებით მოგვაგონებს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიკურ წყლულს.

ბერიესონის სინდრომი — ენდოკრინული სისტემის მემკვიდრეობითი დაავადება. გამოვლინდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. ახასიათებს გამოხატული სიმსუქნე, ზრდაში შეჩერება, ჰიპოთირეოზი, ოლიგოფრენია. მემკ-

ვიდრეობითი გადაცემის ტიპი—რეცესიული შეჯვარებული სქესთან. სინონიმი: ბერიესონ-ფორსმან-ლემანის სინდრომი.

ბერიესონ-ფორსმან-ლემანის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბერიესონის სინდრომი.

ბერის დაავადება — გვხვდება ბავშვებში (ბიჭებში). ახასიათებს მხედველობის ნერვის დერილების ატროფია, გონებრივი ჩამორჩენილობა, პირამიდული ნიშნები (კუნთთა ჰიპერტონია, ჰიპერრეფლექსია ძალის დაქვეითების გარეშე), ინკორდინაცია და შარდის შეუკავებლობა. დაავადება ოჯახურ-მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს.

ბერის დეგენერაცია ყვითელი სხეულის — ყვითელი ლაქის ოჯახური დეგენერაცია. ყვითელი ლაქის ცენტრალური ფოსოს უპირატესი დაზიანებით. ვლინდება მხედველობის პროგრესული დაკლებით. ოფთალმოსკოპიურად — ბადურის ყვითელი ლაქის არაერთგეაროვანი პიგმენტაცია პატარა მომრგვალო კერებით. სინონიმი: ბესტის დაავადება.

ბერის სიმპტომი I — დიფერენციულ-დიაგნოსტიკური ნიშანი ფარისებური ჯირკვლის სიმსივნური პროცესების დროს: კეთილთვისებიანი სიმსივნისას საძილე არტერია ადვილად ისინჯება წარმონაქმნის უკან (არტერია გადაწეულია სიმსივნით), ხოლო ავთვისებიანის დროს იგი ან არ ისინჯება, ანდა სუსტად პულსირებს მისთვის ჩვეულ ადგილას, რადგან წარმონაქმნი მჭიდროდ ეხვევა გარშემო;

ბერის სიმპტომი II — ჰიპოთირეოზის შესაძლო ნიშანი: კანის ჰიპერკერატოზი იდაყვის და მუხლების მიდამოში.

ბერკის სინდრომი — ფილტვების იდიოპათიური ატროფია. ბულოზური ემფიზემის ფორმა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფილტვების ნორმალური სურათის თანდათანობით გაქრობა. სინონიმი: მარტინ-ბალესტრას სინდრომი.

ბერკის დაავადება, ანუ სინდრომი — ლიპოქრომული ჰეპატოზის სახეობა. თანდათანობით ვითარდება ჰეპატოსპლენომეგალია. ღვიძლის ფუნქციური სინჯები ნორმის ფარგლებშია. დიაგნოზი ისმება ბიოფსიით — ჰეპატოციტებში არის ყავისფერი ლიპოქრომული პიგმენტი. გამოსავალია ღვიძლის ციროზი. სინონიმი: ბერკ-ბრიკ-ვოლფის სინდრომი.

ბერკ-ბრიკ-ვოლფის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბერკის დაავადება, ანუ სინდრომი.

ბერკიტის ლიმფომა — ბერკიტის ლიმფოსარკომა, აფრიკული ლიმფომა. ცენტრალური აფრიკული ლიმფომა — ავთვისებიანი ლიმფომა, ლოკალიზდება ძირითადად ლიმფური კვანძების გარეთ (ზედა ყბა, თირკმელები, საკვერცხეები). აღინიშნება უპირატესად ბავშვებში, გვხვდება აფრიკისა და აზიის ცალკეულ ქვეყნებში.

ბერკმანის რეფლექსი — მუცლის სწორი კუნთის შეკუმშვა მუცლის კანის გაღიზიანებაზე — სარძევე ჯირკვლის დერილის ქვემოთ, იმავე მხარეზე.

ბერკლის სინდრომი — კუნის დაჩქარებული განთავისუფლება როგორც საკვებისაგან, ისე კონტრასტისაგან. აღინიშნება კალკულოზური ქოლეცისტიტის დროს.

ბერლინის სინდრომი — ექტოდერმული დისპლაზია პალმო-პლანტა-რული კერატოზით: დაბალი ტანი, წვრილი ფეხები („ჩიტის ფეხები"), გონებრივი განუვითარებლობა, ჰიპოგონადიზმი, წარბების ჰიპოპლაზია, სუსტი გაშრომიანება (მამაკაცებში), ნაადრევი გაჭაღარავება და კანის დანაოჭება, კბილების ზრდის დაგვიანება, ჰიპოდონტია, კიდურების მელანოლეიკოდერმია (ლეოპარდის კანი), ტელეანგიექტაზიები ტუჩებზე, იდაყვების და მუხლების მიდამოში, პალმო-პლანტარული კერატოზი, მსუბუქი ჰიპერჰიდროზი, ფალანგთაშორისი სახსრების ზომაზე მეტი „წელვადობა".

ბერლოკის დაავადება — კანზე ჰიპერპიგმენტაციის გაჩენა მზის სხივების მოქმედების შეძლეგ, თუ კანზე წინასწარ წასმულია ოდეკოლონი. ასევე შეიძლება მივიღოთ ბერგამოტის ცხიმით დაზელვის შემდეგ.

ბერნარ-ჰორნერის სინდრომი — მიოზის, თვალის ნაპრალის და ერთი თვალის ენოფტალმის შერწყმა. შეპირობებულია თვალის სიმფატიკური ინერვაციის დარღვევით, არაიშვიათად თანხლებულია სისხლძარღვოვან დარღვევებთან სახის იმავე მხარეზე. აღინიშნება იმავე მხარეს ზურგის ტვინის გვერდითი რქების დაზიანების დროს კისრის მერვე და გულმკერდის პირველი მალის დონეზე, სიმფათიკური ღეროს კისრის ნაწილის, მათ შორის კავშირების და ასევე გვერდითი რქების დაღმავალი ნერვული გზების დაზიანებისას. სინონიმი: ჰორნერის სინდრომი.

ბერნაცკის რეაქცია — ერითროციტების დალექვის სისწრაფის სიმპტომი. სისხლი, რომელიც არ დედდება (სათანადო რეაქტივის დამატებით, მაგალითად, მეაუნმეავა ნატრიუმი) პათოლოგიური მდგომარეობის დროს ილექება სხვადასხვა სიჩქარით (დროის სხვადასხვა მონაკვეთში; მაგალითად, ერთ საათში). ჯანმრთელებში ეს მერყეობა უმნიშვნელოა; სინონიმები: ვესტერგრენის სიმპტომი, ფარეუსის რეაქცია.

ბერნაცკის სიმპტომი — იდაყვის ნერვის მგრძნობელობის დაქვეითება ზურგის ტვინის ხმობის დროს.

ბერნდორფერის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ტუჩების, ყბის, სასის, ხელის მტევნების და ტერფების გაპობა, გონებრივი ჩამორჩენილობა, დაქვეითებული სმენა ან სიყრუე, ყურის ნიჟარების დისპლაზია; პროგნოზი არაკეთილსაიმედო, მთავრდება ავადმყოფის სიკვდილით სიცოცხლის პირველსავე წლებში. სინონიმი: ვილდერვანკ-ბერნდორფერის სინდრომი.

ბერნდორფერ-ვილდერვანკის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბერნდორფერის სინდრომი.

ბერნეტის დაავადება ანუ რიკეტსიოზი — ქუ-ცხელება, ავსტრალიური დაავადება, ოლიმპიური ცხელება, შუააზიური ცხელება, ბალკანური გრიპი. პნევმორიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზების ჯგუფიდან. გადაეცემა ჰაეროვან-წვეთოვანი, ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ახასიათებს რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანება, ინტოქსიკაცია, ცხელება, ხშირად ინტერსტიციული პნევმონია. სინონიმები: დერიკის დაავადება, დერიკ-ბერნეტის დაავადება.

ბერნეტის სინდრომი — რძისა და ტუტის სინდრომი. კვებითი ჰიპერკალცემიის სინდრომი. ნიშნები: საერთო სისუსტე, შეკაებულობა, უმა-

დობა, რძის ნაწარმთა აძულება, ღებინება, თირკმლების უკმარისობის ნიშნები. გაპიროპებულია ქიპერკალციემიით, მეტაბოლურ ალკოლოზით და კალციუმის მარილების ქსოვილებში ჩალაგებით. ძირითადად აღენიშნებათ წყლულოვანი დაავადებით ავადმყოფებს, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებიან რძის დიეტაზე და ხმარობენ დიდი რაოდენობით ტუტოვან სერთებს.

ბერნუთის სინდრომი — გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადება. კლინიკური გამოვლინებით მოგვაგონებს ჰემოფილიას, მაგრამ არ გადაეცემა მემკვიდრეობით.

ბერნშტეინის სინდრომი — მუცლის ღრუს ორგანოთა პერფორაციის დროს შეიძლება აღინიშნოს სათესლე ჯირკვლის აწევა საზარდულის არხის გარეთა რგოლამდე, ხოლო სასქესო ასოს-მუცლის წინა კედლისაკენ.

ბერნჰეიმის სინდრომი — ამ სინდრომით აღნიშნავენ გულის იზოლირებულ მარჯვენამხრივ უკმარისობას, რომელიც ვითარდება მარჯვენა პარკუჭის დავიწროების შედეგად. მიზეზია პარკუჭთაშუა ძგიდის ჰიპერტროფია ან მისი მარჯვენა პარკუჭში შეგრეხა მარცხენა პარკუჭის მიერ. ამას იწვევს მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია, რაც შეიძლება გამოიწვიოს აორტის სტენოზმა, ჰიპერტონიამ, ოშვიათად მარცხენა პარკუჭის კვების მოშლამ.

ბერუერონ-ჰენოხის ელექტრული ჭორფა — ხასიათდება არითმული ელეისებური კლონური კრუნჩხვებით, რომელიც ერთდროულად მოიცავს როგორც აგონისტ, ისე ანტაგონისტ კუნთებს, რის გამოც ნამდვილი მიოკლონიისაგან განსხვავებით ადგილი აქვს, სათანადო სეგმენტის გადანაცვლებას. კუნთთა შეკუმშვა სისწრაფით მოგვაგონებს ელექტრული დენით გამოწვეული კუნთის შეკუმშვას, მისი სიხშირე წუთში 5—6-ს აღწევს. გვხვდება ეპიდემიური ენცეფალიტის დროს.

ბერჟეს დაავადება — იმუნოგლობილინ-A გლომერულონეფრიტი, სამჯერ უფრო ხშირია ვაჟებში. უპირატესად ვლინდება მორეციდივე მაკროჰემატურიით და მაპერსისტირებელი მიკროჰემატურიით. ოშვიათია ჰიპერტონია და ნეფროზული სინდრომი. შესაძლებელია პათოგენეზური მექანიზმები — შეძენილი ან გენეტიკურად დეტერმინებული დარღვევა IgA სინთეზისა. მიმდინარეობა ქრონიკული.

ბერს-კონრადის სინდრომი — ბოდვა კანში პარაზიტების არსებობაზე. დერმატოზული ბოდვა, რომელიც ჩააგონებს ავადმყოფს თითქოს კანზე, მის შიგნით ან კანქვეშ ჰყავს მოძრავი მწერები, რომლებიც იქ მრავლდებიან. სინონიმი: ეკბომის სინდრომი.

ბერტოლიტის სინდრომი — წელის მეხუთე მალის საკრალიზაცია სკოლიოზით და საჯდომი ნერვის გაღიზიანების ნიშნებით.

ბერტონიე-მიხელსონის სიმპტომი — მარჯვენა თეძოს ფოსოს პალპაცია ავადმყოფის მარცხენა გვერდზე დაწოლისას აძლიერებს მუცელში ტკივილს. აღინიშნება მწვავე აპენდიციტის დროს.

ბერჩი-როშეინის სინდრომი — კისრის ზემო მალების პათოლოგიის ნიადაგზე ჩამოყალიბებული ნეიროვეგეტატიური სინდრომი: თავის ცალმხრივი შეტევითი ხასიათის ტკივილი და პარესთეზია, შუილი ყურებში,

ციპციში თვალებში, სკოტომები, თავის მოძრაობის გაძნელება, $C_1—C_2$ მგრძნობელობის ფესვობრივი მოშლილობა, კისრის ზემო მალების წვეტიანი მორჩების პალპაციის მიმართ მგრძნობიარობა, თავის ცალ მხარეს გადახრა ტკივილს იწვევს საწინააღმდეგო მხარეს. რენტგენოლოგიურად ვლინდება ოსტეოქონდროზის, ზემო მალების ტრავმული ან სხვა წარმოშობის დაზიანების სურათი.

ბერცეს ცნობიერების ჰიპოტონია — ცნობიერების ჰიპოტონია — შეგნებული ფსიქიკური მოქმედების დონის მზარდი უკმარისობა. ბერცეს მონაცემებით ესაა შიზოფრენიის უმთავრესი ძირითადი დარღვევა, რაც განსაზღვრავს მის სიმპტომატიკას.

ბერცოლდ-იარიშის რეაქცია — კორონული ქემორეფლექსი. არტერიული წნევის რეფლექსური დაქვეითება და გულის მუშაობის მნიშვნელოვანი შენელება ვერატრინის ან ამ ჯგუფის სხვა ალკალოიდის სისხლში შეყვანის შემდეგ.

ბერცოლდ-იარიშის რეფლექსი — პარკუჭებში წნევის მომატებისა და მათი ტონუსის აწევისას ღიზიანდება სუბენდოკარდიული ბარორეცეპტორები, რასაც თან ახლავს მოგრძო ტვინში ცდომილი ნერვის ტონუსის მომატება (სტიმულაცია) და აქედან გულის რიტმის შენელება: ეს კომპენსატორული რეაქციაა სისხლის მიმოქცევის წონასწორობის აღსადგენად.

ბერჰავეს (ანუ ბოერჰავეს) სინდრომი — აღინიშნება საყლაპავის გასკდომის დროს. ნიშნებია: ძლიერი ტკივილი გულმკერდის წინ და წელში, დისპნოე, ტაქიპნოე, მტკივნეული ყლაპვა, სისხლიანი ღებინება, შოკი.

ბესენ-კრაცვეიგის სინდრომი — ავტოტალიპოპროტეინემია, აკანტოციტოზი. კლინიკური ნიშნები ვლინდება სიცოცხლის დასაწყისშივე. ესენია: ნეიროლოგიური, ფსიქიკური, მხედველობითი, ანორექსია, პირღებინება, ცხიმოვანი დიარეა.

ბესკის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება ნაადრევი გაჭაღარავებით, ჰიპერტრიქოზით, ხელისგულ-ფეხისგულის კერატოზით, კბილების განუვითარებლობით და აპლაზიით: მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ბესმან-ბოლდვინის სინდრომი — თირკმელ-ტვინის დეგენერაცია იმიდაზოლურიით. დამახასიათებელია ამავროზული იდიოტიის შერწყმა თირკმლის მილაკებში რეაბსორბციის დარღვევასთან. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული, დასაშვებია ფენოტიპურად ჯანმრთელი ნათესავები (მშობლები, ძმები, დები). შარდში ვლინდება ნინჰიდრინული სუბსტანციები. დაავადების არსია იმიდაზოლის დერივატების მილაკებში რეაბსორბციის დეფექტი.

ბესნიე-ბეკ-შაუმანის დაავადება — იხ. სინონიმი: ბეკის დაავადება.

ბესნიერ-რენოს ურთიკარია — დისმენორეული სიმეტრიული დერმატოზი, ნეკროზული აკნე, განგრენოზული ურთიკარია. დისჰორმონული დერმატოზის გამოვლინება. ნიშნები: სპონტანური სიმეტრიული მკაფიოდ შემოფარგლული ერითემა, ფოლიკულური ეროზიები, ვაზომოტორული მოშლილობანი. აღნიშნული ცვლილებები რეგულარულად მეორდება მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებით. უფრო ხშირია ახალგაზრდა

ქალებში დისმენორეით ან პრეკლიმაქსის პერიოდში. სინონიმები: მატცენაუერ-პოლანდის სინდრომი, დრაუერ-ველშის აკნე.

ბეხტის დაავადება — იხ. სინონიმი: ბერის დეგენერაცია ყვითელი სხეულის.

ბეტიგერის რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ტერფის პირველი თითის გაშლა წვიეის წინა ნაწილის ქვედა მესამედის გაღიზიანების დროს. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანებისას.

ბეცოლდის მასტოიდიტი — მასტოიდიტის ფორმა, რომლის დროსაც ხდება ჩირქის გამოსვლა ყელის კუნთებში დერილისებრი მორჩის მწვერვალის კედლიდან. ახასიათებს მტკივნეულობა თავის მოძრაობისას, ძძულებითი მდებარეობა, კისერზე შესივების არსებობა. შეიძლება სიმულირებდეს კისრის ფლეგმონას ან კისრის ლიმფადენიტს.

ბეხერის ფუნქციური რიცხვი — მოწოდებულია თირკმლების ფუნქციური მდგომარეობის განსაზღვრისათვის. შედგება შარდის საერთო რაოდენობის (დღიური) პირველი ორი რიცხვისა და შარდის კუთრი წონის (დღიურ შარდში) ბოლო ორი რიცხვის ჯამისაგან. ეს უკანასკნელი უნდა იყოს 30-ზე ნაკლები. მაგალითად, შარდის საერთო რაოდენობა ბერის 1650 შლ, ხოლო კუთრი წონა 1,018 (16+18=34) — ბეხერის ფუნქციური რიცხვი ტოლია 34-ისა.

ბეხტერევის ამოსუნთქვითი რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: ამოსუნთქვითი მოძრაობები ქვედა ნეკნების ხრტილებზე და მკერდის ქვედა ბოლოს პერკუსიისას;

ბეხტერევის ბეკ-მხრის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: მხრის გაწევა და მისი ბრუნვა გარეთა მხარეს სამედიცინო ჩაქუჩით ბეჭის შიგნითა მხარეს დარტყმისას.

ბეხტერევის გუგების რეფლექსი (ანუ სიმპტომი) — გუგების გაფართოება სინათლით გაღიზიანების საპასუხოდ. გეხვდება ზურგის ტვინის ხმობისა და პროგრესული დამბლის დროს.

ბეხტერევის დაავადება — მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი. რევმატოიდული სპონდილოართრიტი. კოლაგენოზური ჯგუფის დაავადება. ახასიათებს უპირატესად ხერხემლის სახსროვან შემაერთებელი აპარატის ღაზიანება (ხშირად კიდურებისაც) და ასევე პროცესში შინაგან ორგანოთა ჩართვა (გული, აორტა, თირკმლები). აქვს მიდრეკილება ქრონიკული პროგრესირებადი მიმდინარეობისადმი ანკილოზების განვითარებით;

სინონიმები: შტრუმპელის დაავადება, შტრუმპელ-ბეხტერევ-მარის დაავადება.

ბეხტერევის დიდი სიმპტომი — დიდი თითის სიმპტომი — ხელის პირველი თითის უნებლიე მოღუნვა და გამოწვევა მოღუნული მეორე-მეხუთე თითების პასიური გაშლისას. ასევე პირველი თითის გაშლა და გაწევა გაშლილი მეორე-მეხუთე თითების პასიური მოღუნვის დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანი.

ბეხტერევის „ეპილეფსია ჭორეული" — ქორეულ ჰიპერკინეზის ფონზე ადგილი აქვს ეპილეფსიური განტვირთვის განვითარებას.

ბეხტერევის ერითროზი — ბეხტერევის აკროერითროზი. თანდაყოლილი აკრო-ანგიოერითროზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი. გამოვლინდება ყრმობის ასაკში ყურის ნიჟარების, სახისა და ხელისგულების მყარი ერითემით. სინონიმი: შტეელცნერის თანდაყოლილი აკროანგიონეუროზი.

ბეხტერევის მჯა-თითების რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ხელის მტევნის შიგნითა ნაწილის პერკუსიის დროს თითების მოხრა. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

ბეხტერევის ნეკნ-აბდომინალური რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: მუცლის ფარის ზედა ნაწილის კუნთების ცალმხრივი შეკუმშვა სამედიცინო ჩაქუჩით ნეკნთა რკალზე დარტყმის დროს.

ბეხტერევის რეფლექსი — ბარძაყის შიგნითა ზედაპირის ჩაქუჩით გაღიზიანებისას ადგილი აქვს მუცლის კუნთების შეკუმშვას. განეკუთვნება ფიზიოლოგიურ რეფლექსთა ჯგუფს:

ბეხტერევის ხაჯდომის სიმპტომი — ძლიერი ტკივილის შეგრძნება მუხლს უკანა მიდამოში, მუხლში სწრაფი გაშლისას. იშიალგიის ნიშანი.

ბეხტერევის ხომატოფრენია — ფსიქოზი, გამოვლინებული გამოხატული სენსოპათიებით, ჰიპოქონდრიული სინდრომით, დაქვეითებული გუნებაგანწყობით. ამას ყველაფერს თან მოჰყვება ვეგეტატიური დარღვევები. განიხილება როგორც შიზოფრენიის შეტევა, ანდა მანიკალურ-დეპრესიული ფსიქოზის დეპრესიული ფაზის ატიპიური ფორმა.

ბეხტერევის ჭუსლის რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ფეხის თითების ფეხის გულისაკენ მოხრა სამედიცინო ჩაქუჩის ფეხის გულზე დარტყმისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს:

ბეხტერევის წერტილი — ფეხისგულის წერტილი — წერტილი ფეხისგულის შუაში, რომელზედაც ზეწოლა გავა-წელის რადიკულიტის დროს იწვევს ტკივილს.

ბეხტერევის ჰემიტონია — აპოპლექსიური ჰემიტონია, აპოპლექსიური კრუნჩხვა — ჰემიტონია, განვითარებული ერთბაშად თავის ტვინში სისხლჩაქცევის დროს.

ბეხტერევ-იაკობსონის რეფლექსი — ანუ ნიშანი — წინამხრისა და ხელის მტევნების თითების ერთდროული მოხრა სხივის ძვლის სადგისისებერ წანაზარდზე პერკუსიის დროს. პირამიდული გზებეს დაზიანების ნიშანია. სინონიმი: იაკობსონ-ლასკის რეფლექსი.

ბეხტერევ-მარი-ფუას რეფლექსი — პათოლოგიური დაცვითი რეფლექსი: ტერფის მოხრა კოჭ-წვივის სახსარში და ფეხის მოხრა მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. გამოიწვევა ფეხის თითების ფეხისგულისაკენ ძლიერი პასიური მოხრით. ადგილი აქვს პირამიდული გზების დაზიანებისას. სინონიმი: მარი-ფუას რეფლექსი.

ბეხტერევ-მენდელის რეფლექსი — ტერფის გარეთა რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ტერფის თითების ფეხისგულისაკენ მოხრა მის გარეთა ზედაპირზე სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმის პასუხად. სინონიმი: შტერნბერგის რეფლექსი.

ბეხტერევ-ფაიერშტაინის სიმპტომი — დაზიანებულ ფეხში ტკივილის აღმოჩენა და ფეხის როტაცია შიგნით, როცა ავადმყოფი დგას და

ჯანმრთელ ფეხს აქანავებს წინ და უკან. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ბეხტერევ-შტრუმპელ-მარიხ დაავადება — სინონიმები: ბეხტერევის დაავადება (იხ.), შტრუმპელის დაავადება.

ბეჭის სიმპტომი — ფილტვების ავთვისებიანი სიმსივნის დაზიანების დროს დაავადებულ მხარეს შესაძლოა აღინიშნოს ბეჭის მოშორება გულმკერდიდან მეტად, ვიდრე ჯანმრთელზე (ძირითადად შიდა კიდე ან ქვედა კუთხე). ბეჭის დაცილება ხერხემლისაგან და მისი ჩამორჩენა სუნთქვის დროს მიუთითებს დაზიანებულ მხარეს ექსკურსიის შემცირებასა და ზურგის კუნთების ატროფიაზე. სინონიმი: დილონის სიმპტომი.

ბეჭჩეტის დაავადება — ქრონიკული დაავადება, სავარაუდოა ვირუსული ეტიოლოგია. ახასიათებს აფტოზურ-წყლულოვანი ცვლილებები სასქესო ორგანოების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის და თვალების ანთებითი დაზიანებები მორეციდივე მიმდინარეობით. სინონიმები: ტურენის დიდი აფთოზი, ჟილბერტ-ბესის სინდრომი.

ბეჭჩეტის სინდრომი — სეპტიკური ირიდოციკლიტი. სინონიმები: ტურენის დიდი აფთოზი, ჯილბერტ-ბეჭჩეტის სინდრომი (იხ.), ადამანტიად-ბეჭჩეტის სინდრომი.

ბვამბას ცხელება — ინფექციური დაავადება ტროპიკული, კოღოთი გამოწვეული ცხელების ჯგუფიდან იმავე სახელწოდების ვირუსით. ეპიდემიურია აღმოსავლეთ აფრიკისათვის. ახასიათებს 2—5 დღიანი ცხელება, თავისა და კუნთების ტკივილი.

ბიანკის სინდრომი — სენსორული აფაზიის, აპრაქსიის და ალექსიის შეერწყმა საფეთქლის და კეფის დომინანტური წილების დაზიანების დროს თავის ტვინში.

ბიბლიერის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლის ჰიპერპლაზიის ისეთი ფორმა, როცა აღინიშნება ვირილიზაცია. ამ დროს არის 17—ალფა-ჰიდროქსილაზის დეფიციტი.

ბიგბის დაავადება — გენერალიზებული ან ლოკალური ქორეისმაგვარი მოძრაობები, რომელიც გვხვდება ისტერიის დროს.

ბიდლის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბარდე-ბიდლის სინდრომი.

ბიერკის პუნქცია — მარჯვენა წინაგულის დიაგნოსტიკური პუნქცია, რომელიც ტარდება VIII—IX ნეკთაშუა არეში ხერხემლის მარჯვენა გვერდის საზღვრიდან.

ბიერკ-ტორსონის სინდრომი — გაპირობებულია ნაწლავთა კარცინოიდით, ჰორმონულად აქტიურ ავთვისებიანი სიმსივნით, რომელიც ვითარდება ნაწლავთა არგენტოფილური უჯრედებიდან (სეკრეტირებს სეროტონინს). აღინიშნება ჰიპერსეროტონინემია. წნევა განსაკუთრებით მატულობს, როცა მეტასტაზები ღვიძლის გარეთაა. ნიშნები: ჰიპერტონიული კრიზები, ნაწლავთა ფუნქციის დარღვევა, ხორკლიანი ღვიძლი. ვაზომოტორული, ტელეანგიექტაზიები, ალერგიული და პელაგროიდული დერმატოზი, ფილტვისმიერი ჰიპერტროფია, სამსარქველას ნაკლოვანება. სისხლში სეროტონინი 10—20-ჯერ მეტია ნორმაზე.

ბიეტის დაავადება — დისემინირებული წითელი მგლურა. მძიმე სი-

ტემური დაავადება კოლაგენოზთა ჯგუფიდან. სინონიმი: კაზენავის დაავადება.

ბიეტის საყელო — ეპიდერმისის აქერცლა გეირგეინის მსგავსად, რომელიც ჩნდება პაპულის შეწოვისას. ალაშანგის ნიშანი.

ბიეტის ცენტრიდანული ერითემა — ზედაპირული წითელი მგლურა, ბადრისებრი წითელი მგლურას ნაირსახეობა. ახასიათებს სახეზე და კანის სხვა ღია ადგილებში მკაფიოდ შემოფარგლული ინტენსიურობის ერითემის გაჩენა, რაც მატულობს პერიფერიისაკენ — გამოხატული ჰიპერკერატოზის და ატროფიის გარეშე. შესაძლებელია შინაგან ორგანოთა დაზიანებაც და გადასვლა სისტემურ წითელ მგლურაში.

ბიეტ-ბროკის სებორეა — ქრონიკული ერითემული სებორეას ნაირსახეობა. კანის გამოვლინებები მსგავსია ერითემულ-დესკვამაციული ბალთებისა, რომლებიც ნაკლებ ინფილტრირებულია, ან ტოვებენ კეალს, ანდა ტოვებენ უმნიშვნელო ატროფიას. ეტიოლოგია და პათოგენეზი ისეთივეა, როგორც წითელი ლიქენის (ქეროვანი ინფექცია, შემაერთებელი ქსოვილის შეცვლილი რეაქცია, მომატებული რეაქცია სხვადასხვა ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გამღიზიანებლებზე, განსაკუთრებით მზის სხივებზე), სინონიმი: ჰებერის ერითემული სებორეა.

ბივორის სიმპტომი — ანტაგონისტი კუნთების მოქმედების შეკავების შეუძლებლობა. აღინიშნება ფუნქციური დამბლების დროს.

ბიკელ-თერსბი-პელჰემის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ფსიქიკური განვითარების შეჩერება, ქონდრისკაცობა, ორმხრივი კატარაქტა, ღვიძლის ფუნქციის დარღვევის სიმპტომები, ამინოაციდურია.

ბიკოვ-კურცინის მეთოდი — კუჭის სეკრეტორულ-მოტორული ფუნქციის შესწავლის მეთოდი ორმაგი ზონდის მეშვეობით. მის ერთ-ერთ ბოლოზე დამაგრებულია რეზინის ბალონი, რომელიც დაკავშირებულია წყლის მანომეტრთან და ჩამწერთან (მექანოგასტროგრამის ჩასაწერად), მეორე კი წარმოადგენს კუჭის წვრილ ზონდს.

ბილერის დაავადება — გამოვლინდება დაბადების პირველსავე წელს, მეკვიდრეობითი დაავადებაა, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. ნიშნები: ძლიერ სუნიანი განავალი, სიყვითლე, ჯუჯა ტანი, ჰეპატოსპლენომეგალია, სისხლში მომატებულია ტუტე ფოსფატაზა და პირდაპირი ბილირუბინი.

ბილერმანის სიმპტომი — ხახის თაღის წინა ნაწილის ინტენსიური ჰიპერემია. მეორადი სიფილისის შესაძლო ნიშანი.

ბილიარულ-კარდიული სინდრომი — მიოკარდიუმის ფუნქციურ დარღვევათა ჯამი (ავტომატიზმი, აგზნებადობა, გამტარებლობა) განვითარებული ქოლეცისტიტით გამოწვეულ მეტაბოლურ და რეფლექტორულ-ტოქსიკური ცვლილებების ფონზე. პირობითად ამ სინდრომს ყოფენ ორ ვარიანტად: ტკივილით (კარდიალგია) და უმტკივნეულოდ (გულის არითმია).

ბილროთ-ვენივარტერ-ბიურგერის დაავადება — ქვედა კიდურების სისხლძარღვების ანთებითი ხასიათის პირველადი დაავადებაა. ერთ შემ-

თხეევაში დასაწყისში პროცესი ერთი მხრივ, არტერიებშია, მეორე მხრივ, ვენებში. აღინიშნება თრომბოფლებიტის მიგრირება. ადგილი აქვს ასეეე ცისცერულ. სიმპტომოკომპლექსს. შესაძლოა დაზიანდეს ფილტვების, გულის, თავის ტვინის, თირკმელების, ბადურის მეზენტერიული სისხლძარღვები (არტერიები, ასევე ვენები). სინონიმები: ბიურგერის დაავადება, (ანუ ბიურგერის თრომბანგიტი, ანუ ბიურგერის ენდარტერიტი), ვისივარტერ-ბიურგერის დაავადება, მაობლიტირებელი თრომბანგიტი, ინტერმიტული მაობლიტირებელი თრომბანგიტი.

ბილშოვსკის სიმპტომი — თვალების ნებისმიერი უნებლიედ შეუღლებული მოძრაობის შეუძლებლობა. ამასთან მოძრავ სხეულზე ცქერის ფიქსაცია და თვალყურის დევნება შენახულია. აღინიშნება, მაგალითად, გ. ფანტული სკლეროზის დროს.

ბილშოვსკი-იანსკის დაავადება — გვიანი ამაუროზული იდიოპათია. ამაუროზული იდიოპათიის ფორმა — ამაუროზული იდიოპათია, რომელიც ვლინდება 3—4 წლის ასაკში, ორგანული ჭკუასუსტობის ნელი პროგრესირებით, კრუნჩხვების შეტევებით, ატაქსიით, მხედველობის ნერვის ატროფიით.

ბიმონდის სინდრომი. — იხ. სინონიმი ბარდე-ბიდლის სინდრომი.

ბინგის რეფლექსი — ფეხისგულებისაკენ თითების მოხრა კოჭ-წვივის სახსარში ტერფის შიგნითა ან გარეთა მხარეზე სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმის დროს. პირამიდული გზების დაზიანების სიმპტომი.

ბინგის სინჯი — შეფარდების განსაზღვრა ფილტვების ვენტილაციისა და ჟანგბადის ხარჯვას შორის მოსვენებულ მდგომარეობაში და ფიზიკურ დატვირთვის დროს. გვეხმარება გულის მდგომარეობის გამოკვლევაში ფილტვების წუთმოცულობის შეზღუდვისას.

ბინგ-ნელის სინდრომი — ჰიპერმაკროგლობულინემია ფსიქიკური მოვლენებით, რაც კავშირშია სიმსივნურ ინტოქსიკაციასთან ან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ავთვისებიანი სიმსივნის დისემინირებასთან. აღინიშნება ცხელება, ცხვირიდან სისხლდენა, აგზნებადობა, ფსიქიკისა და მხედველობის დარღვევა, პოლიმიელორადიკულიტი, აჩქარებული ედს-ი, ანემია, მაკროგლობულინემია, ჰიპერგლობულინემია.

ბინგ-ტოსიგის სინდრომი — გულ-სისხლძარღვთა თანდაყოლილი ანომალიების ფორმა. აორტის ტრანსპოზიცია, ფილტვის არტერიის მარცხენა პოზიცია, პარკუჭთაშუა ძგიდის მაღალი დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია. ნიშნები: ციანოზი — დაბადებიდან, პოლიციტემია, მაკარდიო, დოლის ჯოხისებრი ფორმის თითები, ძლიერი სისტოლური შუილი მკერდის მარცხნივ, მარჯვენა გულის გადაძაბვის ნიშნები. ანგიოკარდიოგრაფიით — აორტისა და ფილტვის არტერიის ერთდროული ავსება საკონტრასტო ნივთიერებით, აორტა უკეთესად კონტრასტირებს, ფილტვის არტერიის რკალი გაფართოებულია. სინონიმი: ტოსიგის სინდრომი II.

ბინდას სიმპტომი — მხარის უეცარი მოძრაობა ზემოთ, როცა ხდება თავის პასიური მოტრიალება მოპირდაპირე მხარისაკენ. აღენიშნება ტუბერკულოზური მენინგიტით ავადმყოფს დაავადების დასაწყისში.

ბინის სინდრომი — თანდაყოლილი ანგიოპათია, რაც კლინიკურად ვლინდება კანის ციანოზურ-კავერნოზულ ელასტიკურ ჰემანგიომებით და კუპ-ნაწლავის სისხლმდენი ჰემანგიომებით. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით.

ბინსვაგერის სინდრომი — ბინსვაგერის ათეროსკლეროზული ენცეფალოპათია, თავის ტვინის ათეროსკლეროზის ფორმა. ახასიათებს წვრილკეროვანი დაზიანებები და ტვინის მეორადი ატროფია. ვლინდება მეტყველებითი დარღვევებით, ეპილეფსიური გულყრებით და ჭკუასუსტობის განვითარებით.

ბიოპკის სინდრომი — თანდაყოლილი ექტოდერმული ანომალია, აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით: ნაადრევი ჭაღარა, ჰიპერჰიდროზი, პალმო-პლანტარული კერატოზი, ჰიპოდონტია.

ბიორკმან-ბეილმეირის სინდრომი — რკინადეფიციტური ანემია, განვითარებული ჰემოსინთეტაზის უკმარისობის შედეგად. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს რკინის შეღწევას პროტოპორფინის მოლეკულაში. შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი (ტყვიით მოწამვლა, პირიდოქსინის უკმარისობა, მძიმე ინფექციური ან კარცინომატოზური პროცესები).

ბიორნსტადის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ხეული თმები, წარბები და წამწამები, სიყრუე.

ბიოტის სუნთქვა — პერიოდული სუნთქვის ფორმა. ახასიათებს თანამიმდევრობა რითმული ერთგვაროვანი სუნთქვითი მოძრაობების, პაუზის, ხანგრძლივობით ნახევარ წუთამდე და მეტი. აღინიშნება თავის ტვინის ორგანული დაზიანებების, სისხლის მიმოქცევის დარღვევის, ინტოქსიკაციის, შოკის და ორგანიზმის სხვა მძიმე მდგომარეობის დროს, როცა ადგილი აქვს მოგრძო ტვინის ძლიერ ჰიპოქსიას.

ბირ-დოჯ-ნევინის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი, ნიშნები: შავი აკანტოზი, ჰიპერტელორიზმი, გაპობილი სასა, კბილების ნაადრევი ზრდა, ნაწილობრივი ანოდონტია, ძვლების ზრდის შეფერხება, პილორუსის ფუნქციური სტენოზი, ჰიპერკერატოზი და კანის ჰიპერპიგმენტაცია გენიტალიების მიდამოში, საოესლე პარკისა და ასოს გადიდება. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით.

ბირბაერის ვეგეტატიური წერტილები — მტკივნეული წერტილები სხეულის ზედაპირზე, რომელთა სხვადასხვაგვარი შეხამება დამახასიათებელია შინაგან ორგანოთა გარკვეული დაავადებისათვის.

ბირდის სინდრომი — სომატური დაავადების ან ნერვული გადაძაბვის ნიადაგზე ჩამოყალიბებული გარდამავალი ხასიათის „ნერვული სისტემის სისუსტე". აღინიშნება სისხლის მიმოქცევის მოშლა არტერიული ჰიპო ან ჰიპერტენზიის სახით, დერმოგრაფიული ცვლილებები (სწრაფი ჰიპერემია ან გაფერმკრთალება, ოფლიანობა), ცვლილებები დიგესტიკური ტრაქტის მხრივ (უმადობა, ბოყინი, შეკრულობა ან ფაღარათიანობა), სქესობრივი ფუნქციის მოშლა, ქუთუთოების, ენისა და ხელების წვრილი ტრემორი, სენსორული დარღვევები, დაბუჟება, ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება სხეულზე (ტკივილი კიდურებში, მთელ ტანში, კეფაში, ფსიქიკური მოშლილობა (შრომისუნარიანობის დაქვეითება, აგზნებადობა,

აფექტური ლაბილობა, გაძნელებული, მშფოთვარე ძილი, ძილიანობა დღისით).

ბირის ლაჭა — ქრონიკული ვაზოკონსტრიქციული ლაჭა, ვაზოპათიის გამოვლინების ფორმა. არაიშვიათად სისტემური ვასკულიტის ადრეული გამოვლინება. ნიშნები: ხელის მტევნებზე ანგიოსპასტისკური იშემიური ლაქები, კანი ამ ადგილებში მკრთალი და ცივია, ვიდრე სხვა უბნებში. პერიოდულად უძილობა, მუდმივი ტაქიკარდია. სინონიმი: მარშალ-უაიტის სინდრომი.

ბირმერის სიმპტომი — გულმკერდის პერკუსიის დროს ხმიანობის შეცვლა ავადმყოფის ტანის მდგომარეობასთან დაკავშირებით. ჯდომისას პერკუტორული ხმიანობა უფრო დაბალია, ვიდრე წოლის დროს. ჰიდროპნევმოთორაქსის ნიშანია.

ბირმერის სინდრომი — ბირმერის ანემია. ვიტამინ „B_{12}" დეფიციტური ანემია, ჰიპერქრომული მეგალობლასტური ანემია, მეგალო-ანიზო-პოიკილოციტოზით, რეტიკულოციტოთრომბოციტო და ლეიკოპენიით. სისხლში შესაძლოა ჰიპერბილირუბინემია. კლინიკურად გარდა აღნიშნულისა, ელინდება ანემიებისათვის ზოგადად დამახასიათებელი სურათით, ჰიპოანაციდური გასტრიტით, ფუნიკულური მიელოზით. მიზეზია ორგანიზმში ვიტამინ „ბე"-12 (ციანოკობალამინის) ეგზო ან ენდოგენური დეფიციტი. სინონიმები: ადისონ-ბირმერის სინდრომი, ჰუნტერ-ადისონის ანემია, ბირმერ-ერლიხის ანემია, ლებერტის ანემია, პერნიციოზული ანემია.

ბირმერის ფენომენი — პერკუტორული ხმიანობის სხვაობა პნევმოთორაქსის დროს ავადმყოფის მდებარეობის მიხედვით. უფრო დაბალი პერკუსიული ხმიანობა ავადმყოფის პირდაპირი მდებარეობის დროს.

ბირმერ-ერლიხის ანემია — სინონიმი: ბირმერის სინდრომი (იხ.), ადისონ-ბირმერის დაავადება, ჰუნტერ-ადისონის ანემია, ლესერტის ანემია.

ბირნ-კუნკელის სინდრომი — პირველადად ქრონიკული; მგლურას ჰეპატიტის ნაირსახეობაა. დაავადება იწყება პუბერტატულ პერიოდში და ელინდება მოთენთილობით, გარდამავალი სიყვითლით, სუბფებრილიტეტით, ართრალგიით, ტელეანგიექტაზიით, სისხლში აღინიშნება ჰიპერპროტეინემია, ჰიპერგამაგლობულინემია, ჰიპერბილირუბინემია. მოგვიანებით გამოიხატება ღვიძლის ციროზის სიმპტომატიკა პორტული ჰიპერტენზიით. პათომორფოლოგიურად ადგილი აქვს ნეკროზულ ჰეპატიტს, ქრონიკული ანთებით, უპირატესად, პლაზმურუჯრედოვანი ინფილტრაციით. სინონიმები: კუნკელის სინდრომი, ბირნ-კუნკელ-სლატერის სინდრომი.

ბირნ-კუნკელ-სლატერის სინდრომი — სინონიმები: ბირნ-კუნკელის სინდრომი (იხ.), კუნკელის სინდრომი.

ბირშ-ჰირშფელდის სიმსივნე — ადენომოსარკომა. ადენომიოციტოსარკომა. თირკმლის ადენოსარკომა. ნევრობლასტომა. ნეფრომა. ემბრიონული ნეფრომა. შერეული სიმსივნე თირკმლის, თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე ბავშვებში. გვხვდება ვარიანტები ნეფროგენული მეზენქიმიური ან ნეიროექტოდერმული ქსოვილის სიჭარბით და უჯრედთა სხვადასხვა დიფერენცირების ხარისხით. სინონიმი: ვილმსის სიმსივნე.

ბისმან-ბოლდვინის სინდრომი — მემკვიდრეობითი ხასიათის დაავადება, რომლის გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით ხდება. დაავადების მიზეზია თირკმლის მილაკებში იმიდაზოლინის დერივატების რეაბსორბციის დეფიციტი. ძირითადი ნიშნებია ამაუროზული იდიოტია და თირკმელების მილაკოვანი რეაბსორბციის დარღვევა.

ბისტრუპის დაავადება — ინტერსპინალური ოსტეოქონდროზი. ინტერსპინალური ართროზი. ხერხემლის მალების წვეტიანი მორჩების ქრონიკული ანთებადი ცვლილებები. აქედან ხანგრძლივი ტკივილი წელის არეში (განსაკუთრებით მოხრისა და დატვირთვის დროს). რენტგენოლოგიურად ფართო წვეტიანი მორჩები სკლეროზული კიდეებით, ოსტეოფიტები. დაავადება თანდაყოლილია, აღინიშნება ძირითადად 30—40 წლის ასაკში, უპირატესად გარკვეული პროფესიის პირებში (მაგალითად, მტკირთაველებში).

ბიტოს ლაქები — თეთრი მორუხო ლაქები კონიუნქტივაზე. მოგვაგონებს საპნის ქაფს, რომელიც არ სველდება არც ცრემლით და არც წყლით. ამას თან ერთვის ამბლიოპია. ვლინდება კონიუნქტივის გაქროპისას. არ არის დაკავშირებული ავიტამინოზ „ა"-სთან.

ბიტოს სიმპტომი — კერატომალაციის ადრეული ნიშანი, შეიძლება ავიტამინოზისა: სკლერებზე ჩნდება უფერული ლაქები. სინონიმები: დსკერსკი-ბიტოს ბალთები.

ბიტოს სინდრომი — ეპითელური ქსეროფტალმიის შეუღლება ჰემერალოპიასთან. აღინიშნება ვიტამინ „ა" უკმარისობის დროს.

ბიტორფის სიმპტომი — შარდ-კენჭოვანი დაავადების ნიშანია. ტკივილის გაძლიერება თირკმლების მიდამოში საკვერცხეების ზეწოლითი პალპაციის დროს.

ბიტორფ-ტუშინსკის სინჯი — ყურის ბიბილოდან აღებული კაპილარული სისხლის ნაცხის მიკროსკოპია, რომლის მიზანია რეტიკულოენდოთელიური უჯრედების აღრიცხვა. დიდი რაოდენობით ერთუჯრედიანი ვაკუოლირებული უჯრედები, რომელთაც ასევე ფაგოციტირებული ჩართვები აქვთ. დამახასიათებელია ქვემწვავე სეპტიკური ენდოკარდიტისათვის. მსგავსი უჯრედების მცირე რაოდენობა, ძირითადად არავაკუოლებული, რომლებიც არ შეიცავენ სხვა ჩართვებს, აღმოჩენილია ინფექციური ძრონონუკლეოზის, ლიმფოგრანულემატოზისა და პარტალტიანი ტიფის დროს.

ბილაუს დრენაჟი — პლევრის ღრუდან სითხისა და ჰაერის მოცილების მეთოდი მილისებური დრენაჟით, რომლის მეორე ბოლოზე მოთავსებული რეზინის სარქველი თავსდება სითხიან ჭილაში.

ბიურგერის დაავადება — სინონიმები: ვინივარტერ-ბიურგერის სინდრომი, ბილროთ-ვინივარტერ-ბიურგერის დაავადება (იხ.).

ბიურგერის სიმპტომი I — ფეხის თითებში პარესთეზიის გამოვლინება, ტკივილი და გაფერმკრთალება ტერფის მიდამოში, ფეხისგულში წვის შეგრძნობა მასზე სიცივით ზემოქმედების ან სიარულის დროს. აღინიშნება ფეხის სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევის მოშლის დროს.

ბიურგერის სიმპტომი II — ქვემო კიდურების მაობლიტერებელი ათეროსკლეროზის ან ენდარტერიიტის ნიშანი: ფეხის მაღლა აწევისას

მსუბუქ დაღლამდე ტერფის ძირი ღებულობს უსიცოცხლო ფერმკრთალ ფერს; ფეხის დაწევიდან 2—3 წუთის შემდეგ კი აღინიშნება ციანოზი.

ბიურგერ-გრიუტცის დაავადება — იდიოპათიკური ლიპოიდოზი. ესენციური ჰიპერლიპემია, ჰემატომეგალიური ჰიპერლიპოიდემია. იდიოპათიკური ურიალოზი. დაგროვების დაავადება. ახასიათებს კანის და ლორწოვანი გარსის ქსანტომატოზი, ჰეპატომეგალია, ლიპემია, ჰიპერქოლესტერინემია.

ბიურის სინდრომი — კანისა და ძვლების მემკვიდრეობითი ხასიათის ანომალიათა კომპლექსი: ხელისგულებისა და ფეხისგულების დიფუზური სიმეტრიული კერატოზი, დოლის ჯოხების მსგავსი თითები, ზოგადი ჰიპერჰიდროზი, წვივების მორეციდიული წყლულები, აკრომეგალოიდური გარეგნობა, ჰიპეროსტოზი და ლულოვანი ძვლების შედარებით გათხელებული კორტიკალური შრე.

ბიურნანის იმპრეგნაცია — ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, ბაცილარული ინტოქსიკაცია. ლატენტური ტუბერკულოზური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაში შეცვლილი რეაქტიულობით. ხასიათდება არასპეციფიკურ დარღვევათა შერწყმით (გაღიზიანება, დაღლილობა, თავის ტკივილი და ა. შ.), პოლიადენიტით და დადებითი ტუბერკულინის სინჯით, როცა არ არის ამა თუ იმ ორგანოს ლოკალური დაზიანების ნიშნები (მაგალითად, ფილტვების, პლევრის). სინონიმები: ენგელის ოკულტური ტუბერკულოზი, დიუფურას ლიმფური ტუბერკულოზი.

ბიურნეს სინდრომი — აღინიშნება ჰიპოფიზის კომპრესიის შედეგად შეყოვნებული სიმსივნური ზრდისას და გამოიხატება ჰიპოფიზარული ნანიზმის სიმპტომატიკით: ჯუჯა ტანი, ადიპოზოგენიტალური დისტროფია, მხედველობის ნერვის ატროფია.

ბიურნეს სინჯი — ბრუცელოზის დიაგნოსტიკური მეთოდი. წარმოადგენს კანის ალერგიულ სინჯს ბრუცელინით.

ბიურო-ბარეირის სინდრომი — არა ოჯახური წყლულოვანი ცრუსინრინგომიელია. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, უეითარდებათ ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულებს. კლინიკურად მსგავსია სირინგომიელიისა. ხასიათდება დისტროფიული პროცესებით ქვედა კიდურებზე, წყლულების, ანკილოზების, ართროპათიების წარმოშობით, ფრჩხილების ცვლილებებით, ტემპერატურული მგრძნობელობის ორმხრივი სიმეტრიული დაკარგვით, ტაქტილური და ტკივილის შეგრძნება შენახულია.

ბიფვერშტედტის კანის კეთილთვისებიანი ლიმფადენოზი — დაავადების მიზეზია ლიმფური სისტემის რეაქცია სხვადასხვა ინფექციურ ფაქტორზე. მიმდინარეობა კეთილთვისებიანი. კანში ჩნდება სხვადასხვა ზომის კვანძები, მორფოლოგიურად მსგავსი ბეკის სარკოიდისა, ლოკალიზაცია უმთავრესად გვხვდება ტანსა და კიდურებზე, უფრო იშვიათად სახეზე. სინონიმები: ჯადასონის ფსევდოლეიკემიური ინფილტრატი, შპიგლერ-ფენდტის სარკოიდი, კაუფმან-ეოლფის ლიმფოციტომა.

ბიშას ცხიმოვანი სხეული — ლოყის ცხიმოვანი სხეული — ბიშას კოშტები წარმოადგენს დაგროვილ ცხიმოვან ქსოვილს ლოყისა და საღეჭ კუნთებს შორის, მკაფიოდ არის გამოხატული ახალშობილებსა და ადრეული ასაკის ბავშვებში, რაც უშლის ძუძუს წოვას.

ბიშოფის სინდრომი — ეწოდება მეორე ტიპის გლიკოგენოზს. დაავადება გამოწვეულია 1,4 — გლიკოზიდაზის დეფიციტით, რის გამოც ყოვნდება გლიკოგენის დაშლა. ამას თან სდევს გლიკოგენის დაგროვება კუნთებში, მათ შორის მიოკარდიუმში, დაავადება მემკვიდრეობითია, ვლინდება ადრეულ ასაკში, გამოსავალი ლეტალურია (1 წლის სიცოცხლის ფარგლებში).

ბიცოცეროს უჯრედები — სისხლის ფირფიტები — სისხლის ფორმიანი ელემენტები ოვალური ან მრგვალი ფორმისა. წარმოადგენს ძვლის ტვინის მეგაკარიოციტის ციტოპლაზმის ნამსხვრევს, რომელიც მონაწილეობს სისხლის შედედების პროცესში.

ბიცოცერო-ნეიმანის კრისტალები — ბრტყელი უფერული კრისტალები, ოქტაედრების ფორმისა, გამოვლინდება ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევისას, ბრონქული ასთმის ან ასთმოიდური ბრონქიტის დროს. სინონიმი: შარკო-ლეიდენის კრისტალები.

ბიხოვსკის სიმპტომი — ავადმყოფს გულაღმა წოლისას არ შეუძლია დაზიანებული ფეხის აწეულ მდგომარეობაში გაჩერება, როცა მაღლა ასწევს ჯანმრთელ ფეხს. აღინიშნება ქვედა კიდურთა ცენტრალური პარეზის დროს. სინონიმი: გრასე-ბიხოვსკის სიმპტომი.

ბლანდ-უაიტ-გარლენდის სინდრომი — გულის სისხლძარღვთა განვითარების ანომალია, რომლის დროსაც მარცხენა გვირგვინოვანი არტერია იწყება ფილტვის ღეროდან. ვლინდება გულის უკმარისობის ნიშნებით 2—3 თვის ასაკში. სინონიმი: ანომალური მარცხენა კორონარული არტერიის სინდრომი.

ბლანტის დაავადება — წვივის დიდი ძვლის მადეფორმირებელი ოსტეოქონდროზი — წვივის დიდი ძვლის პროქსიმალური ბოლოს გამრუდება მოღუნული ფეხების ფორმირებით. გამოწვეულია მედიალურ ნაწილში ენდოქონდრული გაძვალების დარღვევით და ძვლის ქსოვილში ასეპტიკური ნეკროზის წარმოშობით. სინონიმი: ბლანტ-ერლაჰერ-ბიეზინია-ბარბერის სინდრომი.

ბლანტ-ერლაჰერ-ბიეზინია-ბარბერის სინდრომი — სინონიმი: ბლანტის დაავადება (იხ.).

ბლანშეს სინდრომი — კაუზალგია წვივის გარეთა ზედაპირის მიდამოში და ასევე ბარძაყსა და წელში, რომელსაც თან სდევს კანის ტროფიკის მოშლა წვივსა და ტერფზე, კუნთოვანი ჰიპოტონია და ფეხზე კუნთ-ძაუსთა რეფლექსების გამოვარდნა. ძირითადად აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს, როცა პროცესში ჩათრეულია წელის სიმფატიკური წნულები, გვხვდება უფრო ხშირად ქალებში.

ბლეგვად-ჰაუსტჰაუსენის სინდრომი — განვითარების ანომალიათა კომპლექსი. შეიცავს ანექტოდერმიას, ძვლების მსხვრევადობას, სკლერების სილურჯეს, ოტოსკლეროზს, კატარაქტას, კბილების ემალის დეფექტს.

ბლეიერის დაავადება — შიზოფრენია, დისკორდანტული ფსიქოზი, ნაადრევი ჭკუასუსტობა — ენდოგენური ფსიქიკური დაავადება უწყვეტი ან შეტევისმაგვარი მიმდინარეობით. გამოვლინდება პიროვნების შეცვლით (აქტიურობის დაქვეითება, ემოციური გაღარიბება, აუტიზმი) და სხვადასხვა პროდუქტიული სიმპტომებით (ბოდვა, ჰალუცინაციები, კატატონია და სხვ.).

ბლეიერის ენდოკრინული ფსიქოსინდრომი — ფსიქიკური და ფიზიკური აქტივობის დაქვეითება, მოქანცულობა, შერწყმული ხასიათის არამოტივირებულ დარღვევასთან, დარღვევები აღინიშნება აგრეთვე გატაცების სფეროშიც. დამახასიათებელია ზოგიერთი ენდოკრინული დაავადებისათვის.

ბლეიერის სინტონია — ბლეიერის შეთანხმებულობა — პიროვნების კონსტიტუციური ტიპი. ახასიათებს გაწონასწორებულობა, მთლიანობა, თანაზიარობა, შინაგანი წინააღმდეგობრიობის არარსებობა და გარეგნული უკონფლიქტობა.

ბლეილერის სიმპტომი — ჰალუცინაციის ნაირსახეობა ფსიქიკური დაავადებების დროს. ავადმყოფი ზურგს უკან ხედავს ადამიანთა ფიგურებს.

ბლეილერის ტრიადა — აზროვნების (ასოციაციური კავშირების), ემოციის (პარათიმია, აფექტური სიჩლუნგე და თვითშეგნების გარიყვა) დარღვევათა შერწყმა. ასეთ მოვლენას განიხილავენ, როგორც შიზოფრენიის ძირითად (პირველად) გამოვლინებას.

ბლეილერის შიზოპათია — შიზოიდური ფსიქოპათიის გამოხატული ხარისხი.

ბლეისფორდ-მორკიოს სინდრომი — მეოთხე ტიპის მუკოპოლისაჭარიდოზი. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. კლინიკურად აღინიშნება დისპროპორციული, დაბალი ან ჯუჯა ტანი, მოკლე კისერი ან წელი, ქათმის მკერდი, კიფოზი, კიფოსკოლიოზი, იქსის მსგავსი ფეხები და ბრტყელტერფიანობა, დაზიანებულია კბილის ემალი, გენეტიკური დეფექტი პირველად რეალიზდება შეშაერთებელ ქსოვილში მუკოპოლისაჭარიდების მოჭარბებული ჩალაგებითა და შარდთან კერატანსულფატის და დერმატინსულფატის გამოყოფის ზრდით, რასაც თან სდევს ეპიფიზური ხრტილის დაშლა, ლულოვან ძვლების მეტაფიზების გაგანიერება და დამოკლება, ხერხემლის მალების გაბრტყელება. სინონიმი: მორკიოს სინდრომი, ულრიხ-მორკიოს სინდრომი.

ბლექსლენდის სიმპტომი — დადებითია საკვერცხის მსხვილი კისტოზის დროს. ვლინდება შემდეგნაირად: მუცელზე თეძოს ძვლის წინა — ზემო წვეტების ზევით გარდიგარდმო ვდებთ სახაზავს და ვაჭერთ მას ხელს, კისტომის არსებობის შემთხვევაში ვიგრძნობთ მუცლის აორტის პულსაციას, ხოლო თუ მუცლის ღრუში ადგილი აქვს თავისუფალ სითხეს — ასციტს, პულსაცია არ იქნება.

ბლეხმანის ნიშანი — ავადმყოფი საწოლში ღებულობს მჯდომარე მდგომარეობას, ტანი გადმოხრილია წინ, თავი ბალიშზე უდევს, მუხლები

მიდებული აქვს გულმკერდზე. ეს პოზა უმცირებს ტკივილს და ჭოშანს. დამახასიათებელია პერიკარდიტისათვის.

ბლოკის სინდრომი — ისტერიული მდგომარეობის გამოვლინება ადგომის ან სიარულის შიშით ანდა უუნარობით.

ბლოხ-ზულცბერგერის მელანობლასტოზი (ანუ სინდრომი) — პიგმენტური დერმატოზი, დერმის დეგენერაციული მელანოზი, ოჯახური ქრომატოფილური ნევუსი — მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს სხეულის გვერდით ზედაპირებზე დაბადებიდან მოკლე დროში ახირებელი ფორმის პიგმენტური ლაქების წარმოქმნა, რომელიც შერწყმულია კბილების, თმების, თვალების და განვითარების სხვა ანომალიებთან. გვხვდება გოგონებში. სინონიმი: სიმენს-ბლოხის პიგმენტური დერმატოზი.

ბლუმბერგერის მაჩვენებელი — მიოკარდიუმის შეკუმშვადობის მაჩვენებელი, რომელიც ტოლია ელექტროკარდიოგრამისა და სინქრონულად ჩაწერილი ფონოკარდიოგრამის მეორე ტონს შორის არსებული ინტერვალის ხანგრძლივობის შეფარდებას განდევნის პერიოდის ხანგრძლივობასთან, რომელიც განსაზღვრულია სფიგმოგრამაზე.

ბლუმბერგის სიმპტომი — მუცელში ტკივილის გაძლიერება, მუცლის ფარის მსუბუქი პალპაციის შემდეგ. პერიტონიტის ნიშანი. სინონიმი: შჩეტკინ- ბლუმბერგის ნიშანი.

ბლუმენზატის სინდრომი — პროსტატოპათია, პროსტატის ნეკროზი, პროსტატორეა. უროგენიტალური სისტემის ნეიროვეგეტატიური რეგულაციის დარღვევა მამაკაცებში. შარდიდან დაცლის ფუნქციური დარღვევები. ნიშნები: პოლაკიურია სიცივეზე და ნერვიულობის დროს, დიზურია, სქესობრივი ფუნქციის დარღვევა (სუსტი ერექცია, თესლის ნაადრევი დაღვრა), დიზესთეზია შორისის მიდამოში — სიცივის შეგრძნება, ჰიპო ან ჰიპერესთეზია, ქავილი, პროსტატორეა, თესლის სპონტანური დაქცევა დეფეკაციის ან შარდვის დროს. რექტალური გასინჯვით წინამდებარე ჯირკვლის ზომიერი გადიდება და მტკივნეულობა. სინონიმები: პოზნერის სიმპტომი, ალკენის სინდრომი.

ბლუმერის სიმპტომი — სწორი ნაწლავის წინა კედლის წინ წამოწევა, ვლინდება თითით გასინჯვისას, როცა დაგროვილია სითხე (ჩირქი, სისხლი). იგივე გამოვლინდება, როცა სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს ჩაღრმავებაში სიმსივნეს აქვს ადგილი — ქალებთან, ასევე სწორი ნაწლავისა და შარდის ბუშტის ჩაღრმავებაში — კაცებთან.

ბლუმის სინდრომი I — ჩონჩხის განვითარებაში ჩამორჩენის შერწყმა ჰიპოფიზურ ქონდრისკაცობასთან და ჰიპოგონადიზმთან, თანდაყოლილ ტელეანგიექტაზიებთან სახეზე, კერატოზსა და ჰიპერპიგმენტაციასთან — სხეულზე. გამოვლინდება ბავშვთა ასაკში.

ბლუმის სინდრომი II — სინონიმები: ბაი-უოტერსის სინდრომი (იხ.), პაქსონის სინდრომი.

ბოა-მათიეს სინდრომი — აკორია. სიმაძღრის შეგრძნების დაკარგვა. ჩვეულებრივ ერთდროულად ხდება ზოგადი დაძაბუნება, სიცივის შეგრძნება, უძილობა, დარღვევები კუჭ-ნაწლავისა და ფსიქიკის მხრივ.

ბოახის მტკივნეული წერტილები — მტკივნეული უბნები, რომლებიც

არაიშვიათად აღინიშნება ღრმა პალპაციის დროს კუჭის წყლულოვანი დაავადების (მარცხნივ პარაევრტებრულად გულმკერდის V და წელის I მალის დონეზე) ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის (იქვე — მარჯვნივ), ანდა ასევე ნაღველკენჭოვანი დაავადებისას (გულმკერდის მალის) მარჯვნივ 8,5 სმ-ზე წვეტიან მორჩიდან.

ბოასის სიმპტომი I — ბოასის მტკივნეული წერტილების (იხ.) არსებობა. აღინიშნება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ან ნაღველკენჭოვანი დაავადების დროს.

ბოასის სიმპტომი II — კუჭის შიგთავსში დიდი რაოდენობით რძის ჩქავა, გეხვდება კუჭის კიბოს დროს.

ბოასის სიმპტომი III — კანის ჰიპერესთეზიული ზონის არსებობა მარჯვენა ფერდქვეშა არეში ქოლეცისტიტის დროს.

ბოას-ევალდის საუზმე I — საცდელი საუზმე — შედგება 35 გ გამხმარი თეთრი პურისა და 400 მლ თბილი წყლისაგან. გამოიყენება კუჭის სეკრეციის სტიმულაციისათვის მისი გამოკვლევის დროს.

ბოას-ევალდის საუზმე II — საცდელი საუზმე, რომელიც გამოიყენება კუჭის სეკრეციის სტიმულაციისათვის მისი გამოკვლევის დროს. შემადგენლობა: ერთი ჭიქა თბილი წყალი (ან ჩაი 200 მლ) და 50 გ გამხმარი თეთრი პური.

ბოგარტის პროგრესიული ატროფია — ხასიათდება კუნთთა ტონუსის მზარდი მატებით, უნებლიე მოძრაობით კიდურებში და სახეზე, სპასტიკური კისერმრუდობით, ტორზიული სპაზმის მოვლენებით.

ბოგარტ-შერერ-ეპშტეინის სინდრომი — ნორმოლიპემიური ქსანტომატოზი. მიეკუთვნება ქოლესტერინის ცვლის ოჯახური ხასიათის მოშლილობათა რიცხვს. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული გზით. აღინიშნება იმბეცილობა, დამსკდარი, მშრალი მოყვითალო ელფერის კანი, ქუთუთოების ქსანტელაზმები, ქვემო კიდურების და მყესების მრავლობითი ქსანტომები, თმების დისტროფიული ცვლილებები, ჰიპოგენიტალიზმი, კბილების დაცვენა, ორმხრივი ოუვენილური კატარაქტა, ნელა პროგრესირებადი ბულბარული დამბლა, ოსტეოპოროზი, კიფოსკოლიოზი. დამახასიათებელია გულის იშემიური დაავადების და მიოკარდიუმის ინფარქტის ახალგაზრდა ასაკში განვითარება. ქოლესტერინის შემცველობა სისხლში ნორმალურია ან დაქვეითებული.

ბოგარტ-ჰოზეს სინდრომი — თანდაყოლილი კომპლექსური მეზოექტოდერმული დისპლაზია: ზოგადი კერატოზი, ფრჩხილების დისტროფია, მოკლე კიდურები, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლა, პულსაცია პერიფერიულ სისხლძარღვებზე არ ისინჯება, აკროციანოზი, სახის დისპლაზია — ასიმეტრიით, ბრტყელი ცხვირით, განუვითარებელი ნიკაპით, მიხორცებული ყურის ბიბილოები, წამწამების და წარბების შეთხელება; ჰიპერტელორიზმი, მიოპათია, ასიგმატიზმი. სინონიმი: ჰოზეს სინდრომი.

ბოგერტის დაავადება — სუბქრონიკული მასკლეროზირებელი ლეიკოენცეფალიტი. ნიშნები: აგნოზია, აპრაქსია, სიყრუე, კინეტიკური გაღი-

ზიანება, პირამიდული და ფსიქიკური დარღვევის სიმპტომები. ეტიოლოგია და პათოგენეზი უცნობია.

ბოგერტ-ხვირსტის სინდრომი — ხასიათდება ჭორეული მოძრაობით პირის ღრუს ირგვლივ, სხეულის სხვადასხვა ნაწილის კუნთთა კრუნჩხვებით, რომელიც ვრცელდება დიაფრაგმასა და ხორხზე.

ბოგოლეპოვის სიმპტომი I — ქუთუთოების ჰიპოტონიის სიმპტომი. ცენტრალური დამბლის შემთხვევაში იმავე მხარეს მაღლა აწეული ქუთუთოს შედარებით უფრო დაყოვნებული დაშვება. აღენიშნება ავადმყოფს კომატოზურ მდგომარეობაში.

ბოგოლეპოვის სიმპტომი II — როტატირებული ტერფის ნიშანი. ტერფი არასრულ მდგომარეობაში დაბრუნდება მას შემდეგ, რაც ცენტრალური დამბლის მხარეს მოხდება მისი როტირება გარეთა მხარეს. აღენიშნება ავადმყოფს კომატოზურ მდგომარეობაში.

ბოგოლეპოვ-ლოკა-პირის სიმპტომი — კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის ლოყის შტრიხული მოძრაობით გაღიზიანებისას ადგილი აქვს გაღიზიანების მხარეს პირის კუთხის გაწევას და კბილების გამოჩენას.

ბოგორადის სიმპტომი — ნიანგის ცრემლების სიმპტომი — ჭამის დროს ცრემლიანობა სახის ნერვის დაზიანების მხარეს.

ბოდამერის სიმპტომი — ნაცნობ პირთა სახისა და ფოტოგრაფიული სურათის ცნობის უნარის დაკარგვა. ფსიქიკური დარღვევის ნიშანია.

ბოდუენის კოეფიციენტი — ჰიპერგლიკემიური კოეფიციენტი — ნახშირწყლების ცვლის მდგომარეობის მაჩვენებელი. წარმოადგენს პროცენტებში გამოხატულ შეფარდებას შაქრის ერთჯერადი დატვირთვით მიღებულ გლიკემიის დონეს უზმოზე სისხლის მაჩვენებელთან.

ბოერჰაავის დაავადება — რინოკლაიდოზი, ქრონიკური მიკოზი, იწვევს პარაზიტული სოკო სპოროტრიქუმის ჯგუფისა, რომელიც ძირითადად აზიანებს კანს და კანქვეშა ქსოვილს. დამახასიათებელია დაწყლულებული კვანძები ლიმფური ძარღვების მიმართულებით. იშვიათად ზიანდება კუნთები, ძვლები და შინაგანი ორგანოები. სინონიმი: შენკის დაავადება.

ბოვენ-ალენის დაავადება — ფილტვების ხანმოკლე (8—10 დღიანი) დაავადება, რომელსაც იწვევს ფილტრში გამავალი ვირუსი. ნიშნები: საერთო მოდუნება, ტემპერატურის მომატება, სისხლიანი ნახველი. რენტგენოლოგიურად: ცალკეული შემოფარგლული სამკუთხოვანი ჩრდილები, ჩვეულებრივ მარჯვნივ ჰილუსის ირგვლივ ქვევით, პროგნოზი კარგი.

ბოთლის მსგავსი ფეხების სიმპტომი — ფეხების ფორმა, რაც გადმობრუნებულ ბოთლს მოგვაგონებს. მემკვიდრეობითი ნევრალური ამიოტროფიის ნიშანია. გამოწვეულია ტერფის კუნთების ატროფიით.

ბოიარ-ჰელმანის სინდრომი — შეძენილ ენდოკრინულ მოშლილობათა კომპლექსი. მამაკაცებში: თირკმელზედა ჯირკვლების ნოდოზური კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია, ფემინიზაცია, გინეკომასტია.

ბოიდენის საუზმე — საცდელი საუზმე, რომელიც შედგება ორი კვერცხის გულისა და ერთი ჭიქა ნაღებისაგან. გამოიყენება ნაღველის

პუშტის მოტორიკის სტიმულაციისათვის, მისი რენტგენოლოგიური გა-
მოკვლევისათვის.

ბოიდ-სტერნსის სინდრომი — თირკმლის მემკვიდრეობითი მილა-
კოვანი უკმარისობა ჰიპოქლორემიული რენული აციდოზით და მოგვია-
ნებითი რაქიტით, დაავადება ვლინდება ადრეულ ასაკში ზრდაშე ჩამორ-
ჩენით, მოგვიანებითი რაქიტით. პოლიურიით, ალბუმინურიით, არამუდ-
მივი გლიკოზურიით. სისხლში აღინიშნება ტუტოვანი რეზერვის შემცი-
რება, ჰიპოქლორემია, ჰიპერფოსფატემია. არც თუ იშვიათია პაროქსიზ-
მული დამბლები. გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული ან აუტოსომურ-
დომინანტურია.

ბოირენის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი:
აორტის სუპრავალვულური სტენოზი, ფილტვის არტერიების მრავლო-
ბითი სტენოზი, გულის ჰიპერტროფია, მცირე წრის ჰიპერტენზია,
იდიოპატიკური ჰიპერკალციემია, ჰიპოდონტია, კბილების მინერალი-
ზების ჩამორჩენა, ქვედა ყბის ჰიპოპლაზია, სახის შეშუპება, ფართო
შუბლი. სინონიმი: ვილიამს-ბარატ-ბოიე-ლოუს სინდრომი.

ბოირმან-გუეეროს დაავადება — სპოროტრიქოზი. გამომწვევია სპო-
როტრიქი შენკი და სხვ. სოკო საფროპირებს მცენარეებსა და ნიადაგში.
დასნებოვნება ხდება დაზიანებული ეპიდერმისიდან. თავდაპირველად
ჩნდება კვანძი, რომელიც წყლულდება, შემდეგ ასევე ლიმფური ძარღვების
გასწვრივ. ჩვეულებრივ ზიანდება ერთი კიდური, შეიძლება გავრ-
ცელება ლორწოვანზე (პირის ღრუს) და შინაგან ორგანოებში (ფილტ-
ვები), კუნთებსა და ჩონჩხში.

ბოისის სიმპტომი — დამახასიათებელია კისრის გვერდით მხარეზე
ზეწოლისას ყურყურისებური ხმიანობის წარმოშობა, რაც საყლაპავის
კისრის მონაკვეთში დიდი ზომის დივერტიკულის ნიშანია.

ბოიხისის სინდრომი — თირკმლების, ღვიძლის და თვალების მემ-
კვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი — ადგილი აქვს თირკმლის ტვი-
ნოვანი შრის პოლიკისტოზს, ინტერსტიციულ ნეფრიტს, გლომერულო-
სკლეროზს, პერიგლომერალურ ფიბროზს, ბაზალური მემბრანის კეროვან
შესქელებას, ნეფრონოფტიზს, ღვიძლში — პერილობულარული ფიბროზი,
თვალის ფსკერზე — ბადურაზე სისხლძარღვთა შევიწროება, მხედვე-
ლობის ნერვის დერილის მუქი ლაქოვანი პიგმენტაცია, მრავლობითი
თეთრი წერტილები. დამახასიათებელია საერთო სისუსტე, ზომიერი
პროტეინურია, პოლიურია, ჰეპატო-სპლენომეგალია, თირკმლების ქრო-
ნიკული უკმარისობის თანდათანობითი ნელი განვითარება.

ბოკჰარტის იმპეტიგო — სტაფილოკოკური იმპეტიგო. ფოლიკუ-
ლური ზედაპირული სტაფილოდერმია. სტაფილოკოკური ზედაპირული
ფოლიკულიტი. იმპეტიგო გამოწვეულია სტაფილოკოკებით. ახასიათებს
თმიანი ფოლიკულების დაზიანება.

ბოლდირევის მეთოდი — ინსულინის სინჯი — კუჭის სეკრეციის
სტიმულაციის მეთოდი კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გამოკვლევა-
სათვის. ამისათვის ინსულინი შეჰყავთ კანქვეშ.

ბოლივიის ჰემორაგიული ცხელება — იწვევს ადენოვირუსი. დამა-

ნასიათებელია კლინიკური სურათი, მსგავსი არგენტინული ჰემორაგიული ცხელებისა (იხ), მაგრამ მემდინარეობს უფრო მძიმედ. ეპიდემიურია სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი რაიონისათვის.

ბომეს სიმპტომი — ტკივილი მკერდს უკან სტენოკარდიის დროს.

ბოხგეფერის ასოციაციური აპრაქსია — აპრაქსია იდეატორული. აპრაქსია, რომლის დროსაც ავადმყოფს არ შეუძლია შეადგინოს თანმიმდევრული მოძრაობების გეგმა რთული მოძრაობითი აქტის შესასრულებლად. სინონიმები: მარკუზეს აპრაქსია, პიკის იდეატორული აპრაქსია.

ბონეს დუნდულოს სიმპტომი — დუნდულოს ნაკეცების გადასწორება ან სრული გაქრობა, გაეა-წელის ქრონიკული რადიკულიტის დროს. შეპირობებულია დუნდულოს არეში კუნთების ჰიპოტონიით.

ბონეს კონტრაქტურა I — კონტრაქტურა, გამოწვეული სახსართა ტუბერკულოზური დაზიანებით, რასაც თან სდევს სწრაფად განვითარებულ კიდურთა კუნთების ატროფია.

ბონეს კონტრაქტურა II — მოხრილი კონტრაქტურა მხრის სახსარში მოტეხილობის შემდეგ.

ბონეს მღვიმოვანი სინუსის სინდრომი — მღვიმოვანი სინუსის თრომბოზის სინდრომი. კავერნოზული სინუსის სინდრომი — სრული ოფტალმოპლეგიის შეთავსება ეგზოფტალმთან, შუბლის არეში და თვალბუდეში ტკივილთან, ქუთუთოებისა და სახის შეშუპებასთან. აღინიშნება მღვიმოვანი თრომბოზის მხარეს.

ბონეს ნიშანი — 10-ჯერ ჩასუნთქვის შემდეგ აღინიშნება სისტოლური წნევის მსუბუქი მომატება და დიასტოლურის დაქვეითება — ზოგჯერ ნულამდე. დაღებითია ბოტალოს ღია სადინარის დროს, როცა არის მნიშვნელოვანი შუნტი.

ბონეს სიმპტომი — ფეხის პასიური მოხრისას მენჯ-ბარძაყისა და მუხლის არეში ამ მდგომარეობაში შემდგომი ფიქსაციით აღინიშნება ტკივილი საჯდომი ნერვის გაყოლებით. იშიალგიის სიმპტომი.

ბონეს სინდრომი — დამახასიათებელია აორტის თანდაყოლილი კოარქტაციის შეუღლება ბადურის არტერიების დაკლაკნასა და დაეწრეობასთან.

ბონეს ტიპი ჰალუცინაციებისა — მხედველობითი ან სმენითი ჰალუცინაციები, რომლებიც ჩნდება პერიფერიული სიბრმავის ან სიყრუის დროს. უვითარდებათ უპირატესად ხანშიშესულ პირებს საკმაოდ შენახული ინტელექტის ფონზე.

ბონე-დეშომ-ბლანკის სიმპტომი — მენინგო — რეტინო — სახის ცალმხრივი ანგიომები.

ბონე-ულრიხის სინდრომი — განვითარების ანომალია: კისერზე კანის ნაკეცები აკრომიონსა და დერილისებრ მორჩს შორის დანაოჭებულია, შერწყმულია კიდურთა მრავალმხრივ ცვლილებებთან (სინდაქტილია, კლინოდაქტილია, ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა და ა.შ.). ამას თან ახლავს ლიმფანგიექტაზიები და ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა ზედაპირის შეშუპება. სინონიმი: ულრიხის სინდრომი.

ბონიეს სინდრომი — თავბრუს, კიდურების კანკალის, მხედველო-

ბის და სმენის დარღვევის შერწყმა, აღინიშნება დეიტერსის ბირთვის და ვესტიბულური აპარატის გაძტარი გზების დაზიანების დროს.

ბოჰჭეფერის ასთენია — ინფექციური ასთენია, რომელიც ვითარდება ინფექციური დაავადების მიმდინარეობისას ან მის შემდეგ.

ბორბელის სინდრომი — ყალიბდება ორგანული წარმოშობის გამოსხივებით მოწამვლისას: გულისრევა, პირღებინება, ტაქიკარდია, შეუფერებია ძეგრძნება, თავის ტკივილი.

ბორდე-ფრენკელის სიმპტომი — თვალის კაკლის მოჩვენებითი გადაადგილება ზემოთ, ზედა ქუთუთოს ჩამოწევის გამო, მიმიკური კუნთების პერიფერიული დამბლის მხარეს.

ბორის ეფექტი — ოქსიჰემოგლობინის დისოციაციის ხარისხი დამოკიდებულია ნახშირორჟანგის პარციული წნევის დონესთან ჰაერსა და სისხლში, რომლის დაქვეითების დროს ჟანგბადის მსგავსება ჰემოგლობინისადმი შატულობს, რაც ართულებს ჟანგბადის გადასელას კაპილარებიდან ქსოვილში. სინონიმები: ვერიგოს ეფექტი, ვერიგო-ბორის ეფექტი.

ბორისოვის სიმპტომი — თირკმლის ჰეალის შემთხვევაში ტკივილი წელის მიდამოში მნიშვნელოვნად მცირდება, თუ იქ შეავასხურებთ ქლორეთილს.

ბორნჰოლმის დაავადება — „ბ“ ჯგუფის კოქსაკის ვირუსით გამოწვეული ეპიდემიური ხასიათის დაავადება. პირველად დადგენილ იქნა კუნძულ ბორნჰოლმზე. კლინიკური სურათი ხასიათდება მეცლის და გულ-მკერდის კუნთების ძლიერი ტკივილით, სიცხიანობით, ზემო სასუნთქი გზების გაღიზიანებით. პროგნოზი დადებითია. სინონიმები: დაეს დაავადება, ფინზენ-დაეს დაავადება, სილვესტრის დაავადება, ეპიდემიური მიალგია, მწვავე ეპიდემიური მიოზიტი.

ბოროვსკის დაავადება — სინონიმები: ალიბერის დაავადება (იხ.), ალიბერ-ბაზენის დაავადება.

ბოროშა-კორანის სინდრომი — ჰემორაგიული თრომბოციტოპენიის ნიშნები მეგაკარიოციტური ლეიკოზის მწვავე სტადიის დროს.

ბორხიერის სიმპტომი — დამახასიათებელია ქუნთრუშის დროს: კანზე ფრჩხილის გასმისას რჩება თეთრი ზოლი, რომელიც სწრაფად იქცევა მუქწითლად.

ბორსტ-იადასონის ინტრაეპიდერმული ეპითელიომა — ბაზალიომის ნაირსახეობა, ძირითადად განლაგებულია ტანის კანზე. სინონიმი: იადასონის კანის ეპითელიომა.

ბორხარდტის ტრიადა — მახვილისებრ მორჩის ზემოთ შებერვის, გულისრევისა და კუჭში ზონდის შეყვანის შეუძლებლობის შერწყმა. აღგილი აქვს კუჭის გადაგრეხის დროს.

ბოს სინდრომი — გულის პარკუჭთა ასისტოლია გამტარებლობის ფუნქციის ამა თუ იმ დარღვევისას (სინოარიკულარული, ატრიოვენტრიკულური ბლოკადა).

ბოს ხაზები — განივი ღარები, განივი ჩანაჭდევები ფრჩხილებზე.

აღინიშნება სხვადასხვა სახის ტროფიკული დარღვევების (მოშლილობის) დროს. ასეთებია: მძიმე ინფექციური გახანგრძლივებული დაავადებანი: ტეტახია, რეინოს დაავადება, სირინგომიელია, ხანგრძლივი უმშელობა.

ბოსვილის სინდრომი — მწვავე სისხლჩაქცევა რბილ სასაში. ავადმყოფს უეცრად ეუფლება უცხო სხეულის შეგრძნება ყელში, გულისრევა, მოხრჩობის გრძნობა, ყლაპვის მოშლა, უჭირს ლაპარაკი. წოლით მდგომარეობაში სიმპტომების გამოვლინებები მატულობს. ობიექტურად ვლინდება რბილი სასის მრავლობითი ჰემატომები. გვხვდება მხოლოდ ასაკსრულთა შორის. წარმოშობის მხრივ პოლიეტიოლოგიური ხასიათისაა. სისხლის კოაგულაციური თვისებებისმიერი ძვრები არ აღინიშნება. სინონიმი: მარტინ-ბოსვილის სინდრომი.

ბოსტონის ეგზანთემა — ანუ ეპიდემიური ეგზანთემა — მწვავე ინფექციური დაავადება, იწვევს ვირუსი. დამახასიათებელია ცხელება, ინტოქსიკაციის საერთო მოვლენები და მაკულო-პაპულოზური გამონაყარი.

ბოსტონის სიმპტომი I — ქვემოთ დაწევისას თვალს ჩამორჩება ზემო ქუთუთოს დაშვება. ამ დროს ფერად გარსსა და ზემო ქუთუთოს შორის რჩება სკლერის თეთრი ზოლი. აღინიშნება თირეოტოქსიკოზის და სხვა მიზეზით გამოწვეული ეგზოფტალმიის დროს. სინონიმი: გრეფეს სიმპტომი.

ბოსტონის სიმპტომი II — ზედა ქუთუთოს ბიძგისმიერი დაშვება ქვემოთ დასვედვისას. ტოქსიკური ჩიყვის ნიშანი.

ბოსტრუპის სინდრომი — (იგივე ბოსტრუპის ფენომენი) — ხერხემლის წვეტიანი მორჩების დეფორმაცია, განვითარებული მათი ერთმანეთზე შეწოლის გამო ძლიერი ლორდოზის დროს წელის არეში. რენტგენოლოგიურად წანაზარდები ვლინდება ვერტიკალურად გაფართოებული და მათ ზედა და ქვედა ბოლოს კიდეებში წარმოიშვება ოსტეოფიტები. დამახასიათებელია ტკივილი წელის არეში წელში გაშლისას.

ბოტალოს სადინარი — არტერიული სადინარი. სისხლძარღვი, რომელიც აერთებს ნაყოფის ფილტვის ღეროს აორტასთან. დაბადების შემდეგ ცარიელდება და რედუცირდება ფიბროზულ ზონრად. არტერიული სადინარის შეუხორცებლობა — გულის თანდაყოლილი მანკია.

ბოტკინის დაავადება — ინფექციური ჰეპატიტი, ჰეპატიტი A, ეპიდემიური ჰეპატიტი. ვირუსული სიყვითლე. კატარალური სიყვითლე. ეპიდემიური სიყვითლე. ვირუსული ჰეპატიტი, რომელსაც ახასიათებს ინფექციის გადაცემა ფეკალურ-ორალური გზით. ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 3—6 კვირა და უფრო ხშირად იწყება მწვავედ, ტემპერატურის მომატებით.

ბოტკინის მწუერის რიტმი — მწუერის რიტმი, მეორე ტონის გაორება, შოისმენება გულის მწვერვალსა და ბოტკინ-ერბის წერტილში (იხ.) აღინიშნება მარცხენა წინაგულ-პარკუჭის ხვრელის დავიწროების დროს. შეპირობებულია მიტრალური სარქველის გაღებით აღძრული ღამატებითი ტონით (ტკაცუნით).

ბოტკინის სიმპტომი I — გულის ასიმეტრია მისი მარცხენა ნახევ-

რის განვითარებაში ჩამორჩენის შედეგად ბავშვთა ასაკში შეძენილ მარცხენა წინაგულ-პარკუჭის ხერელის რევმატიული შეკიწროების გამო.

ბოტკინის სიმპტომი II — კრეპიტიული და წერილბუშტუკოვანი სველი ხიხინი, რომელიც მოისმინება არამუდმივად გულის ზედა და მარცხენა საზღვართან, როცა მარცხენა წინაგულ-პარკუჭოვანი ხერელი შეკიწროებულია. მიზეზია გადიდებული წინაგულის დაწოლა ფილტვის ქსოვილზე.

ბოტკინის სიმპტომი III — ქოლეცისტოკორონარული სიმპტომი — ტკივილი გულის არეში, როცა ადგილი აქვს პათოლოგიურ პროცესს ხაღლის ბუშტის მიდამოში (ქოლეცისტიტი, ნაღველქვებოვანი დაავადება და ა. შ.). სინონიმი: ბოტკინ-კუშელევსკის სიმპტომი.

ბოტკინის შუილი — აუსკულტაციური ფენომენი: გულის მწვერვალზე პირველი ტონის გაძლიერება, მიტრალური სარქველის გაღების ტონის არსებობა, ფილტვის არტერიაზე მცირე ტონის გაპობა და ასევე III და IV დამატებითი ტონები, რომლებიც ჩვეულებრივ არ ისმის. აღნიშნებათ ავადმყოფებს მიტრალური სტენოზით და მოციმციმე არითმიის დროს.

ბოტკინის წერტილი — გულმკერდის წინა ნაწილის ზედაპირზე უბანი IV ნეკნთაშუა არეში. მარცხენა სტერნალურ და პარასტერნალურ ხაზებს შორის, სადაც ყველაზე გამოკვეთილად მოისმინება რიგი აკუსტიკური გამოვლინებისა, რაც ახასიათებს გულის მიტრალურ მანკებს, აორტის სარქველის ნაკლოვანებას. სინონიმები: ერბის წერტილი, ბოტკინ-ერბის წერტილი.

ბოტკინ-ერბის წერტილი — სინონიმი: ერბის წერტილი, ბოტკინის წერტილი (იხ.).

ბოტკინ-კუშელევსკის სიმპტომი — იხ. სინონიმი: ბოტკინის სიმპტომი III.

ბოუენის დაავადება — ბოუენის დისკერატოზი. მუხუდოსებრი დისკოიდური დისკერატოზი — კანის შიდა ეპიდერმული კიბო. მკაფიოდ შემოფარგლული ბალთის სახით, შემაღლებული კიდეებით. მიკროსკოპულად ხასიათდება ეპიდერმისის აკანტოზით, მიტოზურად აქტიური ატიპიური უჯრედებით მორჩის ფენის სისქეში. ხშირად გარდაიქმნება ინვაზიურ კიბოში.

ბოუმენის გარსი — წინა მოსაზღვრე ფირფიტა — რქოვანას გამჭვირვალე უსტრუქტურო ფენა, მდებარე წინა ზედაპირის ეპითელიუმსა და საკუთრივ რქოვანას ნივთიერებას შორის.

ბოუმენის კაფსულა — თირკმლის გრრგლის კაფსულა — ნეფრონის საწყისი ნაწილი, რომელსაც აქვს ფინჯნის ფორმა და რომლის კედელი შედგება შინაგანი და გარეგანი ეპითელიური ფურცლებისაგან მათ შორის არსებული ნაპრალოვანი ფოსოებით. სინონიმი: შუმლიანსკი-ბოუმენის კაფსულა.

ბოუმენის ჯირკვლები — ყნოსვითი ჯირკვლები — ლორწოვან-მილაკოვან-ალვეოლარული ჯირკვლები, რომლებიც განლაგებულია ფაშარ შემაერთებელ ქსოვილში, ყნოსვითი ეპითელიუმის ქვეშ.

ბოცოლოს სიმპტომი — თვალით სილული არტერიების პულსაცია, რომლებიც მოთავსებულია ცხვირის ნესტოების შიგნითა ზედაპირზე. გულმკერდის აორტის ანევრიზმის არამყარი ნიშანი.

ბოხდალეკის დიაფრაგმული თიაქარი — დიაფრაგმული თიაქარი, გაპირობებული დიაფრაგმის კუნთოვანი ფენის განუვითარებლობით წელისა და ნეკნების არის სამკუთხედში. უფრო ხშირად ვლინდება მარცხნივ.

ბოხდალეკის სამკუთხედი ანუ ნაპრალი — წელისა და ნეკნების სამკუთხედი, დიაფრაგმის სამკუთხა მონაკვეთი, მოკლებული კუნთოვან ბოჭკოებს, რომელიც ჰყოფს მას წელისა და ნეკნების ნაწილებად.

ბრაგარდის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება ტერფის გაშლისას, როცა ავადმყოფს ფეხი მოხრილი აქვს მენჯბარძაყის სახსარში (ანუ ლასეგის სიმპტომი. იხ.). აღინიშნება საჯდომი ნერვის დაზიანების დროს. ტკივილის გაძლიერება ადასტურებს მის კუნთოვან წარმომავლობას.

ბრადი-ტაჭიკარდიის სინდრომი — სინუსური კვანძის დისფუნქციის სინდრომი. სისუსტე ბრადიკარდიის ან სინოაურიკულური ბლოკადის ერთად არსებობის ფონზე სხვადასხვა არითმიების შეტევები (მაგალითად, წინაგულთა თრთოლვა ან ციმციმი, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია), შესაძლოა გამოვლინდეს სინო-აურიკულური კვანძების დაზიანების და ასევე მის ირგვლივ არსებული მიკარდიუმის უბნებში პათოლოგიური პროცესების დროს. სინონიმი: სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი.

ბრავე-ჯეკსონის ეპილეფსია — კრუნჩხვის კეროვანი შეტევა, გამოწვეული თავის ტვინის ქერქის გაღიზიანებით, სიმსივნით, ნაწიბურით ან სხვა. მიზეზით. გაღიზიანებული კერის ლოკალიზაციის მიხედვით შეტევა შეიძლება აღინიშნოს მოძრაობითი (მოტორული), სენსორული, მგრძნობელობითი (მხედველობითი, გემოვნებითი ან ყნოსვითი), ფსიქიკური მოშლილობებითურთ (ფსიქიკური ეპილეფსია და სხვ.). შეტევა ვითარდება ცნობიერების დაუკარგავად. შემდეგ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხანმოკლე პარეზს (სხეულის იმ ნაწილში, სადაც ადგილი ჰქონდა კრუნჩხვას). სინონიმი: ჯეკსონის ეპილეფსია, ჯეკსონის კრუნჩხვა.

ბრაზილიური ლეიშმანიოზი — გამომწვევია ბრაზილიური ლეიშმანია, ადამიანი ინფიცირდება ტყეში. დაავადება გვხვდება ბრაზილიაში, ბოლივიაში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, ეკვადორსა და პერუში. წყლული იდება, დიდხანს არ ხორცდება, ხშირია ლორწოვანის დაზიანება (ცხვირის, ხახის, ხორხის). სინონიმი: ამერიკის კან-ლორწოვანის ლეიშმანიოზი.

ბრაზილიური პარტახტიანი ტიფი — ინფექციური დაავადება რიკეტსიოზების ჯგუფიდან. დამახასიათებელია ცხელება, პოლიმორფული გამონაყარი მთელ სხეულზე (არაშვიათად პაპულოზურ-ჰემორაგიული), ლორწოვანი გარსის ენანთემა და სხვადასხვა სახის გართულებები, განსაკუთრებით კანის ნეკროზები საზარდულის მიდამოში, ისე რომ პირველადი ეფექტი არ ახლავს. ენდემიურია, ჩრდილო და სამხრეთ ამერი-

კისათვის. სინონიმები: ცისფერი დაავადება, ამერიკული რიკეტსიოზი, სან-პაულოს ტიფი.

ბრაიენის სიმპტომი — ნაკეცების ჩამოშვება ამოვარდნილი მხარის იღლიის ქვეშ.

ბრაილფორდ-ბარშონ-პოლგარის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბარშონ-პოლგარის სინდრომი I.

ბრაისონის სიმპტომი — თირეოტოქსიკოზის შესაძლო ნიშანი. ჩასუნთქვის მოცულობის შემცირება.

ბრაიტის დაავადება — გლომერულონეფრიტი — თირკმლების ორმხრივი ანთება, გორგლების უპირატესი დაზიანებით.

ბრაშახარის რეაქცია — ვისცერული ლეიშმანიოზის დიაგნოსტიკის მეთოდი. დამყარებულია ავადმყოფის სისხლში ალბუმინებისა და გლობულინების ძეფარდების დარღვევის აღმოჩენაზე, განზავებული სისხლის შრატისა და დისტილირებული წყლის შეხების ადგილას შემღვრევის წარმოქმნისას.

ბრამის სიმპტომი — სიცილის დროს ავადმყოფი ვერ ხუჭავს თვალებს, ზედა და ქვედა ქუთუთოები არ ეხება ერთმანეთს, რის გამოც თვალები ფართოდ გაღებული რჩება. აღინიშნება დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს.

ბრამის სინჯი ჭინაქინით — დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის საორიენტაციო დიაგნოზის მეთოდი. დამყარებულია ფიზიოლოგიური რეაქციის შემცირებაზე ან სრულ არარსებობაზე ორგანიზმში ჭინაქინის შეყვანის საპასუხოდ (სხეულის ტემპერატურის და გულის კუნთის აგზნებადობის შემცირება, ელენთის შეკუმშვა და სხვ.). რაც მეტია ძირითადი ცვლა დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს, მით უფრო გამოხატულია ეფექტი (ესე იგი ცვლილება ნაკლებია).

ბრანდტის სინდრომი — აკროდერმატიტი, რომელიც ვითარდება ბავშვებში ორ წლამდე ასაკში. დამახასიათებელია ბუშტუკოვანი გამონაყარი თვალის ირგვლივ, პირთან, ანუსთან, იდაყვთან, მუხლებთან, სახარდულ-ბარძაყის ნაოჭთან, თეძოსთან, დუნდულთან, სადაც შემდგომში ყალიბდება აქერცვლადი გამონაყარი (ბალთები). ამას თან სდევს თმების დაცვენა, ონიქოპათია, ფოტოფობია და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევა. სინონიმი: დანბოლტ-კლოსის სინდრომი.

ბრანსტინგის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს ჰერპეტიფორმული დანაწილებადი ბალთები კანზე, რომელსაც თან სდევს ქავილი და ვეზიკულური ენანთემები პირის ღრუში, ხახაში და კონუნქტივებზე.

ბრატონის დაავადება — აგამაგლობულინემია. შეიძლება იყოს შეძენილიც, მაგალითად, ალიმფოციტოზის დროს. ამ სინდრომით შეპყრობილ ბავშვებს ხშირად უვითარდებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის ათვისებიანი სიმსივნე, ლიმფოსარკომა, შედარებით იშვიათად მწვავე ლეიკოზი, რომელიც განვითარებულია ლიმფოპოეზის წინამორბედი უჯრედიდან (მწვავე ლიმფობლასტური ლეიკოზი). მკურნალობის ეფექტური საშუალება არ არსებობს. პროგნოზი ცუდია.

ბრაცის აფექტ ეპილეფსია — ეპილეფსია, რომელიც ვლინდება ძლიერი ეპილეპტიკური შეტევებით, ვეგეტატიურ-სისხლძარღვოვანი ცვლილებებით (კანის სწრაფი გაფითრება ან გაწითლება), რომელიც წარმოიქმნება უარყოფით აფექტთა ფონზე (განრისხება, გააფთრება, მძვინვარება).

ბრაუერის გაფანტული კერატოდერმია — მემკვიდრეობითი კერატოდერმია. ახასიათებს მტევნის და ტერფის ფალანგების გარეთა ზედაპირზე მრავალრიცხოვანი აქერცელის კერების არსებობა, რომელიც შემოსაზღვრულია ჰიპერკერატოზის ლილვაკით.

ბრაუერის სიმპტომი — პერიკარდტონი, დიასტოლური პერიკარდტონი — დამატებითი ტონის არსებობა, რომელიც წააგავს ტკაცუნის ხმიანობას, დიასტოლის საწყის ფაზაში. შეხორცებითი პერიკარდიტის ნიშანი.

ბრაუერის სინდრომი — კანის სისტემური აპლაზია. დამახასიათებელია კანის სიმეტრული აპლასტიკური კერები წამწამთა რკალების ზემოთ და მათ ნაწილებში — საფეთქლისაკენ.

ბრაუნვალდ-ბროკენბროს სიმპტომი — სუსტი პულსური დარტყმების გაჩენა ძლიერის ნაცვლად, რომელიც აღინიშნება პოსტექსტრასისტოლური კომპენსატორული პაუზის შემდეგ. მოიკარდიუმის შეკუმშვადობის შემცირების არაპირდაპირი ნიშანი.

ბრაუნის ბადექონის სიმსივნე — სიმსივნისებური წარმონაქმნები შუცლის არეში, რომლებიც წარმოადგენს ბადექონის მრავალრიცხოვანი შესხორცებების კონგლომერატებს, ზოგჯერ აღინიშნება მუცლის ღრუს ორგანოებზე ოპერაციის შემდეგ.

ბრაუნის დაავადება — ვასკულიტი საფეთქლისა და ბადურის არტერიების საწყისი, არჩევითი დაზიანებით. დამახასიათებელია გულისრევა, პირღებინება, თავის ტკივილი (განსაკუთრებით საფეთქლის მიდამოში), უძადობა, წონაში დაკლება, სუბფებრილიტეტი, მხედველობის დაქვეითება. ედს-ი მომატებულია, ადგილი აქვს ჰიპოქრომულ ანემიას, ზომიერ ლეიკოციტოზს. ხშირია რევმატოიდული სიმპტომატიკა, თუმცა დაავადებას შერწყმა ჰეშმარიტ რევმატოიდულ პოლიართრიტთან იშვიათია. ჰისტოლოგიური სურათი მოგვაგონებს კვანძოვან პერიარტერიიტს. გვხვდება უმეტესად ქალებში 50 წლის შემდგომ ასაკში. სინონიმები: ჰორტონის დაავადება, ჰორტონ-ბაგატ-ბრაუნის დაავადება, მაგუტის დაავადება.

ბრაუნის სიმპტომი I — კრეპიტაცია ილეოცეკალურ მიდამოზე ფოხეიდოსკოპის დაჭერის დროს. აღინიშნება თეძოს ნაწლავის პერფორაციისას, აგრეთვე მუცლის ტიფით დაავადებისას.

ბრაუნის სიმპტომი II — კანის ჰიპერესთეზიის ზონის გადაადგილება 25—30 სმ-ზე, ავადმყოფის მარჯვენა გვერდიდან მარცხენაზე 15—30 წუთით გადაბრუნების შემდეგ. აღინიშნება ზოგჯერ მწვავე აპენდიციტის დროს.

ბრაუნის სინდრომი — სტილის დაავადების (იხ.) კერძო გამოვლინება, ზედა ირიბი კუნთის ტენდოსინოვიტი.

. **ბრაუნის სიმსივნე** — მუცლის ღრუს ორგანოებზე ოპერაციების შემდეგ ბადექონის შეხორცების გამო მუცლის ღრუში შეიძლება განვითარდეს სიმსივნური კონგლომერატი — კეთილთვისებიანი სიმსივნე.

ბრაუნ-ფალკოს შიდაფოლიკულური ცხიმოვან-ჯირკვლოვანი მუკოფანეროზი ანუ სინდრომი — ჯირკვლოვანი მუკოფანეროზი. კანის ფოლიკულური მუცინოზი, კანის მუცინოზის ფორმა დამახასიათებელი ფოლიკულური პაპულების წარმოშობით. ისინი ორწყმება აქერცლად მოვარდისფრო ან იისფერ-შოწითალო ბალთებთან. ამას თან სდევს დაზიანებულ უბნებში თმის დაცვენა. სინონიმი: პინკუსის მუცინოზური ალოპეცია.

ბრაშფილდ-უაეტის სინდრომი — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი, ნეოიდური ამენცია, თანდაყოლილი ნეიროექტოდერმული დისპლაზია, ნეიროკუტანული სინდრომი, ნერვული სისტემის თანდაყოლილი ახგიომატოზი. გამოვლინდება ეპილეპტიფორმული გულყრებით და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დარღვევებით, გლაუკომით, სისხლძარღვოვანი ნევუსებით სამწვერა ნერვის ტოტების გასწვრივ. სიხოსიმები: შტურგე-ვებერის დაავადება, სტურჟ-ვებერ-კრაბეს სინდრომი, სტურჟ-ვებერის დაავადება, კრაბეს სინდრომი.

ბრაჰმან-დე ლანგეს სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება. ხასიათდება ძვლოვანი სისტემის ანომალიური განვითარებით (ბრაქიცეფალია, ჰიპერტელორიზმი, ქვედა ყბის ჰიპოპლაზია, მტევნების და ტერფების მცირე ზომა), კუნთების ჰიპერტროფიით, გონებრივი ჩამორჩენით. სინონიმი: დე ლანგეს სინდრომი I.

ბრდლიკის სიმპტომი — ავადმყოფი (ბავშვი) ვერ სწვდება ბაგეებით საკუთარ მუხლს. ცნობილია, „კოცნის სიმპტომის" სახელით. აღწერილია პოლიომიელიტის პრეპარალიზურ სტადიაში და ეკუთვნის დაჭიმვის სიმპტომებს.

ბრეიგელის სინდრომი — ეწოდება მიმიკური კუნთების თავისებურ ჰიპერკინეზიას. აღწერილია შემდეგი დასახელებები: მეიჟის დაავადება, სახის პარასპაზმი, იდიოპათიკური ოროფაციალური დისტონია, სპონტანური ოროფაციალური დისკინეზია, ბლეფაროსპაზმი და ორომანდიბულური დისტონია.

ბრეინლსფორდ-მორკიოს სინდრომი — მეოთხე ტიპის მუკოპოლისაქარიდოზი. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს, გადაცემის აუტოსომურ რეცესიული წესით. კლინიკურად აღინიშნება დისპროპორციული, დაბალი ან ჯუჯა ტანი, მოკლე კისერი და წელი, ქათმის მკერდი, კიფოზი, კიფოსკოლიოზი, X-ის მსგავსი ფეხები და ბრტყელტერფიანობა, კბილის ემალის დაზიანება, გენეტიკური დეფექტი პირველად რეალიზდება შემაერთებელ ქსოვილში მუკოპოლისაქარიდების მოჭარბებულ ჩალაგებაში და შარდთან კერატანსულფატის და დერმატანსულფატის გამოყოფის ზრდაში, რასაც თან სდევს ეპიფიზური ხრტილის დაშლა, ღულოვანი ძვლების მეტაფიზების გაგანიერება და დამოკლება, ხერხემლის მალების გაბრტყელება. სინონიმები: მორკიოს სინდრომი, ულრიხ-მორკიოს სინდრომი.

ბრეიტმანის მაჩვენებელი — წონა-სიმაღლის მაჩვენებელი, „ნორმალური წონა, ტოლია სიმაღლე სანტიმეტრებში გამრავლებული 0,7-ზე, მინუს 50. მაგალითად, 170 სმ სიმაღლის ადამიანის წონის ნორმალური მაჩვენებელი უდრის 170-ისა და 0,7 ნამრავლს, 50-ის გამოკლებით, რაც შეადგენს 69 კგ-ს (119—50=69).

ბრემერის სინდრომი — დიზრაფიული სტატუსი. აღინიშნება ხერხემლის მალების გაპობა და დეფორმაცია, ძაბრისებრი გულმკერდი, ტერფისა და თითების დეფორმაცია, ხერხემლის გამრუდება (სხვადასხვა სახის), მხრის ძვლების დისპროპორცია, კანისა და მყესთა რეფლექსები არ არის, ზედაპირული მგრძნობელობა დარღვეულია, ცვლილებებია ვეგეტატიური ნერვული სისტემის მხრივ (ცივი კიდურები, ხელისა და ფეხისგულების გაძლიერებული ოფლიანობა, ჰიპერტრიქოზი, ღამის ენურეზი). სინონიმი: ბრემერ-ფუქსის მიელოდიზრაფია.

ბრემერ-ფუქსის მიელოდიზრაფია — იხ. სინონიმი: ბრემერის სინდრომი.

ბრენემანის სინდრომი — სიმპტომები მუცლის ღრუს ორგანოთა მხრივ, რომელიც ზოგჯერ ნაღვლის ბუშტის ანთებას მოგვაგონებს და რომელიც აღინიშნება ზედა სასუნთქი გზების დაავადებათა დროს — განსაკუთრებით ანგინის შემთხვევაში. უპირატესად გვხვდება ბავშვებში.

ბრენერის სიმპტომი — ხმიანობა, რომელიც მოგვაგონებს ხახუნს მეტალური ელფერით და რომელიც აღინიშნება აუსკულტაციურად ავადმყოფის ჯდომისას მარცხნივ XII ნეკნის მიდამოში. კუჭის პერფორაციის ნიშანია.

ბრენერის სიმსივნე — კოლოიდური ადენოფიბრომა, ფსევდომუცინოზური ადენოფიბრომა, საკვერცხის ადენოფიბრომა, ოოფორომა, ღორწოვანი ფიბროეპითელიომა კეთილთვისებიანი. ბოშიაობად გვხვდება ჩვეულებრივ, საკვერცხის ფიბროზული ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელშიც არის ეპითელური ჩართვები კუნძულების ან ჩანაჭდევის სახით.

ბრენტანოს სინდრომი — კუნთების გლიკოგენის მეტაბოლიზმის მოშლა ორსულობის პერიოდში. მკვეთრად მცირდება გლიკოგენის შემცველობა ღვიძლში, ადგილი აქვს კეტონურიას. ეტიოლოგია გაურკვეველია.

ბრენხემის სიმპტომი — ბრადიკარდიის გაჩენა არტერულ-ვენური შუნტის პროქსიმალურად არტერიის გადაკვანძის შემდეგ. განპირობებულია სისხლის გადასროლით არტერიული სისტემიდან ვენურში.

ბრეტის სინდრომი — ფილტვების ვენტილაციის ცალმხრივი მოშლის კლინიკურ-რენტგენოლოგიური სურათი. კლინიკურად ხასიათდება ძირითადი დაავადების ნიშნებით (ბრონქოექტაზია, შეძენილი ან თანდაყოლილი ცალმხრივი ემფიზემა და ა. შ.), ხოლო რენტგენოლოგიურად ადგილი აქვს ფილტვის გამშვირვალობის ცალმხრივ მკვეთრ გაძლიერებას სუსტი სისხლძარღვოვანი სურათით; სინონიმები: ჯიანის სინდრომი, იაზუსის სინდრომი.

ბრიკეს სინდრომი — დიაფრაგმის ინტენსიური სპაზმის შერწყმა აფონიასთან.

ბრიკნერის სიმპტომი — სახის ნერვის დაზიანების დროს არ აღინიშნება თვალის ხაჭხამი მოულოდნელ მკვეთრ ხმაზე. ის გამოვლინდება სახის ნერვის დაზიანების მხარეს.

ბრილის დაავადება — სპორადული პარატაქტიანი ტიფი — პარატაქტიანი ტიფის რეციდივი მრავალწლოვანი რემისიის შემდეგ, ვლინდება იგივე კლინიკური ნიშნებით, მაგრამ უფრო მსუბუქი კლინიკური მიმდინარეობით. სინონიმი: ბრილ-ცისნერის დაავადება.

ბრილ-ბაიერ-როზენტალის დაავადება — ლიმფური კვანძების გენერალიზებული ჰიპერპლაზია. ლიმფური ქსოვილის ავთვისებიანი სიმსივნე-ლიმფომის ერთ-ერთი ვარიანტი. კლინიკურად აღნსანიშნავია პოლილიმფადენოპათია, სპლენომეგალია, ღვიძლის გადიდება, ასციტი, კუპ-ნაწლავის დისფუნქცია, ძვლების პათოლოგიური მოტეხილობები, რეტიკულური სტრომის ჰიპერპლაზია და ფოლიკულების მკვეთრი გადიდება. ავადდებიან ძირითადად მამაკაცები. შესაძლოა დაავადების ტრანსფორმაცია ხოჯკინის დაავადებაში (იხ.), ან სხვა სახის ლიმფომაში. სინონიმი: ბრილ-სიმერსის დაავადება, გიგანტურფოლიკულური ლიმფომა, მაკროფოლიკულური ლიმფომა, მაკროფოლიკულური ლიმფობლასტომა, გიგანტურ უჯრედოვანი ლიმფოსარკომა.

ბრილ-სიმერსის დაავადება — იხ. სინონიმი: ბრილ-ბაიერ-როზენტალის დაავადება.

ბრილ-ცისნერის დაავადება — იხ. სინონიმი: ბრილის დაავადება.

ბრინკმანის ტეტრალოგია — აღინიშნება კვანძოვანი პერიარტერიტის დროს. ხიშნები: პოლინევრიტი, ფუნიკულური მიელოზი, კუპ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა და თირკმლების ანთება.

ბრინკჰაუსის სინდრომი — ჰემოფილია, „B", განპირობებულია სისხლის შედედების სისტემის IX ფაქტორის მემკვიდრეობითი დეფექტით. კლინიკური სურათი იდენტურია ჰემოფილიისა. გადაცემა რეცესიულია. X ქრომოსომასთან შეკავშირებული.

ბრინსონის სინდრომი — მედიალური სოლისებრივი ძვლის ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება სიკოჭლით და ტერფში ტკივილით.

ბრინჯაოს დაავადება — თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობა. ენდოკრინული დაავადება, გამოწვეულია თირკმელზედა ჯირკვლის დაზიანებით, რის დროსაც გამორთულია ან შემცირებულია მისი ჰორმონების გამოყოფა. სიმპტომებია: ნელი მიმდინარეობა, ძლიერი სისუსტე, დაღლილობა, უმადობა, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, სიგამხდრე, კანისა და ლორწოვანი გარსების ჰიპერპიგმენტაცია, ამენორეა, სქესობრივი სისუსტე, ჰიპოტონია, ჰიპოთერმია, წყალ-მარილოვანი ცვლის მოშლა, დღიური დიურეზი შემცირებულია, ჰიპოგლიკემია, ჰიპონატრიემია, ჰიპერკალიემია. სინონიმი: ადისონის დაავადება.

ბრინჯაოს დიაბეტი — ჰემოქრომატოზი, ღვიძლის პიგმენტური ციროზი. საფუძვლად უდევს ჰემოსიდერინის და ჰემოფუსცინის ჩალაგება შინაგან ორგანოებსა და კანში. ეტიოლოგია უცნობია. დამახასიათებელია

კანის ჰიპერპიგმენტაცია, მსგავსი ადისონის დაავადების (იხ.), რაც განსხვავებით უკახასკნელთან არ აღინიშნება ლორწოვანებზე, ჰიპერგლიკემია (პანკრეასის ციროზული გადაგვარების გამო), ღვიძლის გადიდება (პიგმენტური ციროზი), სპლენომეგალია, შარდში მოძატებულია პორფირინის შემცველობა, სისხლში — რკინის რაოდენობა. ემართებათ 40 წლის ასაკს გადაცილებულ მამაკაცებს. უკავშირებენ სპილენძით მოწამლვას, ავიტამინოზს, ჰიპოფიზარულ დარღვევებს. სინონიმები: ტრუასიეს სიხდისოში, ჰანოს დაავადება, ტრუასიე-ჰანო-შოფარის სინდრომი, შოფარის სინდრომი II.

ბრინჯის ველების ცხელება — იწვევს ლეპტოსპირების სხვადასხვა ტიპი. აღინიშნება ბრინჯის მინდვრებში მომუშავეთა შორის და მდინარე პოს ველზე.

ბრისოს ინფანტილიზმი — აღინიშნება პირველადი ჰიპოფიზარული ნანიზმის და მეორადი ინფანტილური მაჭსედემის დროს. ხასიათდება ჯუჯასებრივი ზრდით, მრგვალი ვარდისფერი ლოყებით, სიმსუქნით, გენიტალიების ჰიპოპლაზიით, კბილების და თმის საფარის განუვითარებლობით, ეპიფიზების დაგვიანებითი გაძვალებით. სინონიმი: ბრისო-შეკის სინდრომი.

ბრისოს რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ბარძაყის ფართო ფასციის დამჭიმველი კუნთების შეკუმშვა ფეხისგულის ხაზობრივი გალიზიანების დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანი.

ბრისო-მარის სინდრომი — ენის კუნთებისა და ტუჩების ცალმხრივი სპაზმური შეკუმშვა, ქვედა ყბის იმავე მხარეზე ცთომით. აღიწერება ისტერიული შეტევის დროს.

ბრისო-შეკის სინდრომი — იხ. სინონიმი: ბრისოს ინფანტილიზმი.

ბროსო-სიკარის სინდრომი — მაალტერნირებელი სინდრომი: საჩის კურკების სპაზმი ტვინის ღეროს (ვაროლის ხიდის ტვინის) დაზიანების კერის მხარეზე და ცენტრალური ჰემიპარეზი (ჰემიპლეგია) მოპირდაპირე მხარეს.

ბრიტენის სიმპტომი — მუცლის მარჯვენა ქვედა კვადრანტის პალპაციის დროს შარჯვენა სათესლე ჯირკვლის რეტრაქცია. მწვავე აპენდიციტის შესაძლო ნიშანი.

ბრიუნაუერის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია, ჰიპერჰიდროზი და თაღისებური სასა.

ბრომბერგერ-ცეტერსტრემის სინდრომი — ღვიძლის გლიკოგენსინტეზის მემკვიდრეობით დეფიციტთან დაკავშირებული სინდრომი. ვლინდება ჰიპოგლიკემიით, ადრენალინის გამომუშავების საპასუხო ზრდის გარეშე. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით.

ბრომბენტის დაავადება — პროგრესირებადი აპოპლექსია. ნევროლოგიური დარღვევების სიმპტომოკომპლექსი ინსულტის დროს, განსაკუთრებით დაავადების სწრაფი მიმდინარეობისას: თავის ტვინის ზოგადი და კერაული ნიშნების თანდათანობითი მატება და კომური მდგომარეობის განვითარება.

ბრომბენტის სიმპტომი I — გეხვედება ადგეზიური პერიკარდიტის

და სამკარიანი სარქველების გამოხატული ნაკლოვანების დროს. აღინიშნება ქვედა ნეკნების სისტოლური ჩადრეკვა და ნეკნთაშუა არეების გაბოდრეკვა გულმკერდის მარცხენა ნახევრის გვერდით და უკან ქედელზე.

ბროდბენტის სიმპტომი II — გულმკერდის პულსაცია (გულის ძგერა) უკან, მარცხნივ, სინქრონული გულის რიტმთან. მარცხენა წინაგულის ყურის ანევრიზმის ნიშანია.

ბროდბენტის სიმპტომი III — პულსაცია ეპიგასტრიუმში. სინქრონული გულის რიტმთან. ნიშანია შეხორცებითი პერიკარდიტისა.

ბროდენის სინდრომი — თორმეტგოჯა ნაწლავის სტენოზი, გაპირობებული ძეზენტერიული ლიმფური კვანძების გადიდებით ქრონიკული აპენდიციტის დროს. ელინდება გასტროენტეროლოგიური სიმპტომატიკით.

ბროდის აბსცესი — ქრონიკული ოსტეომიელიტი, გამოწვეული სტაფილოკოკების ნაკლებად ვირულენტური შტამებით. მიმდინარეობისას ყალიბდება კარგად შემოფარგლული პატარა ჩირქოვანი ღრუ გრძელღულოვანი ძვლის ღრუბლოვან ნივთიერებაში.

ბროკის აფაზია — მოტორული აფაზია, ვერბული აფაზია, ექსპრესული აფაზია — აფაზია, გამოწვლინებული აქტიური მეტყველების დარღვევით, ამავე დროს ზეპირი და წერითი მეტყველების აღქმის და შემეცნების შენარჩუნებით.

ბროკის ვენერული გრანულომა — ვენერული გრანულომა, მეხუთე ვენერული დაავადება, ტროფიკული წყლულოვანი გრანულომა, დონოვანოზი — ვენერული დაავადება, გამოწვეული არაგან-ვინიანის ჩხირით, გადაცემა სქესობრივი, უფრო იშვიათად საყოფაცხოვრებო გზით. დამახასიათებელია სასქესო ორგანოთა კანის დაზიანება წყლულებისა და ვეგეტაციების სახით. მიმდინარეობა ქრონიკული. ძირითადად გვხვდება ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში.

ბროკის ზედაპირული ფაგედენიზმი — ფაგედენიზმი ზედაპირულად განლაგებული ქსოვილების დაზიანებით. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა არ არის ღარღვიული.

ბროკის ლუპოიდური სიკოზი — ლუპოიდური სიკოზი, ატროფიული ფოლიკულიტი, ნაწიბუროვანი სიკოზიფორმული ერითემა. უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი, ახასიათებს ერთ ლოყაზე ფოლიკულური პაპულების წარმოშობა, რომლებიც თავმოყრილია წითელ ინფილტრირებულ ბალთაზე, მათი გვერდები ამაღლებულია. ბალთის ცენტრალურ ნაწილში აღინიშნება ნაწიბუროვანი ატროფია. სინონიმი: ჰოთმანის სიკოზიფორმული ატროფიული ფოლიკულიტი.

ბროკის მაჩვენებელი — წონა-სიმაღლის მაჩვენებელი. სიმაღლე სანტიმეტრებში მინუს 100-ის ტოლია გამოსაკლები პირის ნორმალური წონა კგ-ში. (მაგალითად, 170 სმ სიმაღლის დროს ნორმალური წონა არის 70 კგ).

ბროკის მბურღავი ფაგედენიზმი — ღრმა ფაგედენიზმი, მბურღავი ფაგედენიზმი — ფაგედენიზმი ღრმა მდებარე ქსოვილების დარღვევით. ;უეითარდებათ უფრო ხშირად დაძაბუნებულ ავადმყოფებს.

ბროკის მემკვიდრეობითი იქტიოზოფორმული ერითროდერმია — ბროკის იქტიოზის ფორმის დერმატოზი, იქტიოზიფორმული გენერალიზებული ჰიპერკერატოზი — თანდაყოლილი იქტიოზი, რომელიც ვითარდება ერითროდერმიის ფონზე.

ბროკის მეკვეთოვანი ტელანგიექტაზია — თითების შემოფარგლული ნევიფორმული ანგიოკერატომა. უპირატესად ახასიათებს ხელის მტევნის თითების გარეთა ზედაპირზე ლოკალიზებული დაზიანება. როგორც წესი, გვხვდება სუსტ გოგონებში. სინონიმი: მიბელის ანგიოკერატომა.

ბროკის პარაფსორიაზი — საერთო დასახელება ზოგიერთ ქრონიკული დერმატოზისა, რომლებსაც ქავილი კი არა, არამედ ერითემატოპაპულოზური და აქერცლადი გამონაყარი ახასიათებს.

ბროკის პოლიმორფული მტკივნეული დერმატიტი — ორსულთა ჰერპესი. ჰერპეტიფორმული დერმატიტი. პოლიმორფული დერმატიტი. **ბროკ-ბრიგოზული ბუშტუკელა** — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დერმატოზი. დამახასიათებელია შეტევისებრი გამონაყარი ტანისა და კიდურთა კანზე, დროდადრო ტემპერატურა, ქავილი. გამონაყარის ხასიათია: პაპულა, ბუშტუკი, ბებერა შეჯგუფული რგოლში, ნახევარრგოლში ან გირლანდისებურად. სინონიმები: დიურინგ-ბროკის დაავადება, დიურინგის დაავადება, მილტონის ჰერპესი.

ბროკის სინდრომი I — გეოგრაფიული ენა, გლოსიტი დამახასიათებელი მკაფიო წითელი ლაქებით, ენის გვერდებზე რუხ-თეთრი რგოლებით. აღინიშნება ახალგაზრდა ასაკში ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევებისას, „ბ" ჯგუფის ჰიპოვიტამინოზის დროს. დერილები ატროფიულია, დამახასიათებელია ცელალებების გადაადგილება და მორფოლოგიური სურათის ძერები თითქმის ყოველდღიურად. სინონიმები: ბერჟერონის გლოსიტი, უნას ენა, პოტრიეს გლოსიტი, რეიერის ენის პიტირიაზი, ლეინის გლოსიტი, ბროკ-პოტრიეს რომბოიდური გლოსიტი.

ბროკის სინდრომი II — შუა წელის სინდრომი. სინონიმი: გრაჰამის სინდრომი (იხ.).

ბროკის ფსევდოპელადა — ატროფიული ალოპეცია. თავის თმიანი ნაწილის ალოპეცია, რომლის დროსაც ვითარდება მცირე ოვალური უბნები ატროფიისა და კანის გამელოტების გამო. ეს უკანასკნელი ერთდებიან არასწორი ფორმის უბნების სახით.

ბროკის შემოფარგლული ნეიროდერმიტი — შემოფარგლული ნეიროდერმიტი, ქავილის გამომწვევი ლიქენოიდური დერმატიტი, ქავილა შემოფარგლული ლიქენიფიკაციით, უბრალო ქრონიკული ლიქენი — ნეიროდერმატიტი კანს ცალკე უბნის, ჩვეულებრივ, ოვალური ფორმისა, ცენტრში ლიქენიზაციის ფორმით, გარემოცული პაპულოზური გამონაყარითა და ჰიპერპიგმენტაციური ზონებით.

ბროკ-დიუბრეს სინდრომი — მემკვიდრეობით დერმატოზს ახასიათებს ერითემატოზური ლაქები და ბალთები ძლიერ გარჩოვანებული, ზოგჯერ მეკეთოვანი ზედაპირით ფეხისა და ტანის ქვედა ნაწილის კანზე.

ბროკ-პოტრიეს ანგიოლუპოიდი — სარკოიდოზის კლინიკურ მორ-

ფოლოგიური ფორმაა. ხასიათდება სახეზე მკაფიოდ შემოფარგლული, უმტკივნეულო წითელ-მოიისფრო ბრტყელი ანგიოექტაზებიანი ინფილტრატის აღმოცენებით.

ბროკ-პოტრიეს რომბოიდური გლოსიტი — სინონიმები: ბროკის სინდრომი (იხ.), პოტრიეს გლოსიტი, ბერეჟერონის გეოგრაფიული ენა, უსახ ენა, რეიერის ენის პიტირიაზი, ლეისის გლოსიტი.

ბროხჰოობსტრუქციული სინდრომი — დაავადების პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი ეკისება სიმფატიკოადრენალური სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას, რომელსაც თანა სდევს კატექოლამინთა სინთეზის დაქვეითება, ბეტა — რეცეპტორების აქტივობის დაქვეითება და ალფა — რეცეპტორების აქტივობის მომატება. კლინიკურად ელინდება ხველებით, ლორწოვან-ჩირქოვან სქელი ნახველით, მოსვენებულ მდგომარეობაში ქოშინით, გაგუდვისმაგვარი შეტევებით, დამახასიათებელი აუსკულტაციით ფილტვებში (უმეტესად მშრალი, ზოგჯერ კი სველი ხიხინი). ობსტრუქციის დონე დგინდება სპეციალური ინსტრუმენტული გამოკვლევის საფუძველზე.

ბრონქოსპასტიკური სინდრომი — ანუ ბრონქოსპაზმის სინდრომი — მას ხშირად იწვევს ალერგიული მდგომარეობა. მისი საბოლოო მდგომარეობა არის ინფექციურ-ალერგიული ფორმა ბრონქული ასთმის. ბრონქოსპასტიკური სინდრომი შესაძლებელია იყოს ასევე არაალერგიული წარმოშობის და იყოს პირობადებული ბრონქის წებოვანი სეკრეტით ობსტრუქციისა.

ბროიჟოვსკის ანევრიზმა—ბროიჟოვსკის საბოლოო ანევრიზმა—ტრავმული არტერიულ-ვენური ანევრიზმა, რომლის დროსაც არტერიისა და ვენის სრულ განივ გასკდომას თან სდევს არტერიის ცენტრალური ბოლოს დაკავშირება ვენის პერიფერიულ ბოლოსთან.

ბროუნ-სეკარის დაავადება — რეფლექტორული ეპილეფსია. მიიღება სხვადასხვა სახის პერიფერიული გაღიზიანებით ან შინაგანი ორგანოებიდან ტკივილზე რეაგირების სახით, როგორც ეს აღინიშნება გულის არეში ტკივილის დროს. სინონიმი: კისელის სინდრომი.

ბროუნ-სეკარის სინდრომი — ბროუნ-სეკარის ნახევარ დამბლა. ზურგის ტვინის ნახევრად დაზიანების სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც აღინიშნება ზურგის ტვინის განივი განაკვეთის ნახევრად დაზიანების დროს. დაზიანების მხარეს არის ცენტრალური დამბლა (ან პარეზი) და კუნთების პროპრიოცეპტული და ვიბრაციული მგრძნობელობის მოშლა, მოპირდაპირე მხარეს გამოვარდნილია ტემპერატურული და მტკივნეული მგრძნობელობა.

ბროუნ-სიმერსის დაავადება — მწვავე სეროზული ენცეფალიტი. გვხვდება უმთავრესად შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებში. ნიშნები: ძლიერი ცხელება, ღებინება, ფაღარათი, მენინგეალური ნიშნები, თვალის მამოძრავებელი ნერვის დამბლა, მხედველობის ნერვის ანთება, შეშუპებული დვრილი, კრუნჩხვა, ჰემიპლეგია, კომა. გამოსავალი მძიმე. ეტიოლოგია უცნობია.

ბრუგშის სინდრომი — სასქესო ჯირკვლების ჰიპოფუნქციის, უშაქ-

რო დიაბეტთან შერწყმა, აგრეთვე მეორად ამენორეასთან, ხელის მტევნის ფალანგების აღნაგობის დარღვევასთან (ბოლო ფალანგების ხომალში შემცირება, შუა და ძირითადი ფალანგების გასქელება), აკროციანოზთან, ომების დაცვენასთან, კუნთოვან ჰიპოტონიასთან. ვარაუდობენ, რომ ბრუცელოზის სინდრომის განვითარება ჰიპოფიზის უკმარისობის შედეგია.

ბრუდძინსკის ზედა სიმპტომი — ზურგზე მწოლარე ავადმყოფის მიერ თავის პასიური მოძრაობისას მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსარში ფეხის უნებლიე მოხრა. მენინგეალური სინდრომის ნიშანი.

ბრუდძინსკის ლოყის სიმპტომი — ლოყაზე ხელის დაჭერის დროს წინამხოის უნებლიე წამოწევა და ხელის მოხრა მხრის სახსარში. ტუბერკულოზური მენინგიტის ნიშანია.

ბრუდძინსკის ქვედა ნიშანი I — ბრუდძინსკის კონტრალატერალური იდენტური ნიშანი — ბარძაყის და მუხლის სახსარში უნებლიე მოხრა, როცა იმავე სახსრებში პასიურად იხრება მეორე ფეხი. მენინგეალური სინდრომის ნიშანია.

ბრუდძინსკის ქვედა ნიშანი II — ბრუდძინსკის კონტრალატერალური რეციპროკიის სიმპტომი — მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრებში მოხრილი ფეხის უნებლიე გაშლა მეორე ფეხის იმავე სახსრების პასიური მოხრისას. მენინგეალური სინდრომის ნიშანია.

ბრუცელოზის დაავადება — ნათხემის დიფუზური ატროფია, სწრაფი მიმდინარეობით (ორი-სამი წელი). მიზეზი, ჩვეულებრივ, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ინტოქსიკაციაა. მეტასტაზები ავთვისებიანი სიმსივნის შემთხვევაში.

ბრუკ-დე ლანგეს სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება, ხასიათდება დიფუზური კუნთოვანი ჰიპერტროფიით, ექსტრაპირამიდული დარღვევებით და გონებრივი განვითარების ჩამორჩენით. ამ დაავადების ცალკე ნოზოლოგიურ ერთეულად გამოყოფა ეჭვქვეშაა. სინონიმი: დე ლანგეს სინდრომი II.

ბრუკის სიმპტომი — კისრის კუნთების რიგიდობა კერნიგის ნიშნის გარეშე. აღინიშნება ნათხემის აბსცესის, ვერტებრო-ბაზილური სისტემის სტენოზის, კეფის მიდამოს ანთებითი პროცესების და მენინგო-ენცეფალიტების დროს.

ბრუკის სინდრომი — კისტოზური ადენოიდური ეპითელიომა. პაპილოზური ბრაილობითი ტრიქოეპითელიომა. ადენოკისტოზური ეპითელიომა. ვითარდება ხალის დისპლაზიის შედეგად, ატარებს თანდაყოლილ ხასიათს, ხშირად ოჯახურია. ყველაზე ხშირია სახეზე. არის ნახევრადგამჭვირვალე კვანძები. ჰგავს ბუშტუკებს, მკვრივი კონსტიტენციისა, გაფხატული ან შეჯგუფულია, უმტკივნეულო, უფრო ხშირია ახალგაზრდებში. ძალზე იშვიათია ავთვისებიანი გადაგვარება. სინონიმები: იარიშის ტრიქოეპითელიომა, უნას აკანთომა, ვინკლერის ეპითელიომატოზური ხალი, ვერთერის ტრიქოეპითელიომატოზი.

ბრუკის ჯირკვლოვან-კისტოზური ეპითელიომა — ადენოიდურ-კისტოზური ეპითელიომა, ჯირკვლოვან-კისტოზური მრავლობითი კეთილთვისები-

ანი ეპითელიომა, ნევუსი. წარმოშობილია ზრდადასრულებული ან მანკიერად განვითარებული ცხიმოვანი ჯირკვლებისა ან თმების ფოლიკულების პროლიფერაციის შედეგად. სინონიმი: ბალზერ-მენეტრიეს ცხიმოვანი ჯირკვლების სიმეტრიული ადენომა.

ბრულეს სინდრომი — ენტეროპეპატური სინდრომი, ენტეროპეპატური კოლისეფსისი, ნაწლავის ჩხირის ენდოგენური ინფექცია. ღვიძლის აღმავალი კოლი — ინფექცია ქრონიკული ქოლანგიტის მოვლენებით. სინონიმები: აბრამის სინდრომი, გარბანის სინდრომი, ვიდალი-აბრამის დაავადება.

ბრუნატის სიმპტომი — ნიშანია მძიმედ მიმდინარე დაავადების აგონალური სტადიისა. დამახასიათებელია თვალის რქოვანას შემღვრევა.

ბრუნერის სიმპტომი — სუბდიაფრაგმულად კუჭ-ნაწლავის შიგთავსის მოხვედრის დროს შეიძლება მოიშინებოდეს ხახუნის ხმიანობა. აღინიშნება პერფორაციით პერიტონიტის დროს.

ბრუნერის თავის ტეტანუსი — ტეტანუსის ქრონიკული ფორმა. უპირატესად ახასიათებს სახისა და კისრის კუნთთა კრუნჩხვები, საყლაპავი მუსკულატურის, დიაფრაგმისა და ნეკნთაშუა კუნთების სპაზმი.

ბრუნხის სინდრომი I — ძლიერი თავის ტკივილის, თავბრუსა და ღებინების აღშოცენება, რომელსაც თან სდევს გულისისხლძარღვთა და სუნთქვის დარღვევები თავის მდგომარეობის შეცვლისას. აღინიშნება ცერებროსპინალური სითხის უკუდენის პერიოდული დარღვევა IV პარკუჭის ფოსოდან, მაგალითად, ტვინის ცისტიცერკოზის დროს.

ბრუნხის სინდრომი II — შუბლის ატაქსია, გვხვდება თავის ტვინის შუბლის წილის პათოლოგიური პროცესების დროს. ხასიათდება ბარბაცით სიარულისას, მძიმე წემთხვევებში სიარულის შეუძლებლობით და გამოხატული ფსიქოპათოლოგიური მოშლილობებით (მოტორული აპრაქსია).

ბრუნს-იასტროვიტცის სინდრომი—ჰიპომანიაკალური ან მანიაკალური მდგომარეობა ეიფორიით, მოძრაობითი აგზნებით და ბავშვური ხასიათის გამოვლინებით (ონავრობა,) სიცილი და ა. შ.

ბრუპის დაავადება — სინონიმები: ბანგის დაავადება, ბალარ-მილერ-დეეენ-პეს სინდრომი I (იხ.).

ბრუტონის დაავადება — აგამაგლობულინემია. დამახასიათებელია მორეციდივე ინფექციური პროცესები (სეფსისი, პნევმონია, ოტიტი), რაც გაპირობებულია გენეტიკური მიზეზით და გამოწვეულია იმუნოგლობულინების დეფიციტით. ავადდებიან მხოლოდ ვაჟები. ამ დროს ადგილი აქვს პლაზმური უჯრედებისა და ლიმფოიდური ელემენტების ხარისხობრივ არასრულღირებულოვნებას ან მოუმწიფებლობას.

ბუაველის დაავადება — ალკოჰოლური წარმოშობის პოლინევრიტი. სჭარბობს სენსორული დარღვევები. ნიშნები: სპონტანური ტკივილი, მტკივნეულობა ხელის დაჭერის დროს ნერვი საპროექციო არეში. მოტორული დარღვევები შედარებით მცირეა.

ბუას ღვიძლის ციროზი — ღვიძლის ვენოზური ჰიპერტროფიული ციროზი. ღვიძლის დისპეპტიკური ციროზი. ბუას დიდი დისპეპტიკური

ღვიძლი. ეს ციროზი ყალიბდება კუკნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დარღვევების შედეგად, რაც იწვევს ღვიძლის გადადებას; აღინიშნება გამოხატული დისპეპტიკური დარღვევები, ელენთა არ დიდდება, ასციტი არ არის. პროგნოზი კეთილსაიმედო.

ბუვარის სინდრომი — გვხვდება საავიაციო დარგში მომუშავეთა შორის ხმაურის და ვიბრაციის ზეგავლენის შედეგად. დამახასიათებელია სმენის ნელი, მაგრამ პროგრესირებადი დაქვეითება თვით სიყრუემდე; დაღლილობა, კუნთების სისუსტე, აღვილად აღგზნებადობა, გახდომა, ჰიპოტონია. სინოსიმი: სოუვორეს-ბუგარ-კოსტე-ვალადესალეს სინდრომი.

პუდას ფენომენი — ზედა კიდურთა პარეზის გამოვლინების მეთოდი, რომლის დროსაც ავადმყოფს წინადადება ეძლევა ზემოთ ასწიოს იდაყვებში მოღუნული ხელები, ხოლო ხელის გულები მაღლა აწეული იქონიოს. 25—20 წამში ხელი დაზიანების მხარეს გადაიხრება. სინონიმი: პანჩენკოს ილეთი.

ბუდინგერ-ლუდლოფ-ლევინის დაავადება — პატელას ოსტეოპათია, პატელას ქონდრომალაცია — დაავადება, რომელიც ხასიათდება სახსრის ხრტილების ასეპტიური ნეკროზით, რომელსაც შემდგომში თან ახლავს ოატეოფიტების განვითარება.

ბუდერესკას სინდრომი — აკროდინული ფორმა ალკოჰოლური პოლინევრიტისა. ღამით დიდი თითისა და ფეხისგულის ტკივილის შეტევა, ციანოზით და ანოქსიით დიდი თითის არეში.

ბუვერეს დაავადება ანუ **სინდრომი** — ეწოდება პაროქსიზმულ ტაქიკარდიის სახეს, რომელიც გამოწვეულია იმპულის ატრიოვენტრიკულური გატარებით კენტის კონაში. შეტევის დროს აღინიშნება არტერიული ჰიპოტონია, სუსტი ავსების მაჯა, შიშის გრძნობა, თავბრუ, სინკოპე, გულისრევა, პირღებინება. სინონიმები: ჰოფმან-ბუვერის სინდრომი, ბუვერეს ნიშანი III.

ბუვერეს ნიშანი I — მუცლის ფარის წინა მხარის (თეძოს ნაწლავის ბრმა ნაწლავთან შეერთების ადგილას) გამოდრეკვა. აღინიშნება ნაწლავთა გაუვალობის დროს.

ბუვერეს ნიშანი II — სიმპტომი, რომელიც აღინიშნება პილორუსის დავიწროების დროს. დამახასიათებელია კუჭის გამოხატული პერისტალტიკური მოძრაობები, რაც მკაფიოდ ვლინდება გამხდარ პირთა შორის. სინონიმი: კუსმაულის სინდრომი III.

ბუვერე-დიგეს ანგინა — ანგინა, რომელსაც ადგილი აქვს მუცლის ტიფის დასაწყისში. თავდაპირველად უპირატესად სახის წინა ნაქებზე ჩნდება წითელი ლაქები, რომლებიც რამდენიმე დღეში წყლულდება. ანგინა ვითარდება როზეოლების გამოყრამდე — დაავადების პირველ დღეებში. გვხვდება შემთხვევათა 30 პროცენტში.

ბუვერე-ჰოფმანის დაავადება — იხ. სინონიმი: ბუვერეს დაავადება.

ბუზარის სიმპტომი — გვხვდება ზურგის ტვინის ხმობის დროს. ავადმყოფს სიარულის ან დგომის დროს ეკეცება ფეხები, რაც ატაქსიასა და კუნთთა ტონუსის დაქვეითების შედეგია.

ბუიოს დაავადება — რევმატიზმი. ინფექციურ-ალერგიული დაავადება. ეტიოლოგიურად დაკავშირებულია „ა" ჯგუფის სტრეპტოკოკებთან. დამახასიათებელია ცვლილებები შემაერთებელი ქსოვილის სისტემაში და მორეციდიე მიმდინარეობა. სინონიმი: სოკოლსკი-ბუიოს დაავადება.

ბუიოს სიმპტომი I — დამატებითი ყრუ ტონი. მოისმინება დიასტოლის დროს ვიზუალურად გამოვლინებული გულის საძგერის მიდამოში და მის მარჯვნივ. ნიშანია გულის გამოხატული ჰიპერტროფიისა, განსაკუთრებით მის მარჯვენა ნაწილში.

ბუიოს სიმპტომი II — მუდმივი, არამოპულსირე ჩადრეკა გულმკერდის წინა ნაწილის პრეკარდიალურ მიდამოში. კონსტრუქციული პერიკარდიტის არამუდმივი ნიშანია, რომელიც გამოწვეულია მასიური პლევროპერიკარდიული შეხორცებებით.

ბუიოს სინდრომი — პერიკარდიტის, ენდოკარდიტისა და სახსართა მწვავე რევმატიზმის შერწყმა.

ბუიო-სოკოლსკის დაავადება — სინონიმი: ბუიოს დაავადება. (იხ.).

ბულბალური მოალტერნირე სინდრომი — რბილი სასის დამბლია (პარეზის) შერწყმა მბგერავი იოგების, ტრაპეციოიდული და მკერდ-ღავიწ-დერილისებრი კუნთების დამბლასთან — სხეულის მოპირდაპირე მხარეს. სინონიმი: შმიდტის სინდრომი III.

„ბულდოგის" რეფლექსი — ქვედა ყბის რეფლექსის გამოწვევისას აღგილი აქვს საღეჭი კუნთების რეფლექსურ სპაზმს, რაც გამოიხატება ყბების სწრაფი, ხანგრძლივი მოკუმვით. გვხვდება კომურ მდგომარეობაში და ძიუთითებს პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციაზე შუბლის წილის უკანა ნაწილში.

„ბულდოგის" სიმპტომი — სიმპტომი აღინიშნება პარკინსონიზმის დროს და ასევე თავის ტვინის ნაწილების დაავადების შემთხვევაში. ყბების კრუნჩხვითი მოჭერა — ტუჩებზე ან პირის ღრუს ლორწოვან გარსზე შეხებისას. სინონიმი: იანიშევსკის სიმპტომი.

ბულის დაავადება — ახალშობილთა სეფსისის ფორმა. ხასიათდება სიყვითლით და სისხლჩაქცევებით კანზე, აგრეთვე ლორწოვან გარსებსა და შინაგან ორგანოებში.

ბუშკეს სიმპტომი — გამღიზიანებლების მიმართ თვალის გუგა არ რეაგირებს ფსიქიკურად და მტკივნეულად. აღინიშნება შიზოფრენიის დროს.

ბუნიამვერის ცხელება — ტროპიკული კოღოსმიერი ინფექციური ცხელებითი დაავადება. იწვევს იმავე სახელწოდების არბოვირუსი. ახასიათებს ციკლოთვისებიანი მიმდინარეობა.

ბუჟარ-სოუვრე-უოსტე-ვალადე-სალის სინდრომი — აღინიშნება ხმაურის და ვიბრაციის ხანგრძლივი პროგრესირებადი სიყრუე, დაღლილობა, კუნთების სისუსტე, აგზნებადობა, სიგამხდრე, ჰიპოტონია. უპირატესად ემართებათ საავიაციო დარგში დასაქმებულთ.

ბუჟეს სინდრომი — ეპილეფსიის და შაქრიანი დიაბეტის შერწყმა. სინონიმი: კასტერ-ჰუდარ-ბუჟეს სინდრომი.

ბურგინიონის მეთოდი — ტრანსცერებრული გალვანიზაცია, გალვანიზაციის ან სამკურნალო ელექტროფორეზის მეთოდი, რომლის დროსაც გალვანიზაციის აპარატის ერთი პოლუსიდან ელექტროდი დაედება დაზიანებული თვალების ქუთუთოებს, მეორე პოლუსიდან კი კისრის უკანა მხარეს.

ბურგჰარტის სიმპტომი — ტუბერკულოზის შესაძლო ნაადრევი ნიშანი: კრეპიტაცია ფილტვებში ლავიწის წინა კედლის ნაწილში.

ბურდენკო-კრამერის სინდრომი — ნათხემის ნადების სინდრომი, ტენტორიალური სინდრომი — თავის ტკივილის შერწყმა თვალის კაკლების ტკივილთან, სინათლისადმი შიშთან, ბლეფაროსპაზმთან, ცრემლის დენასთან და მენინგეალურ სიმპტომოკომპლექსთან. აღინიშნება ნათხემის ჰეის სიმსივნის დროს.

ბურკიტის ლიმფომა—აღწერილია 14 წლამდე ასაკის ბავშვებში. მოზრდილებში არ გვხვდება. გავრცელებულია აფრიკის კონტინენტის ეკვატორულ ზოლში და გამოწვეულია ფეხსახსრიანების მიერ მატარებელი ვირუსით. ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია სწრაფად მზარდი ოსტეოლიზური სიმსივნე, რომელიც პროცესში ითრევს ერთ ან რამდენიმე კვადრატს. სიმსივნე შეიძლება აღმოჩნდეს სანერწყვე ჯირკლებში, თირკმლებში, თირკმელზედა ჯირკლებში, ღვიძლში, გულში, რეტროპერიტონეუმში და ა. შ. მკურნალობა სიმპტომური. პროგნოზი ცუდი.

ბურნევილის დაავადება — ტუბეროზული სკლეროზი, ეპილოია — მემკვიდრეობითი დაავადება ფაკომატოზების ჯგუფიდან. ახასიათებს კრუნჩხვითი შეტევების, ჭკუასუსტობისა და კანის დაზიანების შერწყმა (ფიბრომა, ცხიმოვანი ჯირკვლის ადენომა, ყავისფერი პიგმენტური ლაქები). მემკვიდრეობის ტიპი — აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: ბურნევილ-პრინგლ-ჰარტდეგენის დაავადება.

ბურნევილის სტატუსი — ეწოდება გენერალიზებული ეპილეფსიის სტატუსს.

ბურნევილ-პრინგლ-ჰარტდეგენის დაავადება — იხ. სინონიმი: ბურნევილის დაავადება.

ბურეს საცდელი სადილი — კუჭის სეკრეტორული და ევაკუატორული უნარიანობის გამოსარკვევი კვებითი გამაღიზიანებელი. შედგება 200 მლ ხორცის ბულიონის, 80 გ ხორცისა და 100 გ პურისაგან ან პურეულისაგან.

ბურტონის სიმპტომი — რუხი კანტი რბილ სასაზე საჭრელი კბილების ირგვლივ სატურნიზმის დროს.

ბუსე-ბუშკეს ბლასტომიკოზი ანუ დაავადება — კრიპტოკოკოზი. ევროპული ბლასტომიკოზი, საქარომიკოზი, ტორულოზი — ქვემწვავე ან ქრონიკული ნერვული სისტემის დაზიანება. უფრო ეშვიათად ზიანდება ფილტვები, კანი, ლორწოვანი გარსები.

ბუსე-ლეფლერის პნევმონია — ფილტვების ეოზინოფილური ინფილტრატი — ფილტვის სწრაფად უკუქცევადი ინფილტრატი ეოზინოფილიით. წარმოადგენს ალერგიულ-ანთებით რეაქციას ანტიგენზე (ბაქტერიული, ინვაზიური და სხვა წარმოშობისა). კლინიკურად ვლინდება დაღ-

ლილობით, სახსრებში მტკივნეული გრძნობით, ეოზინოფილია სისხლში აღწევს 10—70%-მდე. რენტგენოლოგიურად ფილტვებში ადგილი აქვს სხვადასხვა ზომის და სტრუქტურის ინფილტრატებს, რაც სწრაფად ქრება. ამგვარ ინფილტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ორგანოებშიც. სინონიმები: ლეფლერის ეოზინოფილია, ლეფლერის პირველი სინდრომი, კარტაგენერის სინდრომი.

ბუშარის დაავადება — გასტროექტაზია, კუჭის ღრუს გაფართოება მისი კედლების დაჭიმვით, პილორუსის ან თორმეტგოჯა ნაწლავის სტენოზის დროს.

ბუშარის კვანძები — მტევნის თითების შუა ფალანგების ძირში მკვრივი წარმონაქმნების გაჩენა, ფალანგთაშორისი პროქსიმალური სახსრების დეფორმული ართროზის დროს.

ბუშარდტის რეჟიმი — შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანთა დიეტა, რომლის დროსაც საკვების კალორიულობა 1 კგ წონაზე არ უნდა აღემატებოდეს 20-25 კილოკალორიას.

ბუშე-გზელის დაავადება ანუ სინდრომი — ლეპტოსპიროზი სიყვითლის გარეშე. გრიპოტიფოზური ლეპტოსპიროზი. შორეული აღმოსავლეთის ლეპტოსპიროზი. ჭაობის ცხელება, წყლის ცხელება — ლეპტოსპიროზის კლინიკური ვარიანტი, რომელიც მიმდინარეობს სიყვითლის გარეშე.

ბუშკეს დაავადება — მოზრდილთა სკლერემა. აპონევროზული კეთილთვისებიანი სკლეროდერმა, შეშუპებითი სკლეროდერმა — სახის და კისრის დიფუზური, სწრაფად განვითარებული მტკივნეული და მკვრივი შეშუპება, შემდგომი გავრცელებით სხეულის ზემო ნაწილზე და ზემო კიდურებზე, გეხვდება ზოგიერთი ინფექციური დაავადების მოხდის შემდეგ. ხასიათდება კოლაგენური ბოჭკოების შეშუპებით დერმის ღრმა ფენებში და კანქვეშა ქსოვილებში.

ბუშკეს იატროგენული დაავადება — ჩვეულებრივ გეხვდება ბავშვთა ასაკში. დამახასიათებელია მოულოდნელი დაწყება სასუნთქი გზების ინფექციის შემდეგ. ნიშნებია: სხეულის ზედა ნაწილში მოძრაობის შეკავება, კანისა და კანქვეშა ქსოვილის გასქელება, ცხელება, ედს-ის აჩქარება.

ბუშკე-ლევენშტეინის სიმსივნე — ანუ გიგანტური კანდილომატოზი. წარმოადგენს პრეკარცინომულ დერმატოზს. გიგანტური კანდილომატოზი განიხილება როგორც შუალედური პროცესი კანდილომებსა და ლორწოვანი გარსის კიბოს შორის. ხშირია მალიგნიზაცია, რაც ხდება მისიგ დიაგნოსცირებიდან 2—12 წელიწადში. მკურნალობა რადიკალურია.

ბუშკე-ოლენდორფის სინდრომი — დისემინირებული ლენტიკულური დერმატოფიბროზი. კვანძოვანი ფიბროზი. მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს მრავლობითი წვრილი, სიმეტრიულად განლაგებული დერმატოფიბრომების წარმოშობა — უპირატესად ტანზე.

ბუშკე-ფიშერის სიმეტრიული დისემინირებული ლაქოვანი კერატოდერმია ანუ სინდრომი — დისემინირებული ლაქოვანი სიმეტრიული კერატოდერმია. კვანძოვანი მეჩეჩოვანი კერატოდერმია, ხელისგულ-ფეხისგულის წერტილოვანი კერატოზი, წერტილოვანი პოროკერატოზი —

მემკვიდრეობითი კერატოდერმია. ახასიათებს მრავლობითი სიმეტრიულად განლაგებული უბნები გარქოვანებისა, მოყვითალო-მოყავისფრო ფერით, ზომით 2-10 მმ, მემკვიდრეობის ტიპია, აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: მანტუს დერილოვანი ხელისგულ-ფეხისგულის პოროკერატოზი, ბენიეს სიმეტრიული ერითემატოზული კერატოდერმია, ლორტ-ჟაკობის მეპეპოვანი კვანძოვანი კერატოდერმია.

ბუხარის ცხელება — ფლებოტომური ცხელება. მოსკიტური ცხელება, პაპატაჩის ცხელება. პაპატაჩი — მწვავე ინფექციური დაავადებაა, იწვევს არბოვირუსები, გადამტანია მოსკიტები, დამახასიათებელია სამ-ოთხ დღიანი მაღალი ტემპერატურა რამდენიმე საათით, შემდგომი სწრაფი ძლიერი დაქვეითებით (კრიზისით).

ბუხმანის სიმპტომი — მარჯვენა გუგის გაფართოება ქრონიკული ბენდიციტის დროს.

გაბზარული ჭოთნის სიმპტომი — თაყის ჭალას პერკუსიით მიღებული ხმიანობა, რომელიც მოგვაგონებს გაბზარული თიხის ჭოთანზე დარტყმით გამოწვეულ ხმიანობას, თავის ჭალას შიდა წნევის მომატების ნიშანია. სინონიმი: მაკიუინის სიმპტომი.

„გადაკვანძული ვენის დაავადება" — ელინდება მაგისტრალური ვენების დაზიანებისა და მათი მკურნალობის დროს. ამ შემთხვევაში ვენაში შეიძლება განვითარდეს ჰემატომა, მოპულსირე ანევრიზმი, თრომბოზი და პოსტთრომბოზული დაავადება. ყოველივე ამას ზოგჯერ თან სდევს ვენური სისხლჩაქცევა, მწვავე ან ქრონიკული უკმარისობა. ეს უკანასკნელი არაიშვიათად ხდება მიზეზი შრომის უუნარობისა და ინვალიდობისა.

გადაჯვარების სინდრომი — ხასიათდება მეა-სთვის (იხ. მეა) დამახასიათებელ სხვადასხვა ნიშანთა ურთიერთ გადაკეთით, ანუ ამ ნიშნების ერთდროული არსებობით ერთსა და იმავე ავადმყოფში.

გაზაფხულ-ზაფხულის ენცეფალიტი — ტკიპისმიერი ენცეფალიტი. მწვავე არბოვირუსული დაავადება. ნიშნები: მწვავე დაწყება, შემცივნება, ცხელება, თავის ტკივილი, სხეულის ტკივილი, ღებინება, ბრადიკარდია, ჰიპოტენზია, პნევმონია, ენის კანკალი, ყაბზობა, პროტეინურია, მენინგიალური ან მენინგოენცეფალიტური, პოლიმიელიტური ანდა პოლირადიკულონევრიტული მოელენები. სინონიმები: რუსეთის ენცეფალიტი, შორეული-აღმოსავლეთის ენცეფალიტი, ტაიგის ენცეფალიტი.

გ-სინდრომი — მიეკუთვნება მემკვიდრეობით ანომალიათა რიცხვს: ჰიპერტელორიზმი, საყლაპავის ინერვაციის დარღვევა ყლაპვის მოშლით, კრიპტორქიზმი, სათესლე პარკის განვითარების ანომალია, ანდროტროპიზმი, შესაძლოა ანალური ხვრელის ატროფია. სახელწოდება დაკავშირებულია ავადმყოფის გვარის პირველ ასოსთან, რომელსაც პირველად დაუდგინდა ეს სინდრომი.

გაიარის სიმპტომი — აღინიშნება მარჯვენამხრივი პლევრალური და პლევროპერიკარდიული შეხორცებისას ან მარჯვენა ფილტვის ფიბროზის დროს. პერკუსიით და რენტგენოლოგიურად ვლინდება გულის მარჯვნივ გადაწევა.

გაიე-ვერნიკეს ალკოჰოლური ენცეფალოპათია — მწვავე ალკოჰოლუ-

რი ფსიქოზი, გამოელინებული პროფესიული ან მუსიტირებული დელირიუმებით და გაბრუების მდგომარეობით, შერწყმული სისტემურ, არაიშვიათად კლინიკურ პრაქტიკაში დომინირებული სომატურ და ნეიროლოგიურ დარღვევებთან.

გაიე-ვერნიკეს სინდრომი — ჰემორაგიული პოლიენცეფალიტი — შუა ტვინის სისხლძარღვთა დაზიანება სისხლჩაქცევებით, უპირატესად რუხ ნივთიერებაში. ვლინდება ფსიქიკის დარღვევით, თვალების მამოძრავებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების მოშლილობებით. აღინიშნება, ძაგალითად, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, ავიტამინოზის დროს. სინონიმები: ვერნიკეს ზედა მწვავე ჰემორაგიული პოლიენცეფალიტი, ვერნიკეს დაავადება.

გაისბეკის დაავადება — გაისბეკის ჰიპერტონია, გაისბეკის სინდრომი. გაისბეკის ჰიპერტონიული პოლიციტემია, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს არტერიული ჰიპერტენზიის შერწყმა პოლიციტემიასთან. განსხვავებით ერითროციტოზის სხვა ფორმებისაგან გაისბეკის ჰიპერტონიის დროს აეადმყოფს არა აქვს ელენთის გადიდება.

გაკებუშ-გეიერ-გეიმანოვიჩის დაავადება — ტვინის ათეროსკლეროზის ცრუ ალცჰეიმერისებური ფორმა — ფსიქიკური დარღვევების სიმპტომოკომპლექსი, განვითარებული მოხუცებულობის ასაკში. ვლინდება ჭკუასუსტობით, რომელიც შერწყმულია უმაღლესი ქერქული ფუნქციების კეროვან დარღვევებთან (აფაზია, აპრაქსია, აგნოზია). დაავადების არსია ტვინში სისხლის მიმოქცევის უკმარისობა და ნერვულ უჯრედთა და ბოჭკოების დისტროფია ძირითადად საფეთქლისა და თხემის მიდამოში. სინონიმი: ალცჰეიმერისებური სინდრომი.

გალავარდენის სინდრომი—სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის ფორმა, რომლის დროსაც პაროქსიზმის დასაწყისში და მისი შეწყვეტის შემდეგ აღინიშნება ექსტრასისტოლები.

გლანტის ხელის მტევნის სიმპტომი — ხელის მტევნის დიდი თითის უნებლიე გაშლა და გამოწვევა ტენარის მიდამოში პერკუსიის დროს. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

გალახის რეფლექსი — ორბიკულური რეფლექსი. ქუთუთო-გუგას რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: გუგების შეიწროება ქუთუთოთა შეერთებაზე მცდელობის დროს, რომელიც ხელოვნურად ყოენდება (მაგალითად, გუგის გამაფართოებლებით). სინონიმები: გიფორდ-გალასის რეფლექსი, პილტცის რეფლექსი.

გალეზოვსკი-პარინოს სინდრომი — უპირატესად ცალმხრივი კონიუნქტივიტი წყლულებისა და კვანძების წარმოშობით, რასაც თან სდევს ცხელება, ლავიწქვეშა და ყბისირგვლივი ლიმფური კვანძების გადიდება. აღინიშნება ტულარემიის, ლისტერიოზის, ლიმფოგრანულომატოზის და ზოგიერთი სხვა დაავადების დროს. სინონიმი: პარინოს კონიუნქტივიტი.

გალის დაავადება — ჰიპოთირეოზი, ჰიპოთირეოიდიზმი — ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობის სინდრომი. ახასიათებს ნერვულ-ფსიქიკური დარღვევები, სახის, კიდურების და სხეულის ლორწოვანი შეშუპება, ბრადიკარდია, ცვლითი პროცესების მოშლა-შენელება და სხვ.

გამელის სინდრომი — (ანუ ჭრითეპა) — პარაონკოლოგიური დერმატოზი. შეპოვარგულიც ჭრითემოდესკვამატიური მიგრირებადი დერმატოზი — ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნური პროცესის არსებობისას. კანის ცვლილებები შეიძლება წინ უძღოდეს რამდენიმე თვით ადრე სიმსივნის კლინიკურ გამოვლინებას, ანდა დაემთხვეს ერთმანეთს დროში. მიეკუთვნება პარანეოპლასტურ სიმპტომოკომპლექსთა რიცხვს.

გამერნაკის ორტის ზედა და ქვედა სტენოზი — კოარქტაციის ვარიანტებია. ერთ შემთხვევაში აორტის სტენოზირება აღინიშნება არტერიული სადინრის მიერთების ზემოთ (იშვიათია), მეორე შემთხვევაში მის ქვემოთ.

გამომყოფ ორგანოთა სინდრომი — ფილტვები და თირკმელები წყვილი სიმეტრიული ორგანოებია, აქვთ მსგავსი შენება (გლომერულები და ღვეთლები, კაპილარული ქსელით). მათში ასევე აღინიშნება მსგავსი მორფოლოგიური ცვლილებები და პათოლოგიური პროცესის ერთდროული მიმდინარეობა, მაგალითად, კოლაგენური დაავადებების, ტუბერკულოზის, სოკოვანი დაავადებების და სხვა დროს. ვინაიდან მსგავსი პათოლოგიური პროცესები დაკავშირებულია ამ ორგანოთა გამომყოფ ფუნქციასთან, მას გამომყოფ ორგანოთა სინდრომი და ასევე ფილტვ-თირკმლების სინდრომი ეწოდა.

გამონაყარის ჩაქრობის ფენომენი — ქუნთრუშის დროს კანის გამონაყარის გაფერმკრთალება ანტიტოქსიკურ შრატის კანში შეყვანის ადგილას. გამოიყენება ქუნთრუშის დიფერენციული დიაგნოზისათვის. სინონიმები: ჩარლტონის ფენომენი, შულტც-ჩარლტონის ფენომენი.

გამსტორპის დაავადება — ოჯახური ეპიზოდური ადინამია, პაროქსიზმული დამპლის ფორმა. ახასიათებს სისხლის შრატში კალიუმის შემადგენლობის მომატება შეტევის დროს. დაავადება იწყება ცხოვრების პირველ ათწლეულში, მიმდინარეობს ხშირი შეტევებით, რომელთა ხანგრძლივობა მცირეა.

გამსტორპ-ვოლფჰარტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ნეიროკუნთოვანი სინდრომი: მიოკიმია, ნეირომიოტონია, კუნთოვანი ატროფია, ჰიპერიდროზი.

განგოლფის სიმპტომი — მოყურებული პერკუტორული ხმიანობა მუცლის ღრუს ქვედა ნაწილში, რისი მიზეზიცაა გამონადენი მუცლის ღრუში. აღინიშნება ჩაჭედილი თიაქრის დროს.

განდევნის ფენომენი — ორგანიზმის დაცვითი რეაქცია მასში უცხო სხეულის ჩანერგვის საპასუხოდ. ვლინდება აღნიშნული სხეულის მიუღებლობის და მოცილების ნიშნებით.

განზერის სინდრომი — გონების ისტერიული დაბინდვა, კლინიკურ სურათში აღინიშნება არასწორი პასუხები უბრალო კითხვებზე.

განის ყბა-სახის სიმპტომი — განის სიმპტომოკომპლექსი, ქვედა ყბისა და ქეთუთოს სინკინეზია, გვხვდება პტოზის დროს და მდგომარეობს დაწეულ ზედა ქუთუთოს პარადოქსულად მაღლა აწევაში ქვედა ყბის ქვემოთ ჩამოწევისას.

განმეორებითი დაძაბვის სინდრომი — ვლინდება ეპიდემიურად, ლო-

კალიზებული ფიბრობიტის გამოვლინებაა, ხშირად პროფესიული ხასიათისაა. ნიშნები: ტკივილი და ფუნქციის დარღვევა ზედა კიდურებში, რომლის დასაწყისი სტერეოტიპული მოძრაობებითაა გამოწვეული. დასაწყისში მას უკავშირებენ ტენოსინოვიტს, მერმე კი მიიჩნევენ განმეორებითი დაძაბვის სინდრომად.

განსერის სინდრომი — ფსევდოდემენცია. ვლინდება ციხეში პატიმრობისას ფსიქოზის დროს სიტუაციური ან ისტერიული რეაქციების სახით. ცნობიერების განსაკუთრებული დარღვევის შედეგად ავადმყოფები სრულიად უბრალო კითხვებზე პასუხობენ უაზროდ, ეს ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავადმყოფი წინასწარ განზრახული ფსიქიკური დაავადების სიმულაციას ეწევა.

განქურდვის სინდრომი — ადგილი აქვს ზოგიერთი მედიკამენტის ხმარებისას. მაგალითად, კურანტილით მკურნალობის დროს, მიოკარდიუმის კეროვანი დაზიანების ზონაში შესაძლოა ჟანგბადით მომარაგების დაქვეითება, შედეგად პრეპარატის მოქმედების გამო სხვა, დაუზიანებელ უბნებში მისი მოხმარების ზრდისა.

გარბანის სინდრომი — ენტეროჰეპატიკური სინდრომი, ენტეროჰეპატიკური კოლისეფსისი, ნაწლავის ჩხირის ენდოგენური ინფექცია, აღმავალი კოლიინფექცია ღეიძლისა ქრონიკული ქოლანგიტის მოვლენებით. სინონიმები: აბრამის სინდრომი, ბრულეს სინდრომი, ვიდალ-აბრამის დაავადება.

გარდამავალი კოჭლობის სინდრომი — ათეროსკლეროზული ან ენდარტერიიტის პროცესის აორტის ბიფურკაციის ან ბარძაყის არტერიაში ლოკალიზაციის შემთხვევაში სიარულის დროს (დასაწყისში სწრაფი სიარული ან სირბილი) აღინიშნება ტკივილი ქვედა კიდურის არეში, რომელიც დასვენებისას გაივლის და ისევ გაჩნდება კიდურის დატვირთვისას.

გარდნერის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება მრავლობითი პოლიპოზით სწორსა და განიე ნაწლავებში, რომელიც შერწყმულია კეთილთვისებიან სიმსივნეებთან, უფრო ხშირია კანსა და ძვლებში (ოსტეომები, ფიბრომები, ლიპომები). მემკვიდრეობის ტიპია აუტოსომურ-დომინანტური.

გარდნერ-დიამონდის სინდრომი — სხვადასხვა ლოკალიზაციის გაურკვეველი გენების სპონტანური ინტერმიტირებადი ჰემორაგიები, რასაც თან სდევს კანის ეკქიმოზები, სისხლიანი პირღებინება, მელენა, ჰემატურია, ცხვირიდან სისხლდენა, გამოხატულია გინეკოტროპიზმი.

გარეს ოსტეომიელიტი — მასკლეროზირებელი ოსტეომიელიტი, პირველადი ქრონიკული დიაფიზური ოსტეომიელიტი ძვლებში სკლეროზული ცვლილებების სიჭარბით.

გარლანდის სამკუთხედი — ნათელი პერკუტორული ხმიანობის სამკუთხა მონაკვეთი გულმკერდის ზედაპირზე, რომლის მწვერვალი მიმართულია ქვევით, ხოლო საზღვრებია დამუაზოს (იხ.) ხაზი, ხერხემალი და დამუაზოს ხაზის უმაღლეს წერტილიდან ხერხემლის მიმართ პერპენდიკულარი. აღინიშნება პლევრის ღრუში ექსუდატის მხარეზე.

გარსენის სინდრომი — თავის ქალას ნერვების ცალმხრივი მრავლო-

ბითი დაზიანება თავის ქალას შიდა წნევის მოუმატებლად და გამტარი გზების დაუზიანებლად. აღინიშნება თავის ფუძის სიმსივნეების დროს.

გარსია-სოჯერსის სიმპტომი — მცურავი ყინულის სიმპტომი, მცურავი შროშანის სიმპტომი — ფილტვის ექინოკოკის კისტის გახსნისა და ნაწილობრივი დაცლის რენტგენოლოგიური ნიშანი. კისტაში აღინიშნება დარჩენილი სითხის არასწორი კონტურები ქიტინის მოცურავე ნა[illegible]ების გამო.

გასერის დაავადება ანუ სინდრომი — ჰემოლიტიკ[illegible] ერემიული სინდრომი. თირკმელების დაავადება, მიმდინარე ჰემოლიზური ანემი[illegible]თ, თრომბოციტოპენიით და თირკმელების მწვავე უკმარისობით. სინონიმი: გასერ-კასერის დაავადება.

გასერის კვანძის სინდრომი — სამწვერა კვანძის სინდრომი. აღინიშნება ტკივილის, მგრძნობელობის დარღვევისა და სახეზე ჰერპესული გამონაყარების არსებობით სამწვერა ნერვის ინერვაციის მიდამოში, უპირატესად თვალის ტოტში. ადგილი აქვს სამწვერა ნერვის განგლიის დაზიანებას.

გასერ-კარერის დაავადება — იხ. სინონიმი: გასერის დაავადება.

გასპერინის სინდრომი — ვაროლის ხიდის სახურავის დაზიანების დროს ალტერნირებადი სინდრომი. ნიშნები: სმენის, სახის განშხრეკ[illegible]ი და სამწვერა ნერვების დაზიანების შერწყმა პათოლოგიურ მხარეზე ჰემიანესთეზიასთან გაშტარი ტიპით სხეულის მოპირდაპირე მხარეს.

გასპ-სუნთქვა — ყალიბდება სუნთქვითი ცენტრისა და ცენტრალური ნერვული სისტემის როსტრალურ ნაწილს შორის ურთიერთკავშირის სრული შეწყვეტისას. დაკავშირებულია გასპინგ-ცენტრთან, რომელიც განლაგებულია მოგრძო ტვინის კაუდალურ ნაწილში და ამ დროს განიმუხტება, მომენტურად. ინსპირატორული კუნთები იკუმშებიან მაქსიმალური ძალით, ამოსუნთქვა კი პასიურია. დამახასიათებელია კუსმაულის და ნაპირზე ამოგდებული თევზისათვის, ზოგიერთი მღრღნელებისთვის ზამთრის ძილის პერიოდში. წარმოადგენს სუნთქვის გაჩერების პროცესის ერთერთ მომენტს (ეუპნოე-აპნეიზისი-გასპ-სუნთქვა, აპნოე).

გასტოს სინდრომი — ჰემიპლეგიური ეპილეფსია — ჰემიპლეგიის შეხვედრა ლოკალურ კრუნჩხვებთან, ზოგჯერ დიდ ეპილეფსიურ გულყრებთან. გამოვლინდება როგორც პოლიომიელიტის გართულება (ჩვეულებრივ ბავშვთა ადრეულ ასაკში).

გასტროკარდიული სინდრომი — კუჭ-გულის სინდრომი. გულის ფრიალი, ტკივილი გულის არეში, გულის რიტმის დარღვევა, არტერიული წნევის მომატება, ან დაკლება, რაც ვითარდება კუჭის ავსების ან მეტეორიზმის შედეგად. სინონიმები: უდენ-რემჰელის დაავადება, რემჰელდის დაავადება ან სინდრომი.

გაშესტადის სინდრომი — ღვიძლის უკმარისობის სიმპტომოკომპლექსი ალკოჰოლური ენცეფალოპათიის დროს. გამოვლინდება ცნობიერების შეკვეცადი დარღვევებით, დაწყებული კომით, ტრემორით და მოძრაობითი დარღვევებით.

გახანგრძლივებული S—T ინტერვალის სინდრომი — სინდრომი დაკავშირებულია არიტმიის დროს უცაბედ სიკვდილთან. თანდაყოლილი სინ-

დრომისათვის დამახასიათებელია გრძნობის დაკარგვა და უცაბედი სიკვდილის მაღალი რისკი, შეძენილი გეხვედება ბეკრად უფრო ხშირად, ვიდრე თანდაყოლილი. განარჩევენ ამ სინდრომის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს. მწვავეს ესვედებით მოწამვლების დროს (ფოსფორი, დარიშხანი, სინდიყი, კანიში, ეერატრინი და სხვ.), მედიკამენტების ხმარებისას (კორდარონი, ქინიდინი, დიზოპირამიდი, აიმალინი, ფსიქოტროპული საშუალებები, ამინაზინი, მელერილი, ამიტრიპტილინი, ბარბიტურატები, ლიდოფლაზინი და სხვ.). ჰიპოკალიემიის, ჰიპოკალციემიის, ჰიპომაგნეზიემიის დროს, დიურეტიკების გამოყენების შედეგად და სხვ. ქრონიკული შემთხვევები გვხვდება მიოკარდიუმის ქრონიკული დაზიანების დროს.

გებეფრენიული სინდრომი — გამოხატულია ემოციური სიჩლუნგე. აღინიშნება შიზოფრენიის დროს. სინონიმი: კლეისტის აპათიური გებეფრენია.

„გედის ყელის" ფორმის მტევნის სიმპტომი — რევმატოიდული ართრიტისათვის დამახასიათებელია მტევნის თითების დეფორმაცია, რომელიც ზოგჯერ ღებულობს „გედის ყელის" ფორმას. აქედან მისი სახელწოდებაც.

გეიგელის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი ქალებში, შეესაბამება კრემატერის რეფლექსს. ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე ჩაქუჩის დარტყმის საპასუხოდ ადგილი აქვს კუნთთა შეკუმშვას პუპარტის იოგის დონეზე.

გეიმანოვიჩის ფენომენი — ტკივილი კაროტიდულ გლობუსზე ხელის დაჭერისას, მისი ირადიაციით კეფისაკენ. მიუთითებს კაროტიდული სინუსის შომატებულ მგრძნობელობაზე.

გეინრიხსდორფ-შირონენკოს სიმპტომი — რენტგენოლოგიურად პირველ წინაირიბ პროექციაში ჩაღრმავების არსებობა მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ანევრიზმის ზედა ჩრდილის კიდესა და მარცხენა პარკუჭის დაუბიანებელი ნაწილის ჩრდილს შორის.

გეიც-ბუაის სინდრომი — ენტერო-რუნული სინდრომი, პიელიტი, რომელიც ვითარდება ქრონიკული კოლიტის შედეგად ან ნაწლავის მარჯვენა მხრივი სტაზის დროს.

გელერის სიმპტომი — ნაღვლოვანი პერიტონიტის დროს ავადმყოფმა შეიძლება შეიგრძნოს შინაგანი სიმხურვალე, მაშინ როცა მუცლის კანის ზედაპირი შეხებით ცივია.

გენსლენის სიმპტომი — ტკივილი გავა-თეძოს შესახსრებაში, როცა ფეხის სახსრები მაქსიმალურად იხრება იმავე მხარეს და მაქსიმალურად იშლება მეორე მხარეს. საკროილეიტის ნიშანი.

გენერალიზებული ლიპოდისტროფიის სინდრომი — ლიპოატროფიული დიაბეტი, ტოტალური ლიპოატროფია, ჰიპერკუნთოვანი ლიპოდისტროფია — ჩვეულებრივ გამოვლინდება 40 წლამდე, შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი, ისე შეძენილი. ძირითადი ნიშანია კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის არარსებობა სხეულის დიდ ნაწილში. ზოგჯერ მისი მოჭარბება სახესა და კისერზე, ჩონჩხის კუნთების ჰიპერტროფია, ეოსინოფილია, ჰიპერტენზია. სინონიმი: ლორენსის სინდრომი.

გენსულინის სინდრომი — თანდაყოლილი ჰემოლიზური სიყვითლე. დამახასიათებელი სიმპტომებია: ანემია, სიყვითლე, სპენომეგალია. განავალი მუქია და შეიცავს სტერკობილინის ჭარბ რაოდენობას. შარდში ბევრია ურობილინოგენი და ურობილინი, ხშირად თან ერთვის განვითარების ანომალიები: კოშკისებრივი თავის ქალა, ინფანტილიზმი, ბრაქიდაქტილია, გოთერი სასა, პერიფერიულ სისხლში ადგილი აქვს გამოხატულ რეტიკულოციტოზს (40%-დე), ზომიერ ლეიკოციტოზს, მიკროსფერულ ერითროციტებს, რომლებიც შეიცავს ჟოლის სხეულაკებს, ძვლის ტვინში გაძლიერებულ ერითრობლასტოზს, რეტიკულური უჯრედების სიმრავლეს. პროგნოზი კარგი. სინონიმები: შოფარ-მინკოვსკი-გენსულნის დაავადება, ერბ-გენსულნის სინდრომი.

გენტერის სიმპტომი — პერკუტორული ხმიანობის მოყრუება თეძოს ძვლის წინა ზედა ფრთაზე. აღინიშნება მუცლის ღრუს გარეთ, მენჯის არეში ლოკალიზებული პათოლოგიური პროცესის დროს (პარამეტრიტი, პარატიფლიტი, ფართო მყესის ჰემატომა, მენჯის ფლეგმონა.

გენუინური კრუპოზული პნევმონია — ფილტვების კრუპოზულ ანთებას ძველ სამედიცინო წყაროებში გენუინური ეწოდება. სიტყვა „გენუინური" ლათინურიდანაა და ამ შემთხვევაში ბუნებრიეს ნიშნავს.

გენჩის სინჯი — ფუნქციური სინჯი გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მდგომარეობის განსასაზღვრავად. გამოიხატება სუნთქვის შეჩერების მაქსიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრისათვის ამოსუნთქვის შემდეგ.

გეორგიევსკი-მიუსის სიმპტომი — ფრენიკუს სიმპტომი. მკერდლავიწ-დვრილისებრი კუნთის მტკივნეულობა, როცა თითებს მათ ფეხებს შორის ვაჭერთ, ჭოლეცისტიტის ნიშანია. სინონიმები: გეორგიევსკის სიმპტომი, მიუსის სიმპტომი.

გერბაზის დაავადება — იგივე გერბაზის ანემია, გერბაზის სინდრომი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, უვითარდებათ ჩვილ ბავშვებს. კლინიკური გამოვლინებით მოგვაგონებს პერნიციოზულ ანემიას, მაგრამ მისგან განსხვავებით არ არის დაკავშირებული გასტრომუკოპროტეინის უკმარისობასთან. რამდენიმე ხანში თავისით ინკურნება.

გერბიხის სიმპტომი — მწვავე პანკრეატიტის ნიშანი. აღინიშნება ძირითადად განივი კოლინჯის გასინჯვისას. ვლინდება გაბერილობითა და დაჭიმულობით, რისი მიზეზიცაა დიდი რაოდენობით აირები.

გერბსტის მტკივნეული წერტილები — მტკივნეული წერტილები, რომლებიც შეეფარდება წელის მესამე მალის განივი მორჩების პროექციას. მათი არსებობა კუჭის გასავლის — პილორუსის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ნიშანია.

გერკეს სიმპტომი — პერიკარდიტის დროს ექსუდატის დიდი რაოდენობით დაგროვების ან შეხორცებების შემთხვევაში ავადმყოფს აწუხებს ტკივილი და ზეწოლის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან, რაც ძლიერდება თავის სწრაფად უკან გადაწევისას. რიგ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია პლევროპერიკარდიულ შეხორცებასთან.

გეროთის მეტასტაზი — კუჭის კიბოს შემთხვევაში შესაძლოა მე-

ტასტაზები ლიმფურ ჯირკვლებში როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ (საზარდულშიც კი).

გერსტმანის სინდრომი — კუთხური ხვეულის სინდრომი — თითის აგნოზიის შეთავსება აგრაფიასა და აკალკულიასთან, სხეულის მარცხენა და მარჯვენა ნახევრის ცნობის დარღვევასთან. განპირობებულია დიდი ტვინის დომინანტური ნახევარსფეროს ქერქის დაზიანებით თხემისა და კეფის შუა ხვეულების მიდამოში. სინონიმი: გერსტმან-შილდერის სინდრომი.

გერსტმან-შილდერის სინდრომი — იხ. სინონიმი: გერსტმანის სინდრომი.

გერტნერის სიმპტომი — ხელის ვენების დაბერვის ხარისხის მომატება მათზე თითების პროქსიმალურად დაჭერისას. მარჯვენა წინაგულის უკმარისობის ნიშანია.

გერტნერის ფენომენი — ხელის მაღლა აწევა იმ დონემდე, ვიდრე არ დაიცლება ზედაპირული ვენები. ესადაგება მარჯვენა წინაგულში არსებულ წნევას.

გერშუნის სიმპტომი — ნიშანი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გაირჩეს ნაწლავში განავლის მყარი მასები სიმსივნისაგან. განავლოვანი ცრუ-სიმსივნის პალპაცია მასზე მყარ ჩანაჭდევებს ტოვებს, ამასთანავე ზეწოლის შემცირებისას შეიგრძნობა, როგორ სცილდება განავლოვან მასებს ნაწლავის კედელი.

გერჰარდტის დაავადება — ერითრომელალგია, ლოკალური ვაზომოტორული ნეიროზი. შეტევისებრი მწვავე, მწველი, ჩვეულებრივ ღამეული ტკივილი ქვედა კიდურებზე, რბილი ქსოვილის გაწითლება და შეშუპება, დაზიანებული უბანი უფრო თბილია, დაფარულია ოფლით. აღინიშნება ჰიპერესთეზია, თანდათან ჩნდება ცვლილებები კანზე (ეროზია, მელანოზი, გამკვრივება), ფრჩხილების, თმებისა და ასევე ძვლისა. უპირატესად აღინიშნება ახალგაზრდა მამაკაცებში ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებისა და ჰიპერტონიული სნეულების დროს. გამოიწვევა სისხლძარღვთა გაფართოებით. სინონიმები: მიტჩელის სინდრომი, ვეიერ-მიტჩელის სინდრომი.

გერჰარდტის სიმპტომი I — მოყრუებული პერკუტორული ხმიანობის შევიწროებული ზოლი მკერდის მარცხნივ გულის აბსოლუტური ყრუ ხმიანობის ოდნავ ზემოთ. გვხვდება არტერიული სადინარის (ბოტალოს სადინარის) შეუხორცებლობისა და ფილტვის არტერიის სარქველის ორგანული უკმარისობის დროს.

გერჰარდტის სიმპტომი II — გარეთა საუღლე ვენის მცირე სავსეობა სიგმოიდური სინუსის ოტოგენური თრომბოზის დროს. მიზეზია მისი წინააღმდეგობის გარეშე დაცლა დაცარიელებულ შიდა ვენაში (თრომბოზის ქვემოთ).

გერჰარდტის ფენომენი — ეწოდება ტიმპანიური ხმიანობის სიმაღლის ცვალებადობას ავადმყოფის ამა თუ იმ მდებარეობასთან დაკავშირებით. რაც უფრო დიდია ღრუ და მისი დიამეტრი, მით უფრო დაბალია ტიმპანიური ხმიანობა და პირიქით. გერჰარდტის ფენომენი მსგავსია

ბიერმერის ფენომენისა (იხ.), ოღონდ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ლითონის ხმიანობასთან.

გესინგის სინდრომი — თიროზინის ცვლის მემკვიდრეობით დარღვევასთან დაკავშირებული სიმპტომოკომპლექსი. კლინიკურად აღინიშნება ღვიძლის ციროზის ნიშნები. თირკმლის ტუბულარული აპარატის დაზიანება, ჰიპოფოსფატემია, „დ“ — ვიტამინის მიმართ რეზისტენტული რაქიტი. საკვებში თიროზინის შეზღუდვა ხელს უწყობს დაავადების პროგრესირების შეჩერებას.

გვირილას სიმპტომი — ფერის სწორი შეგრძნების დარღვევა სათითურას პრეპარატებით ხანგრძლივად მკურნალობისას: ავადმყოფი ხედავს უძრავ მუქ-ლურჯ პატარ-პატარა ვარსკვლავებს. სინონიმი: რეიტერის სიმპტომი.

გვისტის სიმპტომი — შტოპორის (კორპსაძრობის) სინდრომი. სინონიმი: ადამიუკ-რელმან-გვისტის სიმპტომი. (იხ.).

გვიდონის ცეკვა — წმინდა გვიდონის ცეკვა. ჩვეულებრივი ქორეა. რევმატიული ქორეა. ცენტრალური ნერვული სისტემის რევმატიული ბუნების დაავადება. დამახასიათებელია თაეის ტვინის ბაზალური ბირთვების დაზიანება. ვლინდება ქრონიკული ჰიპერკინეზიებით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, რეფლექსების შეცვლით, ემოციების დარღვევით. ზოგჯერ თან ახლავს ხასიათის და ფსიქიკის სხვა დარღვევებიც. სინონიმები: სიდენჰამის დაავადება, წმინდა ვიტეს ცეკვა (ვიტეს ცეკვა).

გზელ-ერდჰეიმის სინდრომი — განშრევებადი ანევრიზმა. ანევრიზმა წარმოშობილი აორტის შიგნითა და შუა შრეების ჩახევით. აღინიშნება ათაშანგის, ათეროსკლეროზის, ტუბერკულოზის დროს. გამოვლინდება ძლიერი მწვავე ტკივილით გულმკერდის არეში განსაკუთრებით წელის მიდამოში (ბეკთაშუა არეში), გრძნობის დაკარგვით, შოკითა და კოლაფსით.

გი-ჰერტერ-ჰეიგნერის დაავადება — ცელიაკია. ქრონიკული დაავადება, შეპირობებული იმ ფერმენტთა ნაკლებობით, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გლუტეინის გადამუშავებაში. გამოვლინდება კვების დარღვევით, სტეატორეით, მუცლის გადიდებით, ავიტამინოზითა და ფოსფორ-კალციუმის ცვლის დარღვევით. აღენიშნებათ ბავშვებს. სინონიმი: ჰეიგნერ-პერტერის დაავადება.

გიაკომინის სინდრომი — ჰეშმარიტი მიკროცეფალია. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი რეცესიული — შეკავშირებული „იქს“ ქრომოსომასთან. ნიშნები: მიკროცეფალია, ნათხემის, ვაროლის ხიდისა და ოლივის ჰიპოპლაზია, ართროგრიპოზი, სპასტიკური დიპლეგია, კრუნჩხვების შეტევები, გონებრივი განვითარების შეფერხება, გულის თანდაყოლილი მანკები, მაღალი სასა, კბილების ანომალიები. სინონიმი: პეისის სინდრომი.

გიბრალტარის ცხელება — მალტის ცხელება, ხმელთაშუა ზღვის ცხელება, მელიტოკოკოზი. მელიკოკცია — ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს მიკროორგანიზმები ბრუცელის ჯგუფიდან. ადამიანს გადაეცემა ავადმყოფი ცხოველიდან ალი-

მენტური ან კონტაქტური გზით. ჩვეულებრივ მიმდინარეობს ქრონიო-სეფსისის ტიპით, პოლიმორფულობით. სინონიმები: ბალარ-მილერ-დეევენ-პეს სინდრომი, ბანგის დაავადება.

გიბსონის მეტჰემოგლობინემია — პირველი ტიპის მემკვიდრეობითი მეტჰემოგლობინემია, მიეკუთვნება მემკვიდრეობით მეტჰემოგლობინემიათა რიცხვს. დაკავშირებულია მეტჰემოგლობინის ჰემოგლობინში აღმდგენ ფერმენტ ლიპოამიდდეჰიდროგენაზის ერითროციტებში შემცველობის დეფიციტთან. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიულ ტიპით. ვლინდება სიცოცხლის პირველსავე წელს ციანოზით, სისხლის მექა-ყაეის ფერით.

გილენის დისოციაცია — მუცლის ღრმა რეფლექსების გაცხოველების ფონზე, მუცლის კანის ზერელე რეფლექსების დაქვეითება ან მოსპობა, დამახასიათებელია გაფანტული სკლეროზისათვის.

გილენის რეფლექსი — ბარძაყის ოთხთავა კუნთზე ხელის მოქერა იწვევს მოპირდაპირე კიდურის სწრაფ მოხრას მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსრებში. აღწერილია სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევებისას. გეხვდება აგრეთვე მენინგიტის დროს.

გილენის სიმპტომი — მენინგეალური სიმპტომი: ფეხის მოხრა არ წამოწევა მუცლისკენ მეორე ფეხის ოთხთავა კუნთზე ზეწოლის ან მის ზემოთ კანის ჩქმეტისმაგვარ გაღიზიანებაზე.

გილენის სინდრომი — ნათხემისებური პროგრესირებადი ატაქსია მყესთა არეფლექსიით. გამოწვეულია ოლიგოპანტოცერებრული დისტროფიით და ზურგის ტვინის უკანა კონის დაზიანებით.

გილენ-ალაჟუანინის ბოქვენის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: მუცლის ფარის წინა კედლის კუნთებზე და ბარძაყის კუნთების შეკუმშვა საქიმო ჩაქუჩით სიმფიზზე დარტყმის დროს. სინონიმი: გილენ-ტრიუმფოვის რეფლექსი.

გილენ-ალაჟუანინ-მათიეს სინდრომი — ჰემიპარეზის შეთავსება მგრძნობელობის ცალმხრივ მოშლილობებთან, ნათხემის დარღვევებთან (ინტენსიური კანკალი, ჰემიასინგია, ადიადოკოკინეზია), თითების ჭორეოატეტოიდურ მოძრაობებთან და საფეთქლის ცალმხრივ ჰემიანოფსიასთან. აღინიშნება ჰიპოთალამუსთან ახლოს ტვინის დაზიანების დროს.

გილენ-ბარეს რეფლექსი — მედიოპლანტარული რეფლექსი. ფეხის-გულის შუა ნაწილზე ჩაქუჩის დარტყმას მოჰყვება ტერფისა და თითების პლანტარული მოხრა. განეკუთვნება ფიზიოლოგიურ რეფლექსებს. გაცხოველებულია პირამიდული გზის დაზიანების დროს, ხოლო დაქვეითებული ან მოსპობილია შესაბამისი რეფლექსური რკალის დაზიანების დროს.

გილენ-ბარეს სინდრომი — მწვავე პოლირადიკულონევრიტი, უხშირესად ვირუსული, ზოგჯერ ალერგიული წარმოშობისაა. აღწერილია აგრეთვე შაჭრიანი დიაბეტის, იცენკო-კუშინგის დაავადების და თირეოთოქსიკოზის დროს. ხასიათდება კიდურების, განსაკუთრებით ქვედა კიდურების, დისტალური ნაწილების რბილი დამბლით, სეგმენტთა მდებარეობის მგრძნობელობის მოშლით; ხშირად ადგილი აქვს თაეის ტვინის ნერვე-

ბის დაზიანებასაც (შეტწილად სახის ნერვის ორმხრივი პერიფერიული დამბლა). განსაკუთრებით დამახასიათებელია ალბუმინურ-ციტოლოგიური დისოციაცია თავ-ზურგ-ტვინის სითხეში. ზერელე მგრძნობელობა და სპინქტერების ფუნქცია შენახულია, ელექტროაგზნებადობის მხრივ ცვლილებები არ აღინიშნება.

გილენ-ბარე-შტროლის სინდრომი — იხ. სინონიმი: გილენ-ბარეს სინდრომი.

გილენ-თაონას სინდრომი — ზურგის ტვინის ხმობისა და პროგრესირებადი დამბლის ნიშნების შერწყმა ათაშანგიან ავადმყოფებში.

გილენ-ლიბერის სიმპტომი — ლავიწზედა ფოსოს მკაფიო დაპატარავება — წინა დაკბილული კუნთის პერიფერიული დამბლის ნიშანია.

გილენ-ხეზე-დე-ბლონდენ-ვალტერის სინდრომი — წვივის მცირე ნეკნის დაზიანება იმ პირებში, ვისაც პროფესიული საქმიანობისას დიდხანს უხდებათ ჩამჯდარ ან ჩაცუცქულ მდგომარეობაში ყოფნა (სოფლის მეურნეობის მუშაკები და სხვანი).

გილენ-ტრიუმფოვის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი — ზეკლის ფარის კუნთების ცალმხრივი შეკუმშვა სამედიცინო ჩაქუჩით ბოკვენზე დარტყმის დროს შუა ხაზიდან 1—2 სმ ლატერალურად. სინონიმი: გილენ-ალაჟუანინის ბოკვენის რეფლექსი.

გილესპის უბრალო დემენცია — პროგრესირებადი დემენცია. წარმოიშობა 45—60 წლის ასაკში, მიმდინარეობს ქერქული უმაღლესი და სხვა ფუნქციების დარღვევისა და ნევროლოგიურ მოშლილობათა გარეშე.

გილქრისტის ბლასტომიკოზი — იხ. ჯილქრისტის დაავადება.

გილფორდის სინდრომი — იხ. ჯილფორდის დაავადება.

გილფორდ-ტენდლოს სინდრომი — ანჰიდროზი. ექტოდერმული წარმოშობის მოშლილობა, რომლის ძირითადი სიმპტომებია: კომპლექსური ანჰიდროზი ან მაღალი ტემპერატურის გადაუტანლობა და თერმორეგულაციის მძიმე მოშლილობანი, კანის თმიანი ნაწილების ჰიპოტრიქოზი და კანის ღანარჩენი ნაწილების ატრიქოზი, ცხიმის გამოყოფის შემცირება, ანოდონტია ან ჰიპოდონტია, ზოგჯერ უნაგირისებური ცხვირი, ატროფიული რინიტი, გამოდრეკილი შუბლი, განვითარების სხვა მანკები. არსებობს განვითარებული და წაშლილი ფორმები.

გირგოლავის დისემინირებული ნეკროზი — ძლიერი მოყინვის დროს განვარვის დასაწყისი ფაზა. დამახასიათებელია ნეკროზის ცალკეული უბნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შეერთებული ერთმანეთთან და გაფანტულია ქსოვილებში.

გირკეს დაავადება — პირველი ტიპის გლიკოგენოზი. ჰეპატორენალური გლიკოგენოზი. ნეფრომეგალური გლიკოგენოზი განპირობებულია ფერმენტ გლუკოზოფოსფატაზის დეფიციტით. ახასიათებს ღვიძლისა და თირკმლების ზომაში მომატება, კახექსია, კრუნჩხვები, კომა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: გირკე-ვან კრეველდის სინდრომი.

გირკე-ვან კრეველდის სინდრომი — იხ. სინონიმი: გირკეს დაავადება.

გირლიხის ფენომენი — ხელის უნებლიე პრონაცია მისი წინ გამოწვევის დროს პარეზის ან ატაქსიის მხარეზე.

გირშის ტრიადა — ბიტემპორალური ჰემიანოფსია მხედველობის ნერვის დერილთა ატროფიით, ჰიპოფიზალური დისფუნქცია და ცვლილებები თურქულ კეხში (ზომების გადიდება, ფსკერის დაწევა, ზურგის გათხელება და გასწორება). გვხვდება ჰიპოფიზის სიმსივნეების დროს.

გირშ-მერინგ-პავლოვის რეფლექსი — პილორორეფლექსი. პილორუსის გახსნა რეგულირდება ძირითადად კუჭის წვენის ქიმიზმით. როცა მატულობს კუჭის წვენის მჟავობა, და თორმეტგოჯა ნაწლავში ხვდება შიგთავსი, იხურება პილორუსი. ის გაიხსნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თორმეტგოჯა ნაწლავში რეაქცია გახდება ტუტე. კუჭის შიგთავსში მჟავობის დაქვეითება (სუბაციდური მდგომარეობა, აქილია) აჩქარებს კუჭიდან შიგთავსის დაცლას.

გიუიონის ბიძგისებური პალპაცია — ბიძგისებური პალპაცია, რომელიც გამოიყენება თირკმლების გამოსაკვლევად. მას ასევე თირკმლების მაბალოტირებელი პალპაცია ეწოდება. როდესაც ვიკვლევთ მარცხენა თირკმელს, გამომკვლევის მარჯვენა ხელი დაიდება მუცლის ფარის წინა კედელზე ჰიპოქონდრიუმის სათანადო მხარის ქვეშ. მეორე ხელი დაიდება უკან — ხერხემალ-ნეკნების სამკუთხედის მიდამოში და ხდება ხანმოკლე, სწრაფი, ბიძგისებრი მოძრაობები, რომლის დროსაც გამოსაკვლევი თირკმელი მოძრაობს წინ. მარჯვენა თირკმლის გამოკვლევისას ხელთა წყობა პირიქითაა.

გიუნტცის სიმპტომი — ხერხემლის წელის მიდამოს ლორდოზის გასწორება მალთაშუა დისკის გამოვარდნის დროს.

გიუნცბერგის სიმპტომი — პილორუსსა და ნაღველის ბუშტს შორის ლოკალიზებული ყურყური თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს.

გიფორდ-გალასის რეფლექსი — იხ. ჯიფორდ-გალასის რეფლექსი.

გლაბელის რეფლექსი — ნაზო-ლაბიალური რეფლექსი. ცხვირის ზურგზე ჩაქუჩის დარტყმის საპასუხოდ პირისირგვლივი კუნთის შეკუმშვა და ტუჩების ხორთუმისებურად წამოწევა წინ. მიეკუთვნება ორალური ავტომატიზმის რეფლექსებს.

გლაზგოს სემპტომი — სისტოლური შუილი, რომელიც მოისმინება მხარის არტერიებთან ლავიწქვეშა არტერიის შესაყარის ბრაქიოცეფალურ-სადინარის ანდა აორტის დავიწროვების დროს.

გლაზერის სინდრომი — სახის ერთ ნახევარზე, ტკივილის შეტევის შერწყმა ცრემლდენასთან და სურდოსთან. აღინიშნება სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს.

გლანცმანის თრომბასთენია ანუ დაავადება — თრომბოციტოასთენია — მემკვიდრეობითი დაავადება ჰემორაგიული დიათეზების ჯგუფიდან, ახასიათებს თრომბოციტების რიგ ფერმენტთა უკმარისობა, სისხლის კოლტის რეტრაქციის მეორადი დარღვევები და ხშირად სისხლის დენის დროს გახანგრძლივება, მაშინ როცა თრომბოციტების რაოდენობა ნორმალურია ან ოდნავ შემცირებულია და სახეზეა გიგანტური თრომბოციტები. გამოყოფენ აუტოსომურ-რეცესიული და აუტოსომურ-დომინანტური ტიპების მემკვიდრეობითობის ფორმებს. სინონიმი: გლანცმან-ნეგელის დაავადება.

გლანცმან-ბალანდის სინდრომი — აღინიშნება დიფტერიის დროს და გულისხმობს მისი ავთვისებიანი მიმდინარეობის მოგვიანებით გამოვლენებას, რომელსაც ასევე ორმოცდამეათე დღის სინდრომს უწოდებენ. დაავადების დაწყებიდან 35-ე, 50-ე დღეზე ვითარდება კოლაფსი, პირღებინება, სიცხე აღწევს 38°-მდე, მოელენები გულის მხრივ (არითმია, ჰენების რითმი, ექსტრასისტოლია), ციანოზი, ქოშინი. ხშირია ასისტოლია, დიაფრაგმისა და სასუნთქი კუნთების დამბლა. პროგნოზი მძიმეა.

გლანცმან-ნეგელის დაავადება — იხ. სინონიმი: გლანცმანის თრომბასთენია, ანუ გლანცმანის დაავადება.

გლანცმან-რინიკერის სინდრომი — ალიმფოციტური აგამაგლობულინემია. ალიმფოციტოპლაზია. იმუნოპარეზის შეუცარული ტიპი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს თიმუსის აპლაზია, ლიმფოციტებსა და ქსოვილებში პლაზმური უჯრედების არარსებობა, იმუნოგლობულინების ყველა კლასის დეფიციტი. ვლინდება ცხოვრების პირველ თვეში სეპტიკური პროცესით და ფილტვების, კანის და შარდგამომყოფი გზების დაზიანებით. მემკვიდრეობითი გადაცემის ტიპია აუტოსომურ-რეცესიული.

გლანცმან-შენჰოლცერის სინდრომი — თანდაყოლილი აფიბრინოგენემია. კონსტიტუციური აფიბრინოგენემია. მემკვიდრეობითი აფიბრინოგენემია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. მიდრეკილება სისხლდენისადმი აღინიშნება უკვე დაბადებისას და ვლინდება ჭიპიდან გახანგრძლივებული სისხლდენით. ნიშნები: სისხლის შედედების დროს შემცირება, ხანგრძლივი სისხლდენა მცირე ჭრილობაზე, ხშირი კანქვეშა სისხლჩაქცევა, ცხვირიდან სისხლდენა. კბილის ამოღების შემდეგ სისხლდენის გაძლიერება. სინონიმები: რაბე-სალომენოსის სინდრომი, რიზაკის სინდრომი.

გლაუკომურ-ციკლური კრიზების სინდრომი — თვალის კეთილთვისებიანი პაროქსიზმული ჰიპერტენზია, ციკლური გლაუკომა — დაავადება, შესაძლოა ალერგიული, რომელიც ვლინდება როგორც განმეორებითი შეტევები თვალშიდა წნევის ცალმხრივი მომატებისა. არა თანხვედრილია შეგუბებითი გლაუკომის მოელენებთან და რქოვანის ენდოთელიუმზე პრეციპიტატების გამოჩენასთან. სინონიმები: პოზნერ-შლოსმანის სინდრომი, კრაუპ-პოზნერ-შლოსმანის სინდრომი.

გლენარის დაავადება ანუ სინდრომი — სპლანქნოპტოზი (კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის და თირკმლების დაწევა). ხშირად მიმდინარეობს სუბიექტური მოელენების გარეშე. რიგ შემთხვევაში სახეზეა სიმძიმის გრძნობა ეპიგასტრიუმში, ყრუ ტკივილი მუცელში და წელში, გულძმარვა, მადის დაქვეითება, შეკრულობა, თავის ტკივილი და თავბრუ, გულის ფრიალი. წოლისას მოელენები უკუქცევას განიცდის.

გლენარის სიმპტომი I — ტკივილი ზემო ეპიგასტრალურ წერტილში ძლიერდება, როცა ფეხზე მდგომ ავადმყოფს ხელით აუწევენ მუცელს და მას ერთბაშად გაუშვებენ. დადებითია კუჭის პტოზის დროს.

გლენარის სიმპტომი II — ფილტვის ქსოვილის ჰიპოტონიით გამოწ-

ვეული მოხრჩობის გრძნობის შემცირება ღრძა ჩასუნთქვის მდგომარეობაში მუცლის ზემოთ აწევით.

გლენარის ხერხი — სპლანქნოპტოზის გამოვლინების მეთოდი, დამყარებულია მუცელში სპლანგნოპტოზით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქებაზე, როდესაც ავადმყოფის უკან მდგარი ექიმი მიმართავს მუცლის ქვედა ნაწილების ზემოთ აწევას.

გლეხის კანი — ანუ მეზღვაურის კანი. კისრის რომბოიდული გასქელებული კანი — ღრმა რომბოიდული ნაკეცებიანი კანი კისრის უკანა მიდამოში მოხუცებულთა შორის, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მუშაობდნენ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში.

გლინსკი-სიმონდსის სინდრომი — ჰიპოფიზის წინა ნაწილის უკმარისობის სიმპტომები: გარეთა და შიგნითა სასქესო ორგანოების ატროფია,, ამენორეა, საშვილოსნოს ჰიპოპლაზია, ფრიგიდობა, ჰიპო ან აგალაქტია, წარბებისა და თმების ცვენა (იღლიაში, ბოქვენზე), ფარისებრი ჯირკვლის ატროფია, სპონტანური ჰიპოგლიკემია, ფსიქიკური სისუსტე, ანემია, ჰორმონული დარღვევები. ავადდებიან ქალები მშობიარობის შემდეგ. პროგნოზი მძიმე. სინონიმები: შიპენის სინდრომი, სიმონდსის დაავადება, სიმონდს-შიპენის სინდრომი.

გლინჩკოვის სიმპტომი — მარჯვენა სხივის არტერიაზე პულსის შესუსტება მარჯვენა ხელის ზემოთ აწევისას. ათაშანგური აორტიტის არამუდმივი ნიშანი.

გლისონ-ბრაუნვალდის ინდექსი — გულის კუნთის შეკუმშვადობის მაჩვენებელი, რიცხობრივად ტოლი პარკუჭთაშიდა წნევის მომატების მაქსიმალური სისწრაფისა გულის ციკლის ხანგრძლივობასთან.

გლისონის კაფსულა — გლისონის პარკი — ფიბროზული სახერავი, რომელიც აკრავს ღვიძლს, შეხორცებული ვისცერალურ პერიტონეუმთან და რომელიც აღწევს ღვიძლის პარენქიმის შიგნით მისი კარის მიდამოში.

გლორ-ფისკის სინდრომი — აღინიშნება მარცხენა თირკმელზე გადიდებული ელენთის ზეწოლის დროს: ზეწოლის შეგრძნება მუცლის მარცხენა მხარეს, ისინჯება გაღიდებული ელენთა და დისპოზიციური თირკმელი. შარდი არ იცელება. სინონიმი: ფისკის სინდრომი.

გლუკაგონომიის სინდრომი — ვლინდება კუჭუკანა ჯირკვლის ალფა-უჯრედების სიმსივნის — გლუკაგონომის დროს. ხასიათდება გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევით, ჰიპოამინოაციდემიით, ჰიპოპროტეინემიით, ანემიით, თრომბოემბოლიებით, მუცლის ტკივილით, კანის ზედაპირის გაწითლებით. სისხლში აღინიშნება გლუკაგონის კონცენტრაციის მომატება, რაც განსაკუთრებით გამოიხატება საკვების მიღების შემდეგ.

გოდარდის ანომალია — თრომბოციტოპათიური თრომბოციტოპენია კოლაგენ-აგრეგაციისა და თრომბოციტებიდან ადენოზინდიფოსფატის გათავისუფლების რეაქციის დარღვევით (კოლაგენ-აგრეგაცია, როდესაც თრომბოციტების ადჰეზიურ-აგრეგაციული ფუნქციის შესასწავლად მინისებრ ზედაპირთან ბიცოცეროს ფირფიტები ინდუცირებულია კოლაგენით. გარდა კოლაგენისა, ისინი შეიძლება ინდუცირებულ იქნენ ადენოზინდი-

ფოსფატის, თრომბინის, სეროტონინის სხვადასხვა დოზით). აღნიშნული სისდრომა თრომბოციტოპათიის ეკუთვნის.

გოდელიე-რემლენგეს სიმპტომი — პარტახტიანი ტიფის ადრეული საგარანტინო ნიშანი, დაკავშირებული მოგრძო ტვინის დაზიანებასთან: ავადმყოფს ენის გამოწევისას აღენიშნება მისი კანკალი და წყვეტილი მოძრაობა. სინონიმი: გოეროვე-გოდელიეს სიმპტომი.

გოდფრიდ-პრიჯ-კაროლ-პრაკენის სინდრომი — ნეიროფიბრომატოზისა და გულის თანდაყოლილი მანკების მემკვიდრეობით განპირობებული შერწყმა. შესაძლოა თან ერთვოდეს ოლიგოფრენია, კიფოსკოლიოზი, ტკინის ანომალიები, საკვერცხეების სიმსივნე.

გოვერსის სიმპტომი I — გუგის გაფართოება მომეტებულ სინათლეზე. ნერვული სისტემის ათაშანგის ნიშანი.

გოვერსის სიმპტომი II — სახის ნერვის დაზიანების მხარეზე ადგილი არა აქვს მიმიკური კუნთების შეკუმშვას, როცა მოკუმულ მდგომარეობაში ტუჩების შენარჩუნების მცდელობისას ხდება ქვედა ტუჩის იძულებითი გადმობრუნება.

გოვერსის სიმპტომი III — წვივის მცირე ძვლის თავის მიდამოში ტკივილის აღძრა ტერფის ფორსირებული მოღუნვისას. საჭდომი ნერვის ან მცირე წვიკის მცირე ნერვის ნევრიტის ნიშანია. სინონიმი: სიკარის სიმპტომი.

გოვერსის სინდრომი — ვაგუსური კრიზი. ვაზოვაგალური კრიზი — ფერდქვეშა მიდამოში ერთბაშად განვითარებული ტკივილის შეტევა, რასაც თან სდევს მაჯის გაიშვიათება, არტერიული წნევის დაცემა, სუნთქვის გაძნელება, სიფერმკრთალე, ციეი ოფლი, სიკვდილის შიშის შეგრძნება, სავარაუდოა, რომ შეტევა შეპირობებულია ცოთმილი ნერვების ტოტების მოულოდნელი გაღიზიანებით კაროტიდულ სინუსის მიდამოში.

გოვერს-პატონ-კენედის სინდრომი — ერთი თვალის მხედველობის ნერვის პირველადი ატროფიის შერწყმა მეორე თვალის დერილის შეგუბებასთან. აღინიშნება თავის ქალას შიგნით პათოლოგიური პროცესების დროს (სიმსივნე, არაქნოიდიტი, ანევრიზმა და სხვ.), რადგან თავის ქალას შიდა წნევის შემდგომი მომატება იწვევს მხედველობის ნერვზე ცალმხრივ ზეწოლას. სინონიმები: კენედის სინდრომი, ფოსტერ-კენედის სინდრომი.

გოვოროვ-გოდელიეს სიმპტომი — იხ. სინონიმი: გოდელიე-რემლენგეს სიმპტომი.

გოეერ-რეინოლდს-ბერკ-ჰოლდერის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი: თირკმელების თანდაყოლილი პოლიკისტოზი, გლომერულონეფრიტი, სიყრუე, იქტიოზი, შარდში გამოხატულია ჰემატურია, პროტეინურია, ოქსიპროლინურია. წააგავს ალპორტის სინდრომს (იხ.), რომლისგანაც განსხვავდება იქტიოზით ჰიპეროქსიპროლინურიით და ბუტოსომურ-რეცესიული მემკვიდრეობითი გადაცემის წესით.

გოლდბერგერის განხრები — გაძლიერებული ეკგ განხრები კიდურებიდან. გაძლიერებული უილსონის განხრების მოდიფიკაცია — შემართებელი ელექტროდი არ არის შეერთებული კიდურებთან, რომელ-

ზედაც ფიქსირებულია აქტიური ელექტროდი. ელექტროკარდიოგრამის კბილების ამპლიტუდა გაძლიერების შემთხვევაში ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე უილსონის განხრებში (იხ.).

გოლდბერგის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი: ჯუჯა ტანის, გარგოლიზმის ნიშნები, გონებრივი ჩამორჩენილობა თვალის რქოვანას შემღერება, თვალის ფსკერზე ყვითელი ხალის (ლაქის) მოწითალო ფერი, კანში ბეტა-გალაქტოზიდაზის დეფიციტი, მრავლობითი დიზოსტოზი, სმენის თანდათანობითი დაკარგვა.

გოლდბერგ-მაქსველის სინდრომი — მემკვიდრეობითი მამრობითი ფსევდო-პერმაფროდიტიზმი. აღინიშნება მდედრობითი ფენოტიპი, პირველადი ამენორეა, სასქესო გათმიანების უქონლობა. გარეთა სასქესო ორგანოების განვითარება ქალურია, მოკლე და ბრმა ვაგინით, შიდა სასქესო ორგანოები — მამრობითი, სათესლე მილაკების ინფანტილური განვითარებით. სქესობრივი ქრომატინი მამრობითია. სინონიმები: გოლდბერგ-მორისის სინდრომი, მორისის სინდრომი.

გოლდბერგ-მორისის სინდრომი — სინონიმები: გოლდბერგ-მაქსველის სინდრომი (იხ.), მორისის სინდრომი.

გოლდბლატის ექსპერიმენტული ჰიპერტენზია — არტერიული ჰიპერტენზია, გამოწვეული ცხოველებში (ძირითადად ძაღლებში) თირკმლის არტერიის შევიწროებით.

გოლდბლატის სინდრომი — ვაზორენული ჰიპერტონია, თირკმლის ცალი ან ორმხრივი იშემიის გამო. ოპერაციულ ჩარევის გარეშე მიმდინარეობს ავთვისებიანად.

გოლდენის სინდრომი — ტერმინალური ილეიტის — კრონის დაავადების (იხ.) ნაირსახეობა. აღინიშნება უპირატესად ბავშვებსა და ჭაბუკებში. დამახასიათებელია ნაწლავის კედლის შეშუპება, ლიმფოიდური აპარატის ჰიპერპლაზია, ლორწოვანი გარსის ფსევდოპოლიპოზური ცვლილებები.

გოლდენ-კანტორის სინდრომი — კახექსიური პირების კუჭნაწლავის რენტგენოლოგიური გამოკვლევის (გაშუქების) დროს აღნიშნული ნიშნებია: ნაწლავთა დის-ჰიპო ან ჰიპერკინეზია, ლორწოვანი უხეშია და ღრმა ნაოჭებისაგან შედგება.

გოლდენჰარის სინდრომი — კბილების განვითარების, ყურების ნიჟარების და სმენის მილის ანომალიების შერწყმა სახის ნახევრის ჰიპოპლაზიასთან, დერმოიდურ კისტასთან ან კონიუნქტივის ლიპოდერმოიდთან.

გოლდსტეინის სიმპტომი — დიდი მანძილი ტერფის I და II თითს შორის. აღინიშნება კრეტინიზმის და დაუნის დაავადების დროს.

გოლდფლამის სიმპტომი — ფეხის მაღლა აწევისა და კოჭ-წვივის სახსარში მოძრაობის დროს ფეხისგულის მკვეთრი გათეთრება. მაობლიტირებელი თრომბაგიიტის (იხ. ბიურგერის დაავადება) ნიშანია.

გოლდშაიდერის დაავადება — თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი, ტრავმული ბუშტუკელა — მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს კანზე ბუშტუკების წარმოშობა, ნებისმიერ, სრულიად უმნიშვნელო ტრავმის დროსაც კი. სინონიმი: კებნერის დაავადება,

გოლდშაიდერის პერკუსია — ორთოპერკუსია ანუ ე. წ. ზღუდვითი პერკუსია. მისი საშუალებით ხდება გულის საზღვრების პერკუსიული განსაზღვრა. პერკუსიული დარტყმა ხდება არა ჩვეულებრივი (ვერტიკალური) მიმართულებით გულ-მკერდის კედელთან, არამედ საგიტალური მიმართულებით.

გოლტც-გორლინის სინდრომი — ოჯახური მემკვიდრეობითი ეგზომეზოდერმული დაავადება. ვლინდება კანის ჰიპერპიგმენტირებული, მკაფიოდ შემოფარგლული გათხელებული უბნებით, ფრჩხილების დისტროფიით, ჰიპოტრიქოზით, თვალის, ხორხის, გულის ჩონჩხის და ა. შ. ანომალიებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

გოლტცის რეფლექსი — გულის მუშაობის შენელება (გაჩერებაც კი) მუცლის ღრუს ორგანოთა გაღიზიანების შედეგად. მიზეზია ცდომილი ნერვიდან წამოსული რეფლექსი.

გოლტცის სიმპტომი — მუცლის ღრუს ორგანოთა გაღიზიანების შედეგად (ანთება, სიმსივნე და სხვ.). რეფლექსურად მიღებული გულის მუშაობის შენელება (მაგალითად, წყლულოვანი დაავადება, თირკმლის ჭვალი და სხვ.).

გონდას რეფლექსი — ფეხის რეფლექსური გაშლა, დანარჩენი ოთხი თითის ან ერთ-ერთი მათგანის პასიური მოხრის საპასუხოდ. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

გონის კერა — პეტრიფიცირებული ან ოსიფიცირებული ტუბერკულოზის პირველადი აფექტი.

გოპალანის სინდრომი — ფეხის წვის შეგრძნების სინდრომი, ალიმენტური მელალგია — ტერფში მწველი ტკივილის შეტევების შერწყმა (ჩვეულებრივ ღამით) აკროციანოზთან. აღინიშნება, მაგალითად: შაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, ღვიძლის დაავადების დროს. მიზეზია პანტოტენის მჟავის უკმარისობა.

გორდან-ოვერსტრიტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ენდოკრინულ ანომალიათა კომპლექსი. საკვერცხეების ჰიპო ან აპლაზია, პტერიგიები, ჯუჯა ტანი, სარძევე ჯირკვლების, საშვილოსნოსა და საშოს ჰიპო ან აპლაზია; პირველადი ამენორეა, ოსტეოპოროზი, ვირილიზაცია. შესაძლოა გულსისხლძარღვთა განვითარების ანომალიებიც.

გორდიშევსკის მეთოდი — საყლაპავის ბუჟირების მეთოდი, როცა შეყვანილი ბუჟი ღამითაც რჩება, გამოიყენება საყლაპავის სტენოზის შემთხვევაში, მისი ქიმიური დამწვრობისას.

გორდონეს დაავადება — ექსუდატიური ენტეროპათია. იდიოპათიკური ჰიპოპროტეინემია. იდიოპათიკური ჰიპოპროტეინემიური ენტეროპათია. გასტროენტეროპათია. ამ დროს დიდი რაოდენობით იკარგება ცილა. ნიშნები: შეშუპება, ასციტი, პლევრალური გამონაჟონი, ჰიპოპროტეინემია, ჰიპონატრიემია, ჰიპოკალიემია, ჰიპოკალციემია. მიზეზია სისხლის ცილების გაძლიერებული შლა და ცილების ნაწლავთა ასევე დიდი რაოდენობით დაკარგვა.

გორდონის რეფლექსი I — პათოლოგიური რეფლექსი: ტერფის დიდი თითის გაშლა და დანარჩენი თითების მარაოსებრ დაცილება კან-

ჭის კუნთზე ხელის მოჭერის დროს. პირამიდული გზის დაზიანების ნიშანია.

გორდონის რეფლექსი II — პათოლოგიური რეფლექსი: მუხლის რეფლექსის გამოწვევისას წვივის მოღუნულ მდგომარეობაში შეჩერება. ადგილი აქვს მცირე ქორეის დროს.

გორდონის სიმპტომი — რეფლექსი სიდენჰაიმის ქორეის დროს (იხ.). ტონური ხასიათის მუხლის რეფლექსი. გამოიხატება ბარძაყის ოთხთავა კუნთის კრუნჩხვით, რომელიც იწვევს წვივის ხანგრძლივ გამშლელ მდგომარეობას.

გორდონის სინდრომი — ეწოდება არტერიული ჰიპერტენზიის შერწყმას ჰიპერკალიემიასთან, რენინის და ალდოსტერონის კონცენტრაციის დაქვეითებასთან პლაზმაში. მიზეზია ქლორის იონების გადაჭარბებული რეაბსორბცია ჰენლეს მარყუჟის მსხვილ აღმავალ ტოტებში.

გორდონ-ტეილორის სიმპტომი — მუცელზე მოისმინება პერისტალტიკური შუილი, რომელიც ძლიერდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში სისხლდენის დროს.

გორინევსკაიას მეთოდი — „მიწებებული ფეხისგულის“ სიმპტომი, ზურგზე წოლიარე ავადმყოფს არ შეუძლია ასწიოს გამართული ფეხი, ბარძაყის ძვლის ყელის მოტეხილობის ნიშანი.

გორლინის სინდრომი — (ანუ მეა—III და მეა—IIბ, იხ. მეა). რთული ენდოკრინული კრისტოპათია. ხასიათდება ფარისებრი ჯირკვლის მედულარული კიბოს, ორმხრივი ფეოქრომოციტომის, ლორწოვანი გარსის მრავლობითი ნეირომატოზის „მარზანოიდული“ სხეულის სტრუქტურის (იხ. მარფანის სინდრომი) და ნაწლავთა ფუნქციის დარღვევის შერწყმით. პათოლოგიის ეს ვარიანტი განიხილება როგორც ოჯახური სნეულება, დაკავშირებული აუტოსომურ-დომინანტურ გადაცემასთან. აღწერილია სპონტანური განვითარებაც.

გორტოგის სიმპტომი — თმის მტვრევადობა, გათხელება და დაცვენა, წარბების გარეთა მესამედის დაცვენა. ჰიპოთირეოზის კლინიკური ნიშანი.

გორჰემის დაავადება — ტრავმული მასიური ოსტეოლიზი, გაჭრობადი ძვალი, ფანტომური ძვალი — ძვლის მოტეხილობის ადგილზე ფართო ოსტეოლიზი. ვითარდება როგორც მისი გართულება.

გოტრონის აპროგერია ანუ გოტრონის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, ხასიათდება კიდურის კანის თანდაყოლილი ატროფიით, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატულია ხელის მტევნებსა და ტერფებზე და თანხვედრილია მათ ჰიპოპლაზიასთან. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით.

გოტრონის კანის კარცინოიდული პაპილომატოზი — კანის კარცინოიდული პაპილომატოზი, კანის პაპილომატოზი. ახასიათებს სიმსივნურ ქსოვილში არგიროფილური უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ სეროტონინს.

გოშეს დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს გლუკოცერებროლიზიდების დაგროვება რეტიკულოენდოთელიური სისტემის

უკრედებში (ძირითადად ელენთაში, ღვიძლში და ძვლის ტვინში). მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია.

გოშეს სინდრომი — პნევმონომიკოზი. ფილტვების ასპერგილოზი. კლინიკა ჰგავს ფილტვების ტუბერკულოზს. სახეზეა ძლიერი სისუსტე, მოთენთილობა, სუბფებრილური ტემპერატურა, ხველება, ჩხვლეტითი ტკივილი გულ-მკერდში. გამომწვევია ასპერგილის ტიპის სოკო, რომელიც ჰარბად ნოიკოვება დაავადებულის ნახველში (დიაგნოსტიკური კრიტერიუმი).

გოფიხ დაავადება — მუხლის სახსრის ცხიმოვანი ბალიშის პოსტრავმული ჰიპერპლაზია. მუხლის სახსრის ტრავმის დროს ხდება ცხიმოვახი ბალიშის შეშუპება, ხოლო ძლიერი დაზიანებისას იჟღინთება სისხლით, აჰას შიკუავართ ასეპტიკურ ანთებად პროცესამდე. უკუგანვითარება ხდება ნელა, ცხიმოვანი ქსოვილის შემცირებით და ფიბროზული ქსოვილის ჩახცვლებით.

გოჯას სიმპტომი — აღინიშნება ხანგრძლივი დამაუძლურებელი ავადმყოფობის დროს (მაგ. ტიფი); მხრის ორთავა კუნთის გაღიზიანება ზეწოლით ან ჩქმეტით იწვევს ცალკეული კუნთოვანი ბოჭკოების ადგილობრივ შეკუმშვას და არა მთლიანად კუნთისას.

გრავიტცის სიმპტომი — თირკმლის კიბო. ჰიპერნეფრომა. თირკმლის ჰიპერნეფროიდული სიმსივნე, თირკმლის უკრედოვანი კიბო. კიბო ნათელუკრედებიანი — კიბო განვითარებული თირკმლის მილაკების ეპითელიუმიდან.

გრაზერის დივერტიკულები — მსხვილი ნაწლავის (ძირითადად სიგმოიდურის) და სწორი ნაწლავის ლორწოვანი გარსის მრავლობითი ცრუ დივერტიკულები.

გრაიბელიხ სინდრომი — ანგიონევროზული მდგომარეობაა მასტენოზირებელი კორონაროსკლეროზის დროს. ხასიათდება სტენოკარდიული შეტევებით მოსვენებულ მდგომარეობაში, არიტმიით, ოფლიანობით. შეტევისას ელექტროკარდიოგრაფიულად აღინიშნება სუბეპიკარდიული კეროვანი ცვლილებები, რაც შეტევის შემდეგ სრულ უკუქცევას განიცდის. ნიტროგლიცერინი ნაკლებად ეფექტურია. შემთხვევათა 20%-მდე გადადის ინფარქტში. სინონიმი: პრინცმეტალის სტენოკარდია.

გრამაფონის სიმპტომი — ავადმყოფი მუდამ იმეორებს ერთსა და იგივე მცირე მონათხრობს (სპონტანურად ან სხვის მიმართვათა პასუხად). სხვისი მეტყველების გაგება დაქვეითებული ან დაკარგული აქვს. აღინიშნება, მაგალითად, პიკის დაავადების დროს (იხ.).

გრამის სინდრომი — სიმსუქნის, მუხლის სახსრების მადეფორმირებელი ართროზის, კლიმაქტერულ კერატოდერმიის და არტერიული ჰიპერტენზიის მემკვიდრეობითად განპირობებული შერწყმა. არის დერკუმის სინდრომის ვარიანტი (იხ.).

გრანდენიგის სინდრომი — პირამიდის ძვლის მწვერვალის სინდრომი. აღინიშნება განმზიდველი ნერვის პარეზი, ტკივილით თხემ-საფეთქლის არეში, რაც მიუთითებს სამწვერა ნერვის დაზიანებაზეც. გეხედება შუა ყურიხ ანთების დროს და შედეგია ანთებითი პროცესის ჰაერის

გზით პირამიდის ძვალზე გავრცელებისა (პეტროზიტი), ან პირამიდის ძვლის მწვერვალზე შეძოსაზღვრული მენინგიტის განვითარებისა.

გრანშეს დაავადება — სპლენოპნევმონია — კრუპოზული პნევმონიის მიმდინარეობის ვარიანტი მისი ჩათავების სტადიაში. ახასიათებს ფიბრინის გათხევადება და გახსნა. ლეიკოციტების გაცხიმოვნება და დაშლა, მათი მარცვლოვანობის გაქრობით. გრანშეს პნევმონიის დროს ფილტვის ანათალი მაკროსკოპიულად მოგვაგონებს ელენთის ანათალს. სინონიმი: დენის პნევმონია.

გრასეს ლურჯი შეშუპება — იხ. სინონიმი: გრასეს ნიშანი III.

გრასეს ნიშანი I — თავის ტვინის სისხლის ჩაქცევის დროს მკერდლავიწ-დვრილისებრი კუნთის კონტრაქტურა დამბლის მხარეს.

გრასეს ნიშანი II — აღინიშნება ორგანული წარმოშობის ჰემიპარეზის დროს: ავადმყოფს არ შეუძლია ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში ერთდროულად ასწიოს ფეხები, თანაც განცალკევებით მოძრაობისას ერთი კიდური იწევა უმნიშვნელოდ, ხოლო მეორე — შეუზღუდველად.

გრასეს ნიშანი III — კიდურების ისტერიული დამბლის ან კონტრაქტურის დროს შეშუპების, მტკივნეულობის და გალურჯებული კანის ტემპერატურის დაქვეითების შერწყმა.

გრასე-ბიხოვსკის სიმპტომი — ავადმყოფს ზურგზე წოლისას არ შეუძლია გამართული დაზიანებული ფეხი გააჩეროს აწეულ მდგომარეობაში, აღინიშნება ქვედა კიდურთა ცენტრალური პარეზის დროს. სინონიმი: ბიხოვსკის სიმპტომი.

გრასე-გოსელ-ჰუვერის-სიმპტომი — ავადმყოფი წევს ზურგზე, ჯანმრთელი ფეხის ქვეშ ამოდებული აქვს ექიმის ხელი. როცა ავადმყოფი ცდილობს ასწიოს დაზიანებული ფეხი, ჯანმრთელი ფეხის ზეწოლის ძალა მატულობს. ცენტრალური ჰემიპარეზის ან ჰემიპლეგიის ნიშანია. სინონიმი: ჰუვერის სიმპტომი.

გრაუჰანის სინდრომი — განვითარების ანომალიათა შერწყმა: ზემო ტუნის და რბილი სასის შეუხორცებლობა, პოლიდაქტილია, შარდსასქესო ორგანოების შეუხორცებლობა.

გრაჰამის სინდრომი — შუა წილის სინდრომი. ახასიათებს გადიდებული ლიმფური კვანძების ზეწოლით შუა წილის ბრონქზე, ნიშნები: უქეიფობა, შეუძლოდ ყოფნა, სისუსტე, ხველა, ტკივილი გულმკერდში, წონის დაკარგვა. აღინიშნება შუა წილის ბრონქის ან მისი ლატერალური სეგმენტის შევიწროება, ფილტვებში მეორადი ანთებითი მოვლენები, ზოგჯერ ლიმფური კვანძების გაკირვა. სინონიმი: ბროკის სინდრომი II.

გრეგის სინდრომი — გრეგის ჰიპერტელორიზმი. თვალის მემკვიდრეობითი ჰიპერტელორიზმი, ოჯახური განვითარების მემკვიდრეობითი ოჯახური ანომალია, ხასიათდება ფართოდ ჩამჯდარი თვალებით, ცხვირის განიერი ზურგით, მიკროცეფალიით, და მცირე სიმაღლით, ზოგჯერ შეერთებული კრიპტორქიზმით, თიაქრებით, ყბისა და კბილების ანომალიებით, ოლიგოფრენიით, ეპილეფსიითა და სხვ.

გრეგის ტრიადა — სამი ნიშნის თანდაყოლილი შერწყმა: კატარაქტის, სიყრუისა და გულის მანკებისა. ვლინდება ბავშვებში, რომელთა

დედები ორსულობის პერიოდში დაავადებულნი იყვნენ წითელათი. გამოწვეულია დაავადების გამომწვევი ვირუსის ტერატოგენური მოქმედებით. სინონიმი: გრეგი-სვანის სენდრომი.

გრეგი-სვანის სინდრომი — სინონიმი: გრეგის ტრიადა (იხ.).

გრეგუარეს ლურჯი მტკივნეული ფლებიტი — ქვედა კიდურების ღრმა ვენების თრომბოფლებიტის იშვიათი, მძიმე გართულებაა. დამახასიათებელია კიდურთა ვენების და არტერიების შემდგომი ძალზე სწრაფი და მასიური თრომბოზი სპაზმით.

გრეი-ტერნერის ნიშანი — მწვავე პანკრეატიტის დროს მუცლის გვერდით კედლებზე მწვავე (უფრო ხშირად პანკრეონეკროზისას) ციანოზის შემოფარგლული უბნები. სინონიმი: ტერნერის სიმპტომი.

გრეივსის დაავადება — დიფუზური ჩიყვი თირეოტოქსიკოზით. ტოქსიკური ჩიყვი, ეგზოფთალმური ჩიყვი, დაავადება, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება და მისი ფუნქციის მომატება. გამოვლინდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (მომატებით), სიგამხდრით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით, ტემპერატურის მომატებით (ხშირია ეგზოფთალმი). სინონიმები: ბაზედოვის დაავადება, პარრის დაავადება, ფლაიანის დაავადება.

გრეივსის ეუთირეოდული დაავადება — გამოხატული ენდოკრინული ეგზოფთალმოპათია, როცა ადგილი არა აქვს თირეოტოქსიკოზის სხვა ნიშნებს.

გრეის სიმპტომი — მტკივნეულობა მუცლის წინა კედელზე ხელის დაპერისას მაკ-ბერნეის წერტილში. აპენდიციტის ნიშანია. სინონიმი: მაკ-ბერნეის სიმპტომი.

გრეისერის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია დგომა ანდევნოს თვალი მოძრავ სანიშნავს, კარგავს მხედველობის არიდან და მიაჩერდება რაიმე უმოძრაო საგანს. ნევრასთენიის ნიშანია.

გრეკოვის სიმპტომი — კუნის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაციის ადრეული ნიშანი. მაჯის შენელება პერფორაციისთანავე.

გრეკოვ-ორტნერის სიმპტომი — მარჯვნივ ღვიძლის საპროექციო ზიდამოში მუშტის შემორტყმით აღინიშნება ტკივილი. გვხვდება ქოლეცისტიტისა და ღვიძლის მწვავე დაავადებათა დროს. სინონიმი: ორტნერის სიმპტომი.

გრენბლად-სტრანდბერგის სინდრომი — ელასტიკური ფსევდოქსანტომა, კანის ელასტომა. გენერალიზებული ელასტორექსისი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს ელასტიკური ბოჭკოების წარმონაქმნების დარღვევა — კანის, თვალის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებით. სინონიმი: გურენის სისტემური ელასტორექსისი.

გრენოუვას კვანძოვანი დისტროფია რქოვანასი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს რქოვანას დისტროფია წვრილ რუხი კვანძების განვითარებით მის სხვადასხვა ფენაში. მემკვიდრეობით გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

გრეპე-ვილის სინჯი — დიფერენციული დიაგნოსტიკის მეთოდი სპლენომეგალიის დროს. დამყარებულია ადრენალინის ხსნარის კანქვეშა

ინექციაზე ელენთის ვენის თრომბოზისას, რაც იწვევს ელენთის დაპატარავებას.

გრეპი-ფრუგონის დაავადება — სპლენოთრომბოზულ სპლენომეგალია (სოლიტარული). ათეულ წლობით იზოლირებულად (სოლიტარული) მიმდინარე ყველაზე ხშირი ფორმაა სპლენომეგალიისა, რომელს პროცესს არ ახასიათებს სხვა კლინიკური ნიშნები. შემდგომში მას ემატება სისუსტე, ფერმკრთალობა, დროდადრო ცხელება ტკივილით ელენთის არეში, ლეიკოციტოზი, სისხლდენა საყლაპავის და კუჭის გაფართოებული ვენებიდან და ასციტი.

გრესბეკ-იმერსლუნდის სინდრომი — იხ. სინონიმი: იმერსლუნდ-გრესბეკის სინდრომი.

გრეტერის ფორმა შიზოფრენიის — ლატენტური შიზოფრენია, გართულებული ალკოჰოლიზმით. იწყება თეთრი ცხელებით, რაც დასასრულ ელინდება აკეიატებული დეენის მანიით. ყოველივე ეს შერწყმულია შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი ნიშნებისამებრ პიროვნების შეცვლასთან.

გრეფეს დაავადება — გარეგანი ქრონიკული პროგრესირებადი ოფთალმოპლეგია — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს თვალის მამოძრაველებელი ნერვების ბირთვების დეგენერაციული ცვლილებები. თავდაპირველად ელინდება პროგრესირებადი ფტოზით, შემდეგ კი მთავრდება ორმხრივი გარეგანი ოფთალმოპლეგიით.

გრეფეს სიმპტომი I — თვალის დაბლა დახრას ჩამორჩება ზემო ქუთუთოს დაშვება. ამ დროს ფერად გარსსა და ზემო ქუთუთოს შორის რჩება სკლერის თეთრი ზოლი. აღინიშნება თირეოტოქსიკოზით და სხვა მიზეზით გამოწვეული ეგზოფთალმიის დროს. სინონიმი: ბოსტონის სიმპტომი.

გრეფეს სიმპტომი II — თვალების განზე ცქერის მდგომარეობაში დაყოვნებისას გუგები ვიწროვდება და არ რეაგირებს სინათლეზე. ფერადი გარსის კუნთების ღუნესური ან თანდაყოლილი დამბლის ნიშანია.

გრეფეს ფსევდოსიმპტომი — დამახასიათებელია თვალის კაკლის ქვემოთ და შიგ მოძრაობისას ზედა ქუთუთოს ჩამოვარდნა. აღინიშნება თვალის მამოძრაველებელი ნერვის ბოჭკოთა გადაჭარბებული რეგენერაციის შედეგად მისი პარეზის ან დამბლის შემდეგ.

გრეფე-შეგრენის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ოლიგოფრენია, შიზოფრენიის მსგავსი სინდრომი, ნათხემისებრი ატაქსია, სიყრუე, ან სმენის დარღვევა, პიგმენტური რეტინიტი, კატარაქტა, რაც ხშირად შერწყმულია სიდაბლესთან, მიკროცეფალიასთან, ტერფის დეფორმაციასა და ხერხემლის გამრუდებასთან. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიულია.

გრეჰემ-ლიტლის სინდრომი — წითელი ფოლიკულური დეკალვეილირებული ლიქენი — ფოლიკულური კერატოზური გამონაყარის და თავის არეში, აგრეთვე იღლიის ქვეშა ჩაღრმავებასა და ბოქვენზე ნაწიბუროვანი ალოპეციის შერწყმა. ეტიოლოგია დადგენილი არ არის. სინონიმები: ლიტლის წვეტიანი ფოლიკულური დეკალვეილირებული ლიქენი,

ლიტლი-ლასიურის სინდრომი, პიკარდი-ლასიურ-ლიტლის სინდრომი, ფელდმანის ბრტყელი ატროფიული ლიქენი.

გრეჰემ-სტილის შუილი — ფილტვის არტერიის საპროექციო ადგილზე მოისმინება დიასტოლური შუილი, რომელიც წარმოიშობა ფილტვის არტერიის სარქველის ნაკლოვანებით. მიზეზია მნიშვნელოვანი ჰიპერტენზია მცირე წრეში, მაგალითად, მარცხენა ვენური ხერელის მნიშვნელოვანი სტენოზის დროს. სინონიმი: სტილის შუილი.

გრიგ-მორელის სინდრომი — მეტაბოლური კრანიოპათია. ნეიროენდოკრინული კრანიოპათია, თავის ქალას ანომალიებისა და ენდოკრინულ დარღვევათა მეძკვიდრეობითი შერწყმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ფრონტალური შიგნითა ჰიპეროსტოზი, ვირილიზმი, ჰირსუტიზმი, წონასწორობისა და ძილის დარღვევა, თავის ტკივილი, ეპილეპტიფორმული გულყრები, ჰიპერგლიკემია, წარბების შეერთება, ჭყლეტები წვივებზე. სინონიმები: მორგანის სინდრომი, სტიუვარტ-მორელის სინდრომი, მორგან-მორელი-სტიუვარტის სინდრომი.

გრიგორიევ-შიგას დიზენტერია — დიზენტერიის კლინიკურ-ეტიოლოგიური ვარიანტი, გამოწვეული გრიგორიევ-შიგის ბაქტერიებით. გამოირჩევა მძიმე მიმდინარეობით, გამოხატული ინტოქსიკაციით, ცხელებით და მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ინტენსიური დაზიანებით.

გრიზელის დაავადება — გრიზელის კისერმრუდა კუნთების მყარი კონტრაქტურა, რომლებიც მოთავსებულია კისრის პირველ მალასთან. გამოწვეულია სახის უკანა ლიმფური კვანძების ანთებით. გამოვლინდება თავის იძულებითი მდებარეობით, რომელიც ერთი მიმართულებით გადახრილი და საპირისპირო მხარეს მობრუნებული წარმოგვიდგება.

გრიზინგერის პრიმორდიალური დელირიუმი — პრიმორდიალური თეთრი ცხელება, აქტივატებული დეენის პირველადი მანია.

გრიზინგერის სიმპტომი — დერილისებური მორჩის უკანა კიდის მიდამოში ქსოვილების შემოფარგლული მტკივნეული შეშუპება გარდიგარრიჭო სინუსის თრომბოზის დროს.

გრიზინგერ-კუსმაულის მაჯა — მაღალი და სწრაფი მაჯა, რომელიც აღინიშნება აორტის სარქველის ნაკლოვანების დროს და ასევე არტერიული სადინარის შეუხორცებლობისას (ბოტალოს სადინარი) და როცა ადგილი აქვს სხვა მსხვილ შუნტებს გულის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებს შორის.

გრიზოლეს სიმპტომი — ყვავილის წინა პერიოდის ნიშანია და იძლევა წითელასთვის დამახასიათებელი ეგზანთემისაგან გარჩევის შესაძლებლობას. თუ კანის დაჭიმვის მერე ქრება შესაძლებლობა პაპულის პალპირებისა, ეს ყვავილისთვისაა დამახასიათებელი, თუ არა, მაშინ წითელაა.

გრინის ნიშანი — გულის პერკუტორული საზღვრის გადაადგილება სუნთქვისას ექსუდატიური პლევრიტის დროს.

გრინის სიმპტომი — გულის მოყრუების მნიშვნელოვანი ლატერალური ცდომა ექსუდაციური პერიკარდიტის დროს.

გრინიოლოს სინდრომი — მაანკილოზირებელი სპონდილო-ართრიტის და თვალის დაზიანების (ჰიპოპიონირიტი და უვეიტი) შერწყმა.

გრინფილდის დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც მეტაქრომატული ლეიკოდისტროფიის ნაირსახეობას წარმოადგენს. ვლინდება ბავშვთა ადრეულ ასაკში ჰიპერკინეზებით, დამბლებით, ფსიქიკური განვითარების შეჩერებით, ცერებროსპინალური სითხეში, სისხლსა და შარდში სულფატიდების შემცველობის მომატებით.

გრინშპანის სინდრომი — პირის ღრუს ლორწოვანი გარსის წითელი ბრტყელი ეროზიულ-წყლულოვანი ღიქენი, განვითარებული შაქრიანი დიაბეტის და არტერიული ჰიპერტენზიის ფონზე.

გრიუნვალდის სიმპტომი — ექვიმოზების გაჩენა ჭიპის ირგვლივ მწვავე პანკრეატიტის დროს, გამოწვეულია სისხლძარღვების ადგილობრივი ტოქსიკური დაზიანებით.

გრობის სინდრომი — ენა-სასის დისპლაზიური თანდაყოლილი დაავადება. ახასიათებს ენის განუვითარებლობა ან მისი სრული არარსებობა, ზედა ტუჩის შეუხორცებლობა, ზედა და ქვედა ტუჩებზე მრავლობითი ნაწიბური, ფართო და ჩაჟულტილი ცხვირი პატარა ნესტოებით, კიდურთა განვითარების ანომალიები (ბრაქიდაქტილია, პოლიდაქტილია), ფსიქიკური განვითარების შეფერხება, პროგრესული ჰიპოტროფია.

გროთის სიმპტომი — კანქვეშა ქსოვილის კეროვანი ატროფიის ზონა პანკრეასის პროექციის მიდამოში. აღინიშნება ქრონიკული პანკრეატიტის დროს.

გროკოს სიმპტომი — ღვიძლის გადიდების ნიშანი: პერკუსიით ვლინდება ღვიძლის მოყრუების გავრცელება უკანა შუა ხაზიდან მარცხნივ.

გროკო-რაუხფუსის სამკუთხედი — მასიური ექსუდატიური პლევრიტის დროს პერკუტორული ხმიანობის მოყრუების უბანი გულმკერდის მოპირდაპირე ჯანმრთელ მხარეზე. აქვს სწორკუთხა სამკუთხედის ფორმა, რომლის (ექსუდატის დონის ქვემოთ) კათეტებია ხერხემალი და ჯანმრთელი ფილტვის ქვედა საზღვარი. სინონიმი: რაუხფუსის სამკუთხედი.

გროლმენის მეთოდი — აცეტილენის მეთოდი — სისხლის წუთმოცულობის განსაზღვრის მეთოდი. დამყარებულია სისხლში აცეტილენის შემადგენლობის განსაზღვრაზე მისი დოზირებული შესუნთქვის შემდეგ.

გროლმენის ფორმა ჰიპერტონიის — ექსპერიმენტული არტერიული ჰიპერტენზია, რომელიც უვითარდება ლაბორატორიულ ცხოველს ორივე თირკმლის მოცილების მერე. ზოგჯერ ეს ტერმინი გამოიყენება იმ არტერიული ჰიპერტონიის აღსარიცხავად, რომელიც ვითარდება თირკმლისმიერი ჰიპოთენზურ-დეპრესიულ ნივთიერებათა გამომუშავების შეწყვეტისას.

გროსმანის რეფლექსი — ცერის ნელი გაშლა ქვედა კიდურის მე-5 თითზე ხელის მოჭერის საპასუხოდ. განეკუთვნება ბაბინსკის პათოლოგიური რეფლექსების ჯგუფს (იხ.).

გროსმანის სიმპტომი — ზურგზე მწოლარე ავადმყოფის ფეხის უნებლიედ გაშლა იმავე მხრის ფეხზე. პირამიდული გზის დაზიანების ნიშანი.

გროტის ნიშანი — შუცლის ფარზე კუპს უკანა ჯირკვლის პროექციისა და მარჯვენა ფერდქვეშა არეში კანქვეშა ქსოვილის ატროფია, აღინიშნება ქრონიკული პანკრეატიტის დროს.

გრუბერის სინდრომი — ტვინის თანდაყოლილი კისტოზური გადაგვარება, შერწყმული თირკმლების, ღვიძლის, კუპუკანა ჯირკვლის და საკვერცხეების პოლიკისტოზთან. ადგილი აქვს პოლი-სინდაქტილიას, ჰიჰერტელორიზმს. სინონიმები: მეკელის სინდრომი, ჰანჰარტის სინდრომი.

გრუბერ-ვიდალის რეაქცია — სეროლოგიური რეაქცია მუცლის ტიფზე, რომელსაც ასევე ეწოდება ვიდალის რეაქცია.

გრეშეს მიორითმია — ხახისა და ხორხის ნისტაგმი. რბილი სასისა და ხორხის ბილატერალური სიმეტრიული მიოკლონიები. აღინიშნება ნერვული სისტემის დაავადებების დროს (ნათხემის სიმსივნე, ცერებროსპინალური მენინგიტი, გაფანტული სკლეროზი და სხვ.). სინონიმები: ფუა-შავინ-ჰილემანის სინდრომი, კუპერ-სპენსერის ნისტაგმი, კრუშეს სიმპტომი.

გუაროას ცხელება — ნაკლებად შესწავლილი ინფექციური დაავადება — ტროპიკული კოღოს ცხელების ჯგუფიდან. დაავადებას იწვევს ჩესაიმვერის ჯგუფის ანტიგენის თანამოსახელე არბოვირუსი. ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

გუაფონის „ცრუ შეკრულობა" — ნაწლავის პასაჟის დარღვევის თავისებური ფორმა. მსხვილ ნაწლავში არის პასაჟის აჩქარება, რის გამოც მის ტერმინალურ ნაწილში ადგილი აქვს უჯრედისის და სახამებლის არასრულყოფილ მონელებას, წყლის გაძლიერებულ შეწოვას და ფეკალური მასის გასქელებას. მიზეზია ნაწლავთა ფლორის მნიშვნელოვანი შეცვლა ანტიბიოტიკებით მკურნალობის შედეგად.

გუბარევის ნაკეცი — საყლაპავი მილის კუპთან შეერთების ადგილზე. ლორწოვანი გარსის ნაკეცი, რომელიც ხელს უშლის კუპის შიგთავსის გადასვლას საყლაპავის მილში.

გუბერგრიცის წერტილი — პალპატორულად მტკივნეული წერტილი პიპის 6 სმ-ით ზემოთ იღლიისაკენ გავლებული ხაზის გასწვრივ. აღინიშნება კუპუკანა ჯირკვლის კუდის ანთების დროს.

გუბერის სენესტიკური შიზოფრენია — შიზოფრენია, რომლის დროსაც სჭარბობს სხვადასხვა სენესტოპათიები: დამწვრობის, დაჭიმულობის, გაგლეჯის, გადაბრუნების და სხვა შეგრძნების სახით.

„გუგების ეპილეფსია" — მიდრიაზისა და ლაგოფთალმის შეტევები, შეიძლება შეგვხვდეს დიდი გულყრის წინ აურის სახით.

გუდენის სიმპტომი — გუგის მოშლილობათა შერწყმა (მიოზი, ანიზოკორია, სინათლეზე რეაქცია დაქვეითებული ან გამქრალია) კონვერგენციის დარღვევასთან; აღინიშნება მძიმედ მიმდინარე თეთრი ცხელებისა და ალკოჰოლური ენცეფალოპათიების დროს.

გუდის სენდრომი — თიმომა აგამაგლობულინემიით. მემკვიდრეობითი იმუნოპარეზის ნაირსახეობა. დამახასიათებელია მკერდსუკანა ჯირკვლის გადიდება: მასში პლაზმური და ლიმფოიდერე უჯრედები დაქვეითებულია. ასევე მნიშვნელოვნადაა შემცირებული იმუნოგლობულინების

ყველა კლასი. ჰემორული და უჯრედოვანი რეაქციები ყველა ანტიგენზე გამოხატულია სუსტად. ნიშნები: ორგანიზმის დაქვეითებული წინააღმდეგობა ყველა ინფექციის მიმართ, სისხლში ლიმფოპენია, ეოზინოპენია, ანემია.

გუდპასჩერის სინდრომი — ფილტვ-თირკმლის მემკვიდრეობითი სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, ახასიათებს ფილტვებიდან სისხლდენა და თირკმლების დიფუზური დაზიანება ჰემატურიითა და პროტეინურიით.

გულის ბოდვა — მოციმციმე არითმია, სრული არითმია, რომელიც ხასიათდება წინაგულთა ფიბრილაციით. ამ დროს არის სრული არარეგულარობა გულის შეკუმშვათა შორის და ასევე არაერთგვაროვნება შეკუმშვათა ძალას შორის.

გულის გადაძაბვის სინდრომი — პათოლოგიური მდგომარეობა. დამახასიათებელია რიტმის სხვადასხვა სახისა და გულის გამტარებლობის დარღვევა. ვითარდება გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვის შემდეგ.

გულ-დიაფრაგმის სინდრომი — გულის არიტმია, გულის საპროექციო არეში ტკივილი (გულ-მკერდის წინა ზედაპირზე), რაც აღინიშნება დიაფრაგმის ზოგიერთი დაზიანების დროს (მაგალითად, დიაფრაგმული თიაქარის დროს).

გულის ელექტული სისტოლის გახანგრძლივების სინდრომი — QT ინტერვალის ანუ ელექტრული სისტოლის გახანგრძლივების სინდრომი, მიიჩნევა მძიმე მაჩვენებლად და განიხილება არაძალდატანებითი სიკვდილის მაუწყებლად.

გულის კახექსიის სინდრომი — მორფოლოგიური გამოვლინებაა; გულის ზომებისა და მასის შემცირება (150—200 გ), ეპიკარდის ატროფია, მიოკარდის რუხი ატროფია, იშვიათად არაბაქტერიული თრომბოენდოკარდიტი. გულის კახექსიის ძირითადი მიზეზებია სიმსივნური დაავადებები, გამოხატული ტუბერკულოზური და ენდოკრინული დარღვევები.

გულის სინდრომი — სისტოლის დროს მე-3 ნეკნთაშუა არეში გამოდრეკის შენაცვლება დიასტოლის დროს ჩავარდნასთან, გულის გაფართოება მარცხნივ მე-3 ნეკნის მკერდის ძვალთა მიმაგრების დონეზე, სისტოლური შუილი ფილტვის არტერიაზე და გულის მარჯვენა ნაწილების ჰიპერტროფიის ელექტროკარდიოგრაფიული ნიშნების შერწყმა. აღინიშნება შეხორცებითი პერიკარდიტის დროს, რომელიც გართულებულია ფილტვის ღეროს შესართავზე ზეწოლით.

გულის ტამპონადის სინდრომი — პერიკარდიუმის ღრუში ექსუდატის (და საერთოდ სითხის) დიდი რაოდენობით დაგროვება განისაზღვრება როგორც გულის ტამპონადის სინდრომი. ტამპონადის გამოხატვის ხარისხს განსაზღვრავს პერიკარდიუმში სითხის დაგროვების ხარისხი. ასე მაგალითად 300—500 მლ ექსუდატის სწრაფი დაგროვება იწვევს მწვავე ტამპონადის სურათს, მაშინ როდესაც 1—1,5 ლიტრის ნელა დაგროვებას არ მოყვება შეგუბების მოვლენები.

გულმკერდის ზედა აპერტურის კომპრესული სინდრომი — სიმპტომები პირობადებულია ამ უბნის ნეიროსისხლძარღვოვან წარმონაქმნთა

ანატომიური თავისებურებების კომპრესიით. აქ მდებარე ლავიწქვეშა სისხლძარღვები და მხრის წნული მდებარეობენ კუნთებსა და ძვლოვან წარმონაქმნებს შორის. ერთ შემთხვევაში ჰარბობს ნეიროლოგიური სიმპტომები და მოგვიანებით სისხლძარღვოვანი დარღვევები (თითების გაკრენამდე), თრომბოზები და ვენური უკუდინების მოშლა. მეორეში — პირიქით.

გულმკერდის მცირე კუნთის სინდრომი — გულ-მკერდის მცირე კუნთის მიდამოში ტკივილის შერწყმა აეროპარესთეზიასთან, გაფერმკრთალებასთან და ტროფიკულ დარღვევებთან ხელის მტევანსა და თითებში; აღინიშნება იღლიის ქვეშა მიდამოში სისხლძარღვებსა და მხრის წნულის ნერვულ ღეროებზე ზეწოლისას. სინონიმი: რაიტის სინდრომი.

გულისმიერი კახექსიის სინდრომი — ვითარდება სისხლის მიმოქცევის ქრონიკული უკმარისობის შემთხვევაში. ამ დროს სისხლის პლაზმაში მატულობს ლაქტატის შემადგენლობა, ირღვევა აბსორბციის პროცესი ნაწლავებში, აღინიშნება ანორექსია, ასიმილაციის პროცესების დარღვევა, მატულობს ენერგეტიკული ხარჯვა (სასუნთქი მუსკულატურის გაძლიერებული მეშაობის გამო).

გულცოყის სიმპტომი — მწვავე პანკრეატის შემთხვევაში მარცხენა თვალის გუგის გაფართოება.

გუნერის წყლული — შარდის ბუშტის წყლული. ჩვეულებრივ, მის მწვერვალზე წარმოიშვება ენტეროსტომიული ცისტიტის დროს.

გუნთერის დაავადება — ქრონიკული თანდაყოლილი (ფოტოსენსიტური) პორფირია, ერითროპოეზური პორფირია. ეკუთვნის გენეტიკურ დაავადებათა ჯგუფს, გენი გადაეცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. ხშირია მამრობით სქესში. ბავშვს დაბადებიდან რამდენიმე დღის ან თვის შემდეგ აღენიშნება წითელი ფერის შარდი. დამახასიათებელია ძლიერი მგრძნობელობა სინათლისადმი, ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა კი შემცირებულია. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავენ პორფირინებს. შარდში მომატებულია ურობილინი. პათოლოგიურ-ანატომიურ გაკვეთის დროს ნახულობენ წითლად შეღებილ ხრტილებსა და ძვლებს, ჩაკრნალობა პათოგენეზურია. კარგ შედეგს იძლევა სპლენექტომია. პროფილაქტიკა — სინათლის ზემოქმედებისაგან თავის დაცვა.

გუნის სიმპტომი I — სიმპტომის დასაწყისი ხარისხი, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვლინდება მხოლოდ ვენების დავიწროება. აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის დროს. სინონიმები: სალუსის სიმპტომი I, სობანსკის სიმპტომი I, სალუს-გუნის სიმპტომი I.

გუნის სიმპტომი II — სიმპტომის გამოვლინების მეორე ხარისხი, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვლინდება ვენის დავიწროება და რკალისებრი ცთომა არტერიასთან გადაჯვარების ადგილას. აღინიშნება არტერიულ-ჰიპერტენზიის დროს. სინონიმები: სალუსის სიმპტომი II, სობანსკის სიმპტომი II, სალუს-გუნის სიმპტომი II.

გუნის სიმპტომი III — სიმპტომის გამოხატვის უკიდურესი ხარისხია, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვენის არტერიასთან გადაჯვარედინების ადგილი არ სჩანს (თითქოს გაწყვეტილია). მიზეზია მისი ცთომა

ბადურის სიღრმეში. აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის მრგვალებით პერიოდში. სინონიმები: სალუსის სიმპტომი III, სობანსკის სიმპტომი III, სალუს-გუნის სიმპტომი III.

გუნის ფენომენი — პალპებრულ-მანდიბულური სინკინეზია. აღინიშნება თვალის მამოძრავებელი ნერვის ბირთვის თანდაყოლილი განუვითარებლობით გამოწვეული ცალმხრივი პლოზის დროს. პირის გაღებას და ქვედა ყბის განხიდვას ჯანმრთელი თვალისაკენ თან სდევს ჩამოშვებული ქუთუთოს აწევა.

გუუეროს სინდრომი — პლურიგლანდულარული სინდრომი — მშრალი დანაოჭებული კანის შეუღლება კბილების ნაადრევ დაცვენასთან, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებასთან, ფსიქიკურ და ფიზიკურ ასთენიასთან. აღინიშნება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ატროფიის დროს. სინონიმები: ფალტის სინდრომი, გუეერო-ფალტის სინდრომი.

გუეერო-ბიურნეს ეპითელიომის მსგავსი ვერუკომა — ერითელიომის მსგავსი ვერუკომა — უცნობი ეტიოლოგიის მეპეჭოვანი წანაზარდები სახეზე.

გუეერო-ბლიუმის სინდრომი — პერპეროზული პიგმენტური ლიქენოიდური დერმატიტი. კანის ჰემოსიდეროზი, რომელიც გაპირობებულია ქვემო კიდურებზე კაპილარიტით და ახასიათებს გამონაყარი (ლიქენოიდური პურპუროზული პაპულები, პეტექიები, ტელეანგიექტაზები, ბადისებრი პიგმენტაცია), რომელიც სიმეტრიულად განლაგებულია ბარძაყებზე, დუნდულებსა და წვივებზე.

გუეერო-დუპერის სამსიმპტომიანი დაავადება — გუეერო-დუპერსის სამსიმპტომიანი სინდრომი (იგივეა). ალერგიული ეასკულიტი. ახასიათებს ბარძაყის და წვივის კანზე სამი სახის გამონაყარი: პურპურა, ერითემული ლაქები და მკვრივი დერმული კვანძები.

გუეერო-კარატოს სინდრომი ან დაავადება — პაპულოზური პაპილომატოზი: გაურკვეველი ეტიოლოგიის დერმატოზი. კლინიკურად ვლინდება წითელი ფერის წვრილი, სწრაფად მუქებადი და გარქოვანებად პაპულების გაჩენით. პაპულები ურთიერთს ერწყმის და ქმნის რომბისებურ კერებს, ლოკალიზაციის ადგილია უპირატესად მკერდის, ბეჭის ძვლებს შორის არე და ხელისგულების მიდამო. შესაძლოა დაიწყოს ბავშვობა ასაკში, უხშირესად კი გეხედება 20—40 წლის ასაკში. სინონიმი: ვიშესაქსის პაპილომატოზი.

გუეერო-კლოდის სინდრომი — ნაადრევი სიბერე შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ატროფიის გამო. ახასიათებს მშრალი, დანაოჭებული კანი, კბილების დაცვენა, სქესობრივი ფუნქციის მოშლა, ფიზიკური და ფსიქიკური სისუსტე.

გუეერო-ფავრ-შეჭხის დაავადება — პიგმენტურ-ატროფიული მოშლილობა. დამახასიათებელია ბაცი ან მუქი ყავისფერი ლაქები კანზე, მოყვითალო ან ციანოზური ელფერით, წვრილ-ზედაპირული სისხლძარღვების მრავლობითი გაფართოება, წერტილოვანი სისხლჩაქცევები. პიგმენტაცია წარმოადგენს ჰემოგლობინის გარდაქმნის პროდუქტს. ყოველივეს თან სდევს კანის ატროფია.

გუეერო-ფალტის სინდრომი — სინონიმები: ფალტის სინდრომი, გუეროს სინდრომი (იხ.).

გუეერო-პეილი-ჰეილის ბუშტუკელა — ქრონიკული კეთილთვისებიანი ოჯახური ბუშტუკელა. ბულოზური მემკვიდრეობითი დისკერატოზი. მემკვიდრეობითი ბუშტუკელა: ახასიათებს დაზიანებები ლოკალიზაციით ბეჭედზე, კისერზე, იღლიებში, საზარდულის ნაკეცებში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: ჰეილი-ჰეილის დაავადება.

გუეერო-ჰუვერ-სეგრენ-მიკულიჩის სინდრომი — ქსეროდერმატოზი. გარეგანი სეკრეციის ჯირკვლების უკმარისობის სინდრომი. დამახასიათებელია მშრალი კერატოკონიუნქტივიტი, პირის და ცხვირის ღრუს, სახის სიმშრალე, სანერწყვე ჯირკვლების ჰიპერტროფია და ნერწყვის გამოყოფის უკმარისობა. კუპრის სეკრეციის უკმარისობა ან სრული დათრგუნვა, კუპრუკანა ჯირკვლის გარეგანი სეკრეციის მოშლა. კანი მშრალია, იქერცლება, დეპიგმენტირებულია, შესაძლოა ეგზემის განვითარება. დამახასიათებელია ქრონიკული პოლიართრიტი, კბილების და ძვლების კალციფიკაციების მოშლა, კბილების კარიესი და ოსტეოპოროზი, სისხლში დისპროტეინემია, ჰიპოქრომული ანემია, რკინის ნაკლებობა, ფიბრინოგენის კონცენტრაციის ზრდა, ვითარდება უმეტესად ქალებში კლიმაქსის ან პოსტმენოპაუზის პერიოდში, აგრეთვე ახალგაზრდა ასაკში, თუ ადგილი აქვს ოჯახურ უკმარისობას. სინონიმები: მიკულიჩ-სეგრენის სინდრომი, სეგრენის ანუ შეგრენის სინდრომი, მულოკ-ჰუვერ-გუეერო-სეგრენის სინდრომი, მიკულიჩ-გუეერო-სეგრენის დაავადება, პრედტეჩენსკი-გუეერო-სეგრენის სინდრომი.

გურევიჩის სიმპტომი — მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის გაძლიერება ხელისგულის კიდით მარჯვენა ფერდქვეშა არეზე ზეწოლის დროს. ქრონიკული აპენდიციტის ნიშანი.

გურევიჩის სინდრომი — თვალის კაკლების მოძრაობის დროს წონასწორობის დაკარგვა, რასაც თან სდევს ყურებში შუილი, თავბრუ, გულისრევა. აღენიშნებათ ავადმყოფებს, რომლებმაც გადაიტანეს თაიის ქალას მძიმე ტრავმა ანდა როცა ადგილი აქვს სისხლის მიმოქცევის უკმარისობას ხერხემლის ან ბაზილარულ არტერიებში.

გურევიჩის სისტემა ეკგ განხრების — ელექტროკარდიოგრამის გულმკერდის განხრების ორპოლუსიანი სისტემა, რომლის დროსაც უარყოფითი ელექტროდი დაიდება მეორე ნეკთაშუა არეში მარცხენა ხაზზე, დადებითები კი — გულის საძგერის საპროექციო არეზე, უკანა აქსილარულ ხაზზე და გულის საძგერის მიდამოში. გამოიყენება მიოკარდიუმის ინფარქტის ლოკალიზაციის დასაზუსტებლად.

გურევიჩ-მანის სიმპტომი — ოკულო-სტატიკური ფენომენი (ანუ ოკულურ-სტატიკური ფენომენი). სტატიკის დარღვევა თვალის კაკლების მოძრაობის, განსაკუთრებით კონვერგენციის დროს. აღინიშნება თაიის ტვინის ტრავმის მომდევნო პერიოდში.

გურენის სისტემური ელასტორექსისი — სინონიმი: გრენბლად-სტრანდბერგის სინდრომი (იხ.).

გურვიჩის სიმპტომი — ტკივილის წარმოშობა სიმჯიხის არეში,

საზარდულსა და ბარძაყის მომყვან კუნთებში მათი განშრევების დროს. აღინიშნება სიმფიზიტის შემთხვევაში.

გურმაგტიგის უჯრედები — იუქსტაგლომერულურად მდებარე უჯრედები. ქმნის იუქსტაგლომერულურ კომპლექსს. მდებარეობს თირკმლის გორგლებში შემავალი არტერიოლების ირგვლივ და პროდუცირებს რენინს.

გუსევის სიმპტომი — მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის წარმოშობა სხეულის უკან და მარცხნივ გადაწევის დროს, როდესაც ავადმყოფი დგას ფეხზე ზეაწეულ ხელებით. ქრონიკული აპენდიციტის ნიშანი.

გუტერეს-ნორიეგოს სინდრომი — ფსიქიკური დარღვევები ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. ნიშნებია: ინტელექტის დაქვეითება, ფიქსაციური ამნეზია, აფექტური დარღვევები, აპათია, ხასიათის ცვალებადობა, ასოციალური ქცევები, სექსუალური დარღვევები.

გუტიერეზის სინდრომი — სინდრომი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ნალისებრი თირკმლის დროს; ტკივილი ფერდქვეშა ან ჭიპის მიდამოში, ქრონიკული შეკრულობა, პროტეინურია, ჰემატურია.

გუტმანის სიმპტომი — შუილი, რომელიც მოისმინება აუსკულტაციით ფარისებრი ჯირკვლის ზემოთ, ავადმყოფებში დიფუზური ტოქსიკური ჩიყვით.

გუტმან-ფროილენთალის სინდრომი — კანის პირველადი ლიქენოიდური ამილოიდოზი. წვივის გამშვლელ ზედაპირზე ჩნდება მკვრივი პაპულები და კვანძები, რაც იწვევს ძალიან შემაწუხებელ ქავილს. მიმდინარეობა ქრონიკულია.

დაავს დაავადება — ეპიდემიური მიალგია. ეპიდემიური პლევროდინია. იწვევს კოქსაკის „ბ“ ვირუსი. ერცელდება ძირითადად გაზაფხულსა და შემოდგომაზე ეპიდემიის, ენდემიის ან სპორადიული შემთხვევების სახით. ინკუბაციური პერიოდია რამდენიმე დღე. ნიშნებია: მუცლის და გულმკერდის კუნთების ძლიერი ტკივილი, უფრო იშვიათად კიდურებისა. გრძელდება საათების მანძილზე. ახასიათებს რეციდივები, ტემპერატურის მომატება და ზედა სასუნთქი გზების კატარი. პროგნოზი კარგი. სინონიმები: სილვესტრის დაავადება, დაავ-ფინსენის დაავადება, ბამბის დაავადება, დანგენანის დაავადება, ბორნჰოლმის დაავადება.

დაავ-ფინსენის დაავადება — სინონიმები: დაავს დაავადება (იხ.), ბორნჰოლმის დაავადება ანუ სინდრომი, სილვესტრის სინდრომი, ბამბის დაავადება, დანგენანის დაავადება.

დაბენ-შარინცის სინდრომი — მიეკუთვნება მემკვიდრეობით პიგმენტურ ჰეპატიტებს. ამ დროს აღინიშნება ღვიძლის დისტროფიული ხასიათის დაზიანება გენეტიკურად დეტერმინირებულ ენზიმოპათიით. ძირითადი ნიშანია ქრონიკული ან ინტერმიტირებული სიყვითლე, გამოწვეული შეკავშირებული ბილირუბინის უპირატესი მომატებით სისხლის პლაზმაში ან პიგმენტის ორივე ფრაქციის თანაბარი მომატებით. სენონიმები: დაბინ-ჯონსონის სინდრომი, შარენც-ნელსონის სინდრომი.

დაბინ-ჯონსონის სინდრომი — სინონიმებ: დაბინ-შპრინცის სინდრომი (იხ.), შპრინც-ნელსონის სინდრომი.

დაღლი-კლინგენშტეინეს სინდრომი — აღინიშნება მლივი ნაწლავის სიმსივნის დროს: ტკივილი და სემძიმის შეგრძნება ფერდქვეშა მიდამოში, შაქი განავალი (სისხლიანი) პირღებინების გარეშე, შენაცვლებით შეკრულობა და ფაღარათიანობა.

დავენპორტის მაჩვენებელი — წონა-ზომის მაჩვენებელი — გამოსაკვლევი პირის წონა გრამებში იყოფა სანტიმეტრებში სიმაღლის მაჩვენებლის კვადრატზე. თუ ეს მონაცემი 20-ზე მეტია, იგი მეტყველებს ზედმეტ წონაზე. მაგალითად, წონა 80 კგ ანუ 80 000 გრამი იყოფა 160 სმ კვადრატში, ანუ 80000:25600=3,1.

დავისონის დისემინირებული ენცეფალომიელოპათია — აღინიშნება საშუალო და ხანშიშესულ პირებში. თანდათანობით ვითარდება სპასტიკური სინდრომი — ჰიპერტონიულ-ჰიპოკინეტიული (პარკინსონიზმი), მეტყველების დისპრაქტიული დარღვევები, ფსიქიკური დარღვევები: განგაშის შეტევები, დეპრესია, დემენცია, დაბინდვის მდგომარეობა. ცხოვრების ბოლო წლებში შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიური გულყრები. სინონიმები: ქაკობ-კრეიტცფელდტის დაავადება, სტერლინგის დაავადება.

დაიკ-ბუნგის დაავადება — მიკროციტარიული ჰიპერქრომული ტიპის ჰემოლიზური ანემია, განპირობებული ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობის დაქვეითებით. დამახასიათებელია მიკროციტოზი, რეტიკულოციტოზი, ჰიპერბილირუბინემია, ელენთის გადიდება, ძვლის ტვინში — ერითროპოეზის გაძლიერება. მიმდინარეობა ქრონიკული, რემისიებით.

დაკოსტას სინდრომი — მთის დაავადება. სახეზეა მოვლენები გულის, სისხლძარღვების და სასუნთქი სისტემის მხრივ. ეტიო-პათოგენეზურ მომენტად ასახელებენ დაქვეითებული ატმოსფერული წნევის მოქმედებას. დამახასიათებელია ტკივილი გულის მიდამოში, გულის ფრიალი და ქოშინი. არც თუ იშვიათია არტერიული წნევის მომატება 150—190 მმ ვერცხლის წყლის სვეტისა.

დალბეს სიმპტომი — კიდურებზე პერიფერიული პულსის ცემის არ არსებობა, რომლის დროსაც არ აღინიშნება ტერფის (მაჯის) შეფერვის და ტემპერატურის დარღვევა. საკმარისი კოლატერალური სისხლისმიმოქცევის ნიშანია არტერიული ანევრიზმის დროს.

დალზას-ნეტერ-მიუსეს სინდრომი — პირველადი ამენორეა და პირველადი უნაყოფობა, გაპირობებული ნაწიბურების არსებობით საშვილოსნოს ღრუში სასქესო ორგანოთა ტუბერკულოზის დროს.

დალრიმპლის სიმპტომი — დამახასიათებელია თვალის ნაპრალის გაფართოება, რასაც მოვყავართ რქოვანას ზედა კიდესთან სკლერის გაშიშვლებასთან, შეიძლება დატოვოს ეგზოფტალმის შთაბეჭდილება. გვხვდება ბაზედოვის დაავადების, ისტერიისა და სხვ. დროს. ავადმყოფის გასინჯვა პროფილში გვიცავს შეცდომისაგან.

დალტონ-სეიდელის კანის პაპულოზური მუცინოზი — კანის პაპულოზური მუცინოზი, მიქსედემატოზური ლიქენი, ფიბრო-მუცინოიდური ლიქენი, კანის კვანძოვანი მუცინოზი, ლიქენოიდური ფსევდომიქსედემა— კანის მუცინოზის ფორმა. ახასიათებს წვრილი ბრტყელი პაპულების წარმოშობა გულმკერდსა და ხელებზე. სინონიმი: ფრეიდენთალის კანის პაპულოზური მიქსედემა.

დამუაზოს სიმპტომი, ანუ ხაზი — პლევრალურ ღრუში ექსუდატის პერკუტორულად გამოვლინებული ზედა საზღვარი, რომელიც გადის ხერხემლიდან ლატერალურად და ზემოთ უკანა აქსილარულ ხაზამდე, შემდეგ ქვემოთ და წინ ღავიწოთ ხაზამდე. სინონიმები: ელის-დამუაზოს ხაზი, ელის-დამუაზო-სოკოლოვის ხაზი.

დამუხლული განგლიის სინდრომი — ჰერპეს ზოსტერის (ზონის) ერთ-ერთი ფორმა. გამოვლინდება დამახასიათებელი გამონაყარით ყურის ირგვლივ, ყურის ძლიერი ტკივილით, ასევე სახის მიდამოში, კეფასა და კისერში ირადიაციით. ხშირია სახის ნერვის ნევრიტი. სინონიმები: ჰანტის სინდრომი, რამზაი-ჰანტის სინდრომი.

დანახ რეფლექსი — ორმხრივი ბულბური დამბლის დროს ნიკაპის პერკუსია იწვევს ქვედა ყბის კლონუსს (ნორმალური მდგომარეობისას აღგილი აქვს პირის დახურვას).

დანბარის სინდრომი — კოლიტის ფორმა, რომელიც ვითარდება ნაწლავის იშემიის შედეგად. ნიშნები: ძლიერი ტკივილი მუცელში, ფაღარათი, ტკივილი ძლიერდება პალპაციით, აესკულტაციით შეიძლება უკშვის არტერიის არეში აღინიშნოს სისტოლური შუილი.

დანბოლტ-კლოსის სინდრომი — აკროდერმატიტი, რომელიც ვითარდება ჩვეულებრივ ორ წლამდე ასაკის ბავშვებში. დამახასიათებელია ბუშტუკოვანი გამონაყარი თვალის ირგვლივ, პირთან, ანუსთან, იდაყვთან, მუხლთან, საზარდულ-ბარძაყის ნაოჭთან, თეძოსთან, დუნდულოსთან, სადაც შემდგომში ყალიბდება აქერცლადი გამონაყარი, ამას თან სდევს თმის ცვენა, ონიქოპათია, ფოტოფობია და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევა. სინონიმი: ბრანდტის სინდრომი.

დანგენანის დაავადება — სინონიმები: დაავს დაავადება, დააე-ფინსენის დაავადება, ბამბის დაავადება, ბორნჰოლმის დაავადება, სილვესტრის დაავადება (იხ.).

დანდოლტის სინდრომი — ამეგაკარიოციტოზი, თანდაყოლილი დაავადება, დამახასიათებელია დაბადებიდან პირველი კვირეების მანძილზე პოპატებული სისხლისდენა და თრომბოციტოპენია. მისი მიზეზია მეგაკარიოციტების მნიშვნელოვანი შემცირება ან არარსებობა ძვლის ტვინში. ამეგაკარიოციტოზი შერწყმულია ჩონჩხისა და შინაგან ორგანოთა განვითარების მანკებთან.

დანელიუსის სიმპტომი — გულის ზოგიერთი თანდაყოლილი მანკის და გულ-ფილტვის უკმარისობის რენტგენოლოგიური ნიშანი: ფილტვების სისხლძარღვოვანი კონების გაღრმავებული პულსირება.

დანიელოპულოს სიმპტომი ანუ რეფლექსი — პარასიმფატიკური ნერვული სისტემის მომატებული აღგზნებადობის ნიშანი: ავადმყოფის დგო-

მიდან წოლით მდებარეობაში გადასვლისას ადგილი აქვს მაჯის შენელებას წუთში ექვს დარტყმაზე მეტით (თვლას აწარმოებენ მდებარეობის შეცვლის შემდგომ 15—20 წამის მანძილზე).

დანინ-აშნერის მეთოდი — პაროქსიზმული სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის მოხსნის ხერხი. დამყარებულია ცთომილი ნერვის სტიმულაციაზე. იწვევა თვალის კაკლებზე დიდი თითების რბილი ნაწილით ძლიერი (ტკივილამდე) ზეწოლით. ზეწოლა გრძელდება 10—15 წამი. ცთომილი ნერვის გაღიზიანებაზე დაფუძნებული სხვა ხერხების მეთოდის გამოყენება დაუშვებელია პარკუჭოვანი პაროქსიზმული ტაქიკარდიის დროს, ვინაიდან მაღალია ასისტოლიის განვითარების რისკი.

დანსის სიმპტომი — ილეოცეკალურ მიდამოში ინვაგინაციის ნიშანი: ნაწლავის ინვაგინირებული მონაკვეთის გადაადგილების შედეგად ილეოცეკალური არეს პალპატორული „სიცარიელე".

დანფორთის სიმპტომი — ტკივილი მხრის სარტყლის არეში შესუნთქვის დროს. საშვილოსნოს გარეშე გამსკდარი ორსულობის ნიშანი.

დარიეს ანგიომა — მოხუცებულობის ანგიომები. ჩნდება 30—40 წლის ასაკის შემდეგ, უფრო ხშირად ტანზე, იშვიათად კიდურებზე. დასაწყისში წერტილების სახითაა, შემდეგ კი ოდნავ აწეული, ლალისფერი პაპულების. შეიძლება თავისით გაქრეს. აღნიშნავენ, რომ ხშირად ჩნდება კიბოსთან ერთდროულად.

დარიეს დაავადება — დარიეს მოეგეტირე ფოლიკულური ფსოროსპერმოზი. ფოლიკულური დისკერატოზი. ფოლიკულური იქტიოზი. მოეგეტირე ფოლიკულური კერატოზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი ახასიათებს გარქვანების პროცესის დარღვევა დისკერატოზის ტიპით და გამოვლინდება მრავლობითი მილიარული ფოლიკულური ჰიპერკერატოზული პაპულებით, რომლებიც ჯგუფდებიან მსხვილ ბალთებად პაპილოზურ ან მუქეკოვანი ზედაპირით.

დარიეს სარკოიდი — ტუბერკულიდების ნაირსახეობა — კანქვეშა კვანძების სახით, რომლებიც განსხვავდება ინდურატიული ერითემისაგან ეფლორესცენციის დიდი რაოდენობით. დამახასიათებელი ლოკალიზაცია კიდურთა გამზიდველი ზედაპირი, სადაც ანთებადი რეაქციის ხარისხი ნაკლებია. დაწყლულება არ ახასიათებს. სარკოიდოზისაგან განსხვავებით ტუბერკულინური სინჯები დადებითია.

დარიეს ცენტრიდანული რგოლისებური ერითემა — ცენტრიდანული რგოლისებური ერითემა — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს მრავლობითი რგოლისებური ერითემები, წამოწეული მოვარდისფრო ლილვაკის სახით, რომელიც იზრდება და მუდამ ცელის თავის ფორმას.

დარიერის დაავადება — ელასტიკური ფსევდოქსანტომა. ელასტიკური ქსოვილის სისტემური ფსევდოდეგენერაცია. სახეზეა კანისა და სისხლძარღვთა (მათ შორის თვალის ფსკერზეც) ელასტიკური ბოჭკოების დეგენერაცია. ვიზუალურად კისრის გვერდითა მხარეების, იღლიის ფოსოების და საზარდულის კანის ზედაპირზე ჩნდება ბრტყელი „ფოლაქები", რომლებიც ერთმანეთს უერთდება.

დარიერ-როსის დაავადება — ანუ სინდრომი. კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი, კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომატოზი, ატიპიური ტუბერკულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ხასიათდება ლიმფური სისტემის, შინაგან ორგანოთა და კანის დაზიანებით, სპეციალური გრანულების წარმოშობით, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიალინის ფენით. სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზით, ბეკის დაავადება, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, ტენესონის დაავადება, მოელერ-ებკის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, მორტიმერის დაავადება, იუნგლინგის დაავადება II.

დარიერ-ფერანის დერმატოფიბროსარკომა — გამობერილი დერმატოფიბროსარკომა. მორეციდივე და პროგრესირებადი დერმატოფიბროსარკომა, კანის ხორკლიანი ფიბროსარკომა, შემაერთებელქსოვილოვანი სიმსივნე. ადნაგობით მოგვაგონებს ფიბროსარკომას, ვითარდება დერმიდან და ახასიათებს ნელი ზრდა კანიდან გამობერილი კვანძების სახით, კანქვეშა ქსოვილის ინფილტრაციით.

დარლინგის დაავადება — დარლინგის ციტომიკოზი. რეტიკულოენდოთელური ციტომიკოზი — სისტემური მიკოზების ჯგუფის ინფექციური დაავადება, გამომწვევია ჰისტოპლაზმა. დამახასიათებელია რეტიკულოენდოთელიური სისტემის ელემენტების ჰიპერპლაზია. უპირატესად ფილტვების, ასევე ღვიძლის და ელენთის, ჩირქოვანი ანთების ნიშნების გარეშე. ვითარდება გულ-ფილტვის, ღვიძლ-ელენთა-ლიმფათიკური კან-ელენთა-წყლულოვანი სინდრომი.

დარღვეული შეწოვის სინდრომი — კლინიკური სიმპტომოკომპლექსი, განვითარებული წვრილ ნაწლავში აბსორბციის დარღვევის შედეგად. ხასიათდება ნივთიერებათა ცვლის მოშლით — ცილოვანის, ცხიმოვანის, მინერალური, წყალ-მარილოვანის, ვიტამინების. ადგილი აქვს მუდმივ სტეატორეას და კრეატორეას. დამახასიათებელია ძლიერი სისუსტე, კანის დაქვეითება კახექსიამდე, ოსტეოპოროზი, მძიმე შემთხვევებში, ოსტეომალაცია, კანისა და ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სხეულის შეშუპება, შესაძლოა პოლიგლანდულარული უმარისობა, მარაზი, ღვიძლის ალიმენტური ციროზი. სისხლში: ანემია, ჰიპოპროტეინემია. შეიძლება იყოს ჰირველადი — გენეტიკური ენზიმოპათიის შედეგად და მეორადი დაკავშირებული თირეოთოქსიკოზთან, ჰიპოპიტუიტარიზმთან, გულის უმარისობასთან და უმთავრესად კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებებთან და დიგესტიკურ ტრაქტზე ოპერაციულ ჩარევის შემდგომ ცვლილებებთან. სინონიმი: მალაბსორბციის სინდრომი.

დასავლეთ ნილოსის ენცეფალიტი ანუ ცხელება — არბოვირუსული დაავადებაა. გვხვდება ევროპაში, აზიაში, ამერიკასა და აფრიკაში. ინფექციის წყაროა გარეული ფრინველი. გადამტანია კოღო და ტკიპა. ცხელება გრძელდება ერთ კვირამდე. დამახასიათებელია გამონაყარი, პოლიადენიტი, იშვიათია ენცეფალიტი.

დაუნის დაავადება ანუ სინდრომი — მიეკუთვნება მემკვიდრეობით (გენეტიკურ) პათოლოგიათა რიცხვს. პათოგენეზში მნიშვნელობა ენიჭება ეპიდოკრინულ ფაქტორებსაც. დამახასიათებელია მონგოლოიდური სახე, ირიბი, თვალების ვიწრო ჭრილი (მონღოლური ნაოჭი) ეპიკანტუსი, ბრტყელი სახე, მსხვილი, ბრტყელი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, პატარა ყურები, ჩუჩისებური ენა, ჩამორჩენილობა ზრდაში, გონებრივი განვითარებლობა, სადა ხელისგულები. სინონიმი: ლანგდონ-დაუნის სინდრომი.

დაუნის ციროზი — ღვიძლის ჰოლესტერინული ციროზი. უჯრედებს აქვთ მაქმანის შეხედულება. ჰისტოქიმიური შეღებვით ელინდება ქოლესტერინისა და ნეიტრალური ცხიმის ჩალაგება ვაკუოლებში.

დაუნის წნულის სინდრომი — შეტევისმსგავსი მწვავე ტკივილი სასმენი მილის გარეთა გასასვლელში, დვრილისებრივი მორჩის მიდამოში გრადაციით, ასევე ლოყაზე, საფეთქელზე. აღინიშნება დაუნისებური წნულის დაზიანების დროს. სინონიმი: რეიხარტის სინდრომი.

დაღლის ქრონიკული სინდრომი — ძირითადად ახასიათებს ქრონიკული მორეციდივე დაღლილობა შეუღლებული სხვა სიმპტომებთან (ტკივილი ყელში, თავის ტკივილი, მიალგია, ართრალგია). მიზეზად მიიჩნევენ ეპშტეინ-ბარის ვირუსულ ინფექციას. სინონიმი: ეპშტეინ-ბარის ქრონიკული ვირუსული სინდრომი.

დაწეული თავის სიმპტომი — თავის ტკივილის ინტენსივობის შემცირება ავადმყოფის ტრენდელენბურგის მდგომარეობაში გადაყვანის დროს (იხ.). აღინიშნება ცერებროსპინალური სითხის დაბალი წნევის დროს. სინონიმი: ზოგრაბიანის სიმპტომი.

დახველების სიმპტომი — მუცელში ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება დახველების დროს. პერიტონიტის ნიშანია.

დახუჭული ქუთუთოების თრთოლვის სიმპტომი — დახუჭული ქუთუთოების თრთოლვა ძლიერდება უფრო მჭიდროდ დახუჭვისას. ვლინდება გაძლიერებული ნერვული აგზნებადობის მქონე პირთა შორის. სინონიმი: ოზ-სტერლინგის სიმპტომი.

დე ახიხის მეთოდი — ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მეთოდი. დამყარებულია „ბცე" ვაქცინის დიდი დოზების განმეორებით შეყვანაზე.

დე ბარსი-მოან-დირკის სინდრომი — კანის, თვალის და ტვინის მემკვიდრეობით ანომალიათა შერწყმა: ტანმორჩილობა, ოლიგოფრენია, დამახასიათებელი სახე — გამოდრეკილი შუბლი, პატარა პირი, წვრილი ტუჩები, თვალის ფართო ჭრილი, ჰიპერტელორიზმი, ყურის დიდი ნიჟარები, განუვითარებელი დისპლასტიკური ხელის მტევნები და ტერფები, გენერალიზებული კუნთოვანი ჰიპოტონია მყესთა მომატებული რეფლექსებით, მშრალი, გაშვირვალე, არაელასტიკური კანი. ვითარდება უპირატესად დუნდულებზე, კისერზე, იღლიებში და საზარდულის მიდამოში. თვალის რქოვანა გარსის შემღვრევა, ფიქსაციური ნისტაგმი, პათოლოგიური ელექტროენცეფალოგრამა კეროვანი ნიშნების გარეშე. რენტგე-

ნორმოციტოზი, პოიკილოციტოზი, ანიზოციტოზი, ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა დაქვეითებულია. რემისიას ხელს უწყობს სპლენექტომიის ჩატარება.

დებრეს დაავადება, ანუ სინდრომი I — კატის განაკაწრის დაავადება. გამომწვევია ვირუსი. ინკუბაციური პერიოდი 1—6 კვირა. ნიშნები: მწვავე დასაწყისი, შემცივნება, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება 10—15 დღის მანძილზე. განაკაწრი (ვირუსის შეკრის ადგილი) სწრაფად ხორცდება, შემდეგ ადგილი აქვს ახლომდებარე ლიმფური კვანძების გადიდებას, მათ დარბილებას. ფისტულისა და ნაწიბურის წარმოშობას. სინონიმები: მოლარეს დაავადება, პეტცეტაკისის დაავადება.

დებრეს სინდრომი II — ნეიროდერმატოზული სინდრომი: მცოცავი ტკივილი მთელს სხეულში (განსაკუთრებით კიდურებში), დამბლები, ჰიპორეფლექსია, მასიური გენერალიზებული შეშუპება. გრძელდება ორი კვირის მანძილზე და შემდეგ განიცდის უკუქცევას. გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ანალური ინფექციის გადატანის შემდეგ. სინონიმი: ჯულიან-მარი-დებრეს სინდრომი.

დებრე-დე ტონი-ფანკონის სინდრომი — გლუკოამინურ-ფოსფატ დიაბეტი — მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ფოსფორის, ამინომჟავების, ნახშირწყლებისა და ბიკარბონატების თირკმლების პროქსიმალურ მილაკებში რეაბსორბციის დარღვევით. გამოვლინდება ცხოვრების პირველი წლის ბოლოს და მეორე წლის დასაწყისში პოლიურიით, ჰიპოსტენურიით, არტერიული ჰიპერტენზიით, ჰიპორეფლექსიით, ძვლოვანი სისტემის რაქიტისმაგვარი ცვლილებებით და ძვლების სპონტანური მოტეხილობებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

დებრე-მარის დაავადება — ნეირო-შეშუპებითი ეპიდემიური სინდრომი. დასაწყისში შეტევითი ტკივილი, ხველება, ლარინგიტი, რაც 3—15 დღე გრძელდება. შემდეგ მატულობს ტემპერატურა, ვითარდება შეშუპება და დამბლები (ქვედა კიდურთა, მენჯის სარტყელისა და ხერხემლის კუნთების), მყესთა რეფლექსები შენახულია. ზურგტკინის სითხე — ნორმალურ მდგომარეობაში. აღინიშნება სუნთქვისა და გულისცემის დარღვევა, დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა.

დებრე-მარის სინდრომი — ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზარული ნანიზმის ვარიანტი წყლის მეტაბოლიზმის იზოლირებული მოშლით. აღინიშნება ჯეჯა ტანი, ჰიპოგენიტალიზმი, ინფანტილიზმი, სიმსუქნე, ოლიგოდიფსია, ძილდის მაღალი კუთრი წონა, ჰიპოთერმია, ჰიპოტენზია, ჰიპოგლიკემია. სითხის გამოყოფა შენელებულია. ინტელექტი შენახულია.

დებრე-სემელენის სინდრომი — მიქსედემატოზური ათლეტიზმი. ჰი-

პოთირეოზული მიოპათია. თანდაყოლილი მიქსედემის და მიოპათის შეუღლება. ადგილი აქვს ზრდაში ჩამორჩენას, რეფლექსების შენელებას, ჰიპოთერმიას, ბრადიკარდიას, მშრალ კანს, თხელ თმებს, შეკრულობას, ოლიგოფრენიას, კიდურების კუნთების ჰიპერტროფიას, ჰიპერქოლესტერიწემიას. სინონიმები: ჰოფმანის სინდრომი, კოხერ-დებრეს სინდრომი.

დებრე-ფიბიგერის სინდრომი — ინტერრენალური ანდროგენულ-ინტოქსიკაცია, თირკმელზედა ჯირკვლის პარადოქსული უკმარისობა, ფსევდოპილოროსტენოზი. ადრენოგენიტალური სინდრომი მარილების დაკარგვით. აღინიშნება დეჰიდრატაცია, გულსისხლძარღვთა უკმარისობა, მეტაბოლური აციდოზი, ჰიპერკალიემია, ნატრიუმის მომატებული გამოყოფა შარდთან. განეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს, გადაეცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით და გაპირობებულია კორტიკოსტეროიდების ბიოსინთეზის დარღვევით. სინონიმი: ფსევდოადისონის სინდრომი.

დეგიოს სინჯი — ბრადიკარდიის, სეკრეციის გაძლიერებისა და კუპრისა და ნაწლავთა მოტორიკის გაძლიერების მიზეზების გამოკვლევის მეთოდი. დამყარებულია ატროპინის შეყვანის შემდეგ ამ მოვლენების კუპირებაზე, თუ ისინი გაპირობებულია ცთომილი ნერვის აგზნებით.

დეგოსის ამილოიდოზი — სისტემური ამილოიდოზი. პათოლოგიური ცვლილებები ძირითადად გვხვდება ენის კუნთებში, პირის ღრუსა და საყმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვან გარსში, ჩონჩხის კუნთებსა და გულის კუნთში. ადრეული ნიშანია ენის მნიშვნელოვანი გაზრდა (მაკროგლოსია), მისი მტკივნეულობა და დამახასიათებელი გარეგნობა, ცვლილებები კანში მსგავსია შემოფარგლული სკლეროზის ან ლორწოვანის შემოფარგლული შეშუპებისა. სინონიმი: შტრაუსის პარაამილოიდოზი.

დეგოსის დაავადება — ავთვისებიანი ატროფიული პაპულოზი, რასაც საფუძვლად უდევს კუპ-ნაწლავის წვრილი და მსხვილი ვენების თრომბოზი. იწყება კანზე პაპულების განვითარებით, რომელთაც ახასიათებს ცენტრიდანული დანეკროზება. შემდგომ, რამოდენიმე კვირაში ან თვეში, უეცრად ვითარდება მწვავე მუცლის კლინიკური სურათი, ძლიერი ტკივილით ეპიგასტრიუმში, სისხლიანი პირღებინებით, ციებცხელებით. გამოსავალი ლეტალურია. სინონიმები: დელორი-ტრიკოს დაავადება, კოლმაიერ-დეგოსის დაავადება, ტრიკო-დელორის დაავადება, დეგოს-დელორი-ტრიკოს დაავადება.

დეგოსის სინდრომი — მიეკუთვნება ლოკალურ ერითროკერატოდერმიას. კანზე ჩნდება მომრგვალო ერითემატოზული ბალთები, ზოგჯერ დიდი ზომისა. ცენტრში აღინიშნება საკმაოდ დიდი ქერცლის დაგროვება, რომელიც კოკარდებს მოგვაგონებს. ეს ცვლილებები უკუგანვითარებას განიცდის სამ თვეში, შემდეგ მეორდება კანის დისემინირებული გამოვლინების სახით.

დეგოს-დელორი-ტრიკოს სინდრომი — სინონიმები: დეგოსის დაავადება (იხ.), კელმეიერ-დეგოსის დაავადება.

დე ესპინეს სიმპტომი — ხერხემლის გაყოლებით ხმაური ჩუქ-

ჩული ისმის ბრონქოფონიური ელფერით. აღინიშნება პერიბრონქული ლიმფური კვანძების გადიდების შემთხვევებში.

დეგოს-ლორტ-უაკობის დაავადება — პიგმენტური დიფუზური მეკეჭოვანი დისპლაზია — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. გამოელინდება წვრილი ოვალური მეკეჭოვანი პიგმენტირებული პაპულების წარმოშობით.

დევიკის დაავადება ანუ სინდრომი = ოპტიკომიელიტი. პირველადი მწვავე გაფანტული ენცეფალომიელიტის ფორმა, რომელიც ხასიათდება ზურგის ტვინისა და მხედველობის ნერვების უპირატესი დაზიანებით.

დევიკ-ბუსი-გარდნერის სინდრომი — მსხვილი და სწორი ნაწლავის პოლიპოზი და ერთდროულად მრავლობითი მეზოდერმული დაზიანებები. კლინიკური ნიშნები: ფარული ან პროფუზული სისხლდენა, უსიამოვნო მოვლენები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ, ცხიმოვანი კისტები, ლიპომები, ლეიომიომები. გადაცემის ტიპი დომინანტური. ეტიოლოგია უცნობი.

დევისის დაავადება — ენდოკარდული ფიბროზი, ენდოკარდული ფიბროელასტოზი, სუბენდოკარდული ფიბროელასტოზი, თანდაყოლილი კარდიოსკლეროზი, ფიბროელასტიკური ენდოკარდიტი, ენდოკარდიუმის თანდაყოლილი დაავადება, ახასიათებს ენდოკარდიუმის მნიშვნელოვანი გასქელება. არსებობს ასევე სუბენდოკარდიული ფიბროელასტოზის შეძენილი ვარიანტი, რომელიც გვხვდება როგორც კოლაგენოზების გართულება. განასხვავებენ პირველადსა და მეორეულ ენდოკრინულ ფიბროელასტოზს. პირველ შემთხვევაში ენდოკარდიუმის გასქელება არის გულის ერთადერთი ცვლილება, მეორე ვარიანტის დროს ამ პათოლოგიას თან ახლავს გულის სხვა დაავადებაც, მაგალითად, აორტის სტენოზი, აორტის კოარქტაცია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, ფილტვის არტერიის სტენოზი.

დევისის სიმპტომი I — მწვავე პანკრეატიტის დროს (უფრო ხშირად პანკრეონეკროზისას) ბარძაყზე და ნეკნთა რკალის დონეზე უკან აღინიშნება ეკჰიმოზები.

დევისის სიმპტომი II — სიკვდილის შესაძლო ნიშანი: ცარიელი, უპულსაციო არტერიები და მათთან მიმდებარე კანის მონაკვეთზე მოყვითალო ან უფერული ლაქების გაჩენა.

დევისის სიმპტომი III — მწვავე პანკრეატიტის შესაძლო ნიშანი: პეტექიები დუნდულებზე.

დევერის დაავადება — პემფიგოიდი — დიურინგ-ბროკას დაავადების (იხ.) ნაირსახეობა. გვხვდება მოხუცებულთა ასაკში. დამახასიათებელია გამონაყარის ერთგვაროვნება (ბუშტუკები) და ბუშტუკების რეციდიულობა ძველსავე ადგილებში. მიმდინარეობა — მსუბუქი. სინონიმი: პარაკენის პარაპემფიგუსი.

დევრის სინდრომი — მემკვიდრეობითი შერწყმა ჰემორაგიული სინდრომისა ხელისგულის განვითარების ანომალიასთან, ხელის მტევნის II და III თითების სინდაქტილიასთან.

დეზადაპტაციის სინდრომი — იმ ავადმყოფთა შორის, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის სომატიური დაავადება, უნვითარდებათ გამოხა-

ტული ვეგეტატიური, ემოციური, ზოგჯერ კი თავის ტვინის ორგანული დაზიანება. ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვიოს ავადმყოფის სხვადასხვა ხარისხის დეზადაპტაცია.

დეილის წესი — ამ წესისამებრ ერთი ნეირონის აქსონის ყველა დაბოლოება გამოყოფს ერთიდაიგივე მედიატორს.

დეინის ნაწილაკები — შრატისმიერი ჰეპატიტით დაავადებული ავადმყოფებისა და დაავადების მატარებლების სისხლის შრატში აღმოჩენილი ნაწილაკები წარმოადგენს მის ვირიონებს.

დეინის სინდრომი — ფუნიკულური მიელოზი: ნეიროლოგიურ-ფსიქიკური ცვლილებები მძიმედ მიმდინარე „B_{12}" დეფიციტური ანემიის დროს: აღინიშნება პარესთეზიები, ღრმა მგრძნობელობის დარღვევა სპინალური ატაქსიით, ჰიპოტონია, მყესოვანი რეფლექსების და მოტორიკის ზოგადი შესუსტება, პათოლოგიური რეფლექსები. შესაძლოა ნათხემისმიერი ატაქსია, მანიაკალურ-დეპრესიული მდგომარეობა, პარანოიდულ-დელირიოზული სინდრომების მოვლენები. სინონიმები: ლიხტჰეიმის სინდრომი, პუტნამ-დეინის სინდრომი.

დეიჩლენდერის დაავადება — მარშული ტერფი, მარშული დაავადება, მეტატარზული უკმარისობა, მარშული მოტეხილობა, ახალწვეულთა მოტეხილობა, გადატვირთული ტერფი — დაავადება გამოწვეულია ტერფის ფუნქციური გადატვირთვით, ხასიათდება პათოლოგიური ცვლილებებით II—III, უფრო იშვიათად IV—V მეტატარზალურ ძვლებში. გამოვლინდება ძლიერი ტკივილით ტერფის წინა ნაწილში ქვეითად ხანგრძლივი სიარულის შემდეგ.

დე კასტროს რეფლექსი — ნიკაპის რეფლექსი — მენტო-მენტალური რეფლექსი — ორალური ავტომატიზმის რეფლექსი: ნიკაპის კუნთების შეკუმშვა სამედიცინო ჩაქუჩით ნიკაპზე დარტყმის დროს.

დე კერვენის თირეოდიტი ანუ დაავადება — ქვემწვავე თირეოდიტი. ხანგრძლივად მიმდინარე თირეოდიტი ხასიათდება თირეოციტების დესკვამაციით და დეგენერაციით, რომლებიც იცვლება შემაერთებელი ქსოვილის უჯრედით, გიგანტური მრავალბირთვიანი უჯრედებით და გრანულომით, ასევე სისხლში თირეოგლობულინებისადმი ანტისხეულების შემადგენლობის მომატებით. სინონიმი: დე კერვენის გრანულომატოზური ჩიყვი.

დე კერვენის სიმპტომი — საჩვენებელი თითის სიმპტომი. კუჭის დიდ სიმრუდეზე რენტგენოლოგიური ჩრდილის შეზნექა მცირე სიმრუდის წყლულის მოპირდაპირედ, შედეგად კუჭის ცირკულარული კუნთების რეფლექტორული სპაზმისა.

დე ლა პერონის დაავადება ანუ სინდრომი — ასოს პლასტიკური ინდურაცია, ასოს ფიბროზული სკლეროზი, დაავადება იწყება 40—60 წლის ასაკში. გარკვეული მიზეზის გარეშე ასოს დორზალურ მხარეზე ვითარდება ელასტიკური, მოგვიანებით ხრტილისებრი გამკვრივება, ერექცია ირღვევა, შეუძლებელი ხდება სქესობრივი კავშირი. არის საავარაუდო მითითებანი დაავადების მემკვიდრეობითობის შესახებ. შესაძლოა მისი აუტოსომურ-დომინანტური ხასიათი.

დე ლანგეს სინდრომი I — მრავლობითი მემკვიდრეობითი ანომალიების შეუღლება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული, ზოგჯერ — დომინანტური. ნიშნები: დამახასიათებელი „ჯამბაზის სახე", რაც იძლევა სინდრომის დიაგნოსცირების შესაძლებლობას პირველსავე შეხვედრაზე, ბრაქიცეფალია, გრძელი წამწამები, შეერთებული ხშირი წარბები, ჰიპერტელორიზმი, მოკლე ცხვირი, თავზე უხვი თმა, ჰიპერპლასტიკური ქვედა ყბა, ვენების გაძლიერებული ნახატი, პატარა ტერფები და მტევნები, პოლიფალანგია, სინდაქტილია, თაღისებრი სასა, იდაყვების მომხრელი კონტრაქტურა, ოლიგოფრენია, ხერხემლის ანომალიები.

დე ლანგეს სინდრომი II — კუნთოვანი ჰიპერტროფიისა და გონებრივი ჩამორჩენილობის თანდაყოლილი სინდრომი. აღინიშნება კუნთოვანი ჰიპერტროფია, ექსტრაპირამიდული დარღვევები და განვითარების სხვადასხვა მანკი. პათოლოგოანატომიურად ჩონჩხის კუნთების ჰიპერტროფია, საყლაპავისა და ნაწლავთა კუნთების სისუსტე და ტვინის განუვითარებლობისა და სიმახინჯის ესა თუ ის ვარიანტი. ნიშნები: (გარდა აღნიშნულისა) კანი ციანოზური და მარმარილოსებრი, დაბალი ტანი, დიდი უურები და ენა, აქილევსის რეფლექსები არ აღინიშნება. სინონიმები: ბრაჰმან-დე ლანგეს სინდრომი, ბრუკა-დე ლანგეს სინდრომი.

დე ლეს სინდრომი — დისტოპია — დისტროფიის სინდრომი. ქალს არ შეუძლია ბუნებრივი გზით ცოცხალი ნაყოფით მშობიარობა, მაშინ როდესაც ორსულობამ ჩაიარა, თავის მაღალი მდებარეობით. არაიშვიათად ამას თან ახლავს ადიპოზოგენატალური დისტროფია.

დელ კასტილიოს სინდრომი — ეწოდება პირველადი ჰიპოგონადიზმის იმ ფორმას, როცა მისი მიზეზია გერმინატიული უჯრედების არ არსებობა. ხასიათდება ჰიპოგონადიზმის საერთო სურათით. არის ტესტიკულარული დისგენეზიის ფორმა, დაკავშირებული რეცესიულ იქს ქრომოსომასთან. კლინიკურად წარმოგვიდგება მამაკაცის ჩვეულებრივი გარეგნობის სახით, ახასიათებს მცირე ზომის, ჰიპოპლაზიური ტესტიკულები და უშვილობა.

დელ კასტილიო-აუმადას სინდრომი — ენდოკრინულ დარღვევათა ტრიადა: ამენორეა, გალაქტორეა, შარდში ჰონადოტროპინთა შემცველობის დაქვეითება. უხშირესად მემკვიდრეობითი წარმოშობისაა და უკავშირდება ჰიპოფიზის ადენომატოზს ან სიმსივნეს. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. ვლინდება ახალგაზრდა დაუფეხმძიმებელი და უმშობიარო ქალებში. სინონიმები: აუმადას სინდრომი, არგონც-დელ კასტილიოს სინდრომი, ფორბე-ოლბრაიტის სინდრომი.

დელაფუას სიმპტომი — მუცლის ღრუს პერფორაციის დაწუების ნიშანია. მუცლის ღრუში კუჭნაწლავის ტრაქტის შიგთავსის ჩაქცევა იწვევს ძლიერ ტკივილს — „ხანჯლის ჩაცემის" სიმპტომი. 3—4 საათში ტკივილი ერთგვარად მცირდება, ტკივილის მეორე ტალღა ესადაგება პერიტონიტის დაწყებას.

დელაფუას ტრიადა — ტკივილი მუცლის არეში, უპირატესად ილიოცეკალურ არეში. იქვე კუნთების დაჭიმულობა და კანის მგრძნო-

ბელობის მომატება. აპენდიციტის შეტევის (მწვავე ან გამწვავება) ნიშნების კომბინაცია.

დელაფუას წერტილი — ექსუდატური პლევრიტის დროს ყველაზე მისაღებია სითხის გამოშვება ბეჭის ხაზზე მერვე ნეკნთა შუა მიდამოში (დელაფუას წერტილი), ან აქსილარულ ხაზზე მეშვიდე ნეკნთაშუა მიდამოში — (ტრუსოს წერტილი).

დელაფუას წყულული — კუჭის წყლული, რომელიც თავდაპირველად იყო ეროზია. დამახასიათებელია მიდრეკილება სისხლდენისადმი.

დელბანკოს დაავადება — მოყვითალო წერტილოვანი კვანძების არსებობა — ლოყების, ტუჩების, ღრძილების ლორწოვან გარსზე, რომელიც განპირობებულია ცხიმოვანი ჯირკვლების ჰეტეროტოპული განლაგებით. სინონიმები: ფორდაისის დაავადება, დელბანკო-დიეანსოს დაავადება.

დელბანკოს სინდრომი — დაავადების მიზეზია სასქესო ასოს თავის პორეცედივე ანთება და ასევე სასქესო ჯირკვლების ფუნქციის მოშლა. კლინიკურად ვლინდება სასქესო ასოს თავის პროგრესიული ატროფიით, შარდსადინარის გარეთა ხვრელის დავიწროებით და ლეიკოპლაკიის სიმპტომებით. როცა ზემოაღნიშნულის მიზეზია სასქესო ასოზე ოპერაციული ჩარევა, ამას ეწოდება შტუმერის სინდრომი.

დელბანკო-დივანსოს დაავადება — სინონიმები: ფორდაისის დაავადება, დელბანკოს დაავადება (იხ.).

დელბეს ნიშანი — კარგად განვითარებული კოლატერალური სისხლის მიმოქცევის ნიშანი მაგისტრალური ანევრიზმის შემთხვევაში: კიდურის დისტალური სეგმენტის დამაკმაყოფილებელი სისხლსავსეობა.

დელბეს ტრიადა — ტრიადა წვრილი ნაწლავის გადაგრეხის დროს: ექსუდატის სწრაფი დაგროვება მუცლის ღრუში; მუცლის შებერვისა და ფეკალური ღებინების გარეშე.

დელბიე-პერთესის სინჯი — ქვედა კიდურების ვარიკოზულად გაფართოებული ვენების მქონე ავადმყოფებში ღრმა ვენების მდგომარეობის განსასაზღვრავი ფუნქციური სინჯი. ამისათვის კანქვეშა ვენები შეივიწროებულია ბარძაყის კანზე დადებული ლახტით ან მანჟეტით, ავადმყოფს ეძლევა წინადადება ვაროს. დაჭიმულობის შემცირება ან კანქვეშა ვენების დაჩუტვა მიუთითებს ღრმა ვენების ფუნქციის შენახვაზე. სინონიმი: პერთესის სინჯი.

დელე-ჰელერის დაავადება ანუ მეზოაორტიტი — ათაშანგური აორტიტი. ქრონიკული აორტიტი ვისცერალური ათაშანგის დროს. ზიანდება აორტის ყველა გარსი, იწყება პროცესი გარეთა შრიდან, ჩნდება ლიმფოციტური ინფილტრატები, ზოგჯერ მილიარული გუგები.

დელეია-დენეკერის სინდრომი — ნეიროლეპტიკური სინდრომი — ნევროლოგიური, ფსიქიკური და ვეგეტატიური მოშლილობების თანაარსებობის დასახელება, რომლებიც წარმოიქმნება ნეიროლეპტიკური საშუალებებით მკურნალობის პერიოდში.

დელიუსის სინდრომი — ნეიროცირკულური დისტონია, შედეგად პერიფერიული სისხლჩაქცევის დისრეგულარული მოშლის. ადგილი აქვს

ცვალებად ერითემას სახის, კბილის და მკერდის მიდამოში ლაქების სახით, რასაც წინ უძღვის აკროციანოზი, კიდურების გაცივება, ტერფების და ხელის გულების ჰიპერჰიდროზი, არც თუ ბეშვიათად წინ უძღვის ჰიპერტონიულ დაავადებას.

დელმა-მარსალეს რეფლექსი — ელემენტარულად გამართულად დგომის რეფლექსი. პოზოტონიური რეფლექსი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებას წინ, უკან ან გვერდით ხელის კვრის შემთხვევაში. სინონიმი: ფუა-თევენარის რეფლექსი.

დელორი-ტრიკოს სინდრომი (ანუ დაავადება) — სინონიმები: დეგოსის დაავადება, კოლმაიერ-დეგოს დაავადება, ტრიკო-დელორის დაავადება.

დელორმ-მინონის პუნქცია — პერიკარდიუმის პუნქცია. კეთდება ექსუდატიური პერიკარდიტის დროს, ექსტრაპლევრალურად მეექვსე ხეკნთაშუა არეში მკერდის ძვლის მარცხნივ.

დემარკის სიმპტომი — ფონაციისა და ყლაპვის დროს ადგილი აქვს ხორხის ფიქსაციას ან მის ქვემოთ ჩამოწევას. აღინიშნება ტრაქეის სიფილისის დროს.

დემარკე-რიშეს სინდრომი — განვითარების მემკვიდრეობითი ანომალია პირეს მიდამოს უპირატესი დაზიანებით აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით (კურდღლის ტუჩი, მგლის სასა, ქვემო ტუჩის ფისტულა, ჰიპოდონტია). აღინიშნება ასევე ტანმორჩილობა, გულის მანკები, წელის მალების საკრალიზაცია.

დემაჟ-ოპენჰეიმის სინდრომი ანუ დაავადება — ქვედა სპასტიკური პარაპარეზი. აეტორთა მიერ აღწერილია თავის ტვინის სისხლძარღვთა დიფუზური სკლეროზის დროს ხანდაზმული ასაკის ავადმყოფებში.

დემონ-მეიგსის სინდრომი — სინონიმები: მეიგსის სინდრომი, დემონ-მეიგს-კოსის სინდრომი (იხ.).

დემონ-მეიგს-კოსის სინდრომი — ამ დროს არის სითხის დაგროვება პერიტონეუმში, პლევრის ღრუში და საკვერცხის ფიბრომა. ანალოგიური ნიშნები შეიძლება იყოს საკვერცხის სხვა ხასიათის კეთილთვისებიანი და ავთვისებიან სიმსივნეების დროსაც. გვხვდება ძირითადად ხანშიშესულ ქალებში. საკვერცხის სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ სითხე პლევრის და მუცლის ღრუში ქრება. სინონიმები: დემონ-მეიგსის სინდრომი, კოს-მეიგსის სინდრომი, მეიგს-კოსის სინდრომი, მეიგსის სინდრომი ანუ ტრიადა.

დემონური დაავადება — ეწოდება გენერალიზირებულ ეპილეფსიას. სინონიმები: ჰერკულესის დაავადება, ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, ვარსკვლავური დაავადება, მთვარის დაავადება, კომიტეტის დაავადება.

დე მორსიეს სინდრომი — ჰიპოპონადოტროპული ჰიპოგონადიზმის შეუღლება ანოსმიასთან. ნიშნები: სასქესო ორგანოთა განუვითარებლობა, კრიპტორხიზმი (ცალმხრივი ან ორმხრივი), საერთო მცირე თმიანობა — სახეზე კი ის სულ არ არის. ავადმყოფს არა აქვს ყნოსვა, პოლუცია, ერექცია იშვიათია, სათესლე ჯირკვალი ჰიპოპლაზიურია, ძვლის ასაკი

ჩამორჩება პასპორტულს, გულმკერდი დეფორმირებულია. ჰიპერტელორიზმი, ზედა ტუჩი და მაგარი სასა გაპობილია, სიყრუე. სასქესო ქრ.ჯმატინი არ არის, კარიოტიპი 46 იქს-იგრეკი. სინონიმები: კალმანის სინდრომი, დე მორსიე-გოტიეს სინდრომი.

დე მორსიე-გოტიეს სინდრომი — სინონიმები: კალმანის სინდრომი, დე მორსიეს სინდრომი (იხ.).

დემპინგ-სინდრომი — კუჭ-ნაწლავის დისცირკულატორულ დარღვევათა კომპლექსი კუჭის რეზექციის ან გასტროექტომიის შემდგომ მოგვიანებით პერიოდში. ვლინდება ჭამიდან 10—15 წუთის შემდეგ (განსაკუთრებით რძის და ტკბილი საკვების მიღებისას) ძლიერი სისუსტით, შეხურებით, ოფლიანობით, თავის ტკივილით, გულის ფრიალით, კიდურების კანკალით, გულისრევით, პირღებინებით, წოლის აუცილებელი მოთხოვნილებით. ადგილი აქვს მჯის აჩქარებას, არტერიული წნევის შეცვლას, ცვლილება ელექტროენცეფალოგრამაზე. სინონიმები: პოსტგასტროექტომიური სინდრომი, მლიკი ნაწლავის სინდრომი, ალბატროს სინდრომი. სახელწოდება უკავშირდება ინგლისურ სიტყვას dump — ამოგდებას.

დენგეს ცხელება — სახსრების ცხელება, ძვლების დაავადება, შვიდღიანი ცხელება, ჟირაფების ცხელება, ფინიკის ცხელება. კლინიკა; ორტალღიანი ცხელება, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, ლიმფადენოპათია, ჰემორაგიული სინდრომი, გამონაყარი, დამახასიათებელია თავისებური სიარული — დენდის სიარული, ჟირაფის სიარული (ნაბიჯის გადადგმა მუხლის მოხრის გარეშე).

დენდის სიმპტომი — საჯდომი ნერვის გაყოლებაზე ხანმოკლე ტკივილის გაჩენა პარაავერტებრალურ არეში წელის IV და გავის I მალების დონეზე სამედიცინო ჩაქუჩის დარტყმის დროს. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

დენდი-უოლკერის სინდრომი — დიზრაფიული სტატუსის ერთ-ერთი გამოვლინება. დამახასიათებელია ტრიადა: ჰიდროცეფალია, ნათხემის ჭიის აპლაზია ჰიპოპლაზიისა და უკანა ფოსოს კისტის (ზოგჯერ მე-4 პარკუჭში ჩაზრდით) სახით. კლინიკურად ვლინდება ჩვილ ბავშვებში ჰიდროცეფალიით, კეფის ძვლის დამახასიათებელი გამოდრეკით, უკანა ფოსოს დაზიანების ნიშნებით (ბულბური ნერვების პარეზი, ნისტაგმი, სხეულის ატაქსია), რენტგენოლოგიურად ასევე კეფის ძვლების გამოდრეკით და მკვეთრი გათხელებით. ადრე უკავშირებდნენ მაჟანდის და ლუშკას ხვრელების შეხორცებას. ამჟამად, მიიჩნევენ საერთო დიზრაფიული სტატუსის კერძო გამოვლინებად. ამრიგად, მას შეიძლება შეეხვედეთ როგორც იზოლირებულად, ისე სხვა დიზრაფიულ მოვლენებთან (სინდაქტილია, პოლიდაქტილია და სხვ) შეხამებაში.

დენეკის სიმპტომი — გულის მარჯვენა და მარცხენა კონტურების ერთდროული პულსაცია — რენტგენოლოგიური ნიშანი. გვხვდება პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის დროს.

დენთის დაავადება — იმ აირებით მოწამვლა, რომლებიც წარმოიშობა სროლისა და აფეთქების დროს. კლინიკური გამოვლინება დამოკი-

დებულია მათში შემავალი ტოქსიკური კომპონენტების ქიმიურ შემადგენლობასა და ზემოქმედებაზე.

დენი-ბრაუნის სინდრომი I — აღინიშნება წელა პროგრესირებადი წვრილუჯრედიანი ბრონქოკარცინომის დროს. ვლინდება კუნთების სისუსტით, განსაკუთრებით მენჯის, ბარძაყების მიდამოში, ადვილად დაღლით, პირის სიმშრალით, პარესთეზიებით, მყესთა ღრმა რეფლექსების მოშლით, ატაქსიით, ნისტაგმით, დიზართრიით, ინტენსიური კანკალით, თავბრუთი. სინონიმი: ეატონ-ლამბერტის სინდრომი.

დენი-ბრაუნის სინდრომი II — ცერებრული წარმოშობის ნეირომიოპათია კიბოს დროს (უპირატესად ბრონქოგენური კიბოს შემთხვევაში), რომელსაც ადგილი აქვს მეტასტაზების არსებობის გარეშეც. მიზეზად მიიჩნევენ სიმსივნის ნერვულ სისტემაზე ქიმიურ და ტოქსიკურ ზემოქმედებას, ვიტამინების შეთვისების დარღვევას, ჰორმონულ დარღვევებს, იმუნურ ძვრებს, ვირუსულ ზემოქმედებას.

დენი-ბრაუნის სინდრომი III — კარტიდული სინდრომი. ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსი საძილე არტერიის სტენოზის ან დახშობის დროს. აღინიშნება უეცარი ცალმხრივი ამაუროზი, კონტრლატერალური ჰემიპარეზი და ჰომონიმური ჰემიანოფსია. ხშირია აფაზია, აგრაფია, აკალკულია, ალექსია, აუტოტოპაგნოზია.

დენი-კორბელის სინდრომი — თირკმლის, ტვინის და თვალის მემკვიდრეობით ანომალიათა შერწყმა. ადგილი აქვს თირკმლის პროქსიმალური მილაკების ფუნქციის მოშლას, რასაც თან სდევს ჰიპერკალციურია, ჰიპერფოსფატერია, აციდოზი, ჰიპოკალიემია, ზომიერი ჰიპოკალციემია, გონებრივი ჩამორჩენილობა, დაბალი ან ჯუჯა ტანი, ჰიდროფტალმი, მეორადი გლაუკომა, მხედველობის დაქვეითება.

დენი-მარფანის სინდრომი — თანდაყოლილი სიფილისური დამბლა. ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება თანდაყოლილი ათაშანგით დაავადებულ ბავშვებში: კიდურების სპასტიკური დამბლა, გონებრივი განუვითარებლობა, ციება, კრუნჩხვები, ნისტაგმი, კატარაქტა.

დენმეიერის ხიმპტომი — არის საყლაპავში უცხო სხეულის მოხვედრის დროს. ასეთ შემთხვევაში აღინიშნება სახის წინისკენ გამოწევა და ხორხის ქვემო ნაწილის მოჩვენებითი გაფართოება.

დენოს პნევმონია — სპლენოპნევმონია, კრუპოზული პნევმონიის მიმდინარეობის ვარიანტი მისი ჩათაეების სტადიაში. ახასიათებს ფიბრინის გათხელება და გახსნა, ლეიკოციტების გაცხიმება და დაშლა, მათი მარცლოვანების გაქრობით. დენოს პნევმონიის დროს ფილტვის ანათალი მაკროსკოპიულად მოგვაგონებს ელენთის ანათალს. სინონიმი: გრანშეს დაავადება.

დენტ-ფრიდმენის სინდრომი — მემკვიდრეობითი იდიოპათიკური იუგენილური ოსტეოპოროზი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. აღინიშნება გამოხატული ოსტეოპოროზით ჯერ კიდევ ბავშვთა ასაკში, სკლერების მოცისფრო შეფერილობა და არასრულყოფილი ოსტეოგენეზი. სინონიმი: ვროლიკის დაავადება.

დენტო-ბრონქული სინდრომი — სინონიმი: დენტო-პულმონური სინდრომი (იხ).

დენტო-პულმონური სინდრომი — დენტობრონქიტი, ქრონიკული ბრონქიტი კბილების გამოხატული ინფექციის დროს. კლინიკა: ხანგრძლივი ხველება, დილით შეტევის სახით, ქრონიკული ხანგრძლივი ინფექცია, პარადონტოზი, ლიმფატიკურ-ექსუდატიური დიათეზი, ედს-ნორმალური ან მომატებული, შედარებითი ლიმფოციტოზი. რენტგენოლოგიურად — ფილტვის კარის სიმეტრიული გამკვრივება ფილტვების გაძლიერებული სურათით. ძირითადად ავადმყოფობენ სარძევე კბილებიანი ბავშვები. სინონიმი: ვენეკლასის სინდრომი, დენტობრონქული სინდრომი.

დეჟანის სინდრომი — აღინიშნება თვალბუდის ფსკერზე მიმდინარე პათოლოგიური პროცესის დროს და ვლინდება ეგზოფტალმით, მხედველობის გაორებით, ზემო ყბის ძლიერი ტკივილით და სამწვერა ნერვის პირველი და მეორე ტოტის საინერვაციო ზონის მგრძნობელობის დაკარგვით.

დეჟარდენის პანკრეასული წერტილი — მტკივნეული წერტილი მწვავე პანკრეატიტის დროს. მდებარეობს ჭიპიდან 6 სმ-ზე, ხაზზე, რომელიც აერთიანებს ჭიპს მარჯვენა იღლიის ფოსოსთან.

დეჟერინის დაავადება — ნევრალური კუნთოვანი ატროფიის დეგენერატიული მემკვიდრეობითი ფორმა. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. ადგილი აქვს კუნთების სიმეტრიულ პროგრესირებად ატროფიას, ნერეული ბოჭკოების გასკელებას, რომელთა პალპირება ადვილად ხერხდება კანქვეშ: ტროფიკის და მგრძნობელობის დარღვევა, კახზე მრავლადაა ხალები, კანქვეშა ნეიროფიბრომები, გამოხატულია ანდროტროპიზმი. დადებითია რომბერგის ნიშანი (იხ.), შესაძლოა ატაქსია, ნისტაგმი, თვალის კუნთების დამბლა, ანიზოკორია. სინონიმები: დეჟერინ-სოტას სინდრომი ანუ დაავადება, კომბალტის სინდრომი.

დეჟერინის მტკივნეული წერტილი — მტკივნეული წერტილი გავა-წელის რადიკულიტის დროს. განლაგებულია გავის შუა ქედზე გავის პირველი მალის დონეზე.

დეჟერინის რეფლექსი — კანის პათოლოგიური რეფლექსი: ხელის თითების კლონიური მოძრაობები ხელისგულის კანის ჩხვლეტის დროს. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანებისას.

დეჟერინის სიმპტომი — გავა-წელის მიდამოში ტკივილის გაძლიერება ხველებისა და ცემინების დროს. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის, ზურგის ტვინის სიმსივნისა და სპინალური არაქნოიდიტის დროს.

დეჟერინის სინდრომი I — დიფტერიული ფსევდოტაბესი: ატაქსია და ღრმა მგრძნობელობის დარღვევა დიფტერიის დროს.

დეჟერინის სინდრომი II — ცნობილია გარდამავალი სიკოჭლის სახელწოდებითაც. უკავშირებენ ზურგის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას სიფილისის, მაობლიტირებელი ენდარტერიტის დროს. კლინიკურად დამახასიათებელია გარდამავალი დამბლა ან პარეზი. როგორც წესი, დასაწყისში უფრო მკვეთრად ზიანდება ერთ-ერთი ქვედა კიდური, თუმცა საბოლოოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს მყარი ქვედა პარაპლეგია.

დეჟერინ-კლიუმპკეს დამბლა, ანუ სინდრომი — მხრის წნულის ქვედა ნაწილის სინდრომი — მაჯისა და წინამხრის ხელისგულის მხრის კუნთების პერიფერიული დამბლა. ერთდროულად მგრძნობელობითი მოშლილობა იდაყვისა და შუა ნერვების ინერვაციის ზონაში. ხელის დისტალურ ნაწილში ვაზომოტორული დარღვევებია. აღინიშნება კისრის VII და VIII და გულმკერდის I ზურგტვინის ნერვის დაზიანების დროს.

დეჟერინ-თომას დაავადება, ანუ სინდრომი — ოლივოპონტოცერებრალური დისტროფია, ოლივოპონტოცერებრალური ატროფია — ნერვული სისტემის ქრონიკული პროგრესული დაავადება. ახასიათებს დისტროფიული პროცესი, ძირითადად ნათხემის თეთრ ნივთიერებაში, ვაროლის ხიდში, ხიდის საკუთარ ბირთვებში და ქვედა ოლივების განლიოზურ უჯრედებში. გამოყოფილია ნათხემის დაზიანების ნიშნებით, კუნთის ტონუსის ექსტრაპირამიდული ცვლილებებით, ინტელექტის დაქვეითებით.

დეჟერინ-ლავალ-პიგშეფის სინდრომი — ალკოჰოლური პოლინევრიტი. ალკოჰოლური ფსევდოტაბესი. ნიშნები: ტკივილი, პარესთეზია, ღრმა მგრძნობელობის გამოვარდნა, ფსევდოტაბესური ატაქსია, ფსიქიკის შეცვლა (მეხსიერების დაქვეითება ახლო წარსულზე).

დეჟერინ-რუსის სინდრომი — მხედველობის ბორცვის სინდრომი, თალამური სინდრომი — მძაფრი, მუდმივი ან შეტევისმაგვარი მზარდი ტკივილის შეხამება ჰემიჰიპესთეზიის ჰიპერპათიასთან, ზედაპირული მგრძნობელობის დაქვეითებასთან და ღრმა მგრძნობელობის გამოვარდნასთან, სენზიტიურ ჰემიატაქსიასთან, ხელების ატიპიურ მდებარეობასთან (თალამური ხელი), მიმიკის დარღვევასთან სიცილისა და ტირილის დროს, მაშინ როცა მიმიკური კუნთების თვითნებური მოძრაობები შენახულია. აღინიშნება თალამუსის დაზიანების დროს.

დეჟერინ-სოტას დაავადება — სინონიმი: დეჟერინის დაავადება (იხ.).

დეჟერინ--სუკა-ხიკარის სინდრომი — მუხლისებრი კვანძის სინდრომი — ყურში მწვავე ტკივილის შერწყმა. გამონაყართან და მგრძნობელობის მოშლასთან, სმენის გარეთა ხვრელისა და გემოვნების მოშლასთან ენის 2/3-ში. აღინიშნება, როცა პათოლოგიური პროცესი შიდა ყურის მიდამოშია, რასაც თან სდევს სათანადო კვანძის დაზიანება.

დეჟერინ-ფუას სინდრომი — წინა ბულბური ოლივათა შორის დაზიანების სინდრომია. შედეგია ცენტრალური ბოლქვოვანი არტერიების ობტურაციისა. კლინიკურად აღინიშნება ჯვარედინა ჰემიპლეგია და ენისქვეშა ნერვის პერიფერიული დამბლა დაზიანებულ კერის მხარეზე.

დერიკ-ბერნეტის დაავადება — სინონიმები: ბერნეტის დაავადება (ანუ ბერნეტის რიკეტსიოზი), დერიკის დაავადება.

დერიკის დაავადება — სინონიმები: ბერნეტის დაავადება (იხ.), დერიკ-ბერნეტის დაავადება.

დერკუმის დაავადება, ანუ სინდრომი — ადიპოზალგია, ლიპალგია, ავადმყოფური ლიპომატოზი, ავადმყოფური სიმსუქნე. დაავადება ხასიათდება კანქვეშა ქსოვილში მრავლობითი მტკივნეული ლიპომის წარმო-

ზობით, ანდა კანქვეშა ქსოვილში ცხიმის დიფუზური ჩალაგებით. გვხვდება ძირითადად ქალებში მენოპაუზის პერიოდში. დამახასიათებელია ამ დროს ადინამია, ასთენია, დეპრესია. სინონიმები: დერკუმ-ვიტანტის სინდრომი, ალენ-რინეს სინდრომი, ანდერსის სინდრომი.

დერკუმის კვანძი — სისხლძარღვებით მდიდარი ლიპომა, გამოხატული პერივასკულარული ინფილტრაციით.

დერკუმ-ვიტანტის სინდრომი — სინონიმები: დერკუმის დაავადება (იხ.), ანდერსის სინდრომი, ალენ-რინეს სინდრომი.

დე ხანქტის-კაკიონეს სინდრომი — ქსეროდერმული იდიოტია — მემკვიდრეობითი დაავადება, გამოვლინდება სხვადასხვა სიმძიმის ჰკუასუსტობით, ნევროლოგიური დარღვევებით.

დე სპინეს სიმპტომი — ფილტვების აუსკულტაციის დროს გულმკერდის ლიმფური ჯირკვლების გადიდების შემთხვევაში ხმამაღლა ლაპარაკისას ხმა ბრონქოფონიური ელფერისაა, ხმადაბლა ლაპარაკი კი მკაფიო ჩურჩულად მოისმის.

დეტერმანის სინდრომი — კუნთების ხანგამოშვებითი სისუსტე მაობლიტირებელი ათეროსკლეროზის დროს ტროფიკის გამოხატული დარღვევის გარეშე.

დე ტონი-დებრე-ფანკონის სინდრომი — სინონიმები: ფანკონი-დე ტონის სინდრომი, დებრე-დე ტონი-ფანკონის სინდრომი (იხ.).

დიაბეტური ლიპოიდური ნეკრობიოზის სინდრომი — ლიპოიდური ნეკრობიოზის ფორმა, რომელიც ვითარდება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში. სინონიმები: ურბან-ოპენჰეიმის კანის დისპლაზია, ურბან-ოპენჰეიმის სინდრომი, ოპენჰეიმის ლიპოიდური ატროფიული ლერმატიტი.

დიამონდ-ბლეკფანის სინდრომი — ქრონიკული თანდაყოლილი არაგენერაციული ანემია, ერითრობლასტოფტიზი. თავს იჩენს ჩვილ ბავშვებში. ყურადღებას იპყრობს ფიზიკური და ფსიქიკური ჩამორჩენილობა, სასქესო ორგანოების განვითარების დათრგუნვა. სისხლში ჰიპოქრომული ანემია, არეტიკულოციტოზი, ძვლის ტვინში სისხლმბადი ფუნქციის მკვეთრი შეზღუდვა, ლიმფოციტებისა და რეტიკულური უჯრედების რაოდენობის მომატება. ეტიოლოგია უცნობია, პროგნოზი მძიმე. სინონიმი: ჯოზ დიამონდ-ბლეკფანის სინდრომი.

დიასის დაავადება, ანუ სინდრომი — კოჭის ძვლის ეპიფიზის ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება ტკივილით კოჭ-წვივის სახსარში და ტერფში, კოჭლობით. ვარაუდობენ ტრავმულ გენეზს. ადგილი აქვს უმეტესად 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში.

დიაფრაგმული ნერვის სინდრომი — დიაფრაგმის პარეზი, გამოვლინდება ხველებითი ბიძგის სისუსტით და ასევე დიაფრაგმის მაღლა დგომით და უმოძრაობით, რაც კარგად ჩანს რენტგენოლოგიური გამოკვლევით. მუცლის ფარზე აღინიშნება სუნთქვითი მოძრაობების პარადოქსული ხასიათი (ფერდქვეშა არეების ჩამოვარდნა შესუნთქვაზე და ამოვსება — ამოსუნთქვაზე). აღინიშნება დიაფრაგმული ნერვის და ზურგის

ტვინის კისრის III—IV სეგმენტების წინა რქებისა და ფესვების დაზიანების შემთხვევებში.

დი გეორგის სინდრომი — მკერდუკანა და პარათირეოიდული ჯირკვლების ერთდროული აპლაზია. მემკვიდრეობითი იმუნოპარეზის ნაირსახეობა. დამახასიათებელია ორგანიზმის სუსტი წინააღმდეგობა ინფექციებისადმი (მორეცედივე პნევმონიები, ოტიტები, დერმატიტები, სეფსისი). ლიმფოციტების რაოდენობა პერიფერიულ სისხლში დაქვეითებულია. უჯრედოვანი რეაქციები (ფაგოციტოზი) დაქვეითებულია ყველა ანტიგენის მიმართ. იგივეა დი ჯორჯის სინდრომი.

დი გულელმოს დაავადება, ანუ სინდრომი — ერითრომიელოზი, ერითრომიელური მწვავე მიელოზი — მწვავე ლეიკოზის ფორმა, რომლის ადრეულ ეტაპზე ძვლის ტვინში სჭარბობს ერითრო და ნორმობლასტები, ხოლო მოგვიანებით — მიელობლასტები. თან სდევს ნორმო და ჰიპოქრომული ანემიის მოვლენები, მზარდი ლეიკოპენია და თრომბოციტოპენია.

დიდ-ბატკარის სინდრომი — ხასიათდება მეხსიერების დაქვეითებით ფიქსაციის უნარის მკვეთრი მოშლის ხარჯზე, კონფაბულაციით, ლოკალიზაციის უნარის დაკარგვით და სიტყვის მიმართ იზოლირებული სიბრმავით (ალექსია). აღწერილია ორივე კეფის წილში დარბილების კერების განვითარების დროს და სხვა შემთხვევაში.

დიდმოად სინდრომი — სინდრომის აბრევიაციული სახელწოდება ლათინურად. მისი ქართული შესატყვისია: შაქრიანი დიაბეტი, უშაქრო დიაბეტი, ოპტიკოატროფია, სიყრუე. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის, მხედველობის ნერვის ატროფიის, სიყრუისა და შარდის ბუშტის ატონიის შერწყმა. ხშირად ოჯახური ხასიათისაა. სავარაუდოა აუტოსომურ-რეცესიული გადაცემა. პროგნოზი უკავშირდება ძირითადად შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობას.

დიელაფუას სიმპტომი — ჭიაყელა ნაწლავის მიდამოდან ვიღებთ კანს ნაოჭის სახით და ხანმოკლე დროით თითებს შორის ვამუშავებთ. ამის შედეგად მიიღება უსიამოვნო შეგრძნება, წვისა და ტკივილის სახით კანის ამ მიდამოში. ეს სიმპტომი დადებითია არც თუ ისე ხშირად, მაგრამ როცა ის არის დადებითი, მაშინ ის აპენდიციტის საკმაოდ სარწმუნო ნიშანია.

დიელაფუას სინდრომი — კუჭიდან სისხლდენა ლორწოვანთან მიმდინარე არტერიული ტოტიდან მისი ეროზიის ნიადაგზე. გვხვდება ახალგაზრდებში, რომელთაც ადრე დიგესტიური სისტემის მხრივ მოვლენები არ აღენიშნებოდათ. ადგილი აქვს უეცარ მასიურ სისხლიან პირღებინებას. ხასიათდება პოსტჰემორაგიული ანემიის სწრაფი განვითარებით.

დიენცეფალურ-თირეოიდული სინდრომი — ვეგეტატიურ-ვაზომოტორული რეაქციები ჩიყვის არსებობის დროს, კლინიკა: ემოციური ლაბილობა, ადვილად აგზნება, უმიზეზო ტირილი, შრომის უნარის დაქვეითება, ცუდი ძილი, ტაჭიკარდია — შეტევების სახით, ვაზომოტორული ლაბილობა, ცივი, ნამიანი, ციანოზური მტევნები. ძირითადად გვხვდება

ახალგაზრდა ქალებში დიენცეფალური ტიპის ბირველადი დაზიანების დროს. სინონიმი: ბარანოვის სინდრომი.

დიენცეფალო-კარდიული სინდრომი — ჰიპოთალამური სინდრომი კარდიული მოვლენების სიჭარბით, მაგალითად, არიტმიები, არტერიული წნევის ლაბილობა, კარდიალგია.

დიკინსონის სინდრომი — სისტემური გლომერულონეფრიტი სიყრუით. ოჯახური ჰემორაგიული მემკვიდრეობითი ნეფრიტი, ოტოოკულარული სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, სმენის დაქვეითებით ან სიყრუით, ზოგჯერ კატარაქტით და 16—35 წლის ასაკში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. აღვნიშნავთ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. მემკვიდრეობით გადადის აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. სინონიმი: ალპორტის სინდრომი.

დილის სინდრომი — დილის პერიოდული ღებინება უპირატესად ლორწოთი, აღინიშნება ქრონიკული ალკოჰოლური გასტრიტის დროს.

დილონის სიმპტომი — „ბეჭის სიმპტომი", ფილტვების ავთვისებიანი სიმსივნით დაზიანების დროს დაავადებულ მხარეს შესაძლოა აღვნიშნოს ბეჭის მოშორება მეტად, ვიდრე ჯანმრთელზე (ძირითადად შიდა კიდე ან ქვედა კუთხე). ბეჭის დაცილება ხერხემლისაგან და მისი ჩამორჩენა სუნთქვის დროს მიუთითებს დაზიანებულ მხარეს ექსკურსიის შემცირებასა და ზურგის კუნთების ატროფიაზე.

დილონის ფენომენი — რენტგენოლოგიურად გამოვლინებული რელაქსირებული დიაფრაგმის თაღის აჩქარებული ცთომა მაქსიმალური ამოსუნთქვის ფაზაში. დამადასტურებელია მისი ნაწილობრივი შეკუმშვის უნარის შენარჩუნებისა.

დიოგენის სინდრომი — უნივთარდებათ მარტოხელა მოხუცებს, რომელთაც არ ძალუძთ საკუთარი თავის მოვლა: სიგამხდრე, ექსიკოზი, მიდრეკილება სხვადასხვა ინფექციური თუ სომატური დაავადებებისადმი. სინდრომი ეპონიმურად უკავშირდება ძველ ბერძენ ფილოსოფოს დიოგენის სახელს.

დიტლენის სინდრომი — აღინიშნება რენტგენოლოგიურად ინტრაპერიკარდიული ან პერიკარდიულ-დიაფრაგმული შეხორცების დროს: გულთან მიმდებარე დიაფრაგმის ნაწილის მოძრაობა სინქრონულია გულისცემასთან ჩასუნთქვის დროსაც. გულის კონტური ჩასუნთქვისას იცვლება. აორტისა და ფილტვის არტერიის რკალი გასაღავებულია.

დიტლის კრიზები, ანუ სინდრომი — მოძრავი და ცთომილი თირკმლის შემთხვევაში თირკმლის კარის სისხლძარღვთა გადაგრეხის დროს შეიძლება აღინიშნოს ეგრეთ წოდებული თირკმლის ჩაჭედვა. ამას მოჰყვება თირკმლის ჰვალის მძაფრი შეტევა, რასაც თან სდევს გულისრევა, ღებინება, შოკის მოვლენები, შარდის შეკავება და თირკმლის ზომაში მომატება გარდამავალი ჰიდრონეფროზის განვითარებით. ხშირად შეტევა იწყება შარდის შეკავებით და დაკავშირებულია წოლიდან სწრაფ წამოდგომასთან.

დიტრიხის საცობები — ნახველში გამოყოფილი ნაწილაკები, რომლებიც შედგება დეტრიტის, ცხიმის მჟავეების კრისტალების, ბაქტე-

რიებისა და ლეიკოციტებისაგან. ფერით მოთეთრო-მოყვითალოა, სუნი — მყრალი, სიდიდით ჭინძისთავიდან ლობიოს მარცვლამდე.

დიუბრეის კანის დიფუზური ელასტომა, ანუ მელანოზი — კანის დიფუზური ელასტომა, მოხუცებულობის ელასტოზი — შემაერთებელი-ქსოვილოვანი ელემენტების ლორწოვანი დისტროფია ლოყებზე და თვალების გარემოში, რომელიც ვითარდება ფოლიკულების შეერთების გაფართოებასთან ერთად. აღინიშნება ხანშიშესულ ასაკში.

დიუბრეის ლიმფატიური ჭავილი ანუ სინდრომი. — ლიმფატიურ დეკალვირებადი ჭაქილი — ჰემოდერმიის საერთო დასახელება ჭაქილის სახით, მაგალითად, ლიმფოგრანულომატოზის დროს.

დიუბუას აბსცესი — მკერდუკანა ჯირკვლის (თიმუსის) აბსცესი თანდაყოლილი ათაშანგის დროს, რომელსაც კისტის გარეგნობა ახასიათებს. კედელი ნაშენია ბრტყელი ეპითელიუმით, შიგთავსი შეიცავს ლიმფოციტებს, ნეიტროფილურ გრანულოციტებს, ეპითელურ უჯრედებს და სპიროქეტებს.

დიუბუას სიმპტომი — ნეკის დამოკლება, გამოწვეული ხელის მტევნის დისტროფიული ცვლილებებით და შემავალი ძვლების ჰიპოპლაზიით. აღინიშნება თანდაყოლილი სიფილისის დროს, დაუნის ავადმყოფობისას.

დიუბუა-რეიმონის კანონი — კანონი, რომელიც აყალიბებს უშუალო დამოკიდებულებას: ქსოვილის აგზნებულების რეაქციის სიდიდეს ელექტრულ გაღიზიანებასთან და გამღიზიანებელი ელექტროდენის ძალის ცვლილების სიჩქარესთან.

დიუგეს ანგინა — ნუშისებური ჯირკვლების დაბერვა, მათზე მოთვრგვალო პატარა წყლულების წარმოშობით, რომელთა ძირი მორუხო-მოთეთრო ფერისაა. აღინიშნება ზოგჯერ მუცლის ტიფის დროს.

დიუკენის სიმპტომი — ტკივილი ტერფის გვერდითი აქტიური მოძრაობისას, რომელიც ვითარდება კიდურების კუნთების წინასწარი მოდუნების შემდეგ. წვიეის თრომბოფლებიტის ნიშანი.

დიუკის სინჯი — ნემსის ჩხვლეტით ან სკარიფიკატორის საშუალებით ყურის ბიბილოდან სისხლის დენის დროს განსაზღვრით, ჰემოსტაზის ფიზიოლოგიური მექანიზმების ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევა.

დიულეის დაავადება — მხარბეჭის პერიარტრიტი — მხრის სახსარში მოძრაობების მტკივნეული შეზღუდვა, განსაკუთრებით ამოძრავებისას და შიდა როტაციის დროს. გაპირობებულია პირეარტიკულური ქსოვილის ანთებითი ცვლილებებით, რომელსაც ზოგჯერ თან ახლავს მარილების ჩალაგება ქედზედა კუნთის მყესში ან აკრომიონის ქვემო სინოვიალურ ჩანთაში. სინონიმი: დიუპელის სინდრომი.

დიუპელის სინდრომი — იხ. სინონიმი: დიულეის დაავადება.

დიუპიუი-დიუტანის სიმპტომი — თვალის ჭრილის გაფართოება თვალის ნერვის პერიფერიული დამბლის მხარეს, რაც ავადმყოფი დაიხედავს ქვემოთ და ცდილობს ქუთუთოების შეერთებას.

დიუპიუიტრენის აბსცესი — მცირე მენჯის უჯრედების აბსცესი, რომელიც განლაგებულია მის გვერდით კედელზე და როცა პროცესში ჩართულია საშვილოსნოს განიერი და საზარდულის მყესები. ეს აბსცესი არის პარამეტრიტის გართულება.

დიუპიუიტრენის კონტრაქტურა, ანუ სინდრომი — ხელისგულის აპონეიროზის კონტრაქტურა. დაავადება იწყება თითების გაშლის გაძნელებით (ჩვეულებრივ მეოთხე-მეხუთე თითებისა), რომლებიც თანდათანობით უახლოვდება ერთმანეთს და მოღუნულ მდგომარეობაში იმყოფება. დაზიანებული თითები თითქოსდა ჩაზრდილია ხელისგულებში. ხელისგულებში ჩნდება კანთან დარჩილული მჭიდრო ზონრები, რომლებიც მიემართება მომხრელ მყესთა ღერძის მიმართულებით. კანი მის მიდამოში ძნელი და მკვრივია.

დიუპიუიტრენის სიმპტომი I — ძელის სარკომის შესაძლო ნიშანი: ტკაცუნი ძვალზე ზეწოლისას.

დიუპიუიტრენის სიმპტომი II — პერგამენტულ ხრაშუნის (ტკაცუნის) სიმპტომი. ხრაშუნის შეგრძნება ძელის გამობერილ კედელზე ზეწოლისას (ალვეოლარულ მორჩებზე ან უბაზე). აღინიშნება კბილის ფოლიკულურ ან ფესვისებური კისტის დროს და ასევე უბის ზოგიერთ კეთილთვისებიანი სიმსივნეების დროს.

დიუპრეს ემოციური კონსტიტუცია — გვხვდება ენდოგენური ფსიქოზებისა და ფსიქოპათიების დროს. ახასიათებს მიდრეკილება მძაფრი რეაქციებისადმი — სიხარულის, მწუხარების, შიშისა და მრისხანების გაჩოხატვის დროს, რაც არ არის გაპირობებული მდგომარეობით და სიტუაციით.

დიუპრეს მიფომანია — პიროვნების კონსტიტუციური ინდივიდუალური თავისებურება — მიდრეკილება ტყუილისადმი, სადაც უმთავრესად ადგილი ეთმობა საკუთარ არაჩვეულებრივ თავგადასავალებს, რისთვისაც ვითომ მიანიჭეს მას დამსახურება, ტიტულები და ა. შ. ამასთანავე მას ხშირ წამოსახულ აზრებში წაშლილია ზუსტი რეალურ და არარეალურ ფაქტებს შორის.

დიუპრეს სინდრომი — საპაერო ბალიშის სიმპტომი — ზურგზე მწოლიარე ავადმყოფის მდგომარეობა, როდესაც თავი ბალიშზე უდევს ხანგრძლივად გარკვეულ სიმაღლეზე. კატატონიური სტუპორის ნიშანი.

დიუპრეს წარმოდგენების მანია — პარაფრენიული მანია. დამახასიათებელია ზღაპრული ოცნება განდიდებისა, განსაკუთრებული მისიისა, ღვთისა და ა. შ.

დიურან-ზიუნინის სინდრომი — განვითარების მანკთა იშვიათი შერწყმა: გამჭვირვალე ტიხრის აგენეზია, ჰიდროცეფალია, სირინგობულებია, spina bifida. აღწერილია, როგორც ოჯახური მანკი, თუმცა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპორადულ შემთხვევებსაც.

დიურანის დაავადება — მწვავე ინფექციური (ვირუსული) დაავადება, მიმდინარეობს ორი კვირა, ორი პერიოდით. პირველი პერიოდის ნიშნებია: მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, პირღებინება, ფაღარათი, ნევრალგიები. მეორე პერიოდში: ტემპერატურის ახალი ტალღა, კონიუნქტივიტი, პაპულოზურ-ლაქოვანი გამონაყარი, ლორწოვანი გარსების გაღიზიანება. გამოსავალი კარგი.

დიურან-რეინალსის ფაქტორი — გავრცელების ფაქტორი, სპრიდინფაქტორი, ფერმენტთა კომპლექსი, რომლებიც იწვევს შემაერთებელი ქსო-

ვილის განვლადობის მომატებას და ამით აჩქარებს მათში არსებული ნივთიერებებისა და უჯრედებისა ლიმფური და კაპილარულ ძარღვებში გადასვლას და გაერცელებას. გავრცელების ზოგიერთი ფაქტორი სინთეზირდება პათოლოგიური მიკროორგანიზმებით და ხელს უწყობს მათ გავრცელებას პირველადი კერიდან. იხ. სინონიმი: რეინალსის ფენომენი.

დიურან-ჰოლზინის სინდრომი — ფაღარათი რძის დალევაზე, ლაქტოზურია. მიზეზია ფერმენტ ლაქტოზის დეფიციტი. მძიმე შემთხვევაში ფიზიკური ასთენია, ექსიკოზი.

დიურინგის დაავადება — ჰიპერტროფიული დერმატიტი, პოლიმორფული დერმატიტი, გაურკვეველი ეტიოლოგიის ქრონიკული დერმატოზი. ახასიათებს პოლიმორფული შეტევისებური გამონაყარი ტანისა და კიდურების კანზე, პაპულის ბებერას და ბუშტუკის სახით, რაც იწვევს ქავილს. გამონაყარი თავმოყრილია რკალის, ნახევარრკალის ან გირლიანდის მსგავსად. სინონიმი: ბროკას პოლიმორფული მტკივნეული დერმატიტი.

დიურინგ-ბროკის დაავადება — ორსულთა პერპესი. ჰერპეტიფორმული დერმატიტი. პოლიმორფული დერმატიტი. პრურიგოზული ბუშტუკელა — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დერმატოზი. დამახასიათებელია შეტევისებრი გამონაყარი ტანისა და კიდურების კანზე. პაპულების, ბუშტუკების, ბებერების სახით. ეს გამონაყარი თავმოყრილია, რკალის, ნახევარრკალის ფორმით ან გირლიანდისებურად. იხ. სინონიმები: მილტონის ჰერპესი, დიურინგის დაავადება, ბროკის პოლიმორფული მტკივნეული დერმატიტი.

დიუროზიეს დაავადება — დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (უპირატესად საფრანგეთში) მარცხენა ვენური ხვრელის დავიწროებას, სუფთა მიტრალურ სტენოზს, დიუროზიეს დაავადებას უწოდებენ. ზოგჯერ მას ასევე დიუროზიეს მანკს, ანუ ქალების მანკსაც ეძახიან. შესაძლებელია შერწყმა კლოროზთან, სპლანქნოპტოზთან. მეტწილად აღინიშნება ასთენიური აღნაგობის ქალებში.

დიუროზიეს ორმაგი შუილი — სისხლძარღვოვანი სისტოლური და დიასტოლური შუილების შეთავსება. გამოვლინდება საძილე ან ბარძაყის არტერიაზე სტეტოსკოპის თავის ან ფონენდოსკოპის დაჭერით. ჩნდება აორტის სარქველის უკმარისობის, თირეოტოქსიკოზის, ანემიის და სხვა დროს. სინონიმი: ვინოგრადოვ-დიუროზიეს ორმაგი შუილი (ანუ სიმპტომი).

დიუროზიეს სიმპტომი — სისტოლური წნევის მომატება და დიასტოლურის დაქვეითება (პულსური წნევა, ბუნებრივია, მატულობს). აორტის სარქველის ნაკლოვანების ნიშანი. შეიძლება აღინიშნოს სხვა მდგომარეობების დროსაც: სპორტსმენებში, ანემიისა და თირეოთოქსიკოზის, ბოტალოს ღია სარქველის დროს.

დიუროზიე-ვინოგრადოვის სიმპტომი — იხ. სინონიმი: დიუროზიეს ორმაგი შუილი.

დიუს სიმპტომი — დიაფრაგმის მარჯვენა გუმბათისქვეშა აბსცესის ნიშანი: პერკუტორული მოყრუების არეს კაუდალური გადაადგილება ავადმყოფის მუხლ-იდაყვის მდებარეობაში გადაყვანისას.

დიუფურას ლიმფური ტუბერკულოზი — ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, ბაცილარული ინტოქსიკაცია, ლატენტური ტუბერკულოზური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაში შეცვლილი რეაქტიულობით. ხასიათდება არასპეციფიკურ დარღვევათა შერწყმით (გაღიზიანება — დაღლილობა, თავის ტკივილი და ა. შ.), პოლიადენტით და დადებითი ტუბერკულინის სინჯით, როცა არ არის ამა თუ იმ ორგანოს ლოკალური დაზიანების ნიშნები (მაგალითად, ფილტვების, პლევრის). სინონიმები: ბიურნენის იმპრეგნაცია, ენგელის ოკულტური ტუბერკულოზი.

დიუფუროუს სიმპტომი — სუპინაციის მდგომარეობაში ხელების წინამკლავის დროს პარეზის მხარეზე აღინიშნება სუსტად გამოხატული პრონაცია. გამოვლინდება პემიპარეზის დროს.

დიუშენის დაავადება — ქვემწვავე პროგრესიული პოლიომიელიტი, განპირობებულია ზურგის ტვინის დაზიანებით. პათოლოგიური პროცესი შემდგომში ვრცელდება თავის ტვინის ღეროს მიდამოში. გამოვლინდება ატროფიული დამბლების განვითარებით. სინონიმი: კუსმაულის ქვემწვავე წინა პოლიომიელიტი.

დიუშენის სიმპტომი I — მახვილისებრი მორჩის ზემო არეს ჩავარდნა ჩასუნთქვის დროს, გამოწვეული დიაფრაგმის მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით ან მოძრაობის შეჩერებით. აღინიშნება დიაფრაგმის დამბლის დროს, მასიური პერიკარდიტის ან ორმხრივი პიდროთორაქსის დროს.

დიუშენის სიმპტომი II — სიარულის დროს სხეულის გადახრა დაზიანებული ფეხის მხარეს. თანდაყოლილი ამოვარდნილობის ნიშანი.

დიუშენის ფსევდოჰიპერტროფიული მიოპათია — ფსევდოჰიპერტროფიული მიოპათია, რომელიც ხასიათდება კუნთების დიფუზური ატროფიით, კანქის კუნთების ფსევდოჰიპერტროფიით, იხვისებური ბაჯბაჯით. არაიშვიათად ინტელექტის დაქვეითებით, ენდოკრინული მოშლილობებით (იცენკო-კუშინგის სინდრომი, ადიპოზოგენიტალური დისტროფია). ვითარდება სიცოცხლის პირველ წლებში, უწყვეტად პროგრესირებს და სწრაფად მივყავართ უმოძრაობამდე. გადაცემა მემკვიდრეობითი — რეცესიული ტიპით, შეჯაჭვულია X — ქრომოსომასთან.

დიუშენ-გრიზინგერის სინდრომი — კუნთების პროგრესიული ატროფიის ნაირსახეობა, ფსევდოჰიპერტროფიული ფორმა, როდესაც აღინიშნება ბარძაყისა და წვივის კუნთების ცრუ ჰიპერტროფია.

დიუშენ-ერბის სინდრომი — მხრის წნულის პირველადი ზედა ღეროს დაზიანება C_6 — ფესვების დონეზე. კლინიკურად შესაბამისი ფესვების საინერვაციო არეში მგრძნობელობის გამოვარდნის პარალელურად აღინიშნება რომბისებური, წვეტზედა, წვეტქვედა, მცირე, მრგვალი, დელტისებური, ორთავა კუნთებისა და მხრის სუპინატორის დამბლა. გეხედება შემოსაზღვრული მენინგიტის, ეპიდურიტის, სიმსივნის, ტრავმის, სათანადო მალის ოსტეომიელიტის ან ტუბერკულოზის დროს.

დი ჯორჯის სინდრომი — იხ. დი გეორგის სინდრომი.

დმიტრენკოს ხავერდის ტონი — ხავერდის ტონი. მოყრუებული, ნაზი ხმიანობის პირველი ტონი გულის მწვერვალზე და ბოტკინ-ერბის

წერტილზე (იხ.), რომელსაც თან არ ახლავს შუილები. რევმატიული ენდოკარდიტის ნიშანი მარცხენა წინაგულ-პარკუჭოვანი (მიტრალური) სარქველის დაზიანებით.

დობარნის სიმპტომი — სუბაკრომიული ბურსიტის ნიშანი: თუ ხელი თავისუფლადაა ჩამოშვებული, პალპაციით სახსარი მტკივნეულია, ტკივილი მოიხსნება ხელის აწევისას.

დობროვოლსკაიას სიმპტომი — პულსის სისშირის შემცირება არტერიოვენოზულ ფისტულაზე ან არტერიოვენოზული ანევრიზმის პროქსიმალურად არტერიაზე თითის დაჭერისას.

დობროტვორსკის სიმპტომი — სხივის არტერიაზე მაჯის ასიმეტრიულობის შედარება. ასევე მისი სავსეობისა და დაჭიმულობის დაკვეთება, გამოხატული ექსუდაციური პერიკარდიტის დროს. პირობადებულია ღავიწკვეშა არტერიაზე ზეწოლით.

დოგელის კვანძი — ეგეტატიური ნერვული კვანძი, რომელიც მოთავსებულია პერიკარდის ქვეშ.

დონინის ფიზისებური ქორიოიდიტი — ბადურის კოლოიდური დეგენერაცია. ბადურის მეორადი დეგენერაცია. ოფტალმოლოგიურად ახასიათებს მრავლობითი მრგვალი ფორმის კერები, მოთეთრო ფერისა, რომლებიც განლაგებულია მხედველობის ნერვის ბადურასთან და საფეთქლის ზედა და ქვედა არტერიასთან.

დონიკოვის ფენომენი — თუ თვალდახუჭულ ავადმყოფს დავადებინებთ მტევანს ბარძაყზე ხელისგულით ზევით, ნათხების დაზიანების შემთხვევაში პროცესის ლოკალიზაციის მხარეს იწყება თითების გაშლითი და მოხრითი მოძრაობები და ხელის პრონაცია.

დოლინოვას სიმპტომი — მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის შეგრძნება მკვეთრი გაჯინთვისას ან მუცლის შეწვეისას. ქრონიკული აპენდიციტის ნიშანი.

დოლის ჩხირების სიმპტომი — აღინიშნება სხვადასხვა ქრონიკული პროცესების დროს, ძირითადად გულის, ღვიძლის და ფილტვებში, მაგალითად, გახანგრძლივებული სეპტიკური ენდოკარდიტი, ბრონქოექტაზიური დაავადება, ღვიძლის ციროზი. ადგილი აქვს ხელის თითების ჰიპერტროფიას, ფორმით მსგავსი დოლის საკრავი ჩხირების დაბოლოების. სინონიმები: ბამბერგერ-მარის სინდრომი, ჰიპოკრატეს თითები.

დოლოვიტც-ოლდესის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიათა კომპლექსი ყურის, თვალებისა და კანის უპირატესი დაზიანებით. თანდაყოლილი სიყრუე, შემდგომი ყრუ-მუნჯობით, კანის კეროვანი და თეალის ალბინიზმი. სინონიმი: ვოლფ-დოლოვიტც-ოლდესის სინდრომი.

დონათ-ლანდშტეინერის სინდრომი — პაროქსიზმული სიცივისშიერი ჰემოგლობინურია. სიცივეში ყოფნის შემდეგ ვითარდება ჰემოგლობინურიის პაროქსიზმი. აღინიშნება წელის ტკივილი, პირღებინება, მაღალი სიცხე, სიყვითლე, დიდდება ღვიძლი და ელენთა. დადებითია დონათ-ლანდშტეინერის (იხ.) და ვასერმანის (იხ.) რეაქციები. შეტევის ხანგრძლივობა რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე.

დონელის სიმპტომი — ნიშანია რეტროცეკალური აპენდიციტისა:

ბალპატორული მტკივნეულობა მაკ-ბურნეის (იხ.) წერტილის ირგვლივ, ეავდმყოფის წოლით მდგომარეობაში მარჯვენა ფეხის გაშლისას.

დონოჰიუს სინდრომი — ლეპრეჩაუნიზმი. ქალთა მემკვიდრეობითი დაავადება. ვამოწვეულია ენდოკრინული სისტემის განვითარების დარღვევითა და დასუნქციით. ახასიათებს სახის მცირე ზომები, ჰიპოტროფია, ჰირსუტიზმი, სარძევე ჯირკვლების, კლიტორისა და მცირე სასქესო ბაგეების ჰიპერპლაზია, ღვიძლში გლიკოგენისა და რკინის დაგროვება, კალციოზი თირკმელებში. მემკვიდრეობა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით, შესწავლილი სქესით. სინონიმი: დონოჰიუ-უშიდას სინდრომი.

დონოჰიუ-უშიდას სინდრომი = სინონიმი: დონოჰიუს სინდრომი (იხ.).

დოუანას სინდრომი — ეგზოფტალმის შერწყმა დიპლოპიასთან, ზედა ყბის-ტკივილთან და მგრძნობელობის დარღვევასთან სამწვერა ნერვის I და II ტოტების საინერვაციო ზონაში. აღინიშნება თვალბუდის ძირის მიდამოში პათოლოგიური პროცესების დროს.

დორენდორფის სიმპტომი — აორტის რკალის ანევრიზმის ნიშანი: ცალმხრივად გასადავებული, ხან კი მოპულსირე ლავიწზედა არე.

დოსონის ენცეფალიტი — იხ. დოუსონის დაავადება.

დოუნ-უაზენის სინდრომი — აღინიშნება პირველადი ჰიპერსპლენიზმის დროს. სპლენომეგალია, ლეიკოპენია, ნეიტროფილოპენია, ადვილად დაღლა, გულის ფრიალი, ციება, პირის ღრუს ლორწოვანის დაწყლულება, ძვლის ტვინში მიელოიდური ჰიპერპლაზია შემდგომი ჰიპოპლაზიით.

დოუსონის დაავადება — ქვემწვავე ენცეფალომიელიტი, სუბქრონიკული ენცეფალომიელიტი. ნიშნები: მოტორული დარღვევები, მიოკლონია და ფსიქიკური დარღვევები.

დოპის სინდრომი — სიმეტრიული აკროპიგმენტაცია. აღინიშნება პიგმენტური ლაქები ხელის და ტერფის გულის ზედაპირზე, სხივ-მტევნის სახსრების და მოქვენის მიდამოში, იშვიათად — სხეულზე, ერთდროულად არის სახის ბადისებრი ან კეროვანი დეპიგმენტაცია და ჰორიზონტალიანობა, რასაც რიგ შემთხვევებში თან სდევს გონებრივი ჩამორჩენილობა. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: დოპი-კომაიას სიმეტრიული აკროპიგმენტაცია, მაცუმიტო-ტომას აკროპიგმენტაცია.

დოპი-კომაიას სიმეტრიული აკროპიგმენტაცია — სიმეტრიული აკროპიგმენტაცია, მემკვიდრეობითი აკროპიგმენტაცია. სახეზე არის ბატარა სიმეტრიულად განლაგებული პიგმენტური ჭორფლის და ტუჩების წითელი არშია, ასევეა კიდურთა-დისტალურ ნაწილში. გვხვდება იაპონიაში. სინონიმებია: მაცუმიტი-კომაია-ტომას აკროპიგმენტაცია.

დრაიერ-ველშის აკნე — დისმენორეული სიმეტრიული დერმატიტი. ეტიოლოგია უცნობია. გვხვდება ახალგაზრდა ქალებში. მენსტრუაციის არასწორი ტიპით სქესობრივი მომწიფების პერიოდში. სავარაუდოა ენდოკრინული და ნეიროტროფიკული წარმოშობა. მიმდინარეობა მწვავეა. აღინიშნება გამონაყარი სიმეტრიულად სახესა და ხელებზე და ვითარდება სულ რამდენიმე საათში. ერითემატოზულ-პროლიფერაციულ

ცელილებებს ემატება ეპიდერმისის ნეკროზი. რამდენიმე დღეში ვითარდება შეხორცება, რის შემდეგ ჩნდება პიგმენტაცია. სინონიმები: ბერიე-რენოს განგრენოზული ურთიკარია, ვეიდენ-ფელდის ისტერიული პემფიგუსი, მატცენაუერ-პოლანდის სინდრომი, როგის პაპელოზურ-ნეკროზული მორეციდივე ურთიკარია.

დრამონდის სიმპტომი — აორტის გულმკერდის ნაწილის ანევრიზმის ნიშანი გულის სისტოლის დროს ნესტოებიდან აღინიშნება ჩამობერვა გულის სისტოლის დროს ანევრიზმის მექანიკური ზეწოლის ნიადაგზე (ფილტვებიდან ჰაერის გამოდევნის შედეგად).

დრახტერის სიმპტომი — მწოლიარე ავადმყოფს მუშტით ურტყამთ ჭუსლზე — ტკივილი აღინიშნება მუცელში. პერიტონიტის (უპირატესად მწვავეს) ნიშანია.

დრეიპერის სინდრომი — პოლიომიელიტი. ზურგის ტვინის წინა რქების მწვავე ანთება. იწვევს ვირუსი. გამოვლინდება ეპიდემიურად. დამბლების წინა პერიოდი გრძელდება 1—8 დღე ცხელებით. ადრეული ნევროლოგიური სიმპტომებია ტკივილი და მენინგიალური სინდრომი. დაავადება მიმდინარეობს დიდი კლინიკური პოლიმორფიზმით, სინონიმები: ჰაინე-მედინას დაავადება, ვესტის დამბლა.

დრესბახის ანომალია — ოვალოციტოზი. მემკვიდრეობითი კონსტიტუციური ანომალია. არ ახასიათებს არავითარი კლინიკური ნიშანი. გამოვლინდება შემთხვევით. ოვალოციტების რაოდენობა პერიფერიულ სისხლში ადის 90%-მდე. ძვლის ტვინი — ნორმულ მდგომარეობაშია.

დრესლერის დაავადება — პაროქსიზმული ჰემოგლობინურია. აქვს შეტევითი ხასიათი, ვითარდება გაცივების შემდეგ, განსაკუთრებით ფიზიკური გადაძაბვისას. დამახასიათებელია შემცივნება (ცრება-ცხელება), თავისა და წელის ტკივილი, სიყვითლე, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ჰიპერბილირუბინემია, ეოზინოფილია და ლიმფოციტოზი (შეტევის შემდეგ). შეტევის ხანგრძლივობა 12—14 საათი. სინონიმი: ჰარლეის დაავადება.

დრესლერის სიმპტომი — აორტის სარქველია ხაკლოვაიების დონის მწვერვალზე გამოხატული გაფანტული სპეციფიკური ერთდროულად სისტოლის ბოლოს აღინიშნება გულ-მკერდის კედლის გამოდრეკა მეორე და მესამე ნეკნთაშუა არეებში. გამოწვეულია აორტის გაშიშვა-გაფართოებით. ერთდროულად ადგილი აქვს გულმკერდის ტალღისებურ მოძრაობას.

დრესლერის სინდრომი — პოსტინფარქტული სინდრომი. პერიკარდიტის შერწყმა პლევრიტთან, უფრო იშვიათად პნევმონიასა და ეოზინოფილიასთან. ვითარდება მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიდან მესამე-მეოთხე კვირას (შეიძლება ერთი წლის მანძილზე). გამოწვეულია მიოკარდიუმის დესტრუქციულად შეცვლილი ცილებისადმი ორგანიზმის სენსიბილიზაციით.

დსშ-ს სინდრომი — დისემინირებული სისხლძარღვთა შედედების სინდრომი. თრომბოჰემორაგიული სინდრომი. ხასიათდება მიკროცირკულატორულ ქსელში თრომბოზის და სისხლჩაქცევათა ან სისხლდენის შერწყმით, რაც ვითარდება სისხლის შედედების ფაქტორთა სრული

მოხმარების შედეგად. მიმდინარეობს როგორც მწვავედ, ისე ქვემწვავედ ან ქრონიკულად, შეიძლება იყოს ლოკალიზებული ან დისემინირებული, კომპენსირებული და დეკომპენსირებული. პათოგენეზური საფუძველია თრომბოპლასტური სუბსტანციების დიდი ოდენობით გამოთავისუფლება და სისხლმიმოქცევაში გადასვლა: სისხლში ამ დროს ჩნდება ქსოვილოვანი თრომბოპლასტინი. გვხვდება ვრცელი ქირურგიული ჩარევის შემდეგ, განსაკუთრებით თრომბოპლასტინით მდიდარ ორგანოებზე (საშვილოსნო, ფილტვები, კუჭუკანა და წინამდებარე ჯირკვალი) მექანიკური ტრამვის, სიდამწვრის, ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომის შედეგად.

დუანის სინდრომი — თვალის გუგის თანდაყოლილი რეტრაქციის სინდრომი. უფრო ხშირად თვალის გუგის კუნთების ცალმხრივი დამბლა, ვლინდება მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით და თვალის უკან გაწევით (რეტრაქციით). ხშირად შეუღლებულია განვითარების სხვა ანომალიებთან. იხ. სინონიმი: შტილინგ-ტიურკ-დუანის სინდრომი.

დუბინის ელექტრული, ანუ ელვისებური ჭორეა — ხასიათდება რიტმული კრუნჩხვებით კუნთთა მრავალ ჯგუფში, 30—40 ჯერადი შეკუმშვით წუთში. ზოგჯერ ადგილი აქვს კრუნჩხვათა გენერალიზაციას და ვითარდება დიდი ეპილეფსიური გულყრა. დაავადება იწყება მწვავედ და გარდა ზემოაღნიშნული მოვლენებისა, ახასიათებს რბილი დამბლა. მიაჩნიათ ეპიდემიური ენცეფალიტის ერთ-ერთ ფორმად.

დუბინ-ჯონსონის სინდრომი, ანუ სიყვითლე — სინონიმები: დაბინ-ჯონსონის სინდრომი, დაბინ-შპრინცის სინდრომი, შპრინც-ნელსონის სინდრომი (იხ.).

დუბრეი-პეტჩინსონის სინდრომი — დიუბრეს ლიმფური ქავილი, არასპეციფიკური გამონაყარი გამოწვეული ინტოქსიკაციით. გამოიხატება პრურიგოზული პაპულებით, წერტილოვანი ან ერითემატოზული გამონაყარის სახით. ერთდროულად აღინიშნება ძლიერი ქავილი. აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზისა და ლეიკემიების დროს. იგივეა დიუბრეის სინდრომი.

დუბრეულის სიმპტომოკომპლექსი — გამონაყარი კანზე პაპულების, ჰინჭრის ცხელების ან ერითემის სახით, ძლიერი ქავილით ლიმფოგრანულომატოზის და ლეიკემიების დროს.

დუგასის სიმპტომი — დაზიანებული ხელისგულის ჯანმრთელ მხარეზე დადების შეუძლებლობა ისე, რომ იდაყვი ეხებოდეს გულმკერდს. მხარის სახსარში დაზიანების ნიშანი.

დუგლასის ყვირილი — ვაგალურ გასინჯვაზე ტკივილი უკანა თაღის მიდამოში. საშვილოსნოსგარე ორსულობის ნიშანი.

დუგლას-პოლდენის მეთოდი — ორგანიზმის ენერგო ხარჯვის შედარებითი განსაზღვრის მეთოდი, რომელიც დამყარებულია ფილტვების ვენტილაციის გაზომვაზე ჩასუნთქულ და ამოსუნთქულ ჰაერში ჟანგბადის და ნახშირორჟანგის შემცველობის დადგენაზე.

დუენის სინდრომი — თვალის გუგის თანდაყოლილი რეტრაქციის სინდრომი, უფრო ხშირად თვალის გუგის კუნთების ცალმხრივი დამბლა, ვლინდება მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით და თვალის უკან გაწევით

(რეტრაქციით). ხშირად შერწყმულია განვითარების სხვა ანომალიებთან; სინონიმი: შტილინგ-ტიურკ-დუენის სინდრომი.

დუვერნ-კუდერ-კოლომბოს სინდრომი — ერუპტიული კოლაგენოზი. კანის სიღრმეში შემაერთებელ ქსოვილოვანი თანდაყოლილი ხალი ბრტყელი გაფანტული კვანძების სახით, თხილის ოდენობამდე, სხვადასხვა რაოდენობით. ჰისტოლოგიურად — კოლაგენურ ბოჭკოების კეროვანი ჰიპერტროფია, შეშუპება და ჰემოგენიზაცია და ასევე ელასტიკური ბოჭკოების შემცირება.

დუკას კაპეტანაკისის სინდრომი — ხასიათდება კანზე პურპურის და ეკზემისმაგვარი ცელილებათა ერთდროული გაჩენით, რასაც შემდგომ თან ერთვის ლიქენიზაცია ან ჰიპერპიგმენტაცია. აღინიშნება უმნიშვნელო ქავილი. უპირატესი ლოკალიზაციის ადგილია კიდურები, მაგრამ არც თუ იშვიათად შეიძლება გაერცელდეს მთელს სხეულზე. ახასიათებს გამწვავებათა სეზონურობა გაზაფხულსა და ზაფხულში. უფრო ხშირად ავადდებიან მამაკაცები. სინონიმები: კაზალა-მოსტოს სინდრომი, ლევენტალის პურპურა.

დუკ-იანგის შეძენილი ჰემოლიზური ანემია — დამახასიათებელია ღვიძლისა და ელენთის ზომიერი გადიდება, მაკროციტული ტიპის ჰიპერქრომული ანემია, რეტიკულოციტოზი. ავადმყოფის ორგანიზმში გადასხმული დონორის ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებულია, მაშინ როდესაც ავადმყოფის ერითროციტები ჯანმრთელი რეციპიენტის ორგანიზმში ნორმალურად ცოცხლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ანემია ატარებს ჰიპერქრომულ ხასიათს, არავითარი საერთო არა აქვს ადისონ-ბირნერის დაავადებასთან. პროგნოზი კეთილსაიმედოა, თუმცა აღწერილია ლეტალური შემთხვევებიც.

დუმ-დუმ ცხელება — **კალა-აზარი**, ლეიშმანიოზის ნაირსახეობა, ენდემიური დაავადება ტროპიკული ნესტიანი ზონისათვის, ძირითადად აღმოსაველეთ ინდოეთსა და ბანგლადეშისათვის. განსხვავდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის დაზიანების და აქედან გამომდინარე კანის ძლიერი სიმსუქნით, სინონიმები: შავი დაავადება. ინდური ვისცერიული ლეიშმანიოზი, ასამური ცხელება.

დუნდულოს სიმპტომი — დუნდულოს ნაკეცების შემცირება ან სრული გადასწორება გავა-წელის ქრონიკული რადიკულიტის დროს. გამოწვეულია დუნდულა კუნთების ჰიპოტონიით. სინონიმი: ბონეს სიმპტომი II.

დუნკან-სინდრომი — სქესთან დაკავშირებული რეცესიული სინდრომი, რომლის დროსაც აღინიშნება იმუნოლოგიური უკმარისობა, ვირუსული ინფექციური გართულებების ხშირი განვითარება. მაგალითად, ფილატოვ-პფეიფერის დაავადება (იხ.). შეიძლება მოგვცეს ლეტალური გამოსავალი.

დუოდენობილიარული სინდრომი — ვითარდება კუჭის რეზექციის მერმე (ბილროთ მეორეთი). ახასიათებს მომტანი მარყუჟის შიგთავსის ევაკუაციის დარღვევა. მიზეზია მარყუჟის გადაგრეხა, გრძელი მარყუჟი, შეხორცებითი პროცესი, სტენოზი. ძირითადი ნიშანია შებერვა. აღინიშ-

ნება ტკივილი ეპიგასტრიუმში და ღებინება ნაღველით. იხ. სინონიმი: მომტანი მარყუჟის სინდრომი, „ნაღველით ღებინების“ სინდრომი.

დეპრეს სინდრომი — მენინგიზმი. ტეინისა და ზურგტვინის გარსების გაღიზიანება, გამოწვეული სპვადასხვა გამღიზიანებლებით.

დეტესკუ-გრივუს სინდრომი — მრავლობით თანდაყოლილ ანომალიათა შერწყმა, მიკროსომია, მიკროგენია (ჩიტის სახე), ზემო ყბის ჰიპოპლაზია, მაგარი სასის გაპობა, პატარა პირის ღრუ, ენის მოძრაობის შეზღუდვა, რინოლალია, ანტიმონგოლოიდური სახე, კბილის ემალის დისპლაზია, სინ-კამპტო-კლინო და ბრაქიდაქტილია ან პოლიდაქტილია. სინონიმი: დეტესკუ-გრივუ-ფლეშერ-პეტერსის სინდრომი.

დეტესკუ-გრივუ-ფლეიშერი-პეტერსის სინდრომი — სინონიმი: დეტესკუ-გრივეს სინდრომი. (იხ.).

დეტონის დაავადება — აფრიკული ტრიპანოსომიაზი. აფრიკული ძილის ავადმყოფობა. გამომწვევია ტრიპანოსომის ორი სახეობა: გამბიური და როდეზიული, გადამტანია ბუზი. 14 დღიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ ვითარდება ცხელება, სხვადასხვა გამონაყარი, ლიმფადენიტი, დაუძლურება, ნევროლოგიური და ფსიქიკური სიმპტომები, კომა. გამოსავალი ლეტალური.

ეატონ-ლამბერტის სინდრომი — აღინიშნება ნელა მაპროგრესირებადი წყრფლუჯრედოვანი ბრონქოკარცინომის დროს. ელინდება კუნთების სისუსტით, განსაკუთრებით მენჯის და ბარძაყის მიდამოში, ადვილად დაღლით, პირის სიმშრალით, პარესთეზიებით, ღრმა მყესთა რეფლექსების მოშლით, ატაქსიით, ნისტაგმით, დიზართრიით, ინტენციური კანკალით, თავბრუთი. სინონიმი: დენი-ბრაუნის IV სინდრომი.

ებერლაინ-ბონჯოვანის სინდრომი — მემკვიდრეობით ენზიმოპათიის ნაირსახეობა. გამოიხატება 11 — ჰიდროქსილაზის ბლოკადაში, რაც სტეროიდების მეტაბოლიზმის დარღვევის საფუძველი ხდება, აქედან კი 11— დეზოქსიკორტიკოსტერონის დაგროვებისა და ამის შედეგად ნატრიუმის ორგანიზმში შეკავებისა. კლინიკურად აღინიშნება ადრენოგენიტალური სინდრომის ნიშნები და არტერიული ჰიპერტენზია.

ებრეჰემსის სიმპტომი I — ლავიწის მხრის ამაღლებაზე მოისმინება შესუსტებული სუნთქვა, კრეპიტაცია ან წვრილბუშტუკოვანი ხიხინი. სტეტოსკოპი (უმჯობესია ხის) უნდა იყოს მკიდროდ მიდებული ძვალზე. შესაძლო ნიშანია ფილტვის მწვერვალის ტუბერკულოზის ადრეული სტადიისა.

ებრეჰემსის სიმპტომი II — ტკივილი ჰიპისა და IX ნეკნის ხრტილს შორის გაელებული ხაზის შუაში ზეწოლისას. აღინიშნება შარდ-კენჭოვანი დაავადების დროს.

ებშტეინის დაავადება — გულის თანდაყოლილი მანკი: სამკარიანი სარქველის უკმარისობა და წინაგულთაშუა ძგიდის შეუხორცებლობა. მიეკუთვნება ლურჯ მანკთა რიცხვს.

ებშტეინის ნიშანი — ექსუდაციური პერიკარდიტის შემთხვევაში გულის მარჯვენა საზღვარსა და ღვიძლს ზედა კიდეს შორის მახვილი კუთხე ამოივსება და ბლაგვი გახდება.

ედელმანის დაავადება — ინფექციური წარმოშობის ჰიპოქრომული ქრონიკული ანემია პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით, ლეიკოპენიით, მონოციტოზით და გამოხატული ეოზინოფილიით, დამახასიათებელია ცხელება.

ედერის მეტჰემოგლობინემია — მესამე ტიპის მემკვიდრეობითი მეტჰემოგლობინემია. მიეკუთვნება მემკვიდრეობით მეტჰემოგლობინემიათა რიცხვს. დამახასიათებელია ერითროციტებში M — ჰემოგლობინის გაქრობა და ლიპოამიდდეჰიდროგენაზის აქტივობის დაქვეითება. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მეტჰემოგლობინის ჰემოგლობინში აღდგენის პროცესს. კლინიკურად ვლინდება სიცოცხლის პირველსავე წელს მუქი ყავისფერი სისხლით.

ედვარდსის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების ტეტრადა: ჰიპოგონადიზმი, სიყრუე, გონებრივი ჩამორჩენილობა და გლუკოზის მიმართ ინტოლერანტობა. სინონიმი: ედვარდს-სეთი-სკომა-ბანერმან-ფრომანის სინდრომი.

ედის სინდრომი — გუგების რეფლექსური უმოძრაობა მათი მიოტიკური გაფართოებით შორს მზერის დროს. დაკავშირებულია ვეგეტატიური ნერვულ სისტემის ტონუსთან.

ედრიჯ-ბერლინ-მაკ კუსიკის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი: სმენის ზომიერად დაქვეითება, რაც დაკავშირებულია შიდა ყურის ანომალიებთან, ახლომხედველობა, მეტყველების განვითარების ჩამორჩენილობა ნორმალური ფსიქომოტორული განვითარების ფონზე, აუტიზმი, მოგვიანებით ვითარდება სრული ამავროზი და სიყრუე. სინონიმი: მონეის სინდრომი.

ეეც-სინდრომი — ხელებისა და ფეხების ექტროდაქტილიის (ერთი ან რამოდენიმე თითის თანდაყოლილი უქონლობა), კერატიტის, ანოდონტიის და ტუჩის და სასის გაპობის თანდაყოლილი შერწყმა. სახელწოდება წარმოადგენს ინგლისურ აბრევიატურას სიტყვებიდან გაპობილი ტუჩი და სასა. გადაეცემა აუტოსომურ-რეცესიული გზით.

ევალდ-ბოასის საუზმე-I — საცდელი საუზმე. შედგება 35 გ გამხმარი თეთრი პურისა და 400 მლ თბილი წყლისაგან (თხელი ჩაი). გამოიყენება კუჭის სეკრეციის გამოკვლევის დროს მისი სტიმულაციისათვის. სინონიმი: ბოას-ევალდის საუზმე-I.

ევალდ-ბოასის საუზმე II — საცდელი საუზმე შედგება 50 გ გამხმარი თეთრი პურისა და 200 მლ თბილი წყლისაგან (თხელი ჩაი). გამოიყენება კუჭის სეკრეციის გამოკვლევის დროს, მისი სტიმულაციისათვის. სინონიმი: ბოას — ევალდის საუზმე — II.

ევანსის სინდრომი I — სინონიმები: ფიშერ-ევანსის სინდრომი, ევანს-დუანის სინდრომი (იხ.).

ევანსის სინდრომი II — ხასიათდება სიმფატიკური ნერვის გაღიზიანებასთან დაკავშირებული სიმპტომებით: კიდურის კანის ჰიპერემია ან სიფერმკრთალე, ლოკალური გაძლიერებული ოფლიანობა, შეშუპება და ტკივილი. აღინიშნება კიდურის გადატანილი ტრავმის შემდეგ.

ევანს-დუანის სინდრომი — აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიის შერ-

წყება თრომბოციტოპენიასთან. შეიძლება განვითარდეს სპლენექტომიის შემდეგ ვერლჰოფის დაავადების (იხ.) გამო. ძლიერი თრომბოციტოპენიის დროსაც იშვიათად ვხვდებით ჰემორაგიულ მოვლენებს. პერიფერიულ სისხლში არის ლეიკოთრომბოციტოპენია (ბიციტოპენია). თრომბოციტოპენია ამძიმებს ჰემოლიზური ანემიის მიმდინარეობას, ამიტომ ლეტალობა უფრო ხშირია. რადიკალური მკურნალობის საშუალება არ არსებობს. პროგნოზი მძიმე. სინონიმები: ევანსის სინდრომი I, ფიშერ ევანსის სინდრომი.

ევანს-ლოიდ-თომასის სინდრომი — სტენოკარდიისმაგვარი მოვლენები შედეგად გულის ანომალიური მდგომარეობისა („დაკიდებული" გული), რაც კარგად ვლინდება რენტგენოლოგიურად გვერდით პროექციებში: ღრმა ჩასუნთქვისას გულის მწვერვალი მკვეთრად შორდება დიაფრაგმას. ადგილი აქვს გულის ფრიალს, ცვალებადი ხასიათის ტკივილს გულის მიდამოში. შესაძლოა აქციდენტალური შუილის არსებობა. ელექტროკარდიოგრამაზე შეინიშნება უარყოფითი T — კბილი და ST — სეგმენტის ცთომა ქვემოთ II და III სტანდარტულ განხრებში.

ევარტის სიმპტომი I — ექსუდაციური პერიკარდიტის დროს შეიძლება მოხდეს მარცხენა ფილტვის წილის ატელექტაზი. ამის გამო მარცხენა მხარეს ხერხემალთან გულმკერდის II—V მალების დონეზე აღინიშნება მოყურუება ტიმპანიური ელფერი, რომელიც შეიძლება გადავიდეს სრულ ყრუ ხმიანობაში. იგივეა იუერტის სიმპტომი, ანუ იუარტის სიმპტომი I.

ევარტის სიმპტომი II — მარცხნივ სტერნუმიდან პირველი ნეკნის გამოდრეკა, ექსუდაციური პერიკარდიტის არამუდმივი ნიშანია. იგივეა იუერტის სიმპტომი II, ანუ იუარტის სიმპტომი — II.

ევინგის სიმსივნე, ანუ სარკომა — რეტიკულოსარკომის ნაირსახეობა. გვხვდება ორივე სქესში 30 წლის ასაკამდე. კლინიკურად მიმდინარეობა ჰგავს ქრონიკულ ოსტეომიელიტს. არჩევენ ორ ფორმას: სოლიტურს, როშელსაც ახასიათებს ხანგრძლივი ტალღისებური მემდინარეობა და ფულმინატიურს — ადრეული მეტასტაზებით ძვლებში, რეგიონულ ლიმფურ კვანძებსა და ვისცერულ ორგანოებში (განსაკუთრებით ფილტვებში). დიდდება პერიფერიული ლიმფური კვანძები, ღვიძლი და ელენთა. სიმსივნე შედგება ერთმანეთის მსგავსი ერთნაირი ზომის მრგვალი ან ოდნავ ოვალური უჯრედებისაგან. თითქმის მთელი უჯრედი უკავია ბირთვს.

ევროპული ბლასტომიკოზი — კრიპტოკოკოზი, — საჭარომიკოზი, ტორულოზი — ქვემოწვავე ან ქრონიკული ღრმა მიკროზი, გამოწვეული კრიპტოკოკებით. ახასიათებს ნერვული სისტემის დაზიანება. უფრო ხშირად ზიანდება ფილტვები, კანი, ლორწოვანი გარსები. სინონიმი: ბუსე-ბუშკეს ბლასტომიკოზი.

ეიდის სინდრომი — კონსტიტუციური არეფლექსია, პუპილოტონური ცრუტაბეს — სიმპტომოკომპლექსი, შეხამებული, ჩვეულებრივ, გუგის რეაქციის ცალმხრივი შენელებით კონვერგენციაზე ანიზოკორიასთან და გუგის ზომის ცვლილებასთან დღის მანძილზე. ქვედა კიდურებზე მყესთა რეფლექსები არ აღინიშნება ან შესუსტებულია (ხშირად ზედა კიდურებზე). გვხვდება უმთავრესად ქალებში. სინონიმები: ვეილ-რეა-ეიდის სინდრომი, არგაილ-რობერტსონის სინდრომი, ეიდი-ჰოლმსის სინდრომი.

ეიდი-ჰოლმსის სინდრომი — სინონიმები: ეიდის სინდრომი (იხ.), ვეილ-რეა-ეიდის სინდრომი, არგაილ-რობერტსონის ცრუ სინდრომი.

ეიზენლორის სინდრომი — დეზართრიის, ტუჩების, ენისა და რბილი სასის დამბლის შერწყმა, ასევე კიდურთა სისუსტე. წარმოადგენს მუცლის ტიფის გართულებას.

ეიზენმენგერის სინდრომი, ანუ კომპლექსი — გულის თანდაყოლილი მანკი. პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის შეუღლება ფილტვის არტერიის გაფართოებასთან და მისი სარქველის უკმარისობასთან, ასევე არაიშვიათად აორტის დექსტროპოზიციასთან, რომელიც მომდინარეობს ორივე პარკუჭიდან, უშუალოდ ძგიდის დეფექტიდან.

ეილენბურგის დაავადება, ანუ **პარამიოტონია** — თანდაყოლილი პარამიოტონია, თანდაყოლილი დაავადება. ახასიათებს მიოტონიის სუსტად გამოხატული ნიშნები, რაც ძლიერდება სიცივისას. მემკვიდრეობის ტიპი-აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: ლევანდოვსკის დამბლა.

ეილერ-ლილიეშტრანდის რეფლექსი — თან ახლავს ალვეოლების ვენტილაციის შემცირებას და, აქედან გამომდინარე, სისხლში პარციალური წნევის დაქვეითებას, რაც იწვევს ფილტვების არტერიების რეფლექსურ სპაზმას და იქ წნევის მომატებას.

ეინთჰოვენის წესი — კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ელექტროკარდიოგრამის კბილების ამპლიტუდა, რეგისტრირებული სამიდან ერთ-ერთ სტანდარტულ განხრაში, ტოლია ამპლიტუდების ალგებრული ჯამისა, რეგისტრირებულ ორ სხვა სტანდარტულ განხრაში. საფუძვლად უდევს გულის ელექტრული ღერძის განსაზღვრას.

ეინჰორნის დაავადება — ეროზიული გასტრიტი. წყლულოვანი გასტრიტი. ქრონიკული გასტრიტის ფორმაა, ახასიათებს კუჭის ლორწოვანი გარსის ეროზიები და ვლინდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის სიმპტომებით.

ეირსის სინათლის ჰეილიტი — სინათლის ჰეილიტი. გამოწვეული მზის მომატებული რადიაციის ზემოქმედებით. გამოვლინდება ჭავილით, წვის შეგრძნებით, შეგუბებითი ჰიპერმიით, შეშუპებით და აქერცვლით ქეილიტისათვის დამახასიათებელ ადგილებში (ტუჩების კანზე, ლორწოვანაზე და წითელ არშიაზე).

ეკარდის სინდრომი — კორძიანი სხეულის აგენეზიის ქორიორეთინულ ანომალიებთან მემკვიდრეობითი შერწყმა. აღინიშნება გონებრივი ჩამორჩენილობა, ტვინის ჰეტეროტოპია, ცვლილებები ეკგ-ზე, მოხრითი სპაზმი, ქორიორეთინოპათია, ხერხემლის ანომალიები. გადაიცემა დომინანტური, X — ქრომოსომასთან შებმული გზით და ვლინდება ადრეულ ასაკში მხოლოდ გოგონებს შორის.

ეკბომის მანია — კანში პარაზიტების არსებობის დერმატოზული მანია — ავადმყოფს ეჩვენება, რომ კანზე, ან მეს შიგნით ჰყავს მწერები, რომლებიც იქ მოძრაობენ და მრავლდებიან. სინონიმი: ბერეს-კონრადის სინდრომი.

ეკბომის სინდრომი — წვივის ასთენია. სისხლძარღვოვან სიმპტომთა კომპლექსი. წარმოიშობა დიეტური დარღვევების, ავიტამინოზისა და სხვა-

თა შედეგად. ესიამოვნო მორეცედიე შეტევითი პარესთეზიები ან ტკივილი ფეხებში („შეპაწუხებელი ფეხები"). ჩვეულებრივ ვითარდება ღამით და შეიძლება გაგრძელდეს საათების მანძილზე. სინონიმი: ვიტმაკ-ეკბომის სინდრომი.

ეკის ფისტულა — ცხოველებზე ექსპერიმენტის დროს ღვიძლის ფუნქციის გამოკვლევის მეთოდი. მდგომარეობს შემდეგში: ქვედა ღრუ ვენასა და კარის ვენას შორის დაიდება ანასტომოზი, ერთდროულად იკვანძება კარის ვენა ამ ანასტომოზს ზემოთ. ამის შედეგად სისხლი შედის ქვედა ღრუ ვენაში ისე, რომ ასცდება ღვიძლს.

ეკლინეს დაავადება — ახალშობილთა კეთილთვისებიანი ანემია. ახასიათებს ჰეპატოსპლენომეგალია და სიყვითლე. ზოგჯერ პერიფერიული სისხლში ჩნდება ერითრობლასტების მცირე რაოდენობა.

ეკონომოს დაავადება — ლეთარგიული ენცეფალიტი, ეპიდემიური ენცეფალიტი. იწვევს ფილტრში გამავალი ნეიროტროპული ვირუსი. დაავადების ხასიათი ეპიდემიურია. არის ცენტრალური ნერვული სისტემის რუხი ნივთიერების ანთება. ძირითადი ცვლილებებია შუა ტვინში (ანთება). კლინიკურად განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ პერიოდებს. მწვავე პერიოდში განარჩევენ: ლეთარგიულ ფორმას თვალის ნერვების დამბლით, ჰიპერკინეტურს და ამიოსტატიკურ აკინეტიკურ ფორმას. დაავადების ქრონიკული მიმდინარეობისას განარჩევენ: პარკინსონიზმს და ფსიქიკურ დარღვევებს. ბავშვებსა და მოზრდილებში სახეზეა ნევროლოგიური სიმპტომები, ნარკოლეფსია, უნებლიე მოძრაობები, მიასთენია პარკინსონიზმის გარეშე. სინონიმი: კრიუშეს დაავადება.

ეკონომოს ტრიადა — ცხელების, პათოლოგიური ძილიანობის და თვალის მოძრაობის დარღვევების შერწყმა, აღინიშნება ეკონომოს ეპიდემიური ლეთარგიული დაავადების (იხ.) მწვავე პერიოდში.

ეკ-პავლოვის ფისტულა — ეკის ფისტულის (იხ.) მოდიფიკაცია, რომლის დროსაც კარის ვენის მაგივრად იკვანძება ქვედა ღრუ ვენა ანასტომოზის თავზე. ამის შედეგად მატულობს სისხლის დენა ღვიძლში.

ელდრიჯ-ბესლინ-მაკ კუსიკის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი: ზომიერად პროგრესირებადი სმენის დაქვეითება, დაკავშირებული შიდა ყურის ანომალიებთან, გამოხატული ახლომხედველობა, მეტყველების განვითარების ჩამორჩენა ნორმალური ფსიქომოტორულ განვითარების ფონზე, აუტიზმი. მოგვიანებით ვითარდება სრული ამავროზი და სიყრუე. სინონიმია: მონეის სინდრომი.

ელენბერგის სინდრომი — ეწოდება დიაბეტონეიროპათიულ კახექსიას, დამახასიათებელია დიაბეტური პერიფერიული პოლინეიროპათია და ავადმყოფის სიგამხდრე, დიაბეტის კომპენსირებული მიმდინარეობით დიეტოთერაპიის ფონზე.

ელენთის ფლექსურის სინდრომი — შეტევის მსგავსი აბდომინური სიმპტომოკომპლექსი, გამოწვეული მსხვილი ნაწლავის ელენთის ნაკეცში აირების ან განავლოვანი მასების შეფერხებით. წოშნები: მუცლის მარცხენა კვადრატში სისავსისა და ზეწოლის შეგრძნება. ზეწოლის შეგრძნება და ტკივილი გულის არეში, გულის ფრიალი, ქოშინი, შიშის მაგვარი განცდა.

ბი, ცალმხრივ, ან ორმხრივი ტკივილი მხარშ, ირადიაცია თითებში, ტკივილი ბეჭებს შუა. სინონიმი: პაირის დაავადება, ანუ სინდრომი.

ელერის სიმპტომი — ტერფზე სიფერმკრთალე და სიცივის შეგრძნება. აღინიშნება, მაგალითად, ენდარდერიიტისა ან ქვედა კიდურთა ათეროსკლეროზის დროს.

ელერს-დანლოსის სინდრომი — ელასტიკური ფიბროდისპლაზია, თანდაყოლილი მეზოდერმული დისტროფია. შემაერთებელი ქსოვილის მეკავშირეობითი პათოლოგია. არასრულყოფილი დერმატოგლიფები. ნიშნები: სახსართა ჰიპერმოძრაობა, ხშირი ამოვარდნილობა, კანის ელასტიკურობის მომატება, კანი გათხელებულია, მომატებულია მისი გაჭიმვის უნარი, „რეზინის“ კანი, „რეზინისებრი ადამიანი“, სისხლძარღვთა და კანის მსხვრევადობა მომატებულია, კუნთები ჰიპოტონიურია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ჩერნოგუბოვის სენდრომი, ლეგერის მეზენქიმატოზი, რუსაკოვის არასრულყოფილი დერმოგლიფები.

ელინეკის სიმპტომი I — ავადმყოფს არ შესწევს უნარი, გააკონტროლოს შესმული სპირტიანი სასმელის რაოდენობა ალკოჰოლის პირველი ულეფის მიღების შემდეგ. ამისი მიზეზია მისდამი მიდრეკილების კიდევ უფრო გამძაფრება. ქრონიკული ალკოჰოლიზმის საწყისი სტადიის ერთერთი ნიშანი.

ელინეკის სიმპტომი II — ჭუთუთოების კანის პიგმენტაცია. გვხვდება შედარებით იშვიათად, უფრო ხშირად თერეოთოქსიკოზის დროს ახალგაზრდებში.

ელიოტის სიმპტომი — მეორეული და მესამეული ათაშანგის არააქტიური სტადიის ნიშანი: კანის დაზიანებათა რკალის გამკვრივება.

ელის-დამუაზოს ხაზი — პლევრალურ ღრუში ექსუდატის პერკუტორულად გამოვლინებული ზედა საზღვარი, რომელიც გადის ხერხემლიდან ლატერალურად და ზემოთ უკანა აქსილარულ ხაზამდე, შემდეგ ქვემოთ და წინ ლავიწუშა ხაზამდე. სინონიმები: დამუაზოს ხაზი, ელის-დამუაზო-სოკოლოვის ხაზი, დამუაზოს სიმპტომი.

ელის-დამუაზო-სოკოლოვის ხაზი — სინონიმები: დამუაზოს ხაზი, ელის-დამუაზოს ხაზი, დამუაზოს სიმპტომი. (იხ.).

ელის-ვან კრეველდის სინდრომი — ქონდროეკტოდერმული დისპლაზია, მოშვებული დუნე კანის სინდრომი. ექტოდერმული ქონდროდისპლაზია — განვითარების ანომალია. ხასიათდება სხეულის დისპროპორციით, კიდურთა დამოკლებით წინამხარისა და წვივის ხარჯზე, პოლიდაქტილიით და სინდაქტილიით, ფრჩხილების ჰიპოპლაზიით, მრავლობითი ეგზოსტოზებით, კბილების განვითარების ანომალიით, მათ სრულ არარსებობამდე, ინტელექტის დაქვეითებით და ინფანტილიზმით.

ელის-შელდონის სინდრომი — გარგოილიზმი (საზიზღარი შესახედაობა), ლიპოქონდროოსტეოდისტროფია. თანდაყოლილი დაავადება. ხასიათდება ორგანოების ლიპოიდური ინფილტრაციით (უხშირესად ღვიძლის და ელენთის), მრავლობითი დიზოსტოზებით, ოსტეოქონდროდისტროფიით, ფსიქიკური განუვითარებლობით, ტანმორჩილობით. ვლინდება სიცოცხლის პირველ თვეებში. დამახასიათებელია აგრეთვე, ჭუთუთოების ფტოზი, ეგ-

ზოფთალმი, ეპიკანტუსი, გლაუკომა, მხედველობის ნერვის დერილის ატროფია და შეშუპება, ბადურის ჩამოშლა, თანდაყოლილი კატარაქტა. ავადმყოფები ცოცხლობენ არაუმეტეს 20 წლისა. სიკვდილი ვითარდება გულსისხლძარღვთა და სასუნთქ ორგანოთა უკმარისობის შედეგად.. სინონიმები: ჰურლერის დაავადება, ჰუნტერეს სინდრომი, ჰუნტერ-ჰურლერის სინდრომი, ფაუნდლერ-ჰურლერის დაავადება.

ელპენორ-დე ლოგრეს სიმპტომი — არასრული გამოღვიძების სიმპტომი. ადგილ აქვს გაღვიძებისას ჯანმრთელ პირთა ალკოჰოლის ჭარბად მიღების ან ბარბიტურატების გამოყენების შემდეგ. სინონიმი: ელპენორის სინდრომი.

ელსჭორტ-ჰოვარდის სენჯი — პარატჰორმონის ინიექციის შემდეგ ფოსფორის კონცენტრაცია ჯანმრთელ პირთა და ტეტანიით დაავადებულთა შარდში მატულობს. სინჯი უარყოფითია ფსევდოჰიპოპარათირეოზეს (მარტინ-ოლბრაიტის სინდრომი — იხ.) დროს.

ელსნერეს ასთმა — სტენოკარდია, რომელიც ვითარდება კისრის სიმფატიკური განგლიების გაღიზიანების შედეგად (სპონდილიტი, ხერხემლის მოტეხილობა, ოსტეოქონდროზი, სპონდილოართრიტი). სინონიმები: ჰებერდენის დაავადება, რუნიონ-ჰებერდენის დაავადება.

ელშნიგის სინდრომი — თვალის ჩრილის ლატერალურ დაგრძელება ქუთუთოების ანომალიური განვითარების გამო (ქვემო ქუთუთოს ეკტროპიონია), ჰიპერტელორიზმი, სასისა და ტუჩების ანომალიები. ქუთუთოების ანომალია სინდრომის აუცილებელი ნიშანია, ხოლო დანარჩენი ფაკულტატურ ხასიათს ატარებს.

ემილ-ვეილის დაავადება — ქრონიკული მიელოლეიკოზი პოლინუკლეარული (გრანულოციტური) ნეიტროფილებით. ქრონიკული ნეიტროფილური ლეიკოზი. უმწიფარი ნეიტროფილები (პრომიელოციტები, მიელოციტები, მეტამიელოციტები), პერიფერიულ სისხლში მცირე რაოდენობით ან სრულიად არ გვხვდება, მაშინ როდესაც მომწიფებული ნეიტროფილების (ჩხირბირთვიანი) რაოდენობა საგრძნობლად მომატებულია. ქრონიკულ მიელოლეიკოზთან შედარებით სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მეტია.

ენგელის ოკულტური ტუბერკულოზი — ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია. ბაცილარული ინტოქსიკაცია. ლატენტური ტუბერკულოზური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება ტუბერკულოზის ადრეულ სტადიაში შეცელილი რეაქტიულობით. ხასიათდება არასპეციფიკურ დარღვევათა შერწყმით (გაღიზიანებადობა, დაღლილობა, თავის ტკივილი და ა. შ.), პოლიადენიტით და დადებითი ტუბერკულინის სინჯით, როცა არის ამა თუ იმ ორგანოს ლოკალური დაზიანების ნიშნები. (მაგალითად, ფილტვების, პლევრის). სინონიმები: დიუფურას ლიმფური ტუბერკულოზი, ბიურნანის იმპრეგნაცია.

ენგელის სინდრომი — ალერგიული რეაქცია მცენარეული მტვერის შესუნთქვის შემდეგ. ნიშნები: ხველება, ქოშინი, ფილტვების შეშუპების მოვლენები, ეოზინოფილია სისხლში.

ენგელ-რეკლინგჰაუზენის დაავადება — პარათირეოდული ოსტეოდისტროფია — დაავადება განპირობებული ჰორმონალურად აქტიური პარათი-

რეოიდული ჯირკვლების სიმსივნის წარმოშობით, ახასიათებს ძვლების ცალკეულ უბანთა ოსტეოპოროზი და კისტოზურ წარმონაქმნთა ინტენსიური ზრდა. სინონიმი: რეკლინგჰაუზენის დეზონტოგენეზური დისტროფია.

ენგელმანის დაავადება — თანდაყოლილი სისტემური დიაფიზური ჰიპეროსტოზი, პროგრესირებადი დიაფიზური დისპლაზია. სისტემური მემკვიდრეობითი ოსტეოსკლეროზი მიოპათიით. გენერალიზებული ჰიპეროსტოზი. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს, აუტოსომურ-დომინანტური ტიპის გადაცემით. ხასიათდება ბარძაყის, წვივის, მხარის ძვლების დიაფიზების ჰიპეროსტოზით, რასაც თან სდევს სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა და კუნთოვანი მასის შემცირება. სინონიმი: კამურატ-ენგელმანის დაავადება.

ენგმან-იანსენის სინდრომი — ენის, პირის ღრუს ლორწოვანის კეროვანი ლეიკოპლაკია, ხელის მტევნების, ტერფების და წვივების კანის ატროფიული ცვლილებები, ფრჩხილების ცვლილებები, შესაძლოა სახის კანის კეროვანი ჰიპერპიგმენტაცია, დეპიგმენტაცია.

ენდემიური ენცეფალიტი — ტკიპასაგან გამოწვეული გაზაფხულის ენცეფალიტი. მწვავე ვირუსული კეროვანი დაავადება, ტრანსმისიული ან ალიმენტური (თხის რძის) გადაცემით. გვხვდება ძირითადად ტყიან ადგილებში გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. ახასიათებს ვირუსემია, ცხელება-ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით. სინონიმები: რუსეთის გაზაფხულის ენცეფალიტი, შორეული აღმოსავლეთის ენცეფალიტი, ტაიგის ენცეფალიტი.

ენდემიური (ვირთაგვის) პარატახტიანი ტიფი — ხომალდის ტიფი. ხასიათდება კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ნიშნები: ცხელება, უხვი გამონაყარი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფოციტოზი, ეოზინოპენია. სინონიმებია: ხმელთაშუა ზღვის ვირთაგვის რიკეტსიოზი, მექსიკური ტიფი, ინდოეთის ტიფი, ტულონის პარატახტიანი ტიფი, მანჯურიის ენდემიური ტიფი.

ენდოკრინულ-ოფტალმოლოგიური სინდრომი — ჰიპოფიზის ჰორმონული დარღვევები, აკრომეგალიური ტიპის სახის ცალმხრივი ცვლილებები და გლაუკომა. სინონიმი: მიულერ-მეტცგერის სინდრომი.

ენდრაშიკის მეთოდი — გამოსაკვლევი პირის ყურადღების გადატანის მიზნით შეკავებული მუხლის რეფლექსის გამოვლინება, რომლის დროსაც მას წინადადებას აძლევენ გასწიოს ერთმანეთზე შემოკდობილი ხელები.

ენდრიუსის სინდრომი I — ენდრიუსის პუსტულოზური ბაქტერიდი, ფსევდომიკოზი, ბაქტერიდი პუსტულოზურ გამონაყარის სახით. ლოკალიზებულია ძვლებსა და ტერფზე. ვითარდება, როცა ორგანიზმში არის სტრეპტოკოკული და სტაფილოკოკური ინფექცია.

ენდრიუსის სინდრომი II — პუსტულოზური წარმონაქმნები ხელსა და ფეხებში. კანის მორფოლოგიური ცვლილებები შეესაბამება ჰალოპოს დაავადებას (იხ.). არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი, კეროვან ინფექციის ეტიოლოგიას. პირველადად ეგზანთემები სტერილურია. დაავადების მიმდინარეობა კეთილთვისებიანია.

ენის სიმპტომი — ცისტოგრაფიის დროს ურეთრის უკანა ნაწილში

გამოკლინებული საკონტრასტო ნივთიერების არსებობა. შარდის ბუშტის სფინქტერის უკმარისობის ნიშანი.

ენცეფალოგრაფიული სინდრომი — ენის ატროფია და მისი კუნთების ფიბრილური შეკუმშვები, ენის ატროფიული კუნთების ფიბრილური შეკუმშვები, ენის—ატროფიული კუნთების მხარეს გადახრით. წარმოიშობა ენის-ქვეშა ნერვის ან მისი ბირთვის დაზიანების დროს გამოვლინებული ძვრების მხარეს.

ენტეროთენ სიმპტომი — ზემო ჭუთუთოების ბალიშისმაგვარად შესივება, ახასიათებს დიფუზურ ტოქსიკურ ჩიყვს. სინონიმები: ზენგერის სიმპტომი, ზენგერ-ენტეროთის სიმპტომი.

ენსლინის სინდრომი — კოშკისებური თავის ქალას, ეგზოფტალმისა და ადრენოიდების თანდაყოლილი შერწყმა. შესაძლოა დაერთოს ნეირორეტინიტი, ბადურას პერიპაპილარული პიგმენტური ატროფია, ამაუროზი, ამბლიოპია, სიელმე, ნისტაგმი, მიდრიაზი.

ენტერო-პულმონალური სინდრომი — სასუნთქი ორგანოების ენტეროტი, გულის სარქველის ფიბროზულ-ვასკულიტი, ტელეანგიექტაზიები და კანის პიგმენტაცია სიმსივნური დაავადების დროს. ყველა ეს ნიშანი ერთად და პერიოდულად ვლინდება ვაზომოტორული დარღვევებით, ზოგჯერ ასთმის მსგავსი შეტევებით. გამოწვეულია სისხლში სეროტონინის ზედმეტი გადმოსროლით, რაც წარმოიშობა კარცინოიდში.

ენტერო-პულმონალური სინდრომი — სასუნთქი ორგანოების ენტეროგენული პათოლოგია, რაც გამოიხატება ხშირ განმეორებით მწვავე ან ქრონიკულ ბრონქიტში, რისი მიზეზიცაა ნაწლავის ჩხირი (იგი ამოითესება ნახველში), სინდრომი ყალიბდება ქრონიკული კოლიტის ან ხანგრძლივი შეკრულობის ფონზე. სინონიმი: ანდრეოლის სინდრომი.

ენტერო-რენული სინდრომი — პიელიტი, რომელიც ვითარდება ქრონიკული კოლიტის შედეგად ან ნაწლავის მარჯვენამხრივი სტაზის დროს. სინონიმი: გეიც-ბეკის სინდრომი.

ენტერო-ჰეპატური სინდრომი — ენტერო-ჰეპატური კოლისეფსისი, ნაწლავის ჩხირის ენდოგენური ინფექცია. აღმავალი კოლიინფექცია ღვიძლის ქრონიკული ქოლანგიტის მოელენებით. სინონიმებია: ბრილის სინდრომი, გარბანის სინდრომი, ვიდალ-აბრამის დაავადება, აბრამის სინდრომი.

ეპინგერ-ბიანკის სინდრომი — ღვიძლის ციროზის ერთ-ერთი სახეა. დამახასიათებელია ჰეპატოსპლენომეგალია, ასციტი, ჰემოლიზურ-სიყვითლე. მიმდინარეობს შედარებით კეთილთვისებიანად. სინონიმი: ეპინგერ-ბიანკი-ჩეზას დაავადება.

ეპინგერ-ბიანკი-ჩეზას დაავადება — იხ. სინონიმი: ეპინგერ-ბიანკის სინდრომი.

ეპშტეინის პერკუსია — ამ მეთოდით გულის საზღვრების გამოკვლევა ხდება ერთსა და იმავე დროს პალპაციითა და პერკუსიით. თითის წვერს დავკრავთ სხეულის ზედაპირს უშუალოდ (უპლესიმეტროდ) და ამ დროს შევიგრძნობთ გულის არეში უფრო მეტ რეზისტენტობას (წინააღმდეგობას) ვიდრე ირგვლივ, ფილტვის არეში.

ეპშტეინის სინდრომი — ნეფროზული სინდრომი: მასიური პროტეინუ-

რია, ცრლინდურია, გენერალიზებული შეშუპება. სისხლში ჰიპოდისპროტეინემია, ჰიპოალბუმინემია, ჰიპერქოლესტერინემია. შარდით ცილის დღიური დანაკარგი 3,5 გ და მეტია.

ეპშტეინ-ბარეს ქრონიკული ვირუსული სინდრომი — ძირითადად დამახასიათებელია ქრონიკული მორეციდივე დაღლილობა შეუღლებული სხვა სიმპტომებთან (ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, მიალგია, ართრალგია). მიზეზად მიიჩნევენ ეპშტეინ-ბარეს ვირუსს. სინონიმი: დაღლის ქრონიკული სინდრომი.

ერბის დაავადება I — მიოპათიის ერბის იუვენილური ფორმა, ჰაბუკთა მიოპათია, ჰაბუკთა კუნთოვანი ატროფია — მიოპათია რომელიც ეწყება ბავშვთა ან ჰაბუკურ ასაკში და ხასიათდება მხარისა და მენჯის სარტყლების კუნთების ატროფიით. გამოირჩევა ნელი, მყარად პროგრესირებადი მიმდინარეობით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: ერბ-როტის მიოპათია, ანუ ერბ-როტის მიოდისტროფია, როტის კუნთთა ხმობა.

ერბის რეფლექსი — მუხლის რეფლექსი, პატელარული რეფლექსი ბარძაყის ოთხთავა კუნთიდან — წვივის გაშლის ფიზიოლოგიური რეფლექსი, სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმისას ბარძაყის ოთხთავა კუნთის მყესზე მუხლის ქვეშ. სინონიმი: ვესტფალის რეფლექსი.

ერბის სიმპტომი — ელექტრული დენით გაღიზიანებაზე ნერვის მომატებული მგრძნობელობა. აღინიშნება ტეტანიის დროს.

ერბის სინდრომი — კუნთების პროგრესირებადი ატროფიის (ერბის დაავადების) ნაირსახეობა. ამ დროს ზიანდება მხარისა და ბეჭის კუნთები.

ერბის სპასტიკური დამბლა, ანუ ერბის დაავადება II — ერბის სპინალური დამბლა. ათაშანგური წარმოშობის ქვედა კიდურების ცენტრალური დამბლა.

ერბის წერტილი — გულმკერდის წინა ნაწილის ზედაპირზე უბანი IV ნეკნთაშუა არეში მარცხენა სტერნალურ და პარასტერნალურ ხაზებს შორის, სადაც ყველაზე გამოკვეთილად მოისმინება რიგი აკუსტიკური გამოვლინებანი, რაც ახასიათებს გულის მიტრალურ მანკებს, აორტის სარქველის ნაკლოვანებას. იხ. სინონიმები: ბოტკინის წერტილი, ბოტკინ-ერბის წერტილი.

ერბ-გოლდფლამის დაავადება — მიასთენია — ნერვული და კუნთოვანი სისტემის დაავადება. ძირითადი ნიშანია სხვადასხვა ჯგუფის კუნთების სისუსტე და პათოლოგიური დაღლილობა.

ერბ-გენსელენის სინდრომი — თანდაყოლილი ჰემოლიზური სიყვითლე. დამახასიათებელი სიმპტომებია: ანემია, სიყვითლე, სპლენომეგალია. განავალი მუქია და შეიცავს სტერკობილინის დიდ რაოდენობას, შარდში ბევრია ურობილინოგენი და ურობილინი. ხშირად თან ერთვის განვითარების ანომალიები: კოშკისებრი თავის ქალა, ინფანტილიზმი, ბრაქიდაქტილია, გოთური სასა. პერიფერიულ სისხლში ადგილი აქვს გამოხატულ რეტიკულოციტოზს (40%-მდე), ზომიერ ლეიკოციტოზს, მიკროსფერულ ერითროციტებს, რომლებიც შეიცავს ჟოლის სხეულაკებს. ძვლის ტვინში გაძლიერებული ერითრობლასტოზი, რეტიკულურ უჯრედთა სიმრავლე. პროგნოზი

კარგი. სინონიმები: გენსელის სინდრომი, შოფარი–მინკოვსკი-გენსელნის დაავადება.

ერბ-ვესტფალის სიმპტომი — მუხლის რეფლექსების გაქრობა. თაეისა და ზურგის ტვინის ორგანული დაზიანების ნიშანია (ტაბესი და ა. შ.).

ერბ-კრუზონის სინდრომი—სიფილისური პროგრესირებადი გარდიგარდმო დამბლა. ხასიათდება დაყოვნებული პროგრესირებადი სპასტიკური სენდრომით, მგრძნობელობის მოშლით.

ერბ-როტის მიოპათია — სინონიმები: ერბის დაავადება (იხ.), როტის კუნთთა ხმობა.

ერბ-ფორსტერ-ბარე-ლევენშტეინის რეფლექსი — ბარძაყის ორთავა კუნთის რეფლექსი, პერონეოფემორალური რეფლექსი. ფიზიოლოგიური რეფლექსი: მუხლის გაშლა სამედიცინო ჩაქუჩით ბარძაყის ორთავა კუნთის მყესზე დარტყმისას.

ერბენის სიმპტომი — დაზიანებულ კიდურზე კანის ტემპერატურა საღ ფეხთან შედარებით დაქვეითებულია, რაც ადვილად შეიგრძნობა სიმეტრიულ ადგილებზე ხელით შეხებისას. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ერბენის ფენომენი — გულის ცემის დროებითი შენელება ტანის წინ გადმოწევისას ან ავადმყოფის ვერტიკალურიდ მდგომარეობიდან დამჯდარ მდგომარეობაში გადასვლისას. ზოგჯერ აღინიშნება ნეიროცირკულური დისტონიის დროს, რაც დაკავშირებულია ცთომილი ნერვის ტონუსის მომატებასთან.

ერგასონის სიმპტომი — ტკივილი მხრის სახსარში ხელის სუპინაციის დროს, რომელიც მოხრილია მხრის სახსარში და დაკავებულია მაჯით ექიმის მიერ. მხრის ძვლის მცირე ბორცვის დაზიანების ან ორთავა კუნთის მყესის მოწყვეტის ნიშანი.

ერდჰეიმის სიმსივნე — კრანიოფარინგიომა. ჰიპოფიზარული სიმსივნე, რომელიც ვითარდება ეპითელური უჯრედებისაგან (ჰიპოფიზური ჯიბის).

ერდჰეიმის სინდრომი — აკრომეგალიის ფორმა ლავიწის ძვლის, ხერხემლის მალების და მალთაშუა ხრტილების გამოხატული ჰიპერტროფიის არსებობით. დაავადების სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად აღნიშნული იწვევს ტკივილს, ხელს უწყობს კიფოზის და მოძრაობის შეზღუდვის განვითარებას. სინონიმი: სკაგლიეტი-დაგნინის სინდრომი.

ერენფრიდის დაავადება — ძკალ-ხრტილის მრავლობითი ეგზოსტოზები. დიაფიზური აკლაზია. მადეფორმირებელი ქონდროდისპლაზია. ძვლის გარეთა ქონდრომატოზი, ხრტილის მრავლობითი ეგზოსტოზები-მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია ძვალ-ხრტილოვანი მრავლობითი ეგზოსტოზების წარმოშობა გრძელი ღულოვანი ძვლების მეტაფიზების მიდამოში. თან სდევს ძვლების ზრდის დარღვევა და მათი დეფორმაცია.

ერველ-ლანგე-ნილსენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ოჯახური კარდიომიოპათიის ნაირსახეობა: ადგილი აქვს პარკუჭების თრთოლვის და ციმციმის ექსცესებს, რასაც თან სდევს სინკოპე, თანდაყოლილი ყრუ-მუნჯობა. ელექტროკარდიოგრამაზე — QT ინტერვალის გამოხატული გახანგრძლივება. პროგნოზი მძიმე.

ერიასის სინდრომი — ღეიძლის გლუკურონილტრანსფერაზის მემკვიდრეობითი დეფიციტის გამოვლინება: კანის, სკლერების და ლორწოვანი გარსების სიყვითლე, სისხლში პირდაპირი ბილირუბინის მომატება ჰეპატოციტების დისფუნქციის ნიშნების და ჰემოლიზის გარეშე. გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით.

ერისიხთონის სინდრომი — ალიმენტური ჰიპერლიპიდემია მუდმივი ხასიათის საკვების ჭარბი რაოდენობის მიღების ჩვევის შედეგად. ეპონიმურად დაკავშირებულია ძველბერძნული მითოლოგიის პერსონაჟთან თესალიელ ერისიხთონთან, რომელმაც გაკაფა მიწათმოქმედებისა და მოსავლის ქალღმერთ დემეტრას წმინდა ტყე. უღირსი საქციელისათვის ქალღმერთმა მას მუდმივი შიმშილით ტანჯვა მიუსაჯა.

ერლანგერ-ბლუმენის ფენომენი — ელექტროკარდიოგრაფიული ფენომენი, ზოგჯერ გამოვლინდება სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის დროს. მდგომარეობს შემდეგში: აღინიშნება P—P ინტერვალის შემცირება თუ მის შიგნით არის ჩამჯდარი QRS კომპლექსი.

ერლიხის ანემია — თანდაყოლილი აპლასტიური ანემია, რაც თავს იჩენს 18—30 წლის ასაკში: კლინიკური სურათი არ განსხვავდება შეძენილი ჰიპო და აპლასტიკური ანემიებისაგან.

ერლიხის სინდრომი — ზედა ღრუ ვენის სინდრომი — დამახასიათებელია გულისაკენ სისხლის მდინარების შეფერხება, ვენური წნევის მცირე მომატება. მძიმე შემთხვევაში აღინიშნება სახისა და კისრის შეშუპება, გულმკერდის შეშუპება სათანადო მხარეს, ზედა კიდურის და გულმკერდის კანქვეშა-ვენური ქსელის გაფართოება.

ერლიხის ტეტრადა — ნახველში ერთდროულად ოთხი პათოლოგიური ელემენტის გამოვლინება: გაკირული ელასტიკური ბოჭკოები, ტუბერკულოზის მიკრობაქტერიები, ქოლესტერინის კრისტალები და ამორფული კირიანი მასები. ბრონქში ძველი ტუბერკულოზური კერის გახსნის ნიშანია.

ერლიხის ტიპის აპლაზიური ანემია — უცნობი ეტიოლოგიის შეძენილი დაავადება. დამახასიათებელია ანემია და ლეიკოთრომბოციტოპენია. ძვლის ტვინში მიელოკარიოციტების შემცირება 5.000—10.000-მდე. ნაკლებად მძიმე ფორმები ცნობილია ჰიპოპლაზიური ანემიის სახელწოდებით. ცალკე გამოიყოფა პარციალური („წითელუჯრედოვანი") ძვლის ტვინის ჰიპოპლაზია, ერითრობლასტოფტიზი, რომლის დროს პროცესშე უმთავრესად ჩართულია ერითროპოეზი, თრომბოციტოპოეზის ნაწილობრივი შენახვით. დაავადება უხშირესად გვხვდება მოზრდილებში. პროგნოზი არაკეთილსაიმედო.

ერლიხ-ბირმერის ანემია — B-12 (ციანკობალამინ) დეფიციტური ანემია, რაც შეიძლება იყოს როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ხასიათის. ადგილი აქვს ერითროპოეზის დარღვევას. კლინიკური გამოვლინება: სიფერმკრთალე სუბ-იქტერიული ელფერით, თმების და ფრჩხილების მტვრევადობა, უმადობა, შესაძლოა ჰუნტერის გლოსიტი (იხ.), კუჭის ჰიპო-ანაციდური მდგომარეობა, ფუნიკულურ მიელოზის მოვლენები; სისხლში ჰიპერქრომული ანემია, მეგალობლასტოზი, მეგალო-ანიზო-პოიკილოციტოზი, რეტიკულოციტოპენია, თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია, ჰიპერბი-

ლირუბინემია, ჰიპერქოლესტერინემია. სინონიმები: ადისონ-ბირმერის ანემია, დაავადება ან სინდრომი, ბერმერის ანემია, ჰუნტერ-ადისონის ანემია, პერნიციოზული ანემია.

ერმანის მასკლეროზირებელი ფოლიკულიტი კეფისა — ღრმა სტაფილოდერმიის ნაირსახეობა. გამოვლინდება როგორც ქრონიკული მორეციდივე ფოლიკულიტი გამოსავლით კელოიდურ ნაწიბურებში. როგორც წესი, ლოკალიზებულია კეფის არეში და უკითარდებათ მამაკაცებს. სინონიმი: კაპოშის დერელოვანი დერმატიტი თავისა.

ერმანის მეთოდიკა — გამოიყენება კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გამოსაკვლევადი ფრაქციული მეთოდით. საცდელი საუზმეა 300 მლ 5% ალკოჰოლის ხსნარი (ეთილის სპირტი).

ერნეხ სიმპტომი — აღინიშნება სითხის შემცველი კავერნის დროს, თუ იგი განლაგებულია ფილტვის მწვერვალის მიდამოში. კავერნის პროექციის მიდამოს პერკუსიისას იწყება ხველა და პერკუტორული ხმიანობა ღებულობს ტიმპანურ ელფერს.

ესკამილა-ლისერეს სინდრომი — ატიპიურად მიმდინარე მიქსედემა, შინაგან ორგანოთა უპირატესი დაზიანებით. მიქსედემატოზური გული, კუჭნაწლავის და შარდის ბუშტის ატონია, ასციტი, ანემია, მენორაგია. სისხლში მატულობს ქოლესტერონის და კლებულობს ცილის შემცველობა.

ესლერეს ახთმა — სტენოკარდია, გულის იშემიური დაავადების ფორმა, ახასიათებს ანგინოზური ტკივილი წამებიდან 20 წუთამდე ხანგრძლივობით (შეიძლება მეტი ხნითაც). სინონიმები: ჰებერდენის დაავადება, რუნიონ-ჰებერდენის დაავადება.

ესტრენ-დამეშეკის ანემია — მემკვიდრეობითი ჰიპოპლასტიკური ანემია, ბავშვებში ძვლის ტვინში სისხლმბადი სამივე შტოს არაეფექტურობით. ფანკონის ანემიისაგან (იხ.) განსხვავებით ამ დროს აღგილი აქვს განვითარების სხვა ანომალიებსაც.

ეშერიხის რეფლექსი — ტუჩის კუნთების შეკუმშვა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის გაღიზიანების საპასუხოდ.

ვაალერ-როუზის სინჯი — ანუ რევმატოიდული ფაქტორის გამოვლინების მეთოდი სისხლის შრატში, რომელიც დამყარებულია ბაჭიის ანტიერითროციტული შრატით გამოწვეულ ცხვრის ერითროციტების აგლუტინაციაზე.

ვაარდენბურგის სინდრომი — დამახასიათებელია ორმხრივი ჰიდროფტალმია, ჰიპერტელორიზმი, კოშკისებური თავის ქალა, თუთიყუშის ნისკარტისებური ცხვირი, გაპობილი მაგარი სასა, ჰიპოპლაზიური ქეედა ყბა, ენის ანომალიური მდებარეობა, დეფორმული ყურის ნიჟარები, დისპლაზიური ლავიწი, მუხლის სახსრებში კონტრაქტურა, აღინიშნება სინდაქტილია, გულის სხვადასხვა მანკი და სასქესო ორგანოთა ანომალია.

ვაარდენბურგ-კლეინის სინდრომი — სიყრუისა და ნაწილობრივი ალბინიზმის თანდაყოლილი სინდრომი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. დამახასიათებელია სმენის დაქვეითება ან სიყრუე (მიზეზია შუა ყურის დაზიანება), სიმუნჯე, თეთრი ზოლი თმაში, ფერადი გარსის ჰეტეროქრომია და ჰიპოპლაზია. ავადმყოფი დაბალი ტანისაა, თავის ქალა

შეცვლილია, აღენიშნება ძვლებისა და სახსართა ჰიპოპლაზია, მრავლობითი ფიბრომები, ჰიპერტელორიზმი, ბლეფაროფიმოზი, გლაუკომა, მიკროფტალმია, ბადურის ჰიპოპიგმენტაცია.

ვაგნერის დაავადება I — დერმატომიოზიტი, პოლიმიოზიტი — კოლაგენოზების ჯგუფის დაავადება. ახასიათებს განივზოლიანი და გლუვი კუნთების სისტემური დაზიანება მოძრაობითი ფუნქციის დარღვევით და ასევე კანის დაზიანება ერითემისა და შეშუპების სახით. უპირატესად ზიანდება სხეულის დია ნაწილები. სინონიმი: ვაგნერ-უნფერიხტ-ჰეპის დაავადება, ვაგნერ-უნფერიხტის დაავადება.

ვაგნერის დაავადება II — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს შეშისებური სხეულის პროგრესირებადი დაზიანება, ბადურის დეგენერაცია, მხედველობის ნერვის ატროფია, სისხლძარღვოვანი გარსის სისხლძარღვთა სკლეროზი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ვაგნერ-იარუგის სიმპტომი — მეტყველებითი კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა სტუპორში მყოფ ავადმყოფთან, როცა მის თვალის კაკალზე აწარმოებენ მსუბუქ ზეწოლას. აღინიშნება კატატონიური, უფრო იშვიათად მანიაკალური სტუპორიეს დროს.

ვაგნერ-უნფერიხტის დაავადება — სინონიმები: ვაგნერ-უნფერიხტ-ჰეპის დაავადება, ვაგნერის დაავადება I (იხ.).

ვაიზმენ-დოანის სინდრომი — სპლენოგენურ ნეიტროპენია. დამახასიათებელია მკვეთრი ლეიკოპენია სპლენომეგალიის ფონზე, ანემია და თრომბოციტოპენია. მკურნალობეს ერთადერთ სწორ მეთოდს წარმოადგენს სპლენექტომია. პროგნოზი კარგია.

ვაინგარტენის სინდრომი — ფილტვის სუბტროპიკული ეოზინოფილია, ტროპიკული ეოზინოფილია — ტროპიკული დაავადება, გამოწვეულია ორგანიზმში მაკროფილარიის მოხვედრით. ახასიათებს გამოხატული ეოზინოფილია, სპასტიკური ბრონქიტი და ფილტვებში კეროვანი ინფილტრაციული ცვლილებები.

ვაისის ეპითელიომა — მრავლობითი ზედაპირული ეპითელიომა. კეთილთვისებიანი ეპითელიომა. კანის ზედაპირული კეთილთვისებიანი ეპითელიომა — მრავლობითი ბაზოცელარული ცერულომები ქრონიკული კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ბრტყელი, უმნიშვნელოდ ინფილტრირებული კერები გავრცობილია პერიფერიულად, ჰგავს ფსორიაზს, ზედაპირულ მიკოზს ან ქრონიკულ ეგზემას. ყველაზე ხშირად ლოკალიზდება სახესა და ტანზე. სინონიმები: ლიტლის ერითემატოიდი, არნინგის ეპითელიომა.

ვაის-ზაკსის პაპილომატოზი — შეერთებადი პაპილოზური პაპილომატოზი. უსახელო პაპილომატოზი. უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს მცირე ზომის წითელი პაპულების გამონაყარი, რომელიც სწრაფად მუქდება და განიცდის გარქოვანებას და ბოლოს ფორმირდება რომბისებურ კერებად, ლოკალიზდება გულმკერდის და ბეჭთაშუა არეებში, ხელის მტევნის ლატერალურ მხარეს. სინონიმი: უეაეტს — კოტეს სინდრომი.

ვაის-სალცბერგერის სენდრომი — ქერა, სწორი თმის თანდათანობითი

ცვლილება და გადასვლა მუქი, თათქმის შავი ტალღოვანი დახუჭუჭებული თმის მდგომარეობაში. მიზეზი უცნობია.

ვაიტბრეხტის ენდორეაქტიული დეპრესია — დისთიმური დეპრესია, ენდორეაქციული დეპრესია, ენდორეაქციული დისთიმია — დეპრესიული მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება არამკაფიოდ შემოფარგლული ფაზებით, არაიშვიათად ვიტალური სევდით, განგაშით, ზოგჯერ დისფორიით, ჰიპოქონდრიული მოვლენებით.

ვალგრენის დაავადება — ხასიათდება ძვლოვანი და რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანებით, ძვლებში ღრუების გაჩენით, რაც შევსებულია მოყავისფრო-მოყვითალო მასებით და შეიცავს ერთუჯრედიან „აქაფებულ“ უჯრედებს. აღინიშნება ბავშვთა და ჭაბუკთა ასაკში.

ვალგრენის პარაკავერნოზული ხიხინი — წვრილბუშტუკოვანი მაღალ ხმიანობის ხიხინი, წარმოშობილი ტუბერკულოზური კაკერნის ზონის ირგვლივ.

ვალგრენ-არმსტრონგის დაავადება — ლიმფოციტური ქორიომენინგიტი. კეთილთვისებიანი მენინგიტი, მწვავე ლიმფოციტური მენინგიტი — ინფექციური დაავადება. იწვევს იმავე სახელობის ვირუსი. ახასიათებს ქორიომენინგიტის განვითარება კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ცერებროსპინალურ სითხეში აღინიშნება ლიმფოციტების შემადგენლობის მოშატება. სინონიმი: არმსტრონგის მწვავე სეროზული მენინგიტი.

ვალდეიერის ლიმფური რგოლი — ყელის ლიმფადენოიდური რგოლი, ლიმფოიდური რგოლი—ლიმფური კვანძების ერთიანობა, განლაგებული ხახის შესასვლელში, მის ირგვლივ, პირისა და ცხვირის ღრუებიდან. შედგება რამდენიმე ნუშისებრი ჯირკვლისაგან. სინონიმი: პიროგოვ-ვალდეიერის ლიმფატიკური რგოლი.

ვალდენსტრემის დაავადება ანუ მაკროგლობულინემია-მაკროგლობულინემია, მაკროგლობინური რეტიკულოზი, მაკროგლობინური რეტიკულოლიმფომატოზი, სისხლმბად ორგანოთა დაავადება, ხასიათდება ლიმფოიდური ქსოვილის ავთვისებიანი პროლიფერაციით, რასაც თან სდევს მაკროგლობულინების ჰიპერპროდუქცია. გამოვლინდება სისუსტით, ლორწოვანი გარსიდან სისხლდენით, ჰეპატოსპლენომეგალიით, ლიმფური კვანძების ზომიერი გადიდებით, მხედველობის დაქვეითებით.

ვალდენსტრემის მაკროგლობინური პურპურა — ჰემორაგიული სინდრომი. გამოწვეულია სისხლძარღვთა კედლების მომატებული განვლადობით. მიზეზია იქ მაკროგლობულინების ინფილტრაცია და ასევე სტაზი და მაკროგლობულინების პრეციპიტაცია წვრილ სისხლძარღვებში მათი შემდგომი გასქლომით. ახასიათებს სისხლდენა ღრძილებიდან, ცხვირიდან. გეხედება, მაგალითად, ვალდენსტრემის დაავადების, ღეიძლის ციროზის, ზოგიერთი პარაზიტული დაავადების დროს.

ვალდენსტრემ-ვალქვისტის დაავადება — პორფირინის ცვლის დარღვევის შედეგი. მიმდინარეობს კანის თანდაყოლილი პორფირიის ფორმით, დამახასიათებელია მწვავე ან გვიანი კლინიკა. მწვავე ფორმისას არის მუცლისმხრივი (ქვალი, შებერვა, ღებინება), ნეიროლოგიური (პოლინევრიტები, პარეზები, კრუნჩხვები, გულყრა და სხვ.); კუნთებისმხრივი (ატროფია,

ტკივილი, დეგენერაციული რეაქციები), ფსიქიკური (ნეიროზული სინდრომები, დეპრესიული მდგომარეობა, ფსიქიკური დარღვევები) სიმპტომები, შარდის პათოგნომონური ინგრედიენტები ურობორფირონი და პორფობილინოგენი. სინონიმი: ვანოტის მიოპორფირია.

ვალდენსტრემ-კიელბერგის სინდრომი — პირის ღრუს, სასისა და საყლაპავის ლორწოვანას ატროფიული ცვლილებები. მიზეზთა შორის მიუთითებენ „ბ" ჰიპოვიტამინოზზე, სხვანი ამას მიიჩნევენ მეორედად. არის აზრი, რომ ეს არის კიბოსწინა მდგომარეობა. გეხვდება ადგისონ-ბირმერისა და ჰაემ-ფაბერის დაავადების დროს (იხ.). ნიშნებია: ჰიპოქრომული ანემია და გასადავებული ენა (ჰუნტერის ენა) (იხ.), ხშირად ჰიპოაციდური მდგომარეობა, კოილონიქია. სინონიმები: პლუმერ-ვინსონის სინდრომი, კელი-პატერსონის სინდრომი.

ვალდმანის დაავადება — ნაწლავის ლიმფანგიექტაზია, ექსუდაციური ენტეროპათია. ნიშნებია: ქვედა კიდურთა შეშუპება, გულისრევა, პირღებინება, დიარეა, ზრდაში შეფერხება, ჰიპოკალციემია, ჰიპონატრიემია, ლიმფოპენია. ეტიოლოგია უცნობია. შეინიშნება ერთი ოჯახის წევრთა შორისაც.

ვალდმანის სინჯი — ენდოთელიური სინჯი კოტოშით — ენდოთელიოზის (სისხლძარღვთა ენდოთელიუმის პროლიფერაცია, ჩამოფცქვნა, გაფაშრება) გამოვლინების სინჯი. კოტოშის მეშვეობით კანის შემოფარგლულ ზონაში შეიქმნება დაქვეითებული წნევა. შემდგომში ამ ზონის კანის სისხლში განისაზღვრება მონოციტების შემადგენლობა.

ვალდმანის ტოქსიკური ჰიპოტონია — ტოქსიკური, სიმპტომური არტერიული ჰიპოტენზია, რაც ვითარდება ზოგიერთი ტოქსიკური ნივთიერების მოქმედების შედეგად (მაგალითად, ნახშირბადის ორჟანგით).

ვალენბერგ-ბაბინსკი-ნაჟოტის სინდრომი — ხასიათდება თავბრუთი, ღებინებით, ნისტაგმით, პათოლოგიური კერის მხარეზე თავის ტვინის მე-7 წყვილი ნერვის ბირთვობრივი დაზიანებით, რბილი სასისა და ხმოვანი ბოგების დამბლით, კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომით, დისოცირებული ჰიპესტეზიით სახეზე და ნათხემის დაზიანების მოვლენებით; პათოლოგიური კერის საწინააღმდეგო მხარეზე — გარდამავალი ჰემიპარეზით და დისოცირებული ხასიათის ჰემიჰიპესთეზიით. გეხვდება ნათხემის უკანა ქვედა არტერიის დახშეის დროს.

ვალენბერგ-ზახარჩენკოს სინდრომი — პათოლოგიური პროცესის მხარეზე აღინიშნება მბერავი ოგებისა და რბილი სასის დამბლა, კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომი, ჰემიტაქსია, მგრძნობელობით დისოცირებული ხასიათის მოშლა სახეზე, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე — ჰემიანალგეზია. გეხვდება ნათხემის უკანა ქვედა ან ვერტებრული არტერიის დახშობის დროს. არტერიის ვარიაბილობის გამო აღწერილია აღნიშნული სინდრომის შემდეგი ვარიანტები: 1. ზემოაღნიშნულ სინდრომს თან ერთვის თავის ტვინის მე-6—7 წყვილის ნერვების პარეზი; 2. სინდრომი ხასიათდება ტრიპლეგიით ან ჯვარედინა ჰემიპლაგიით; 3. ტკივილისა და ტემპერატურის მგრძნობელობის მოშლა აღინიშნება სახის ორივე ნახევარში.

ვალეს მტკივნეული წერტილები — ნერვის ძელოვან ან შემაერთებელი

ქსოვილიდან გამოსვლის ადგილზე, ან უშუალოდ ძვლის, ან მკერივი ოგის მოსაზღვრე ადგილზე ხელის დაკერა მტკივნეულია. გვხვდება პერიფერიული მგრძნობიარე ნერვების დაზიანების დროს.

ვალერის გადაგვარება — ნერვული ბოჭკოების მეორადი გადაგვარება — ნერვული ბოჭკოების დაშლა და დისტროფია. წარმოშობილი ნეირონული უკრედების დაზიანებით, ანდა ნერვის გადაკვეთით. გაპირობებულია ნეირონების ტროფიკული მოქმედების გამოვარდნით.

ვალერი-რადო-ალაჟუანინ-პორტონის სინდრომი — თავის ნახევარის მწვავე ტკივილი, სახის გაწითლება, პულსაციის შეგრძნება, ცრემლდენა, და საფეთქლის არტერიის და სახის არტერიების ტაქტილური ჰიპერესთეზია.

ვალიას სიმპტომი I — მუცლის არაერთგვაროვანი შებერვა (შერწყმული ძლიერ ტკივილთან). ტალღისებური ცვლილებები პერისტალტიკის დროს საწლავთა შებერვისა და დაჩუტვის ზონების სახით. პერიტონიტის ნიშანია. განსაკუთრებით ელინდება ობტურაციული და სტრანგულაციური გაუვალობის დროს.

ვალიას სიმპტომი II — მაჯასთან სინქრონული შეილი სისხლძარღვზე. არტერიის დაზიანების ნიშანი. მნიშვნელობა ენიჭება, როცა არ აღინიშნება გარეგანი სისხლდენა.

ვალინსკის აბაზანები — წყლით სამკურნალო პროცედურა: ავადმყოფი მოთავსებულია მტკნარი წყლით სავსე აბაზანაში, სადაც ტემპერატურა თანდათან მატულობს 37—38 დან 40—42°-მდე, აბაზანის შემდეგ ავადმყოფი შეიფუთება შალის საბანში.

ვალკვისტ-გასერის სინდრომი — ქრონიკული კონსტიტუციური ნეიტროპენია ლიმფოციტოზით ბავშვებში. დაავადება იწყება სამი წლის ასაკამდე. ნიშნები: მორეციდივე ცხელება, ანორექსია, ზომიერი სპლენომეგალია და მიკროპოლიადენია, ქრონიკული ლეიკოპენია — სეგმენტბირთვიანი ლეიკოციტების მნიშვნელოვანი შემცირებით, შედარებითი და აბსოლუტური ლიმფოციტოზი, ზოგჯერ ეოზინოფილია. ძვლის ტვინში — ნეიტროპენია (ძირითადად სეგმენტბირთვიანი ლეიკოციტების ხარჯზე), ერითრობლასტოპენია. პროგნოზი კარგი, სპონტანური განკურნება აღინიშნება ორი-ოთხი წლის ასაკში.

ვალსალვას დიხფაგია — ყლაპვის გაძნელება, გამოწვეული ენისქვეშა ძვლის მოტეხილობით.

ვალსალვას სინჯი — სმენითი მილების განელადობის გამოკვლევის მეთოდი. ამისათვის ზედა სასუნთქ გზებში ხდება ჰაერის წნევის მომატება. ეს მიიღწევა დახურული პირის მდგომარეობაში ცხვირით ღრმა ამოსუნთქვით. ვალსალვას სინჯის დროს ხდება გულ-მკერდშიდა წნევის მომატება, რაც იწვევს გულში სისხლის მოდენის შემცირებას და მაჯის გაშვიათებას.

ვალტერ-ბომანის სინდრომი — სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის სიცოცხლისათვის სახიფათო დარღვევათა კომპლექსი გამოიწვევა ქვედა ღრუ ვენაზე სისხლის ან ნაღველის მასირებული ზეწოლით — ღვიძლის ფიბროზული გარსის ქვეშ. ყველაზე ხშირია ქოლეცისტექტომიისა და ქოლეცის-

ტოდუოდენოტომიის შემდეგ. ნიშნები: ტაქიკარდია, ჰიპოთერმია, ქოშინი, სიფერმკრთალე, ციკი ოფლი, გამოსავალი ლეტალური.

ვან ბოგარტ-დე ვრის სინდრომი — აღინიშნება კანისა და ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები. მემკვიდრეობის რეცესიული ტიპი, შეკავშირებული სქესთან. ნიშნები: თანდაყოლილი პოიკილოდერმია, ტელეანგიექტაზები, კრუნჩხვის შეტევები, პირამიდული და ექსტრაპირამიდული დარღვევები, დემენცია, ჰემიანოფსია.

ვან ბოგარტ-მილის სინდრომი — დაავადება, რომელიც ხასიათდება ფრიდრეიხის მემკვიდრეობითი ატაქსიის (იხ.), მიოკლონიური ეპილეფსიის, არაქნოდაქტილიისა და ოლიგოფრენიის შერწყმით.

ვან ბოგარტ-ოზეს სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადებაა, ახასიათებს სახის ძვლების ანომალია, კიდურთა დამოკლება, კანის ბადისებრი პიგმენტაცია, ასევე თავის ტვინის ზრდაში დაუსრულებლობა კრუნჩხვებით და ინტელექტის დაქვეითებით.

ვან ბურენის დაავადება — მამაკაცის სასქესო ორგანოს (ასოს) პლასტიკური გამკვრივება (ინდურაცია), იწყება 40—60 წლის ასაკში ასოს დორზალური ზედაპირის ელასტიკური გამკვრივებით, შემდგომში ხრტილოვანში გადასვლით. თან სდევს ერექციის მოშლა და იმპოტენცია. სინონიმებ: დე ლა პეირონის დაავადება, ფიბროზული კავერნიტი, ასოს ფიბროზული ინდურაცია, ასოს სკლეროზული ფიბროზი.

ვან ბუხემის სინდრომი — მემკვიდრეობითი გენერალიზებული ჰიპეროსტოზია აკრომეგალური ნიშნებით. თავს იჩენს პუბერტატული პერიოდის შემდეგ აკრომეგალიისთვის დამახასიათებელი გარეგნული სიმპტომებით: ნიკაპის, ცხვირის, ლავიწის ძვლების, თითების გადიდება. შემდგომ თან ერთვის სმენის მწინვნელოვანი დაქვეითება, ეგზოფტალმი, სახის ნერვის ინტერმიტირებადი პერიფერიული დამბლა, რაც კავშირშია კეფის დიდი ხვრელის შევიწროებასთან და თავის ქალას ფუძის გასქელებასთან. რენტგენოლოგიურად ვლინდება გენერალიზებული ჰიპეროსტოზი. სისხლში კალციუმის და ფოსფორის შემცველობა ნორმალურია, გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული წესით.

ვან გოგის სინდრომი — ფსიქიკური ავადმყოფი თავის თავს იზიანებს (სხეულის ნაწილის მოკვეთა, ჭრილობები), ანდა გადაჭრით მოითხოვს ექიმისაგან ჩაუტარონ ქირურგიული ოპერაცია, რაც გამოწვეულია ჰიპოქონდრიული მანიით, ჰალუცინაციებით, იმპულსურ გამოლინებებით.

ვან დერ ვუდის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიებს შერწყმა: ქვედა ტუჩის სიმეტრიულად განლაგებული ლორწოვანი კისტომები, ზედა სასის გახლეჩვა (ზოგჯერ ზედა ტუჩისაც.).

ვან დერ ჰუვეს სინდრომი I — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია ძვლების მტვრევადობა, რასაც მოსდევს ჩონჩხის დეფორმაცია, (სმენის დაქვეითება) პროგრესირებადი ოსტეოსკლეროზის გამო და სკლერების მორუხო-მოცისფრო შეფერილობა, რაც გამოწვეულია სკლერების გათხელებით და მათი გამჭვირვალობის მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ჰუვეს სინდრომი, „ლურჯი სკლერების სინდრომი“.

ვან დერ ჰეუვეს სინდრომი II — ხასიათდება განვითარების შემდეგი მანკებით: ქუთუთოებეზი შიგნითა კიდეების გადაადგილება საფეთქლისაკენ, წარბების რკალის ნაწილის ჰიპერტროფია, სხვადასხვა ფერის ფერადი გარსი, შემოფარგლული ლეიკოდერმია, სიყრუე ან ყრუმუნჯობა. უფრო იშვიათად: ნისტაგმი, სიელმე, ეპიკანტუსი. სინონიმები: ვაარდენბურგის სინდრომი, ჰალბერსტრემ-ვაარდენბურგის სინდრომი, ვაარდენბურგ-კლაინის სინდრომი.

ვან ვიკ-გრაჰბახის სინდრომი — ენდოკრინულ სიმპტომთა კომპლექსი, სავარაუდოა მემკვიდრეობითობა. ნიშნები: თვიურის ნაადრევი დაწუება, ჰიპოთირეოზი, გალაქტორეა, სიმფიზის მიდამოს ჯთმიანობა, თურქული კეხის გაფართოება.

ვანერის ნიშანი — ძვლის მიერ ხმიანობის გატარების გაუარესება, როცა სმენის ორგანო არ არის დაზიანებული. თავის ტვინეს დაზიანების მაჩვენებელია.

„ვანკა-ვსტანკას" სიმპტომი — ელენთის გასკდომის შემთხვევაში ავადმყოფს ეჭირს წოლა და ამ მდგომარეობაში ყოფნისას საწოლშეე წამოჯდება. ასე იქცევა ყოველ დაწოლის მცდელობაზე. ეპონიმურად კავშირშია ცნობილ რუსულ სათამაშო „ვანკა-ვსტანკასთან".

ვან კრეველდის სინდრომი — ნახშირწყლოვანი ცვლის მოშლა ღვიძლში, თირკმლებში, მიოკარდიუმში გლიკოგენის დაგროვებით და მისი აუთვისებლობით. თან სდევს ფიზიკური განვითარების ჩამორჩენა, ჰეპატონეფრომეგალია, ჰიპოგლიკემია, მომატებული მგრძნობელობა ინსულინის მიმართ. აღინიშნება აგრეთვე კეტოაციდოზი, ჰიპერქოლესტერინემია, ოსტეოქონდროზი. სინონიმი: გირკეს დაავადება, ანუ სინდრომი.

ვან ლოჰეიზინის სინდრომი—სისხლძარღვთა მემკვიდრეობითი დისპლაზია პროგერიით. ნიშნები: დაბადებისას ქალალდივით თხელი კანი სისხლძარღვოვანი სურათით, არ არის კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი; დამახასიათებელია ჰიდროცეფალია, ეგზოფტალმი, მიკროგენია, ცისფერი სკლერები, მუცლის დარბილება, სისხლში ჰიპერკალციემია. სიმპტომები არ პროგრესირებს, ამიტომ საერთო განვითარება მიმდინარეობს შედარებით ნორმალურად.

ვან ნეკის დაავადება — ოსტეოქონდროპათია, რომელიც ლოკალიზებულია ბოკვერის ძვლის დაღმავალი ტოტის და საჯდომი ძვლის აღმავალი ტოტის შეერთების ადგილზე.

ვანოტის მიოპორფირია — პორფირინის ცვლის დარღვევის შედეგია. მიმდინარეობს კანის თანდაყოლილი პორფირიის ფორმით. დამახასიათებელია მწვავე ან გვიანი კლინიკა. მწვავე ფორმისას არის მუცლისმხრივი (ქვალა, შებერვა, ღებინება), ნევროლოგიური (პოლინევრიტი, პარეზები, კრუნჩხვები, გულყრა და სხვ.), კუნთებისმხრივი (ატროფია, ტკივილი, დეგენერაციული რეაქციები), ფსიქიკური (ნევროზული სინდრომები, დეპრესიული მდგომარეობა, ფსიქიკური დარღვევები), სიმპტომები: შარდის პათოგნომონური ინგრედიენტებია უროპორფირინი და პორფობილინოგენი. სინონიმი: ვალდენსტრემ-ვალკრეისტის დაავადება.

ვან სლაიკის მეთოდი — სისხლის ტუტოვანი რეზერვის გამოკვლევის

მეთოდი, დამყარებულია პლაზმის მიერ ნახშირორჟანგის შეკავშირების უნარზე.

ვანცეტის სიმპტომი — გამოხატული სკოლიოზი მენჯის ნორმალური მდებარეობით ავადმყოფის ფეხზე დგომის დროს. აღინიშნება იშიასის დროს.

ვარგას კისტა—განვითარების ანომალია, გამშვირვალე ძგიდის კისტა— თაიის ტვინის გამშვირვალე ძგიდის ფურცლებს შორის სითხის დაგროვება.

ვარდენბურგის სინდრომი — ცეფალოდაქტილია, დისცეფალოდაქტილია. განვითარების მემკვიდრეობითი ანომალიების კომბინაცია. სავარაუდოა აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: ორმხრივი ჰიდროფტალმი, ჰიპერტელორიზმი, კოშკისებრი თავის ქალა, „თუთიყუშის ცხვირი", გაპობილი სასა, ქვედა ყბისა და ნიკაპის ჰიპოპლაზია, კბილების პათოლოგიური განლაგება, ყურებისა და ლავიწის ანომალიები, გულის თანდაყოლილი მანკები, ცრუ ჰერმაფროდიტიზმი, კრიპტორქიზმი, ჰიპოსპადია, იდაყვისა და მუხლების კონტრაქტურა, სინდაქტილია — ყველა კიდურზე, ტუჩების გახლეჩვა, გვიანი სიყრუე. სინონიმი: ფოგტის სინდრომი, ანუ ფოგტის დისცეფალოდაქტილია.

ვარდენის მაკრატლის სიმპტომი — გამართული ფეხების პასიურად განზე გაწევისას წარმოქმნილი ტკივილისა და წინააღმდეგობის რეაქცია. კოქსიტის ადრეული ნიშანი. სინონიმი: მაკრატლის სიმპტომი.

ვარიკოზული დაავადება — ქვედა კიდურთა ვენების ვარიკოზული გაფართოება თავმოყრილია ვარიკოზული დაავადების სახელწოდებით. მათი რეცხვი ქირურგიულ განყოფილებაში მნიშვნელოვნად მატულობს.

ვარლამოვის სიმპტომი — ტკივილის აღმოცენება მარჯვენა ფერდქვეშა არეში, როცა მარჯვნივ XII ნეკნის არეში ვაწარმოებთ მსუბუქ პერკუსიას უკანა აქსილარულ ხაზზე. ქრონიკული აპენდიციტის შესაძლო ნიშანია.

ვარსკვლავური დაავადება—ეპილეფსია. საქართველოში მას უწოდებენ ბნედას, ავზნეს, გვემულობას, გულყრას. შორეულ წარსულში ეპილეფსია მიაჩნდათ წმინდანთა დაავადებად. შემდგომში დადგინდა, რომ ადამიანის გარდა კრუნჩხვითი შეტევები ემართებათ თხებსა და ღორებს, ამიტომ ამ დაავადების ასეთი წარმომავლობა დიდი ხანია ეჭვქვეშ დააყენეს, მაგრამ ტერმინი მაინც ძალაში დარჩა. სინონიმები: ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, წმინდანთა დაავადება, მთვარის დაავადება, კომიტეტის დაავადება, ჰერკულესის დაავადება.

ვარტენბერგის რეფლექსი — მხედველობითი, ხმოვანი, მტკივნეული და სხვა სახის გაღიზიანების საპასუხოდ ადგილი აქვს თვალისირგვლივი კუნთის შეკუმშვას და თვალების დახუჭვას. განეკუთვნება დაცვის ფიზიოლოგიურ რეფლექსთა ჯგუფს.

ვარტენბერგის რეფლექსი ცერისა — ექიმი მარცხენა ხელით იჭერს ავადმყოფის სუპინირებულ წინამხარს და სთხოვს, მოხაროს ბოლო 4 თითი მეორე და მესამე ფალანგში, თვითონ კი მარჯვენა ხელის იმავე თითებით წინააღმდეგობას უწევს მოხრაში. პირამიდული სისტემის დაზიანე-

ბის დროს აღინიშნება ცერის მოხრა ბოლო (ფრჩხილის), ნაწილობრივ კვ. ძირითადი ფალანგის სახსარში.

ვარტენბერგის ხაჯდომჟ ნერვის სიმპტომი — საჯდომი ნერვის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება ლასეგის სიმპტომის (იხ.) გამოწვევის დროს, თე მუხლში გაშლილ ფეხს შეპოვატრიალებით შიგნით.

ვარტენბერგის სინდრომი I — პარაესთეზიკური ნევრალგია. ბრაქიალგიის ნაირსახეობა. კლინიკა: ძილიდან რამდენიმე საათის შემდეგ ხელისგულების ტკივილი და დიზესთეზია. მოძრაობის დაწყებისას სიმპტომები ქრება. ახასიათებს წლების მახძილზე გარდამავალი მიმდინარეობა. აღნიშნებათ უპირატესად ასაკოვან ქალებს.

ვარტენბერგის სინდრომი II — მცოცავი პოლინევრიტი, მცოცავი ნევრიტი. ახასიათებს გარდამავალი ტკივილი მხრებსა და ხელისგულებში, ხანმოკლე ტკივილი ასევე სხეულის სხვა ნაწილებში, რაც დაკავშირებულია ბარძაყის კანის ნერვთან, ასევე ჩამკეტ და ბარძაყის ნერვთან.

ვარტენბერგის ჭანაობის სიმპტომი — ერთი თვალის ზემო ქუთუთოს აწევა და დაწევა მეორე თვალის ზემო ქუთუთოს პასიური აწევით ან დაწევით. ვირუსული ენცეფალიტას ნიშანი. სინონიმი: ლეშჩენკოს სინკინეზია.

ვასერმან-პოზიტიური სინდრომი — ანთებითი კერები ფილტვებში, მიმდინარე ვასერმანის დადებითი რეაქციით. აღინიშნება ხველება, სისუსტე, ანორექსია, სუბფებრილიტეტი, მსტვინავი, მოგუგუნე ან სველ ხიხინი ფილტვებში. ედს-ი მომატებულია. უმეტესად ემართებათ ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებს. შესაძლებელია ელენთას გადიდება და ცერებრული მოვლენები. სინონიმები: ფანკონი-ჰეგლინის სინდრომი, ჰეგლინის სინდრომი II.

ვასერმანის რეაქცია — ათაშანგის სეროდიაგნოსტიკის მეთოდი, დამყარებულია ათაშანგით ავადმყოფის სისხლის შრატის თვისებაზე, წარმოქმნას შესაბამის ანტიგენთან კომპლექსი, რომელიც აბსორბირებს კომპლემენტს. წარმოადგენს კომპლემენტის შეკავშირების რეაქციის ნაირსახეობას.

ვასერმანის სიმპტომი — ძლიერი ტკივილის წარმოშობა საზარდულის არეში და ბარძაყის წინა ზედაპირზე, როცა ავადმყოფი წევს მუცელზე და ფეხებს მუხლის სახსარში მართავს. დამახასიათებელია ბარძაყის ნერვის ნევრიტისათვის.

ვასილენკოს გასტრო-ინტესტინალური სინდრომი—დისპეფსიური დარღვევების წარმოშობა, კუჭის ეროზიები და წყლულები, კუჭიდან სისხლდენები მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

ვასილენკოს პალპაციის მეთოდი — მსხვილი ნაწლავის აღმავალი ნაწილების ღრმა, მცოცავი პალპაციის ბიმანუალური მეთოდი. ამ დროს პალპაციისაგან თავისუფალი ხელისგული დადებულია გამოსაკვლევი პაციენტის ზურგზე, ნაწლავის სათანადო არის პროექციის მიდამოში, მაჯი მოძრაობის შესაზღუდავად.

ვასილენკოს ნიშანი I — მაქსიმალური შესუნთქვისას ტკივილის გრძნობა მუცლის ფარზე, ნაღვლის ბუშტის საპროექციო არეზე მსუბუქი დარტყმის დროს. ქოლეცისტიტის ნიშანი.

ვასილენკოს ნიშანი II — სამკარიანი სარქველის გამოხატული უკმარისობისას საულღე ბორცვის პალპაციის დროს შეიგრძნობა პულსური ბიძგი.

ვასილენკოს სიმპტომი — მუცლის დარტყმითი პალპაციის დროს უკეე უზმოზე ისმის შხეფის ხმა. პილორუსის სტენოზის ნიშანია.

ვასილიევის სინჯი — გამოიყენება ცდომილი წერვის გასაღიზიანებლად, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის შეტევის მოსახსნელად. ამისათვის წარმოებს ზეწოლა თვალის კაკლებზე.

ვასილიევ-ვეილის დაავადება — სინონიმები: ვეილის დაავადება (იხ.), მატიეს დაავადება, ფიდლერის დაავადება, ლანდუზის დაავადება.

„ვაშლის ჟელეს" ფენომენი — კანში ბორცვების მოყვითალო-მოყავისფრო შეფერვა, გამოელინებული დიასკოპიით. ჩვეულებრივი მგლურას ან ლეიშმანიოზის ნიშანი.

ვაქეზის დაავადება — ჰეშმარიტი პოლიციტემია, ერიტრემია, დაავადება გამოწვეული ძვლის ტვინის ჰიპერპლაზიით (უპირატესად ერითროციტული მორჩისა). ხასიათდება ერითროციტოზით, ლეიკოციტოზით, ცირკულაციაში არსებული სისხლის მასის და ჰემოგლობინის რაოდენობის მომატებით, თრომბოციტოზით. ვლინდება კანის საფარის მკაფიო გაწითლებით, კანის ქავილით, თრომბოზისადმი მიდრეკილებით, სპლენომეგალიით. სინონიმები: ოსლერ-ვაქეზის დაავადება, ვაქეზ-ოსლერის დაავადება, ოსლერის დაავადება.

ვაქეზის მტკივნეული წერტილი — ანუ ვაქეს მტკივნეული წერტილი — უბანი შემოფარგლული მტკივნეულობისა ზეწოლის დროს (უფრო იშვიათად მუდმივი ტკივილი ან ტკივილი ფიზიკური დაძაბვისას). განლაგებულია ბეჭის მედიალურ კიდესა და ხერხემლის გვერდით ხაზს შორის მარცხნივ მერვე — მეათე ნეკნთაშუა არეებს შორის. აღინიშნება მიტრალური დაავადების დროს. მიზეზია უკანა შუასაყრის ნერვული წარმონაქმნების გაღიზიანება გადიდებული მარცხენა წინაგულით.

ვაქეზ (ვაქე)-ესმეინის სინდრომი — სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის ნაირსახეობა. ნიშნები: მაკიკი, კიდურთა დისტალური ნაწილების პარესთეზიები, დიპლოპია, რადიკულარული ტკივილი, ცალმხრივი ან ორმხრივი იშიალგია.

ვაქეზ-ოსლერის დაავადება — სინონიმები: ოსლერ-ვაქეზის დაავადება, ვაქეზის დაავადება (იხ.), ოსლერის დაავადება.

ვებერის სინდრომი — მოალტერნირე პედუნკულური სინდრომი თვალის მამოძრავებელი ნერვის ფესვების და პირამიდული გზების ტვინის ფეხების დონეზე დაზიანების დროს. აღინიშნება: პტოზის, მიდრიაზის და განზიდვითი სიელმის შერწყმა დაზიანების კერის მხარეზე, მოპირდაპირე მხარეზე კი ჰემიპლეგია, ჰემიპარეზი და ჰემიანესთეზია. სინონიმი: ვებერ-გიუბლერ-ჟანდრეს სინდრომი.

ვებერის შეგრძნობადი რგოლები — კანის უბნები, რომელთა შორის ორი ერთდროული შეხება აღიქმება როგორც ერთი.

ვებერ-გიუბლერ-ჟანდრეს სინდრომი — იხ. სინონიმი: ვებერის სინდრომი.

ვებერ-დიმიტრის სინდრომი — თანდაყოლილი შერწყმა პარკ-ვებერის სინდრომისა ჰიდიოტიზმთან და ეპილეფსიასთან.

ვებერ-კოკეინის სინდრომი — დამახასიათებელია ხელის მტევნებსა და ფეხის ტერფებზე პერიოდულად, განსაკუთრებით ზაფხულობით, სხვადასხვა ზომის ბუშტუკების გამოყრა. შეხორცება ხდება დანაწიბურებისა და პიგმენტაციის გარეშე. სინონიმები: ვესერენის სინდრომი, ლუტცის სინდრომი.

ვებერ-კრისჩენის დაავადება — პანიკულიტი მორეციდიული ცხელებადი, რომელიც არ ჩირქდება, ქრონიკული მორეციდიული ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. ახასიათებს მკვრივი მტკივნეული კვანძების წარმოშობა კანქვეშ (უფრო იშვიათად — სხვა ორგანოებში, უმთავრესად ცხიმოვან ქსოვილში), რომელიც განიცდის თანდათანობით ფიბროზს და ატროფიას. ახასიათებს ცხელება და ლეიკოპენია. სინონიმი: პფეიფერ-ვებერ-კრისჩენის სინდრომი.

ვებერ-რანდიუ-ოსლერის დაავადება — სისხლძარღვთა თანდაყოლილი დაავადება, ხასიათდება კაპილარების გაფართოებით, რაც მიზეზი ხდება სისხლდენისა ჰემორაგიული დიათეზის მოვლენების გარეშე. ვიზუალურად შეინიშნება გაგანიერებული კაპილარების ქსელი როგორც ხილულ ლორწოვანაზე, ასევე შინაგან ორგანოთა ლორწოვან გარსებზე. სისხლდენას ადგილი აქვს ცხვირიდან, ფილტვებში, კუჭ-ნაწლავში და ა. შ. და შესაძლოა განვითარდეს უმნიშვნელო ტრავმის შედეგადაც კი. შესაძლოა ღვიძლისა და ელენთის გადიდება. ამ დროს განვითარებული ანემია ჰიპოქრომულია. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: რანდიუ-ოსლერის დაავადება, ოსლერის დაავადება.

ვეგელინის მეტასტაზირებადი ადენომა ფარისებრივი ჯირკვლის — ფარისებრი ჯირკვლის მეტასტაზირებადი ფეტალური ადენომა, რომელშიც გვხვდება ცილინდრული ფორმის უჯრედებით მდიდარი უბნები. აქვს დვრილისებრი შენება.

ვეგენერის გრანულომატოზი — აეთეისებიანი გრანულომა, არაინფექციური ნეკროზული გრანულომატოზი — დაავადება უცნობი ეტიოლოგიისა, სავარაუდოა მისი ტოქსიკურ-ალერგიულობა, და ახლოა კოლაგენოზებთან. ახასიათებს დესტრუქციულ-პროლიფეცარიული ვასკულიტი — კვანძოვანი პერიარტერის ტიპისა და გრანულომატოზური პროცესი ნეკროზითა და დანაწიბურებით ზედა სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე უფრო იშვიათად ფილტვებში, ხახასა და საყლაპავში, უპირატესად გვხვდება 20—50 წლის ასაკოვანებში.

ვეგენერის სინდრომი — მიეკუთვნება კვანძოვან პერიარტერიტს. აღინიშნება ტრიადა: I. ცხვირის დაზიანება (რინიტი, სინუსიტი, ცხვირის ძვლებისა და ხრტილის დაწყლულებით); 2. ვასკულიტი ფილტვებში; ვ. თირკმლების დაზიანება — თირკმლების უკმარისობის განვითარება. სინონიმი: ვეგენერის გრანულომატოზი.

ვეგნერის დაავადება, ანუ ოსტეოქონდრიტი — სიფილისური ცრუ დამბლა—თანდაყოლილი ათაშანგის გამოვლინება ბავშვებში სიცოცხლის პირველ თვეებში. მათ არა აქვთ აქტიური მოძრაობები სახსრებში და მტკივ-

ნეულობა პასიური მოძრაობების დროს. მიზეზია გუმები გრძელი ღულოვანი ძვლების ეპიმეტაფიზებში. აღინიშნება მიდრეკილება მოტეხილობებისადმი. სინონიმები: პაროს ფსევდოდამბლა, პაროს დაავადება, ვეგნერ-კორზუნის სიფილისური ოსტეოქონდრიტი.

ვეგნერ-კორზუნის სიფილისური ოსტეოქონდრიტი — სინონიმები: პაროს დაავადება, ვეგნერის დაავადება ანუ ოსტეოქონდრიტი (იხ.).

ვეიგერტის ტუბერკულეზი — გულის მილიარული ტუბერკულოზის მორფოლოგიური სიმპტომი ენდოკარდის ქვეშ ტუბერკულის არსებობით.

ვეიდენფელდის ისტერიული პემფიგუსი — დისმენორეული სიმეტრიული დერმატიტი, რომლის ეტიოლოგია უცნობია. გეხვედება ახალგაზრდა ქალებში მენსტრუაციის არასწორე ტიპით, სქესობრივი მომწიფების პერიოდში. საეარაუდოა ენდოკრინული და ნეიროტროფიკული დარღვევების მნიშვნელობა. მიმდინარეობა მწვავე. აღინიშნება გამონაყარე სიმეტრიულად სახესა და ხელებზე და ვითარდება სულ რამდენიმე საათში. ერითემატოზურ-პროლიფერაციულ ცვლილებებს ემატება ეპირდემისის ნეკროზე. რამდენიმე დღეში ვითარდება შეხორცება, რასაც თან ახლავს პიგმენტაცია. სინონიმები: ბენიე-რენოს განგრენოზული ურთიკარია, მატცენაურ-პოლანდის სინდრომი, როგის პაპულოზურ-ნეკროზული მორეციდივე ურთიკარია, დრაიერ-ველშის აკნე.

ვეიზენბერგ-სიკარ-რობინოს სინდრომი — გლოსოფარინგული ნევრალგია, ნევრალგია ენა-ხახის ნერვისა. გამოვლინდება ტკივილის მოულოდნელი წარმოშობით ენის ძირსა, ხახასა და რბილ სასაში ცხელი, ცივი ან მკერივი საკვების მიღების, ლაპარაკის, ხველებისა ან მთქნარების დროს. სინონიმები: სიკარ-რობინოს სინდრომი, სიკარის სინდრომი.

ვეიერსის სინდრომი I — განვითარების ანომალიების შერწყმა: ჰექსოდაქტილია, მაჯის ძვლების შეხორცება და ქვედა ყბის გაპობა.

ვეიერსის სინდრომი II — განვითარების ანომალიების შერწყმა: მიკროფთალმი, სახის ასიმეტრია, სოლისებური ხერხემ—ის მალები, ნეკნთა შეერთების ანომალიები და ხერხემლის გამრუდება.

ვეილის დაავადება — იწვევს იქტეროჰემორაგიული ლეპტოსპირა. დასნებოვნება ხდება ლორწოვანიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. ბუნებაში გამომწვევის რეზერვუარი ძირითადად თაგვებია. ინკუბაციური პერიოდი-8-15 დღე. დასაწყისი უეცარია, შემცივნებით ტემპერატურით 40°-მ-დე. კლინიკური ნიშნები: თანის და კუნთების ტკივილი, მრავლობითი ჰემორაგიები კანში, ლორწოვანში და კონიუნქტივში, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, სიყვითლე, მომდევნო პერიოდში ნეფრიტის სიმპტომები. დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა. სინონიმები: ვასილიევ-ვეილის დაავადება, მატიეს დაავადება, ლანდუზის დაავადება, ფიდლერის დაავადება.

ვეილის სიმპტომი — ფილტვებში დიდი ღრუს არსებობისას პერკუსიით მიღებული ტიმპანიური ხმიანობის შენაცვლება მიყრუებული ხმიანობით, როცა ავადმყოფი ჰორიზონტალური მდებარეობიდან გადადის ვერტიკალურში. ღრუში სითხის არსებობის ნიშანი.

ვეილ-კლერკის დაავადება — ერითრომიელოზის ფორმა. ახასიათებს

ანემია, ჰემორაგიები, ჰეპატოსპლენომეგალია, სისხლში მრავლობითად ნორმობლასტები, ერითროციტები, რომლებიც შეიცავენ კებოტის რგოლებსა და ჟოლის სხეულაკებს. გვხვდება მოზრდილებში.

ვეილ-მარკენაზის სინდრომი — ჩემკვიდრეობითი დაავადება, აუტოსომურ-რეცესიული გადაცემით. დამახასიათებელია დაბალი ტანი, განუვითარებელი კიდურები, ბრაქიდაქტილია, თვალის ცვლილებები (სფეროფაკია, მიკროფაკია, გლაუკომა, აკომოდაციის დარღვევა). სინონიმები: მარფანის გაუკუღმართებული სინდრომი, შაკვანაზის სიხდრომი.

ვეილ-რეია-ეიდის სინდრომი — კონსტიტუციური არეფლექსია, ჰუნილოტონიური ცრუტაბესი — სიმპტომოკომპლექსი შესამებული ჩვეულებრივ გუგის რეაქციის ცალმხრივ შენელებით კონვერგენციაზე — ანიზოკორიასთან და გუგის ზომის ცვლილებასთან დღის შანძილზე. ქვედა კიდურებზე მყესთა რეფლექსები არ იწვევა ან შესუსტებულია (იშვიათად ზედა კიდურებზე), აღინიშნება უფრო ხშირად ქალებში. სინონიმები: არგაილ-რობერტსონის ცრუ სინდრომი, ეიდის სინდრომი.

ვეილ-სერახ დაავადება — მეელოლეიკოზის ატიპიური ფორმა. ახასიათებს ლეიკოციტოზი 40 000-მდე 1 მმ³ 60—90% მომწიფებული ნეიტროფილებით და სისხლში ნეიტროფილური და ეოზინოფილური მეტაპლაზიით, აგრეთვე ძვლის ტვინში გრანულოციტების გამოკვეთილი სიჭარბით.

ვეილ-ფელიქსის რეაქცია — პარატიანი ტიფის და ზოგიერთი სხვა რიკეტსიოზების დიაგნოსტიკური მეთოდი. დამყარებულია ავადმყოფის სისხლის შრატის აგლუტინაციის რეაქციაზე დიაგნოსტიკუმებთან პროტეის შტამებიდან.

ვეინბერგის და გედინის რეაქცია — სეროლოგიური რეაქცია ექინოკოკოზის დროს. დამყარებულია კომპლემენტის ფიქსაციაზე. ანტიგენად იხმარება ადამიანის ან ცხოველის ექინოკოკის ბუშტის სითხე, რომელსაც შესანახად ემატება 0,5% კარბოლის მჟავა. ხმარების წინ ამოწმებენ ანტიგენს დაავადებული და საღი ადამიანის სისხლის შრატით და იკვლევენ მის ტიტრს. დიაგნოსტიკური ღირებულება აქვს მხოლოდ მკაფიოდ გამოხატულ რეაქციას.

ვეინგარტენის სინდრომი — ტროპიკული ეოზინოფილია. დაავადება ვრცელდება თანდათანობით, საერთო სისუსტით, შემდეგში ვლინდება უმადობა, სიგამხდრე, ცხელება — კვირეებისა და თვეების მანძილზე, მშრალი ხველება ასთმოიდური შეტევებით, რენტგენოლოგიურად ფილტვების წვრილმელარული სურათი, ელენთა გადიდებულია, მეტნაკლებად გადიდებულია ყველა ლიმფური კვანძი. თან ახლავს ფაღარათი, ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია (60—80%), ხშირად დადებითია ვასერმანის რეაქცია. მიმდინარეობა ხანგრძლივი პერიოდული გამწვავებით. გვხვდება ყველა ასაკში. სინონიმი: ფრიმონდ-მელერის სინდრომი.

ვეირ-მიტჩელის სინდრომი — ვეირ-მიტჩელის დაავადება. ერითრომელალგია. ლოკალური ვაზომოტორული ნევროზი. შეტევისებრი მწვავე, მწველი, უმთავრესად ღამის ტკივილები ქვედა კიდურებზე. გაწითლება და შეშუპება რბილი ქსოვილისა, დაზიანებული უბანი უფრო თბილია, დაფარულია ოფლით, აღინიშნება ჰიპერესთეზია. თანდათან ჩნდება ცვლილე-

ბები კანზე (ეროზია, მელანოზი, გამკვრივება) ფრჩხვლების, ძმების და ასევე ძვალის. უპირატესად აღინიშნება მამაკაცებში, ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებისა და ჰიპერტონიული სნეულების დროს. მიზეზია სისხლძარღვთა გაფართოება. სინონიმები: გერჰარდტის დაავადება, მიტჩელის სინდრომი.

ვეის-ედელმანის სიმპტომი — ტერფის დიდი თითების უნებლიე გაშლა კერნიგის სიმპტომის გამოწვევის დროს. არ აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების შემთხვევაში.

ვეისმანის სიმპტომი — თვალდახუჭულ ავადმყოფს არ შეუძლია თავის ფეხს მისცეს ისეთი მდებარეობა, როგორსაც აძლევს მის მეორე ფეხს ექიმი. აღინიშნება ნათხემის დაზიანების დროს. სინონიმები: ჰოფ-შილდერის ფენომენი, „მიბაძვის ცდა".

ვეისმან-ნეტერის სინდრომი — ვეისმან-ნეტერის დიზოსტოზი. მემკვიდრეობითი დიზოსტოზის ნაირსახეობაა. შესაძლოა გადაეცეს აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. ბავშვი სიარულს იწყებს მხოლოდ ორი-ოთხი წლის ასაკში. წვივის დიდი და მცირე ძვლები გაღუნულია საგიტალურ სიბრტყეში, დიაფიზების კორტიკალური სუბსტანციები გასქელებულია. სიმაღლეში დისპროპორციულად ვითარდება, ანდა ადგილი აქვს ქონდრისკაცობას, წელის მეხუთე მალა დეფორმიულია, მენჯი შენაცვლებულია. ტკივილი და მოძრაობის დარღვევა არ აღინიშნება.

ვეისმან-ნეტერ-შტულის ტოქსოპახიოსტეოზი — თანდაყოლილი ოჯახური ოსტეოპათია, რომელიც მდგომარეობს ძვლების გამრუდებაში და გასქელებაში.

ველანდერის სინდრომი — კუნთების ფსევდომიოპათიკური ატროფია, კუნთების იუვენილური პროგრესირებადი ატროფია. ქრონიკულად მიმდინარე მემკვიდრეობითი პროქსიმალური კუნთოვანი ატროფია. გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური ან რეცესიული ტიპით. დაკავშირებულია ზურგის ტვინის წინა რქების მოტონეირონების დაზიანებასთან, მათი ატროფიით, რაც ვლინდება უკვე ბავშვებში ან მომწიფების პერიოდში ჯერ მხრის და ბარძაყის, ხოლო შემდეგ წვივის კუნთების ატროფიის, სისუსტით და წინამხრის ფიბრილური შეკუმშვებით, შესაძლოა განვითარდეს წინამხრისა და წვივის კუნთების ფსევდოჰიპერტროფია. აღინიშნება ჰიპერკრეატინურია. სინონიმები: კუგელბერგ-ველანდერის დაავადება, ვოლფარტ-კუგელბერგ-ველანდერის სინდრომი.

ველანდერის ფორმა მიოპათიის — მემკვიდრეობითი დისტალური გვიანი მიოპათია — ნელი პროგრესირებადი მიმდინარეობით. ხასიათდება კიდურთა დისტალური ნაწილების დაზიანებით და ვლინდება 40—60 წლის ასაკში.

ველიამინოვის დაავადება — თირეოტოქსიკური მასტოპათია, ისტერიული მასტოპათია, სარძევე ჯირკვლების ისტერიული ხიმსივნე, რომელიც გამოწვეულია საკვერცხეების ჰორმონული აქტიობის დარღვევით თიერეოტოქსიკოზის დროს.

ვენდეროვიჩის სიმპტომი — ხელის მტევნის IV და V თითებზე მომტანი კუნთების ძალის დაქვეითება. აღინიშნება პერამიდული გზების დაზიანების დროს.

ვენეკლაასის სინდრომი — დანტობრონქიტი, დენტოპულმონური სინდრომი. ქრონიკული ბრონქიტი კბილების გამოხატულ ინფექციის დროს. კლინიკა: ხანგრძლივი ხველება, დილით შეტევის სახით, ქრონიკული ხანგრძლივი ინფექცია, პაროდონტოზი, ლიმფატიკურ-ექსუდატიური დიათეზი, ედს-ნორმალური ან მომატებული, შედარებითი ლიმფოციტოზი. რენტგენოლოგიურად — ფილტვის კარის სიმეტრიული გამკვრივება ფილტვების გაძლიერებული სურათით. ძირითადად ავადმყოფობენ სარძევე კბილებიანი ბავშვები.

ვენერას სამკაული (ვენერას მძივი) — უპირატესად კეფის არეში ლოკალიზებული ფურუნკულები და ლეიკოდერმები, რომელთაც ადგილობრივი ხასიათი აქვს, ზომით პატარაა და გარშემორტყმულია ჰიპერპიგმენტირებული ზონებით. თან ახლავს ნათელი ლაქები. ყველაზე ხშირია ათაშანგის დროს.

ვენესუელას ცხენის ენცეფალიტი — ვენესუელას ცხენის ენცეფალომიელიტი. ცხენის ცხელება. ვენესუელას მწვავე ინფექციური ენცეფალიტი. იწვევს არბოვირუსი ანტიგენური A ჯგუფიდან. ადამიანში ჩვეულებრივ მიმდინარეობს ხანმოკლე ცხელებით, მენინგეალური მოვლენებით და ცნობიერების მსუბუქი დაბინდვით, ზოგჯერ მძიმე ენცეფალომიელიტური ფორმით. გვხვდება ლათინური ამერიკის ეკვატორულ ნაწილში.

ვენკებახის კონა — ბოჭკოთა კონა, განლაგებული მარჯვენა წინაგულის კედელში. განეკუთვნება გამტარ სისტემას.

ვენკებახის სიმპტომი — გულ-მკერდის წინა ნაწილის შედარებითი ჩავარდნა შესუნთქვის დროს. მიზეზია გულ-მკერდის წინა მასიური შეხორცებები. აღინიშნება წინა მედიასტინიტის, შეხორცებითი პერიკარდიტისა და ა. შ. დროს.

ვენკებახ-ხამოილოვის პერიოდი — გულის მუშაობის პერიოდების განმეორება, რომლის დროსაც ხდება მის ყოველ ციკლში წინაგულიდან პარკუჭებში იმპულსის გატარების დროს მატება მის სრულ შეწყვეტამდე — გამტარი სისტემის რომელიმე მონაკვეთში. ამის შემდეგ გამტარიანობა დროებით აღსდგება და აღწერილი პროცესი მეორდება. სინონიმები: ვენკებახის პერიოდები, სამოილოვ-ვენკებახის პერიოდები.

ვენსანის ანგინა — წყლულოვან-საფარიანი ანგინა, ფინლანდიური ანგინა, რომელსაც იწვევს სიმბოლიზმში მყოფი თითისტარისებრი პლაუტ-ვენსანის ბაქტერია და ვენსანის სპიროქეტა. ხასიათდება ნუშისებრი ჯირკვლების ზედაპირული დაწყლულებით, რაც დაფარულია უსუფთაო — მომწვანო ნადებით და რომელსაც პუტრიდული სუნი დაჰკრავს. სინონიმები: სიმანოვსკი — პლაუტ-ვენსანის ანგინა, ვენსან-სიმანოვსკის ანგინა.

ვენსანის სიმპტომი — ანესთეზია ან პარესთეზია ქვედა ტუჩის ნახევარისა და ნიკაპის მიდამოში, ქვედა ალვეოლური ნერვის ბოჭკოების გა-

წყეტის, ანთების ანდა მათზე ზეწოლის დროს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ქვედა ყბის ქსოვილთა პათოლოგიურმა ცვლილებებმა.

ვენსან-სიმანოვსკის ანგინა — სინონიმები: სიმანოვსკი-პლაუტ-ვენსანის ანგინა, ვენსანის ანგინა (იხ.).

ვერაგუთას სიმპტომი — ზედა ჭუთუთოს შიგნითა მხარეს ნაოჭის არსებობა მძიმე დეპრესიის დროს.

ვერბოვის სიმპტომი — ლასეგის სიმპტომის (იხ). გამოწვევის დროს ადგილი აქვს დუნდულოს კუნთების სინერგულ შეკუმშვას, რის გამოც დაზიანებულ მხარეზე დუნდულო მაღლა იწევს. გვხვდება საჯდომი ნერვის ცალმხრივი დაზიანების დროს.

ვერბრაიკის ხინდრომი — ტკივილი და დაჭიმულობის შეგრძნება ფერდქვეშა მიდამოში, შერწყმული დისპეპსიურ მოვლენებთან. აღინიშნება ნაღვლის ბუშტის შეხორცების დროს განივი კოლინჯის ღვიძლის კეთხესთან.

ვერდანიხ ხინდრომი — ხელის თითების მოძრაობის შეზღუდვა (განსაკუთრებით მოხრისას) ხელის მტევნის შეხორცებითი ტენდოვაგინიტის დროს. იგივე მოვლენები შეიძლება აღინიშნოს როგორც გართულება მეხუთე თითის ამპუტაციის შემდეგ.

ვერდნიგ-ჰოფმანიხ დაავადება — ვერდნიგ-ჰოფმანის პროგრესული კუნთოვანი ატროფია, სპინალური მემკვიდრეობითი ამიოტროფია, ბავშვთა ასაკის ოჯახური სპინალური ამიოტროფია — მემკვიდრეობითი დაავადება. ვლინდება სიცოცხლის პირველ წელს (ნელი მიმდინარეობისას ოთხ წლამდე ასაკში), ხასიათდება პერიფერიული დამბლებით და კიდურებისა და ტანის ამიოტროფიით. მიზეზია ზურგის ტვინის წინა რქების მამოძრავებელ უჯრედთა დეგენერაციული ცვლილებები. მემკვიდრეობითი გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით.

ვერეს (ვერნეტის) სინდრომი — რბილი სასის, ხორხის, მკერდ-ლავიწ დვრილისებრი და ტრაპეციული კუნთების დამბლის (ან პარეზის), დისფაგიის, ენის უკანა მესამედში გემოვნების შეგრძნების დარღვევის, რბილი სასის, ხახისა და ხორხის უკანა კედლის ჰიპერთეზიის შერწყმა. გამოწვეულია ენა-ხახის, ცთომილი და დამატებითი ნერვების დაზიანებით, რასაც ადგილი აქვს პათოლოგიური პროცესების არსებობისას ქალას ფუძისა და საუღლე ხვრელის მიდამოში. სინონიმი: ვერე-სიკარ-კოლეს სინდრომი.

ვერთერის ტრიქოეპითელიომატოზი — კისტოზური ადენოიდური ეპითელიომა. პაპულოზური მრავლობითი ტრიქოეპითელიომა. ადენოკისტოზური ეპითელიომა. ვითარდება ხალის დისპლაზიის შედეგად, ატარებს თანდაყოლილ ხასიათს, ხშირად ოჯახურია. ყველაზე ხშირად ლოკალიზდება სახეზე. არის ნახევრადგამქვირვალე კვანძები, ჰგავს ბუშტუკებს, მკვრივი კონსისტენციისაა, გაფანტული ან შეჯგუფული, უმტკივნეულო, უფრო ხშირია ახალგაზრდებში. ძალზე იშვიათად განიცდის ავთვისებიან გადაგვარებას. სინონიმები: იარიშის ტრიქოეპითელიომა, უნას აკანთომა, ვინკლერის ეპითელიომატოზური ხალი, ბრუკეს სინდრომი.

ვერთერ-ვერნერ-დიუმლინგის დერმატიტი — ნეკროზული კვანძოვანი ვასკულიტი — ალერგიული დაავადება. ხასიათდება დერმის სისხლძარღვთა

ანთებით. გამოვლინდება უპირატესად კიდურთა გამშლელ ზედაპირზე შეგუბებით, მოლურჯო-მოყავისფრო, მყარი, ბრტყელი დერმული კვანძებით, რომელთა დიდი ნაწილი განიცდის ნეკროზს.

ვერიგოს ეფექტი — ოქსიპემოგლობინის დისოციაციის ხარისხის დამოკიდებულება ნახშირორჟანგის პარციული წნევის დონესთან ჰაერსა და სისხლში. მისი დაქვეითების დროს ჟანგბადის მსგავსება ჰემოგლობინისადმი მატულობს, რაც ართულებს ჟანგბადის გადასვლას კაპილარებიდან ქსოვილში. სინონიმები: ბორის ეფექტი, ვერიგო-ბორის ეფექტი.

ვერიგო-ბორის ეფექტი — სინონიმები: ბორის ეფექტი, ვერიგის ეფექტი. (იხ.).

ვერლჰოფის დაავადება — ვერლჰოფის სიმპტომოკომპლექსი. ლაქოვანი ჰემორაგიული დაავადება. იდიოპათიკური თრომბოციტოპენიური პურპურა. შეძენილი დაავადებაა. გვხვდება ორივე სქესის ნებისმიერ ასაკში. მიმდინარეობს მწვავედ და ქრონიკულად. დამახასიათებელია სისხლდენა ცხვირიდან, ღვიძლებიდან, ლორწოვანი გარსებიდან, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სპონტანურმა ან მცირე ტრავმამ. არაიშვიათია ჰემორაგიული მოვლენები ფილტვებიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, თირკმლებიდან, თრომბოციტები შეიძლება საერთოდ გაქრეს. ანემია აღინიშნება სისხლდენის შემდეგ, ძვლის ტვინში მომატებულია უმოქმედო მეგაკარიოციტების რაოდენობა. სისხლის კოაგულაციური თვისებები დარღვეულია.

ვერლჰოფის მეორადი სინდრომი — ჰემორაგიული დიათეზი თრომბოციტოპენიური პურპურის კლინიკური სურათით. აღინიშნება ინტოქსიკაციის, ინფექციის, კოლაგენოზების, სხივური დაშავების და ა. შ. დროს.

ვერმელის მეთოდი — გალვანიზაცია ან წამლისებრი ელექტროფორეზის ჩატარების წესი, რომლის დროსაც ერთი ელექტროდი იდება ბეჭთაშუა არეში და ორი სხვა (ერთ პოლუსიდან) წვივის უკანა ზედაპირზე.

ვერმელ-მარკელოვის სიმპტომი — საფეთქლის ზედაპირული არტერიების დაკლაკნილობა და გახშტოებულობა თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს.

ვერმერის სინდრომი — თანდაყოლილი ენდოკრინული ადენომატოზის და წვრილი ნაწლავის პეპტიური წყლულების შერწყმა. ხასიათდება ერთდროულად: 1. ჰიპოფიზის წინა ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნით (რომელიც შეიძლება განვითარდეს მისი ნებისმიერი უჯრედისაგან). 2. პარათირეოიდული ჯირკვლების კვნაძოვანი ჰიპერპლაზიით (რომელშიც უპირატესად ჩართულია მთავარი უჯრედები). 3. კუჭუკანა ჯირკვლის კუნძულების მრავლობითი კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნეებით. 4. პეპტიკური წყლულები ან წყლულები წვრილ ნაწლავში. ამ სინდრომს საფუძვლად უდევს აპუდ-სისტემის (იხ.) უჯრედთაგან განვითარებული მრავლობითი ენდოკრინული ადენომატოზი, ანუ მრავლობითი ენდოკრინული სეოპლაზიები. სინონიმები: მეა-სინდრომი, მენ-სინდრომი.

ვერნეის სიმპტომი — ტკივილის გაჩენა ან მომატება მენჯის ძვლების მოტეხილობის ადგილას თეძოს ძვლებზე ზეწოლის დროს.

ვერნერის სინდრომი I — მოზრდილთა პროგერია — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ორგანიზმის ნაადრევი დაბერება. გამოვლინდება

ეპიდერმისის, ჩონჩხის კუნთების და კანის დანამატების ატროფიით, კატარაქტის განვითარებით, ჰიპოგენიტალიზმით, ინსულარული უკმარისობით და ა. შ. უფრო ხშირად აღინიშნება 20—30 წლის მამაკაცებში. მემკვიდრეობითი ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ვერნერის სინდრომი II — ინსულინური — რეზისტენტობია ტიპი, სომატური დარღვევებითა და ეპიფიზური ჰიპერპლაზიით.

ვერნერ-მორისონის სინდრომი — კუნუკანა ჯირკვლის ინსულარული აპარატის ადენომით აყადმყოფთა სიმპტომოკომპლექსი. — ნიშნები: სიცხის შეგრძნება თაეში და მთელ სხეულში, რომელიც ცუდად ექვემდებარება მკურნალობას, კოლაპტოიდური მდგომარეობები, ექსიკოზი, ზოგჯერ ტეტანოიდური კრუნჩხვები. სისხლში ექსიკოზის ნიშნები, ჰიპოკალიემია. ადენომის მოცილების შემდეგ ეს კლინიკური ნიშნები ქრება. ცოლინგერ-ელისონის სინდრომისაგან განსხვავებით ჰიპერქლორჰიდრია და პეპტიკური წყლულები არ აღინიშნება. სინონიმი: ალექსანდერ-მორისონის სინდრომი.

ვერნერ-ჰისის დაავადება — ხუთდღიური პაროქსიზმული ცხელება, ტრანშეის ცხელება, ფლანდრეის ცხელება, პაროქსიზმული რიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს რიკეტსია. გადაეცემა ტილით. ტიპიურ შემთხვევაში მიმდინარეობს პაროქსიზმული ფორმით, განმეორებებით მეოთხე — მეხუთე დღეს ცხელების შეტევებით, რამდენიმე დღე რემისიით ანდა ტიფოიდური ფორმის მრავალდღიანი უწყვეტი ცხელებით. სინონიმი: იკვის ცხელება.

ვერნე-სიკარ-კოლეს სინდრომი რბილი სასის, ხორხის, მკერდ-ლავიწ დერილისებრი და ტრაპეციული კუნთების დამბლის (ან პარეზის), დისფაგიის, ენის უკანა მესამედში გემოვნების შეგრძნების დარღვევის, რბილი სასის, ხახისა და ხორხის უკანა კედლის ჰიპერთეზიის შერწყმა. გამოწვეულია ენა-ხახის, ცთომილი და დამატებითი ნერვების დაზიანებით, რასაც ადგილი აქვს პათოლოგიური პროცესების არსებობისას ქალას ფუძისა და საუღლე ხვრელის მიდამოში. სინონიმი: ვერნეს (ვერნეტის) სინდრომი.

ვერნეტის სინდრომი, ანუ ვერნეს სინდრომი — სინონიმი: ვერნე-სიკარ-კოლეს სინდრომი (იხ.).

ვერნიკეს აფაზია — ქერქული სენსორული აფაზია — აფემესტაზია, ყრუ-მუნჯობა, აფაზია ექსპრესიული მეტყველების მეორადი დარღვევებით (ლოგორეაევრბული პარაფაზიები). აღინიშნება როცა დაზიანების ლოკალური კერა თავის ტვინის დომინანტური ჰემისფეროს ქერქის საფეთქლის ზედა ნახევრის უკანა ნაწილშია.

ვერნიკეს ტრანსკორტიკული მგრძნობიარე აფაზია — აფაზია, რომელიც ვლინდება ზეპირი მეტყველების გაგების დარღვევით. ამავე დროს იგი ინარჩუნებს სხვა პირის მიერ ნათქვამის გამეორების შესაძლებლობას. აღინიშნება საფეთქლის უკანა და შუა ხვეულთა ნაწილების გამტარი გზების და აგრეთვე თავის ტვინის ქერქის სხვა უბნებთან დარღვევის დროს (ვერნიკეს ზონა).

ვერნიკეს ბოდვა — მეორადი ბოდვა, აღმოცენებული სხვა ფსიქიკური დარღვევების არსებობის დროს (ჰალუცინაციები, ცნობიერების დარღვევა), რაც განსაზღვრავს ფსიქოზის კლინიკურ სურათს.

ვერნიკეს დაავადება — ვერნიკეს ზედა მწვავე ჰემორაგიული პოლიენცეფალიტი, ვერნიკეს ჰემორაგიული პოლიენცეფალიტი, ჰემორაგიული პოლიენცეფალიტი, ვერნიკეს ენცეფალოპათია, შუატვინის სისხლძარღვთა დაზიანება სისხლჩაქცევებით, უპირატესად რუხ ნივთიერებაში. გამოვლინდება ფსიქიკის დარღვევით, თვალების მამოძრავებელი და მაკოორდინირებელი მოშლილობებით. აღინიშნება, მაგალითად, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, ავიტამინოზის დროს. სინონიმი: გაიე-ვერნიკეს სინდრომი.

ვერნიკეს ექსპანსიური იდეები, ანუ ვერნიკეს აუტოფსიქოზი — განდიდების მანია, მეგალომანიური იდეები, ექსპანსიური იდეები, — ბოდვითი და მანიაკალური იდეები, გამოვლინებული პიროვნების საკუთარი შესაძლებლობებისა და ფიზიკური თვისებების გადაფასებით.

ვერნიკეს სომატოფსიქოზი — სენესტოპათოლოგიურ-ჰიპოქონდრიული დარღვევები — ფსიქოზი, რომელსაც ახასიათებს შერწყმა ჰიპოქონდრიული სინდრომის ნიშნებისა სენესტოპათიასთან.

ვერნიკეს ფსევდოდემენცია — ფსიქიკური დარღვევა, რომელიც გამოიხატება არასწორ, უაზრო მოქმედებებსა და პასუხებში, უმთავრესად შეცდომები მჭღავნდება მარტივი ამოცანის გადაწყვეტისას, ელემენტალური ცოდნისა და ორიენტაციის მოჩვენებითი დაკარგვით, ცნობიერების გამწხატული დახშობის გარეშე (მაგალითად, ისტერიის, რეაქციული ფსიქოზის დროს).

ვერნიკეს შიშის ფსიქოზი — მწვავე აფექტური ფსიქოზი გამოხატული შიშით, აჟიტაციით და აფექტური ბოდვებით.

ვერნიკე-ვილდერის დაავადება ანუ სინდრომი — ეტიოლოგია უცნობია. ძირითადი ნიშანია მტკივნეული კუნთოვანი კრუნჩხვები, პირველ რიგში კანჭში. ამ სინდრომს ვხვდებით ასევე ბევრი დაავადების დროს, ესენია: ამიოტროფიული ლატერალური სკლეროზი, პოლინევრიტი, იშიასი, წინა პოლიომიელიტი, პარკინსონის დაავადება, ართრიტი, შაქრიანი დიაბეტი, ბაზედოვის დაავადება და სხვ.

ვერნიკე-მანის კონტრაქტურა (პოზა) — ხასიათდება კუნთთა ჰიპერტონიის ამორჩევითი განაწილებით, რის გამოც მხარი მოზიდულია სხეულთან და როტირებულია შიგნით, წინაძხარი მოხრილია იდაყვში და პრონირებულია. მოხრილია მტევანი, ხელის თითები; ფეხი გაშლილია მენჯ-ბარძაყისა და წვივის სახსრებში და მოზიდულია სხეულთან. ტერფი მოხრილია და სუპინირებულია, ფეხისგული მოქცეულია შიგნით. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანებისას პათოლოგიური პროცესის შიგნითა კაფსულაში ლოკალიზაციის დროს.

ვერნიკე-მანის სინდრომი — ვერნიკე-მანის ჰემიპლეგია. ცენტრალური დამბლა შიდა კაფსულის დაზიანების დროს: ფეხების, ხელების, ენისა და სახის კონტრალატერალური სპასტიკური დამბლა. შუბლის მუსკულატურა, რომელიც ღებულობს ორმაგ ინერვაციას, ხელუხლებელი რჩება. ამის შედეგად ავადმყოფი ღებულობს თავისებურ იერსახეს (ეგრეთ წოდებული ვერნიკე-მანის პოზა).

ვერნიკე-პოხადასის დაავადება — კოკციდიოზი. გვხვდება კალიფორნიასა და არგენტინაში, დამახასიათებელია ბრონქოპნევმონია და პლევრიტი,

პაპულები, პუსტულები, მათი შემდგომი დაწყლულება, ნეკროზი. სახსრების და ძვლების ტკივილი, შესაძლოა გართულდეს ცერებრო-სპინალური მენინგიტით. სინონიმი: პოსადასის დაავადება, ჟოაკინის ხეობის ცხელება.

ვეროკეას ნეირომატოზი—ნეიროფიბრომატოზი. ელინდება დაბადებასთანავე, ბავშვთა ასაკში ან მოზრდილებში. წარმოიქმნება რბილი კონსისტენციის სიმსივნის მაგვარი წარმონაქმნები კანში (ფიბრომები, ნეიროფიბრომები, ნეურინომები). აღინიშნება პიგმენტაციის მოშლა, მრავლობითი ხალები, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოშლილობები (ნეირომები, გლიომატოზი და სხვა ნევროლოგიური სიმპტომატიკა), ცვლილებები ძვლოვან სისტემაში. დაავადების აბორტული ფორმა ცნობილია ლეშჯეს დაავადების სახელწოდებით. სინონიმები: რეკლინჰაუზენის დაავადება.

ვერტებრული სინდრომი — შედეგია მალთაშუა ხრტილების (ჩვეულებრივ ერთის) პირველადი დეგენერაციისა. დაავადება ქრონიკულია, ვლინდება წელის არეში ტკივილით, რომლისათვისაც დამახასიათებელია ირადიაცია ქვედა კიდურებში. მოგვაგონებს საჭდომი ნერვის ანთებას, ციკლური ბუნებისაა, ეტიოლოგია კი ინფექციური ხასიათისაა. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მიკროტრავმებს. სინონიმი: პუტის დაავადება I.

ვერტებროგენული აბდომინალგიური სინდრომი — კლინიკური ნიშნები შედგება ვერტებული და ექსტრავერტებრული დარღვევებისაგან: ტკივილი ხერხემალში, ვერტებრული დეფორმაციები, მოძრაობის შეზღუდვა, მყარი ტკივილი მუცლის წინა კედლის მიდამოში. პროცესი უფრო ხშირად ორმხრივია და წინ უძღვის ხერხემლის ოსტეოქონდროზი. სინონიმები: აბდომინალგიური სინდრომი, მუცლის წინა კედლის კუნთების ნეიროდისტროფიული სინდრომი.

ვესელაგოს ნიშანი — ღია არტერიული სადინარის დროს შეიძლება მაჯა მარცხენა სხივის არტერიაზე უფრო სუსტი იყოს, ვიდრე მარჯვენაზე.

ვესელოვის ნიშანი — ბოტალოს ღია სადინარის დროს (არტერიული სადინარის შეუხორცებლობა) სისხლის წნევა მარჯვენა ხელზე ზოგჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მარცხენაზე. სინონიმი: სოკოლოვის ნიშანი.

ვესელსბრონიხ ცხელება — ინფექციური დაავადება კოღოთი გამოწვეული ტროპიკული ცხელების ჯგუფიდან. გამოწვეულია ერთსახელოვანი არბეირუსით ანტიგენური ჯგუფიდან — B. ახასიათებს ხანმოკლე ცხელება, კიდურების ტკივილი, თავის ტკივილი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება.

ვესენერის სინდრომი — სინონიმები: ლუტცის სინდრომი, ვებერ-კოკენის სინდრომი (იხ.).

ვესტერგრენის სიმპტომი — ერითროციტების დალექვის სისწრაფის სიმპტომი. სისხლი, რომელიც არ დედება (სათანადო რეაქტივის დამატებით. მაგალითად, მჟაუნმჟავა ნატრიუმი) პათოლოგიური მდგომარეობის დროს იღექება სხვადასხვა სიჩქარით (დროის სხვადასხვა მონაკვეთში; მაგალითად, ერთ საათში). ჯანმრთელებში ეს მერყეობა უმნიშვნელოა. სინონიმები: ფარეუსის რეაქცია, ბერნაცკის რეაქცია.

ვესტერმარკის სიმპტომი I — ბიძგისებური ცდომა შესაყარის რენტგენოლოგიური ჩრდილისა შესუნთქვის ფაზაში, უპაერო (ჰაერიდან დაცლილი) ფილტვის მხარეს.

ვესტერმარკის სიმპტომი II — სინონიმი: ჰოლცკნეხტ-იაკობსონის სიმპტომი II (იხ.).

ვესტიბულარული სინდრომი — თავბრუ, ნისტაგმი, გულისრევა, გულისრევა და სხვა დარღვევები. მათი ერთდროული არსებობა ვესტიბულური ანალიზატორის დაზიანების დროს.

ვესტის დამბლა — პოლიომიელიტი. ზურგის ტვინის წინა რქების მწვავე ანთება. იწვევს ვირუსი. გამოვლინდება ეპიდემიურად. დამბლის წინა პერიოდი გრძელდება 1—8 დღე ცხელებით. ადრეული ნეიროლოგიური სიმპტომები: ტკივილი და მენინგეალური სინდრომები. დაავადება მიმდინარეობს დიდი კლინიკური პოლიმორფიზმით. სინონიმები: ჰეინე-მედინის დაავადება, დრეიპერის სინდრომი.

ვესტფალის დაავადება — ოჯახური პერიოდული ჰიპოკალიემიური დამბლა. პაროქსიზმელი მიოპლეგია. გადაცემის ტიპი როგორც რეცესიული, ისევე დომინანტური. დაავადების დასაწყისი 20—40 წლებს შორის. ხასიათდება კიდურთა კუნთების სისუსტით, პარესთეზიებით, ვეგეტატიური დარღვევებით (ოფლიანობა და სხვ.) და კუჭ-ნაწლავის მიერი დარღვევებით. შემდეგ ამას ემატება შეტევები (უპირატესად ღამით) სხვადასხვა კუნთების დამბლისა, სუნთქვის დარღვევის, ტაქიკარდიისა. ამ დროს კალიემის დონე სისხლში მძაფრად დაქვეითებულია. ელექტროკარდიოგრამაზე T ტალღის გარდამავალი გადიდება, QRS კომპლექსის შემცირება, P ტალღისა და T სეგმენტის წაშლა და სხვ.

ვესტფალის პარადოქსული კუნთოვანი ფენომენი — კუნთის შეკუმშვა (ნორმაში მისი მოდუნების მაგივრად) მისი სწრაფი პასიური დამოკიდებულებისას (მაგალითად, ტერფის მდგომარეობის შენარჩუნება პასიურად მიხრისას). აღინიშნება ექსტრაპირამიდული სისტემის დაზიანების დროს.

ვესტფალის რეფლექსი — სინონიმი: ერბის რეფლექსი.

ვესტფალის სიმპტომი I — გუგების მოუსვენრობა მათი პერიოდული გაფართოებით. ამ დროს გუგა არ რეაგირებს სინათლესა და კონვერგენციაზე. შეტევა გრძელდება რამდენიმე საათით. გვხვდება ენცეფალიტის დროს.

ვესტფალის სიმპტომი II — მუხლის რეფლექსის გაქრობა. გვხვდება ცენტრალური ნერვული სისტემის (ზურგის ტვინის ხმობა, ზურგის ტვინის წინა რქების დაავადება) და პერიფერიული ნერვული სისტემის (რადიკულიტი, ნეურიტი) დაზიანების დროს. აღინიშნება აგრეთვე მიოპათიისა და ზოგიერთი სხვა სახის დაავადების (კომა, ღრმა ნარკოზი, ქალასშიდა წნევის მომატება და სხვ.) დროს, იშვიათად ჯანმრთელ პირებშიც.

ვესტფალის სიმპტომი III — მუხლის რეფლექსი არ არსებობს. ამავე დროს რეფლექსები ბარძაყის მომწიდველი კუნთებიდან შენახული ან გაძლიერებულია. აღინიშნება ალკოჰოლური პოლინევრიტის დროს.

ვესტფალის სინდრომი — პაროქსიზმული დამბლა, ოჯახური პაროქსიზმელი მიოპლეგია. კიდურთა პერიოდული დამბლა, ოჯახური ჰიპოკალიემიური პერიოდული დამბლა, მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება კიდურთა დამბლის ან პარეზის შეტევისებური წარმოშობით, მყესთა რეფლექსების ჩაქრობით, კუნთებში ელექტროგანეგულობის გარდამავალი

დაკარგვით, სისხლის შრატში კალიუმის შეშადგენლობის დაქვეითებით. სინონიმი: ვესტფალ-გოლდფლამის დამბლა.

ვესტფალის ტაბესური სიმპტომი — ზურგის ტვინის ხმობის დროს მუხლის რეფლექსის არარსებობა.

ვესტფალის ფსევდოსტუპორი — მოჩვენებითი სტუპორი — მდგომარეობა უმოძრაობისა — სტუპორის ტიპი, განვითარებული სხვადასხვა, მძაფრად გამოხატული ფსიქიკური მოშლილობების დროს (ჰალუცინაციები, დეპრესია და სხვა.).

ვესტფალ-ბერნჰარდის სინდრომი — იქტეროგენული პირველადი პაპილიტი. ქოლედოქუსის სინდრომი. სიმპტომების ტრიადა, რაც დამახასიათებელია ფატერის დერილის მასტენოზებელი ანთებისათვის. კლინიკა: მორეციდიე ცხელება, ნაღვლის ქვალები, გარდამავალი სიყვითლე. ინსტრუმენტალური გამოკვლევით ნაღვლის კენჭები არ ვლინდება. დიაგნოზი დასტურდება მხოლოდ ოპერაციის დროს. მოგვიანებით ყალიბდება ღვიძლის ქოლესტატიკური ციროზი.

ვესტფალ-გოლდფლამის დამბლა—იხ. სინონიმი: ვესტფალის სინდრომი.

ვესტფალ-ვილსონ-კონოვალოვის დაავადება—ჰეპატოცერებრული დისტროფია, ჰეპატოლენტიკულური დეგენერაცია. პროგრესირებადი ლენტიკულური დეგენერაცია—მემკვიდრეობითი დაავადება, შეპირობებული ცილისა და სპილენძის ცვლის დარღვევებით. ახასიათებს ღვიძლის დაზიანება ციროზის განვითარებით და თავის ტვინის მეორადი დაზიანება, უპირატესად დისტროფიული პროცესები (მუხუდოსებრ ბირთვებში). გამოვლინდება ექსირაპირამიდული რიგიდობით, ჰიპერკინეზიებით, ბულბური ნათხემის დაზიანებით და ფსიქიკის დარღვევით ღვიძლის ფუნქციის მოშლის ფონზე. მემკვიდრეობის ტიპი: აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ვილსონ-კონოვალოვის დაავადება, ვესტფალ-შტრუმპელ-ვილსონ-კონოვალოვის დაავადება, ვესტფალ-შტრუმპელის დაავადება.

ვესტფალ-თომსენის დაავადება—თანდაყოლილი მიოტონია. ვლინდება ადრეულ ბავშვობაში. ნებისმიერ უნებლიე მოძრაობაზე აღინიშნება კუნთების გახანგრძლივებული შეკუმშვა (მიოტონური რიგიდობა). იგივე მოძრაობის განმეორებაზე კუნთების დაჩქმა თანდათანობით ქრება და მოძრაობა თავისუფალი ხდება. სიმპტომები ძლიერდება დაძაბუნებისას, ფიზიკურ გადაძაბვაზე, სიცივესა და ემოციაზე. დაავადება ნელა პროგრესირებს. სინონიმები: ოჟეხოვსკის ფარული მიოტონია, თომსენის დაავადება, მარტინს-ჰანზემანის თანდაყოლილი მიოტონია, სტენ-გრისკონის მიოტონია.

ვესტფალ-კონოვალოვის დაავადება — სინონიმები: ვილსონ-კონოვალოვის დაავადება (იხ.), კონოვალოვ-ვილსონის დაავადება.

ვესტფალ-ლეიდენის ნათხემისებური მწვავე ატაქსია — ნათხემისებური მწვავე ატაქსია. ვითარდება მწვავე ინფექციური დაავადების და ინტოქსიკაციების დროს ანდა უშუალოდ მათ შემდეგ. იხ. სინონიმი: ლეიდენ-ვესტფალის მწვავე ატაქსია.

ვესტფალ-შტრუმპელის დაავადება — იხ. სინონიმი: ვილსონ-კონოვალოვის დაავადება.

ვესტფალ-შტრუმპელ-ვილსონ-კონოვალოვის დაავადება — სინონიმები:

ვესტფალ-შტრუმპელის დაავადება, ვესტფალ-კონოვალოვის დაავადება, ვილსონ-კონოვალოვის დაავადება (იხ.).

ვეფხის გული — გული, რომლის განაპერზე, განსაკუთრებით დერილოვან კუნთებზე, გამოირჩევა წვრილი მოყვითალო-თეთრი ზოლები, რაც მიემსგავსება ვეფხის ტყავს. აღინიშნება მიოკარდიუმის გამოხატული ცხიმოვანი დისტროფიის დროს.

ვექსლერ-ბელვიუს ტესტი — ინტელექტის დონის გამოვლინების ტესტი უფროსებში ფსიქოლოგიური ტესტების მეშვეობით. მიღებული შედეგები ედრება სტანდარტულ სკალას, რომელიც მასობრივი გამოკვლევებით არის შედგენილი.

„ვეშაპის თათის" მტევნის სიმპტომი — რევმატოიდული ართრიტისათვის დამახასიათებელია მტევნის თითების დეფორმაცია, რომელიც ზოგჯერ ღებულობს „ვეშაპის თათის" ფორმას. აქედანაა მისი სახელწოდებაც.

ვიბრაციული სინდრომი — ვიბრაციული დაავადება, პროფესიული დაავადება, გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედებით, გადაცემული ხელებით ან სხეულის საყრდენი ზედაპირით. ახასიათებს ანგიოტროფონევროზის განვითარება, რასაც თან სდევს რიგ ორგანოთა და სისტემების სხვა ფუნქციური დარღვევები. სინონიმები: რეინოს ცრუ დაავადება, ვიბრაციული ანგიონევროზი, თეთრი თითების სინდრომი.

ვიგიაზოს სიმპტომი — კრეპიტაცია ჭიპის ირგელივ. მიზეზია კანქვეშა ემფიზემა, რომელიც აღინიშნება კუკ-ნაწლავის ორგანოთა პერფორაციით გამოწვეულ პერიტონიტის და თორაკო-აბდომინური ხერელის გაჩენის დროს.

ვიგურუ-შარკოს სიმპტომი — დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს კანის ელექტრული გამტარობის მომატება.

ვიდალის არშიაშემორტყმული ჭრილსმაგვარი ლიქენი — წრისმაგვარი არშიაშემორტყმული ლიქენი, მოვარდისფრო გიგანტური ლიქენი — მოვარდისფრო ლიქენის ვარიანტი. ახასიათებს წითელი ან მოვარდისფრო ერთეული დიდი გამონაყარი, რომელსაც აქვს მცირე ზომის ქატოსებრი ბეჭდისებრი აქერცლა პერიფერიაზე, მიმდინარეობა ხანგრძლივია.

ვიდალის რეაქცია — სეროლოგიური სადიაგნოზო რეაქცია. მუცლის ტიფისა და სხვა სალმონელოზებისათვის. დამყარებულია ინაქტივირებული ბაქტერიების (დიაგნოსტიკუმების) აგლუტინაციაზე ავადმყოფის სისხლის შრატის სხვადასხვა განზავებებთან. სინონიმი: გრუბერ-ვიდალის რეაქცია.

ვიდალის სინდრომი — „ასპირინის ასთმა" ანუ ასპირინით გამოწვეული ასთმა. ამ სინდრომში იგულისხმება ბრონქული ასთმის თანაარსებობა ბრონქონაზალურ პოლიპოზთან და ასპირინისადმი ჰიპერმგრძნობელობასთან.

ვიდალ-აბრამის დაავადება — ენტეროჰეპატური სინდრომი, ენტეროჰეპატური კოლისეფსისი, ნაწლავის ჩხირის ენდოგენური ინფექცია. აღმავალი კოლი — ინფექცია ღვიძლისა ქრონიკული ქოლანგიტის მოვლენებით. სინონიმები: აბრამის სინდრომი, ბრულეს სინდრომი, გარბანის სინდრომი.

ვიდალ-ბროკის მიკოზი — სოკოთი გამოწვეული მიკოზის ნაირსახეობა. დაავადება იწყება კვანძების წარმოშობით პროდრომალური პერიოდის გა-

რეშე. დაავადება ახლოა სარკომასთან. სიმსეენის წარმოშობის შემდეგ შეიძლება აღინიშნოს პოლიმორფული გამონაყარი ან ერითროდერმია.

ვიდემანის სინდრომი — თანდაყოლილ დეფექტები ბავშვებში, რომელთა დედები ორსულობის დროს ღებულრბდნენ ტეტიდომიდის შემცველ პრეპარატებს (ჩვეულებრივ საძილეს). ნიშნები: ამელია ან დისმელია, დიდი თითების აპლაზია, აპლაზია სხივის, წვეტის დიდი ძვლის ან ხარძაყის ძვლისა. ასევე ხშირია ულის, თირკმლების, ნაწლავთა ანომალიები და ჰემანგიომები. სინონიმი: ვიდემან-ლენცის სინდრომი.

ვიდემან-ბეკვითის სინდრომი — დაავადება ელინდება უკვე ახალშობილებში. ნიშნებია: ახალშობილის წონა 3500 გ-ზე მეტია, მაკროგლოსია, ომფალოცელე, გიგანტიზმი, ჰიპოგლიკემია, სწრაფი ზრდა, იზრდება ღვიძლი, ელენთა, გული, ლეთარგია, ნისტაგმი, კონვულსიები. ეტიოპათოგენეზი უცნობია.

ვიდემან-ლენცის სინდრომი — სინონიმი: ვიდემანის სინდრომი.

ვიდმარკის კონიუნქტივიტი — მწვავე კონიუნქტივიტი. ახასიათებს თვალის კაკლის კონიუნქტივის, ზედა ქუთუთოს შეშუპება და ეპითელიუმის პატარა და დიდი დეფექტები. ეტიოლოგია უცნობი.

ვიდმერის სიმპტომი — მარჯვენა იღლიაში უფრო მაღალი ტემპერატურა, ვიდრე მარცხენაში, აღინიშნება ზოგჯერ მწვავე აპენდიციტის დროს.

ვიდროვიტცის სიმპტომი—აკომოდაციის დამბლა, მსუბუქი ეგზოფთალმით და თვალის ოშვიათი ხამხამით. აღინიშნება დეფტერიული პოლინევრიტის დროს.

ვიიარის ტრიადა — ნაღველის ბუშტის კენჭოვანი დაავადების გამწვავების სამი წამყვანი ნიშნის შერწყმა: ღვიძლის ჭვალი, ცხელება და სიყვითლე.

ვიკერის სიმპტომი — ნაწლავთა ჭვალი. ილეუსის ნიშანი. ძლიერი ტკივილი მუცელში, „ილეუსური ყვირილი", პირღებინება, ყურყური და ნაწლავთა პერისტალტიკა. შეტევა გრძელდება 10—30 წამი, შუალედებია 3—10 წუთი.

ვიკის გარდამავალი სინდრომი — ფსიქოპათოლოგიური სინდრომების (აფექტიური, ბოდვითი და სხვ.) საერთო დასახელება, რომლებიც ვითარდება ორგანული ფსიქოზების ჩამოყალიბებისას ცნობიერების დაბინდვამდე, ან მის შემდეგ.

ვილანოვა-კანიადელის სინდრომი — ჰიპოთირეოიდული ფრინოდერმა. ფრინოდერმა (ფოლიკულური კერატოზი), რომლის დროსაც გარჯვანებული უბნები გარშემორტყმულია დეპიგმენტური ზონებით. არის ავიტამინოზ A-ს გამოვლინება. პათოლოგიური ცვლილებები ძირითადად ლოკალიზებულია ზურგზე და კიდურებში, შეუღლებულია ჰიპოთირეოიდიზმის ნიშნებთან. გეხვდება ახალგაზრდა ასაკის წარმომადგენლებში.

ვილანოვა-პინიოლ-აგვადეს ჰიპოდერმიტი — კვანძოვანი მცოცავი პანიკულიტი. კვანძოვანი მცოცავი ერითემა, პანიკულიტი, კვანძოვანი მცოცავი ერითემა, პანიკულიტი კვანძების სახით ლოკალიზაციით წვივზე. ზოგჯერ უეითარდებათ ქალებს გაცივებისას.

ვილარეს სინდრომი — ჰორნერის სინდრომს თანხვედრილობა რბილი

სახის, ხორხის და ხახის, ხმის კუნთების ცალმხრივ დამბლასთან და ტრაპეციული და მკერდ-ლავიწ-დვრილისებრივი კუნთების პარეზთან ან დამბლასთან. გაპირობებულია ცალმხრივი დაზიანებით ენა-ხახის, ცთომილი, დამატებითი, ენსკენეშა ნერვებისა და კისრის სიმფატიკური ნერვის დაზიანებით, რაც გამოწვეულია ანთებადი პროცესებით ყურის ირგვლივ მიდამოში.

ვილარე-დეზუაილის სენდრომი — ზედა ყბის თანდაყოლილი ჰიპოპლაზია. ზოგჯერ მას თან სდევს თურქული კეხის დეფორმაცია, ჰიპოფიზზე ზეწოლა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მეორადი დისფუნქცია.

ვილდერვანკის სინდრომი I — ცერებელურ-ოკულო-ფაციალური დისტროფია, მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, მემკვიდრეობის ტიპი დომინანტური, შეკავშირებული X ქრომოსომასთან. კლინიკა: ყრუ-მუნჯობა, ხერხემლის მრავლობითი ანომალია (მოკლე, ნაკლებად მოძრავი კისერი, ხერხემლის სინოსტოზი, **spina bifida**), კასრისებრი გულ-მკერდი, თვალის გამზიდველი ნერვის ცალმხრივი ან ორმხრივი დამბლა თვალის კაკლის რეტრაქციით, სახის ასიმეტრია, კბილებისა და თმების ანომალია. აღვნიშნავთ მხოლოდ ქალებს.

ვილდერვანკის სინდრომი II — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა გადაცემის ავტოსომურ — დომინანტურ ტიპი. დამახასიათებელია: სახის დისმორფია, ჰიპერტელორიზმი, ბლეფაროფიმოზი, მიკრო და ჰიდროფტალმი, გლაუკომა, მხედველობის ნერვის ატროფია — მხედველობის მკაფიო დაქვეითებით, ნისტაგმი, ენოფტალმი, დიდი ყურები, დიდი ცხვირი, მიკროგნათია, მიკროგენია, ჰიპოდონტია, სმენის დაქვეითება — გამოწვეულია შუა ყურის განვითარების ანომალიით, მაპერსისტირებელი სარძევე კბილები, გონებრივი განვითარების შეფერხება. ზოგჯერ ჰიპოსპადია.

ვილდერვანკ-ბერნდორფერის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: ტუჩების, ყბის, სასის, ხელის მტევნების და ტერფების გაპობა, გონებრივი ჩამორჩენილობა, დაქვეითებულ სმენა ან სიყრუე, ყურის ნიჟარების დისპლაზია. პროგნოზი არაკეთილსაიმედო, მთავრდება ავადმყოფის სიკვდილით სიცოცხლის პირველსავე წლებში. სინონიმი: ბერნდორფერის სინდრომი.

ვილებრანდის დაავადება ანუ სინდრომი — სინონიმები: ვილებრანდ-იურგენსის კონსტიტუციური თრომბოპათია, იურგენსის სინდრომი, ალექსანდერ-გოლსტეინის სინდრომი.

ვილებრანდ-იურგენსის კონსტიტუციური თრომბოპათია — სინონიმები: ვილებრანდის დაავადება (იხ.), იურგენსის სინდრომი, ალექსანდერ-გოლსტეინის სინდრომი.

ვილენკინის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება საჯდომი ნერვის გაყოლებით, რდცა კეთდება საჯდომი (დუნდულოს) კუნთების პერკუსია. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ვილენსკის სინდრომი — მეზენტერიალური ლიმფადენიტი, აბდომინალური ლიმფადენიტი. მუცლის ლიმფური კვანძების არასპეციფიკური ანთება. ნიშნები: შეტევითი ტკივილი მუცელში, ღებინება, რომელიც

გრძელდება რამდენიმე დღე და რეცედივირებს, გამოხატული პალპატორული ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში, ეპიგასტრიუმში, იშვიათად მარცხენა ფერდქვეშა არეში, ლეიკოციტოზი, შედარებითი ლიმფოციტოზით. ლიმფურ კვანძებში — არასპეციფიკური ანთება რეტიკულოენდოთელიური ელემენტების ჰიპერპლაზიით.

ვილვონსიდერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. კლინიკა: ოლიგოფრენია, სპასტიკური დიზართრია, სიარულის დარღვევა, თვალის ვერტიკალური მოძრაობის დამბლა, სპლენომეგალია, სპილენძის ცვლის დარღვევა. პროგრესირებადი დაავადებაა.

ვილიამსის სიმპტომი — შეხორცებითი პერიკარდიტის ნიშანი. გულის ფილტვებთან და დიაფრაგმასთან შეხორცებების გამო შეიძლება შეიზღუდოს სუნთქვით მოძრაობათა ამპლიტუდა უპირატესად მარცხენა გულმკერდის წინა კედელზე.

ვილიამსის ტრაქეალური ტონი — ტიმპანიური პერკუტორული ხმიანობა (ზოგჯერ ხმიანობა „გახეთქილი ქოთნის“ ელფერით) ლაპიწქვეშ, რომელიც უკეთესად გამოვლინდება, როცა ავადმყოფს პირი ღია აქვს. დიდი პლევრული გამონადენის სიმპტომი.

ვილიამს-ბარატ-ბოიე-ლოუს სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი: აორტის სუპრავალვულური სტენოზი, ფილტვის არტერიების მრავლობითი სტენოზი, გულის პიპერტროფია, მცირე წრის ჰიპერტენზია, იდიოპათიკურ ჰიპერკალციემია, ჰიპოდონტია, კბილების მინერალიზების ჩამორჩენილობა, ქვედა ყბის ჰიპოპლაზია, სახის შეშუპება, ფართო შუბლი. სინონიმი: ბოირენის სინდრომი.

ვილიამს-კემპბელის სინდრომი — დამახასიათებელია სეგმენტურ, სუბსეგმენტური და უფრო წერილი ბრონქების გენერალიზებული არასრული განვითარება. შესუნთქვის დროს ისინი ფართოვდება, ამოსუნთქვისას იჩუტება. დაავადება იწყება ბავშვობაში და მიმდინარეობს ქრონიკული ბრონქიტის ტიპით. დამახასიათებელია ხველა, ნახველი მცირე რაოდენობით, ქოშინი, მსტვინავი სუნთქვა. გართულებებია — ემფიზემა, პნევმოსკლეროზი, ფილტვისმიერი გული.

ვილი-ბალფურა-მაკსვინეის სინდრომი — სუბტროპიკული მეგალოციტური ანემია ორსულებში. ყველაზე ხშირია სამხრეთ ინდოეთში. ნიშნები: საერთო სისუსტე, სახისა და კიდურების შეშუპება, ენისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება, ცხელება, სისხლში ჰიპერქრომული ანემია, მეგალოციტოზი, მეგალობლასტოზი. ლეიკოპენია, შედარებითი ლიმფოციტოზი, თრომბოპენია. მიზეზია არასაკმარისი კვება — ძირითადად ცხოველური ცილის უკმარისობა, A, B, C — ვიტამინების ნაკლებობა. ორსულობის შეწყვეტა და მშობიარობა იწვევს გამოჯანმრთელებას.

ვილი-პრადერის სინდრომი — ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევა გამოვლინდება გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, სიმსუქნით, სასქესო ორგანოთა ნაკლებად განვითარებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ვილისის სიმპტომი I — სახის დადამბლავებული ნახევრის ჰიპერემია სახის ნერვის პერიფერიული დამბლის დროს.

ვილისის სიმპტომი II — ავადმყოფს თითქოსდა უკეთესად ესმის ლაპარაკი ხმაურში, ვიდრე სიჩუმეში. გეხვდება ოტოსკლეროზისა და შუა ყურში შეხორცებითი პროცესების დროს. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ კარგი სმენის მქონენი ხმაურის დროს უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ. ასეთ ავადმყოფს კი ეს საშუალებას აძლევს, მოისმინოს ლაპარაკი. ვინაიდან ხმაური და შეილი იმათ სმენამდე შემცირებული ხარისხით აღწევს. კარგი სმენის პირთა დარად მათ ხელს არ უშლის ხმაური.

ვილკენშტეინის სინდრომი — პორტულ ჰიპერტენზიის დროს გამოვლინდება წყულოვანი ეზოფაგიტი, მიდრეკილი სისხლდენისადმი.

ვილკინსონის დაავადება — აქრესტიული ანემია. მძიმე პროგრესული მეგალობლასტიკური ანემია, რომელიც რეზისტენტულია ღვიძლის პრეპარატებისადმი. ძვლის ტვინში — მკაფიო მეგალობლასტოზი.

ვილმხის ვარდნილი წვეთის სიმპტომი — სითხის ვარდნილი წვეთის ხმიანობა, დადგენილი აუსკულტაციურად ამ ხმიანობის ფონზე, რასაც ადგილი აქვს ნაწლავის პერისტალტიკის დროს და აღინიშნება ნაწლავის გაუვალობისას.

ვილმსის სიმსივნე — ადენომიოსარკომა, ადენომიოციტოსარკომა, თირკმლის ადენოსარკომა, ნეფრობლასტომა, ნეფრომა, ემბრიონული ნეფრომა, თირკმლის სიმსივნე, თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე ბავშვებში. გეხვდება ვარიანტი. ნეფროგენული მეზენქიმული ან ნეიროექტოდერმული ქსოვილის სიჭარბით და უჯრედთა სხვადასხვა დიფერენცირების ხარისხით. სინონიმები: ბირშ-ჰირშფელდის სიმსივნე.

ვილსონის ბუდობრივი ალოპეცია — ალოპეცია ბუდობრივი. კიდეები, რომელიც ლოკალიზდება თავის თმიანი ნაწილების პერიფერიულ უბნებზე, ხშირად კეფის მიდამოში.

ვილსონის დაავადება — სინონიმები: ვილსონ-კონოვალოვის დაავადება (იხ.), ვესტფალ — კონოვალოვის დაავადება.

ვილსონის ლიქენი — წითელი ბრტყელი ლიქენი, უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი, რომელსაც ახასიათებს ქავილი, წითელი ბრტყელი პოლიგონური პაპულები სადა ბრწყინვალე ზედაპირით. ცენტრში აღინიშნება მცირე ჩავარდნა. ზიანდება ასევე ლორწოვანი გარსი და იშვიათად ფრჩხილები.

ვილსონის ტიპი ბისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადისა — როგორც წესი, ელექტროკარდიოგრაფიულად გამოვლინდება პარკუჭთა კომპლექსების I და III განხრებში კონკორდანტულობით. კბილი S-ის გაფართოებით I, II და III განხრებში. ერთდროულად არის დაბალამპლიტუდური კბილი R და დადებითი კბილი T. ცვლილებები გულ-მკერდის განხრებში — მარჯვენა ფეხის ბლოკადის კლასიკური ფორმის ანალოგიურია.

ვილსონ-ბროკის დაავადება — ვილსონ-ბროკის ერითროდერმია, ექსფოლიატიური გენერალიზებული ქვემწვავე დერმატიტი — უცნობი ეტიო-

ლოგიის დერმატოზი. ახასიათებს ერითროდერმია გამოხატული ფარული ფირფიტისებრი აქერცვლით.

ვილსონ-კონოვალოვის დაავადება — ჰეპატოცერებრული დისტროფია, ჰეპატოლენტიკულური დეგენერაცია, პროგრესირებადი ლენტიკულური დეგენერაცია — მემკვიდრეობითი დაავადება, შეპირობებული ცილისა და სპილენძის ცვლის დარღვევით. ახასიათებს ღვიძლის დაზიანება ციროზის განვითარებით და თავის ტვინის მეორადი დაზიანება (უპირატესად დისტროფიული პროცესები მუხუდოსებრ ბირთვებში). გამოვლინდება ექსტრაპირამიდული რიგიდობით და ფსიქიკის დარღვევით, ღვიძლის ფუნქციის მოშლის ფონზე. მემკვიდრეობის ტიპი: აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ვესტფალ-კონოვალოვის დაავადება, ვესტფალ-შტრიუმპელის სინდრომი.

ვილსონ-მიპატის სინდრომი — ინტერსტიციული მონონუკლეარული კეროვანი ფიბროზული პნევმონია — ახალშობილთა ფილტვების დაზიანება, ძირითადად უდღეურთა. მიზეზია ფილტვების ქსოვილთა უმწიფრობა და ასევე მოუმწიფებლობა ელასტიკური ელემენტებისა. კლინიკურად გამოვლინდება: ქოშინი, ციანოზი, მუდმივი მშრალი ხველა და რენტგენოლოგიურად დამახასიათებელი ბადისებრი სურათი.

ვილუის ენცეფალიტი — ვირუსული დაავადებაა. ავადდებიან ახალგაზრდა და შუახნის პირები. ინფექციის ძირითადი წყაროა ფრინველები. არჩევენ დაავადების მწვავე და ქრონიკულ სტადიას. ნიშნები: სისუსტე, აპათია, თავის ტკივილი, დისპეფსია, ცხელება, თვალისმხრივი მოვლენები, ლეთარგია, მენინგიტი, ან მენინგოენცეფალიტი, ანდა მონო-ან პოლირადიკულონევრიტი. სინონიმი: იაკუტიის ენცეფალომიელიტი.

ვინდშეიდის ტრიადა — თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის სამი ნიშნის შერწყმა: თავის ტკივილის, თავბრუსი და მეხსიერების დარღვევისა.

ვინივარტერის დაავადება — იხ. სინონიმი: ვინივარტერ-ბიურგერის დაავადება.

ვინივარტერ-ბიურგერის დაავადება — მაობლიტერებელი თრომბანგიტი. პროცესი უმთავრესად ლოკალიზდება ქვედა კიდურების სისხლძარღვებში, იწვევს მათ ობლიტერაციას და ტროფიკულ ცვლილებებს ქსოვილებში. კლინიკურად აღინიშნება სიცივის შეგრძნება და ცივი ქვედა კიდურები, ტკივილი წვივის კუნთებში, განსაკუთრებით სიარულისას (დროგამოშვებითი სიკოჭლე). პულსაცია კიდურის პერიფერიულ არტერიებში არ ისინჯება ან მკვეთრადაა შესუსტებული. მკურნალობის გარეშე პროცესი მთავრდება თითების, ტერფის, და ბოლოს, კიდურის განგრენით, უპირატესად მშრალით. ეტიოლოგია უცნობია, დაავადების პროგრესირებაში მნიშვნელობა აქვს თამბაქოს წევას. ავადდებიან უპირატესად შუახნის მამაკაცები. სინონიმები: ბიურგერის დაავადება, ბიურგერის ენდოარტერიტი, ბილროთ-ვინივარტერ-ბიურგერის დაავადება, ვინივარტერის დაავადება, ფრიდლენდერის დაავადება.

ვინკელის დაავადება — ეტიოლოგია უცნობია. გამომწვევ მიზეზთაგანია ორგანიზმის ინტოქსიკაცია ქიმიური ნივთიერებითა და სეფსისით. გუხედება

ახალშობილებში. დამახასიათებელია ციანოზი, ჰემორაგიები, ჰემოგლობინურია, ანემია, სიყვითლე. პროგნოზი ცუდი.

ვინკლერის ეპითელიომატოზური ხალი — კისტოზური ადენოკისტოზური ეპითელიომაა. ვითარდება ხალის დიასპლაზმის შედეგად, ატარებს თანდაყოლილ ხასიათს, ხშირად ოჯახურია, ყველაზე ხშირად გვხვდება სახეზე. აღინიშნება ნახევრადგამჭვირვალე კვანძები, ჰგავს ბუშტუკებს, მკვრივი კონსისტენციისა, გაფანტულ, შეკგუფული, უმტკივნეულო, შეინიშნება ახალგაზრდებში. ძალზე იშვიათად განიცდის ავთვისებიან გადაგვარებას. სინონიმები: უნას აკანთომა, იარიშის ტრიქოეპითელიომა, ვერთერის ტრიქოეპითელიომატოზი, ბრუკეს სინდრომი.

ვინოგრადოვის დაავადება — ოპისტორქოზის ნაირსახეობა, გამოწვეული ტრემატოდა — ოპისტორხუს ფელინუსით.

ვინოგრადოვის ნიშანი — თაეის რიტმული გადაწევა უკან ავადმყოფის ვერტიკალური მდგომარეობისას სინქრონული საუღლე ვენების ხილულ პულსაციისამებრ. აღინიშნება მარჯვენა წინაგულ-პარკუჭის სარქველის (სამსარქველას) გამოხატული უკმარისობისა და მარჯვენა წინაგულ-პარკუჭის სპრელის დავიწროვების დროს.

ვინოგრადოვ-დიუროზიეს ორმაგი შუილი — სისხლძარღვოვანი სისტოლური და დიასტოლური შეილების შერწყმა. გამოვლინდება საძილე ან ბარძაყის არტერიაზე სტეტოსკოპის თავის ან ფონენდოსკოპის დაჭერით. ჩნდება აორტის სარქველის უკმარისობის, თირეოტოქსიკოზის, ანემიის და სხვა დროს. სინონიმი: დიუროზიეს ორმაგი შუილი.

ვინტერის სიმპტომი I — ეპიგასტრალურ არეში კუნთების აქტიური სუნთქვითი მოძრაობების არარსებობა ექსუდაციური პერიკარდიტის დროს. მიზეზია დიაფრაგმის მოძრაობის შეზღუდვა.

ვინტერის სიმპტომი — II — მეცლის ფარის მოძრაობის არარსებობა სუნთქვის დროს. მწვავე პერიტონიტის სავარაუდო ნიშანი.

ვინტრიხის „სავსე პირით ხველება" — დამახასიათებელია ბრონქოექტაზიისა და ფილტვის აბსცესისათვის. ნახველი იმდენად უხვია, რომ მისი ამოხველება უფრო პირსაქმეს ჰგავს. ავადმყოფს პირი ევსება ჩირქოვანი სითხით და ხოგჯერ სითხე ცხვირიდანაც გამოსდის.

ვინტრიხის ფენომენი — ხმიანობის მიმატება და პერკუტორული ტონის სიმაღლის გაძლიერება ფილტვებში იქ, სადაც ჰაის ჰაერით ავსებული ღრუ, როცა ავადმყოფი პირს აღებს და ენას გარეთ ყოფს.

ვინტრიხის ფილტვის ალბინიზმი — ფილტვების ემფიზემის შემთხვევაში არც თუ ისე იშვიათად პარენქიმა მკრთალი ფერისაა, რაც გამოწვეულია კაპილარების ობლიტერაციით და უმთავრესად პიგმენტის შემცირებით. იმ შემთხვევაში, როცა პიგმენტი თითქმის სრულიად ქრება, ვითარდება ფილტვების სრული ალბინიზმი ეწოდება.

ვინცენტის ანგინა — ანგინის ფსევდომემბრანოზული ფორმის დროს სწრაფად სცილდება ეპკი და რჩება დაწყლულებული ზედაპირი, რომელიც შემდეგ ისევ ეფარება თხელი გარსით. ჰაის ფორმა, რომლის დროსაც ნადებს აქვს მოყვითალო რუხი ფერი და რომელიც არაიშვიათად ვრცელდება ნაქზე. ნაცხში ხშირად პოულობენ თითისტარისებრ ჩხირს და სპი-

როქეტას. საჭიროა დიფერენცირება დიფტერიასთან. ჩვეულებრივ ანგინა ცალმხრივია, უფრო იშვიათად ორმხრივი. ცხელება არ ახასიათებს. აღინიშნება უმნიშვნელო სუბიექტური მოვლენები, ხანგრძლივი მიმდინარეობა — კვირაობით. სინონიმი: პლო-ვინცენტის ანგინა.

ვირხოვის დაავადება — ენტერსტიციული თანდაყოლილი ენცეფალიტი, ახალშობილთა ვირხოვის ენცეფალიტი, თანდაყოლილი ენცეფალოპათია ორსულობის პირველ ნახევარში დედის ზომიერი ინფექციური სნეულებით დაავადების გამო, მაგალითად, გრიპით, წითელათი, ეპიდემიური პაროტიტით.

ვირხოვის ვასკულური პაქიმენინგიტი — ჰემორაგიული შიგნითა პაქიმენინგიტის — თავის ტვინის ჰემისფეროების ზედა ლატერარული ზედაპირის ქრონიკული მორეციდივე პაქიმენინგიტის ნაირსახეობა. დამახასიათებელია სისხლჩაქცევები ტვინის მაგარ გარსშე და მისი მნიშვნელოვანი გასქელება ჰემატომის ორგანიზაციის შედეგად. გამოვლინება თავის ტკივილით, მზარდი მენინგეალური სიმპტომებით.

ვირხოვის სიფილისური ქონდრიტი — სახსართა ხრტილების დაზიანება ათაშანგის შედეგად. დამახასიათებელია მცირე ფარის ღრმა დეფექტების წარმოშობა.

ვირხოვის ჯირკვალი — ვირხოვის მეტასტაზი, ანუ ვირხოვის ნიშანი — კუჭის კიბოს დროს მეტასტაზი კლავრის ლიმფურ ჯირკვალში — უპირატესად მარჯვნივ. სინონიმი: ტრუაზიე-ვირხოვის ნიშანი.

ვისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. შეპირობებულია თრომბოციტების წარმოშობის დარღვევით და სისხლში იმუნოგლობულინების შემადგენლობის დაქვეითებით. ახასიათებს: სისხლდენა, თრომბოციტოპენია, პნევმონიების წარმოშობისადმი მიდრეკილება, ჩირქოვანი ოტიტი, მრავლობითი აბსცესები და სხვა ჩირქოვანი პროცესები. მემკვიდრეობის ტიპი — რეცესიული, მიჯაჭვული სქესთან. სინონიმები: ოლდრიჩის სინდრომი, ოლდრიჩ-სტაინბერგ-კემპბელის სინდრომი.

ვისლერ-ფრანკონის სუბსეფსისი — მიიჩნევენ წამლისმიერი დაავადების ნაირსახეობას, სადაც მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ჰიპერსენსიბილიზაციას გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების პასუხად. ანამნეზში ხშირია სხვადასხვა ალერგიული გამოვლინება. კლინიკა: მაღალი სიცხე, პოლიმორფული გამონაყარი, ართრალგია, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფური კვანძების რეაქცია, მაღალი ედს-და ლეიკოციტოზი. ტიპიური სეფსისი არ ყალიბდება — აქედანაა სუბსეფსისი. უფრო ხშირია კაცებში და ბავშვებში. გრძელდება სამ თვემდე.

ვიტეკის რეტრაქციის სიმპტომი — პირქვე მწოლარე ავადმყოფის მიერ ქვედა კიდურების მუხლის სახსარში აქტიურად მოხრისას პარეზის მხარეზე წვივი საღ მხარესთან შედარებით ნაკლებად იხრება.

ვიტეს ცეკვა — ჩვეულებრივი ქორეა, რევმატული ქორეა, ცენტრალური ნერვული სისტემის რევმატიული ბუნების დაავადება. დამახასიათებელია თავის ტვინის ბაზალური ბირთვების დაზიანება. გამოვლინდება ქრონიკული ჰიპერკინეზებით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, რეფლექსების შეცვლით, ხასიათისა და ემოციების დარღვევით. ზოგჯერ ადგილი აქვს სხვა

ფსიქიკურ ცვლილებებსაც. სინონიმები: წმინდა გვიდონის ცეკვა, სიდენჰამის დაავადება, წმინდა ვიტეს ცეკვა.

ვიტმაან-ეკბომის სინდრომი — სინონიმი: ეკბომის სინდრომი (იხ.).

ვიტსის დაავადება — ჰიპოქრომული ესენციური ანემია, მარტივი აქლორჰიდრიდული ანემია, მემკვიდრეობითი დაავადებაა, კლინიკური ნიშნებია: სისუსტე, გულის ფრიალი, ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სიფერმკრთალე, შეიძლება თან ახლდეს ფუნიკულური მიელოზის ნიშნები, პლუმერ-ვინსონის სინდრომი, აქლორჰიდრია, ელენთის გადიდება, ჰიპოქრომული ანემია (მიკროციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიციტოზით), ლეიკოპენია-ლიმფოციტოზით. პროგნოზი კარგია. სინონიმები: ფაბერ-ჰაიმის დაავადება, ჰაიმ-ფაბერის დაავადება.

ვიტს — კაცნელსონის სინდრომი — სინონიმები: ჰაიმ-ფაბერ-ეინჰორნის სინდრომი, ვიტსის დაავადება (იხ.).

ვიულპიან-ბერნჰარდტის კუნთოვანი ატროფია — პროგრესიული მიოპათიის ვარიანტი, რომლის დროსაც პროცესი იწყება მხრის ორთავა და სამთავა კუნთებიდან, შემდგომში პროცესში წინამხრისა და ხელის მტევნის კუნთების ჩართვით.

ვიურპას რეფლექსი — ვიურპას ტუჩის სიმპტომი, ლოყის ფენომენი, ორალური ავტომატიზმის სიმპტომი: ტუჩების უნებლიე გამოწვევა, რომელიც ემსგავსება წოვის მოძრაობას, როცა პირის კუთხეში სამედიცინო ჩაქუჩით ვანარმოებთ მსუბუქ დარტყმას. აღინიშნება ქერქ-ბირთვების გზების ორმხრივი დაზიანების დროს. სინონიმი: ვიურპა-ტულუზას რეფლექსი.

ვიურპა-ტულუზას რეფლექსი — სინონიმი: ვიურპას რეფლექსი (იხ.).

ვიშე-საქსის პაპილომატოზი — პაპულოზური პაპილომატოზი: გაურკვეველი ეტიოლოგიის დერმატოზი. კლინიკურად ვლინდება წითელი ფერის წვრილ, სწრაფადმუქებად და გარქოვანებად პაპულების გაჩენით. პაპულები ერწყმიან ურთიერთს და ქმნიან რომბისებურ კერებს. ლოკალიზაციის ადგილია უპირატესად მკერდის, ბეჭის ძვლებს შორის არე და ხელის გულების მიდამო. შესაძლოა დაიწყოს ბავშვთა ასაკში, უმეტესად კი გვხვდება 20—40 წლის ასაკში. სინონიმი: გუჟერო-კარტოს სინდრომი, ანუ დაავადება.

ვიხტერლოვა-იონაშოვას ნიშანი — ზოგჯერ კატის კრუტუნი უკეთესად ვლინდება მოძრაობის შემდეგ და კიდევ უფრო უკეთესად მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე დაწოლისას.

ვოდაკის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: გუგების გაფართოება ვესტიბულური აპარატის გაფართოებისას.

ვოშაჩეკის ლაქები — თეთრი ლაქები, თეთრი ან მორუხო ფერის ლაქები, რომლებიც პერიოდულად ჩნდება ცხვირის ნესტოებზე ალერგიული რინიტის დროს.

ვოინიჩ-სიანოჟენიცის პერიკარდიუმის ჩხვლეტა — პერიკარდიუმის ჩხვლეტა ექსუდაციური პერიკარდიტის დროს, ტარდება ექსტრაპლევრალურად მარჯვნივ მეხუთე-მეექვსე ნეკთაშუა არეში მკერდის ძვლიდან 2—სმ-ის გარეთ.

ვოლავშეკის სინდრომი — კერატოდერმიის, ფრჩხილების დისტროფიისა და დოლის ჯოხების მსგავსად თითების დეფორმაციის შერწყმა, რომელიც აღინიშნება სირინგომიელიის დროს.

ვოლინეს ცხელება — ხუთდღიანი ცხელება, პაროქსიზმული რიკეტსიოზი, გადამტანია ტილი. კლინიკა: კეთილთვისებიანი მიმდინარეობა, ცხელება, 3—5 დღიანი ტალღებით, ტკივილის შეგრძნება სხეულში (განსაკუთრებით ძვლებისა და კუნთების), ზოგჯერ გამონაყარი, ძლიერი ოფლიანობა, ელენთის გადიდება, ლეიკოციტოზი.

ვოლკმანის კონტრაქტურა — ჰემოფილიის ჩვეულ გართულებას წარმოადგენს იშემიური კონტრაქტურა, რომელიც წვივებში ან წინამხრებში სისხლჩაქცევის შედეგია.

ვოლკოვიჩ დაავადება — მადეფორმირებელი მრავლობითი სახსროვანი ქონდროდისტროფია, სახსროვანი ხრტილის განვითარების ანომალია. გამოიხატება მის გადაჭარბებულ ზრდაში, სახსართა დეფორმაციაში, ერთი ან რამდენიმე კიდურის გიგანტიზმში.

ვოლკოვიჩის სიმპტომი — მუცლის მარჯვენა ნახევრის კუნთების ატროფია ან ატონია, რომელიც აღინიშნება ქრონიკული აპენდიციტის დროს.

ვოლმანის დაავადება — ქოლესტეროლის ეთერების დაგროვების დაავადება, მემკვიდრეობითი დაავადებაა. ახასიათებს ქოლესტეროლის და ტრიგლიცერიდების ეთერების უჯრედებში დაგროვება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიულია.

ვოლმანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ — რეცესიული. პირველი ნიშნები ვლინდება ახალშობილებში. სიმპტომები: განვითარების დარღვევა, ღებინება, ფაღარათი, დისტროფია, ჰეპატოსპლენომეგალია, კანის მრავლობითი ქსანტომა, ანემია, ლიმფოციტების ცხიმოვანი ვაკუოლიზაცია ღვიძლის ბიოფსიით; ქსანტომატოზი, ქოლესტერინისა და ლიპიდების მომატება. რენტგენოლოგიურად თირკმელზედა ჯირკვლების გაკირვა. პროგნოზი არასახარბიელოა.

ვოლსკის გვერდითი დარტყმა — ქოლეცისტიტის დიაგნოზის მეთოდი: დამყარებულია მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში ქვემოდან ზევით მსუბუქი დარტყმის საპასუხო ტკივილის შეგრძნებაზე.

ვოლტერის გამომეტყველება — მოხუცებულის სახე, გეხედება მოხუცებულებში, განსაკუთრებით როცა კბების დაქვეითებას აქვს ადგილი. სახე დანაოჭებულია, კანი მშრალი, ღოყები ჩაცვენილი, პირი ჩაკვარდნილი უკბილობის გამო, ცხვირი წაწვეტებულია, თვალები ჩაცვენილი, სახის გამომეტყველება უსიცოცხლო. პათოლოგიური შემთხვევები გეხედება ჰიდროცეფალიისა და ინფანტილიზმის დროს.

ვოლტმანის რეფლექსი — ჰიპოთირეოზით ავადმყოფთა შორის აქილევსის რეფლექსის ხანგრძლივობის გაგრძელება.

ვოლტფარტ-კუგელბერგ-ველანდერის სინდრომი — სინონიმები: ველანდერის სინდრომი. (იხ.). კუგელბერგ-ველანდერის დაავადება.

ვოლფის კისტა — ფსევდომუცინოზური სეცერნირებული საკვერცხის კისტომა, საკვერცხის ფსევდომუცინოზური კისტომა, საკვერცხის ენდოთერმული ტერატობლასტომა, კოლოიდური ცისტადენომა, მუკოიდური

ცისტადენომა, მუცინოზური ცისტადენომა — საკვერცხის კისტომა, რომლის კედლები ამოფენილია. ლორწოს წარმომშობე ეპითელიუმით.

ვოლფის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი, გაპირობებული მეოთხე ქრომოსომის მოკლე ნაწილის ნაწყვეტრიცი ან სრული უარსებობით. კლინიკა: ნაყოფის მცირე ზომები და წონა, შემდეგში გამოხატული გონებრივი, ფსიქომოტორული და ფიზიკური ჩამორჩენილობა, ატეტოიდური ჰიპერკინეზიები, სხვადასხვა ხასიათის ცვლილებები ელექტროენცეფალოგრამაზე, მიკროცეფალია, კლეტორის ჰიპერპლაზია, ჰიპოსპადია, კრიპტორხიზმი, ზოგჯერ ეპილეპტიფორმული კრუნჩხვები, ჰიდროცეფალია. სინონიმი: ვოლფ-ჰირშჰორნის სინდრომი.

ვოლფ-დოლოვიტც-ოლდესის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი ყურის, თვალებისა და კანის უპირატესი დაზიანებით. თანდაყოლილი სიყრუე, შემდგომში ყრუ-მუნჯობით, კანის კეროვანი დაზიანება და თვალის ალბინიზმი. იხ. სინონიმი: დოლოვიტც-ოლდესის სინდრომი.

ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომი — პარკუჭთა ნაადრევი აგზნების სინდრომი, WPW — სინდრომი (იხ. 333).

ვოლფრამის სინდრომი — გენეტიკური ბუნების დაავადება. ვლინდება ყველაზე ხშირად შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის შერწყმით მხედველობის ნერვის ატროფიასთან, სიყრუესთან და საშარდე გზებეს ატონიასთან.

ვოლფსონ-რეზნიკ-გუნთერის სინდრომი — ხერხემალში სიმსივნის მეტასტაზების ადრეული სიმპტომოკომპლექსი: ფესვისებრივი ტკივილი, რომელიც ძლიერდება სიარულის დროს, პალპაციით მტკივნეულია ხერხემლის მალის წვეტიანი მორჩი, ედს — მომატებულია, სისხლის შრატში ასევე მომატებულია ტუტე ფოსფატაზის დონე.

ვოლფ-შალტენბრანდის სინდრომი —სიმპტომოკომპლექსი ზურგის ტვინის სითხეს სპონტანური ჰიპოტენზიის დროს. თავის ძლიერი ტკივილი, რომელიც გადის წოლეს დროს, სუსტად გამოხატული მენინგეალური სიმპტომოკომპლექსი. ზურგის ტვინის ლიქვორის წნევა დაქვეითებულია, ზოგჯერ უარყოფითიც კი არის.

ვოლფ-ჩაიკოის ეფექტი — ადგილი აქვს ორგანიზმში იოდიდების მნიშვნელოვანი დოზების ხანგრძლივად შეყვანისას და გამოიხატება ფარისებურ ჯირკვლებში ორგანული იოდის შემცველობის შემცირებაში, რასაც თან სდევს ტრიიოდთირონინის და თიროქსინის გამომუშავების დათრგუნვა. თირეოტოქსიკოზის შემთხვევაში ეს ეფექტი განსაკუთრებით შეიძლება იყოს გამოხატული და ელინდებოდეს იოდის მცირე დოზების მიღების დროსაც.

ვოლფ-ჰირშჰორნის სინდრომი — სინონიმი: ვოლფის სინდრომი.

ვონას დაავადება — ვონას სინდრომი, ვონას მიელოსკლეროზი — ქრონიკული მიელოსკლეროზული ლეიკოერითრობლასტიკურ ანემია. ნიშნები: გამოხატული სპლენომეგალია, ზომიერი ჰეპატომეგალია (ნაადრევი ნიშანია), ოსტეოსკლეროზ (დასაწყისში ლულოვანი ძვლებისა), სისხლში ლეიკემოიდური სურათი ერითრობლასტოზითა და ანემიით. დასაწყისში არაიშვიათად ერითროციტოზი, ანიზოციტოზი, პოლიქრომაზია, ზომიერი ლეიკო და

თრომბოციტოზი. ძვლის ტვინში: მეგაკარიოციტოზი და მეგაკარიობლასტოზი. ელენთაში, ღვიძლში, თირკმლებში და სხვა ორგანოებში, ლიმფურ კვანძებში მიელოიდური მეტაპლაზია. პროგრესირება ნელი, სინონიმი: ჰარისონ-ვონის სინდრომი.

ვორენეის სინდრომი — ღვიძლის ფუნქციური ალიმენტური ლიპიდოგენური დარღვევა ბავშვებში. კლინიკა: ღვიძლის გადიდება, მუცლის შებერვა, ხანმოკლე აბდომინური ჭვალვა, გულისრევა, პროგრესიული უმადობა, შეკრულობა, დაღლილობა, ძილის დარღვევა, თავის ტკივილი დღლით, წყურვილი. ყველა ნიშანი ქრება, როცა ავადმყოფი გადაჰყავთ ნახშირწყლებით მდიდარ და ცხიმებით ღარიბ კვებაზე. ღვიძლის ფუნქციები ლაბორატორიულად უცვლელია. უფრო ხშირად ავადდებიან ვაჟები, ზოგჯერ მოზრდილებიც.

ვორონოვის სიმპტომი — ვორონოვის ფსევდოატროფიული არშია, მოთეთრო ფერის რგოლი სიფართით რამდენიმე მილიმეტრი, რომელიც წარმოიშობა ფსორიაზული გამონაყრების ირგვლივ მათი შეწოვის დროს.

ვორსაბ-იცენკოს ეპილეფსია — ქერქქვეშა ეპილეფსია — ეპილეფსიის საერთო სახელი, რომლებიც შეპირობებულია თავის ტვინის ბაზალური ბირთვების დაზიანებით.

ვოსიუსის რგოლისებრივი კატარაქტა — თვალის რგოლის წინა პარკში არის წაბლისფერი რგოლი, რომელიც არის ზუსტი ანაბეჭდი გუგისა, მისი სიდიდისა და ფორმის, შედგენილია პიგმენტისაგან. ისინჯება მხოლოდ გუგის გაფართოების შემდეგ, ზოგჯერ დიდხანს რჩება. წარმოეშობა თვალის ტრავმის (წინიდან) შედეგად.

ვოსკრესენსკის სიმპტომი — მუცლის აორტის პულსაციის გაქრობა ეპიგასტრალურ არეში. ზოგჯერ აღინიშნება მწვავე პანკრეატიტის დროს.

ვოტჩალ-კაპსის მეთოდი — ხელის მტევნის ვენების ტონუსის შეფასების მეთოდი. საამისოდ პლეტიზმოგრაფში ისაზღვრება სისხლის მოცულობის ნამატი, როცა ხდება ვენური უკუქცევის ბლოკირება დოზირებული წნევით.

ვოტჩალ-ტიფნოს სინჯი — ტრაქეობრონქული გამაელობის შეფასების ფუნქციური სინჯი. ამისათვის მაქსიმალური შესუნთქვის შემდეგ ხდება ფორსირებულად ამოსუნთქული ჰაერის მოცულობის განსაზღვრა პირველ წამში. შემდეგ გამოითვლება მისი პროცენტული შეფარდება ფილტვების ფაქტიურ სასიცოცხლო მოცულობასთან. სინონიმი: ტიფნოს სინჯი.

ვოჰანის სინდრომი — ლეიკოერითრობლასტიური ლეიკოზი. ოსტეომიელოპოეზური დისპლაზიის ერითრობლასტური ვარიანტი, როდესაც მიელოიდურ ჰიპერპლაზიასთან ერთად ვითარდება ძლიერი ერითრონორმობლასტოზი. ზოგჯერ პერიფერიულ სისხლში გვხვდება მეგაბლასტოიდური, ისე ერითრონორმობლასტური ჰიპერპლაზია. მიმდინარეობა 10—15 წელი. სინონიმები: ვოჰან-ჰარისონის სინდრომი, ვოჰან-ოქსონის სინდრომი.

ვოჰან-ოქსონის სინდრომი — სინონიმები: ვოჰან-ჰარისონის სინდრომი, ვოჰანის სინდრომი (იხ.).

ვოჰან-პარისონის სინდრომი — სინონიმები: ვოჰანის სინდრომი, ვოჰან-ოქსონის სინდრომი.

ვპვ სინდრომი — ანტესისტოლია, პრეექსტრასისტოლია, პარკუჭთა ნაადრევი აგზნების სინდრომი. დაკავშირებულია პარკუჭებში სინუსური იმპულსის გატარებასთან გენეტიკურად დეტერმინირებულ დამატებითი გამტარი გზებით. ამ დროს აღგზნების იმპულსი გადადის პარკუჭებში როგორც ატრიო-ვენტრიკულური კვანძის გავლით, ისე დამატებითი გზებით. კლინიკურად შესაძლოა არც გამოვლინდეს ან გამოიხატოს პაროქსიზმული ტაქიკარდიის ხშირი შეტევებით. დიაგნოზი დგინდება მხოლოდ ელექტროკარდიოგრაფიულად, შემოკლებული PQ და PR ინტერვალი, QRS — კომპლექსი გაფართოებულია, მის აღმავალ ნაწილზე აღინიშნება დელტა ტალღა, დეფორმირებული ST — სეგმენტი, უარყოფითი T კბილი. სიმოხიძეები: კენტის სინდრომი, ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომი.

ვრედენის სიმპტომი — მკვრივი მტკივნეული ლილვაკი, რომელიც შეიგრძნობა პალპატორულად, გაშლილი მუხლის სახსრის მიდამოში და რომელიც ქრება სახსრის მოღუნვისთანავე. მენისკის დაზიანების ნიშანი.

ვრედენის მაკრატლის სიმპტომი — ტკივილის რეაქცია და წინააღმდეგობის გაწევა გაშლილი ფეხების სწრაფი პასიური განცალკევების დროს. კოქსიტის ადრეული ნიშანი.

ვროლიკის დაავადება ანუ სინდრომი — სასიკვდილო ოსტეოპოროზი, პერიოსტეუმის აპლაზია. ძვლების მტვრევადობის თანდაყოლილი ავთვისებიანი ფორმა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დამახასიათებელია: კიდურთა და ნეკნების მრავლობითი მოტეხილობები. უკვე მშობიარობისას, კიდურები ძალიან მოკლე და დეფორმირებულია, „კაუჭუკის თავი“, თავის ქალა ჩვეულებრივი ზომისაა, კალციუმისა და ფოსფორის შემადგენლობა ნორმალურია, სიმაღლე ჯუჯისებრი, თმები კარგადაა განვითარებული. პროგნოზი მძიმე. სინონიმები: პორაკ-დურანტეს დაავადება, დენტ-ფრიდმანის სინდრომი.

ვუალეზის პნევმონია — მიეკუთვნება კრუპოზულ პნევმონიის თავისებურ მიმდინარეობას. დამახასიათებელია ფილტვების მწვავე ჰიპერემია. წარმოადგენს რუდიმენტულ ფორმას, რომლის დროსაც დაავადება იწყება ტიპიურად, სიცხის სწრაფი აწევით, ხველებით და ჰიპერემიული მოვლენებით ფილტვებში. მაგრამ 2-3 დღის შემდეგ, სპეციფიკური მკურნალობის გარეშე, სიცხე ეცემა და ავადმყოფობა მთავრდება ისე, რომ ინფილტრაციის მოვლენები არ ვითარდება.

ვუდის სინდრომი — ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილების ერთობლიობა, კბილები Tv_2—V_3 ინვერსია, ღრმა კბილები S_1 და Q_3. აღინიშნება ფილტვის არტერიაში მასიური ემბოლიების დროს.

ვუდსის ცხვირის ავთვისებიანი გრანულომა — ცხვირის ავთვისებიანი გრანულომა, სახის ავთვისებიანი გრანულომა, ცხვირის განგრენოზული არასპეციფიკური გრანულომა, ცხვირის მანეკროზებული გრანულომა-ვეგენერის გრანულომატოზის ფორმა, რომელიც იწყება ცხვირის ლორწოვანი გარსის ნეკროზულ-წყლულოვანი დაზიანებით.

ვულპიან-ბერნარის დაავადება — ამიოტროფია, შეპირობებული ზურგ-

გის ტვინის წინა რქების უჯრედთა დეგენერაციული პროცესით — ახასიათებს პროგრესული პერიფერიული პარეზები და ატროფია კიდურების და ტანის დისტალურ, შემდეგში ასევე პროქსიმული ნაწილებისა. სინონიმი: არან-დუშანის ამიოტროფია.

ვულპიანის სანდრომი — სითბური გაღიზიანების მიმართ ანესთეზიის პარალელურად აღინიშნება ჰიპერესთეზია სიცივეზე გამღიზიანებლის მიმართ. გვხვდება ზურგის ტვინის ხმობის დროს.

ვულფ-დოლოვიც-ოლდენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. კლინიკა: თანდაყოლილი სუბტოტალური სიყრუე, გაპირობებული სმენის ნერვის განვითარების ანომალიით (ვესტიბულური ფუნქცია არ არის დარღვეული), თანდაყოლილი ნაწილობრივი ალბინიზმი. თვალის ფსკერზე გაფანტული წერტილოვანი პიგმენტური ლაქები. შემთხვევები ფიქსირებულია მხოლოდ ჩრდილო-ამერიკელ ინდიელებში.

ვუნდერლიხის სინდრომი — პერირენული აპოპლექსია, პერირენული ჰემატომა, პერირენული ჰემოგრაფია. კლინიკა: ყრუ ტკივილი თირკმლის არეში, რომელიც ვითარდება სხეულის შერყევის ან თირკმელის არეზე დარტყმით, ხანმოკლე ჰემატურია. მოგვიანებით ლეიკოციტურია, შარდის გამოყოფის დარღვევა.

ვუნდერლიხის ტემპერატურული მრუდი — ტემპერატურული მრუდი მუცლის ტიფიან ავადმყოფებში. ახასიათებს თანდათანობითი მომატება, ხანგრძლივი, მუდმივი ცხელება და სიცხის ლიზისური დაწევა, დღიურ მერყეობათა მაღალი ამპლიტუდით.

ვურლბაინი-ჯეკსონის სიმპტომი — გვხვდება ნათხემის ჭიის სიმსივნის დროს — დროდადრო შეტევის სახით, კიდურებში აღინიშნება გამშვლეკ კუნთების ტონური კრუნჩხვები. სიმპტომი დაკავშირებულია სუნთქვის მოშლასთან და არის შედეგი სიმსივნის დაწოლისა ტვინის ღეროზე.

ვუპერპფენიგის აქტინო-ალერგიული ჰეილიტი — იხ. სინონიმი: ქირისის დაავადება.

ზაბლოცკი — დესიატოვსკი — ფრენკელის სიმპტომი — ცხვირიდან ჩირქის გამოყოფა თავის წინ გადმოწევის (დახრის) დროს პათოლოგიური პროცესის (ზედაყბის სინუსში) მოპირდაპირე მხარეს. ადგილი აქვს ერთმხრივი ჩირქოვანი ჰაიმორიტის დროს.

ზაგრაბიანის სიმპტომი — დაწეული თავის სიმპტომი — თავის ტკივილის ინტენსივობის შემცირება ავადმყოფის ტრენდელენბურგის მდგომარეობაში (იხ.) გადაყვანის დროს. აღინიშნება ცერებროსპინალური სითხის დაბალი წნევისას.

ზავესის მეთოდი — მუხლის სახსრის მადეფორმირებელი ართროზის მკურნალობის მეთოდი, დამყარებული სახსრის ღრუში ჟანგბადის შეყვანაზე.

ზავიალოვის სიმპტომი — თუ ილეოცეკალურ მიდამოში აწეულ კანს სწრაფად გაუშვებთ ხელს, მწვავე აპენდიციტის დროს წარმოიშობა ტკივილი.

ზაიტელბერგერის სინდრომი — სპასტიკური ამაეროზული იდიოტია. ნივთიერებათა ცვლის იშვიათი მემკვიდრეობითი დარღვევები პროგრესირებადი ლიპოიდური დეგენერაციით ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. გადაცემის ტიპი. აუტოსომურ.— რეცესიული.. ნიშნები: ფსიქომოტორული გან-

ეიოარების შეჩერება, ამაროზი, ნისტაგმი, დამბლები, ოლიგოფრენია (იდიოტია), სმენის დარღვევები და სიყრუე, ბულბალური სიმპტომები — ყლაპვის პოშლა, სახის კუნთების, ენისა და საღეჭი კუნთების უნებლიე მოძრაობები, კისრის და კეფის კუნთების დამბლა, შარდისა და განავლის შეუკავებლობა.

ზაკის სიმპტომი I — ქრონიკული ტონზილიტის დროს აღინიშნება სასა — ენისა და სასა — ხახის კუთხეების ორივე ნაქში შეშუპება.

ზაკის სიმპტომი II — გულ-მკერდის კანზე, აღმავალი აორტის მიდამოში, ნახევარმთვარისებრი ერითემა, სიფილისური აორტიტის ნიშანი.

ზაკს-ვიტებსკის რეაქცია — ათაშანგის სეროდიაგნოსტიკის მეთოდი, დამყარებული პრეციპიტაციის რეაქციაზე, რომელიც ვითარდება ავადმყოფის შრატში, როცა მას ემატება ციტოქოლის კონცენტრირებული ანტიგენი.

ზამთრის ღებინების დაავადება — ეპიდემიური დიარეა, ეპიდემიური ფაღარათი, მწვავე ინფექციური დაავადება, ვირუსული ეტიოლოგიის, ვრცელდება ეპიდემიის სახით, ძირითადად ზამთარ-ზაფხულის პერიოდში. ახასიათებს გასტროენტერიტის მოვლენათა მძაფრი განვითარება, ღებინებით და წყლიანი განავლის დიდი რაოდენობით, და ასევე ძლიერი სისუსტით და ხშირად ფარინგიტის ნიშნებით. სინონიმები: ჰანოვერის დაავადება, ნაწლავთა გრიპი, სპენსერის დაავადება.

„ზარხოშის" სინდრომი — ალკოჰოლური აბსტინენციის სინდრომი. ვეგეტატიურ, ნეიროლოგიურ და ფსიქიკურ დარღვევების ერთად არსებობა, აღინიშნება ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს.

ზატლერის სიმპტომი — ილეოცეკალურ მიდამოში ტკივილის წარმოშობა, ან მისი გაძლიერება გამართული მარჯვენა ფეხის აწევისას, როცა ავადმყოფი დამჯდარია. აპენდიციტის ნიშანი.

ზახარინის სიმპტომი — მუცლის კედელზე, ნაღვლის ბუშტის საპროექციო არეზე ზეწოლის ან მსუბუქი დარტყმისას ტკივილის წარმოშობა, ქოლეცისტიტის ან ნაღველ-კენჭოვანი დაავადების ნიშანი.

ზახარინ-ჰედის ზონები — კანის უბნები, რომლებზედაც გარკვეული შინაგანი ორგანოების დაავადების დროს აღინიშნება ტკივილის არეკვლა და ასევე ჰიპერესთეზია ტემპერატურასა და ტკივილზე. სინონიმი: ჰედის ზონები.

ზახაროვიჩის სიმპტომი — მუცლის მარჯვენა ნახევარში ტკივილის წარმოშობა, როცა ავადმყოფი წევს მუცელზე, გამომკვლევი კი ერთი ხელით აწვება ავადმყოფის ხერხემლის გულ-მკერდის ნაწილს, მეორე ხელით კი მაღლა სწევს მის ბარძაყებს. ქრონიკული აპენდიციტის შესაძლო ნიშანი.

ზახარკინის სინდრომი — ინფექციური დაავადება კატარალური ანგინით. ჰერპესული ფორმის გამონაყარი სასაზე და ხახის პირში. იწვევს „ა" ქვეჯგუფის კოკსაკის ვირუსი. კლინიკა: ინტერმიტირებული ცხელება, ტკივილი უელში და ყლაპვისას, ნუშისებრ ჯირკვლებზე და რბილ სასაზე — ბუშტუკები. ბუშტუკის ირგვლივი ზონა ჰიპერემიულია, რეგიონული ლიმფური ჯირკვლები არაა გადიდებული, ხშირია კონიუნქტივიტი, ტკივილი კუნთებში, მუცელში, ფაღარათი. მიმდინარეობა კეთილთვისებიანი. ინკუ-

ბაციის დრო 2—6 დღე. არაა იშვიათი რეციდივები დაავადების დაწყებიდან 3—5 კვირაში. უპირატესად ავადდებიან ბავშვები.

ზახარჩენკო — ვალებერგის სინდრომი — იხ. ვალებერგ — ზახარჩენკოს სინდრომი.

ზაუფალის სიმპტომი — უნაგირისებური ცხვირი. გეხედება გვიანი თანდაყოლილი და მესამეული პერიოდის ათაშანგის დროს. მიზეზია ცხვირის ძგიდის დაშლა.

ზეგესერის სიმპტომი — მტკივნეულობა მარცხენა მკერდ-ლავიწ დერილისებრი კუნთის ფეხებს შორის, ელენთის გასკდომის ან მასში კაფსულქვეშა სისხლჩაქცევის დროს.

ზედა ღრუ ვენის სინდრომი — გულმკერდის ვენების, სახის ციანოზის და შეშუპების ერთდროული არსებობა თავის ქალას შიდაწნევის მომატებისას. გამოწვეულია ზედა ღრუ ვენაზე ზეწოლით ან მისი თრომბოზით.

„ზედმეტი კანის" სიმპტომი — იხ. პტერიგიუმ — სინდრომი.

ზელერტის ფსიქოზები — ქრონიკული აფექტური, აფექტურ-ბოდვითი და პაროიდული ფსიქოზების ჯგუფი, წარმოშობილი 45—60 წლის ასაკში და გაპირობებული მემკვიდრეობითი განწყობის შერწყმით, არამკაფიოდ გამოხატული თავის ტვინის სისხლძარღვების პათოლოგიური ცვლილებებით.

ზეემანის სინდრომი — ბავშვებში მეტყველების განვითარების შეჩერებისა და ატაქსიის შერწყმა ნორმალურ სმენასა და ინტელექტთან. აღინიშნება ნათხემის განვითარების ანომალიების დროს.

ზეილმაიერის პურპურა — პოსტინფექციური კოკარდისმაგვარი პურპურა, უცნობი ეტიოლოგიის ბავშვთა დაავადება. გამოვლინდება კანის ბუშტუკისმაგვარი სისხლჩაქცევებით სახესა და კიდურთა მომხრელ ზედაპირზე, შემოფარგლული გაფერმკრთალებული კანის ზოლით, რომელიც თავისი გარეგნული იერით მოგვაგონებს კოკარდას. როგორც წესი, ვითარდება გრიპის გადატანის შემდეგ.

ზეიტცის სიმპტომი — ზეიტცის ცვალებადი ხიხინი, აუსკულტაციური ფენომენი: შესუნთქვის დასაწყისში სველბუშტუკოვანი ხიხინი, შესუნთქვის დასასრულს მისი შეცვლა ბრონქული ან ამფორული სუნთქვით. აღინიშნება ფილტვებში ღრუს არსებობის დროს, რომელიც შეიცავს ჰაერსა და სითხეს.

ზეიტცის ცვალებადი ხიხინი — ახასიათებს ფილტვის კავერნას ან ინფილტრატს: შესუნთქვის დასაწყისში ჰგავს ყურყურს (ჰაერი გადის ვიწრო ბრონქის სანათურში), შესუნთქვის ბოლოს კი — ბრონქული ან ამფორული სუნთქვა.

ზეკელ-ვირხოვის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ — რეცესიული. ნიშნები: ნაყოფი წონასა და ზომაში ნაკლულია, აღინიშნება მიკროცეფალია, ჰიპერტელორიზმი, ცხვირის გამრუდება (ჰგავს თუთიყუშის ნისკარტს), შედარებით დიდი თვალები, ეგზოფთალმი, ეპიკანტი, სიჭლმე, მაღალი სასა, ჰიპოდონტია, კბილების ემალის ჰიპოპლაზია, ჰიპოტრიქოზი, ბარძაყის ამოვარდნი-

ლობა, ფეხის დიდი თითების სინდაქტილია, ხელის დიდი თითების ჰიპო ან აპლაზია, გულ-მკერდის აპლაზია, კლინოდაქტილია, ღვიძლის დისპლაზია, თირკმლების ჰიპოპლაზია და დისპლაზია, კრიპტორქიზმი, მნიშვნელოვანი გონებრივი ჩამორჩენილობა.

ზელვერგის ცერებრო-ჰეპატორენული სინდრომი — ახალშობილია იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ — რეცესიული. სიცოცხლესთან შეუთავსებელია. ამ დროს აღინიშნება პეროკსიზომ — ციტოპლაზმურ ორგანელთა არარსებობა (უპირატესად ჰეპატოციტებსა და თირკმლის მილაკების პროქსიმალურ უჯრედებში). კლინიკა: ძლიერი ჰიპოტონია, კრუნჩხვები, ძუძუს წოვის სუსტი რეფლექსი, თავის ქალას ცვლილება, ჩონჩხის ანომალია, ჰეპატომეგალია, სუნთქვითი უკმარისობა.

ზელდერის კორნეო-მანდიბულური სიმპტომი — თვალის ჩაკერას, ღეჭვის ტესტი, კორნეო-პტერიგოიდული რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი თვალის ირგვლივი კუნთის და გარეთა ფრთისებრი კუნთის ერთდროული (თანხვედრილი) შეკუმშვა — ქვედა ყბის შემდგომი მოძრაობით მოპირდაპირე მხარეს, როდესაც შეეხებით რქოვანას ან ვცდილობთ ენერგიულად დავხუჭოთ თვალები. ქერქბირთვოვანი გზების ორმხრივი დაზიანების ნიშანი.

ზელტერ-სვიფტ-ფეერის სინდრომი — აკროდინული სინდრომი: პოლინეიროპათიული ერითროდერმია, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება (ძირითადად ბავშვებში ხუთ წლამდე). დამახასიათებელია ქცევის შეცვლა მკაფიოდ გამოხატულ ფსიქიკურ დარღვევამდე. კიდურთა კანზე არის პოლიმორფული ცვლილებები. აღინიშნება ძლიერი ქავილი, ტკივილი და ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევები, კუნთების ჰიპოტონია, პარეზები, დამბლები, ზოგჯერ კრუნჩხვითი შეტევები. სინონიმები: სვიფტის სინდრომი, ფეერის დაავადება, ზელტერის დაავადება.

ზელტერის დაავადება იხ. სინონიმი: ზელტერ — სვიფტ ფეერის სინდრომი.

ზელცერ-კაპლანის სინდრომი — მემკვიდრეობითი არასფეროციტული ჰემოლიზური ანემია (როგორც ჩანს, გადაცემული აუტოსომურ — რეცესიული ტიპით). კლინიკა: ჰემოლიზური სიყვითლე; ჰეპატო და სპლენომეგალია, ცვლილებები ძვლებში, მონგოლოიდური სახის ნაკვთები, სისხლში — ნორმოქრომული ანემია, ერითროციტები ნორმო, ან მაკროციტული, მსუბუქად ოვალოციტური, სფეროციტები არ აღინიშნება. ერითროციტების ოსმოსური და მექანიკური რეზისტენტობა ნორმალურია. ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებულია. კუმბსის სინჯი უარყოფითია. ძვლის ტვინში აღინიშნება გაძლიერებული ერითროპოეზი.

ზელცერ-ოგდენის სინდრომი — ანემიის მეგალობლასტური ფორმა. დაავადება იწყება თანდათანობით ცხოვრების პირველ წლებში სასუნთქი გზების და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ინფექციის ნიშნებით. სისხლში ჰიპერქრომული ანემია, პერიფერიულ სისხლში — მეგალობლასტები. ფოლიუმის მჟავითა და B_{12} ვიტამინით მკურნალობას მოყვება ნორმალური ერითროპოეზი. კუჭის აქილია რეაგირებს ჰისტამინზე.

ზელწეიგის დაავადება — კასტრაციული სიმპტომოკომპლექსი ქალებ-

ში. ნაკლებად ვლინდება მამაკაცებთან. ნიშნები: ცხიმოვანი ქსოვილის განაწილების შეცვლა, ფსიქიკისა და ხასიათის დამახასიათებელი ცვლილებები. იცვლება ასევე ჩონჩხის აღნაგობა.

ზემცოვის მეთოდი — ხასაში სუსტად კონტრასტული უცხო სხეულების რენტგენოლოგიური აღმოჩენის მეთოდი. დამყარებულია კისრის მიდამოს გვერდითი პროექციის რენტგენოგრაფიაზე, მცირე დაყოვნებით, გამოსაკვლევი პირის სრული უმოძრაობისას.

ზენგერის სიმპტომი — ზემო ქუთუთოების ბალიშისმაგვარად შესივება, ახასიათებს დიფუზურ-ტოქსიკურ ჩიყვს. სინონიმები: ზენგერ-ენროთის სიმპტომი, ენროთის სიმპტომი.

ზენგერ-ენროთის სიმპტომი — სინონიმები: ზენგერის სიმპტომი, (იხ.) ენროთის სიმპტომი.

ზერრის სიმპტომი — ავადმყოფს ურჩევნია ძილი გრილ შენობაში, იხდის მთლიანად ტანსაცმელს და იხურაცს მხოლოდ ზეწარს. თირეოტოქსიკოზის ნიშანი, გაპირობებული სითბოს მომატებული პროდუქციით.

ზიგრისტის სიმპტომი — თვალის ფსკერის არათანაბარი პიგმენტაცია მკაფიოდ გამოკვეთილი ჯაჭვების სახით ბადურას სკლეროზული სისხლძარღვების გაყოლებაზე. ვითარდება ჰიპერტონიული რეტინოპათიის დროს.

ზივერტ-კარტაგენერის სინდრომი — დამახასიათებელია შინაგან ორგანოთა პირუკუ განლაგება და მისი შეუღლება ბრონქოექტაზებთან და პანსინუსიტთან.

ზივეს სინდრომი — ნიშნები: სიყვითლე, ჰიპერბილირუბინემია, ჰიპერქოლესტერინემია და ანემია რეტიკულოციტოზით. გვხვდება ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. ღვიძლის ბიოფსიულ მასალაში აღინიშნება ცხიმოვანი ინფილტრაცია.

ზიკის ანგიიტი — ზემგრძნობიარე ანგიიტი, მწვავე ალერგიული ვასკულიტი, ხასიათდება სხვადასხვა ლოკალიზაციით, კვანძებისა და ხორკლების წარმოშობით, რომლებიც განიცდიან ნეკროზს.

ზიკინგერის სინდრომი — კონიუნგირებულ ცხიმოვან მჟავათა თეძოს ნაწლავის დისტალურ ნაწილში უკუშეწოვის დარღვევის სიმპტომოკომპლექსი. ნიშნები: დღის პირველ ნახევარში ფაღარათი, რომელსაც თან სდევს ტენეზმები, ღამით (საჭმლის მიღების შეწყვეტისას) ფაღარათიც წყდება, ზომიერი სტეატორეა, ჰიპოქოლესტერინემია, B_{12} ვიტამინის შეწოვის დარღვევა, ზომიერი ანემია. აღინიშნება კრონის დაავადების (იხ.) დროს, თეძოს ნაწლავის რეზექციის ან მისი დისტალური ნაწილის გამორთვის შემდეგ.

ზილბერის მეთოდი — მაობლიტირებელი ენდარტერიტის მკურნალობის მეთოდი. ინტრავენურად შეჰყავთ ნატრიუმის ქლორიდის ჰიპერტონიული ხსნარი. იტოს მეთოდის (იხ.) მოდიფიკაციაა.

ზილბერ-ალასტ-ზანდის სიმპტომი — ქუთუთოების თრთოლვის ნიშანი — ქუთუთოების რხევა, როცა გამოსაკვლევი პირის თვითი უახლოვდება ავადმყოფის თვალებს. აღინიშნება ენცეფალიტის მწვავე სტადიაში.

ზიმნიცკის სინჯი — თირკმელებისმიერი ოსმოსური კონცენტრაციის და ოსმოსური განზავების უნარის განსაზღვრის მეთოდი. დამყარებულია დღის

მანძილზე ყოველ სამ საათში შარდის რაოდენობის გამოყოფასა და მისი კუთრი წონის განსაზღვრაზე. საკვებისა და წყლის მიღების რეჟიმი ჩვეულებრივია.

ზინგერინ სინჯი — კუჭის წვენში გასტრომუკოპროტეინის აღმოჩენის მეთოდი. დამყარებულია ამ ფაქტორის მომცველ კუჭის წვენის თაგვებში კანქვეშ შეყვანისას პერიფერიულ სისხლში რეტიკულოციტების რიცხვის მომატებაზე. გამოიყენება პერნიციოზული ანემიის სადიაგნოზოდ, რომლის დროსაც კუჭის წვენში გასტრომუკოპროტეინი არ არის.

ზინჩენკოს სიმპტომი — კიბეზე ასვლის დროს იძულებითი შეჩერება. გამოწვეულია წვივის კუნთების სპაზმით. მიოტონიის ნიშანია.

ზოლინგერ-ელისონის ხინდრომი — კუჭუკანა ჯირკვლის უღვიძლო აღენომა — კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიკური წყლულების შერწყმა პანკრეასის კუნძულების აღენომასთან. რომელიც ვითარდება აციდოფილური ინსულოციტებიდან (ალფა — უჯრედებიდან).

ზონეს დიზენტერია — დიზენტერიის კლინიკურ-ეტიოლოგიური ვარიანტი, გამოწვეული ზონეს დიზენტერიული ბაქტერიებით. ტიპურ შემთხვევაში ახასიათებს მძაფრი დასაწყისი, ენტერიტის ან გასტროენტერიტის სურათის სიჟარბე, კატარული ან კატარულ-ჰემორაგიული კოლიტი, რომელიც იშვიათად გადადის გახანგრძლივებულ ან ქრონიკულ ფორმაში.

ზონენბლიკის ინდექსი — გულის კუნთის კუმშვადობის მაჩვენებელი. ტოლია პარკუჭშიდა წნევის მომატების მაქსიმალური სისწრაფის შეფარდება მიოკარდიუმის დაძაბვის სიდიდის ინდექსთან.

ზროდოვსკი-სანარელის ფენომენი — ანაფილაქტოიდური რეაქცია მწვავე გავრცელებული ვასკულიტის სახით, მრავლობითი სისხლჩაქცევებით. კლინიკურად მოგვაგონებს გახანგრძლივებულ ანაფილაქსიურ შოკს. სინონიმი: სანარელ-შვარცმანის ფენომენი.

ზუბროდის ფენომენი — შაქრიანი დიაბეტის „რემისია", კიმელსტილ-ეილსონის (იხ.) სინდრომის განვითარებისას: აღინიშნება ტენდენცია ნახშირწყლოვანი ცვლის ნორმალიზაციისაკენ. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის სტადიაში წყდება გლიკოზურია, მცირდება გლიკემია და მოხსნილება ეგზოგენურ ინსულინზე. პათოგენეზურ მომენტებად მიაჩნიათ ჰიპოპროტეინემია, ინსულინის დაშლის შემცირება, გლუკაგონის პროდუქციისა და ადენოჰიპოფიზის ფუნქციის დაქვეითება აზოტური ცვლის პროდუქტების ზემოქმედებით. სინონიმი: ზუბროდი-დანას ფენომენი.

ზუბროდი-დანას ფენომენი — (იხ.). სინონიმი: ზუბროდის ფენომენი.

ზუდეკის დაავადება ანუ სინდრომი — ხელის მტევნების და ტერფების ძვლების მწვავე ატროფია. ახასიათებს დეკალცინაცია. ჩვეულებრივ ვითარდება ტრავმის ან სიდამწვრის შემდეგ. აღინიშნება დაზიანებული სახსრის მოძრაობის შეზღუდვა, შეშუპება, კანის ლოკალური ციანოზი და ტემპერატურის მომატება. დაავადებას უკავშირებენ ლოკალურ სისხლძარღვოვან მოტორულ რეფლექსურ პასუხს ტრავმაზე. სინონიმები: ზუდეკის მწვავე ძვლოვანი ატროფია, ზუდეკ-კინბოკის დაავადება, ზუდეკ-

ლერიშის სინდრომი, ლერიშ-ზუდეკის სინდრომი, ლერიშის დაავადება, კინბოკ-მაიზელის დაავადება.

ზუდეკ-კინბოკის დაავადება — სინონიმები: ზუდეკის დაავადება (იხ.), ანუ ზუდეკის მწვავე ძვლოვანი ატროფია, ლერიშის დაავადება, ზუდეკ-ლერიშის სინდრომი, კინბოკ-მაიზელის დაავადება.

ზუდეკ-ლერიშის სინდრომი — სინონიმები: ზუდეკის დაავადება (იხ.), ანუ ზუდეკის მწვავე ძვლოვანი ატროფია, ლერიშის დაავადება, ზუდეკ-კინბოკის დაავადება, კინბოკ-მაიზელის დაავადება.

ზუკერის სიმპტომი — განზე გახედვის მდგომარეობაში თვალის ფიქსაციის უუნარობა (წააგავს მებიუსის სიმპტომს (იხ.). ადგილი აქვს ბაზედოვის დაავადებისას (იხ.).

ზუპანოს-ზეგესერ-შნეიდერის სინდრომი — სიმპტომკომპლექსი, რომელიც აღენიშნებათ თიმომით ავადმყოფებს: თიმუსის სიმსივნე (ჩვეულებრივ კეთილთვისებიანი), გამოხატული მიასთენია, ერითრობლასტური ანემია, სისხლში მგლურას უჯრედები. შესაძლოა ამ სინდრომის მემკვიდრეობითი გენეზი.

ზღვის დაავადება — იგივეა საჰაერო დაავადება. პათოლოგიური მდგომარეობა, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი პირისათვის ფრენის ან გემით ცურვის დროს. გამომწვევია ვესტიბულური აპარატის ხანგრძლივი გაღიზიანება. გამოვლინდება სისუსტით, თავბრუთი, ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფით, ოფლიანობით, გულისრევით და ღებინებით.

თაგვის დაავადება — პატარა შავი ჭირი, კურდღლის დაავადება, კურდღლის ცხელება, მწვავე ინფექციური ბუდობრივი დაავადება ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფიდან. იწვევს ფრანცისელა ტულარენსისი. ადამიანს გადაეცემა კონტაქტურად, ალიმენტური, ჰაეროვანი ან ტრანსმისიული გზით. სინონიმი: ფრანსის დაავადება.

თავდაკვრის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია ფეხზე დგომისას წელში წინ მოხრა, ფეხში და დუნდულში ტკივილის გამო. გავა-წელის რადიკულიტის ნიშანი. სინონიმი: ენრის ნიშანი.

თაიჯესონის კერატიტი — ზედაპირული წერტილოვანი კერატიტი, წერტილოვანი კერატიტი, რომლის დროსაც ინფილტრატები განლაგებულია რქოვანას ყველაზე ზედაპირულ შრეებში, ამას თან ახლავს კონიუნქტივიტი. უფრო ხშირად აღინიშნება ვირუსული დაავადებების დროს (გრიპი, წითურა და სხვა). სინონიმი: ფუქსის კერატიტი.

თაისენის სინდრომი — პროქტალგია. ანალური ხვრელის მიდამოში რეფლექსური შეტევის მსგავსი ტკივილი. ნიშნები: ანალური სფინქტერის მიდამოში ხანმოკლე ტკივილი, რომელიც შეიძლება ღრმად გავრცელდეს. ხშირია ზეწოლის შეგრძნება გულის მიდამოში, ფერმკრთალობა, ოფლიანობა, შეკრულობა, ბუასილი, პროსტატიტი, პროქტოსიგმოიდიტი. სინონიმი: მაკ-ლენის სინდრომი.

თალმა-კრაბეს მიოტონია — მიოტონიის ფორმა, თომსენის (იხ.). საპირისპირო დაავადებისა, სადაც მიოტონია თანდაყოლილია, მიოტონიის ეს ფორმა კი შეძენილია, ვლინდება აბორტულად, გვიან ასაკში.

„თამბაქოს მწარმოებელთა დაავადება" — მათ ძირითადად უეითარ-

დებათ ეგზოგენური ალერგიული ბლეფოლიტი. დაავადება მიმდინარეობს სამი კლინიკური ვარიანტით. ესენია: 1. ობსტრუქციული ბრონქიტი; 2. ასთმური ფორმა; 3. მორეციდივე პნევმონია.

თანჰაუზერის ლეიძლის ციროზი — ღეიძლის ქსანტომატოზური ციროზი, ღვიძლის ციროზი, რომელსაც ახასიათებს გამოხატული ჰიპერქოლესტერინემია და კანზე ქსანტომების წარმოქმნა.

თვალისა და ენის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია ერთდროულად დახუჭოს თვალები და გამოყოს ენა. სახის კუნთებისა და ენის ჰიპერკინეზიის გამოვლინება, მაგალითად, მცირე ჭორეის დროს.

თვალის გუგის თანდაყოლილი რეტრაქციის სინდრომი — უფრო ხშირად თვალის გუგის კუნთების ცალმხრივი დამბლა, ვლინდება მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით და თვალის გაწევით (რეტრაქციით), ართრიტული ცვლილებები. სინონიმები: თიმან-ფლეიშნერის სინდრომი. დუენის სინდრომი, შტილინგ-ტიურკ-დუენის სინდრომი.

თევნარის სინდრომი — ოჯახური აკროოსტეოლიზი, წყულოვანი მადეფორმირებელი აკროპათია. მემკვიდრეობითი დერმატოზი, გამოწვეული ზურგის ტვინის განგლიების დაზიანებით. გამოვლინდება კიდურთა (უმრავლესად) დისტალური ნაწილების ჰიპერკერატოზით, წყლულების წარმოშობით, ძვლებისა და ტერფის დეფორმაციით, წვრილი ძვლების ოსტეოლიზით. სინონიმები: ჯიაკაიას სინდრომი, პერონ-დრეკე-კულონის სინდრომი.

თეთრი თითების სინდრომი — ვიბრაციული დაავადება, პროფესიული დაავადება, გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედებით, გადაცემულია ხელებით ან სხეულის საყრდენი ზედაპირით. ახასიათებს ანგიოტროფონევროზის განვითარება, რასაც თან სდევს რიგ ორგანოთა და სისტემების სხვა ფუნქციური დარღვევები. სინონიმები: ვიბრაციული ანგიონევროზი, რეინოს ცრუ დაავადება, ვიბრაციული სინდრომი.

თეთრი ლაქის სიმპტომი — ტერფის ან ხელის მტევნის კანზე თეთრის დაჭერით თეთრი ლაქის გაჩენა, რომელიც დიდხანს არ ქრება, აღინიშნება კიდურების დისტალურ ნაწილებზე სისხლძარღვოვანი უკმარისობის დროს, სიმფათიკური ინერვაციის დარღვევის შემთხვევებში.

თეოდორის სიმპტომი — გვხვდება წითურას დროს და ვლინდება ყველა პერიფერიული ლიმფური კვანძების თანაბარი და ერთდროული გადიდებით.

თერსილის სინდრომი — კოშკის ფორმის თავის ქალას, ეგზოფტალმისა და მხედველობის ნერვთა ატროფიის შერწყმა მხედველობით მოძრაობებთან, ეპილეფსიურ გულყრებთან და ოლიგოფრენიასთან. პირობადებულია კრანიოსტენოზით.

თიბიერ-ვეისენბახის სინდრომი — კანის სკლეროდერმიული კალცინოზი — სისტემური სკლეროდერმიისა და კანის კალცინოზის შერწყმა.

თიერის გენერალიზებული პაპულოზური ფიბრომატოზი — გენერალიზებული პაპულოზური ფიბრომატოზი, უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს ლაქები და პაპულო-ბორცვიანი გამონაყარი, რომელთა შეერთებითაც ჩნდება ბალთები, რაც მოგვაგონებს სკლეროდერმიას.

თითით მიწოლის სიმპტომი — თითით დაწოლით კუჭის დიდ სიმრუდეზე რენტგენოლოგიური ჩრდილის შეზნექა, მცირე სიმრუდის წყლულის მოპირდაპირედ კუჭის ცირკულარული კუნთების რეფლექტორული სპაზმის შედეგად. სინონიმი: დე კერვენის სიმპტომი, საჩვენებელი თითის სიმპტომი.

„თითისტარისებური" თითების სიმპტომი — რევმატოიდული ართრიტისათვის დამახასიათებელია პროქსიმალური ფალანგთაშორისო თითების სახსრების დეფორმაცია, რის გამოც თითები ღებულობენ თითისტარისებურ ფორმას.

„თითი-ტელესკოპი" — ხრტილის დარღვევამ და ძელის მნიშვნელოვანწილად განსრუტვამ შესაძლოა გამოიწვიოს მთელი ფალანგების დაკარგვა, რის შედეგად ძვლოვან საფუძველთან შედარებით ხდება კანისა და ქსოვილების გადამეტებული დაგრძელება და ტელესკოპის რგოლებივით მათი ერთმანეთზე დალაგება. აღინიშნება ტკივილის ფენომენი. ეტიოლოგია სხვადასხვაგვარია, მათ შორისაა ფსორიაზი. სინონიმები: მარი-ლერიშის დაავადება, „ლორნეტის მსგავსი ხელი".

თიმანის დაავადება — ანუ სინდრომი. ხელისა და ფეხის თითების მემკვიდრეობითი დაავადება ჭაბუკებში. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. უპირატესად ზიანდება ხელის შუა ან ბოლო ფალანგების შესახსრებები (ორ ან სამ თითზე), ხოლო ფეხისა — დიდი თითის ძირითადი სახსარი და პირველი ტარსო-მეტატარსული სახსარი. რენტგენოლოგიურად დაზიანებული ეპიფიზები დაპატარავებულია, შესაბამისი ფალანგი დამოკლებულია. დაავადება ჩვეულებრივ იწყება სქესობრივი მომწიფების წინ. განკურნება ხშირად სპონტანურია, ისე რომ, რჩება მძიმე ართრიტული ცვლილებები. სინონიმები: თიმან-ფლეიშნერის სინდრომი, ფლეიშნერის დაავადება.

თიმან-ფლეიშნერის დაავადება — სინონიმები: თიმანის დაავადება (იხ.), ანუ თიმანის სინდრომი, ფლეიშნერის დაავადება.

თიმიკო-ლიმფატიკური სტატუსი — ხასიათდება თიმუსის ჯირკვლისა და ლიმფოიდური ორგანოების (ლიმფური კვანძების, ელენთის, ნუშისებრი ჯირკვლების) ჰიპერპლაზიით, კანის სიფერმკრთალით, სიმსუქნისადმი მიდრეკილებით, კუნთების სისუსტით, აორტის და გულის განუვითარებლობით („წვეთოვანი გული"), ჰიპოტონიით, და ინფექციური დაავადებისადმი მიდრეკილებით. სისხლში ლიმფოციტოზი, ეოზინოფილია, შესაძლოა გახდეს უეცარი სიკვდილის მიზეზი. სინონიმი: პალტაუფის სინდრომი.

თირკმელ-კანის სინდრომი — ოჯახური ნეფროპათიის ვარიანტია. მემკვიდრეობითი დაავადება გვხვდება მხოლოდ მამაკაცებში. მორფოლოგიურად თირკმლის სისხლძარღვებში არის ჰიალინოზი და სკლეროზი, კანზეა სისხლძარღვთა პატარა-პატარა ანევრიზმები. ნიშნები: კანი წითელი ფერისაა, ზედ პაპულების გამონაყარით და ჰიპერკერატოზით. ცვლილებები ძირითადად გვხვდება კიდურთა გარეთა ნაწილსა და წელის ორგანოებში, შარდში კი ალბუმინურია, იზოსტენურია, ჰემატურია. დაავადება მთავრდება ურემიით. სინონიმი: ფაბრის დაავადება.

თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის სინდრომი — ძირითადად დიაგნოსცირდება დაგვიანებით, როგორც სიმსივნე მუცლის ღრუში, ფეოქრომოციტომა, მეტასტაზით ხერხემალში. გამოკვლევები შეიძლება აღმოვაჩინოთ ადრენალინისა და ნორადრენალინის მომატებული დონე სისხლში, განსაკუთრებით ჰიპერტენზიული კრიზების დროს.

თირკმლის ბალოტირების ნიშანი — ორმხრივი პალპაციით გამოკვლინებული თირკმლის მოძრაობა და მისი გადიდება. აღინიშნება შარდის ან სისხლით თირკმელის გადაესების დროს სიმსივნის შემთხვევაში.

თირკმლისმიერი სინდრომი — ამ ბოლო დროს ამ ტერმინით განმარტავენ იმ ცვლილებებს, რაც გამოვლინდება თირკმლების მხრივ როგორც უშუალოდ თირკმლების დაავადებების დროს, ასევე როგორც თირკმლების მხრივ რეაქციას სხვა დაავადებათა შემთხვევაში.

თმის სიმპტომი — პირის ღრუში უცხო სხეულის შეგრძნება (მაგალითად, თმის, ძაფის), რაც იწვევს მისგან განთავისუფლების მცდელობას ენისა და ტუჩების მოძრაობით. დამახასიათებელია ტეტრაეთილ-ტყვიით და ზოგიერთი შხამით მოწამვლისას.

თოკის სიმპტომი — რენტგენოლოგიურად გამოხატული ჩრდილის დავიწროება თეძოს ნაწლავის ტერმინალური ილეიტის დროს. ასევე მსხვილი ნაწლავის ნაწილის გამოვლინებული ძლიერი დავიწროება რენტგენოლოგიური გამოკვლევით, მისი ტუბერკულოზური დაზიანების შემთხვევაში.

თომაიერის ნიშანი — მუცლის პერკუსიის დროს ჭიპიდან მარჯვნივ ტიმპანიური ხმიანობის გაძლიერება. შეხორცებითი პერიტონიტის ნიშანი.

თომას მეთოდი — დიაფრაგმის სუნთქვითი მოძრაობის გამოკვლევის მეთოდი. დამყარებულია ერთი და იგივე რენტგენოგრამაზე შესუნთქვის და ამოსუნთქვის მაქსიმუმზე, დიაფრაზმის გამოსახულების მიღებისას.

თომას სიმპტომი I — ტაქიკარდია და საერთო სისუსტე. დიასტოლური არტერიული წნევის მომატება ეპიგასტრიუმის შუაში ღრმა ზეწოლისას — მზის წყლულის გაღიზიანების შედეგად. დამახასიათებელია ნეიროვეგეტატიური დისტონიისთვის. სინონიმი: თომას-რუს სიმპტომი.

თომას სიმპტომი II — თუ ავადმყოფის ხელს ავწევთ ჰორიზონტულ სიბრტყემდე, იგი გადადის მკვეთრი პრონაციის მდგომარეობაში. აღინიშნება ორსულთა ქორეის დროს.

თომას სინდრომი I — ნათხემის სინდრომი, რომელიც ყალიბდება დაახლოებით 55 წლის შემდგომი ასაკის ადამიანებში. მიზეზია ნათხემის ქერქის ატროფია ან გლიოზი. აუტოსომურ-რეცესიული ხასიათის მემკვიდრეობითი დაავადება. ნიშნები: წონასწორობის სტატიკური და დინამიკური დარღვევა, რყევა დგომისა და ჯდომის დროს, მერყეული სიარული, რეტროპულსაციის, ადიადოქოკინეზია, ნათხემისებრი ატაქსია წერის დარღვევით, მგრძნობელობისა და რეფლექსების დარღვევა, ნათხემისებრი კატალეფსია, გვიან სტადიაში კიდურთა კუნთების ტონუსის მომატება. ინტელექტი შენახულია.

თომას სინდრომი II — აკროპახია. სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ზოგჯერ ვითარდება ნაწილობრივი სტრუმექტომიის შემდეგ. ნიშნები:

ჰიპოთირეოიდიზმი, ხელისა და ფეხის თითების დისტალური ბოლოების გასქელება, გრძელი ლულოვანი ძვლების დისტალურ დაბოლოებათა პერიოსტიტი.

თომას-უუმანტის სიმპტომი I — გამართული სუპინირებული, განზიდული ცერით ზემო კიდურის სწრაფი პრონაციისას, დაავადების მხარეზე ცერი უფრო დაბლა დგას. გვხვდება სუპინატორებში კუნთთა ტონუსის დაქვეითებისას.

თომას-უუმანტის სიმპტომი II — თითების ზომაზე მეტად გაშლა, როცა ავადმყოფი ცდილობს წააელოს ხელი საგანს. ნათხემის და მისი გამტარი გზების დაზიანების ნიშანი.

თომას-რუს სიმპტომი — სინონიმი: თომას სიმპტომი I — (იხ.).

თომპსონის ნიშანი — ღრძილების გაყოლებით წითელი ხაზის არსებობა. განიხილებოდა როგორც ტუბერკულოზის ადრეული სადიაგნოზო ნიშანი.

თომსონის დაავადება, ანუ სინდრომი I — კანის მემკვიდრეობითი ატროფია. ოჯახური ატროფიული პოიკილოდერმია. კანის თანდაყოლილი დისტროფია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სიცოცხლის პირველ თვეებში კანი ღებულობს მარმარილოს ელფერს. ცვლილებები იწყება ნიკაპიდან. შემდეგ კანი ხდება მოყავისფრო-წითელი და მოყვითალო, ოთხი-ექვსი წლის ასაკში ვითარდება ორმხრივი კატარაქტა, გათეთრება, აქერცვლა, ფრჩხილების დისტროფია, კბილების განვითარებისა და სეკრეციის დარღვევა, თირკმლების ჰიპოპლაზია, მეორადი სასქესო ნიშნები სუსტადაა განვითარებული, ე. ი. იუვენილური ათეროსკლეროზი, დაბალი ტანი. სინონიმები: რითმუნდ-კერნერის დაავადება, რითმუნდის დისტროფია, ანუ რითმუნდის დაავადება, რითმუნდ-თომსონის სინდრომი.

თომსონის დაავადება II — VII ტიპის გლიკოგენოზი, ჰეპატოფოსფოგლუკომუტაზური უკმარისობა, გლიკოგენოზი, შეპირობებული ფოსფოგლუკომუტაზის უკმარისობით ღვიძლში, ან კუნთებში. გამოვლინდება მეტაბოლური მიოპათიით, ჰეპატომეგალიით.

თომსონის დაავადება III — თომსონის მიოტონია, თანდაყოლილი მიოტონია, მემკვიდრეობითი დაავადება, ხასიათდება მიოტონიის შერწყმით კუნთების ჰიპერტონიასთან. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

თორაკალური აპერტურის სინდრომი — მხედველობაშია ნეიროსისხლძარღვოვანი მოშლილობანი, რაც გამოიწვევა მხრის სახსრის აპერტურის არეში ზეწოლით. უფრო ხშირია ჭალებში; იშვიათად ორმხრივია. ხშირად საჭირო ხდება ოპერაციული ჩარევა. სიმპტომატიკა ვარიაბილურია და დამოკიდებულია ზეწოლის ხარისხზე. აღინიშნება სისხლძარღვივანი და ნეიროტროფიკული ცვლილებები.

თორაკო-აბდომინური სინდრომი — გულმკერდის ორგანოთა დაავადებების აბდომინალური სიმპტომატიკით მიმდინარეობა, რაც შემთხვევათა რიგში ხდება მიზეზი მწვავე მუცლის არასწორი დიაგნოსტირებისა.

შედარებით ხშირად აღინიშნება კრუპოზული პნევმონიის, მიოკარდიუმის ინფარქტის, აორტის განშრევადი ანევრიზმის, სპონტანური პნევმოთორაქსის, ფილტვის არტერიის ემბოლიის დროს. პათოგენეზურად უკავშირდება გულმკერდის და მუცლის ღრუს ორგანოთა სიმპატიკური, ცთომილი და დიაფრაგული ნერვებით საერთო ინერვაციას.

თორნვალდტის სინდრომი — საყლაპავი ჩანთის ქრონიკული ანთების სიმპტომკომპლექსი. ნიშნები: გამონაყოფი ცხვირ-ხორხიდან, გაშოელინებული ხორხის უკანა ნაწილის გასინჯვის დროს, თავის ტკივილი, უპირატესად კეფაში, არასასიამოვნო სუნი პირიდან.

თორნის სინდრომი — ფსევდოადისონიზმი, მარილდამკარგველი ნეფრიტი, სხვადასხვა წარმოშობის (მაგალითად, პიელონეფრიტის დროს). ნატრიუმის რეაბსორბციის დარღვევა თირკმელის მილაკებში თირკმელზედა ჯირკვლების მეორადი უკმარისობით. ნიშნები: დაღლილობა, სისუსტე, თავბრუ, ღებინება, კუნთების კრუნჩხვა, ჰიპოტონია, ფსიქიკური დარღვევები, კოლაფსი, კომატოზური მდგომარეობა. სისხლში მნიშვნელოვნადაა შემცირებული ნატრიუმის შემადგენლობა. ნატრიუმის ქლორიდის ვენაში შეყვანის შემდეგ ზემოაღნიშნული ნიშნები იხსნება.

თოსტ-უნას სინდრომი — ხელისა და ფეხისგულების კერატომა. ხელისა და ფეხისგულების იქტიოზი. ხელისგულების თანდაყოლილი ოჯახური კერატომა. ხდება ხელისა და ფეხისგულების მთლიანი, ზომაზე მეტი გარქვოვანება (პროცესში ჩართულია თითებიც). გარქვოვანება სისქეში აღწევს 2 სმ. გამოცალკევებულია შეუცვლელი კანისაგან წითელი-იისფერი არშიით — 0,5—1 სმ. გარქოვანებული კანი დახეთქილი, ფრჩხილები შეცვლილი, თითები შეიძლება იყოს დეფორმული, ზოგჯერ არის ცვლილებები სხვაგანაც (მუხლები, იდაყვები, სახსართა ნაკეცი). დაავადება შეიძლება თან სდევდეს ავადმყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე.

თოჯინის თვალის სიმპტომი — თავის წინ დახრის დროს თვალის კაკლების მოძრაობა ქვევით თავის უკან გადაგდების დროს. აღინიშნება პარკინსონიზმის დროს. სინონიმი: არონოვიჩის სიმპტომი.

თრომბოემბოლური სინდრომი — ანუ დაავადება — სხვადასხვა არტერიაში განმეორებითი ემბოლიების წარმოშობა. გამოწვეულია თრომბების წარმომშობი კერის არსებობით (მაგალითად, ქვემწვავე სეპტიკური ენდოკარიტი), ან სისხლის შედედების უნარის მნიშვნელოვანი მომატებით.

თრომბოპენორაგიული სინდრომი — დისემინირებული სისხლძარღვთა შედედების სინდრომი — ხასიათდება მიკროცირკულატორულ ქსელში თრომბოზის და სისხლჩაქცევათა ან სისხლდენის შერწყმით, რაც ვითარდება სისხლის შედედების ფაქტორთა სრული მოხმარების შედეგად. მიმდინარეობს როგორც მწვავედ, ისე ქვემწვავედ ან ქრონიკულად, შეიძლება იყოს ლოკალიზებული ან დისემინირებული, კომპენსირებული და დეკომპენსირებული. პათოგენეზური საფუძველია თრომბოპლასტური სუბსტანციების დიდი ოდენობით გამოთავისუფლება და სისხლმიმოქცევაში გადასვლა: სისხლში ამ დროს ჩნდება ქსოვილოვანი თრომბოპლასტინი. გვხვდება ვრცელი ქირურგიული ჩარევის შემდეგ, განსაკუთრებით თრომბოპლასტინით მდიდარ ორგანოებზე (საშვილოსნო, ფილტვები, კუჭუკანა

და წინამდებარე ჯირკვალი), მექანიკურ ტრავმის, სიდამწვრის, სანგრძლივი ზეწოლის სინდრომის შედეგად. სინონიმი: დსშ — სინდრომი.

თუთიყუშის დაავადება — ორნითოზი, ფსიტაკოზი — მწვავე ინფექციური დაავადება, იწვევს ხლამიდიები. გადაცემა ხდება რესპირაციულ გზით; ჩიტების მეშვეობით. დამახასიათებელია წვრილკეროვანი ან ინტერსტიციული პნევმონია, მიდრეკილება მისი ქრონიკული გახანგრძლივებული მიმდინარეობისადმი.

იაბის დაავადება — მაიმუნის და ადამიანის ინფექციური ვირუსული დაავადება. ახასიათებს ჯაჭვში ქსოვილის გაზრდა. გამოვლინებულია ნიგერიის მაკაკ-რეზუსში. რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმათ შორის, ვინც უვლიდა მაიმუნს.

იაგერ-პინგის სიმპტომი — მცირე ამპლიტუდის ხელის კანკალი პატარა ნივთებთან მანიპულაციის დროს. აღინიშნება ესენციური (მემკვიდრეობითი) კანკალის დროს.

იადასონის ატროფიული ანეტოდერმია — ერითემატოზული ანეტოდერმია, კანის ლორწოვანის ატროფია, ქრონიკული ლაქოვანი ატროფიული დერმატიტი. ანეტოდერმიის ფორმა, რომელიც იწყება მკრთალი-მოყვითალო მომრგვალო, ოდნავ შეშუპებული ლაქებით.

იადასონის კანის ეპითელიომა — ბაზალიომის ნაირსახეობა, ძირითადად განლაგებულია ტანის კანზე. სინონიმი: ბორსტ-იადასონის ინტრაეპიდერმული ეპითელიომა.

იადასონის კანის სინჯი — იოდის ფენომენი — დიურინგის დაავადების დიაგნოსტიკის მეთოდი, დამყარებული იოდის პრეპარატისადმი ავადმყოფის გაძლიერებულ მგრძნობელობაზე. გამოიხატება იოდიანი კალიუმის შემცველი კომპრესის გამოყენების დროს, კომპრესის დადების ადგილზე ავადმყოფს უჩნდება ერითემატოზულ-ვეზიკულური გამონაყარი.

იადასონ-დესეკერის სინდრომი — ტუბეროზული მიქსედემა. კანის ლორწოვანი შეშუპება კვანძების სახით. კანის ლორწოვანი დეგენერაციის კვანძოვანი ფორმა. ამჟამად მიაკუთვნებენ კანის ლორწოვან ლიქენს. ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციის კლინიკური და ბიოლოგიური ნიშნები არ აღინიშნება.

იადასონ-ლევანდოვსკის სიმპტომი — თანდაყოლილი პაქიონიქია — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია ჰიპერჰიდროზით, პაქიონიქია, გაფანტული ფოლიკულური კერატოზი მუხლებსა და იდაყვებზე, ლეიკოკერატოზი ლორწოვან გარსებზე ძირითადად პირის ღრუში, არაიშვიათია კატარაქტა, თმის და კბილების დისტროფია, ინტელექტის დეფექტი. მემკვიდრეობის ტიპი — დომინანტური. სინონიმი: სიმენსის მრავალფორმიანი კერატოზი.

იადასონ-ტისეს ხალი — თანდაყოლილი ხალი, ცისფერი ხალი, ცისფერი თანდაყოლილი ხალი. შეიძლება აღენიშნოს ახალშობილს, უფრო დამახასიათებელია 20—40 წლის ასაკში. ყველაზე ხშირი ლოკალიზაციის ადგილია სახე, ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა მხარე. ხალი ჰგავს 3—5 მმ დიამეტრის პაპულას. ცისფერი ელფერი მიზეზია იმის, რომ პიგ-

მეტი სიღრმისეულია საკუთრივ კანში, ძაბრისებრ ბიგმენტურ უკრედებში.

იავორსკის სიმპტომი I — ავადმყოფი წევს გულაღმა და ცდილობს ასწიოს გაჭიმული მარჯვენა ფეხი. გამომკვლევი პირი კი ხელს უშლის (აწევება ზემოდან). ამ დროს აღიძვრება მწვავე ტკივილი ნაწლავის მიდამოში. ქრონიკული აპენდიციტის ნიშანია. სინონიმი: მელტცერის სიმპტომი.

იავორსკის სიმპტომი II — ილიოცეკალურ მიდამოს მტკივნეულობა პალპაციის დროს, რომელიც ძლიერდება მარჯვენა ფეხის აწევისას; გამოსაკვლევი პირი გულაღმა წევს. ქრონიკული აპენდიციტის შესაძლო ნიშანი.

იავორსკი-მელტცერის სიმპტომი — იხ. სინონიმი: იავორსკის სიმპტომი I.

იაკობის ატროფიული სისხლძარღვოვანი პოიკილოდერმია (ანუ ჯაკობისა) — სისხლძარღვოვანი ატროფიული პოიკილოდერმია. გაურკვეველი ეტიოლოგიის დერმატოზი პოიკილოდერმიითა და პეტექიებით. სინონიმი: პეჯეტ-იაკობის დაავადება.

იაკობის ხტომატიტი — ნევროზული ქრონიკული სტომატიტი. პირის ღრუს მორეციდივე აფტების ნაირსახეობა. მიმდინარეობა მსუბუქი. აფთები, ჩვეულებრივ, ერთ კვირაში ქრება, მაგრამ სწრაფად რეციდივებს. იწყევს ვირუსი, რომელიც ახლოა მარტივი ჰერპესის ვირუსთან. სინონიმი: ლებლოვიცის სინდრომი.

იაკობის სინდრომი — პარაკინეზი, პარაკინეზია-ჰიპერკინეზის ფორმა. დამახასიათებელია რთული უნებლიე კოორდინებული მოძრაობები, გარეგნულად მოგვაგონებს მიზანდასახულს (თითების გადაადგილება, ფეხის ქანაობა და სხვ.). აღინიშნება თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების შუბლის ნაწილის (უფრო ხშირად მარჯვენასი) ქერქის დაზიანების დროს.

იაკობ-კრეიტცფელდტის დაავადება — პირამიდულ-პალიდური ამიოტროფია. აღინიშნება საშუალო ასაკოვან და ხანშიშესულ პირებში. თანდათანობით ვითარდება სპასტიკური სინდრომი ჰიპერტონიულ-ჰიპერკინეტული (პარკინსონიზმი), მეტყველების დისპრაქტიული დარღვევები, განგაშის შეტევები, დეპრესია, დემენცია, დაბინდვის მდგომარეობა. ცხოვრების ბოლო წლებში შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიური გულყრები. სინონიმები: დავისონის დისემინირებული ენცეფალომიელოპათია, სტერლინგის დაავადება.

იაკობსონ-ბროდვალის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი: ერითროპოეზის დეფექტი ანიზოციტოზით. ჰიპოქრომული ანემია, თირკმლების დისპლაზია ჰენდეს მარყუჟის აპლაზიით, თირკმლების კონცენტრაციული ფუნქციის დაქვეითება, ირიდოციკლიტი და უვეიტი, ჩონჩხის ანომალიები, სარძევე და მუდმივი კბილების ნაადრევი ამოსვლა (მათი ამოსვლა იწყება 3 წლისას და მთავრდება 6 წლის ასაკში), 12 წლის ასაკში ვითარდება კბილების რეზორბცია.

იაკობსონ-ლასკის რეფლექსი — წინამხარისა და ხელის თითებზე ერთდროული მოხრა სხივის ძვლის სადგისისებრი წანაზარდის წინა-

მხარეზე პერკუსიის დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანი; სინონიმი: ბეხტერევ-იაკობსონის ნიშანი.

იაკობსონის ნერვის მტკივნეული ტიპი — ავადმყოფს არ შეუძლია ტელეფონის მილის ყურზე მჭიდროდ მიდება. ყურმილის კონტაქტი ყურის ნიჟარასთან იწვევს შეტევითი ხასიათის ყურის მწვავე ტკივილს. სინონიმი: რიხტერის სინდრომი.

იაკუტიის ენცეფალომიელიტი — ვირუსული დაავადებაა. ავადდებიან ახალგაზრდები და შუახნის პირები. ინფექციის ძირითადი წყაროა ფრინველები. არჩევენ დაავადების მწვავე და ქრონიკულ სტადიას. ნიშნები: სისუსტე, აპათია, თავის ტკივილი, დისპეფსია, ცხელება, თვალისმხრივი მოვლენები, გონების დაბინდვა, ფსიქიკური მოვლენები, ლეთარგია, მენინგიტი, ან მენინგოენცეფალიტი ანდა მონო — ან პოლირადიკულონევრიტი. სინონიმი: ვილუის ენცეფალიტი.

იაუშ-ჰაიმის ანემია — ალიმენტური ანემია, როცა ორგანიზმში არ ხვდება საკმარისი რაოდენობის ნივთიერებები, რაც აუცილებელია ჰემოგლობინის სინთეზისათვის. ახასიათებს კანის მძაფრი სიფერმკრთალე, დაძაბუნება, ჰემორაგიები, სისხლის ფერადობის მაჩვენებლის მომატება და სისხლში ერითრობლასტებისა და ნორმობლასტების დიდი რაოდენობა.

იალქნის სიმპტომი — ჩიბუხის წევის სიმპტომი — კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მიერ ლოყის პასიური გამობერვა სუნთქვის ტაქტისამებრ. აღინიშნება თავის ტვინში ინსულტის დროს — დაზიანების კერის მოპირდაპირე მხარეს.

იანგის სინდრომი — ჰიპოფიზის სომატოტროპული ჰორმონის პროდუქციის ხანგრძლივად მომატება. ნიშნები: ჰიპერლაქტაცია ორსულობის პერიოდში, სიმსუქნე, ახალშობილის წონა 4 კგ-ზე მეტია. არაიშვიათად იბადება მკვდარი ნაყოფი. მენოპაუზის პერიოდში ყალიბდება შაქრიანი დიაბეტი.

იანინის ტეტანუსი — სახის ტეტანუსი — ტეტანუსის კლინიკური ფორმა, ვითარდება, როცა ინფიცირება ხდება თავის ან კისრის მიდამოს ჭრილობიდან. გამოვლინდება სახის ნერვის დამბლით დაზიანებულ მხარეს. სინონიმები: როზეს ტეტანუსი, კლემის ტეტანუსი, ჟანეს ტეტანუსი.

იანიშევსკის სიმპტომი I — სიმპტომი პარკინსონიზმის დროს და ასევე თავის ტვინის ნაწილების დაავადების შემთხვევებში: ყბების კრუნჩხვითი მოქერა ტუჩებზე ან პირის ღრუს ლორწოვან გარსზე შეხებისას. სინონიმი: „ბულდოგის სიმპტომი".

იანიშევსკის სიმპტომი II — ორალური ავტომატიზმის რეფლექსი: ყბების ტონური მოკუმვა მაგარი სასის შპატელით გაღიზიანებისას.

იანიშევსკი-ბეხტერევის ტაცებითი რეფლექსი — ტაცებითი რეფლექსი — უნებლიე ტაცება, როდესაც ხდება კანის ხაზობრივი გაღიზიანება ხელის მტევნის თითების ფუძესთან. აღინიშნება დიდი ჰემისფეროების ქერქის პრემოტორული ზონების დაზიანების დროს, უფრო ხშირად მოპირდაპირე მხარეს.

იანოვსკის ნიშანი I — პნევმონიის ადრეული ნიშანი — ბრონქოფონიის გაძლიერება.

იანოვსკის ნიშანი II — პერიტონეუმის ხახუნის ხმიანობა ნაღველის ბუშტის საპროექციო არეზე. პერიქოლეცისტიტის ან ნაღველის ბუშტის მოსალოდნელი პერფორაციის ნიშანია.

იანოვსკის ნიშანი III — შუასაყარზე ზეწოლისას აღინიშნება ყლაპვის გაძნელება, უპირატესად თხიერი საკვების მიღებისას. დამახასიათებელია აორტის ანევრიზმის, შუასაყარის სიმსივნის ან შუასაყარის ანთების დროს.

იანსკი-ბილშოვსკის დაავადება — გვიანი ამაეროზული იდიოპათია, ამაეროზული იდიოპათიის ფორმა — ამაეროზული იდიოპათია, რომელიც ვლინდება 3—4 წლის ასაკში ორგანული ჰკუასუსტობის ნელი მოტივებით, კრუნჩხვების შეტევებით, ატაქსიით, მხედველობის ნერვების ატროფიით. სინონიმი: ბილშოვსკი-იანსკის დაავადება.

იანუსის სინდრომი — ფილტვების ვენტილაციის ცალმხრივი მოშლის კლინიკურ-რენტგენოლოგიური სურათი. კლინიკურად ხასიათდება ძირითადი დაავადების ნიშნებით (ბრონქოექტაზია; შეძენილი თანდაყოლილი ცალმხრივი ემფიზემა და ა. შ.), რენტგენოლოგიურად ადგილი აქვს ფილტვის გამჭვირვალობის ცალმხრივ მკვეთრ გაძლიერებას სუსტი სისხლძარღვოვანი სურათით. სინონიმები: ჯიანოს სინდრომი, ბრეტის სინდრომი, საფუძვლად უდევს ძველ რომაელთა ორსახოვანი ღვთაება-იანუსი.

იაპონიის მდინარის ცხელება — ცუცუგამუში, აკამუში, ინდოეთის ტკიპის ცხელება, სუმატრის ტკიპის ცხელება, ცუცუგამუშის ცხელება, ჯუნგლების ტიფი, სოფლის ტიფი, ტკიპის ტროპიკული ტიფი — მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. დამახასიათებელია პირველადი აფექტი, რეგიონალური ლიმფადენიტი, ტემპერატურის უცაბედი მომატება. პირველი კვირის დასასრულს აღინიშნება გენერალიზებული მაკულოპაპულოზური კანის გამონაყარი. სინონიმი: პესკადორას კუნძულების ცხელება.

იაპონური ენცეფალიტი — ანუ კოღოს იაპონური ენცეფალიტი — მწვავე ინფექციური დაავადება, კოღოს ვირუსული ჯგუფის ენცეფალიტებიდან. იწვევს ანტიგენური A ჯგუფის აბოროვირუსი. ახასიათებს მაღალი ცხელება, ინტოქსიკაცია, გონების დაბინდვა, ფსიქიკური მოშლილობანი, ტვინის სხვადასხვა ნაწილის დაზიანების ნიშნები. გვხვდება აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

იაპონური შისტომატოზი — ბილჰარციოზი. გამომწვევია იაპონური შისტოსომა. გვხვდება იაპონიასა, ჩინეთსა და ფილიპინებში, შუალედური პატრონია მტკნარი წყლის მოლუსკები, მუდმივი პატრონი კი ადამიანი და ცხოველები. ინფიცირება ხდება კანიდან. მწვავე სტადია ხასიათდება ხუთი ფორმით, ელვისებური, მძიმე, აბორტული, უსიმპტომო და გართულებული. ქრონიკულ სტადიაში ხშირია თავლარათი, შეკრულობა, ასთენიტი, ჰეპატიტი. დიაგნოზი — განაელის გამოკვლევით, სადაც ვნახულობთ კვერცხებს. სინონიმი: კატამაიას დაავადება.

იარიშის ტრიქოპითელიომა — კისტოზური ადენოიდური ეპითელი-

ომა. ადენოკისტოზური ეპითელიომა. ვითარდება ხალის დისპლაზიის შედეგად. ატარებს თანდაყოლილ ხასიათს, ოჯახური ბუნებისაა. ყველაზე ხშირად გვხვდება სახეზე. ნახევარგამჟვირვალე კვანძებია, ჰგავს მკვრივი კონსისტენციის ბუშტუკებს, გაფანტული ან შეჯგუფულია, უმტკივნეულო, ყველაზე ხშირია ახალგაზრდებში. ძალზე იშვიათად განიცდის ავთვისებიან გადაგვარებას. სინონიმები: უნას აკანთომა, ვინკლერის ეპითელიომატოზური ხალი, ვერთერის ტრიქოეპითელიომატოზი, ბრუკეს სინდრომი.

იარიშის ჰემანგიოენდოთელიომა — კეთილთვისებიანი ეპითელიური ცისტადენომა. ერუპტიული ჰიდრადენომა. სირინგოცისტადენომა. საოფლე ჯირკვლების ადენომა. ხშირად გვხვდება ქალებში — კისერზე, გულმკერდის წინა ზედაპირზე და მუცლის არეში. კანზე აღინიშნება პატარა ხორკლები, ჭინძისთავიდან ცერცვის მარცვლის სიდიდემდე, მრგვალი ან ოვალური, კანის ანდა მოყვითალო ფერისაა, რბილი კონსისტენციის, საძა ზედაპირით. სუბიექტურ გამოვლინებას არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლების და მათი სადინარების გადაადგილებული ჩანასახიდან. სინონიმები: ბენიეს ცისტადენია, ტორეკის სირინგომა, ნეიმანის სირინგოცისტომა, ჟაკე-დარიეს სინდრომი.

იარიშ-კიარის ტუბერკულოზის ფორმა — კანის ტუბერკულოზის ფორმა. დამახასიათებელია წყლულების წარმოშობა კანზე — ლორწოვან გარსზე გადასვლის ადგილებში სხეულის ბუნებრივ ხვრელებთან.

იარიშ-ჰერქსჰეიმერის რეაქცია — ათაშანგით ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუარესება (სხეულის ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე და სხვ.) ანტიათაშანგური საშუალებებით მკურნალობის დასაწყისში. ვითარდება მკრთალი ტრეპონემების მასიური დაშლის შედეგად, რასაც თან ახლავს ენდოტოქსინის გამოყოფა. სინონიმები: ჰერქსჰეიმერ-იარიშის რეაქცია, ჰერქსჰეიმერ-იარიშ-ლუკაშევიჩის რეაქცია.

იაროსლავის ჰემორაგიული ცხელება — ჰემორაგიული ნეფროზი — ნეფრიტით, ჰემორაგიული ცხელება, რომლისათვისაც დამახასიათებელია უპირატესად მცირე სისხლძარღვთა და კაპილარების დაზიანება, განსაკუთრებით თირკმლების, შემდგომში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. სინონიმები: შორეულ აღმოსავლეთის, ამიერკარპატის, კორეისა და ურალის ჰემორაგიული ცხელება.

იაფე-ლიხტენშტაინის დისპლაზია — ფიბროზული ოსტეოდისპლაზია, ძვლების ფიბროზული ოსტეომა, ოსტეოფიბრომა, ლოკალური ფიბროზული ოსტიტი, ძვლის ლოკალური ფიბროზი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომლის დროსაც ხდება ძვლოვანი ქსოვილის შენაცვლება ფიბროზული ქსოვილით. ამას მიეყვარ დეფორმაციებამდე. სინონიმი: ლიხტენშტაინ-ბრაიცევის დაავადება.

იდიოპათიკური ჰიპერეოზინოფილური სინდრომი — ამ სინდრომში შედის დაავადებათა ჯგუფი, რომელთაც თან სდევს მაღალი და მყარი ეოზინოფილია. სხვაზე ხშირია ეს სინდრომი პარაზიტულ ინვაზიის (ასკა-

რიდოზი, სტრონგილოიდოზი, ოპისტორქოზი, ფასციოლოზი, ტრიქინელოზი, ლამბლიოზი, ფილარიოზი), ალერგოზების (ბრონქული ასთმა, პოლინოზი, წამლისმიერი ალერგია) ჰემობლასტოზები (მწვავე ლეიკოზი, ლიმფოსარკომა, შიელოლეიკოზი), კოლაგენოზების და ვასკულიტების დროს.

ივანოვა-პოდობედის მეთოდი — არაკონტრასტულ უცხო სხეულთა რენტგენოლოგიური გამოვლინება საყლაპავში, რაც ემყარება უცხო სხეულის ლოკალიზაციის დონეზე ბარიუმის ფაფის შეჩერებას.

ივანოვის სიმპტომი — ჰიპის გადაწევა მარჯვნივ 1—2 სმ-ით. მწვავე აპენდიციტის ნიშანი.

ივამერკის სინდრომი ანუ ივემარკის ახპლენიის სინდრომი — ღვენთის აგენეზიის შერწყმა გულისა და სისხლძარღვთა თანდაყოლილ მანკებთან (ლურჯი მანკებიდან), ორგანოთა განლაგების ანომალიებთან (ყველა შინაგანი ორგანოს ან მარტო მუცლის ღრუს ორგანოთა გადაადგილება, დექსტრო ან მეზოკარდია და სხვ.).

იზლენის დაავადება, ანუ სინდრომი — მეტატარზალური ძვლის ეპიფიზის ასეპტიკური ნეკროზი. მეღავნდება მტკივნეულობით, სიარულის შანერის ცვლილებებით იმის გამო, რომ სიარულისას ავადმყოფი ეურდნობა ფეხისგულის მედიალურ მხარეს.

იზრაელ-უილტინსონის დაავადება — ვიტამინ „ბ"—12-ის დეფიციტური და ფოლიუმ-აქრესტიული ანემია, განვითარებული ციანკობალამინის (ვიტამინ „ბ"—12) ასიმილაციის და ძვლის ტვინის მიერ ფოლიუმის მჟავის წარმოშობის დარღვევისას.

იკვახ ცხელება — ხუთდღიანი პაროქსიზმული ცხელება, სანგრის ცხელება, ფლანდრიის ცხელება, პაროქსიზმული რიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს რიკეტსია „როხალიმაცეა ქვანტანა", გადაეცემა ტილით. ტიპიურ შემთხვევაში მიმდინარეობს პაროქსიზმული ფორმით, გამეორებებით მეოთხე-მეხუთე დღეს, ცხელების შეტევებით, რამდენიმე დღით რემისიით ანდა ტიფოიდური ფორმით, მრავალდღიანი უწყვეტი ცხელებით. სინონიმი: ვერნერ-პისის დაავადება.

იკრამოვის სიმპტომი — მარჯვენა ბარძაყის არტერიაზე თითის დაჭერა საზარდულის მიდამოში პულსაციის გაჭრობამდე იწვევს ტკივილის წარმოშობას ან მის გაძლიერებას მწვავე აპენდიციტის დროს სათანადო მიდამოში.

„ილეუსური ყვირილი" — ნაწლავთა ჭვალი. ილეუსის ნიშანი. ძლიერი ტკივილი მუცელში, პირღებინება, ყურყურა და ნაწლავთა პერისტალტიკა. შეტევა გრძელდება 10—30 წამი, შეალედებია 3—10 წუთი. სინონიმი: ვიკერის სიმპტომი.

ილეოცეკალური მიდამოს ტუბერკულოზური დაზიანების სიმპტომი — ბარიუმის ფაფის მიღების 5—6 საათის შემდეგ საკონტრასტო ნივთიერება იმყოფება თეძოს ნაწლავთა ბოლო მარყუჟებში, ხოლო ფაფის მნიშვნელოვანი ნაწილი არის განივზოლიანი ნაწლავის საწყის მესამედში. ამ სეგმენტებს შორის საკონტრასტო ნივთიერება არ არის. სინონიმები: ნახტომის სიმპტომი, შტირლინის სიმპტომი.

ილეოცეკალური სინდრომი — კოპროლოგიური სინდრომი: ქაფიან-

ნი მასის გამოყოფა მკაცრ სუნით, დამუშავებული და დაუმუშავებელი უჯრედისის დიდი რაოდენობით, სახამებლის მარცვლებით. ადგილი აქვს, მაგალითად, კრონის დაავადების დროს.

ილის სიმპტომი — პირქვე მწოლიარე ავადმყოფს ფეხის მუხლის სახსარში მოხრისას (ვიდრე წვივი არ შეეხება ბარძაყს) აღენიშნება მენჯის მაღლა აწევა იმდენად, რომ აღარ ეხება საწოლის ზედაპირს. გვხვდება გაეა-წელის შეერთების დაზიანებისას.

იმერსლუნდის სინდრომი — ესენციური ეპითელოპათია მეგალობლასტიური ანემიის სინდრომით. თანდაყოლილი ექტომეზოდერმული დისპლაზია. ბავშვთა პერნიციოზული ანემია პროტეინურიითა და სისტემური ეპითელიოპათიით. მიმდინარეობს ციკლურად. ვითარდება პოლილიმფადენოპათია, სპლენომეგალია, ჰეპატომეგალია. დამახასიათებელია ჰიპერ ან ნორმოქრომული ტიპის ანემია ანიზოციტოზით, მეგალოციტოზით, ლეიკოპენია ლიმფოციტოზით, ნეიტროფილების პოლისეგმენტაცია, თრომბოციტოპენია, ერითრონორმობლასტური რეაქცია. „ბ"—12 ვიტამინის შემცველობა სისხლის შრატში დაქვეითებულია შედეგად მისი ნაწლავებში ათვისების თანდაყოლილი დეფექტისა. ძვლის ტვინში გამოხატულია მეგალობლასტური ტიპის სისხლწარმოქმნა. აღინიშნება კანის, ბრონქების, ალვეოლების, პლევრის, ნაწლავების ეპითელიუმის დისკვამაცია. სინონიმები: იმერსლუნდ-გრესბეკის სინდრომი, იმერსლუნდ-ნაიმან-გრესბეკის სინდრომი.

იმერსლუნდ-გრესბეკის სინდრომი — სინონიმები: იმერსლუნდ-ნაიმან-გრესბეკის სინდრომი, იმერსლუნდის სინდრომი (იხ.).

იმერსლუნდ-ნაიმან-გრესბეკის სინდრომი — სინონიმები: იმერსლუნდის სინდრომი (იხ.), იმერსლუნდ-გრესბეკის სინდრომი.

იმპერატორის რეფლექსი — სასა-ჭუთუთოს ფიზიოლოგიური რეფლექსი: სასის გაღიზიანებას თან სდევს თვალების დახუჭვა.

ინგლისური დაავადება — რევმატული ქორეა, ჩვეულებრივი ქორეა. რევმატული ეტიოლოგიის ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება. ხასიათდება ქორეიდული ჰიპერკინეზიებით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, რეფლექსთა ცვლილებებით, ემოციის დაქვეითებით და ზოგჯერ სხვა ფსიქიკური დარღვევებით. იხ. სინონიმები: სიდენჰაიმის დაავადება, წმინდა ვიტეს ცეკვა, წმინდა გვიდონის ცეკვა.

ინდიანას ცხელება — ვეზიკულური ცხელება — მწვავე ინფექციური დაავადება, იწვევს იმავე სახელწოდების რაბდოვირუსის ჯგუფის ვირუსი, გადაეცემა ადამიანს სოფლის მეურნეობის ცხოველებთან კონტაქტის ან მწერების მეშვეობით. გამოელინდება ტემპერატურით, თავის ტკივილით, პატარა მტკივნეული ვეზიკულების წარმოქმნით, პირის ღრუს ლორწოვან გარსზე ეროზიებით. გვხვდება ძირითადად ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

ინდოეთის ბავშვთა ციროზი — ოჯახური ციროზი, როგორც ჩანს, წარმოადგენს ღვიძლის მემკვიდრეობით ციროზს, შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. უცნობი გენეზის ღვიძლის ციროზია, რომელიც ვითარდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. ნიშნები: ჰემოქრომატოზი,

გლიკოგენეზი, გალაქტოზემია არ აღინიშნება. არის ალფა — ერთი ან ტიტრიფსინის დეფიციტის ერთეული შემთხვევები. სინონიმი: სენის სინდრომი.

ინდოეთის ვისცერული ლეიშმანიოზი — კალა-აზარი. გავრცელებულია ინდოეთში, პაკისტანში, ბანგლადეშში, ნეპალსა და ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. უფრო ხშირია 10—30 წლის ასაკში. ნიშნები: უსადობა, ცხელება, ჰეპატოსპლენომეგალია, კანი მუქდება (კალა-აზარი, შავი დაავადება), მასზე ვითარდება კვანძები და ლაქები.

ინდოეთის ტიფი — ხომალდის ტიფი. ენდემიური (ვირთაგვის) პარატახტიანი ტიფი. ხასიათდება კეთილთვისებიან სპორადული მიმდინარეობით. ხანგრძლივობა საშუალოდ 2 კვირაა. ნიშნები: ცხელება, უხვი გამონაყარი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფოციტოზი, ეოზინოპენია. სინონიმები: ტულონის პარატახტიანი ტიფი, ხმელთაშუა ზღვის ვირთაგვის რიკეტსიოზი, მანჯურიის ენდემიური ტიფი.

ინდოეთის ტკიპის ცხელება — ცეცუგამუში, აკამუში, სუმატრის ტკიპის ცხელება, ცუცუგამუშის ცხელება, ჯუნგლების ტიფი, სოფლის ტიფი, ტკიპის ტროპიკული ტიფი — მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან, დამახასიათებელია პირველადი აფექტი, რეგიონალური ლიმფადენიტი, ტემპერატურის უცაბედი მომატება, პირველი კვირის დასასრულს აღინიშნება გენერალიზებული მაკულოპაპულოზური კანის გამონაყარი. სინონიმი: პესკადორის კუნძულების ცხელება.

ინსულინის ჰიპერდოზირების ქრონიკული სინდრომი — პოსტჰიპოგლიკემიური ჰიპერგლიკემია. ინსულინის მზარდი დოზებით მკურნალობის ფონზე ადგილი აქვს ჰიპერგლიკემიის მიღწევას. ვითარდება ჰიპერგლიკემიის მიზეზთა არასწორი შეფასების შედეგად. სინონიმი: სომოჯის ფენომენი.

იოზ-სტერლინგის სიმპტომი — დახუჭული ჭუთუთოების თრთოლვა, რომელიც ძლიერდება უფრო მჭიდროდ დახუჭვისას. ვლინდება გაძლიერებული ნერვული აგზნებადობის მქონე პირთა შორის.

იორდანის ანომალია — ლეიკოციტების ოჯახური ვაკუოლიზაცია, რომლის დროსაც აღინიშნება გრანულოციტების, მონოციტების, ზოგიერთი ლიმფოციტისა და პლაზმური უჯრედის პროტოპლაზმაში ვაკუოლების არსებობა, ჩვეულებრივ 3-დან 10-მდე. შედარებით ნაკლები რაოდენობით და მცირე ზომის ვაკუოლები გვხვდება ეოზინოფილებში. ვაკუოლები შეიცავს ცხიმს და ძელის ტვინის პუნქტატშიცაა — პრომიელოციტებში, მიელოციტებში, მეტამიელოციტებსა და იშვიათად პლაზმურ უჯრედებშიც.

იოფე-ლიხტენშტაინის დისპლაზია — ფიბროზული ოსტეოდისპლაზია; ძვლების ფიბროზული დისპლაზია, ფიბროზული ოსტეომია, ოსტეოფიბრომა, ლოკალური ფიბროზული ოსტიტი, ძვლის ლოკალური ფიბროზი. როგორც ჩანს, მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომლის დროსაც ხდება ძვლოვანი ქსოვილის შენაცვლება ფიბროზული ქსოვილით. ამას მიეყავართ დეფორმაციამდე. სინონიმი: ლიხტენშტაინ-ბრაიცევის დაავადება.

ოშანსენ-სედენ-ლარხენის დაავადება — კვირისთავის ოსტეოქონდრიტი. კვირისთავის მოზარდთა ოსტეოპათია. მტკივნეული შეშუპება მუხლის სახსრის მიდამოში, იქვე გამონადენი, ბარძაყის ოთხთავა კუნთის ატროფია. რენტგენოლოგიურად — კვირისთავის არასწორი კიდეები და პატარა იზოლირებული ძვლოვანი ფირფიტები კვირისთავის ქვედა ნაწილში.

ირასეკა-ცულცერ-უილსონის სინდრომი — მსხვილი ნაწლავის პათოლოგიური ფორმაა, რომლის დროსაც მსხვილ ნაწლავში გეხვედება ერთი ან ორი აგანგლიონური ზონა — მათ შორის ნაწლავის არე ნორმული უბნებითაა. ამ დროს აგანგლიოზი არ ვრცელდება სწორ ნაწლავზე.

ირმიხ ბუზიხ ცხელება — პატარა შავი ჭირი, კურდღლის დაავადება, თაგვის დაავადება, კურდღლის ცხელება, მწვავე ინფექციური ბუდობრივი დაავადება ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფიდან. იწვევს ფრანცისელა ტულარენსი. ადამიანს გადაეცემა კონტაქტურად, ალიმენტური, ჰაეროვანი ან ტრანსმისიული გზით. სინონიმი: ფრანსისის დაავადება.

ისააკსის სინდრომი — ანუ კუნთოვანი ბოჭკოების მუდმივი აქტივობის სინდრომი, მიეკუთვნება ნერვულ-კუნთოვანი სისტემის პათოლოგიას. ნიშნები: ნეირომიოტონია, ფსევდომიოტონია, კუნთების გენერალიზებული რიგიდობა.

ისკერსკის ბალთები — ქსეროზული ბალთები, ეპითელური ქსეროფთალმიის კერები თვალის კაკლის კონიუნქტივაზე, სამკუთხედისმაგვარად განლაგებული მისი რქოვანას შიგნით ან გარეთ მორუხო ან მოყვითალო ფერისა. აღინიშნება ბიტოს დაავადების (იხ.) დროს. სინონიმები: ისკერსკი-ბიტოს ბალთები, ბიტოს სიმპტომი.

ისკერსკი-ბიტოს ბალთები, ანუ ლაქები — სინონიმები: ისკერსკის ლაქები (იხ.), ბიტოს სიმპტომი.

ისტერიული სინდრომი — სხვადასხვა მოძრაობითი, მგრძნობელობითი, ვეგეტატიური და ფსიქიკური დარღვევების საერთო სახელწოდება, რაც გამოვლინდება ისტერიის დროს.

იტოს მეთოდი — მაობლიტირებელი ენდარტერიიტის მკურნალობის მეთოდი. — ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარის დიდი რაოდენობით ინტრავენურად შეყვანა.

იტონიხ სიმპტომი — არტერიული წნევის დაქვეითება და მაჯისცემის შესუსტება სხივის არტერიაზე დაავადებული კიდურისაკენ თავის მობრუნებისა და ღრმა ჩასუნთქვისას. გეხვდება კიბისებრი კუნთის სინდრომის დროს (იხ.).

იუერტის სიმპტომი I — ექსუდაციური პერიკარდიტის დროს შეიძლება მოხდეს მარჯვენა ფილტვის ქვედა წილის ატელექტაზი. ამის გამო მარცხენა მხარეს ხერხემალთან გულმკერდის II—V ნეკნების დონეზე აღინიშნება მოყრუება ტიმპანიური ელფერით, რომელიც შეიძლება გადაიდეს სრულ ყრუ ხმიანობაში. იგივეა იუარტის ანუ ევარტის სიმპტომი. სინონიმი: იუერტ-ტესიეს სიმპტომი.

იუერტის სიმპტომი II — იგივეა იუარტის სიმპტომი. მარცხნივ სტერ-

ნუმიდან პირველი ნეკნის გამოდრეკა. ექსუდაციური პერიკარდიტის არამუდმივი ნიშანია.

იუერტ-ტეისიეს სიმპტომი — სინონიმი: იუერტის სიმპტომი I.

იუნგის სიმპტომი — მსუბუქი შეშუპება ზედ მედიალურ ნაწილში. თვალის ბუდის შუბლის წილის სათანადო უბნიდან სითხის დინების დარღვევის ნიშანია.

იუკოვსკი-სარტალსკის დაავადება — პაროქსიზმულ-ტოქსიკური ალიმენტური მიოგლობინურია, მწვავე ალიმენტური მიოზიტი — კვებითი ინტოქსიკაცია. ვითარდება საკვებში ზოგიერთი სახის თევზის გამოყენების შედეგად, რომლებიც დაჭერილია მტკნარ — დამდგარ წყალში ადრეულ გაზაფხულზე. დაავადება მოულოდნელად იწყება, ტემპერატურის ძლიერი მომატებით, კუნთებისა და სახსრების ტკივილით, მეტჰემოგლობინურიით, მიოგლობინურიითა და ჰემოლოზით. სინონიმი: გაფსკური დაავადება.

იულინგერის სინდრომი — ჰიპერტროფიული ოსტეოდერმოპათია, გენერალიზებული ჰიპეროსტოზი პაქიდერმიით. ნიშნები: კიდურთა დაგრძელება, ღულოვანი ძვლებისა და მენჯის ძვლების ჰიპეროსტოზი, პაქიდერმია განსაკუთრებით წინამხარისა და კოჭის მიდამოში, თავის ქალასა და შუბლზე, თითები დოლის ჩხირისებრი, ყურის ნიჟარები გასქელებული, ფრჩხილები — საათის მინისებური. დაავადება იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, უფრო ხშირად მამაკაცებში. პროგრესირება ნელია და სამ-შვიდ წელიწადში მისი განვითარება წყდება. საკარაუდოა მემკვიდრეობის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. სინონიმი: ფრიდრიხ-ერბარნოლდის სინდრომი.

იუნგის სიმსივნე ანუ სარკომა — ომობლასტომა, ძვლების დიფუზური ენდოთელიომა, იუინგის დაავადება, იუნგის დიფუზური ენდოთელიომა. ძვლების ავთვისებიანი სიმსივნე შედგება მცირე ზომის უჯრედთაგან ოვალური ან მრავალი ბირთვებით და ციტოპლაზმის წვრილი ზოლით. ახიანებს ჩონჩხის ნებისმიერ ძვალს, უპირატესად გრძელი ლულოვანი ძვლების დიაფიზს. მეტასტაზები ყველაზე ხშირია თავის ქალაში .

იუნგლინგის დაავადება I — ანუ იუნგლინგის პოლიკისტოზური ოსტიტი. ქრონიკული უცნობი ეტიოლოგიის კეთილთვისებიანი გრანულომატოზი. უპირატესა ლოკალიზაცია გვხვდება ძვლებში. ნიშნები: ხელისა და ფეხის თითების (ერთი ან რამდენიმე) მტკივნეული შესიება, იქვე სიწითლე, ლეიკოპენია, ლიმფოპენია, ეოზინოფილია, მონოციტოზი. რენტგენოლოგიურად ძვლების კისტოზური ცვლილებები, ზომიერი სკლეროზი და ოსტეოპოროზი, ცხვირის ხრტილების უმტკივნეულო დეფორმაცია. პროგნოზი კარგი. კერები ლიკვიდირდება რამდენიმე წელიწადში. ამ პათოლოგიას განიხილავენ ისევე როგორც სარკოიდოზის ძვლის ფორმას. სინონიმები: ბეკის ოსტეოპათია, პერთეს-იუნგლინგის სინდრომი.

იუნგლინგის დაავადება II — კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი, კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომატოზი, ატიპიური ტუბერკულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული

დაავადება. ხასიათდება ლიმფური სისტემის, შიწაგან ორგანოთა და კანის დაზიანებით, სპეციფიკური გრანულების წარმოშობით, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიალინის ფენით. სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი, ბეკის დაავადება, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, ტენესონის დაავადება, დარიე-როსის დაავადება, მოელერ-ბეკის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, მორტიმერის დაავადება.

იურგენსის სინდრომი — სინონიმები: ცილებრანდ-იურგენსის კონსტიტუციური თრომბოპათია, ვილებრანდის დაავადება, ალექსანდერ-გოლდსტეინის სინდრომი (იხ.).

იუტინელის დაავადება — იუტინელის სინდრომი. ბავშვებში ტუბერკულოზური პერიკარდიტის შერწყმა ღვიძლის ციროზთან. გამოწვეულია ტუბერკულოზური ინტოქსიკაციით და სისხლის შეფერხებით სისხლის მიმოქცევის დიდ წრეში.

იუტოფის სიმპტომი — არსებული წვეროლოგიური სტატუსის გაუარესება მრავლობითი სკლეროზით დაავადებულ ავადმყოფებში, განპირობებულია სიცხიანი დაავადებით.

იუშარის სიმპტომი I — გულის მწვავე მარცხენამხრივი უკმარისობის დროს ფილტვებზე კოლოფისებური ხმიანობა, გამოწვეულია მწვავე ემფიზემის განვითარებით.

იუშარის სიმპტომი II — ავადმყოფის ვერტიკალური მდგომარეობიდან ჰორიზონტალურში გადასვლისას არ აღინიშნება გულის ცემის გაიშვიათება. არტერიული ჰიპერტენზიის ნიშანი.

იუშარის სტენოკარდია — არც თუ იშვიათად სტენოკარდიის შეტევის დასაწყისი დაკავშირებულია თამბაქოს ხშირ და დიდი რაოდენობით მოწვევასთან. ამასთან დაკავშირებით გულის ანგინის ეს ფორმა წარსულში გამოიყოფოდა როგორც თამბაქოსმიერი სტენოკარდია ანუ იუშარის თამბაქოსმიერი სტენოკარდია.

იშჩენკო-გორჩრიგის სიმპტომი — ბაზალური პლევრიტის სიმპტომი — სხეულის კანის შეშუპება დაზიანების მხარეს, დიაფრაგმის პროექციის არეში.

იცენკოს პანასთენიის სინდრომი — კუნთების საერთო სისუსტის შეტევა ვეგეტატიური ეპილეფსიის დროს.

იცენკო-კუშინგის დაავადება — ჰიპოფიზული ბაზოფილიზმი. დაავადება გამოწვეულია ჰიპოფიზის ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის ჭარბი გამოყოფით. გამოვლინდება ჰიპერკორტიციზმის მოვლენებით (სიმსუქნე, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის გადანაწილება). დამახასიათებელია — მატრონიზმი, კანის ტროფიკის დარღვევა, არტერიული ჰიპერტენზია, ქალებში ამენორეა — მამაკაცებში სქესობრივი აქტივობის სისუსტე, გლუკოზისადმი ტოლერანტობის დაქვეითება, ოსტეოპორიზი და ა. შ. სინონიმი: კუშინგის დაავადება.

იცენკო-კუშინგის სინდრომი — ავადმყოფის გარეგნობის შეცვლა (სიმსუქნე, უპირატესად მუცლის და კისრის უკანა არეში ცხიმის დაგროვება, მთვარისებრი სახე, ჰირსუტიზმი, ატროფიული ზოლების

ლიდიკულურ ნევრიტს. ხასიათდება ტკივილით, კუნთთა უმნიშვნელო ატროფიით და რბილი დამბლით კიდურებში, ალბუმინურ-ციტოლოგიური დისოციაციით თავ-ზურგ-ტვინის სითხეში.

კალერის ტრიადა — ადგილი აქვს მიელომური დაავადების (პლაზმოციტომა) დროს: ძვლის დაზიანების ნიშნები — ტკივილი, სიმსივნე და მოტეხილობა. იხ. კალერის დაავადება.

კალერ-ბოცოლოს დაავადება — სინონიმები: კალერის დაავადება (იხ.), რუსტიცკი — კალერის დაავადება, რუსტიცკის დაავადება, ჰაპელის დაავადება.

კალვეს დაავადება — გაურკვეველი ეტიოლოგიის გულმკერდის ქვეშო ან წელის ზემო მალების სხეულთა ასეპტიკური ნეკროზი.

კალიანის ტრიადა — საყლაპავში უცხო სხეულების მოხვედრის დროს სამი სიმპტომის თანაარსებობა: ტკივილის გაგრძელება ყლაპვის დროს, კისრის არის გარეთა ქსოვილების ინფილტრაცია, სხეულის ტემპერატურის მომატება, რასაც თან სდევს შემცივნება.

კალიას სიმპტომი — ნაწლავის პერისტალტიკის ტალღისებრი ცელილებები. ინსპექციით აღინიშნება გამობერვისა და ჩავარდნის ზონები. ეს ნიშანი დადებითია პერიტონიტის დროს, განსაკუთრებით, როცა მისი მიზეზია ნაწლავთა ობსტურაციული ან სტრანგულაციური გადაგრეხა.

კალიტოვსკის სიმპტომი — მაღალი თითების სიმპტომი საჭდოში ნერვის ანთების დროს. თითის წვერზე დგომისას დაავადებულ მხარეზე ქესლი უფრო მაღლა იწევა.

კალიფორნიის ენცეფალიტი — მწვავე ინფექციური დაავადება კოღოს ვირუსის ენცეფალიტების ჯგუფიდან. იწვევს იმავე დასახელების არბოვირუსი. გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად ბავშვებში 16 წლამდე.

კალიფორნიის ცხელება — უდაბნოს რევმატიზმი, კოკციდოიმიკოზი, სოკოვანი წარმოშობის სასუნთქი ორგანოების დაავადება. კლინიკურად წააგავს კაერნოზულ ტუბერკულოზს, ახასიათებს რა სისხლიანი ხველება და კვანძოვანი ერითემა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროცესის გენერალიზაციას მენინგიალური მოვლენებით. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება კანის დადებით სინჯებს და კომპლემენტის შეკავების რეაქციას. გვხვდება უმთავრესად კალიფორნიაში და არგენტინაში. სინონიმები: პოსადა-ვერნიკეს სინდრომი, ანუ დაავადება, სან-ჟოაკინის ხეობის ცხელება, პოსადას დაავადება.

კალმანის სინდრომი — ჰიპოჰონადოტროპული ჰიპოგონადიზმის შერწყმა ანოსმიასთან. ნიშნები: სასქესო ორგანოთა განუვითარებლობა, კრიპტორქიზმი (ცალმხრივი ან ორმხრივი), დაქვეითებული, თმიანობა, ქოსა სახე, ავადმყოფს დაკარგული აქვს ყნოსვის შეგრძნება, ვერ არჩევს სუნს, არა აქვს პოლუცია, ერექცია იშვიათია, სათესლე ჯირკვალი ჰიპოპლაზიურია, ძვლის ასაკი ჩამორჩება პასპორტულს, გულმკერდი დეფორმულია, ჰიპერტელორიზმი; ზედა ტუჩი და მაგარი სასა გაპობილია, სიყრუე. სასქესო ქრომატინი არ არის, კარიოტიპი 46ух. სინონიმები: დე მორსეს სინდრომი, დე მორსე-გოტიეს სინდრომი.

კანზე, რაც გარდაიქმნება ეკლოვან პაპულებში, ხან კი გაერთიანდება მკვრივ ბალთებად. სინონიმი: მოროუ-ბრუკის სინდრომი.

კაზენაკის დაავადება — დისემინირებული წითელი მგლურა. სინონიმი: ბიეტის დაავადება (იხ.).

კაიზერ-ფლეიშერის რგოლი ანუ სიმპტომი — რქოვანას რგოლის სიმპტომი, პიგმენტური მოყვითალო-მომწვანო ან მომწვანო-ყავისფერი რგოლი თვალის რქოვანა გარსის პერიფერიაზე. დამახასიათებელია ჰეპატოცერებრული დისტროფიისას და დაკავშირებულია სპილენძის შემცველ პიგმენტის ჩალაგებასთან.

კაკი-რიჩის სინდრომი — ღრუბლისებური თირკმელი. თირკმლების განვითარების თანდაყოლილი ანომალია. დამახასიათებელია მრავლობითი წვრილი (1-დან 6-მმ-მდე) კისტების არსებობა, რომლებიც მხოლოდ ტვინოვან შრეშია, დაკავშირებულია შემკრებ მილაკებთან. მიმდინარეობს ლეიკოციტურიით, ნეიტროფილოზით, თირკმლის ჭვალით.

კაკოვსკი-ადისის ხინჯი — შარდის გამოკვლევის მეთოდი: 10—12 საათის განმავლობაში შეგროვილ შარდში ერითროციტების, ლეიკოციტების და ცილინდრების აბსოლუტური გამოთვლა. გამოიყენება თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებათა დიფერენციული დიაგნოზის მიზნით.

კალბაუმის აბსტრაქციული ანუ აპერცეპტიული ჰალუცინაციები — კალბაუმის აპერცეპტიული ჰალუცინაციები, აზროვნება შთაგონებითი, აზროვნება უცხოური ავადმყოფობით, გამოჩენილი გონებაში თითქოს გარედან ზემოქმედების შედეგად. სინონიმი: კანდინსკი-კლერამბოს სინდრომის კომპონენტი.

კალბაუმის ნეოფრენია — ბავშვთა ასაკის ფსიქოზების საერთო დასახელება.

კალბაუმის სტაბილური ჰალუცინაციები — სტაბილური ჰალუცინაციები, სტერეოტიპული ჰალუცინაციები, მცირედი ცვალებადი შინაარსის ჰალუცინაციები.

კალენის სიმპტომი — კანის შემოფარგლული ცდანოზის უბანი ჰიპის ირგვლივ. აღინიშნება მწვავე პანკრეატიტის დროს. შესაძლოა ადგილი ექნეს მუცლის ღრუში სისხლდენას. იგივეა კულენის სიმპტომი.

კალერის დაავადება — მიელომური დაავადება, მრავლობითი მიელომა, პლაზმოციტომა, მიელომატოზი. პარაპროტეინემიური რეტიკულოზი, რეტიკულო-პლაზმოციტოზი. სისხლმბად ორგანოთა სიმსივნური დაავადება. დამახასიათებელია პლაზმოციტური უჯრედების დიფუზური ან კვანძოვანი ზრდა, რომელთაც აქვთ უნარი პარაპროტეინების პროდუცირებისა. კლინიკური სურათი ყალიბდება და გაპირობებულია რამდენიმე ძირითადი ფაქტორით: სიმსივნური ზრდით სისხლმბად სისტემაში, პარაპროტეინების ჰიპერპროდუქციით, რასაც თან სდევს შინაგან ორგანოთა ბარამილოიდოზი და იმუნური დეფიციტის სინდრომის ჩამოყალიბება. სინონიმები: კალერ-ბოცოლოს დაავადება, ჰაპელის დაავადება, რუსტიცკის დაავადება, რუსტიცკი-კალერის დაავადება.

კალერის ხინდრომი — წარმოადგენს სიფილისური წარმოშობის პო-

სტრიების არსებობა კანზე) შერწყმა არტერიულ ჰიპერტენზიასთან, ოსტეოპოროზთან, კუნთების სისუსტესთან, ქალებში მენსტრუალური ციკლის დარღვევასთან. აღინიშნება თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ჰიპერფუნქციის (ხშირად ჰორმონოაქტიური სიმსივნის არსებობისას) და ადრენოკორტიკოტროპული და კორტიკოსტეროიდული პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობისას. სინონიმები: კუშინგის სინდრომი.

კაბალა-მოსტოს სინდრომი — ხასიათდება კანზე პურპურის და ეგზემისმაგვარ ცვლილებათა ერთდროული გაჩენით, რასაც შემდეგ თან ერთვის ლიქენიზაცია და კანის დეპიგმენტაცია ან ჰიპერპიგმენტაცია. აღინიშნება უმნიშვნელო ქავილი. უპირატესად ლოკალიზაციის ადგილია კიდურები, მაგრამ არც თუ ბოლომდე შეიძლება გავრცელდეს მთელ სხეულზე. ახასიათებს გამწვავებათა სეზონურობა გაზაფხულსა და ზაფხულზე. უფრო ხშირად ავადდებიან მამაკაცები. სინონიმები: დუკას-კაპენატაკისის სინდრომი, ლევენთალის პურპურა.

კაბანეს დაავადება — სახის ამომია სახის ნერვის ბირთვთა არარსებობის გამო. მიეკუთვნება განვითარების ანომალიებს.

კადალკახ სიმპტომი — პერკუტორული ხმიანობის შემოკლება მარჯვენა (მუცლის ტიფის დროს) ან მარცხენა (დიზენტერიის დროს) ფერდქვეშა მიდამოში რეგიონალური ლიმფური კვანძების ანთების შედეგად.

კავასაკის სინდრომი — ემართებათ ბავშვებს 4 წლამდე, უფრო ხშირად იაპონელ ბიჭებს. ახასიათებს 3 სტადია. 1. მწვავე — ტემპერატურის მოჭატება, გამონაყარი, ლიმფადენოპათია, ლორწოვანას დაზიანება, კონიუნქტივიტის, პირის ღრუსა და ტუჩების დაზიანება, ართრალგია, ხანგრძლივობა 1—10 დღე; 2. ქვემწვავე სტადია ხასიათდება ართრიტით, მიოკარდიტით, თრომბოციტოზით, კანის დესქვამაციით, კორონარული არტერიების ანევრიზმით, ხანგრძლივობა 10—25 დღე. 3. სტადია გამოჯანმრთელების ხანა, იწყება 25-ე—45 დღეს. ხშირია განკურნება, ზოგჯერ აღინიშნება საშუალო კალიბრის სისხლძარღვთა დაზიანება.

კავასაკის დაავადება ანუ ლორწოვანის, კანისა და ლიმფური კვანძის სინდრომი. დასათაურება განმარტავს დაზიანების ერთდროულ ხასიათს.

კაზაბახ-მერიტის სინდრომი — ერთეული ან მრავლობითი ჰემანგიომების (შესაძლოა თანდაყოლილი) შერწყმა თრომბოციტოპენიასთან. გვხვდება ორივე სქესის ნებისმიერი ასაკის პირებში. დამახასიათებელია სისხლდენა ანგიომებიდან, ლორწოვანი გარსიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, სისხლჩაქცევები კანქვეშ. თრომბოციტოპენია მკვეთრადაა გამოხატული. კოაგულოგრამა შეცვლილია.

კაზენ-ბეკის სიმპტომი — ძლიერად გამოხატული პულსაცია გულის მიდამოში მკერდის ძვლის და გულის საძგერს შორის შეფარდებული სხივის არტერიის მცირე პულსთან. აღინიშნება გულის მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ანევრიზმისას.

კაზენავას ანე — ფოლიკულური კონტაგიოზური კერატოზი. დამახასიათებელია მრავლობითი სიმეტრიული კენჭისმაგვარი წარმონაქმნები

კალმეტ-ვოლფ-სეინერის რეაქცია ანუ სინჯი — კონიუნქტივალური ტუბერკულინური სინჯი. ალერგიული სინჯი. ტუბერკულოზის დიაგნოზის დასადგენად კონიუნქტივურ პარკში აწვეთებენ განზავებულ ტუბერკულინს და ამოწმებენ ადგილობრივ რეაქციას.

კამურატ-ენგელმანის დაავადება — თანდაყოლილი სისტემური დიაფიზური ჰიპეროსტოზი, მაპროგრესირებელი დიაფიზური დისპლაზია, სისტემური მემკვიდრეობითი ოსტეოსკლეროზი მიოპათიით. გენერალიზებული ჰიპეროსტოზი. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით; ხასიათდება ბარძაყის, წვივის, მხრის და სხვა ძვლების დიაფიზების ჰიპეროსტოზით, რასაც თან სდევს სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა და კუნთოვანი მასის შემცირება. სინონიმი: ენგელმანის დაავადება.

კამპის სიმპტომი — ტკივილი ტანის წინ და მარჯვნივ პასიური მოხრისას, აგრეთვე უკან და მარცხნივ გადახრისას. აღინიშნება მალთაშუა დისკებში პათოლოგიური ცვლილებების დროს.

კანავანის დაავადება — თავის ტვინის თეთრი ნივთიერების სპონგიოზური დეგენერაცია, — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია თავის ტვინის თეთრი ნივთიერების პროგრესული დემიელინიზაცია, ტვინში ღრუების წარმოშობა გამოელინდება ადინამიით, კრუნჩხვებით, ჰიპერკინეზიებით, თავის ქალას ნერვების დაზიანების ნიშნებით. სინონიმი: კანავან-ვან ბოგარტ-ბერტრანის დაავადება.

კანავან-ვან ბოგარტ-ბერტრანის დაავადება — იხ. სინონიმი: კანავანის დაავადება.

კანალეს სინდრომი — ერითრეისა თანაარსებობა რეტიკულურ-ენდოთელიური სისტემის ჰიპერპლაზიასთან, განსხვავებით ბარილის დაავადებისაგან სპარობს ერითრემია.

კანის დანაოჭების ნიშანი — სარძევე ჯირკვლის კანის ხელით აწევისას წარმოიქმნება დაკეცილი არაღრმა ნაოჭები, ამ ნაკეცების პერპენდიკულარულად სარძევე ჯირკვლის კიბოს ნიშანი.

კანის და ლორწოვანების ლიმფური კვანძოვანი სინდრომი — დაკავშირებულია სტაფილოკოკების ტოქსინის ზეგავლენასთან. გვხვდება უპირატესად ბავშვებში, ზოგჯერ მოზრდილებშიც. დამახასიათებელია ციებცხელება ხუთი და მეტი დღის მანძილზე, თან ახლავს კონიუნქტივიტი, პირის ღრუს ლორწოვანის ანთება, ხელის და ფეხისგულების კანის ინდურაცია და დესქვამაცია დაავადების დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ, ერითემული გამონაყარი, ლიმფური ჯირკვლების გადიდება 1,5 სმ-მდე და მეტად.

კანის პოიკილოზმატიური ფსიქოპათია — რეაქტიულ-ლაბილური ფსიქოპათია, პოიკილოთიმიური ფსიქოპათია. ფსიქოპათია გუნებ-განწყობის ხშირი შეცვლით და მომატებული ემოციური რეაქციებით.

კანტორის სიმპტომი — ძაფისებური ჩრდილები ნაწლავების ავსების დეფექტის მიდამოში რენტგენოკონტრასტული გამოკვლევის დროს. „ბაწრის სიმპტომი" კოლიტის და რეგიონალური ილეიტის ნიშანია.

კანის რეაქცია — ათაშანგის სეროდიაგნოსტიკის მეთოდი. დამყა-

რებულია პრეციპიტაციაზე, რომელიც ვითარდება ავადმყოფის სისხლში ანტიგენის დამატებისას. ეს უკანასკნელი მომზადებულია ხარის გულის კუნთისაგან. მისი თანდათანობითი ექსტრაქციით (ეთერითა და სპირტით) და მასზე ქოლესტერინის დამატებით.

კანის ჩაწევის სიმპტომი — კანის ჰიპისებრი ჩაწევა სარძევე ჯირკვლის სიმსივნის თავზე. სინონიმი: უმბილიკაციის სიმპტომი.

კაპგრას სიმპტომი — ნაირსახეობა სიმპტომისა, რომლის დროსაც ავადმყოფს ეჩვენება, რომ დასდევს ვიღაც პიროვნება, რომელიც მერე მისი სხვადასხვა ნაცნობის სახეს ღებულობს. სინონიმი: თრეგოლის სიმპტომი.

კაპდეპონის სინდრომი — სინონიმები: სტაინტონის სინდრომი, ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი, სტაინტონ-ჰოდჯის სინდრომი, კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი. (იხ.).

კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი — მემკვიდრეობითი ოდონტოპლაზია. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. აღინიშნება მოყავისფრო ან რუხი სარძევე კბილები, მტვრევადი ემალი, დენთინური შრის არამგრძნობელობა. ყოველივე ამის შედეგად კბილის გვირგვინი სწრაფად ცვდება, ვითარდება კბების არასწორი დგომა. ხშირად თან სდევს ძვლების მტვრევადობა, პოლიდაქტილია. სინონიმები: სტაინტონის სინდრომი, სტაინტონ-კაპდეპონის სინდრომი, ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი, კაპდეპონის სინდრომი.

კაპლანის დაავადება — სინონიმი: კოლინე-კაპლანის სინდრომი. (იხ.).

კაპლან-კლაცკინის სინდრომი — სარკოიდოზის, ფსორიაზისა და ნიკრისის ქარის ერთად არსებობა. ნიშნები: ქერცლოვანი ლიქენი, ნიკრისის ქარის შეტევები (რეციდივის სახით) ჰისტოპათოლოგიით, სარკოიდოზის ნიშნები, ჰისტოქიმიით. იშვიათად ჰისტოქიმიით და ტუტე ფოსფატაზის დონის მომატება სისხლში.

კაპოშის დვრილოვანი დერმატიტი თავისა — არის ღრმა სტაფილოდერმიის ნაირსახეობა. გამოვლინდება როგორც ქრონიკული მორეციდივე ფოლიკულიტი გამოსავლით კოლოიდურ ნაწიბურებში. როგორც წესი ლოკალიზებულია კეფის არეში და უვითარდებათ მამაკაცებს. სინონიმი: ერმანის მასკლეროზირებელი ფოლიკულიტი კეფისა.

კაპოშის სარკომა — კაპოშის ჰემორაგიული სარკომა, იდიოპათიკური მრავლობითი ჰემორაგიული სარკომა, კაპოშის ანგიომატოზი, კაპოშის ანგიორეტიკულოზი, კაპოშის ანგიოსარკომატოზი, კაპოშის ჰემანგიოსარკომა, კაპოშის ჰემორაგიული სარკომა, კაპოშის მრავლობითი ჰემორაგიული სარკომა, კაპოშის ტელეანგიექტაზიური ფსევდოსარკომა, უცნობი ეტიოლოგიის სარკომა კანის უპირატესი დაზიანებით. ხასიათდება სისხლძარღვთა გენერალიზებული სიმსივნური დაზიანებით და კაპილართა გაფართოებით. წარმოიქმნება სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის მრავლობითი ღრუები, გამოფენილი შეშუპებული ეპითელიუმით.

კაპოშის ხიმპტომი — პალპაციისას გულის საძგირის გაორების ან გასამების დადგენა. შესაძლოა აღინიშნოს ჰისის კონის ფეხის ბლოკადის დროს.

კაპოშის სინდრომი — სინონიმი: კაპოში-იულიუსბერგის ვარიოლიფორმული პუსტულოზი (იხ.).

კაპოში-ირგანგის წითელი ღრმა მგლურა — ღრმა წითელი მგლურა, ჰიპოდერმული წითელი მგლურა — წითელი ბადრისებრი მგლურას ფორმა. ახასიათებს შემოფარგლული, ჩვეულებრივ, ერთეული კერებით არსებობა, რომლებიც იძლევა ჰიპოდერმაში ჩაზრდილ ანთებად ინფილტრატს.

კაპოში-იულიუსბერგის ვარილიოფორმული პუსტულოზი — ვარიოლოფორმული პუსტულოზი, ჰიპერტროფიული ეგზემა-დერმატოზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავლობითი ჯგუფური ბუშტუკები ცენტრში ჩავარდნით, რასაც ვხვდებით ეგზემის დროს, გართულებულს უბრალო ჰერპესით. თან სდევს საერთო ინტოქსიკაციის მოვლენები, სინონიმი: კაპოშის სინდრომი.

კაპოში-ლიბმან-საქსის სინდრომი — ენდოკარდიტის არატიპიური მეპეპოვანი ამბაქტერიული ანთება, რაც წითელი მგლურას თითქმის მუდმივი თანმხლებია. სიმპტომები: მაღალი ტემპერატურა, ტკივილი კუნთებსა და სახსრებში, ერითემა და სისხლჩაქცევები კანში, ღეიძლის, ელენთისა და ლიმფური კვანძების გადიდება, ალბუმინურია, ერითროციტურია, ჰიპოქრომული ანემია, ლეიკოპენია, ედს-ის აჩქარება, ჰიპერგამაგლობულინემია. სინონიმები: ლიბმან-საქსის ენდოკარდიტი, ლიბმანის დაავადება.

კაპოში-შპიგლერის სარკომატოზი — კანის სარკომატოზი. წარმოადგენს ლიმფორეტიკულური ქსოვილის კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიას. კანზე ან კანქვეშა ქსოვილში ჩნდება უმტკივნეულო, შემოფარგლული მოყავისფრო ან მოლურჯო შეშუპებითი წარმონაქმნები. ჩვეულებრივ ლოკალიზაციის ადგილებია სახე, ყურის ბიბილო, სარძევე ჯირკვლის დერილის ირგვლივი არე, სათესლე პარკის კანი. მორფოლოგიურად დამახასიათებელია ნაზი ეპიდერმისი, ლეიკოციტური უჯრედების ინფილტრაცია. მიმდინარეობა ქრონიკულია, პროგნოზი კეთილსაიმედო. გვხვდება უპირატესად 5—10 წლის გოგონებში და 40—70 წლის ქალებში. სინონიმები: ბეეერსტედტის სინდრომი, შპიგლერ-ფენდტის სარკომატოზი.

კარავატის სინდრომი — ვირუსული ჰეპატიტის შემდეგი შესაძლო ნიშნები: პერიჰეპატიტი, ქოლანგიტი, ანაციდური გასტრიტი, დუოდენიტი, სიყვითლე. მას ასევე პოსტჰეპატიტური სინდრომი ეწოდება.

კარავენ-გუჟეროს დაავადება — ოოსპიროზი, ჰემოსპოროზი, სპორენდომიკოზი, ღრმა მიკოზი, გამოწვეული ჰემისპორა სტელატათი; ხასიათდება კანის უპირატესი დაზიანებით — გუმების მსგავსი კვანძებით, წყლულების წარმოქმნით, იშვიათად ფილტვების, სხვა ორგანოთა და ქსოვილთა დაზიანებით.

კარდარელ-რიგის დაავადება — კახექტიური აფთები, ენისქვეშა ფიბროგრანულომა, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ენის ქვეშ ჩვილ ბავშვებში თეთრ ნადებიანი, მყარზედაპირიანი წყლულოვანი კვანძების წარმოქმნა, რომლებიც ხელს უშლიან კვებას. სინონიმები: რიგის დაავადება, რიგ-ფედის სინდრომი.

კარდიო-ვაზო-რენული სინდრომი — ხასიათდება კანის და შინაგან ორგანოთა სისხლძარღვთა კედლებში 2 — ამინოფოსფატიდების ჩალაგე-

ბით. კანში წარმოიქმნება კერატოანგიომები. ზიანდება გული (კორონალური სისხლმიმოქცევის უპირატესი მოშლით-, თირკმელები (ჰემატურია, პროტეინურია, ცილინდრურია), ღვიძლი, ელენთა, ვლინდება ცელილებები თვალის ფსკერზე. ეტიოლოგიურ მომენტად ითვლება ცხიმოვანი ცვლის მოშლა. სინონიმი: რაიტერ-პომპეინის სინდრომი.

კარდიოსტიმულატორის სინდრომი — ელექტროკარდიოსტიმულატორის იმპლანტაციის შემთხვევათა გახშირებამ გამოავლინა შესაძლებლობა გართულებების, რაც ამ სინდრომის სახელწოდებითაა ცნობილი. აქ კი წამყვანია ატრიოვენტრიკულური სინქრონიზაციის არ არსებობა და ფიზიკური დატვირთვის დროს ელექტროსტიმულაციის სიხშირის შეუფარდებლობა, რაც გამოიწვევა პარკუჭთა იზოლირებული სტიმულაციის შემთხვევებში.

კარდიო-ცერებრული სინდრომი — თავის ტვინის ფუნქციების დარღვევის საერთო დასახელება, რაც აღინიშნება გულის დაავადების დროს და გამოწვეულია ტვინის სისხლით მომარაგების გაუარესებით, ტვინის სისხლძარღვთა ემბოლიით ანდა მათზე გულიდან რეფლექტორული ზემოქმედებით.

კარდუჩ-ოლმერის დაავადება — მარსელის ცხელება, ხმელთაშუა ზღვის ტკიპის ცხელება, მარსელის რიკეტსიოზი, ტუნისის ეპიდემიური ტიფი — მწვავე ინფექციური დაავადება. დამახასიათებელია ცხელება, როშელიც იწყება ერთბაშად — პატარა წყლულის სახით, მუქი-ყავისფერი, გაერცელებული მაკულოპაპულოზური გამონაყარით. ეპიდემიურია ძირითადად ხმელთაშუა ზღვის, შავი და კასპიის ზღვის სანაპიროებისათვის.

კარვერის სინდრომი — გასტროდუოდენური წყლულების და დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქრის ერთდროული არსებობა.

კარვალოს სიმპტომი — სამკარიანი სარქველის ნაკლოვანების დროს მბერავი სისტოლური შუილი ძლიერდება ჩასუნთქვის სიმაღლისამებრ, სუნთქვის შეჩერებისას და ფიზიკური დატვირთვისას.

კარინგტონის პნევმონია — ანუ ქრონიკული ეოზინოფილური პნევმონია. პნევმონიის სხვა ნიშნებთან ერთდროულად დამახასიათებელია ხანგრძლივი და მაღალი ეოზინოფილია, მაღალი ედს და სისხლის შრატში იმუნოგლობულინ E-ს დონის მნიშვნელოვანი მომატება. მკურნალობა სტეროიდებით იძლევა სწრაფ ეფექტს.

კარიონის დაავადება — ინფექციურ ტრანსმისიურ ტკიპილს იწვევს ბარტონელა ბაცილიფორმიუსი. ეპიდემიოლოგიურია პერუს, ეკვადორის, ბოლივიის, ჩილესა და კოლუმბიის მთიან რაიონებში. გადაეცემა მწერის კბენით. გამოვლინდება ხანგრძლივი ტიპის ცხელებით ანდა კანზე და ლორწოვანაზე პაპულოზური ელემენტების გამონაყარით, რომელთაც მიდრეკილება აქვთ დაწყლულებისადმი. სინონიმი: ოროიას ცხელება.

კარის ძლიერი ჩაკეტვის სიმპტომი — გულის მეორე ტონის მძაფრი გაძლიერება ფილტვის არტერიაზე და ბოტკინ-ერბის წერტილებში. გულის მიტრალური დაავადების ნიშანი, გამოწვეული მცირე წრის ჰიპერტენზიით.

კარლინგის წყლული — კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სიმპტომური წყლული. ვითარდება როგორც დამწვრობის გართულება: უმეტესად გვხვდება ქალებსა და ბავშვებში, იშვიათად მამაკაცებში. შესაძლოა გართულება: პერფორაცია ან სისხლდენა.

კარნეტის მეთოდი — მუცელში ტკივილის კერის დიფერენციაციის მეთოდი. დამყარებულია მუცლის პრესის დაძაბვისას ტკივილის გამოვლინებაზე, რომელიც მიგვითითებს, თუ სად მიმდინარეობს პათოლოგიური პროცესი მის კედელში.

კაროლის დაავადება — ღვიძლშიდა ბილიარული სადინარების თანდაყოლილი გაფართოება.

კაროლის სიმპტომი — აღინიშნება იშიალგიის დროს. დაავადებულ მხარეზე ვითარდება გაძლიერებული თმიანობა, იშვიათად თმის დაცვენა. გვხვდება სისხლძარღვთა ვაზომოტორული დარღვევების დროს.

კაროლინის ფენომენი — ბრუქსიზმი, ოდონტერიზმი, ძილის დროს კბილების კრაჭუნი. უმეტესად აღინიშნება ბავშვთა და მოზარდთა ასაკში.

კაროტიდების ცეკვა — საძილე არტერიებისა და ლავიწქვეშა არტერიების გაძლიერებული პულსაცია. რიგ შემთხვევაში გვხვდება როგორც უფრო მცირე კალიბრის არტერიების (მხრის, საფეთქლის) გამოხატული პულსაცია. აღინიშნება მომატებული პულსური წნევის შემთხვევაში. აორტის სარქველის ნაკლოვანების კლინიკური ნიშანია.

კაროტიდული სინდრომი — ნეიროლოგიური სიმპტომოკომპლექსი საძილე არტერიის სტენოზის ან დახშობის დროს. აღინიშნება უეცარი ცალმხრივი ამაროზი, კონტრლატერალური ჰემიპარეზი და ჰომონიმური ჰემიანოფსია. ხშირია აფაზია, აგრაფია, აკალკულია, ალექსია, აუტოტოპაგნოზია. სინონიმი: დენი-ბრაუნის სინდრომი III.

კაროტიდული სინუსის სინდრომი — ბრადიკარდია და არტერიული ჰიპოტონია, ახასიათებს მიდრეკილება გულის წასვლისადმი. გამოწვეულია საძილე არტერიაში განლაგებული ბარორეცეპტორების გაღიზიანებით. აღინიშნება, მაგალითად, საერთო საძილე არტერიის ან შიგნითა საძილე არტერიის ათეროსკლეროზის დროს.

კარპენტერის სინდრომი — აკროცეფალოპოლისინდაქტილიის II ტიპი. მემკვიდრეობითი დაავადება, რომლის დროსაც დარღვევები პირველი ტიპის აკროცეფალოპოლისინდაქტილიის მსგავსია (ნოაკის სინდრომი, იხ.), შერწყმული გონებრივ ჩამორჩენილობასთან, სიმსუქნესთან და ჰიპოგონადიზმთან. მემკვიდრეობის ტიპია აუტოსომურ-რეცესიული.

კარტაგენერის სინდრომი I — ფილტვის სწრაფად უკუქცევადი ინფილტრატი ეოზინოფილიით. წარმოადგენს ალერგიულ ანთებით რეაქციას ანტიგენზე (ბაქტერიული, ინვაზიური და სხვა წარმოშობისა). კლინიკურად ვლინდება დაღლილობით, სახსრებში მტკივნეული გრძნობით, ხველებით. ეოზინოფილია სისხლში აღწევს 10-დან 70%-მდე. რენტგენოლოგიურად ფილტვებში ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმის, ლოკალიზაციისა და სტრუქტურის ინფილტრატს, რაც სწრაფად ქრება. ამგვარ ინფილტრაციას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ორგანოებშიც. სინონიმები: ლეფლერის I სინდრომი, ლეფლერის ეოზინოფილია, ფილტვების ეოზინოფილური ინფილტრატი.

კარტაგენერის სინდრომი II — ანუ ტრიადა. სინონიმი: კარტაგენერ-ზიევერტის სინდრომი (იხ.).

კარტაგენერ-ზიევერტის სინდრომი — თანდაყოლილი მემკვიდრეობით — ოჯახური განვითარების კომბინირებული მანკი. ხასიათდება სამი მუდმივი ნიშნის შეუღლებით: ბრონქიექტაზიები, შინაგან ორგანოთა სრული ან ნაწილობრივი გადაადგილება (ინვერსია) და ქრონიკული სინუსიტი ცხვირის ღორწოვანის პოლიპოზით. ამას შეიძლება თან ახლდეს განვითარების სხვა ანომალიები: კურდღლის ტუჩი, კბილების ანომალიები და სხვ. სინონიმი: კარტაგენერის სინდრომი II, ანუ კარტაგენერის ტრიადა.

კარტერ-რობინსონის სინჯი — პოლიდიფსიის მიზეზის გასარკვევად ვენაში შეჰყავთ ქლორიანი ნატრიუმის (სუფრის მარილის) ჰიპერტონიული ხსნარი. უშაქრო დიაბეტის შემთხვევაში შარდის გამოყოფა (რაოდენობა) და მისი კუთრი წონა არ იცვლება. ფსიქიკური პოლიდიფსიის შემთხვევაში ადგილი აქვს სითხის შეკავებას ორგანიზმში, რაც გამოიხატება შარდის შემცირებით და მისი კუთრი წონის მომატებით.

კარჩიკიანის რეფლექსი — ორალური ავტომატიზმის სიმპტომი ფსევდობულბარული დამბლის დროს: ტუჩების წინ გამოწევა მასთან რაიმე საგნის მიახლოებისას. კარჩიკიანის დისტანტურ-ორალური რეფლექსი.

კარცინოიდური სინდრომი — იხ. სინონიმი: კასიდი-შოლტის სინდრომი.

კარშნერის ოსტეოპოროზი — იხ. სინონიმი: ალბერს-შენბერგის სინდრომი.

კასალის ხაყელო — პელაგრისეული საყელო — პელაგრით ავადმყოფებში კანის ატროფია კისრის არეში მკაფიოდ შემოფარგლული მონწითალო რუხი ზოლის სახით.

კასიდი-შოლტის სინდრომი — კარცინოიდი; წვრილი ნაწლავის მეტასტაზებადი კარცინოიდი, კარცინოიდული სიმსივნე, ენტეროქრომაფინომა (კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო სახელია), მათი მორფოლოგიური სუბსტრატია ნაწლავის არგენტოფინოციტები ან მათი სტრუქტურულად მსგავსი უჯრედები. კარცინოიდები გვხვდება ძირითადად ნაწლავებში, შეიძლება იყოს ასევე ჰიაყელა დანამატში, კუჭში, ბრონქებში. ნიშნებია ფაღარათი, შეხურება (ხანმოკლე — 2—3 წუთიანი), ტელანგიექტაზიები — სახესა და ტანზე, ჰედინგერის ნიშანი (იხ.) და სხვ. ძირითადად მეტასტაზირებს ღვიძლში.

კასირერის სინდრომი — ანესთეზიური ქრონიკული აკროციანოზი, ქრონიკული ჰიპერტროფიული აკროასფიქსიის სინდრომი, უცნობი ეტიოლოგიის აკროტროფონევროზი. გამოვლინდება კიდურთა კანის სიმეტრიული შეშუპებით, სილურჯით და თითების ჰიპოსთეზიით წელიწადის ცივ პერიოდებში. ავადმყოფობენ უპირატესად ახალგაზრდა ქალები.

კასირსკის სინდრომი — ქვედა კიდურების ჰემორაგიული შეშუპება. დამახასიათებელია სისუსტე ფეხებში, კოჭ-წვივის სახსრის (იშვიათად ორივესი) შესიება (შეშუპება) სიწითლით. პუნქციით მიიღება სისხლიანსეროზული ტრანსუდატი. ტიპიურ შემთხვევაში აღინიშნება სისხლჩაქცევა ტერფის თითების საერთო მომხრელ მყესთან და დიდი წვივის უკა-

ნა კუნთოვან ბუდეებში. სუბპერიოსტული სისხლჩაქცევა იშვიათია. შეშუპებას თან სდევს ტკივილი და ტემპერატურის ეფემერული ხასიათის მომატება. აღსანიშნავია წონაში დაკლება, ზომიერი ჰიპოქრომიული ანემია, ზოგჯერ ლეიკოციტოზი, აჩქარებული ედს. თრომბოციტების რაოდენობა და კოაგულოგრამა ნორმის ფარგლებშია, სისხლში ჰიპოპროტეინემია და C — ვიტამინის შემცველობის დაქვეითება. დაავადების მიმდინარეობა ჩვეულებრივ მწვავეა. იშვიათად ქრონიკული. პროგნოზი კარგი.

კასონის სინჯი — კანშიდა ალერგიული სინჯი ექინოკოკის ანტიგენით. გამოიყენება ექინოკოკოზისა და ალვეოკოკოზის დიაგნოსტიკისათვის. იგივეა კაცონის სინჯი.

კასპარ-ჰაუზერის სინდრომი — დამახასიათებელია ადამიანებისაგან სრული იზოლაციის პირობებში ჩამოყალიბებულ პირთა შეცვლილი და ჩამორჩენილი ფსიქიკისათვის. ეს ეპონიმი დაკავშირებულია მე-18 ს. გერმანიაში მცხოვრები ავადმყოფის სახელთან.

კასპერის სიმპტომი — ერიტროფობია. საზოგადოებაში გაწითლების შიში.

კასტარანის სინდრომი — სფენოიდური ორბიტის ზედა ნაპრალის სინდრომი. ხასიათდება თავის ტვინის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 წყვილი ნერვებისა და მე-5 წყვილი ნერვის ზედა ტოტის ცალმხრივი დაზიანებით. კლინიკურად აღინიშნება ცალმხრივი ტოტალური ოფთალმოპლეგია, სიბრმავე და ანესთეზია სამწვერა ნერვის თვალის ტოტის საინერვაციო არეში. გვხვდება აღნიშნული მიდამოს პერიოსტიტის, სიმსიენის, არაქნოიდიტის, აგრეთვე მენინგიტის და შიგნითა საძილე არტერიის წინა ნაწილის ანევრიზმის დროს. სინონიმი: პიშონის სინდრომი.

კასტელანის დაავადება — იწვევს ბრონქებში მოხვედრილი თავისებური სპიროქეტა („კასტელანის სპიროქეტა"). დაავადება გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში, ასევე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე. ავადმყოფობა იწყება უცბად მაღალი სიცხით, ზომიერი ჭოშინით, ხველებითა და ნახველით. კლინიკურად — ბრონქიტის სურათი. გრძელდება 4—8 დღე, ხშირია განმეორება და გადასვლა ქრონიკულ ფორმაში.

კასტელანის სინდრომი — ენტერო-მუსკულური ცხელება, ნაწლავკუნთოვანი ცხელება. დამახასიათებელია ძლიერი ტკივილი კუნთებსა და სახსრებში, ტემპერატურის 5—10 დღიანი მომატება, ძლიერი ფაღარათი განაგლის ტუტე რეაქციით. გამომწვევი მიზეზი უცნობია.

კასტელის ბალანტი — ჩირქოვან-წყლულოვანი ბალანტი, რომელსაც ახასიათებს მრავლობითი, ჩირქოვანწყლულებიანი, ჩირქოვანი ნალექით დაფარული პატარა პუსტულების გამოყრა.

კასტელმანის დაავადება — ეწოდება ბადექონის ლიმფური კვანძების გიგანტურ უჯრედოვან ჰიპერპლაზიას. ხასიათდება სიმსიენის დამახასიათებელი კლინიკური სურათით.

კასტენ-უდარ-ბუეს სინდრომი — ეპილეფსიისა და შაქრიანი დიაბეტის ერთდროული არსებობა.

კასტის სინდრომი — ნების ან წინა ტერფის ძვლებისა და თითების

ფალანგების ქონდრომატოზი, შერწყმული ვენოზურ ჰემანგიომებთან და ფლებოლიტებთან.

კასტლის შინაგანი ფაქტორი — გასტრომუკოპროტეიდი, კუჭის მუკოპროტეიდი — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელსაც სეკრეტირებს კუჭის ძირისა და გასავალი ნაწილის დამატებითი უჯრედები, იწვევს ვიტამინ „ბ"12-ის შეკავშირებას და ხელს უწყობს ნაწლავთა კედლის მიერ მის აბსორბციას. გასტრომუკოპროტეიდის დეფიციტმა შეიძლება მიგვიყვანოს ანემიამდე.

კატამაიას დაავადება — იაპონური შისტომატოზი. ბილჰარციოზი, გამომწვევია იაპონური შისტოსომა. გვხვდება იაპონიასა, ჩინეთსა და ფილიპინებში: შუალედური პატრონია მტკნარი წყლის მოლუსკები, მუდმივი პატრონი კი ადამიანი და ცხოველებია. ინფიცირება ხდება კანიდან, ღრუავე სტადია ხასიათდება ხუთი ფორმით: ელვისებური, მძიმე, აბორტული, უსიმპტომო და გართულებული. ქრონიკულ სტადიაში ხშირია ფაღარათი, შეკრულობა, ასციდიტი, ჰეპატიტი. დიაგნოზი — განაელის გამოკვლევით, სადაც ვნახულობთ კვერცხებს.

კატატონიური სინდრომი — ფსიქიკური მდგომარეობა მოძრაობითი დარღვევების აგზნების ფორმით, ან სტუპორით ანდა მათი შენაცვლებით. უფრო ხშირია შიზოფრენიის დროს.

კატის განაკაწრის დაავადება — გამომწვევია ვირუსი. ინკუბაციური პერიოდი 1—6 კვირა. ნიშნები: მწვავე დასაწყისი, შემცივნება, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება 10—15 დღის მანძილზე. განაკაწრი, (ვირუსის შეკრის ადგილი) სწრაფად ხორცდება, შემდეგ ადგილი აქვს ახლომდებარე ლიმფური კვანძების გადიდებას, მათ დარბილებას, ფისტულისა და ნაწიბურის წარმოშობას. სინონიმები: მოლარეს დაავადება, პეტცეტაკისის დაავადება, დებრეს დაავადება ანუ სინდრომი.

კატის კნავილის დაავადება, ანუ სინდრომი — დაავადება შეპირობებულია B ჯგუფის ქრომოსომების ანომალიით. დამახასიათებელია ხორხის ანომალია, რის შედეგადაც ბავშვის ყვირილი მოგვაგონებს კატის კნავილს. ამავე დროს ადგილი აქვს მიკროცეფალიას, გონებრივ ჩამორჩენილობას, ზრდაში შეფერხებას, ჰიპერტელორიზმს, ნიშნეულია მთვარისებრი სახე და დაბლა მდებარე დისპლასტიკური ყურები. სინონიმი: ლეჟენის სინდრომი.

კატის მუსიკა — ფილტვების მოსმენის დროს არ ისმის ვეზიკულური სუნთქვა. მის მაგიერად ფილტვებზე მოდებულია სველი და მშრალი ხიხინი.

კატლერის სინჯი — წყალ-მარილოვანი ცელის გამოსავლენი სინჯი ჰიპოფიზ-ჰიპოთალამურ მიდამოში სიმსივნური დაავადებისას. შარდის დღიურ რაციონში ისაზღვრება ქლორიდების რაოდენობა, როცა ავადმყოფი 48 საათის მანძილზე წინასწარ იმყოფება ნაკლებ მარილიან დიეტაზე.

კატჩის გულის ანგინა — ფილტვისმიერი სტენოკარდია, ლურჯი სტენოკარდია, ტკივილი გულის არესა და მკერდის ძვლის უკან, შეიძლება განვითარდეს ფილტვების ქრონიკული დაავადების დროს. ნიტროგლიცე-

რინზე უფრო ეფექტურია ჭანგბადის შესუნთქვა და ეუფილინის ვენაში შეყვანა.

კატჩის საცდელი საუზმე — სინონიმი: კატჩ-კალკის საუზმე (იხ.).

კატჩ-კალკის საცდელი საუზმე — კუჭის სეკრეციის გამაღიზიანებელი სეკრეციის სტიმულაციისათვის გამოკვლევის დროს. წარმოადგენს კოფეინის წყლისა ხსნარს (ზოგჯერ აფერადებენ მეთილინის ლურჯით). სინონიმი: კატჩის საცდელი საუზმე.

კატცენშტეინის სიმპტომი — არტერიული წნევის დაქვეითება ბარძაყის არტერიებზე ზეწოლისას. გვხვდება მიოკარდიუმის შეკუმშვადობის დაქვეითებისას. ამ დროს წნევა მატულობს.

კატც-ვახტელის სიმპტომი — პარკუჭთაშუა ძგიდის მაღალი დეფექტის და (უფრო იშვიათად) ორთავე პარკუჭის ჰიპერტროფიის ელექტროკარდიოგრაფიული ნიშანი: R და S კბილები II—III, V—2—4 განხრებში თანაბარი ამპლიტუდისაა, ხოლო კბილები S, Q III და Qavf გაღრმავებულია.

კაუდენის დაავადება — თანდაყოლილი მრავლობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. აღინიშნება ქალებში და ხასიათდება ჩიტისებური სახით, აღენოიდებით, მიკროსტომიით, უბების ჰიპოპლაზიით, ანტიმონგოლოიდური თვალის ჭრილით, მიოპიით, კბილების დაცენით, რბილი სასის ჰიპოპლაზიით, დანაოჭებული ენით, კიფოსკოლიოზით. სარძევე და ფარისებრ ჯირკვლებში, ღვიძლში და ძვლებში არის კისტები, რომელიც არც თუ იშვიათად განიცდიან ავთვისებიან გადაგვარებას. საშვილოსნო განუვითარებელია. გარეთა სასქესო ორგანოები ნორმალური, შესაძლოა დროგამოშვებითი ამენორეა.

კაუზალგიური სინდრომი — შედეგია პერიფერიული ნერვის დაზიანებისა და განპირობებულია სიმპატიკური ბოჭკოების გაღიზიანებით. ხასიათდება ინტენსიური მწვავე ტკივილით და სისხლძარღვმამოძრავებელი და ტროფიკული დარღვევებით დაზიანებული ნერვის ინერვაციის ზონაში. სინონიმი: პიროგოვ-მიტჩელის დაავადება-კაუზალგია.

კაუფმან-ვოლფის ლიმფოციტომა — დაავადების მიზეზია ლიმფური სისტემის რეაქცია სხვადასხვა ინფექციურ ფაქტორზე. მიმდინარეობა — კეთილთვისებიანი. კანში ჩნდება სხვადასხვა ზომის კვანძები, მორფოლოგიურად მსგავსი ბეკის სარკოიდისა. ძირითადი ლოკალიზაცია გვხვდება ტანსა და კიდურებზე, უფრო იშვიათად სახეზე. სინონიმები: ჯადასონის ფსევდოლეიკემიური ინფილტრატი, ბიფერშტედტის კანის კეთილთვისებიანი ლიმფადენოზი, შპიგლერ-ფენდტის სარკოიდი.

კაფის დაავადება — სინონიმი: კაფ-სილვერმანის სინდრომი (იხ.)

კაფ-სილვერმანის სინდრომი — ბავშვთა კორტიკალური ჰიპეროსტოზი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ძვლების დიფუზური კორტიკალური ჰიპეროსტოზები (უფრო ხშირად ლავიწის და იდაყვის ძვლების) 6 თვემდე ასაკის ბავშვებში. გამოვლინდება ძვლის საზრდელას მნიშვნელოვანი გასქელებით, დაზიანებული ნაწილის მტკივნეული შეშუპებით. თან სდევს ცხელება. სინონიმი: კაფის დაავადება.

კაშინ-ბეკის დაავადება — მადეფორმირებელი ენდემიური ოსტეოართროზი, ეპიდემიური დაავადება. იწვევს სასმელ წყალსა და ნიადაგში

კალციუმის ნაკლოვანება და საკვებში მიკროელემენტების ურთიერთდაბოკიდებულების დარღვევა. ახასიათებს ოსტეოართროზის განვითარება, კიდურთა და ხერხემლის სახსრების მრავლობითი დარღვევები. აღინიშნება დაბალი ტანი, ხერხემლის წელის არის ჰიპერლორდოზი, ბრაქიდაქტილია. გვხვდება აღმოსაელეთ ციმბირში, ჩინეთის ჩრდილოეთით და კორეაში. სინონიმი: უროვის დაავადება.

კაჩის სიმპტომი — კანის ჰიპერესთეზიის ზონა, რომელიც შეესაბამება მარცხენა გულმკერდის ინერვაციის მერვე სეგმენტს. ქრონიკული პ.ხ.ერეატიტის ნიშანი.

კაცნელსონის სინდრომი — ჰიპოქრომული ესენციური ანემია, მარტივი აქლორჰიდრული ანემია, მემკვიდრეობითი დაავადებაა. კლინიკური ნიშნებია სისუსტე, გულის ფრიალი, ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სიფერმკრთალე, შეიძლება თან ახლდეს ფუნიკულური მიელოზის ნიშნები, პლუმერ-ვინსონის სინდრომი (იხ.), აქლორჰიდრია, ელენთის ზომიერი გადიდება. ჰიპოქრომული ანემია (მიკროციტოზი პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით), ლეიკოპენია ლიმფოციტოზით. პროგნოზი კარგია. სინონიმები: ფაბერ-ჰაემის დაავადება, ვიტსის დაავადება, ჰაემ-ფაბრის დაავადება.

კებნერის დაავადება — თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი, ტრავმული ბუშტუკელა, მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს კანზე ბუშტუკების წარმოშობა ნებისმიერ, სრულიად უმნიშვნელო ტრავმაზეც კი. სინონიმი: გოლდშეიდერის დაავადება.

კებნერის ფენომენი — იზომორფული მაპროვოცირებელი რეაქცია, ახალი გამონაყარის გამოჩენა კანის გაღიზიანების ადგილზე. აღინიშნება ზოგიერთი დერმატოზის მწვავე ფაზაში (ფსორიაზი, წითელი ბრტყელი ლიქენი).

კეიას სინჯი — ჰისტამინის მაქსიმალური სინჯი — ჰისტამინის ფოსფატი — 0,04 მგ — ავადმყოფის 1 კგ წონაზე, ან ჰისტამინის დიჰიდროქლორიდის — 0,024 მგ — 1 კგ წონაზე კანქვეშ ერთჯერადი შეყვანით. იყენებენ პეშმარიტი აქლორჰიდრიის გამოსავლინებლად.

კეირის ერითროპლაზია — კეირის დაავადება, ხავერდოვანი ეპითელიომა, სიფილომის მსგავსი კეთილთვისებიანი ეპითელიომა. ერითროპლაზია. ხავერდოვანი ერითროპლაზია — სასქესო ასოს კანის კარცინომა — უფრო იშვიათად პირის ღრუს, სასისა და ენულვის. გამოვლინდება ვარდისფერი-მოწითალო ხავერდოვანი, ქერცლებადი ზედაპირის კერების წარმოშობით.

კელერის დაავადება — ტერფის უკანა ძვლის ოსტეოქონდროპათია. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. დამახასიათებელია II—III და IV მეტატარზალური ძვლების თავების ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება ტკივილით ჭუსლის წინა ნაწილში, მოძრაობის შეზღუდვით და შესაბამისი თითის დამოკლებით.

კელერ-შულცის სიმპტომი — დისოცირებული სირინგომიელური ხასიათის მგრძნობელობის მოშლა. გვხვდება ზურგის ტვინის უკანა რქების სხვადასხვა პათოლოგიური პროცესით დაზიანების დროს.

კელის სინდრომი — პირის ღრუს, სასისა და საყლაპავის ლორწოვანი გარსის ატროფია. ნიშნები: ჰიპოქრომული ანემია, ენის გასადაგება (ჰუნტერის ენა, იხ.), კუჭ-ნაწლავის დისფუნქცია, ჰიპოაციდური მდგომარეობა, ფრჩხილების ცვლილებები (კოილონიქია). უკავშირებენ „ბ" ჯგუფის ავიტამინოზს, თუმცა არ არის გამორიცხული მისი მეორეული გენეზი. კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის შედეგად ხშირია პირის ღრუსა და ზემო სასუნთქი გზების ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, ადისონ-ბირმერის (იხ.) და ჰაემ-ფაბრის დაავადებების (იხ.) დროს. სინონიმები: კელ-პატერსონ-ვალდენსტრემ-კიეგელბერგის სინდრომი, პატერსონის სინდრომი, პატერსონ-კელის სინდრომი, პატერსონ-კელ-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი.

კელმეიერ-დეგოსის სინდრომი ანუ კელმეიერ-დეგოსის დაავადება — ატროფიული პაპულოზურ-ქერცლოვანი დერმატიტი. ატროფიული ავთვისებიანი პაპულოზი. კან-ლორწოვან-ნაწლავის სინდრომი. კან-ნაწლავის დისემინირებული თრომბანგიიტი. ფაიფურის მსგავსი წვეთოვანი დანაწიბურებადი (ნაწიბუროვანი) ერითემა — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს კანისა და ნაწლავთა სისხლძარღვების სისტემური დაზიანება. გამოვლინდება ვარდისფერი მორეციდიული პაპულოზური გამონაყარით (ატროფიული თეთრი ნაწიბურებით), მუცელში ტკივილის შეტევებით, ღებინებით, ფაღარათით, ცხელებით. სინონიმები: დეგოსის დაავადება, დეგოს-დელორი-ტრიკოს სინდრომი.

კელ-პატერსონის სინდრომი — სინონიმები: პლუმერ-ვინსონის სინდრომი, ვალდენსტერმ-კიეგელბერგის სინდრომი, კელის სინდრომი (იხ.), პატერსონის სინდრომი, პატერსონ-კელ-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი, კელ-პატერსონ-ვალდენსტრემ-კიეგელბერგის სინდრომი.

კელ-პატერსონ-ვალდენსტრემ-კიეგელბერგის სინდრომი — სინონიმები: კელის სინდრომი (იხ.), პატერსონ-კელის სინდრომი, პატერსონ-კელ-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი.

კენედის სინდრომი — შუბლ-ბაზალური სინდრომი. მხედველობის ნერვის ცალ თვალზე პირველადი ატროფიის შერწყმა შეგუბებით დვრილთან მეორეზე. ადგილი აქვს თავის ქალასშიდა პათოლოგიური პროცესების დროს (სიმსივნე, არაქნოიდიტი, ანევრიზმა), რასაც თან სდევს მხედველობის ნერვის ცალმხრივი კომპრესია თავის ქალას შიდა წნევის მატებით. სინონიმები: ჰოვერს-პატონ-კენედის სინდრომი, ფოსტერ-კენედის სინდრომი.

კენედი-უორტიტის სინდრომი — თვალის გუგის გაფართოება სუბდურალური ჰემატომის მხარეს.

კენინის სიმსივნე — კენინის ონიქია, ფრჩხილ-ბუდის ირგვლივი ფიბრომა, მომცრო ცილინდრული მოწითალო წანაზარდების სახით. განლაგებულია ფრჩხილის ფირფიტის თავზე. აღინიშნება, მაგალითად, ტუბეროზული სკლეროზის დროს.

კენიგის სიმპტომი — სიმსივნური კვანძის პალპირება სარძევე ჯირკვლის ხელისგულით მკერდზე მიპერისას. სარძევე ჯირკვლის კიბოს ნიშანია.

კენიგის სინდრომი — მუცლის ჰეალისმაგვარი ტკივილი, მეტეორიზმის, უაბზობის და ფაღარათიანობის შენაცვლება, ყურყური მარჯვენა ჰიპოგასტრიუმის პალპაციისას. აღინიშნება ნაწლავების ქრონიკული გაუვალობისას თეძოს ნაწლავის ბრმა ნაწლავში გადასვლის ადგილას.

კენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ჯუჯისებრობა, ყიფლიბანდის გაძვალების დაგვიანება, ლულისებრი ძვლების კორტიკული სუბსტანციის გასქელება, ახლომხედველობა, გარდამავალი ჰიპოკალციემია და ჰიპერფოსფატემია, კრუნჩხვითი შეტევები. სინონიმი: კენი-ლინარელის სინდრომი.

კენი-ლინარელის სინდრომი — კრუნჩხვითი შეტევები. სინონიმი: კენის სინდრომი (იხ.).

კენიუ-მიურეს სიმპტომი — აღინიშნება ანევრიზმის დროს კარგად განვითარებული კოლატერალების ქსელის არსებობისას: კანქვეშა ვენაში შეყვანილი ნემსიდან სისხლი გამოდის შესაბამისი მაგისტრალური არტერიის გადაკეტვის შემდეგაც.

კენკოს დაავადება — მადეკალვირებელი ფოლიკულიტი, თავის თმიანი ნაწილის სტაფილოდერმია. ახასიათებს ხანგრძლივი ფოლიკულიტები, რომელიც შემდეგ სტოეებს ბრტყელ ნაწიბურებს და ნაწიბუროვან ალოპეციას.

კენკოს სიმპტომი — ხელის მტევნის განზე გაშლილი თითების კანკალი ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. ვლინდება მკვლევარის ხელის გულის შიდებისას ავადმყოფის თითების ბოლოზე.

კენონის სინდრომი — წნევის მომატება სტრესული სიტუაციების დროს (ემოციური დაძაბვა, ტკივილი, ტრავმა, სისხლღენა, ასფიქსია და ა. შ.).

კენტის კონა — დამატებითი წყვილი გამტარი გზა მარჯვენა და მარცხენა გულის კუნთში. თანდაყოლილი ანომალიაა. მდებარეობს წინაგულებში და ატარებს იმპულსებს წინაგულიდან უშუალოდ პარკუჭებში. სელშემწყობი მიზეზია ვოლფ-პარკისონ-უაიტის (ეპუ) სინდრომი (იხ.) განვითარებისა. სინონიმი: პალადინო-კენტის კონა.

კეპლერ-პელეგრინ-შტიდის დაავადება — ანუ შტიდის მოტეხილობა. რბილ ქსოვილთა კალციფიკაცია ბარძაყის ძვლის ირგვლივ ჩვეულებრივ მუხლის ტრავმის შემდეგ. ნიშნები: ტკივილი და შეშუპება ბარძაყის ძვალზე, რომელიც ძლიერდება სიარულის დროს. რენტგენოლოგიურად ბარძაყის ძვლის ტიბიალურ მხარეზე მცირე ზომის ძვლის შედრეკილი ჩრდილი, ეპიფიზის დიაფიზში გადასვლის ადგილზე. სინონიმები: პელეგრინ-შტიდის დაავადება, შტიდ-პელეგრინის სინდრომი, შტიდის დაავადება.

კერის სიმპტომი I — აღინიშნება მუცლის ღრუში სისხლჩაქცევისას (მაგ. ელენთის გახეთქვისას) და გამოიხატება მარცხენა მხრის ძლიერ ტკივილში.

კერის სიმპტომი II — პალპატორული მტკივნეულობა მარჯვენა

ფერდქვეშა მიდამოში, რაც მკვეთრად ძლიერდება ჩასუნთქვისას. ნიშანია ჰოლეცისტიტის.

კერის სიმპტომი III — კანის ტროფიკული ცვლილებები იწერაციის იმ ზონაში, რომელიც შეეფარდება ზურგის ტვინის დაზიანების ქვემო ნაწილებს.

კერერის სიმპტომი — თავის ტკივილის გაძლიერება და დაცვითი მამოძრავებელი რეაქცია კერერის წერტილებში ღრმა პალპაციისას. აღნიშნება თავის სიმსივნეების დროს.

კერერის სინდრომი — სიმპტომკომპლექსი, რომელიც უვითარდებათ ქალებს დისპარეუნიის შედეგად. ნიშნები: გენიტალიის მყარი ჰიპერემია და ჰიპერლიმფია (გამოწვეული სქესობრივი აქტით), თანდათანობით ვითარდება მენჯის ვენების გაფართოება, გარეგანი და შინაგანი ბუასილის კვანძები, ფეხის ვენების გაფართოება, მცირე მენჯის შიგნითა კედლების ჰიპერესთეზია, თეთრად შლა. საშვილოსნო გადიდებული, გასქელებული და მკვრივი კონსისტენციისა.

კერერიხ ჭორეოპათიები — ჭორეოპათები, ფსიქოპათები, რომლებიც გეხვდება პენტინგტონის ჭორეით დაავადებულთა ახლო ნათესავებში.

კერერის წერტილები — უბნები კისრის უკანა ნაწილებში, ძირითადად ატლანტსა და კისრის მეორე მალის მიდამოებში, რომლებიც შეეფარდება კეფის დიდი ნერვების გამოსვლის ადგილებს.

კერკსის ავთვისებიანი ენდოკარდიტი — მწვავე ბაქტერიული ენდოკარდიტი, წყლულოვანი თრომბოენდოკარდიტი. გეხვდება უფრო იშვიათად, ვიდრე ქვემწვავე ენდოკარდიტი. მწვავე ენდოკარდიტი შეიძლება იყოს სეპტიკოპიემიის ერთ-ერთი გამოვლინება. ზოგჯერ სეპტიკოპიემიის პირველადი კერა წაშლილია და კლინიკურად წამყვანია ენდოკარდიტი.

კერლის ხაზები — ჰორიზონტალური ხაზოვანი ჩრდილები ფილტვის ქვემო წილების რენტგენოგრამაზე. აღინიშნება წილაკთაშუა ჯებირების გაკვრივებისას (შეშუპებისას), მაგალითად, მცირე წრის ჰიპერტენზიის დროს.

კერლ-ურბახის დაავადება — ექსტრაცელულარული ჰოლესტერინოზი ქსანტომატოზით. დამახასიათებელია ჰოლესტერინის ან ტრიგლიცირიდების ჩალაგება კანსა და სხვა ორგანოებში. ვლინდება ქსანტომების და ქსანტელაზმების გაჩენით. არჩევენ მილიალურ, დიაბეტურ, კანის, ძვლოვან (პენდ-შიულერ-კრისჩენის დაავადება — იხ.) და კრანიალურ ქსანტომატოზს.

კერნერ-როუეს შუილი — როუეს დაავადების დროს (პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი) მარცხნივ მესამე-მეოთხე ნეკნთაშუა არეებში მკერდის ძვალთან მოისმინება ძლიერი, გახანგრძლივებული, მძაფრი, უხეში შუილი, რომელსაც, როგორც წესი, თან სდევს კატის კრუტუნი. სინონიმი: როუეს შუილი.

კერნიგის სიმპტომი — მენჯ-ბარძაყისა და მუხლის სახსარში სწორი კუთხით მოხრილი კიდურის გაშლა გაძნელებული და მტკივნეულია ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავადმყოფს ცნობიერება დაკარგული აქვს. გეხვდება სხვადასხვა წარმოშობის მენინგიტის, სუბარაქნოიდური სისხლ-

ჩაქცევის, გავა-წელის რადიკულიტისა და საერთოდ, იმ პროცესების დროს, რომლებიც აღიზიანებენ უკანა ფესვებს. მიაკუთვნებენ ტონურ რეფლექსს და ხსნიან მუხლის მოხრილი კუნთების დაჭიმვის რეფლექსის გაძლიერებით.

კერტეს სიმპტომი — მუცლის წინა კედელზე, კუპუკანა ჯირკვლის საპროექციო არის დაჭიმვა, მწვავე პანკრეატიტის დროს.

კერშნერ-ადამსის სინდრომი — ქრონიკული არასპეციფიკური ჩირქოვანი პნევმონიტი. ქრონიკული ინტერსტიციული პნევმონიის ნაირსახეობა. დაავადება ვითარდება ნელა, წლების მანძილზე. ნიშნებია: ხველა ნახველის მცირე რაოდენობით, ჰემოფტიზი, ტკივილი გულმკერდში, პერკუსიის მოყრუების მცირე ზონა, უპირატესად ცალმხრივი მშრალი ხიხინი, საერთო მდგომარეობა შედარებით კარგია, ტემპერატურა ნორმალური, რენტგენოლოგიურად შემოფარგლული, სეგმენტური დაჩრდილვა, რომელიც მოვლაგონებს ატელექტაზს. ეშლებათ ბრონქოკარცინომაში. ჩვეულებრივ, ვლინდება 30—50 წლის ასაკში.

კესონის დაავადება — დეკომპრესიული დაავადება, წარმოშობილი წყალში დიდ სიღრმეზე ყოფნის შემდეგ სწრაფად ამოსვლის შედეგად. კავშირშია ბარომეტრული პირობების მკვეთრ შეცვლასთან დროის უმოკლეს მონაკვეთში.

კესტენბაუმის სიმპტომი — მხედველობის ნერვის დერილის ნაპირებზე გამაყალ კაპილართა რაოდენობის შემცირება. გამოკვლევა ხდება გუგის გამაფართოებელ საშუალებათა გამოყენების გარეშე. გვხვდება მხედველობის ნერვის ატროფიის დასაწყის სტადიაში. დიაგნოსტიკური ღირებულება აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მხედველობის ველისა და სიმახვილის გამოკვლევა გაძნელებული ან შეუძლებელია (ჩვილ ბავშვებში).

კვაშიორკორის სინდრომი — ნიშნავს „ოქროსფერ ბიჭს“ ანუ „წითელ ბიჭს“. პირველად აღწერილია აფრიკის კონტინენტზე, ოქროს ნაპირზე (ამჟამად განა). გამოწვეულია სრული უცილო დიეტით, რასაც მიეყავართ ეგზოგენურ მკვეთრ ჰიპოპროტეინემიამდე (ჰიპოალბუმინემია, ჰიპოგლობულინემია). დამახასიათებელია კანისა და თმის პიგმენტაციის შეცვლა, მიკროციტული ჰიპოქრომიული ანემია. სისხლში დაქვეითებულია შრატის რკინა, სპილენძი. აღინიშნება შეშუპება, ჰეპატოსპლენომეგალია, მეტეორიზმი, პროგნოზი კარგია.

კვინსლენდის ტკიპისეული ტიფი — ჩრდილო კვინსლენდის ტკიპისეული პარტახტიანი ტიფი. ტკიპისეული რიკეტსიოზი, გამოწვეული „რიკეტსია აუსტრალია“-ს მეშვეობით. ახასიათებს პირველადი აფექტი რეგიონალური ლიმფადენიტით, ცხელება პაპულოზურ-ვეზიკულური გამონაყარით.

კვინსლენდის ცხელება — ქუ ცხელება. გადაცემის წყაროა რქოსანი საქონელი, რომელთა დასნებოვნების დროს რძეში გამოიყოფა დაავადების გამომწვევი რიკეტსიები. ეპიდემიები ჩნდება სასაკლაოს, რძის წარმოების მუშებსა და საქონლის გადამრეკთა შორის. ცნობილია აგრეთვე ლაბორატორიული დასნებოვნება. დაავადება მიმდინარეობს როგორც ფილტვების

არატიპიური ინტერსტიციული ანთება. კლინიკური ნიშნებია: ფებრილიტეტი, დამტვრეულობა, თავის ტკივილი.

კიარის სინდრომი — იგივეა ჩიარის და ხიარიგს სინდრომი. ღეიძლის ვენის მაიბლიტირებელი ანთება. ახასიათებს პორტული ჰიპერტენზიისა და ღეიძლის ციროზის ნიშნები (დისპეპტიკური მოვლენები, ღეიძლის გადიდება, ასციტი). აღინიშნება ღეიძლის ვენებიდან სისხლის უკუდენის დარღვევა (ფლებიტის, თრომბოფლებიტის გამო), განარჩევენ მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ ფორმებს. სინონიმები: ბად-კიარის სინდრომი, კიარი-აბრიკოსოვის დაავადება.

კიარი-ავცინის სიმპტომი — ავადმყოფებში კონიუნქტივაზე პარტახტიანი ტიფის წითელი ლაქების გამონაყარი. აღინიშნება სხვა რიკეტსიოზების დროსაც. იგივეა ჩიარი-ავცინის და ხიარი-ავცინის სიმპტომი.

კიარი-ფრომელის სინდრომი — პერსისტირებადი ლაქტაციის სინდრომი, საშვილოსნოს ლაქტაციური ატროფია. უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდა ქალებში ფემხძიმობის და მშობიარობის შემდეგ ლაქტორეიასა და ამენორეის სახით ძუძუს წოვების დამთავრებისას. შესაძლოა განვითარდეს ფეხმძიმობისაგან დამოუკიდებლადაც. ხშირად ადგილი აქვს დიენცეფალონის დაზიანების ნიშნებს: სიმსუქნე ან წონაში დაკლება, თავის ტკივილი, თავბრუ, სისუსტე, ძილიანობა ან უძილობა, აგზნებადობა, ოჯღიანობა, ლიბიდოს დაქვეითება. ადგილი აქვს გარეთა და შიგნითა სეკრეციის ორგანოების ზომიერად გამოხატულ ატროფიულ ცვლილებებს. ავადმყოფთა უმრავლესობას ადრე თუ გვიან უდგინდება ჰიპოფიზერ ჰორმონალურად არააქტიური სიმსივნე, რომლისთვისაც ნელი ზრდაა დამახასიათებელი. იგივეა ჩიარი-ფრომელის, ხიარი-ფრომელის სინდრომი.

კიასანურის ჰემორაგიული ცხელება — ვირუსული ინფექციის ძირითადი წყაროა მაიმუნი, გადამტანია როგორც ტკიპა, ისე რწყილი, გვხვდება ინდოეთში. ნიშნები: მწვავე დაწყება, ცხელება, სხეულის ტკივილი, ღებინება, ფაღარათი, გამონაყარი, ლიმფადენიტი, ბრადიკარდია, სისხლდენა შინაგან ორგანოებიდან, ლეიკოთრომბოპენია.

კიბისებრი კუნთის სინდრომი — არტერიული წნევის დაქვეითება და მაჯისცემის შესუსტება სხივის არტერიაზე დაავადებული კიდურისაკენ თავის მობრუნებისა და ღრმა ჩასუნთქვისას. სინონიმი: იტონის სიმპტომი.

კიბნერის სინდრომი — თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. განარჩევენ უბრალო და დისტროფიულ ფორმებს. დამახასიათებელია ბუშტუკების წარმოშობა მექანიკური ტრავმის შემდეგ. ბუშტუკები ზედაპირულია, მისი შემადგენლობა — გამჭვირვალე ან ჰემორაგიული. ლოკალიზაცია ხდება წვივებზე, მუხლისა და იდაყვის სახსრების ირგვლივ. დისტროფიული ფორმის დროს ბუშტუკები უპირატესად განლაგებულია ეპიდემისსა და დერმას შორის, უბრალო ფორმის დროს — ეპიდერმისში. მიმდინარეობა ქრონიკული, მორეციდივეა.

კიენბეკის ფენომენი — დიაფრაგმის პარადოქსული მოძრაობა. აღინიშნება არა მარტო დიაფრაგმული თიაქარის დროს, არამედ შეიძლება ასევე შეგვხვდეს რელაქსაციის შემთხვევაშიც.

კიკუხის მანეკროზირებელი ლიმფადენიტი — დიაგნოზი ისმება ბიოპტატის გამოკვლევით, სადაც წამყვანი ნიშანია ნეკროზული პროცესი. ნიშნები: ლიმფადენოპათია, ცხელება, დიარეა, ტკივილი მუცელში, გულისრევა, ღებინება, ხშირია ლიმფური კვანძების გადიდება კისრის მიდამოში ერთ მხარეს. პროცესის ხანგრძლივობა 1—24 თვე.

კილაიდიტის სინდრომი — განივი კოლინჯის ღვიძლის ნაკეცის მდებარეობა ღვიძლსა და დიაფრაგმას შორის. ავადმყოფს აწუხებს სიმძიმის გრძნობა. პერკუსიით შეიძლება ეჭვის მიტანა ამ სინდრომზე, მისი ვერიფიცირება კი მხოლოდ რენტგენოლოგიური გამოკვლევით არის შესაძლებელი. ამასთან აუცილებელია კუჭ-ნაწლავის პერფორაციის შედეგად მუცლის ღრუში მოხვედრილი თავისუფალი ჰაერისაგან დიფერენცირება.

კილინის დაავადება ანუ სინდრომი — გეიანი — პუბერტატული დისტროფია. გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადებაა, ემართებათ 15—16 წლის გოგონებს და ვლინდება გახდომით, კანის ატროფიით, შეშუპებით, თმების დაცვენით, მეორადი სასქესო ნიშნების განუვითარებლობით, ამენორეით.

კილპ-ნევინის სინდრომი — კუნთთა პროგრესული ატროფიის ნაირსახეობაა (ე. წ. თვალის ფორმა), ხასიათდება თვალის გარეთა კუნთების ადრეული დაზიანებით.

კომელშტილ-უილსონის სინდრომი — დიაბეტური გლომერულოსკლეროზი, ინტერკაპილარული გლომერულოსკლეროზი. შაქრიანი დიაბეტის გართულება, დიფუზური ან კეროვანი სკლეროზული ცვლილებები თირკმლის გორგლებში, რაც გამოვლინდება პროტეინურიით, არტერიული ჰიპერტონიით, შეშუპებით და ხშირად ზუბროდა-დანის (იხ.) ფენომენის ნამოყალიბებით (იგივეა კომელშტილ-ვილსონის სინდრომი).

კომელშტილ-უილსონის ტრიადა — ეწოდება შაქრიანი დიაბეტის დროს წარმოშობილ გართულებათა შერწყმას, როცა ადგილი აქვს პროტეინურიას, არტერიულ ჰიპერტენზიას და ნეირორეტინოპათიას. აღინიშნება კომელშტილ-უილსონის სინდრომის (იხ.) დროს.

კინბეკის დაავადება — ნახევარმთვარისებრი ძვლის მალაცია, ნახევარმთვარისებრი ძვლის ოსტეოქონდროპათია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს მაჯის ნახევარმთვარისებრი ძვლის ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება ტკივილით სხივ-მაჯის სახსრისა და მაჯის გარეთა მხრის შესივებით.

კინბეკ-მაიზელის დაავადება — ხელის მტევნებისა და ტერფების ძვლების ატროფია. ახასიათებს დეკალცინაცია. ჩვეულებრივ, ვითარდება ტრავმის ან ცივდამწვრის შემდეგ. აღინიშნება დაზიანებული სახსრის მოძრაობის შეზღუდვა, შეშუპება, კანის ლოკალური ციანოზი და ტემპერატურის მომატება. დაავადებას უკავშირებენ ლოკალურ სისხლძარღვოვან-მოტორულ რეფლექსურ პასუხს ტრავმაზე. სინონიმები: ზუდეკის დაავადება, ზუდეკის მწვავე ძვლოვანი ატროფია, ზუდეკ-კინბეკის დაავადება. ზუდეკ-ლერიშის სინდრომი, ლერიშის დაავადება.

კინდბერგ-ლერის სინდრომი: — ინფილტრატი ფილტვში, გამოხატული ლეიკოციტოზით და ეოზინოფილიით. ახასიათებს მწვავე დასაწყისი და

ზიმდინარეობა მაღალი სეპტიკური ციებ-ცხელებით, ოფლის დენა, ზომიერი გამონაყონი პლევრის ღრუში, პროგნოზი კარგია.

კინკ-კინკ სინდრომი — ჰიპერტენზიის პროგრესირებადი ფორმა, რომლის მიზეზია აორტის ბრაქიო-ცეფალური ტოტების თანდაყოლილი ცვლილებები, მათი დაგრძელება, დაკლაკნა. არტერიული წნევის მოპატებას ადგილი აქვს სიმწიფის პერიოდის დასრულების შემდეგ. პათოგენეზი უცნობია. ტერმინოლოგიურად კავშირშია ინგლისურ სიტყვა **kink**-თან, რაც მარყუჟს ნიშნავს.

კირნ-სეირის სინდრომი — თვალის და გულის სიმპტომების შეუღლება. დაავადება ვლინდება 20 წლის ასაკის მერმე. ნიშნები: ოფტალმოპლეგია, ბადურის პიგმენტური დეგენერაცია, ჰემერალოპია, ატაქსია, კუნთების პარეზი, დებილობა, დაბალი ან ჯუჯისებრი ტანი, ჰიპოგონადიზმი, პარკუჭშიდა გამტარებლობის დარღვევა, ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადა. სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადა. არ არის გამორიცხული ამ სინდრომის ვირუსული გენეზი .

კირშპეიმინ სიმპტომი — ავადმყოფი ისინჯება დამჯდარი. ტარდება პერკუსია ჩაქუჩით მარჯვნივ, უკან და ქვეით ფილტვ-ღვიძლის საზღვრის არეში, მიიღება მკაფიო მეტალური ხმი[illegible]. ამ დროს უკან ღვიძლის ხმიანობა შესაძლოა არ გაქრეს. ანევმოპუ[illegible] მაჩვენებელი შესაძლო ფენომენი.

კისელის სინდრომი — ეპილეფსიის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გულყრის განვითარება სტენოკარდიული შეტევის შემდეგ.

კისელ-ჯონს-ნესტეროვის კრიტერიუმები — კლინიკური ნიშნების ნუსხა, რომელთა შეწყვმაც დამახასიათებელია რევმატიზმის აქტიური ფაზისათვის. მათ შორის სპეციფიკურადაა მიჩნეული კარდიტი, პოლიართრიტი, ქორეა, ანულარული ერითემა, რევმატიული კვანძები, ტიპური რევმატიული ანამნეზი და მკურნალობით მიღებული დადებითი შედეგი.

კისრის ნერვული ფესვების სიმპტომი — მძაფრი ტკივილი კისრის ნერვების გამოსვლის ადგილზე ზეწოლისას. აღინიშნება პარატაბტიანი ტიფის მძიმე ფორმების დროს. სინონიმი: ადერმანის სიმპტომი.

კიტაევის რეფლექსი — ფილტვების არტერიოლების შევიწროება მარცხენა წინა გულებში და ფილტვის ვენებში სისხლის წნევის მომატების პასუხად (მაგალითად, მიტრალური სტენოზის დროს). თან სდევს გულის წუთმოცულობის შემცირება.

კიტამურას აკროპიგმენტაცია — რეტიკულური აკროპიგმენტაცია, სიმეტრიული მემკვიდრეობითი აკროდისქრომატოზი, პიგმენტური რეტიკულური დისტროფია, მემკვიდრეობითი აკროპიგმენტაცია, რომელსაც ახასიათებს მრავლობითი, ბუდისებურად განლაგებული წვრილი ლაქები.

კიტახარას სინდრომი — პრერეტინალური შეშუპება, ბადურის იდიოპათიკურ ბრტყელი ატკეცა, ცენტრალური ექსუდატიური რეტინიტი, ანგიოსპასტიკური ცენტრალური რეტინოპათია, ანგიონევრიტული ცენტრალური ქორეორეტინოპათია, ცენტრალური სეროზულ ქორეორეტინიტი — თვალების ტოქსიკურ-ინფექციური ბუნების დაავადება. ახასიათებს ქორიოკაპილარული ფირფიტის სისხლძარღვოვანი გარსის სისხლძარღვთა

სპაზმი. გამოვლინდება მხედველობის უცაბედი გაუარესებით, ცენტრალური სკოტომის განვითარებით, ოფთალმოსკოპიურად — ბადურის შემღვრევა და შეშუპება ყვითელი ლაქის მიდამოში. სინონიმი: მასუდ-კიტახარას სინდრომი.

კიუ-გარდენის ლაქოვანი ცხელება — რუსული რიკეტსიოზული ყვავილი, რიკეტსიოზი „დ“, ყვავილის მსგავსი რიკეტსიოზი, ვეზიკულური რიკეტსიოზი — ბუდობრივი ტკიპისეული რიკეტსიოზი. გამომწვევია „რიკეტსია აკარა“, გადაიტანება გამაზური ტკიპით. ხასიათდება პირველადი აფექტით, რეგიონული ლიმფადენიტით, ხანმოკლე ცხელებით, თავის ტკივილით, მიალგიით, არამრავლობითი პოლიმორფული მაკულოზურ-პაპულოზურ-ვეზიკულური გამონაყარით.

კიუმელის დაავადება — ტრავმული სპონდილიტი —ხერხემლის პოსტრავმული ასეპტიკური ნეკროზი, რომელსაც მის დეფორმაციამდე მივყავართ. სინონიმი: კიუმელ-ვერნეის დაავადება.

კიუმელის მტკივნეული წერტილები — მტკივნეული წერტილი აპენდიციტის დროს. განლაგებულია მუცლის კედელზე, ჰიპიდან მარჯვენა თეძოს წინაზედა ფრთისკენ გავლებული ხაზის შუა და ლატერალური ნაწილების საზღვარზე.

კიუმელ-ვერნეის დაავადება — სინონიმი: კიუმელის დაავადება (იხ.).

კიუს სინდრომი — ნაწლავთა ნაწილობრივი ქრონიკული მორეციდივე გაუვალობა, განვითარებული მცირე მენჯში მდებარე ორგანოების შეხორცებების ნიადაგზე (მსხვილ ნაწლავში, ქრონიკული სალპინგიტი).

კიუსტერის სინდრომი — ორწილიანი საშვილოსნო. საშვილოსნოს განვითარების თანდაყოლილი ანომალიები. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: პირველადი ამენორეა , სტერილურობა, მეორადი სასქესო ნიშნები ნორმალურია, ასევე მენსტრუაციაც. აღინიშნება ვიკალური სისხლდენა შარდის ბუშტიდან, სწორი ნაწლავიდან, პირის ღრუდან ან ცხვირიდან. საშო თითქმის არ არის, გაყოფილია ორად, არ არის მისი ღრუ და ენდომეტრიუმი, ფალოპის ლულა ჰიპოპლაზიურია. სარძევე ჯირკვლების განვითარება ნორმალურია, სქესობრივი სურვილებიც ნორმალური. არაიშვიათია თირკმლებისა და შარდგამომყვანი გზების ანომალიები, აორტის თანდაყოლილი ანევრიზმა, მეზენტერიუმის ანომალიები, წელის მეხუთე მალის საკრალიზაცია, მეთორმეტე ნეკნის ჰიპოპლაზია. სინონიმი: მაიერ-როკიტანსკი კიუსტერის სინდრომი.

კიუსტნერის სიმპტომი — საკვერცხის დერმოიდული კისტების მდებარეობა საშვილოსნოს წინ. თუ კისტას გადავაადგილებთ, ის სწრაფად უბრუნდება თავის პირვანდელ მდებარეობას.

კლავიშების სიმპტომი — კლავიშების ფენომენი — კუნთოვანი ლილვაკების ჩავარდნების წარმოშობა გულ-მკერდის წინა პერკუსიის დროს ლავიწის ზევიდან ქვემით ლავიწის შუა ხაზზე. კუნთების მომატებული აგზნებადობის ნიშანი, მაგალითად, თირეოტოქსიკოზის, ჰიპოპარათირეოზის, მიოტონიის დროს.

კლაინფელტერის სინდრომი — სინონიმი: კლაინფელტერ-რეიფენშტეინ-ოლბრაიტის სინდრომი (იხ.).

კლაინფელტერის „ცრუ" სინდრომი — ეწოდება მამაკაცებში პირველადი ჰიპოგონადიზმის ფორმას, როცა აღინიშნება სასქესო ჯირკვლების მილაკების უპირატესი დაზიანება 46 იქს-იგრეკი კაროტიპით, მიმართულს კლაინფელტერის სინდრომის წინააღმდეგ, როდესაც კარიოტიპი 46 და იქს-იქს-იგრეკია.

კლაინფელტერ-რეიფენშტეინ-ოლბრაიტის სინდრომი — მამაკაცთა ქრომოსომული დაავადება. გაპირობებულია სქესობრივ ქრომოსომთა პოლისომიით. დამახასიათებელია პირველადი ჰიპოგონადიზმი, ოლიგო და აზოსპერმია, ევნუქოიდიზმი. სინონიმი: კლაინფელტერის სინდრომი.

კლარკის სიმპტომი — ღეიძლის მოყურუების გაქრობა კუპის ან თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაციის დროს.

კლარკ-ჰანდფილდის სინდრომი — მეოთხე ტიპის გლიკოგენოზი, დიფუზური გლიკოგენოზი ღეიძლის ციროზით, ამილოპექტინოზი, გლიკოგენოზი, გაპირობებული 1,4 გლუკან 6—α გლუკოზილტრანსფერაზის არარსებობით. ახასიათებს ჰეპატოსპლენომეგალია, სიყვითლე, ჰიპოგლიკემია, ღეიძლის ციროზი. მემკვიდრეობითი გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. სინონიმი: ანდერსენის სინდრომი.

კლდის სინდრომი — ხასიათდება პროცესის მხარეზე თვალის მოძრაველი ნერვის დამბლით, მოპირდაპირე მხარეს კი ნათხემის დაზიანების მოვლენებით, რომელსაც ზოგჯერ თან ერთვის დიზართრია და ყლაპვის გაძნელება. გვხვდება უხშირესად ეერტებრო-ბაზილარული არტერიების სისტემაში იშემიის ტიპით სისხლის მიმოქცევის მოშლის დროს.

კლეიბროკის სიმპტომი — მუცლის ღრუს აუსკულტაციისას მოისმინება გულის ტონები. ნაწლავის პერფორაციის შესაძლო ნიშანია. სინონიმი: ფრედერიხის სიმპტომი.

კლეინ-ვარდენბურგის დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება (აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით), ხასიათდება თანდაყოლილი სიყრუით ან სმენის დაქვეითებით, სიმუნჯით, თეთრხ თმის ზოლით შუბლთან შუა ხაზის გასწვრივ, ფერადი გარსის ნაწილობრივი ან სრული ჰეტეროქრომიით.

კლეინე-ლევენის სინდრომი — ძილისკენ მომატებული მიდრეკილების შერწყმა შიმშილისა და მოძრაობითი მოუსვენრობით პაროქსიზმებთან. ადგილი აქვს ენცეფალიტების დროს ჰიპოთალამუსის და ღეროს რეტიკულური ფორმაციის დაზიანებისას.

კლეინშმიდტის სინდრომი — ბაცილური ინფლუენც-სინდრომი. ინფლუენცის თავისებური მიმდინარეობის ფორმა. ნიშნები: დაავადების მწვავე დაწყება, ცხელება, ტკივილი ყელში, კისრის რიგიდობა, სასულეს სტენოზი — ინსპირაციული სტრიდორით, პერიკარდიუმის ხახუნი, გულის საზღვრების გადიდება, ექსუდატიური პერიკარდიტი (სეროზულ-ჩირქოვანი ან ჩირქოვანი), პლევროპნევმონია, ჩირქოვანი პლევრიტი, მოგვიანებით ჩირქოვანი მენინგიტი.

კლეისტის აპათიური გებეფრენია — გებეფრენიული სინდრომი, გამოხატული ემოციური სიჩლუნგით. აღინიშნება შიზოფრენიის დროს.

კლეისტის ინერვაციული აპრაქსია — აპრაქსია, რომელსაც ახასიათებს ცალკეულ მოძრაობათა სტრუქტურის დარღვევა, შედგება რთული მოძრაობითი აქტისაგან და იცვლება უწესრიგო (ქაოსური) მოძრაობით.

კლეისტის პროგრესირებადი ჰალუცინოზი — უწყვეტად პროგრესული შიზოფრენია, ვერბალური ჰალუცინოზის სიჭარბით დაავადების გახვითარების ყველა ეტაპზე.

კლეისტის პარაფრენია — აფექტური პარაფრენია. შიზოფრენიის ფორმა, როცა სჭარბობს მრავლობითი ვერბული ჰალუცინაციები, ფსიქიკური ავტომატიზმი და განდიდების მანია, მაგრამ არ ახლავს ღრმა ემოციური ღეფექტი. სინონიმი: ლეონგარდის პარაფრენია.

კლეშის ტეტანუსი — სახის ტეტანუსი — ტეტანუსის კლინიკური ფორმა, როცა ინფიცირება ხდება თავის ან კისრის მიდამოს ჭრილობადან. გამოვლინდება სახის ნერვის დამბლით დაზიანებულ მხარეს. სინოხიშები: როზეს თავის ტეტანუსი, ჟანეს ტეტანუსი, იანინის ტეტანუსი.

კლეოპატრას სინდრომი — სინდრომი ვითარდება სხვადასხვა კოლაგენის კახექსიაში იმპლანტაციის შედეგად (რიგ შემთხვევებში კოსმეტიკური ჩასხმის შემდეგ). ეს არის ადამიანის ადიუვანტური დაავადება. ვითარდება კოლაგენოზის ტიპის ანთებადი სინდრომი. ნიშნები: ტემპერატურის ბოძატება, პოლიართრიტი, წონის სწრაფი დაკლება, ანორექსია. ნაკლები ანთებადი სინდრომი ვითარდება სილიკონის და პარაფინის იმპლანტაციაზე.

კლერანბოს ეროტომანია — ერების ბოდვის ნაირსახეობა. ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ ის უყვარს ადამიანს, რომელიც სოციალური სტატუსით მასზე მაღლა დგას.

კლერკ-ლევი-კრისტესკოს სინდრომი — პარკუჭების ნაადრევი აგზნების სინდრომი. პარკუჭშიდა გამტარებლობის დაურღვეველად აგზნების პარკუჭსედა პაროქსიზმული ტაქიკარდიების განვითარებისაკენ მიდრეკილებას. ელექტროკარდიოგრამაზე აღინიშნება PR ინტერვალის ხანგრძლივობის შემცირება (<0,12 წამისა). QRS—ST კომპლექსი განსხვავებით WPW სინდრომისაგან (იხ.) არ იცვლება, დაკავშირებულია წინაგულებიდან პარკუჭში აღხნების იმპულსის დამატებითი ანომალიური გზით გატარებასთან, ატრიოვენტრიკულური კვანძის გავლის გარეშე. უპირატესად გვხვდება ქალებში გულის ორგანული დაზიანების გარეშე. სინონიმი: ლოუნ-ჯენონ-ლევენის სინდრომი.

კლიბლერ-ნაიარის სინდრომი — არაჰემოლიზური თანდაყოლილი პირველი ტიპის სიყვითლე, არაჰემოლიზური ჰიპერბილირუბინემია ბირთვეული სიყვითლით — მემკვიდრეობითი დაავადება, განპირობებული ფერმენტ გლუკორონილტრანსფერაზის უკმარისობით. გამოვლინდება ცხოვრების პირველ დღეებში. ნიშნებია — სისხლში არაპირდაპირი ჰემოგლობინის შემადგენლობის მკაფიო მომატება, ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების სიმპტომები, კბილის ემალის განუვითარებლობა, მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

კლიკ-სინდრომი — მიტრალური სარქველის პროლაფსი. შესაძლოა თანდაყოლილიც და შეძენილიც რევმატიზმის, გულის იშემიური დაავა-

დების, კარდიომიოპათიის, გულ-მკერდის ტრავმული დაზიანების ნიადაგზე, ან იდიოპათიკური სახისა. დამახასიათებელია ტკივილი ან დისკომფორტი გულის მიდამოში, გულის ფრიალი, თავბრუ, გულის წასვლა, ქოშინი, იოლად დაღლა. შესაძლოა უსიმპტომო მიმდინარეობაც. ასაკთან ერთად სიმპტომატიკის გამოვლინების სიხშირე მატულობს. ობიექტურად მეზოსისტოლური ექსტრატონის ფენომენი (სისტოლური „წკიპურტი") და ტელესისტოლური შუილი. გადამწყვეტი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება ფონო-ექოკარდიოგრაფიულ გამოკვლევებს.. სინონიმები: ბარლოუს სინდრომი, რვიდ-ბარლოუს სინდრომი.

კლიმაქტერიული სინდრომი — პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც უკავშირდება ქალებს კლიმაქტერიულ პერიოდში. დამახასიათებელია ნერვულ-ფსიქიკური, ვეგეტატიურ-სისხლძარღვოვანი, ნივთიერებათა ცვლისა და ტროფიკული დარღვევები.

კლიპელის სინდრომი — პოლინევრიტის შერწყმა ღეიძლის დაზიანებასა და კორსაკოვის სინდრომთან. აღინიშნება ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს.

კლიპელ-ვეილის სიმპტომი — ჰემიპლეგიის დროს დაზიანებული მტევნის ბოლო ოთხი (მოხრილი) თითის პასიურად გაშლის საპასუხოდ აღინიშნება ცერის მოხრა ხელისგულისაკენ.

კლიპელ-თრელის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილი ანომალია. სახეზეა ხერხემლის კისრის ქვემო და გულ-მკერდის პირველი მალების შეხორცება, რაც იწვევს კისრის დამოკლებას და მოძრაობის შეფერხებას („უკისრო ადამიანი"). ხშირად თან სდევს განვითარების სხვა მანკები spina bifida, ფილტვის დამატებითი წილები, გონებრივი განუვითარებლობა.

კლიპელ-ტრენონეს სინდრომი — ოსტეოჰიპერტროფიული ვარიკოზული ნევუსი. ქვემო კიდურების ღრმა მაგისტრალური ვენების განვითარების ანომალია მათი გამოვლინების დარღვევით, რაც ვლინდება კიდურების ჰიპერტროფიით, კანქვეშა ვენების ვარიკოზული გაფართოებით და კანზე პიგმენტური ლაქებისა და ჰემანგიომების განვითარებით.

კლიპელ-ტრენონე-ვებერის სინდრომი — სისხლძარღვთა და ძვლების დიზემბრიოპლაზია. ოსტეოჰიპერტროფიული ვარიკოზული ნერვუსი. ჰიპერტროფიული ჰემანგიოექტაზია. დაავადების არსია დაზიანებული კიდურის მაგისტრალურ ვენაში სისხლდენის დარღვევა. ნიშნები: კანის ბრტყელი ცალმხრივი ანგიომები, იქვე რბილი ქსოვილის და ძვლების ჰიპერპლაზია, ტროფიკული წყლულები, კანქვეშა ქსოვილის შეშუპება, გულ-სისხლძარღვთა უმარისობა, კანზედა და კანქვეშა კალციფიკატები, ძვლების ქერქოვანი შრე გათხელებულია.

კლიპელ-ტრენონე-პარკ-ვებერის სინდრომი — არტერიულ-ვენური სისტემის ცალმხრივი თანდაყოლილი მანკი თავის ქალას მიდამოში, შერწყმული კიდურთა განვითარების მანკებთან. სისხლძარღვთა მხრივ უპირატესად აღინიშნება არტერიული, ვენური ან არტერიულ-ვენური ანევრიზმები თავის ქალას მიდამოში. ხშირია მისი შერწყმა კანის და შინაგან

ორგანოთა სისხლძარღვთა ანომალიებთან და თანდაყოლილ სიმახინჯეებთან. არტერიული ანევრიზმები, როგორც წესი, მრავლობითია.

კლიპელ-ფელდსტეინის სინდრომი — თავის ქალას მემკვიდრეობითი თანდაყოლილი დისპლაზია. ნიშნები: ძვლების ძლიერი გასქელება (განსაკუთრებით ლავიწების და თავის ქალასი), თავის ქალას ფორმა იქსი ან აკროცეფალია, შენელებულია ხელისა და ფეხის თითების სიგრძეში ზრდა, ხელის თითების მოძრაობები შეზღუდულია.

კლოაკის სინდრომი — „გვერდით-გვერდში" ქოლედოქოდუოდენოსტომიის ოპერაციის გართულება. ამ დროს ღვიძლის საერთო სადინრის ნაწილი ანასტომოზის დისტალური ხდება — „კლოაკის" მსგავსი და მასში შეიძლება დაგროვდეს ნაღველი, კენჭები, საკვები.

კლოდ ბერნარის სინდრომი ანუ ტრიადა — თვალის ნაპრალის გაფართოება (გამოწვეული ზედა ქუთუთოს რეტრაქციით), გუგის გაფართოება და სუსტი ეგზოფტალმი — წინააღმდეგ ჰორნერის სინდრომისა (იხ.), გვხვდება სიმფათიკური ნერვული სისტემის აგზნების დროს.

კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომი — თვალის გუგის შევიწროება, ქუთუთოს პტოზი, ენოფთალმი, დაზიანებულ მხარეს სახესა და კისერზე ოფლის გამოყოფა; ეს ძვრები გამოწვეულია სიმფატიკური ნერვული ღეროს კისრის ნაწილის დამბლით ან მასზე სიმსივნის და სხვათა ზეწოლით. სინონიმი: ჰორნერის სინდრომი.

კლოდ-გუეროს სინდრომი — ნაადრევი სიბერე შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ატროფიის გამო. ახასიათებს მშრალი, დანაოჭებული კანი, კბილების დაცვენა, სქესობრივი ფუნქციის მოშლა, ფიზიკური და ფსიქიკური სისუსტე. სინონიმი: გუეერო-კლოდის სინდრომი.

კლოზტონის სინდრომი — ხელისგულებისა და ფეხისგულების თანდაყოლილი ოჯახური კერატომის ნაირსახეობა. ახასიათებს ერთდროულად ჰიპერტრიქოზი და ფრჩხილების ცვლილება.

კლოიბერის სიმპტომი — ნაწლავების რენტგენოსკოპიის ან რენტგენოგრაფიისას ავადმყოფის ვერტიკალურ მდებარეობაში სითხის შემცველი ფიალებისმაგვარი ჩრდილების გამოვლინება. ნიშანია ნაწლავებს გაუვალობისა და უკავშირდება სითხისა და აირის დაგროვებას. იგივეა კლოიბერის ფიალები.

კლოკეს თიაქარი — ბარძაყის სავარცხლისებრი თიაქარი — ბარძაყის თიაქარი, რომელიც გადის სისხლძარღვოვან ლაკუნაზე.

კლოტცის სინდრომი — ენდოკრინული ანომალიების კომპლექსი ქალებში. შესაძლოა გადაცემის მემკვიდრეობითი ტიპი. ნიშნები: პირველადი ამენორეა, გენიტალიის განუვითარებლობა, მცირე სასირცხო ბაგეების აპლაზია, ჰიპოპლაზური საკვერცხეები ოვულაციის გარეშე, ეგრეთ წოდებული მონგოლოიდური სახე, ზოგჯერ ჰიპერტრიქოზი.

კლუმპკეს დამბლა — ვითარდება ბრაქიალური მხარის წნულის დამბლის დროს, ან ამ წნულის ინერვაციაში შემავალი კუნთების სრული დამბლა ანდა ე. წ. ზედა ან ქვედა დამბლა. ზედას ეწოდება ერბის დამბლა (იხ.), ქვედას კი კლუმპკესი, რომლის დროსაც ზიანდება კისრის მერვე და გულ-მკერდის პირველი ნერვი. იგი ვრცელდება ტენარისა და ჰიპოტენა-

რის კუნთებზე და მერე ძვალთაშუა კუნთებსა და წინამხრის ცალკეულ მომხრელებზე. ამას გარდა სიმფატიკური ბოჭკოების გულ-მკერდის პირველი ნერვის დაზიანების შედეგად აღინიშნება ჰორნერის სიმპტომკომპლექსი.

კლუსტონის დამბლა — პროგრესული ინფანტილური დამბლა. პროგრესული დამბლა, რომელსაც ახასიათებს ადრე ბავშვობაში დემენციის განვითარება, დამბლური კრუნჩხვები, მხედველობის ნერვის ატროფია და თანდაყოლილი ათაშანგის სხვა ნიშნები.

კლუტონის სახსრები — ჰიდრართროზი, აქტიური პროცესი მუხლის, უფრო იშვიათად იდაყვის სახსრებში გვიანი თანდაყოლილი ათაშანგის დროს. სახსართა პარკში გროვდება სითხე, რაც იწვევს მის გასქელებას, მოძრაობის შეზღუდვის გარეშე. ზოგჯერ თან სდევს პარენქიმული კერატიტი

კნაპ-კომროვერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ენზიმოპათიის კლინიკური გამოვლინება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: მიდრეკილება ალერგიისადმი, ანემია, ვეგეტატიური დისტონია, იმავეთად ფსიქოზი. დაქვეითებულია კინერენინაზის და მომატებულია ტრიფტოპანპიროლაზის აქტიობა. ამის გამო ორგანიზმში გროვდება კინურენინი, ჰიდროქსიკინურენინი და ქსანტურენის მჟავა. სიმპტომები, რაც მსგავსია ვიტამინ B_6 დეფიციტისა, აიხსნება ტრიფტოპანის ცვლას დარღვევით. სინონიმი: კომროვერის სინდრომი.

კნეიპის მეთოდით მკურნალობა — ამ მეთოდის ძირითადი პრინციპია გულ-სისხლძარღვთა დაავადებით ავადმყოფის აქტიურობა. ამაში შედის ყველა თერაპიული მეთოდის გამოყენება. ესენია მოძრაობითი თერაპია, ჰიდრო (არსებობს 100 ნაირსახეობა) და ფოტოთერაპია, დიეტოთერაპია, კურორტოთერაპია.

კნისხ სიმპტომი — ანიზოქორია დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს.

კნუდ-კრაბეს სინდრომი — კანის ნერვული ანგიომატოზი. დამახასიათებელია ტრიადა: ცალმხრივი ჰემანგიომა (მეხუთე ნერვის არეში), ჰომოლატერალური გაკირვა თავის ქალას შიგნითა მხარეს, ტვინში და ანგიომები. ნიშნები: ეპილეფსია, ჰემიპარეზი და ჰემიპლეგია, მხედველობის ველის შემცირება ერთ მხარეს. ფსიქიკური დარღვევები, თავის ქალას გაკირვა რენტგენოლოგიურად შიგნითა მხრიდან ანგიომების მხარეს.

კობის სინდრომი — ზურგის ტვინისა და კანის თანდაყოლილი ანგიომატოზი.

კობრახ თავის სიმპტომი — გამოვლინდება ექსკრეტორული უროგრაფიის დროს შარდსაწვეთის ბოლო ნაწილის ოვალური გაფართოების სახით. თავისი მოხაზულობით მოგვაგონებს კობრას თავს. შარდსაწვეთის აქალაზიის ნიშანი, ზოგჯერ აღინიშნება ურეთეროცელეს დროს.

კოგანის სინდრომი — ინტერსტიციული არასპეციფიკური კერატიტი შერწყმული აუდიოვესტიბულური აპარატის დაზიანებასთან. სინდრომი

შეიძლება მიმდინარეობდეს ასევე ანგიიტის ტიპით, კერძოდ, კვანძოვანი პერიარტერიიტის კლინიკით.

კოგოს სპონგიფორმული პუსტულები — პუსტულები, რომელიც წარმოიქმნება ეპიდერმისში დისტროფიული ცვლილებების შედეგად, დამახასიათებელია პოლიმორფულ-ბირთვიან-ლეიკოციტები დეგენერირებულ ეპიდერმოციტებში და მათ შორის.

კოდმანის სიმსივნე — ქონდრობლასტომა. გიგანტურუჯრედოვანი კეთილთვისებიანი ეპიფიზული სიმსივნე, ქონდრომატოზული ოსტეობლასტომა, ქონდრომატოზული ოსტეოკლასტომა, ქონდრობლასტოკლასტომა — გრძელი ლულოვანი ძვლების ეპიფიზების კეთილთვისებიანი სიმსივნე, ვითარდება ბავშვთა ასაკში და სიყმაწვილეში. დამახასიათებელია დიდი რაოდენობით მომრგვალო, პოლიგონალური და გიგანტური მრავალბირთვიანი უჯრედები. სიმსივნე განიცდის ოსიფიკაციას და გაჯირვას.

კოდიმენის პანიკულიტი — კანქვეშა ქსოვილის ფიბროზული ანთება.

კოზინს-დიურეს სინდრომი — აღინიშნება ისტერიის დროს და გამოიხატება ავადმყოფის მიერ საკუთარი თავის ფიზიკური დაზიანების მცდელობაში, რათა გამოიწვიოს ყურადღება და თანაგრძნობა.

კოიტელის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ფილტვის არტერიის პერიფერიული ტოტების მრავლობითი სტენოზები, სმენის დაქვეითება, თითების დისტალური ფალანგების დამოკლება, უურის ნიჟარებში, ცხვირის ხრტილებში, ტრაქეაში, საყლაპავსა და ნეკნებში გაკირული უბნები, მორეციდივე ბრონქიტი და ოტიტი.

კოკას პულსური სინჯი — კვებითი ალერგიის გასარჩევი სინჯი. ისაზღვრება მაჯის სიხშირე ჯამამდე და მის შემდეგ — სამჯერ ყოველ ნახევარ საათში. მაჯის აჩქარება 16-ით და მეტი დარტყმით მიუთითებს ალერგიულ რეაქციაზე.

კოკეინეს სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით, ხასიათდება ნივთიერებათა ცვლის მოშლით, ნანიზმით, მიკროცეფალიით და კახექსიით.

კოლერის დაავადება — ჰემოფილია, დაკავშირებული სისხლის შედედების მეათე ფაქტორის არარსებობასთან. კლინიკური სურათი ჰემოფილიის ჩვეულებრივი ვარიანტია. აქაც არის არააქტიური თრომბოკინაზა (თრომბოპლასტინოგენი) პლაზმაში, რასაც მიეყავართ თრომბოპლასტინის წარმოქმნის დაგვიანებისაკენ.

კოლეს სიმპტომი — თვალების ერთმანეთის მომდევნო, სწრაფი და თავისუფალი (ძალდაუტანებელი) დახუჭვისა და გახელისას, გარკვეული დროის გავლის მერე, ერთ-ერთი თვალი იწყებს გახელას უფრო სწრაფად და ფართოდ, რაც ნიშნეულ მხარეზე თვალისირგვლივი კუნთის მოშალული პერიფერიული დამბლის მომასწავებელია.

კოლე-ხიკარის სინდრომი — ქალას ფუძის მოტეხილობისას, თუ მოტეხილობის ხაზი გადის წვეტიან და დაფლეთილ ხვრელებს შორის, აღინიშნება თავის ტვინის მე-9, მე-10 წყვილი ნერვების დამბლა. ხშირად ვითარდება ფუძის მაინფილტრირებელი სიმსივნის დროსაც.

კოლეს-რაუშკოლბ-ტუმის სინდრომი — მოიცავს კანის კეროვან ატროფიას კისრისა და ტორსის მიდამოში, კანის ზოლისმაგვარ ატროფიას კიდურებზე, პიგმენტაციის დარღვევას და სისხლძარღვების გაგანიერებას. აღინიშნება ფრჩხილების და კბილების დისტროფიული ცვლილებები, მარჯვენა ხელის მეოთხე და მეხუთე თითების სინდაქტილია, მარცხენა ტერფზე კი არ არის დიდი თითი.

კოლიეს სიმპტომი — აღწერილია სოლისებრი ნაპრალის ძვლისაზრდელას გარდამავალი ანთების დროს. ხასიათდება თვალის მამოძრავებელი ნერვის დამბლით, ანესთეზიის სამწვერა ნერვის ზედა ტოტის საპროექციო არეში ან მისი ნევრალგიით. გვხვდება ინფექციური პროცესის გაერცელების დროს აღნიშნულ მიდამოზე ცსვირის დანამატი ღრუებიდან.

კოლინე-კაპლანის დაავადება — რევმატოიდული პნევმოკონიოზი, სილიკოართრიტი. ფილტვების სილიკოზის შერწყმა რევმატოიდულ ართრიტთან. დამახასიათებელია ფილტვებში რევმატოიდული კვანძების განვითარება. სინონიმი: კაპლანის დაავადება.

კოლკ-ფალსონის სიმპტომოკომპლექსი — გულისხმობს შარდის ბუშტის გაღიზიანებას და შარდვის გაძნელებას ან მის სრულ შეზღუდვას ქალებში. მიეხვია პერიურეთრალური ჯირკვლების ანთება. დიაგნოსტიკურად დიდმნიშვნელოვანია საშარდე ბუშტის ქვემოთ განლაგებული საშარდე გზის პიურია. ცისტოსკოპია საბოლოოდ ადასტურებს დიაგნოზს.

კოლკის სინდრომი — შარდის ბუშტის გაღიზიანება და შარდვის გაძნელება სრულ შეზღუდვამდე ქალებში. შედეგია შარდსადინრის უკანა ნაწილზე ჯირკვლოვანი წარმონაქმნის (მამაკაცებში ანომალიური წინამდებარე ჯირკვლის ზეწოლისა). სინდრომის განვითარების მიზეზად მიიჩნევენ აღნიშნული პერიურეთრალური ჯირკვლების ანთებას. ერთ-ერთი წამყვანი ნიშანია ურეთრალური წარმოშობის პიურია. სინონიმი: ფალსონის სინდრომი.

კოლმაიერ-დეგოს დაავადება — ავთვისებიანი ატროფიული პაპულოზი, რასაც საფუძვლად უდევს წვრილი და კუმ-ნაწლავის მსხვილი ვენების თრომბოზი. იწყება კანზე პაპულების განვითარებით, რომელთაც ახასიათებს ცენტრიდანული დანეკროზება, მერმე რამდენიმე კვირაში ან თვეში უეცრად ვითარდება მწვავე მუცლის კლინიკური სურათი ძლიერი ტკივილით ეპიგასტრიუმში, სისხლიანი პირღებინებით, ციებ-ცხელებით. გამოსავალი ლეტალურია. სინონიმი: დელორი-გრიკოს დაავადება, დეგოს დაავადება, გრიკო-დელორის დაავადება.

კოლორადოს ცხელება — ამერიკული მთის ტკიპის ცხელება, კოლორადოს ტკიპის ცხელება — მწვავე ინფექციური დაავადება, იწვევს არბოვირუსი. დამახასიათებელია მწვავე დაწყება, ორფაზიანი ცხელება, ტკივილი თვალებში, კანჭის კუნთებში, წელში, სინათლისადმი შიში, კანის ჰიპერესთეზია. დაყრვნებული გამოჯანმრთელება, შესაძლოა რეციდივები. ეპიდემიურია ჩრდილო ამერიკისათვის.

კომბალტის სინდრომი — ნევრალური კუნთოვანი ატროფიის დეგენერაციული მემკვიდრეობითი ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ადგილი აქვს კუნთების სიმეტრიულ პროგრესირებად ატ-

როფიას, ნერვული ბოჭკოების გასქელებას (რომელთა პალპირება ადვილად ხერხდება), კანქვეშა ტროფიკის და მგრძნობელობის დარღვევას კანზე მრავლადაა ხალები, კანქვეშა ნეიროფიბრომატოზი, გამოხატულია ენდროტროპიზმი, დადებითია რომბერგის ნიშანი (იხ.). შესაძლოა ატაქსია, ნისტაგმი, თვალის კუნთების დამბლა, ანიზოკორია. სინონიმები: დეეერინ-სოტის სინდრომი ანუ დაავადება, დეეერინის დაავადება.

კომბის სიმპტომი — წვრილი მოთეთრო აპულები ლოყის ლორწოვან გარსზე ქვედა მეორე მოლარული კბილების პირდაპირ. ჩნდება წითელათი დაავადების საწყის პერიოდში. იხ. სინონიმები: ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, კოპლიკ-ბელსკი-ფილატოვის ნიშანი, ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ფილატოვის ლაქები.

კომელის ხაზოვანი იქტიოზი — მემკვიდრეობითი ერითროდერმიის ნაირსახეობა. გადაეცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. დაავადება ვლინდება სიცოცხლის პირველ კვირეებში, კანის სხვადასხვა უბანში ჩნდება დიდი, ნათელი წითელი ლაქები — გეოგრაფიული რუკისმაგვარი კონტურებით, ტანზე იისფერი ან ყავისფერი ანაქერცლი, რომელიც ჰიპერკერატოზული ზონებისაგან შედგება, ხელისა და ფეხისგულების ჰიპერჰიდროზი. სინონიმი: რილეს ფიგურული წითელი კერატოზი, რილე-კომელის დაავადება, ანუ სინდრომი.

კომიტეტის დაავადება — ეწოდება გენერალიზებულ ეპილეფსიას. სახელწოდება დაკავშირებულია იმასთან, რომ ძველ რომში სენატის სხდომას წყვეტდნენ, თუ მის რომელიმე წევრს დაემართებოდა გულყრა, რადგან ეს მიაჩნდათ ღმერთების მინიშნებად სენატის უმართებულო მიმდინარეობის შესახებ. სინონიმები: ჰერკულესის დაავადება, ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, მთვარის დაავადება, დემონური დაავადება, ვარსკვლავური დაავადება.

კომოციო-კონტუზიური სინდრომი — თავის ტვინის ფუნქციის დარღვევა თავის ქალას ტრავმის შედეგად. გამოვლინდება ტვინის შერყევით გამოწვეული თავის ქალას საერთო ნევროლოგიური ნიშნებით, კეროვანი ნევროლოგიური სიმპტომებით, რაც დაკავშირებულია კონტუზირებულ კერებთან.

კომროვერის სინდრომი — სინონიმი: კნაპ-კომროვერის სინდრომი (იხ.).

კონდიტერთა დაავადება (მეშაქარლამეთა დაავადება) — კანდიდომიკოზური პარონიქია, კანდიდოზური პარონიქია, მიკოტიური პარონიქია, გამოწვეული პარაზიტული სოკო-თეთრი კანდიდათი. ახასიათებს სუსტად გამოსახული დაჩირქებადი პროცესი ფრჩხილების ბუდეში.

კონის სინდრომი — პირველადი ალდოსტერონიზმი თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრის სიმსივნის ან ჰიპერპლაზიის ნიადაგზე. პათოგენეზური მნიშვნელობა აქვს ნატრიუმის და წყლის შეკავებას, ჰიპოკალიემიას. ალდოსტერონის ჭარბი სეკრეციის გამო. კლინიკურ სურათში წამყვანია არტერიული ჰიპერტენზია, კუნთების სისუსტე, შესაძლოა ტეტანია. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება სუპრარენორენტგენოგრაფიას, ალდოსტერონის სისხლში და შარდში განსაზღვრას, სადიფერენცია-

ციო მნიშვნელობა აქვს რენინის კონცენტრაციის განსაზღვრას სისხლში, რომელიც ამ დროს მომატებული არ არის. სინონიმი: ლოუის-კონის სინდრომი.

კონის ფსევდოსინდრომი — კონის ეგზოგენური სინდრომი. გლიცერინის მქავით ქრონიკული მოწამვლის ნიშნები. ანამნეზში გლიცერინის მქავის შემცველი სასმელების ხანგრძლივი დროით მიღება, ქრონიკული ფაღარათი, კუნთების სისუსტე, ტეტანოიდური მოვლენები, არტერიული ჰიპოტენზია, პოლიურია, ჰიპერკალიურია, ჰიპერნატრიემია, ჰიპოკალიემია, სისხლის ალკალოზი. ჩვეულებრივ აღინიშნება ქრონიკულ ალკოჰოლიკებში.

კონკატის დაავადება — გაურკვეველი დაავადება — გაურკვეველი ეტიოლოგიის პოლისეროზიტი პროცესის ლოკალიზაციით პერიკარდიუმში, პლევრის ან მუცლის ღრუში. დამახასიათებელია მასიური პლევრო-პერიკარდიული შეხორცებების განვითარება.

კონოვალოვის სინდრომი, ანუ დაავადება. სინონიმი: კონოვალოვ-ვილსონის დაავადება (იხ.).

კონოვალოვის ჰეპატო-ცერებრული სინდრომი — სინონიმი: კონოვალოვ-ვილსონის დაავადება (იხ.).

კონოვალოვ-ვილსონის დაავადება — ჰეპატოცერებრული დისტროფია, ჰეპატოლენტიკულური დეგენერაცია, პროგრესირებადი ლენტიკულური დეგენერაცია — მემკვიდრეობითი დაავადება, შეპირობებული ცილისა და სპილენძის ცვლის დარღვევით. ახასიათებს ღვიძლის დაზიანება ციროზის განვითარებით და თავის ტვინის მეორადი დაზიანება (უპირატესად დისტროფიული პროცესები მუხუდოსებრ ბირთვებში). გამოვლინდება ექსტრაპირამიდული რიგიდობით და ფსიქიკის დარღვევით, ღვიძლის ფუნქციის მოშლის ფონზე. მემკვიდრეობის ტიპი: აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ვესტფალ-კონოვალოვის დაავადება, ვილსონ-კონოვალოვის დაავადება, კონოვალოვის სინდრომი.

კონო-კაუდალური სინდრომი — პერიფერიული დამბლები ქვედა კიდურებში დისტალურად, ასიმეტრიული, აქილევსის რეფლექსის მოსპობა — ორმხრივ და ძლიერი ტკივილით, შეიძლება სფინქტერთა ფუნქციის მოშლა ხშირად უროლოგიური გართულებებით. სინონიმი: რაშის კუდის სინდრომი.

კონრადის დაავადება — მოკალციფირე ქონდროდისტროფია — თანდაყოლილი დაავადება. ახასიათებს ქონდრისკაცობა. გამოწვეულია ახალშობილებში ძელების ხრტილოვანი ნაწილების ნეკრობიოზული კერებით, რაც შემდგომ სწრაფად ძვალდება. სინონიმი: კონრად-ჰუნერმანის სინდრომი.

კონრად-ჰუნერმანის სინდრომი — სინონიმი: კონრადის დაავადება (იხ.).

კონჩალოვსკის სიმპტომი — ლახტის სიმპტომი — მხარზე და წინამხარზე პეტექიების წარმოქმნა ხანმოკლე დროით, ლახტის ან სფიგმომანომეტრის რეზინის მანჟეტის დადების შემდეგ. აღინიშნება კაპილარებისა და ბრეკაპილარების მომატებული განვლადობის ან მსხვრევადობისას.

მაგალითად, გახანგრძლივებული სეპტიკური ენდოკარდიტის დროს. სინონიმები: კონჩალოვსკი-რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედე-სტეფანის სიმპტომი.

კონჩალოვსკი-რუმპელ-ლეედეს სიმპტომი — სინონიმი: რუმპელ-ლეედე-სტეფანის სიმპტომი, რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, კონჩალოვსკის სიმპტომი (იხ.).

კოპილოვის სიმპტომი — ქალას რენტგენოგრამაზე უკანა სოლისებრი მორჩის ცდომა, სილვიის წყალსადენში თავ-ზურგ-ტვინის სითხის მოძრაობის შეფერხების შედეგად განვითარებული ინტრაკრანიული ჰიპერტენზიის გამო.

კოპლიკ-ბელსკი-ფილატოვის ლაქები — წერილი მოთეთრო პაპულები ლოყის ლორწოვან გარსზე ქვედა მეორე მოლარის მოპირდაპირე მხარეს. წარმოიქმნება წითელათი დაავადების დასაწყისში. სინონიმები: ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ფილატოვის ლაქები.

კოპოკის კატარაქტა — ფხვნილისმაგვარი კატარაქტა, ფხვნილისმაგვარი ბირთვისებრი კატარაქტა, თანდაყოლილი, ჩვეულებრივ ორმხრივი, სტაციონარული კატარაქტა, დამახასიათებელია ბროლის ბირთვის ემბრიონული ბზეერისმაგვარი მოთეთრო შემღვრევა. სინონიმი: ფოგტის ფხვნილისებრი კატარაქტა.

კოპროლოგიური სინდრომი — ილეოცეკალური სინდრომი: ქაფიანი მასის გამოყოფა მცირე სუნით, დამუშავებული და დაუმუშავებელი უჯრედების დიდი რაოდენობით, სახამებლის მარცვლებით. ადგილი აქვს, მაგალითად, კრონის დაავადების დროს.

კოუენიკოვის ეპილეფსია ანუ სინდრომი — ეპილეფსიის მიოკლონიური ფორმაა, შედარებით იშვიათად გვხვდება. დამახასიათებელია მუდმივი ჰიპერკინეზი რომელიმე კუნთთა ჯგუფში, უფრო ხშირად ხელის კუნთებში. ამ ჰიპერკინეზიის გარდა /დროდადრო აღინიშნება დიდი ეპილეფსიური გულყრა.

კორანი-გროკო-რაუხფუსის სამკუთხედი — მოყრუების სამკუთხედი. სველი პლევრიტის ნიშანი. როცა ექსუდატის რაოდენობა საკმარისად დიდია, ჯანმრთელ მხარეზე აღინიშნება პერკუტორული ხმიანობის მოყრუება სწორკუთხა სამკუთხედის ფორმით. მისი საზღვრებია ხერხემალი, ჯანმრთელი ფილტვის ქვედა საზღვარი და მათი შემაერთებელი ხაზი. სინონიმები: რაუხფუსის სამკუთხედი, გროკო-რაუხფუსის სამკუთხედი.

კორანი-დე ლა კამპის სინდრომი — პერკუტორული ხმიანობის მოყრუება გულმკერდის მე-5—6 ნეკნების მიდამოში უკანა შუასაყარში არსებული ლიმფური კვანძების გადიდების დროს.

კორეის ჰემორაგიული ცხელება — ჰემორაგიული ნეფროზო-ნეფრიტი. ჰემორაგიული ცხელება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად მცირე სისხლძარღვთა და კაპილარების დაზიანება, განსაკუთრებით თირკმლების, შემდგომში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. სინონიმები: შორეულაღმოსავლეთის ჰემორაგიული ცხელება, ამიერკარპატის

ჰემორაგიული ცხელება, ურალის ჰემორაგიული ცხელება, ბაროსლავის ჰემორაგიული ცხელება.

კორვიზარის კომპლექსი — გულის თანდაყოლილი კომბინირებული მანკია, აღინიშნება ფილტვის არტერიის სტენოზი, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, აორტის დექსტროპოზიცია, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია. კლინიკური ნიშნები: ქოშინი, ციანოზი, დოლის ჩხირისებრი თითები, კატის კრუტუნი, უხეში სისტოლური შუილი მკერდის ძვლის შუაში. ელექტროკარდიოგრამაზე — მარჯვენაგრამა. სინონიმები: ფალოს დაავადება-ფალოს ტეტრადა.

კორვიზარის სამუშაო ქოშინი — ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას გულით ავადმყოფებში — წარმოიშვება ისევე, როგორც ჯანმრთელ ადამიანებში უწინარეს ვენური სისხლის მიდენით მარჯვენა გულში მომუშავე კუნთებიდან და სისხლის დეპოებიდან. ამის შედეგად ადგილი აქვს მცირე წრის სისხლძარღვთა სისხლსავსეობას.

კორვიზარის სახე — გულისმიერი სახე, დაღლილი, მოშვებული სახე, ნამძინარევი გამომეტყველებით, აკროციანოზი მკრთალ-მოყვითალო კანზე, მეწამული, ოდნავ წინწამოწეული ტუჩებით და მუდამ ნახევრად ღია პირით, რომლითაც ავადმყოფი თითქოს ჰაერს იკერს, ქუთუთოების წირპლიანია. დამახასიათებელია გულით ქრონიკულ მძიმე ავადმყოფთათვის.

კორვიზარის სიმპტომი — ექსუდაციური პერიკარდიტის, მიტრალური სტენოზის ან სამკარიანი სარქველის გამოხატული უკმარისობის შესაძლო ნიშანი: გულისა და მახვილისებრი მორჩის (წანაზარდის) გამოდრეკვა. სინონიმი: აუგენბრუგერის II სიმპტომი.

კორვიზარის სინდრომი — აორტის მაღლა მარჯვენამხრივი მდებარეობა, აღინიშნება ფალოს ტეტრალოგიის (იხ.) დროს.

კორიგენის მაჯა — იხ. სინონიმი: კორიგენის სიმპტომი III.

კორიგენის სიმპტომი I — აღინიშნება სპილენძით ქრონიკული მოწამვლის დროს: მოწითალო-იისფერი ხაზი კბილებზე, ღრძილებთან ახლოს.

კორიგენის სიმპტომი II — მუცლის ზედაპირის თვალით შესამჩნევი პულსაცია. შესაძლოა აღინიშნოს აორტის მუცლის ნაწილის ანევრიზმის დროს.

კორიგენის სიმპტომი III — მაღალი და სწრაფი პულსი, აღწერილია როგორც აორტის სარქველის უკმარისობის ნიშანი. შესაძლოა აღინიშნოს ასევე სხვა პათოლოგიების დროსაც. იგივეა კორიგენის მაჯა.

კორიგენის ტიპი აორტის სარქველის ნაკლოვანებისა — აორტის სარქველის უკმარისობა რევმატული ვალვულიტის (ძალზე იშვიათად ბაქტერიული ენდოკარდიტის) შედეგად. მანკს შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონდეს. სარქვლის მყარი ნაკლოვანება ხშირად შერწყმულია ხვრელის სტენოზთან. სინონიმი: ხოპე-კორიგენის ტიპი აორტის სარქველის ნაკლოვანებისა.

კორის დაავადება — მესამე ტიპის გლიკოგენოზი, ლიმეტდექსტრინოზი — გლიკოგენოზი, შეპირობებული ამილო — 1,6 გლუკოზიდაზის და (ანდა) გლიკოგენ განშტოებადი ფერმენტის კუნთებში და ღვიძლში ნაწი-

ლობრივი ან სრული აქტივობის დაკარგვით. ახასიათებს ჰეპატომეგალია, კუნთოვანი ჰიპოტონია, კუნთების ცალკეულ ჯგუფთა ჰიპერტროფია, გულის გამტარებლობისა და სისხლის მიმოქცეის დარღვევა. სინონიმი: ფარბისის დაავადება.

კორნეს ლოკალიზაციის კანონი — ფილტვების აეროგენული ინფექციის დროს ბრონქული ჯირკვლების ტუბერკულოზი, ნაწლავთა ჯორჯლის ჯირკვლების ტუბერკულოზი ნაწლავთა ინფექციის დროს .

კორნილიუსის სიმპტომი — კუნთოვანი ქსოვილის დაძაბულობისა და ელასტიკურობის ცვლილება ნორმალური გაღიზიანებისას (მაგალითად თითით დაჭერისას). ამ დროს ჩნდება იზოლირებული, დაძაბული მკვრივი სეგმენტი, იზოლირებულად კუმშვადი კუნთოვანი კონა. ეს შეკუმშული უბნები სიდიდით პურის მარცვლიდან ლობიოს ლებნის ოდენობისაა, მოძრავია, მისი ფორმა კი ცვალებადი, იგი გეხვედება მრგვალი ან მოგრძო. კუნთების ასეთი მდგომარეობა აღინიშნება დაავადების დროს, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეკუმშვის ფუნქციის დარღვევა.

კოროვნიკოვის დაავადება — სპლენოპათია სუბთრომბოციტოზით და გასტროენტერორაგიებით. გასტრო-ლიენური სინდრომის ვარიანტი. დამახასიათებელია მორეციდივე გასტრო-დუოდენული სისხლდენა, რაც ჰიპოქრომულ ანემიას იწვევს. ელენთა გადიდებულია და სისხლდენის შემდეგ მცირდება. საყლაპავისა და კუჭის ვენების ვარიკოზი არ არის.

კოროტკოვის მეთოდი — სინონიმი: კოროტკოვ-იანოვსკის მეთოდი (იხ.).

კოროტკოვის ტონები — მოკლე მკაფიო ტონები არტერიაზე — მისი არასრული გადაჭერის ადგილიდან დისტალურად. მოისმინება მაშინ, როცა დაბჭერ მანჟეტში წნევა არტერიაში არსებული სისტოლური და დიასტოლური წნევის მაჩვენებლებს შორისაა.

კოროტკოვ-იანოვსკის მეთოდი — არტერიული წნევის გაზომვის არაპირდაპირი მეთოდი. დამყარებულია კიდურზე დადებული რეზინის მანჟეტში ჰაერის წნევის თანდათანობით დაქვეითებაზე. მერე ხდება ამ დონის რეგისტრაცია და კოროტკოვის ტონების წარმოქმნისა და გაქრობის მომენტები. სინონიმი: კოროტკოვის მეთოდი.

კოროტნიკოვის დაავადება — ბანტის სინდრომის თრომბოციტოპენიით და საყლაპავიდან და კუჭიდან მასიური სისხლდენებით მიმდინარე ვარიანტია.

კორსაკოვის დიზნოია — დიზნოია, მწვავე დაბინდულობა — მწვავე ფსიქოზების საერთო დასახელება, რომლებიც მიმდინარეობს პოლიმორფული სიმპტომატიკით: სხვადასხვა შინაარსის ბოდვით, აფექტური და ფსიქომოტორული დარღვევებით. ამჟამად კორსაკოვის დიზნოიას მიაკუთვნებენ შეტევის მსგავს შიზოფრენიას.

კორსაკოვის სინდრომი — უახლესი მიმდინარე მოვლენების მიმართ მეხსიერების დარღვევა, მაშინ როცა მეხსიერება ძველის მიმართ შენახულია იხე, რომ დარღვეულია ორიენტაცია ადგილსა და დროზე. აღინიშნება თავის ტვინის ორგანული დაზიანებების, ინფექციური დაავადებებისა და ინტოქსიკაციური ფსიქოზების დროს.

კორსაკოვის ფსიქოზი — ალკოჰოლური დამბლა, პოლინევრიტული ფსიქოზი — ქრონიკული ალკოპოლური ენცეფალოპატიის ფორმა, გამოკლინდება კორსაკოვის სინდრომით (იხ.), რომელსაც თან ახლავს პოლინეურიტი, უფრო ხშირად ქვედა კიდურებზე.

კორტიკულ-ვისცერული სინდრომი — საერთო სახელწოდება იმ სინდრომებისა, რომლებიც ეხება ქერქქეშა ურთიერთკავშირებისა და შინაგან ორგანოთა ნეიროჰუმორული რეგულაციის დარღვევებს.

კოსიხ სიმპტომი — თავის რიტმული პულსური გადაგდება უკან. ზოგჯერ აღინიშნება სამკარიანი სარქველის უკმარისობის დროს მწოლიარე მდგომარეობაში. დამჯდარ მდგომარეობაში კი ეს ნიშანი შეიძლება გაქრეს.

კოსიოს სინდრომი — თანდაყოლილი პათოლოგია. ერთდროულად აღინიშნება ფილტვის არტერიის გაფართოება და წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი. მიეკუთვნება ლურჯი მანკების ჯგუფს.

კოსიო-განსალეს-ხაბატ-ბერკონსკ-ვედოიას სინდრომი — ტაქიკარდიის შეტევის შემდეგ ელექტროკარდიოგრაფიული სინდრომი. დამახასიათებელია T კბილის სწრაფი გასწორება (გაბრტყელება, უარყოფითი T, მისი გაფართოება), ORS კომპლექსი ასევე სწორდება სწრაფად, უშუალოდ ხანგრძლივი ტაქიკარდიის შემდეგ. აღინიშნება უფრო ხშირად პარკუჭოვანი, შედარებით იშვიათად პარკუჭზედა ტაქიკარდიის შემდეგ.

კოხ-მეიგსის სინდრომი — ამ დროს არის სითხის დაგროვება პერიტონეუმში, პლევრის დრუში და საკვერცხის ფიბრომა. ანალოგიური ნიშნები შეიძლება იყოს საკვერცხის სხვა ხასიათის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც. გვხვდება ძირითადად ხანშიშესულ ქალებში. საკვერცხის სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ სითხე პლევრის და მუცლის ღრუში ქრება. სინონიმები: დემონს-მეიგსის სინდრომი, დემონს-მეიგს-კოსმის სინდრომი, მეიგსის სინდრომი, ანუ ტრიადი.

კოსტელო-დენტის სინდრომი — ჰიპოჰიპერპარათირეოიდიზმი, ფსევდო-ფსევდო-ჰიპოპარათირეოიდიზმი. ახასიათებს ჰიპო და ჰიპერპარათირეოიდიზმის ნიშნების ერთდროული არსებობა. ესენია: გენერალიზებული ოსტეოპათია, ჰიპოკალციემია, ჰიპერფოსფატიემია, ჰიპოკალციურია, სისხლში ტუტე ფოსფატაზის დონის მომატება, ტეტანური კრუნჩხვები.

კოსტენის სინდრომი — პათოლოგიური ცვლილებები საფეთქლეკვედა ყბის სახსარში (ტკაცუნი), ხრაშუნი, გაძნელებული მოძრაობა, აღინიშნება სმენის დაქვეითება, ყრუ ტკივილი. ყურში, ირადირებული თავში, ენის ტკივილი და წვა, პირში სიმშრალე, თავბრუ და სამწვერა ნერვის ნევრალგია. აღინიშნება ღრმა თანკბილვის დროს და როცა ავადმყოფს აკლია ბევრი კბილი, კბილების მაგარი გარსების პათოლოგიური ხეხვისა და ზემონახსენები სახსრის მადეფორმირებელი ართროზის დროს.

კოსტის ვარიაბელური ერითროკერატოდერმია — ცვალებადი ფიგურული ერითროკერატოდერმია — წითელი ფიგურული კერატოზი, ვარიაბელური ერითროკერატოდერმია — მემკვიდრეობითი თანდაყოლილი ერითროკერატოდერმია. ახასიათებს სხვადასხვა ფორმის (ნახევრად რკა-

ლისებრი, ხაზობრივი, რგოლისებრი და სხვ.) მრავლობითი კერატოზას კერები ტანსა და კიდურებზე.

კოსტმანის სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. ხასიათდება ნეიტროფილური გრანულოციტების მომწიფების შეჩერებით პრომიელოციტების დონეზე. ვლინდება კანის, კანქვეშა ქსოვილის და ლორწოვანი გარსების მორეციდიკე ჩირქოვანი პროცესებით.

კოსტო-კლავიკულური სინდრომი — გამოიხატება ნეირო-ვასკულარულ დარღვევებში, შედეგად ღავიწის ძვლის ქვეშ განლაგებული და სისხლძარღვების დაზიანებისა. ხელის გულების პარესთეზია და ნევრალგია, ვენური სტაზი ხელში, თითების შეშუპება და ტროფიკის მოშლა. ღრმა ჩასუნთქვისას და ხელის ერთდროული ქვევით ჩამოწევისას სიმპტომატიკა მატულობს და ქრება პულსაცია სხივის არტერიაზე. უპირატესად აღენიშნებათ ხანში შესულებს ან მსუქან ახალგაზრდებს. სინონიმი: ფალკონე-ვედელის სინდრომი.

კოტარის ბოდვა — სახეობითი დეპრესიული ან ჰიპოქონდრული ფანტასტიკური შინაარსის ბოდვა, კაცობრიობის დაღუპვა, მსგავსი კატაკლიზმები და ა. შ., რომლებიც ვლინდება ერთდროულად ან ცალცალკე.

კოტარის მელანქოლიური ბოდვა — კოტარის ბოდვის ნაირსახეობა, რომელიც მოიცავს ფანტასტიკურ თვითბრალდებებს, პირადი უკვდავების, მუდმივი ტანჯვის, განწირულებისა და დაღუპვის იდეებს, რომელიც ვრცელდება თვით აეადმყოფზე, ზოგჯერ ირგელივ მყოფებზეც (ოჯახი, სახლი, ქალაქი, ქვეყანა, სამყარო).

კოტარის ჰიპოქონდრიული ბოდვა — ნიჰილისტური ბოდვა, ნიჰილისტური პარაფრენია — კოტარის ბოდვის (იხ.) ნაირსახეობა. შეიცავს იდეებს შინაგან ორგანოთა ნაწილობრივი ან სრული არარსებობის შესახებ, ასევე სხეულის ნაწილების, ფიზიკური „მეს" არსებობის უარყოფას.

კოტუის სიმპტომი — მუცლის წინა ზედაპირზე თეთრი ხაზის გასწვრივ არსებული ღარის და ჭიპის გადაწევა მუცლის ღრუში მიმდინარე მწვავე პათოლოგიური პროცესის მხარეს.

კოტუნიოს სინდრომი — საჭდომი ნერვის სხვადასხვა სახის დაზიანებების საერთო დასახელება.

კოულის სინდრომი — დერმულ მეზოდერმული დისპლაზია — შერწყმული კისრისა და ტანის კანის ლაქოვანი ატროფიის, კიდურთა კანის ხაზოვანი ატროფიის, პიგმენტაციის დარღვევის, ფრჩხილებისა და კბილების დისტროფიის, სელის მტევნის 4—5 თითების სინდაქტილიის, პირველი თითის და ტერფის პირველი ძვლის არარსებობასთან, უფრო ხშირად მარცხნივ. სინონიმი: რაუშკოლბ-ტუმის სინდრომი.

კოუპის სიმპტომი — ტკივილის აღმოცენება ილეოცეკალურ არეში, როდესაც გამოსაკვლევი პირი გაშლის მარჯვენა ბარძაყს მენჯ-ბარძაყის სახსარში. აპენდიციტის ნიშანი.

კოუტსის დაავადება — გარეთა ექსუდატიური ... ინიტი, უცნობი ეტიოლოგიის ცალმხრივი რეტინიტი. დამახასიათებ ... ექსუდატის არ-

სებობა ბადურის შრესა და სისხლძარღვოვან გარსს შორის. ადგილი აქვს ასევე სისხლჩაქცევებს ბადურის ზედაპირზე. აღენიშნებათ ბავშვებსა და მოზრდილებს.

კოლოს იაპონური ენცეფალიტი — ანუ იაპონური ენცეფალიტი, მწვავე ინფექციური დაავადება, კოლოს ვირუსული ჯგუფის ენცეფალიტებიდან. იწვევს ანტიგენური A ჯგუფის არბოვირუსი. ახასიათებს მაღალი ცხელება, ინტოქსიკაცია, გონების დაბინდვა, ფსიქიკური მოშლილობანი, ტვინის სხვადასხვა ნაწილის დაზიანების ნიშნები. გვხვდება აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

კოშუა-ეპინგერ-ფრუგონის სინდრომი — თრომბოფლებიტური სპლენომეგალია. კარის ვენის თრომბოფლებიტი, გამოვლინდება მორეციდივე ასციტით, პერიოდული გასტრო-დუოდენული სისხლდენით, ჰეპატოსპლენომეგალიით.

„კოცნის სიმპტომი" — ავადმყოფი (ბავშვი) ვერ სწვდება ბაგებით საკუთარ მუხლს. აღწერილია პოლიომიელიტის პრეპარალიზურ სტადიაში და ეკუთვნის დაჭიმვის სიმპტომებს. სინონიმი: ბრდღიკის სიმპტომი.

კოხანოვსკის სიმპტომი — დაზიანებული შუბლის წილის მხარეს ჩაძოშვებულია ქუთუთო, რომლის პასიურად მაღლა აწევის ცდისას გამოკვლევა აწყდება გარკვეულ წინააღმდეგობას .

კოხერის რეფლექსი — სათესლე ჯირკვლებზე დაწოლა იწვევს მუცლის კუნთების შეკუმშვას. ეკუთვნის ფიზიოლოგიური რეფლექსის ჯგუფს, სასიათდება არამუდმივობით.

კოხერის სიმპტომი I — მწვავე აპენდიციტის პირველ საათებში ტკივილი ეპიგასტრალურ მიდამოში.

კოხერის სიმპტომი II — თვალის კაკლის მოძრაობაში ჩამორჩენა ზედა ქუთუთოსაგან ზევით ახედვის დროს. ამის გამო ჩნდება სკლერის თეთრი ზოლი ზედა ქუთუთოსა და ფერადი გარსის კიდეს შორის. თირეოტოქსიკოზის ნიშანია.

კოხერ-დებრეს სინდრომი — ჰიპოთირეოზის და მიოპათიის თანდაყოლილი შერწყმა. ადგილი აქვს ზრდაში ჩამორჩენას, რეფლექსების დაქვეითებას, ჰიპოთერმიას, ბრადიკარდიას, ოფლის გამოყოფის შემცირებას, კანის სიმშრალეს, თხელ თმას, კუჭში შეკრულობას ოლიგოფრენიას, კიდურების კუნთების ჰიპერტროფიას და ჰიპერტონუსს. სინონიმები: დებრე-სემლენის სინდრომი, ჰოფმანის სინდრომი, მიქსედემატოზური ათლეტიზმი.

კოხინხინის დიარეა ანუ სტრონგილოიდოზი — ფართოდ არის გავრცელებული ცხელი და ნოტიო კლიმატის ქვეყნებში. გვხვდება ასევე ზომიერი ჰავის პირობებშიც, საბჭოთა კავშირში იშვიათია. მსუბუქი და საშაულო სიმძიმის ფორმები მიმდინარეობს მუცელში ტკივილით და ფაღარათით. მძიმე ინვაზიას ახასიათებს ბრონქოსპაზმი, ჭოშინი, ზოგჯერ სისხლის ამოხველება. დიაგნოზი ისმება ნახველსა და განავალში სტრონგილოიდეს სტერკორალის ჭუპრის აღმოჩენით.

კოხის ნეფროციროზი — თირკმლის ტუბერკულოზის ქრონიკული ფორმა. დამახასიათებელია სტრომის დიფუზური ინფილტრაცია ეპითე-

ლოიდური და ლიმფოიდური უჯრედებით, მაგრამ თან არ ახლავს ხორკლების კაზეოზის უბნები და კაევრნები. გვხვდება იშვიათად.

კოხ-უიკსის კონიუნქტივიტი — მწვავე ეპიდემიური კონიუნქტივიტი — თვალების ეგვიპტური ანთება. მწვავე კონიუნქტივიტი, გამოწვეული იმავე სახელობის ბაქტერიებით. დამახასიათებელია მაღალი კონტაგიოზურობა, დიდი რაოდენობით ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენი და სისხლჩაქცევები კონიუნქტივაში.

კრაბეს სინდრომი — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი, ნეიროიდული ამენცია, თანდაყოლილი ნეიროექტოდერმული დისპლაზია, ნეიროკუტანული სინდრომი, ნერვული სისტემის თანდაყოლილი ანგიომატოზი. გამოვლინდება ეპილეპტიფორმული გულყრებით და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დარღვევებით, გლაუკომით, სამწვერა ნერვის გასწვრივ სისხლძარღვოვანი ნევუსებით. სინონიმები: სტერჯ-ვებერის დაავადება, სტერჯ-ვებერ-კრაბეს სინდრომი, შტურგე-ვებერის დაავადება, ბრაშფილდ-უაეტის სინდრომი.

კრამერის სიმპტომი — პერკუტორული ხმის მოყრუება — პარაევერტებრალურ, გულ-მკერდის III—VII მალების მიდამოში უკანა შეასაყრის ლიმფური ჯირკვლების გადიდების გამო.

კრაუზეს სიმპტომი — თვალების გაძლიერებული ბრწყინვალება. თირეოტოქსიკოზის ნიშანი.

კრაუზეს სინდრომი — ოჯახური ენცეფალურ-ოფტალმოლოგიური დისპლაზია. მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ბადურის განვითარების ორმხრივი ანომალია, მიკროფტალმი, კატარაქტა, ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების ანომალიები (ენცეფალოცელე, მენინგოცელე, დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქისა და ნათხემის განუვითარებლობა და ა. შ.), მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: რიზის სინდრომი, რიზ-ბლოდის სინდრომი, კრაუზე-რიზის სინდრომი.

კრაუზე-რიზის სინდრომი — სინონიმები: რიზის სინდრომი, რიზ-ბლოდის სინდრომი, კრაუზეს სინდრომი.

კრაუპა-პოზნერ-შლოსმანის სინდრომი — თვალის კეთილთვისებიანი პაროსქიზმული ჰიპერტენზია, ციკლური გლაუკომა, გლაუკომურ-ციკლური კრიზების სინდრომი — დაავადება, შესაძლოა ალერგიული, რომელიც ვლინდება როგორც თვალშიდა წნევის ცალმხრივი მომატების განმეორებითი შეტევები. არათანხვედრილი შეგუებებითი გლაუკომის დროს გამოვლინდება არა მარტო მწვერვალის სიმაღლე, არამედ სხეულის ზედაპირზე შემოისაზღვრება მთლიანად მწვერვალის პერკუსიული პროექცია, რაც წარმოადგენს ნათელი ხმიანობის ფართო ზონას. მისი სიგანე უვიწროეს ნაწილში ნორმალურ პირობებში უდრის 4—5 სმ და ერთნაირია ორივე მწვერვალზე.

კრაშ-სინდრომი — თირკმლის მწვავე უკმარისობა კუნთოვანი ქსოვილის ვრცელი დაზიანებისას ხანგრძლივი ზეწოლისა და დაბეჭვის შედეგად. აღინიშნება ანურია, აზოტემია, არტერიული ჰიპერტენზია, შოკი, მეორადი ანემია, ლეიკოციტოზი, ჰიპერკალიემია. დიურეზის აღდგენისას

თავს იჩენს გამოხატული ალბუმინურია-კრეატინურია, ჰემოგლობინურია და მიოგლობინურია. ღვიძლში და თირკმლებში ჩნდება ნეკროზული კერები. სინონიმები: ბაიუოტერსის სინდრომი, ბლუმის სინდრომი, პაქსონის სინდრომი.

კრებეს დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება, აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით. ხასიათდება კუნთოვანი ქსოვილის გენერალიზებული განუვითარებლობით, რაც დაბადებისთანავე ელინდება ამიოტონიით, მოძრაობის ფუნქციათა ჩამოყალიბების ჩამორჩენით.

კრეიბიხის ნეიროდერმიტი — თეთრი ნეიროდერმიტი — შემოფარგლული ნეიროდერმიტი, რომლის ლიქენის ჩონჩხში აღინიშნება კანის პიგმენტური და სკლეროდერმისმაგვარი ცვლილებები.

კრეიზიგის სიმპტომი — მახვილისებრი მორჩის და მისი ირგვლივი არეს ჩადრეკა პარკუჭთა სისტოლისას. აღინიშნება პლეეროპერიკარდიალურ-დიაფრაგმულ მასიური შეხორცების დროს. იგივეა კრეისიგის სიმპტომი.

კრეინიგის ველი — ზოლად გავრცობილი გულ-მკერდის ზედაპირის არე, რომელიც იწყება ლავიწიდან, გადადის უკან, ტრაპეციულ კუნთზე, ბეჭის ქედამდე, განისაზღვრება პერკუსიით და მიიღება ფილტვის ხმოვნობა. შეეფარდება ფილტვების მწვერვალს, ამ მოვლენებთან და რქოვანას ენდოთელიუმზე პრეციპიტატების გამოჩენასთან. სინონიმი: პოზნერ-შლოსმანის სინდრომი.

კრეიტცფელდ-იაკობის დაავადება — ავადდებიან ის პირნი, რომელთაც ბავშვობაში ზრდის გასაძლიერებლად უკეთდებოდათ ადამიანის გვამიდან დამზადებული სომატოტროპული ჰორმონი (მის მოსამზადებლად საჭიროა ადამიანის 500—20 000 ჰიპოფიზი). დაავადების მიზეზია ინფიცირება სპეციფიკური ვირუსით. კლინიკურ სურათში სჭარბობს ნევროლოგიური ნიშნები: სისუსტე, კოორდინაციის დარღვევა, აპათია, ავადმყოფი კარგავს ლაპარაკის, მოძრაობის, საკვების მიღების უნარს. პროგნოზი — უიმედოა. მორფოლოგიურად ადგილი აქვს თავის ტვინის ჭარქის გენერალიზებულ ატროფიას. სინონიმი: იაკობ-კრეიტცფელდის დაავადება.

კრეიცფუჭსის ფენომენი I — გულ-მკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა მარჯვენა ირიბ პოზიციაში. გულისხმობს საყლაპავის წინა კედლის შედრეკას და მის ცდომას უკან და მარჯვნივ აორტის რკალის ზეწოლის გამო. აღინიშნება ნორმაში და მატულობს აორტის დასკლეროზების პარალელურად.

გრეიცფუჭსის ფენომენი II — ფილტვების პნევმატიზაციის დაქვეითებისას მისი მწვერვალების რენტგენოლოგიური ჩრდილი დახველების დროს არ ნათდება.

კრეპელინის დაავადება — პრესინილური ავთვისებიანი მელანქოლია. პრესინილური ავთვისებიანი დეპრესია — მოხუცთა და დღეგრძელთა ფსიქოზი, რაც გამოიხატება უწყვეტ აგზნებასა და განგაშში. მეტყველება — ურთიერთკავშირი დარღვეულია, გაუგებარი, დაბნეული. თანდათანობით ეითარდება კახექსია.

კრეჩმერის დიატეტიკური პროპორცია — დეპრესიული (ეგუნებო-

ბა, დანაღლიანება) და ჰიპომანიაკური (მხიარულება, სიცოცხლით სავსეობა) განწყობის ნიშნების შეხამება, რომლებიც ციკლოიდურ პირთა შორის გეხვდება.

კრეჩმერის სენსიტიური ურთიერთობის ბოდვა — ფსიქოგენურად გაპირობებული პარანოალური მანია ურთიერთობისა.

კრეჩმერის ტიპები — კრეჩმერის კლასიფიკაციით ადამიანის სხეულის აღნაგობა შეიძლება დაიყოს ასთენიურად, ათლეტურად და პიკნიკურად.

კრეჩმერის ჰიპობულიური მექანიზმები — ფსიქიკური და ფსიქომოტორული პროცესების საერთო სახელი, რაც მიმდინარეობს გაუცნობიერებლად (მაგალითად, მოძრაობითი აღტკინება, ისტერიული გულყრები და სხვ.).

კრიგლერ-ნაჟერის სინდრომი — არაჰემოლიზური მემკვიდრეობითი ჰიპერბილირუბინემია სიყვითლით. მიეკუთვნება ენზიმოპათიებს და პირობადებულია ფერმენტ გლუკურონილტრასფერაზის დეფექტით ღვიძლის უჯრედებში. ამის გამო ირღვევა არაპირდაპირი (თავისუფალი) ბილირუბინის გადაყვანა ბილირუბინ დიგლუკურონიდში (პირდაპირი ბილირუბინი). მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სიყვითლე, რაც გამოწვეულია სისხლში არაპირდაპირი ბილირუბინის მომატებით, ნერვული სისტემის დაზიანება (კრუნჩხვები, კუნთების ტონუსის მომატება, ანორექსია, ჰიპერრეფლექსია).

კრისტმანის დაავადება — „ჰემოფილია „B"; აღინიშნება მეცხრე ფაქტორის დეფიციტი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ავადდებიან ვაჟები. დაავადება ავადმყოფ პირთაგან გადაეცემა ქალიშვილებს, რომელნიც დაავადების კონდუქტორნი არიან.

კრისტ-სმენსის სინდრომი — ანჰიდროზული თანდაყოლილი ეგზოდერმული დისპლაზია. მრავალფორმული იდიოპათიკური კერატოზი. საფეხლე ჯირკვლების და კბილების სრული ან ნაწილობრივი თანდაყოლილი არსებობა შერწყმული ჰიპოტრიქოზთან, ცხვირის ძვლების დეფორმაციასთან, ქვეილიტთან და კანის მოლურჯო ელფერთან. სინონიმი: სმენსის სინდრომი.

კრისჩენის სინდრომი — ქოლესტერინის მემკვიდრეობითი გრანულომატოზურ ტეტაურისმოზი, აღინიშნება ჩონჩხის ცვლილებები: თავის ქალას, ბარძაყის ძვლებში და ხერხემალში განლევის კერების გაჩენით. ეგზოფტალმი, უშაქრო დიაბეტი, სიმსუქნე, ზრდაში ჩამორჩენა, ღვიძლის და ელენთის გადიდება, იშვიათად სიყვითლე, ცვლილებები კანზე — ქსანტომა. პაპულოზური ეგზანთემა, პურპურა, სისხლდენა ღრძილებიდან, კბილების დაცვენა, ინფანტილიზმი. სისხლში ჭარბადაა ქოლესტერინი. მიჭდინარეობა ხანგრძლივია. სინონიმები: ჰენდ-შიულერ-კრისჩენის სინდრომი, შიულერ-კრისჩენის სინდრომი.

კრისჩენ-შიულერის დაავადება — ლიპოიდური გრანულომატოზი, ლიპეგრანულომატოზი — ჰისტოციტების ჯგუფის დაავადება. ახასიათებს ძვლებში, კანზე, ლიმფურ კვანძებში, ძვლის ტვინში, შინაგან ორგანოებში პროლიფერაციული უჯრედების კერების წარმოშობა (უპირატესად მაკ-

როფაგების), რომელთა ციტოპლაზმაში მნიშვნელოვნადაა მომატებული ლიპიდების შემადგენლობა. კლინიკურად გამოვლინდება უშაქრო დიაბეტი, ეგზოფთალმით, ძვლების დესტრუქციის კერებით (უპირატესად თავის ქალაში). სინონიმები: ჰენდის ჰისტოციტოზი, ჰენდ-შულერ-კრისჩენის დაავადება.

კრიტჩლის სინდრომი — რეფლექსური ეპილეფსიის ერთ-ერთი სახეობა. ეპილეფსოგენური ფაქტორია სმენითი გამღიზიანებელი — მელოდია ან ბგერები, რომლებიც იწვევს აფექტურ-ემოციურ მდგომარეობას და რთულ ნეიროჰუმორულ ცვლილებებთან ერთად აურის, მცირე გულყრისა და დიდი ეპილეფსიური გულყრის წარმოქმნას.

კრიუველიე (ანუ კრუველიე)-ბაუმგარტენის დაავადება — თანდაყოლილია შეუხორცებელი ჰიპის ვენა, პორტული ვენური სისტემის ჰიპოპლაზია და ღვიძლის ატროფია ციროზის გარეშე. კლინიკური ნიშნები მსგავსია კრიუველიე-ბაუმგარტენის სინდრომისა.

კრიუველიე-ბაუმგარტენის სინდრომი — ანუ კრიუველიე ბაუმგარტენის ციროზი. პორტული ჰიპერტენზია, ჩვეულებრივ, ღვიძლის ციროზის დროს, გამოხატული უმბილიკალური ცირკულაციით. ჰიპის ირგვლივ იოგში გადის ძლიერი ვენა, რომელიც ხშირად გაფართოებულია, პარაუმბილიკალური ვენა კი იშვიათად. შენარჩუნებულია ჰიპის ვენა. ჰიპის ირგვლივ აღინიშნება „მედუზის თავი", რომელზეც მოისმინება ვენური შუილი.

კრიუველიეს დაავადება — წყლულოვანი დაავადება — ქრონიკული მორეციდივე დაავადება, რომლის დროსაც სეკრეტორულ-ტროფიკული პროცესის დარღვევისა და მოშლის გამო გასტროდუოდენალურ ზონაში, კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში წარმოიქმნება წყლული (ან რამდენიმე წყლული).

კრიუკოვ-ზაუერბრუხის სიმპტომი — აღინიშნება ღვიძლის ან დიაფრაგმის ქვეშ აბსცესის დროს: ტკივილი IX—XI ნეკნებზე ზეწოლისას, რომელიც ძლიერდება ჩირქგროვის პროექციის მიდამოში.

კრიუშეს დაავადება — ლეთარგიული ენცეფალიტი: ეპიდემიური ენცეფალიტი. იწვევს ფილტვში გამავალი ნეიროტროპული ვირუსი: ცენტრალური ნერვული სისტემის რუხი ნივთიერების ანთებაა. ამ მხრივ ძირითადი ცვლილებები ხდება შუა ტვინსა და მეზენცეფალიუმში. კლინიკურად განარჩევენ: ლეთარგიულ ფორმას თვალის ნერვების დამბლით, ჰიპერკინეტულს და ამიოსტატიკო-აკინეტიკურ ფორმას. დაავადების ქრონიკული მიმდინარეობისას არჩევენ: პარკინსონიზმს და ფსიქიკურ დარღვევებს. ბავშვებსა და მოზრდილებში სახეზეა ნევროლოგიური სიმპტომები, ნარკოლეფსია, უნებლიე მოძრაობები და მიასთენია პარკინსონიზმის გარეშე. სინონიმი: ეკონომოს დაავადება.

კრიჩტონ-ბრაუნის სიმპტომი — თვალის ნაპრალის გარეთა კუთხეების და ქუთუთოების კანკალი პროგრესული დამბლის ადრეულ სტადიაში.

კროკე-აპერტ-გალაის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, დაკავშირებული ჰიპოფიზის ადრენოკორტიკოტროპულ ფუნქციის მატების გარეშე განვითარებულ ჰიპერკორტიზოლიზმთან. საფუძვლად უდევს თარ-

მელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრის სიმსივნური პროცესები ან სხვა ორგანოების ადრენოკორტიკოტროპინმაგვარ ნივთიერებათა მაკროდუცირებელი სიმსივნეები. კლინიკურად ხასიათდება სიმსუქნით, სახეზე და ტორსში ცხიმის უპირატესი დაგროვებით, მთვარისებური სახით, კანის რუხი ციანოზური ფერით, ჰიპერტრიქოზით, მოწითალო-იისფერი სტრიებით ბარძაყების, მუცლის, მენჯის, სარძევე ჯირკვლების და მხრების მიდამოში, არტერიული ჰიპერტენზიით, ჰიპერგლიკემიით, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებით, ოსტეოპოროზით, ნეფროლითიაზით. სინონიმები: იცენკო-კუშინგის, აპერტ-გალაის სინდრომი, აშარ-ტიერის სინდრომი (იხ.).

კროკენ-ადამსონის ლიქენი — ეკლისებური (შიპოიდური) ლიქენი, ფოლიკულური შიპოიდური ლიქენი, შიპოიდური კერატოზი, შიპოიდური ლიქენი, რომლის დროსაც წითელი პაპულების თხელი რქოვანი ეკლები განლაგებულია უპირატესად კისერზე და ხელის გამშლელ ზედაპირზე.

კროკენ-მიკულიჩ-კუმელის სინდრომი — ექსფოლიატური ქეილიტი. ეტიოლოგია უცნობია. ქრონიკული ანთება ძირითადად აღინიშნება ქვედა ტუჩზე, სიმშრალით, შეშუპებით, დამსკდარი კანით. ჭამისას ყოველივე ძლიერ ტკივილს იწვევს. ძირითადად ავადდებიან შუა ხნის მამაკაცები. შესაძლოა ტუჩის ეპითელიომის განვითარება.

კროლის სიმპტომი — ფეხის გათმიანების კეროვანი . მომატება ან აღპეცია საჯდომი ნერვის ინერვაციის უბნებში. აღინიშნება გაეა-წველის რადიკულიტის დროს.

კრონის დაავადება — გრანულომატოზური დაავადება, ეტიოლოგია უცნობია. დამახასიათებელია საშვლის მომნელებელი ტრაქტის რომელიმე უბნის შემოფარგლული ანთება (ყველაზე ხშირად თეძოს ნაწლავის ბოლო ნაწილისა), მთელი ნაწლავის კედლის გრანულომატოზური ცვლილებებით, ლორწოვანი გარსის დაწყლულებით და ნაწლავის სანათურის დავიწროებით მის სრულ ობტურაციამდე.

კრონის სპონდილიტი — ანკილოზებული სპონდილიტი კრონის დაავადების დროს (იხ.), შესაძლოა კავშირი ფსორიაზიოზთან და ფსორიაზულ ართრიტთან.

კრონკჰაიტ-კანადას სინდრომი — კუჭ-ნაწლავის პოლიპოზის შეუღლება კანის პიგმენტაციასა, ალოპეციასა და ონქოდისტროფიასთან. მიეკუთვნება თანდაყოლილ ანომალიათა რიცხვს (აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით).

კროსტი-ჯანოტის დაავადება — ანუ სინდრომი, კიდურების ერუპტიული რეტიკულოენდოთელიოზი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელსაც ახასიათებს ვარდისფერი ან წითელი პაპულოზური გამონაყარი, მწვავე განვითარება. ლოკალიზდება კიდურებზე და დუნდულებზე: აღინიშნება პოლიადენიტი და სუბფებრილიტეტი. უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში.

კრუზინო-ერბის სინდრომი — სიფილისური პროგრესირებადი გარდიგარდმო დამბლა. ხასიათდება ნელი პროგრესირებადი სპასტიკური სინდრომით, მგრძნობელობის მოშლით.

კრუზონის სინდრომი — თაეის ქალა-სახის მემკვიდრეობითი დიზოსტოზი, რომელიც ხასიათდება თაეის ქალას ძვლების განუვითარებლობის გამო მისი ნაკერების ნაადრევად დახურვით, შერწყმულია ჰიპერტელორიზმთან, ეგზოფტალმთან, სიელმესთან, მხედველობის მოშლასთან, ცხვირის ნისკარტისებრ ფორმასთან („თუთიყუშის ნისკარტი").

კრუზონის ფსევდოსიმპტომი — მემკვიდრეობითი კრანიალური დიზოსტოზი სახის ძვლების ცვლილებების გარეშე. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. არაიშვიათად აღინიშნება სმენის დაქვეითება, მხედველობის ნერვების ატროფია, აკრომიკრია, კლინოდაქტილია, მაღალი სასა.

კრუკენბერგის მეტასტაზი, ანუ სიმსივნე — ეწოდება საკვერცხეების მეტასტაზურ კიბოს, რომელიც შეადგენს ამ ორგანოს ყველა ავთვისებიანი სიმსივნის 20%-ს. პირველადი კერა ჩვეულებრივ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოებში გვხვდება.

კრუკენბერგის სიმპტომი — რქოვანას ენდოთელიუმზე პიგმენტის მტევრისებრი დალაგება ბზრიალას ან ხაზების სახით. აღინიშნება დისტროფიული და ქრონიკული პროცესების დროს თვალის კაკლის სისხლძარღვოვან გარსში პიგმენტური გლაუკომისას.

კრუშეს სიმპტომი — ხახისა და ხორხის ნისტაგმი. რბილი სასისა და ხორხის ბილატერალური სიმეტრიული მიოკლონიები. აღინიშნება ნერვული სისტემის დაავადებების დროს (ნათხემის სიმსივნე, ცერებროსპინული მენინგიტი, გაფანტული სკლეროზი და სხვ.). სინონიმები: გრუშეს მიორიტმია, ფუა-შავინ-ჰილემანის სინდრომი, კუპერ-სპინსერის ნისტაგმი.

კხილაგას დაავადება — წითელი ბრტყელი ლიქენის ატროფიული ან სკლეროტიული ფორმა. ეტიოლოგია უცნობია. წარმოადგენს დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულს. სხეულის ზედა ნაწილში, ზედა კიდურებზე, სასქესო ორგანოებისა და ანუსის მიდამოებში არის ერთეული ან შეჯგუფული პატარა, ბრტყელი, ფაიფურისებრი თეთრი კვანძები, ზოგჯერ მწვერვალის ჩაღრმავებებით. უფრო გვიან პერიოდში ამ ადგილებში რჩება წვრილი ატროფიული მშიდროდ დანაწიბურებული მცირე კერები. სინონიმები: ჰალოპოს სიმპტომოკომპლექსი, ცუმბუშის სიმპტომოკომპლექსი.

კუგელბერგ-ველანდერის დაავადება — კუნთების ფსევდომიოპათიური ატროფია, კუნთების იუვენილური პროგრესირებადი სპინალური ატროფია. ქრონიკულად მიმდინარე მემკვიდრეობითი პროქსიმალური კუნთოვანი ატროფია. გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური და რეცესიული ტიპით. დაკავშირებულია ზურგის ტვინის წინა რქების მოტონეირონების დაზიანებასთან მათი ატროფიითურთ, რაც ვლინდება ბავშვობაში ან მომწიფების პერიოდში ჯერ მხარის და ბარძაყის, ხოლო შემდეგ წინამხრის და წვივის კუნთების ატროფიით, სისუსტით და ფიბრილური შეკუმშვით, შესაძლოა განვითარდეს წინამხრის და წვივის კუნთების ფსევდოჰიპერტროფია. აღინიშნება ჰიპერკრეატინურია. სინონიმები: ველანდერის სინდრომი, ეოლფარტ-კუგელბერგ-ველანდერის სინდრომი.

კუგელ-სტოლოფის სინდრომი — ოჯახური იდიოპათიკური კარდიომიოპათია. გულის თანდაყოლილი იდიოპათიკური ჰიპერტროფია. მემკ-

ვიდრეობითი კარდიომიოპათია, შესაძლოა გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ჭოშინი, წყეტილი სუნთქვა, არამუდმივი მსუბუქი ციანოზი, პაროქსიზმული ტაქიკარდია, არამყარი სისტოლური შუილი. რენტგენოლოგიურად — გული გადიდებულია ყველა საზღვარში, მწვერვალი მომრგვალებულია, შეგუბება ფილტვებში. ეკგ — დაბალი ვოლტაჟი, ბრტყელი ან უარყოფითი T კბილი, PQ ინტერვალი გახანგრძლივებულია.

კუთხური ხვეულის სინდრომი — თითის აგნოზიის შეთავსება აგრაფიასა და აკალკულიასთან, სხეულის მარცხენა და მარჯვენა ნახევრის გარჩევის დარღვევასთან. განპირობებულია დიდი ტვინის დომინანტური ნახევარსფეროს ქერქის დაზიანებით თხემისა და კეფის შუა ხვეულების მიდამოში. სინონიმი: გერსტმანის სინდრომი.

კუილარიხ სიმპტომი — ენის დვრილების გაწითლება და შესივება. აღინიშნება ასკარიდოზის დროს.

კუიმოვიხ რეფლექსი — თვალის კაკალზე ხელის დაჭერისას მტკივნეული რეაქცია. მენინგიტის ნიშანი.

კუკოვეროვ-ხიროტინინის სიმპტომი — აორტის შიგნითა გარსის ათერომატოზის დროს აორტაზე მოისმინება სისტოლური შუილი, რომელიც მარჯვენა ხელის აწევისას ძლიერდება, აორტის გამკრივების სარწმუნო ნიშანია.

კულენის სიმპტომი — ლურჯი-მოიისფრო ლაქები ჰიპის ირგვლივ მწვავე პანკრეატიტის დროს (უფრო ხშირად პანკრეონეკროზისას).

კულენკამპფ-ტარნოვის სინდრომი — პაროქსიზმული ჰიპერკინეზია, დაკავშირებული ნეიროლეპტიკურ საშუალებათა გადაჭარბებული დოზით მიღებასთან. ცნაურდება პირის გაღების ან ენის გამოყოფის იმპერატიული სურვილით, მიმიკური ჰიპერტონუსით, კრუნჩხვით, ჰიპერსალივაციით, ჰიპერრეფლექსიითა და ოპისტოტონუსით. ადგილი აქვს ტაქი-ან ბრადიპნოეს, ტაქიკარდიას.

კულის დაავადება — დიდი თალასემია. იშვიათი დაავადებაა, გვხვდება ბავშვთა შორის, ძირითადად ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. დამახასიათებელია დაბალი ტანი, სიფერმკრთალე, პიგმენტაცია თვალების ირგვლივ, თავის ნაწილის საზღვართან და მტევნების შიგნითა ზედაპირზე; აღინიშნება ოსტეოპოროზი, ელენთის და ღვიძლის მკვეთრი გადიდება, ჰემოლიზური ანემია ერითრობლასტემიით, მიკროციტოზით, რეტიკულოციტოზით, ლეიკოციტოზით, აგრეთვე ჰიპერბილირუბინემია, მიმდინარეობა ქრონიკულია, პროგნოზი ცუდი.

კული-რანდლე-ფოლსის ანემია — ფსევდოთალასემია. ეტიოლოგია უცნობია. დამახასიათებელია ჰიპოქრომიული ტიპის ანემია; თუმცა ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა ნორმის ფარგლებშია. ფეტალური ჰემოგლობინი მომატებული არ არის. გენი გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპით და მისი სრული გამომჟღავნება მხოლოდ მაჩრობით სქესში ხდება. ქალები გენის გადამტანები არიან. სხვადასხვა ორგანოში ხდება რკინის დალექვა, განსაკუთრებით ღვიძლში. მკურნალობა

სიმპტომატურია. სპლენექტომია შედეგს არ იძლევა. პროგნოზი არაკეთილსაიმედოა.

კუმბსის შუილი — პროტოდიასტოლური შუილი, რომელიც პერიოდულად მოისმინება გულის მიტრალური სარქვლის მოსასმენ წერტილზე. წააგავს მიტრალური სტენოზის დროს არსებულ შუილს, მაგრამ ნაკლებად ინტენსიურია. აღმოცენდება მარცხენა წინაგულის გამოხატული დილატაციის ან მარცხენა ატრიოვენტრიკულური ხვრელის შედარებითი შევიწროვების შედეგად.

კუმერ-ლოზის სინდრომი — თანდაყოლილი პაქიონიქია. კანისა და სტომატოლოგიური სიმპტომების მემკვიდრეობითი კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ხელისგულების, ფეხისგულებისა და აკილევსის მყესის მიდამოს ფოლიკულური ჰიპერკერატოზი, პაქიონიქია, ლოყების ლეიკოკერატოზი, ჰიპერჰიდროზი, კერატიტი.

კუნდრატის დაავადება — ლიმფოსარკომის გენერალიზებული ფორმა. ხასიათდება ლიმფური კვანძების მრავლობითი დაზიანებით, რასაც შემდგომ თან სდევს პროცესში ღვიძლის და ელენთის ჩათრევა. სინონიმი: შტერნბერგის დაავადება.

კუნკელის სინდრომი — ქრონიკული მგლურას პირველადი ჰეპატიტის ნაირსახეობა. დაავადება იწყება პუბერტატულ პერიოდში და ვლინდება მოთენთილობით, გარდამავალი სიყვითლით, სუბფებრილიტეტით, ართრალგიით, ტელეანგიექტაზიით. სისხლში აღინიშნება ჰიპერპროტეინემია, ჰიპერგამაგლობულინემია, ჰიპერბილირუბინემია. მოგვიანებით გამოიხატება ღვიძლის ციროზის სიმპტომატიკა, პორტული ჰიპერტენზიით. პათომორფოლოგიურად ადგილი აქვს ნეკროზულ ჰეპატიტს ქრონიკული ანთებითი, უპირატესად პლაზმურუჯრედოვანი ინფილტრაციით. სინონიმები: ბირნ-კუნკელის სინდრომი, ბირნ-კუნკელ-სლატერის სინდრომი.

კუნტ-იუნიუსის დაავადება — ბადურის დისკოიდური დეგენერაცია, ყვითელი ლაქას ბადროსებრი დეგენერაცია — ბადურის მეორადი დეგენერაცია ათეროსკლეროზის ან ყვითელ ლაქას მიდამოში სისხლჩაქცევის შედეგად. ოფტალმოსკოპიურად აღინიშნება ცენტრში მდებარე სხეულში გამოსული მორუხო-მოთეთრო ფერის მომრგვალო კერა, მხედველობის ნერვის დისკი (ბადრო) რამდენიმე მილიმეტრის ზომისაა.

კუნძულ მელედას დაავადება ანუ მელედას კერატოზი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც მეღავნდება ხელისა და ფეხის გულების ჰიპერკერატოზით (ხშირად პროცესი ვრცელდება წინამხარსა და ტერფზე) და პერიოდულად გამოვლინებული ერითემით სხეულის სხვადასხვა უბანზე. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

კუპერის დაავადება I — მასტოდინია, მასტალგია — ტკივილი სარძევე ჯირკვლის მიდამოში. აღინიშნება ახალგაზრდა ქალებში ნევროზის დროს, მენსტრუაციის წინ, გოგონებში — პუბერტატულ ასაკში.

კუპერის დაავადება II — ორქიალგია, დაძაბულობისა და ტკივილის გრძნობა სათესლე ჯირკვალში, მის დანამატში და სათესლე ბაგირაკში, მიუხედავად იმისა, იქ ადგილი არ ჰქონია ანთებად პროცესს და არც ტრავმას.

კუპერის ღიაჭარი — საზარდულის თანდაყოლილი ბრიბი თიაქარი, პარკი, რომელიც შედგება ერთმანეთში ჩახვეული ორი კამერისაგან.

კუპერის ნიშანი — ავადმყოფი ამოსუნთქვის შემდეგ უფრო ადვილად და ხანგრძლივად აჩერებს სუნთქვას, ვიდრე ღრმა ჩასუნთქვისას. აღინიშნება ექსუდაციური და ადგეზიური პერიკარდიტის დროს.

კუპერ-ხაენსერის ნისტაგმი — სინონიმები: ფუა-შავინ-ჰილემანის სინდრომი, კრუშეს მიორიტმია, კრუშეს სიმპტომი (იხ.).

კურდღლის ცხელება — ანუ დაავადება — იწვევს ტულარენსის ბაქტერია, რომლის რეზერვუარი ძუძუმწოვრებია (განსაკუთრებით კურდღელი), გადამტანები კი სხვადასხვა ფეხსახსრიანები. ადამიანზე გადატანა ხდება დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტით, სასუნთქი გზებით. კლინიკური ფორმებია: ბუბონური, თვალ-ბუბონური, ანგიოზური, აბდომინური და ფილტვისმიერი. პრაქტიკულად დიაგნოზისათვის მნიშვნელოვანია სეროლოგიური და კანშიდა რეაქციები. სინონიმები: ფრენსისის დაავადება, პერინოს დაავადება, ჩერის დაავადება.

კურვაზიეს სიმპტომი — სიყვითლე და დიდი ნაღვლის ბუშტი უმტკივნეულო დაჭიმული კედლებით. ყალიბდება საერთო სანაღვლე სადინარის გადაკეტვისას — უპირატესად კუჭუკანა ჯირკვლის თავის ან თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილის მიდამოს სიმსივნის დროს. სინონიმი: კურვაზიე-ტერიეს ნიშანი.

კურვაზიეს სინდრომი ← პაწკრეასულ-ბილიარული სინდრომი. პანკრეასის კიბოს ნიშნების (ტკივილი ეპიგასტრიუმში, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და სხვ.) შეუღლება სანაღვლე გზების სადინრების ზეწოლასთან, სიყვითლე, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გადიდება და სხვ. შეპირობებულია სიმსივნის ლოკალიზაციით ფატერის დვრილთან (იხ.). სინონიმები: კურვაზიე-ტერიეს სინდრომი, ბარ-პიკის სინდრომი, პიკის სინდრომი.

კურვაზიე-ტერიეს სინდრომი — სინონიმები: კურვაზიეს სინდრომი (იხ.), ბარ-პიკის სინდრომი, პიკის სინდრომი.

კურთ-ოლენდორფის სინდრომი — შავი აკანტონიზის კეთილთვისებიანი ნაირსახეობა. გვხვდება სიმსუქნით შეპყრობილ ქალებში. აკანტოზისთვის დამახასიათებელია კანის ცვლილებები, ლოკალიზდება იღლიის ქვეშა ფოსოებში, საზარდულის და კისრის მიდამოში, ვარაუდობენ ენდოკრინულ ეტიოლოგიას.

კურლინგის წყლული — კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის მწვავე ტროფიკული წყლული, განვითარებული სხეულის ზედაპირის ვრცელი სიდამწვრის ნიადაგზე.

კურმან-ბატენ-შტეინერტის დაავადება — მიოტონური დისტონია. დაავადება ატარებს მემკვიდრეობით ოჯახურ ხასიათს და ხასიათდება ამიოტონური, მიოტონური და ენდოკრინული სიმპტომკომპლექსით. ბეტროფიულია სახის, მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი, წვივის მცირე კუნთები, წინამხრის და მტევნის ექსტენზორები. აღინიშნება ბრადიკარდია, ჰიპოტონია, გულის გაფართოება, პირველი ტონის გაორება, სისტოლური შუილი მწვერვალზე სასქესო ჯირკვლების ატროფია, ნაადრევი კატარაქტა,

თმების გაცვენა, კახექსია, ძირითადი ცვლის დაქვეითება. ფსიქიკური განუვითარებლობა, ინტელექტუალურ-ეთიკური ჩამორჩენილობით, აფექტურობა. ეტიოპათოგენეზი გაურკვეველია. სინონიმი: შტეინერტ-ბატენის დაავადება.

კურტუსის სინდრომი — გულ-სისხლძარღვთა ნეიროზი აღმოცენებული სასქესო ჯირკვლების ჰიპოფუნქციის ნიადაგზე. დამახასიათებელია სისხლძარღვოვანი სიმპტომები, კიდურის გაცივება და დაბუჟება, აკროციანოზი, მარმარილოსებური კანი, გულის წასვლა, თავის ტკივილი, სტენოკარდია, საკვერცხეების ჰიპოფუნქცია — ამენორეა, დისმენორეა, ჰიპერმენორეა, ნაადრევი ან მოგვიანებითი სქესობრივი მომწიფება, ჰიპოგენიტალიზმი, ყაბზობა და ფსიქიკური ლაბილობა.

კურტუას სიმპტომი — კომის მდგომარეობაში თავის წინ დახრისას ადგილი აქვს პათოლოგიური კერის მხარეზე ფეხის მოხრას მენჯ-ბარძაყის და წვივის სახსრებში.

კურშმანის ნიშანი — ხორხის გადაწეული მდებარეობა. მიზეზია ტრაქეის გადაწევა გამოწვეული ანევრიზმით. გარდა ანევრიზმისა მისი გადაწევა შეიძლება გამოიწვიოს შუასაყარის სხვა პათოლოგიურმა პროცესებმა, პირველ რიგში სიმსივნეებმა.

კურშმანის სპირალი — მოთეთრო-გამჭვირვალე დაკლაკნილი მაყუთულისებრი მიკროსკოპიული წარმოქმნება ნახველში. აღინიშნება ბრონქული ასთმის შეტევის შემდეგ. ყალიბდება ბრონქიოლებში მუცინისაგან.

კურციუსის სინდრომი I — განვითარების ანომალია: სახის ნახევრის ჰიპერტროფია (უპირატესად ზედა ყბის), დისპლაზია და კბილების ადვილად დაცვენა, სახეზე ნევუსების არსებობა, ენების გაფართოება ფეხებზე, სინდაქტილია, კანის დისტროფია, ჰიპოგენიტალიზმი, ინტელექტის დარღვევა.

კურციუსის სინდრომი II — გულ-სისხლძარღვთა ნეიროზი აღმოცენებული სასქესო ჯირკვლების ჰიპოფუნქციის ნიადაგზე. დამახასიათებელია სისხლძარღვოვანი სიმპტომები, კიდურის გაცივება და დაბუჟება, აკროციანოზი, მარმარილოსებრი კანი, გულყრები, თავის ტკივილი, სტენოკარდია, საკვერცხეების ჰიპოფუნქცია-ამენორეა, დისმენორეა, ჰიპერმენორეა, ნაადრევი ან მოგვიანებითი სქესობრივი მომწიფება. ჰიპოგენიტალიზმი. ყაბზობა და ფსიქიკური ლაბილობა.

კუსკოკვიმის დაავადება ანუ სინდრომი — სახსრების მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სახსრების მრავლობითი კონტრაქტურა — უპირატესად იდაყვებისა და მუხლების კუნთების შესაბამისი ჯგუფების ატროფიითა და ჰიპერტროფიით.

კუსმაულის დაავადება, ანუ სინდრომი — კვანძოვანი პერიარტერიიტი. კვანძოვანი პოლიარტერიიტი, ნოდოზური არტერიიტი. მწვავე დაავადება. მისი არსია არტერიის, იშვიათად ვენის, უპირატესად გარეთა და შუა გარსის კეროვანი ანთება. კლინიკური სურათი მრავალფეროვანია და დამოკიდებულია პროცესის ლოკალიზაციასა და გავრცელებაზე. სიმპტომებია: პოლინევრიტი, მიოზიტი, ნევრიტი, კუჭ-ნაწლავისა და თირკმე-

ლების მხრივი დარღვევები, ოფლიანობა, სიფერმკრთალე, სისუსტე, სუბფებრილიტეტი, პატარა კვანძები სისხლძარღვთა გაყოლებით, ხეიტროფილური ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია. დაავადება განეკუთვნება კოლოგენოზების ჯგუფს. ხშირია 30—40 წლის ასაკის მამაკაცებში. პროგნოზი მძიმეა. სინონიმები: ჰოლცნეხტ-იაკობსონის სინდრომი, ფერანდ-ტალბოტის დაავადება, კუსმაულ-მეიერის დაავადება.

კუსმაულის ნიშანი IV — მუცლის ფარის პერიოდული გამობერვა მარჯვენა ფერდქვეშა არეში მახვილისებურ მორჩთან. აღინიშნება პილორუსის შევიწროების დროს. გამოწვეულია კუჭის გაძლიერებული ჰერისტალტიკით. სინონიმი: ბუვრიეს ნიშანი II.

კუსმაულის პარადოქსული პულსი — ექსუდატიური და შეხორცებითი პერიკარდიტის დროს შესაძლოა მაჯის ცვლილება სუნთქვასთან დაკავშირებით. კერძოდ, შესუნთქვის დროს აღინიშნება მაჯაზე პულსის შემცირება ან მისი სრული გაქრობაც კი. იგივეა კუსმაულის III სიმპტომი.

კუსმაულის სიმპტომი I — პილორუსის სტენოზის შესაძლო ნიშანი გამხდარ ავადმყოფებში: მუცლის ზედაპირზე დაკვირვებისას ჩანს კუჭის პერისტალტიკა. სინონიმი: ბუკერეს სიმპტომი II.

კუსმაულის სიმპტომი II — საუღლე ვენების ავსების გაძლიერება ჩასუნთქვისას. აღინიშნება ექსუდატური პერიკარდიტის ან ზემომედიასტინური სინდრომის დროს.

კუსმალის სუნთქვა — ძლიერი სუნთქვა, პათოლოგიური სუნთქვა, რომელიც ხასიათდება ერთგვაროვანი, ღრმა სუნთქვითი ციკლით, ღრმა და ხმაურიანი შესუნთქვით და გაძლიერებული ამოსუნთქვით. აღნიშნებათ ცნობიერებადარღვეულ ავადმყოფებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგალითად, დიაბეტური კომა.

კუსმაულის ქვემწვავე წინა პოლიომიელიტი — ქვემწვავე პროგრესირებადი პოლიომიელიტი, გამოწვეულია ზურგის ტვინის დაზიანებით, პათოლოგიური პროცესის შემდგომი გავრცელებით თავის ტვინის ღეროზე. გამოვლინდება ატროფიული დამბლების განვითარებით. სინონიმი: დიუშენის დაავადება.

კუსმაულ-მეიერის დაავადება — სინონიმები: კუსმაულის დაავადება (იხ.), ფერანდ-ტალბოტის დაავადება (ანუ სიმპტომოკომპლექსი), ჰოლცკნეხტ-იაკობსონის დაავადება.

კუფსის გვიანი ფორმა ამავროზული იდიოტიის ანუ დაავადება — ძირითადი ნიშნებია პლასტიკური ტიპის კუნთოვანი ტონუსის მომატება, შებოჭილობა, კრუნჩხვითი შეტევები, პიროვნების შეცვლა ენცეფალოპათიური სინდრომის ტიპით. ვითარდება უფრო ხშირად ახალგაზრდა ასაკში. დაავადების ხანგრძლივობა 10—15 წელი.

კუფს-სეიტელბერგერის სინდრომი — ტეი-საქსის სინდრომის (იხ.) მოზრდილთა ფორმა. გენის გადაცემა ხდება როგორც აუტოსომურ-რეცესიული, ასევე დომინანტური ტიპით. დამახასიათებელია ნევროლოგიური სიმპტომატიკა. ლიპიდების დაგროვება უპირატესად ხდება სისხლის უჯრედებსა და ქერქქვეშა ბირთვებში. მკურნალობის ეფექტური

საშუალება არ არსებობს. პათოლოგიური პროცესი უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს, ვიდრე ტეი-საქსის (იხ.) სინდრომისა და მისი პირველი ფორმის დროს (ბატენ-მეიო-ვოგტ-შპილმაიერის იუვენილურ ახალგაზრდული ფორმა).

კუშინგის დაავადება — ჰიპოფიზული ბაზოფილიზმი. დაავადება გამოწვეულია ჰიპოფიზის ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის ჭარბი გამოყოფით. გამოვლინდება ჰიპერკორტიციზმის მოვლენებით (სიმსუქნე, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის გადანაწილებით). დამახასიათებელია მატრონიზმი, კანის ტროფიკული დარღვევა, არტერიული ჰიპერტენზია, ქალებში ამენორეა, კაცებში სქესობრივი აქტის სისუსტე, გლუკოზისადმი ტოლერანტობის დაქვეითება, ოსტეოპოროზი და ა. შ. სინონიმი: იცენკო-კუშინგის დაავადება.

კუშინგის ეზოფაგიტი — მწვავე ეზოფაგიტი, რაც შესაძლოა განვითარდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიადაგზე, მაგალითად, თავის ქალას და ტვინის ტრავმის შემდეგ.

კუშინგის სინდრომი — ავადმყოფის გარეგნობის შეცვლის (სიმსუქნე, უპირატესად მუცლისა და კისრის უკანა არეში ცხიმის დაგროვებით, მთვარისებრი სახე, ჰირსუტიზმი, ატროფიული ზოდების არსებობა კანზე (შერწყმა არტერიულ ჰიპერტენზიასთან, ოსტეოპოროზთან, კუნთების სისუსტესთან, ქალებში მენსტრუალური ციკლის დარღვევასთან. აღინიშნება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰიპერფუნქციის, ხშირად ჰორმონულ-აქტიური სიმსივნის არსებობისას). ადრენოკორტიკოტროპული და კორტიკოსტეროიდული პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობისას. სინონიმი: იცენკო-კუშინგის სინდრომი.

კუშინგის ფენომენი — არტერიული წნევის მომატება თავის ქალას შიდა ჰიპერტენზიის შედეგად.

კუშინგის წყლული — ზოგიერთი დაავადების დროს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ძალზე ხშირად გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია წყლული თავის ტვინის ტრავმისა და მასზე ოპერაციის შემდეგ.

ლაბეს სინდრომი — ფეოქრომოციტომით ავადმყოფებში სისხლის წნევის ინტერმიტირებული მომატება.

ლადერ-შელდონის სინდრომი — თირკმლის მილაკების რეაბსორბციის ფუნქციის მემკვდრეობითი დარღვევა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ჰიპერამინოაციდურია, გლიკოზურია, ჰიპერფოსფატურია, არამკაფიოდ გამოხატული რაქიტი და ძვლების სხვა ანომალიები.

ლადის სინდრომი — მიეკუთვნება განვითარების ანომალიათა რიცხვს. ადგილი აქვს წვრილი ნაწლავის გადაგრეხას თორმეტგოჯა ნაწლავზე ზეწოლით და ატიპიურად განლაგებულ ბრმა ნაწლავის დამაფიქსირებელ პერიტონეალურ ზონრებთან შერწყმას. კლინიკურად ვლინდება ნაწლავთა მაღალი გაუვალობის ნიშნებით.

ლადინგტონის სიმპტომი — მხრის ორთავა კუნთი არ იკუმშება, რო-

ცა ავადმყოფი აწევება თხემს ხელისგულებით. აღინიშნება კუნთის ან მისი მყესის გაწყდომის დროს.

ლაენეკის ბრონქიტი — იშვიათი სნეულება, რომლის დროსაც ძლიერ ხველებას მოსდევს დიდი რაოდენობის ნახველი, რომელიც წააგავს სეროზულ სითხეს, მაგრამ ღარიბია ცილით. ნახველის გამოყოფა ზოგჯერ ხანგამოშვებით ხდება და მას უერთდება ქოშინი, რაც ბრონქული ასთმის მსგავს სურათს იძლევა.

ლაენეკის „მეტალისებური ხმიანობა" — ტიმპანიტი მრავალი მაღალი ობერტონით და ფილტვებში ზედაპირულად განლაგებულ, მკვრივ, სადა და ოდნავ დაჭიმულ კედლებთან დიდი ღრუების პროექციაზე.

ლაენეკის მშრალი ბრონქიტი — დამახასიათებელია მცირე ნახველი, რომელიც ძალზე ბლანტია და წებოვანია, თანაც ძნელად ამოსახველებელი. სხვა კლინიკური ნიშნები ჩვეულებრივი ბრონქიტისაა.

ლაენეკის ღვიძლის ციროზი — წარმოადგენს ღვიძლის პორტული ციროზის ატროფიულ სტადიას. დამახასიათებელია ღვიძლის დაპატარავება, მისი კიდე პალპაციისას მკვრივი და ბასრია, ზედაპირი სადა, თან ახლავს ელენთის გადიდება, ასციტი, კოლატერული ქსელის განვითარება, სისხლდენა საყლაპავის, კუჭის და სწორი ნაწლავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან. სიყვითლეს ადგილი არა აქვს. ეტიოპათოგენეზურ წამყვან მომენტად მიჩნეულია ალკოჰოლის ჭარბი და სისტემატური მიღება. სინონიმი: მორგანი-ლაენეკის ციროზი.

ლაენეკის ხიხინი — კრეპიტაცია კრუპოზული პნევმონიის დასაწყისში. უკავშირდება ალვეოლების გაშლის გაძნელებას მათ შიდა ზედაპირზე არსებული ფიბრინის თხელი ფენის გამო.

ლავიწქვეშა სიმპტომი — მაჯის არარსებობა ზედა კიდურზე. ლავიწქვეშა არტერიის ოკლუზიის ნიშანი მისი ძირითადი ტოტების გამოსვლის დისტალურად.

ლავრის სინდრომი — პაროქსიზმული მიოპლეგია. მემკვიდრეობითი პაროქსიზმული დამბლების სიმპტომები. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური, იშვიათად რეცესიული. დაავადება ვლინდება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, იშვიათად ბავშვებში. ნიშნები: კიდურთა შეტევითი დუნე დამბლები, რაც გრძელდება საათები ან იცვლება, რეფლექსები ქრება, კუნთის ელექტრული აგზნება იკარგება, შეტევის დროს ჰიპოტენზია, ეკგ-ზე T_{II} და T_{III} კბილები უარყოფითია, ოფლიანობა, შიმშილის გრძნობა, ღებინება, შეკრულობა ან ფაღარათი, ოლიგიურია, ჰიპოკალიემია. შეტევებს შორის რემისიები გრძელდება თვეებისა ან წლების მანძილზე. დაავადება ძირითადად გვხვდება იაპონიაში, უპირატესად მამაკაცებში. პროგნოზი კარგი.

ლაიელის სინდრომი — ეპიდერმული ტოქსიკური ნეკროლიზი, ტოქსიკოალერგიული დერმატოზი ინფექციურ ან მედიკამენტოზური ბუნებისა. ხასიათდება მოულოდნელი სწრაფი ნეკროზით კანისა და ლორწოვანი გარსის ზედაპირული შრეებისა, რის შედეგადაც ერითემის ფონზე წარმოიშობა დიდი ბუშტუკები, რომლებიც სწრაფად იხსნება და რასაც თან სდევს საერთო მძიმე ინტოქსიკაციის მოვლენები.

ლაიმის ართრიტი — ართრიტი მიგრირებული ერითემით — ართრიტი მერწყმული მცირე — მიგრირებული ერითემასთან. პირველად აღწერილია 1976 წელს აშშ კონექტიკუტის შტატის ქალაქ ლაიმში. დაავადებას აქვს ინფექციური ხასიათი, იწვევს სპიროქეტა, გადამცემია ტკიპა.

ლაიმის დაავადება — სპიროქეტული ინფექციაა, იწვევს სპიროქეტი ბორელია ბურგდორფერი, გადამცემია ტკიპა და სხვა მწერები. დაავადება განიხილება როგორც პოლისისტემური პათოლოგია. კლინიკური ნიშნებია: მცოცავი ერითემა, ტკივილი ძვლებსა და კუნთებში, ნევროლოგიური სიმპტომები, ართროპათია, კარდიალური პათოლოგია. მიმდინარეობა ქრონიკული.

ლაინერ-შპილერის დაავადება — კანის დისემინირებული მილიარული ტუბერკულოზი. უვითარდებათ ბავშვებს ინფექციური დაავადების ან საერთოდ დისემინირებული ტუბერკულოზის დროს. წითელი ან მოწითალო-წაბლისფერ-წვრილი პაპულების პარალელურად ჩნდება ლაქები (ბაცილარული ემბოლიები კანის წვრილ სისხლძარღვებში). გამონაყარი ფარავს სახეს, ტანსა და კიდურებს.

ლაიტვუდის სინდრომი — ლაიტვუდ-ოლბრაიტის სინდრომის ვარიანტი (იხ.), განვითარებულია თირკმლის მილაკების პროქსიმალური ნაწილის ბიკარბონატების ანიონთა რეაბსორბციის უუნარობით. გვხვდება უპირატესად ბავშვებში.

ლაიტვუდ-ოლბრაიტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ჰიპოპარათირეოზის ფორმა, გადაცემა ატოსომურ-რეცესიული ტიპით. ვლინდება პოლიურიით, მძიმე მოგვიანებითი რაქიტით, ძვლების გამრუდებით და სპონტანური მოტეხილობებით, დიფუზური ოსტეოპოროზით, ნეფროკალცინოზით, ნეფროლითიაზით და მეავა-ტუბოვანი წონასწორობის დარღვევით. მიმდინარეობა ჩვილ ბავშვთა ასაკში შედარებით იოლია, ხოლო მოზრდილებში და ზრდადასრულებში — მძიმე. არჩევენ სინდრომის ორ ფორმას: ლაიტვუდის სინდრომს (იხ.) და ბატლერ-ლაიტვუდ-ოლბრაიტის სინდრომს (იხ.).

ლაკი-ლორანდის დაავადება — მემკვიდრეობითი ჰემორაგიული დიათეზი, გამოწვეული ფიბრინის წარმოქმნის დარღვევით სისხლის შედედების XIII ფაქტორის დეფიციტის ნიადაგზე. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული გზით.

ლამბერგის ფრამბეზიფორმული დერმატიტი — ქრონიკული პუსტულოზური დერმატიტი, ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია, ქრონიკული სტაფილოკოკური პიოდერმია — ახასიათებს თავის თმიან ნაწილებში, სახესა და ტანზე პუსტულები ჩირქოვანი გამონადენით. მათ ირგვლივ აღინიშნება დერმის არათანაბარი პაპილომატოზური ზრდა. სინონიმები: პალოპოს ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია, სეზარ-მორიაკის ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია.

ლამბერტ-იტონის ტიპი მიახეენიური სინდრომის — დამახასიათებელია მოძრაობითი დარღვევების ტიპიური ლოკალიზაცია, მყესთა რეფლექსების დაკნინება, დადებითი რეაქცია გუანიდინის შეყვანაზე. შესაძლებელია ამ სინდრომის შეუღლება ფილტვის კიბოსთან და ნათხემის ატროფიასთან.

ლამბლინგის სინდრომი — პოსტგასტროექტომიური სინდრომი, რაც

წარმოადგენს გასტროექტომიის მოგვიანებით გართულებას და საყლაპავიდან საკვების უშუალოდ ნაწლავში გადასვლის შედეგია. ამ დროს ირღვევა საკვების მონელების პროცესი. ვლინდება ძლიერი და სწრაფი სიგამხდრით, დიარეით, შეშუპებით, ანემიით, ჰიპოპროტეინემიით.

ლამერის სინდრომი — ფოლიკულური კერატოზის ნაირსახეობა. თავის თმიანი ნაწილის გაქაჩლება ფოლიკულური კერატოზის გამო, ერთდროულად თან ახლავს წამწამებისა და წარბების დაცვენა.

ლამეს დაავადება — გვხვდება ახალგაზრდა ქალებში. ვლინდება ძლიერი შეკრულობით, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლით, ორთოსტატიკური ჰიპოტონიით, დიზურიით და გინეკოლოგიური დარღვევებით. ესენია: ამენორეა, გალაქტორეა, უშვილობა, მეორადი სასქესო ნიშნების დაკარგვა, საკვერცხეების პოლიკისტოზი.

ლამი-მაროტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ქონდროზის — ტროფიული დიზოსტოზის ნაირსახეობა, ე. წ. დისტროფიული ქონდრისკაცობა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: დისპროპორციული ჯუჯა სიმაღლე, კიდურთა პროქსიმული ნაწილების უპირატესი დამოკლებით, ტერფის ანომალიები, იზოდაქტილია; თორაკალური სკოლიოზი, სასის გაპობა. სინონიმი: ლამის სინდრომი, მუკოპოლისაქარიდოზი VI.

ლანგერ-გიდიონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიათა კომპლექსი: გონებრივი განუვითარებლობა, მიკროცეფალია, მრავლობითი ექზოსტოზები, დანაოჭებული კანი, სიხსრებში მოძრაობის მომატება, ზემო სასუნთქი გზების ინფექციისადმი მომატებული მიდრეკილება.

ლანგის პერიფოლიკულური დერმატიტი — ფსევდოსკროფულოდერმა, ბურთისებრი აკნე, ფოლიკულური დერმატიტი, ღრმა პიოდერმიის ნაირსახეობა, თან სდევს კომედოონების წარმოშობა, რაც იწვევს ცხიმოვანი ჯირკვლების, კანისა და დაჩირქებადი ათერომების დახშობას. გახსნის მერე ჩნდება ფისტულები. შეხორცება წარიმართება არასწორი, ხიდისებრი ნაწიბურების წარმოშობით. ბურთისებრი აკნეს ეხვდებით სებორეის დროს, გართულებულს მეორადი პიოკოკური ინფექციით.

ლანგდონ-დაუნის სინდრომი — მიეკუთვნება მემკვიდრეობით პათოლოგიათა რიცხვს. პათოგენეზში მნიშვნელობა ენიჭება ენდოკრინულ ფაქტორებსაც. დამახასიათებელია მონგოლოიდური სახე. მონგოლური ნაოჭი, ირიბი, ვიწრო თვალების ჭრილი, ეპიკანტუსი, ბრტყელი სახე, მსხვილი, ბრტყელი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, პატარა ყურები, ჩუჩისებრი ენა, ჩამორჩენილობა ზრდაში, გონებრივი ჩამორჩენილობა, სადა ხელისგულები, სინონიმი: დაუნის სინდრომი ან დაავადება.

ლანგის აკნე — ოქროსფერი სტაფილოკოკით ან სტრეპტოსტაფილოკოკით, თავის კანის თმიანი ნაწილის ჩირქოვანი პერიფოლიკულური ანთება. ინფექციების გარდა მნიშვნელობა აქვს ჰიპოვიტამინოზს, განსაკუთრებით — „დ"-ვიტამინის და აგრეთვე სტაფილოკოკებისადმი ალერგიას. კლინიკურად ძალიან ჰგავს შეერთებულ ფლეგმონოზურ აკნეს გამონაყარს. პერიფოლიკულური პათოლოგიური ელემენტები (ხორკლები) იშლება, წარმოშობს ჩირქგროვებს ფისტულებით. უფრო ხშირად ლოკალიზდება

კეფის არეში, კისრის უკანა მხარეს, იშვიათად უკან, გასაველის არეში და ბარძაყებზე. სინონიმი: ჰოფმან-ლუკასეიჩის სინდრომი.

ლანგის ატროფიული ფოლიკულური კერატოზი — კერატოზი ფოლიკულური, ლოკალიზებული თავის თმიან ნაწილში, რომელსაც ალოპეციამდე მივყავართ. სინონიმი: სტარსბერგის ფოლიკულური მადეკალვირებელი კერატოდერმიტი.

ლანდრის ალმავალი დამბლა, ანუ სინდრომი — ხასიათდება განსაკუთრებით სწრაფი მიმდინარეობით. პროცესი იწყება კიდურების რბილი დამბლით, შემდეგ გადადის ხელებზე, ბოლოს აღწევს თავის ტვინის ბულბურ ნაწილს და რამდენიმე დღეში მთავრდება სიკვდილით სუნთქვის დამბლისა და გულის მუშაობის მოშლის გამო. ლანდრის აღმავალი დამბლა შეიძლება განვითარდეს პოლიომიელიტის, პოლირადიკულიტის და სხვა დროს.

ლანდრი-გილენ-ბარეს სინდრომი — პირველადი მწვავე იდიოპათიკური პოლირადიკულონევრიტი—პოლირადიკულიტი, რომელსაც ახასიათებს კუნთების პერიფერიული დამბლები და ცერებროსპინალურ სითხეში ცილისა და უჯრედთა დისოციაცია, მაშინ როცა ზედაპირული მგრძნობელობა შენახულია. შეიძლება ჰქონდეს აღმავალი ხასიათი სახის, ხორხისა და ხახის კუნთების ჩათრევით. სინონიმები: გილენ-ბარე-შტროლის სინდრომი, გილენ-ბარეს სინდრომი.

ლანგჰანსის ჩიყვი, ანუ სიმსივნე — ფარისებრი ჯირკვლის ზომიერად დიფერენცირებული ფოლიკულური კიბო.

ლანდაუს სიმპტომი — ძლიერი სისტოლური შუილი მარცხენა ლავიწქვეშა არტერიაზე აორტის ათაშანგის დროს. აღინიშნება, როცა ძირითად ცვლილებების ადგილი აქვს აორტის რკალის დასწვრივ, აორტაში გადასვლის ადგილზე.

ლანდოლფის ნიშანი — გუგის შევიწროება სისტოლისა და გაფართოება დიასტოლის დროს. აორტის სარქველის უკმარისობის ნიშანია.

ლანდუზის დაავადება — იწვევს იქტეროჰემორაგიული ლეპტოსპირა, დასნებოვნება ხდება კანიდან, ლორწოვანიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. ბუნებაში გამომწვევის რეზერვუარი ძირითადად თაგვებია. ინკუბაციური პერიოდი 8—15 დღეა. დასაწყისი უეცარია, შემცივნებით, ტემპერატურით 40 გრადუსამდე. კლინიკური ნიშნებია თავისა და კუნთების ტკივილი, მრავლობითი ჰემორაგიები კანში, ლორწოვანასა და კონიუნქტივაში, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, სიყვითლე, მომდევნო პერიოდში ნეფრიტის სიმპტომები. დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა. სინონიმები: ვასილიევ-ვეილის დაავადება, მატიეს დაავადება, ფიდლერის დაავადება, ვეილის დაავადება.

ლანდუზის ტიფობაცილოზი — ტუბერკულოზის იშვიათი ფორმაა, სახეზეა მწვავე ტუბერკულოზური სეფსისი. ამ დროს აღინიშნება ტუბერკულოზური ინფექციის მასიური ჰემატოგენური დისემინაცია. სახეზეა ზოგადი ნიშნები, ტუბერკულოზის ორგანოლოკალიზაციის დადგენა ხშირად ვერ ხერხდება, ვინაიდან ავადმყოფი უფრო ადრე იღუპება, ვიდრე ორგანოებში ჩაყალიბდება სპეციფიკური ცვლილებები.

ლანდუზი-დეჟერინის კუნთოვანი დისტროფია — კუნთოვანი დისტრო-

ფიის პროგრესული ფორმა, როდესაც პროცესი უპირატესად ვლინდება მხარზე, ბეჭსა და სახეზე. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. დაავადება იწყება 20—30 წლის ასაკში სახისა და მხრის სახსრის კუნთების ატროფიით. სახე ჰიპომიმურია („სფინქსის“ სახე), თვალები მთლიანად ვერ იხუჭება — ლაგოფტალმი. შემდგომში თანდათანობით აღინიშნება სხვა კუნთების დაზიანებაც. დაავადების მიმდინარეობა ხანგრძლივია. დიდხანს არის შენარჩუნებული მოძრაობითი ფუნქცია.

ლანეს სინდრომი — თანდაყოლილი დისპლაზია ღვიძლის ციროზის დროს. არაიშვიათად გვხვდება პალმარული და პლანტარული ერითემები, რაც პერიფერიულ სისხლძარღვთა გაფართოების შედეგია. ასეთი ერითემები ასევე გვხვდება ფილტვების ქრონიკული ტუბერკულოზის, რევმატოიდული ართრიტის, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ასევე სხვა ქრონიკულ დაავადებათა დროს, როდესაც ერთდროულად აღინიშნება კვების მოშლა და ჰიპოპრტეინემია.

ლანელონგ-აშარის სინდრომი — თანდაყოლილი ელეფანტიაზი — გასპილოვნება. ნიშნები: ქვედა კიდურების გადიდება ლიმფური სადინარების გაფართოების, კანისა და კანქვეშა ქსოვილების ინფილტრაციასთან დაკავშირებით. ცვლილებები ატარებს პოლიკისტოზურ ხასიათს. ძვლები არ არის შეცვლილი.

ლანცის სიმპტომი — მტკივნეულობა პალპაციით აპენდიციტის დროს ლანცის წერტილებში. ერთდროულად არ არის, ან შესუსტებულია კრემასტერის რეფლექსი.

ლანცის წერტილი — წერტილი მარჯვენა და შუა მესამედის ხაზების მიჯნაზე, რომელიც აერთიანებს თეძოს ძვლების წინა ზედა ფრთებს. ლანცის წერტილის პალპაცია აპენდიციტის დროს მტკივნეულია.

ლარეის თიაქარი — პარასტერნალური თიაქარი, ძვლოვანსტერნალური თიაქარი, რეტროსტერნალური თიაქარი — დიაფრაგმული თიაქარი, რომელიც გამოდის შუასაყარში მკერდ-ნეკნების სამკუთხედიდან. სინონიმი: მორგანის თიაქარი.

ლარეის პერიკარდიუმის პუნქცია — პერიკარდიუმის პუნქცია მეშვიდე ნეკნის ხრტილის და მახვილისებური მორჩის კუთხესთან. გამოიყენება ექსუდატიური პერიკარდიტის დროს.

ლარეის სიმპტომი — ვერტიკალური მდებარეობიდან სწრაფად დაჯდომის დროს წელის არეში შეიგრძნობა ტკივილი. ბეხტერევის დაავადების ერთ-ერთი ადრეული სიმპტომია. გვხვდება აგრეთვე გაის ძვლების მალთაშუა ხრტილის ანთების, გავა-წელის რადიკულიტისა და გავა-თეძოს შესახსრების ანთების დროსაც.

ლარსენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური და შესაძლოა აგრეთვე რეცესიულიც. ნიშნები: ბრტყელი სახე, წინწამოწეული შუბლი, გაბრტყელებული ცხვირი, ჰიპერტელორიზმი, ცილინდრული თითები, გაპობილი სასა.

ლარსენ-ოჰანსენის სინდრომი — კვირისთავის გაძვალების დარღვევა. ვამოვლინდება მისი შესიებით, მტკივნეულობით პალპაციის დროს, მუხ-

ლის სახსრის მორეციდივე ჰიდრართროზით, ძირითადად გვხვდება სიყმაწვილეში.

ლარუელის სინდრომი — კეფის ხვრელის სინდრომი, შეტევითი ხასიათის თავის ტკივილის, კისრის კუნთების ხანმოკლე კრუნჩხვების ან მათი მყარი კონტრაქტურის, სახისა და კისრის ვაზომოტორული დარღვევები, პროგრესირებადი ტაქიპნოეს და საყლაპავის სპასტიკური შეკუმშვების შერწყმა. ადგილი აქვს თავის ქალას უკანა ფოსოს სიმსივნის დროს, თავის ტვინის ჩაჭედვის შემთხვევაში კეფის ნახვრეტში.

ლასეგის სიმპტომი I — გაშლილი ფეხის საწოლიდან აქტიურად ან პასიურად აწევისას ვითარდება ან ძლიერდება ტკივილი წელის ან საჯდომი ნერვის საპროექციო არეებში (პირველი ფაზა). კიდურის მუხლის სახსარში მოხრისას კი ნერვის დაჭიმვა იხსნება და ტკივილი ქრება (მეორე ფაზა). პირველი ფაზა შეიძლება შეგვხვდეს მენჯ-ბარძაყის სახსრის დაავადების დროსაც, მეორე ფაზა კი განსაკუთრებით დამახასიათებელია გავა-წელის რადიკულიტისათვის.

ლასეგის სიმპტომი II — ერთ-ერთ კიდურში გარდამავალი ანესთეზიის და კუნთოვანი სისუსტის გამოვლინება თვალების დახუჭვის დროს. აღინიშნება ისტერიის შემთხვევაში, უპირატესად ქალებში.

ლასთენი დე ფერუოლეს სინდრომი — პიროვნების ფსიქოპათიური სტრუქტურის გამოვლინება. ავადმყოფები ხელოვნურად იწვევენ სისხლდენას (ცხვირიდან, ბუასილის კვანძებიდან, ჭრილობიდან და ა. შ.) ანდა სპეციალურად უშლიან ხელს მის შეჩერებას. აქედან გამომდინარეობს ჰიპოქრომული ანემია თავისი სიმპტომებით. ჩვეულებრივ აღინიშნება ქალებში. სახელი დაკავშირებულია ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ პერსონაჟთან.

ლაუნ-ბენსოდის ადენომატოზი — ეწოდება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის დიფუზურ მატებას უპირატესად კისრის არეში. აღწერილია სხვადასხვა სახელწოდებით: ცხიმოვანი კისერი, კამეჩის კუზი, კისრის ირგვლივი ლიპომა, კისრის კეთილთვისებიანი სიმეტრიული ლიმფომატოზი, მადელუნგის დაავადება, ბუშკეს დაავადება. მიმდინარეობა პროგრესულია, მკურნალობა ქირურგიული.

ლაურელ-ერიქსონის სინდრომი — ფილტვების მემკვიდრეობითი ემფიზემა. შესაძლებელია გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: ბავშვობიდან ფილტვების დიფუზური ობსტრუქციული ემფიზემა, პროგრესიული ქოშინი. არ აღინიშნება ქრონიკული ბრონქიტის ნიშნები. სისხლში დაქვეითებულია ან სულ არ არის ალფა-პირველი გლობულინი და ალფა-პირველი — ანტიტრიფსინი. ადგილი არ აქვს ანემიას, ზოგჯერ გვხვდება ღვიძლის ციროზი და კატარაქტა, გინეკოტროპიზმი.

ლაფერ-აშერის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, ახასიათებს ბლეფაროპტოზია, ტუჩების გასქელება (უფრო ხშირია ზედა), ლორწოვანი გარსის დუბლიკატურის წარმოშობა და სუსტად გამოხატული ჩიყვი — ფარისებრი ფუნქციის დარღვევის გარეშე. სინონიმი: აშერის სინდრომი.

ლაფორის დაავადება, ანუ სინდრომი — მიოკლონიური ეპილეფსიის

მემკვიდრეობითი ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ტონიურ-კლონიური კრუნჩხვების შეტევები. შეტევის შუალედ პერიოდებში (ისევე როგორც თვით შეტევისას) სხეულის სხვადასხვა ნაწილების მიოკლონიური შეკუმშვები (თრთოლვა), დამახასიათებელია პიროვნების ცვლილება-პასიურობა, ემოციური ინტერესების დაქვეითება. მხედველობის დაქვეითება — სიბრმავემდე.

ლაფორის სიმპტომი — სახის წაწვეტიანებული ნაკვთები, განსაკუთრებით ცხვირის, ითვლება მენინგიტის ნაადრევ ნიშნად.

ლაფორ-უნფერიხტის დაავადება — მიოკლონუს ეპილეფსია, მემკვიდრეობით — ოჯახური დაავადება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ხშირია მშობლების სისხლით ნათესაობის შემთხვევაში, არის დეგენერაციული ცვლილებები ნათხემსა და ექსტრაპირამიდულ სისტემაში. ნიშნები: კრუნჩხვები (უპირატესად ღამით), ინტელექტის დაქვეითება, ემოციური შეზღუდულობა, ნეგატივიზმი, კუნთების მომატებული ტონუსი — რიგიდობამდე. ოლოგოკინეზია, ბრადიკინეზია, ამიმია, სიმსუქნე, ბადურის ცვლილებები. როცა ეს უკანასკნელი არ არის, მაშინ საქმე გვაქვს უნტერიხტ-ლუნდბორგის დაავადებასთან.

ლაფტის ხინდრომი — განივზოლიანი კუნთების მიტოქონდრიების მემკვიდრეობითი ანომალიების სიმპტომოკომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: პროფუზული ოფლი, პოლიდიფსია, პოლიურიის გარეშე, პოლიფაგია, პროგრესიული სიგამხდრე, ასთენია, კუნთების სისუსტე და ატროფია, პათოლოგიური ელექტრომიოგრამა, მყესთა ღრმა რეფლექსების გაქრობა. მნიშვნელოვნად არის მომატებული ძირითადი ცვლა.

ლაქტორეა-ამენორეის სინდრომი — დაავადება, რომლის კლინიკური სიმპტომატიკა გაპირობებულია ჰიპოფიზის წინა ნაწილის მიერ პროლაქტინის მოჭარბებული პროდუქციით. ჰიპერპროლაქტინემია ვითარდება ნეიროტრანსმიტერული კონტროლის (ძირითად კატექოლამინურის, ნაკლებად სეროტონინურისა), ჰიპოთალამურ ჰორმონთა სეკრეციის, ჰიპოფიზის მიერ პროლაქტინის პროდუქციის შემაკავშირებელ და გამთავისუფლებელ მოქმედების დარღვევათა შედეგად.

ლახტის სიმპტომი — მხარზე და წინამხარზე პეტექიების წარმოქმნა ხანმოკლე დროით, ლახტის ან სფიგმანომეტრის რეზინის მანჟეტის დადების შემდეგ. აღინიშნება კაპილარებისა და პრეკაპილარების მომატებული განვლადობის ან მსხვრევადობისას. მაგალითად, გახანგრძლივებული სეპტიკური ენდოკარდიტის დროს. სინონიმები: კონჩალოვსკ-რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედე-სტეფანის სიმპტომი, კონჩალოვსკის სიმპტომი.

ლებერის მხედველობის ნერვის ატროფია — მემკვიდრეობის ტიპი რეცესიული, მიჯაჭვული სქესთან. მხედველობის ნერვის მემკვიდრეობითი ანომალიის ყველაზე გავრცელებული ფორმა. უპირატესად ავადდებიან მამაკაცები. დაავადება ვლინდება ახალგაზრდა ასაკში (13—28 წლებში) ერთი ოჯახის წევრებში. მიმდინარეობს როგორც ორმხრივი რეტრობულბალური ნევრიტი. სრული ჯანმრთელობის ფონზე რამდენიმე დღეში ან კვირაში

ეითარდება მხედველობის დაქვეითება ორივე თვალში. შემდეგ მხედველობის დაქვეითება ჩერდება და ასე რჩება უცვლელად. სიბრმავე იშვიათია. ხელინიშნება აბსოლუტური ან შედარებითი სკოტომები.

ლებერის რეტინოპაპილიტი, ანუ რეტინიტი — ექსუდატიური, ჩვეულებრივ ერთმხრივი რეტინიტი, მხედველობის ნერვის დისკის შეშუპებით, ყვითელი ხალის შიდამხრს შემღერვევით, თვალის ფსკერზე ვარსკვლავთა ფიგურების არსებობით. აღინიშნება ზოგიერთი ინფექციური დაავადების დროს, მაგალითად, გრიპის.

ლებერტის ანემია — პერნიციოზული (დამღუპველი) ანემია, სინონიმები: ბირმერის დაავადება, ადისონ-ბირმერის დაავადება, ჰუნტერ-ადისონის ანემია (იხ.), ბირმერ-ერლიხის ანემია.

ლებლოვიტცის სინდრომი — პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მორეციდივე აფთების ნაირსახეობა. მიმდინარეობა მსუბუქი, აფთები ქრება, ჩვეულებრივ, ერთ კვირაში, მაგრამ სწრაფად რეციდირებს. იწვევს ვირუსი, რომელიც ახლო დგას მარტივი ჰერპესის ვირუსთან. სინონიმი: იაკობის სტომატიტი.

ლეგე-კალვე-პერთესის დაავადება — ბარძაყის ძვლის თავის ოსტეოქონდრიტი, ფსევდოკოქსალგია — ბარძაყის ძვლის თავის მემკვიდრეობითი ასპტიკური ნეკროზი, უფრო ხშირად ცალმხრივი. უვითარდებათ უპირატესად 6—10 წლის ბიჭებს. დაავადებას მივყავართ ბარძაყის ძვლის თავისა და ყელის დეფორმაცია და კოქსართროზამდე. სინონიმი: პერთესის დაავადება.

ლეგერის მეზენქიმატოზი — ელასტიკური ფიბროდისპლაზია, თანდაყოლილი მეზოდერმული დისტროფია. შემაერთებელი ქსოვილის მემკვიდრეობითი პათოლოგია, მისი სიმპტომოკომპლექსია სახსართა ჰიპერმობრაობა, ხშირი ამოვარდნილობა, კანის ელასტიკურობის მომატება, სისხლძარღვთა და კანის მსხვრევადობა და კუნთოვანი ჰიპოტონია. სინონიმები: ელერს-დანლოსის სინდრომი, მიკერინ-ელერს-დანლოსის სინდრომი, ჩერნოგუბოვის სინდრომი.

ლეგიონერთა დაავადება — მწვავე ინფექციური დაავადება. იწვევს გრამუარყოფითი ბაქტერია. კლინიკური ნიშნებია მაღალი ცხელება, მიალგია, სასუნთქი გზების დაზიანება, პნევმონია, არაიშვიათად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოთა დისფუნქცია. მიმდინარეობა მძიმეა. ეპონომიურად კავშირშია ამერიკელ ლეგიონერებთან, რომელთა ერთ-ერთი შეკრებისას აღინიშნა დაავადების პირველი ენდემიურ-კლინიკური მანიფესტაცია. საგულისხმოა, რომ ინფექციის კერა ბუდობდა ჰაერის ვენტილაცია-კონდიციონერების ტექნიკურ სისტემაში.

ლედერერ-ბრილის დაავადება — მწვავე ფებრილური ჰემოლიზური ანემია. შემთხვევები რეგისტრირებულია მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში. მცირე პროდრომის შემდეგ (რაც გამოიხატება ყელის კატარში, თავის ტკივილში, პირღებინებაში, კუჭის აშლაში) იწყება ძლიერი ციებ-ცხელება. მაღალი ტემპერატურა, პროგრესულად ვლინდება სიყვითლე. შესაძლებელია მუცლის შეტევითი ხასიათის ტკივილი, ელენთის, ღვიძლისა და ლიმფური კვანძების ზომიერი გადიდება, ჰემორაგიული დიათეზის მოვლე-

ნები. სისხლში ანემია მეგალოციტოზით, პოიკილოციტოზითა და ბირთვიანი ერითროციტებით, ლეიკოციტოზი მარცხნივ გადახრით, მიელობლასტების გამოჩენით. ეტიოლოგია უცნობია, არ არის გამორიცხული ინფექციური საწყისი. სინონიმი: ფისინგერ-დეკურ-ლაურის დაავადება.

ლედერჰოზის სინდრომი — ეგრეთ წოდებული მცირე კოლაგენოზების ნაირსახეობა, ქვედა კიდურებზე თითების ფუძესთან წითელი შესქელება, პალპაციით უმტკივნეულო ან მცირედ მგრძნობიარე. შესქელებამ შეიძლება ზეთის ხილის ოდენობას მიაღწიოს, მათი რიცხვი ვარირებს ერთიდან — რამოდენიმემდე. ზოგჯერ არის სპონტანური რეგრესია.

ლედის სინდრომი — წერილი ნაწლავის ფიქსაციის თანდაყოლილი მანკი, რასაც მივყავართ ნაწლავთა გაუვალობამდე. რენტგენოლოგიურად არის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ძლიერი გაფართოება.

ლევანდოვსკის დაავადება — როზაცეომსგავსი ტუბერკულიდი, ტუბერკულიდი წერილი პაპულების სახით. თან სდევს ერითემა და ტელეანგიექტაზიები.

ლევანდოვსკის დამბლა სიცივეზე — თანდაყოლილი პარამიოტონია. ახასიათებს მიოტონიის სუსტად გამოხატული ნიშნები, რაც გამოვლინდება ან ძლიერდება სიცივეზე. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმი: ვილენბურგის პარამიოტონია.

ლევანდოვსკის სინდრომი — თანდაყოლილი პიგმენტური ხალი, რომელსაც აქვს წინამოწეული პაპულების ფორმა დიამეტრით 2—3 მმ, ფერით თეთრი-მოყვითალო, მკვრივი კონსისტენციის, პერიფერიაზე გარშემოხვეული პიგმენტური კანით. ყველაზე ხშირია ლოკალიზაცია მკერდის ერთ მხარეზე. ჰისტოლოგიურად შემაერთებელი ქსოვილის ჰიპერპლაზია.

ლევანდოვსკი-ლიუტცის დაავადება — მეჭეჭოვანი ეპიდერმოდისპლაზია, ეპიდერმისის მეჭეჭოვანი დისპლაზია — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი, ახასიათებს მრავლობითი სიმეტრიულად განლაგებული დაზიანება სახის კანის, კეფის, კიდურების (განსაკუთრებით მაჯისა და ტერფის), რაც გარეგნულად მოგვაგონებს ბრტყელ მეჭეჭებს.

ლევენის დაავადება — ოსტეოქონდროპათია, ვლინდება ტკივილით კვირისთავზე დაჭერის ან მისი განძრევის დროს.

ლევენთალის დაავადება — ლევენთალის სინდრომი. ლევენთალის პურპურა. დერმატოზი — ქავილით, შესაძლოა იყოს ჰემოსიდეროზის კანის ფორმა. ნიშნები: კანის სიმეტრიული უბნების ძლიერი ქავილი (იწყება ბოქვენიდან, ადის ზევით, ითრევს ფეხებს — ტანი და ხელები ჩვეულებრივ თავისუფალია), ეს უბნები დაფარულია ვარდისფერი წერტილოვანი გამონაყარით და ლიქენოიდური პაპულებით, მოგვიანებით კანის აქერცლა — უპირატესად ბარძაყის მიდამოებში.

ლევენთალის პურპურა — ხასიათდება კანზე პურპურის და ეკზემის მაგვარი ცვლილებათა ერთდროული გაჩენით, რასაც შემდეგ თან ერთვის ლიქენიზაცია და კანის დეპიგმენტაცია ან ჰიპერპიგმენტაცია. აღინიშნება უმნიშვნელო ქავილი. უპირატესი ლოკალიზაციის ადგილია კიდურები, მაგრამ არც თუ იშვიათად შეიძლება გავრცელდეს მთელს სხეულზე. ახასიათებს გამწვავებათა სეზონურობა გაზაფხულსა და ზაფხულზე. უფრო

ავადდებიან მამაკაცები. სინონიმები: დუკას-კაპენტაკისის სინდრომი, კაბა-ლა-მოსტოს სინდრომი.

ლევენთალ-ლურიხ ხაზობრივი ნაწიბუროვანი ალოპეცია — ალოპეცია, რომელიც ხასიათდება ხაზობრივად დალაგებული კერებით, სადაც ადგილი აქვს თმის დაცვენას ნაწიბურების წარმოშობით. მიიჩნევენ როგორც ოჯ-ხური უცნობი ეტიოლოგიის დაავადებას.

ლევენ-როთხ სინდრომი — აღენიშნებათ ჯალღუზისებური სხეულის მარცელოვანი გადაგვარების მქონე ავადმყოფობას. ნიშნები: ჯუჯისებრიეი ტანი, ჰიპოთირეოზი, გონებრივი ჩამორჩენილობა, სიმპტომები ელინდება ბავშვობაში.

ლევენფელდ-პენებერგხ სინდრომი (აფექტური ადინამია, ემოციური ტონუსიხ ბლოკადა) — კატაპლექსია: კუნთების ტონუსის ხანმოკლე პაროქ-სიზმული დაკარგვა, რასაც თან სდევს ავადმყოფის დავარდნა გონების დაუკარგავად. უმეტესად დაკავშირებულია ძლიერ ემოციურ გაღიზიანე-ბასთან, აგრეთვე დამახასიათებელი ნიშანია ნარკოლეფსიის ან ჟელინიის დაავადებისა.

ლევერის ბულოზური პემფიგოიდი — ნეოკანტოლიური ბუშტუკელა, პარაპემფიგუსი, ბულოზური პემფიგოიდი — ბუშტუკელა აკანტოლიზის ნიშნების გარეშე, ბუშტუკების სუბეპიდერმული ლოკალიზაციით.

ლევერის დაავადება — პემფიგოიდი. წარმოადგინეს დიურინგ-ბროკის დაავადება (იხ.). ნაირსახეობას, გეხვედება მოხუცებულებში. დამახა-სიათებელია გამონაყარის ერთგვაროვნება (ბუშტუკები) და ბუშტუკების რეციდიულობა ძველ ადგილებში. მიმდინარეობა მსუბუქი. სინონიმი: პრა-კენის პარაპემფიგუსი.

ლევის დაავადება — გაურკვეველი ეტიოლოგიის დაავადება. ხასიათ-დება გულის მარცხენა ნაწილში და პარკუჭთაშორის ძგიდეში განლაგე-ბულ შემაერთებელქსოვილოვან სტრუქტურათა სკლეროზით, რაც კლინი-კურად ვლინდება ატრიოვენტრიკულური და პარკუჭშიდა გამტარებლობის დარღვევით გამტარი გზების კომპრესიის გამო.

ლევის სიმპტომი — თვალის გუგის ხანგრძლივი და გამოხატული გა-ფართოება თვალში ადრენალინის ჩაწვეთებისას (6 წვეთი 0,1%-იანი ხსნა-რის 5 წუთის მანძილზე). ნიშანია ვეგეტატიური ნერვიული სისტემის სიმ-პატიკური ნაწილის მომატებული აგზნებადობისა, ჯანმრთელებში თვალის გუგა უმნიშვნელოდ და ხანმოკლედ ფართოვდება. ხშირად გეხვდება თი-რეოტოქსიკოზის დროს. სინონიმი: ლევი-კორდსის რეაქცია.

ლევი-კორდსხ რეაქცია — იხ. სინონიმი: ლევის სიმპტომი.

ლევი-პალმერ-მერიტხ სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული, ნიშნები: მალებისა და ნეკნების ანომალიები, რაც იწვევს გულმკერდის დამოკლებას, მუცლის გადიდებას და მოკლე კისერს. რენტგენოლოგიურად მალების და ნეკნების მრავლობითი დეფექტი, ჩონჩხის სხვა ანომალიები არ არის. გონებრივი განვითარება — ნორმალური.

ლევი-როტშილდის ნიშანი — წარბების გარე ნაწილების ამოცვენა. მიქსედემის კლინიკური ნიშანი.

ლევინსონის სიმპტომი — თავის მკერდისკენ დახრისას ავადმყოფი უნებლიედ აღებს პირს. აღინიშნება მენინგიტის დროს.

ლეიბენდიხ სინდრომი — ღრძილების ელეფანტიაზი, ღრძილების მემკვიდრეობითი ფიბრომატოზი. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური, ნიშნები: ღრძილების ფიბრომატოზი, ხელის თითების ფრჩხილების არ არსებობა ან დიასპლაზია, თითების დისტალური ფალანგები წაწვეტიანებული (გამოწვეული ძვლების დისპლაზიით), ჰეპატოსპლენომეგალია.

ლეიდენის დაავადება — ნათხემის მწვავე პირველადი არაჩირქოვანი ანთება. ძირითადი ნიშანია მასიური ატაქსია, რომელიც თანდათანობით ჭრება.

ლეიდენის დიხტროფია — პროგრესიული მიოპათიის ფორმა. დამახასიათებელია კიდურთა პროქსიმული ნაწილების დაზიანება ისე რომ არ არის ფსევდოჰიპერტროფია. ვითარდება ბავშვთა ასაკში. იხ. სინონიმი: ლეიდენ-მებიუსის დისტროფია.

ლეიდენ-ვესტფალის მწვავე ატაქსია — ნათხემისებური მწვავე ატაქსია. ვითარდება მწვავე ინფექციური დაავადების და ინტოქსიკაციების დროს ანდა უშუალოდ მათს შემდეგ. იგივეა ვესტფალ-ლეიდენის ნათხემისებური მწვავე ატაქსია.

ლეიდენ-მებიუსის დიხტროფია — სინონიმი: ლეიდენის დისტროფია.

ლეიდენ-მებიუს-ციმერლინის სინდრომი — კუნთთა პროგრესიული ატროფიის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც ადგილი აქვს მენჯის სარტყულისა და ბარძაყის კუნთების ატროფიას.

ლეიდიგის სინდრომი — სქესობრივი განვითარების დარღვევა ბიჭებში. დამახასიათებელია სათესლე ჯირკვლების გლანდულოციტების (ლეიდიგის უჯრედების) არასრულყოფილება სხვა დანარჩენ სტრუქტურათა შენახვით. გამოვლინდება თმიანობის სიღარიბით და გინეკომასტიით.

ლეინის გლოსიტი — გეოგრაფიული ენა. გლოსიტი დამახასიათებელი მკაფიო წითელი ლაქებით, რუხი-თეთრი რგოლით ენის გვერდებზე. აღინიშნება ახალგაზრდა ასაკში ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევების დროს. დვრილები ატროფიულია. დამახასიათებელია ცვლილებების გადადგილება და მორფოლოგიური სურათის ძერა თითქმის ყოველდღიურად. სინონიმები: ბროკის სინდრომი, ბერჟერონის გეოგრაფიული ენა, პოტრიეს გლოსტოზი, უნას ენა, რეიერის ენის პიტირიაზი, პოტრიეს გლოსტოზი, ბროკ-პოტრიეს რომბოიდული გლოსიტი.

ლეინის დაავადება — ნევიფორმული სიმეტრიული აკროერითემა, ხელის და ფეხისგულების მემკვიდრეობითი ერითემა, ხელისგულების მემკვიდრეობითი სიმეტრიული ერითემა (ზოგჯერ ფეხისგულისაც). სავარაუდოა, რომ არის მემკვიდრეობითი კერატოდერმიის ნაირსახეობა. მემკვიდრეობის ტიპია აუტოსომურ-დომინანტური.

ლეინის სინდრომი — პირის ღრუში გალვანიზაციის მოელენები: მიზეზია კბილების ხელოვნური გვირგვინები ან სხვადასხვა მეტალის კბილის ბრჭენები. ნიშნები: წვა და ტკივილი პირის ღრუში, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ეროზიები, თავის ტკივილი, ლაბილური არტერიული წნევა,

ლეინერ-მუსუს დაავადება — ახალშობილთა დესკვამაციური ერითროდერმია, ძუძუმწოვარა ბავშვთა დერმატოზი, რომელიც ხასიათდება დიდ ფირფიტოვანი აქერცვლით.

ლეიტნერის სინდრომი — ლიმფური კვანძების გენერალიზებული კაზეოზური ტუბერკულოზი ატიპიური მიმდინარეობით. ნიშნები: ტემპერატურის მომატება, ცუდი საერთო თვითგრძნობა, ლიმფური კვანძების გადიდება (ზოგჯერ არის მათი დარბილება), ელენთისა და ღვიძლის გადიდება, პანციტოპენია, ედს — მნიშვნელოვნად აჩქარება, კაზეოზური ტუბერკულოზური ცელილებები სხვა ორგანოებში (ფილტვები, თირკმლები, ძვლები). პროგნოზი გაურკვეველია.

ლეიტონ-ტორნბულ-ბრეტონის სინდრომი — თიმუსის მაკროგენიტოსომია, ჰორმონული დარღვევები მსგავსი კუშინგის სინდრომისა, ბავშვებში სიმსუქნე და კუნთების ზომაზე მეტი განვითარება. მიზეზი — მკერდუკანა ჯირკვლის პირველადი სიმსივნე.

ლეიშმან-დონოვანის დაავადება — ვისცერული ლეიშმანიოზი, კახექსიური ცხელება. ტროპიკული სპლენომეგალია, ლეიშმანიოზი. დამახასიათებელია პირველადი აფექტი, არასწორი ტიპის ცხელება, ლეიკოპენია, სპლენოპეპატომეგალია.

ლელე-ბროკის ლიქენი — კვანძოვანი ქავილი, ნერვულ-ალერგიული და ჰორმონული წარმოშობისა, კიდურთა გამშლელ ზედაპირზე, ტანსა და სხეულზე. გაფანტულია მკვრივი კონსისტენციის სხვადასხვა ზომის ხორკლები. დაავადებას თან ახლავს მტანჯველი ქავილი. მიმდინარეობა ქრონიკული, მორეციდივე. პისტოლოგიურად ანთებად ინფილტრატში ვლინდება ნერვული ქსოვილის ჰიპერტროფია. სინონიმები: ჰაიდის კვანძოვანი ქავილი, პოტრიეს კვანძოვანწი ლიქენიფიკაცია.

ლეილენის ნეფრიტი — ემბოლიური კეროვანი ნეფრიტი. თითქმის ყოველთვის არის კლასიკური გახანგრძლივებული სეპტიკური ენდოკარდიტის დროს. შარდში ვლინდება ერითროციტები, ცილინდრები, ცილა, არტერიული წნევა ნორმალურია. ელენთა გადიდებულია.

ლელუარის წითელი მგლურა — ერითემული წითელი მგლურა. სახის მგლურას იშვიათი ნაირსახეობა. კლინიკურად მოგვაგონებს ერითემულ ლიქენს. დესქვამაციური ნიშანი დადებითია. საბოლოო დიაგნოზი ისმება ჰისტოლოგიური გამოკვლევით.

ლემან-რიბინგ-მიულერის სინდრომი — სახსრების ეპიფიზთა იზოლირებული დიზოსტოზი. ნიშნები: სხვადასხვა ძვლების ეპიფიზთა დეფორმაცია და „შეკმუხვნა“ ოსტეომალაციისადმი მიდრეკილებით, იშვიათად ჯუჯის სიმაღლე, სუბიექტურად — ტკივილი და შეზღუდულობა სახსრებში. ჩვეულებრივ ვლინდება ბავშვობაში, ზოგჯერ ჰიპოთირეოზის სიმპტომები. საკარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. სინონიმები: რიბინგის სინდრომი I. მიულერ-რიბინგ-კლემენტის სინდრომი.

ლემბერგის ფენომენი — აღინიშნება ქრონიკული აპენდიციტის დროს და ვლინდება სპასტიკური მოვლენების და კუნთის პერისტალტიკის გაძლიერებით, განსაკუთრებით ნაწლავის პალპაციის დროს.

ლემე-კალვე-პერთესის დაავადება — ბარძაყის თავის ოსტეოქონდრი-

ტი. ფსევდოკოქსალგია — ბარძაყის ძელის თავის მემკვიდრეობითი ასეპტიკური ნეკროზი, უფრო ხშირად ცალძხრიეი. უეითარდება უმთავრესად ბიჭებს 6—10 წლის ასაკში. დაავადებას მივყავართ ბარძაყის ძვლის თავისა და ყელის დეფორმაციამდე და კოქსართროზამდე. სინონიმი: პერთესის დაავადება.

ლემიურ-ბოლტანსკი-ჟიუხტინ-ბეზანსონის სინდრომი — ალკოპოლური პოლინევრიტის ფორმა. გვხვდება უფრო ხშირად ქალებში ფილტვის ტუბერკულოზით. ხშირია ერთდროულად კორსაკოვის სინდრომი (იხ.), ცელილებები ღვიძლში. დამახასიათებელია ფილტვების ტუბერკულოზის სწრაფი განვითარება.

ლემპერის სიმპტომი — დაფის აპკის გათხელება მისი ფერის შეცვლით ოტოსკლეროზის დროს. გამოწვეულია მისი ფიბროზული ფენის ატროფიით.

ლენანდერის სიმპტომი — იღლიის ფოსოს და უკანა ტანის ტემპერატურათა ფიზიოლოგიური სხვაობის გაზრდა მცირე მენჯში ანთებითი პროცესის განვითარების დროს.

ლენგერ-გიდიონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: გონებრივი განვითარების შეჩერება, მიკროცეფალია, მრავლობითი ეკზოსტოზები, დაკეცილი კანი, სახსართა გადაჭიმვა, მიდრეკილება ზედა სასუნთქი გზების განმეორებით ინფექციებისადმი.

ლენდინგ-ოპენჰეიმერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ლიპოიდოზის ნაირსახეობა. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: მომატებული მგრძნობელობა სხვადასხვა ინფექციისადმი, ფაღარათი, ღვიძლის პროგრესირებადი უკმარისობა. ჰისტოლოგიურად ღვიძლში, ელენთაში და ნაწლავთა ლორწოვან გარსში ცეროიდის ჩალაგება (პიგმენტაცია), რომელიც ახლოსაა ლიპოფუსცინთან.

ლენდორფის სინდრომი — გარდამავალი ანემია, როგორც ჩანს, ალერგიული ბუნებისა, აღენიშნებათ ახალშობილებს.

ლენდორფ-ლეინერის დაავადება — რევმატიული ერითემა, მომრგვალო ან რკალისებრივი ერითემები ტანსა და კიდურებზე. ზოგჯერ გამოვლინდება რევმატიული შეტევის დროს.

ლენეგრის დაავადება — გულის გამტარი სისტემის იდიოპათიური ქრონიკული ბლოკადა. დამახასიათებელია დისტროფიული და სკლეროზული ცელილებები გულის გამტარ სისტემაში. გულის კუნთის დანარჩენი ნაწილის და კორონალური სისხლძარღვების დაზიანების გარეშე. კლინიკურად ვლინდება ატრიო-ვენტრიკულური და პარკუჭშიდა გამტარებლობის შეფერხებით. ეტიოლოგია გაურკვეველია. ცნობილია აგრეთვე გულის გამტარი სისტემის იზოლირებული დაავადების სახელწოდებით.

ლენეგრის სიმპტომი-ანუ „ხისტოლური ექსპანსია" — აღინიშნება მიტრალური სარქველის ნაკლოვანების დროს. ადგილი აქვს მარცხენა წინაგულის ღრუს გაფართოებას პარკუჭის სისტოლის დროს. შეიძლება მისი რენტგენოლოგიურად გამოვლინება. პარკუჭის სისტოლისას ხდება საყლაპავის ნახტომისებური გადაწევა უკან.

ლენერტის ლიმფომა — მიეკუთვნება ლიმფოპროლიფერატულ დაავადებათა ჯგუფს. დაავადების არსი უცნობია. უფრო ხშირად დაავადება ღებულობს ავთვისებიან მიმდინარეობას, რომლის დროსაც ზიანდება სხვადასხვა ლიმფური ჯგუფები, ელენთა, ღვიძლი, ძვლის ტვინი, ზოგჯერ ნუშისებური ჯირკვლები, კანი. ავადდებიან ორივე სქესის პირები, უფრო ხშირად ზრდასრულ და ხანდაზმულ ასაკში. არის მოსაზრება, რომ ამ სინდრომში შედის სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებები.

ლენკის ფენომენი — ფილტვის რენტგენოლოგიური სურათის დაჩრდილვა ავადმყოფის ვერტიკალურიდან ჰორიზონტულ მდებარეობაში გადაყვანის შემდეგ. აღინიშნება პლევრის ღრუში თავისუფალი სითხის არსებობის დროს.

ლენობლ-ობინოს სინდრომი — ნისტაგმ-მიოკლონია. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებებს, გადაცემის დომინანტური ტიპით, ნერვული სისტემის უპირატესი დაზიანებით. ადგილი აქვს თანდაყოლილ ნისტაგმს, კუნთების ფასციკულარულ შეკუმშვებს, თავის და ხელების ტრემორს, ჰიპერრეფლექსიას, ვაზომოტორულ დარღვევებს.

ლენოქსის პატარა აკინეტიკური გულყრა — ეპილეფსიური აკინეტიკური გულყრა — ეპილეფსიის გულყრა რამდენიმე წუთის ხანგრძლივობით. მიმდინარეობს გონების დაკარგვით, დაცემით და უმოძრაობით — კუნთების ტონუსის შენახვით. ძირითადად გეხვდება ბავშვებში.

ლენცის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი რეცესიული, შეკავშირებული X—ქრომოსომასთან. ნიშნები: თვალების ანომალიები (მიკროფტალმი, ენოფტალმი), ჩონჩხის ანომალიები (გრძელი გულმკერდი, ლორდოზი, ხელისა და ფეხის ცალკეული თითების დამოკლება, დაბალი ტანი, ვიწრო მხრები), ზოგიერთი კბილის აგენეზია, ორმხრივი კრიპტორქიზმი, ჰიპოსპადია, შარდსაწვეთების გაფართოება, თირკმელების დისპლაზია, გონებრივი ჩამორჩენილობა.

ლენჰარდის პარაფრენია — აფექტური პარაფრენია. შიზოფრენიის ფორმა, როცა სჭარბობს მრავალობითი ვერბული ჰალუცინაციები, ფსიქიკური ავტომატიზმი და განდიდების მანია, რომელსაც თან არ ახლავს ღრმა ემოციური დეფექტი. სინონიმი: კლაისტის პარაფრენია.

„ლეოპარდის ტყავი", ანუ „ჯიქის ტყავი" — მრავალრიცხოვანი წვრილი სისხლჩაქცევები კანზე, დაჯგუფებული ლაქების სახით. აღინიშნება თრომბოციტოპენიური პურპურის დროს.

ლეონგარდის პარაფრენია — აფექტური პარაფრენია. შიზოფრენიის ფორმა, როცა სჭარბობს მრავალობითი ვერბული ჰალუცინაციები, ფსიქიკური ავტომატიზმი და განდიდების ბოდვა, მაგრამ არ არის ღრმა ემოციური დეფექტი. სინონიმი: კლაისტის პარაფრენია.

ლეოპოლდ-ლევის სინდრომი — ინტერმიტიული თირეოტოქსიკოზი. ტოქსიკური ჩიყვის მიმდინარეობის ნაირსახეობა, რომლის დროსაც ფარისებრი ჯირკვლის გამოხატული ჰიპერფუნქციის პერიოდებს ეუთირეოზის პერიოდები ცვლის.

ლეოტის სინდრომი — სუბჰეპატური პერივისცერიტი. ღვიძლქვეშა პერივისცერიტის კლინიკური სურათი. ნიშნები: ტკივილი მარჯვენა ფერდ-

ქვეშა არეში — არაიშვიათად ქვალის სახით, გულისრევა, მეტეორიზმი, ქრონიკული ქოლეცისტიტისა და პანკრეატიტის ნიშნები.

ლეპენ სინდრომი — ენტეროოქსალურიული სინდრომი. მჟაუნმჟავას მემკვიდრეობითი დიათეზი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ქრონიკული დისპეფსია სპასტიკური ან ატონიური შეკრულობით, რომელიც ცვლება ფაღარათით, მეტეორიზმი, ცალკეული პროდუქტების მოუნელებლობა (ისპანახი, კვერცხი, ბრინჯი), ჰიპატომეგალია, ანამნეზში სიყვითლე, სანაღვლე გზების დისკინეზია ან ქოლელითიაზი, კუპუკანა ჯირკვლის უკმარისობა, ნაწლავების ანომალიები (დივერტიკულოზი, გაფართოება), ნეფროლითიაზი (ოქსალატური კენჭები), ჰიპეროქსალემია, ჰიპეროქსალურია.

ლეპორსკის ხაუზმე — საცდელი საუზმე 300 მლ კომბოსტოს წვენის გამოყენებით, კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გამოსაკვლევად.

ლერის დაავადება ანუ სინდრომი I — ჰიპეროსტოზული ოსტეოპათია, მელორეოსტოზი. მემკვიდრეობითი დაავადება აუტოსომურ — რეცესიული გადაცემით, დამახასიათებელია ერთი ან რამდენიმე გრძელი ლულოვანი ძვლის გამოხატული სკლეროზი, ჰიპეროსტოზი და დეფორმაცია, რასაც თან ახლავს სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა. ხშირია სკლეროდერმია, რბილი ქსოვილების ატროფია და კალცინოზი. სინონიმი: ლერი-ჯოანის სინდრომი.

ლერის პლეონოსტეოზი ანუ სინდრომი II — მემკვიდრეობითი პოლიპოზური დიზოსტომია, აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით. ადგილი აქვს დარღვევებს ჩონჩხის განვითარებაში: ტორსი მოკლეა, თავის ქალა — დიდი, დეფორმირებულია ძვლების სასახსრე დაბოლოებანი, სახსრებში და ხერხემალში მოძრაობა შეზღუდულია, თითები მსხვილია, ძეხვისებური, ფიქსირებულია მოხრილ მდგომარეობაში პირველ ფალანგთაშორის სახსარში. ხასიათდება დაბალი ტანით, ტიპიური მონღოლოიდური სახით, გონებრივი ჩამორჩენილობით, ანთროტროპოზმით.

ლერის სინდრომი III — აღინიშნება ფილტვის მწვერვალის ტუბერკულოზის დროს ნერვულ ელემენტებზე გადიდებული ლიმფური კვანძების ზეწოლის შედეგად. ნიშნებია — ძლიერი ტკივილი და მგრძნობელობის დარღვევა მხრის მიდამოში. შესაძლოა ამ მიდამოს მსუბუქი პარეზიც. სინონიმი: ლერი — მოლინ-დე ტეისიეს სინდრომი.

ლერის სინდრომი IV — პოლიტოპური დიზოსტოზი. განეკუთვნება თანდაყოლილ ენქონდრალურ დიზოსტოზთა რიცხვს აუტოსომურ-დომინანტური გადაცემით. ხასიათდება ჩონჩხის განვითარების დარღვევით. გრძელი ლულოვანი ძვლების დამოკლებით, გასქელებით და გამრუდებით, კისრის მალების დეფორმაციით, ლორდოზით, მრავლობითი ეკზოსტოზებით. ინტელექტი შენახულია. სინონიმი: ლერი-ვეილის სინდრომი.

ლერის ფენომენი, ანუ წინამხრის რეფლექსი — თითებისა და მტევნის მოხრა იწვევს იდაყვის სახსარში მოხრას. განეკუთვნება ღრმა რეფლექსებს, უფრო სწორად პოსტურალურ რეფლექსებს. ლერის ფენომენის გაქრობა შეიძლება შეგვხვდეს როგორც რეფლექსური რკალის, ასევე პირამი-

ხული გზის დაზიანებისას. რეფლექსის არამუდმივობის გამო დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს მის ცალმხრივ გაქრობას, რაც პერიფერიული ნეირონის ფუნქციის შენახვისას მიუთითებს პირამიდული გზის დაზიანებაზე.

ლერი-ჭეილის სინდრომი — სინონიმი: ლერის სინდრომი IV.

ლერი-კინდბერგის სინდრომი — ინფილტრატი ფილტვებში, გამოხატული ლეიკოციტოზით და ეოზინოფილიით. ახასიათებს მწვავე დასაწყისი და ძიმდინარეობა მაღალი სეპტიკური ციებ-ცხელებით, ოფლის დენით, პლევრის ღრუში ზომიერი გამონაჟონით. პროგნოზი კარგია.

ლერი-მოლინ-დე ტეისიეს სინდრომი — სინონიმი: ლერის სინდრომი.

ლერი-ჯოანის სინდრომი — სინონიმი: ლერის სინდრომი I.

ლერიშის დაავადება — მუცლის აორტისა და თეძოს არტერიების ქრონიკულ ოკლუზიასთან დაკავშირებული სიმპტომკომპლექსი, რომელთა ხასიათი და გამოვლინება დამოკიდებულია დაზიანების დონესა და გავრცელების არეზე, ასევე კოლატერული ჭსელის განვითარებაზე.

ლერიშის სიმპტომი — კაროტიდულ-საუღლე ფისტულის არსებობის დროს თავის განზე გადახრისას ფისტულის დამახასიათებელი ნიშნები ჭრება. ეს სიმპტომებია: შუილი (რომელიც ძლიერდება პულსური დარტყმის სინქრონულად) და კისრის კანკალი, თავის ტვინის ვენური შეშუპების ნიშნები, რაც მატულობს საუღლე ვენაზე ზეწოლის, გაჭინთვისა და ფიზიკური გადაძაბვის დროს.

ლერიშ-ზუდეკის სინდრომი — ძვლის ჭსოვილის მწვავე ატროფია, განვითარებული ძვალ-სახსართა მექანიკური დაზიანების ან ანთებითი პროცესის შედეგად. სინონიმი: ზუდეკის სინდრომი.

ლერმიტის დაავადება — სენილური მიოსკლეროზი, — გეხედება ძირითადად ხანშიშესულ ქალებში და გამოიხატება ქვემო კიდურებში შემაერთებელი ჭსოვილის ზრდით, რასაც თან სდევს კუნთების დასუსტება და გამკვრივება, კონტრაქტურა.

ლერმიტის სიმპტომი — უეცარი ხანმოკლე ტკივილი თავის წინ მოხრისას, რომელიც ვრცელდება ხერხემალში ზევიდან ქვეჭით (ელექტროდენის დარტყმის მაგვარად). აღინიშნება ზურგის ტვინის კისრის ნაწილის დაზიანებისას, მაგალითად, გაფანტული სკლეროზის დროს.

ლერმიტის ჰალუცინოზი — პედუნკულური ჰალუცინოზი, მხედველობითი ჰალუცინოზი. ახასიათებს მასიურობა, მოუსვენრობა, ცვალებადობა, ჰალუცინაციების სცენიური ხასიათი, მხედველობითი სახეების მცირე ზომები. აღინიშნება შუა ტვინის ფეხების მიდამოში კეროვანი დაზიანებების დროს.

ლერმუაიეს სინდრომი — მენიერის სინდრომის (იხ.) ფორმა ათეროსკლეროზით დაავადებულთა შორის: სმენის დაქვეითების ხანგრძლივი ეპიზოდები ყურებში ძლიერი შუილით, თავბრუს შეტევებით, რომლის დროს მოვლენები ყურთასმენის მხრივ მცირდება,

ლერმიტ-მონიე-ვენარ-ტსოკანაკის სიმპტომი — ყლაპვის გაძნელება საყლაპავის და ხორხის კუნთების სპაზმის გამო, თავის ტვინის ფუძეში ან კისრის მიდამოში ცდომილი ნერვის პათოლოგიური პროცესის დროს.

ლერმიტ-ტრელის სინდრომი — ლიმფოლეიკოზის ან პერიფერიული ლიმფური სისტემის დაავადებათა ნევროლოგიური გართულებები. ნიშნები: შემოფარგლული პარეზი ან დამბლა, ლოკალური ამიოტროფია, გამოწვეული ლიმფოპროლიფერაციული ქსოვილის მიერ პერიფერიული ნერვების ადგილობრივი ინფილტრაციით.

ლერმოიტის სინდრომი — ვესტიბულური სინდრომი, დამახასიათებელია თავბრუ, შუილი ყურებში, სმენის დაკარგვა, შესაძლოა გულისრევა და პირღებინება. მიმდინარეობა შეტევითია. აღნიშნული მოელენები პერიოდულად იჩენს თავს და თავდაპირველად სრულად წყდება ან მნიშვნელოვნად მცირდება. შემდეგ შეტევათა სიხშირე მატულობს, ფუნქციების აღდგენა კი კლებულობს. შეტევის დროს ელინდება ჰორიზონტული ან ჰორიზონტულ-როტატორული ნისტაგმი. მიზეზია ლაბირინთის სისხლმიმოქცევის მოშლა. ეტიოლოგია: ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტონია, სისხლძარღვთა სხვა დაავადებები, ვეგეტაციური ან ენდოკრინული დარღვევები. სინონიმი: მენიერის სინდრომი.

ლერმუაიეს ნიშანი — კალოირული ნისტაგმი, გამოწვეულია შიდა ყურის ლაბირინთზე სიცივის ან სითბოს ზეგავლენით.

ლეტერერის ავთვისებიანი რეტიკულოზი — სინონიმები: აბტა-ლეტერერ-ზივეს დაავადება (იხ.), ლეტერერ-ზივეს დაავადება, ჰენდ-შულერ-კრისჩენის დაავადება.

ლეტულის სინდრომი — კისტოიდური ლიმფანგიომა. ლიმფური სისტემის თანდაყოლილი ანომალიები. ნიშნები: კისტოიდური ლიმფომა, წარმოშობილი ლიმფური ძარღვების გაფართოებით და შეერთებით. ასეთივე ანომალიებს აქვს ადგილი კისერზე, ენაზე და ტუჩებზე.

ლეფგრენის სინდრომი — მასიური ლიმფური კვანძები ჰილუსებში კანისმხრივი გამოვლინებით. კლინიკა: ჰილუსის ლიმფური კვანძების ორმხრივი სიმეტრიული გაფართოება, კანის ტუბერკულოზური სინჯები უარყოფითია ან დადებითი სუსტად. დამახასიათებელია კვანძოვანი ერითემა, ცხელება და გარდამავალი ტკივილი სახსრებში, გინეკოტროპიზმი. ჩვეულებრივ აღინიშნება სარკოიდოზის დროს.

ლეფგრენის სინდრომი — სარკოიდოზის მწვავე ფორმა, კლინიკურად გამოიხატება ტრიადაში: კვანძოვანი ერითემა, ართრალგია, ფილტვის კარის ლიმფური ჯირკვლების გადიდება. დაავადება იწყება მწვავედ. სახსრების ძლიერ ტკივილთან ერთად აღინიშნება ზოგადი სიმპტომები: სისუსტე, გულისრევა, შემცივნება, პირველად ზიანდება მსხვილი სახსრები, მეტად მუხლის და კოჭ-წვივის სახსარი, რასაც მოჰყვება კვანძოვანი ერითემა. სახსრების ტკივილსა და ფილტვებში ლიმფური კვანძების გადიდებამდე შეიძლება გავიდეს რამდენიმე თვე.

ლეფევრ-პაპაიონის სინდრომი ანუ კერატოდერმია — ფეხისგულ-ხელისგულის ჰიპერკერატოზი პერიოდონტიტით — მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება ფეხის და ხელისგულის კანის გარქოვანებით, რაც გადადის ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა ზედაპირზე და აჩილევსის მყესის მიდამოზე. შერწყმულია კბილების თითქმის სრულ დაცვენასთან,

რაც გამოწვეულია ყბების ალეეორული მორჩების დესტრუქციით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ლეფლერის გულის ფსევდომიტრალური კონფიგურაცია — გულის ფორმის მეორადი შეცვლა, რაც მოგვაგონებს მიტრალურს, გამოწვეულია ფილტვებში ნაწიბუროვანი პროცესებით პერიკარდიუმის გადაადგილებით.

ლეფლერის ენდოკარდიტი — გულის პათოლოგია, გამოხატული გულის უკმარისობით, შერწყმული ვისცერულ დაზიანებასთან (კანი, კუნთები, ძირკმელები, სახსრები, ფილტვები და სხვ.) და ეოზინოფილიასთან. მორფოლოგიურად წარმოადგენს კედლისამყოლ ფიბროპლასტიკურ ენდოკარდიტს თრომბებით, ახასიათებს გენერალიზებული ეოზინოფილური ვასკულიტი და ეოზინოფილიური ინფილტრატები შინაგან ორგანოებში. მსგავსია ეოზინოფილური ვასკულიტისა კედლისამყოლი ენდოკარდიტით, დისემინირებული ვისცერული დაზიანებებისა. სინონიმი: მეკერის დაავადება.

ლეფლერის ეოზინოფილია ანუ სინდრომი I — ფილტვის სწრაფვა უკუქცევადი ინფილტრატი ეოზინოფილიით. წარმოადგენს ალერგიულ — ანთებით რეაქციას ანტიგენზე ბაქტერიული, ინვაზიური და სხვა წარმოშობის, კლინიკურად ვლინდება დაღლილობით, სახსრებში მტკივნეულობით, სველებით. ეოზინოფილია სისხლში აღწევს 10—70%-ს. რენტგენოლოგიურად ფილტვებში ადგილი აქვს სხვადასხვა ზომის და სტრუქტურის ინფილტრატებს, რაც სწრაფად ქრება. ამგვარ ინფილტრაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ორგანოებშიც. სინონიმები: კარტაგენერის სინდრომი, ლეფლერის პნევმონია.

ლეფლერის პნევმონია — სინონიმები: კარტაგენერის სინდრომი, ლეფლერის ეოზინოფილია ანუ სინდრომი (იხ.)

ლეფლერის სინდრომი II — ანუ ლეფლერის ენდოკარდიტი — პარიეტალური ენდოკარდიუმის ანთება ეოზინოფილიით. კლინიკურად ვლინდება მაპროგრესირებელი გულის უკმარისობით და ეოზინოფილიით (50—70%). ტემპერატურული რეაქცია არ აღინიშნება. პათოლოგოანატომურად აღინიშნება მარჯვენა გულის ჰიპერტროფია, მარჯვენა პარკუჭის ენდოკარდიუმში — ფიბროზი. მიზეზი უცნობია, არ არის გამორიცხული ანთება — ალერგიული ან ვირუსული ეტიოლოგიის.

ლეფლერის სინდრომი III — ამ დროს არის ჰილუსის ლიმფური კვანძების ორმხრივი გადიდება, კანის დაზიანება კვანძოვანი ერითემის ტიპით და ცხელება. ეტიოლოგია არ არის დადგენილი. სადღეისოდ ეს სინდრომი მიჩნეულია მწვავე სარკოიდოზის როგორც ერთ-ერთი კლინიკური ვარიანტი.

ლეშკეს ბრონქიოლოექტატიური ემფიზემა — ხრტილოვანი რგოლების და ელასტიკური ქსოვილის განუვითარებლობა და არარსებობა ბრონქების დისტალურ ნაწილზე, მათ მცირე განტოტიანებებში.

ლეშკეს დაავადება, ანუ სინდრომი I — მემკვიდრეობითი პიგმენტური დისტროფია. დამახასიათებელია მრავლობითი ქაოსურად განლაგებული კანის პიგმენტური ლაქები, ფიზიკური და ფსიქიკური განუვითარებლობა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, დარღვევები ენდოკრინული (გენიტალური

დისტროფია, ჰიპოფიზული სიმსუქნე, თირკმელზედა ჯირკვლის დისფუნქცია ადინამიით და ჰიპოტონიით) და ვეგეტატიური ნერვული სისტემების მხრივ. ცნობილია აგრეთვე როგორც ვებერის სინდრომი.

ლეშკეს სინდრომი II — აბორტული მიმდინარეობის ნეიროფიბრომატოზი, (იხ. რეკლინჰაუზენის დაავადება). ხასიათდება კანის მრავლობითი პიგმენტური ლაქებით და ჰიპერგლიკემიით. უეითარდებათ პირებს ასთენიური კონსტიტუციითა და ჰიპერგლიკემიით.

ლეშ-ნაიჰანის სინდრომი — ჰიპერურიკემია, ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი მოშლა, გამოწვეული ფერმენტ ჰიპოქსანტინფოსფორიბოზილტრანსფერაზის დეფიციტით. გამოვლინდება გონებრივი ჩამორჩენილობით, ქორეოატეტოზით, აგრესიული თვითდაზიანების შეტევებით, შარდში შარდმჟავას შემცველობის მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ლეშჩენკოს სინკინეზია — ერთი თვალის ზემო ქუთუთოს აწევა და დაწევა მეორე თვალის ზემო ქუთუთოს პასიური აწევით ან დაწევით. ვირუსული ენცეფალიტის ნიშანი. სინონიმები: ვარტენბერგის ქანაობის სიმპტომი.

ლიაკეს სიმპტომი — მარჯვნივ მეორე ნეკთაშუა არეს მიდამოში, მკერდთან ახლოს ელექტრული დენით კანის გაღიზიანებაზე წარმოიშობა ერითემა. ათაშნაგით გამოწვეული აორტიტის ნიშანია.

ლიამბლევის ხაოები — ხაოებისმსგავსი წარმონაქმნები, განვითარებული გულის მიტრალური ან აორტალური სარქველების გვერდებზე აბაქტერიული ენდოკარდიტების ფორმების დასასრულისათვის.

ლიანას სიმპტომი — ფარისებრი ჯირკვლის მტკივნეულობა პალპაციის დროს, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის ნიშანი.

ლიან-სიგიე-ველტის სინდრომი — დიაფრაგმული თიაქრის, რეფლუქს ეზოფაგიტის, ოთხივე კიდურის მორიციდივე თრომბოფლებიტის და სისხლძარღვთა თრომბოზის და არც თუ იშვიათად რკინადეფიციტური ანემიის შერწყმა. პათოგენეზი გაურკვეველია.

ლიბენსახ სიმპტომი — დაავადებული ქვემო კიდურის განზიდვა ან გაშლა იწვევს კრემასტერის რეფლექსს იმავე ან მოპირდაპირე მხარეზე. ლინიშნება წელის რადიკულიტის დროს.

ლიბერმაისტერის კანონი — მაჯის სიხშირის და სხეულის ტემპერატურას შორის არსებული კანონზომიერების დამოკიდებულება ცხელების დროს: ტემპერატურის მატებას ერთი გრადუსით თან სდევს პულსის გახშირება წუთში რვა დარტყმით.

ლიბერმაისტერის სიმპტომი — ენისმიერი სიმპტომი. სამკურნალო პნევმოთორაქსის დადების დროს წარმოქმნილი საჰაერო ემბოლიის ადრეული სიმპტომი. ენის ან მისი ნაწილის გახევების შეგრძნება და ხაზგასმული გაფერმკრთალება. მიზეზია ჰაერის ბუშტუკების მოხვედრა ენის ღრმა არტერიაში.

ლიბმანის დაავადება — ენდოკარდიუმის არატიპური მეჭეჭოვანი აბაქტერიული ანთება (თითქმის ყოველთვის გვხვდება წითელი მგლურას დროს). სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, ტკივილი კუნთებსა და სახს-

რებში, ერითემა და სისხლჩაქცევა კანში, ღვიძლის, ელენთის და ლიმფური კვანძების გადიდება, ალბუმინურია, ერითროციტურია, ჰიპოქრომული ანემია, ლეიკოპენია, ედს აჩქარება, ჰიპერგამაგლობულინემია. სინონიმები: ლიბმან-საქსის სინდრომი, კაპოში-ლიბმან საქსის სინდრომი.

ლიბმანის ნიშანი — სისხლჩაქცევა კონიუნქტივაში, უფრო ხშირად ქვედა ქუთუთოსი ქვემწვავე სეფსისური ენდოკარდიტის დროს. სინონიმი: ლუკინ-ლიბმანის ნიშანი.

ლიბმან-საქსის ენდოკარდიტი, სინდრომი ანუ დაავადება — სინონიმები: კაპოში-ლიბმან-საქსის სინდრომი, ლიბმანის დაავადება (იხ.).

ლიბოვის სინდრომი — ფილტვების ალვეოლების პროტეინოზი. ალვეოლების პროტეინოზი. პნევმოფსევდოფიბროზის გამოვლინება. ნიშნები: ხველება, ლორწოვანი ნახველი, ქოშინი, ჰემაპტოე, თითები — დოლის ჯოხების მაგვარი, ფილტვების ქვედა წილებში კრეპიტაცია ან სველი ხიხინი, რენტგენოლოგიურად — ორმხრივი სიმეტრიული დაჩრდილვა. დამახასიათებელია პროცესის მიგრაცია. სინონიმები: როზენის სინდრომი, როზენ-კასტლმენ-ლიბოვის სინდრომი.

ლიდეს სინდრომი — ეწოდება არტერიული ჰიპერტენზიის შეუღლებას ჰიპოკალციემია, ჰიპორენინებია, პლაზმაში ალდოსტერონის კონცენტრაციის შემცირება და ნატრიუმის შეკავებასთან. ვლინდება ადრე ბავშვობაში, დაკავშირებულია თირკმლის მილაკებში კალიუმის და ნატრიუმის იონების ტრანსმემბრანულ ტრანსპორტიორების მემკვიდრეობით ცვლილებებთან.

ლიდლის სინდრომი—ფსევდოალდოსტერონიზმი. მემკვიდრეობითი ტუბულოპათიის ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-დომინანტური ან რეცესიული. ნიშნები: სისტოლურ-დიასტოლური ჰიპერტენზია, რომელიც ვლინდება უკვე ბავშვობაში, სისხლის პლაზმის რენინის, ანგიოტენზინის და ალდესტერონის დონის დაქვეითება, ნატრიუმის შეკავება, ჰიპოკალიემია. პათოლოგიის არსია მილაკებში კალიუმისა და ნატრიუმის მემბრანული ტრანსპორტირების დარღვევა.

ლივედო-ანგიიტი — კვანძოვანი პერიარტერიტის კანის ფორმაა. დამახასიათებელია შედარებით კეთილთვისებიანი მიმდინარეობა. ამ დროს აღინიშნება კანის სპეციფიკური ცვლილებები — ლივედო (ლათინური სიტყვიდან livedo-ლები — „სინიაკი"). ლივედო ხასიათდება კანზე მოლურჯო ლაქებით, რომლებიც სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. კიდურის კანზე წარმოიშობა ბადისებრი ქსელი, რომელიც ძლიერდება სიცივის ზემოქმედებით.

ლივერის პემფიგოიდი — ლორწოვანი გარსების პემფიგოიდი. ავადდებიან ძირითადად ქალები 50 წლის ასაკში და უფრო გვიან. სხვა ბუშტუკელებისაგან განასხვავებს სამი კლინიკური ნიშანი: დაავადების ქრონიკული და კეთილთვისებიანი მიმდინარეობა, ცვლილებები ლორწოვან გარსებზე (პირის ღრუში, ცხვირში, კონიუნქტივასა, ყელში, ხახაში, საყლაპავში, სასქესო ორგანოებზე, უკანა — ტანში) და მიდრეკილება დანაწიბურებისადმი. კონიუნქტივა ზიანდება არა ყველა შემთხვევაში და შედარებით იშვიათებით — ზოგჯერ რამდენიმე წლის შემდეგ.

ლიკოპოდიის სინჯი — ფიზიკური დატვირთვის სინჯი გულის კუნთის გარ-

დამავალი ჰიპოქსიის გამოსაწვევად. მწოლიარე ავადმყოფს აძლევენ წინადადებას, რაც შეიძლება მეტხანს შეიკავოს სუნთქვა ღრმა ჩასუნთქვის ფაზაში. ელექტროკარდიოგრამას იღებენ სინჯის დაწყებამდე და უშუალოდ ინსპირაციული აპნოეს შემდეგ. ნორმაში სუნთქვის ხანგრძლივი შეკავებაც კი არ ახდენს არსებით გავლენას ელექტრო-კარდიოგრამაზე. დადებითი სინჯის დროს აღინიშნება გვირგვინოვანი ნაკლოვანების დამახასიათებელი T კბილის ცვლილებები. ST სეგმენტის ცთომა იშვიათია.

ლიმას ართრიტი — უფრო ხშირად ავადდებიან ბავშვები და ახალგაზრდა ასაკის პირები. დაავადების გადამტანია ტკიპა. მისი ნაკბენისაგან 2—6 კვირაში ზურგის ან ქვედა კიდურთა კანზე ჩნდება პაპულა, ცხელება, თავის ტკივილი, ადვილად დაღლა, ქვედა კიდურთა მონო ან ოლიგოართრიტი (უპირატესად მუხლის). მოგვიანებით შეიძლება დაზიანდეს გული, (მიოპერიკარდიტი), ნერვული სისტემა (პერიფერიული ნეიროპათიები, მენინგიტი, ენცეფალიტი).

ლიმონის ქერქის სიმპტომი — სარძევე ჯირკვლის კანის გასქელება და შეშუპება, მასზე საოფლე ჯირკვლების ნასვრეტების მკაფიო გამოხატვით. სარძევე ჯირკვლის კიბოს ნიშანი. სინონიმი: ფორთოხლის ქერქის სიმპტომი.

ლინდერის სიმპტომი — გაშლილი ფეხებით მწოლიარე ან მჯდომარე მდგომარეობაში თავის პასიურად მოხრისას მტკივნეულია გავა-წელის ან საჯდომი ნერვის საპროექციო არე. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ლინიაკის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ცისტინის ცვლის დარღვევით და მისი კრისტალების ჩაღაგებით ძვლის ტვინის რეტიკულურ უჯრედებში, ღვიძლში, ელენთაში და ლიმფურ სისტემაში და ასევე რქოვანას უჯრედებსა და კონიუნქტივაში. დამახასიათებელია ზრდაში ჩამორჩენა, ძვლებში რაქიტისებური ცვლილებების განვითარება, მხედველობის დარღვევა, ამინოაციდურია, გლიკოზურია, ჰიპოფოსფატემია და ანემია. მემკვიდრეობითი გადაცემა რეცესიული ტიპით.

სინონიმები: აბდერჰალდენ-კაუფმან-ლინიაკის სინდრომი, აბდერჰალდენ-ფანკონის სინდრომი, ლინიაკ-ფანკონის სინდრომი.

ლინიაკ-ფანკონის სინდრომი — სინონიმები: აბდერჰალდენ-კაუფმან-ლინიაკის სინდრომი, აბდერჰალდენ-ფანკონის სინდრომი, ლინიაკის სინდრომი.

ლინჩის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპის რეცესიული, შეკავშირებული X — ქრომოსომასთან. ნიშნები: გამშლელი ზედაპირის კიდურთა კანის უპირატესი დაზიანება — იქტიოზი, ევნუქოიდიზმი, მაღალი ტანის, სასქესო ასოს ჰიპოპლაზია, კრიპტორქიზმი, სტერილობა, მაღალი, ინფანტილური ხმა, ზომიერი სიმსუქნე, კიფოზი. სათესლე ჯირკვლების ბიოფსიით — საერთო ატროფია, სპერმატოგენეზის დარღვევა, ლეიდიგის უჯრედების აპლაზია. სინონიმი ლინჩ-ვირსმის სინდრომი.

ლინჩ-ვირსმის სინდრომი — იხ. სინონიმი: ლინჩის სინდრომი.

ლინჩ-კაპლან-მენ-კრაშის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების

კომპლექსი. შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერლიპემია, ჰიპოგონადიზმი, დაბალი ტანი.

ლიონეს სინდრომი — ვირუსული ენცეფალიტისა და მიელიტის მწვავე ფორმა, იწყება ფსიქიკური მოვლენებით, გონების დაბინდვით, ჰალუცინაციებით და სუბფებრილიტეტით; შემდეგ ვლინდება მხედველობის ნერვის ანთება, დვრილის შეშუპება, მხედველობის დაქვეითება, 4—5 კვირაში ტვინისმხრივი სიმპტომები ნელდება და ქრება. მაგრამ მხედველობა არ ემჯობინება და შეიძლება ჩამოყალიბდეს უსინათლობა.

ლიპოატროფიული დიაბეტი — ლიპოდისტროფიული დიაბეტი, მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გენერალიზებული ლიპოდისტროფია, ჰიპერლიპემია, ჰეპატომეგალია, შავი აკანტოზი, ძირითადი ცელის მოშატება, ინსულინორეზისტენტული შაქრიანი დიაბეტი, საკვერცხეების პოლიკისტოზი, კუნთების ჰიპერტროფია, გონებრივი განვითარების შეჩერება, სისტემური და კისტოზური ანგიომატოზი. დაავადება ძირითადად ვითარდება სიცოცხლის პირველ წელს. სინონიმი: სეპის სინდრომი.

ლიპშუტცის მიგრირებადი ერითემა — ქრონიკული მიგრირებადი ერითემა, უცნობი ეტიოლოგიის ინფექციური დერმატოზი, რომელსაც ახასიათებს ტკიპის ნაკბენის ადგილას რგოლისებრი ერითემის წარმოქმნა, რომელიც სწრაფად იზრდება დიამეტრულად და თეთრდება ნაკბენის ცენტრში. სინონიმი: აფცელიუს — ლიპშუტცის ქრონიკული მიგრირებადი ერითემა.

ლიპშუტცის პაპულოზური ფსევდოსიფილიდი — პიოდერმია, რომლის დროსაც გარეთა სასქესო ორგანოებზე ჩნდება პაპულოზური გამონაყარი, მსგავსია გამონაყარისა მეორადი მორეციდივე ათაშანგის დროს.

ლიხაუერის დამბლა — პროგრესული დამბლის ატიპური ფორმა, შედარებით კეთილთვისებიანი გახანგრძლივებული მიმდინარეობით, დამბლისმიერი დემენციის მცირე გამოხატვით და კეროვანი სიმპტომების სიჭარბით (აფაზია, აგნოზია, პარეზები, დამბლები და სხვ.).

ლიხაუერის სინდრომი — სულიერი სიბრმავე, საგნების შეცნობის უნარის დაკარგვა, მხედველობის სიმახვილის, სინათლის და ფერების შეგრძნების შენახვით. ხელის შეხებით საგნების შეცნობაც შენახულია. გვხვდება პათოლოგიური, უფრო ხშირად სისხლძარღვოვანი, პროცესის ლოკალიზაციისას კეფის წილში ან კეფისა და საფეთქლის წილებს შორის კავშირის დარღვევის დროს.

ლიხ დაავადება — მანეკროზებელი ქვემწვავე ენცეფალომიელოპათია — მემკვიდრეობითი დაავადება ნერვული სისტემის უპირატესი დაზიანებით. ადგილი აქვს დემიელინიზაციას, თავის და ზურგის ტვინის თეთრი ნივთიერების პროგრესირებადი დისტროფიით. კლინიკურად ვლინდება პირამიდული და ექსტრაპირამიდული დარღვევებით, თავის ტვინის ნერვების ფუნქციის მოშლით. შინაგან ორგანოთა მხრივ ადგილი აქვს მიოკარდიუმის დაზიანებას.

ლიტენის ნიშანი ანუ შუილი — სისტოლური შუილი ფილტვის არტერიაზე მცირე წრეში წნევის მომატების დროს, რომელიც შესუნთქვისას სუსტდება.

ლიტენის ფენომენი — ჩრდილის ვიწრო ზოლის გადაადგილება გულმკერდზე, მის გვერდებზე VI—VII ნეკნებიდან IX—X ნეკნებამდე. აღინიშნება შესუნთქვის დროს და შეპირობებულია დიაფრაგმის მოძრაობით. ლიტენის ფენომენი არ ვლინდება პლევრისა და ფილტვების ზოგიერთი დაავადების დროს.

ლიტლის დაავადება — ლიტლის თანდაყოლილი ანოქსემიური ემბრიოპათია — ბავშვთა ცერებრული დამბლის ფორმა. დამახასიათებელია ცენტრალური დამბლები, ისე რომ ჰარბობს ქვედა სპასტიკური პარაპარეზი.

ლიტლის ერითემატოიდი — მრავლობითი ზედაპირული ეპითელიომა. კეთილთვისებიანი ეპითელიომა. კანის ზედაპირული კეთილთვისებიანი ეპითელიომა — მრავლობითი ბაზოცელულარული ცერულომები ქრონიკული კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ბრტყელი უმნიშვნელოდ ინფილტრირებული კერები გაერცობილია პერიფერიულად, ჰგავს ფსორიაზს, ზედაპირულ მიკოზს ან ქრონიკულ ეგზემას. უმეტესად ლოკალიზდება სახესა და ტანზე. სინონიმები: არნინგის ეპითელიომა, ვაისის ეპითელიომა.

ლიტლის მრავლობითი ერითემატოზული ეპითელიომა — კანის არადაწყლულებადი ბრტყელი ზედაპირული ბაზალიომა. ტანის ბრტყელი ეპითელიომა — ტანის კანზე მრავლობითი ბაზალიომა ბალთების სახით, რომლებიც დაწყლულებას არ განიცდიან. სინონიმები: არნინგის კარცინოიდი, პედჯეტისებრი ბაზალიომა, პედჯეტისებრი ეპითელიომა.

ლიტლის ფსევდოსინდრომი — ცერებრული გენეზის კუნთების ორმხრივი რიგიდობა კარგი პროგნოზით. ნიშნები: განვითარების შეჩერება, პირველი ღიმილი ჩნდება გვიან, პატელარული რეფლექსების გაძლიერება, მოძრაობითი მოუსვენრობა, კუნთოვანი ჰიპერტონუსის თანდათანობითი შესუსტება. კუნთოვანი ტონუსის სრული ნორმალიზაცია აღინიშნება სიცოცხლის მეექვსე — მეათე თვეზე. უფრო ხშირია ბიჭებში.

ლიტლის წვეტიანი ფოლიკულური დეკალვილებული ლიქენი — წითელი ფოლიკულური დეკალვილებული ლიქენი, იღლიისქვეშა ჩაღრმავებისა და ბოკვენზე კერატოტული გამონაყარის თავის არეში ნაწიბუროვან ალოპეციასთან შერწყმა. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: ფელდმანის წვეტიანი ატროფიული ლიქენი, პიკარდ-ლასიუერ-ლიტლის სინდრომი, ლიტლ-ლასიუერის სინდრომი, გრემ-ლიტლის სინდრომი.

ლიტლ-ლისაუერის სინდრომი — სინონიმები: ლიტლის წვეტიანი ფოლიკულური დეკალვილებული ლიქენი (იხ.), ფელდმანის ბრტყელი წვეტიანი ატროფიული ლიქენი, პიკარდ-ლასიუერ-ლიტლის სინდრომი, გრეჲ-ლიტლის სინდრომი.

ლიტლ-სლოუპერ-დე ვორდენერის სინდრომი — სიმპტომკომპლექსი ავადმყოფში — თირკმლის პერიფერიული არტერიების ანომალიით, შესაძლოა თანდაყოლილი ხასიათისა. ნიშნები: შეტევითი ტკივილი წელის არეში, ჰემატურია, გარდამავალი ცხელება. თირკმლის ფუნქციური სინჯები, ინტრავენური უროგრაფია და იზოტოპური ნეფროგრაფია ნორმიდან გადაუხრელად. თირკმლების ანგიოგრაფიით — შედარებით მცირე ზომის არტერიების სისხლსავსეობის ნაკლოვანება. მორფოლოგიურად — არტერიო-

ლების ინტიმის პროლიფერაცია და ინტერსტიციული ფიბროზის მცირე უბნები.

ლიტრეს თიაქარი — მუცლის წინა კედლის თიაქარი, რომელიც მოიცავს ფერდქვეშა ნაწლავის თანდაყოლილ დივერტიკულს.

ლიუისის სინდრომი — ვაზოვაგალური სინდრომი, ბრადიკარდიულ-ჰიპოტონიური სინდრომები — ბრადიკარდიის შერწყმა კანის საფართა სიფერმკრთალესთან, არტერიულ ჰიპერტენზიასთან, გულის დარტყმითი მოცულობის შემცირებასთან. გამოწვეულია ცთომილი ნერვის ტონუსის რეფლექტორული მომატებით და აღინიშნება როგორც პირველი ხანმოკლე ფაზა ორგანიზმის რეაქციისა სისხლის მწვავე მასიურ დაკარგვაზე.

ლიუისის სინჯი — მაობლიტირებელი ენდარტერიიტის სადიაგნოზო მეთოდი, რომელიც დამყარებულია მწოლიარე ავადმყოფის ჯდომით, ფეხებჩამოშვებულ მდგომარეობაში გადასვლიდან ერთი წუთის შემდეგ ტერფში ციანოზის წარმოშობაზე.

ლიუისის ტრიადა — ლიუსის სამმაგი რეაქცია, ლიუსის სამმაგი პასუხი. სისხლძარღვოვანი რეაქციების თანმიმდევრობა ჰისტამინის კანში შეყვანისას. თავდაპირველად შემოფარგლული ერითემა (გამოწვეული კაპილარების ადგილობრივი გაფართოებით), შემდეგ მისი გავრცობა (არტერიოლების გაფართოების ხარჯზე) და ბოლოს ბუშტუკის წარმოშობა (კანის სისხლძარღვების განვლადობის მომატების გამო).

ლიუტცის ფოლიკულური სერპიგინოზული კერატოზი, ფოლიკულური კერატოზი, მემკვიდრეობითი ფოლიკულური კერატოზი. ახასიათებს მსხვილი ჰიპერკერატოზული პაპულები, შეჯგუფებული რგოლებად ან არასწორი ფორმის ფიგურებად. ლოკალიზებულია კისრის გვერდითა უბნებში, კეფაში და ასევე მუხლებისა და იდაყვების ირგვლივ. სინონიმები: ლიუტც-მიშერის დაავადება, მიშერის პერფორირებადი შიდა დერილისებური მეპეპოვანი ელასტომა.

ლიუტც-მიშერის დაავადება — სინონიმები: ლიუტცის სერპიგინოზული ფოლიკულური კერატოზი, (იხ.), მიშერის პერფორირებადი შიდა დერილისებრი მეპეპოვანი ელასტომა.

ლიუცეიას არაჰემოლიზური სიყვითლე — ახალშობილთა ტრანზიტორული ოჯახური ჰიპერბილირუბინემია, ახალშობილთა ოჯახური სიყვითლე, ახალშობილთა ოჯახური დაავადება — შეპირობებულია ბილირუბინის შეკავშირების დარღვევით, რასაც იწვევს დედის სისხლის შრატში ესტროგენების მაღალი შემადგენლობა, რომლებიც იწვევენ სათანადო ფერმენტული სისტემის ინჰიბირებას. გამოვლინდება სიყვითლით, ზოგჯერ ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნებით.

ლიქვორული ბლოკადის სინდრომი — ზურგ-ტვინის სითხეში ცილის მომატებული რაოდენობის შეუღლება უმნიშვნელო ციტოზთან ან მის არ არსებობასთან და ქსანტიქრომიასთან. გამოწვეულია ზურგის ტვინის სუბარაქნოიდულ სივრცეში გამტარებლობის დარღვევით. აღინიშნება, მაგალითად, ექსტრამედულარული სიმსივნეების, პაქიმენინგიტის დროს. სინონიმები: ფრუენის სინდრომი, ფრუენი — ნონეს სინდრომი, ნონეს კომპრესული სინდრომი.

ლიხტენშტაინის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი საეარაუდოა აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: იმუნიტეტის დეფექტები — ნეოტროფილოპენია, იმუნოგლობულინ A-ს პროდუცირების დაქვეითება, ხშირი ინფექციური დაავადება. ძვლების ანომალიები — პერიფერიული ოსტეოპოროზი, მიდრეკილება მოტეხილობებისადმი, სახის სხვადასხვა ანომალია, კისტები ფილტვებში.

ლიხტენშტაინ-ბრაიცევის დაავადება — ფიბროზული ოსტეოდისპლაზია, ძვლების ფიბროზული დისპლაზია, ფიბროზული ოსტეომია, ოსტეოფიბრომა, ლოკალური ფიბროზული ოსტიტი, ძვლის ლოკალური ფიბროზი — როგორც ჩანს, მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომლის დროსაც ხდება ძვლოვანი ქსოვილის შენაცვლება ფიბროზული ქსოვილით. ამას მიეყავართ დეფორმაციამდე. სინონიმი: იოფე-ლიხტენშტაინის დისპლაზია.

ლიხტენშტერნის სიმპტომი — პარადოქსული დისფაგია, რომლის დროსაც საკვების დიდი ულუფები უფრო ადვილად გადადის კუჭში, ვიდრე მცირე ულუფები. დიაფრაგმის თიაქარის შესაძლო ნიშანი.

ლიხტენშტერნის სინდრომი — ჰემორაგიული მენინგოენცეფალიტი, პირველადი ჰემორაგიული მწვავე ენცეფალიტი, ინფექციური მენინგოენცეფალიტი ინფექციურ-ალერგიული ბუნებისა. ახასიათებს მრავლობითი სისხლჩაქცევები თავის ტვინში და მის გარსებში, მძაფრი დაწყება და მიმდინარეობა კომატოზური მდგომარეობით, თავის ტვინის ღეროს დაზიანების ნიშნებით, ცერებროსპინალურ სითხეში სისხლი, უმეტესად იწვევს გრიპის ვირუსი. სინონიმი: შტრიუმპელ-ლიხტენშტერნის ენცეფალიტი.

ლიხტჰაიმის სინდრომი — ფუნიკულური მიელოზი: ნეეროლოგიურ და ფსიქიკურ დარღვევათა კომპლექსი მძიმედ მიმდინარე B_{12} ვიტამინის დეფიციტური ანემიის დროს (იხ. ადისონ-ბირმერის დაავადება). ადგილი აქვს პარესთეზიებს, ღრმა მგრძნობელობის მოშლას სპინალური ატაქსიით, პიპოტონიას, მყესთა რეფლექსების და მოტორიკის ზოგად დაქვეითებას, პათოლოგიურ რეფლექსებს (ბაბინსკის, როსოლიმოს). მოსალოდნელია მანიაკალური ან დეპრესიული მდგომარეობა, პარანოიდალური ან დელირიოზული ნიშნები. სინონიმები: დეინეს სინდრომი, პუტნამ-დეინეს სინდრომი.

ლმბ-სინდრომი, ანუ ლორენს-მუნ-ბიდლის სინდრომი — მემკვიდრეობითი დიენცეფალურ-რეთინული დეგენერაცია, რაც ვლინდება ოლიგოფრენიით, თანდაყოლილი .სიმსუქნით, ჰიპოტროფიული გენიტალიებით, მაღალი ტანით. აღინიშნება მხედველობის დაქვეითება ან სიბრმავე, სმენის დაქვეითება ან სიყრუე, პოლი-სინდაქტილია, თავის ქალას ანომალიები. სინონიმები: ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეტის სინდრომი, ლორენს-მუნ-როზა-ბალ-ბიდლის სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლორენსის სინდრომი II, ჰეტჩინსონის სინდრომი, ბიმონდის სინდრომი, ბარდეს სინდრომი, მუნის სინდრომი, ლორენს-მუნ-ჰეტჩინსონის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-კალმან-ბარდეს სინდრომი.

ლობატც-კემბელის ფენომენი — აღინიშნება ნეიროდერმიტის დროს: აცეტილ-ქოლინის კანქვეშა ინექციის ადგილის გაფერმკრთალება (ნორმაში აღინიშნება ჰიპერემია).

ლობოს დაავადება — კოლოიდური ბლასტომიკოზი, ამაზონკის ბლასტომიკოზი, ამაზონკის გლენოსპოროზი, კანის ბლასტომიკოზი. იწვევს სოკო, ახასიათებს კელოიდების მსგავსი ხორკლიანი, სიმსივნისმსგავსი კეთაძების წარმოშობა.

ლობრის მიოკარდი — გულის იდიოპათიკური ჰიპერტროფია. აღინიშნება არანორმალურად დიდი ფიზიკური დატვირთების დროს. დამახასიათებელია გულის გადიდება და დაგრძელება მარჯვნივ და მარცხნივ. სინონიმები: მტვირთავის გული; სპორტსმენის გული.

ლობრი-პეცის ხინდრომი — გულის თანდაყოლილი მანკი: პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი და აორტის სარქველის უკმარისობა.

ლობრი-ხულის სინდრომი — საკვებას მომნელებელი სისტემის რეფლექტორული ჰიპოკინეზიის ნიადაგზე განვითარებული მეტეორიზმი, აირის ჭარბი დაგროვება კუჭში და დიაფრაგმის მარჯვენა გუმბათის მაღლა დგომა გულის იშემიური დაავადების დროს.

ლობშტეინის არასრულყოფილი ოსტეოგენეზი, ანუ სინდრომი — არასრულყოფილი შენელებული ოსტეოგენეზი — არასრულყოფილი ოსტეოგენეზი გამოვლინდება პოსტნატალურ პერიოდში, ხშირად მოზრდილებშიც. სინონიმი: ლობშტეინ-ეკმანის სინდრომი.

ლობშტეინის დაავადება, ანუ ტიპი ცისფერი სკლერებისა — არის ჰეევის სიმპტომოკომპლექსის (იხ.), ანუ ედოვსის დაავადების (იხ.), ანუ ადაირ-დაიტონის სიმპტომკომპლექსის (იხ.) მეორე ტიპი. დამახასიათებელია ცისფერი სკლერები, სმენის დარღვევა (სიყრუემდე) და ძვლების მსხვრევადობა, რომელიც პირველი ტიპისაგან განსხვავებით მოგვიანებით („შუშისებრი ადამიანი") ვლინდება. ძვლების მტვრევადობა 25 წლის ასაკის ზემოთ მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

ლობშტეინ-ეკმანის გვიანი არასრულყოფილი ოსტეოგენეზი — იხ. სინონიმი: ლობშტეინის სინდრომი.

ლობშტეინ-ეკმანის სინდრომი — იხ. სინონიმი: ლობშტეინის არასრულყოფილი ოსტეოგენეზი, ანუ სინდრომი.

ლოზერ-დებრეიზ-მილკმენის ხინდრომი — ოსტეომალაციის ადრეული ფორმა. რენტგენოლოგიურად ვლინდება სიმეტრიულად განლაგებული მრავლობითი ძვლის გარდაქმნის ზონებით (უპირატესად ლულოვანი ძვლების დიაფიზებში). კლინიკურად დამახასიათებელია ტკივილი წელსა და ძვლებში. სიარულის დარღვევა, ხერხემლის ზომიერი გამრუდება. სინონიმები: მილკმენის დაავადება, ანუ სინდრომი, ლოზერ-მილკმენის დაავადება.

ლოზერ-მილკმენის დაავადება — სინონიმები: მილკმენის დაავადება, ანუ სინდრომი, ლოზერ-დებრეიზ-მილკმენის სინდრომი.

ლოიდის სინდრომი — ჰიპოფიზის, პარათირეოიდული ჯირკვლებისა და ლანგერჰანსის კუნძულების ადენომების ერთდროული განვითარება.

ლომის სახე — კეთრის შემთხვევაში. ამ დროს ლოყები ჩამოცვენილია, დასიებულია, სახეზე თითქოსდა დიდი რაოდენობითაა კანი, ტუჩები გასქელებულია, ქვედა ტუჩი ჩამოვარდნილია, შუბლი, ცხვირი, ლოყები დაფარულია ხორკლით, წარბები და ზოგჯერ წამწამებიც — დაცვენილია.

ლონუა-ბანსოდის სინდრომი — კისრის დიფუზური ლიპომა, სიმეტრიული დიფუზური ლიპომატოზი, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ცხიმოვანი ქსოვილის პროგრესული მოჭარბებული დალაგება კისრის ირგვლივ. სინონიმი: მადელუნგის სინდრომი.

ლონუა-კლერეტ-ლანჟერონის სინდრომი — ადიპოზო-გენიტალური დისტროფია. ჰიპოფიზალური ადიპოგენიტალური სინდრომი. დამახასიათებელია მეზენცეფალონის დაზიანება და ჰიპოფიზის ჰორმონული დარღვევები. ნიშნები: სიმსუქნე მენჯის მიდამოში; სასქესო ორგანოების განუვითარებლობა. გვხვდება ყველაზე ხშირად სქესობრივი მომწიფების პერიოდში, უპირატესად ბიჭებში. მოზრდილებში აღინიშნება მესამეული სასქესო ნიშნების განუვითარებლობა, ამენორეა, სქესობრივი სისუსტე. მიზეზი უმეტესად სიმსივნეა. სინონიმები: ბაბინსკი-ფრელიხის სინდრომი, ფრელიხის სინდრომი.

ლოჟიეს თიაქარი — ბარძაყის თიაქარი, რომელიც გამოდის ლაკუნური იოგის ხვრელში.

ლორენის ინფანტილიზმის ტიპი — ცხოვრების არასახარბიელო პირობები, განსაკუთრებით ინტენსიური ზრდის პერიოდში და ბავშვობაში გადატანილი სხვადასხვა ქრონიკული დამაძაბუნებელი დაავადებები (მალარია, ათაშანგი, ენდოკარდიტი, ტუბერკულოზი, კოლიტი) იწვევს ფიზიკური განვითარების შეფერხებას სიმაღლეში ზრდის დაბრკოლებით. მძაფრად გამოხატული განუვითარებლობის დროს შეიძლება აღინიშნოს ენდოკრინული სისტემის სხვადასხვა ცვლილება ინფანტილიზმის სახით.

ლორენ-ლევის სინდრომი — აღინიშნება შემდეგი ნიშნების შერწყმა: სქესობრივი მომწიფების შენელება, ჯუჯისებრი სიმაღლე და კანის პიგმენტაციის დარღვევა, თმიანობის არარსებობა (იღლიებსა და ბოქვენთან), ფრჩხილებისა და კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის დისტროფია და ა. შ. მიზეზია პუბერტულ პერიოდში ჰიპოფიზის წინა ნაწილის უკმარისობა. სინონიმი: ბერგმანის სინდრომი.

ლორენსის სინდრომი I — ნივთიერებათა ცვლის დარღვევის კომპლექსი. ნიშნებია: ლიპოდისტროფია, ღვიძლის ციროზი, ზრდის აჩქარება. ბავშვობაში იწყება კანქვეშა ცხიმის გაქრობა, ვითარდება ინსულინორეზისტენტული დიაბეტი — კეტოზისადმი მიდრეკილების გარეშე, ჰეპატომეგალია, მუცლის გადიდება, პორტული ციროზი, საერთო კუნთოვანი ჰიპერტროფია, ძირითადი ცვლის მომატება ჰიპერთირეოზის ნიშნების გარეშე, ჰიპერლიპემია (მატულობს ნეიტრალური ცხიმები), ჰიპერტრიქოზი. სავარაუდოა მემკვიდრეობის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი.

ლორენსის სინდრომი II — იხ. სინონიმი: ლმბ — სინდრომი.

ლორენს-ბიდლის სინდრომი — სინონიმები: ბარდე-ლორენს-ბიდლ-ბიმონდის სინდრომი, ბარდეს სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლმბ — სინდრომი (იხ.).

ლორენს-მუნ-ბიდლის სინდრომი — იხ. (სინონიმი: ლმბ — სინდრომი).

ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეს სინდრომი — იხ. სინონიმი: ლმბ — სინდრომი.

ლორინ-ეპშტეინის სიმპტომი I — ტეტანუსის ადრეული ნიშანი: საღეჭი

კუნთების შეკუმშვა ნახევრად გაღებული პირის დროს, ქვედა ყბაზე მსუბუქი დარტყმისას.

ლორინ-ეპშტეინის სიმპტომი II — ტეტანუსის ადრეული ნიშანი; კიდურთა კუნთების მტკივნეული რიგიდობის წარმოშობა მათი ენერგიული მასაჟის დროს.

„ლორნეტის მსგავსი ხელი" — „თითი — ტელესკოპი", ხრტილის დარღვევამ და ძვლის მნიშვნელოვანწილად განსრუტვამ შესაძლოა გამოიწვიოს მთელი ფალანგების დაკარგვა, რის შედეგად ძვლოვან საფუძველთან შედარებით ხდება კანისა და ქსოვილების გადამეტებული დაგრძელება და ტელესკოპის რგოლებივით მათი ერთმანეთზე დალაგება. აღინიშნება ტკივილის ფენომენი. ეტიოლოგია სხვადასხვაგვარია, მათ შორისაა ფსორიაზი. სინონიმი: მარი-ლეშერის დაავადება, „თითი — ტელესკოპი".

ლორტ-ჟაკობის ატროფიული მუკოსინქიალურ-ბულოზური დერმატიტი — თვალის არააკანტოლიზური ბუშტუკელა. ხასიათდება კონიუნქტივიტის და სხვა ლორწოვანი გარსების დაზიანებით, ჭუთუთოების შეზრდით თვალის კაკალთან და თვალის ჭრილის შეეიწროებით.

ლორტ-ჟაკობის მეჭეჭოვანი კვანძოვანი კერატოდერმია — დისემინირებული ლაქოვანი სიმეტრიული კერატოდერმია, კვანძოვანი, მეჭეჭოვანი კერატოდერმია, ხელისგულ-ფეხისგულის წერტილოვანი კერატოზი, წერტილოვანი პოროკერატოზი — მემკვიდრეობითი კერატოდერმია. ახასიათებს მრავლობითი სიმეტრიულად განლაგებული უბნები გარქვანებისა, მოყვითალო ფერით, ზომით 2—10 მმ. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ბუშკე-ფიშერის სიმეტრიული დისემინირებული ლაქოვანი კერატოდერმია, ბენიეს სიმეტრიულ ერითემატოზული კერატოდერმია, მანტუს დერილოვანი ხელისგულ-ფეხისგულის პოროკერატოზი.

ლორწოვანი გარსების ნევრომების სინდრომი — ანუ მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიის (ტიპი II ანუ ტიპი III) სინდრომი — აღინიშნება სულ სხვადასხვა ორგანოთა და ქსოვილების დაზიანების ფართო სპექტრი (განსხვავებით ტიპი II-დან, ანუ სიპლის სინდრომისაგან, იხ.) ამავდროულად ავთვისებიან პროცესში ჩართულია არა მარტო შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, არამედ ასევე პერიფერიული ნერვული სისტემა.

ლოტლის მრავლობითი ერითემატოზული ეპითელიომა — კანის არადაწყლულებადი ბრტყელი ზედაპირული ბაზალიომა. ტანის ბრტყელი ეპითელიომა, ტანის კანზე მრავლობითი ბაზალიომა ბალთების სახით, რომლებიც დაწყლულებას არ განიცდიან. სინონიმი: პედჯეტისებური ბაზალიომა, ანუ ეპითელიომა.

ლოტშის მარჯნისებრი სახსარი — სახსრის ქონდრომატოზი, სინოვიალური ოსტეოქონდროზი, სინოვიალური ქონდრომატოზი, სახსრის კაფსულის სინოვიალური შრის კეთილთვისებიანი სიმსივნე მრავლობითი კეროვანი ხრტილის მეტაპლაზიის სახით, წარმოშობილი კვანძების შემდგომი გამოცალკევებით სახსრის ღრუში და მათი კალცინოზით.

ლოუ-გეიხრიგის დაავადება — ანუ გვერდითი ამიოტროფიული სკლეროზი. ცენტრალური ნერვული სისტემის პროგრესულად მიმდინარე დაავადება. მთავრდება ლეტალურად სამ-ოთხ წელიწადში.

ლოუვეს, ანუ ლოვეს სინდრომი — ცერებროოკულორენული სინდრომი. ოკულოცერებრორენული სინდრომი. დე ტონ-დებრე-ფანკონის სინდრომს (იხ.) ემატება მოვლენები თვალების მხრივ (სინათლისადმი შიში, ნისტაგმი, თანდაყოლილი გლაუკომა, რქოვანას შემღვრევა, ორმხრივი კატარაქტა, მხედველობის დაკარგვა), გონების დაქვეითება და კუნთოვანი ჰიპოტონია. დაავადების საფუძველია ორნიტინის ტრანსპორტირების დარღვევა, რასაც მოყვება თირკმლების მილაკების დაზიანება, ჰიპერამიდოაციდურია. ავადდებიან მხოლოდ ვაჟები. გადაცემის ტიპი უპირატესად რეცესიულია, შეკავშირებული X ქრომოსომასთან.

ლოუის-კონის სინდრომი — პირველადი ალდოსტერონიზმი თირკმელზედა ჯირკვლების ქერქოვანი შრის სიმსივნის ან ჰიპერპლაზიის ნიადაგზე. პათოგენეზური მნიშვნელობა აქვს ნატრიუმის და წყლის შეკავებას, კალიუმის მომატებულ გამოყოფას შარდთან, აგრეთვე ჰიპოკალიემიას. კლინიკურ სურათში წამყვანია არტერიული ჰიპერტენზია, კუნთების სისუსტე, შესაძლოა ტეტანია. დიაგნოზი ზუსტდება სუპრარენორენტგენოგრაფიით, ალდოსტერონის სისხლში და შრატში განსაზღვრით. სადიფერენციაციო მნიშვნელობა აქვს რენინის კონცენტრაციის განსაზღვრას სისხლში, რომელიც ამ დროს განსხვავებით მეორად ალდესტერონიზმთან მომატებული არ არის. სინონიმი: კონის სინდრომი.

ლოუნ-ჯენონ-ლევინის სინდრომი — პარკუჭების ნაადრევი აღგზნების სინდრომი პარკუჭშიდა გამტარებლობის დარღვევის გარეშე. ადგილი აქვს პარკუჭზედა ტაქიკარდიების განვითარებისაკენ მიდრეკილებისას. ელექტროგრამაზე აღინიშნება PQ ინტერვალის ხანგრძლივობის შემცირება (< 0,12 წამისა), QRS—ST—T — კომპლექსი განსხვავებით ვპვ — სინდრომისაგან (იხ.) არ იცვლება, დაკავშირებულია წინაგულიდან პარკუჭში აღგზნების იმპულსის დამატებითი ანომალიური გზით გატარებასთან ატრიოვენტრიკულური კვანძის გაელის გარეშე. უპირატესად გვხვდება ქალებში გულის ორგანული დაზიანების გამო. სინონიმი: კლერკ-ლევი-კრისტესკოს სინდრომი.

ლოუ-ტერეი-მაკ-ლახლანის სინდრომი — ოკულო — ცერებრო — რენალური სინდრომი. თირკმლების მილაკოვანი მემკვიდრეობითი უკმარისობა გონებრივი ჩამორჩენილობით, კატარაქტით და გლაუკომით. ვლინდება ჩვილთა ასაკში. აღინიშნება ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენილობა, პროპორციული ჯუჯა ტანი, კრიპტორქიზმი, ორმხრივი თანდაყოლილი კატარაქტა და გლაუკომა, ჰიდროფტალმი. შარდში ზომიერი ალბუმინურია, ამინოაციდურია, გლიკოზურია.

ლოუტიტის ანუ ლუტის დაავადება ანუ სინდრომი — ქრონიკულად, დუნედ, კრიზების გარეშე მიმდინარე ჰემოლიზური ანემია. კანი სანთლისფერია, ბილირუბინი სისხლში მომატებული არ არის, ელენთა გადიდებულია, აღინიშნება სფეროციტოზი და რეტიკულოციტოზი, ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა დაქვეითებულია, ე დ ს-ი აჩქარებულია, კუმბსის რეაქცია დადებითია. სინდრომი შესაძლოა ჩამოყალიბდეს მიელომური დაავადების, ინფექციური მონონუკლეოზის, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადების დროს.

ლოფორდის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლებელია გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ან რეცესიული ტიპი. ნიშნები: სახის ანგიომატოზი (სისხლძარღვოვანი ხალი), თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანომალიები, გეიანი გლაუკომა. ეს სინდრომი სტერვეებერის სინდრომის (იხ.) არასრული ფორმაა.

ლოფრენის სინდრომი — ამ დროს არის ჰილუსის ლიმფური კვანძების ორმხრივი გადიდება, კანის დაზიანება კვანძოვანი ერითემის ტიპით და ცხელება. ეტიოლოგია არ არის დადგენილი. სადღეისოდ ეს სინდრომი მიჩნეულია მწვავე სარკოიდოზის როგორც ერთ-ერთი კლინიკური ვარიანტი.

ლუბარშ-პიკის სინდრომი — არის მიელომური დაავადების (რუსტიცკი — კალერის დაავადება — იხ.) გართულება და გულისხმობს სისტემური პარაამილოიდოზის, მაკროგლობულინის, მრავლობითი ეკხიმოზების და ქსანტომების, პროტეინურიის, ჰიპერქოლესტერინემიის, ანურიის შერწყმას.

ლუგოლის ხსნარი — ხსნარი, რომელიც შეიცავს იოდს, კალიუმის იოდიდსა და წყალს შემდეგი შეფარდებით 1 : 2 : 17. გამოიყენება ლაბორატორიულ კვლევაში და ასევე როგორც სამკურნალო საშუალება.

ლუდის გული — ალკოჰოლური მიოკარდიოდისტროფიის მძიმე ფორმა. ახასიათებს ყველა ნაწილის მნიშვნელოვანი დილატაცია, რიტმის და გამტარებლობის დარღვევა, გულის უკმარისობა. კავშირშია ლუდის მოჯარბებულ და რეგულარულ მიღებასთან. შედარებით ხშირია გერმანიაში.

ლუდოვიკოს ანგინა, ფლეგმონა ანუ ანთება — პირის ღრუს ფსკერის ფლეგმონა. ხასიათდება პირის ღრუს ძლიერ მტკივნეული მკვრივი ანთებითი ინფილტრატით. ნიშნები: ნერწყვის დენა, პირის ღრუს ფსკერის მყრალი სუნი, ძალზე გაძნელებული ყლაპვა და ლაპარაკი, შეიძლება გამოიწვიოს მოხრჩობა. მიზეზები — კბილიდან წარმოშობილი ჩირქოვანი პროცესები და პირის ღრუს ფსკერის ანთება. სინონიმი: ჟინუს დაავადება.

ლუი-ბარის სინდრომი — დამახასიათებელია ატაქსია, ტელანგიექტაზიი, თიმუსის ჰიპოპლაზია და ამასთან დაკავშირებული უჯრედული იმუნიტეტის დეფექტი. აღინიშნება ქრომოსომასთან არასტაბილურობა. გვხვდება იმუნოგლობულინების სრული დეფიციტი. ორგანიზმს აქვს მიდრეკილება მძიმე ინფექციური გართულებებისადმი. ამ სინდრომით შეპყრობილ ბავშვებს ხშირად უვითარდებათ სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნეები, ლიმფოსარკომა, შედარებით იშვიათად მწვავე ლეიკოზი, რომელიც განვითარებულია ლიმფოპოეზის წინამორბედი უჯრედიდან. მკურნალობის ეფექტური საშუალება არ არსებობს. პროგნოზი ცუდია.

ლუკინის ნიშანი — იხ. სინონიმი: ლიბმანის ნიშანი.

ლუკინ-ლიბმანის ნიშანი — სინონიმები: ლიბმანის ნიშანი (იხ.), ლუკინის ნიშანი.

ლუმბალგიურ-ჰემატურიული სინდრომი — ამ სინდრომის პათოგენეზში მნიშვნელობა ეძლევა თირკმლის ლოკალურ ჰემოსტაზს, რის დროსაც ხდება თრომბოციტების აქტივაცია და ფიბრინული დეპოზიტების წარმოშობა. კლინიკურ სურათში წამყვანია ლუმბალური და ჰემორაგიული მოვლენები, ისე რომ თირკმლის დაზიანების სხვა ნიშნები არ აღინიშნება.

ლუნდბეკის ხინდრომი — რბილი ხელის სინდრომი. დიაბეტური ანგი-

ოპათიის გამოვლინება. ანამნეზით დიდი ხნის შაქრიანი დიაბეტი, მგრძნობელობის და მოძრაობის დაქვეითება მტევანსა და წინამხარში, იქვე პარესთეზიები, სისუსტე, შებოჭვილობა და ხელის კუნთების ატროფია. ხელის კუნთები პალპაციით მტკივნეულია..

ლურსმანის სიმპტომი — ავადმყოფის მიერ აღწერილი ტკივილი თხემის არეში, როგორც თავში ჩაქედილი ლურსმანი. ისტერიის ნიშანია.

ლურჯი ნევუსი — მუქი- ლურჯი თვალ-ზედაპირის ხალი — ნევუსი. მოლურჯო-მორუხო ლაქები კანზე სამწვერა ნერვის ინერვაციის ზონაში, ზოგჯერ ლოყების ლორწოვან გარსზე და თვალის სკლერაზე. გვხვდება აზიაში, უპირატესად ქალებში. სინონიმი: ოტას ხალი (ნევუსი).

„ლურჯი სკლერების სინდრომი" — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია ძვლების მტვრევადობა (რაც ჩონჩხის დეფორმაციას იწვევს), სმენის დაქვეითება (პროგრესირებადი ოსტეოსკლეროზის გამო) და სკლერების მორუხო-მოცისფრო შეფერილობა. ეს გამოწვეულია სკლერების გათხელებით და მათი გამჭვირვალობის მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ჰუვეს სინდრომი, ვან დერ ჰუვეს სინდრომი, ადაირ-დაიტონის სინდრომი, ედოვსის დაავადება.

ლურჯი ტენოკარდია — ფილტვების ქრონიკული პათოლოგიების დროს ტენოკარდია შესაძლოა განაპირობებული იქნას სისხლის ჰიპოქსემიური შემადგენლობით. კლინიკურად ეს კატჩის სტენოკარდიის მსგავსია (იხ.).

ლუსტის სიმპტომი — ტერფის უნებლიე მოხრა ზევით, ფეხის განზე გაწევა და როტაცია გარეთ, როცა წვივის მცირე ძვალს ვაღიზიანებთ მის თავზე სამედიცინო ჩაქუჩის დარტყმით. აღინიშნება ტეტანიის დროს.

ლუხი-დჩისკოლის სინდრომი — არაპემოლიზური ოჯახური სიყვითლე. მიმდინარეობა მძიმეა. დაავადების არსია გლუკოურონილტრანსფერაზის აქტივობა. ჯანმრთელ ცხოველთა ღვიძლის უჯრედებში ვლინდება დაავადებული ბავშვის სისხლის შრატით.

ლუტემბაშეს დაავადება — მიტრალური სტენოზის თანდაყოლილი შეუღლება ოვალური ხვრელის შეუხორცებლობასთან. ლუტენბაშეს სინდრომის დროს მიტრალური სტენოზი არის შეძენილი — რევმატიული.

ლუტემბაშეს სინდრომი — რევმატიული მიტრალური სტენოზის შეუღლება ოვალური ხვრელის შეუხორცებლობასთან, ლუტენბაშეს დაავადების შემთხვევაში ორივე პათოლოგია თანდაყოლილი ხასიათისაა.

ლუტის დაავადება — ნელი პროგრესირებით მიმდინარე ანემია. კრიზი არ ახასიათებს, კანი ცილისებრ-მოყვითალო, ბილირუბინის დონე სისხლში ნორმალურია, ელენთა გადიდებული; სისხლში სფეროციტოზი, რეტიკულოციტოზი, ედს აჩქარებულია. კუმბსის რეაქცია დადებითია. სპლენექტომია უეფექტოა. ეტიოლოგია უცნობი.

ლუტცის დაავადება — ბრაზილიური ბლასტომიკოზი. სამხრეთამერიკული ბლასტომიკოზი. იწვევს სოკო ბრაზილიური ბლასტომიცი. ავადდებიან უპირატესად მებაღე მამაკაცები ბრაზილიაში. პირისა და ცხვირის ირგვლივ, ლოყების ლორწოვან გარსზე ჩნდება კვანძები, რომლებიც მოგვიანებით წყლულდება, რეგიონულ ლიმფურ კვანძებში ჩნდება ჩირქოვანი ფის-

ტულები. არაიშვიათია დისემინაცია შინაგან ორგანოებში — უპირატესად კუჭ-ნაწლავში. სინონიმები: ალმეიდის დაავადება, ლუტც-სპლენდორ-ალმეიდის დაავადება, ანუ სინდრომი.

ლუტცის სინდრომი — დამახასიათებელია ხელის მტევნებისა და ფეხის ტერფებზე პერიოდულად, განსაკუთრებით ზაფხულობით, სხვადასხვა ზომის ბუშტუკების გამოყრა. შეხორცება ხდება ნაწიბურებისა და პიგმენტაციის გარეშე. სინონიმები: ვებერ-კოკენის სინდრომი, ვესენერის სინდრომი.

ლუტც-ჟანსელმანის დაავადება — ანუ სინდრომი — ალერგიული დაავადება, სახსრების ირგვლივ კვანძების წარმოშობით, ზოგჯერ აღინიშნება რევმატიზმისა და გვიანი ათაშანგის დროს. დაავადება იწყება თანდათანობით, სახსრების ირგვლივ ჩნდება სხვადასხვა ზომის და კონსისტენციის უმტკივნეულო კანქვეშა კვანძები, უპირატესი ლოკალიზაციით იდაყვის, თითების და მენჯ-ბარძაყის ირგვლივ. ვითარდება ართრაგლია, გარდამავალი ცხელება, სისუსტე, კახექსია, დაავადება მიმდინარეობს წლობით, ხშირია რემისიები.

ლუტც-სპლენდორ-ალმეიდის დაავადება ანუ სინდრომი — სინონიმები: ლუტცის დაავადება (იხ.), ალმეიდის დაავადება.

ლუჩიანის სინდრომი — ნათხემისებური ატაქსია. წათხემის სხვადასხვა გენეზის დაზიანების სიმპტომკომპლექსი. ნიშნების ტრიადა: ასთენია, ატონია, ასტაზია. გარდა ამისა არის ჩვეულებრივ ატაქსია, ადიადოკოკინეზი, ჰიპერმეტრია, ბრადილალია, სახსართა გადაჭიმვა, ინტენციური რხევა, ქორეოფორმული ჰიპერკინეზიები.

მაას-კენიგის მეთოდი — გულის მასაჟის გარეგანი მეთოდი — გულმკერდზე ძვალსა და გულის მწვერვალს შორის ხდება რიტმულად ზეწოლა.

მაგატის დაავადება — ვასკულიტი, საფეთქლის არტერიებისა და ბაღურის სისხლძარღვთა საწყისი დაზიანებით. დამახასიათებელია გულისრევა, პირღებინება, თავის ტკივილი (განსაკუთრებით საფეთქლის მიდამოში), უმადობა, წონაში დაკლება, სუბფებრილიტეტი, მხედველობის დაქვეითება. ედს-ი მომატებულია, ადგილი აქვს ჰიპოქრომულ ანემიას, ზომიერ ლეიკოციტოზს — ხშირია რევმატოიდული სიმპტომატიკა, თუმცა დაავადების შერწყმა ჭეშმარიტ რევმატოიდულ პოლიართრიტთან იშვიათია. ჰისტოლოგიური სურათი მოგვაგონებს კვანძოვან პერიარტერიიტს. გვხვდება უპირატესად ქალებში 50 წლის შემდგომ ასაკში. სინონიმები: ჰორტონის დაავადება, ბრაუნის დაავადება, ჰორტონ-მაგატ-ბრაუნის დაავადება.

მაგნუს-კლაინის რეფლექსები — კისრის ტონური და ლაბირინთისმიერი რეფლექსები. თავის პასიური, იშვიათად აქტიური მოძრაობის საპასუხოდ აღინიშნება ერთ-ერთი კიდურის ან რომელიმე სეგმენტის გაშლა და ექსტენზორული ტონუსის მომატება სხეულის იმ მხარეზე, საითაც მიბრუნებულია თავი; ხოლო მოპირდაპირე მხარეზე — კიდურთა მოხრა კუნთთა ტონუსის დაქვეითებით (კისრის ტონური რეფლექსი). მსგავსი ცვლილებები აღინიშნება ე. წ. ლაბირინთის რეფლექსის დროს. გვხვდება პირამიდული გზების, ნათხემის, ექსტრაპირამიდული გზების და წითელი ბირ-

თვის დაზიანების, სიმსივნის, ათეტოზის, ჭორეის, ეპიდემიური ენცეფალიტის, ტუბერკულოზური მენინგიტისა და სხვათა შორის.

მაგრას-ლეონარდის სინდრომი, ანუ პნევმონია — ეოზინოფილური ძონოციტური პნევმონია. მწვავე ინფექციურ-ალერგიული წარმოშობის მიმდინარე კეროვანი პნევმონია გამოხატული ეოზინოფილიით და მონოციტოზით.

მადელუნგის დაავადება I, ანუ სინდრომი — ახასიათებს კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის დიფუზური მატება, უპირატესად კისრის არეში. აღწერილია სხვადასხვა სახელწოდებით: ცხიმოვანი კისერი, კამეჩის კუზი, ცალწუწი, კისრის ირგვლივი ლიპომა, კისრის კეთილთვისებიანი სიმეტრიული ლიპომატოზი, ლონუა-ბენსოდის ადენომატოზი, ბუშკეს დაავადება. მიმდინარეობა პროგრესულია. მკურნალობა ქირურგიული.

მადელუნგის დაავადება II, ანუ დეფორმაცია — განვითარების ანომალიაა სხივის ძვლის გაძვალების და ზრდის დარღვევა, რაც გახაპირობებს კიდურის დამახინჯებას, მტევნის გადახრით ხელისგულისკენ. გამოვლინდება მოზარდთა ასაკში ან სიყმაწვილეში.

მათიეს დაავადება — იწვევს იქტეროჰემორაგიული ლეპტოსპირა. დასნებოვნება ხდება კანიდან, ლორწოვანიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. ბუნებაში გამომწვევის რეზერვუარი ძირითადად თაგვებია. ინკუბაციური პერიოდი 8—15 დღეა, დასაწყისი უეცარი, შემცივნებით, ტემპერატურით 40 გრადუსამდე.

მათიეს სიმპტომი — შხეფისმაგვარი ხმა ჰიპის მიდამოში დარტყმითი პალპაციის დროს. ნაწლავის გაუვალობის ნიშანია. კლინიკური ნიშნებია თავის და კუნთების ტკივილი, მრავლობითი ჰემორაგიები კანში, ლორწოვანასა და კონიუნქტივაში, ღვიძლსა და ელენთის გადიდება, სიყვითლე, მომდევნო პერიოდში ნეფრიტის სიმპტომები. დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა. სინონიმები: ფიდლერის დაავადება, ლანდუზის დაავადება, ეეილის დაავადება, ვასილიევ-ვეილის დაავადება.

მაიერის დიზეგრაცია — დიზეგრაცია — ქცევის დარღვევა. შეპირობებული თავის ტვინის ორგანული დაზიანებებით. ტერმინი უმთავრესად გავრცელებულია ამერიკულ ფსიქიატრიაში.

მაიერის რეფლექსი — პროპრიოცეპტული რეფლექსი, ფიზიოლოგიური რეფლექსი, ხელის მე-2, მე-3 თითის ძლიერი მოხრის დროს ძირითად ფალანგებში ადგილი აქვს ცერის მოზიდვას (უმთავრესად ფალანგებში) და ოპოზიციას (ზოგჯერ მის გაშლასაც).

მაიერის ცრუ ჰემოგლობინურია — ჰემოგლობინურია, განვითარებული არა ჰემოგლობინემიის მიზეზით, არამედ თირკმლის სისხლძარღვებში ერითროციტების დაშლის გამო.

მაიერ-როკიტანსკი-კიუსტერის სინდრომი — იხ. სინონიმი: კიუსტერის სინდრომი.

მაიკლ-უელსის სინდრომი — მემკვიდრეობითი სიმპტომების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადება იწყება ახალგაზრდა ასაკში შემცივნების რეციდივებით. აღინიშნება ხანმოკლე ურთიკარია, საერთო სისუსტე, სმენის დაქვეითება სრულ სიყრუემდე. ნევრო-

ზული სინდრომი, სათესლე ჯირკვლების ატროფია, სქესობრივი მოთხოვნილების დაკარგვა, გლაუკომა, ჰიპერგლობულინემია, ჰიპერქოლესტერინემია, ედს-ის აჩქარება, პროტეინურია, ჰიპერამინოაციდურია, აზოტემია.

მიკსნერის ტიპის ციროზი — პორტული ციროზის, ლაენეკის ციროზის (იხ.) კლინიკური ვარიანტი. ამ დროს ციროზის ჯერ კიდევ ლატენტურ პეროიდში ადგილი აქვს პორტული ჰიპერტენზიის გამოვლინებას. კლინიკურად გამოიხატება სასიკვდილო სისხლდენით, რომლის დიფერენციული დიაგნოზი გართულებულია.

მაიმუნის დაავადება — გვხვდება ძირითადად აფრიკაში. მაიმუნებში და აქედან ადამიანში. დაავადება იწყება მწვაევედ. დამახასიათებელია ცხელება, გულისრევა, ღებინება, ტკივილი მთელ სხეულში, დიარეა, გამონაყარი, კონიუნქტივიტი, ჰემორაგიული დიათეზი, ენცეფალოპათია, თირკმლის მწვაევე უკმარისობა. სინონიმები: მარბურგ-ფრანკფურტის დაავადება, მარბურგის ცხელება.

მაიოკის პურპურა, ანუ დაავადება — ანულური ტელანგიექტაზია, ანულური ტელანგიექტაზიური პურპურა. იშვიათი სინდრომია და გვხვდება უფრო ბიჭებში, ვიდრე გოგონებში. დამახასიათებელია სიმეტრიული ანულური სხვადასხვა დიამეტრის გამონაყარი წვივებზე, ბარძაყებზე, დუნდულოს კუნთებზე, იშვიათად სხეულის ზედა მიდამოში. აწეულია სისხლძარღვთა კედლის განვლადობა (არატრავმული), პერიფერიული სისხლის სპეციფიკური ცვლილებების გარეშე. პროგნოზი კარგია. მკურნალობა სიმპტომური. ამავე ჯგუფში გაერთიანებულია რანდიუ-ოსლერ-ვებერისა და მოლერ-ბარლოვის დაავადება.

მაიოკის ტრიქოფიტული გრანულომა — ტრიქოფიტიის ინფილტრატულ-დაჩირქებადი ფორმა. ხასიათდება თავის თმიანი ნაწილის კანში აქრობადი ლაქებით, სადაც არ არის თმა, გვხვდება გიგანტურ-უჯრედოვანი შენების გრანულომებით წარმოქმნილი კვანძები და ბორცვები.

მაი-პეგლინის ანომალია — იშვიათი ოჯახური ანომალია. განეკუთვნება თრომბოციტოპენიურ თრომბოციტოპათიას. გენი გადაეცემა დომინანტური ტიპით. დამახასიათებელია თრომბოციტოპენია, დიდი 2—5 მიკრონი ზომის ჩანართების არსებობა ნეიტროფილებში. გიგანტური თრომბოციტები ასევე შეიცავენ გრანულებს მცირე რაოდენობით. კლინიკური გამოვლინებები არა აქვს. ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება სისხლდენა. თრომბოციტების სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებულია 3 დღემდე (ნორმა 8—11 დღე), ძვლის ტვინში აღწერილია მეგაკარიოციტების ციტოპლაზმის შეჯგუფება. კლინიკა და მკურნალობა იგივეა, რაც ბერნარდ-სულიეს თრომბოციტების თანდაყოლილი ჰემორაგიული დისტროფიის დროს.

მაკ არდლის დაავადება — მეხუთე ტიპის გლიკოგენოზი, მიოფოსფორილაზური უკმარისობა — გლიკოგენოზი, განპირობებული კუნთოვანი გლიკოგენ-ფოსფორილაზის უკმარისობით. გამოვლინდება კუნთების სისუსტით, კუნთოვანი სპაზმით, ტაქიკარდიით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმი: მაკ არდლ-შმიდ-პირსონის დაავადება.

მაკ არდლ-შმიდ-პირსონის დაავადება — სინონიმი: მაკ არდლის დაავადება.

მაკ ბერნეის სიმპტომი — მტკივნეულობა მუცლის წინა კედელზე ხელის დაჭერისას მაკ ბერნეის წერტილში (იხ.), აპენდიციტის ნიშანია. სინონიმი: გრეის სიმპტომი.

მაკგინ-უაიტის სინდრომი — ფილტვების არტერიის ემბოლიით ავადმყოფებში ელექტროკარდიოგრაფიული სიმპტომოკომპლექსი: ღრმა S და Q_3 ღრმა და უარყოფითი T_3 კბილი.

მაკგიოკა-რიდის სინდრომი — კანის მემკვიდრეობითი სიმპტომოკომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: საფეთქლის ორივე მხარეს დანაოჭებული კანის უბნები, რაც მეანის სატაცის ნაკვალევს მოგვაგონებს. ჰისტოლოგიურად მეზოდერმული დისპლაზია კანქვეშა ცხიმის თითქმის სრული გაქრობით. ჩონჩხის კუნთები მჭიდროდაა მიხორცებული ეპიდერმისთან.

მაკ დუფიეს სინდრომი — მანეკროზებელი ვენულიტი. მანეკროზებელი ვენოანგიიტი. ნიშნები: გამონაყარი კანზე, კანის საფარისა და ლორწოვანი გარსების შეშუპება, სპეციფიკური კომპლემენტის აქტივაცია ცხვირის და ლოყების ლორწოვანზე, ტუჩებზე, პირის ღრუში, ქვედა კიდურებზე ლოკალიზებული პაპულები, სახის გამონაყარი, ადგილი აქვს აგრეთვე ართრალგიას, თირკმლების ზომიერ უკმარისობას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევებს, ადენოპათიას. ცვლილებებს თვალების მხრივ (კერატიტი, კონიუნქტივიტი, ეპისკლერიტი). სინდრომი განეკუთვნება ჰიპერიმუნურ პროცესებს. პათოლოგოჰისტოლოგიურად — ვენულოკაპილარული ზონის არჩევითი დაზიანება. უფრო ხშირად ავადდებიან ქალები. რისკ ფაქტორებია ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქოპნევმონია და თამბაქოს წევა.

მაკელი-დვორკენ-ბილას სიმპტომი — „ელენთის ნაკეცის სიმპტომი". ძლიერი ტკივილი, რომლის მიზეზია ელენთის ნაკეცში მსხვილი ნაწლავის დაჭიმვა (გაბერვა). ჩვეულებრივ ერთდროულად თან სდევს სპასტიკური მოვლენები. ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს დეფეკაციის ან აირებიდან განთავისუფლების შემდეგ.

მაკენზის ნიშანი — მკერდის ძვლიდან მარცხნივ (მარჯვენა გულის არეში) ისაზღვრება პალპატორულად დიფუზური, გახშირებული პულსაცია, როგორც მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის გამოხატულება. აქვე სისტოლის დროს ზოგჯერ შეინიშნება შედრეკილობა. ფილტვისმიერი გულის კლინიკური ნიშანია.

მაკიუინის სიმპტომი — გაბზარული ჭოთნის სიმპტომი — თავის ქალის პერკუსიით მიღებული ხმიანობა, რომელიც მოგვაგონებს გაბზარული თიხის ჭოთანზე დარტყმით მიღებულ ხმიანობას, თავის ქალის შიდაწნევის მომატების ნიშანია.

მაკ კართის თვალზემო რეფლექსი — წარბზევითა რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: წარბებზევითა რკალზე მსუბუქი დარტყმის დროს ქუთუთოების ხამხამი.

მაკ კარის სინდრომი — იდიოპათიკური ოჯახური ჰიპოგლიკემია. ჰიპოგლიკემიური ნიშნებია — სისუსტე, ოფლიანობა, ტრემორი, კრუნჩხვა, კომა. ხშირია ჰიპოგლიკემია უზმოზე. ექვსი — ათი წლის ასაკში აღინიშნება სპონტანური რემისია. ლეიცინის დატვირთვით (150—200 მგ 1 კგ-ზე) კან-

მრთელებში მიიღება შაქრის უმნიშვნელო დაქვეითება სისხლში. ავადმყოფებში ეს დაქვეითება 25—30%-ის ტოლია.

მაკ კენზის სიმპტომი — მუცლის კედლის წიწა წაწილის კაწის ჰიპერესთეზია იმ სათანადო მიდამოში, სადაც მუცლის ღრუში მწვავე ანთებითი პროცესია.

მაკ კენზის სინდრომი — ცერებრულ-ოკულო-რენული სინდრომი, ცერებრულ-ოკულო-რენული დისტროფია: ტვინის, თვალებისა და თირკმლების მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული, დაავადება იწყება ადრეულ ბავშვობაში. ნიშნები: ანორექსია, განვითარების შეჩერება. მორეციდივე ღებინება, დისპეფსია, კუნთების ჰიპოტონია, რქოვანას ორმხრივი შემღერება, ფოტოფობია, ნისტაგმი, კრუნჩხვები, კრიპტორქიზმი, მეტაბოლური აღკალოზი, ჰიპონატრიემია, ჰიპერკალიემია, აზოტემია, აციდურია, ჰიპოსთენიურია, პროგნოზი ძნიმეა. სიკვდილის მიზეზია თირკმლების უკმარისობა.

მაკ კიტრიკ-უილკოქის სინდრომი — ნაწლავის ადენომით ავადმყოფებში ელექტროლიტური დარღვევების სიმპტომკომპლექსი. ვლინდება ჩვეულებრივ მოხუცებულობის ასაკში. ნიშნები: პროფუზული ქრონიკული ლორწოვანი ფაღარათი (სისხლი განავალთან ერთად არ აღინიშნება), ტენეზმი, დეჰიდრატაცია, მიდრეკილება სისხლის მიმოქცევის დარღვევისადმი, ჰიპონატრიემია, ჰიპოკლორემია, ჰიპოკალიემია, იშვიათად გასინჯვისას (პალპაცია, რექტალური გასინჯვა, რექტოსკოპია) სიგმაში ან სწორ ნაწლავში შესაძლებელია ადენომის დადგენა.

მაკ კლინტოკის სიმპტომი — მშობიარობიდან ერთი საათის შემდეგ გულისცემის სიხშირე აღემატება ას დარტყმას და ის მყარია. ეს მიუთითებს მშობიარობის შემდგომ სისხლდენაზე.

მაკ კლიურ-ოლდრიჩის ხინჯი — ჰიდროფილობის სინჯი, ბუშტუკის სინჯი, ფარული შეშუპებისა და შეშუპებისადმი მიდრეკილების გამოვლინების სინჯი. დამყარებულია კანში ქლორიანი ნატრიუმის სტერილური ხსნარის შეყვანით წარმოშობილი ბუშტუკის ნაადრევ გაწოვაზე. სინონიმი: ოლდრიჩის სინჯი.

მაკ ლენინის სინდრომი — პროქტალგია. ანალური ხვრელის მიდამოში რეფლექსური შეტევის მსგავსი ტკივილი. ნიშნები: ანალური სფინქტერის მიდამოში ხანმოკლე ტკივილი, რომელიც შეიძლება გავრცელდეს ღრმად. ხშირია ზეწოლის შეგრძნება გულის მიდამოში, ფერმკრთალობა, ოფლიანობა, შეკრულობა, ბუასილი, პროსტატიტი, პროქტოსიგმოიდიტი. სინონიმი: თაისინის სინდრომი (იხ.).

მაკლეოდის სინდრომი — მაკლეოდის სიმპტომი. ბრონქიოლების ცალმხრივი დახშობის კლინიკურ-რენტგენოლოგიური სურათი. აქეა ერთდროულად ფილტვის სისხლძარღვთა ცალმხრივი პათოლოგია. ნიშნები: თვალსაჩინო მიზეზების გარეშე იწყება პროგრესირებადი ქოშინი, ინტერმიტირებული, ცალ ფილტვზე ისმის შესუსტებული სუნთქვა, კრეპიტაცია.

მაკ მაგონ-ტანგაუზერის დაავადება — ბილიარული ციროზის მიმდინარეობის ხანგრძლივი სურათი. ვითარდება შეძენილი ან ვირუსული ჰეპატიტის გახანგრძლივებული ფორმებისა და მედიკამენტოზური ქოლესტაზის

შედეგად ანდა ღვიძლის შიდა სანაღვლე გზების თანდაყოლილი ატრეზიის შედეგად.

მაკრატლის სიმპტომი — გამართული ფეხების პასიურად განზე გაწვეისას წარმოქმნილი ტკივილისა და წინააღმდეგობის რეაქცია. კოქსიტის ადრეული ნიშანი. სინონიმი: ვარდენის მაკრატლის სიმპტომი.

მაკ ქუარიხ სინდრომი — ოჯახური იდიოპათიკური ჰიპოგლიკემია. სპონტანური იდიოპათიკური მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ინსულინის შენელებული დაშლით, რისი მიზეზიცაა ინსულინაზის ენზიმური ბლოკი. დამახასიათებელია უზმოზე განვითარებული საერთო სისუსტე, ოფლიანობა, ჰიპერფაგია, ტრემორი, კრუნჩხვები, კომის განვითარება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

მალასიმილაციის სინდრომი — ნაწლავთა ფუნქციის მოშლა, რასაც იწვევს მალდიგესტიისა და მალაბსორბციის სინდრომები. ეს აავადმყოფები ცუდად იტანენ რძეს და რძის პროდუქტებს.

მალაბსორბციის სინდრომი — კლინიკური სიმპტომოკომპლექსი განვითარებული წვრილ ნაწლავში აბსორბციის დარღვევის შედეგად. ხასიათდება ნივთიერებათა ცელის მოშლით — ცილოვანის, ცხიმოვანის, მინერალურის, წყალ-მარილოვანის, ვიტამინების. ადგილი აქვს მუდმივ სტეატორეას და კრეატორეას. დამახასიათებელია ძლიერი სისუსტე, კვების დაქვეითება კახექსიამდე, ოსტეოპოროზი, მძიმე შემთხვევებში ოსტეომალაცია, კანის და ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სხეულის შეშუპება, შესაძლოა პოლიგლანდულარული უკმარისობა, მარაზმი. ღვიძლის ალიმენტური ციროზი. სისხლში: ანემია, ჰიპოპროტეინემია. შეიძლება იყოს პირველადი — გენეტიკური ენზიმოპათიის შედეგად, მეორადი დაკავშირებული თირეოთოქსიკოზთან, ჰიპოპიტუიტარიზმთან, გულის უკმარისობასთან და უმთავრესად კი კუჭნაწლავის სხვადასხვა დაავადებასთან და დიგესტიკურ ტრაქტზე ოპერატიულ ჩარევის შემდგომ ცვლილებებთან. სინონიმი: დარღვეული შეწოვის სინდრომი.

მალაის ქალაქური ტიფი — წითელი პარტახტიანი ტიფი. მექსიკური ტიფი, მანჯურიული ტიფი. იწვევს რიკეტსია მიოსერი. გადამტანია უპირატესად რწყილი, რომლის პატრონია თაგვი. კლინიკა მსგავსია ეპიდემიური პარტახტიანი ტიფის, თუმცა მიმდინარეობა არის უფრო მსუბუქი და ხანმოკლე. დიაგნოზი ისმება ლაბორატორიული გამოკელეევებით. სინონიმები ჰონის დაავადება, მეკსის დაავადება.

მალბრის ლეიკემია — ექსპერიმენტული ლეიკოზი, გამოწვეული ლაბორატორიულ ცხოველებში კუპრის გადამუშავების პროდუქტების პარენტერალურად შეყვანით.

მალდიგესტიის სინდრომი — ნაწლავებში საკვების მონელების მოშლა.

მალერიხ ნიშანი — ნამშობიარევი ქალის მაჯის აჩქარება სხეულის ტემპერატურის მომატების გარეშე. მშობიარობის შემდგომი თრომბოფლებიტის არამუდმივი ნიშანია.

მალერ-მიშელისიხ სიმპტომი — ტემპერატურის მოულოდნელი მომატება და მაჯისცემის გახშირება გულით ავადმყოფებში ოპერაციის ან მშო-

ბიარობის შემდეგ. მიჩნეულია, როგორც თრომბოფლებიტის წინასწარი ნიშანი.

მალმროზ-ბედვალის სინდრომი — „პოსტპრიმული“ ცვლილებები. ესება ტუბერკულოზის პირველ მცირე ცვლილებებს, ჩვეულებრივ, ფილტვების ზედა მესამედში. უნვითარდებათ მანამდე ტუბერკულოზით არაინფიცირებულ პირებს.

მალორი-ვეისის სინდრომი — იხ. მელორი-ვეისის სინდრომი.

მალტის ცხელება — გიბრალტარის ცხელება. ხმელთაშუა ზღვის ცხელება. მელიტოკოკოზი. მელიკოკცია — ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს მიკროორგანიზმები ბრუცელას ჯგუფიდან. ადამიანს გადაეცემა ავადმყოფი ცხოველიდან ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ჩვეულებრივ მიმდინარეობს ქრონიოსეფის ტიპით, პოლიმორფულობით. სინონიმები: ბალარ-მილერ-დაენ-პეს სინდრომი, ბანგის დაავადება.

მალჩის სიმპტომი — ავადმყოფს არ ძალუძს გამოყოს ენა. აღინიშნება პარტახტიანი ტიფის დროს. მიზეზია ენისქვეშა ნერვის ბირთვების დაზიანება. სინონიმი: სტერლინგ-ოკუნევსკის სიმპტომი.

მალპერგ-შენანტეს დაავადება — დანეკროზებული ეპითელიომა. კალციფირებული ეპითელიომა. კეთილთვისებიანი სიმსივნე, საწყისად ითელება ცხიმოვანი ჯირკვლის მოხეტიალე ელემენტები, თმა ან თმის პარკის მატრიქსი. ჩვეულებრივ, სოლიტარული სიმსივნე მდებარეობს კანქვეშა ქსოვილში კანის ნებისმიერ ადგილზე. სიმსივნე მოძრავი და მტკივნეულია. სინონიმი — მალპერგის კანის ეპითელიომა.

მანგანოტის ბეილიტი — ქვემო ტუჩის კიბოსწინა მდგომარეობა. მრგვალი ან ოვალური, ოდნავ ამაღლებული, ხშირად მორეციდივე ეროზიები.

მანგანცინ-ბარეს სინჯი — პირამიდული გზების მხარის დაზიანების გარკვევის დიაგნოსტიკური ხერხია. ემყარება შემდგომ სინჯს: ავადმყოფს, რომელიც თავდაღმა წევს მოხრილი წვივებით სწორი კუთხით, მისი პარეზული ფეხი ნელა ეშვება ქვემოთ, მიუხედავად კუნთების ხილული დაჭიმვისა. სინონიმი: ბარეს ქვედა სიმპტომი.

მანიანის სიმპტომი — ავადმყოფს აწუხებს ტაქტიური ჰალუცინაციები თითქოს კანქვეშ წვრილი, უცხო სხეულები ან მწერები ჰყავს. ნიშანდობლივია კოკაინით მოწამელის დროს.

მანიანის ქრონიკული ბოდვა — ჰალუცინაციური-ბოდვითი შეშლილობა, ბოდვითი ფსიქოზი, რომელსაც ახლავს განვითარების შემდეგი ფაზები: მოუსვენრობა, დევნის მანია, სმენითი ჰალუცინაციები, განდიდების მანია, დემენცია.

მანის სინდრომი — დამახასიათებელია თვალის კაკლის მოძრაობის ცალმხრივი შეზღუდვა ატაქსიის მხარეს ასევე თავის ქალასშიდა წნევის მომატება და სისხლძარღვოვანი დარღვევები. აღინიშნება თავის ტვინის კონტუზიის ან კომოციოს შემდეგ.

მანკოპფის სიმპტომი — მაჯის აჩქარება, სისხლის წნევის მომატება, ზოგჯერ სახის ციანოზი და ოფლიანობა, როცა დაავადებულ ადგილზე ხდება ზეწოლა. სინონიმი: რუმპფის სიმპტომი.

მანკოპფის ფენომენი — ტკივილისა და მსგავსი გაღიზიანებისას მაჯის სიხშირე არ მატულობს. აღინიშნება კატატონური სტუპორის დროს.

მანროს სიმპტომი — მტკივნეულობა მანროს წერტილში ზეწოლის დროს. აპენდიციტის ნიშანი.

მანსონის პოზი — ტროპიკული კონტაგიოზური ბუშტუკელა, ბულოზური ტროპიკული იმპეტიგო, სტაფილოდერმია. ხასიათდება ბუშტუკების წარმოშობით სეროზულ ჩირქოვანი შიგთავსით, ძირითადად კანის ნაკეცებში, გვხვდება ცხელსა და ნესტიან ქვეყნებში, უფრო ხშირად ქალებსა და ბავშვებს შორის.

მანსონის შისტომატოზი — ნაწლავთა შისტომატოზი, გამოწვეული შისტოსომა მანსონით, დაავადება მიმდინარეობს ალერგიის მოვლენებით, მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის დაზიანებით და ჰელმინტთა კვერცხების მიგრირებით. გავრცელებულია აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.

მანტუს დვრილოვანი ხელიხა და ფეხისგულების პოროკერატოზი — დისემინირებული ლაქოვანი სიმეტრიული კერატოდერმია, კვანძოვანი მეჩეჭოვანი კერატოდერმია, ხელისგულისა და ფეხისგულების წერტილოვანი კერატოზი. წერტილოვანი პოროკერატოზი — მემკვიდრეობითი კერატოდერმია. ახასიათებს მრავლობითი მოყვითალო-მოყავისფრო გარქოვანების სიმეტრიულად განლაგებული უბნები, მემკვიდრეობის ტიპი: აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ბენიეს სიმეტრიული ერითემატოზური კერატოდერმია, ლორტ-ჟაკობის მეჩეჭოვანი კვანძოვანი კერატოდერმია, ბუშკე-ფიშერის სიმეტრიული დისემინირებული ლაქოვანი კერატოდერმია.

მანტუს სინჯი — ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისათვის განკუთვნილი ალერგიული სინჯი, რომელიც დაფუძნებულია ტუბერკულინის კანში შეყვანაზე.

მაუნდ-ჰერტვიგის სინდრომი — თვალის კაკლების ვერტიკალური დივერგენცია (დაზიანების მხარეს თვალის კაკალი უფრო დაბლაა, ვიდრე მეორეს), რასაც თან ერთვის ორივე თვალის გადახრა ჯანმრთელ მხარეს. გვხვდება პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის დროს ნათხემის ფეხებსა და ოთხგორაკში.

მანჯურიული ტიფი — წითელი პარატახტიანი ტიფი. მექსიკური ტიფი, მალაის ქალაქური ტიფი.

მარანიონის სიმპტომი — გულაღმა, ფეხებგაშლილ მდგომარეობაში მწოლიარე ავადმყოფისათვის მკერდისაკენ თავის პასიური დახრისას დამახასიათებელია ტერფის დიდი თითის გაშლა. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანებისა და თავის ტვინის გარსების გაღიზიანების დროს.

მარანიონის სინდრომი I — ძვალ-ენდოკრინული ტრიადა ქალებში: სკოლიოზი, ბრტყელტერფიანობა, ოვარიული ჰიპოფუნქცია.

მარანიონის სინდრომი II — ენდოკრინული სიმპტომების კომპლექსი მამაკაცებში. ნიშნები: სათესლე ჯირკვლების ჰიპერტროფია, გინეკომასტია, ზომიერი სიმსუქნე.

მარბურგის ტრიადა — გაფანტული სკლეროზის სამი ნიშნის ერთად არსებობა: ცენტრალური პარეზები, მუცლის ფარის რეფლექსების გამო-

ვარდნა, მხედველობის ნერვის დისკების ბიტემპორული გაფერმკრთალება ან მათი ატროფია.

მარბურგის ცხელება — მაიმუნის დაავადება (იხ.).- სინონიმები: მარბურგ-ფრანკფურტის დაავადება.

მარბურგ-ფრანკფურტის დაავადება — მაიმუნის დაავადება (იხ.). სინონიმი: მარბურგის ცხელება.

მარდენ-უოკერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ბლეფარომორფიზმი, მიკროგნატია, სახის გაყინული გამომეტყველება, კიფოსკოლიოზი, კიდურთა სხვადასხვაგვარი კონტრაქტურა, ქათმის გულ-მკერდი, არაქნოდაქტილია, თირკმლების პოლიკისტოზი (მიკროცისტები).

მარეიას სიმპტომი — ამ დროს წინამხარზე სისტოლური წნევა მხართან შედარებით რამდენადმე მეტია. აღინიშნება აორტის ნახევარმთვარისებრი სარქველის ნაკლოვანების დროს.

მარის დაავადება I — ფილტვისმიერი ჰიპერტროფიული ოსტეოპათია გრძელი ლულოვანი ძვლების სკლეროზისა და ჰიპეროსტოზის შერწყმა ფრჩხილების ფალანგების დოლის ჯოხებისმაგვარად გასქელებით. ადგილი აქვს ზოგიერთი შინაგანი სნეულების დროს (ფილტვების ჩირქოვანი და სიმსივნური პროცესები, ბრონქოექტაზიური დაავადება, გულის დაავადებები და უკმარისობა, ღვიძლის ციროზი და ა. შ.). სინონიმი: მარი-ბამბერგერის დაავადება.

მარის დაავადება II — ზედა კიდურების ცერებრული ჰერედოატაქსია. ხასიათდება სიარულის გაძნელებით, ზედა კიდურების ინკოორდინაციით, მხედველობის ნერვთა დერილების ატროფიით და სკანდირებული მეტყველებით. გვხვდება 30 წლის ასაკის შემდეგ. ხასიათდება ნელი მიმდინარეობით. აკუთვნებენ მემკვიდრეობით დაავადებათა ჯგუფს.

მარის სიმპტომი — იშვიათი ხამხამი. აღინიშნება პარკინსონიზმის განვითარების დროს მის ადრეულ სტადიებში.

მარის სინდრომი — სინონიმი: მარი-ლერის სინდრომი (იხ.).

მარი-ბამბერგერის სინდრომი — იხ. სინონიმი: მარის დაავადება.

მარი-ბოვერის დაავადება — დეჟერინ-სოტის ჰიპერტროფიული ნევრიტის (იხ.) ფორმა. ხასიათდება ეგზოფთალმის, ინტენსიური კანკალისა და სკანდირებული მეტყველების შერწყმით.

მარი-გილენის სიმპტომი — ხელის მტევნის თავისებური პოზა — ბოლო თითი მოხრილია ბოლომდე, ხოლო I-ლი და მე-2 ნახევრად მოხრილ მდგომარეობაშია. აღინიშნება სირინგომიელიის დროს.

მარი-ლერის დაავადება — უცნობი ეტიოლოგიის ანთებადი დაავადება, ქრონიკული პოლიართრიტის ნაირსახეობა. დამახასიათებელია ხელისა და ფეხის სახსრების ფართო დამახინჯებული დარღვევები, ძვლების ოსტეოლიზი, დეფორმაცია. ხელი და ფეხი ღებულობს ლორნეტის ფორმას. აქედან: სინონიმები „ლორნეტის ფორმის ხელი“ და „ლორნეტის ფორმის ფეხი“.

მარი-ლერის სინდრომი — აკრომეგალია. დაავადებას საფუძვლად

უდევს ჰიპოფიზისმიერი სომატოტროპული ჰორმონის ჭარბი პროდუქცია ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპერპლაზიის ან ადენომის ნიადაგზე. დამახასიათებელია ხელის მტევნების, ფეხის ტერფების, ცხვირის, ტუჩების, ყურების, ქვედა ყბის და შინაგანი ორგანოების ზომაში გადიდება. თუ დაავადება განვითარდა, ზრდის დასრულებამდე ვითარდება გიგანტიზმი. შესაძლოა სხვაგვარი ჰორმონული ძვრები, რომლის კლინიკური ნიშნებია: იმპოტენცია, ფემინიზაცია ან მასკულინიზაცია, ჰიპერგლიკემია. სინონიმები: მარის სინდრომი, რეკლინგჰაუზენის სინდრომი, ფრიტცშე — კლებსის სინდრომი.

მარიხ მემკვიდრეობითი ნათხემისებრი ატაქსია — მემკვიდრეობითი ნათხემისებრი ატაქსია, ნათხემისებრი გერედოატაქსია, მემკვიდრეობითი დაავადებაა. დამახასიათებელია ნელად მზარდი ნათხემისებრი დარღვევები, შერწყმული პირამიდული გზების დარღვევებთან. გამოვლინდება ატაქსიით, მყესთა რეფლექსების გაძლიერებით, შენელებული სკანდინირებული მეტყველებით, თვალის მოძრაობათა მოშლით, მხედველობის დარღვევებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: პიერ-მარის დაავადება.

მარი-ლეშერის დაავადება — „ლორნეტის მსგავსი ხელი", „თითი — ტელესკოპი", ხრტილის დარღვევამ და ძვლის მნიშვნელოვანწილად განსრეტამ შესაძლოა გამოიწვიოს მთელი ფალანგების დაკარგვა, რის შედეგად ძვლოვან საფუძველთან შედარებით ხდება კანისა და ქსოვილების გადამეტებული დაგრძელება და ტელესკოპის რგოლებივით მათი ერთმანეთზე დალაგება. აღინიშნება ტკივილის ფენომენი. ეტიოლოგია სხვადასხვაგვარია, მათ შორისაა ფსორიაზი.

მარი-ფუას რეფლექსი — პათოლოგიური დაცვითი რეფლექსი: ტერფის მოხრა კოჭ-წვივის სახსარში და ფეხის მოხრა მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. გამოიწვევა ფეხის თითების ფეხისგულისკენ ძლიერი პასიური მოხრით. ადგილი აქვს პირამიდული გზების დაზიანებისას. სინონიმი: ბეხტერევ-მარი-ფუას რეფლექსი.

მარი-ფუა-ალაჟუანინის დაავადება — ნათხემის გენიანი ატროფია, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება, რომელიც ვლინდება ნათხემის ატროფიით, პურკინიეს უჯრედების დაზიანებით და ხასიათდება წონასწორობის დარღვევით, არამყარი სიარულით, რომბერგის სიმპტომით (იხ.). აღინიშნება ხანშიშესულთა ასაკში.

მარილების დაკარგვის სინდრომი — მარილებისაგან გამოფიტვის სინდრომი — არტერიული ჰიპოტონიის შერწყმა ადინამიასთან, ექსიკოზთან, კუნთების ფიბრილურ შეკუმშვებთან, გულის მუშაობის დარღვევასა და ფსიქიკის მოშლასთან. გამოწვეულია ორგანიზმის მარილებისმიერი გაღარიბებით (უპირატესად ნატრიუმისა და კალციუმისა). აღინიშნება ხანგრძლივი ღებინების, პოლიურიის დროს.

მარინ-ამტას სინდრომი — პირის გაღებისა და ღეჭვის დროს ქუთუთოების დახუჭვა. აღინიშნება სახის ნერვის ნევრიტის აღდგენით პერიოდში.

მარინესკუს სინდრომი — ანუ დაავადება — ამიოტროფიის ნაირსახეო-

ბა. ახასიათებს ატროფიის გაერცელება სხეულის თითქმის ყველა კუნთზე, გარდა კისრისა და სახის კუნთებისა. დასაწყისში დამახასიათებელია ტკივილი, რასაც თან სდევს მგრძნობელობის მნიშვნელოვანი მოშლა და ცვლილებები ძვლებში.

მარინესკუ-დრაგანესკუ-ვასილიუს სინდრომი — მემკვიდრეობითი დავადება, გადაცემათა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. ხასიათდება ნათხემისებრი ატაქსიით, ოლიგოფრენიითა და კატარაქტით. სინონიმები: მარინესკუ-შეგრენ-გარლანდის სინდრომი, მარინესკუ-შეგრენის სინდრომი.

მარინესკუ-რადოვიჩის რეფლექსი — ხელისგულ-ნიკაპის სიმპტომი, პალმომენტალური რეფლექსი, ორალური ავტომატიზმის რეფლექსი, ნიკაპის კუნთის შეკუმშვა (ნიკაპის კანის ზევით ცდომით) ხელის მტევნის ხაზობრივ გაღიზიანებაზე (სხეულის იმავე მხარეზე პირველი თითის შემაღლების დონეზე). აღინიშნება ქერქ-ბირთვების გზების დაზიანების დროს.

მარინესკუ-შეგრენის (ანუ სეგრენის) სინდრომი — სინონიმები: მარინესკუ-დრაგანესკუ-ვასილიუს სინდრომი, (იხ.). მარინესკუ-შეგრენ-გარლანდის სინდრომი.

მარინესკუ-შეგრენ-გარლენდის სინდრომი — სინონიმები: მარინესკუ-შეგრენის სინდრომი, მარინესკუ-დრაგანესკუ-ვასილიუს სინდრომი (იხ.).

მარინესკუ-ჰირშბერგის სიმპტომი — ტერფის მოზიდვა და შიგნითა როტაცია ფეხისგულის შიგნითა კიდის ხაზობრივი გაღიზიანებისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს. სინონიმი: ჰირშბერგის რეფლექსი.

მარინიონის სინდრომი — ენდოკრინული ანომალიების კომპლექსი ქალებში. ნიშნები: სიმსუქნე, ცხელება, თირეოტოქსიკოზი, ეგზოფტალმი, დაღლილობა, მოუსვენრობა, თავის ტკივილი, ლეიკოციტოზი, მაღალი ედს.

მარიონის დაავადება — შარდის ბუშტის ყელის თანდაყოლილი ჰიპერტროფია. გამოვლინდება მოშარდვის გაძნელებით. გვხვდება ძირითადად გოგონებში. ეტიოლოგიურ მომენტად თელიან შარდის ბუშტის ქვემო ნაწილის ინერვაციის დარღვევას.

მარკელოვ-რავინსკის კოეფიციენტი — მხარ-საფეთქლის კოეფიციენტია. წარმოადგენს მაქსიმალური არტერიული წნევის საფეთქლის ზედაპირულ არტერიაში და მხრის არტერიაში შეფარდების მაჩვენებელს. ენიჭება მნიშვნელობა თავის ტვინის სისხლმიმოქცევის მდგომარეობის შეფასებისას.

მარკეზანის სინდრომი — მარფანის (იხ.). გაუკუღმართებული სინდრომი. თანდაყოლილი დაავადება. დამახასიათებელია: ჯუჯისებურობა, თვალის სიმპტომები, ბრაქიდაქტილია. გვხვდება უპირატესად გოგონებში და არაიშვიათად შეუღლებულია განვითარების სხვა მანკებთან, კერძოდ გულის მანკებთან.

მარკიაფავას დაავადება — ალკოჰოლური ენცეფალიტის ნაირსახეობა, ადგილი აქვს ალკოჰოლურ ფსიქოზს, დემენციას, დიზართრიას, ინტელექტის დაქვეითებას, უმადობას, კუნთების ტონუსის მომატებას, თვალების მოძრაობის დარღვევას, სინონიმი: მარკიაფავა-ბინიამის სინდრომი.

მარკიაფავას სინდრომი — შეძენილი ჰემოლიზური ანემიის ნაირსახე-

ობა. ღაძის პაროქსიზმული ჰემოგლობინურია. მიმდინარეობს მსუბუქი სიყვითლით, ანემიით, ელენთისა და ღვიძლის გადიდებით, ჰემოსიდეხუ-რიით, შეტევისას ჰემოგლობინურიით, თრომბოციტოპენიით, რეტიკულოცი-ტოზით. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა ნორმალურია. კრი-ზის დროს — გულის ფრიალი, კუნთების ტკივილი, საერთო სისუსტე, ეტი-ოლოგია უცნობია, პროგნოზი მძიმე. სინონიმები: სტრუბინგ-მარკიაფავას სინდრომი, მარკიაფავა-მიკელის ანემია, მარკიაფავა-ნაზარის სინდრომი, ჰარლეის დაავადება.

მარკიაფავა-ბინიამის სინდრომი — იხ. სინონიმი: მარკიაფავას დაავა-დება.

მარკიაფავა-მიკელის ანემია ანუ სინდრომი — სინონიმები: მარკიაფავას სინდრომი, (იხ.). სტრუბინგ-მარკიაფავას სინდრომი, ჰარლეის დაავადება, მარკიაფავა-ნაზარის დაავადება.

მარკიაფავა-ნაზარის დაავადება — სინონიმები: პარლეის დაავადება, მარკიაფავა-მიკელის დაავადება, სტრუბინგ-მარკიაფავას დაავადება, მარკია-ფავას სინდრომი (იხ.).

მარკუზეს აპრაქსია — აპრაქსია იდიატორული. ავადმყოფს არ შეუძ-ლია შეადგინოს თანმიმდევრული მოძრაობის გეგმა, რთული მოძრაობითი აქტის შესასრულებლად. იხ. სინონიმები: ბონგეფერის ასოციაციური აპრაქსია, პიკის იდიატორული აპრაქსია.

მარკუს-გუნის ფენომენი — პალპებრომანდიბულური სინკინეზია — პი-რის გაღების და ქვედა ყბის განზე გაწევის დროს ადგილი აქვს ფტოზის საწინააღმდეგოდ ჩამოწეულ ქუთუთოს უნებლიე მაღლა აწევას. პათოლო-გიური სინკინეზიის სახეობაა. აღინიშნება თვინის ტვინის ღეროს ზოგიერთი დაზიანების დროს, რასაც თან სდევს ფტოზი. სინონიმი: გუნის სიმპტომი.

მაროტეუქს-ლემიხ სინდრომი—მემკვიდრეობითი დაავადებაა, გადაცე-მის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. დამახასიათებელია ნერვული სისტემის პათოლოგიურ პროცესში ჩართვა, რქოვანას შემღერვა. გონებრივი ჩა-მორჩენილობა არ აღინიშნება. შარდში მომატებულია ქონდროიტინსულფა-ტის რაოდენობა. მკურნალობის ეფექტური საშუალება არ არსებობს. პროგნოზი არაკეთილსაიმედოა. სინონიმი: ჰურლერ-პფაუნდლერის სინ-დრომი.

მაროტო-ლამის სინდრომი — პიქნოდიზოსტოზი. ჩონჩხის მემკვიდრეო-ბითი კეთილთვისებებიანი გენერალიზებული ქონდროდისტროფია, დიზოს-ტოზი და დისპლაზია. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჯუჯასებრი დისპროპორციული სიმაღლე, მოკლე კიდურები, კრა-ნიოცეფალური დისტროფია — შედარებით დიდი თავი, დიდი ყიფლიბანდი არ იხურება სიმწიფის ასაკამდე, ქვედა კიდურის ჰიპოპლაზია, კბილების განლაგების ანომალია, კარიესები, სპონტანური მოტეხილობები, გულ-მკერდის ყაფაზის ანომალიები, თითების ჰიპოპლაზია, ბრაქიდაქტილია, ფრჩხილების ჰიპოპლაზია, გონებრივი განვითარება ნორმალური.

მარსელის ცხელება — მარსელის რიკეტსიოზი, ტუნისის ენდემიური ტიფი, ხმელთაშუა ზღვის ტკიპის ცხელება — მწვავე ინფექციური დაავა-დება. დამახასიათებელია ცხელება, რომელიც იწყება ერთბაშად. პირვე-

ლად აფექტს წარმოადგენს პატარა წყლული, მუქი-ყავისფერი გავრცელებული მაკულო-პაპულოზური გამონაყარით. ეპიდემიურია ძირითადად სმელთაშუა ზღვის, შავი და კასპიის ზღვებით სანაპიროებისათვის. სინონიმი: ქარდუჩ-ოლმერის დაავადება.

მარტინი-ბალესტრას სინდრომი — ფილტვების იდიოპათიკური ატროფია. ბულოზური ემფიზემის ფორმა. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფილტვების ნორმალური სურათის თანდათანობით გაქრობა. სინონიმი: ბერკის სინდრომი.

მარტინ-ბოსვილის სინდრომი — მწვავე სისხლჩაქცევა რბილ სასაში. ავადმყოფს უეცრად ეუფლება უცხო სხეულის შეგრძნება ყელში, გულისრევა, მოხრჩობის გრძნობა, ყლაპვის მოშლა, უპირს ლაპარაკი. წოლით მდებარეობაში სიმპტომები მატულობს. ობიექტურად ვლინდება რბილი სასის მრავლობითი ჰემატომები. გვხვდება მხოლოდ ზრდადასრულებელთა შორის. წარმოშობით პოლიეტიოლოგიური ხასიათისაა, სისხლის კოაგულაციური თვისებების მხრივ ძვრები არ აღინიშნება. სინონიმი: ბოსვილის სინდრომი.

მარტინ-დუ მანის სინდრომი — ხორხის და ბრონქების კატარალური ანთება ქრონიკული სურდოს, ფილტვების მწვერვალზე პერკუტორული ხმის მოყრუებისა და კრეპიტაციის თანხლებით. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ფილტვების გამქვირვალობის ჰომოგენური დაქვეითება.

მარტინის ინდექსი — გულის სიგრძის შეფარდება გულმკერდის კედლის განივ კვეთთან განსაზღვრული ტელერენტგენოგრაფიით. მომატებულია გულის დაავადებების დროს, რომლებსაც მიეყავართ მისი რენტგენოლოგიური ჩრდილის გაფართოებასთან. შემცირებულია ფილტვების ემფიზემის დროს.

მარტინ-ოლბრაიტის ფხვნდოჰიპოპარათირეოიდული სინდრომი — ოჯახური მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული პარათირეოიდული ჯირკვლების ჰორმონთა ქსოვილებისმიერი უტილიზაციის დარღვევებით. ნიშნები: ჰიპოკალციემია, ჰიპოფოსფატიემია, აქონდროპლაზია, გონებრივი განვითარების არასრულყოფილობა, ტეტანიის შეტევები, კატარაქტა, ფრჩხილების დისტროფია. დიაგნოსტიკურ-სადიფერენციაციო მნიშვნელობა ენიჭება პარატჰორმონით მკურნალობის უეფექტობას. სინონიმები: ოლბრაიტის სინდრომი, ოლბრაიტ-ბანტამის სინდრომი.

მარტინოვ-როვსინგის სიმპტომი — ტკივილი მუცელში, რომელიც გამოწვეულია აორტის წნულზე ნალისებრი თირკმლის ყელის ზეწოლით.

მარტინს-ბანზემანის თანდაყოლილი მიოტონია — თანდაყოლილი მიოტონია. ვლინდება ადრე ბავშვობაში. ნებისმიერი უნებლიე მოძრაობისას აღინიშნება კუნთების გახანგრძლივებული შეკუმშვა (მიოტონური რიგიდობა). იგივე მოძრაობის გამეორებისას კუნთების დაჭიმვა თანდათანობით ქრება და მოძრაობა თავისუფალი ხდება. სიმპტომები ძლიერდება დაძაბუნებისას, ფიზიკური გადაძაბვისას, სიცივისა და ემოციების დროს. დაავადება ნელა პროგრესირებს. სინონიმები: ოფენოვსკის ფარული მიოტონია, თომსენის დაავადება, სტენ-გრიჭსონის მიოტონია, ვესტფალ-თომსენის დაავადება.

მარტლენდის სინდრომი — მოკრიჟეთა სინდრომი. პოსტრავმული ენცეფალოპათია პროფესიონალ მოკრიჟეებში. ნიშნები: თანდათანობით მატულობს ემოციური არამდგრადობა, შენელებულია აზროვნება და მეტყველება, ქვეითდება მეხსიერება, ტვინის განმეორებითი არაძლიერი კონტუზიების შედეგად ყალიბდება მრავლობითი სკლეროზის კლინიკური სურათი. ელექტროენცეფალოგრამა მიუთითებს თავის ტვინის ქერქის ატროფიულ პროცესზე.

მარტორელის სინდრომი I — მაღალი და მყარი არტერიული ჰიპერტენზიის მქონე ხნიერ ქალებს წვივების მიდამოში აქვთ სიმეტრიულად განლაგებული წყლულები. პულსი ქვედა კიდურთა არტერიაზე კარგი ავსებისაა.

მარტორელის სინდრომი II — სპონტანური მტკივნეული კუნთებშიდა სისხლჩაქცევები. ნიშნები: მოულოდნელი ტკივილი ფეხებში, წვიებზე ჩნდება ექხიმოზები; კუნთებშიდა ვენური სისტემის თრომბოზის ნიშნები: შეშუპება, ციანოზი, ტკივილი, არტერიის სპაზმის ნიშნები, კანის ტემპერატურის დაქვეითება, დიდი წვივის უკანა და სხვა არტერიის პულსაციის შესუსტება, ოსცილომეტრიული ინდექსის შემცირება, ტკივილის გაძლიერება კანქვეშ სიარულის დროს, განსაკუთრებით კიბეზე ასვლისას.

მარტორელ-ფაბრეს სინდრომი — პულსის დაკარგვის სინდრომი. ხასიათდება აორტის და მსხვილ სისხლძარღვთა კედლის ანთებით და დისტროფიული ცვლილებებით, სტენოზირებით, შიდა არტერიული თრომბების ჩამოყალიბებით, ორგანოთა იშემიით. ზემო კიდურებზე პულსი არ ისინჯება, ქვემო კიდურებზე კი კარგადაა გამოხატული. ეტიოლოგიურ ფაქტორად ასახელებენ ათაშანგს, არტერიოსკლეროზს, ტუბერკულოზს, რევმატიზმს. არ არის გამორიცხული დაავადების კოლაგენოზური ხასიათი. პროგნოზი სერიოზულია. სინონიმები: ტაკაიასუს სინდრომი, ტაკაიასუს აორტიტი, მაობლიტირებელი ბრაქიოცეფალური არტერიიტი, აორტის ინფერტირებული კოარკტაცია, მრავლობითი მაობლიტირებელი პანარტერიიტი, აორტის რკალის სინდრომი, ონიშის დაავადება.

მარფანის გაუკუღმართებული სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, აუტოსომურ-რეცესიული გადაცემით, დამახასიათებელია დაბალი ტანი, განუვითარებელი კიდურები, ბრაქიდაქტილია, თვალის ცვლილებები (სფეროფაკია, მიკროფაკია, გლაუკომა, აკომოდაციის დარღვევა). სინონიმები: ვეილ-მარკენაზის სინდრომი. მარკენაზის სინდრომი.

მარფანის დაავადება — არაქნოდაქტილია, აკრომაკრია, დოლიქოსტენომელიალია, თანდაყოლილი მეზოდერმული დისტროფია. დაავადებას ახასიათებს არაქნოდაქტილიის თანაარსებობა თვალების, ჩონჩხის და ვისცერულ დეფექტებთან. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: დოლიქოცეფალია, პროგნატიზმი, კიფოზი, ძაბრისებრი გულმკერდი, კიდურთა დაგრძელება, არაქნოდაქტილია, სახსართა რეკურვაცია (უპირატესად მუხლის), ბრტყელტერფიანობა, აორტის ანეირიზმა, არტერიების ანომალიები, გულის სარქველებისა და ძგიდეების დეფექტები, თიაქრები, დიდი ყურები, თირკმლების ექტოპია, მიოპია, ბროლის ექტოპია, სიელმე, კატარაქტა, ძვლების მეტაფიზურ ნაწილთა ოსტეოპოროზი და სხვ.

სინონიმები: დენი-მარფანის სინდრომი, მარფან-აშარდის სინდრომი, მარფან-ერბის სინდრომი.

მარფანის პუნქცია პერიკარდიუმისა — პერიკარდიუმის ჩხვლეტა მახვილისებრი მორჩის ქვეშ. ტარდება ექსუდატიური პერიკარდიტის დროს.

მარფანის სიმპტომი — ენის წვერის სამკუთხედი ფორმის ჰიპერემიული უბანი მუცლის ტიფის დროს.

მარფანის ფსევდოსინდრომი I — ჩონჩხის და კანის მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა. საჭარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. მარფანისმსგავსი გარეგნობა და გარეგნული იერი, სახსრების ძალზე თავისუფალი შლა, კანის დაზიანებები. თვალების და გულის ანომალია არ გვხვდება. იგივეა მარფანოიდული სინდრომი I.

მარფანის ფსევდოსინდრომი II — მემკვიდრეობითი ანომალიების სინდრომი. საჭარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. მარფანოიდური გარეგნობა, პირის ღრუს, თვალების, ცხვირისა და ხორხის ლორწოვანი გარსის ნევრომები, პროქსიმალური მიოპათია, იშვიათად — ფეოქრომოციტომა და ფარისებრი ჯირკვლის კიბო. იგივეა მარფანოიდული სინდრომი II.

მარფანის ფსევდოსინდრომი III — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: მარფანოიდური გარეგნობა, მსხვილი ნაწლავისა და შარდის ბუშტის მრავლობითი დივერტიკული, საზარდულისა და ბარძაყის მორეციდივე თიაქრები. იგივეა მარფანოიდული სინდრომი III.

მარფან-აშარდის სინდრომი — სინონიმები: მარფანის სინდრომი (იხ.), მარფან-ერბის სინდრომი, დენი-მარფანის სინდრომი.

მარფან-ერბის სინდრომი — სინონიმები: მარფანის სინდრომი, მარფან-აშარდის სინდრომი, დენი-მარფანის სინდრომი.

მარშალის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: სახის დისპლაზია, ეგრეთ წოდებული ბულდოგის სახე, კბილების ანომალია — ადენტია, ჰიდროტონია, კბილების გაორება, მიკროდენტია, ფსევდოპროგერია, თვალების ანომალიები — სიელმე, კატარაქტა, გლაუკომა, თვალის ფსკერზე პიგმენტური დისტროფია, სმენის ცალმხრივი ან ორმხრივი თანდაყოლილი დაქვეითება, რომელიც სიყრუეში გადადის. საერთო ჰიპოჰიდროზი. თმის საფარი ნორმალური.

მარშალ-უაიტის სინდრომი — ქრონიკული ვაზოკონსტრიქტული ლაქა. ვაზოპათიის გამოვლინების ფორმა. არაიშვიათად სისტემური ვასკულიტის ადრეული გამოვლინება. ნიშნები: ხელის მტევნებზე ანგიოსპასტიკური იშემიური ლაქები, კანი ამ ადგილებში მკრთალი და ცივია, ვიდრე სხვა უბნებში. პერიოდულად უძილობა, მუდმივი ტაქიკარდია. სინონიმი: ბირის ლაქა.

მარშან-ვათერჰაუზ-ფრიდერიქსენის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლების მწვავე უკმარისობა. მიზეზია მათში ბპოპლექსიები უმწვავესი სეფსისის დროს, სისხლძარღვთა შიგნითა დისემინირებული კოაგულოპათიები თრომბოზებითურთ. დამახასიათებელია სწრაფი, უეცარი დასაწყისი, თავის ძლიერი ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ცხელება,

სისხლჩაქცევები კანსა და კანქვეშ, კოლაფსი, კრუნჩხვები, ლეტალური გამოსავალი რამდენიმე საათში. უმთავრესად აღინიშნება 15 წლამდე ასაკის მოზრდილთა შორის. სინონიმები: ფრიდერიქსენ-ვათერჰაუზ-ბამატერის სინდრომი, ვათერჰაუზ-ფრიდერიქსენის სინდრომი.

მარშეზანიხ სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, აუტოსომურ-რეცესიული გადაცემით, დამახასიათებელია დაბალი ტანი, განუვითარებელი კიდურები, ბრაქიდაქტილია, თვალის ცვლილებები (სფეროფაკია, მიკროფაკია, გლაუკომა, აკომოდაციის დარღვევა). სინონიმი: ვეილ-მარშეზანის სინდრომი.

მარშის დაავადება — დიფუზური ჩიყვი თირეოტოქსიკოზით, ტოქსიკური ჩიყვი, ეგზოფტალმური ჩიყვი, დაავადება, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება და მისი ფუნქციის მომატება. გამოვლინდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (სიგამხდრით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით, ტემპერატურის მომატებით, ხშირია ეგზოფტალმი). სინონიმები: გრეივსის დაავადება, პერის დაავადება, ფლაიანის დაავადება, ბაზედოვის დაავადება.

მარშული ტერფი — მარშული დაავადება, მეტატარზული უკმარისობა, მარშული მოტეხილობა, გადატვირთული ტერფი — დაავადება გამოწვეულია ტერფის ფუნქციური გადატვირთვით, ხასიათდება პათოლოგიური ცვლილებებით II—III, უფრო იშვიათად IV—V მეტატარზალურ ძვლებში. გამოვლინდება ძლიერი ტკივილით ტერფის წინა ნაწილში ქვეითად ხანგრძლივი სიარულის შემდეგ. სინონიმი: დეიჩლენდერის დაავადება.

მარცხენა წინაგულიხ მწვავე ფუნქციური უკმარისობის სინდრომი — აღინიშნება მიტრალური სტენოზის დროს. მას ადგილი აქვს, როცა მანკი კომპენსირებულია მარცხენა წინაგულის გაძლიერებული მუშაობით და მარჯვენა პარკუჭის შეკუმშვითი ფუნქცია შენახულია. ფიზიკურ გადაძაბვას შესაძლოა მოყვეს ფილტვების სისხლძარღვებში სისხლის შეგუბება, გულის ასთმის განვითარება და ფილტვების მწვავე შეშუპება. ზოგჯერ ასეთი შეტევები ვითარდება უეცრად და ხშირად და წყდება ასევე უეცრად.

მასი-მაგროს დაავადება — ძლიერი სისხლდენა ცხვირიდან რაიმე გარკვეული მიზეზის გარეშე. სისხლდენა სხვა ლორწოვანი გარსიდან იშვიათია. ეტიოლოგია უცნობია.

მასლოვიხ სიმპტომი — მასლოვის ფენომენი — სუნთქვის ხანმოკლე შეჩერება პასუხად ფეხში ჩხვლეტისას ბავშვებში, რომლებიც ავად არიან სპაზმოფილით. ნორმულ პირობებში აღინიშნება სუნთქვის გახშირება.

მასონის სიმსივნე — დაავადება დაკავშირებულია სისხლძარღვოვან სისტემაში გლომანგიომის (პატარა აქტიური გლომუსური სიმსივნეების) წარმოშობასთან, რომლებიც განლაგებულია დერმაში, ლორწოვანაში, კუნთებში, ძვლებში, შინაგან ორგანოებში. ამ სიმსივნეებში წარმოშობილი არადიფერენცირებული ნივთიერებები იწვევს წნევის მომატებას, ტაქიკარდიას, ცხელებას, სულისხუთვას, ფსიქომოციურ დარღვევებს, დისმენორეას. სინონიმი: ბარე-მასონის სინდრომი.

მასტინის სიმპტომი — ტკივილი ლავიწის ძვლის მიდამოში. მწვავე აპენდიციტის ნიშანი.

მასტერის სინჯი — ფუნქციური სინჯი ლატენტური კორონარული უკმარისობის გამოსავლენად, რომლის დროსაც დოზირებული ფიზიკური დატვირთვისათვის გამოყენებულია ასვლა და ჩამოსვლა ორსაფეხურიან კიბეზე (თითო საფეხურის სიმაღლეა 22,6 სმ). შედეგები ჯამდება ელექტროკარდიოგრამის მონაცემების შედარებითს დატვირთვამდე, იქვე დატვირთვის შემდეგ 2 და 6 წუთის დაყოვნებით.

მასუგის ნეფრიტი — ციტოტოქსიკური ექსპერიმენტული ნეფრიტი, გამოწვეული ექსპერიმენტით, როცა ცხოველს შეუყვანენ ციტოტოქსიკურ (ნეფროტოქსიკურ) შრატს, რომელიც შეიცავს ჰეტეროლოგიურ ანტისხეულს გორგლების კაპილარების ბაზალური მემბრანის ანტიგენისადმი. გამოიყენება როგორც ადამიანის გლომერულონეფრიტის მოდელი.

მასუდა-კიტახარას სინდრომი — პრერეტინალური შეშუპება, ბადურის იდიოპათიკური ბრტყელი ატკეცა, ცენტრალური ექსუდატური რეტინიტი, ანგიოსპასტიკური ცენტრალური რეტინოპათია, ანგიონევრიტული ცენტრალური ქორიორეტინოპათია, ცენტრალური სეროზული ქორიორეტინიტი — თვალის ტოქსიკურ ინფექციური ბუნების დაავადება. ახასიათებს ქორიოპათიკური ფირფიტის სისხლძარღვოვანი გარსის სისხლძარღვთა სპაზმი. გამოვლინდება მხედველობის უცაბედი გაუარესებით, ცენტრალური სკოტომის განვითარებით. ნიშანდობლივია ოფტალმოსკოპიურად — ბადურის შემღვრევა და შეშუპება ყვითელი ლაქის მიდამოში. სინონიმი: კიტახარას სინდრომი.

მახხარას ნიღაბის სიმპტომი — ტირილის დროს დამბლის მხარეს არ აღინიშნება სახის გაწითლება. ადგილი აქვს სახის ნერვის ნევრიტის დროს.

მახპოფის სინდრომი — ლიმფადენიტი, გამოწვეული ფსევდო-ტუბერკულოზური პასტეურელათი. ნიშნები: ცხელება, ტკივილი მუცელში, მეზენტერიული ლიმფური კვანძების გადიდება, მოგვიანებით — ბადეკანის ერთეული ან მრავლობითი აბსცესი, სისხლში ლეიკოციტოზი, რეტიკულოზი.

მათეი-მარკის ავადმყოფობა — კლოპომანია, კლეპტომანია. ქურდობისადმი მიდრეკილება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ამჟამად მიაკუთვნებენ ფსიქიკურ სინდრომებს, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება ისტერიის დროს.

მატიოლი-ფოჯის სინდრომი — ლიპო-ფიბრო-კალკარეული მიოპათია. იდიოპათიკური მიოპათიის ნაირსახეობა. კუნთების პროგრესული სისუსტე, კუნთებში ოსიფიკაცია მკვრივი უმტკივნეულო წარმონაქმნები. ჰისტოლოგიურად ნიშანდობლივია შემაერთებელი და ცხიმოვანი ქსოვილების სიმსივნეები კალციუმის მარილების ჩალაგებით.

მაუთნერის წერტილოვანი კერატიტი — ღრმა სიფილისური წერტილოვანი კერატიტი, ღრმა წერტილოვანი კერატიტი, რომელიც ზოგჯერ წარმოიშობა ათაშანგის დროს და სწრაფად ქრება.

მაუნტის სინდრომი — პაროქსიზმული მემკვიდრეობითი ქორეოათეტოზი. მემკვიდრეობითი ნევროლოგიური სიმპტომების კომპლექსი. გადაცმის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ქორეოათეტოზურ მოძრაობათა შე-

ტევები ტორსიული სპაზმით. შეტევის დროს გონება შენახულია. შეტევის პროვოკაციას იწვევს ალკოჰოლი, ყავა, შიმშილი, თამბაქო, დაღლა. ძილის დროს არ გვხვდება.

მაუნტ-რებეკის სინდრომი — კუნთების მემკვიდრეობითი დისტონია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: გონების დაუკარგავად ავადმყოფი ერთბაშად ღებულობს ცალმხრივი დისტონიისათვის დამახასიათებელ მდგომარეობას. კრუნჩხვებს და ჰიპერკინეზიას ადგილი არა აქვს. ცალკეული შემთხვევა აღინიშნება გაფანტული სკლეროზისა და ჰეპატოლენტიკალური დეგენერაციის დროს.

მაუჯერის სინდრომი — ბრონქული ასთმის შეტევების, ტრაქეის და ხორხის შეშუპების, ხველებისა და ღრმა ჩასუნთქვისას, მიდრიაზის და ანიზოკორის შერწყმა. ეტიოლოგია გაურკვეველია, ზოგი ავტორი უკავშირებს შუასაყრის სილიკოზს.

მაფუჩის სინდრომი — იშვიათი ხასიათის მეზოდერმული წარმოშობის ქსოვილების განვითარების დარღვევა დისქონდრომატოზით და მრავლობითი ანგიომატოზით. გამოხატულია ძვლების ასიმეტრიული ქონდრომატოზი ან ცალმხრივი დისქონდროპლაზია კიდურების ფორმის მნიშვნელოვანი დამახინჯებით, კანის და შინაგან ორგანოთა მრავლობითი ანგიომატოზი, კანის დეპიგმენტირებული უბნები და ხალები. არც თუ იშვიათად რთულდება აეთეისებიანი სიმსივნური პროცესით, როგორიცაა ქონდროსარკომა, ანგიოსარკომა, ლიმფანგიომა, გლიომა, ოვარიული ტერატომა. ადგილი აქვს მოტეხილობებს, ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას, ფლებიტს, ანდროტროპიზმს. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: მაფუჩ-კასტის სინდრომი.

მაფუჩ-კასტის სინდრომი — სინონიმი: მაფუჩის სინდრომი.

მაღვიძარას ნიშანი — ფაღარათი, რომელიც აქვს ავადმყოფს მხოლოდ ღამით ან დილით. აღინიშნება ლამბლიოზის და ნაწლავთა ზოგი სხვა დაავადების დროს.

მაჩადოს დაავადება — მემკვიდრეობითი ოჯახური დაავადება. აღრიცხულია პორტუგალიელ უილიამ მაჩადოს შთამომავალობაში, ოჯახის 51 წევრში. დაავადება გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. იწყება 40 წლის შემდეგ. მის საფუძველს წარმოადგენს ნათხემისა და ტვინის ღეროს დაზიანება. ნიშნები: ატაქსია, ნისტაგმი განზე გახედვისას, მსუბუქი დიზართრია, მყესთა რეფლექსების დათრგუნვა ან გაქრობა, ტერფძირის რეფლექსების დაქვეითება, კუნთთა დისტალური ნაწილის ატროფია. მგრძნობელობის მხრივ აღინიშნება ტკივილის, ვიბრაციის და სეგმენტთა მგრძნობელობის ოდნავი დაქვეითება დისტალურად.

მაცევანის სიმპტომი — შიგნითა ჰიდროცეფალიისა და ტვინის აბსცესის დროს თავის ქალას პერკუსია იძლევა რეზონირებულ ხმიანობას.

მაცკევიჩის ნიშანი — თუ პირქვე მწოლარე ავადმყოფს მოვუხრით ფეხს მუხლის სახსარში, ავადმყოფი იგრძნობს ტკივილს ბარძაყის წინა ზედაპირზე. გვხვდება ბარძაყის ნერვისა და L_{3-4} ფესვების დაზიანების დროს.

მაცუმოტოს დაავადება — თანდაყოლილ დარღვევათა კომპლექსი კანის, თვალისა და ნერვული სისტემის მხრივ. ნიშნები: პიგმენტური ლაქე-

ბი კანზე, უპირატესი ლოკალიზაციით ხელისა და ფეხის გულებზე, ბადი-სებრი ან კეროვანი დეპიგმენტაცია, ჰორფლი სახეზე; ბადურას სისხლ-ძარღვთა გაფართოება, გონებრივი ჩამორჩენილობა. სინონიმი: დოხის სინ-დრომი.

მაცუმოტო-კომაია-ტოიამას აკროპიგმენტაცია — სიმეტრიული აკრო-პიგმენტაცია, მემკვიდრეობითი აკროპიგმენტაცია. სახეზე არის პატარა სი-მეტრიულად განლაგებული ჰორფლი და ტუჩებსა და კიდურთა დისტა-ლურ ნაწილებში წითელი არშია. გვხვდება იაპონიაში. სინონიმი: დოკი-კომაიას სიმეტრიული აკროპიგმენტაცია.

მახის სინდრომი — შეშუპებისა და ჰიპერალდოსტერონურიის შერწყმა ქალებში. ნიშნები: სუფრის მარილის ოთხ გრამზე მეტის მიღებას დღეში მოყვება შეშუპების განვითარება. აღინიშნება ზომიერი ჰიპერალდოსტე-რონურია. გულის, ღვიძლისა და თირკმლების ფუნქციები ნორმალურია. დატვირთვა სუფრის მარილით ალდოსტერონურიას არ ამცირებს, ჰიპოკა-ლიემია არ არის. ხშირია სიმსუქნე.

მაჰაიმის კონა — დამატებითი გამტარი გზა გულის კუნთში, თანდაყო-ლილი ანომალია. მაჰაიმის კონა ჰისის კონას აკავშირებს პარკუჭებთან, არის ხელშემწყობი მიზეზი ვოლფ-პარკინსონ — უაიტის სინდრომისა (იხ.), როცა იმპულსი მაჰაიმის გზით ვრცელდება, PR ინტერვალი ნორმალურია, ხოლო QRS კომპლექსი გაფართოებული და დეფორმიულია. QRS კომ-პლექსის უდიდესი კბილი პირველ განხრაში მიმართულია ზემოთ, ხოლო მესამე განხრაში ქვემოთ.

მეა ანუ მრავლობითი ენდოკრინული ადენომატოზი — სინონიმები: მეა-სინდრომი (იხ.), ვერმერის სინდრომი.

მეა-სინდრომი — თანდაყოლილი ენდოკრინული ადენომატოზის და წვრილი ნაწლავის პეპტიკური წყლულების შეუღლება. ხასიათდება ერთ-დროულად: 1. ჰიპოფიზის წინა ნაწილის კეთილთვისებიანი სიმსივნით (რომელიც შეიძლება განვითარდეს მისი ნებისმიერი უჯრედისაგან), 2. პა-რათიროიდული ჯირკვლების კვანძოვანი ჰიპერპლაზიით (რომელშიც უპი-რატესად ჩართულია მთავარი უჯრედები), 3. კუჭუკანა ჯირკვლის კუნძუ-ლების მრავლობითი კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი სიმსივნეები; 4. პეპტიკური წყლულებით წვრილ ნაწლავში. ამ სინდრომს საფუძვლად უდევს აპუდ-სისტემის (იხ.) უჯრედთაგან განვითარებული მრავლობითი ენდოკრინული ადენომატოზი (მეა) ანუ მრავლობითი ენდოკრინული ნე-ოპლაზიები (მენ). სინონიმი: ვერმერის სინდრომი.

მებიუსის სიმპტომი — ლატერალური თითიდან შუათითისაკენ გადა-ადგილების მოძრაობას თვალის კაკალი ვერ მიჰყვება და ელინდება გარ-დამავალი სიელმე (კონვერგენციის მოშლა, რისი მიზეზიცაა თვალის შიგ-ნითა სწორი კუნთების უკმარისობა). გვხვდება ბაზედოვის დაავადების დროს.

მებიუსის სინდრომი I — ხასიათდება ერთ-ერთი ან ორივე თვალის კაკლის გვერდითი მოძრაობების შეზღუდვით და სახის ნერვის პარეზით ან დამბლით. გაძნელებულია კონვერგენცია, აღინიშნება კონვერგენციული სიელმე. ზოგჯერ თან ახლავს ენისქვეშა ნერვის პარეზი, პოლიდაქტილია,

განვითარების სხვა მანკები და გონებრივი ჩამორჩენილობა. სიმპტომთა პათოგენეზში წამყვან როლს აკუთვნებენ ცენტრალურ ბირთვზედა და პერიფერიული ინერვაციის მოშლას.

მებიუსის სინდრომი II ანუ დაავადება — ოფტალმოპლეგიური შაკიკი. თვალის მამოძრავებელი ნერვის დამბლა. უვითარდებათ ავადმყოფებს პერიოდული შაკიკით. ნიშნები: თვის ძლიერი ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ოფტალმოდინია, მიდრიაზი, თვალი არ მოძრაობს. თანდათანობით ყველა სიმპტომი ქრება. ყველაზე დიდხანს რჩება მიდრიაზი. როგორც ჩანს ამ სინდრომს იწვევს შეშუპებული ქსოვილის ან გადავსებული სისხლძარღვების ნერვზე ზეწოლა.

მედიასტინული სინდრომი — გულ-მკერდში ტკივილი, პერიფერიული ლიმფოსტასი, სტენოტიური სუნთქვა. მიზეზია შუასაყარის ორგანოებზე ზეწოლა, მაგალითად, სიმსივნით, ანთებადი ინფილტრატით, აორტის ანევრიზმით.

მედოკის სინდრომი — ჰიპოფიზის გონადო და ადრენოკორტიკოტროპული ფუნქციების უკმარისობა, თირეოტროპული ფუნქციის შენარჩუნებით. ნიშნები: სიმფიზის ზევით და იღლიებში თმიანობის გაქრობა, ფიზიკური და ფსიქიკური სისუსტე, სიგამხდრე, ღამის უძილობა, დღისით ძილიანობა, კანი მკრთალი, ნაადრევი დაბერება. შარდში მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული 17 კეტოსტეროიდების რაოდენობა, გონადოტროპინი არ არის, სისხლში ციღებთან შეკავშირებული იოდის რაოდენობა ნორმალურია.

მედუზის თავი — ვენების გაფართოება მუცლის წინა კედელზე. წარმოადგენს ანასტომოზებს კარის ვენასა და ზედა და ქვედა ღრუ ვენებს შორის. ჭიპს ზევით არის ანასტომოზები კარის და ზედა საუღლე ვენას შორის: გვერდებზე განლაგებულია კავკავალური ვენური ანასტომოზები. ხშირად შეუღლებულია ასციტთან. გაფართოებული, დაბერილი და დაკლაკნილი ვენური კოლატერალები ძირითადად განლაგებულია ჭიპის ირგვლივ სხივისებურად და წარმოქმნიან ე. წ. მედუზას თავს.

მეჭის ხაზები — დარიშხანით ქრონიკული მოწამვლის დროს ფრჩხილებზე ვლინდება თეთრი ხაზები.

მეზღვაურის კანი — ანუ გლეხის კანი, კისრის რომბოიდული კანი — გასქელებული, ღრმა რომბოიდული ნაკეცებით, კანი კისრის უკანა მიდამოშია. აღინიშნება მოხუცებულთა შორის, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე მუშაობდნენ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში.

მეია-ჰეგლინის სინდრომი ანუ ანომალია ლეიკოციტების — მემკვიდრეობის ტიპი დომინანტური. ყველა ლეიკოციტი, განსაკუთრებით კი ნეიტროფილები და ეოზინოფილები შეიცავენ ბაზოფილების შემოფარგლულ უბნებს, რომელთაც დაკარგული აქვთ მარცვლოვნება. ერთდროულად არის თრომბოციტოპენია (4 000—3000-ს ფარგლებში) და გიგანტური თრომბოციტები. არ არის აშვიათი ერითრობლასტოზი, კლინიკურად ვლინდება ჰემორაგიული სინდრომით, როდესაც სისხლის კოლტის რეტრაქციის დრო გახანგრძლივებულია.

მეიგხის ხინდრომი ანუ ტრიადა — ამ დროს სითხე გროვდება პერიტო-

ნეუმში, პლეერის ღრუში და არის საკვერცხის ფიბრომა. ანალოგიური ნიშნები შეიძლება იყოს საკვერცხის სხვა ხასიათის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც. გვხვდება ძირითადად ხანშიშესულ ქალებში. საკვერცხის სიმსივნის ამოკვეთის შემდეგ სითხე პლევრის და მუცლის ღრუში ქრება. სინონიმები: დემონს-მეიგსის სინდრომი, კოს-მეიგსის სინდრომი, დემონს-მეიგს-კოსის სინდრომი, მეიგს-კოსის სინდრომი.

მეიგს-კოსის სინდრომი — სინონიმი: დემონს-მეიგსის სინდრომი, მეიგსის სინდრომი (იხ.), დემონს-მეიგს-კოსის სინდრომი.

მეიენბურგის დაავადება — ანუ სისტემური პოლიქონდრიტი, პანქონდრიტი, სისტემური ქონდრომალაცია. დაავადების არსია პანქონდრიტის შეუღლება ქონდროლიზთან. იწყება რესპირაციული ინფექციით, რაც გადადის პროგრესულ სისუსტესა და ქოშინში (ეს დაკავშირებულია ხორხისა და ტრაქეის ხრტილების დაზიანებასთან), იცვლება ცხვირის ფორმა, აღინიშნება შეშუპება ხრტილთა ზონაში, ტკივილი სახსრებში, ტაქიკარდია, მიოკარდიუმის დაზიანების ნიშნები, ეპისკლერიტი, ეოზინოფილია, პროტეინურია, ედს-ს აჩქარება, ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, — სინონიმები: აშკენაზის სინდრომი, მეიენბურგ-ალტპერ-ულინგერის სინდრომი.

მეიენბურგ-ალტპერ-ულინგერის სინდრომი — იხ. სინონიმი: მეიენბურგის დაავადება.

მეირე-ბეტცის სინდრომი — პარალიტიური მიოპათია, მიერ-ბეტცის დაავადება — მიოპათიის სინდრომების ერთდროული არსებობა და შექცევადი მიოგლობინურია — რომლის დროსაც კუნთების სისუსტის და მტკივნეულობის შემდეგ (უპირატესად ქვედა კიდურების) გამოჩნდება მიოგლობინურია, რასაც შარდში თან სდევს ალბუმინურია, ლეიკოციტურია, ერითროციტურია, ცილინდრურია. შეტევები სპონტანურად ან ხანგრძლივი კუნთოვანი დაძაბვის შემდეგ ჩნდება.

მეიერსონის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი. ლავიწის შუა ნაწილის პერკუსიის საპასუხოდ ორთავა კუნთი და მკერდის დიდი კუნთი (ორმხრივ ან საწინააღმდეგო მხარეზე) იკუმშება.

მეირ-შვიკერატის სინდრომი — ექტომეზოდერმული დისპლაზია, რაც ვლინდება მიკროფტალმით, კბილების ემალის ჰიპოპლაზიით და ყავისფერი შეფერილობით, მოკლე თითებით ოთხივე კიდურზე.

მეიერჰოფერის ლაქები — მრგვალი მოყვითალო ლაქები წვეივის წინა მხარეს, ადრეული ასაკის ბავშვებში ექსუდატიურ-კატარალური დიათეზის დროს.

მეილენგრახტის დიეტა — მექანიკურად და თერმიულად დამზოგველი დიეტა, რომელიც შეიცავს ცილების სრულღირებულოვან შემადგენლობას. გამოიყენება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სისხლდენის დროს.

მეილენგრახტის სიყვითლე — კონსტიტუციური ბილირუბინემია, თანდაყოლილი ჰიპერბილირუბინემია, იდიოპათიკური ჰიპერბილირუბინემია, არაჰემოლიზური ოჯახური სიყვითლე, ქოლემია ოჯახური, თანდაყოლილ-შემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ბილირუბინის ცვლის დარღვევით, რისი მიზეზია ფერმენტ გლუკორონოზილტრანსფერაზის არასრული აქტივობა. გამოვლინდება სიყვითლე, სისხლში არაპირდაპირი ბილირუბი-

ნის შემადგენლობის უმნიშვნელო მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: ჟილბერ-მეილესგრასტის სინდრომი, ჟილბერის დაავადება, ჟილბერ-ლერბულეს სინდრომი.

მეინეს დაავადება, ანუ სინდრომი — ტვინისმიერი მოვლენები მწვავე რევმატიზმის დროს. აღინიშნება მწვავე ფსიქიკური დარღვევები — ჰალუცინაციები, მანიაკალური მდგომარეობა, დეპრესიული მდგომარეობა.

მეიოს სიმპტომი — ქვედა ყბის ჩამოწევა და ხორხის ცთომა ქვემოთ შესუნთქვის დროს. ნარკოზის მესამე სტადიის სიმპტომი.

მეიო-რობსონის სიმპტომი — ტკივილი მარცხენა ხერხემალ-ნეკნების კუთხეში პალპაციის დროს. პანკრეატიტის ნიშანი.

მეიპეის ლაქები — მუქ-წითელი 10—15 მსხვილი ლაქისმაგვარი ჩანართები, რომლებიც ავსებენ ერითროციტებს. მათი წარმოქმნის მექანიზმი უცნობია. გვხვდება მალარიის დროს.

მეიჯის დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია სახისა და კიდურთა ტროფედემის შეუღლება ჰიპოგონადიზმთან, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჩამორჩენასთან. ჩვეულებრივ ავადმყოფი დაბალი ტანისაა. სინონიმები: ნონე-მილროი-მეიჯის სინდრომი, მილროის დაავადება.

მეკელის დივერტიკული — ნაწლავის დივერტიკული. ეს არის ნაწლავის ქვედა მესამედის თანდაყოლილი დივერტიკული. არაიშვიათად არაა მიზეზი ნაწლავის გაუვალობისა და სისხლდენისა.

მეკელის სინდრომი — სპლანქნოკისტოზური დიზენცეფალია — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს თავის ქალას, ხერხემლის, შარდ-სასქესო ორგანოთა განვითარების ანომალია, პოლიდაქტილია თირკმლებში, უფრო იშვიათად ღვიძლში, პანკრეასში, საკვერცხეებში კისტების წარმოშობა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: გრუბერის სინდრომი, ჰანჰარტის სინდრომი.

მეკენსის დაავადება — ნეკერჩხლის ვაჟინის სუნის მქონე შარდი. ამინომჟავის ცვლის დაავადება. ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება და შარდის სპეციფიკური სუნი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადების მიზეზია ენზიმური ბლოკი ამინომჟავათა დეკაბროქსილირებაში. კლინიკა: დაბადებიდან 3—5 დღეს ღებინება, კუნთების ჰიპერტონია, ოპისტოტონუსი, კრუნჩხვები, სუნთქვის დარღვევა, ციანოზი, ნეკერჩხლის ვაჟინის ან ბოსტნეულის ნახარშის სუნის შარდი. შემდგომში ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენილობა.

მეკერენ-ელერს-დანლოსის სინდრომი — შემაერთებელი ქსოვილის მემკვიდრეობითი პათოლოგია. მისი სიმპტომკომპლექსი — სახსართა ჰიპერმოძრაობა, ხშირი ამოვარდნილობა; კანის ელასტიურობის მომატება, სისხლძარღვთა და კანის მსხვრევადობა და კუნთების ჰიპოტონია. სინონიმები: ელერს-დანლოსის სინდრომი, ჩერნოგუბოვის სინდრომი, ლეგერის მეზენქიმატოზი, ელასტიური ფიბროდისპლაზია, თანდაყოლილი მეზოდერმული დისტროფია.

მეკსის დაავადება — წითელი პარტახტიანი ტიფი. მექსიკური ტიფი, შალაის ქალაქური ტიფი (იხ.), მანჯურიული ტიფი. სინონიმი: ჰონის დაავადება.

მელერის სინდრომი — ქრონიკული გლოსიტი, განვითარებულთ ანემიის ნიადაგზე. აღინიშნება ენის წვა და ტკივილი, აქვე ღია წითელი, კარგად შეჰოფარგლული ლაქები ოვალური ან ასო v ან y-ის ფორმისა. პალპაციისას მტკივნეულია. ენის გამოყოფისას ლაქების ფერი ქრება. სინონიმები: ჰუნტერის ენა, ანუ გლოსიტი, მიხელსონის გლოსიტი, მელერ-ჰუნტერის გლოსიტი.

მელერ-ბარლოვის დაავადება — ბავშვთა სკორბუტი (ცინგა). ემართებათ ახალშობილებს 2-დან — 12 თვემდე, განვითარება თანდათანობითი, ბავშვი იწყებს გაუთავებელ ყვირილს, განსაკუთრებით როცა ეხებიან მის ფეხებს. ფეხები მოღუნულია, ტკივილის მიზეზია სუბპერიოსტალური ჰემორაგიები. პალპაციით — კუნთების შესივება, უპირატესად კანქვების, ჰემორაგიები ღრძილებიდან, ნაწლავებიდან, შარდის ბუშტიდან, სახეზეა მეორადი ანემია, სიცხის მომატება, ცხელება. რენტგენოლოგიურად ძვლების ცვლილებები, დაკავშირებული ძვლების კალციფიკაციასთან.

მელერ-ჰუნტერის გლოსიტი — სინონიმები: მიხელსონის გლოსიტი, მელერის სინდრომი (იხ.).

მელკერსონ-როზენთალის სინდრომი — ძირითადი ნიშანია სახის მყარი, მორეციდიული შეშუპება, უფრო ხშირად ტუჩების მიდამოში. ის მთლიანად არ ქრება და ყოველი ახალი კრიზი აძლიერებს სახის დამახინჯებას, ტუჩების გადიდებასა და გამკვრივებას. რიგ შემთხვევაში თან ერწყმის სახის ნერვის პარეზი და ენის დანაოჭება. ძირითადი მიზეზია ინფექცია და ალერგიული მდგომარეობა.

მელნიკოვის სიჯი — ძაფის შეჭრის სიმპტომი — ძაფის რბილ ქსოვილებში ჩაჭრა, რომელიც შემოხვეულია კიდურის ირგვლივ. ანაერობული ინფექციის ნიშანი. გამოწვეულია შეშუპების სწრაფი განვითარებით ან ქსოვილთა ემფიზემით.

მელორი-ვეისის სინდრომი — საყლაპავის კარდიული ნაწილის ლორწოვანი შრის სპონტანური მრავლობითი დაწყლულება. ადგილი აქვს სისხლდენას და სისხლიან პირღებინებას. ეტიოლოგია უცნობია.

მელტცერის სიმპტომი I — ავადმყოფი წევს გულაღმა და ცდილობს ხელის მაღლა გაპიმული მარჯვენა ფეხი. გამომკვლევი პირი ცდილობს ხელით შეუშალოს ფეხის აწევა (აწევება ზემოდან მუხლზე). ამ დროს წარმოიშობა ძლიერი, მწვავე ტკივილი ბრმა ნაწლავის მიდამოში, ქრონიკული აპენდიციტის ნიშანი.

მელტცერის სიმპტომი II — გულის მიდამოს აუსკულტაციისას საყლაპავის ქვემო ნაწილის გაუვალობის შემთხვევაში არ მოისმინება ყლაპვასთან დაკავშირებული ხმაური.

მელტცერ-ლაიონის სიჯი — ნაღვლის ბუშტიდან ნაღვლის გამოყოფის სტიმულაციის მეთოდი. თორმეტგოჯა ნაწლავში შეგვყავს ზონდი, მასში გასხმამთ მაგნეზიუმის სულფატის ხსნარს. გამოიყენება დიაგნოსტიკური ან სამკურნალო მიზნისათვის.

მენდელის სიმპტომი I — მუცლის წინა კედლის პერკუტორული მტკივნეულობა წყლულოვანი დაავადების დროს. სინონიმი: სტრაჟესკო-მენდელის სიმპტომი.

მენდელის სიმპტომი II — მტკივნეულობა, მანჟეტ (გრიმასი) სახის ნასევარზე, როდესაც თითს ვაჭერთ გარეთა სასმენი მილის წინა კედელზე. შენინგიტის ნიშანი, რომელიც ლოკალიზებულია უკანა ნაწილში.

მენდელ-ბეხტერევის პათოლოგიური რეფლექსი — ტერფის ზურგზე ჩაქუჩის დარტყმის საპასუხოდ ადგილი აქვს თითების მოხრას ფეხისგულებისაკენ. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

მენდელსონის სინდრომი — ასთმოიდული მდგომარეობა და ფილტვის შეშუპება ნარკოზის დროს ასპირირებული კუჭის შიგთავსის ნიადაგზე, რაც ვითარდება ნარკოზიდან 2—5 საათის შემდეგ.

მენდეხ სინდრომი — ნაწილობრივი ალბინიზმის შერწყმა მონგოლოიდურ იერთან. მემკვიდრეობითი ტიპი სავარაუდოა აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ნაწილობრივი ალბინიზმი კანის და თმის პიგმენტური ანომალიებით, თანდაყოლილი ყრუ-მუნჯობა, მონგოლოიდური სახე, ჩვეული ბლეფარიტი, დაბალი სიმაღლე, გახლეჩილი ზედა ტუჩი, ბრაქიცეფალია, ჰკუასუსტობა, კბილების დავიანებული ამოსვლა.

მენეტრიეს დაავადება — ადენოპაპილომატოზი. ჰიპერტროფიული გაგანტური გასტრიტი. სიმსივნის მსგავსი გასტრიტი. ნაკეცოვანი გასტრიტი. კუჭის ლორწოვანი გარსის გიგანტური ჰიპერტროფია. დაავადება, რომელიც ხასიათდება კუჭის ლორწოვანი გარსის მძაფრი ჰიპერტროფიით, რომელშიაც ვითარდება მრავლობითი კისტა და ადენომა. კუჭის წვენში მოსატებულია ცილის რაოდენობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჰიპოალბუმინემია და რაც გამოვლინდება მუდმივი ან გარდამავალი შეშუპებით.

მენეტრიეს დაავადება — ესენციური მემკვიდრეობითი ჰიპოპროტეინემია. გაღავლემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. აღინიშნება ნაწლავებთან ცილების შეწოვის დაქვეითება. კლინიკურად აღინიშნება: შეტევითი ხასიათის ტკივილი ეპიგასტრიუმში, დისპეფსიური მოვლენები, ზოგადი შეშუპება, ასციტი, სიგამხდრე. სისხლში—ჰიპოპროტეინემია, ჰიპოალბუმინემია. ურინის უპირატესობით. რეზისტენტობა ინფექციების მიმართ დაქვეითებულია. ადექვატური მკურნალობისას (სტეროიდების და სისხლშემცველი ხსნარების გადასხმა, სიმპტომური საშუალებები) პროგნოზი კეთილსაიმედოა.

მენეტრის სინდრომი — ნეიროციტკულური დისტონია მამაკაცებში ფსიქიკური, უფრო იშვიათად ფიზიკური გადაძაბვის შედეგად. აღნიშნებათ უპირატესად ხელმძღვანელ მუშაკებს 40—60 წლის ასაკში. ნიშნები: შრომისუნარიანობის, ინიციატივის დაქვეითება, ადვილად დაღლა, დეპრესია, ძილის დარღვევა, სქესობრივი ლტოლვისა და პოტენციის დაქვეითება, ჭოშინი უმნიშვნელო ფიზიკურ დატვირთვაზე, სტენოკარდია, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რადიკულური ტკივილი, მიდრეკილება გულის კუნთის ინფარქტისა და თავის ტვინში სისხლჩაქცევისადმი.

მენიერის ალერგიული სინდრომი — ალერგიული ვესტიბულოპათია, ვესტიბულოპათია მენიერის სინდრომის ფორმის მსგავსად, შეპირობებული ალერგიული რეაქციით.

მენიერის დაავადება — ახასიათებს სმენის უეცარი დაკარგვა, შუილი ყურებში, გულისრევა და პირღებინება, სპონტანური ნისტაგმი და

თაებრუ. დაავადება ხშირად თაეს იჩენს სრული სიჯანსაღის ფონზე. ზიანდება VIII ნერვის ორთავე ტოტი. პროგნოზი სმენის აღდგენის თვალსაზრისით უარყოფითია, თაებრუ უკუიქცევა რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ. დაავადების მიზეზად ასახელებენ ლაბირინტში სისხლჩაქცევას (ტრავმის შედეგად), პარტახტიან ტიფს, ლეიკემიებს, ნეფრიტს, შაქრიან დიაბეტს, პერნიციოზულ ანემიას, ათეროსკლეროზს. შესაძლოა განუვითარდეს მყვინთავებს კესონში მუშაობისას.

მენინგეალური სინდრომი — მყარი, დიფუზური თავის ტკივილი, რასაც ჩვეულებრივ თან სდევს გულისრევა და ღებინება, კანის საერთო ჰიპერესთეზია და მომატებული მგრძნობელობა სინათლისა და ბგერით გაღიზიანებაზე, ავადმყოფისათვის დამახასიათებელი პოზა, კეფის კუნთების რიგიდობა და ა. შ. გამოწვეულია თავის გარსების გაღიზიანებით, მაგალითად, მენინგიტის დროს, ან სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის შემთხვევაში.

მენინგიტი მენგო — ინფექციური დაავადება. იწვევს ერთსახელოვანი ვირუსი, დამახასიათებელია ცხელება მენინგიტის, ენცეფალიტის ან მენინგოენცეფალიტის ნიშნებით.

მენინგიტის ტრიადა — მწვავე მენინგიტის ყველაზე დამახასიათებელი სამი ნიშანი: ძალზე ძლიერი თავის ტკივილი, რასაც თან სდევს ღებინება და კეფის რიგიდობა.

„მენკებერგის მანკი“ — აორტის იზოლირებული სარქველოვანი სტენოზი, სარქველის ფრთების სკლეროზით. სარქველის კალცინოზი მოხუცებულ პირებს უვითარდებათ ათეროსკლეროზის ფონზე.

მენკებერგის სინდრომი ანუ სკლეროზი — გვხვდება ათეროსკლეროზის დროს და გამოიხატება ქვემო კიდურების საშუალო კალიბრის არტერიების კალციფიკაციით. არ არის გამორიცხული ამგვარი ცვლილებები საფეთქლის, საშვილოსნოს და საკვერცხეების არტერიებშიც. აღინიშნება კიდურების გაცივების, დაბუჟების, ჭიანჭველების ცოცვის ან ტკივილის შეგრძნება. შესაძლოა განვითარდეს ლუმბალური სიმპატექტომიის შედეგადაც, ჩვენი კლინიკის დაკვირვებით (დოც. ა. ქისტაური) ხშირია შაქრიანი დიაბეტის დროსაც.

მენკესის სინდრომი — ხუჭუჭა თმების სინდრომი, მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ორგანიზმში სპილენძის შეწოვისა და ტრანსპორტირების დარღვევით. გამოვლინდება უკვე ადრე ბავშვობაში მიკროცეფალიით, კრუნჩხვებით, ხუჭუჭა უპიგმენტო თმებით, მათი კეროვანი დაცვენით. მემკვიდრეობის ტიპი რეცესიული, შეჯვარებული X ქრომოსომასთან.

მენ-სინდრომი — სინონიმები: მენ-სინდრომი (იხ.), ვერმერის სინდრომი.

მენცელის სინდრომი — სიმპტომების ტრიადა, რომელიც აღინიშნება სასულეს აკთვისებიანი სიმსივნის რიგ შემთხვევაში: კისრის ლიმფური კვანძების გადიდება. სმენის დაქვეითება და სპწვერა ნევრალგია.

მეორადი სპლენოპენიური სინდრომი — ანემია, თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია, შეგუებებითი სპლენომეგალია, ღვიძლის პორტული ციროზი. იხ. სინონიმი: ბანტის სინდრომი, სინატორ-ბანტის სინდრომი.

მერზებურგის ტრიადა — ჩიყვის, ეგზოფტალმიისა და ტაქიკარდიის შერწყმა. აღინიშნება დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს. იხ. სინონიმი: ბაზედოვის ტრიადა.

მერფის მეთოდი — ხელოვნური პნევმოთორაქსის დადების მეთოდი, რომელიც ტარდება რენტგენოსკოპიის კონტროლით. გამოიყენება ტუბერკულოზისა და ტუბერკულოზური პლევრიტის სამკურნალოდ.

მერფის სიმპტომი I — სუნთქვის უნებლიე შეჩერება შესუნთქვის ფაზაში მარჯვენა ფერდქვეშა არეზე ზეწოლის დროს — ნაღვლის ბუშტის დაზიანების ნიშანი.

მერფის სიმპტომი II — მარჯვენა ილეოცეკალურ არეში პერკუტორული მოყურუების მცირე ზონის გაჩენა მწვავე აპენდიციტის დროს. ადგილობრივი პერიტონიტის დაწყების მაუწყებელია.

მერფის სიმპტომი III — დამახასიათებელია მწვავე ან გამწვავებული ქრონიკული ქოლეცისტიტისათვის, მტკივნეულობა მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში ღრმა ჩასუნთქვისას.

მერშ-ვოლტმენის სინდრომი — გაუგებარი წარმოშობის კუნთების ტკივილი. ნიშნები: კუნთების მტკივნეული პროგრესირებადი შებოჭილობა. იწყება კიდურებში, კეფაში, ბეჭებში, რამდენიმე დღეში (უფრო იშვიათად კვირეებისა და თვეების შემდეგ) პროცესი გადადის სხვა კუნთებზეც, რასაც საბოლოო ჯამში კუნთების საერთო რიგიდობამდე მივყავართ.

მესამე ასაკი — ეს ცნება შემოვიდა 80-იანი წლების დასაწყისში. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ბევრად მეტია, ვიდრე იყო წარსულში. ტერმინი „მესამე პერიოდის" ინდიკატორი გამოხატავს 25 წლის ადამიანისათვის შესაძლებლობას იცხოვროს 70 წლამდე. საერთო შესაძლებლობა ვიცხოვროთ 25 წლიდან — 70 წლამდე არის 50% და მეტი. მოსახლეობის 10% ცხოვრობს 65 წლამდე და მეტს.

მეტაცენაუერ-პოლანდის სინდრომი — დისმენორეული სიმეტრიული დერმატოზი, ნეკროზული აკნე, განგრენოზული ურთიკარია. დისჰორმონული დერმატოზის გამოვლინება. ნიშნები: სპონტანური სიმეტრიული. მკაფიოდ შემოფარგლული ერითემა, ფოლიკულური ეროზიები, ვაზომოტორული მოშლილობანი. აღნიშნული ცვლილებები რეგულარულად მეორდება მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებით. უფრო ხშირია ახალგაზრდა ქალებში დისმენორეით ან პრეკლიმაქსის პერიოდში. სინონიმები: დრაუერ-ველშის აკნე, ბესნიერ-რენოს ურთიკარია.

მექსიკის კანის ლეიშმანიოზი — გავრცელებულია მექსიკაში, გონდურასში, გვატემალაში, აშშ სამხრეთით. გამომწვევია მექსიკური ლეიშმანია. პროფესიული დაავადებაა კაუჩუკის შემგროვებელ მუშათა შორის. ძირითადი ნიშანია კანის წყლულები, შესაძლოა ყურის ნიჟარის დაზიანება-დაშლამდე.

მექსიკური ტიფი — სინონიმები: ინდოეთის ტიფი, ტულონის პარტახტიანი ტიფი, მანჯურიული ტიფი, ხმელთაშუა ზღვის ვირთაგვის ტიფი, მალაის ქალაქური ტიფი (იხ.).

მეღორეთა დაავადება — იწვევს ლეპტოსპირა პომონა. ავადდებიან სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომელთაც აქვთ პირდაპირი კონტაქტი

ღორთან. ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა არ ხდება. ამიტომ ინფექცია თაკდება ერთი ავადმყოფით. დაავადება იწყება ერთბაშად, ტემპერატურის მომატებით, აღინიშნება ბრადიკარდია, ჰიპოტონია, ჰეპატო-ლიენური სინდრომი, მიმდინარეობა კეთილთვისებიანია.

„მეშაჭარლამეთა დაავადება“ („კონდიტერთა დაავადება“) — კანდიდამიკოზური პარონიქია, კანდიდოზური პარონიქია, მიკოტიური პარონიქია, გამოწვეული პარაზიტული სოკო-თეთრი კანდიდათი. ახასიათებს სუსტად გამოხატული დაჩირქებადი პროცესი ფრჩხილების ბუდეში.

მეშჩერსკის პროგრესირებადი დისტროფიული ერითემა — კანის იდიოპათიკური პროგრესირებადი ატროფია, ხასიათდება შეგუბებითი — მოლურჯო ერითემით ტერფებსა და ხელის მტევნის გარეთა ზედაპირზე და ასევე იდაყვის სახსრების მიდამოში სიმეტრიულად ან ერთ მხარეს, ნელა ვრცელდება მთელ კიდურზე, შემდეგში ვითარდება დაზიანებული კანის ატროფია. სინონიმები: პიკის ერითრომელია, ჰერქსჰეიმერ-ჰარტმანის ქრონიკული ატროფიული აკროდერმატიტი, ფორდაისის კანის სიმეტრიული ატროფია, ჰერქსჰეიმერის ატროფოდერმატიტი.

მეცხრე დღის სინდრომი — მეცხრე დღის ცხელება, სალვარსანის ცხელება—პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ზოგჯერ აღინიშნება დარიშხანის პრეპარატების პარენტერალური შეყვანის მეცხრე დღეს. ხასიათდება ცხელებით 39—40°-მდე, გულისრევით, ღებინებით, ხახის ჰიპერემიით, სახსრებში ტკივილით, ელენთისა და ღვიძლის ტკივილითა და გადიდებით. სინონიმი: მილიანას სინდრომი.

მეწაღისებრი გულმკერდი — გვხვდება ხელოსნებში, განსაკუთრებით მეწაღეებს შორის. გულ-მკერდის შეძენილი ცვლილება, რომელიც ძაბრისმაგვარი გულმკერდისაგან იმით განსხვავდება, რომ მკერდის სულ ქვედა ნაწილი ან მარტო მახვილისებრი მორჩია შედრეკილი. მიზეზი ხელსაწყოს ხშირი მიბჯენა მკერდის ქვედა ნაწილზე, მეტადრე როცა ამ ხელობას ბავშვობიდან მისდევენ. შესაძლოა შეგვხვდეს როგორც განვითარების თანდაყოლილი დარღვეულიც.

მეხუთე დაავადება — ინფექციური ერითემა — მწვავე ინფექციური დაავადება, უცნობი ეტიოლოგიის. გადაცემა პაეროვან-წვეთოვანი. დამახასიათებელია ცხელება, გამონაყარი, მათი შეერთებისადმი მიდრეკილი ლაქებით. ტიპიური ერითემა ლოყებზე და ცხვირზე პეპელას ფრთების სახით.

მზელენის დაავადება — ენდემური ოსტეოართროზი, გავრცელებულია მზელენის რაიონში (აქედან დაავადების დასახელება), რენტგენოლოგიური გამოვლინებანი მრავალმხრივია. ზოგიერთ შემთხვევაში ოსტეოართროზი ჰგავს მემკვიდრეობით დაავადებას, სხვა შემთხვევებში — ეს არის დეგენერაციული კოქსართროზი ბარძაყის ძვლის თავის პროთრუზიით. პათოგენეზი უცნობია.

მზის წნულის სინდრომი — სპლანქნიკუსის სინდრომი — ეპიგასტრიუმში ძლიერი ტკივილის შეტევები, ირადირებული ზურგში, რასაც თან სდევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და თირკმლების ფუნქციის დარღვევა, ირტერიული წნევის მერყეობა, აღინამია, სეედისა და შიშის გრძნობა. გა-

მოწვეულია მზის წნულის დაზიანებით, მაგალითად მუცლის ტრავმის, მუცლის ღრუს ორგანოთა დაავადებებით, სოლარიტებით.

მთვარის დაავადება — გენერალიზებული ეპილეფსია. სინონიმები: ჰერკულესის დაავადება, ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, ვარსკვლავთა დაავადება, დემონიური დაავადება, კომიტეტის დაავადება.

მთის ავადმყოფობა — განსაკუთრებული ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება მაღალმთიან რაიონში ასვლისას, სადაც გაიშვიათებულია ჰაერი. შეიძლება აღენიშნოთ ალპინისტებს, გეოლოგებს მთაზე ასვლისას ანდა გარკვეულ პირებს ავტოტრანსპორტით მოგზაურობის, საბაგირო გზებით გადასვლის დროს და ა. შ. აღინიშნება თვითგრძნობის მძაფრი გაუარესება. ძირითადი მიზეზია ჟანგბადის პარციული წნევის დაქვეითება, მთის დაავადებასთან ახლოსაა სიმაღლის დაავადება (იხ.), მაგრამ იდენტური არ არის. სინონიმი: დ'აკოსტას სინდრომი.

მთის ქრონიკული დაავადება — მაღალმთიან ადგილზე მცხოვრებ ჯანმრთელ პიროვნებას, რომელიც აკლიმატიზირებულია ადგილობრივ პირობებთან, რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება თანდათანობით დაეწყოს მთის ქრონიკული დაავადება. არჩევენ ორ ფორმას: ემფიზემატოზურსა და ერითერმიულს. პირველის დროს აღინიშნება: ქოშინი, ღარინგიტი, ბრონქიტი, ციანოზი. კასრისმაგვარი გულ-მკერდი, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა შემცირებულია. მეორე ფორმის დროს გვხვდება: ყურებში შუილი, გულისრევა, პირღებინება, მხედველობის დაქვეითება, პარესთეზიები, ტკივილის შეგრძნება კიდურებში, ხველება, ჰემოპტიზი, აფონია, ქოშინი, ღრმა ძილი, სქესობრივი სისუსტე, სისხლდენა ცხვირიდან, ღრძილებიდან, კანქვეშა სისხლჩაქცევები, ჰიპოტენზია. ავადმყოფს მუქი-მოწითალო ფერი აქვს. ჰემოგლობინის რაოდენობა და ერითროციტები მომატებულია. სინონიმი: მონგეს დაავადება.

„მიბაძვის ცდა" — თვალებდახუჭულ ავადმყოფს არ შეუძლია საკუთარ ფეხს მისცეს ისეთივე მდგომარეობა, როგორსაც აძლევს ექიმი მის მეორე ფეხს. აღინიშნება ნათხემის დაზიანების დროს. სინონიმები: ვეისმანის სიმპტომი, ჰოფ-შილდერის ფენომენი.

მიბელის ანგიოკერატომა — თითების შემოფარგლული ნევიფორმული ანგიოკერატომა. ანგიოკერატომა, რომელსაც ახასიათებს უპირატესი დაზიანება ლოკალიზაციით ხელის მტევნის თითების გარეთა ზედაპირზე. როგორც წესი, გვხვდება დასუსტებულ გოგონებში. სინონიმი: ბროკის მექანიკოვანი ტელეანგიექტაზია.

მიბელის პოროკერატოზი — ექსცენტრიული ჰიპერკერატოზი, ჰიპერლეიდოზი, ექსცენტრიული ატროფიული ჰიპერლეიდოზი, კერატოატროფიული ნევუსი — მემკვიდრეობითი კერატოზი ეპიდერმისის უპირატესი დაზიანებით საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინრების ზონაში. ხასიათდება ბალთების წარმოშობით, რომლებიც ცენტრში ატროფიულია და პერიფერიულად არის რქოვანას გარქოვანებული ლილვაკი (მუთაქი). მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

მიდლტონის მიოდისტროფია — დარღვევები კუნთების განვითარებაში. გამოვლინებულია ზოგიერთი კუნთის ან კუნთების ჯგუფის არასრულყოფი-

ლი წარმოქმნა ან არარსებობა. დაავადების მიმდინარეობაში პროგრესირება არ აღინიშნება. კენთების უარესობა იწვევს მეორეულ დეფორმაციებს, კონტრაქტურებს, ხერხემლის მანკიერ მდებარეობებს. ამ ცვლილებებს თან ახლავს განვითარების სხვა მანკები. სინონიმები: შელდონის დაავადება, შტერნის სინდრომი.

მიელოსპასტიკური სინდრომი — დამახასიათებელია პანციტოპენია, ძვლის ტვინის ჰიპერსკლეროზულობა და სისხლის წარმოშობის სამივე შტოში ხარისხობრივი ცვლილებები. გამოყოფილია ხუთი მორფოლოგიური ქვეჯგუფი: 1. რეფრაქტული ანემია, 2. რეფრაქტული ანემია მრგვალი სიდერობლასტებით, 3. რეფრაქტული ანემია ზედმეტი ბლასტებით, 4. რეფრაქტული ანემია ზედმეტი ბლასტებით ტრანსფორმაციის სტადიაში და 5. ქრონიკული მიელომონოციტური ლეიკოზი.

მიკულიჩის დაავადება — ძვლის იზოლირებული კისტა, უპირატესად ზიანდება გრძელი ლულოვანი ძვლების მეტაფიზი, ყველაზე ხშირად კი პროქსიმული მეტაფიზი, ბარძაყის, დიდი წვივის და მხრის ძვლის, უფრო ხშირად ბავშვთა და მოზარდთა ასაკში.

მიკულიჩის სინდრომი — საცრემლე ჯირკვლების და ასევე ყველა სანერწყვე ჯირკვლის გადიდება მათი სეკრეტორული ფუნქციის დაქვეითებით. აღინიშნება ლეიკოზების, ლიმფოგრანულომატოზის, ტუბერკულოზის, ათაშანგის, ენდოკრინული დარღვევების დროს. სინონიმი: მიკულიჩ-პეერფორდტის სინდრომი.

მიკულიჩ-გუჟერო-შეგრენის (ანუ სეგრენი) დაავადება — გარეგანი სეკრეციის ჯირკვლების უკმარისობის სინდრომი. დამახასიათებელია მშრალი კერატოკონიუნქტივი, პირის და ცხვირის ღრუს, სახის სიმშრალე, სანერწყვე ჯირკვლების ჰიპერტროფია და ნერწყვის გამოყოფის უკმარისობა. კუჭის სეკრეციის უკმარისობა ან სრული დათრგუნვა, კუჭუკანა ჯირკვლის გარეგანი სეკრეციის მოშლა. კანი მშრალია, იქერცლება, დეპიგმენტირებულია, შესაძლოა ეგზემის განვითარება. დამახასიათებელია ქრონიკული პოლიართრიტი, კბილების და ძვლების კალციფიცირების მოშლა, კბილების კარიესი და ოსტეოპოროზი, შესაძლოა ქრონიკული პოლიართრიტი კიდურების განგრენით, სისხლში დისპროტეინემია, ჰიპოქრომული ანემია, რკინის ნაკლებობა, ფიბრინოგენის კონცენტრაციის ზრდა, ვითარდება უმეტესად ქალებში — კლიმაქსის ან მენოპაუზის პერიოდში, აგრეთვე ახალგაზრდა ასაკში, თუ ადგილი აქვს ოვარიულ უკმარისობას. სინონიმები: მიკულიჩ-შეგრენის სინდრომი, შეგრენის სინდრომი, მულოკ-ჰუეერ-გუეერ-შეგრენის სინდრომი, გუეერ-ჰუეერ-შეგრენ-მიკულიჩის სინდრომი, მშრალი სინდრომი.

მიკულიჩ-კიუმელის ეჭსფოლიატიური ჰეილიტი — ქრონიკული ჰეილიტი, დამახასიათებელია თხელი, ძნელად მოსაცილებელი ქერცლი, რაც ეფარება შეგუბებით ჰიპერემიას ლორწოვანი გარსისა და ტუჩების წითელი არშიის საზღვარზე.

მიკულიჩ-შეგრენის (ანუ სეგრენი) სინდრომი — იხ. სინონიმები: მიკულიჩ-გუეერო-შეგრენის დაავადება (იხ.), შეგრენის სინდრომი, მულოკ-ჰუეერ-გუეერ-შეგრენის სინდრომი, გუეერო-ჰუეერ-შეგრენ-მიკულიჩის სინდრომი.

მიკულიჩ-ჰეერფორდტის სინდრომი — იხ. სინონიმი: მიკულიჩის სინდრომი.

მილევან-ბოგერტის სინდრომი — ჰერედოატაქსიის კომბინაცია მიოკლონუს ეპილეფსიასთან. შედგება ზურგის ტვინის სისტემური დაავადებისა ნათხემ-მოლივარულ დეგენერაციასთან და ვაზომოტორულ მოშლილობასთან ერთად.

მილერის სინდრომი — თირკმლების ავთვისებიანი სიმსივნის (ვილმსის სიმსივნის — იხ.) შეუღლება მრავლობით ანომალიასთან. შესაძლებელია მემკვიდრეობის აუტოსომურ-რეცესიული გადაცემა. ნიშნები: ანიროდია, კატარაქტა, გლაუკომა, ტანის ჰემიჰიპერტროფია, პიგმენტური ხალები, მრავლობითი ჰემანგიომა, ჰიპოსპადია, კრიპტორქიზმი, მიკროცეფალია, ჯუჯის სიმაღლე, გონებრივი ჩამორჩენილობა.

მილერ-ტაუსინგის სინდრომი — მწვავე ანთებითი ცელილებები ტუჩებზე. ნიშნები: წვა და ქავილი რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ტუჩებზე წასმული იქნა ტუჩების პომადა. სხვაზე უფრო ხშირად მიზეზია წყალში ხსნადი საღებავები (ეოზინი, როდამინ B, ტოლუ-საფრანინი). უფრო იშვიათად ამას იწვევს ცხიმებში ხსნადი საღებავები.

მილერ-უაიტ-ლევის სინდრომი — გულის და მსხვილ სისხლძარღვთა თანდაყოლილი ანომალიები. შესაძლებელია გადაცემის მემკვიდრეობითი ხასიათი. სიმპტომები: პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, აორტის დექსტროპოზიცია, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია. ფალოს ტეტრადისაგან (იხ.) განსხვავებით ფილტვის არტერიის გაფართოება, სისტოლურ-დიასტოლური შუილი გულის ყველა მოსასმენ წერტილში. ეკგ — მარჯვენა პარკუჭის გადაძაბვა, ჰისის კონის მარჯვენა ფეხის ბლოკადა. გულის კათეტერიზაცია: წნევის მომატება მარჯვენა პარკუჭში, წნევის დაცემა ფილტვის არტერიაში, შერეული არტერიოვენოზური შუნტი.

მილზის დაავადება ანუ სინდრომი — პროგრესირებადი ალმავალი დამბლა. იწყება ჩვეულებრივ ერთ ფეხში, მოგვიანებით დამბლა გადადის მეორე ფეხზე. პათოლოგოანატომიური გამოკვლევით დგინდება თავის ტვინის პარკუჭთა გაფართოება, თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების წინა ცენტრალურ და შუბლის წილების ხვეულთა ატროფია. იგივეა მილზის ჰემიპლეგია.

მილზის სინდრომი I — ნათხემის დაზიანების სიმპტომებთან ერთად ზერელე მგრძნობელობის დისოციირებული ხასიათის მოშლილობები საწინააღმდეგო მხარის კიდურებზე და სხეულზე. ზოგჯერ ქორეული ჰიპერკინეზი ზედა კიდურებზე. აღინიშნება ნათხემის ზედა არტერიის დახშვისას.

მილზის სინდრომი II — ნელა პროგრესირებადი ზურგტვინოვანი წარმოშობის ჰემიპლეგია.

მილიანის ერითემა — ალერგიული რეაქცია სალვარსანის შეყვანაზე ცხელების სახით. ამას თან სდევს ქუნთრუშის ან წითელასმაგვარი გამონაყარი.

მილიანის ვარდისფერი ვიტილიგო — ვარდისფერი ვიტილიგო, პრევიტილიგოზური ერითემა — ვიტილიგო, რომლის დროსაც დეპიგენტაციის

განვითარებას წინ უსწრებს სწრაფად გარდამავალი ერითემა, რომელსაც ახასიათებს ქავილი და შემდეგ აქერცლა.

მილიანის თეთრი ატროფია — ქვემო კიდურების კანის ატროფია. გამოიხატება მოთეთრო ფერის სხვადასხვა ზომის და ფორმის ჩაღრძავებით კანზე, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიპერპიგმენტური რკალით, აღინიშნება ქრონიკული მორიციდივე ზედაპირული კაპილარიტის დროს.

მილიანის სინდრომი — მეცხრე დღის სინდრომი (იხ.).

მილიარ-გუბლერის ალტერნაციული სინდრომი — პათოლოგიური კერის მხარეზე აღინიშნება სახის ნერვის პერიფერიული დამბლა, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე — ჰემიპარეზი. გვხვდება პათოლოგიური, უფრო ხშირად სისხლძარღვოვანი პროცესების დროს ვაროლის ხიდში.

მილის სინდრომი — ცალმხრივი თანდაყოლილი სისხლძარღვოვანი ხალი სახესა და ლორწოვან გარსებზე, ანგიომა თვალის სისხლძარღვოვან გარსზე, ბადურის სისხლძარღვთა დაკლაკნილობა, გლაუკომა, ტვინში გაკირული უბნები. ნევროლოგიური ნიშნებია: ეპილეფსია, პარეზები. არის ფსიქიკური დარღვევები. სინონიმები: შტურგე-ვებერ-დიგიტრის სინდრომი, შტურგე-ვებერ-კრაბეს სინდრომი, პარკეს-ვებერ-ოსლერ-დიმიტრის დაავადება, შტურგე-ვებერის დაავადება.

მილიკენ-ზიკერტის სინდრომი — გარდამავალი თავბრუ, თვალებში გაღრება, ზოგჯერ გონების ხანმოკლე დაკარგვით. გამოწვეულია თავის ტვინის ბაზილარულ ვენის აუზში და ხერხემლის სისტემაში სისხლის მიმოქცევის დარღვევით.

მილიუს-ჰეერფორდტის სინდრომი — ქვემწვავე ფებრილური უვეოპაროტიტი. დამახასიათებელია ხანგრძლივი სუბფებრილიტეტი, გახდომა, კვანძოვანი ირიდოციკლიტი, ქრონიკული პაროტიტი, შესაძლოა სასქესო ჯირკვლების ანთებაც, მენინგოენცეფალიტი, სარკოიდოზის მაგვარი ცვლილებები ფილტვების მხრივ, რის გამოც არ გამოირიცხება ეს სინდრომი სარკოიდოზის ერთ-ერთი ვარიანტი იყოს. სინონიმი: ჰეერფორდტის სინდრომი ანუ დაავადება.

მილკმენის დაავადება — მილკმენის სინდრომი. ოსტეომალაციის ადრეული ფორმა. რენტგენოლოგიურად ვლინდება სიმეტრიულად განლაგებული მრავლობითი ძვლის გარდაქმნის ზონებით (უპირატესად ლელოვანი ძვლის დიაფიზებში), კლინიკა-ტკივილი წელსა და ძვლებში, სიარულის დარღვევა, ხერხემლის ზომიერი გამრუდება. სინონიმები: ლოზერ-მილკმენის დაავადება, ლოზერ-დებრეზ-მილკმენის სინდრომი.

მილროის დაავადება — სინონიმები: მეიჯის დაავადება (იხ.). ნონე-მილროი-მეიჯის დაავადება.

მილროი-მეჯის დაავადება, ანუ სინდრომი — წვივის ტროფიკული მემკვიდრეობითი შეშუპება. წვივის თეთრი, მკვრივი, უმტკივნეულო შეშუპება რამდენიმე წლის მანძილზე. ვლინდება ოჯახის წევრების რამდენიმე თაობაში. ეტიოლოგია უცნობი. სავარაუდოა ზურგის ტვინის სათანადო ტროფიკული ცენტრების მემკვიდრეობითი დარღვევა.

მილტონის ჰინჭრის ცხელება, ანუ ურთიკარია — გიგანტური ჰინჭრის ცხელება, ანგიონევროტული შეშუპება. ალერგიული ან თანდაყოლილი ხა-

სიათის სინდრომი, რაც ხასიათდება კანის და კანქვეშა ქსოვილის ან ლორწოვანი გარსების მწვავე, ხშირად მორეციდივე შეშუპებით. სინონიმები: კვინკეს შეშუპება, ბანისტერის დაავადება.

მილტონის პერპესი — ორსულთა ჰერპესი. ჰერპეტიფორმული დერმატიტი. პოლიმორფული დერმატიტი. პრურიგინოზელი ბეშტუჟელა — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დერმატოზი. დამახასიათებელია შეტევისებრი გამონაყარი ტანისა და კიდურთა კანზე, დროდადრო ტემპერატურა, ქაოილი. გამონაყარის ხასიათია: პაპულა, ბუშტუკი, ბებერაშეკგუფული რგოლში, ნახევრადრგოლში ან გირლანდისებურად. სინონიმები: დიურინგ-ბროკის დაავადება, დიურინგის დაავადება, ბროეის პოლიმორფული მტკივნეული დერმატიტი.

მინგაცინის სიმპტომი — თუ ავადმყოფს ვთხოვთ, თვალდახუჭულ მდგომარეობაში ხელები გაშალოს წინ, პარეზული კიდური იწყებს ქანაობას და შეიძლება დაეშვას კიდეც. გამოიყენება პირამიდული უკმარისობის გამოსაელინებლად.

მინგაცინ-ბარეს სინჯი — პირამიდული გზების დაზიანების გარკვევის დიაგნოსტიკური ხერხი. დამოკიდებულია იმაზე, რომ ავადმყოფს, რომელიც წევს მუცელზე მოხრილი წვივებით (სწორი კუთხით), პარეზული ფეხი ნელა ეშვება ქვევით, მიუხედავად კუნთების ხილული დაჭიმვისა. იხ. სინონიმი: ბარეს ქვედა ნიშანი.

მინდაძის სიმპტომი — ჰაეროვანი ტალღის სიმპტომი. ქალას ძვლოვანი დეფექტის არსებობისას სუბარაქნოიდულ სივრცეში ჰაერის შეყვანას თან ახლავს ნაწიბურის გამობურცვა დეფექტის მიდამოში, რომელზედაც ხელის თანდათანობითი დაჭერა და შემდეგ დაწოლის სწრაფი შეწყვეტა იწვევს ძლიერ ტკივილს აღნიშნულ უბანში. თუ იგივე ფენომენი აღინიშნება პნევმოენცეფალოგრაფიის გარეშე, სავარაუდოა პათოლოგიის არსებობა პარკუჭოვან სისტემაში.

მინემატის დაავადება — სინდიყის ორგანული ნაერთებით მოწამვლა. შედეგია საკვებად თევზის ან ზღვის სხვა საკვები პროდუქტის გამოყენება, რომელიც დაბინძურებულია სინდიყით. აღწერილია იაპონიაში, მინემატის ყურეში მისი სანაპიროს მოსახლეობას შორის.

მინკოვსკის სინდრომი — საკონცენტრაციო ბანაკების სინდრომი, „ემოციური ანესთეზია" — ხანგრძლივი ფსიქიკური ტრავმისა და მუდმივი არასრული შიმშილის შედეგი. ნიშნები: სისუსტე, სიგამხდრე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა, განმარტოებისადმი მიდრეკილება, უინტერესობა, ფსიქიკის სხვა ცვლილებები, ინფექციებისადმი მდგრადობის დაქვეითება. პირობების გაუმჯობესებისას ეს ავადმყოფური მდგომარეობა ქრება, მაგრამ რჩება შრომისუნარიანობის დაქვეითება. რიგ შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებულია.

მინკოვსკი-შოფარის დაავადება — მიკროსფეროციტული ჰემოლიზური ანემია. მიკროსფეროციტული ანემია. სფეროციტული ანემია. მემკვიდრეობითი ანემია. დამახასიათებელია ერითროციტების ტრანსფორმაცია მიკროსფეროციტებად. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

მინორის სიმპტომი — გულღმა მწოლიარე ავადმყოფი წამოდგომის

ცდისას ხელებით ეყრდნობა იატაკს ზურგსუკან, ხრის დაავადებულ ფეხს მუხლის სახსარში, მერმე კი ჯანმრთელი მხარის ხელის ბალანსირებით და ჯანმრთელ ფეხზე დაყრდნობით ნელ-ნელა დგება იატაკიდან. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის დროს.

მინორის სინდრომი — ოჯახური ესენციური კანკალი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. დაავადება იწყება ბავშვთა ასაკში, ასევე შედარებით მოზრდილებშიც. ნიშნები: კიდურთა, თავისა და ენის ინტერმიტირებული კანკალი, რაც ძლიერდება ემოციური დაძაბვის დროს, კუნთების საერთო ჰიპოტონია.

მირიცის დაავადება — მირიცის სინდრომი. ღვიძლის საერთო სადინარის დახშობით მიღებული კლინიკური სურათი: ეტიოლოგია ამ დროს სხვადასხვაა — სპაზმი, ანთება, სიმსივნე, კენჭი. ნიშნები: გაურკვეველი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ და ეპიგასტრიუმში, გულისრევა, სიყვითლე, ჰიპერბილირუბინემია, ისინჯება გადიდებული და მტკივნეული ნაღველის ბუშტი. არაიშვიათია მწვავე მუცლის სურათი.

მირშამპის სიმპტომი — ნერწყვის მტკივნეული გაძლიერებული გამოყოფა ენაზე ძმრის სუსტი ხსნარის წასმისას. დამახასიათებელია ეპიდემიური პაროტიტისათვის.

მიტრალური დაავადება — გულის რევმატიული რთული მანკი: მარცხენა ვენური (ატრიო-ვენტრიკულური, წინაგულ-პარკუჭოვანი) ხვრელის შევიწროვება და მარცხენა წინაგულ-პარკუჭოვანი (მიტრალური) სარქველის უკმარისობის შერწყმა.

მიტჩელის დაავადება, ანუ სინდრომი — ერითრომელალგია. ლოკალური ვაზომოტორული ნეკროზი. შეტევისებრი მწვავე, ჩვეულებრივ ღამის ტკივილი ქვედა კიდურებზე, გაწითლება და შეშუპება რბილი ქსოვილის; დაზიანებული უბანი უფრო თბილია, დაფარულია ოფლით, აღინიშნება ჰიპერესთეზია. თანდათან ჩნდება ცვლილებები კანზე (ეროზია, მელანოზი, გამკვრივება), ფრჩხილებზე, თმასა და ძვალზე. უპირატესად აღინიშნება მამაკაცებში ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებისას და ჰიპერტონიული სნეულების დროს. მიზეზია სისხლძარღვთა გაფართოება. სინონიმები: ვეირ-მიტჩელის სინდრომი, გერჰარდტის დაავადება.

მიულერის სიმპტომი — მუშისებური ჯირკვლებისა და ნაჭის რიტმული გაფართოება, დაკავშირებული გულის ციკლთან, კაპილარული პულსაცია ტუჩებსა და ფრჩხილებზე. ადგილი აქვს აორტის ნახევარმთვარისებრი სარქველის ნაკლოვანების დროს.

მიულერის სინდრომი — კუნთების კონსტიტუცია არაერთგვაროვანია. კუნთების ზოგიერთი კონა გამოირჩევა სხვებისაგან თავისი დაჭიმულობით და სიმკვრივით, როგორც მისი სპაზმის დროს. მათ გვერდით კი კუნთების კონები დუნე და მომჩვარულია. ამ დაჭიმულობას მიულერმა ჰიპერტონუსი უწოდა. კუნთების ეს მდგომარეობა გვხვდება კუნთების დაავადების დროს, რომლისთვისაც დამახასიათებელია შეკუმშვის ფუნქციის დარღვევა.

მიულერ-მეტცგერის სინდრომი — ენდოკრინულ-ოფტალმოლოგიური სინდრომი. ნიშნებია: ჰიპოფიზის ჰორმონული დარღვევები, აკრომეგალიური ტიპის სახის ცალმხრივი ცვლილებები და გლაუკომა.

მიულერ-რიბინგ-კლემენტის სინდრომი — სახსრების ეპიფიზთა იზოლირებული დიზოსტოზი. ნიშნებია: სხვადასხვა ძვლების ეპიფიზთა დეფორმაცია და „შეკმუხნილობა" ოსტეომალაციისადმი მიდრეკილებით, იშვიათად — ჯუჯის სიმაღლე, სუბიექტურად — ტკივილი და შეზღუდულობა სახსრებში (უპირატესად მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრებში), ჩვეულებრივ ვლინდება ბავშვობაში, ზოგჯერ დამახასიათებელია ჰიპოთირეოზის სიმპტომები. საკარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. სინონიმი: რიბინგ-მიულერის სინდრომი.

მიუნხმეიერის დაავადება — მაოსიფიცირებელი პროგრესიული მიოზიტი, ქვედა და ზედა კიდურებსა და ზურგის კუნთებში ჩნდება ძალრვანი მასები. ამის შედეგად ვითარდება თავის იძულებითი მდგომარეობები (ტორტიკოლისი), ხერხემლის წინ გამრუდება, ქვედა კიდურთა კონტრაქტურები და იქ მოძრაობის შეზღუდვა. ეტიოლოგია უცნობია.

მიუნჰაუზენის სინდრომი — ფსიქონევროზული სიმპტომოკომპლექსი: ავადმყოფი გამუდმებით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს სხვადასხვა ანამნეზური (უმთავრესად მწვავე) სიმპტომატიკით, რასაც ობიექტური ორგანული პათოლოგია არ უდევს საფუძვლად.

„მიუნჰაუზენის სინდრომი მინდობილობით" — ეს არის ოჯახური ანთოლოგია, რაც გამოხატავს მშობლების ფსიქიკურ მდგომარეობას. ისინი იძლევიან ცნობას ბავშვის მძიმე დაავადების შესახებ, რომელსაც აქვს ადგილი სამედიცინო დაწესებულების გარეთ. ისინი მიუთითებენ ბავშვის მრავალობით ჰოსპიტალიზაციაზე, რთულ მანიპულაციებსა და ოპერაციებზე, რაც თითქოს მათ ჩაუტარდათ. ამ ბავშვთა გამოკვლევის დროს მათ ეს ნიშნები არ უელინდებათ.

მიუსეს სიმპტომი — I — მაჯისცემასთან ერთდროული სინქრონული რიტმული თავის ქნევა. აღინიშნება აორტალური სარქველის ნაკლოვანებისას. ეპონომიურად დაკავშირებულია ფრანგ პოეტ ალფრედ დე მიუსეს სახელთან. სინონიმი: მიუსე — გეორგიევსკის სიმპტომი.

მიუსეს სიმპტომი II — ფრენიკუსის სიმპტომი: მტკივნეულობა მკერდლავიწ-დერილისებრი კუნთის ფეხებს შორის პალპაციისას. ჭოლეცისტიტის ნიშანი.

მიქსედემატოზური ათლეტიზმი — ჰიპოთირეოზისა და მიოპათიის თანდაყოლილი შერწყმა. ადგილი აქვს ზრდაში ჩამორჩენას, რეფლექსების დაქვეითებას, ჰიპოთერმიას, ბრადიკარდიას, ოფლის გამოყოფის შემცირებას, კანის სიმშრალეს, თხელ თმას, კუჭში შეკრულობას, ოლიგოფრენიას, კიდურების კუნთების ჰიპერტროფიას და ჰიპერტონუსს. სინონიმები: დებრე-სემელენის სინდრომი, ჰოფმანის სინდრომი, კოხერ-დებრეს სინდრომი.

მიშელინ-მანიხ სინდრომი — ჩვეულებრივ გვხვდება ბავშვთა ასაკში. დამახასიათებელია მრუდოდნელი დაწყება სასუნთქი გზების ინფექციის შემდეგ. ნიშნებია: სხეულის ზედა ნაწილში მოძრაობის შეკავება, კანისა და კანქვეშა ქსოვილის გასქელება, ცხელება, ედს-ს აჩქარება. სინონიმები: ბუშკეს იატროგენული დაავადება.

მიშერის ელასტომა — პერფორირებადი შიდადვრილისებრი მეჭეჭოვა-

ნი ელასტომა. ფოლიკულური სერპიგინოზული კერატოზი, ფოლიკულური კერატოზი — მემკვიდრეობითი ფოლიკულური კერატოზი. ახასიათებს მსხვილი ჰიპერკერატოზული პაპულები. ლოკალიზებულია კისრის გვერდით უბნებში, კეფაში, ასევე მუხლებისა და იდაყვების ირგვლივ. სიმპტომები: ლიუტც-მიშლერის დაავადება, ლიუტცის ფოლიკულური სერპეგიოზული კერატოზი.

მიშერის სინდრომი I — შავი აკანტოზის, შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტრიქოზის, დაკლაკნილი კანის, კბილების წყობის დარღვევის, ინფანტილიზმის და გონებრივი განუვითარებლობის შერწყმა. ეტიოლოგია უცნობია.

მიშერის სინდრომი II — ტუჩების პარენქიმატოზური გრანულომატოზური ანთება. აღინიშნება ერთი ან ორივე ტუჩის გადიდება, შესქელება, გამკვრივება. მიაკუთვნებენ ბენიე-ბეკ-შაუმანის სარკოიდოზის (იხ.) სისტემურობის გარეშე ნაირსახეობებს.

მიშერის სინდრომი III — კანისა და ჩონჩხის მრავლობითი ანომალიების შერწყმა ოლიგოფრენიასთან. ნიშნები: დაბალი ან ჯუჯისებრი სიმაღლე, ზედა კიდურთა მოხრითი კონტრაქტურა, ლინოდაქტილია, წინამხრების დამოკლება, ნისტაგმი, სიელმე, რქოვანას შემღვრევა, გონებრივი განვითარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენილობა.

მიშერის ჰეილიტი — იხ. მიშერის სინდრომი II.

მიშერ-შტორკის სინდრომი — მიშერ-შტორკის მიკრობიდი, ჰემორაგიული ლეიკოპლასტიკური მიკრობიდი ან ბაქტერიდი. კანის ზედაპირული ალერგიული ვასკულიტი. კლინიკურად ვლინდება ქვედა კიდურებზე (იშვიათად ზემო კიდურებზე) მომცრო ერითემატოზული ან ერითემატოზულ-ჰემორაგიული ლაქების გაჩენით. ადგილი აქვს ქრონიკულად მიმდინარე ინფექციური პროცესების გამწვავებას (მაგ. ქრონიკული ტონზილიტი).

„მიწებებული ფეხისგულის" სიმპტომი — ზურგზე მწოლიარე ავადმყოფს არ შეუძლია ასწიოს გამართული ფეხი. ბარძაყის ძვლის ყელის მოტეხილობის ნიშანი. სინონიმი: გორინევსკაიას მეთოდი.

მიხაილოვიჩ სინჯი — ანუ რეაქცია, რიგი ინფექციური დაავადებებისა, (ტუბერკულოზი, აქტინომიკოზი) და ეჭინოკოკოზის დიაგნოსტიკური მეთოდი. დამყარებულია ავადმყოფის სისხლში სპეციალური ალერგიის მცირე დოზის შეყვანისას პერიფერიული ეოზინოფილების რაოდენობის მომატებაზე.

მიხალოვსკის სინდრომი — სანერწყვე ჯირკვლების გადაადგილება ქვედა ტუჩში და მზით გამოწვეული ქეილიტი. სანერწყვე ჯირკვლების ქვედა ტუჩში გადაადგილებას მოყვება ტუჩის გასქელება, რაც ხელს უწყობს ქეილიტის განვითარებას, მით უფრო თუ მასში აღინიშნება მზის სხივებისადმი მომატებული მგრძნობელობა.

მიხელსონის გლოსიტი — სინონიმები: ჰუნტერის ენა, მელერ-ჰუნტერის გლოსიტი, მელერის გლოსიტი (იხ.).

მიხელსონის სინდრომი — სუბეპითელური ფიბროზული კვანძები. ფაქტიურად ეს არის ტრავმისა და ანთებისმიერი ფიბროზული რეაქცია. სხვა-

დასხვა კვანძის ჰისტოლოგიურ სურათში შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავებულობა. უფრო ხშირად ერთეული ხორკლი განლაგებულია კანს შიგნით, მოძრავია, უმტკივნეულო, არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. გვხვდება 40—50 წლის ასაკში.

მკერდის წინა კედლის სინდრომი — გულ-მკერდში რამდენიმე საათის ხანგრძლივობის ტკივილის შეტევა, რომელიც ჰგავს სტენოკარდიულს, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ არ ახასიათებს ტკივილის ირადიაცია, ვეგეტატიური რეაქციები, ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები და ამ დროს ნიტროგლიცერინი არ იძლევა მკურნალობის ეფექტს, მაშინ როდესაც ეფექტურია ანალგეზიური საშუალებები.

მკვდარი თითების სიმპტომი — აკროსფიქსია, კიდურთა დისტალურ ნაწილებში შეცივება და ციანოზი. აღინიშნება ანგიოტროფონევროზის და მაობლიტერებელი ენდარტერიიტის დროს.

მლეწავების ცხელება — ფერმერთა დაავადება, უნეითარდებათ იმ პირებს, რომლებიც ღებულობენ მონაწილეობას დაობებული მარცვლოვანების ლეწვაში (დაობებული ქერი ან შვრია). დაავადება იწყება ერთბაშად, მაღალი ტემპერატურით, თავის ტკივილით, ხველებით და ბაზალური ბრონქოპნევმონიით. დაავადების მიზეზია სოკო და მისი დაშლის პროდუქტები.

მლივი ნაწლავის სინდრომი — კუჭ-ნაწლავის დისცირკულატორულ დარღვევათა კომპლექსი კუჭის რეზექციის ან გასტროექტომიის შემდგომ მოგვიანებით პერიოდში. ვლინდება ჭამიდან 10—15 წუთის შემდეგ (განსაკუთრებით რძის და ტკბილი საკვების მიღებისას), ძლიერი სისუსტით, შეხუთვებით, ოფლიანობით, თავის ტკივილით, გულის ფრიალით, კიდურების კანკალით, გულისრევით, პირღებინებით, წოლის აუცილებელი მოთხოვნილებით. ადგილი აქვს მაჯის აჩქარებას, არტერიული წნევის შეცვლას, არის ცვლილება ელექტროენცეფალოგრამაზე. სინონიმი: დემპინგ-სინდრომი.

მოალტერნირე პედუნკულური სინდრომი — არის თვალის მამოძრავებელი ნერვის ფესვებისა და პირამიდული გზების ტვინის ფეხების დონეზე დაზიანების დროს. აღინიშნება: პტოზის, მიდრიაზის და განზიდვითი სიელმის შერწყმა დაზიანების კერის მხარეზე, მოპირდაპირე მხარეზე კი ჰემიპლეგია, ჰემიპარეზი და ჰემიანესთეზია. სინონიმები: ვებერ-გიუბლერ-ქაწდრეს სინდრომი, ვებერის სინდრომი.

მობიტცის ბლოკადა — არასრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის სახეობაა. არჩევენ ორ ტიპს: პირველი ხასიათდება სამოილოვ-ვენკებახის პერიოდიკის არსებობით, მეორეს კი, განსხვავებით პირველი ტიპისაგან, არ ახასიათებს PQ ინტერვალის ხანგრძლივობის ცვლილება.

მობიტცის მაინტერფერირებელი დისოციაცია — წარმოადგენს პარასისტოლიის ფორმას, სადაც პარკუჭებში აუტომატიზმის ჰეტეროტროფული კერიდან იმპულსების სიხშირე აღემატება ანტოვენტრიკულური კვანძისმიერი იმპულსების სიხშირეს და აგზნების რეტროგრადული გამტარებლობა დახშულია. ამასთან დაკავშირებით სინო-აურიკულებიდან პარკუჭებში გადის მხოლოდ რეფრაქტერული პერიოდის დასასრულს შემთხვევით

მოხვედრილი ჰეტეროგენური ავტომატიზმიდან მიღებული იმპულსები; გვხვდება გულის მძიმე ორგანული დაზიანების დროს.

მობიტცის სინდრომი — პარახისტოლია, გაპირობებულია გულში რიტმის ორი მატარებლის მაკონკურირებელი ფუნქციონირებით, კერძოდ სინუსურ და ატრიოვენტრიკულურ კვანძებში. ადგილი აქვს მიოკარდიტების დროს სადაც გლიკოზიდების ინტოქსიკაციის, ხან კი იდიოპათიურ ხასიათს ატარებს.

მოელერ-ბეკის დაავადება — კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი, კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომატოზი, ატიპიური ტუბერკულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ხასიათდება ლიმფური სისტემის, შინაგან ორგანოთა და კანის დაზიანებით, სპეციფიკური გრანულების წარმოშობით, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიალინის ფენით. სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი, ბეკის დაავადება, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, ტენესონის დაავადება, დარიე-როსის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, მორტიმიერის დაავადება, იუნგლინგის დაავადება II.

მოზერის სიმპტომი — ჩქმეტის სიმპტომი — წერილი ჰემორაგიების გაჩენა კანის ჩქმეტის ადგილზე სისხლძარღვთა მტვრევადობის დროს. იხ. სინონიმი: ჰეჰტის სიმპტომი.

მოია-მოიას დაავადება — ცერებრულ-ბაზალური ტელეანგიექტაზია. უკავშირდება საძილე არტერიების ოკლუზიას ან თანდაყოლილ ანომალიას — თავის ტვინის ფუძეზე პათოლოგიური სისხლძარღვოვანი ქსელის განვითარებით. კლინიკურად ვლინდება თავის ტვინის სისხლმიმოქცევის მოშლით. სინონიმები: ნისიმოტოს დაავადება, ნისიმოტო-ტაკეუტ-კუდის დაავადება.

მოილენგრახტის დაავადება — თანდაყოლილი, პერიოდული ხასიათის ჰიპერბილირუბინემია. ადგილი აქვს ახალგაზრდებში. აღინიშნება იქტერული კანი და სკლერები, საერთო სისუსტე, გადიდებული ელენთა, დიგესტიკური ტრაქტის ფუნქციის მოშლა. ნაღვლის პიგმენტები შარდში არ აღინიშნება, სისხლის საერთო ანალიზი ნორმის ფარგლებშია. ჰემოლიზს ადგილი არა აქვს.

მოინიჰანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ალოპეცია, თმა იწყებს ზრდას ორი-ოთხი წლის ასაკში, თმიანობა მეჩხერია, აღინიშნება კრუნჩხვითი შეტევები, გონებრივი განვითარების შეფერხება, ცელილებები ელექტროენცეფალოგრამაზე.

მოკლე კისრის სინდრომი — განვითარების ანომალია: ხერხემლის კისრის მალების შეერთება (შეხორცება) და გამკვრივება (ზოგჯერ გულმკერდის ზედა მალებისაც). გამოელინდება კისრის დამოკლებით, თავის მოძრაობის შეზღუდვით, კისრის ფესვების სინდრომით. არაიშვიათია განვითარების სხვა ანომალიებიც. სინონიმი: კლიპელ-ფეილის დაავადება.

მოკრივეთა სინდრომი — იხ. სინონიმი: მარტენლენდის სინდრომი.

მოლარეს დაავადება — კატის განაკაწრით გამოწვეული დაავადება. მიზეზია ვირუსი. ინკუბაციური პერიოდი 1—6 კვირა. ნიშნები: მწვავე დასაწყისი, შემცივნება, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება 10—15 დღის მანძილზე. განაკაწრი (ვირუსის შეკრის ადგილი) სწრაფად ხორცდება, მერე ხდება ახლომდებარე ლიმფური კვანძების გადიდება, მათი დარბილება, ფისტულისა და ნაწიბურის წარმოშობა. გარდა ბუბონური ფორმისა, გეხვდება შინაგანი ორგანოების დაავადების ფორმაც. სინონიმები: დებრეს დაავადება, პეტცეტაკასის დაავადება.

მომტანი მარყუჟის სინდრომი — ანუ „ნაღველით ღებინების" სინდრომი, ანუ დუოდენობილიარული სინდრომი. ვითარდება კუჭის რეზექციის მერე (ბილროთ მეორეთი). ახასიათებს მომტანი მარყუჟის შიგთავსის ევაკუაციის დარღვევა. მიზეზია მარყუჟის გადაგრეხა, გრძელი მარყუჟი, შეხორცებითი პროცესი, სტენოზი. ძირითადი ნიშანია შებერვა. აღინიშნება ტკივილი ეპიგასტრიუმში და ღებინება ნაღველით.

მონგეს დაავადება — მთის ქრონიკული დაავადება. მაღალმთიან ადგილზე მცხოვრებ ჯანმრთელ პიროვნებას, რომელიც აკლიმატიზებულია ადგილობრივ პირობებთან, რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება თანდათანობით დაეწყოს მთის ქრონიკული დაავადება. არჩევენ ორ ფორმას: ემფიზემატოზურსა და ერითერმიულს. პირველის დროს აღინიშნება: ქოშინი, ლარინგიტი, ბრონქიტი, ციანოზი, კასრისმაგვარი გულ-მკერდი, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა შემცირებულია. მეორე ფორმის დროს გეხვდება: ყურებში შუილი, გულისრევა, პირღებინება, მხედველობის დაქვეითება, პარესთეზიები, ტკივილის შეგრძნება კიდურებში, ხველება, ჰემოპტოზი, აფონია, ქოშინი, ღრმა ძილი, სქესობრივი სისუსტე, სისხლდენა ცხვირიდან, ღრძილებიდან; კანქვეშა სისხლჩაქცევები, ჰიპოტენზია. ავადმყოფს მუქი-მოწითალო ფერი აქვს. ჰემოგლობილინის რაოდენობა და ერითროციტები მომატებულია.

მონდონეზის რეფლექსი ანუ სიმპტომი — ბულბურ-მიმიკური რეფლექსი. ინსულტის შემდგომი კომის დროს თვალის კაკლებზე ზეწოლის საპასუხოდ ადგილი აქვს სახის კუნთების შეკუმშვას პათოლოგიური კერის საწინააღმდეგო მხარეს, ხოლო ტოქსიკური კომის დროს კუნთთა შეკუმშვა ორმხრივია.

მონდორის დაავადება — გულ-მკერდის წინა გეერდითი ზედაპირის ვენების ქვემწვავე ანთება. აღინიშნება ტკივილის და წვის გრძნობა ამავე მიდამოში, ჰიპერემია და კანის ტემპერატურის ლოკალური მომატება. ვიზუალურად, უფრო ხშირად კი პალპატორულად, ისინჯება ძუძუს დვრილიდან ნეკნის რკალისკენ მიმავალი მტკივნეული სიმკვრივე. სისხლში — ლეიკოციტოზი, მონოციტოზი, შესაძლოა ეოზინოფილია. მიზეზი გაურკვეველია, არ არის გამორიცხული ტრავმული ეტიოლოგია. გვხვდება უფროს ასაკში, უხშირესად ქალებში.

მონდორის სიმპტომი I — ადგილი აქვს მწვავე პანკრეატიტის დროს და გამოიხატება სახის ციანოზური ყრუ ლაქებით, მუცლის მწვავე ტკივილისა და პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნების შერწყმით.

მონდორის სიმპტომი II — აღინიშნება ნაწლავის ინფარქტის დროს:

პალპაციით ისინჯება ცომისებური კონსისტენციის, შეშუპებული და შებერილი ნაწლავის მარყუჟი.

მონეის სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი: სმენის ზომიერად დაქვეითება, რაც დაკავშირებულია შიდა ყურის ანომალიებთან, ახლომხედველობა, მეტყველების განვითარების ჩამორჩენილობა ნორმალური ფსიქომოტორული განვითარების ფონზე, აუტიზმი, მოგვიანებით ვითარდება სრული ამაუროზი და სიყრუე. იხ. სინონიმი: ედრიჯ-ბერლინ-მაკ კუსიკის სინდრომი.

მონკრიფის სინდრომი — ნახშირწყლოვანი ცელის თანდაყოლილი მოშლა (აუტოსომურ-რეცესიული გადაცემით), რაც ვლინდება ალიმენტური გლიკოზურიით (სახაროზურია, ლაქტოზურია, ფრუქტოზურია), რასაც თან სდევს ფიზიკური და გონებრივი განუვითარებლობა, დიაფრაგმული თიაქარის ჩამოყალიბება. შესაძლოა თავის ტვინის განვითარების სხვადასხვა ანომალიებიც.

მონოლოგის სიმპტომი — ფსიქიკური ავადმყოფის შეუჩერებელი მეტყველება მისთვის დასმული ნებისმიერი კითხვებისამებრ, ამაღე დროს იგი არ აქცევს ყურადღებას თანამოსაუბრეს. აღინიშნება შიზოფრენიის დროს.

მონრად-კრონის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია მიმიკური კუნთების ნებითი მოძრაობა, მაშინ როცა უნებლიე მიმიკური მოძრაობები შენახულია (გამოწვეულია ემოციებით). აღინიშნება სახის ნერვის ცენტრალური დამბლის დროს.

მონროს წერტილი — წერტილი მუცლის ფარის ზედაპირზე. განლაგებულია ჰიპიდან მარჯვნივ თეძოს ძვლისწინა — ზედა ფრთისკენ გაკლებულ ხაზს შუა. ორიენტირია მუცლის ღრუს პუნქციის დროს.

მონტანდონის სინდრომი — დისფაგიის ხანგრძლივი შეტევები საყლაპავის ზემო ნაწილის მიოგენური სტენოზის ნიადაგზე. მოკლენები დროთა განმავლობაში პროგრესირებს და მოგვიანებით სტადიებში ავადმყოფი სითხესაც ვერ ყლაპავს. გვხვდება უპირატესად ასაკგადაცილებულ პირებში. ეზოფაგოსკოპიით ვლინდება სფინქტერის მსუბუქი ან ზომიერი სპაზმი. ლორწოვანი უცვლელია.

მონტგომერ-ო' ლერი-მარკერის კვანძოვანი ვასკულიტი — კვანძოვანი ვასკულიტი. ქრონიკული კვანძოვანი ერითემა — ალერგიული დაავადება. ახასიათებს კანქვეშა ქსოვილის სისხლძარღვთა ანთება, წარმოიქმნება ქვედა კიდურებსა და დუნდულოებზე მტკივნეული კვანძები, მის ზემოთ გაწითლებული დაჭიმული კანი. ზოგჯერ გამონაყარი.

მორაქს-აქსენფელდის კონიუნქტივიტი — ანგულარული კონიუნქტივიტი, დიპლობაცილარული კონიუნქტივიტი, გამოწვეული იმავე სახელწოდების ჩხირებით. დამახასიათებელია პროცესის ლოკალიზაცია ქუთუთოების კიდეებზე და თვალის ნაპრალის კუთხეებში.

მორაქს-აქსენფელდის რქოვანას წყლული — რქოვანას დიპლობაცილური წყლული, გამოწვეული ერთსახოვანი მიკრობებით. მიმდინარეობს ჩვეულებრივ ანგულარული კონიუნქტივიტის ფონზე.

მორგ-სილვერშელდის სინდრომი — ტიპური ქონდროპლასტიკური

ცვლილებები, იწვევს ქონდრისკაცობას, კიდურთა ძვლების არანორმალური დამოკლებით თითების შუა და პროქსიმულ ნაწილებში აგრეთვე ხერხემლის გამრუდებას, უნაგირისებრ ცხვირს და ფეხმრუდობას, რენტგენოგრამაზე აღინიშნება გრძელი დიაფიზის გამრუდება, ეპიფიზის სოკოსებრი გასქელება, გრძელ ღულისებრივ ძვლებში ეპიფიზურ-მეტაფიზური ქონდროდისტროფიული ცვლილებები. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: სილვერშელდის დაავადება, მორგის სინდრომი.

მორგანის თიაქარი — პარასტერნალური თიაქარი, ძვლოვან-სტერნალური თიაქარი, რეტროსტერნალური თიაქარი — დიაფრაგმული თიაქარი, რომელიც გამოდის შუასაყარში მკერდ-ნეკნების სამკუთხედიდან. სინონიმი: ლარეის თიაქარი.

მორგანის კატარაქტა — რძის კატარაქტა. გადამწიფებული მოხუცებულთა კატარაქტის ფორმა. დამახასიათებელია ბროლის შემღვრეული ფენების გადაქცევა რძისფერ-მოთეთრო სითხედ, რომელშიც ბროლის ბირთვი ვადაღგილდება თვალის კაკლის მდებარეობის შეცვლასთან ერთად.

მორგანის სინდრომი I, ანუ დაავადება, ანუ ტრიადა — მეტაბოლური კრანიოპათია. ნეიროენდოკრინული კრანიოპათია, თავის ქალას ანომალიებისა და ენდოკრინულ დარღვევათა მემკვიდრეობითი შეუღლება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ფრონტალური შიგნითა ჰიპერასტოზი, სიმსუქნე, ვირილიზმი, ჰირსუტიზმი ამენორეით, წონასწორობისა და ძილის დარღვევა, თავის ტკივილი, ეპილეპტიფორმული გულყრები, ჰიპერგლიკემია, გლიკოზურია, წარბების შეერთება, წყლულები წვივებზე. გახედება მხოლოდ ქალებში. სინონიმები: მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-მორელის სინდრომი, გრიგ-მორელის სინდრომი.

მორგანის სინდრომი II — გულის თანდაყოლილი კომბინირებული მანკი. ღერძი დაავადება, ამ დროს არის ფილტვის არტერიის სტენოზი შეუღლებული ან მეორადად განვითარებულ მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიასთან, ან პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტთან. სახეზეა ძლიერი ციანოზი, ჭოშინი, ღრძილების და ენის დვრილების ჰიპერტროფია, დოლის ჩხირისებური თითები, ერითროციტოზი. სინონიმები: ფალოს ტრიადა, ანუ ფალოს ტრიალოგია.

მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი — ცნობიერების მოულოდნელი დაკარგვა, რასაც თან სდევს კრუნჩხვები, ღებინება, სიფერმკრთალე, მას ცვლის ციანოზი, სუნთქვის დარღვევა, შეტევის დროს წნევა არ ისაზღვრება და ჩვეულებრივ გულის ტონები არ ისმის. აღინიშნება რიტმის და გულის გამტარებლობის ზოგიერთი ფორმის დარღვევის დროს, რაც იწვევს ტვინის იშემიას. სინონიმები: ადამს-სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი, ადამს-მორგანი-სტოქსის სინდრომი, სტოქსის სინდრომი.

მორგან-ლანეკის ღვიძლის ციროზი — წარმოადგენს ღვიძლის პორტული ციროზის ატროფიულ სტადიას. დამახასიათებელია ღვიძლის დაპატარავება (ღვიძლის კიდე პალპაციით მკვრივი და ბასრია, ზედაპირი სადა), ელენთის გადიდება, ასტიცი, კოლატერალური ქსელის განვითარება, სისხლდენა საყლაპავის, კუჭის და სწორი ნაწლავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან. სიყვითლეს ადგილი არა აქვს. ეტიოპათოგენეზურად

წამყვან მომენტად მიჩნეულია ალკოჰოლის ჭარბი და სისტემური მიღება. სინონიმი: ლაენეკის ღვიძლის ციროზი.

მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი — მორგან-ჰენშენის სინდრომი, მორგანის დაავადება, სინდრომი ანუ ტრიადა, (იხ), მორელის სინდრომი, სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-გრიგ-მორელის სინდრომი, აშარ-ტიერის სინდრომი.

მორგან-ტერნერ-ოლბრაიტის სინდრომი — აღენიშნებათ ქალებს, დამახასიათებელია ჯუჯისებრი ტანი, მნიშვნელოვანი ზოგადი ინფანტილიზმი და საკვერცხეების პირველადი უკმარისობა (საკვერცხეების აგენეზია). ამას შეიძლება თან ახლდეს თანდაყოლილი სიყრუე, ანომალიები ჩონჩხსა და თვალზე.

მორგან-ჰენშენის სინდრომი — სინონიმები: მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი, მორგანის დაავადება, ანუ სინდრომი.

მორგის სინდრომი — სინონიმები: სილვერშელდის დაავადება, მორგ-სილვერშელდის სინდრომი (იხ.).

მორელის ალკოჰოლური ენცეფალოპათია — კლინიკური სურათი წარმოდგენილია პროგრესიული ფსევდოპარალიზით, რომელსაც თან ახლავს რიგიდობა, წონასწორობის დარღვევა და აპრაქსია. ჰისტოლოგიურად ცვლილებებია თავის ტვინის შუბლის წილის ქერქში.

მორელის სინდრომი — სინონიმები: მორგან-ჰენშენის სინდრომი, მორგანის დაავადება (იხ.), მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-გრიგ-მორელის სინდრომი, აშარ-ტიერის სინდრომი.

მორელ-ლავალეს სიმპტომი — წისქვილის ბორბლისმიერი ხმა — მოისმინება გულ-მკერდის ზედაპირზე გამჭოლი ჭრილობის შემთხვევაში (განსაკუთრებით გულში დაჭრისას). პერიკარდიუმის ღრუში სისხლისა და ჰაერის დაგროვების ან და ჰიდროპნევმოპერიკარდის ნიადაგზე.

მორენის წყლული — რქოვანას წყლული, რომელიც იწვევს ქსოვილთა დაშლას — დაავადება უცნობი ეტიოლოგიისაა. ახასიათებს დასაწყისში რქოვანას არაღრმა წყლულები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის, განლაგებულია პერიფერიაზე ნახევარმთვარის სახით, ნელა ერცელდება.

მორვანის სინდრომი I — სირინგომიელის ფორმაა, გამოიხატება ნევრალგიით, შემდგომი პარეზებით, მგრძნობელობის დარღვევით, მრავლობით უმტკივნეულო პანარიციუმებით, რასაც თან სდევს ფალანგების განგრენა, დამახინჯება, ცვლილებები სახსრებში, ხერხემლის რიგიდობა.

მორვანის სინდრომი II — ქვედა კიდურების სპასტიკური დამბლა, მგრძნობელობის და მენჯის ორგანოთა ფუნქციების დარღვევის გარეშე, რომელიც უვითარდებათ ბავშვებს 4-დან 12 წლამდე.

მორვანის სინდრომი III ანუ დაავადება — საერთო კუნთოვანი სისუსტე, ფიბრილური მოძრაობები — ტოკები უპირატესად წვიეის კუნთებში, ვეგეტატიური დარღვევები (ოფლიანობა, ტაქტიკარდია, არტერიული წნევის მომატება), ფსიქიკური დარღვევები (დეპრესიული მდგომარეობები, შიში, სუიციდალური ტენდენციები). აღინიშნება ზოგიერთი ინფექციური

დაავადების, რევმატიზმის, ინტოქსიკაციების დროს. იგივეა მორვანის ქორეა.

მორიაკის სინდრომი — ვითარდება მხოლოდ ბავშვებში და მოზრდილებში (ზრდის პერიოდში). სასუნთქი მძიმედ მიმდინარე შაქრიანი დიაბეტი, მიდრეკილება აციდოზისკენ და ინსულინურ რეზისტენტობისკენ. დათრგუნულია ზრდის პროცესი, სქესობრივი განვითარება. აღინიშნება გადიდებული ღვიძლი (გლიკოგენის და ცხიმის დიდი რაოდენობით ჩალაგების გამო), ოსტეოპოროზი. ხშირად გვეელინება როგორც არასწორად ნამკურნალევი ძაკრიანი დიაბეტის შედეგი.

მორისის სიმპტომი — აღინიშნება აპენდიციტის დროს და გულისხმობს მუცლის პალპატორულ მტკივნეულობას წერტილში, რომელიც განლაგებულია პირიდან 5 სმ-ზე გაყოლებით თეძოს ძვლის წინა — ზემოთ ფრთის ნემაერთებელ ხაზზე.

მორისის სინდრომი — მემკვიდრეობითი მამრობითი ფსევდოჰერმაფროდიტიზმი. აღინიშნება დედრობითი ფენოტიპი, პირველადი ამენორეა, სასქესო გათმიანების უქონლობა. გარეთა სასქესო ორგანოების განვითარება ქალურია, მოკლე და ბრმა ვაგინით, შიდა სასქესო ორგანოები — მამრობითი, სათესლე მილაკების ინფანტილური განვითარებით. სქესობრივი ქრომატინი მამრობითია. სინონიმები: გოლდბერგ-მაქსველის სინდრომი, გოლდბერგ-მორისის სინდრომი.

მორიტცის პერკუსია — ეწოდება საშუალო სიძლიერის პერკუსიას ანუ საშუალოდ ძლიერ პერკუსიას.

მორკიოს დაავადება — თანდაყოლილი სრული წინაგულპარკუპოვანი დისოციაცია. პირველად აღწერილია როეეს დაავადების დროს. ჩვეულებრივ გვხვდება სხვა ანომალიასთან ერთად, უველაზე ხშირად წინაგულთა ძგიდის დეფექტის დროს (განსაკუთრებით მის ქვედა ნაწილში).

მორკიოს სინდრომი — მუკოპოლისაქარიდოზი, მიეკუთვნება მემკვიდრეობითი დაავადებათა რიცხვს, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. კლინიკურად აღინიშნება დისპროპორციული დაბალი ან ჯუჯისებრი ტანი, მოკლე კისერი და წელი, ქაჩმის მკერდი, კიფოზი, კიფოსკოლიოზი, X მაგვარი ფეხები და ბრტყელტერფიანობა, დაზიანებულია კბილის ემალი. გენეტიკური დეფექტი პირველად რეალიზაციას ჰპოვებს შემაერთებელ ქსოვილში მუკოპოლისაქარიდების მოჭარბებულ ჩალაგებაში და შარდთან კერატანსულფატის და დერმანტასულფატის გამოყოფის ზრდაში, რასაც თან სდევს ეპიფიზური ხრტილების დაშლა, ლულოვან ძვლების მეტაფიზების გაგანიერებით და დამოკლებით, ხერხემლის მალების გაბრტყელება. სინონიმები: ბრეილსფორდ-მორკიოს სინდრომი, ულრი-მორკიოს სინდრომი.

მორკიოს სიმპტომი — ავადმყოფს დაჯდომა შეუძლია მხოლოდ ქვედა კიდურების პასიური მოხრის შემდეგ. აღინიშნება პოლიომიელიტის დროს.

მორობოვ-იუნგლინგის ოსტიტი — მრავლობითი ოსტიტი. მრავლობითი კისტოიდური ტუბერკულოიდური ოსტიტი — ხელისა და ფეხის თითების ფალანგების, იშვიათად კი სხვა ძვლების მრავლობითი გრანულომატოზური დაზიანება. გრანულომები შედგება ეპითელოიდური უჯრედებისაგან. აღენიშნებათ სარკოიდოზით (იხ. ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება) დაავადებულ ახალგაზრდებს.

მორტენსენის სინდრომი — ესენციური ჰემორაგიული თრომბოციტემია, პიპერთრომბოციტული მიელოზი. ესენციური თრომბოციტემია და ჰემორაგიული დიათეზის შეუღლება. ნიშნები: სისხლდენა ცხვირიდან, კუჭიდან და ნაწლავებიდან, სპლენომეგალია, თრომბოზები და თრომბოფლებიტები, ჰიპეპროტეინემია, ერითროციტოზი, ჰიპერჰემოგლობინემია, ლეიკოციტოზი, თრომბოციტოზი, მეტაკარიოციტოზი. დაავადება ვლინდება ხანშიშესულებში. სინონიმი: რევოლის დაავადება, ანუ სინდრომი.

მორტიმერის დაავადება — სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი, ბეკის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, ჰეტჩინსონის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, იუნგლინგის დაავადება — II, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, დარიე-როსის დაავადება, მოელერ-ბეკის დაავადება (იხ.).

მორტონის დაავადება — ანუ ფეხის ძირის ნევრალგია, განეკუთვნება მეტატარზალგიას. ძირითადი სიმპტომი პაროქსიზმული ხასიათის ინტენსიური ტკივილი, ლოკალიზებული მეორე — მესამე თითებს შორის ქვედა კიდურებში. ქალები 3—4-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან 18—80 წლის ასაკში, პიკი მოდის 54 წელზე. ხელშემწყობი ფაქტორებია კიდურთა გადაძაბვა, მიკროტრავმები, მოუხერხებელი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება.

მორტონის თითი — მეტატარზალგია. ხასიათდება ფიზიკურ გადაღლასთან დაკავშირებით შეტევითი ხასიათის ტკივილით წინა ტერფის მე-4, ზოგჯერ მე-3 ძვლის მიდამოში. ტკივილი ძლიერდება სიარულის დროს. გვხვდება პლანტარული ნერვის თითის ტოტის დაზიანებისას, მასზე მეოთხე მეტატარზალური ძვლის თავის დაწოლის შედეგად, აგრეთვე ამავე ნერვის ანთების ან თითთაშუა არტერიის დაზიანების დროს. უმთავრესი მიზეზია ნევრინომა, უფრო ზუსტად, ფსევდონევრინომა თითის ნერვისა მისი გაყოფის ადგილას. ამ დროს აღინიშნება დეგენერაციული ცელილებები სათანადო ზონაში, რაც ეხება ამ ზონის სისხლძარღვოვან-ნერვულ კონას და შემაერთებელ ქსოვილს.

მორტონისებური ხველა — ეწოდება ხველებას, რომელიც წააგავს ყივანახველის შეტევას. იშვიათად გვხვდება ტუბერკულოზის დროს, უფრო ხშირია ტრაქეო-ბრონქული ჯირკვლების დაზიანებისას და შუასაყრის დაავადების დროს.

მოროუ-ბრუკის დაავადება, სინდრომი, ანუ კერატოზი — ფოლიკულური კონტაგიოზური კერატოზი. დამახასიათებელია მრავლობითი სიმეტრიული კენჭისმაგვარი წარმონაქმნები კანზე, რაც გარდაიქმნება ეკლოვან ბაპულებში, ხან კი გაერთიანდება მკერივ ბალთებად. სინონიმი: კაზენავას ბაწე.

მორფინისტების სეპტიცემია—მელიოიდოზი, ფსევდოქოლერა, ინფექციური დაავადებაა. იწვევს გრამუარყოფითი ჩხირი — პსევდომონას პსევდომალეი. ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ავსტრალიაში. ინფექციის წყაროა მღრღნელები, კენგურუ, შინაური ცხოველები. არჩევენ მწვავე, ქვემწვავე, ქრონიკული, ფილტვის და აბორტულ ფორმებს.

მოსეს სინდრომი, ანუ დაავადება — პოლიციტემია ღვიძლის დაავადებათა დროს. ამას ხსნიან ჰემოკონცენტრაციით. ზოგჯერ აღნიშნავენ აგრეთვე ღვიძლის ციროზის და პერნიციოზული ანემიის თანაარსებობას, ოსლერ-ვაკეზის დაავადების (იხ.) ნაირსახეობაა.

მოსკოვსკის სიმპტომი — ერთ-ერთი თვალის გუგის გაფართოება. ფაკულტატური ნიშანია მუცლის ღრუში მიმდინარე მწვავე პათოლოგიური პროცესის. სინონიმი: მოსკოვსკი—ბუსმანის სიმპტომი.

მოსკოვსკი-ბუხმანის სიმპტომი: იხ. სინონიმი: მოსკოვსკის სიმპტომი.

„მოულოდნელი დაუსაბუთებელი სიკვდილის სინდრომი" — უცნობი დაავადება, გახდა მიზეზი სინგაპურში ტაილანდელი მუშების სიკვდილისა, რომლის ეტიოლოგია ჯერჯერობით უცნობია. მსგავსი მხოლოდ ახალგაზრდებია. ყოველგვარი დაუდგენელი მიზეზის გამო ისინი კვდებიან ძილში.

მოუნიერ-კუნის სინდრომი — თანდაყოლილი ტრაქეობრონქომეგალია დივერტიკულოზით. ეს არის ტრაქეის და მთავარი ბრონქების გაფართოება, რომლის დროსაც ხშირია ქოშინი, ქრონიკული განმეორებითი პნევმონიები. (მორეციდივირებელი). შესაძლოა სპონტანური პნევმოთორაქსიც.

„მოულუნავი ადამიანის" სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ხასიათდება კუნთების პროგრესული რიგიდობით, უპირატესად ტანის კუნთებისა და მათი მტკივნეული სპაზმით, რასაც მოძრაობის, პირველ რიგში კი ხერხემლის შეზღუდვამდე მივყავართ.

მოშკოვიჩის დაავადება — თრომბოციტოპენიური აკრიოანგიოთრომბოზი. თრომბოციტური მიკროანგიოპათია. თრომბოციტური პურპურა. თრომბოციტოპენიური თრომბოჰემოლიზური პურპურა. მწვავე აუტოსომური დაავადება. დამახასიათებელია ჰემოლიზური ანემია თრომბოციტოპენიასა და ჰემორაგიულ სინდრომთან ერთად. სინონიმები: მოშკოვიჩ-ზინგერ-სიმერსის დაავადება, მოშკოვიჩ-ზინგერის სინდრომი.

მოშკოვიჩ-ზინგერის სინდრომი—იხ. სინონიმი: მოშკოვიჩის დაავადება.

მოშკოვიჩ-ზინგერ-სიმერსის დაავადება — სინონიმები: მოშკოვიჩის დაავადება (იხ.), მოშკოვიჩ-ზინგერის სინდრომი.

მოცურავე უინულის სიმპტომი — ფილტვის ექინოკოკის კისტის გახსნისა და ნაწილობრივი დაცლის რენტგენოლოგიური ნიშანი. კისტაში აღინიშნება დარჩენილი სითხის არასწორი კონტურები მოცურავე ნაწილების გამო. სინონიმი: გარსია — სოჯერსის სიმპტომი, მოცურავე შრომანას სიმპტომი.

მოცურავე შრომანას სიმპტომი — სინონიმები: გარსია-სოჯერსის სიმპტომი, მოცურავე უინულის სიმპტომი (იხ.).

„მოწყვეტილი სეგმენტების" სიმპტომი — გულის ანევრიზმის ფიბროზული გადაგვარების დროს რენტგენოკიმოგრაფიულად ანევრიზმის ზონაში ვლინდება პარადოქსული პულსაცია და გულის ჟანეზიის უბნები, რაც „მოწყვეტილი სეგმენტების" სახელითაა ცნობილი.

მოჭრილი ტოტების სიმპტომი — ბრონქების რენტგენოლოგიური გამოსახულება, რაც მიიღება ბრონქოგრაფიით, მოგვაგონებს ვარჯგაცლილ

ხის სილუეტს. სრული ბრონქოსტენოზის წიშანია, გამოწვეული საკონტრასტო ნივთიერების შეჩერებით ბრონქების დავიწროებულ უბნებში.

მოხეტიალეთა დაავადება — დერმატოზი, რომელიც ვითარდება ტილიანებში. დამახასიათებელია კანის ძლიერი გაუხეშება, ლიქენიზაცია და ექსკორიაციები.

მოხსნის სინდრომი — ორგანიზმის რეაქციათა კომპლექსის კლინიკური გამოვლინება ზოგიერთი სამკურნალო საშუალების მოხსნის საპასუხოდ. მაგალითად, კორტიკოსტეროიდებით ხანგრძლივი მკურნალობისას მათი მიღების სწრაფი ან უეცარი შეწყვეტის ნიადაგზე განვითარებული თირკმელზედა ჯირკვლების მწვავე უკმარისობა („გაზარმაცებული" ჯირკვალი ვერ ასწრებს ფუნქციური აქტივობის დროულ აღდგენას).

მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიის სინდრომი — იხ. სინონიმი: მეა-სინდრომი.

მრავლობითი პროლაბირების სინდრომი — ეწოდება ორკარიანი, სამკარიანი და აორტული სარქველების ერთად პროლაბირებას. დამატებით მეოთხე სარქველის ერთდროული პროლაბირება ლიტერატურაში არ არის აღწერილი. ამ დროს აღინიშნება სხვადასხვა გართულება (ძირითადად ინფიცირება).

მრთველების ცხელება — ბისინოზი, აღწერილია როგორც ორშაბათობითი ცხელება (იხ.). ფეიქართა (მქსოველთა) ხველება (იხ.), მას ასევე არასწორად ბამბეულის პნევმოკონიოზი ეწოდება. არსებითად ეს არის სასუნთქი გზების ალერგიული კატარი. გეხვდება მათ შორის, ვინც მუშაობს განსაკუთრებით დამტვერიანებულ ბამბეულის წარმოებაში. მნიშვნელობა აქვს მტვერის კონცენტრაციას. კლინიკა: ორშაბათობით, მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე საათში, აღინიშნება სასუნთქი გზების ლორწოვანას მწვავე გაღიზიანება, ხველა, ტემპერატურა, სისუსტე. კვირის სხვა დღეებში ჩვეულებრივ ეს ნიშნები არ აღინიშნება. მას ადგილი აქვს ასევე დასვენების მომდევნო დღეს. დროთა განმავლობაში ეს მოვლენები ცხრება ანდა შეიძლება ორშაბათის მერეც 2—3 დღეს გაგრძელდეს.

მსელენის სახსროვანი დაავადება — (დაავადებამ სახელწოდება მიიღო სამხრეთ აფრიკის ადგილმდებარეობიდან). ვლინდება მენჯ-ბარძაყისა და სხვა სახსართა ქრონიკული ოსტეოართროზით და ჩონჩხის ზოგიერთი ძვლის ნეკროზით. გამოყოფილია დაავადების მიზეზთა სამი ჯგუფი: ნუტრიტული, ტოქსიკური და გენეტიკური.

მსხვილი ნაწლავის გაღიზიანების სინდრომი — ამ სინდრომისათვის კლინიკურად დამახასიათებელია კუჭის მოქმედების დარღვევა (ფაღარათისა და შეკრულობის შენაცვლება), აირის მომატებული რეფლექსი წვრილი ნაწლავიდან კუჭში, ტკივილის ხასიათის შეგრძნებები მუცელში, ტკივილის დროს მიდრეკილება ფაღარათისადმი, მდგომარეობის გაუმჯობესება გარეთ გასვლის შემდეგ, მუცლის შებერვა და სხვ.

მსხლისებრი გულმკერდი — გულმკერდის ქვედა ნაწილი დავიწროებულია, ზედა ნაწილი შედარებით განიერია (ფორმა გადმობრუნებული მსხლის, აქედან სახელიც — მსხლისებური გულმკერდი). გულმკერდის ეს

ფორმა შედარებით ხშირია ზოგადი ასთენიის დროს, რომელსაც თან სდევს ენტეროპტოზი.

მსუქანი კისრის სინდრომი — სინონიმები: კეთილთვისებიანი სიმეტრიული ლიპომატოზი, ლონუა-ბენსოდას დაავადება, მადელუნგის სინდრომი 1 (იხ.).

მტვირთავის გული — სინონიმები: სპორტსმენის გული, ლობრის მიოკარდია (იხ.).

მუკ-ჰაბერმანის დაავადება — ვარიოლოფორმის მწვავე პარაფსორიაზი. მწვავე პარაფსორიაზი. პაპულოზური ფსორიაზის ნაირსახეობა. ახასიათებს სწრაფი მიმდინარეობა, ჰემორაგიული პეტექიალური და პაპულოზურ-ნეკროზული გამონაყარი, რომელიც ჰგავს ყვავილის გამონაყარს. აქვს ტენდენცია რამდენიმე კვირაში თვითგანკურნების. სინონიმი: უაიდის პარაფსორიაზი.

მულიაფის სიმპტომი — წვრილი ნაწლავის მარყუჟებში საკონტრასტო ნივთიერების მყარი შეყოვნება რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს. სპრუს ნიშანი.

მულოკ-ჰუვერ-გუჟერო-შეგრენის (ანუ სეგრენის) სინდრომი — სინონიმები: მიკულიჩ-გუჟერო-შეგრენის დაავადება (იხ.), მიკულიჩ-შეგრენის სინდრომი, შეგრენის სინდრომი, გუჟერო-ჰუვერ-შეგრენ-მიკულიჩის სინდრომი.

მულონგეტის დაავადება — გამონაყონი სითხე მეხლის სახსარში განიცდის ორგანიზაციას, რაც სახსრის სრულ უმოძრაობას იწვევს. ეტიოლოგია უცნობია.

მუნიე-კუნის სინდრომი — კანის სისხლძარღვთა მსხვრევადობა და კუნთების სისუსტე. წარმოადგენს ელერს-დანლოსის სინდრომის (იხ.) ტიპს, როცა სახსარში ამოვარდნილობას, მოძრაობის მომატებასა და კანის ელასტიკურობის გაძლიერებას თან ერთვის შინაგან ორგანოთა ისეთი დაზიანებანი, როგორიცაა დიაფრაგმის თიაქარი, საყლაპავისა და სასუნთქი ტრაქტის ექტაზია.

მუნის სინდრომი — ახასიათებს ცხიმოვანი ცვლისა და სექსობრივი თანდაყოლილი დარღვევები (ფრელიხის ადიპოზოგენიტალური დისტროფიის მსგავსად — (იხ.), პიგმენტური რეტინიტი, სინდაქტილია, ან პოლიდაქტილია, გონებრივი განუვითარებლობა (ოლიგოფრენია). აღინიშნება განვითარების მრავალი სხვა დეფექტიც მხედველობის მხრივ (სიბრმავემდე), გულის თანდაყოლილი მანკები, სმენის დაქვეითება, სიყრუე, ქვემო კიდურთა სპასტიკური დამბლები, სახსრებში მოძრაობის სიფართის მომატება, მემკვიდრეობითი დიენცეფალურ-რეთინული დეგენერაცია. სინონიმები: ჰეტჩინსონის სინდრომი, ბიმონდის სინდრომი, ლორენსის სინდრომი II. ბარდეს სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-როზაბალის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლის სინდრომი, ბარდე-ლორენს-ბიდლ-ბიმონდის სინდრომი, ბარდე-ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ჰეტჩინსონის სინდრომი. ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეს სინდრომი, როზაბალის სინდრომი.

მუნხმეიერის დაავადება — მაოსიფიცირებელი მიოზიტი. ქვემო და ზე-

მო კიდურების და ზურგის კუნთებში ლაგდება ძელოვანი მასები, რასაც თან ახლავს თავის იძულებითი მდებარეობა, ტორტიკოლისი (მრუდე კისერი), ხერხემლის გამრუდება, კიდურთა სახსრების კონტრაქტურები. ეტიოლოგია უცნობია.

მურეიას ველის ენცეფალიტი — ავსტრალიური ენცეფალიტი, ავსტრალიური დაავადება, კოღოს ვირუსული ცხელებისმიერი მწვავე ინფექციური დაავადება, იწვევს ერთსახელიანი B ჯგუფის არბოვირუსი. მიმდინარეობს ძალზე მძიმედ, ახასიათებს ჰიპერთერმია, გონების ღრმა დაბინდვა, მენინგიალური მოვლენები და ეპილეპტიფორმული გულყრები. გვხვდება ავსტრალიაში.

მურის სინდრომი — აბდომინალური შაკიკი, მუცლის შაკიკი, მუცლის ეპილეფსია. ნაწლავის შეტევითი გაძლიერებული მოტორიკა თავის ტვინის გაღიზიანების შედეგად. ნიშნები: პაროქსიზმული გაფანტული ტკივილი მუცელში. პროდრომულ პერიოდში გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, სიფერმკრთალე, ყურყური მუცელში, შეტევის დროს მუცლის კუნთების კლონური შეკუმშვა. შეტევის შემდეგ ძილიანობა, დამტერეულობა. ელექტროენცეფალოგრამაზე ცვლებრული დიზრიტმია.

მურსონის სიმპტომი — სტენონის სადინარის შესართავის შეშუპება და ჰიპერემია ეპიდემიური პაროტიტის დროს. სინონიმი: ტრეზიიანის სიმპტომი.

მუტარ-მარტენის სიმპტომი — ტკივილი ვალეს წერტილებში ჯანმრთელ ფეხზე. წარმოიქმნება ავადმყოფ ფეხზე დადებითი ლასეგის ნიშნის დროს. აღინიშნება გავა-წელის რადიკულიტის შემთხვევაში.

მუშეს დაავადება — მტკივნეულობა, შეშუპება და მოძრაობის შეზღუდვა სხივ-მაჯის სახსარში. აღინიშნება გადატანილი ტრავმის შემდეგ. რენტგენოგრამაზე — ოსტეოპოროზის და ოსტეოსკლეროზის უბნები. ზოგჯერ ჩანს მოტეხილობის თითქოსდა ვიწრო ზოლი. სინონიმი: პრაიზერის დაავადება.

მუცლის ეპილეფსია — სინონიმები: მურის სინდრომი (იხ.), აბდომინური შაკიკი, მუცლის შაკიკი.

მუცლის შაკიკი — სინონიმები: მურის სინდრომი (იხ.), აბდომინური შაკიკი, მუცლის ეპილეფსია.

მუცლის წინა კედლის კუნთების ნეიროდისტროფიული სინდრომი — კლინიკური ნიშნები შედგება ვერტებრულ და ექსტრაევერტებრულ დარღვევებისაგან: ტკივილი ხერხემალში, ვერტებრული დეფორმაციები, მოძრაობის შეზღუდვა, მყარი ტკივილი მუცლის წინა კედლის მიდამოში. პროცესი უფრო ხშირად ორმხრივია და წინ უძღვის ხერხემლის ოსტეოქონდროზი. სინონიმები: ვერტებროგენული აბდომინალგიური სინდრომი, აბდომინალგიური სინდრომი.

მუხას დაავადება ანუ ყვავილისებრი პარაფსორიაზი — ყვავილისებრი ლიქენოიდურ მწვავე პარაფსორიაზი, წვეთოვანი პარაფსორიაზის მწვავე ვარიანტი, რომლის დროსაც პაპულები გარდაიქმნება ყვავილის მსგავს პუსტულებად ცენტრში ნეკროზით. გამონაყარს თან სდევს ცხელება და

ლომფური კვანძების გადიდება. სინონიმი: მუხა-ჰაბერმანის ტიპის პარაფსორიაზი ანუ დაავადება.

მუხა-ჰაბერმანის დაავადება — იხ. სინონიმი: მუხას დაავადება.

მუხლისებრი კვანძის სინდრომი — ყურში მწვავე ტკივილის შერწყმა გამონაყართან და მგრძნობელობის მოშლასთან, სმენის გარეთა ხვრელისა და გემოვნების მოშლასთან ენის 2/3-ში. აღინიშნება, როცა პათოლოგიური პროცესი შიდა ყურის მიდამოშია, რასაც თან სდევს სათანადო კვანძის დაზიანება. სინონიმი: დეტერინ-სუკა-სიკარის სინდრომი.

მუხლის სახსრის ფუნქციური სინდრომი — ახალგაზრდა ქალები არაიშვიათად მიმართავენ ექიმს მუხლის სახსრის ტკივილის გამო. ბევრ შემთხვევაში ეს სინდრომი სპონტანურად ქრება 25—30 წლის ასაკში. გამოკვლევებით დადგინდა, ამის მიზეზი ისაა, რომ ახალგაზრდა ქალები მოძრაობის დროს არასაკმარისად ტვირთავენ იმ კუნთებს, რომლებიც გვეხმარება შიგნითა როტაციაში და ზომაზე მეტად — იმით, რომლებიც ხელს უწყობენ გარეთა როტაციას. ერთადერთი სამკურნალო საშუალებაა მანუალური კინეზითერაპია.

„მფრინავთა დეკომპრესიული დაავადება" — მსგავსია კესონური დაავადებისა (ანუ „კომპრესიული დაავადება"). კესონური დაავადების დროს დარღვევები ორგანიზმში დაკავშირებულია მომატებული ატმოსფერული წნევიდან ნორმალურ წნევაზე გადასვლასთან; ავიატორთა დაავადება (დეკომპრესიული დაავადება) კი ნორმალური ან მცირედ დაქვეითებული ატმოსფერული წნევიდან მძაფრად დაქვეითებული ატმოსფერული წნევის პირობებში გადასვლასთან, რაც აღინიშნება მაღალ სიმაღლეზე (800 მ და ზევით).

მშრალი სინდრომი — ჩსეროდერმატოზი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს გარეგანი სეკრეციის ჯირკვლების უკმარისობის ნიშნები (საოფლე, სანერწყვე, საცრემლე და სხვ.). სინონიმები: გუჟერო-შეგრენის სინდრომი, პრედტეჩენსკი — გუჟერ-შეგრენის სინდრომი, სიეგრენის, ანუ შეგრენის სინდრომი.

„მძიმე ჯაჭვების" დაავადება — იმუნოგლობულინების დარღვევა პათოლოგიური პარაპროტეინური ამინომჟავური ეგრეთწოდებული „მძიმე ჯაჭვების" ანომალიური კომპლექსების პროდუქციით. აღინიშნება მიელომური დაავადების და დისტროფიული მიოტონიის დროს. სინონიმი: ფრანკლინის სინდრომი ანუ დაავადება.

მწვავე აბდომინური სინდრომი — ამ სინდრომში შედის საკმარისად ბევრი ისეთი სინდრომებისა, რომლებიც კლინიკაში შემოდიან, მუცლის ღრუს ორგანოთა მწვავე ქირურგიული დაავადებების კლინიკით. ასეთებია: კუჭის კომატოზური ატონია, დიაბეტური გასტროპარეზი, ცრუ მწვავე მუცლის სინდრომი, დიაბეტური ფსევდოპერიტონიტი, მწვავე აბდომინური ტკივილის სინდრომი, კუჭ-ნაწლავის ჰემორაგიული სინდრომი, მწვავე წყლული, „დიაბეტური კომის კუჭ-ნაწლავის ფორმა" და სხვ.

მწვავე ეპიდემიური მიოზიტი — ეპიდემიური მიალგია, მწვავე ეპიდემიური მიოზიტი, ეპიდემიური პლევროდინია, მშრალი პლევროზია, ეპიდემიურ-კუნთოვანი რევმატიზმი, „ეშმაკის ტიპი". ეპიდემიური მიოზიტი.

„ბ“ ჯგუფის კოკსაკის ვირუსით გამოწვეული ეპიდემიური ხასიათის დაავადება, პირველად დადგინდა კუნძულ ბორნჰოლმზე. კლინიკური სურათი ხასიათდება მუცლის და გულმკერდის კუნთების ძლიერი ტკივილით, სიცხიანობით, ზემო სასუნთქი გზების გაღიზიანებით. პროგნოზი დადებითია. სინონიმები: ბორნჰოლმის სინდრომი, ანუ დაავადება, დაეს დაავადება, ფინზენის დაავადება, ფინზენ-დაეს დაავადება, ეპიდემიური მიალგია, სილვესტის დაავადება.

მწყერის რიტმი — მეორე ტონის გაორება, მოისმინება გულის მწვერვალსა და ბოტკინ-ერბის წერტილში (იხ.) აღინიშნება მარცხენა წინაგულ-პარკუჭის ხვრელის დავიწროების დროს. შეპირობებულია მიტრალური სარქველის გაღებით აღძრული დამატებითი ტონით (ტკაცუნით). სინონიმი: ბოტკინის მწყერის რიტმი.

მხარ-ბეჭის სინდრომი — დამახასიათებელია ნეიროვასკულარული დარღვევები მამოძრავებელ აპარატის ტროფიკული ფუნქციების პათოლოგიური გამოვლინებებით მარცხენა მხრის სახსარსა, კუნთებსა და მყესებზე. კლინიკა — ინტენსიური ტკივილი მარცხენა მხარში, გულ-მკერდის კუნთებში და ხელში. ტკივილი ძლიერდება ხელის მოძრაობისას, სიცივეზე, პალპაციისას. საჭიროა დიფერენციაცია სტენოკარდიის და პოსტინფარქტული სინდრომისაგან.

მხარ-ხელ-ტერფის სინდრომი — ტკივილის და ვეგეტატიური ტროფიკული ძვრების შერწყმა მხრის სახსარში და ხელის მტევანში. ადგილი აქვს კისრის ოსტეოქონდროზის, მხარის სახსრის პერიართრიტის დროს. სინონიმი: სტეინბროკერის სინდრომი.

მხედველობის ბორცვის სინდრომი — თალამური სინდრომი — მძაფრი მუდმივი ან შეტევისმაგვარი მზარდი ტკივილის შეხამება ჰიპერპათიასთან, ზედაპირული მგრძნობელობის დაქვეითებასთან და ღრმა მგრძნობელობის გაძოვარდხასთან, სენზიტიურ ჰემიატაქსიასთან, ხელების ატიპიურ მდებარეობასთან (თალამური ხელი), მიმიკის დარღვევებთან სიცილისა და ტირილის დროს; მაშინ როცა მიმიკური კუნთების თვითნებური მოძრაობები შენახულია. აღინიშნება თალამუსის დაზიანების დროს. სინონიმი: დეჟერინ-რუსის სინდრომი.

მხრის სინდრომი — ტკივილი მხარის სახსარში (უფრო ხშირად მარცხნივ), ზოგჯერ ერთდროულად აღინიშნება მხარის სახსრის კუნთების ზომიერი ატროფია და სახსრის ზედაპირის დისტროფიული ცვლილებები. პოსტინფარქტული სინდრომის ნაირსახეობა.

მხრის წნულის ქვედა ნაწილის სინდრომი — მაჯისა და წინამხრის ხელისგულის მხრის კუნთების პერიფერიული დამბლა. ერთდროულად მგრძნობელობითი მოშლილობა იდაყვისა და შუა ნერვების ინერვაციის ზონაში. ხელის დისტალურ ნაწილში ვაზომოტორული დარღვევებია. აღინიშნება კისრის VII და VIII და გულმკერდის I ზურგტვინის ნერვის დაზიანების დროს. სინონიმი: დეჟერინ-კლუმპკეს დამბლა ანუ სინდრომი.

ნაადრევი სიბერე — გამოვლინდება 1—2 წლის ასაკში ზრდის შეფერხებით, კანის ატროფიით, კანქვეშა ცხიმოვანი გარსის და კუნთების ატროფიით, თმის გაცვენით, სასქესო ორგანოების განუვითარებლობით, სახსრის

ორგელივი ფიბროზით, ოსტეოპოროზით და საერთო სკლეროზით, ბავშვი იღუპება 13 წლამდე. სინონიმები: ჰატჩინსონის პროგერია, ჰატჩინსონ-ჯილფორდის დაავადება, ჰატჩინსონის დაავადება.

ნავისებური გულმკერდი — დამახასიათებელია მკერდის ზემოთა ნაწილის შუაგულში ნავისმაგვარი ჩაღრმავება. მისი ქვემო ნაწილი არ სცილდება მკერდის დიდი კუნთის კიდეს. სიღრმე ზოჯერ 5 სმ-ძდეა. აღნიშნული ანომალია უფრო ხშირად გვხვდება ზურგის ტვინის დაავადების დროს (მაგალითად, სირინგომიელია).

ნათხემის სინდრომი — მოძრაობის კოორდინაციისა და სინერგიის დარღვევა (ატაქსია, კუნთოვანი ჰიპოტონია, ადიადოკოკინეზია, ჰიპერტერმია და სხვ.), გამოწვეული ნათხემის დაზიანებით.

ნათხემის ნადების სინდრომი — ტენტორიალური სინდრომი — თავის ტკივილის შერწყმა თვალის კაკლების ტკივილთან, სინათლისადმი შიშთან, ბლეფაროსპაზმთან, ცრემლის დენასთან და მენინგეალურ სიმპტომოკომპლექსთან. აღინიშნება ნათხემის ჭიის სიმსივნის დროს. სინონიმი: ბურდენკო-კრამერის სინდრომი.

ნამგლის ნიშანი — მუცლის ღრუს ორგანოთა რენტგენოლოგიური გამოკვლევის ნიშანი — წერილი ნამგლისებური ზოლი განათებისა ღვიძლსა და დიაფრაგმას შორის. კუჭის ან ნაწლავთა პერფორაციის ნიშანი, გამოწვეული მუცლის ღრუში ჰაერის არსებობით.

ნაფციგერის სიმპტომი — ტკივილის წარმოშობა წელის არეში საუღლე ვენებზე ზეწოლის დროს. აღინიშნება გავა-წელის მიდამოს მენინგორადიკულიტების დროს.

ნაფციგერ-ვიეტსის სიმპტომი — კისრის ვენებზე ზეწოლის საპასუხოდ ადგილი აქვს ტკივილის გაძლიერებას წელის არეში და საჯდომი ნერვის გასწვრივ. აღინიშნება წელის მალების დისკოზის დროს.

„ნაღვლით ღებინების" სინდრომი — ანუ დუოდენობილიარული სიწდრომი. ვითარდება კუჭის რეზექციის მერე (ბილროთ მეორეთი). ახასიათებს მომტანი მარყუჟის შიგთავსის ევაკუაციის დარღვევა. მიზეზია მარყუჟის გადაგრეხა, გრძელი მარყუჟი, შეხორცებითი პროცესი, სტენოზი. ძირითადი ნიშანია შებერვა. აღინიშნება ტკივილი ეპიგასტრიუმში და ღებინება ნაღველით. სინონიმი: მომტანი მარყუჟის სინდრომი.

ნაღვლის კალციფიკაციის სინდრომი — ეტიოლოგია არაა ცნობილი. შესაძლოა მიზეზი ფოსფორისა და კალციუმის მეტაბოლიზმის ადგილობრივი ან კოლოიდური წონასწორობის დარღვევა ან ფერმენტთა აქტივობის დაქვეითება იყოს. რენტგენოლოგიურად შემთხვევათა 90%-ს ნაღველ-კენჭოვანი დაავადების თანხვედრა წარმოადგენს.

ნაცრისფერი თრომბოციტების სინდრომი — კლინიკური სიმპტომებია თრომბოციტოპენია, სპლენომეგალია, რუხი ფერის აგრანულირებული თრომბოციტები. ძვლის ტვინში დამახასიათებელია დიფუზური ფიბროზი, ელექტრონული მიკროსკოპიით თრომბოციტებში არ არის ალფა-გრანულები. ელექტროფორეზით პოლიაკრილამიდურ გულსა და იმუნოელექტროფორით თრომბოციტებში არ ელინდება თრომბოციტარული თრომბოსპონდინი და ფიბრონექტინი.

ნაწლავთა გრიპი — ეპიდემიური დიარეა, ეპიდემიური ფაღარათი, მწვავე ინფექციური დაავადება. სავარაუდოა ვირუსული ეტიოლოგია, ეპიდემიური გავრცელებისადმი მიდრეკილებით — ძირითადად ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ახასიათებს გასტროენტერიტის მოვლენათა მძაფრი განვითარება ღებინებით და წყლიანი განავლის დიდი რაოდენობით, ასევე ძლიერი სისუსტით და ხშირად ფარინგიტის ნიშნებით. სინონიმები: ჰანოვერის დაავადება, სპენსერის დაავადება, ზამთრის ღებინების დაავადება.

ნახტომის სიმპტომი — ბარიუმის ფაფის მიღების 5-6 საათის შემდეგ საკონტრასტო ნივთიერება იმყოფება თეძოს ნაწლავის ბოლო მარუჯებში, ხოლო ფაფის მნიშვნელოვანი ნაწილი არის განივზოლიანი ნაწლავის საწყის მესამედში. ამ სეგმენტებს შორის საკონტრასტო ნივთიერება არ არის. სინონიმები: შტრილინის სიმპტომი, ილეოცეკალური მიდამოს ტუბერკულოზური დაზიანების სიმპტომი.

ნებეკურის სინდრომი — თანდაყოლილ ენდოკრინულ ანომალიათა ტრიადა: შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოფიზული ნანიზმი და გენიტალური ინფანტილიზმი.

ნების განხრები — ელექტროკარდიოგრამის გადაღება ნების განხრებში, ადგილი აქვს პრეკორდიალურ და ორპოლუსიან განხრებს. მარჯვენა ხელიდან მავთული უერთდება ელექტროდს, რომელიც დარჩება მკერდის მარჯვენა მხარეს — კიდეზე, მეორე ნეკნთაშუა დონეზე. მავთული მარცხენა ხელიდან უერთდება ელექტროდს, რომელიც განლაგებულია ზურგზე, გულის მწვერვალის პროექციაზე. მავთული მარცხენა ფეხიდან უერთდება ელექტროდს, რომელიც განლაგებულია გულის მწვერვალზე. პირველი სტანდარტული შეეფარდება ზურგისას (D), მეორე — წინას (A) და მესამე — ქვედას (I).

ნეგელის დაავადება — I — ძვლის ტვინოვანი წარმოშობის მწვავე მონოციტული ლეიკოზი. მიმდინარეობა ისეთივეა, როგორც რეშად-შილინგის დაავადების (იხ.) დროს. ჰისტოლოგიურად — ძვლის ტვინის ჰიპერპლაზია და მეტაპლაზია (მონოციტოიდური პარამიელობლასტები, მიელობლასტიკური პარამონოციტები).

ნეგელის დაავადება II — თანდაყოლილი თრომბოციტოპათია. აღინიშნება სისხლდენა და სისხლჩაქცევები კანსა და ლორწოვანებში, შარდ-სასქესო სისტემაში. სასახსრე პარკში სისხლდენა არ ახასიათებს. ელენთა არ დიდდება, თრომბოციტების რაოდენობა ნორმალურია, აღინიშნება დეგენერაციული ფორმები და ანიზოციტოზი, თრომბოციტების აგლუტინაციის დარღვევა. სისხლდენის დრო და სისხლის კოლტის რეტრაქცია მკვეთრადაა გახანგრძლივებული. კონჩალოვსკი — რუმპელ ლეედეს სიმპტომი დადებითია.

ნეგელის სინდრომი — მემკვიდრეობითი ხასიათის ჰემორაგიული დიათეზი, დაკავშირებული თრომბოციტების აგლუტინაციის პროცესების დარღვევასთან. ხასიათდება სისხლდენის ხანგრძლივობის და სისხლის კოლტის რეტრაქციის მკვეთრი მატებით, სისხლის შედედების ნორმალური მაჩვენებლის ფონზე. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპით.

ნეგელი-იადასონის სინდრომი — ინკონტინენცია — პიგმენტის ნაირსა-

ხეობა, რომლის დროსაც დაბადებიდან მეორე წელს ბავშვს უვითარდება სიმეტრიულ კერატოდერმიასთან მერწყმული ბადისებრი იერის პიგმენტური ლაქები. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. სინონიმი: ფრანჩესკეტი — იადასონის სინდრომი, ნეგელი-ბლოს-იადასონის სინდრომი.

ნეგელი-ბლოს-იადასონის სინდრომი — სინონიმები: ნეგელი-იადასონის სინდრომი (იხ)., ფრანჩესკეტი-იადასონის სინდრომი.

ნეგიშის ვირუსული ენცეფალიტი — მწვავე ინფექციური დაავადება ტკიპის ვირუსული ენცეფალიტის ჯგუფიდან. იწვევს ერთსახელიანი არბოვირუსი. სურათი მოგვაგონებს ორტალღიან გაზაფხულ-ზაფხულის მენინგოენცეფალიტს. გვხვდება იაპონიაში.

ნეგროს სიმპტომი — ჯანმრთელთან შედარებით ავადმყოფს აღენიშნება უფრო ფართო ზოლი რქოვანასა და ქვედა ქუთუთოს შორის, დაზიანებულ მხარეს, ზემოთ ახედვისას. აღინიშნება სახის ნერვის პერიფერიული დაშლის დროს.

ნეუერგილტის სინდრომი — კიდურთა განვითარების მემკვიდრეობითი მანკი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ხშირია მშობლების ახლო ნათესაობა. დამახასიათებელია იდაყვის სახსრების დისპლაზია, სხივი-იდაყვის სინოსტოზი, სხივისა და იდაყვის ძვლების ამოვარდნილობა, წვივის ძვლების დისპლაზია, ტერფის დიდი თითის დეფორმაცია.

ნეუინის სინდრომი — უცნობი გენეზის პრესენილური ენცეპალოპათია, სიმპტომები ვლინდება 50—70 წლის ასაკში. ნიშნები: მხედველობის პროგრესული დარღვევა — სიბრმავემდე. მოძრაობების და მეტყველების მოშლა, ნათხემისებრი ნიშნები, ინტელექტის დაქვეითება, მიოკლონიურ კრუნჩხვათა შეტევები, მორფოლოგიურად ტვინის უჯრედების ატროფია.

ნეზელოფის სინდრომი — ლიმფოციტური აპლაზია. ლიმფოციტური დისგენეზია, იმუნოპარეზიის ფრანგული. ტიპი — მემკვიდრეობითი დაავადებაა, ახასიათებს უჯრედული იმუნიტეტის რეაქციის არარსებობა. მიზეზია ლიმფოციტების რაოდენობითი უკმარისობა და ხარისხობრივი არასრულქმნილება (სისხლის პლაზმაში იმუნოგლობულინების ნორმალური შემცველობისას). მემკვიდრეობითი გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიულია.

ნეთერტონის სინდრომი ანუ დაავადება — გენეტიკურად პირობადებული თანდაყოლილი იქტიოზურფორმიანი ერითროდერმია, თმის პროქსიმალური უბნების გასქელება, მათში დისტალურის ინვაგინაციის გამო ატიპიური დერმატიტის და კატარაქტის შეუღლება. შესაძლოა თან სდევდეს ამინოაციდურია. ადგილი აქვს მხოლოდ ქალებში.

ნეიმანის დაავადება ანუ სინდრომი — დამახასიათებელია ეგეტირებადი ბუშტუკელა, ეშმარიტი ბუშტუკელა, ბუშტუკების ლოკალიზაცია პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, სხეულის ბუნებრივი ხვრელების ირგვლივ და კანის მსხვილ ნაკეცებში, ასევე პაპილომატოზური წანაზარდები ეროზიების ზედაპირზე, რომლებიც ბუშტუკების ადგილზე ჩნდება.

ნეიმანის მხტუნავი პერკუსია — ამ პერკუსიის დროს თითი, რომელიც ასრულებს პლესიმეტრის როლს, სწრაფად იხსნება გამოსაკვლევი მიდამო-

დან დარტყმის შემდეგ. არსებობს მოსაზრება, რომ ეს იძლევა ორგანოთა მიჯნების განსაკუთრებით ზუსტ განსაზღვრას.

ნეიმანის სირინგოცისტომა — კეთილთვისებიანი ეპითელიური ცისტადენომა. ერუპტიული ჰიდრადენომა. სირინგოცისტადენომა. საოფლე ჯირკვლების ადენომა. ხშირად გვხვდება ქალებში — კისერზე, გულმკერდის წინა ზედაპირზე და მუცლის არეზე. კანზე აღინიშნება პატარა ხორკლები, ქინძისთავის სიდიდიდან ცერცვის ოდენამდე, რბილი კონსისტენციის, მრგვალი ან ოვალური, კანის ფერისა ან მოყვითალო, სადა ზედაპირით, სუბიექტურ გამოვლინებებს არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლების და მათი სადინრების გადაადგილებული ჩანასახიდან. სინონიმები: ტორეკის სირინგომა, ბენიეს ცისტადენია, იარიშის ჰემანგიოენდოთელიომა, ქაკე-დარიეს სინდრომი.

ნეირატ-კუშინგის სინდრომი — გიგანტიზმისა და აღიპოზოგენური დისტროფიის შერწყმა.

ნეიროდერმატოზური სინდრომი — მცოცავი ტკივილი მთელ სხეულში (განსაკუთრებით კიდურებში), რბილი დამბლები, ჰიპორეფლექსია, მასიური გენერალიზებული შეშუპება. გრძელდება 2—3 კვირის მანძილზე და შემდეგ განიცდის უკუქცევას. გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ბანალური ინფექციის გადატანის შემდეგ. სინონიმები: დებრეს სინდრომი 11, ჟულიენ-დებრეს სინდრომი.

ნეირო-კუტანული სინდრომი — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი, ნევოიდული ამენცია, თანდაყოლილი ნეიროეზოდერმული დისპლაზია, დამახასიათებელია ნერვული სისტემის სხვა დარღვევები, გლაუკომა.

ნეიროლეპტიკური სინდრომი — ნეიროლოგიური, ფსიქიკური და ვეგეტატიური მოშლილობების თანაარსებობის დასახელება, რომლებიც წარმოიქმნება ნეიროლეპტიკური საშუალებებით მკურნალობის პერიოდში. სინონიმი: დილეია — დენეკერის სინდრომი.

ნეირო-შეშუპებითი ეპიდემიური სინდრომი — დასაწყისში შეტევითი ტკივილი, ხველება, ლარინგიტი, რაც 3—15 დღე გრძელდება. შემდეგ მატულობს ტემპერატურა. ვითარდება შეშუპება და დამბლები (ქვედა კიდურთა, მენჯის სარტყელისა და ხერხემლის კუნთების), მყესთა რეფლექსები შენახულია ზურგტვინის სითხე-ნორმულ მდგომარეობაში. აღინიშნება სუნთქვისა და გულისცემის დარღვევა, დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა. სინონიმი: დებრე-მარის დაავადება.

ნეიმაუზენ-ბერენბერგის ნიშანი — კარდიოეზოფაგური აქალაზია. კუჭის კარდიული ნაწილის სფინქტერის დასუსტება (უპირატესადაა ბავშვებში). ნიშნები: ბოყინი, საკვების ამოღება, რწყევა, ღებინება. რენტგენოლოგიურად საყლაპავის ქვედა ნაწილის გაფართოება და კუჭ-საყლაპავის რეფლექსი სუნთქვისა და მუცელზე ხელის დაჭერის დროს.

ნელატონის დაავადება — გიგანტურუჯრედული სიმსივნე. ძვლის სტრუქტურა მკაფიოდაა შეცვლილი. დაზიანებული ძვალი განიცდის სიმსივნისმაგვარ დეფორმაციას. ჰისტოლოგიური გამოკვლევით მრავლობითადაა გიგანტური უჯრედები. მიეკუთვნება ფიბროზულ ოსტეოდისტროფიათა ჯგუფს. ეტიოლოგია უცნობია. უფრო ხშირია იზოლირებული დაზიანე-

ბა გრძელი ლულოვანი ძვლების მეტაფიზარული მიდამოსი 20—40 წლის ასაკში.

ნელსონის სინდრომი — ჰიპოფიზის ქრომოფილური სიმსივნე, განვითარებული ორმხრივი ადრენალექტრომიის შემდეგ (ცუშინგის სინდრომის გამო). ნიშნები: სიმსუქნე, ამენორეა, ქალებში ჰიპერტრიქოზი, არტერიული ჰიპერტენზია, პოლიციტემია, კუნთების სისუსტე, კანის გათხელება და პროგრესული პიგმენტაცია. სისხლში მომატებულია აკტ შემადგენლობა და კატექოლამინები. თურქული კეხი რენტგენოლოგიურად შეცვლილია. აღინიშნება ოპერირებულ ავადმყოფთა 10%-ში.

ნელსონ-მეიერის რეაქცია — მკრთალი ტრეპონემების იმობილიზაციის რეაქცია — ათაშანგის დიაგნოზის სეროლოგიური მეთოდი, დამყარებულია მკრთალი ტრეპონემების მოძრაობის დაკარგვის ფენომენზე, როცა მათ ნარევს ემატება ათაშანგით ავადმყოფის სისხლის შრატი, სისხლძარღვოვანი ნეეუსები სამწვერა ნერვის ტოტების გაყოლებით. სინონიმები: კრაბეს სინდრომი, ბრაშფილდ-უაიტის სინდრომი, შტურგე-ვებერის დაავადება, სტერჯ-ვებერ-კრაბეს სინდრომი, სტერჯ-ვებერის დაავადება.

ნემიონოვის წყლის სინჯი — ტროაკარის მუცლის ღრუში გასვლის ფაქტის დადგენის წესი ხელოვნური პნევმოპერიტონიუმის დროს, დამყარებული მასზე, რომ ასეთ დროს ტროაკარიით დაუბრკოლებლად შეიძლება შევიყვანოთ ფიზიოლოგიური ხსნარი.

ნერის რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: მხარის გაწევა, წინამხარის მოხრა და პრონაცია ბეჭის გარეთა კიდის პერკუსიის დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანია.

ნერი-ბარეს სინდრომი — კისრის შაკიკი, კისრის უკანა ნაწილის სიმეტრიული სინდრომი. ხერხემლის ნერვის სინდრომი, ხერხემლის არტერის სინდრომი — ტკივილისა და პარათეზიის შერწყმა (უფრო ხშირად ცალმხრივი) კისრისა და თავის არეში გარდამავალი თავბრუთი, უურებში შუილით, მხედველობის დაქვეითებით. აღინიშნება კისრის ოსტეოქონდროზის, კისრის ტრავმის ან სიმსივნის დროს, რაც იწვევს ხერხემლის არტერიაზე და მისი სიმფატიკურ წნულზე ზეწოლას. სინონიმი: ბარე-ლიეუს სინდრომი.

ნერის ნიშანი — თავდაკერის სიმპტომი—ავადმყოფს არ შეუძლია ფეხზე დგომისას წელში წინ მოხრა, ფეხში და დუნდულოში ტკივილის გამო, გაეა-წელის რადიკულიტის ნიშანია.

ნეტლშიპის დაავადება — ნეტლშიპის სინდრომი. პიგმენტური ურთიკარია, კეთილთვისებიანი რეტიკულოზის ნაირსახეობა; კლინიკურად ჰგავს პიგმენტურ ურთიკარიას. ნიშნები: ურთიკარიური ან ქსანტელამატოზური გამონაყრები სხეულის სხვადასხვა ადგილზე ზომით ჭინჭისთავის სიდიდის ცერცვის ოდენამდე. აღინიშნება გამონაყარი პირის ღრუს ლორწოვან გარსზეც. სისხლში ლომფოციტოზი, ანემია, დაქვეითებულია კაპილარების მდგრადობა. აღინიშნება ოსტეოპოროზი, ჰეპატოსპლენომეგალია. შესაძლოა მემკვიდრეობის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი.

ნეფროზული სინდრომი — მასიური პროტეინურია (ცილის დღიური დანაკარგი — 3,5 გ და მეტი), ჰიპო — და დისპროტეინემია, რასაც თან

სდევს. სახის და სხეულის შეშუპება. აღინიშნება თირკმლებს დაავადებების, სისტემური დაავადებების და სხვ. დროს.

ნეჩიპორენკოს მეთოდი — შარდის 1 მლ-ში ფორმიანი ელემენტების დათვლა. გამოსაკვლევად ვიღებთ მის შუა ულუფას. 1 მლ შარდში ერითროციტების რაოდენობა ნორმაში არ აღემატება 1000-ს, ლეიკოციტები 4000-ს და ჰიალინური ცილინდრები 250-ს.

ნეცელოფის სინდრომი — თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი აუტოსომურ-რეცესიული გადაცემით. შემადგენელი დაზიანებებია: პარაფარისებური ჯირკვლების და თიმუსის აპლაზია, აორტის რკალის ანომალია, იმუნური სისტემის სისუსტე, კრუნჩხვები. სისხლში აღინიშნება ლიმფოციტოპენია, ჰიპოკალციემია, ჰიპოგამაგლობულინემია. შესაძლოა დაერთოს კატარაქტა, საზარდულის თიაქარი. სინონიმი: დე ჟორჟეს სინდრომი.

„ნიანგის ცრემლების“ სიმპტომი — ჭამის დროს ცრემლიანობა სახის ნერვის დაზიანების მხარეს. სინონიმი: ბოგორადის სიმპტომი.

ნიგარდ-ბრაუნის სინდრომი ანუ დაავადება — დამახასიათებელია ქვემო კიდურების და მენჯის არტერიების მრავლობითი თრომბოზი, სისხლის შედედების დაჩქარება და სისხლდენის დროის შემცირება პროთრომბინის ინდექსის შეცვლის გარეშე. კლინიკურად აღინიშნება ძლიერი ტკივილი წვივის კუნთებში, შენაცვლებითი სიკოჭლე. შესაძლოა განგრენის განვითარება. ეტიოლოგია უცნობია.

ნიერგელტის სინდრომი — ჩონჩხის კიდურთა განვითარების სისტემური თანდაყოლილი მანკები. ნიშნები: მხრის სახსრების განუვითარებლობა, სინოსტოზი სხივისა და იდაყვის ძვლებს შორის, ამოვარდნილობები მხრის სახსარში, წვივის განუვითარებლობა, ფეხმრუდობა, დიდი თითების დეფორმაცია, ეტიოლოგია მემკვიდრეობითი. სინონიმი: ნიერეელტერბის სინდრომი.

ნიერგელტ-ერბის სინდრომი — იხ. სინონიმი: ნიერგელტის სინდრომი.

ნიკოლაევის სიმპტომი — ყურში ტკივილის მოხსნა შიგნითა საძილე არტერიის პროექციაზე ზეწოლით და მისი ხელახალი აღმოცენება ზეწოლის მოხსნისთანავე. შუა ოტიტის ნიშანია.

ნიკოლა-დიურან-ფავრის დაავადება — საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი. მეოთხე ვენერიული დაავადება, გამოწვეული ქლამიდიებით. დამახასიათებელია გარეთა სასქესო ორგანოებზე უმტკივნეულო ეპითელიზირებადი ეროზიების ან წყლულების სწრაფი გაჩენა და შემდგომ რეგიონული ლიმფადენიტის განვითარება. სინონიმი: ნიკოლა-ფავრის დაავადება.

ნიკოლა-მუტო-შარდეს სინდრომი — ეპიდერმისის აშრევების თანდაყოლილი ფორმა. ზოგიერთი ბუშტუკების ძირი წყლულდება ან განიცდის მეჩეჩოვან პროლიფერაციას. ბუშტუკები შეიძლება გაჩნდეს ზედა სასუნთქ გზებში ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზედა ნაწილში, რაც შეიძლება მათი დაავიწროების მიზეზი გახდეს.

ნიკოლა-ფავრის დაავადება — იხ. სინონიმი: ნიკოლა-დიურან-ფავრის დაავადება.

ნილენ-როზეს სინდრომი — თავის დაბლა დახრისას აღინიშნება ნის-

ტავში. დამახასიათებელია თავის ქალას შიდა ჰიპერტენზიისათვის. სინონიმია: როზე-ნილენის სიმპტომი.

ნილსენის სინდრომი — I — ნილსენის თანდაყოლილი დისტროფია. ხერხემლის განვითარების მრავლობითი ანომალიების, მისი კისრის ნაწილის მოძრაობის შეზღუდულობის შეუღლება ბეჭის ძვლების მაღლა დგომასთან და კასრისებურ გულ-მკერდთან.

ნილსენის სინდრომი II — თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვის შედეგად. ნიშნები: გამოხატული სისუსტე, ფიზიკური უძლურება, ფსიქომოტორული მოუსვენრობა, კუნთების ფასციკულური მოძრაობები, ეიფორია. დასვენების შემდეგ სიმპტომები ქრება. პროგნოზი კარგი.

ნიმან-პიკის დაავადება — განეკუთვნება თანდაყოლილ ქსანტომატოზებს. უკრედში და აქედან ქსოვილში აღინიშნება ქსანტომური ელემენტების დაგროვება. ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით, ჰეპატოსპლენომეგალიით, ცვლილებებით გულში, შედარებით ხშირია გოგონებში.

ნირხოფ-ჰუბნერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ენქონდრული მეტაფიზული დიზოსტოზის ვარიანტი. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: მიკრომელია, გამოხატული კრუნჩხვების შეტევები, ჰიპერაზოტემია. რენტგენოლოგიურად — ლულოვანი ძვლების, ნეკნებისა და ხერხემლის მეტაეპიზარულ ნაწილთა განვითარების დარღვევა. გამოსაყვალი ლეტალურია.

ნისბეტის შანკრი — სასქესო ორგანოს ზურგის მხარეზე (უფრო ოშვიათად სასქესო ბაგეებზე) წყლულები და აბსცესები, რომლებიც წარმოიქმნება ლიმფური ძარღვების გაყოლებით. აღინიშნება რბილი შანკრის ლიმფანგოიტით გართულების დროს.

ნიხიმოტოს დაავადება — ცერებრული ბაზალური ტელეანგიექტაზია. უკავშირდება საძილე არტერიების ოკლუზიას ან თანდაყოლილ ანომალიას თავის ტვინის ფუძეზე პათოლოგიური სისხლძარღვოვანი ქსელის განვითარებით. კლინიკურად ვლინდება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით. სინონიმები: ნისიმოტო-ტაკეუტი-კუდოს დაავადება, მოია-მოია-დაავადება.

ნიხიმოტო-ტაკეუტო-კუდოს დაავადება — სინონიმები: ნისიმოტოს დაავადება (იხ.), მოია-მოია დაავადება.

ნიხლ-ალცჰეიმერის ფორმა ნეიროათაშანგის — ნეიროათაშანგის ფორმა. დამახასიათებელია თავის ტვინის ქერქის წვრილ სისხლძარღვთა დაზიანება. გამოვლინდება თანდათანობით მზარდი ჰკუასუსტობით.

ნიფერგელტის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. ხასიათდება იდაყვის სახსრის დისპლაზიით, სხივ-იდაყვის სინოსტოზით, სხივის და იდაყვის ძვლების ამოვარდნილობით და ქვეამოვარდნილობით, წვივის დისპლაზიით, მისი მცირე ძვლის შედარებითი შემცირებით, ტერფის გამრუდებით და დიდი თითების დეფორმაციით.

ნიფციგერის სინდრომი — წინა კიბისებური კუნთის სინდრომი, კიბი-

სებური კუნთის სინდრომი. სკალენუს სინდრომი; კისრის არეში ტკივილის შერწყმა მხარის ზემოთა და ხელში — იდაყვის მხარეზე ტკივილთან, ხელის პერიფერიულ პარეზთან (უპირატესად დისტალურ ნაწილებში), მტკივნეულობასთან პალპაციის ღროს წინა კიბისებური კუნთის მიმაგრების ადგილას, სხივის არტერიაზე პულსის დასუსტებასთან, ადგილობრივ ვეგეტატიურ სისხლძარღვოვან დარღვევებთან. გამოწვეულია ღავიწქვეშა არტერიაზე ზეწოლით და ასევე მხარის წნულის ღავიწქვეშა ნაწილის კისრის მალებქვეშ ზეწოლით ან ანომალიურად განლაგებული პირველი ნეკნითა და შეკუმშული კიბისებური კუნთით.

ნიშამენის დაავადება — ნიშამენის სინდრომი. თანდაყოლილი ოჯახური პოლიციტემია. მემკვიდრეობითი პოლიციტემიის იშვიათი ფორმა, შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. კანისა და ლორწოვანი გარსების ინტენსიური მოწითალო-მოლურჯო შეფერვა. ადგილი არა აქვს არც სისხლძარღვთა, არც სასუნთქი აპარატის და არც ნეეროლოგიურ დარღვევებს. ელენთა და ღვიძლი გადიდებული არ არის. ბავშვის განვითარება ნორმალურია. ერითროციტოზი გამოხატულია. ძვლის ტვინში ნორმალურია ერითროპოეზი.

ნოაკის სინდრომი — I ტიპის აკროცეფალოპოლისინდაქტილია, აკროცეფალია პოლიპოლიუსდაქტილია, პლიუს სინდაქტილია. მემკვიდრეობითი დაავადება, ახასიათებს აკროცეფალია, სინდაქტილია და გადიდებული ქვედა კიდურთა თითების გაორება. მემკვიდრეობის ტიპია აუტოსომურ-დომინანტური.

ნოთნაგელის დამბლა — ნოთნაგელის მიმიკური დამბლა — ცხვირ-ტუჩის ნაოჭის არათანაბრობა და პირის ღრუს კუთხის დაკიდება, რაც გამოვლინდება აფექტური მიმიკური მოძრაობებით (ღიმილი და სხვ.) და არ აღინიშნება უნებლიე მოძრაობების დროს. ადგილი აქვს ქერქქვეშა კვანძების დაზიანების შემთხვევებში.

ნოთნაგელის სინდრომი — ნათხემისებური ატაქსია, თვალის მამოძრავებელი ნერვის დამბლა, ცენტრალური წარმოშობის ცალმხრივი ან ორმხრივი სიყრუე. ზოგჯერ თან ახლავს ქორეოფორმული ან ათეტოიდური ტიპის ჰიპერკინეზი, ქვემო კიდურების პარეზი ან დამბლა ან თავის მე-VII—XII წყვილი ნერვების ცენტრალური პარეზი. გვხვდება შუამდებარე ტვინის სახურავის ამა თუ იმ პათოლოგიური პროცესით (სისხლძარღვოვანი, სიმსივნური, ანთებითი) დაზიანებისას.

ნოიბერგერის სინდრომი — მთელი კანისა და ლორწოვანი გარსების მოყვითალო ფერის გარდა აღინიშნება კანის გასქელება. ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა ზედაპირზე კანი აქერცლილია, მოფენილია რბილი მეჭეჭოვანი წარმონაქმნებით, რომელთა ფერია ლურჯი-მოცისფრო. ეტიოლოგია უცნობი.

ნოიმანის დაავადება — პემფიგოიდული ავთვისებიანი კონდილომატოზი. პირველადი ელემენტია ბუშტუკი. მისი გასკდომის შემდეგ იწყება ეროზიის პროლიფერაცია და ჩნდება ჰიპერტროფიული მეჭეჭოვანი წარმონაქმნები, რომლებიც იზრდება პერიფერიულად. უპირატესი ლოკალიზაციაა კანის ნაოჭები, სასქესო ორგანოს მიდამო, უკანა ტანი. ასევე შესაძ-

ლოა განვითარდეს პირის ღრუში და სასქესო ორგანოებზე. მიმდინარეობა ქრონიკული. ბუშტუკში არის აკანტოლიზური უჯრედები, სისხლში ლეიკოციტოზი, ზოგჯერ ეოზინოფილია, პროგნოზი არაკეთილსაიმედო. სინონიმი: ტომასოლის სინდრომი.

ნოკემანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების თანაარსებობა. სავარაუდოა მისი აუტოსომურ-დომინანტური გადაცემა. დაავადება მჟღავნდება ორი-ოთხი წლის ასაკში ხელისა და ფეხისგულების კერატოზით. ხელის მტევნის, იდაყვისა და მუხლების ძვლებზე მეჰეჰოვანი წარმონაქმნებით, შემდეგ ამას ემატება სხვა ძვლების ცვლილებები, ღარები ხელისა და ფეხის თითებზე, სმენის დაქვეითება (მიზეზია შუა ყურის ანომალია)— სიყრუემდე.

ნონეს კომპრესიული სინდრომი — ლიქვორული ბლოკადის სინდრომი — ზურგ-ტვინის სითხეში ცილის მომატებული რაოდენობის შეუღლება უმნიშვნელო ციტოზთან ან მის არარსებობასთან და ქსანთოქრომიასთან. გამოწვეულია ზურგის ტვინის სუბარაქნოიდულ სივრცეში გამტარებლობის დარღვევით. აღინიშნება მაგალითად ექსტრამედულარული სიმსივნეების, პაქიმენინგიტის დროს. სინონიმები: ფროენის სინდრომი, ფროენ-ნონეს სინდრომი.

ნონეს სინდრომი — სინდრომი ნათხემის დაავადებების დროს. ნიშნები: დისმეტრია, ასინერგია, მოძრაობის კოორდინაციის არარსებობა, მეტყველების დარღვევა.

ნონე-მილროი-მეიჟის სინდრომი ანუ დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახისა და კიდურების ტროფედების შერწყმა ტანმორჩილობასთან, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჩამორჩენილობასთან, ჰიპოგონადიზმთან. იხ. სინონიმები: მეიჟის დაავადება, მილროის დაავადება.

ნონე-ფროენის სინდრომი — იხ. სინონიმი: ნონეს კომპრესიული სინდრომი.

ნორდენის მაჩვენებელი — წონა-ზომის მაჩვენებელი. „ნორმალური“ წონა შეესაბამება სიმაღლე სანტიმეტრებში გამრავლებული 420-დან 480-მდე (სიმაღლის მიხედვით) და გაყოფილი 1000-ზე. მაგალითად, სიმაღლე 170 სმ, გამრავლებული 420≠7140, ეს კი გაყოფილი 1000=71,4 კგ.

ნორვეგიული მღერი — არსებობს მღერის რამდენიმე ნაირსახეობა. იწვევს ადამიანის მღერის გამომწვევი ტკიპი. ვლინდება კანზე ნაკაწრებისა და ჩირქოვანი გართულების სახით. უპირატესად ავადდებიან ფიზიკურად დაძაბუნებული, დაქვეითებული წინააღმდეგობის მქონე პირები, ზოგჯერ ფსიქიკურად დაავადებულნიც. სინონიმი: ბეკის მღერი.

ნორის სინდრომი — მემკვიდრეობითი გადაცემის ტიპი რეცესიული, მიჯაჭვული სქესთან. დაავადება ვლინდება მხოლოდ ახალშობილ ბიჭუნებში, ხშირია ოჯახური ხასიათი. აღინიშნება თვალის პათოლოგიის (თვალის ბუშტის შიგნითა გარსის განვითარების მანკი) დროს, სიყრუე და გონებრივი ჩამორჩენილობა. თანდათანობით ვითარდება კატარაქტა, უვეიტი, თვალის კაკლის ატროფია, რქოვანას შემღვრევა.

ნორმალური კორონარული არტერიების სპაზმის სინდრომი — ამ

ჯგუფს მიეკუთვნებიან ის აევადმყოფები, რომელთაც კლინიკურად აქვთ სტენოკარდიის ესა თუ ის ფორმა, მაგრამ ამა თუ იმ გამოკვლევისას (მათ შორის ანგიოგრაფია) არ ელინდება კორონარულ სისხლძარღვთა სკლეროზი.

ნორმან-ვუდის ამავროზული იდიოტიის ფორმა — თანდაყოლილი ამაუროზული იდიოტია, ამაუროზული იდიოტია, რომელიც ელინდება დაბადების შემდეგ სწრაფად პროგრესირებადი პიდროცეფალიით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, კრუნჩხვებით, ნერვულ-ფსიქიკური განვითარების შეჩერებით.

ნუნანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ფილტვის არტერიის სარქველების სტენოზი, დაბალი სიმაღლე, ჰიპერტელორიზმი, ქუთუთოების პტოზი, ეპიკანთუსია, კრიპტორქიზმი, მუცლის სწორი კუნთების დიასტაზი, ჩონჩხების დეფორმაცია, გონებრივი ჩამორჩენა, ანდროტროპიზმი. სინონიმები: ტერნერის მცირე სინდრომი, ულრიხის მცირე სინდრომი, ულრიხ-ტერნერის ფსევდოსინდრომი.

ნუკის კისტა — ნუკის არხში სეროზული სითხის შემოფარგლულად დაგროვება.

ობალეხ სინდრომი — კვებითი ამბლიოპია. მხედველობის მძიმე დარღვევები ხანგრძლივი შიმშილის შემდეგ. ნიშნები: ალიმენტარული შეშუპება, ფრჩხილებისა და თმის დისტროფია, პოლინევრიტი, ყურის ირგვლივ ჯირკვლების შესივება, მხედველობის გაუარესება, ბლეფარიტი, კონიუნქტივიტი, კერატიტი, ცენტრალური დიდი სკოტომები, ანდროტროპიზმი.

ობერლინგის სინდრომი — რეტიკულოსარკომატოზი. რეტიკულოენდოთელიური წარმოშობის სარკომა. ნიშნები: ლიმფური კვანძების გადიდება (უპირატესად კისერზე), ცხელება, ჰეპატოსპლენომეგალია, ედს-ის აჩქარება, ანემია, ლეიკოციტოზი, ლიმფოპენია, ადრეული მეტასტაზები სხვადასხვა ორგანოში. კლინიკა მოგვაგონებს ლიმფოსარკომატოზს. გამოსავალი ლეტალური.

ობერნდორფერის დაავადება — ნაწლავების კარცინოიდი. ხასიათდება ნელი ზრდით, მეტასტაზებით ღვიძლში, სიმსივნური კვანძები შედგება არგიროფილური უჯრედებისაგან, რომელიც ჰარბად პროდუცირებს ტრიპტოფანს და სეროტონინს, რაც იწვევს შეხურებას, სახის, სხეულის და ხელების წითლად დაფოთლას, არტერიულ ჰიპერტონიას, გულის ფრიალს, თავის ტკივილს, ბრონქოსპაზმს, ფაღარათს, ვითარდება მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია და დილატაცია, სამკარიანი სარქველის ფიბროზი და უკმარისობა, ფილტვის არტერიის სტენოზი, სისხლში მკვეთრადაა მომატებული სეროტონინის კონცენტრაცია, შარდში 5 — ჰიდროქსიინდოლძმარმჟავას რაოდენობა.

ობერსტ-ლენ-ჰაუსის პიგმენტური დერმატოპათია — რეტიკულური პიგმენტური დერმატოპათია — კანის დისქრომიის ფორმა. ხასიათდება კანის ბადისებრი ჰიპერპიგმენტაციით, მელანინეს არათანაბარი დალაგების

გამო ეპიდერმისსა და დერმაში. გამოვლინდება ბავშვის სიცოცხლის პირველ წელს.

ობრაზცოვის ბიხისტოლია — გულის საძგერსა და მწვერვალოზე პირველი ტონის გაორება და ასევე მსხვილ არტერიებზე მაჯის დიკროტია. აღინიშნება აორტის სარქველის უკმარისობის დროს, როცა სახეზეა გულის მარცხენა პარკუჭის გამოხატული ჰიპერტროფია და დილატაცია, რაც განაპირობებს მის ორფაზიანობასა და სისტოლის წყვეტილობას.

ობრაზცოვის გულის აუსკულტაცია — გულისხმობს გულის მუშაობასთან დაკავშირებული ზოგიერთი აუსკულტაციური ფენომენის გამოვლინებას უშუალო მოსმენით.

ობრაზცოვის პერკუსია — უშუალო პერკუსიის მეთოდი, როდესაც დარტყმითი მოძრაობა ხდება საჩვენებელი თითით, რომელიც შუა ფითის ლატერალური ზედაპირიდან სხლტება.

ობრაზცოვის სიმპტომი — შხეფისმაგვარი ხმა ბრმა ნაწლავის პალპაციისას. ადგილი აქვს ქრონიკული კოლიტის დროს.

ობრაზცოვ-სტრაუსკოს პალპაცია — „მეთოდური პალპაცია". გულისხმობს მუცლის ღრმა პალპაციას პალპირებული ორგანოს მუცლის უკანა კედელზე მიჭერით.

ო'ობრეინის ტროპიკული ანჰიდროზი — ტროპიკული ანჰიდროზი, ანჰიდროზული ტროპიკული ასთენია-ანჰიდროზი, რომელიც აღინიშნება ტროპიკული ჰავის პირობებში და ახასიათებს ვეზიკულური გამონაყარი. ვითარდება სითხის მიღების რეჟიმის მძაფრი დარღვევის შედეგად, ანდა საოფლე ჯირკვლების შესასვლელის მტვრით დახშობის გამო. სინონიმი: შელის დაავადება.

ობრინსკის სინდრომი — მუცლის წინა კედლის კუნთების მემკვიდრეობითი აპლაზია. ნიშნები: მუცლის კუნთების ნაწილობრივი ან სრული აპლაზია, მუცლის გადიდება, მუცლის ფარის თხელი კედლის ქვეშ კარგად ისინჯება მუცლის ღრუს ყველა ორგანო, შარდის ბუშტი გადიდებული და გაფართოებულია, მისი ყელის დახურვის გამო, თან ახლავს ჰიდროურეთერი და ჰიდრონეფროზი, კრიპტორქიზმი. ხშირია ასევე გულ-მკერდის ყაფაზის, ხერხემლისა და ტერფების დეფორმაცია. იშვიათია ოლიგოფრენია. სინონიმი: ფროლიხის სინდრომი.

ობუხოვის საავადმყოფოს სიმპტომი — სწორი ნაწლავის ბალონისებრი გაფართოება, გამოვლინებული თითით გასინჯვის დროს. სიგმოიდური ნაწლავის გადაგრეხის ნიშანია.

ოგილვის სინდრომი — ხასიათდება კლინიკური და რენტგენოლოგიური მონაცემებით, როგორც მწვავე მექანიკური გაუვალობა, რომლის დროსაც ადგილი არა აქვს ანატომიურ ცვლილებებს. გვხვდება სხვადასხვა ოპერაციული ჩარევის, ტრავმის, შინაგან ორგანოთა დამწვრობის, (მათ შორის მუცლის ღრუს) და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების შედეგად.

ოგუტის დაავადება — ოჯახური მემკვიდრეობითი დაავადებაა, რაც ვლინდება ჰემერალოპიით, ფერადი მხედველობის დარღვევით და თვალის

ფსკერის თაიისებური გაუფერულებით, მისი ნორმალური შეფერვის აღდგენა ხდება ავადმყოფის სიბნელეში ყოფნისას.

ოგუშის ბადურის დაავადება — გვხვდება უპირატესად იაპონიაში, სისხლით ნათესავთა ოჯახებში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ბადურის ჩხირების და კოლბების ფენაში და პიგმენტურ ეპითელიუმში აღინიშნება დეგენერაციული ცვლილებები. დამახასიათებელია ღამის სიბრმავე და ფერებისადმი განურჩეველობა. ოფტალმოსკოპიით თვალის ფსკერი გაუფერულებულია, არაჰომოგენურია, რუხ-ყვითელი ან მოყვითალო-მოვარდისფროა. ზოგჯერ დიდი ხნით სიბნელეში ყოფნის მერე ადგილი აქვს თვალის ფსკერის ფერის დროებით აღდგენას.

ოდერის მაჩვენებელი — წონა-ზომის მაჩვენებელი. ნორმალური („იდეალური") წონა სხეულისა კილოგრამებში, უდრის გაორკეცებულ მაჩვენებელს თხემიდან სიმფიზამდე მანძილს სანტიმეტრებში მინუს 100. მაგალითად 88 სმ გამრავლებული ორზე მინუს 100—60 კგ.

ოდრის ხინდრომი — ანომალიათა მემკვიდრეობითი კომპლექსი, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ან აუტოსომურ-დომინანტური ტიპი: კანის გასქელება და დანაოჭება, უპირატესად თაიის თმიან ნაწილზე, შესაძლოა თან სდევდეს ჰკუასუსტობა (აუტოსომურ-დომინანტური გზით გადაცემის შემთხვევაში), აკრომეგალია და თვალის რქოვანის კლეიკომა. ვლინდება ჩვეულებრივ მოზრდილებში. პროგნოზი კეთილსაიმედოა.

ოვრენის დაავადება — პარაპემფილია, მეხუთე ფაქტორის თანდაყოლილი დეფიციტი, ჰიპოაკცელერინემია, ჰიპოპროაკცელერინემია. გვხვდება ორივე სქესის წარმომადგენლებში, შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. პირველი გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით, ხოლო მეორე აღინიშნება ღვიძლის პათოლოგიის დროს. მეხუთე ფაქტორის დეფიციტის გამო დარღვეულია შედედების მეორე ფაზა — პროთრომბინიდან თრომბინის წარმოქმნა. დაავადება იწყება სიცოცხლის პირველ წლებში და გამოიხატება ტრავმის ან ოპერაციული ჩარევის შემდგომი სისხლდენით (შარდ-სასქესო სფეროდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან). პროგნოზი კეთილსაიმედო.

ოვრენიხ ხინდრომი — ძვლის ტვინის ინფექციურ-ალერგიული აპლასტიკური მდგომარეობა. დაავადება იწყება მწვავედ. ნიშნები: მაღალი ტემპერატურა, შემცივნება, ღებინება, თავის ტკივილი, ზედა სასუნთქი გზების კატარი, ელენთის გადიდება, ანაფილაქტოიდური პურპურა. სისხლში ანემია, სფეროციტოზი, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, რეტიკულოციტოპენია, ძვლის ტვინში ერითრობლასტების შემცირება სრულ გაქრობამდე, მეგაკარიოციტოზი, მიელობლასტოზი, პრომიელოციტოზი, უპირატესად აღენიშნება ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, რომელთაც უხშირესად ჰქონდათ სხვადასხვა სახის ანემია. პროგნოზი დადებითია.

ოზეს ხინდრომი — თანდაყოლილი კომპლექსური მეზოექტოდერმული დისპლაზია: ზოგადი კერატოზი, ფრჩხილების დისტროფია, მოკლე კიდურები, პერიფერიული სისხლმიმოქცევის მოშლა, პულსაცია პერიფერიულ სისხლძარღვებზე არ ისინჯება, აკროციანოზი, სახის დისპლაზია ასიმეტრიით, ბრტყელი ცხვირით, განუვითარებელი ნიკაპით, მიხორცებული ყურის

ბიბილოები, წამწამების და წარბების ჰიპოპლაზია, ჰიპერტელორიზმი; მიოპია, ასტიგმატიზმი, იმბეცილობა, დიფუზური ოსტეოპოროზი. სინონიმი: ბოგარტ-ოზეს სინდრომი.

ოკერლუნდის სიმპტომი — თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის რენტგენოლოგიური ნიშანი, რაც გამოიხატება კუჭის დიდი სიმრუდის გაგრძელების შედრეკაში და წააგავს თითს, რომელიც მიგვანიშნებს წყლულზე.

ოკერმანის სინდრომი — მანოსიდეროზი. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ინფექციისადმი მომატებული მგრძნობელობა, სხეულის უხეში აგებულება დიდი ჩონჩხით და სიმაღლით, მაკროგლოსია, ბრტყელი ცხვირი, დიდი ყურები, იშვიათი კბილები, დიდი თავი, მტევანი და ტერფი, ჰეპატოსპლენომეგალია, კუნთების ჰიპოტონია, ჩონჩხის სხვადასხვა ანომალია, თავის ტვინის პარკუჭთა გაფართოება, ბროლის შემღერევა, ჰიპოგამაგლობულინემია, ლიმფოციტების ვაკუოლიზაცია.

ო-კონელის სინდრომი — ჰიპოფიზის ადენომა (პროლაქტინომა) მამაკაცებში, რომელიც შერწყმულია გინეკომასტიასა, სათესლე ჯირკვლების ატროფიასა და ლაქტაციასთან.

ოკულო-გლანდულარული სინდრომი — ცალმხრივი ან ორმხრივი კონიუნქტივიტი, ხშირად შეუღლებული დაკრიოცისტიტთან, თანხვედრილი ქუთუთოს და სახის შეშუპებასთან. ამერიკული ტრეპანოსომოზის ნიშანი, რომლის მიზეზია გამომწვევი აგენტის კონიუნქტივიდან შეპრა. სინონიმი: რომანის სიმპტომი.

ოკულო-ბუკო-გენიტალური სინდრომი — ორმხრივი ირიტის შეხამება პირის ღრუს რძიანასთან, სასქესო ორგანოების დაწყლულებასთან (ორივე სქესისათვის), გარდა ამისა, აღინიშნება ერითემატოზული ხასიათის კანის ცვლილებანი და ხშირად ძლიერი ტკივილი სახსრებში. ეტიოლოგია უცნობია, შესაძლოა ვირუსული. ხშირად იწვევს ნერვული სისტემის გართულებებს მენინგო-ენცეფალიტის სახით. აქვს ბევრი კლინიკური სიმპტომი (თავის ტკივილი, მენინგეალური ჰემიპლეგია, კრუნჩხვები, ფსიქიკური მოშლილობანი). სინონიმები: ჟილბერტ-ბეისის სინდრომი, ბეჰჩეტის დაავადება.

ოკულორ-სტატიკური ფენომენი — სტატიკის დარღვევა თვალის კაკლების მოძრაობის, განსაკუთრებით კონვერგენციის დროს. აღინიშნება თავის ტვინის ტრავმის მომდევნო პერიოდში. იხ. სინონიმი: გურევიჩ-მანის სიმპტომი.

ოლბრაიტის დაავადება — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. გამოვლინდება ნაადრევი სქესობრივი მომწიფებით, მრავლობითი ფიბროზული ოსტეოდისპლაზიით და კანის საფარველის ჰიპერპიგმენტაციით. სინონიმი: ოლბრაიტ-მაკ-კიუნ-შტერნბერგის დაავადება.

ოლბრაიტის სინდრომი I — ჰიპოპარათირეოიდული კრეტინიზმი. პარათირეოიდული ჰორმონის ქსოვილებისმიერი უტილიზაციის დარღვევით გამოწვეული სინდრომი. ნიშნები: ჰიპოკალციემია, ჰიპოფოსფატემია, აქონდროპლაზია, გონებრივი განვითარების არასრულყოფილება, ტეტანიის შეტევები, კატარაქტა, ფრჩხილების დისტროფია. სინონიმები: ოლბრაიტ-

ბანტამის სინდრომი, მარტინ-ოლბრაიტის ფსევდოჰიპოპარათირეოიდული სინდრომი, ოლბრაიტის მემკვიდრეობითი ოსტეოდისტროფია.

ოლბრაიტის სინდრომი II — ქრონიკული მილაკოვანი აციდოზი, ფოსტატ-დიაბეტი. ჰიპოფოსფატემიური ტუბულოპათია, რაქიტი-რეზისტენტული ვიტამინ „დ"-ს მიმართ, რენალურ-ტუზულარული აციდოზი. სინდრომი ვითარდება ინტერსტიციული აღმავალი პიელონეფრიტის შედეგად. ამ დროს მკვეთრად ქვეითდება წყალბადის იონების გამოყოფა თირკმლებით, სამაგიეროდ აღინიშნება ბიკარბონატების, კალიუმისა და კალციუმის გაძლიერებული გამოყოფა. ადგილი აქვს მეტაბოლურ აციდოზს. ნიშნები: წყურვილი, პოლიდიფსია, პირსაქმება, შეკრულობა, სისუსტე, პოლიურია, ჰიპოსტენურია, ადინამია, ძვლებისა და კუნთების ტკივილი, თავბრუ, რაქიტი, ზრდის შეფერხება, ოსტეომალაცია, ჩონჩხის დეფორმაცია, პათოლოგიური მოტეხილობები, თირკმლის ჭვალი, ნეფროლითიაზი. სინონიმები: ოლბრაიტ-ბატლერ-ბლუმბერგის სინდრომი, ბატლერ-ოლბრაიტის სინდრომი.

ოლბრაიტ-ბანტამის სინდრომი — სინონიმები: ოლბრაიტის სინდრომი I (იხ.), მარტინ-ოლბრაიტის ფსევდოჰიპოპარათირეოიდული სინდრომი.

ოლბრაიტ-ბატლერის სინდრომი — ლაიტვუდ-ოლბრაიტის II სინდრომის (იხ.) ვარიანტი (იხ.). უკავშირდება წყალბადის იონების სეკრეციის თანდაყოლილ მემკვიდრეობით დეფექტს თირკმელებში კლაკნილი მილაკების დისტალურ ნაწილში.

ოლბრაიტ-ბატლერ-ბლუმბერგის სინდრომი — იხ. სინონიმები: ოლბრაიტ-ბატლერის სინდრომი.

ოლბრაიტ-მაკ-კიუნ-შტერნბერგის დაავადება — სინონიმი: ოლბრაიტის დაავადება (იხ.).

ოლბრაიტ-ტურნერის სინდრომი — საკვერცხეების თანდაყოლილი უქონლობა ან განუვითარებლობა.

ოლბრაიტ-ფორბეს სინდრომი — დარღვევათა ტრიადა: ამენორეა, გალაქტორეა, შარდში ჰონადოტროპინთა შემცველობის დაქვეითება. უხშირესად მემკვიდრეობითი წარმოშობისაა და უკავშირდება ჰიპოფიზის ადენომატოზს ან სიმსივნეს. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. ვლინდება ახალგაზრდა ქალებში. სინონიმები: აუმადა-დელკასტილოს სინდრომი, არგონც-დელ კასტილოს სინდრომი.

ოლბრაიტ-ჰადორნის სინდრომი — ოსტეომალაცია პაროქსიზმული ჰიპოკალიემიურ კუნთოვანი დამბლით. ამას მოჰყვება ენერგეტიკულ დინამიკური ხასიათის გულის უკმარისობა.

ოლდრიჩის სინჯი — ჰიდროფილობის სინჯი; ბუშტუკის სინჯი, ფარული შეშუპებისა და შეშუპებისადმი მიდრეკილების გამოვლინების სინჯი. დამყარებულია კანში ქლორიანი ნატრიუმის სტერილური ხსნარის შეყვანის შედეგად წარმოშობილი ბუშტუკის ნაადრევ გაქრობაზე. სინონიმი: მაკ კლიურ-ოლდრიჩის სინჯი.

ოლდრიჩის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. შეპირობებულია თრომბოციტების წარმოშობის დარღვევით და სისხლში ამუნოგლობულინების შემადგენლობის დაქვეითებით. ახასიათებს: სისხლდენა, თრომ-

ბოცირპენია, პნევმონიებისადმი მიდრეკილება, ჩირქოვანი ოტიტი, მრავალობითი აბსცესი და სხვა ჩირქოვანი პროცესები. მემკვიდრეობის ტიპი: რეცესიული, შეკავშირებული სქესთან. სინონიმები: ვისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი, ოლდრიჩ-სტაინბერგ-კემპბელის სინდრომი.

ოლდრიჩ-სტაინბერგ-კემპბელის სინდრომი — სინონიმები: ოლდრიჩის სინდრომი (იხ.), ვისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი.

ოლენდორფ-კურთის სინდრომი — შავი ფსევდოაკანტოზი. შავი აკანტოზის (იხ.) კეთილთვისებიანი ნაირსახეობა. გვხვდება სიმსივნით დაავადებულ ქალებში. აკანტოზისათვის დამახასიათებელი კანის ცვლილებები ლოკალიზდება იღლიის ქვეშა მიდამოში. ვარაუდობენ ენდოკრინულ ეტიოლოგიას.

ოლივერის ნიშანი — გულის ყოველი სისტოლის დროს ხორხის ქვევით ჩამოწევა, რომელიც გამოვლინდება ავადმყოფის თავის უკან გადაწევისას და ფარისებრი ხრტილის ზევით და მარცხნივ გადაწევის შედეგად. აორტის რკალის დისტალური ნაწილის ან დასწრივი აორტის პროქსიმული ნაწილის ანევრიზმის ნიშანია. აღინიშნება ასევე ობლიტერებული მედიასტინიტის, კარდიტის, პერიკარდიტის, პაროქსიზმული ტაქიკარდიის, ბაზედოვის დაავადების, შუასაყრის სიმსივნისა და გლენარის დაავადების (იხ.) დროს. სინონიმი: ოლივერ-კარდარელის ნიშანი.

ოლივერ-კარდარელის სიმპტომი — იხ. სინონიმი: ოლივერის სიმპტომი.

ოლიენიკის სინდრომი — კისრის პირველი მალის ოკციპიტალიზაცია. ნიშნები: ვერტებრულ-ბაზილური უკმარისობა, ნათხემის პროგრესირებადი ატაქსია, ცერებროსპინალური სითხის ცირკულაციის დარღვევა.

ოლიეს-დაავადება — ძვლების ქონდრომატოზი, დისქონდროპლაზია — თანდაყოლილი დაავადება. ახასიათებს ზრდის პროცესების და ძვლოვანი ქსოვილის განვითარების დარღვევა. გამოვლინდება კიდურთა განვითარების შეფერხებაში და ასევე გრძელლულოვან ძვლებში მრავლობითი ენქონდრომების განვითარებით.

ოლიეს სინდრომი I — ძვლების დისქონდროპლაზიის (მრავლობითი ქონდრომატოზი) თანაარსებობა ადიპოზურ-გენიტალურ დისტროფიასთან. გვხვდება ენდოკრინული აპარატის დისფუნქციის დროს. შეიძლება წარმოადგენდეს პირველადი ჩასახვის ან ნაყოფის ზრდის პათოლოგიის ნიშანს.

ოლიეს სინდრომი II — სხეულის ნაწილების ჰიპერტროფია (ძირითადად კუნთების და ძვლებისა), რაც შეეფარდება სათანადო ნაწილებში ანგიომატოზურ ცვლილებებს. სინონიმები: კლიპელ-ტრენონის სინდრომი, პარკეს-ვებერის სინდრომი.

ოლიმპიური დაავადება ანუ ოლიმპიური ცხელება — ქუ-ცხელება, ავსტრალიური დაავადება, ბალკანური გრიპი, ქუ-რიკეტსიოზი, ავსტრალიური ცხელება, პნევმორიკეტსიოზი მწვავე ინფექციური, კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. გადაეცემა ჰაეროვან-წვეთოვანი, ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ახასიათებს რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანება, ინტოქსიკაცია, ცხელება, ხშირად ინტერსტიციული პნევმონია. სინონიმები: ბერნეტის დაავადება (ანუ ბერნეტის რიკეტსიოზი), დერიკის დაავადება, დერიკ-ბერნეტის დაავადება.

ოლხონის სინდრომი — სმენისა და მხედველობის ორგანოთა და თირკმლების ანომალიების მემკვიდრეობითი შერწყმა. საყარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული, ასევე აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: გამოხატული ახლომხედველობა თვალის ფსკერის სათანადო ცვლილებებით, ოტიტის რეციდივები ქრონიკული ნეფროპათიით. ნიშნები-პროტეინურია, ინტერმიტირებული მიკროჰემატურია, ჰიპერამინოაციდურია (ალანინის, გლუტამინის მჟავისა და ჰისტიდინის მატება შარდში).

ოლპაგენ-ლილიესტანდის სინდრომი — ერითროციტების დალექვის სისწრაფის (ედს) იზოლირებული მომატება კლინიკურ გამოვლინებათა გარეშე. ედს მომატებულია წლებისა და ათეული წლების მანძილზე. ხშირია ჰიპერგამაგლობულინემია, პარაპროტეინემია. აღინიშნება გამოხატული გინეკოტროპიზმი.

ომბრედანის სინდრომი — ჰიპერთერმიული სინდრომი, რომელსაც თან სდევს სიფერმკრთალე, ტაქიკარდია, ჰიპოტონია, არაიშვიათად კრუნჩხვები, ზოგჯერ უეთარდება ძუძუმწოვარა ბავშვს ოპერაციული ჩარევიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

ომის სიმპტომი — დიაფრაგმის დამბლის დროს მედიოკლავიკულარულ ხაზზე ღვიძლის მოყრუების გაქრობა.

ომსკის ცხელება — ჰემორაგიული ცხელება, რომელსაც იწვევს ამავე სახელწოდების არბოვირუსი — B. გადაცემა ტკიპით. დამახასიათებელია ცხელების სწრაფი, უცაბედი დაწყება 10—12 დღის ხანგრძლივობით, საერთო ინტოქსიკაციის მოვლენები და ზომიერად გამოხატული ჰემორაგიული სინდრომი. გვხვდება დასავლეთ ციმბირში. იგივეა ომსკის გაზაფხულ-ზაფხულის ცხელება, ანუ ომსკის ჰემორაგიული ცხელება.

ონიშის დაავადება — მაობლიტირებელი ბრაქიცეფალური არტერიიტი, აორტის ინვენტირებული კოარქტაცია, მრავლობითი მაობლიტირებელი პანარტერიიტი, აორტის რკალის სინდრომი. ხასიათდება აორტის და მსხვილ სისხლძარღვთა კედლის ანთებით და დისტროფიული ცვლილებებით, სტენოზირებით, შიდა არტერიული თრომბების ჩამოყალიბებით, ორგანოთა იშემიით. ზემო კიდურებზე პულსი არ ისინჯება, ქვემო კიდურებზე კი კარგადაა გამოხატული. ეტიოლოგიურ ფაქტორად ასახელებენ ათაშანგს, არტერიოსკლეროზს, ტუბერკულოზს, რევმატიზმს. არ არის გამორიცხული დაავადების კოლაგენოზური ხასიათი. პროგნოზი სერიოზულია. სინონიმები: ტაკაიასუს სინდრომი, ტაკაიასუს აორტიტი, მარტორელ-ფაბრის სინდრომი.

ოპალსკის სინდრომი — ნიშნები: გულის ფრიალი, ხანმოკლე ჰიპერტენზია, მუცელში ზეწოლის გრძნობა, სპასტიკური შარდვა, აკომოდაციის პაროქსიზმული დარღვევები, ლაბირინთული დარღვევები, თავბრუ, რიტმული ციმციმი, საერთო დამტვრეულობა, სიკვდილის შიში.

ოპელის სიმპტომი — ტერფის სწრაფი გაფერმკრთალება — ავადმყოფის მწოლიარე მდგომარეობაში საწოლის ზედაპირიდან 40—50 სმ-ის სიმაღლეზე აწევისას და მისი ლაჟვანი ციანოზი ჩატაკზე დაშვების შემდეგ). აღინიშნება ქვემო კიდურის არტერიების მაობლიტირებელი ათეროსკლეროზის და ენდარტერიიტის დროს.

ოპელის სინდრომი — არტერიული ბულსაციის არარსებობა კიდურზე, შეუღლებული ადგილობრივი ტემპერატურის დაქვეითებასთან და დაბალ ვენურ წნევასთან. აღინიშნება მაგისტრალურ არტერიაში სისხლის მიმოქცევის შეწყვეტისას და კოლატერალური ქსელის სისხლძარღვთა მყარი სპაზმის დროს.

ოპენხოვსკის მტკივნეული წერტილები — სხეულის ზედაპირის უბნები გულმკერდის მალების წვეტიან მორჩებზე, სადაც სხვადასხვა ლოკალიზაციის წყლულოვანი დაავადებების დროს პერკუსია თითით ან საექიმო ჩაქუჩით იწვევს მტკივნეულობას.

ოპენჰეიმის ლიპოიდური ატროფიული დერმატიტი — დიაბეტური ლიპოიდური ნეკრობიოზი — ლიპოიდური ნეკრობიოზის ფორმა, რომელიც ვითარდება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში. სინონიმები: ურბან-ოპენჰეიმის კანის დისპლაზია, ურბან-ოპენჰეიმის სინდრომი.

ოპენჰეიმის მიოტონია — კონგენიტური მიოტონია, თანდაყოლილი მიოტონია. ხასიათდება კუნთთა სისუსტით, განსაკუთრებით ქვედა კიდურებში კიდურთა სიმეტრიული პარეზით, კუნთთა ტონუსის ძლიერი დაქვეითებით, ზოგჯერ სრულ ატონიამდე (რის გამოც კიდურს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი მდებარეობა), მყესთა რეფლექსების დაქვეითებით ან მოსპობით, კუნთთა მექანიკური აგზნებადობის ძლიერი დაქვეითებით.

ოპენჰეიმის რეფლექსი — თუ დიდი წვივის ძვლის წინა კიდეს მოვაქცევთ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის და თითებს ზეწოლით გადავადგილებთ ზემოდან ქვემოთ, საპასუხოდ მივიღებთ ცერის გაშლას. განკუთვნება ექსტენზორულ პათოლოგიურ რეფლექსებს და გვხვდება პირამიდული სისტემის დაზიანების დროს.

ოპენჰეიმის სიმპტომი — აქილევსის მყესის მოდუნება და გაბრტყელება მისი ტონუსის დაქვეითების გამო, რაც ელინდება კოჭის უკანა ფოსოს გასადავებით. გვხვდება გაეა-წველის რადიკულიტის დროს.

ოპენჰეიმის სინდრომი — ჰიპოფიზარული ფსევდოტაბესი, განვითარებული ჰიპოფიზში მიმდინარე პათოლოგიური პროცესის უხშირესად სომსიენური ხასიათის ნიადაგზე. ხასიათდება მხედველობის ნერვის ატროფიით და მყესის რეფლექსების გაქრობით.

ოპერირებული კუჭის დაავადება — დარღვევების საერთო დასახელება, რაც ვითარდება კუჭის რეზექციის ან გასტროენტეროსტომის შემდეგ გვიან პერიოდში.

ოპიცის ხინდრომი — თრომბოფლებიტური სპლენომეგალია. ელენთის ფიბროადენია. ელენთაში სისხლის მიმოქცევის დარღვევის სხვადასხვა გამოვლინება. ნიშნები: დაავადების დასაწყისში ჩვეულებრივ ადგილი აქვს სისხლდენას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, სისხლჩაქცევას კანში და ლორწოვან გარსებში. ელენთა და ღვიძლი გადიდებულია. აღინიშნება ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, რენტგენოლოგიურად საყლაპავის ვენების გაფართოება. მიზეზია სიმსივნე ან მისი მეტასტაზები, ტრავმები, ანთება და სხვა ფაქტორები, რაც აძლიერებს სისხლდენას ელენთის ვენებში.

ოპოლცერის ნიშანი I — ციანოზი საკვების მომნელებელ ტრაქტის და-

მამთავრებელი ხერელის (ანუსის) ირგვლივ. ნაწლავის ინვაგინაციის საყურადღებო ნიშანი.

ოპოლცერის სიმპტომი II — გულის საძგერის ლოკალიზაციის ცვლილება სხეულის მდგომარეობის გამოცვლის დროს ექსუდატიურ პერიკარდიტის შემთხვევაში. დაკავშირებულია პერიკარდიუმის ღრუში არსებული სითხის გადანაწილებასთან.

ოჟეხოვსკის სიმპტომი — ტერფის-შიდა და წვივის გარე ზედაპირზე ტემპერატურის დაქვეითება დაზიანებულ მხარეს, გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ოჟეხოვსკის ფარული მიოტონია — თანდაყოლილი მიოტონია. ვლინდება ადრეულ ბავშვობაში, ნებისმიერ უნებლიე მოძრაობისას. აღინიშნება კუნთების გახანგრძლივებული შეკუმშვა (მიოტონური რიგიდობა), იმავე მოძრაობის გამეორებისას კუნთების დაუმეა თანდათანობით ქრება და მოძრაობა თავისუფალი ხდება. სიმპტომები ძლიერდება დაძაბუნებისას, ფიზიკური გადაძაბვისას, სიცივისა და ემოციების დროს. დაავადება ნელა პროგრესირებს. სინონიმები: მარტინს-ჰანზემანის თანდაყოლილი მიოტონია, თომსენის დაავადება, სტენ-გრიკსონის მიოტონია, ვესტფალ-თომსენის დაავადება.

ორალური ალერგიის სინდრომი — ანუ კვებითი ალერგიის სინდრომი. ამ სახელწოდებით აღინიშნება ის ალერგიული რეაქციები, რასაც აქვს ადგილი საკვები პროდუქტების მიღების შედეგად.

ორთოსტატიკული სინდრომი — პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ზოგჯერ წარმოიშობა ჰორიზონტალურ მდგომარეობიდან სწრაფად გადასვლისას ან ხანგრძლივად დგომისას. დამახასიათებელია თავბრუ, გულის ფრიალი, უფრო იშვიათად გულის წასვლა.

ორმონდის დაავადება — მაობლიტირებელი პერიურეთრიტი, ფიბროზული პერიურეთრიტი, იდიოპათიკური ფიბროზული რეტროპერიტონიტი, პერიურეთერალური სიმეტრიული ორმხრივი ფიბროზი, რეტროპერიტონული ფიბროზი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. დამახასიათებელია რეტროპერიტონული ქსოვილის ფიბროზული ცვლილებები. გამოვლინდება შარდსაწვეთის ან მის მახლობლად სისხლძარღვების განელადობის დარღვევებით.

ორმოცდამეათე დღის სინდრომი — აღინიშნება დიფტერიის დროს და გულისხმობს მის ავთვისებიანი მიმდინარეობის მოგვიანებით გამოვლინებას. დაავადების დაწყებიდან 35-ე. და 50-ე დღეზე ვითარდება კოლაფსი, პირღებინება, სიცხე აღწევს 38-მდე, მოელენები გულის მხრივ (არითმია, ჰენების რიტმი, ექსტრასისტოლია), ციანოზი, ქოშინი. ხშირია ასისტოლია, დიაფრაგმისა და სასუნთქი კუნთების დამბლა. პროგნოზი მძიმეა. სინონიმი: გლაცმან-ბალანდის სინდრომი.

ოროას ცხელება — ინფექციური ტრანსმისიური ტკიეილი, იწვევს ბარტონელა ბაცილიფორმიუსი. ეპიდემიოლოგიურია პერუს, ეკვადორის, ბოლივიის, ჩილესა და კოლუმბიის მთიან რაიონებში. გადაიცემა მოსკიტის დანესტვრით. გამოვლინდება ხანგრძლივი ტიპის ცხელებით და კანზე და

ლორწოვანზე დაწყლულებისადმი მიდრეკილების მქონე პაპულოზური ელემენტების გამონაყარით, სინონიმი: კარიონის დაავადება.

ორტნერის სიმპტომი I — მტკივნეულობა მარჯვენა ნეკნთა რკალზე ხელის გულისკიდით მსუბუქი დარტყმისას. აღინიშნება ღვიძლის, სანაღვლე გზების და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს.

ორტნერის სიმპტომი II — ხმის ჩახრინწვა ან აფონია საბგერე იოგების შუალედური დგომის გამო. ვითარდება გულის ან მსხვილი სისხლძარღვების პათოლოგიისას ჰიპერტროფირებული მარცხენა პარკუჭის ან წინაგულის, ანდა სისხლძარღვის უმეტესად ფილტვის მარცხენა არტერიის) ვაგუსზე ზეწოლის შედეგად, რაც შემდგომ რთულდება აღნიშნული ნერვის მარცხენამხრივი დამბლით.

ორტნერის სინდრომი — აბდომინური ანგინა. ნაწლავთა ფსევდოთრომბოზი. ნაწლავთა ათეროსკლეროზული დისპრაგია. მუცლის ღრუს ორგანოთა ინტერმიტირებული იშემია. მიზეზია მეზენტერიულ სისხლძარღვთა მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი, უფრო იშვიათად თრომბოზი. ნიშნები: შეტევითი ტკივილი მუცელში, უპირატესად ჭიპის ირგვლივ ან ფერდქვეშ (რომელიც ჩნდება ჭამის ან ფიზიკური გარჯის შემდეგ), ბოყინი, შებერვა, მეტეორიზმი, შეკრულობა, პაროქსიზმული ქოშინი. დაავადება აღინიშნება ხანშიშესულ ასაკში.

ორტნერის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: მაჯის 4—8 დარტყმით შენელება თავის უკან გაწევის დროს, როცა გამოსაკვლევი პირი ფეხზე დგას.

ორშაბათობითი ცხელება — მას ასევე ეწოდება ბამბეულის პნევმოკონიოზი. არსებითად ეს არის სასუნთქი გზების ალერგიული კატარი. გვხვდება მათ შორის, ვინც მუშაობს განსაკუთრებით დამტვერიანებულ ბამბეულის წარმოებაში. მნიშვნელობა აქვს მტვერის კონცენტრაციას. კლინიკა: ორშაბათობით, მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე საათში, აღინიშნება სასუნთქი გზების ლორწოვანას მწვავე გაღიზიანება, ხველება, ტემპერატურა, სისუსტე. კვირის სხვა დღეებში ჩვეულებრივ ეს ნიშნები არ აღინიშნება. მას ადგილი აქვს ასევე დასვენების მომდევნო დღეს. დროთა განმავლობაში ეს მოვლენები ცხრება ანდა შეიძლება ორშაბათის მერეც 2-3 დღეს გაგრძელდეს. სინონიმები: მრთველების ცხელება-ბისინიოზი, ფეიქართა (მქსოველთა) ცხელება.

ოსგუდ-შლატერის დაავადება — წვივის დიდი ძვლის ხორკლების ოსტეოქონდროპათია. გამოვლინდება ადგილობრივი მტკივნეული შეშუპებით. უფრო ხშირად აღენიშნება ვაჟებს 13—17 წლის ასაკში. სინონიმი: შლატერის დაავადება.

ოსიპოვის სიმპტომი — ტუჩების, ენის და ცხვირის ლორწოვანი გარსის გაშრობა, ტუჩების დახეთქვით და ენის გასქელებითურთ. აღინიშნება ენდოგენური დეპრესიების დროს.

ოსლერის ავთვისებიანი ენდოკარდიტი ანუ დაავადება — ქვემწვავე ბაქტერიული ენდოკარდიტი, ქრონიკული ინფექციური ენდოკარდიტი, გახანგრძლივებული ენდოკარდიტი, გახანგრძლივებული სეპტიური ენდოკარდიტი. კლინიკური სურათი ყალიბდება ზოგადი სეპტიური მდგომარე-

ების, ენდოკარდიუმის სარქველოვანი აპარატის, სისხლძარღვთა, სხვადა-სხვა შინაგან ორგანოთა და ნერვული სისტემის დაზიანებასთან დაკავშირებულ გამოვლინებათა შედეგად. მიმდინარეობა მძიმეა.

ოსლერის დაავადება I — თანდაყოლილი ჰემორაგიული ტელეანგიექტაზია, თანდაყოლილი ჰემორაგიული ანგიომა. თანდაყოლილი დაავადებაა, ხასიათდება ჰემორაგიული სინდრომით, რაც გამოწვეულია მრავლობითი ტელეანგიექტაზიებით კანსა და ლორწოვან გარსებზე. მემკვიდრეობითი გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. სინონიმები: ოსლერ-რანდიუს სინდრომი, რანდიუ-ოსლერის დაავადება, ანუ სინდრომი, რანდიუ-ვებერ-ოსლერის დაავადება, ვებერ-რანდიუ-ოსლერის დაავადება.

ოსლერის დაავადება II — ჭეშმარიტი პოლიციტემია. ერითრემია. დაავადება გამოწვეულია ძვლის ტვინის ჰიპერპლაზიით (უპირატესად ერითროციტული მორჩისა). ხასიათდება ერითროციტოზით, ლეიკოციტოზით, ცირკულაციაში არსებული სისხლის მასისა და ჰემოგლობინის რაოდენობის მომატებით, თრომბოციტოზით. ელინდება კანის საფარის მკაფიო ჯაჭვითლებით, კანის ქავილით, თრომბოზისადმი მიდრეკილებით, სპლენომეგალიით. სინონიმები: ოსლერ-ვაქეზის დაავადება, ვაქეზ-ოსლერის დაავადება, ვაქეზის დაავადება.

ოსლერის სიმპტომი, ანუ კვანძები — მოწითალო ფერის მტკივნეული, გამაგრებული კერები კანსა და კანქვეშა ქსოვილებში სეპტიკური ენდოკარდიტის დროს. მიზეზია წვრილ სისხლძარღვთა დაზიანება და წარმოადგენს ანთებად ინფილტრატებს.

ოსლერ-ვაქეზის დაავადება — სინონიმები: ვაქეზის დაავადება, ვაქეზ-ოსლერის დაავადება, ოსლერის დაავადება — II (იხ.).

ოსლერ-რანდიუს სინდრომი — სინონიმები: რანდიუ-ოსლერის სინდრომი, ოსლერის დაავადება I (იხ.), რანდიუ-ვებერ-ოსლერის დაავადება.

ოსნა-შკოლნიკოვის სიმპტომი — ტკივილი ხერხემალში მუცლის ზედაპირზე წელის IV მალის პროექციაზე ზეწოლისას. აღინიშნება ხერხემლის წელის ნაწილის ოსტეოქონდროზის დროს.

ოსტენ-საკენის კონტრაქტურა — მაჯა-სხივის სახსრის თანდაყოლილი კონტრაქტურა ათრთოგრიპოზის დროს.

ოსტრუმ-ფერსტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: კისრის მალების სინოსტოზი, ბეჭების მაღლა მდებარეობა და პლატიბაზია, სახის ნერვის პარეზი მარცხნივ, მარცხენა ხელის ასოციაციირებულ მოძრაობათა არარსებობა, მხარის ორთავა კუნთის მომატებული რეფლექსი იმავე მხარეს და მისი გაქრობა მარჯვნივ. სინონიმი: ფერსტ-ოსტრუმის სინდრომი.

ოტას ხალი (ნევუსი) — ლურჯი ნევუსი, მუქი-ლურჯი თვალ-ზედაყბის ხალი-ნევუსი. მოლურჯო-მორუხო ლაქები კანზე სამწვერა ნერვის ინერვაციის ზონაში, ზოგჯერ ლოყების ლორწოვან გარსზე და თვალის სკლერაზე. გვხვდება აზიაში, უპირატესად ქალებში.

ოტოგენური წარმოშობის ქალასშიდა ნევრის მომატების სინდრომი — გვხვდება ბავშვებში ან მოზარდებში. ხასიათდება შეტევითი ხასიათის თავის ტკივილით, ღებინებით, მხედველობის ნერვის დვრილების შეშუპებით,

ზოგჯერ განმზიდველი ნერვის პარეზით. თავ-ზურგ-ტვინის სითხე ნორმალურია, თუმცა განიცდის დიდი წნევის გავლენას. იშვიათად ვითარდება მხედველობის ნერვთა ატროფია. სინონიმი: სიმონდსის სინდრომი I.

ოტო-ოჯულარული სინდრომი — სისტემური გლომერულონეფრიტი სიყრუით. ოჯახური ჰემორაგიული მემკვიდრეობითი ნეფრიტი, მემკვიდრეობითი დაავადება სმენის დაქვეითებით ან სიყრუით, ზოგჯერ კატარაქტით და 16—25 წლის ასაკში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. აღნიშნებათ მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. მემკვიდრეობით გადადის აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. სინონიმი: ალპორტის სინდრომი, დიკინსონის სინდრომი.

„ოქროს" მიოკიმიის სინდრომი — კრიზოთერაპიის იშვიათი გამოვლინებაა. რევმატოიდული ართრიტით ავადმყოფს უნვითარდება ნეიროლოგიური გართულებები. ნიშნები: მიოკიმია, ოფლიანობა, ჰიპერტენზია, ტაქიკარდია, უძილობა, ემოციური ლაბილობა, დეპრესია, ფსიქოზი. ოქროთი მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ ყველა ეს ნიშანი ქრება.

ოფტალმური კრიზი — ზურგის ტვინის ხმობით ავადმყოფებში თვალისმხრივი კრიზები. ნიშნები: შეტევითი ძლიერი მწველი და მჩხვლეტავი ტკივილი ორივე თვალში (ცილიარული ნევრალგია). თვალის კაკლებს და ქუთუთოების ჰიპერესთეზია, ფიტოფობია თვალის ირგვლივი კუნთის სპაზმით, ძლიერი ცრემლდენა. სინონიმი: პელსის სინდრომი, ანუ კრიზი.

ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი — პერიოდული დაავადება, სომხური დაავადება, ოჯახური პერიოდული დაავადება, ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება, ექვსდღიური ცხელება, პაროქსიზმული პერიტონიტი, პერიოდული პერიტონიტი, შებრუნებითი პოლისეროზიტი, ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც ვლინდება პერიოდულად, შეტევის მსგავსად სტერეოტიპული ტკივილით მუცლის არეში (ხშირად ასევე გულ-მკერდის არეში და სახსრებში) და პაროქსიზმული ცხელება. სინონიმები: რეიმანის დაავადება, ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი, სიგალ-კატან-მამუს დაავადება.

ოჯახური ქრომატოფილური ნევუსი — პიგმენტური დერმატოზი, დერმის დეგენერაციული მელანოზი, მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს სხეულის გვერდით ზედაპირებზე, დაბადებიდან მცირე დროში, ახირებული ფორმის პიგმენტური ლაქების წარმოქმნა. შერწყმულია კბილების, თმის, თვალების და ა. შ. განვითარების ანომალიებთან. გვხვდება გოგონებში. სინონიმი: ბლოხ-სულბერგერის მელანობლასტოზი, სიმენს-ბლოხის პიგმენტური დერმატოზი.

პაგენჩის სინდრომი — აკროერითროზი. სისხლძარღვოვანი შეტევები ვლინდება ერითემით და შეშუპებით, რასაც თან არ ახლავს ტკივილი.

პაერის სინდრომი — ვითარდება განივი კოლინჯის ელენთის დონეზე მწვავე გადაგრეხის შედეგად, რასაც თან სდევს გაუვალობა ელენთის დონეზე. აღნიშნული ნაწლავი ამ დროს მოგვაგონებს ორლულიან თოფს. დამახასიათებელია ტკივილი ელენთის მიდამოში ირადიაციით მარცხენა გვერდში და გულის მიდამოში წვა, შებერილობა მარცხენა ფერდქვეშა არეში. ნაწლავის გადაგრეხის მიზეზია მისი სიგრძე, მეტეორიზმი, კოპროსტაზი, პერიტონეალური შეხორცებანი ელენთის კუთხის მიდამოში.

პაველოვის სიმპტომი — ავადმყოფი არ უპასუხებს ჩვეულებრივი ან ხმამაღალი ხმით გარეშეთა მიმართვას, იგი ჩუმად ან ჩურჩულით მოსაუბრეთა მიმართვაზე რეაგირებს მხოლოდ. აღინიშნება კატატონიის დროს.

პაზინის თეთრპაპულოიდური თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი — ანუ ეპიდერმოლიზი ბულოზური თანდაყოლილი თეთრპაპულოიდური — დისტროფიული ბულოზური თანდაყოლილი ეპიდერმოლიზის ფორმა, რომლის დროსაც კანზე ბუშტუკების გარდა ჩნდება მოთეთრო — მკვრივი პაპულები. გაპირობებულია შემაერთებელი ქსოვილის ფიბროზული ჰიპერპლაზიით და ელასტიკური ბოჭკოების ცვლილებებით.

პაინსის სიმპტომი — პრეკარდიულ მიდამოში კანის გაფერმკრთალება და გაცივება მიოკარდიუმის ინფარქტის დროს არტერიოლების რეფლექტორული სპაზმის ნიადაგზე.

პაზინ-პიერინის ატროფოდერმია — შეზღუდული ატროფოსკლეროდერმია. შეზღუდული სკლეროდერმიის ფორმა. მომცრო ჩაცვენილი მოლურჯო-რუხი ლაქების სახით, უფრო ხშირად მკლავნდება სხეულის კანზე.

პაირის დაავადება I ანუ სინდრომი I — მრავლობითი გრძელლულოვანი ძვლების გასქელება, მუხლის სახსრის დეფორმაცია, იდაყვის სახსართა მოხრითი ანკილოზი, თავის ქალას ზომაში მომატება და დეფორმაცია.

პაირის დაავადება II, ანუ სინდრომი II — ელენთის ფლექსურის სინდრომი. შეტევის მსგავსი აბდომინური სიმპტომკომპლექსი, გამოწვეული მსხვილი ნაწლავის ელენთის ნაკეცში აირების ან განაელოვანი მასების შეფერხებით. ნიშნები: მუცლის მარცხენა კვადრატში სისავსისა და ზეწოლის შეგრძნება. ზეწოლის შეგრძნება და ტკივილი გულის არეში, გულის ფრიალი, ქოშინი, შეშის მაგვარი განცდები, ცალმხრივი, ან ორმხრივი ტკივილი მხარში, ირადიაცია თითებში, ტკივილი ბეჭებს შუა.

პაირის სიმპტომი — არ აღინიშნება ტკივილის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე (ზეწოლა, ზედაპირული დარტყმა) სახსრის მიდამოში, რომელიც წარსულში დაზიანებული იყო ჩირქოვანი პროცესით. სახსრის ანკილოზირების პროცესის დამთავრების ნიშანია.

პაკსონის სინდრომი — ვითარდება საშვილოსნოს გახეთქვის და რეტროპლაცენტური ჰემატომის ჩამოყალიბების, საკვერცხეების და კისტების გადაგრეხისა და მათ ღრუში სისხლჩაქცევის შედეგად. კლინიკური სურათი ანალოგიურია ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომისა (იხ. ბაივატერის სინდრომი). დამახასიათებელია მძიმე შოკის სურათი, ოლიგოანურია, თირკმლის მწვავე უკმარისობა.

პალ. სინდრომი ანუ პალსი — პროლონგირებული არამოტიეირებული ლიმფადენოპათიის სინდრომი (ანუ შეძენილი იმუნური დეფიციტის) AJDS — შიდს-ის წინარე სინდრომი, ანუ შიდს-ის არაძირითადი კომპლექსი. ეს არის შიდს-ის მსუბუქი ფორმა. იწვევს შიდს-ის ვირუსის ნაგრსახეობა. ამ ვირუსის მატარებლები არიან ნაშდვილი შიდს-ის გადამცემლები, თუ მათი სისხლი გამოიყენება დონორული მიზნით ანუ უშუალო კონტაქტის სხვაგვარ შემთხვევებში. ძირითადი ნიშანია ლიმფოპათია.

პალადინო-კენტის კონა — დამატებითი გამტარი გზა გულის კუნთში.

თანდაყოლილი ანომალია. წყვილი (მარჯვენა და მარცხენა), მდებარეობს წინაგულებში და ატარებს იმპულსებს წინაგულიდან უშუალოდ პარკუჭებში. ხელშემწყობი მიზეზია ვოლფ-პარკინსონი-უაიტის (WPW) სინდრომისა. სინონიმია კენტის კონა.

პალის კრიზი — პაროქსიზმული ჰიპერტენზია. სისხლძარღვთა ხანმოკლე გენერალიზებული შევიწროება სისხლის წნევის მნიშვნელოვანი მომატებით. აღენიშნებათ ჰიპერტონიით და ზურგის ტვინის ხმობით დაავადებულთ. ნიშნები: თავბრუ, გულის წასვლა, კიდურთა პარესთეზია, მხედველობის დარღვევა, სტენოკარდია. სინონიმი: პალ-ნოთნაგელის სინდრომი.

„პალმარული ფასციტის" ხინდრომი — ეს არის პარანეოპლასტიკური სინდრომი პოლიართრიტის სახით, აღინიშნება ნეოპლაზმის სხვადასხვა ლოკალიზაციის დროს, მაგრამ ყველაზე ხშირია საკვერცხეების სიმსივნის დროს. კლინიკურად დამახასიათებელია ხელისგულის ფასციის გასქელება და თითების მოხრითი კონტრაქტურა — რაც მოგვაგონებს ხელის მტევანს სკლეროდერმიის დროს, ხელისგულის ფასციაში არის იმუნოგლობულინ G-ს ჩალაგება.

პალმერის სინჯი — კუპის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების სადიაგნოზო მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კუპში უზმოზე ზონდით მარილმჟავას ხსნარის შეყვანისას ტკივილის განვითარებაზე.

პალ-ნოთნაგელის სინდრომი — სინონიმი: პალის კრიზი. (იხ.).

პალოკოს ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია — ქრონიკული პუსტულოზური დერმატიტი, ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია, ქრონიკული სტაფილოკოკური პიოდერმია, ახასიათებს თავის ფიმიან ნაწილებში, სახესა და ტანზე პუსტულები ჩირქოვანი გამონადენით. მათ ირგვლივ აღინიშნება დერმის არათანაბარი პაპილომატოზური ზრდა. სინონიმები: ლამბერგის ფრამბეზიფორმული დერმატიტი, სეზარ-მორიაკის ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია.

პალტაუფის ხინდრომი — თიმიკოლიმფატიკური სტატუსი. ხასიათდება თიმუსის ჯირკვლისა და ლიმფოიდური ორგანოების (ლიმფური კვანძების, ელენთის, ნაწლავის ჯირკვლების) ჰიპერპლაზიით, კანის სიფერმკრთალით, სიმსუქნისადმი მიდრეკილებით, კუნთების სისუსტით, აორტის და გულის განუვითარებლობით („წვეთოვანი გული"), ჰიპოტონიით, და ინფექციური დაავადებებისადმი მიდრეკილებით. სისხლში ლიმფოციტოზი, ეოზინოფილია, შესაძლოა გახდეს უეცარი სიკვდილის მიზეზი.

პალტაუფის ჭონდრიხკაობა — პრიმორდული ნანიზმი, პალტაუფის სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება, დამახასიათებელია ლიმფატიკური-ჰიპოპლასტიკური დიათეზის შერწყმა ჭონდრისკაობასთან ისე, რომ სხეულის ნორმალური პროპორციები შენარჩუნებულია.

პალტაუფ-რიელის სინდრომი — კანის მეკეკოვანი ტუბერკულოზი, ახასიათებს უმთავრესად კიდურთა კანის გამშლელ ზედაპირზე მკვრივი, მოლურჯო-მოწითალო, ნელა მზარდი პაპულები. მეტწილად უვითარდებათ ადრე ტუბერკულოზით დაავადებულთ, კანზე გამომწვევის მოხვედრის შედეგად. სინონიმი: ანდერსონის ვერუკოზული მგლურა.

პალტაუფ-შტერნბერგის დაავადება — ლიმფოგრანულომა, ლიმფოგრა-

წულომატოზი, ქრონიკული ავთვისებიანი ლიმფომატოზი, ფიბრომიელრიდური რეტიკულოზი. ლიმფოიდური ქსოვილის ავთვისებიანი ჰიპერპლაზია ლიმფურ კვანძებსა და შინაგან ორგანოებში ლიმფოგრანულომების წარმოშობით. სინონიმები: ჰოდგკინის დაავადება.

პანამის ლეიშმანიოზი — ინფექციის რეზერვუარია მღრღნელები, მაიმუნი და სხვ. ცხოველი. გავრცელებულია პანამასა და საერთოდ ცენტრალურ ამერიკაში. დამახასიათებელია წყლულიდან უხვი გამონადენი და კვანძოვანი ლიმფანგოიტი.

პანასთენიის სინდრომი — კუნთური საერთო სისუსტის შეტევა ვეგეტატიური ეპილეფსიის დროს. სინონიმი: იცენკოს სინდრომი პანასთენიისა.

პანერის დაავადება — მესამე მეტატარზალური ძვლის თავის ასეპტიკური ნეკროზი. ოსტეოქონდროპათიის ნაირსახეობა.

პანკოსტის (პანკოუსტის) სინდრომი, ანუ კიბო — ფილტვის მწვერვალის ავთვისებიანი სიმსივნე ნერვულ კვანძებზე და მაგისტრალურ სისხლძარღვებზე ზეწოლის სინდრომით. დამახასიათებელია სუბფებრილიტეტი, უმადობა, ძლიერი სისუსტე. ხველება, მოხრჩობის გრძნობა, კლოდ-ბერნარ-ჰორნერის სიმპტომი (იხ.) მხარის ტკივილი, ზემო კიდურის კუნთების ატროფია, პარესთეზია, ნეკნებისა და ხერხემლის მალების დესტრუქცია, ჰიპოქრომული ანემია, ლეიკოციტოზი მარცხნივ გადახრით. მომატებულია ედს, ავადდებიან უპირატესად მამაკაცები 40—60 წლის ასაკში. სინონიმვიბი: პერესის სინდრომი, ტობიასის სინდრომი, პანკოსტ-ტობიასის სინდრომი.

პანკოსტ (პანკოუსტ)-ტობიასის სინდრომი — სინონიმები: ტობიასის სინდრომი, ჰერესის სინდრომი, პანკოსტის სინდრომი ანუ კიბო (იხ.).

პანკრეასულ-ბილიარული სინდრომი — სინონიმები: კურვაზიეს სინდრომი, პიკის სინდრომი, II (იხ.). კურვაზიე-ტერის სინდრომი, ბარ-პიკის სინდრომი.

პანოვ-დავიდოვსკის კვანძი — გრანულომა პარტახტიანი ტიფის დროს.

პანსის სინდრომი — დიენცეფალურ-რეტინალური სინდრომის შერწყმა დაუნის სინდრომთან (იხ.). ვარაუდობენ მემკვიდრეობით აუტოსომურრეცესიულ ხასიათს. ნიშნები: ოლიგოფრენია (იდიოტია), სიმსუქნე, გენიტალიის ჰიპოტროფია, დიდი სიმაღლე (უფრო იშვიათად ქონდრისკაცობა), ჰემერალოპია, პიგმენტური რეტინიტი, სმენის დაქვეითება, პოლი ან სინდაქტილია, თავის ქალის ანომალიები, სახის ნაკვთები მონგოლოიდური.

პანჩენკოს ილეთი — ზედა კიდურთა პარეზის გამოვლინების მეთოდი. ავადმყოფს წინადადება ეძლევა იდაყვში მოხრილი ხელები ასწიოს და გაშალოს ხელისგულები. 15—20 წამში დაავადებული მხარიდან ხელი გადაიხრება. იხ. სინონიმი: ბუდას ფენომენი.

პანჩენკოვის მეთოდი — ერითროციტების დალექვის სისწრაფის განსაზღვრის მეთოდია: სისხლის აღების დროს და მის მაჩეჩენებლის სიდიდის განსაზღვრისათვის იყენებენ ერთსა და იმავე გრადუირებულ კაპილარულ პიპეტს, ხოლო სისხლის შედედების თავიდან ასაცილებლად სარგებლობენ ნატრიუმის ნიტრატით.

პაპაიანისის სინდრომი — ეკუთვნის თრომბოციტოპათიას. ამ დროს აღინიშნება თრომბოციტების ადჰეზიური უნარის გაძლიერების შერწყმა შედედების VIII ფაქტორის ზომიერ დეფიციტთან. კოაგულაციური სისტემის დარღვევა თანდაყოლილი ან მემკვიდრეობითი ხასიათისაა.

პაპილონ-ლეფე-პასომის სინდრომი — პირ-თით-სახის დიზოსტოზი, რომელსაც ახასიათებს ვიწრო „არწივისებური" ცხვირი, ზედა ტუჩის შუა ნაწილის დამოკლება, ენის და სასის გახლეჩა, კბილების განვითარების დარღვევა, თითის ფალანგთა განვითარებაში დაუსრულებლობა და ა. შ. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

პაპილონ-ლეფევრის სინდრომი ანუ კერატოდერმია — მემკვიდრეობითი დერმატოსტომატოლოგიური ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ხელისა და ფეხისგულების ჰიპერკერატოზი კანზე ღრმა ღარებითურთ, ჰიპერჰიდროზი, ღრძილების შესივება და პათოლოგიური ჯიბეები, აბსცესები, გამოხატული კარიესი. სარძევე კბილების დაცვენის შემდეგ სტომატოლოგიური ნიშნები ცხრება.

პაპილონ-პასომის სინდრომი — სინონიმები: პირ-თით-სახის სინდრომი. პაპილონ-ლეფე-პასომის სინდრომი (იხ.).

პარადიზო-გრივა-ანგელერი-ბენედიტის დაავადება — ერითრომიელოზის ანუ დი გულელმოს დაავადების (იხ.) ნაირსახეობა. მის თავისებურებას წარმოადგენს ერითრემიის უფრო ხანგრძლივი მიმდინარეობა (რამოდენიმე წელი), ელენთის და ღვიძლის გადიდება, ციება, ლეიკოპენია, ერითრობლასტები და პროერითრობლასტები პერიფერიულ სისხლში. ძვლის ტვინში ერითრობლასტური ჰიპერპლაზია და მეტაპლაზია.

პარადოქსული ლიპოდისტროფია — პროგრესული ლიპოდისტროფია. დაავადება ხასიათდება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის თანდათანობითი განლევით და გაქრობით სხეულის ზედა ნახევარში (სახე, კისერი, გულ-მკერდი, ზედა კიდურები) და მისი მოჭარბებული დალაგებით სხეულის ქვედა ნახევარში. ხშირი კომბინაცია ოსტეოსკლეროზთან, ძვლის კისტომებთან, ოლიგოფრენიასთან, დისმენორეასთან, ჰიპერთირეოზთან. სინონიმები: ჰოლენდერ-სიმსონის დაავადება, ბარაკერ-სიმონის დაავადება, სმითის სინდრომი.

პარაკანკროზული სინდრომი — კიბოსწინარე ან დაავადების მანიფისტირების პერიოდში გამოვლინებული სხვადასხვა სიმპტომკომპლექსი: ნერვ-კუნთოვანი, ენდოკრინული, ჰემატოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლისმიერი, ძვალსახსართა და დერმატოლოგიური ნიშნების სიჭარბითურთ.

პარაკენის პარაპემფიგუსი-პემფიგოიდი — დიურინგ-ბროკას დაავადების (იხ.) ნაირსახეობა. გვხვდება მოხუცებულთა ასაკში. დამახასიათებელია გამონაყარის ერთგვაროვნება (ბუშტუკები) და ბუშტუკების რეციდიულობა ძველსავე ადგილებში. მიმდინარეობა — მსუბუქი. სინონიმი: დეევრის დაავადება.

პარანეოპლასტიკური თირკმლისმიერი სინდრომი — უწოდებენ თირკმლისმიერ მოვლენებს, რომელიც აღინიშნება თირკმლების მხრივ სხვადასხვა სიმსივნის დროს.

პარატრიგემინული სიმპათიკური სინდრომი — ხასიათდება თვალის ნაპრალისა და გუგის გარდამავალი ხასიათის შევიწროებებით, რომელსაც თან ახლავს ტკივილი თვალში და მის ირგვლივ მდებარე არეებში. გვხვდება მამაკაცებში. ანამნეზში ხშირია შაკიკი და არტერიული ჰიპერტენზია. სინონიმი: რედერის სინდრომი.

პარის დაავადება — დიფუზური ჩიყვი-თირეოტოქსიკოზით, ტოქსიკური ჩიყვი, ეგზოფტალმური ჩიყვი. დაავადება, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის დიფუზური გადიდება და მისი ფუნქციის მომატება. გამოვლინდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (მომატებით), სიგამხდრით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით, შედარებით მაღალი ტემპერატურით. ხშირია ეგზოფტალმი. სინონიმები: ბაზედოვის დაავადება, გრეივსის დაავადება, ფლაიანის დაავადება.

პარი-რომბერგის დაავადება ანუ სახე — სახის პროგრესირებადი ჰემიატროფია. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. გამოვლინდება სახის კანის, კანქვეშა ქსოვილისა და სახის კუნთების პროგრესირებადი ცალმხრივი ატროფიით, ხმის იოგების, ენის და ხორხის, ჰემოლატერალური ატროფიით, თმის დაცვენით (მათ შორის წარბებისა და წამწამების), სინონიმი: რომბერგის დაავადება.

პარინის რეფლექსი — ბრადიკარდიის განვითარება და ელენთის გადიდება ფილტვის არტერიის ბარორეცეპტორების გაღიზიანების შედეგად.

პარინოს დაავადება — კურდღლის ცხელება, კურდღლის დაავადება. გამომწვევი ტულარენსის ბაქტერია, ბაქტერიის რეზერვუარია ძუძუმწოვრები (განსაკუთრებით კურდღელი), გადამტანები კი — სხვადასხვა ფეხსახსრიანნი. ადამიანზე გადატანა ხდება დაზიანებული კანიდან, კუნ-ნაწლავის ტრაქტით და სასუნთქი გზებიდან. კლინიკური ფორმებია: ბუბონური, თვალ-ბუბონური, ანგინოზური, ბდომინური და ფილტვისმიერი. პრაქტიკულად დიაგნოზისათვის მნიშვნელოვანია სეროლოგიური და კანშიდა რეაქციები. სინონიმები: ჩერის დაავადება, ფრენსის დაავადება.

პარინოს კონიუქტივი — უპირატესად ცალმხრივი კონიუქტივიტი წყლულებისა და კვანძების წარმოშობით, რასაც თან სდევს ცხელება, ლეიშფეში და ყურებისირგვლივი ლიმფური კვანძების გადიდება. აღინიშნება ტულარემიის, ლისტერიოზის, ლიმფოგრანულომატოზის და ზოგიერთ სხვა დაავადების დროს. სინონიმი: გალუზოვსკი-პარინოს სინდრომი.

პარინოს სინდრომი — ცქერის დამბლა — ვერტიკალური მიმართულებით, შეტად ზევით, რასაც ხშირად თან ერთვის კონვერგენციის დამბლა. გვხვდება შუა ტვინის სახურავის დაზიანებისას ინფექციური და სისხლძარღვოვანი (ტვინის უკანა არტერიის აუზში) პროცესებით. დაზიანების კერის ორალური ლოკალიზაციის დროს (გვხვდება უფრო ხშირად), ვითარდება ცქერის დამბლა ზევით, ხოლო კაუდალური ლოკალიზაციის დროს — ცქერის დამბლა ქვევით. გვხვდება აგრეთვე ოთხგორაკის, ჯალღუსისებური სხეულის, ნათხემის, მეოთხე პარკუჭის სიმსივნის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი შედგება შუა ტვინის სახურავის პათოლოგიურ პროცესში ჩართვისა (ზეწოლა, შეშუპება და სხვა).

პარკეს-ვებერის სინდრომი — სხეულის ნაწილების ჰიპერტროფია

(ძირითადად კუნთებისა და ძვლებისა), რაც ამ ნაწილებში ანგიომატოზური ცვლილებების შედეგია. სინონიმები: ოლიეს სინდრომი, კლიპელ-ტრენონის სინდრომი.

პარკეს-ვებერ-ოსლერ-დიმიტრის დაავადება — ცალმხრივი თანდაყოლილი სისხლძარღვოვანი ხალი სახეზე და ლორწოვან გარსებზე, ანგიომა თვალის სისხლძარღვოვან გარსზე, ბადურის სისხლძარღვთა დაკლაკნილობა, გლაუკომა, ტვინში გაკირული უბნები. ნევროლოგიური ნიშნებია: ეპილეფსია, პარეზები. არის ფსიქიკური დარღვევები. სინონიმები: შილის სინდრომი, შტურგე-ვებერ-კრაბეს დაავადება, შტურგე-ვებერის დაავადება, შტურგე-ვებერ-დიმიტრის სინდრომი.

პარკეს-ვებერ-შმიდის სინდრომი — პიგმენტური ჰინჭრის ცხელების ნაირსახეობა. გვხვდება როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში. დამახასიათებელია კანზე სისხლჩაქცევებისა და ტელეანგიოექტაზიების გაჩენა, აგრეთვე პიგმენტური ლაქებისა.

პარკინსონის დაავადება, ანუ დამბლა — ბაზური ბირთვების დაზიანებასთან დაკავშირებული თავის ტვინის უცნობი ეტიოლოგიის პროგრესირებადი დაავადება, ხასიათდება ექსტრაპირამიდული რიგიდობით, ბრადიკინეზიით და სტერეოტიპული კანკალით.

პარკინსონ-პაპის ტაქიკარდია — რეციპროკული სუპრავენტრიკულური პაროქსიზმული ტაქიკარდია. ვითარდება წინაგულიდან პარკუჭში გატარებული აღზნებადი იმპულსის კვლავ წინაგულებში რეტროგრადული დაბრუნების ნიადაგზე, რის გამოც პარკუჭის შეკუმშვას მოსდევს წინაგულთა ნაადრევი შეკუმშვა.

პარკ-პოვერსის სინდრომი — აკროკრანიოდისფალანგია, აკროკეფალია, აკროსფენოსინდაქტილია, აკროცეფალოსინდაქტილია — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, მოიცავს თავის ქალას დიზოსტოზს, ჰიპერტელორიზმს, ეგზოფტალმს, სინდაქტილიას, თაღისებრ სასას და ა. შ. სინონიმი: აპერის სინდრომი.

პარკუჭთა ნაადრევი აგზნების სინდრომი — პარკუჭშიდა გამტარებლობის დაურღვეველად ადგილი აქვს პარკუჭზედა პაროქსიზმული ტაქიკარდიების განვითარებისაკენ მიდრეკილებას. ელექტროკარდიოგრამაზე აღინიშნება PR ინტერვალის ხანგრძლივობის შემცირება (< 12 წამისა): QRS — ST კომპლექსი განსხვავებით WPW სინდრომისაგან (იხ.) არ იცვლება, დაკავშირებულია წინაგულიდან პარკუჭში აღზნების იმპულსის დამატებითი ჯეიმსის გზით გატარებასთან, ანტრიოვენტრიკულური კვანძის გავლის გარეშე. უპირატესად გვხვდება ქალებში გულის ორგანული დაზიანების გარეშე. იხ. სინონიმები: ლოუნ-ჯენონ-ლევინის სინდრომი, კლერკ-ლევი-კრისტესკოს სინდრომი.

პარკუჭთა ნაადრევი რეპოლარიზაციის სინდრომი — ელექტროკარდიოგრაფიული სინდრომი: ST — სეგმენტის ფსევდოკორონარული ცდომა იზოელექტრული ხაზიდან. ეკგ-მრუდზე ყურადღებას იპყრობს ST — სეგმენტის ჰორიზონტალური ან უარყოფითი აწევა, რაც იწყება R — კბილის და ST — სეგმენტის შეერთების წერტილიდან, შეერთების გამოკვეთილი

ტალღით R — კბილის დაღმაეალ ნაწილზე (შესაძლოა მიღებულ იქნას ფსევდო r — კბილად); გულის ელექტროღერძის შეტრიალება საათის საწინააღმდეგო მიმართულებით, R — კბილის სწრაფი და მკვეთრი ზრდა გულ-მკერდის განხრებში, S — კბილის ერთდროული გაქრობით; ST — სეგმენტის ზემოთ ცდომის შერწყმა უარყოფით T — კბილთან. ეს ნიშნები შესაძლოა წარმოდგენილ იქნას განცალკევებით, ან ურთიერთ კომბინაციაში.

პარკუჭთა პრეეგზალტაციის სინდრომი — პარკუჭთა არეგზალტაცია — წაადრეევი რეპოლარიზაცია, გეხვდება, როდესაც არის შემორჩენილი რომელიმე იმ 35 დამატებითი პარანოდული გზისა, (მაგალითად, ჯეიმსის, მახაიმის, კენტის, მახაიმ-ლევის, ბრეშენმაშეს), რაც აღწერილია სადღეისოდ. კლინიკურად ეს გამოვლინდება ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომით (იხ.), რომლის ძირითადი ნიშანია PQ — ინტერვალის შემცირება და დელტა ტალღის წარმოშობა კბილის აღმავალ ნაწილზე.

პაროს ატროფია — ანუ ახალშობილის პაროს ატროფია — იხილე პარო-მარის დაავადება.

პაროს დაავადება — ანუ ცრუ დამბლა — სიფილისური ცრუ დამბლა — თანდაყოლილი ათაშანგის გამოვლინება ბავშვებში სიცოცხლის პირველ თვეებში. მათ არ ახასიათებთ აქტიური მოძრაობა სახსრებში და მტკივნეულობა პასიურ მოძრაობათა დროს. მეზობლად გუმები გრძელლულოვანი ძვლების ეპიმეტაფიზებში. აღინიშნება მიდრეკილება მოტეხილობებისადმი. სინონიმები: ეეგნერის დაავადება, ეეგნერ-კორბუნის სიფილისური ოსტეოქონდრიტი.

პაროს სიმპტომი I — მტკივნეულ მიდამოზე ზეწოლის საპასუხოდ წარმოიქმნება გუგების გაფართოება. სიმპტომი გამოიყენება სიმულაციის გამოსარიცხად.

პაროს სიმპტომი II — კისრის კანზე ჩქმეტით გაღიზიანების შედეგად გუგის გაფართოება. მენინგიტის ნიშანია.

პაროს ნაწიბური — თანდაყოლილი ათაშანგის კანისმიერი ნიშანი. განლაგებულია რადიალურად ბუნებრივი ხვრელების მიდამოებში. ყველაზე კარგად ჩანს პირის ღრუს არეში. ნაწიბური თანდაყოლილი ათაშანგის აქტიური გამოსავალია.

პარო-მარიხ დაავადება — ქონდროდისტროფია, დიფუზური აპლაზია, აქონდროპლაზია, თანდაყოლილი ქონდროდისტროფია, ჰიპოპლასტიკური ქონდროდისტროფია — თანდაყოლილი დაავადება. ახასიათებს ენქონდრული ოსტეოგენეზის დარღვევა. ნიშნები: ქონდრისკაცობა, მოკლე კიდურები სხეულის ჩვეულებრივი სიგრძის პირობებში, ქვედა კიდურთა და ხერხემლის დეფორმაცია.

პარსვის სიმპტომი — ავადმყოფის მიერ პარსვისას სამართებლის უნებლიეთ ხელიდან გავარდნა, მოულოდნელად თავის მობრუნება და იმავდროულად მისი უკან გადაგდება. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის გარდამავალი დარღვევის ნიშანია შიგნითა საძილე არტერიის ზონაში.

პარსონ ეიჯ-ტერნერის სინდრომი—იხ. პერსონეიჯ-ტერნერის სინდრომი.

პარხონის სინდრომი — ჰიდროპექსული სინდრომი. ჰიპერჰიდროპექსული სინდრომი. უცნობი ეტიოლოგიის სინდრომი. ახასიათებს ანტიდიურეზული ჰორმონის აქტივობის მომატება, რასაც მოყვება ორგანიზმში სითხის შეკავების გაძლიერება, წონის ტრანზიტორული ცვლილება, შეშუპება, პერიოდული ოლიგურია.

პასტერ-რუდოს სიმპტომი—პეპატურ-იუგულარული რეფლექსი, ღვიძლისა და საუღლე ვენის რეფლექსი, — შეგუბების გამო საუღლე ვენების დაძაბვა გადიდებულ ღვიძლზე ზეწოლისას (მარჯვენამხრივი უკმარისობისას), რის გამოც ქვედა ღრუ ვენაში და გულის მარჯვენა ნაწილებში წნევა მომატებულია. სინონიმი: პლეშის სიმპტომი (იხ).

პასტიას სიმპტომი — კანის ნაოჭების მუქი-წითელი ან რუხი შეფერილობა ქუნთრუშის დროს გამონაყარის სტადიაში და უახლოეს მომდევნო პერიოდში.

პახად-ვერნიკეს დაავადება — კოკციდიოდოზი, კოკციდიოდომიკოზი, კალიფორნიის ცხელება — ქრონიკული ღრმა მიკოზი, რომელსაც იწვევს პარაზიტული სოკო-კოკციდიოდეს იმიტისი. დამახასიათებელია: კანის, ფილტვებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოთა დაზიანება, გვხვდება უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებში.

პახინის სინდრომი — ეპიდერმისის ბუშტუკოვანი პაპულოზური ფორმა. გვხვდება სქესობრივი მომწიფების პერიოდში უპირატესად მათ შორის, ვისაც სებორეის სიმპტომები აქვს. სებორეისათვის დამახასიათებელ ადგილებში ბუშტუკებისა და თეთრი ფერისმჭამელებისაგან დამოუკიდებლად ხდება თეთრ-მოვარდისფრო პაპულები, ზოგჯერ ჯგუფურად.

პახინი-პაერინის სინდრომი — იდიოპათიკური ატროფოდერმა, რომლის დროსაც კანში წარმოიქმნება მოლურჯო კერები, ოდნავ ჩაღრმავებული, საკმაოდ მკაფიოდ შემოსაზღვრული და ნელა განვითარებადი, სუბიექტური მოვლენები არ ახლავს. ლოკალიზაცია ყველაზე ხშირია ტანზე. ეტიოლოგია უცნობია.

პასკუალინის სინდრომი — ფერტილური ევნუქოიდიზმი. სათესლე ჯირკვლების ფუნქციის იზოლირებული ინკრეტორული დარღვევები. ნიშნები: ევნუქოიდიზმი (დიდი სიმაღლე, სიმსუქნე, წვრილი ხმა, სუსტი მეორადი თმიანობა), სათესლე ჯირკვლები გარეგნულად ნორმალურია. შემცირებულია ლეიდიგის უჯრედების რაოდენობა. განაყოფიერების უნარი შენარჩუნებულია.

პატარა კუჭის სინდრომი, ანუ კუჭის ტაკვის სინდრომი—სიმპტომები, რაც საშმლის მიღების მერმე აღენიშნებათ ავადმყოფებს, რომელთაც ჩაუტარდათ კუჭის რეზექცია. დამახასიათებელი ნიშნებია: სისავსის შეგრძნება, სიმძიმის და გაბერვის შეგრძნება ეპიგასტრიუმში, რაც აღმოცენდება ჭამის შემდეგ და გრძელდება 1/2-1 საათი. ავადმყოფი ამიტომ ცოტას ჭამს. ზოგჯერ ამას ემატება გულძმარვა და გულისრევა.

პატაუს სინდრომი — ტრისომია D — განვითარების ანომალიათა კომპლექსი: მიკროცეფალია, სახის და ზედა ტუჩის შეუხორცებლობა, გუ-

ლის მანკები და ა. შ. გამოწვეულია ერთ-ერთი ქრომოსომული ჯგუფის (ჯგუფი D) ტრისომიით.

პატელახ დაავადება — პილორუსის შეიწროება ტუბერკულოზის დროს მისი ფიბრინოზული ანთების გამო.

პატერსონის სინდრომი — პირის ღრუს, სასისა და საყლაპავის ლორწოვანი გარსის ატროფია. ნიშნებია: ჰიპოქრომული ანემია, ენის გადასადავება (პუნტერის ენა), კუჭ-ნაწლავის დისფუნქცია, ჰიპოაციდური მდგომარეობა, ფრჩხილების ცელილებები (კოილონქია). უკავშირებენ „ბ" ავიტამინოზს, თუმცა არ არის გამორიცხული მისი მეორეული გენეზი კუჭ-ნაწლავის დისფუნქციის გამო. ხშირია პირის ღრუსა და ზემო სასუნთქი გზების ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, ადისონ-ბირმერისა (იხ.) და ჰაემ-ფაბერის დაავადების დროს (იხ.). სინონიმები: კელი-პატერსონ-ვაელდენსტრემ-კიელბერგის სინდრომი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი, პატერსონ-კელი-პლამერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი, კელი-პატერსონის სინდრომი.

პატერსონ-კელის სინდრომი — სინონიმები: კელი-პატერსონ-ვაელდენსტრემ-კიელბერგის სინდრომი, პატერსონის სინდრომი (იხ.), პლუმერ-ვინსონის სინდრომი, პატერსონ-კელი-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი, კელი-პატერსონის სინდრომი.

პატერსონ-კელი-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი — სინონიმები: კელი-პატერსონ-ვაელდენსტრემ-კიელბერგის სინდრომი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი, კელი-პატერსონის სინდრომი, კელის სინდრომი, პატერსონ-კელის სინდრომი, პატერსონის სინდრომი (იხ.).

პატერსონ-პლუმერ-ვინსონ-სიოგრენის სინდრომი — სინონიმები: კელი-პატერსონ-ვაელდენსტრემ-კიელბერგის სინდრომი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი, კელი-პატერსონის სინდრომი, კელის სინდრომი, პატერსონ-კელის სინდრომი, პატერსონის სინდრომი (იხ.).

პატრასის დაავადება — მცირე თალასემია, ხმელთაშუა ზღვის მცირე ფორმის ანემია, მემკვიდრეობითი, ჰემოლიზური, ჰიპერქრომული ანემია, მაკროციტოზით, ელიპტოციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით, რეტიკულოციტოზით. დასაწყისში აღინიშნება ერითრობლასტოზი. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა მომატებულია. აღინიშნება სიყვითლე, ღვიძლის და ელენთის გადიდება. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმი: ფანკონ-პატრასის დაავადება.

პაუტრიერის დაავადება — ლიპოიდომელანოზური რეტიკულოზი, ლიპომელანოზური რეტიკულოზი. აღინიშნება პირველადი რეტიკულოჰისტიოციტური პროლიფერაცია შემდგომი (მეორადი) ქოლესტერინის ცვლის დარღვევით. ეკუთვნის ჰემარიტ რეტიკულოჰისტიოციტოზს. დამახასიათებელია ტემპერატურის მომატება, შემცივნება, ოფლიანობა, კანის ქავილი, პოლილიმფადენოპათია, სპლენომეგალია, ერითროდერმია, პაპულოზური ეგზანთემა, პიგმენტაცია, რის გამოც ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს შუქი (შავი) ფერი. რეტიკულოჰისტიოციტური ქსოვილი განიცდის ჰიპერპლაზიას. აღინიშნება ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია, ეჩქარებული ედს.

ძვლის ტვინში გვხვდება მიელოციტური რეაქცია პლაზმური უჯრედების მომატების ფონზე.

პაჭრონის სინდრომი — კრაშ-სინდრომი — თირკმლის მწვავე უკმარისობა კუნთოვანი ქსოვილის ვრცელი დაზიანებისას ხანგრძლივი ზეწოლისა და დაჟეჟვის გამო. აღინიშნება ანურია, შოკი, აზოტემია, მეორადი ანემია, ლეიკოციტოზი, ჰიპერკალიემია. დიურეზის აღდგენისას თავს იჩენს გამოხატული ალბუმინურია, კრეატინურია, ჰემოგლობინურია და მიოგლობინურია. ღვიძლში და თირკმლებში ჩნდება ნეკროზული კერები. სინონიმები: ბაიუოტერსის სინდრომი, ბლუმის სინდრომი.

„პახმელიის სინდრომი" — ზარხოშის სინდრომი — ალკოჰოლური აბსტინენციის სინდრომი, ვეგეტატიური, ნევროლოგიური და ფსიქიკური დარღვევების შერწყმა. აღინიშნება ქრონიკული ალკოჰოლიზმის აბსტინენციის დროს.

პეგის ოსტეოპოროზი — მრავლობითი წვრილკეროვანი ოსტეოპოროზი. რენტგენოლოგიურად დამახასიათებელია ძვლის ღრუბლოვან ნივთიერებაში ლაქოვანი სურათი.

პედროზოს დაავადება — ქრომომიკოზი, ვერუკოზული დერმატიტი, ქრომობლასტომიკოზი, ქრომოფიტოზი, ქრონიკული ღრმა მიკოზი, გამოწვეული ფიალოფარას სახეობის პარაზიტული სოკოთი, ახასიათებს კიდურთა კანის და კანქვეშა ქსოვილის უპირატესი დაზიანება, მოყვითალო, ანდა მოწითალო-მოიისფრო ცალკეულ კვანძების წარმოშობა, რომლებიც შემდგომ წყლულდება ან გადაიქცევა პაპილომატოზურ წანაზარდებად. ზოგჯერ ზიანდება შინაგანი ორგანოები და თავის ტვინი მიკროაბსცესის წარმოქმნით. ძირითადად გვხვდება ტროპიკულ ზონებში.

პეზნერის დიეტა — ქიმიურად, მექანიკურად და თერმიულად გამოზომილი დიეტა. საკვები გაიცემა წილადურად (5-6-ჯერ დღეში), გამიზნულია წყლულით ავადმყოფთა სამკურნალოდ.

პეინის სინდრომი — ჭეშმარიტი მიკროცეფალია. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი რეცესიული, შეკავშირებული იქს ქრომოსომასთან. ნიშნებია: მიკროცეფალია, ნათხემის, ვაროლოს ხიდისა და ღლივის, ჰიპოპლაზია, ართროგრიპოზი, სპასტიკური დიპლეგია, კრუნჩხვების შეტევები, გონებრივი განვითარების შეჩერება, გულის თანდაყოლილი მანკები. მაღალი სასა, კბილების ჭნომალიები. სინონიმი: გიაკომინის სინდრომი.

პეირონიე-დაის დაავადება — პენისის პლასტიკური ინდურაცია, რაც სასქესო ასოს თეთრ გარსში ხდება. ვითარდება ნაწიბუროვანი შემაერთებელი ქსოვილი. პათოგენეზი უცნობია.

პეისმეკერ-ტვიდლერ სინდრომი — გულის რიტმის ხელოვნული მატარებლით მკურნალობისას განვითარებული გართულება, რომელიც დაკავშირებულია პეისმეკერის (რიტმის მატარებლის) ფუნქციის დარღვევასთან. არსებობს ნაწილობრივი და ტოტალური.

პეიტც-ეგერსის სინდრომი — პიგმენტურ-ლაქოვანი პოლიპოზი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მემკვიდრეობითი პოლიპოზი, რასაც თან ახლავს ტუ-

ჩებისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსების, ასევე პირის ღრუს ირგვლივი და ხელის მტევნის წვრილ სახსართა გარეთა ზედაპირის კანზე წვრილწერტილოვანი ყავისფერი პიგმენტაცია. სინონიმები: პეიტც-ტურენის სინდრომი, პეიტც-ტურენ-ეგერსის — სინდრომი.

პეიტც-ეგერს-ტურენის დაავადება — იხ. სინონიმი: პეიტც-ეგერსის სინდრომი.

პეიტც-ტურენ-ეგერსის სინდრომი — სინონიმები: პეიტც-ეგერსის სინდრომი, პეიტც-ტურენის სინდრომი.

პეიტც-ტურენის პერიორიფიციული ლენტიგოზი — დერმატოზი, რომლის დროსაც ლენტიგოს ლაქები ლოკალიზდება სხეულის ბუნებრივი ხვრელების ირგვლივ, ძირითადად კი პირის ირგვლივ.

პეიტც-ტურენის სინდრომი — სინონიმები: პეიტც-ჯიგერსის სინდრომი, პეტჩინსონ-ვებერ-პეიტცის სინდრომი.

პეიტც-ჯიგერსის სინდრომი — სინონიმები: პეიტც-ტურენის სინდრომი (იხ..), პეტჩინსონ-ვებერ-პეიტცის სინდრომი.

პეიტც-პეტჩინსონ-ვებერ-ეგერს-ტურენის სინდრომი — კუპნაწლავის ბოლიპოზის შეუღლება კანისა და ლორწოვანების ლაქოვან ჰიპერპიგმენტაციასთან. ატარებს ოჯახურ ხასიათს. პიგმენტური ლაქები მზის დასხივებისაგან არ არის წარმოქმნილი. ლოკალიზდება ტუჩებზე, ლოყების ლორწოვანზე, ყურისა და ცხვირის ირგვლივ, კონიუნქტივაზე, თვალის ფსკერზე, ბადურაზე. შესაძლებელია მათი აღმოჩენა ახალშობილებშიც. ნაწლავთა პოლიპოზი ყალიბდება უფრო მოგვიანებით, 5 წლის ასაკის შემდეგ, თან სდევს ნაწილობრივი ან სრული გაუვალობის კლინიკა, ხშირია მალიგნიზაცია. უწოდებენ ასევე პეიტც-ეგერ-ტურენის დაავადებას.

პეიჯის სინდრომი — ჰიპოთალამური (დიენცეფალური) არტერიული ჰიპერტონიის სინდრომი. ხასიათდება ლაბილური ჰიპერტონიით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით. კიდურები ფერმკრთალია და ცივი. შესაძლოა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია და ძირითადი ცვლის მომატება, რაც მიზეზი ხდება თირეოთოქსიკოზის არასწორი დიაგნოზის დადგენისა.

პელგერის ანომალია ლეიკოციტების ბირთვის — გრანულოციტების კონსტიტუციური ანომალია. ლეიკოციტების ბირთვების სეგმენტაციის ანომალია. აღწერილია ფინეთში, გერმანიასა და იაპონიაში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ორგანიზმში პათოლოგიური დარღვევები არ არის. ნეიტროფილებს აქვთ ნორმალური თვისება ფაგოციტოზისა, მათი რაოდენობა პერიფერიულ სისხლში ნორმალურია, მომატებულია ჩხირბირთვიანი უჯრედები (20—50%-მდე), რომლებიც ელიფსის, ლობიოს და ორსეგმენტოვანი ფორმისანი არიან.

პელგერ-ჰუეტის დაავადება — იხ. პელგერის ანომალია.

პელ-ებშტეინის სინდრომი — 8—10 დღიანი მუდმივი ციება, 10—14 დღიანი რემისიის შენაცვლებით. აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზის ხოჯკინის დაავადების (იხ.). დროს:

პელ-ებშტეინის ტიპი ცხელებისა — ტალღისებური. სიცხის მრუდი, რომელიც აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზის დროს სხვა სიმსივნეებისას ასეთ მრუდეს (ტალღისებურს) იშვიათად ეხვდებით.

პელეგრინ-შტიდის დაავადება, ანუ სინდრომი — რბილ ქსოვილთა კალციფიკაცია ბარძაყის ძვლის ირგვლივ (ჩვეულებრივ მუხლის ტრავმის შემდეგ), ნიშნები: ტკივილი და შეშუპება ბარძაყის ძვალზე, რომელიც ძლიერდება სიარულის დროს. რენტგენოლოგიურად ბარძაყის ძვლის ტიბიალურ მხარეზე მცირე ზომის ძვლის შედრეკილი ჩრდილია ეპიფიზის დიაფიზში გადასვლის ადგილზე. სინონიმები: შტიდის დაავადება, ანუ შტიდის მოტეხილობა, შტიდ-პელეგრინის სინდრომი, კეპლერ-პელეგრინ-შტიდის დაავადება.

პელიცარის ურთიკარული ანეტოდერმია — ანეტოდერმიის ფორმა, რომელიც იწყება ქავილის გამომწვევი ბუშტუკისმაგვარი ერითემით.

პელიცის სინდრომი — ეპიფიზური ვირილიზმი: ვირილიზმი გოგონებში. გამოწვეულია ჯალღუზისებრი სხეულის ფუნქციის დარღვევით მისი სიმსივნეების დროს — ტერატომის, ქორიონეპითელიომის, პინეალომის შემთხვევებში.

პელიჩიოლის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსია. ერთ-ერთ მხარეზე მკერდის კუნთის პერკუსიის საპასუხოდ ადგილი აქვს კუნთის ერთდროულ, სიმეტრიულ შეკუმშვას ორივე მხარეზე.

პელხის სინდრომი, ანუ კრიზი — ოფტალმური კრიზი. ზურგის ტვინის ხმობით ავადმყოფებში თვალისმხრივი კრიზები, ნიშნები: შეტევითი ძლიერი მწველი და მჩხვლეტავი ტკივილი ორივე თვალში (ცილიარული ნევრალგია,), თვალის კაკლების და ქუთუთოების ჰიპერესთეზია, ფიტოფობია თვალის ირგვლივი კუნთის სპაზმით, ძლიერი ცრემლდენა.

პენდეს ენევმოკოლეცისტიტი — განგრენოზული ქოლეცისტიტი ბუშტში აირების გაჩენით. კლინიკურად მარჯვენა ფერდქვეშა არე გამობერილია, იქვე აღინიშნება ტიმპანიური ხმიანობა. ჩვეულებრივი გამოსავალი მძიმეა.

პენდეს სინდრომი — მკერდუკანა ჯირკვლის პერსისტირებადად მოფუნქციონირე სიმპტომოკომპლექსი. ნიშნები: სიმსუქნე, გენიტალური დისტროფია, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეჩერება.

პენდინის წყლული — კანის ლეიშმანიოზი, იწვევს ტროპიკული ლეიშმანია. ენდემიურია ახლო და შუა აღმოსავლეთისათვის, ხმელთაშუა ზღვის ზონის, ინდოეთის ნახევარკუნძულის და ჩრდილო აფრიკისათვის. როგორც წესი, არ ახასიათებს ლორწოვანი გარსის დაზიანება. სინონიმები: ბოროვსკის დაავადება, ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი. აღმოსავლეთის მუწუკი, აშხაბადის წყლული.

პენდრედის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. დამახასიათებელია თირეოიდული ჰორმონების ბიოსინთეზის მოშლა. კლინიკა ელინდება თანდაყოლილი ჰიპოთირეოზით, კვანძოვანი ჩიყვით და ყრუმუნჯობით.

პენფილდის სინდრომი — სომატომური ჰიპერტენზიის ვარიანტია. სისხლის წნევის მწვავე ან ქრონიკული მომატება დაკავშირებულია თავის ან ზურგის ტვინის დაავადებასთან ან დაზიანებასთან. მისი მიზეზია ქალასშიდა წნევის მომატება (სიმსივნე, ტვინის ტრავმა, თალამუსის კისტა და სხვ.). გარდა წნევის პაროქსიზმული მომატებისა, აღინიშნება თავის ტკი-

ვილი, თავბრუ, ოფლიანობა, ტაქიკარდია, კანის ეზო — და პილორომოტორული რეაქციები, ტკივილი მუცელში, კრუნჩხვითი გულყრები, ნისტაგმი, შარდში მატულობს კატექოლამინები.

პენცოლდ-დეჭიოს მეთოდი — კუჭის ქვედა საზღვრის განსაზღვრის საშუალება. ავადმყოფს ასმევენ უზმოზე რამდენიმე ჭიქა წყალს და პერკუსიით აღნიშნავენ მოყრუების ქვედა ზონას (გამოსაკვლევი პირი სასურველია ფეხზე იდგეს).

პეპელას სიმპტომი — ცხვირის ზურგზე და ლოყებზე ერითემის არსებობა. თავისი მოხაზულობით მოგვაგონებს პეპელას. დამახასიათებელია წითელი მგლურასათვის.

პეპერის ერითემული სებორეა — ქრონიკული ერითემული სებორეის ნაირსახეობა. კანის გამოვლინებები მსგავსია ერითემულ-დესქვამაციური ბალთების. ისინი არ არიან ძლიერ ინფილტრირებულნი, არ სტოვებენ კვალს, ანდა სტოვებენ უმნიშვნელო ატროფიას. ეტიოლოგია და პათოგენეზი ისეთივეა როგორც წითელი ლიქენის (ქეროვანი ინფექცია, შემაერთებელი ქსოვილის შეცვლილი რეაქცია, მომატებული რეაქცია სხვადასხვა ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ გამღიზიანებლებზე, განსაკუთრებით მზის სხივებზე). სინონიმი: ბიეტ-ბროკის სებორეა.

პეპერის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლების ან სიმფატიკურ ღეროს სიმსივნე, ჰორმონალურად არაქტიური სიმსივნე ადრეული ასაკის ბავშვებში, უპირატესი მეტასტაზებით მუცლის ღრუს ორგანოებში. ვლინდება პერიოდული სიცხიანობით, ჰეპატოსპლენომეგალიით, პროგრესირებადი კახექსიით, ანემიით.

პერგამენტული ხრაშუნის (ტკაცუნის) სიმპტომი — ხრაშუნის შეგრძნება ძვლის გამობერილ კედელზე ზეწოლისას ალვეოლარულ მორჩებზე ან ყბებზე. აღინიშნება კბილის ფოლიკულურ ან ფესვისებურ კისტის დროს და ასევე ყბის ზოგიერთ კეთილთვისებიანი სიმსივნეების დროს.

პერეგრინის სინდრომი — სიმსივნის სპონტანური რეგრესია. გადმოცემით ბერ პერეგრინს ჰქონდა ფეხის სიმსივნე. მისთვის უნდა გაეკეთებინათ ამპუტაცია. ღილით კი მან გაიღვიძა ჯანმრთელმა. აქედან დაედო სათაყე მისი სახელწოდების სინდრომს.

პერელმანის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება ან აღმოცენება ფეხში კიბეზე ან მთიდან ჩამოსვლის დროს, ტკივილის გაძლიერება არ აღმოცენდება მუხლის სახსრის გარეთა ან შიგნითა მხარეს ტრიალის დროს. კვირისტავის დაზიანების ნიშანი.

პერესის სიმპტომი — პლევრის ხახუნი, რომელიც მოისმინება გულმკერდის ზედა მესამედში, როცა ავადმყოფი ასწევს ან დასწევს ხელს. შუასაყარის ცდომის ნიშანია, გამოწვეულია აორტის ანევრიზმით, მედიასტინიტით ან სიმსივნით.

პერეხის სინდრომი — სინონიმი: პანკოსტის სინდრომი (იხ.), პანკოსტტობიასის სინდრომი.

პერთესის დაავადება — ბარძაყის თავის ოსტეოქონდრიტი, ფსეედოკოქსალგია — ბარძაყის ძვლის თავის მემკვიდრეობითი ასეპტიკური ნეკროზი, უფრო ხშირად ცალმხრივი. უვითარდებათ უმთავრესად ბიჭებს

6—10 წლის ასაკში. დაავადებას მივყავართ ბარძაყის ძვლის თავისა და ყელის დეფორმაციამდე და კოქსართროზამდე. სინონიმი: ლეგე-კალვე-პერთესის დაავადება.

პერთესის სინჯი — ქვედა კიდურების ვარიკოზულად გაფართოებულ ვენებიან ავადმყოფებში ღრმა ვენების მდგომარეობის განმსაზღვრელი ფუნქციური სინჯი. ამ დროს კანქვეშა ვენები შეეიწროებულია ბარძაყის კანზე დადებული ლახტით ან მანჟეტით. ავადმყოფს ეძლევა წინადადება — იაროს. დაჰიმულობის შემცირება ან კანქვეშა ვენების დაჩუტვა მიუთითებს ღრმა ვენების ფუნქციის შენახვაზე. სინონიმი: დელბიე-პერთესის სინჯი.

პერთეს-იუნგლინგის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული კეთილთვისებიანი გრანულომატოზი — ლოკალიზაცია უმთავრესად ხდება ძვლებში: ნიშნები: ხელისა და ფეხის თითების ერთი ან რამდენიმე მტკივნეული შესივება, იქვე აღინიშნება სიწითლე, რენტგენოლოგიურად — ძვლების კისტოზური ცვლილებები, ზომიერი სკლეროზი და ოსტეოპოროზი, ცხვირის ხრტილების უმტკივნეულო დეფორმაცია, ლეიკოპენია, ლიმფოპენია, ეოზინოფილია, მონოციტოზი. პროგნოზი კარგია. ამ პათოლოგიას განიხილავენ ასევე, როგორც სარკოიდოზის ძვლის ფორმა. სინონიმები: იუნგლინგის დაავადება, ანუ იუნგლინგის პოლიკისტოზური ოსტეიტი, ოსტეოპათია.

პერინოს დაავადება — იხ. პარინოს დაავადება.

პერის დაავადება — იხ. პარის დაავადება.

პერიოდული დაავადება — ოჯახური პერიოდული დაავადება, ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება, ექვსდღიური ცხელება, პაროქსიზმული პერიტონიტი, პერიოდული პერიტონიტი, შებრუნებითი პოლისეროზიტი. ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი. ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც გამოვლინდება პერიოდულად შეტევის მსგავსად სტერეოტიპული ტკივილით მუცლის არეში (ხშირად ასევე გულ-მკერდის არეში და სახსრებში) და პაროქსიზმული ცხელებით. სინონიმები: სიგალ-კატან-მამუას დაავადება, ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი, რეიმანის დაავადება, სომხური დაავადება.

პერნი-რომბერგის სინდრომი — სახის ჰემიატროფია. სახის პროგრესირებადი ჰემიატროფია. სახის ცალმხრივი მემკვიდრეობითი პროგრესირებადი ატროფია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: სახის ცალ მხარეზე თანდათანობით ატროფირდება კანი, კანქვეშა ქსოვილი, კუნთები და მოგვიანებით — ძვლები, ჰომოლატერალურად ბგერითი იოგი, ენისა და ხორხის ნახევარი. ხდება დაავადებულ მხარეზე თმის, წამწამისა და წარბის დაცვენა. სინონიმები: რომბერგის სინდრომი, ანუ რომბერგის დაავადება, უწოდებენ რომბერგის ტროფონევროზსაც.

პერონ-დრეკე-კულონის სინდრომი — ოჯახური აკროოსტეოლიზი. წყულულოვანი მადეფორმირებელი აკროპათია. მემკვიდრეობითი დერმატოზი — გამოწვეული ზურგის ტვინის განგლიების დაზიანებით. გამოვლინდება კიდურთა (უხშირესად ქვედა) დისტალურ ნაწილების ჰიპერკე-

რატოზით; წყლულების წარმოშობით, ძვლების და ტერფის დეფორმაციით, წვრილი ძვლების ოსტეოლიზით. სინონიმები: ჯიაკაიას სინდრომი, ტეევნარის სინდრომი.

პერსონეიჯ-ტერნერის სინდრომი — მხარბეჭის მწვავე დამბლა. მხრის სარტყლის კუნთების მწვავედ განვითარებული დამბლა, რომელსაც თან ერთვის ატროფია, ღრმა რეფლექსების დაქვეითება ან მოსპობა, ზერელე მგრძნობელობის დაქვეითება (ღრმა შენახულია). ზოგჯერ დამბლის განვითარებას წინ უსწრებს კუნთების ტკივილი. თავ-ზურგ-ტვინის სითხეში პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნება. უფრო ხშირია 20—40 წლის ასაკის მამაკაცებში. ვითარდება ვირუსული ინფექციის, გაცივების, აგრეთვე ტრავმის, აცრის ან შრატის შეყვანის მერე. მეტწილად კეთილთვისებიანად მიმდინარეობს.

პერუს ლეიშმანიოზი — დაავადება გვხვდება პერუში და არგენტინაში. ძირითადად ავადდებიან ბავშვები. დაავადება იძლევა იმუნიტეტს. წყლულის ლოკალიზაციის ადგილია თავი და სხეულის ზედა ნაწილი.

პესკადორის კუნძულების ცხელება — ცუცუგამუში, აკამუში, ინდოეთის ტკიპის ცხელება, სუმატრის ტკიპის ცხელება, იაპონიის მდინარის ცხელება, ცუცუგამუშის ცხელება, ჯუნგლების ტიფი, ბუჩქნარის ტიფი, სოფლის ტიფი, ტკიპის ტროპიკული ტიფი — მწვავე ინფექციური დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. დამახასიათებელია პირველადი აფექტი, რევიონალური ლიმფადენიტი, ტემპერატურის უცაბედი მომატება. პირველი კვირის დასასრულს აღინიშნება გენერალიზებული მაკულოპაპულოზური კანის გამონაყარი.

პეტე-დერინგის ენცეფალიტი — ლეიკოენცეფალიტი პროგრესირებადი მიმდინარეობით. დამახასიათებელია გლიოზის კერების წარმოშობა და ნერვული უჯრედების დემინერალიზაცია. გამოვლინდება თავის ტვინის დიფუზური დაზიანებით, მათ შორის ფსიქიკური დარღვევები.

პეტენის ნიშანი — ტერფის ფეხისგულისკენ მოხრა წვივის შუა ზედაპირის მიდამოში დარტყმისას. ადგილი აქვს სპაზმოფილიისა და ტეტანიის დროს.

პეტერსის სინდრომი I — განვითარების მემკვიდრეობითი ანომალია: რქოვანას უკანა ზედაპირის დეფექტი, ცენტრალურად განლაგებული ლიბრით, თანხლებული თვალის წინა საკანის გასქელებით. ხშირადაა შეუღლებული განვითარების სხვა ანომალიებით. მაგალითად, მგლის ხახა, ნაწლავის ატრეზია. მემკვიდრეობითობა, როგორც ჩანს, აუტოსომურ-რეცესიული ტიპისაა.

პეტერსის სინდრომი II — ორმხრივი უვეიტი, ლეიკოდერმიის, გამელოტების, თმისა და წარბების გაჭაღარავების ან სმენის დაქვეითების თანხლებით. უმეტესად ემართებათ მამაკაცებს 20-დან 40-წლამდე. ეტიოლოგიურ მომენტებად ასახელებენ: ალერგიას, ენდოკრინულ დარღვევებს, ვირუსულ ინფექციას, ათაშანგს, ტუბერკულოზს. სინონიმი: ფოგტ-კოიანგის სინდრომი.

პეტერ-ხოჯსონის ტაჰი აორტის ხარჯველის ნაკლოვანებისა — აორტის სარქველის უკმარისობა, რომელიც მოყვება აორტის კედლის ათაშანგით

(უფრო იშვიათად ათეროსკლეროზით) დაზიანებას, სინონიმი: ხოჯსონის ტიპი აორტის სარქველის უკმარისობისა.

პეტერს-პეველსის სინდრომი — ყბისა და თავის ქალას დისოსტოზი, რომელსაც ახასიათებს ზედა ყბის ჰიპოპლაზია, პროგენია, თავის ქალას ფუძის წინა ნაწილის დამოკლება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

პეტინარის დაავადება — პირველადი სპლენომეგალია ერითრემიის გარეშე. დი გულელმოს დაავადების ნაირსახეობა (იხ.). დამახასიათებელია ელენთის გადიდება ერითრობლასტური მეტაპლაზიით. სისხლში აღინიშნება ზომიერი ანემია ერითრობლასტოზის გარეშე. სინონიმი: ფონტანა-პეტინარის დაავადება.

პეტე-კლეჟას სინდრომი — სისხლძარღვოვანი ატროფიული პოიკილოდერმია, გაურკვეველი ეტიოლოგიის დერმატოზი პოიკილოდერმიით, გამოხატული ტელეანგიექტაზიით და პეტექიებით. სინონიმები: იაკობის (ანუ ჯაკობის) ატროფიული სისხლძარღვოვანი პოიკილოდერმია, პეტე-ჯაკობის დაავადება, პეტე-კლეჟა-ჯაკობის სინდრომი.

პეტე-კლეჟა-ჯაკობის სინდრომი — სინონიმი: პეტე-კლეჟას სინდრომი (იხ.).

პეტე-ჯაკობის დაავადება — სინონიმები: იაკობის (ანუ ჯაკობის) ატროფიული სისხლძარღვოვანი პოიკილოდერმია, პეტე-კლეჟას სინდრომი (იხ.), პეტე-კლეჟა-ჯაკობის სინდრომი.

პეტროვა-რიხის საცდელი საუზმე — საცდელი საუზმე, რომელიც შედგება გამხმარი კომბოსტოს ნახარშისაგან. გამოიყენება კუჭის სეკრეციის გამოსაკვლევად.

პეტრუშკის სპინალგია — ანუ პეტრუშკის სიმპტომი — მტკივნეულობა გულმკერდის მალების წვეტიან მორჩებზე ხელის დაჭერის დროს. ეღინიშნება ბრონქადენიტის შემთხვევაში.

პეტეტაკოსის დაავადება — დაავადება კატის განაკაწრის შედეგად. იწვევს ვირუსი. ინკუბაციური პერიოდი 1—6 კვირა. ნიშნები: მწვაველ დაწყება, შემცივნება, თავის ტკივილი, ტემპერატურის მომატება 10—15 დღის მანძილზე. განაკაწრი (ვირუსის შეჭრის ადგილი) სწრაფად ხორცდება, რის შემდეგ დიდდება ახლომდებარე ლიმფური კვანძები, რომლებიც შემდეგ რბილდება, იქ ჩნდება ფისტულები და ნაწიბურები. გარდა ამ ბუბონური ფორმისა არის ფორმა, როცა ზიანდება შინაგანი ორგანოები. სინონიმები: დებრეს დაავადება, მოლარეს დაავადება.

პეტეტაკოს-ტაკოს სინდრომი — თვალსმიერი სიმპტომები ზოგადი შეშუპებით ავადმყოფებში. თვალის კაკლის კონიუნქტივისა და ქუთუთოების შეშუპება, რქოვანას ჰიპერესთეზია, ფერადი გარსის რეფლექსის დასუსტება და ცრემლის სეკრეციის შემცირება.

პეტცლის სინდრომი — საძილე არტერიების კრიზები ჰიპერტონული სნეულების დროს. აღინიშნება დისფუნქციური საძილე არტერიის მხარეს მხედველობის დარღვევა, მოციმციმე წერტილების შეგრძნება. სხეულის პირისპირ მდებარე ნახევარში აღინიშნება პარესთეზია.

პეხკრანც-ბაბინსკი-ფრელიხის სინდრომი — ადიპოზოგენიტალური

დისტროფია, ჰიპოფიზური ევნუქოიდიზმი, ჰიპოფიზური სიმსივნე. ნეირო-ენდოკრინული დაავადება, გამოწვეული ჰიპოთალამუსის და ჰიპოფიზის დაზიანებით. ახასიათებს სიმსუქნე და სქესობრივი განვითარების დარღვევა. სინონიმი: ფრელიხის დაავადება.

პეჯეტისებრი ბაზილიომა ანუ **ეპითელიომა** — კანის არადაწყლულებადი ბრტყელი ზედაპირული ბაზილიომა, ტანის ბრტყელი ეპითელომა — ტანის კანზე მრავლობითი ბაზილიომა ბალთების სახით, რომლებიც დაწყლულებას არ განიცდის. სინონიმები: არნინგის კარცინოიდი, ლიტლის მრავლობითი ერითემატოზული ეპითელიომა.

პეჯეტის დაავადება I — ასევე ეწოდება მადეფორმირებელი ოსტეოზი, მადეფორმირებელი ოსტიტი, ფიბროზული ოსტეოდისტროფია, მადეფორმირებელი ოსტეოდისტროფა. ჩონჩხის დისპლასტიკური ხასიათის დაავადება. ვითარდება პათოლოგიური გადახალისება, რაც იწვევს ჩონჩხის დამახასიათებელ დეფორმაციას. ცვლილებები განსაკუთრებით გამოხატულია თავის ქალას მხრივ (კოშკისებური თავის ქალა), ბარძაყის და წვივის ძვლების მხრივ.

პეჯეტის დაავადება II — სარძევე ჯირკვლების ეგზემისმაგვარი კიბო: სარძევე ჯირკვლის დვრილის და არეოლის ზედაპირული სიმსივნე კანის ეგზემისმაგვარი ცვლილებებით, დაწყლულებით და სისველით. იგივეა პეჯეტის ძუძუს დვრილის კიბო.

პეჯეტის ექსტრამამილარული კიბო — პეჯეტის ექსტრამამილარული დერმატოზი, აპოკრინულ ჯირკვალთა და მათი სადინრების კიბო. ლოკალიზაცია — პერიანალური არე, იღლიისქვეშა ფოსოები. ახასიათებს მკაფიო შემოფარგვლა, ერითემული მსუბუქი ინფილტრაცია მისი სისველით, აქერცვლით და ქერქის წარმოშობით.

პეჯეტის ძუძუს დვრილის კიბო — სინონიმი: პეჯეტის დაავადება — II.

პეჯეტ-იაკობის (ანუ ჯაკობის) დაავადება — სისხლძარღვოვანი ატროფიული პოიკილოდერმია, გაურკვეველი ეტიოლოგიის დერმატოზი პოიკილოდერმიით და პეტექიებით. სინონიმი: ჯაკობის ატროფიული სისხლძარღვოვანი პოიკილოდერმია.

პეჯეტ-შტრეტერის სინდრომი — ეწოდება ლავიწქვეშა თრომბოზს, დაკავშირებულს მის ტრავმირებასთან ლავიწსა და ნეკნთაშუა არის მიდამოში. სინონიმებია: დაძაბვის თრომბოზი, ტრავმატიული ვენოსპაზმი. საჭიროა გაირჩეს ლავიწქვეშა და იღლიის ვენების სხვა გენეზის თრომბოზებისაგან. ხელის ვენების აღმავალი თრომბოზი, ლავიწქვეშა ვენის პუნქციის შემდგომი თრომბოზი და სხვა. სინონიმი: პეჯეტ-შტრეტერ-კრისტელის სინდრომი.

პეჯეტ-შტრეტერ-კრისტელის სინდრომი — სინონიმი: პეჯეტ-შტრეტერის სინდრომი (იხ.).

პიერ-მარიხ დაავადება — ნათხემისებური დომინანტური ატაქსია. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. დაავადების პათოლოგოანატომიური არსია ნათხემის ატროფია. კლინიკა: ნათხემის და პირამიდული უკმარისობის ნიშნები, პტოზი, კონვერგენციის სისუსტე და მხედველობის ნერვების ატროფია, ინტელექტის პროგრესული დაქვეითება. გან-

წვავებები მოუვება ფიზიკურ და ფსიქიურ გადაძაბვას, მწვავე ინფექციებს, ორსულობას. სინონიმი: მარცხ მემკვიდრეობითი ნათხემისებრი ატაქსია.

პიერ-მარის მემკვიდრეობითი ნათხემისებრი ატაქსია — იხ. პიერ-მარის დაავადება.

პიეტრანტონის სინდრომი — სამწვერა ნერვის ნევრალგია, მგრძნობელობის დაკარგვით სახის კანის და პირის ღრუს ლორწოვანის უბნებში, გამოწვეულია ნერვზე ზეწოლით თავის ქალას ძვლებზე ან ზედა ყბის ცხვირის ირგვლივ დანამატ ღრუებზე.

პიკარდი-ლასიუერ-ლიტლის სინდრომი — წითელი ფოლიკულურლრი დეკალვილირებული ლიქენი. ფოლიკულურ კერატოტიულ გამონაყარსა და თავის არეში ნაწიბუროვანი ალოპეციის შერწყმა, იღლიისქვეშა ჩაღრმავებებსა და ბოქვენის არეში. ეტიოლოგია დადგენილი არ არის. სინონიმები: ლიტლის წვეტიანი ფოლიკულური დეკალვილირებული ლიქენი, ლიტლ-ლასიუერის სინდრომი, გრემ-ლიტლის სინდრომი, ფელდმანის ბრტყელი წვეტიანი ატროფიული ლიქენი.

პიკარის სიმპტომი — „იდეათა რბენა", აღწერილია, როგორც ეპილეფსიური ექვივალენტის ფორმა ჯეკსონის ეპილეფსიის მიმდინარეობაში.

პიკვიკის სინდრომი — ზოგადი ჰარბი სიმსუქნის დროს შესაძლოა ჩამოუყალიბდეს ფილტვისმიერი გულის ქრონიკული თორაკო — დიაფრაგმული ვარიანტი. კლინიკური ნიშნებია: III—IV ხარისხის სიმსუქნე, დღისით ძილი, ღამით უძილობა (ავადმყოფი თვლემს ჰამის, საუბრის, ჯდომის, ფეხზე დგომის დროს), ციანოზი, სუნთქვის გახშირება, ჭოშინი, ობშიაშად კრუნჩხვები, ეკგ-ზე მარჯვენაგრამა. პროგნოზი უკეთესია, ვიდრე ფილტვისმიერი გულის სხვა ვარიანტების დროს.

პიკის ადენომა — პიკის ტესტიკულური ტუბულური ადენომა. ტუბულური ტესტიკულური ადენომა. არის სათესლე ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე, შემდგარი მამრობითი სასქესო ჯირკვლების ელემენტებისაგან. ანდროგენების პროდუქცია და მასკულინიზირებული მოქმედება არ ახასიათებს.

პიკის დაავადება — პიკის ატროფია, პრესენილური დემენცია დიდი ნახევარსფეროების ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების შემოფარგლული ატროფია პიროვნების შეცვლით. დაავადება ჩვეულებრივ იწყება 55 წლის ასაკში. პიროვნების შეცვლის ხასიათი კორელირებს პროცესის ლოკალიზაციასთან. შესაძლებელია ხანმოკლე ფსიქოტიური დარღვევები: ჰალუცინაციები, ბოდვები, ფსიქომოტორული აგზნება. სავარაუდოა აუტოსომურ-დომინანტური მემკვიდრეობა.

პიკის ერითრომელია — კანის იდიოპათიკური პროგრესირებადი ატროფია, ხასიათდება შუგუბებითი მოლურჯო ერითემით ტერფისა და ხელის-შტევნის გარეთა ზედაპირზე და ასევე იდაყვის და მუხლის სახსრების მიდამოში (სიმეტრიულად ან ერთ მხარეს), ნელა ვრცელდება მთელ კიდურებზე. შემდგომში ვითარდება დაზიანებული კანის ატროფია. სინონიმები: ჰერქსჰეიმერის ატროფოდერმატიტი, ფორდაიხის კანის სიმეტრი-

ული ატროფია, მეშჩერსკის მოპროგრესირე დისტროფიული ერითემა, ჰერქსჰეიმერ-ჯარტმანის ქრონიკული ატროფიული აკროდერმატიტი.

პიკის იდიატორული აპრაქსია — აპრაქსია იდიატორული, რომლის დროსაც ავადმყოფს არ შეუძლია შეადგინოს თანმიმდევრული მოძრაობის გეგმა რთული მოძრაობითი აქტის შესასრულებლად. სინონიმი: მარკუზეს აპრაქსია, ბონგეფერის ასოციაციური აპრაქსია.

პიკის ილუზიები — პიკის ჰალუცინაციები, მხედველობითი ილუზიები, რომლის დროსაც შენობის კედლები არასწორადაა განლაგებული, არის გამრუდებული, დაჭანგული, ამასთანავე ირგვლივმყოფი ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებიან მათ შორის.

პიკის მელანოზი — პიგმენტური ქსეროდერმა, პროგრესირებადი რეტიკულური მელანოზი. მემკვიდრეობითი დაავადება, ხასიათდება ულტრაიისფერი სხივების მიმართ კანის მომატებული მგრძნობელობით და ვლინდება ერითემით, პიგმენტური ლაქებით, დერმის შეშუპებით, ჰიპერკერატოზით და ტელეანგიექტაზიებით კანის იმ უბნებში, რომელნიც მოხვდნენ მზის დასხივების ქვეშ. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით.

პიკის სიმპტომი — წვრილი სისხლძარღვების სამკუთხედისმაგვარი ინიექცია თვალის სკლერის ლატერალურ კუთხეში, მიმართული მწვერვალით რქოვანისაკენ. ფლებოტომური ცხელების ნიშანია.

პიკის სინდრომი I — სინონიმები: პიკის ციროზი, პიკის ღვიძლის ციროზი (იხ.), პიკის ღვიძლის ფსევდოციროზი, ფრიდლ-პიკის სინდრომი.

პიკის სინდრომი II — პანკრეასულ-ბილიარული სინდრომი — პანკრეასის კიბოს ნიშნების (ტკივილი ეპიგასტრიუმში, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა და სხვ.). შერწყმა სანაღვლე გზების სადინარების ზეწოლასთან (სიყვითლე), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გადიდება და სხვ. (შეპირობებულია სიმსივნის ლოკალიზაციით ფატერის დვრილთან.). სინონიმები: კურვაზიეს სინდრომი, კურვაზიე-ტერიეს სინდრომი, ბარ-პიკის სინდრომი.

პიკის ღვიძლის ციროზი — წარსულში ეწოდებოდა ღვიძლის ფსევდოციროზი. პერიკარდიტის შედეგად განვითარებული ღვიძლის ციროზია. ძირითადი ნიშანია ასციტი. შესაძლებელია ამ დროს არ აღინიშნოს ელენთის გადიდება და ღვიძლის ფუნქციების დარღვევა. ციროზის განვითარებას საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, პერიკარდიუმიდან გავრცობილი ანთება — და შემდგომ ასევე ღვიძლზე განვითარებული შეხორცებითი პროცესი. სინონიმები: ფრიდლ-პიკის სინდრომი, პიკის ციროზი, პიკის ღვიძლის ფსევდოციროზი.

პიკ-ბერკჰეიმერის დაავადება — იხ. პიკის ერითრომელია.

პილნოვის სიმპტომი — ვარდისფერი არშია ფსორიაზის ახლად გამოყრილი ლაქების ირგვლივ. დამახასიათებელია პროგრესირებადი დაავადებისათვის.

პილო-ოკულარული სინდრომი — თმიანობისა და მხედველობის პათოლოგიების შერწყმა — მიზეზი შეიძლება იყოს ჰიპოთალამური მიდამოს დაზიანება. ნიშნები: ფოლიკულური ჰიპერკერატოზი, თმის არათანაბარი საფარი განსხვავებული სისქე-სიხშირით. მხედველობის ველის მნიშვნელოვანი შემცირება. სინონიმი: რაც-ტურის სინდრომი.

პილტცის რეფლექსი I — ორბიკულური რეფლექსი, ქუთუთო-გუგის რეფლექსი, ორბიკულური ფენომენი, ფიზიოლოგიური რეფლექსი: გუგების შევიწროება ქუთუთოთა შეერთების მცდელობისას, რაც ხელოვნურად ყოვნდება (მაგალითად, გუგის გაფართოვებით), სინონიმები: გალასის რეფლექსი, გილფორდ-გალასის რეფლექსი.

პილტცის რეფლექსი II — ფიზიოლოგიური რეფლექსი: გუგების გაფართოება როცა ავადმყოფი წარმოიდგენს ღამეს ან სიბნელეს.

პინელის ნიშანი — მკვეთრი ტკივილი მკერდში და მუცლის ზემო ნახევარში კისერზე ცდომილი ნერვის მიდამოში თითებით უმნიშვნელო დაჭერისას. აღინიშნება ფილტვების აქტიური ტუბერკულოზური პროცესის დროს.

პინესის სიმპტომი — კანის გაცივება და სიფერმკრთალე გულის წინა კედელთან მიმდინარე გულმკერდის ნაწილის მიდამოში. აღინიშნება მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

პინიეს ინდექსი — ადამიანის ფიზიკური განვითარების მაჩვენებელია. გამოითვლება შემდეგნაირად: სიმაღლე (სმ) გამოკლებული წონა (კგ) და გულ-მკერდის გარშემოწერილობა (სმ).

პინკუსის მუცინოზური ალოპეცია — ჯირკვლოვანი მუკოფანეროზი. კანის ფოლიკულური მუცინოზი, კანის მუცინოზის ფორმა დამახასიათებელი ფოლიკულური პაპულების წარმოშობით. ისინი ირწყმება აქერცვლად მოვარდისფრო ან იისფერ-მოწითალო ბალთებთან. ამას თან სდევს დაზიანებულ უბნებში თმის დაცვენა. სინონიმი: ბრაუნ-ფალკოს-შიდაფოლიკულური ცხიმოვან-ჯირკვლოვანი მუკოფანეროზი.

პინკუსის სინდრომი — ფიბროეპითელური სიმსივნე. წარმოადგენს ბაზოფილური ეპითელიუმის იშვიათ ნაირსახეობას. ჰგავს სებორეულ მეჭეჭს. გვხვდება სახეზე და ტანზე. მიეკუთვნება პრეკანცერულ მდგომარეობას. დიაგნოზი ისმება მხოლოდ ჰისტოლოგიური გამოკვლევით. სიმსივნე წარმოადგენს ფიბროზული კვანძების ნაირსახეობას.

პინკუსის ფიბროეპითელიური სიმსივნე — ბაზალიომა კვანძის სახით კანის ზედაპირზე. ახასიათებს ანასტომოზები, ზონრების მსგავსი, შემდგარი პატარა მუქი უჯრედებისაგან, რომლებიც განლაგებულია ფაშარ სტრომაში და რომელშიც ფიბროპლასტიკური ელემენტები ხშირად თავმოყრილია ეპითელურ კომპლექსთა ირგვლივ.

პინხის ზონა — ზურგის ზედაპირის მონაკვეთი, რომლის საზღვრებიც ლატერალურად მარცხენა ბეჭის შიდა კიდე, მედიალურად — მარცხენა პარავერტებრული ხაზი, ზემოდან — მკერდის II მალის წვეტიანი მორჩის წანაზარდის გასწვრივ გავლებული ჰორიზონტალური ხაზი, ქვემოდან — მკერდის VII—VIII მალების წვეტიანი მორჩის წანაზარდების დონეზე გავლებული ჰორიზონტალური ხაზი. ამ მიდამოში პერკუსიისას მოყურეების გამოვლენა ექსუდაციური პერიკარდიტის ნიშანია.

პინხის სიმპტომი — ფილტვის მოყურეებული ხმიანობა ტომპანური ელფერით მარცხენა ბეჭის კუთხის ქვეშ ექსუდატიური პერიკარდიტის დროს. შედეგია ფილტვის ქსოვილის კომპრესიისა პერიკარდიუმის გადავსებული პარკის ზეწოლის გამო.

პინსკის სინდრომი — მემკვიდრეობითი ოკულო-ცერებრული ანომალიები. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: მიკროფტალმი, რქოვანას სხვადასხვა ხარისხით შემღვრევა, ბროლის დისტოპია, ნისტაგმი, სიელმე, ჰიპერმეტროპია, ჰიპერტელორიზმი, მიკროცეფალია და ჰიდროცეფალია, ზედა ტუჩისა და მაგარი სასის გაპობა, გარეთა სასმენი მილების გაფართოება, კიფოსკოლიოზი. გონებრივი განვითარების გამოხატული ჩამორჩენილობა.

პიორის სტეტოსკოპი — მაგარი სტეტოსკოპი, რომელიც ამჟამად ფართო ხმარებაშია. მოწოდებულია პიორის მიერ. მას უპირისპირდება რბილი სტეტოსკოპი, ანუ ფონენდოსკოპი.

პიპერის სინდრომი — მხედველობის მანკებთან ერთად (ასტიგმატიზმი) აღინიშნება ბრონქოექტაზიები და საათის მინისმაგვარი ფრჩხილები. მიზეზი, როგორც ჩანს, ქსოვილთა სისტემური დაავადება და ტროფიკის დარღვევაა.

„პირველადი" ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი — ჩვეულებრივ აღნიშნული სინდრომი თან სდევს სისტემურ წითელ მგლურას. როცა ეს დაავადება არ არის და არის ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი, მას აღნიშნავენ როგორც პირველადს. დამახასიათებელია ანტიფოსფოლიპიდურ ანტისხეულთა არსებობა, ვენებისა და არტერიების თრომბოზი.

პირველადი ფიბრომიალგიის სინდრომი — მიეკუთვნება სახსარგარეთა რბილი ქსოვილების დაავადებათა ჯგუფს და არის „ფსიქოგენური რევმატიზმის" ფორმა. როცა ამის მიზეზი არ ჩანს, მაშინ ის აღინიშნება როგორც პირველადი სინდრომი, როცა მას ადგილი აქვს სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების დროს — ის არის მეორადი. ეს დაავადებებია: კიდურთა და ნაწლავთა ქრონიკული და დეგენერატიული დაავადებები, ავთვისებიანი დაავადებები, ტრავმები, კოლაგენური დაავადებები.

პირკეს სინჯი — ტუბერკულოზის გამოსავლენი ალერგიული სინჯი: სკარიფიკატორით შეაქვთ წინამხარის ზედაპირზე ტუბერკულინი, შემდეგ ხდება კანის ადგილობრივი რეაქციის შემდგომი შეფასება.

პირ-თით-ხახის სინდრომი — სინონიმი: პაპილონ-პსომის სინდრომი (იხ.).

პირინგერ-კუხინკას სინდრომი — ქვემწვავე ლიმფადენიტი, უმეტესად კისრის მიდამოში ლოკალიზაციით, მორეციდიული ანგინით, რევმატოიდული პოლიართრიტით დაავადებულ პირთა შორის. სიცხიანობა და მიდრეკილება დაჩირქებისაკენ არ აღინიშნება.

პიროგოვ-ვალდეიერის ლიმფური რგოლი — ყელის ლიმფადენოიდური რგოლი. ლიმფოიდური რგოლი — ლიმფური კვანძების ერთობანობა, განლაგებული ხახის შესასვლელში, მის ირგვლივ, აგრეთვე, პირისა და ცხვირის ღრუებიდან. შედგება რამდენიმე ნუშისებური ჯირკვლისაგან. სინონიმი: ვალდეიერის ლიმფური რგოლი.

პიროგოვ-კარავაევის პერიკარდიუმის პუნქცია — იხმარება ექსუდატური პერიკარდიტის დროს. ტარდება ექსტრაპლევრალურად IV ნეკნთაშუა არეში მკერდის ძვლის 2 სმ-ით მარცხნივ მდებარე წერტილში.

პიროგოვ-ლანგჰანსის უჯრედები — პერიფერიულად განლაგებული

მრავალი ოვალური ჩირთვის შემცველი გიგანტურ უჯრედები ტუბერკულოზის და სხვა ინფექციურ დაავადებების დროს.

პიროგოვ-მიტჩელის დაავადება — კაუზალგია, კაუზალგიური სინდრომი; შედეგია პერიფერიული ნერვის დაზიანებისა და განპირობებულია სიმპატიკური ბოჭკოების გაღიზიანებით. ხასიათდება ინტენსიური მწვავე ტკივილით და სისხლძარღვმამოძრავებელი და ტროფიკული დარღვევებით დაზიანებული ნერვის ინერვაციის ზონაში.

პიროგოვ-პასტერ-ლისტერის სეფსისი — ჩირქოვან-რეზორფციული ციება, ტოქსიკურ-რეზორბციული ციება. განპირობებული ტოქსიკური ნივთიერებების შეწოვით ჩირქოვანი ანთებითი კერიდან.

პიროგოვ-როზენმიულერის ლიმფური კვანძი — ბარძაყის სისხლძარღვოვან ლაკუნის მედიალურ ნაწილში ბარძაყის ვენასა და ლაკუნური მყესის შორის განლაგებული ლიმფური კვანძია.

პირსონის სინდრომი — ფეხის მომწვევი კუნთების გადაძაბვის სინდრომი, ძლიერი ტკივილი სათანადო კუნთების ნერვის ზონაში გადატვირთვასთან დაკავშირებით. შემდეგში მომწვევი კუნთების დატვირთვისას ისევე შეტევითი ტკივილი. პალპაციით მტკივნეულია სიმფიზის ირე კუნთების მომაგრების ადგილზე. სავარაუდოა აუტოსომურ-დომინანტური ტიპი მემკვიდრეობის.

პიტელის სიმპტომი I — მუცლის კუნთების დაძაბვა ფერდქვეშა და წელის მიდამოში მწვავე ქრონიკული პიელონეფრიტის მხარეს. ვლინდება ერთდროული ორმხრივი პალპაციით ავადმყოფის გულაღმა წოლის ან მჯდომარე მდგომარეობაში.

პიტელის სიმპტომი II — სათესლე ჯირკვლის კანის ჰიპერესთეზია ზურგის ტვინის ხმობის დროს.

პიტს-ბელენსის სიმპტომი — ავადმყოფი წევს მარცხენა გვერდზე, მარჯვენაზე პერკუსიით მიიღება ტიმპანიტი. აღინიშნება ელენთის გასკდომის დროს. იხ. სინონიმი: ბელენსის სიმპტომი.

პიტრესის სიმპტომი — ექსუდატიური პლევრიტის დროს მკერდის ძვალი და მისი მახვილისებური მორჩი გადაწეულია დაავადებული მხრიდან და რაც უფრო მეტია სითხე, მით უფრო მკაფიოდ არის გამოხატული ეს ცვლილება.

პიუზის ცელულიტი — ქრონიკული ღრმა პიოდერმიის ნაირსახეობა. ახასიათებს თავის კანზე (ძირითადად სახეზე) ღრმა ანთებადი კერების განვითარება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ფისტულისმაგვარი გზებით. შემდგომში წარმოიშობა არასწორი კიდეებიანი კელოიდური ნაწიბურები. სინონიმი: ჰოფმანის მოაბსცედირე თავის ფოლიკულიტი და პერიფოლიკულიტი.

პიულაჭს-ედერისის სინდრომი — მსხვილი ნაწლავის მწვავე გაფართოება მექანიკური დაცობის გარეშე. ნიშნები: დომინირებს მეტეორიზმი, ტკივილი მწვავე, მწვავე მუცლის სურათამდე. რენტგენოლოგიურად: დოლიქო-და მეგაკოლონი. შესაძლოა ამ სინდრომის უშუალო მიზეზი იყოს აირთა დაგროვება მსხვილ ნაწლავში.

პიურიტიკის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექ-

სი — სისტემური ჰიალინოზი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: მხრის სარტყელის, იდაყვის და მუხლის სახსრების მტკივნეული მოხრითი კონტრაქტურები, სახისა და ყბების დეფორმაცია, ზრდის შეჩერება. ტერმინალურ ფალანგთა ოსტეოლიზი, კანის მრავლობითი დიდი კვანძები — ნაწილობრივ კალციუმის მარილის ჩალაგებით, კანის ცვლილებები მოგვაგონებს სკლეროდერმიასა და ატროფიას; კანის, თვალის, ცხვირისა და ყურების კანის ჩირქოვანი ინფექცია.

პიშონის ხიდრომი — სფენოიდური (ორბიტის ზედა) ნაპრალის სინდრომი. ხასიათდება თავის ტვინის მეორე-მესამე, მეოთხე და მეექვსე წყვილი ნერვებისა და მეხუთე წყვილი ნერვის ზედა ტოტის ცალმხრივი დაზიანებით. კლინიკურად აღინიშნება ცალმხრივი ტოტალური ოფთალმოპლეგია, სიბრმავე და ანესთეზია სამწვერა ნერვის თვალის ტოტის საინერვაციო არეში. გვხვდება ამ მიდამოს პერიოსტიტის, სიმსივნის, არაქნოიდიტის, აგრეთვე მენინგიტის და შიგნითა საძილე არტერიის წინა ნაწილის ანევრიზმის დროს. სინონიმი: კასტარინის სინდრომი.

პლამერის დაავადება — ფარისებრი ჯირკვლის ტოქსიკური ადენომა, ფარისებრი ჯირკვლის ადენომა თირეოტოქსიკოზით.

პლაუტის ანგინა — ულცერომემბრანული ანგინა. ნეკროზული ანგინა. ნუშისებრი ჯირკვლის ცალმხრივი ანთება, ჩვეულებრივ კრატერისებრი, დაწყლულებული, დაფარული თეთრი ნადებით (ადვილად რომ სცილდება). დაავადებას ახასიათებს თვითგანკურნებისადმი მიდრეკილება. სინონიმი: პლაუტ-ვენსანის ანგინა.

პლაუტ-ვენსანის ანგინა — (ანუ პლო-ვინცენტის ანგინა) სინონიმი: პლაუტის ანგინა (იხ.).

პლაუტის ჰალუცინოზი — ვერბალური ჰალუცინოზი თავის ტვინის ათაშანგიან ავადმყოფთა შორის.

პლეშის მეთოდი — ფუნქციური სინჯი ღვიძლზე ზეწოლით. ღვიძლზე ხელის დაჭერით იქიდან იდევნება სისხლი ღრუ ვენაში. ავადმყოფს პირი გაღებული აქვს, ერთდროულად ივსება და იბერება საუღლე ვენა, ჯანმრთელებში ეს უკანასკნელი სუსტადაა გამოხატული და პულსის რამდენიმე დარტყმის შემდეგ ქრება. გულის მარჯვენამხრივი უკმარისობის დროს ვენების დაბერება მკაფიოდაა გამოხატული და დიდხანს რჩება.

პლეშის სიმპტომი — ჰეპატო-იუგულარული რეფლექსი. სინონიმი: ჰასტერ-რუდოის ნიშანი.

პლო-ვინცენტის ანგინა — იხ. სინონიმი: ვინცენტის ანგინა.

პლუმერ-ვინსონის (პლამერ-ვინსონის) სინდრომი — სინონიმები: კელი-პატერსონ-ვალდესტრემ-კიულბერგის სინდრომი, პატერსონის სინდრომი (იხ.), პატერსონ-კელის სინდრომი, პატერსონ-კელი-პლამერ-ვინსონ-სიორგენის სინდრომი, კელი — პატერსონის სინდრომი.

პლურიგლანდულარული სინდრომი — მწრალი დანაოჭებული კანის შეუღლება კბილების ნაადრევ დაცვენასთან, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებასთან, ფსიქიკურ და ფიზიკურ ბსთეწიასთან, აღინიშნება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ატროფიის დროს. სინონიმები: ფალტის სინდრომი, გუეერო-ფალტის სინდრომი, გუეროს სინდრომი.

პოემის სინდრომი — პირველად აღწერილია იაპონიაში. მასში შედის კანის პოლინეიროპათია, ორგანომეგალია, ენდოკრინოპათია, კანის ცვლილებები, მონოკლონური M — პროტეინის არსებობა სისხლში. ხშირი ნიშანია ჰეპატომეგალია. ღვიძლის ჰისტოლოგიური ცვლილებები კი არასპეციფიკურია. აღწერილია შემთხვევები ასევე ევროპაში, ავსტრალიაში, აშშ-ში.

პოვანსის ენცეფალიტი — არბოვირუსული დაავადებაა. გვხვდება აშშ, კანადასა და საბჭოთა კავშირის ზღვისპირეთში. ინფექციის რეზერვუარია ციყვი, კურდღელი. გადამტანია ტკიპა. დამახასიათებელია დიფუზური ან ლოკალური ენცეფალიტის კლინიკა ნარჩენი მოვლენებით.

პოზიციური ზეწოლის სინდრომი — ვითარდება რბილ ქსოვილთა ხანგრძლივი კომპრესიის შედეგად მათი ანატომიური მთლიანობის დაურღვეველად. ეს ზეწოლა ხდება საკუთარი სხეულის მასით მის ამა თუ იმ ნაწილზე. გარდა ზეწოლისა მნიშვნელობას ანიჭებენ ინტოქსიკაციასაც (ყველაზე ხშირია ალკოჰოლური). ნიშნები — ტკივილი, შესაძლოა გამოვლინდეს მეორეული მიოგლობინურია.

პოზნერის სიმპტომი — პროსტატოპათია, პროსტატის ნევროზი. პროსტატორეა უროგენიტალური სისტემის ნეიროვეგეტატიურ რეგულაციის დარღვევა მამაკაცებში. შარდიდან დაცლის ფუნქციური დარღვევები. ნიშნები: პოლაკიურია სიცივეზე და ნერვიულობის დროს, დიზურია, სქესობრივი ფუნქციის დარღვევა (სუსტი ერექცია, თესლის ნაადრევი დაქცევა), დიზესთეზია შორისის მიდამოში, სიცივის შეგრძნება, ჰიპო-ან ჰიპერესთეზია, ქავილი, პროსტატორეა, თესლის სპონტანური დაქცევა დეფეკაციის ან შარდვის დროს. რექტალური გასინჯვით — წინამდებარე ჯირკვლის ზომიერი გადიდება და მტკივნეულობა. სინონიმები: ალკენის სინდრომი, ბლუმენზატის სინდრომი.

პოზნერ-შლოსმანის სინდრომი — თვალის კეთილთვისებიანი პაროქსიზმული ჰიპერტენზია, ციკლური გლაუკომა, გლაუკომაციკლური კრიზების სინდრომი. დაავადება შესაძლოა ალერგიულია, რომელიც გამოვლინდება როგორც მეორადი შეტევები თვალშიდა წნევის ცალმხრივი მომატებისას. ის თანხვედრილი არ არის შეგუებითი გლაუკომის მოვლენებთან და რქოვანას ენდოთელიუმზე პრეციპიტატების გამოჩენასთან. სინონიმი: კრაუპი-პოზნერ-შლოსმანის სინდრომი.

პოლანდის სინდრომი — მკერდის დიდი კუნთის აპლაზია შეუღლებული ხელის მტევნის აპლაზიასთან. თითების ანომალიის გამოვლინებანი შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. აღნიშნული დისფორმიზმის კავშირი შინაგან ორგანოთა დაზიანებასთან არ არის ფიქსირებული. აღწერილია ცალკეული შემთხვევა გულის დაზიანებით.

პოლანდ-მატცენაუერის სინდრომი — დისმენორეული სიმეტრიული დერმატოზი. ნეკროზული აკნე. განგრენოზული ურტიკარია. ისტერიული პემფიგუსი. დისჰორმონული დერმატოზის გამოვლინება. ნიშნები: სპონტანური, სიმეტრიული, მკაფიოდ შემოფარგლული ერითემა, ფოლიკულური ეროზიები. ვაზომოტორული მოშლილობანი. ცვლილებები რეგულარულად მეორდება მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებით. უფრო ხშირია

ახალგაზრდა ქალებში დისმენორეით ან პრეკლიმაქსურ პერიოდში. სინონიმები: მატცენაუერ-პოლანდის სინდრომი, დრაიერ-ველშის აკნე, ბესნიერ-რენოს ურტიკარია.

პოლენდის სინდრომი — პოლენდის სინდაქტილია. მკერდის, მხრებისა და ხელისგულების მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ცალმხრივი სინდაქტილია, სიმბრაქიდაქტილია და ბრაქიდაქტილია, გულმკერდის დიდი კუნთის ჰომოლატერალური ან (უფრო ხშირად) მისი მკერდ-ნეკნების ნაწილის აპლაზია. გულმკერდის ჯირკვლებისა და მკერდის დვრილების ჰომოლატერალური აპლაზია. იღლიისქვეშა თმიანობის ჰომოლატერალური არარსებობა.

პოლის სიმპტომი — გულის საძგერის შესუსტება, შერწყმული გულისირგვლივ მიდამოში სხვა ნაწილების შედარებით გაძლიერებულ პულსაციასთან. ექსუდაციური პერიკარდიტის ნიშანია, გამოწვეულ გულის ფორმის შეცვლით, რაც თან ახლავს პერიკარდიულ ღრუში სითხის დაგროვებას.

პოლიტცერის კანის ატროფია — კანის ლაქოვანი ატროფია.

პოპოვ-ფლინტის შუილი — ფუნქციური დიასტოლური, პრესისტოლური შუილი, რომელიც მოისმინება მწვერვალზე ან მეხუთე წერტილში. აორტალური სარქველის უკმარისობის ნიშანია. სინონიმი: ფლინტის შუილი.

პორაკ-დურანტეს დაავადება, ანუ სინდრომი — არასრულყოფილი თანდაყოლილი ოსტეოგენეზი, ძვლების მტვრევადობის თანდაყოლილი ავთვისებიანი ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: კიდურთა ძვლებისა და ნეკნების მრავლობითი მოტეხილობები დაბადებისთანავე, კიდურები მოკლე და დეფორმული, სახე მცირე, ყიფლიბანდების მოგვიანებით გაძვალება, ცისფერი სკლერები, ცუდი სმენა, ჯუჯისებრი სიმაღლე, სისხლში კალციუმისა და ფოსფორის შემცველობა ნორმის ფარგლებშია. სინონიმი: ვროლიკის დაავადება.

პორგესის გასტრო-ილეალური რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: თეძოს ნაწლავის შიგთავსის სწრაფი გადაადგილება ბრმა ნაწლავში კუჭის ღორწოვანი გარსის საკვებით გაღიზიანების დროს.

პორგესის სიმპტომი I — აღინიშნება მშრალი, აპიკალური პლევრიტის დროს და გამოვლინდება ფილტვის მწვერვალის მიდამოში ზეწოლის გამო კუნთებში ტკივილით.

პორგესის სიმპტომი II — ჰიპიდან მარცხნივ და ოდნავ ზემოთ ძლიერი პალპაციისა და ზეწოლის დროს აღძრული მუცლის მტკივნეულობა. მწვავე ენტერიტის ნიშანია.

პორტალის სივრცე — ვლინდება რენტგენოლოგიურად და წარმოადგენს ვიწრო ნაპრალს გულის ქვემო ზედაპირსა და დიაფრაგმას შორის.

იწყება ურტიკარიით ქავილის გარეშე.

პომპეს დაავადება — მეორე ტიპის გლიკოგენოზი, გენერალიზებული გლიკოგენოზი — გლიკოგენოზი შებირობებულია გლუკოზიდაზის დეფიციტით. ახასიათებს გულის უკმარისობის განვითარება, ადინამია, კუნთოვანი ჰიპოტონია, ზრდაში ჩამორჩენილობა, ცენტრალური ნერვული სისტე-

მის ფუნქციათა დარღვევა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: ბიშოფის სინდრომი, პომპე-ბიშოფის სინდრომი.

პომპე-ბიშოფის სინდრომი — სინონიმები: პომპეს დაავადება (იხ.), ბიშოფის სინდრომი.

პონსეს დაავადება, ანუ პონსეს პოლიართრიტი — ტუბერკულოზური ართრიტი, რომელიც ვითარდება მიკრობაქტერიის სახსარში მოხვედრისას. ხასიათდება სახსრის დესტრუქციით. უწოდებენ ტუბერკულოზურ რევმატიზმსაც, თუმცა ეს ტერმინი სადაოა. მიმდინარეობს სინოვიტის სახით უმთავრესად წვრილ სახსრებში.

პონსეს სიმხივნე — ტრიქობაზალიომა, რომელთა უჯრედების კომპლექსებში ხდება თმის წარმოქმნის ტიპის დიფერენცირება.

პოპოვის სიმპტომი I — ქვემოდან ზევით მოძრავი ექიმის თითის თვალთვალისას ავადმყოფის ზემო ქუთუთოს სწრაფი მოძრაობა ქვემო მიმართულებით. თირეოტოქსიკოზის ნიშანი.

პოპოვის სიმპტომი II — მარცხენა ხელის არტერიების პულსაციის შესუსტება მიტრალური სტენოზის დროს. შედეგია მარცხენა ლაიწის-ქვეშა არტერიის კომპრესია გადიდებული მარცხენა წინაგულით.

პორტსმუთის სინდრომი — ჰემორაგიული დიათეზის ნაირსახეობა. შესაძლოა მისი მემკვიდრეობითი ხასიათი. ნიშნები: ანამნეზში სისხლდენა ან სისხლჩაქცევები, ზომიერად არის გახანგრძლივებული სისხლის დენის დრო. მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული თრომბოციტების აგლუტინაცია კოლაგენის დამატების შემდეგ (in vitro), სისხლის პლაზმის ანტიჰეპოფილური გლობინი ნორმალური რაოდენობითაა.

პოსადას დაავადება — კალიფორნიის ცხელება, უდაბნოს რევმატიზმი, კოკციდიომიკოზი, სოკოვანი წარმოშობის სასუნთქი ორგანოების დაავადება. კლინიკურად წააგავს კავერნოზულ ტუბერკულოზს, ახასიათებს რა სისხლიანი ხველება და კვანძოვანი ერითემა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროცესის გენერალიზაციას მენინგიალური მოვლენებით. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება კანის დადებით სინჯებს და კომპლემენტის შეკავების რეაქციას. გვხვდება უმთავრესად კალიფორნიაში და არგენტინაში. სინონიმები: პოსადა-ვერნიკეს სინდრომი, ანუ დაავადება, სან-ჟოაკინის ხეობის ცხელება.

პოსადა-ვერნიკეს სინდრომი, ანუ დაავადება — სინონიმები: პოსადას დაავადება (იხ.), სან-ჟოაკინის ხეობის ცხელება.

პოსპელოვის სინჯი — ჩვეულებრივი მგლურას დიაგნოზირების მეთოდი. ღილაკოვანი ზონდი ვარდება ლუპომის ქსოვილში მისი კაზეოზური ნეკროზის გამო.

პოსტგასტროექტომიური სინდრომი — კუჭ-ნაწლავის დისცირკულატორულ დარღვევათა კომპლექსი კუჭის რეზექციის ან გასტროექტომიის შემდგომ მოგვიანებით პერიოდში. ვლინდება ჭამიდან 10—15 წუთის შემდეგ (განსაკუთრებით რძის და ტკბილი საკვების მიღებისას) ძლიერი სისუსტით, შეხურებით, ოფლიანობით, თავის ტკივილით, გულის ფრიალით, კიდურების კანკალით, გულისრევით, პირღებინებით, წოლის აუცილებელი მოთხოვნილებით. ადგილი აქვს მაჯის აჩქარებას არტერიული წნევის

შეცვლას, ცვლილებას ელექტროენცეფალოგრამაზე. სინონიმი: დემპინგ-სინდრომი.

პოსტინფარქტული სინდრომი — პერიკარდიტის შერწყმა პლევრიტთან, უფრო იშვიათად პნევმონიასა და ეოზინოფილიასთან. ვითარდება მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიდან მესამე-მეოთხე კვირას (შეიძლება ერთი წლის მანძილზე). გამოწვეულია მიოკარდიუმის დესტრუქციულად შეცვლილი ცილებისადმი ორგანიზმის სენსიბილიზაციით.

პოსტკომოციური სინდრომი — სისუსტე, გაღიზიანებადობა, ფსიქიკური და ფიზიკური გამოფიტვა, თავის ტკივილი, ვეგეტატიური დარღვევები (ოფლიანობა, სისხლძარღვოვანი დარღვევები), თავბრუ და სხვ. ყველა ეს სიმპტომი ერთად ან სხვადასხვაგვარი კომბინაციით ვლინდება თავის ქალას დახურული ტრავმის რამდენიმე კვირის ან თვის, უფრო იშვიათად წლის შემდეგ.

პოსტპერიკარდოტომიური სინდრომი — კლინიკურად გამოვლინდება ტრიადის სახით: პლევრიტი, პერიკარდიტი, პნევმონიტი. მისი სხვა სახელწოდებებია (იხ.) „პოსტკომისუროტომიული სინდრომი", „პოსტვალვოტომიური სინდრომი", „პოსტკარდიოტომიული სინდრომი", „პლევროკარდიული სინდრომი".

პოსტტრავმული ნეიროვასკულარული სინდრომი — ვაზოგენური მარმარილოსმსგავსი ციანოზი ფსიქიკის და მეტყველების დარღვევით, პირამიდული და ექსტრაპირამიდული ნიშნებით, თან ახლავს არტერიული ჰიპერტენზია. უპირატესად ვითარდება თავის ქალას დახურული ტრავმის დროს. სინონიმი: ჰერმანის სინდრომი I.

პოსტპეპატიტური სინდრომი — ვირუსული ჰეპატიტის შემდეგი შესაძლო ნიშნები: პერიჰეპატიტი, ქოლანგიტი, ანაციდური გასტრიტი, დუოდენიტი, სიყვითლე. სინონიმი: კარავატის სინდრომი.

პოტენის სიმპტომი I — სველი პერიკარდიტის დროს გულის აბსოლუტური მოყრუების ზონის გაზრდა და შედარებითი მოყრუების გაქრობა.

პოტენის სიმპტომი II — მესამე ნეკნის მკერდის ძვალთან მიმაგრების მიდამოში არსებული პერკუტორული ხმის მოყრუების ზონის გარდიგარდმო ზომის გაზრდა. აორტის გაფართოების სავარაუდო ნიშანია.

პოტენის სიმპტომი III — აორტაზე მეორე ტონის ლითონის მაგვარი ელფერი აუსკულტაციურად. აორტის გაფართოების, ათეროსკლეროზის ან კალცინოზის ნიშანია. შესაძლოა გამოვლინდეს აორტიტის დროსაც.

პოტენის სინდრომი — რეფლექტორული მოვლენები სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში და გულის მარჯვენა პარკუჭში. აღინიშნება ძლიერი ტკივილით მიმდინარე კუპესა და სანაღვლე გზების დაავადების დროს.

პოტერის სინდრომი I — რენოფაციალური სინდრომი. რენოფაციალური დისპლაზია. თირკმლებისა და სახის მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰიპერტელორიზმი, ეპიკანტი, ცხვირის ფუძის გაფართოება, მიკროგნატია, ფეხების მიხორცება, ტერფის და ხერხემლის ანომალიები, რუდიმენტული გენიტალია, ჰიპოსპადია, ფილტვების ან მისი ცალკე ნაწილების ჰიპოპლა-

ზია, საყლაპავის, ხორხისა და ანალური ხვრელის ატრეზია, ანდროტროპიზმი. ჩვეულებრივ აეადმყოფი იღუპება დაბადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

პოტერის სინდრომი II — თანდაყოლილი პოლიკისტოზური დაავადება, სასიკვდილო პოლიკისტოზური სინდრომი.

პოტენჯერის სიმპტომი I — ნეკნთაშუა კუნთების რიგიდობა ფილტვების ან პლევრის ანთებითი პროცესის დროს.

პოტენჯერის სიმპტომი II — მკრდ-ლავიწ-დვრილისებური და კიბისმაგვარი კუნთების მომატებული ტონუსი ახიკალური მშრალი პლევრიტის დროს.

პოტენჯერის სიმპტომი III — აღინიშნება ტრაპეციოიდული კუნთის მტკივნეულობა, რიგიდობა, გამკვრივება და ერთგვარი გაფართოება. ფილტვებში მიმდინარე მწვავე ანთებითი პროცესის (მათ შორის ტუბერკულოზური) კლინიკური ნიშანია. ვისცერული მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური: ნიშნები: ჰეპატოსპლენომეგალია, ქრონიკული დისპეფსია, თირკმლების ფუნქციების გამოხატული დარღვევა, შემდგომ მისი უკმარისობა. მორფოლოგიურად სანაღვლე გზების ღვიძლშიგნითა პოლიკისტოზური ჰიპერპლაზია, ინტერსტიციული ნეფრიტი მილაკების ატროფიითა და კუპუკანა ჯირკვლის პოლიკისტოზი.

პოტის დაავადება — ტუბერკულოზური სპონდილიტი, ხერხემლის ტუბერკულოზი, სპონდილიტი ტუბერკულოზის შემთხვევებში, რომლის დროსაც ძირითადად ზიანდება მალების სხეულთა წინა ნაწილი. ამას მიეყავართ მათ ურთიერთჩაქედვამდე, ხერხემლის სვეტის დამოკლებამდე და კიფოზის ჩამოყალიბებამდე. ხშირად რთულდება ცივი და ჩამოწვეთილი აბსცესებით.

პოტრიეს გლოსიტი — გეოგრაფიული ენა. გლოსიტი დამახასიათებელი მკაფიოდ წითელი ლაქებით, რუხ-თეთრი რგოლით ენის გვერდებზე. აღინიშნება ახალგაზრდა ასაკში ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევებისა და „ბ" ჯგუფის ჰიპოვიტამინოზის დროს. დერილები ატროფიულია. დამახასიათებელია გადაადგილებანი და მორფოლოგიური სურათის თითქმის ყოველდღიური ცვლილებები. სინონიმები: ბროკის სინდრომი, ბერჟერონის გეოგრაფიული ენა, უნას ენა, რეიერის ენის პიტირაზი, ლეინის გლოსიტი, ბროკ-პოტრიეს რომბოიდული გლოსიტი.

პოტრიეს კვანძოვანი ლიქენიფიკაცია — კიდურთა გამშლელ ზედაპირზე ნერვულ-ალერგიული და ჰორმონული წარმოშობის კვანძოვანი ქავილი. ტანსა და სახეზე გაფანტულია მკვრივი კონსისტენციის სხვადასხვა ზომის ხორკლები. დაავადებას თან ახლავს მტანჯველი ქავილი. მიმდინარეობა ქრონიკულია, მორეციდივე. ჰისტოლოგიურად ანთებად ინფილტრატში ვლინდება ნერვული ქსოვილის ჰიპერტროფია. სინონიმები: ჰაიდის კვანძოვანი ქავილი, ლელე-ბროკის ლიქენი.

პოტრიეს მიკროაბსცესი — ლიმფოციტების და ჰისტიოციტების მიკროსკოპული თავმოყრა ეპიდერმისში სოკოსებრი მიკოზის დროს.

პოტრიე-ჯორჯუეს სინდრომი — ლიმფური კვანძების ლოკალური ან

დიფუზური გადიდება ზოგიერთი დერმატოზის დროს, როგორიცაა ნეი-როდერმიტი, ერითროდერმია, ეგზემა და სხვ.

პრადერ-ვილიხ სინდრომი — ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევა. გამოვლინდება გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, სიმსუქნით, სასქესო ორგანოთა სუსტი განვითარებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: ვილი-პრადერის სინდრომი.

პრაიზერის დაავადება — მტკივნეულობა, შეშუპება და მოძრაობის შეზღუდვა სხივ-მაჯის სახსარში. დამახასიათებელია გადატანილი ტრავმის მერმე მომდევნო ფაზისათვის. რენტგენოგრამაზე — ოსტეოპოროზისა და ოსტეოსკლეროზის უბნები. ზოგჯერ ჩანს მოტეხილობის თითქოსდა ვიწრო ზოლი. სინონიმი: მუშეს დაავადება.

პრაისის სინდრომი — ტრიფტოპანის ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევები. შესაძლოა აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: შემოფარგლული სკლეროდერმია, შარდში კინურენინის, ამინოპიპურინის მჟავისა და აცეტილ-კინურენინის მნიშვნელოვანი მომატება.

პრაქტენის პარაპემფიგუსი — პემფიგოიდი. წარმოადგენს დიურინგ-ბროკის დაავადების (იხ.) საირსახეობას, გვხვდება მოხუცებულობით ასაკში. დამახასიათებელია გამონაყარის ერთგვაროვნება (ბუშტუკები) და ბუშტუკების რეციდიულობა ძველ ადგილებში. მიმდინარეობა მსუბუქი. სინონიმი: ლეევერის დაავადება.

პრახად-კოუზას სინდრომი — თანდაყოლილი ოგამაგლობულინემია ლიმფადენოპათიით. ხასიათდება სისხლში გამა-გლობულინების არ არსებობით და ვლინდება ლიმფური კვანძების ტოტალური გადიდებით, ჰეპატო-სპლენომეგალიითა და ჰემოლიზური ანემიით. მემკვიდრეობითი დაავადება, გვხვდება მხოლოდ ქალებში.

პრატას სიმპტომი — ჭრილობის ირგვლივ მდებარე კუნთების გამკვრივება. ჭრილობაში მიმდინარე ნეკროზული პროცესის შესაძლო ნიშანია.

პრედმენსტრუალური სინდრომი — პრედმენსტრუალური დაძაბულობა — პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც აქვს ადგილი მენსტრუალური ციკლის მეორე ნახევარში (მენსტრუაციამდე, 3—14 დღით ადრე). აღენიშნება ზოგიერთ ქალს. დამახასიათებელია სხვადასხვა ნერვულ-ფსიქიკური, ვეგეტატიური, სისხლძარღვოვანი და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

პრედტეჩენსკი-გუფერო-შეგრენის სინდრომი — ქსეროდერმატოზი. მშრალი სინდრომი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს გარეგანი ჯირკვლების უკმარისობის ნიშნები (საოფლე, სანერწყვე, ცხიმის, საცრემლე და სხვ.). სინონიმები: გუფერო-შეგრენის (ანუ სიუგრენის) სინდრომი, შეგრენის სინდრომი.

პრევოს სიმპტომი — თავისა და თვალის კაკლების მიბრუნება პათოლოგიური კერისაკენ. აღინიშნება ჰემიპლეგიის დროს.

პრეისის დაავადება — ხელის მტევნის ნაივისებრი ძვლის ოსტეოქონდროპათია. ხელის მტევნის ნავისებრი ძვლის მემკვიდრეობითი ვასკულიტუ-

რი ნეკროზი. გამოვლინდება სხივის კიდესა და სხივი-მაჯის სახსარში ტკივილით. დამახასიათებელია მტევნის პოძრაობის შეზღუდვა.

პრე-შიდს — იხ. პალ-სინდრომი.

პრიბრამის დაავადება — პოსტგასტროენტეროსტომიური სინდრომი, კუჭის ფუნქციის მოშლა გასტროენტეროსტომის დადებიდან მოგვიანებით მონაკვეთში.

პრინგლის დაავადება — საოფლე ჯირკვლების პრინგლის ადენომა. ანგიოსებოფიბრომატოზი. საოფლე ჯირკვლების სიმეტრიული სიმსივნური წარმონაქმნები. მკრთალ-მოყვითალო, მოყავისფრო-წითელი შეფერილობის მცირე, მრგვალ ან ოვალური რბილი კვანძებით. განლაგებულია უპირატესად სახეზე, ძირითადად აღენიშნებათ ჰაბუკებს.

პრინგლის მრავლობითი სტეატოცისტომა — სებოცისტომატოზი. თავის თმიან ნაწილში წარმოიქმნება მრავლობითი სტეატომები, შეიძლება ასევე წარმოიქმნას ჩუჩასა და იღლიის ფოსოებში.

პრინგლ-ბურნევილის სინდრომი — ტუბეროზული სკლეროზი. ხასიათდება პოლისისტემური დაზიანებით. გადაცემა უფრო ხშირად აუტოსომურ-დომინანტურია. გარდა დამახასიათებელი ტრიადისა (ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენილობა, ცხიმოვან ჯირკვალთა ადენომა) შეიძლება აღინიშნოს ბადურის დაზიანება (ფაკომა), კისტები ძვლოვან სისტემაში, გულის სიმსივნეები (რაბდომიომები), სიმსივნეები თირკმელში (ანგიომიოლიპომები) და ფილტვების მრავალმხრივი დაზიანება.

პრინგლის ცხიმოვანი ჯირკვლების სიმეტრიული ადენომა — კეთილთვისებიანი ახალწარმოქმნა სახის არეში ფიბროადენომისა და ტელეანგიექტაზიების სახით, განლაგებულია ცხვირის კიდეების, ლოყებისა და ჭუთუთოების სიმეტრიულად.

პრინცმეტალის სინდრომი ანუ სტენოკარდია — ანგიონევროზული მდგომარეობაა მასტენოზებელი კორონაროსკლეროზის დროს. ხასიათდება სტენოკარდიული შეტევებით მოსვენებულ მდგომარეობაში, არიტმიით, ოფლიანობით. ელექტროკარდიოგრაფიულად შეტევის დროს აღინიშნება სუბეპიკარდიული კეროვანი ცვლილებანი, რაც შეტევის შემდეგ სრულ უკუქცევას განიცდის, ნიტროგლიცერინი ნაკლებად ეფექტურია. შემთხვევათა 20% გადადის ინფარქტში. სინონიმი: გრაიბილის სინდრომი.

პრინცმეტალ-მასუმის სინდრომი — გულმკერდის წინა კედლის სინდრომი — გულ-მკერდში რამდენიმე საათის ხანგრძლივობის ტკივილის შეტევა, რომელიც გავს სტენოკარდიულს, მაგრამ მისგან განსხვავდება იმით, რომ არ ახასიათებს ტკივილის ირადიაცია, ვეგეტატიური რეაქციები, ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებები და ამ დროს ნიტროგლიცერინი არ იძლევა მკურნალობის ეფექტს, მაშინ როდესაც ეფექტურია ანალგეზიური საშუალებები. ყალიბდება გულის ინფარქტის შემთხვევიდან რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ.

პრუევალსკის სიმპტომი — მარჯვენა ფეხის გაშლილ მდგომარეობაში მაღლა აწევის უნარის შეზღუდვა ავადმყოფის გულაღმა წოლისას. აპენდიციტის შესაძლო ნიშანია.

პროზოროვის სიმპტომი — პლევრალური გამონადენის რენტგენოლო-

გიური ჩრდილის ზედა საზღვარი შესუნთქვისას ჩამოდის ქვემოთ — ლატერალურად; პირიქით კი ამოსუნთქვისას, გადაინაცვლებს საწინააღმდეგო მიმართულებით. საგულისხმო დამახასიათებელი ნიშანია პლევრაში თავისუფალი სითხის არსებობისას. ეს მოვლენა ჯერ აღინიშნება პლევრაში შემოფარგლული (ჩაპარკული) სითხის დროს.

პროლონგირებული არამოტივირებული ლიმფადენოპათიის სინდრომი — სინონიმი: პალ-სინდრომი, ანუ პალსი (იხ.).

პროსტიაკოვ-ბეუილის სინჯი — წვრილი ნაწლავის შეწოვითი ფუნქციის შესწავლების მეთოდი, რომელიც ემყარება რადიოაქტიული იოდის ფარისებრ ჯირკვალში ჩალაგების სისწრაფის განსაზღვრას, პრეპარატის დუოდენური ზონდის მეშვეობით თორმეტგოჯა ნაწლავში შეყვანის შემდეგ.

პროტოპოპოვის სინდრომი ანუ ტრიადა — დეპრესიების დროს ტაქიკარდიის მიდრიაზის და სპასტიური შეკრულობის შერწყმა.

პროფესიული კრიზისის სინდრომი — ვლინდება პროფესიული დაუკმაყოფილებლობის გრძნობით, პროფესიული ინტერესის დაქვეითებით, მოუსვენრობით, გაღიზიანებით, აგრესიულობით და ეჭვიანობით კოლეგების და პაციენტების მიმართ. ადგილი აქვს ფსიქომატურ მოვლენებს (შინაგანი დაძაბულობა, სუნთქვის გაძნელება, სიმძიმე ეპიგასტრიუმის მიდამოში), ტკივილს თავისა და ზერგის მიდამოში, სურდოს, უძილობას. შესაძლოა ალკოჰოლისადმი მიდრეკილების გაჩენა. გვხვდება სამედიცინო პერსონალში, განსაკუთრებით ფსიქიატრებში.

პროფიშეს სინდრომი — შემოფარგლული კალცინოზი, კალციუმისეული ნიკრისის ჭარი — მეტაბოლური კალცინოზია, რომლისთვისაც დამახასიათებელია კალციუმის მარილებისაგან შემდგარი ფირფიტების ჩალაგება თითების კანში (როგორც ზემო, ისე ქვემო კიდურებზე), განსაკუთრებით სახსრების მიდამოში.

პრუსაკის სიმპტომი — ტკივილი ხერხემალში კიდურის გარეთ ან შიგნით შემოტრიალების დროს. ზურგის ტვინის კომპრესიის ნიშანია.

პტერიგიუმ-სინდრომი — კანის დამატებითი სიმეტრიული ნაოჭი კისრის ლატერალურად, სამკუთხედის ფორმის, რომლის ფუძე მიმართულია ლავიწებისაკენ. აღინიშნება შერეშევსკი — ტერნერის სინდრომის დროს (იხ.). სინონიმი: „ზედმეტი კანის" სიმპტომი.

პტის სინდრომი — ეგზოფტალმის, მიდრიაზის და თვალის ნაპრალის გაფართოების შერწყმა, რომელიც აღინიშნება მხოლოდ ერთ მხარეს. შეპირობებულია კისრის არეში სიმფატიკური ბოჭკოების გაღიზიანებით. სინონიმი: ჰორნერის უკანა სინდრომი.

პუენტე-ასევედოს ქეილიტი — გლანდულარული უბრალო ქეილიტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სანერწყვე ჯირკვლების ჰიპერტროფია, ეს ჯირკვლები განლაგებულია ტუჩების შიგნითა მხარეს, მათი სადინარების კარი გაფართოებულია და ირგვლივ ხშირად ეპითელიუმის გარქოვანების არშია აქვს შემოვლებული.

პუერილური ანუ ბავშვური სუნთქვა (პუერ-ბავშვი) — წარმოადგენს ვეზიკულურ-ბრონქულ სუნთქვის ხმიანობას. ჩვეულებრივ ასეთი სუნთქვა

მოისმინება ბავშვთა შორის. მიზეზია ხორხის სივიწროვე, გულ-მკერდის მობილურობა, ფილტვების ელასტიკურობა, რაც ფილტვების კარგი ექსკურსიის შესაძლებლობას იძლევა. აქედან მიიღება სუნთქვის ხმიანობის გაძლიერება.

პულის კერები — ფილტვების პათოლოგიურად შეცვლილი კერები (აცინუსისა და წილაკების დონეზე) კეროვანი ტუბერკულოზის დროს. წარმოადგენს ჩაპარკულ პეტრიფიკატს ან ხაჭოსებრი ნეკროზის კერას. სინონიმი: აშოფ-პულის კერა.

პულიცეუს-მერცბაბერის დაავადება — სუდანოფილური ლეიკოდისტროფია, რომლის დროსაც ლიპიდების დაშლის პროდუქტები იღებება სუდანით. გამოვლინდება დაბადებიდან 5—10 თვის შემდეგ. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

პულსის დაკარგვის სინდრომი — ხასიათდება აორტის და მსხვილ სისხლძარღვთა კედლის ანთებით და დისტროფიული ცვლილებებით, სტენოზირებით, შიდა არტერიული თრომბების ჩამოყალიბებით, ორგანოთა იშემიით. ზემო კიდურებზე პულსი არ ისინჯება, ქვემო კიდურებზე კი კარგადაა გამოხატული. ეტიოლოგიურ ფაქტორად ასახელებენ ათაშანგს, არტერიოსკლეროზს, ტუბერკულოზს, რევმატიზმს. არ არის გამორიცხული დაავადების კოლაგენოზური ხასიათი. პროგნოზი სერიოზულია. სინონიმები: ტაკაიასუს სინდრომი, აკაიასუს აორტიტი, მაობლიტირებელი ბრაქიოცეფალური არტერიიტი, აორტის ინვერტირებული კოარკტაცია, მრავლობითი მაობლიტირებელი პანარტერიიტი, აორტის რკალის სინდრომი, ონიშის დაავადება, მარტორელ-ფაბრეს სინდრომი.

პუპჩერის დაავადება — ტრავმული რეთინოპათია, ბადურას ტრავმული ანგიოპათია — რეთინოპათია, რომელიც წარმოიქმნება თავის ქალაზე, გულმკერდზე ან მუცლის ღრუზე უეცარი ზეწოლით. ოფთალმოსკოპიურად გამოვლინდება მხედველობის ნერვის ბადურის ირგვლივ თეთრი ლაქებით და ბადურაში ზოლებიანი სისხლჩაქცევებით.

პურფუა დიუპიტის სინდრომი — ეგზოფტალმის, მიდრიაზისა და თვალის ნაპრალის გაფართოების შეუღლება, რომელიც აღინიშნება მხოლოდ ერთ მხარეს. შეპირობებულია კისრის არეში სიმპათიკური ბოჭკოების გაღიზიანებით. სინონიმი: პტის სინდრომი.

პუსეპის რეფლექსი — ტერფის გარეთა კიდის კანის შტრიხული გაღიზიანებისას აღინიშნება ნეკის ტონური განზიდვა. უფრო ხშირად გვხვდება შუბლისა და შუბლ-თხემის ლოკალური სიმსივნის დროს. პაპოლოგიური კერისაგან იზოლირებულად.

პუტის დაავადება ანუ სინდრომი — ვერტებრული სინდრომი. შედეგია მალთაშუა ხრტილების (ჩვეულებრივ ერთის) პირველადი დეგენერაციისა. დაავადება ქრონიკულია, ელინდება წელის არეში ტკივილით, რომლისთვისაც დამახასიათებელია ირადიაცია ქვედა კიდურებში. მოგვაგონებს საჯდომი ნერვის ანთებას. ციკლური ბუნებისაა, ეტიოლოგია კი ინფექციური ხასიათისაა. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მიკროტრავმებს.

პუტი-შავანის სინდრომი — საჭდომი ნერვის ანთების მძიმე ფორმა, ნიშნები: ძლიერი ტკივილი საჭდომი ნერვის გაყოლებით, სწრაფად ვითარდება ტერფის დამბლა, რასაც თან სდევს ტკივილის შემცირება, აქილევსის რეფლექსის გაქრობა და მგრძნობელობის დარღვევა.

პუტნამ-დეინეს სინდრომი — ფუნიკულური მიელოზი: ნევროლოგიურ და ფსიქიკურ დარღვევათა კომპლექსი მძიმედ მიმდინარეობს ვიტამინ B-12-ის დეფიციტური ანემიის დროს (იხ. ადისონ-ბირმერის დაავადება). ადგილი აქვს პარესთეზიებს, ღრმა მგრძნობელობის მოშლას სპინალური ატაქსიით, ჰიპოტონიას, მყესთა რეფლექსებისა და მოტორიკის ზოგად დაქვეითებას, პათოლოგიურ რეფლექსებს (ბაბინსკის, როსოლიმოს), შესაძლოა მანიაკური ან დეპრესიული მდგომარეობა, პარანოიდალური ან დელირიოზული ნიშნები. სინონიმები: დეინეს სინდრომი, ლიხტჰეიმის სინდრომი.

პუტნამ-შულცის სინდრომი — შეტევითი ხასიათის ღამის აკროპარესთეზია ზედა კიდურებზე.

პუუსეპის სიმპტომი — კანის გადაჭარბებული პიგმენტაცია საჭდომი ნერვის გაყოლებით. გავა-წელის რადიკულიტის ნიშანია.

პუფსის დაავადება — ამავრტიული იდიოტია, რომელიც ვითარდება მოზრდილ ასაკში და ვლინდება პიროვნების შეცვლით, ორგანული ფსიქოსინდრომის ტიპით, პიგმენტური რეტინიტით, პროგრესირებადი სიყრუით და ნათხემისებრივი დარღვევებით.

პფანენშტილის სინდრომი — ახალშობილთა მძიმე, პროგრესირებადი ჰემოლიზური სიყვითლე. ახალშობილთა ჰემოლიზური დაავადება. მიზეზია დედის ორგანიზმში ნაყოფის სისხლის რომელიმე ფაქტორისადმი ანტისხეულების წარმოშობა (ჩვეულებრივ რეზუს-ფაქტორისადმი). ნიშნები: დაბადებიდან რამდენიმე საათში ჩნდება სიყვითლე, არაიშვიათად ბავშვი უკვე სიყვითლით იბადება, ანემია — ერითრობლასტოზით, ჰეპატოსპლენომეგალია, ჰემორაგიული დიათეზი, ზოგჯერ ზოგადი შეშუპება, ცერებრული დარღვევები, კრუნჩხვები, ქოშინი, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ჰიპერბილირუბინემია, ზოგჯერ ბილირუბინურია. სისხლის წარმოქმნის ჰეტეროტოპული კერები ელენთაში, ღვიძლში, ფილტვებში, თირკმლებში და სხვ.

პფაუნდლერ-ჰურლერის დაავადება — პირველი ტიპის მეკოპოლისაქარიდოზი, შეპირობებული ალფა-ელ-იდურონიდაზის დეფექტით. ახასიათებს ჰეპატოსპლენომეგალია, რქოვანას შემღვრევა, ჩონჩხის გამოხატული დეფორმაცია, გონებრივი ჩამორჩენილობა, დაბალი ტანი, მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: ჰურლერის დაავადება, ჰურლერ-ელისის პოლიდისტროფია, პფაუნდლერ-ჰურლერ-ელისის დაავადება.

პფაუნდლერ-ჰურლერ-ელისის დაავადება — სინონიმები: ჰურლერის დაავადება, ჰურლერ-ელისის პოლიდისტროფია, ჰფაუნდლერ-ჰურლერის დაავადება. (იხ.).

პფეიფერის დაავადება ანუ სინდრომი — ჯირკელოვანი ცხელება. ინ-

ფექციური მონონუკლეოზი. მულტიდგლანდულარული ადენოზი. ლიმფოიდო-უჯრედოვანი ანგინა. მონოციტური ანგინა. სტუდენტთა დაავადება. მწვავე, კეთილთვისებიანი ლიმფობლასტოზი. ინფექციური ლიმფომონონუკლეოზი. ჯირკვლოვანი ცხელება. ჯირკვლოვანი იდიოპათიური ცხელება, მწვავე ინფექციური დაავადება, უცნობი ეტიოლოგიისა (ალბათ, ვირუსული), გამომწვევის გადაცემა უმთავრესად ჰაეროვან-წვეთოვანი გზით. დამახასიათებელია რეტიკოლოენდოთელიური სისტემის დაზიანება და მიმდინარეობა ცხელებით, ტონზილიტით, პოლიადენიტით, ჰეპატოსპლენომეგალიით, ლეიკოციტოზით, ბაზოფილური მონონუკლეარების სიჭარბით. სინონიმები: ტიურკის დაავადება, ფილატოვის დაავადება.

პფეიფერ-ვებერ-კრისჩენის სინდრომი — მორეციდივე ცხელებადი პანიკულიტი, რომელიც არ ჩირქდება, ქრონიკული მორეციდივე ინფექციურ-ალერგიული დაავადება. ახასიათებს მკვრივი მტკივნეული კვანძების წარმოშობა კანქვეშ (უფრო ეშვიათად სხვა ორგანოებში, რომლებიც მოიცავს ცხიმოვან ქსოვილს), თანდათანობით ფიბროზს და ატროფიას. ახასიათებს ასევე ცხელება და ლეიკოპენია. სინონიმი: ვებერ-კრისჩენის დაავადება.

პფეიფერის სიმპტომი — ჩირქის გამოყოფის გაძლიერება ჩასუნთქვის დროს სუბდიაფრაგმული აბსცესის პუნქციისას ან ამოსუნთქვის დროს პიოპნევმოთორაქსის შემთხვევაში.

ფაქე-დარიეს სინდრომი — ერუპტული ჰიდრადენომა, სირინგოცისტოადენომა. საფეთქლ ჯირკვლის ადენომა. ხშირად გვხვდება ქალებში — კისერსე, გულ-მკერდის წინა ზედაპირზე და მეცელის არეში. კანზე აღინიშნება პატარა სორკლები, ჭინძისთავის ოდენობიდან ცერცეის მარცვლის სიდიდემდე. მრგვალი ან ოვალური, კანის ფერის ან მოყვითალოა, სადა ზედაპირით და რბილი კონსისტენციისაა. სუბიექტურ გამოვლინებებს არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლებისა და მათი სადინარების გადაადგილებული ჩანასახებიდან. სინონიმები: ბენიეს კეთილთვისებიანი ცისტადენომა, ნეიმანის სირინგოცისტომა, იარიშის პრემანგიოენდოთელიომა, ტორეკის სირინგომა.

ფაკოს სინდრომი — რეტროსფენოიდული სივრცობრივი სინდრომი, ცალმხრივი ოფტალმოპლეგიის, მხედველობის დაქვეითების, სამწვერა ნერვის ნევრალგიის და საღეჭი კუნთების დამბლის შერწყმა. გამოწვეულია თავის ქალას II—IV ნერვების დაზიანებით, ცხვირის ღრუდან გავრცელებული სიმსივნით. სინონიმი: ფაკო-ნეგრის სინდრომი.

ფაკოს ტრიადა — ხასიათდება სიბრმავით, თვალის მამოძრავებელი კუნთების დამბლით, სამწვერა ნერვის ნევრალგიით. წარმოადგენს მხედველობის გზების დაზიანებით გართულებულ ფუას დაავადებას (იხ.). აღწერილია მღვიმოვანი ღრუს სიმსივნეების დროს.

ფაკო-ნეგრის სინდრომი — სინონიმი: ფაკოს სინდრომი (იხ.).

ფაკუხ ართრიტი ანუ ხინდრომი — რევმატიზმის კლასიკური გამოვლინებაა, მცოცავი პოლიართრიტი. დამახასიათებელია ტერფისა და მტევნის მცირე სახსრების დაზიანება, ულნარული დევიაცია, აქტიური სინოვიტის

არარსებობა, სახსართა ფუნქციის შენახვა, ნაკლებად მყარი დეფორმაციები.

ჯაკუს სიმპტომი I — მკერდის ძვლის ქვედა ნაწილის შეზღუდვა მოძრაობაში და მისი შეზნექა ღრმა შესუნთქვის დროს. აღინიშნება ლიმფური კვანძების დაზიანებისა და შუასაყრის წინა ნახევრის ქვედა ნაწილის ფიბროზის დროს.

ჯაკუს სიმპტომი II — შეხორცებითი პერიკარდიტის შემთხვევაში გულის არეს ინსპექციის დროს აღინიშნება ნეკნთაშუა არეების ჩაზნექა გულის არეში.

ჯაკუს პოსტრევმატული ართრიტი — მწვავე ართრიტის შეტევების შედეგად განვითარებული დეფიაცია, დეფიგურაცია და მოხრილობა, რასაც თან ახლავს კუნთების ჰიპოტროფია.

ჯაკუ-მეინეს კვანძები — კანქვეშა რევმატიული კვანძები, უმტკივნეულო თეთრი ან ნათელი-რუხი ფერის 1—20 მმ დიამეტრის კვანძები, შეიგრძნობა კანქვეშ, მრგვალი ან ოვალური ფორმის. ჩვეულებრივ მკვრივი, დაკავშირებულია მყესთან, სასახსრე პარკთან ან ძვლის ზედაპირთან. კანი კვანძის თავზე უცვლელია. უფრო ხშირად გვხვდება კიდურებზე.

ჯანბონის სინდრომი — მწვავე ტოქსიკური ჭოლეროიდული ენტერიტი, წარმოშობილი დისბაქტერიოზის განვითარების შედეგად, ანტიბიოტიკებით მკურნალობის დროს.

ჯანდრენის სიმპტომი — გულის აბსოლუტური მოყრუების საზღვრის გულის საძგერიდან მარცხნივ გადაწევა. აღინიშნება ექსუდაციური პერიკარდიტის დროს.

ჯანეს დაავადება — ფსიქასთენია. ნევროზული მდგომარეობა. კლინიკური ნიშნები: რეაქტიულობის დაქვეითება, აქვიატებული აზრები, შიში, ეპვიანობა, ემოციური ლაბილობა, აპათია, უინიციატივობა, უმოქმედობა.

ჯანეს მეთოდი — მამაკაცებში სუსუნატის მკურნალობის მეთოდი, შარდგამომყოფი სადინარის გამორეცხვით ანტისეპტიკური ხსნარებით, ჩვეულებრივ კალიუმის პერმანგანატით.

ჯანეს ტეტანუსი — სახის ტეტანუსი — ტეტანუსის კლინიკური ფორმა, წარმოიშობა თავის ან კისრის მიდამოს ჭრილობიდან ინფიცირებისას. გამოვლინდება სახის ნერვის დამბლით დაზიანებულ მხარეს. იხ. სინონიმები: როზეს თავის ტეტანუსი, კლემის ტეტანუსი, ეანინის ტეტანუსი.

ჯანსელმ-ლიუტცის კვანძოვანობა — სიფილისური სახსართირგვლივი კვანძოვანობა. სახსართირგლივი კვანძები, ფიბროზულად გადაგვარებული ათამანგური გუმები უმტკივნეულო კანქვეშა კვანძების სახით. ლოკალიზებულია სიმეტრიულად მსხვილ სახსართა ირგვლივ.

ჯარკოს სინდრომი — აღინიშნება ძვლის ტვინის კარცინომის დროს. დამახასიათებელია: მეტასტაზი ძვლებში, თრომბოციტოპენია, პურპურა.

ჯელინოს სინდრომი, ანუ დაავადება — ნარკოლეფსია. მიდრეკილება ძილიანობისადმი ღამის ძილის დარღვევით. ძილი ხერელე, 1—10 წუთამდე, დღეში რამდენჯერმე, კუნთთა ტონუსის დაქვეითება, ჰიპორეფლექსია, ენდოკრინულ-ვეგეტატიური მოშლილობები. მიზეზები: თავის ტვინის სიმ-

სიენე, შიგნითა ჰიდროცეფალია, ტრაუმა, ინფექცია. სინონიმი: ელენო-რედლიხის სინდრომი.

ელენო-რედლიხის სინდრომი — სინონიმი ელენოს სინდრომი. (იხ.).

ელერარ-მარშანის სიმპტომი — ადგილი აქვს ეპიდურალური ჰემატომის დროს. სისხლჩაქცევა საფეთქელ-კეფის არეში, ამ არის დიფუზური შეშუპება, პალპაციით მტკივნეულობა იმ დონემდე, რომ გამოუყავს ავადმყოფი ინდიფერენტული მდგომარეობიდან.

ელრლიეს სინდრომი — ენდემური პარალიზური (დამბლური) თაებრე, უცნობი ეტიოლოგის ენდემიური დაავადება, გაშოლინდება თაებრუთი, ფტოზით, ტკივილით ზურგისა და კისრის კუნთებში, საერთო კუნთური სისუსტით. გვხვდება შვეიცარიაში (ენეევის ტბის მიდამოში) და იაპონიაში.

ელბერის დაავადება, ანუ ელბერის სინდრომი II — კონსტიტუციური ბილირუბინემია, თანდაყოლილი ჰიპერბილირუბინემია, იდიოპათიკური ჰიპერბილირუბინემია, არაჰემოლიზური ოჯახური სიყვითლე. ქოლემია. ოჯახური თანდაყოლილი — მემკვიდრეობითი დაავადება, გამოწვეული ბილირუბინის ცვლის დარღვევით. მისი მიზეზია ფერმენტ გლუკორონოზილტრანსფერაზის არასრული აქტივობა. გამოვლინდება სიყვითლე, სისხლში არაპირდაპირი ბილირუბინის შემადგენლობის უმნიშვნელო მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმები: მეილენგრახტის სიყვითლე, ელბერ-ლურბულეს სინდრომი, ელბერ-მეილენგრახტის სინდრომი.

ელბერის პალპაცია — ღვიძლის პალპაციის მეთოდი, რომელიც ემყარება ღვიძლის კიდის ორივე ხედით გასინჯვას.

ელბერის სიმპტომი — შარდის დღიური რაოდენობის გამოყოფის მომატება შიმშილის დროს და შემცირება საკვების მიღების აღდგენისას. ღვიძლის ციროზის სავარაუდო ნიშანია.

ელბერის სინდრომი — ეწოდება კოლი-ბაქტერიალურ, კოლი-ბაცილარულ სეფსისს, გაპირობებულს კოლი-ინფექციით, აღენიშნება უფრო ხშირად ახალშობილებს ან დასუსტებულ ბავშვებს.

ელბერ-ბალის სინდრომი — პერიოდული ანსომნია, პერიოდული უძილობა. ეტიოლოგია უცნობია.

ელბერ-ბესეს სინდრომი — ოკულო-ბუკო-გენიტალური სინდრომი, ორმხრივი ირიტის შეხამება პირის ღრუს რძიანასთან და სასქესო ორგანოების დაწყლულება (ორივე სქესისათვის). გარდა ამისა აღინიშნება ერითემატოზური ხასიათის კანის ცვლილებები და ხშირად ძლიერი ტკივილი სახსრებში. ეტიოლოგია უცნობია, სავარაუდოა, რომ ვირუსულია. ხშირად იწვევს გართულებებს ნერვული სისტემის მხრიდან — მენინგოენცეფალიტის სახით. აქვს ბევრი კლინიკური სიმპტომი, თავის ტკივილი, მენინგიალური, ნათხემის, ვესტიბულური სიმპტომები, ჰემიპლეგია, კრუნჩხვები, ფსიქიკური მოშლილობები. იხ. სინონიმი: ბერეს დაავადება.

ელბერ-ლერბულეს სინდრომი — სინონიმები: ელბერის დაავადება (იხ.), მეილენგრახტის სიყვითლე, ელბერ-მეილენგრახტის სინდრომი. ელბერის სინდრომი — II.

ჟილბერ-მეილენგრახტის სინდრომი — სინონიმები: ჟილბერის დაავადება (იხ.), მეილენგრახტის სიყვითლე, ჟილბერ-ლერბულეს სინდრომი, ჟილბერის სინდრომი — II.

ჟილბერ-ჰანოს სიმპტომი — სახეზე და სხეულზე აღინიშნება მცირე ზომის, ვარსკვლავის მაგვარი ტელეანგიექტაზიები. ელინდება ღვიძლის ქრონიკული დაავადებების დროს.

ჟილ დელა ტურეტის სინდრომი — სახის, კისრისა და მხარის სახსრის კუნთების ტიკურ მოძრაობათა შერწყმა ენისა და ტუჩების უნებლიე მოძრაობებთან, ხშირ ჩახველებასთან, გადაფურთხებასა და კოპროლალიასთან. უფრო ხშირად გამოწვეულია ზოლიანი სხეულის დაზიანებით, მაგრამ შეიძლება ჰქონდეს ფუნქციური ხასიათიც. ძირითადად აღენიშნებათ ბავშვებს. სინონიმი: ტურეტის დაავადება.

ჟინსუს დაავადება — პირის ღრუს ძირის (ფსკერის) ფლეგმონა. ხასიათდება ძლიერ მტკივნეული მკვრივი ანთებადი ინფილტრატით პირის ღრუს ძირში. ნიშნები: ნერწყვის დენა, ჭოშინი. პირიდან მყრალი სუნი, ძალზე გაძნელებული ყლაპვა და ლაპარაკი, შეიძლება გამოიწვიოს მოხრჩობა. მიზეზები — კბილიდან წარმოშობილი ჩირქოვანი პროცესები და პირის ღრუს ფსკერის ანთება. სინონიმი: ლუდოვიკის ანთება.

ჟიულენ-მარიის სინდრომი — ავთვისებიანი დერმატოპულმონური რეტიკულოენდოთელიოზი. გვხვდება იშვიათად ბავშვებში. ნიშნები: გამონაყარი პაპულის სახით დაფარული ქერქით, პროგრესიული ქოშინი, ციანოზი, შეტევითი ხველა, რენტგენოლოგიურად ფილტვის არეების ჰომოგენური დაჩრდილვა, მედიასტინული და კანქვეშა ემფიზემა, სპონტანური პნევმოთორაქსი, პროგნოზი მძიმე.

ჟოკაინის ხეობის ცხელება — კოკციდიოდოზი, გამომწვევია სოკო კოკციდოზის იმიტანსით, გვხვდება კალიფორნიასა და არგენტინაში. დამახასიათებელია ბრონქოპნევმონია და პლევრიტი, პაპულები, პუსტულები, მათი შეხორცება დაწყლულებებად, ნეკროზი, სახსრების და ძვლების ტკივილი, შესაძლოა გართულდეს ცერებრო-სპინალური მენინგიტით. სინონიმები: პოსადასის დაავადება, ვერნიკე-პოსადასის დაავადება.

ჟოზეფის სინდრომი — ამინომჟავების მეტაბოლიზმის მემკვიდრეობითი დარღვევის ვარიანტი. შესაძლოა გადაეცეს აუტოსომურ-რეცესიულად. ტიპი. დაავადების პირველი ნიშნები: კრუნჩხვის შეტევები ბავშვთა ასაკში, ზურგტვინის სითხეში ცილის მომატება. შარდში მნიშვნელოვნადაა მომატებული გლიცინის, პროლინისა და ჰიდროქსიპროლინის რაოდენობა.

ჟოლის სიმპტომი — ელექტრული მიოტონური რეაქცია. კუნთის ცელადი დენით გაღიზიანების საპასუხოდ აღინიშნება კუნთის ხანგრძლივი შეკუმშვა, რომელიც გრძელდება დენით ზემოქმედების მოხსნის შემდეგაც. უფრო ხშირად აღინიშნება თენარის, ენისა და კანჭის ტყუპ კუნთებში. გვხვდება მიოტონიის დროს.

ჟოლის სხეულაკები — მრგვალი, ოისფერ-მოწითალო ჩანართები, ელემენტები, რომლებიც ზოგჯერ გვხვდება ერითროციტებში რომანოვსკი-გიმზათი შეღებვისას, წარმოადგენს ნორმობლასტების ბირთვის ნამსხვრევებს. სინონიმი: ჰაუელ-ჟოლის სხეულაკები.

ფოხროს სიმპტომი — მეორე ტონის გაძლიერება (შესაძლოა ლითონისებური ელფერით) მოსასმენ ადგილზე მწვავე ექსუდაციური პერიკარდიტის დროს. გამოწვეულია სისხლის შემოქცევის მცირე წრეში წნევის მომატებით.

ფოფრუას სიმპტომი — კანის მაღლა აწევისას შებლზე ნაოჭები არ ჩნდება, აღენიშნებათ დიფუზური ტოქსიკური ჩიყვით დაავადებულთ.

ფუელ-რენუას სინდრომი — თირკმლის ქერქოვანი შრის ნეკროზი, დაავადება ვლინდება ორსულობის (ანდა პუერპერალურ) პერიოდში, ჩვეულებრივ ეკლამფსიით, იშვიათად ქრონიკული პიელონეფრიტით ავადმყოფებში. ცბადება მკვდარი ნაყოფი. კლინიკური ნიშნები: ოლიგურია, ჰემატურია, ალბუმინურია, ცილინდრურია. ანურია ტკივილი წელში და ეპიგასტრიუმში. სწრაფად ვითარდება ურემია.

ფუკოვსკის რეფლექსი I — სამედიცინო ჩაქუჩით ფეხის გულის ზედაპირზე (თითებთან ახლოს) დარტყმისას ფეხის თითების მოხრა. პათოლოგიური რეფლექსია, რომელიც აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

ფუკოვსკის რეფლექსი II — პათოლოგიური რეფლექსი, რომელიც აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს: ხელის თითების მოხრა, ხელის გულზე სამედიცინო ჩაქუჩის დარტყმისას.

ფუკოვსკი-კორნილოვის რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსია. ტერფის ძირის შუა ნაწილზე ჩაქუჩის დარტყმა იწვევს თითებზე მოხრას. ფლექსორული ჯგუფების პათოლოგიური რეფლექსია, დამახასიათებელია პირამიდული გზების დაზიანებისათვის. თუ რეფლექსს თან ერთვის ტერფის მოხრა, მიუთითებს აქილევსის რეფლექსის გაცხოველებაზე, რომელიც არ არის თვალსაჩინო მხოლოდ მუცლზე ჩაქუჩის დარტყმისას.

ფულიენ-დებრეს სინდრომი — მცოცავი ტკივილი მთელ სხეულში (განსაკუთრებით კიდურებში), რბილი დამბლები, ჰიპორეფლექსია, მასიური გენერალიზებული შეშუპება. გრძელდება 2-3 კვირის მანძილზე და შემდეგ განიცდის უკუქცევას. გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ბანალური ინფექციის გადატანის შემდეგ. სინონიმები: დებრეს სინდრომი II, ნეიროდერმატოზური სინდრომი.

ფულიენ-მარი-დებრეს სინდრომი — ნეიროდერმატოზური სინდრომი, მცოცავი ტკივილი მთელ სხეულში. (განსაკუთრებით კიდურებში). რბილი დამბლები, ჰიპორეფლექსია, მასიური გენერალიზებული შეშუპება. გრძელდება 2-3 კვირის მანძილზე და შემდეგ განიცდის უკუქცევას. გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ბანალური ინფექციის გადატანეს შემდეგ. სინონიმი: დებრეს სინდრომი II.

ფუსტერის სიმპტომი — თენარის კანის ქინძისთავით გაღიზიანებისას აღინიშნება ცერის მოხრა და მოზიდვა სალოკი თითისკენ; დანარჩენი თითების, მტევნისა და წინამხრის გაშლა. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

რაბე-რიდელის სინდრომი — კანის თირეოტოქსიკული მიქსომატოზი. პრეტიბიალური მიქსედემა. კანის მხრივი გამოვლინებები თირეოტოქსიკოზის დროს. ნიშნები: მკვრივი, უმტკივნეულო, არასწორზედაპირიანი ინ-

ფილტრატები კანში. ლოკალიზაცია — უპირატესად წვივის წინა მხარეზე. პისტოლოგიურად — ლორწოვანი დეგენერაცია.

რაბე-სალომინის სინდრომი — თანდაყოლილი აფიბრინოგენემია. კონსტიტუციური აფიბრინოგენემია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. მიდრეკილება სისხლდენისადმი. აღინიშნება უკვე დაბადებისას და ელინდება ჰიპიდან გახანგრძლივებული სისხლდენით. ნიშნები: სისხლის შედედების დროს შემცირება, ხანგრძლივი სისხლდენა მცირე ჭრილობაზე. ხშირი კანქვეშა სისხლჩაქცევა, ცხვირიდან სისხლდენა, კბილის ამოღების შემდეგ სისხლდენის გაძლიერება. სინონიმები: გლანცმან-შენჰოლცერის სინდრომი, რიზაკის სინდრომი.

რაბენჰორსტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, ფილტვების არტერიის სტენოზი, ვიწრო შუბლი და სახე, დიუპიუიტრენის კონტრაქტურა.

რავინ-პეშერის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის ოსტეოართროპათია. სავარაუდოა მისი მემკვიდრეობითი ხასიათი. ნიშნები: ხელის თითების დეფორმაცია, დისტალური ფალანგების გაფართოება, ხელის დიდი თითების ამოვარდნილობა, ბრტყელტერფიანობა, ოსტეოპოროზი, ძვლებში კისტების წარმოშობა, კიფოზი, იქსის მაგვარი ფეხები, სახსართა მყესებას სისუსტე.

რავიჩ-შჩერბოს სიმპტომი — მკერდის ზემოთ კანისა და კანქვეშა ქსოვილის ჩადრეკვა შესუნთქვის მაქსიმუმზე. აღინიშნება შუასაყრის ლიმფური კვანძების ტუბერკულოზური დაზიანების დროს. გაპირობებულია ბრონქოვლიმდებარე ქსოვილებში პერიფოკალური ანთებით და ფიბროზით.

რაზდოლსკის სიმპტომი I — ლიქვორული ბიძგის ნიშანი — ტკივილის წარმოშობა ან მძაფრი გაძლიერება ზურგტვინის ნერვების ფესვების რომელიმე ინერვაციის ზონაში, რომელიც აღინიშნება საუღლე ვენებზე ზეწოლის დროს. ნიშანია ზურგის ტვინის სიმსივნისა სათანადო დონეზე.

რაზდოლსკის სიმპტომი II — წანაზარდის ნიშანი — მტკივნეულობა წანაზარდზე მსუბუქი დარტყმისას. ხერხემლის დაშავების ან მისი პათოლოგიური პროცესით დაზიანების ნიშანია.

რაზდოლსკის სიმპტომი III — ბარძაყის გაწევის სიმპტომი — ბარძაყის უნებლიე მოღუნვა და გაწევა ბარძაყის წინა ზედაპირის კანზე ან ბარძაყის ოთხთავა კუნთის მყესზე ჩქმეტისას, ანდა წვივის წინა ზედაპირზე მსუბუქი დარტყმისას. დიდი ტვინის შუბლის წილის სიმსივნის ნიშანია.

რაზინის სიმპტომი — ქუთუთოების კანის გამუქება თირეოტოქსიკოზის დროს. სინონიმი: ელინეკის სიმპტომი.

რათბანის სინდრომი — ჰიპოფოსფატაზია, ფოსფოეტანოლამინურია. ტუტე ფოსფატაზის აქტივობის მემკვიდრეობითი მომატება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: რაჩიტის ყველა ძირითადი სიმპტომი, სისხლში პარადოქსულად მომატებულია ტუტე ფოსფატაზის აქტივობა, ჰიპერკალციურია, ფოსფოეთანოლურია, თირკმელების ფუნქციის დარღვევა ურემიამდე.

რაიერის ენის პიტირიაზი — გეოგრაფიული ენა. ექსფოლიატური მარგინალური გლოსტატი. მეზეზი უცნობია. აღინიშნება ახალგაზრდებში, დამახასიათებელია წითელი ლაქები რუხი-თეთრი არშიებითურთ ენის ნაპირებზე. დვრილებე ატროფიულია. გეხვდება ენდოკრინული დარღვევებისა და B ჯგუფის ავიტამინოზების დროს. დამახასიათებელია ცვლილებების გადაადგილება და მორფოლოგიური სურათის ძვრები თითქმის ყოველდღიურად. სინონიმები: ბერუერონის სინდრომი, ბროკის სინდრომი, ბროკ-პატრიკის რომბოიდული გლოსიტი, ლეინის გლოსიტი, უნას სინდრომი.

რაილ-დეიას სინდრომი — ოჯახური ვეგეტატური დისფუნქცია — მემკვიდრეობითი სინდრომი შერწყმულია ჰიპერსალივაციასთან, ცრემლდენის დაქვეითებასთან, ერითემიასთან, ფსიქიკურ ლაბილობასთან, ჰიპერრეფლექსიასთან და ტკივილის დაქვეითებული მგრძნობელობასთან. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

რაილ-შვახმანის სინდრომი — ჰიპეროსტოზი მიოპათიით. ნიშნები: კუნთების სისუსტე სიარულის დარღვევით, მყესთა რეფლექსები გაძლიერებულია, აღინიშნება კლონუსი. რენტგენოლოგიურად: შეინიშნება ჰაჭიოსტოზი (გრძელი ძვლების დიაფიზების უხეშ გასქელება და სკლეროზი). დასაშვებია სინდრომის მემკვიდრეობითი ხასიათი.

რაიმისტის სიმპტომი — პარეზული ფეხის უნებლიე გაწევა ან პირიქით, როდესაც ჯანმრთელი ფეხით ხდება იგივე მოძრაობა, მაგრამ მას აჩერებს გამომკვლევის ხელი. პათოლოგიური სინკინეზია, რომელიც აღინიშნება პროგრესულად მიმდინარე კახექსია.

რაიმონის ნიშანი — კიდურის შეტევისებური გაფერმკრთალება ან ციანოზი, განსაკუთრებით თითების, წარმოშობილი გადაცივებით ან ემოციური აგზნებით. აღინიშნება რეინოს დაავადების (იხ.) დროს.

რაიმონის სინდრომი — ალკოჰოლური პოლინევრიტის კახექსიური ფორმა. გარდა ნევროლოგიური სიმპტომებისა პოლინევრიტის სახით. აღინიშნება პროგრესულად მიმდინარე კახექსია.

რაიმონ-სესტანის სინდრომი — მოალტერნირე დამბლის ნაირსახეობა, რომელიც უნვითარდებათ ტვინის ტუბერკულოზით ავადმყოფებს, ნიშნები: ჰემოლატერალური ასინერგია, კონტრლატერალური ჰემიპლეგია, კონტრლატერალური ჰემიანესთეზია.

რაიტერის სინდრომი — ალერგიული არტერიოლიტი (ვასკულიტი). ეტიოლოგია: ალერგიული, ხშირია ერთდროულად ბრონქული ასთმა. (უხშირესად ტოქსიკო-ბაქტერიულ ფონზე — აღინიშნება კეროვანი ინფექციები). კანში სისხლჩაქცევების გვერდით ჩნდება პაპულები, ბორცვები, ერითემატოზული ლაქები. ჰისტოლოგიურად ცვლილებებია არტერიოლებში (ფიბროზული ნეკროზი, ირგვლივ ანთებადი ინფილტრატი). მიმდინარეობა ქრონიკული, შეტევითი — კანის გამოვლინებებით, ერთდროულად ტკივილით კუნთებსა და სახსრებში.

რაიტის რეაქცია — ბრუცელის (მოკლული გაცხელებით) აგლუტინაციის რეაქცია ბრუცელოზით დაავადებულ ავადმყოფის სისხლის შრატთან.

რაიტის სინდრომი — გულმკერდის მცირე კუნთის სინდრომი — გულმკერდის მცირე კუნთის მიდამოში ტკივილის შეუღლება აკროპარესთეზიასთან, გაფერმკრთალებასთან და ტროფიკულ დარღვევებთან ხელის მტევანსა და თითებში. აღინიშნება იღლიის ქვეშა მიდამოში სისხლძარღვებსა და მხრის წნულის ნერვულ ღეროებზე ზეწოლისას.

რაიტერ-პომპენის სინდრომი — კარდიო-ვაზო-რენული სინდრომი. ხასიათდება კანის და შინაგან ორგანოთა სისხლძარღვთა კედლებში 2 — ამინოფოსფატიდების ჩალაგებით. კანში წარმოიქმნება კერატოანგიომები. ზიანდება გული (კორონალური სისხლისმიმოქცევის უპირატესი მოშლით), თირკმელები (ჰემატურია, პროტეინურია; ცილინდრურია), ღვიძლი, ელენთა, ვლინდება ცელილებები თვალის ფსკერზე. ეტიოლოგიურ მომენტად ითვლება ცხიმოვანი ცვლის მოშლა.

რამზაი ჰანტის სინდრომი — დამუხტული განგლიის სინდრომი — ჰერპეს ზოსტერის (ზონას) ერთ-ერთი ფორმა. გამოვლინდება დამახასიათებელი გამონაყარით ყურის ირგვლივ, ყურის ძლიერი ტკივილით, ასევე სახის მიდამოში, კეფასა და კისერში ირადიაციით. ხშირია სახის ნერვის ნეკრიტი. სინონიმი: ჰანტის სინდრომი.

რამოს და ხილვახ ხელისგულიხ კიდითი კერატოდერმია — ხელისგულის კიდითი კერატოდერმია — კერატოდერმია ლოკალიზებული ხელის მტევნის გვერდებზე. აღინიშნება ავთვისებიანი ტრავმატიზაციის ადგილებზე.

რამონიხ სიმპტომ-ფენომენი — ნორმალურად ხერხემლის ორივე გვერდზე მოჩანს მცირე ამაღლება, რასაც ძღვევა თეძო-წელის კუნთი და ზურგის უგანიერესი კუნთი. მას ზომიერი სიმკვრივე აქვს და წელში მოხრის დროს მოდუნებულ მდგომარეობაში გადადის. მწვავე პლევრიტის, მწვავე პნევმონიების, პნევმოთორაქსისა და ნეკთაშუა ნევრალგიის დროს ეს კუნთები დაავადებულ მხარეზე ნაკლებადაა დაჭიმული და სხეულის მოხრის დროს იცვლება.

რანდიუს დაავადება — თანდაყოლილი ჰემორაგიული ტელეანგიექტაზია, თანდაყოლილი ჰემორაგიული ანგიომა. თანდაყოლილი დაავადება, ხასიათდება ჰემორაგიული სინდრომით, რაც გამოწვეულია მრავლობითი ტელეანგიექტაზიებით კანსა და ლორწოვან გარსზე, მემკვიდრეობითი გადაცემა აუტოსომურ დომინანტური ტიპით. სინონიმები: ოსლერ-რანდიუს სინდრომი, რანდიუ-ოსლერის სინდრომი, რანდიუ-ოსლერ-ვებერის სინდრომი.

რანდიუ-ოსლერიხ სინდრომი — სინონიმები: ოსლერ-რანდიუს სინდრომი, რანდიუს დაავადება (იხ.), რანდიუ-ვებერ-ოსლერის დაავადება.

რანდიუ-ოსლერ-ვებერის დაავადება — სინონიმები: რანდიუ-ოსლერიხ სინდრომი, ოსლერის დაავადება, რანდიუს დაავადება (იხ.).

რანდლზ-ფოლზიხ სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი რეცესიული, შეკავშირებული „იქს"-ქრომოსომასთან. ნიშნები: მიკროციტული ანემია, ჰიპექრომია და პოლიქრომაზია, ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობის დაქვეითება, სპლენო-

მეგალია, სისხლში ჰომატებულია რკინის შემადგენლობა. ინდროტროპიზმი. პროგნოზი მძიმეა. სიკვდილის მიზეზია ჰეპოკრომატოზი.

რანკეს სინდრომი — ფილტვის ტუბერკულოზის პირველადი სინდრომი. ლიმფური კვანძების და ფილტვების პირველადი ტუბერკულოზი. პირველი ტუბერკულოზური ცვლილებები ფილტვებში: 1) კერა ფილტვებში, რაც წარმოადგენს ფილტვების ტუბერკულოზურ ბრონქოგენურ კაზეიზურ ანთებას; 2) ტრაქეობრონქული ლიმფური კვანძების გადიდება; 3) ლიმფური სადინარების სპეციფიკური ანთება, რომლებიც ერთიანებს გადიდებულ ლიმფურ კვანძებს ფილტვებში კერებთან. კლინიკა: სუბფებრილიტეტი, უმადობა, ხველა, მსუბუქი ქოშინი. უმეტეს შემთხვევაში მთავრდება განკურნებით.

რანსომის რეფლექსი — მყესის ფიზიოლოგიური რეფლექსი: აღინიშნება გამოსაკვლევი პირის გულაღმა წოლისას ფეხის დიდი თითის გაშლა, როდესაც მ მ თითის ბოლო ფალანგზე საექიმო ჩაქუჩს დავკრავთ.

რაპოპორტის იშუნობლასტი — პლაზმური უჯრედების მოძველებული დასახელება.

რაპოპორტის ტრანსპლანტაციური მიოკარდიტი — ტრანსპლანტაციური მიოკარდიტი, რომელიც აღინიშნება ალოტრანსპლანტირებულ გულში და რომელიც მოცილების რეაქციის გამომხატველია.

რაუნცელის სინდრომი — ნაწლავთა გაუვალობის ნაირსახეობა. აღინიშნება უპირატესად ბავშვებში ფსიქოპათიის, ოლიგოფრენიის და სხვა დროს. მიზეზია თმის სისტემატიური გადაყლაპვა, რის შედეგადაც წვრილ ნაწლავში წარმოიქმნება თმისაგან შემდგარი კონგლომერატი (ტრიქობეზოარი). როდესაც ის გარკვეულ სიდიდეს აღწევს, მიიღება გაუვალობის სურათი. მკურნალობა ოპერაციულია.

რასელის გამაფართოებელი — ინსტრუმენტი კარდიის გასაფართოებლად კარდიოსპაზმის კონსერვატული მკურნალობისათვის. ზონდი მის ბოლოზე მიმაგრებული ბალონითურთ კუჭში შეყვანის შემდეგ ბალონიდან ივსება წყლით. წყლით ავსებული რასელის გამაფართოებლის მაღლა ამოწევით ხდება კარდიის გაფართოება.

რასელის სიმპტომი — ჰიპოთალამუსის წინა ნაწილების სიმსივნე ბავშვებში. ნიშნებია: პროგრესული სიგამხდრე კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის სრული განლევით, ღებინება. მიუხედავად სიგამხდრისა, ახასიათებს კარგი მგრძნობელობა, ჰიპერკინეზები, ნისტაგმი, კანკალი, ატაქსია. უფრო იშვიათად მხედველობის ნერვის ატროფია, ოფლიანობა, ტაქიკარდია, დიაგნოზი დასტურდება კაროტოდული ანგიოგრაფიით.

რასელის სინდრომი — რასელის ნანიზმი. თანდაყოლილი ჯუჯისებრი ზრდა ემბრიონალური განვითარების დარღვევის გამო. ნიშნებია: მშობიარობა დროული, ნაყოფის მასა და სიგრძე შემცირებული, თავის ქალას დისპლაზია, ჰიდროცეფალია, მაკროსტომია, მიკროგნატია, ჰიპერტელორიზმი, დისპროპორციული ჯუჯისებრი კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის ჰიპოპლაზია, ჰიპოგენიტალიზმი, კრიპტორქიზმი, კარიესი და კბილების ნაადრევი ცვენა. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი.

რასინის სინდრომი — წინამენსტრუალური სიმპტომკომპლექსი: სანერ-

წყვე-სარძევე ჯირკელების ერთდროული შესივება. მენსტრუაციის დაწყების შემდეგ აღნიშნული ცვლილებები ქრება.

რახმუსენის ანევრიზმა — ტუბერკულოზური კავერნის ღრუში არსებული არტერიის ანევრიზმა, რომლის გასკდომა ყველაზე ხშირი მიზეზია ტუბერკულოზის დროს ფილტვებიდან მასიური სისხლდენისა.

რაუსის სარკომა — ქათმის სარკომა, გამოიწვევა იმავე სახელიანი ვირუსით. გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნის ექსპერიმენტული მოდელისათვის.

რაუშკოლბ-ტუმის სინდრომი — დერმულ-მეზოდერმული დისპლაზია — კისრისა და ტანის კანის ლაქოვანი ატროფიის შერწყმა კიდურთა კანის ხაზოვანი ატროფიის, პიგმენტაციის დარღვევის, ფრჩხილებისა და კბილების დისტროფიის, ხელის მტევნის IV—V თითების სინდაქტილიის, პირველი თითისა და ტერფის პირველი ძვლის არარსებობასთან — უფრო ხშირად მარცხნივ. სინონიმი: კოულის სინდრომი.

რაუხის სინდრომი — დიენცეფალოზთა ნაირსახეობაა და გულისხმობს ფრელიხის ტიპის სიმსუქნის, ინტერმიტირებადი ჰიპერთერმიის, ოლიგომენორეისა და მორეციდივე პაროტიტის შერწყმას. ხშირია ნერწყვში ფოსფორისა და კალიუმის შემცველობის მომატებაც. ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე როგორც AHOP — სინდრომი. (ტერმინი აბრევიატურული წარმოშობისაა: (ადიპოზიტასი, ჰიპოთერმია, ოლიგომენორეა, პაროტიტი). ქართულად მისაღებია ტერმინი — სჰოპ — სინდრომი.

რაუხფუსის სამკუთხედი, ანუ მიდამო — მოყრუების სამკუთხედი. სველი პლევრიტის ნიშანი. როცა ექსუდატის რაოდენობა საკმაოდ დიდია ჯანმრთელ მხარეზე, პერკუტორული ხმიანობის მოყრუება სწორკუთხა სამკუთხედის ზონაშია. მისი ხაზებია ხერხემალი, ჯანმრთელი ფილტვის ქვედა საზღვარი და კათეტების შემაერთებელი ხაზი. სინონიმები: გროკო-რაუხფუსის სამკუთხედი, კორან-გროკო-რაუხფუსის სამკუთხედი.

რაუხფუსის სიმპტომი — პერკუტორული ხმიანობა — მოყრუების არსებობა გულმკერდის ჯანმრთელ მხარეზე. ექსუდატიური პლევრიტის ნიშანი. იხ. სინონიმი: რაუხფუსის სამკუთხედი.

რაქიტისეული „სამაჯურები" — რაქიტის დროს აღრიცხული ძვლოვანი წანაზარდები (ბორცვები), რომლებიც ცირკულარულად გარსშემოვლებულია სხივმაჯის, ანდა წვიეტერფის სახსრების ირგვლივ. გაპირობებულია წინამხარისა და წვივის ძვლების დისტალურ ეპიფიზების გასქელებით და დეფორმაციით.

რაშის კუდის სინდრომი — კონოკაუდალური სინდრომი. პერიფერიული დამბლები ქვედა კიდურებში დისტალურად, ასიმეტრიული, აქილევსის რეფლექსის მოსპობა — ორმხრივ და ძლიერი ფესობრივი ტკივილით, შეიძლება სპინქტერთა ფუნქციის მოშლა, ხშირი უროლოგიური გართულებებით.

რაშპილის სიმპტომი — მუცლის ფარის ხახუნის, უხეში შუილის ხმიანობა, გამოვლინებული აუსკულტაციით. ტუბერკულუზური მეზოადენიტის არამუდმივი ნიშანი.

რაც-ტურის სინდრომი — პილოროკულარული სინდრომი. თმიანობისა

და მხედველობის პათოლოგიების შერწყმა. მიზეზი შეიძლება იყოს ჰიპოთოლიმური მიდამოს დაზიანება. ნიშნები: ფოლიკულური ჰიპერკერატოზი, თმის არათანაბარი საფარი განსხვავებული სისქე-სიხშირითი, მხედველობის ველის მნიშვნელოვანი შემცირება.

რებერგის სინჯი — თირკმელების ფუნქციის გამოკვლევის მეთოდი კრეატინინის კლირენსის განსაზღვრის საშუალებით, რომელიც შეჰყავთ ინტრავენურად.

რებერგ-ტარეევის სინჯი — თირკმელების ფუნქციის გამოკვლევის მეთოდი, კრეატინინის კლირენსის განსახღვრის მეშვეობით, აგრეთვე კრეატინინის სისხლში საწყისი სახით არსებობით (წინასწარი დამატების გარეშე).

რეგადის სინდრომი — კვერცხუჯრედის გამომყვანი მილის გადაგრეხის კლინიკური სურათი. მწვავე შემთხვევაში ძლიერი, ტაცებედი ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, კოლაპტოიდური მდგომარეობა, ტაქიკარდია, გულისრევა, ღებინება, ფებრილიტეტი, ლეიკოციტოზი, ედს აჩქარება. ქრონიკულ შემთხვევაში (თანდათანობითი გადაგრეხვისას) ნელა მზარდი ტკივილი, ზომიერი ტაქიკარდია და სუბფებრილიტეტი. ზოგჯერ ადგილი აქვს გადაგრეხის გასწორებას, რასაც მოჰყვება სიმპტომების შემცირება.

რეგის სიმპტომი — დრომომანია: გაქცევისადმი ლტოლვა, ხშირად დევნის მანიასთან შერწყმული. ფსიქიკური მოშლილობის ნიშანია.

რედემეკერის სინდრომი — სიმპტომო-კომპლექსი, რომლის დროსაც აღინიშნება ინფექციებისადმი მომატებული მგრძნობელობა, ლიმფური კვანძების ჰიპერპლაზია და სისხლის პროტეინების არასრულფასოვნება. დაავადება ვლინდება ძუძუმწოვარა ბავშვებში პიოდერმიით, ეგზემით, ჰემორაგიული დიათეზით, აგრეთვე სხვა ნიშნებით: ქრონიკული ოტორეით, ბრონქოპნევმონიით — მორეციდიული მენინგიტით, სპლენომეგალიით, ლეიკოციტოზით, თრომბოპენიით, ჰიპოგამაგლობულინემიით, ძვლის ტეინში — ინტერმიტირებული მეგაკარიოციტოპენიით. პროგნოზი ცუდია.

რედერის სიმპტომი I — ქუთუთოების დაწევა და თვალის გუგების შევიწროება, ტკივილი თვალის და მის ირგვლივ მიდამოში. გვხვდება მამაკაცებში არტერიული ჰიპერტონიისა და შაკიკის დროს, ატარებს გარდამავალ ხასიათს.

რედერის სიმპტომი II — ტკივილი მუცლის ფარის ოდნავ ქვემო წერტილში და მაკ-ბერნეის წერტილის მიმართ მედიალურად ეპენდიციტის ერთ-ერთი ნიშანია.

რედერის სინდრომი — პარატრიგემინური სიმპათიკური სინდრომი. ხასიათდება თვალის ნაპრალისა და გუგის გარდამავალი ხასიათის შევიწროებით, რომელსაც თან ახლავს ტკივილი თვალში და მის ირგვლივ მდებარე არეებში. გვხვდება მამაკაცებში. ანამნეზში ხშირია შაკიკი და არტერიული ჰიპერტენზია.

რედერერ-ჰალეს სინდრომი — კუნთების დამოკლება და რიგიდობა, იმავედროულად დაკარგულია კანის ელასტიკურობა. ყოველივე ამის გამო სახსარში მოძრაობა შეზღუდულია. ეტიოლოგია უცნობია.

რედლიხის ენცეფალიტი — დისემინირებული აბორტული ენცეფალო-

მიელიტი — ენცეფალომიელიტის ფორმა, რომელიც ხასიათდება მსუბუქი მიმდინარეობით. გამოელინდება უფრო ხშირად პარესთეზიებითა და მყესთა რეფლექსების შეცვლით. სინონიმი: რედლიხ-ფლატაუს დაავადება.

რედლიხის სიმპტომი — მიდრიაზი და გუგების რეაქციის გაქრობა სინათლეზე ისტერიული შეტევის დროს, რასაც თან სდევს ძლიერი კუნთოვანი დაძაბულობა.

რედლიხ-ფლატაუს დაავადება — სინონიმი: რედლიხის ენცეფალიტი (იხ.).

რევიიოს სიმპტომი — თვალების ცალ-ცალკე დახუჭვის სიმპტომი — სახის ნერვის პარეზის მხარეს ავადმყოფს არ შეუძლია მოუტოს თვალი, მაშინ როცა ერთდროულად ხუჭავს ორივე თვალს.

რევი-როთშილდის ნიშანი — წარბების გარე ნაწილის დაცვენა. აღინიშნება ჰიპოთირეოზის დროს. სინონიმი: როთშილდის II სიმპტომი.

რევოლიხ დაავადება — რევოლის სინდრომი. ესენციური ჰემორაგიული თრომბოციტემია. ჰიპერთრომბოციტული მიელოზი. ესენციური თრომბოციტემიისა და ჰემორაგიული დიათეზის შერწყმა. ნიშნები: სისხლდენა ცხვირიდან, კუჭიდან და ნაწლავებიდან, სპლენომეგალია, თრომბოზები და თრომბოფლებიტები, ჰიპერპროტეინემია, ერითროციტოზი, თრომბოციტოზი, მეგაკარიოციტოზი. დაავადება ვლინდება ხანშიშესულთა ასაკში. სინონიმი: მორტენსენის სინდრომი.

რეზერფორდის სინდრომი — მემკვიდრეობითი სიმპტომების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: რქოვანას დისტროფია შემღერევით, ღრძილების ჰიპერტროფია კბილების ნორმალური ზრდის დარღვევით, ჰიპოდონტია, ზოგჯერ გონებრივი განვითარების შეჩერება.

რეთბენის სინდრომი — ჰიპოფოსფატაზია. დაავადება გაპირობებულია სისხლის შრატსა და ქსოვილებში ტუტე ფოსფატაზის მკაფიო დაქვეითებით. დამახასიათებელია ზრდისა და ჩონჩხის განვითარების დარღვევა (ქონდრისკაცობა), კბილების ნაადრევი დაცვენა, ჰიპერკალციემია, ძლიერი ოსტეოპოროზი.

რეიდ-ბარლოუს სინდრომი — ეწოდება მიტრალური სარქველების ბრალობირებას.

რეიეს სინდრომი I — ჰიპოპიტუიტარიზმი, განვითარებული მშობიარობის შემდგომ საშვილოსნოდან სისხლდენისა და ადენოჰიპოფიზის ნაწილობრივი ნეკროზის გამო. კლინიკური სურათი მსგავსია სიმონდსის სინდრომისა (იხ.). სინონიმი: შიჰენის სინდრომი.

რეიეს სინდრომი II — გაურკვეველი ეტიოლოგიის სინდრომია, რომლის დროსაც აღინიშნება მრავალი ორგანოსა და სისტემის დაზიანება. ძირითადი კლინიკური გამოვლინებებია: ენცეფალოპათია და ინტრაკრანიალური წნევის მომატება. ანამნეზში რესპირატორული დაავადება ან კუჭნაწლავის ტრაქტის ინფექცია. კლინიკური ნიშნებია: ღებინება, ლეთარგია, სტუპორი, კომა.

რეიეს სინდრომი III — ჰეპატრცერებრული სინდრომი, დაავადება—

თეთრი დვიძლ-ტვინის მემკვიდრეობითი (შესაძლოა გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპი) ახ იხფექციური დაავადება (კოკსურ-ყირუსული წარმოშობისაა). აღინიშნება ადრეულ ბავშვობაში. კლინიკური ნიშნებია: ზედა სასუნთქი გზების ფებრილური ინფექციის რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ მაღალი ტემპერატურის ახალი ტალღა, ღებინება, ზოგჯერ სისხლით, ადგილი აქვს სპორის, კომას, კრუნჩხვით შეტევებს, კიდურთა კუნთოვანი ტონუსის დარღვევას, ლეიკოციტოზს, გარდამავალი ჰიპოგლიკემიას, კეტონემიას, აციტოზს, ჰიპერნატრიემიას, სიკვდილი მოსალოდნელია რამდენიმე დღეში. სინონიმი: რეიე-მორგან-ბარალის სინდრომი.

რეიე-მორგან-ბარალის სინდრომი — სინონიმი: რეიეს სინდრომი III იხ

რეიე-შიპენის სინდრომი — სინონიმები: შიპენის სინდრომი, რეიეს სინდრომი I (იხ.).

რეიერის ენის პიტირიაზი-გლოსიტი — დამახასიათებელია წითელი ლაქებით, ენის ნაპირზე რუხ-თეთრი რგოლებით. აღინიშნება ახალგაზრდა ასაკში ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევების, „B" ჯგუფის ჰიპოვიტამინოზის დროს. სინონიმი: ბერეერონის გლოსიტი.

რეილის სინდრომი — სიმფატიკუსის გაღიზიანების სინდრომი. სპლანქნიკუსის ვაზოპლეგია. ნერვულ-სისხლძარღვოვანი სიმპტომოკომპლექსი. ნიშნები: პატარა სისხლძარღვების გაფართოება და შეგუბება შემდგომი ჰემორაგიული პურპურით, მიდრეკილება თრომბოზებისადმი, ინფარქტებისადმი, ლიმფატიური ქსოვილის ჰიპოპლაზია, ტვინის შეშუპება, სისხლჩაქცევები სიმფატიკური და პარასიმფატიკური განგლიების მიდამოში.

რეილ-დეიას სინდრომი — ვეგეტატიური დისფუნქციის მემკვიდრეობითი ოჯახური სინდრომი, მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ავადდებიან უპირატესად ებრაელები. პათოლოგიურ-ანატომიურად აღინიშნება ზურგის ტვინის უკანა ფესვებისა და უკანა სვეტების ფოკალური დემიელინიზაცია, ჰიპოთალამური მიდამოს რეტიკულური ფორმაციის დეგენერაციული ცვლილებები. ნიშნები: ცრემლდენის შემცირება, წყლულები რქოვანებზე, გარდამავალი ლაქოვანი ერითემა და პუსტულოზური გამონაყარი კანზე, გაძლიერებული ოფლდენა, გაძლიერებული ემოციური ლაბილობა, ტკივილის მგრძნობელობის და მოძრაობითი კოორდინაციის დაქვეითება, ჰიპორეფლექსია, არეფლექსია, ღებინება, ეპილეპტიფორმული კრუნჩხვა, გარდამავალი ირტერიული ჰიპერტენზია, პაროქსიზმული ჰიპერთერმია.

რეიმანის დაავადება — პერიოდული დაავადება, სომხური დაავადება, ოჯახური პერიოდული დაავადება, ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება, ექვსდღიური ცხელება, პაროქსიზმული პერიტონიტი, პერიოდული პერიტონიტი, შებრუნებითი პოლისეროზიტი. ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი, ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც გამოვლინდება პერიოდულად შეტევის მსგავსად სტერეოტიპული ტკივილით მუცლის არეში (ხშირად ასევე გულ-მკერდის

არეში და სახსრებში) და პაროქსიზმული ცხელებით. სინონიმები: სიგალ-კატან-მამუას დაავადება, ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი.

რეინალსის ფენომენი — გავრცელების ფაქტორი, სპრიდინ ფაქტორი. ფერმენტთა კომპლექსი, რომელიც იწვევს შემაერთებელი ქსოვილის განელადობის მომატებას და ამით აჩქარებს მათში არსებული ნივთიერებისა და უჯრედების ლიმფურ და კაპილარულ ძარღვებში გადასვლას და გავრცელებას. გავრცელების ზოგიერთი ფაქტორი სინთეზირდება პათოლოგიური მიკროორგანიზმებით და ხელს უწყობს მათს გავრცელებას პირველადი კერიდან. სინონიმი: დიურან-რეინალსის ფაქტორი.

რეინდელის გულის დილატაცია — გულის მარეგულირებელი დილატაცია — გულის ზომების გადიდება გაპირობებული ნარჩენი სისხლის მომატებით გულის ღრუებში სისტოლის შემდეგ.

რეინის მარჯვენა გული — მარჯვენა გულის სისტოლური გადაძაბვა, როცა ადგილი აქვს სისხლის მიმოქცევაში მომატებულ წინააღმდეგობას.

რეინოს დაავადება და სინდრომი — ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ხელის თითების პერიოდულ ვაზოსპაზმს. პირველ შემთხვევაში ის აღინიშნება როგორც იდიოპათიკური ხასიათის კიდურის იშემიის ტიპიური შეტევა. მეორე შემთხვევაში იგი სრულიად გამოკვეთილი წარმომავლობისაა, ანუ მეორეული ხასიათის.

რეინო-ლერიშ-ლაფონტენის სინდრომი — ტიპიურია რეინოს დაავადებისათვის (იხ.), მაგრამ წარმოიშობა რიგ სხვა დაავადებათა დროს, რომელთაც ახასიათებს კიდურთა სისხლძარღვების, ანდა მათი მაინერვირებული ნაწილების დაზიანება. მაგალითად, სკლეროდერმიის, სისტემური წითელი მგლურას, სირინგომიელიის, პოლინევრიტის, ხერხემლის კისრის მიდამოს დაზიანების დროს.

რეიტერის ალერგიული არტერიოლიტი, ანუ კანის ალერგიული ვასკულიტი — კანის ინფექციურ-ალერგიული ვასკულიტი, ვითარდება ზოგიერთ ინფექციური დაავადების დროს. ახასიათებს დერმის წვრილი სისხლძარღვების დაზიანება. გამოვლინდება ბუშტუკების, პუსტულების, კვანძების (ზოგჯერ ნეკროზით) გამონაყარით და ჰემორაგიული ლაქებით.

რეიტერის დაავადება — რეიტერის სინდრომი, რეიტერის ტრიადა, ურეთრო-ოკულო-სინოვიალური სინდრომი, ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. ახასიათებს მწვავე ურეთრიტის, კონიუნქტივიტისა და მრავლობითი ართრიტის შერწყმა (ზოგჯერ ქვედა კიდურთა დიდი სახსრებზე, ზოგჯერ ხერხემლის სახსრებიც). უვითარდებათ უმთავრესად გენეტიკურად განწყობილ პირებს, რომლებმაც გადაიტანეს არასპეციფიკური ურეთრიტი, დიზენტერია ან იერსინიოზი. სინონიმები: ფისენჟე-ლერუა- რეიტერის სინდრომი, ფისენჟე-ლერუას სინდრომი.

რეიტერის სინდრომი — გრანულემატოზური პანვასკულიტი. მიაკუთვნებენ ბიურგერის (იხ.) დაავადების კანის ფორმას. ხასიათდება სისხლძარღვების გასწვრივ ძლიერ მტკივნეული კვანძების გაჩენით, კანის ჰიპერემიით. მიმდინარეობს ქრონიკულად, მორეციდივეა.

რეიტერის სიმპტომი — ფერის სწორი შეგრძნების დარღვევა სათი-

თურას პრეპარატებით ხანგრძლივად მკურნალობისას: ავადმყოფი ხედავს უძრავ მუქ-ლურჯ პატარ-პატარა ვარსკვლავებს. სინონიმი: გვირილას სიმპტომი.

რეიტერ-პომპეინის სინდრომი — გულსისხლძარღვთა და თირკმლების სიმპტომთა სიმპტომოკომპლექსი, კანში ჩნდება კერატოანგიომები, ერთდროულად ზიანდება შინაგანი ორგანოები — გული (ცვლილებებია ეკგ-ზე), ტვინი (ზოგჯერ ჰემიდამბლები), თირკმლები (ჰემატურია, პროტეინურია, ცილინდრულია), თვალების ცვლილებები ფსკერზე და ასევე ღეიძლი და ელენთა. შარდში არის უჯრედები, რომლებიც შეიცავს ლიპოიდებს.

რეიფენშტეინის სინდრომი — პირველადი ჰიპოგონადიზმის ფორმა, ხასიათდება პაციენტის არასრული მასკულინიზაციით. ამიტომ მას ასევე რეიფენშტეინის არასრული მასკულინიზაციის სინდრომი ეწოდება.

რეიხარდტის სიმპტომი — ავადმყოფი თეთრ სუფთა ქაღალდზე (შთაგონებით) ხედავს სხვადასხვა ნივთს, ცოცხალ არსებებს, რიცხვებსა და ტექსტის ნაწყვეტებს. ალკოჰოლური ცხელების სიმპტომია.

რეიხარდტის სინდრომი — დაფნის წნულის სინდრომი — შეტევისმსგავსი მწვავე მკაფიო ტკივილი სასმენი მილის გარეთა გასასვლელში, ხვრელისებრივი მორჩის მიდამოში ირადიაციით, ასევე ლოყაზე, საფეთქელზე. აღინიშნება დაფნისებრი წნულის დაზიანების დროს.

რეიხელის დაავადება — რეიხელის სინდრომი, კიდურთა მემკვიდრეობითი პოლიტოპური ქონდრომატოზი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სახსრების სინოვიალურ პარკში ჩნდება ჰიალინური ხრტილების მრავლობითი კვანძი, რომელიც შემდეგ გაძვალდება. პათოლოგია პოლიტოპურია, მაგრამ ჩვეულებრივ ცვლილებებია ერთ სახსარში, ძირითადად ზიანდება მუხლის, იდაყვის, მენჯ-ბარძაყის სახსრები. დაავადება მიმდინარეობს კეთილთვისებიანად, არაიშვიათია მეორეული ერთროზი, ანდროტროპიზმი.

რეიხენშტეინის სინდრომი — დარიშხანით ქრონიკული მოწამვლის ფორმა. ნიშნები: ცხვირისა და პირის ღრუს ლორწოვანის დაწყლულება, ეგზემა საზარდულის მიდამოში, კანის მელანოზი, ხელისა და ფეხისგულების პიპერკერატოზი, ასციტი, კახექსია. გამოსავალი ლეტალური.

რეიხმანის დაავადება, ანუ სინდრომი — გასტროსუკორეა. თან სდევს ტკივილი მუცელში, ბოყინი, პირღებინება უზმოზე, კუჭის წვენის დიდი რაოდნობით ამოღება, გულძმარვა, წყურვილი. დამახასიათებელია წყლულოვანი დაავადებისათვის, პილოროსტენოზისთვის, ნეიროზული მდგომარეობისათვის. ემართებათ უფრო ლოთებს.

რეკლინგჰაუზენის დაავადება I — ნეიროფიბრომატოზი, ბავშვთა ასაკში ან მოზრდილობაში წარმოიშობა რბილ კონსტისტენციის სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნები კანში (ფიბრომები, ნეიროფიბრომები, ნეირომები). აღინიშნება პიგმენტაციის მოშლა (მრავლობითი ხალები), ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მოშლილობები (ნეიროზები, გლიომატოზი და სხვა ნეიროლოგიური სიმპტომატიკა), ცვლილებები

ძელოვან სისტემაში. დაავადების აბორტული ფორმა ცნობილია ლეშკეს (იხ.) დაავადების სახელწოდებით. სინონიმი: ვეროკეას ნეირომატოზი.

რეკლინგჰაუზენის დაავადება II, ანუ დეზონტოგენეზური დისტროფია — პარათირეოდული ოსტეოდისტროფია — დაავადება გამოირობებულია ჰორმონალურად აქტიური პარათირეოიდული ჯირკვლების სმენივნის წარმოშობით. ახასიათებს ძვლების ცალკეულ უბანთა ოსტეოპოროზი და სხვაგან სიმსივნის მსგავს წარმონაქმნის ინტენსიური ზრდა. სინონიმი: ენგელ-რეკლინგჰაუზენის დაავადება.

რეკლინგჰაუზენის ჰიპერპლასტიკური მალიცია — ძვლის გარბილება რაქიტის დროს. გამოწვეულია არაგაკირული ძვლოვანი ქსოვილის ზომაზე მეტი ზრდით.

რეკლინგჰაუზენ-ენგელის დაავადება — ჰიპერპარათირეოიდიზმი. დამახასიათებელია ძვლების დემინერალიზაცია, მათი კისტოზური დეგენერაცია, კორტიკალური შრის განლეკა, ძვლების დეფორმაცია, პათოლოგიური მოტეხილობის განვითარება, ჰიპერკალციემია, ჰიპოფოსფატემია, შინაგან ორგანოთა კალციფიკაცია, ნეფროლითიაზი, არც თუ იშვიათად კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს პარაფარისებრი ჯირკვლების ჰიპერფუნქცია მათში ჰიპერპლასტიკური ან სიმსივნური პროცესის გამო.

რეკლინგჰაუზენის სინდრომი — ძირითადი ნიშანია აკრომეგალია. დაავადებას საფუძვლად უდევს ჰიპოფიზის მიერ სომატოტროპული ჰორმონის ჭარბი პროდუქცია ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპერპლაზიის ან ადენომის ნიადაგზე. დამახასიათებელია ხელის მტევნების, ფეხის ტერფების, ცხვირის, ტუჩების, ყურების, ქვედა ყბის და შინაგანი ორგანოების გადიდება. თუ დაავადება განვითარდა ზრდის დასრულებამდე, ვითარდება გიგანტიზმი. შესაძლოა სხვა ჰორმონული ძვრებიც, რომლის კლინიკური ნიშნებია: იმპოტენცია, ფემინიზაცია ან მასკულინიზაცია, ჰიპერგლიკემია. იხ. სინონიმები: მარი-ლერის სინდრომი, მარის სინდრომი, ფრიტცშე-კლესის სინდრომი.

რეკლინგჰაუზენის პოროტიული მალაცია — ძვლოვანი ქსოვილის დარბილება რაქიტის დროს, გამოწვეული ძვლის ქერქოვანი შრის გათხელებით ლაკუნარული რეაბსორბციის შედეგად.

რეკლიუს ხისებრივი ფლეგმონა — მკვრივი, ნაკლებადმტკივნეული, ზომაში ნელა მატებადი, ჩვეულებრივ დაჩირქებისადმი მიდრეკილების არმქონე ინფილტრატი კისრის კანქვეშა მიდამოში, წარმოშობილი ნაკლებად ვირულენტური მიკროორგანიზმების შეჯრით. უვითარდებათ მოხუცებულ და დასუსტებულ პირებს.

რემაკის სიმპტომი — ტკივილის ხანგრძლივი შეგრძნება მისი გამაღიზიანებლის მოხსნის შემდეგ. აღინიშნება ზურგის ტვინის ხმობის დროს.

რემაუპ-რეფლექსი — ბარძაყის შიგნითა ზედაპირის გაღიზიანების სპასუხოდ ადგილი აქვს ტერფის ცერის გაშლას. მიეკუთვნება პათოლოგიური რეფლექსების ჯგუფს.

რემპელდის სინდრომი — გასტროკარდიალური ნევროზი. გვხვდება გუ-

ლის დაავადების დროს. ელინდება საკვების ჭარბი რაოდენობით მიღების შემდეგ. აღინიშნება ტკივილი გულის მიდამოში, გულის ფრიალი, ჰაერის უკმარისობა, ექსტრასისტოლია, ბოყინი, შეკრულობა, მეტეორიზმი. ობიექტური მონაცემებიდან ყურადსაღებია ტრაუბეს სივრცის (იხ.) ზემო საზღვრის გეერდითი გადიდება, დიაფრაგმის მაღლა დგომა, გულის პორიზონტული მდებარეობა ეკგ-ის ცვლილებათა გარეშე. სინდრომი აღენიშნებათ ნევროპათიულ პიროვნებებს, შესაძლოა განვითარდეს რეფლექსურად ნაღველ-კენჭოვანი დაავადების, დიაფრაგმის თიაქრის დროს.

რენდლეს-ფალხის დაავადება — ჰიპოქრომული მიკროციტული ანემიის ნაირსახეობა მკაფიოდ გამოხატული ჰემოლიზით. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა დაქვეითებულია, ელენთა გადიდებულია. მიზეზად ასახელებენ ერითროციტების თანდაყოლილ სისუსტეს.

რაიმონის ნიშანი — კიდურის შეტევითი გაფერმკრთალება ან ციანოზი, განსაკუთრებით თითებისა, წარმოშობილი გადაცემებით ან ემოციური აგზნებით. აღინიშნება რეინოს დაავადების დროს.

რაიმონის სინდრომი — ალკოჰოლური პოლინევრიტის კახექსიური ფორმა. გარდა ნევროლოგიური სიმპტომებისა პოლინევრიტის სახით, აღინიშნება პროგრესულად მიმდინარე კახექსია.

რაიმონ-სესტანის სინდრომი — მოალტერნირე დამბლის ნაირსახეობა, რომელიც უეითარდებათ ტვინის ტუბერკულოზით ავადმყოფებს. ნიშნები: ჰემოლატერალური ასინერგია, კონტრლატერალური ჰემიპლეგია, კონტრლატერალური ჰემიანესთეზია, (ცქერის) დამბლა.

რაიტერის სინდრომი — იხ. რეიტერის სინდრომი.

რაიტერ-პომპეინის სინდრომი — იხ. რეიტერ-პომპეინის სინდრომი.

რაიტის რეაქცია — გათბობით დაღუპული ბრუცელების აგლუტინაციის რეაქცია ბრუცელოზით ავადმყოფის სისხლის შრატთან.

რაიტის სინდრომი — გულ-მკერდის მცირე კუნთის სინდრომი — გულ-მკერდის მცირე კუნთის მიდამოში ტკივილის შერწყმა აკროპარესთეზიასთან, გაფერმკრთალებასთან და ტროფიკულ დარღვევებთან ხელის მტევანსა და თითებში, აღინიშნება იღლიის ქვეშა მიდამოში სისხლძარღვებსა და მხრის წნულის ნერვულ ღეროებზე ზეწოლისას.

რენო-ლერიშ-ლაფონტენის სინდრომი — იხ. რეინო-ლერიშ-ლაფონტენის სინდრომი.

რენონ დელილის სინდრომი — ჰიპოფიზ-თირეოიდ-ოვარიალური დისფუნქცია. პლურიგლანდურული ენდოკრინული პათოლოგიის ნაირსახეობა. ნიშნები: ჰიპოტენზია, ტაქიკარდია, ჰიპერჰიდროზი, უძილობა, ოლიგურია, სიცხის შეგრძნება, ზოგადი გარეგნობა აკრომეგალიური.

რენო-ფაციალური სინდრომი — რენოფაციალური დისპლაზია. თირკმლებისა და სახის მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰიპერტელორიზმი, ეპიკანტი, ცხვირის ფუძის გაფართოება, მიკროგნატია, ფეხების მიხორცება, ტერფის და ხერხემლის ანომალიები, რუდიმენტული გენიტალია, ჰიპოსპადია, ფილტვების ან მისი ცალკე ნაწილების ჰიპოპლაზია, საყლაპავის, ხორხისა და ანალური ხვრელის ატრეზია, ანტროტროპიზმი. ჩვეულებრივ ავადმყოფი

იღუპება დაბადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. სინონიმი: პოტერის სინდრომი I.

რენტგენ გამოზარხოშება — თავისებური მდგომარეობა, რაც აღინიშნება დასხივების შემდეგ (რადიაქტიული ნივთიერების) და რაც ემსგავსება სიმთვრალეს ან გაბრუებას. ავადმყოფი მოუსვენრადაა ან პირიქით მოდუნებულია და აღინიშნება ძილიანობა, რიგ შემთხვევაში — თავის ტკივილი, თავბრუ, გულისრევა, ღებინება, მადის დარღვევა, პირის სიმშრალე, წყურვილი და სხვ.

რეუეს სიმპტომი — დრომომანია. ავადმყოფს ახსრებული და აქტიატებული აქვს გაქცევის სურვილი.

რესლეს სინდრომი — სასქესო ჯირკვლების განვითარების მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა ჯუჯისებრ ზრდასთან. როგორც ჩანს, გადაცემის დომინანტური ტიპი შეკავშირებულია იქს ქრომოსომასთან, საგულვებელია ასევე აუტოსომურ-რეცესიული გადაცემაც. ნიშნები: ზრდაში შეფერხება, (დისპროპორციულად ჯუჯისებრი ტანი ზომაზე დიდი კიდურებით), ოსტეოპოროზი, პირველადი ამენორეა და უნაყოფობა, გენიტალური ინფანტილიზმი) (კლიტორის ჰიპოპლაზია, საკვერცხეების არარსებობა), ჰიპოტრიქოზმი. სარძევე ჯირკვლების განუვითარებლობა, სისხლში დაბალია ესტროგენების შემცველობა.

რეხპინგი-დეგოს სინდრომი — ექსცენტრიული კერატოდერმია. არის გაფანტული ზედაპირული კანიკულური კერატოზის ნაირსახეობა, რომელიც კანის დიდ ზედაპირს იჭერს.

რესპირატორული დარღვევის სინდრომი — ინტერსტიციული მონოწუკლეარული ფოკალური პნევმონია, რესპირატორული სიმპტომოკომპლექსი ახალშობილებში. კლინიკა: ჭოშინი, ხველება, პერიოდული ან მუდმივი ციანოზი. გაძნელებული ამოხველება, ასპირაციული პნევმონია, პროგრესირებადი ფილტვ-გულის უკმარისობა, არასტაბილური ეოზინოფილია. რენტგენოლოგიურად — მრავალკეროვანი ემფიზემა უეითარდება დღენაკლულებს (1500 გ-ზე ნაკლები წონის, 30 კვირით ადრე დაბადებულებს). პროგნოზი მძიმე. სინონიმი: უილსონ-მაიკატის სინდრომი.

რეტის სინდრომი — მემკვიდრეობითი ენზიმოპათია (როგორც ჩანს, დომინანტური, შეკავშირებული „იქს" ქრომოსომასთან). ნიშნები: დაბადებისას ბავშვის საერთო გარეგნობა ზოგადად ნორმალურია, განვითარების შეფერხება იწყება მეცხრე თვიდან, აღინიშნება სიარულში, ბავშვი ნელა დადის, პატარა ნაბიჯებით, მეტყველების განვითარება შეჩერებულია, ალელია, ჰიპო და ამიმია, კიდურთა კუნთების ჰიპერტონუსი, ჰიპერრეფლექსია, მიდრეკილება ეპილეპტიფორმული კრუნჩხვებისადმი, ოლიგოფრენია, ჰიპერქლორემია, ჰიპერამონიემია, გინეკოტროპიზმი.

რეტრაქციის სინდრომი — თვალის გუგის თანდაყოლილი, უფრო ხშირად თვალის გუგის კუნთების ცალმხრივი დამბლა, ვლინდება მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით და თვალის უკან გაწევით (რეტრაქციით). ხშირად შეუღლებულია განვითარების სხვა ანომალიებთან. სინონიმი: შტილინგ-ტიურკ-დუენის სინდრომი. დუენის სინდრომი.

რეტრომალეოლური რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი. მოხრა

ფეხისგულისკენ ქუსლის ძვალზე მსუბუქი დარტყმისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს. სინონიმი: ბარეს რეფლექსი.

რეტროსფენოიდული სივრცობრივი სინდრომი — ცალმხრივი ოფტალმოპლაგიის, მხედველობის დაქვეითების, სამწვერა, ნერვის ნევრალგიის და საღეჭი კუნთების დამბლის შერწყმა. გამოწვეულია თავის ქალას II—VI ნერვების დაზიანებით ცხვირის ღრუდან გავრცელებული სიმსივნით. სინონიმები: ჟაკო-ნეგრის სინდრომი, ქაკოს სინდრომი.

რეფეტოვის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. როგორც ჩანს; გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიულია. ნიშნები: თანდაყოლილი ან ადრე ბავშვობაში გამოვლინებული ორმხრივი ყრუ-მუნჯობა, დიფუზური-ჩვეულებრივ ეუთირეოიდული ჩიყვი, ეპიფიზების ოსტეოდისგენეზი — მენჯის ანომალიებით, ეგრეთ წოდებული „ჩიტის სახე", სისხლში ცილასთან შეკავშირებული იოდის დონის მომატება.

რეფსუმის დაავადება — ეკუთვნის ლიპოიდოზებს. გენი გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. პროცესი ნელა პროგრესირებს. ახასიათებს რემისიები. ამ დროს აღინიშნება ნევროლოგიური სიმპტომატიკა, ატიპიური პიგმენტური რეტინიტი, სმენის ნევროგენული დაქვეითება, კარდიოპათია, იქტიოზი. დაავადება განპირობებულია ცხიმოვანი მჟავის კატაბოლიზმის დეფიციტით, რის შედეგად ცხიმოვანი მჟავის კონცენტრაცია იმატებს სისხლში, ცერებროსპინალურ სითხეში, შარდში, კუნთების, ღვიძლის, თირკმლების, ნერვების, ცხიმის ქსოვილებში. პროგნოზი სერიოზულია.

რეფსუმის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. გამოწვეულია ფიტანის მჟავის ცვლის დარღვევით. დამახასიათებელია ქრონიკული პოლინევრიტი, პიგმენტური რეტინიტი, ნათხემისებრი ატაქსია, ზოგჯერ ჩვეულებრივი იქტიოზი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

რეშად-შილინგის დაავადება — მწვავე რეტიკულოენდოთელიოზი. ხასიათდება მწვავე დასაწყისით, სიცხიანობით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაწყლულებით, ჰემორაგიული დიათეზით; შესაძლოა პირღებინება, დიარეა. სისხლში ანემია, ლეიკოციტოზი, მონოციტოზი (90%-მდე ჰისტომონოციტების, მონოციტოიდების, მონობლასტების სიჭარბით), თრომბოციტოპენია. ღვიძლის, ელენთის, ძვლის ტვინის და ლიმფური კვანძების ბიოფსიით დგინდება რეტიკულოენდოთელიური პროლიფერაცია, მიელოიდური მეტაპლაზიის კერები. პროგნოზი მძიმეა.

რიბაუნდ სინდრომი — ეწოდება დაავადების კლინიკური და ლაბორატორიული ნიშნების დაბრუნებას სპეციფიკური თერაპიის მოხსნის შემდეგ.

რიბიერ-პიშონის რევმატიზმი — რევმატიზმის ევოლუციური ვარიანტია. თუ ჩამოყალიბდა რევმატიზმის პირველი შეტევისას, იგი პირველადი ევოლუციური ფორმა იქნება: ხოლო თუ წარმოიქმნა ერთ-ერთი შეტევის შემდგომ — მეორეული ევოლუციური ფორმა გვექნება.

რიბინგის დაავადება, ანუ რიბინგის სინდრომი I — მემკვიდრეობითი დიაფიზების მრავლობითი სკლეროზი. როგორც ჩანს, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება 30

წლის ასაკში. თან ახლავს: გაურკვეველი ხასიათის ტკივილი ქვედა კიდურებში, გრძელი ლულოვანი ძვლების დიაფიზების კორტიკალური შრის ჰომოგენური გასქელება პერიოსტოშის გარეშე. პროგნოზი კარგია, ეინაიდან დაავადება არ პროგრესირებს.

რიბინგის სინდრომი II — სახსრების ეპიფიზთა იზოლირებული დეზოსტოზი. ნიშნები: სხვადასხვა ძვლების ეპიფიზთა დეფორმაცია და „შეჭიუხვნა" ოსტეომალაციისადმი მიდრეკილებით, იშვიათად კუჭის სიმაღლე, სუბიექტიურად — ტკივილი და შეზღუდულობა სახსრებში (უპირატესად მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრებში). ჩვეულებრივ ვლინდება ბავშვობაში. ზოგჯერ ჰიპოთირეოზის სიმპტომები. საეარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. სინონიმები: მიულერ-რიბინგ-კლემენტის სინდრომი, ლემენ-რიბინგ-მიულერის სინდრომი, რიბინგ-მიულერის სინდრომი.

რიბინგ-მიულერის სინდრომი — სინონიმი: მიულერ-რიბინგ-კლემენტის სინდრომი, რიბინგის სინდრომი.

რიგელის ნიშანი I — სუნთქვითი არითმიის შემცირება (ზოგჯერ გაქრობა), რომელიც აღინიშნება გულის კუნთის დაზიანებისას და გულის ინერვაციის ზოგიერთი დარღვევის დროს.

რიგელის ნიშანი II — მაჯის გაქრობა სხივის არტერიაზე სრული ამოსუნთქვის დროს. ექსუდატიური პერიკარდიტის ნიშანი.

რიგელის ნიშანი III — გულის საძგერი ვიზუალურად გამოვლინებული ღრმა შესუნთქვის სიმაღლეზე. შეხორცებითი პერიკარდიტის ნიშანი.

რიგელის ხსნარი — საცდელი სადილი, რომელიც შედგება: 400 მლ სუპის, 150—200 გ შემწვარი ხორცისა (ბივშტექსი), 50 გ კარტოფილის პიურესა და 35გ თეთრი პურისაგან. გამოიყენება კუჭის ევაკუატორული ფუნქციის გამოსაკვლევად კუჭის ზონდების საშუალებით.

რიგერის სინდრომი — შემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ნადებები რქოვანაზე, სკლერების გასქელება მეორეული გლაუკომით, გუგების ცვლილება, რქოვანას ჰიპოპლაზია, ბროლის ექტოპია, თანდაყოლილი კატარაქტა, ანოდონტია ან ჰიპოდონტია, კბილების ემალის დისპლაზია, ანალური სტენოზი, თირკმელების ანომალიები, მიოტონური დისპლაზია, ფრჩხილების დისპლაზია.

რიგერის სინჯი — მოხუცებულობითი ჭკუასუსტობის სიღრმის განსაზღვრის მეთოდი, ამასთანავე არკვევენ მოხუცებულთან უარყოფითი მოქმედების ცრუ ბრალდებაზე უკმაყოფილების რეაქციის არსებობას ან არარსებობას.

რიგიერ-პიშონის რევმატიზმი — რევმატიზმის ფორმა. რევმატიზმის ეოლუციური ვარიანტია. თუ ის ჩამოყალიბდა რევმატიზმის პირველი შეტევისას, გვექნება პირველადი ეოლუციური ფორმა, ხოლო თუ ერთერთი შემდგომი შეტევის დროს წარმოიქმნება — მეორეული ეოლუციური ფორმა.

რიგის დაავადება — კახექტიური აფთები, ენისქვეშა ფიბრო-გრანულომა — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, ახასიათებს ჩვილ ბავშვებში

ენის ქვეშა თეთრნადებიანი, მყარზედაპირიანი, წყლულოვანი კვანძების წარმოქმნა, რომელიც ხელს უშლის კვებას. სინონიმები: რიგ-ფედეს სინდრომი, კარდარელი-რიგის დაავადება.

რიგ-ფედეს სინდრომი — სინონიმები: რიგის დაავადება (იხ.), კარდარელი-რიგის დაავადება.

რიდელის ჩიყვი — ქვისებრი ჩიყვი, ფიბროზული ჩიყვი, რიდელას თირეოიდიტი, ხისებრი ჩიყვი. ჩიყვი მყარკონისებრი, რკინისებრივი ჩიყვი, ფიბროზული თირეოიდიტი — ქრონიკული თირეოიდიტი. დამახასიათებელია შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოების პირველადი ჩაზრდა და ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულური ეპითელიუმის მეორადი დაღუპვა. ფიბროზი შეიძლება გაკრცელდეს ირგვლივ მდებარე ქსოვილებზეც და აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნის იმიტაცია.

რიდერის სინდრომი ანუ დამბლა — ხელის პარეზი და მგრძნობელობის დარღვევა მხრის წნულის მექანიკური დაზიანებით ავადმყოფებში. ნიშნები: ლავიწქვეშა არე ხელის დაჭერით მტკივნეულია, ხელის ჰიპო-ან პარესთეზია, სისუსტე, აქტიური მოძრაობის შეზღუდვა, მყესთა და პერიოსტალური რეფლექსები დაქვეითებულია. ანამნეზში მძიმე ტვირთის მხრით ტარება.

რიდლის სინდრომი — მარცხენა პარკუჭის მწვავე უკმარისობის ნიშნების თანხვედრა ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის დროს.

რიდ-შტერნბერგის უჯრედები — ორი ან მრავალბირთვოვანი დიდი უჯრედები. აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზის დროს დაზიანებულ ლიმფურ უჯრედებში. სინონიმები: ბერეზოვსკი-შტერნბერგის უჯრედები, შტერნბერგის უჯრედები.

რიედელის სიმსივნე — კუპუკანა ჯირკვლის თავის სიმსივნეს რიედელის სიმსივნე ეწოდება.

რიეტ-ბრეპ-მიკელის დაავადება — მცირე თალასემია, მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემია. ხასიათდება ჰემოგლობინის სინთეზის დარღვევით. მემკვიდრეობის გადაცემის ტიპი რეცესიული. მცირე თალასემია არის თალასემიის ჰეტეროზიგოტური ფორმა, ხასიათდება მსუბუქი ჰიპოქრომული ანემიით.

რივალტის რეაქცია — გამოიყენება ექსუდატის ტრანსუდატისაგან გასარჩევად. მაღალ ცილინდრში ვასხამთ გამოხდილ წყალს და ვუმატებთ 2—3 წვეთ რამდენიმე პროცენტიან (2—3%) ძმრის მჟავას. სითხეს აურევთ და მასში ვაწვეთებთ გამოსაკვლევ სითხეს. ექსუდატის შემთხვევაში მისი წვეთი თანდათანობით მიდის ქვევით და სტოვებს ბოლისებრ კვალს. ტრანსუდატი კი უკვალოდ უერთდება წყალს. საკმაოდ საიმედო სინჯია.

რივასის მეთოდი — ხელოვნური კონტრასტირების მეთოდი, რომელიც გამოიყენება რენტგენოპნევმოპელვიოგრაფიის, რეტროპერიტონეალური პნევმოგრაფიის ან ჰაეროვანი მედიასტინოგრაფიის დროს. მდგომარეობს იმაში, რომ ჰაერი კუდუსუნის პუნქციით შეგვყავს მენჯის ღრუს ქსოვილებში, აქედან ის თანდათანობით გადის მუცლის ღრუს უკანა სივრცეში და მერე შუასაყარში.

რივერო-კორვალოს აუსკულტაციური სინჯი — მოწოდებულია მიტ-

ჩალური სარქველის უკმარისობის სადიფერენციაციოდ ტრიკუსპიდული სარქვლის უკმარისობისაგან. წარმოებს მიტრალური და ტრიკუსპიდული სარქველების მოსმენა შესაბამისად ფორსირებული ამოსუნთქვის მაქსიმუმზე სუნთქვის შეჩერებით.

რივერო-კორვალოს ნიშანი — ავადმყოფს, რომელსაც აქეს გულის მარჯვენა ნახევრის დაზიანება, მის ფუძეზე აღენიშნება დამოუკიდებელი სისტოლური შუილი, რომელიც ძლიერდება შესუნთქვის გაჩერების სიმაღლეზე.

რივერო-კორვალოს ფენომენი — ფიზიოლოგიური ფენომენია, გულის მარჯვენა ნახევრის აუსკულტაციურ მოვლენათა გაძლიერება ღრმა შესუნთქვის ფაზაში სუნთქვის შეჩერების დროს. ხელს უწყობს სამკარიანი სარქველის მანკების გამოვლინებას.

რივერსის ორმაგი სინჯი — პისტამინის ორმაგი სინჯი — პისტამინის სინჯი, რომელიც ტარდება 0,3 ან 0,5 მგ პისტამინის დიპიდროქლორიდის ორჯერადი შეყვანით, კანქვეშ ორჯერადი შეყვანით — 30—60 წუთიანი ინტერვალის დაცვით.

რიზის სინდრომი — ოჯახური ენცეფალოოფტალმოლოგიური დისპლაზია. მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ბადურის განვითარების ორმხრივი ანომალია, მიკროფტალმი, კატარაქტა, ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარების ანომალიები (ენცეფალოცელე, მენინგოცელე, დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქისა და ნათხემის განუვითარებლობა და ა. შ.). მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: კრაუზეს სინდრომი, რიზ-ბლოდის სინდრომი, კრაუზე-რიზის სინდრომი.

რიზ-ბლოდის სინდრომი. სინონიმები: რიზის სინდრომი (იხ.), კრაუზე-რიზის სინდრომი, კრაუზეს სინდრომი.

რიზაკის სინდრომი — სინონიმები: გლანცმან-შენჰოლცერის სინდრომი, რაბე-სალომონის სინდრომი (იხ.).

რიკოშეტის ფენომენი — წამლობის ნაადრევ შეწყვეტას (ასევე ერთბაშად შეწყვეტას) შეიძლება მოჰყვეს საერთო მდგომარეობის დამძიმება და დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების თავიდან განვითარება (მაგალითად, სალიცილატების ან სტეროიდების მოხსნისას რევმატიული პროცესის გამწვავება).

რილის კერატოზი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს ხელისა და ფეხისგულების ჰიპერკერატოზი, ასევე ფრჩხილების ფირფიტების გასქელება. მემკვიდრეობითი გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპისაა.

რილის მელანოზი, ანუ დაავადება — ომის დროის მელანოზი, რილის მელანოიდური სინდრომი, მელანოდერმია. ახასიათებს ბადისებრი მოყავისფრო, რუხი ფერის ჰიპერპიგმენტაცია, თანხვედრილი მცირე ფოლიკულურ ჰიპერკერატოზთან და კანის ღია ადგილებში ეპიდერმისის ატროფიასთან. სავარაუდოა, რომ იწვევს მზისადმი მომატებული მგრძნობელობა და ზემოქმედება. სინონიმები: სივატის დაავადება, ანუ სივატის ბადისებრი პიგმენტური პოიკილოდერმია.

რილ-პალტაუფის სინდრომი — კანის მეპეპოვანი ტუბერკულოზი,

ახასიათებს უპირატესად კიდურთა კანის გამშლელ ზედაპირზე მკვრივი, მოლურჯო-მოწითალო, ნელა მზარდი პაპულები. წარმოიშვება უმთავრესად ადამიანის კანზე გამომწვევის მოხვედრით (რომელიც უკვე იყო ავად ტუბერკულოზით). სინონიმი: ანდერსონის ვერუკოზული მგლურა.

რილეს ფიგურული წითელი კერატოზი — მემკვიდრეობითი ერითროდერმიის ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: დაავადება ვლინდება სიცოცხლის პირველ კვირეებში. კანის სხვადასხვა უბნებში ჩნდება დიდი ნათელი წითელი ლაქები — გეოგრაფიული რუკის კონტურებით, ტანზე იისფერი ან ყავისფერი ანაქერცლი, შემდგარი ჰიპერკერატოზული ზონებისაგან, ხელისა და ფეხისგულების ჰიპერჰიდროზი. სინონიმები: კომელის ხაზოვანი იქტიოზი, რილე-კომელის დაავადება, ანუ სინდრომი.

რილე-კომელის დაავადება — სინონიმები: რილეს ფიგურული კერატოზი, კომელის ხაზოვანი იქტიოზი.

რილეი-შვახმანის სინდრომი — სიარულის გაძნელება ძვლოვანი და ნევროლოგიური ცვლილებების შედეგად, რასაც თან სდევს კუნთების გენერალიზებული სისუსტე, ტერფის კლონუსი (მუესის მომატებული რეფლექსების გამო). რენტგენოლოგიურად დგინდება გრძელი ღულოვანი ძვლების სკლეროზი.

რიმბო-ჟიუსის სინდრომი — კომატოზური ენცეფალიტი. სიმპტომკომპლექსი, რომელსაც აქვს ადგილი ენცეფალიტის ზოგიერთი ფორმების დროს. ნიშნები: ცხელება, ლოკალური ან ზოგადი კრუნჩხვები, ჰემიპლეგია, ჰიპერგლიკემია, ლეიკოციტოზი, აზოტემია, ტვინის შეშუპება და პერიფერიული დემიელინიზაცია. ხშირია ლეტალური გამოსავალი.

რინგერის ხსნარი — სისხლთან იზოტონიური წყლის ხსნარი ქლორიანი ნატრიუმის, ქლორიანი კალციუმის და ნატრიუმის კარბონატისა. გამოიყენება როგორც სისხლის შემცველი ცხოველებზე ექსპერიმენტის დროს.

რინგერ-ლოკის ხსნარი — სისხლთან იზოტონური წყლის ხსნარი ნატრიუმის ქლორიდის, ნატრიუმის კარბონატისა და გლუკოზისა. გამოიყენება როგორც სისხლის შემცველი ცხოველებზე ექსპერიმენტის დროს.

რიხის ხიმპტომი — მაღალი, მეტალური ელფერის გულის ტონები, რომლებიც მოისმინება კუჭის საპროექციო მიდამოში. შეხორცებითი პერიკარდიტის არამუდმივი ნიშანია. მიზეზია პერიკარდიულ-დიაფრაგმული, ასე ე ი უცლის ღრუს შიდა შეხორცებები.

ხიჯერის დაავადება — ახალშობილთა ექსფოლიატური დერმატიტი. ახალ ობილთა მწვავე ეპიდერმოლიზი. ახალშობილთა სტაფილოდერმიის ნაირ ახეობა, რომელსაც ახასიათებს მწვავე მიმდინარეობა: კანის მთელი ზედაპირის შეწითლებით, ნახეთქების წარმოშობით, რომელიც სწრაფად იცვლება მსხვილფირფიტოვანი აქერცლით.

რიფტ-ვალის ჰემორაგიული ცხელება — ვირუსული ინფექციის წყაროა რქოსანი საქონელი. გადამტანია კოღო და მოსკიტი. ნიშნები: მწვავედ დაწყება, ცხელება, თავის ტკივილი, სახის ჰიპერემია, მიალგია, კონიუნქტივიტი, გამონაყარი, სისხლდენა ღრძილებიდან, კუჭიდან, ენცეფალიტი, ლეიკოთრომბოციტოპენია, პროტეინურია, ჰემატურია.

რიშარდ-შილინგის დაავადება — მწვავე რეტიკულოენდოთელიოზი, ნიშნები: მწვავე დაწყება, ტემპერატურის მომატება, პირის ღრუს ანთებადი — წყლულოვანი ცელილებები, კანში კვანძები (მონოციტების პროლიფერაცია), ჰემორაგიული დიათეზი, ღებინება, ფაღარათი, ანემია, ლეიკოციტოზი, მონოციტოზი (90%-მდე, ჰისტიომონოციტები, მონოციტოიდები, მონობლასტები), მიელოიდური მეტაპლაზია ღვიძლში, ელენთაში, ლიმფურ კვანძებში. პროგნოზი ცუდია.

რიჩარდსონ-ოლშევსკის სინდრომი — ოკულო-ფასციო-ცერვიკალური დისტონია. სუპრანუკლეარული პროგრესული დამბლა, ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსი თავის ტვინის ზოგიერთი უბნის დეგენერაციის შედეგად. ნიშნები: ოფტალმოპლეგია (ქვემო მომართულებით თვალის უძრაობა, ზემო მიმართულებით მოძრაობის შეზღუდულობა), ფსევდობულბარული დამბლა, დიზართრია, ინტელექტის დაქვეითება, კისრისა და ხერხემლის კუნთების რიგიდობა. პირველი ნიშნები ვლინდება 60 წლის ასაკში და ოთხ-ხუთ წელიწადში ლეტალურად მთავრდება. პათოლოგიური ცელილებები ხასიათდება ციტოლიზით, მარცელოვანი დეგენერაციითა და დემიელინიზაციით. სინონიმი: სტილ-რიჩარდსონ-ოლშევსკის სინდრომი.

რიჩარდს-რანდლის სინდრომი — კეტოაციდურია გონებრივი ჩამორჩენილობით. მემკვიდრეობითი დაავადება, სიყრუე, მეორადი სასქესო ნიშნების არასრული განვითარება, ატაქსია, კუნთოვანი ატროფია, შარდით კეტო-მჟავეების გამოყოფის მომატება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

რიხერტის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია ტელეფონის მილის ყურთან ახლოს მიტანა. ყურის ნიჟარასთან მილის კონტაქტი შეტევითი ხასიათის ყურის მწვავე ტკივილს იწვევს. სინონიმი: იაკობსონის ნერვის მტკივნეული ტიპი.

რიხერის სინდრომი — ხელისა და ფეხისგულების მემკვიდრეობითი კერატოზის ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰიპერჰიდროზი არ აღინიშნება, რქოვანას დისტროფია ეპითელიუმში დენტრიტისებრი განტოტებების წარმოშობით, რქოვანას მგრძნობელობა არ არის დაქვეითებული, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეჩერება, დაბალ ან ჯუჯისებრი სიმაღლე, ენურეზი, მრავლობითი ლიპომა. სინონიმები: რიხერ-ჰანჰარტის სინდრომი, ჰანჰარტის სინდრომი.

რიხერ-ჰანჰარტის სინდრომი — სინონიმები: რიხერის სინდრომი (იხ.), ჰანჰარტის სინდრომი.

რიხტერის სინდრომი — ქრონიკული ლიმფოლეიკოზის დროს პროგრესირებადი სიმსივნე, რომელიც მორფოლოგიურად წარმოდგენილია რეტიკულური უჯრედებით. გვხვდება აგრეთვე ჰოჯკინის დაავადების (იხ.) და რეტიკულოსარკომის დროს. კლინიკურად დამახასიათებელია ლოკალური ან გენერალიზებული მნიშვნელოვანი და სწრაფი ლიმფადენოპათიის განვითარება ქრონიკული ლიმფოლეიკოზის, როგორც გამწვავების, ისე რემისიის პერიოდში. ლიმფური კვანძები მკვრივი კონსისტენციისაა. აღინიშნება მაღალი ტემპერატურული რეაქცია, კახექსია, ზოგიერთ შემთხვევაში

ჰეპოლიზური ანემია, სიყვითლე. ლიმფური კვანძებიდან აღებულ ბიოპატში მრავლადაა ატიპური რეტიკულური უჯრედები. პროგნოზი ცუდია.

რიხტერის თიაქარი — მუცლის თიაქარის ჩაჭედება, ამ დროს ჩაიჭედება მხოლოდ ნაწლავის კედლის ნაწილი (ბადეკონის გარეშე). ელინდება საწლაეის ნაწილობრივი გაუვალობის მოვლენებით.

რობენის სინდრომი — ქვედა ყბის ჰიპოპლაზიის შეუღლება ენის განუვითარებლობასთან და ჩავარდნასთან, სასის გახლეჩასთან, რაც იწვევს ულაპვისა და სუნთქვის გაძნელებას.

რობერტსონის სიმპტომი — გულმკერდის კუნთების ფიბრილური შეკუმშვა გელის პროექციის ადგილას. შეინიშნება აგონიის დროს.

რობერტსონ-კიხარას სინდრომი — პირველადი ჰიპერრენინიზმი. პირველ რიგში ვლინდება არტერიული ჰიპერტენზით, იუკსტამედულური უჯრედების სიმსივნის შედეგად გამოწვეული რენინის ჰიპერპროდუქციის გამო.

რობინოვის სინდრომი, ანუ ნანიზმი — მემკვიდრეობითი დისქონდროპლაზიის ნაირსახეობა. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი, ნიშნები: დისპროპორციული ჯუჯისებრი ზრდა, ბრაქიმელია, ჰიპერტელორიზმი, წინ წამოწეული შუბლი, ფართო ცხვირი, ქვედა ყბის ჰიპოპლაზია. კბილების დისპლაზია, ჰიპოდონტია, კბილების განლაგების ანომალია, სასქესო ორგანოს და სათესლე პარკის ჰიპოპლაზია, კრიპტორხიზმი, კლიტორის ჰიპოპლაზია.

რობინსონის ჰიდრადენომა — რობინსონის ჰიდროცისტომა, კისტის მსგავსი საოფლე ჯირკვლები. საოფლე ჯირკვლების გამომტანი სადინარების განვითარების ანომალია დამახასიათებელი კისტოზური ღრუების წარმოშობით.

რობინსონ-მილერ-ბენსიმონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა. როგორც ჩანს, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. ნიშნები: ყრუმუნჯობა, კონუსისებრი კბილები, ნაწილობრივი ანოდონტია, ფრჩხილების დისპლაზია, ჰიპერჰიდროზი, სინდაქტილია; პოლიდაქტილია, ოფლი შეიცავს ელექტროლიტების მომატებულ ოდენობას.

რობინსონ-ფურიეს ნაწიბურები — რობინსონ-ფურიეს სიმპტომი; პირის ირგვლივ თანდაყოლილი ადრეული ათაშანგული კანის ნაწიბურები, დიფუზური პაპულოზური ინფილტრატების ადგილას.

რობინშტაინ-ტეიბისის სინდრომი — ოლიგოფრენიისა და ქონდრისკაცობის შერწყმა ჰიპერტელორიზმთან, სახის ასიმეტრიასთან, ნისკარტისებურ ცხვირთან, ანომალიურ საჭრელ კბილებთან, ჰიპერმეტროპიასთან, ასიგმატიზმთან, ხელისა და ფეხის დიდი თითების დამახასიათებელ დამოკლებასა და გასქელებასთან. არაიშვიათია ასევე ჩონჩხის და შინაგან ორგანოთა განვითარების სხვა ანომალიები.

რობლეს დაავადება — ონკოცერკოზი. იწვევს ფილარია. შუალედი პატრონია ქინქლა, საბოლოო ადამიანი. ინფექცია გავრცელებულია აფრიკაში. კანის ფორმის დროს წარმოიშობა პატარა პაპულები, რაც გარდაიქმნება პუსტულებში, რომლებიც წყლულდება. მათ ირგვლივ კანი გახეებულია და შეკმუხნილია (შაგრენის ტყავი). მიკროფილარიების თვალში მოხვედრისას ჰიგმენტული შრის ატროფია და პარენქიმული კერატიტი. მოზრდილი

პარაზიტი ბუდობს კანქვეშა შრეში, იწვევს დიდი კვანძის წარმოშობას (მტრედის კვერცხის ოდენობით), უფრო ხშირად მუხლისა და იდაყვის სახსრის მიდამოში. კვანძი უმტკივნეულოა და იშვიათად, რომ დაჩირქდეს.

როგორ ურთიერთობა — პაპულოზურ-ნეკროზული მორეციდივე ურთიერთობა. დისმენორეული სიმეტრიული დერმატიტი. ეტიოლოგია უცნობია. გვხვდება ახალგაზრდა ქალებში მენსტრუაციის არასწორი ტიპით, სქესობრივი მომწიფების პერიოდში. სავარაუდოა ენდოკრინული და ნეიროტროფიკული დარღვევების მნიშვნელობა. მიმდინარეობს მწვავედ. გამონაყარი ალინიშნება სიმეტრიულად სახესა და ხელებზე და ვითარდება სულ რამდენიმე საათში. ერითემატოზულ-პროლიფერაციულ ცვლილებებს ემატება ეპიდერმისის ნეკროზი. რამდენიმე დღეში ვითარდება შეხორცება. შედეგად რჩება პიგმენტაცია. იხ. სინონიმები: ბენიე-რენოს განგრენოზული ურთიკარია, ვეიდენფელდის ისტერიული პემფიგუსი, დრაიერ-ველშის აკნე, მატცენაუერ-პოლანდის სინდრომი.

როვირალტის სინდრომი — ფრენიკოპილორუსის სინდრომი. დიაფრაგმისა და კუჭის თანდაყოლილი, შესაძლოა, მემკვიდრეობითი, ანომალიები: ნიშნები: სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე, ძლიერი სპასტიკური ღებინება სისხლის მინარევით, ყლაპვის გაძნელება, განავალში დადებითი რეაქცია ბენზიდინზე. რენტგენოლოგიურად რეფლუქს-ეზოფაგიტი, დიაფრაგმული თიაქარი, პილორუსის ჰიპერტროფიული სტენოზი.

როზინგის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება ბრმა ნაწლავის მიდამოში ილიოცეკალური არეს ბიძგისებრი ბალპაციისას. აღინიშნება მწვავე აპენდიციტის დროს.

როზანოლის სინდრომი — ახასიათებს ცხიმოვანი ცელისა და თანდაყოლილი სქესობრივი დარღვევები (ფრელიხის ადიპოზოგენიტური დისტროფიის მსგავსად), პიგმენტური რეტინიტი, სინდაქტილია ან პოლიდაქტილია, გონებრივი განუვითარებლობა (ოლიგოფრენია). აღინიშნება განვითარების მრავალი სხვა დეფექტიც: თვალის მხრივ (სიბრმავე), გულის თანდაყოლილი მანკები, ორმხრივი ჰიდრონეფროზი, თავის ქალას დეფორმაცია, სმენის დაქვეითება, სიყრუე, ქვემო კიდურთა სპასტიკური დამბლები, სახსრებში მოძრაობის სიფართის შემატება, მემკვიდრეობითი დიენცეფალურ-რეტინული დეგენერაცია. სინონიმები: ლორენსის სინდრომი, ჰეტჩინსონის სინდრომი, მუნის სინდრომი, ბარდეს სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-როზანალის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლის სინდრომი, ბარდე-ლორენს-ბიდლ-ბიმონის სინდრომი, ბარდე-ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ჰეტჩინსონის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეს სინდრომი, ბიმონდის სინდრომი.

როზენბახის კანონი — თანმიმდევრობა, რომლის თანახმად ნერვული სისტემის დაავადებათა დროს გამშლელი კუნთები უფრო ადრე ზიანდება, ვიდრე მომხრელი.

როზენბახის სიმპტომი — I ავადმყოფს არ შეუძლია შეასრულოს ექიმის მითითება, რომ შეუყოვნებლად დახუჭოს თვალები. დამახასიათებელია ნევრასთენიისათვის.

როზენბახის სიმპტომი II — თვალის მსუბუქად დახუჭვისას ალინიშ-

ნება ქუთუთოების ტრემორი. დამახასიათებელია თირეოტოქსიკოზისთვის, სახის ნერვის ნაწილობრივი დამბლისათვის, ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა ფუნქციური და ორგანული დაზიანებისათვის.

როზენბახის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. დამახასიათებელია პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევები, მკაფიოდ გამოხატული ქოშინი, ტკივილი მახვილისებრ მორჩს ზემოთ და საერთო სისუსტე.

როზენბახ-ბეიკეროს დაავადება — ერიზიპელოიდი. დაავადება გადადის დასნებოვნებულ ხორცთან, თევზთან, ცხოველთან ან ფრინველთან კონტაქტით. უველაზე ხშირად ავადდებიან სასაკლაოს მუშაკები, ვეტერინარები, მზარეულები და ა. შ. ლოკალიზაცია ხდება ძირითადად ხელის თითებზე.

როზენბერგის სიმპტომი — ენანთემების წარმოშობა რამდენიმე მუქი წითელი წერტილოვანი ლაქების სახით რბილი სასის ლორწოვან გარსზე, ენასა და წინა ნაწში პარტახტიანი ტიფით დაავადების მესამე დღეს. სინონიმი: როზენბერგ-ვინოკუროვ-ლენდორფის სიმპტომი.

როზენბერგ-ვინოკუროვ-ლენდორფის სიმპტომი — სინონიმი: როზენბერგის სიმპტომი (იხ.).

როზენბერგ-ჩუტორიენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური ან რეცესიული. ნიშნები: ადრე ასაკში გამოხატული სმენის დაქვეითება სიყრუემდე, მეტყველების განვითარების შეჩერება ან ყრუ-მუნჯობა, სამი-ხუთი წლის ასაკში იწყება სიარულის დარღვევა და ქვედა კუნთების კიდურთა ატროფია, სიმწიფემდე ატროფირდება კიდურის მთელი დისტალური კუნთები, ოცი წლიდან იწყება მხედველობის ნერვის თანდათანობითი ატროფია. კუნთების ბიოფსიით ნეიროგენული ატროფია, დემიელინიზაცია. სინონიმი: ტეილორ-როზენბერგ-ჩუტორიენის სინდრომი.

რ ₁ზენთალის დაავადება, ანუ სინდრომი — მემკვიდრეობითი C ჰემოფილია, PTA დეფიციტი, ანუ სისხლში როზენთალის ფაქტორის უკმარისობა, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: უმნიშვნელო ტრავმის გამო ადვილად ვითარდება სისხლდენა ცხვირიდან, უფრო ძლიერი სისხლდენა ოპერაციის ან კბილის ამოღების შემდეგ, ჰიპერპოლიმენორეა, სისხლჩაქცევები კანში ან სახსრებში არ აღინიშნება, სისხლში თრომბოციტების რაოდენობა და ფუნქცია ნორმალურია. შედედების დროს უმნიშვნელო გახანგრძლივება, თრომბოკინაზის რეგენერაციის დარღვევა, რეკალციფიკაციის დრო გახანგრძლივებულია. დაკავშირებულია სისხლში თრომბოპლასტინის პლაზმური წინამორბედის (როზენტალის ფაქტორის) უკმარისობასთან. სინონიმია PTA — სინდრომი (თპწ — სინდრომი).

როზენთალის ლეიკოდისტროფია — სინონიმი: ალექსანდერის დაავადება III (იხ.).

როზენთალის ხიჯი — სპირომეტრიული მრუდი. ყოველ 15 წამში 4—5-ჯერ ისაზღვრება ფილტვების სასიცოცხლო მოცულობა. ნორმაში მისი მაჩვენებელი არ იცვლება, ანდა მატულობს. მის განსაზღვრას, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გარეგანი სუნთქვის ფუნქციის შეფასებაში.

როზენთალ-კლეპფერის სინდრომი — ოჯახური პაქიდერმოპერიოსტოზი. მემკვიდრეობითი ანომალიების თანაარსებობა. გადაცემის ტიპი

აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: რქოვანას ლეიკომები, თითების ანაბეჭდების თავისებური სურათი, აკრომეგალიის ნიშნები, კანის დაზიანება.

როზენბეიმის სიმპტომი I — მუცლის ფარის ხახუნის ხმა, რომელიც შოისმინება მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში შეხორცებითი პერიკარდიტის დროს.

როზენბეიმის სიმპტომი II — ძლიერი, ღრმა ტკივილი მარცხენა ნეკნთა რკალის შოულოდნელად და სწრაფად გარეთ გამოწვევისას. დამახასიათებელია კუჭის მიდამოში შეხორცებების არსებობისას.

როზე-ნილენის სიმპტომი — თავის დაბლა დახრისას აღინიშნება ნესტაგმი. დამახასიათებელია თავისქალას — შიდა ჰიპერტენზიისათვის. სინონიმი: ნილენ-როზეს სინდრომი.

როზენ-კასტლმენ-ლიბოვის სინდრომი — სინონიმები: როზენის სინდრომი (იხ.), ლიბოვის სინდრომი.

როზენის სინდრომი — ფილტვის ალვეოლების პროტეინოზი. პნევმოფსევდოფიბროზის გამოვლინება. ნიშნები: ხველება, ლორწოვანი ნახველი, ქოშინი, ჰემოპტოე, ტკივილი გულმკერდში, გახდომა, დისტროფია, ციანოზი, დოლის ჩხირისებრი თითები, ფილტვების ქვედა წილში კრეპიტაცია ან სველი ხიხინი, რენტგენოლოგიურად — ორმხრივი სიმეტრიული დაჩრდილვა, დამახასიათებელია პროცესის მიგრაცია. სინონიმები: ლიბოვის სინდრომი, როზენ-კასტელმენ-ლიბოვის სინდრომი.

როზეს სიმპტომი — ანუ გლუტეალური ფენომენი — დუნდულოს დიდი ცალკეული ბოჭკოების ფიბრილიზაცია და ტოკვა სამედიცინო ჩაჭუჩით გავას კიდეებზე დარტყმების დროს. გავა-წელის რადიკულიტის ნიშანი.

როზეს თავის ტეტანუსი — იხ. როზეს ტეტანუსი.

როზეს ტეტანუსი — სახის ტეტანუსი — ტეტანუსის კლინიკური ფორმა. ვითარდება, როცა ინფიცირება ხდება თავის ან კისრის ჭრილობიდან. გამოვლინდება სახის ნერვის დამბლით დაზიანებულ მხარეს. სინონიმები: იანინის ტეტანუსი, კლემის ტეტანუსი, ჟანეს ტეტანუსი.

როთმან-მაკაის სინდრომი — როთმან-მაკაის სპონტანური პანიკულიტი — არაჩირქებადი, მორეციდივე, ცხელებადი პანიკულიტის ვარიანტი. ხასიათდება მის გარეშე მიმდინარე კვანძების სწრაფი ინვოლუციით, სადაც ადგილი არა აქვს ცხიმოვანი ქსოვილის ნაწიბუროვან ატროფიას.

როთმუნდის დისტროფია, ანუ დაავადება — სინდრომი — კანის მეზოკვიდრეობითი ატროფია. ტელანგიექტაზური დერმატოზი კატარაქტით. ოჯახური ატროფიული პოიკილოდერმია. კანის თანდაყოლილი დისტროფია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სიცოცხლის პირველ თვეებში კანი ღებულობს მარმარილოს ელფერს. ცელილებები იწყება ნიკაპიდან. შემდეგ კანი ხდება მოყავისფრო-წითელი და მოყვითალო, ოთხი-ექვსი წლის ასაკში ვითარდება ორმხრივი კატარაქტა, გათეთრება, აქერცლილობა, ფრჩხილების დისტროფია, კბილების განვითარებისა და სეკრეციის დარღვევა, თირკმლების ჰიპოპლაზია, მეორადი სასქესო ნიშნები სუსტადაა განვითარებული, ე. წ. იუვენილური ათეროსკლეროზი, ჯუჯასებრი სიმაღლე. სინონიმები: როთმუნდ-ვერნერის დაავადება, თომსონის დაავადება, როთმუნდ-თომსონის სინდრომი.

როთმუნდ-ვერნერის დაავადება — ანუ სინდრომი — სინონიმები: თომსონის დაავადება (იხ.), როთმუნდ-თომსონის სინდრომი.

როთმუნდ-თომსონის სინდრომი — სინონიმი: როთმუნდ-ვერნერის დაავადება, როთმუნდის დაავადება, თომსონის დაავადება.

როთშილდის სიმპტომი I — მკერდის ძვლის კუთხის გასადავება და მისი გადაშტებული მოძრაობა ამ მიდამოში. შესაძლოა ადგილი ექნეს ფილტვების ტუბერკულოზის დროს.

როთშილდის ნიშანი II — წარბების გარე ნაწილის დაცვენა. შესაძლოა აღინიშნოს ჰიპოთირეოზის დროს. (სინონიმი: რეტი-როთშილდის სიმპტომი.

როიას სინდრომი — პაქიდერმოპერიოსტოზის ნაირსახეობა. სავარაუდოა მემკვიდრეობითი გენეზი. ნიშნები: ჭუთუთოების ჰიპერტროფია მეორადი ფტოზით, კონიუნქტივიტი, წამწამების დაცვენა, ტელანგიოექტაზიები, თავის კანის ცვლილება, ფეხისა და ხელისგულების ძვლები გასქელებულია, რენტგენოლოგიურად — ძვლების ფიბროზი.

როკის სიმპტომი I — ანიზოკორია ფილტვის მწვერვალის ტუბერკულოზის დროს, პროცესის მხარეზე გუგა გაფართოებულია.

როკის სიმპტომი II — მარცხენა თვალის გუგის გაფართოება კლოდ ბერნარის ტრიადის სხვა სიმპტომებთან ერთად. გვხვდება აორტის გაფართოებისა და ენდოკარდიტების დროს.

როკის სიმპტომი III — მარცხენა მხრივი ენოფთალმი თვალის ნაპრალის შეეიწროებით, გუგის გაფართოებით (ამ უკანასკნელით განსხვავდება კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომისაგან) აღწერილია აორტის გაფართოებისა და ენდოკარდიტის დროს.

როკის სინდრომი — პნევმოსკლეროზისა და კორონარული ათეროსკლეროზის შერწყმა და პარალელური განვითარება ხანდაზმულთა შორის. ნიშნები: ხველება, მომატებული ნახველი, ქოშინი, დაძაბვისა და მოსვენების სტენოკარდია, გულის მარცხენა და მარჯვენა პარკუჭების უკმარისობა.

როლეს სინდრომი — ნევროლოგიური და ვაზომოტორული სიმპტომების კომპლექსი ავადმყოფებში რომელთაც აქვთ ანთება, სიმსივნე ან სისხლჩაქცევა თვალბუდის ზედა ნაწილში. ნიშნები: ოფტალმოპლეგია, პტოზი, დიპლოპია, ეგზოფტალმი, მხედველობის ნერვის ნევრიტი და ატროფია, მხედველობის ველების გამოვარდნა, შუბლის კანის ჩქოვანისა და ზედა ქუთუთოს ჰიპერ ან ანესთეზია. მოგვიანებით ვითარდება ვაზომოტორული დარღვევები.

რომანის სიმპტომი — ოკულო-გლანდულარული სინდრომი — ცალმხრივი ან ორმხრივი კონიუნქტივიტი, ხშირად შეუღლებული დაკრიოცისტიტთან, თანხვედრილი ქუთუთოს შეშუპებასთან და სახის შეშუპებასთან. ამერიკული ტრიპანოსომოზის ნიშანი, რომლის მიზეზია გამომწვევი აგენტის კონიუნქტივიდან შეჭრა.

რომანოვის სიმპტომი — ტკივილი მკერდის უკან და ბექთაშუა არეში, რომელიც ძლიერდება ყლაპვის და თავის უკან გადაგდების დროს. მედიასტინიტის ნიშანი.

რომანო-უორდის სინდრომი — გულის მემკვიდრეობითი ანომალიები ბავშვებსა და ახალგაზრდებში. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ნიშნები: გულის წასვლა (გამოწვეული პარკუჭთა თრთოლვითა და ციმციმით, რისი მიზეზიცაა მიოკარდიუმის ასინქრონული რეპოლარიზაცია). ელექტროკარდიოგრამაზე აღინიშნება QT ინტერვალის მნიშვნელოვანი გახანგრძლივება. შეტევის დროს შესაძლოა სიკვდილი.

რომბერგის მდებარეობა — (პოზა) გამოსაკვლევი პირის მდებარეობა, რომლის დროსაც იგი დგას მყარად მიბჯენილი ტერფებით და წინ გაწეული ხელებით. გამოიყენება წონასწორობის განსასაზღვრავად.

რომბერგის სიმპტომი — (ანუ ფენომენი) არამდგრადობა, ქანაობა, გადახრისადმი ანდა წაქცევისადმი ტენდენცია რომბერგის მდგომარეობაში (იხ.), რაც ძლიერდება თვალების დახუჭვისას. სტატიკური ატაქსიის ნიშანი.

რომბერგის ტროფონევროზი — სახის ჰემიატროფია. სახის პროგრესირებადი ჰემიატროფია. სახის ცალმხრივი მემკვიდრეობითი პროგრესირებადი ატროფია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: თანდათანობით, სახის ცალ მხარეზე ატროფირდება კანი, კანქვეშა ქსოვილი, კუნთები და მოგვიანებით ძვლები, ჰომოლატერალურად ბგერითი იოგი, ენისა და ხორხის ნახევარი. ხდება დაავადებულ მხარეზე თმის წამწამისა და წარბის დაცვენა. სინონიმები: რომბერგის სინდრომი, ანუ რომბერგის დაავადება, ჰერც-რომბერგის სინდრომი.

რომბერგ-პესლერის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება მუცლის ღრუს ორგანოთა სისხლძარღვების მოულოდნელი გაფართოების შემთხვევაში. ნიშნები: არტერიული ჰიპოტენზია, ტაქიკარდია, შუილი ყურებში, უგონო მდგომარეობა.

როეეს დაავადება — გულის თანდაყოლილი მანკი: პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი მის კუნთოვან ნაწილში. ეს იწვევს სისხლის გადასროლას მარცხენა პარკუჭიდან — მარჯვენაში. სინონიმი: ტოლოჩინოე-როეეს დაავადება, როეე-ტოლოჩინოეის დაავადება.

როეეს შუილი — როეეს დაავადების დროს მარცხნივ მესამე-მეოთხე ნეკნთაშუა არეებში მკერდის ძვალთან მოისმინება ძლიერი, გახანგრძლივებული, მძაფრი უხეში შუილი, რომელსაც, როგორც წესი, თან სდევს კრუტუნის მსგავსი ხმა. სინონიმი: კერნერ-როეეს შუილი.

როეე-ტოლოჩინოვის დაავადება — სინონიმები: როეეს დაავადება (იხ.), ტოლოჩინოვ-როეეს დაავადება.

როზენ ერითრობლასტოზის ფორმა — ვითარდება ზომიერი პოლილიმფადენოპათია და ჰეპატოსპლენომეგალია. ჰემოგრამაში — ანემია მეგალოციტოზით, ზომიერი ლეიკოციტოზი ან ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, ერითრობლასტოზი. ძვლის ტვინში გვხვდება ავთვისებიანი სიმსივნისათვის და სარკომისათვის დამახასიათებელი ოთხი ან ხუთ ბირთვიანი უჯრედები (ე. წ. „კიბოს“ უჯრედები), აქედან მისი მეორე სახელწოდებაა სისტემური ერითრობლასტოზის სიმსივნური ფორმა. პროგნოზი ცუდია.

როსბახის სინდრომი — მახვილისებური მორჩის თავზე ტკივილის შეტევების თანხვედრა ღებინებასთან, გამოწვეული კუჭის პაროქსიზმული ჰიპერსეკრეციით, აღინიშნება, მაგალითად, კუჭის წყლულის, მწვავე ქოლეცისტიტის დროს. წინათ განიხილებოდა როგორც დამოუკიდებელი დაავადება.

როხის დაავადება — რიკეტსიული ყვავილი. ადამიანის ინფიცირება ხდება ტკიპის კბენის შედეგად. გამომწვევის რეზერვუარია სახლის თაგვი. დაავადება გვხვდება ჩრდილო ამერიკაში. ინკუბაციური პერიოდი 1—2 კვირა. ამის შემდეგ ნაკბენის ადგილზე გამონაყარი — პაპულა, რომელიც იზრდება 1—1,5 სმ-მდე. მის თავზე ჩნდება ვეზიკული, რომელიც შემდეგ ჩირქდება და გადადის შავ პუსტულაში. რამდენიმე დღეში ამას ემატება ტემპერატურა, თავისა და კუნთების ტკივილი, შემცივნება, რაც გრძელდება ერთ კვირას. გამონაყარი ერცელდება; ცალკეული ელემენტი ერთ კვირაში განიცდის ევოლუციას, როგორც ყვავილის დროს. ნაწიბური არ რჩება.

როხის სინდრომი I — უნივერსალური ანჰიდროზი. სეგმენტური ჰიპოჰიდროზი. სიმფატიკური ნერვული სისტემის დარღვევათა კომპლექსი. ნიშნები: ცალმხრივი პუპილოტონია, მუხლისა და კვირისთავის რეფლექსთა დაქვეითება ან გაქრობა. რამდენიმე წლის მერე — სისუსტე, თავის მორეციდივე ტკივილი, ფიზიკურ დატვირთვაზე სახის ძლიერი გაწითლება, ადგილობრივი ანჰიდროზი — სხვაგან პირიქით, დაღლილობა, ტაქიკარდია, ტაქიპნოე, ტემპერატურა ფიზიკური გარჯის შემდეგ. დასაშვებია სინდრომის შემკვიდრეობითი გენეზი.

როხის სინდრომი II — პტერიგოართრომიოდისპლაზია. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: საფრენი აპკის პტერიგიები კისერსა და კიდურებზე, ღიმფანგიექტატიკური შეშუპება, სინ—და კლინოდაქტილია, დისკრანია სახსართა ანკილოზი, კუნთების ჰიპოპლაზია, საერთო ოსტეოპოროზი და ძვლების დეფექტები, ინტელექტის დაქვეითება.

როსკამის ანგიიტი — დისემინირებული ალერგიული ანგიიტი, კანიბა და ლორწოვანი გარსის ვასკულიტის ფორმა, შეუღლებულია სპონტანურ სისხლჩაქცევებთან და სისხლდენებთან (მაგ. ცხვირიდან), გაპირობებული კაპილარის კონსტიტუციური მტვრევადობით .

როსოლიმოს თითის რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ფეხის თითების ბალიშებზე წყვეტილ დარტყმებისას — თითების სწრაფი მოხრა ფეხისგულისაკენ.

როსოლიმოს ნევრიტი — დეკერინ-სოტას ნევრიტის (იხ.) ჰიპერტროფიული ფორმაა, გვხვდება ბავშვთა ასაკში და ახასიათებს რეციდივული მიმდინარეობა.

როსოლიმოს რეფლექსი — მწოლიარე ავადმყოფის ყველა სახსარში ოდნავ მოხრილი ფეხის მე-2, მე-5 თითების საბოლოო ფალანგების ტერფისმხრივი ზედაპირის რბილ ნაწილებზე ხელის თითებით ან ჩაქუჩით მსუბუქი დარტყმების საპასუხოდ ადგილი აქვს ყველა თითის ან მე-2, მე-5 თითების სწრაფ მოხრას ტერფისაკენ. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანების დროს და შედეგია კუნთთა ნორმალური ღრმა რეფლექსების გაძლიერებისა. ამის გამო, ბაბინსკის პათოლოგიური რეფლექსისგან (იხ.) განსხვავებით, პირამიდული გზების დაზიანების მწვავე პერიოდში რეფლექსური რკალის დათრგუნვის შემდეგ როსოლიმოს რეფლექსი მეტწილად არ გვხვდება და თავს იჩენს ღრმა რეფლექსების გაძლიერებისას.

როტატორებული ტერფის ნიშანი — ტერფის არასრულ მდგომარეო-

ზაში დაბრუნება, როცა ცენტრალური დამბლის მხარეს მოხდება მისი როტატირება გარეთა მხარეს. აღენიშნება ავადმყოფს კომატოზურ მდგომარეობაში. სინონიმი: ბოგოლეპოვის სიმპტომი II.

როტ-ბილშოვსკის სინდრომი — თვალის კაკლების ნებაყოფლობითი გვერდითი მოძრაობის მყარი დამბლა, მათი რეფლექსურ მოძრაობათა შენახვით. გვხვდება თვალის მამოძრავებელი ნერვების ფსევდობულბარული დამბლის დროს.

როტერ-ერბის სინდრომი — შემაერთებელი ქსოვილის დისპლაზია. ნიშნები: დაბალი ან ჯუჯისებრი სიმაღლე, სახსრების თანდაყოლილი სისუსტე მრავლობითი ამოვარდნილობებით, ასევე ეპიფიზების მრავლობითი ამოვარდნილობებით, ეპიფიზების მრავლობითი დის-ან ეპლაზია, ბრაქიმეტაპლაზია, ბრაქიმეტაკარპია, ბრაქიმეტატარზია, კიფოსკოლიოზი, ხერხველის და თავის ქალას დისპლაზია, ბრაქიცეფალია, თხელი ძვლები, ტერფის ანომალია, ძვლებისა და კუნთების ორგანული ან გენერალიზებული ატროფია, გრძელი ძვლების დისპლაზია, შინაგან ორგანოთა მრავლობითი ანომალიები. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ან (უფრო იშვიათად) დომინანტური ტიპი.

როტის კუნთთა ხმობა — მიოპათია. დამახასიათებელია კუნთთა პროგრესულად მიმდინარე განლევა ჩვეულებრივ სიმეტრიული, უპირატესად კიდურთა პროქსიმალურ ნაწილებში. სინონიმი: ერბის დაავადება.

როტის სიმპტომი — ქურთუკის და ნახევარქურთუკის სიმპტომი — ტკივილისა და ტემპერატურული მგრძნობელობის დისოციირებული დარღვევა ტანსა და კიდურებზე, რომლის ზონა კონფიგურაციით მოგვაგონებს ქურთუკს ანდა ნახევარქურთუკს. სირინგომიელიის ნიშანია, გამოწვეული უკანა რქების დაზიანებით და ზურგის ტვინის თეთრი ნაწიბურით კისრის ქვედა, გულ-მკერდის ზემო სეგმენტების დონეზე.

როტის სინდრომი — ბარძაყის კანის გარეთა ნერვის ნევრალგია. ხასიათდება ტკივილით და პარესთეზიით — სითბოს, სიცივის ან გახეევების შეგრძნებით ბარძაყის წინა გარეთა ზედაპირზე. განსაკუთრებით გამოხატულია სიარულისა და ფეხზე დგომის დროს. ობიექტურად შეიძლება ჰიპერესთეზიის კერის აღმოჩენა ბარძაყის წინა გარეთა ზედაპირზე. უკავშირებენ ნერვის დაზიანებას ტრავმის შედეგად მისი ფასციაში გავლის მიდამოში. გვხვდება აგრეთვე ინფექციის, ინტოქსიკაციისა და წელის მალების დეფორმული სპონდილოზის დროს.

როტორის სინდრომი — იდიოპათიკური ჰიპერბილირუბინემია, მეჩვიდრეობითი ჰიპერბილირუბინემია. გადაცემის წესი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: კანისა და ლორწოვანი გარსის ქრონიკული სიყვითლე ან მოყვითალო ელფერი, ელენთა და ღვიძლი არ არის გადიდებული, ჰიპერბილირუბინემია (რეაქცია პირდაპირი) ბილირუბინურიით, ღვიძლის სინჯები ნორმალური. რენტგენოლოგიურად — ქოლეცისტოგრამაზე ნაღვლის ბუშტი ხშირად არ ისახება.

როული-როზენბერგის სინდრომი — მილაკების მიერ ამინომჟავების რეაბსორბციის მემკვიდრეობითი დარღვევების სიმპტომოკომპლექსი. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: ელინდება

ორი წლის ასაკამდე ზრდის შეფერხებით. სიმპტომები: კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის გაქრობა, კუნთების მეძუნოება, მორეციდიუე პნევმონია ატელექტაზებით, ფილტვისმიერი გულის ნიშნები, ჰიპერამინოაციდურია, შარდში მომატებულია არაესტერიფიცირებული ცხიმოვანი მჟავები. კუნთების ბიოფსიით — კოლაგენის მომატება, განივზოლიანობის წაშლა, დიფუზური ცხიმოვანი ინფილტრაცია, პროგნოზი მძიმეა.

როტჩის სიმპტომი — გულის აბსოლუტური მოყრუების საზღვრის მკერდის ძვლიდან მარჯვნივ ნეკნთაშუა არეში გადანაცვლება. ექსუდატიური პერიკარდიტის ნიშანია.

როჩას სიმპტომი — მარცხენა თვალის გუგის გაფართოება. ადგილი აქვს ენდოკარდიტებისა და აორტის გაგანიერების დროს.

რომბ-ლერის ლიპომატოზი — შემოფარგლული სიმეტრიული ლიპომატოზი — ლიპომატოზის ფორმა, რომელიც ხასიათდება მრავლობითი ან ერთეული, სიმეტრიულად განლაგებული ლიპომატოზური კვანძების წარმოშობით ბარძაყის, მხრის, მუცლის და წელის მიდამოში.

რუდის სინდრომი — ქსეროდერმული ოლიგოფრენია, დისკერატოზული ოლიგოფრენია, ოლიგოფრენიის ინფანტილიზმთან და იქტიოზთან, კრუნჩხვით შეტევებთან, მხედველობის დაქვეითებასთან, კუნთების ტონუსის მომატებასთან, ჰიპერრეფლექსიასთან შერწყმა. გაპირობებულია ორსულობის დროს დედის ორგანიზმისათვის რეტინოლის და კაროტინის არასაკმარისი მიწოდებით.

რუკერის სიმპტომი — გვხვდება გაფანტული სკლეროზის დროს. ოფტალმოლოგიურ სურათში ვენოზური ცვლილებებია: მხედველობის ნერვის დვრილთან ახლოს აღინიშნება პერივენური ცვლილებები (პერიფლებიტი), მცირე ზომის ჰემორაგიებთან ერთად.

რულეს დაავადება — რეტიკულოსარკომა. ხასიათდება ლიმფური კვანძების გადიდებით უმთავრესად საბარდულის, იღლიისა და კისრის, მათი ერთმანეთთან შეზრდით (არა ქსოვილებთან), პაკეტების წარმოქმნით სხვა ორგანოებში მეტასტაზებით, სიცხიანობით, გახდომით, ელენთის მკვეთრი გადიდებით. ჰისტოლოგიურად აღინიშნება ლიმფოიდური ქსოვილის სარკომატოზული პროლიფერაცია ლიმფურ კვანძებსა და ელენთაში. მიეკუთვნება ბშვიათ დაავადებათა რიცხვს .

რულფის ინტენციური კრუნჩხვა — მოძრაობითი მოშლილობის ნაირსახეობა. წარმოიშობა ქერქულ-ქერქქვეშა ბირთვებში. ვითარდება ბავშვებში. მოსვენებული მდგომარეობის მერე უცაბედი შეტევითი ინტენსიური კანკალი, სწრაფად გადადის ტონურ კრუნჩხვაში და ვრცელდება სხეულის ერთ მხარეს, სიმპტომები ყოველთვის ვლინდება მოძრაობის დასაწყისში.

რუმპელ-ლეედეს სიმპტომი — ლახტის სიმპტომი — მხარზე და წინამხარზე პეტექიების წარმოშობა — მხარზე ხანმოკლე დროით ლახტის ან სფიგმომანომეტრის რეზინის მანჟეტის დადებისას (მაჯა ამ დროს არ ქრება): აღინიშნება კაპილარებისა და პრეკაპილარების მომატებული განვლადობის ან მსხვრევადობის დროს, მაგალითად, გახანგრძლივებული ენდო-

ქარდიტის დროს. სინონიმი: კონჩალოვსკის სიმპტომი, კონჩალოვსკი-რუმპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედე-სტეფანის სიმპტომი.

რუმპელ-ლეედე-სტეფანის სიმპტომი — სინონიმები: კონჩალოვსკი-რემპელ-ლეედეს სიმპტომი, რუმპელ-ლეედეს სიმპტომი (იხ.), კონჩალოვსკის სიმპტომი.

რუმპფის სიმპტომი I — კუნთთა ტონური და კლონური შეკუმშვები ფარადიული დენით მათი ძლიერი გაღიზიანების შეწყვეტის მერე. აღწერილია პოსტტრავმული ნევროზის დროს.

რუმპფის სიმპტომი II — მაჯისცემის გახშირება, არტერიული წნევის მომატება, ზოგჯერ ციანოზი და ოფლდენა სახეზე მტკივნეულ მიდამოზე ზეწოლისას.

რუნიონ-პებერდენის დაავადება — სტენოკარდია, გულის იშემიური დაავადების ფორმა, ახასიათებს ანგინოზური ტკივილი წამებიდან 20 წუთამდე ხანგრძლივობით (შეიძლება მეტი ხნითაც). სინონიმები: ჰებერდენის დაავადება, ესლერის ასთმა.

რუსაკოვის არასრულყოფილი დესმოგენეზი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომლის საფუძველია კოლაგენურ სტრუქტურათა არასაკმარისი განვითარება ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაში. გამოვლინდება კანის, სისხლძარღვთა დაზიანებით, სახსართა მოშვებულობით, ჩვეული ამოვარდნილობებით. სინონიმი: ელერს-დანლოსის სინდრომი.

რუსანოვის სინჯი — ფუნქციური შეფასების სინჯი კიდურის სისხლით მომარაგების კოლატერალური საკმარისობის განსაზღვრისათვის, რომლის დროსაც ადარებენ მაჯის ან ტერფის აქტიურად მოძრაობის ხანგრძლივობას მაგისტრალურ სისხლძარღვზე ხელის დაჭერამდე და მის შემდეგ.

რუსეთის ენცეფალიტი — ტკიპისმიერი ენცეფალიტი. გაზაფხულ-ზაფხულის ენცეფალიტი. მწვავე არბოვირუსული დაავადება. ნიშნები: მწვავე დაწყება, შემცივნება, ცხელება, თავისა და მთელი სხეულის ტკივილი, ღებინება, ბრადიკარდია, ჰიპოტენზია, პნევმონია, ენის კანკალი; ყაბზობა; პროტეინურია, მენინგიალური ან მენინგოენცეფალიტური, პოლიმიელიტური მოვლენები. სინონიმები: ტაიგის ენცეფალიტი, შორეული აღმოსავლეთის ენცეფალიტი.

რუსეკის მუხლის რეფლექსის მერყევი ტიპი — მუხლის რიტმული საქანელასებრი რეფლექსი, რომელიც ტერფისა და მუხლის რეფლექსის გამოწვევისას ამპლიტუდაში მცირდება რხევითი მოძრაობები. აღინიშნება ნათხემის ჰიპოტონიის შემთხვევაში. სინონიმი: ტომას რეფლექსი.

რუსეკის სიმპტომი — კუნთთა ტონუსის დაქვეითების გამო ავადმყოფის პირის ორივე კუთხის აწევისას დაზიანების მხარეზე უფრო ადვილად და მაღლა აიწევს. აღინიშნება სახის ნერვის დამბლის დროს.

რუსი-კორნილიას სინდრომი — პროგრესული ჰიპერტროფიული ნევრიტი მოზრდილებში. ფეხისა და ხელისგულების მგრძნობელობისა და ვეგეტატიური ინერვაციის გარდამავალი დარღვევები. ნერვულ ღეროებზე გაჟექელებები, კუნთების მოტორიკის დარღვევა და ატროფია, ტერმინალურ სტადიებში დამბლები, შარდისა და განავლის შეუკავებლობა, იმპოტენცია, ზურგტვინის სითხეში ცილის ზომიერი მომატება.

რუსი-ლევის დაავადება ანუ სინდრომი — სპინოცერებლარული ატაქსიის მემკვიდრეობითი ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ატაქსია სიარულის დაწყების პირველსავე ცდებისას, ტერფის ანომალია, ხერხემლის სკოლიოზი, წვივის კუნთების ატროფია, მყესთა რეფლექსები ხელსა და ფეხებზე არ არის, დარღვეულია ღრმა მგრძნობელობა, ხელის კოორდინაციის დარღვევა, პუპილოტონია, თანდაყოლილი სტრაბიზმი, კატარაქტა, ოლიგოფრენია.

რუსი-ლევის სიმპტომი — ხელისგულის აპონევრიზის კონტრაქტურა სირინგომიელიის დროს.

რუსი-ლერმიტ-შელვენის სინდრომი = ტეტრაპლეგიის ან ქვედა პარაპლეგიის შერწყმა პროპრიოცეპტიკურ დარღვევასთან როცა შენარჩუნებულია ტკივილისა და ტემპერატურის მგრძნობელობა, ამ დროს მოძრაობის კოორდინაცია დარღვეულია. ადგილი აქვს ატაქსიას, ასინერგიას. აღინიშნება ზურგის ტვინის უკანა რქებისა და სვეტების დაზიანების დროს.

რუსტის დაავადება, ანუ სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც უყალიბდება ავადმყოფებს კისრის ზედა ორი მალის დაშლის დროს (ტუბერკულოზი, სიმსივნის მეტასტაზი). ნიშნები: ტკივილი კეფაში, კისრის უკანა კუნთების რიგიდობა, შესივება სუბოქციპიტალურ მიდამოში, ავადმყოფს უჭირს თავის გაჩერება ჩვეულ მდგომარეობაში, სამწვერა ნერვის ნევრალგია, ენისქვეშა ნერვის დამბლა — ენის ატროფიით, ტაქიკარდია — ცთომილი ნერვის დამბლის შედეგად. რენტგენოლოგიურად კისრის ზემოთა მალების დესტრუქცია.

რუსტიცკის დაავადება — მიელომური დაავადება, მრავლობითი მიელომა, პლაზმურუჯრედოვანი პარაპროტეინემიული რეტიკულოზი, პლაზმოციტომა, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადება. გვხვდება 40 წელს გადაცილებული ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლებში. დამახასიათებელია ოსალგია, ძვლების პათოლოგიური მოტეხილობა, ნორმოქრომული მიკროციტული ანემია, ერთმანეთზე დაწყობილი მონეტების მსგავსი ერითროციტების წყობა — სხვადასხვა პროცენტული ოდენობით, პლაზმური უჯრედების არსებობა პერიფერიულ სისხლში, მაღალი ედს, ძვლის ტვინში პლაზმური უჯრედების ჰიპერპლაზია, იმუნური თვისებების დაქვეითება, შინაგან ორგანოთა პარაამილოიდოზი, რენტგენოლოგიურად უპირატესად ბრტყელ ძვლებში აღინიშნება სხვადასხვა ზომის (რამდენიმე მმ-დან 3 სმ-მდე და მეტიც) დეფექტი. სპერთო ცილა სისხლში მომატებულია, ელექტრო და იმუნოელექტროფორეზით მეღავნდება ანომალიური, ფუნქციურად ინერტული ცილები — პარაპროტეინები და ბენს-ჯონსის ცილა (იხ.), პროგნოზი ცუდია. სინონიმები: რუსტიცკი-კალერის დაავადება, კალერის დაავადება, კალერ-ბოცოლოს დაავადება, ჰაპელის დაავადება.

რუსტიცკი-კალერის დაავადება — სინონიმები: კალერ-ბოცოლოს დაავადება, ჰაპელის დაავადება, რუსტიცკის დაავადება (იხ.), კალერის დაავადება.

რუტკევიჩის სიმპტომი — მუცლის ღრუს მარჯვენა მხარის პალპაციით ტკივილი ძლიერდება, როცა ვცდილობთ მუცლის ღრუში გადავაადგილოთ

ბრმა ნაწლავი. პერიეისცერიტის, კერძოდ, მარჯვენამხრივი პერიკოლიტის ნიშანი.

რუჯერის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: თვალის კონვერგენციის დროს მაჯის სიხშირის შენელება.

რქოვანას რგოლის სიმპტომი — მოყვითალო-მწვანე ან მომწვანო-მოყავისფრო პიგმენტაცია რქოვანას პერიფერიულად. ჰეპატო-ცერებრული დისტროფიის ნიშანი, გამოწვეული პიგმენტის ჩალაგებით, რომელიც შეაცავს სპილენძს. სინონიმი: კაიზერ-ფლეშერის რგოლი.

რძისა და ტუტის სინდრომი — კვებითი ჰიპერკალციემიის სინდრომი. ნიშნები: საერთო სისუსტე, შეკვებულობა, უმადობა, რძის ნაწარმთა აძულება, ღებინება, თირკმლების უკმარისობის ნიშნები. გაპირობებულია ჰიპერკალციემიით, მეტაბოლური ალკალოზით და კალციუმის მარილების ქსოვილებში ჩალაგებით. ძირითადად აღენიშნებათ წყლულით დაავადებულ ავადმყოფებს, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებიან რძის დიეტაზე და ხმარობენ დიდი რაოდენობის ტუტოვან ნაერთებს. სინონიმი: ბერნეტის სინდრომი.

საარმის სიმპტომი — ავადმყოფს არა აქვს მეტყველებითი რეაქცია, როცა შედიხარ მასთან ურთიერთობაში. ამ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მეტყველება აღდგება, მაგალითად, ირგვლივ მყოფთა საუბრის დროს. ფსიქიკური ნეგატივიზმის გამოვლინებაა.

საბათის სიმპტომი — საუღლე ვენების დაბერვა მედიასტინალური სინდრომის დროს. მიზეზია ზედა ღრუ ვენიდან სიხლის დაცლის გაძნელება.

საბინინის ტრიადა—ფსევდოტოქსოპლაზმოზი. სერონეგატიური ტოქსოპლაზმოზის კლინიკური განსაზღვრა (ეგრეთ წოდებული ფსევდოტოქსოპლაზმოზი), რომლის დროსაც ნიშნები შეეფარდება კლასიკური ტოქსოპლაზმოზის სურათს. კლინიკა: ტრიადა-ჰიდროცეფალია, ქორიორეტინიტი და გაკირული კერები ტვინში. გარდა ამისა, აღინიშნება ენოფტალმი, მიკროფტალმი, კრუნჩხვები. ბავშვებს, რომელთაც აქვთ ტოქსოპლაზმოზი, ემართებათ გონებრივი და ფიზიკური განუვითარებლობა. სინონიმი: სებინის სინდრომი.

საბნის სიმპტომი — დაბინდული ან არეული ცნობიერების მქონე ავადმყოფის მიერ მყარი მცდელობა შეინარჩუნოს საბანი, როცა მის გადახდას დაუპირებენ, მენინგიტის ნიშანია.

საბრაზეს სიმპტომი — ტკივილი გავა-წელის მიდამოში, რომელიც წარმოიქმნება მჯდომარე ავადმყოფის მიერ ფეხზე ფეხის გადადების დროს. აღინიშნება მწვავე საკროილეიტის შემთხვევაში.

საბუროს სინდრომი — მემკვიდრეობით გაპირობებულია თმის განვითარების ანომალიის (მალინეტრიქსი), ფოლიკულური კერატოზის და კატარაქტის შერწყმა. ვითარდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. სინონიმი: საბურო-პრიოერ-ტრენელის სინდრომი.

საბურო-პრიოერ-ტრენელის სინდრომი — სინონიმი: საბუროს სინდრომი.

საველიევ-პოპოვის სიმპტომი — პულსის სხვადასხვა სისავსე მარჯვენა

(ჰეტია) და მარცხენა პაჯას (ნაკლებია) შორის. აიხსნება გადიდებული მარცხენა წინაგულისძირეული ბეჭოლით მარცხენა ლავიწქვეშა არტერიაზე.

საზმენის სიმპტომი — ნეკნთაშუა არტერიების და წელის არტერიების პულსაციის გამოვლინება ფეხზე მდგომი ავადმყოფის ძლიერი მოხრისას, აორტის კოარქტაციის ნიშანი, გამოწვეული მასზე ზეწოლით.

სათვალის სიმპტომი — სისხლჩაქცევების არსებობა თვალების ირგვლივ. თავის ქალას ფუძის მოტეხილობის ნიშანია, ამ დროს ხდება თვალის ირგვლივ ქსოვილებში სისხლჩაქცევები.

საინტის ტრიადა (იგივეა სენტის ანუ სანტის) — დიაფრაგმული თიაქარის ქოლელითიაზის და მახვილი ნაწლავის, უფრო ბეშვიათად წვრილი ნაწლავის დივერტიკულოზის შერწყმა.

საკადირებული სუნთქვა — ახუ წყვეტილი სუნთქვა. ეს არის ჩვეულებრივი ვეზიკულური სუნთქვა, რომელიც მოისმინება წყვეტილად ერთიდან-სამი ბიძგით, რომლის დროსაც სენთქვა სუსტდება ან ჩერდება. ეს შესვენება-შეწყვეტა ხდება სუნთქვის ყოველ ერთსა და იმავე ფაზაში, უფრო ხშირად შესუნთქვის დროს. ის შეიძლება აღინიშნოს სიცივით გამოწვეული კანკალის, ცხელების ან ნერვული მდგომარეობისას, სასუნთქი კუნთების სისუსტის, პლევრული ტკივილის, სასუნთქ გზებში პათოლოგიური პროცესის შემთხვევებში.

საკვერცხეების ხკლეროკისტოზური სინდრომი — განასხვავებენ ხამ ფორმას: პირველადად საკვერცხეების (ტიპიურია), შეუღლებულს თირკმელზედა ჯირკვლების დაზიანებასთან და დიენცეფალურს.

საკონცენტრაციო ბანკის სინდრომი — „ემოციური ანესთეზია“ — ხანგრძლივი ფსიქიკური ტრავმისა და მუდმივი არასრული შიმშილის შედეგი. ნიშნები: სისუსტე, სიგამხდრე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა, განმარტოებისადმი მიდრეკილება, უინტერესობა, ფსიქიკის სხვა ცვლილებები, ინფექციისადმი მდგრადობის დაქვეითება. ჰირობების გაუმჯობესებისას ეს ავადმყოფური მდგომარეობა ქრება, მაგრამ რჩება შრომისუნარიანობის დაქვეითება. რიგ შემთხვევაში სიცოცხლის ხანგრძლივობა შეჩერებულია. სინონიმები: KL სინდრომი (გერმანული სიტყვიდან — Konzentrationslager), მინკოვსკის სინდრომი.

სალდონო-ნუნანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების თანხვედრა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰოლიდაქტილია, ძალზე მოკლე კიდურები, რომლებიც ცხოველთა თათს ჰგავს, გრძელი ლულოვანი ძვლების არათანაბარი განვითარება, თირკმლების პოლიკისტოზი, დიდ სისხლძარღვთა ტრანსპოზიცია, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და შარდ-სასქესო სისტემის ატრეზია. ლეტალური გამოსაყალი სიცოცხლის პირველ კვირეებსა ან თვეებში.

სალვატორ-ესკვიროლ-ჰუგელანდის სინდრომი — დიფსომანია. ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღების შეტევითი აუცილებლობა, რასაც წინ უძღვის მოუსვენრობა, გაღიზიანებადობა. ავადმყოფი სვამს სრულ ინტოქსიკაციამდე და ვარდება ძილში. ზოგჯერ დიფსომანია ვლინდება რძის მიმართ. დიფსომანიას მიიჩნევენ ეპილეფსიის ან მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზის ეკვივალენტად.

სალვიოლის სინდრომი — ნეირო-ენდოკრინული ოჯახური ოსტეოპათია. ძვლების მემკვიდრეობითი ჰიპოფოსფატემიური დისტროფია. ადგილი აქვს ცენტრალური ნერვული სისტემისა და ენდოკრინული ხასიათის დარღვევათა კომპლექსს. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. ნიშნები: საერთო ოსტეოდისტროფია, მოძრაობისას ტკივილი ძვლებში, სიარულის დარღვევა, სპონტანური მოტეხილობები, ძვლების მეორეული დეფორმაციები, ქვედა კიდურთა კუნთების ატროფია, ექსტრაპირამიდული გზების დაზიანება, გინეკომასტია, ჰიპერგენერალიზმი, ჰიპოფოსფატემია, ნორმოკალციემია. რენტგენოლოგიურად ძვლების გენერალიზირებული ატროფია. დეკალცინოზითა და თხელი კორტიკალური სუბსტანციით. დაავადება იწყება ბავშვობაში. პროგნოზი ცუდია.

სალის სინდრომი—ზედა ღრუ ვენის დახშობის სიმტომო-კომპლექსი. უპირატესად უვითარდებათ სიმსივნიან ავადმყოფებს გულ-მკერდის ზედა ნაწილში. ამ დროს გაფართოებულია კანქვეშა ვენები, რომლებიც ალაგ-ალაგ წარმოქმნიან წნულებს.

ხალი-ჩუდნოვსკის სიმპტომი — ექსტრაპერიკარდიალური შეხორცებების დროს შესაძლებელია აღინიშნოს: სისტოლის დროს ნეკნთაშუა არეს შეწევა მწვერვალზე, გულის საძგერთან, დიასტოლის პერიოდში აღინიშნება შეწეული ნაწილების წინ წამოწევა (ელასტიკური მალების მეშვეობით), რაც ზოგჯერ შეცდომის წყაროდ იქცევა, ვინაიდან ეს მომენტი გულის ნორმალურ საძგერად მიიჩნევა.

სალუსის სიმპტომი I — სიმპტომის დასაწყისი ხარისხი, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვლინდება მხოლოდ ვენების დავიწროება. აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის დროს. სინონიმები: სობანსკის სიმპტომი. — I, გუნის სიმპტომი I, სალუს-გუნის სიმპტომი I.

სალუსის სიმპტომი II — სიმპტომის გამოვლინების მეორე ხარისხი, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვლინდება ვენის დავიწროება და რკალისებრი ცთომა არტერიასთან გადაჯვარების ადგილას. აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის დროს. სინონიმები: გუნის სიმპტომი II, სობანსკის სიმპტომი II, სალუს-გუნის სიმპტომი II.

სალუსის სიმპტომი III — სიმპტომის გამოხატვის უკიდურესი ხარისხია, რომლის დროსაც თვალის ბადურაზე ვენა არტერიასთან გადაჯვარების ადგილას არ ჩანს (თითქმის გაწყვეტილია), ამის მიზეზია მისი ცთომა ბადურის სიღრმეში. აღინიშნება ჰიპერტენზიის მოგვიანებით პერიოდში. სინონიმები: გუნის სიმპტომი III, სალუს-გუნის სიმპტომი III, სობანსკის სიმპტომი III.

სალუს-გუნის სიმპტომი I — სინონიმები: სალუსის სიმპტომი, — I, (იხ.) გუნის სიმპტომი — I, სობანსკის სიმპტომი — I.

სალუს-გუნის სიმპტომი II — სინონიმები: სალუსის სიმპტომი II, გუნის სიმპტომი II, სობანსკის სიმპტომი II.

სალუს-გუნის სიმპტომი III — სინონიმები: გუნის სიმპტომი III, სალუს სიმპტომი III (იხ.), სობანსკის სიმპტომი III.

სამართებლის სიმპტომი — ტკაცუნა ხმიანობა ტიმპანიური ელფერით, რომელიც წარმოიშობა ჭრილობის ირგვლივ თმის გაპარსვის დროს. შე-

საძლო ადრეული ნიშანი ანაერობული ინფექციის ემფიზემატოზური ფორმისა. აღინიშნება ასევე კანქვეშა ემფიზემის სხვა შემთხვევებშიც.

„სამარშო მოტეხილობა“ — ანუ მოტეხილობა სამარშო გადასვლების დროს. ის აღენიშნება უპირატესად ახალგაზრდებს ხანგრძლივი და სწრაფი გადასვლის შედეგად. ძირითადად ადგილი აქვს წინა ტერფის ძვლების მოტეხილობას. მიზეზია გადაჭარბებული მექანიკური დატვირთვა და ბრტყელტერფიანობა. სინონიმი: დოიჩლენდერის დაავადება.

სამერსკილის სინდრომი — კეთილთვისებიანი მორეციდიული ღეიძლშიდა ქოლესტაზი. ასეთ ავადმყოფებს სანახევროდ გაუმართლებლად უკეთებენ ოპერაციას. ქოლესტაზის პირველი შეტევები ავადმყოფს უფრო ხშირად უვითარდება პრეპუბერტულ და პუბერტულ პერიოდში.

სამი კრიზისი — ფილტვის კრუპოზური ანთება შესაძლოა დამთავრდეს სამი კრიზისით. პირველი — ტემპერატურის სწრაფი და შესამჩნევი დავარდნა, მეორე — შარდის რაოდენობის მომატება და მისი შემადგენლობის ნორმალიზაცია, რაც ტემპერატურის დაცემას მოყვება და მესამე — ლეიკოციტოზის შემცირება და მისი თანდათანობითი ნორმალიზაცია.

სამნერიხ სიმპტომი — მუცლის კედლის რიგიდობის წარმოქმნა ან გაძლიერება ზედაპირული პალპაციისას. მუცლის ფარის გაღიზიანების ნიშანია.

სამოილოვ-ვენკებახის პერიოდები — გულის მუშაობის პერიოდების გამეორება, რომლის დროსაც ხდება მის ყოველ ციკლში იმპულსის გატარების დროს მატება მის სრულ შეწყვეტამდე — გამტარი სისტემის რომელიმე მონაკვეთში. ამის შემდეგ გამტარიანობა დროებით უმჯობესდება და აღწერილი პროცესი მეორდება. უფრო ხშირად სამოილოვ-ვენკებახის პერიოდები აღინიშნება სინო-აურიკულურ და წინაგულ-პარკუჭოვან კვანძებს შორის ბლოკადისას. იხ. სინონიმები: ვენკებახის პერიოდები, ვენკებახ-სამოილოვის პერიოდები.

სამუელის სინჯი — ქვედა კიდურებზე პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მდგომარეობის განსასაზღვრელი მეთოდი. მდგომარეობს შემდეგში: პაციენტი სწრაფად ამოძრავებს აწეულ ფეხებს ტერფ-წვივის სახსარში (მოხრა-გაშლით). სისხლის მიმოქცევის ფარული უკმარისობის დაზიანებულ ფეხზე ერთი-ორ წუთში აღინიშნება ტერფის გაფერმკრთალება და მოძრაობის გაგრძელება შეუძლებელი ხდება.

სამხრეთ ამერიკის ვისცერული ლეიშმანიოზი — დაავადება სპორადიულია, უფრო ხშირადაა ბავშვებში. კლინიკურად ჰგავს ხმელთაშუა ზღვის ვისცერულ ლეიშმანიოზს.

სანარელის ფენომენი — შედედების სისტემის სხვადასხვა ფაქტორის დარღვევა ჰემორაგიული დიათეზის განვითარებით, რომელიც შეიძლება აღინიშნოს შოკის დროს. სინონიმები: სანარელ-შვარცმანის ფენომენი, სანარელი-ზრდოდოვსკის ფენომენი.

სანარელ - ზრდოდოვსკის ფენომენი — შედედების სისტემის სხვადასხვა ფაქტორის დარღვევა ჰემორაგიული დიათეზის განვითარებით, რომელიც შეიძლება აღინიშნოს შოკის დროს. სინონიმები: სანარელ-შვარცმანის ფენომენი, სანარელის ფენომენი.

სანარელ-შვარცმანის ფენომენი — სინონიმები: ზრდოდოესკი-სანარელის ფენომენი, სანარელ-ზრდოდოესკის ფენომენი (იხ.).

სანგრის ცხელება — ხუთდღიანი პაროქსიზმული ცხელება, ფლანდრიის ცხელება (იხ.). პაროქსიზმული რიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს რიკეტსია „როხალიმაცია ქვანტანა", გადაეცემა ტილით. ტიპიურ შემთხვევაში მიმდინარეობს პაროქსიზმული ფორმით, გამეორებით მეოთხე-მეხუთე დღეს, ცხელების შეტევებით, რამდენიმე დღის რემისიით ანდა ტიფოიდური ფორმით, მრავალწლიანი უწყვეტი ცხელებით. სინონიმები: ვერნერ-პისის დაავადება, იკვას ცხელება.

სანგვტერის პიგმენტური ურთიკარია — პიგმენტური ჭინჭრის ცხელება, კანის რეტიკულოზის ნაირსახეობა. მიმდინარეობს უპირატესად კანის ლეიკემიური ინფილტრაციით. კლინიკა: ერითროდერმია აქერცლით, ჭავილით. მელანოდერმია, ლიმფადენოპათია, ალოპეცია, ლეიკოციტოზი, სისხლში ატიპური მაკროფაგები. სინონიმები: ნეტლეშიპის დაავადება, სეზარის სინდრომი, ანუ სეზარის რეტიკულოზი, სეზარის მასტოციტოზი.

სანდერხის ხიმპტომი — თვალით შესამჩნევი პულსაცია მახვილისებრი მორჩის ზემო მიდამოში. შეხორცებითი პერიკარდიტის არამუდმივი ნიშანია.

სანდმეიერის დიაბეტი — უწოდებენ დიაბეტს, რომელიც კუჭუკანა ჯირკვლის 90% -ის ამოკვეთიდან 6—9 კვირის შემდეგ უვითარდებათ ძაღლებს.

„სანთლის თოჯინის" სახე — დამახასიათებელია ოდნავ შეშუპებული კანი, მკაფიოდ მკრთალი-მოყვითარო ელფერით. კანი თითქოსდა ატარებს სინათლეს, აღენიშნება ადისონ-ბირმერის ანემიის დროს.

სარკის-კაჯხიონეს სინდრომი — პიგმენტური ქსეროდერმიის და ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ ცვლილებათა შერწყმა. დამახასიათებელია ფსიქიკური და ფიზიკური განუვითარებლობა, სათესლე ჯირკვლების განუვითარებლობა და მეტყველების დარღვევა. ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში სწორდება.

სან-ლუის ენცეფალიტი — არბოვირუსული დაავადებაა. გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა, ბრაზილიასა, პანამასა, სურინამსა, ტრინიდადსა და იამაიკაზე. ინფექციის წყაროა გარეული ფრინველი და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. გადამტანია კოღო. ნიშნები: მწვავე დაწყება, ცხელება, მენინგოენცეფალიტი, ცერებრული კომა.

სან-პაულოს ტიფი — ინფექციური დაავადებაა, ამერიკული ტკიპას რიკეტსიოზი, დამახასიათებელია ცხელება, პოლიმორფული გამონაყარი მთელ სხეულზე (არაიშვიათად პაპულოზურ-ჰემორაგიული), ლორწოვანი გარსის ენანთემა და სხვადასხვა სახის გართულებები, განსაკუთრებით კანის ნეკროზები საზარდულის მიდამოში, ისე რომ პირველადი ეფექტი არ ახლავს. ენდემიურია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისათვის. სინონიმები: ცისფერი დაავადება, ბრაზილიური პარტახტიანი ტიფი.

სან-უოაკინის ხეობის ცხელება — კოკციდოიმიკოზი, სოკოვანი წარმოშობის სასუნთქი ორგანოების დაავადება. კლინიკურად წააგავს კავერნოზულ ტუბერკულოზს, ახასიათებს რა სისხლიანი ხველა და კვანძოვანი ერი-

თემა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროცესის გენერალიზაციას მენინგიალური მოვლენებით. სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა ენიჭება კანის დადებით სინჯებს და კომპლემენტის შეკავების რეაქციას. გვხვდება უმთავრესად კალიფორნიასა და არგენტინაში. სინონიმები: პოსადას დაავადება, პოსადა-ვერნიკეს სინდრომი ანუ დაავადება.

სანსომის სიმპტომი I — ექსუდაციური პერიკარდიტის დროს მკვეთრად მატულობს გულის მოყრუების საზღვრები მეორე-მესამე ნეკნთაშუა არეების დონეზე.

სანსომის სიმპტომი II — ანუ სანსემის სიმპტომი — შუილი სინქრონული გულის შეკუმშვასთან დაკავშირებით, რომელიც მოისმინება ავადმყოფის პირთან, სუნთქვის შეჩერებისას. აორტის ანევრიზმის ნიშანია.

სან-ფილიპოს სინდრომი — გადაცემის აუტოსომურ-რეცესიულ ტიპით, მემკვიდრეობითი მუკოპოლისაქარიდოზთა ნაირსახეობა, დამახასიათებელია ძლიერი გონებრივი ჩამორჩენილობა, ჰიპერტრიქოზი, შეერთებული წარბები, ცხვირის ფართო კეხი, ჰიპერტელორიზმი, მაკროგლოსია, ჰეპატომეგალია, შარდში მომატებულია ჰეპარა-მონოსულფატის რაოდენობა, მეავე მუკოპოლისაქარიდების შემცველობა, აღენიშნება სიყრუე, ჩამორჩენილობა ზრდაში, β ქონდროიტინსულფატი არ არის. არ არსებობს მკურნალობის ეფექტური საშუალება: პროგნოზი არაკეთილსაიმედოა (პურლელ პფაუნდლერის სინდრომი).

სარაჯიშვილის კუნთთა მოუსვენრობა — ხასიათდება მუცლის კუნთების მიოკლონიით, აღინიშნება 6—7 წლის ასაკის ბავშვებში, ატარებს გარდამავალ ხასიათს და 16—17 წლის ასაკში ქრება. გვხვდება ექსტრაპირამიდული სისტემის უკმარისობის დროს.

სარკის სიმპტომი — ავადმყოფი დიდხანს ათვალიერებს თავის თაყს სარკეში, ხშირად მიმართავს გრიმასირებას. აღინიშნება: შიზოფრენიის, ნეკროზის, ფსიქოპათიის, რეაქტიული მდგომარეობისა და ზოგიერთი სხვა ფსიქიკური დაავადების დროს.

სარკისებრი ფილტვის სინდრომი — ფილტვების განვითარების თანდაყოლილი ანომალია. ადგილი აქვს ორთავე ფილტვში შემავალი წილების თანაბარ რიცხვს.

სასუნთქ მოხპიტლის სინდრომი — ეპიდემიური ინფექცია, რომელსაც იწვევს სოკო რიზოპუს ნიგრიკანსი. ნიშნები: გამოხატული პოლიურია, წყურვილი, ანორექსია, სისუსტე, დაღლილობა. ცხელება და თირკმლების დაზიანება არ აღინიშნება. პროგნოზი არადამაკმაყოფილებელია.

სატონის ანგიოკერატომა — ანგიოკერატომა, სათესლე პარკის შემოფარგლული ნევიფორმული ანგიოკერატომა. ახასიათებს დაზიანების ლოკალიზაცია სათესლე პარკის კანზე. სინონიმები: ფორდაისის სინდრომი, ანუ ფორდაისის სათესლე პარკის შემოფარგლული ანგიოკერატომა, ფორდაის-სატონის სათესლე პარკის ანგიოკერატომა.

სატონის დაავადება — სატონის ხალი, შეძენილი ცენტრისკენული ლეიკოდერმა, პიგმენტური ხალის ნაირსახეობა, განსხვავდება დეპიგმენტირებული არშიის არსებობით.

სატონის სინდრომი — აუტოზური მორეციდიული სტომატიტის ნაირსა-

ხეობა. პირის ღრუს ლორწოვანზე ჩნდება კვანძები, რომლებიც წყლულდება და შეხორცების შემდეგ სტოვებს პატარა ნაწიბურებს.

ხაუნდერხის სიმპტომი — ბავშვებში პირის ფართოდ გაღება იწვევს სინკინეზურ მოძრაობას ხელის თითების გაჩაჩხვის სახით.

„ხაქანელას ფენომენი" — მიტრალურ-ტრიკუსპიდული რთული მანკის დროს პარკუჭთა სისტოლიისას გულის არეში ერთგვარი შედრეკა აღინიშნება, რასაც თან ახლავს ღვიძლის სისტოლური შეშუპება (სისხლსავსეობა).

ხაქსის დაავადება — მემკვიდრეობითი ინფანტილური ამავროტიული იდიოტია. გადაეცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადება ვლინდება ოთხი-ექვსი წლის ასაკიდან. ნიშნები: ამბლიოპია სრულ სიბრმავემდე, ოლიგოფრენია (იდიოტია), დასაწყისში კუნთოვანი ჰიპოტონია, შემდეგ ტონიურ-კლონიკური კრუნჩხვები, ატეტოზი, ჭორეა, ტორსიული სპაზმები, მხედველობის ნერვის პროგრესული ატროფია. დაავადება გრძელდება ორი-სამი წელი. სინონიმები: ტეა-საქსის დაავადება ანუ სინდრომი, ანუ ტეა-საქსის იდიოტია.

ხაღმრთო დაავადება — ეპილეფსია. საქართველოში მას უწოდებენ: ბნედას, ავი ზნეს, გვემულობას, გულყრას. შორეულ წარსულში ეპილეფსია მიაჩნდათ წმინდანთა დაავადებად. შემდგომში დადგინდა, რომ ადამიანის გარდა, კრუნჩხვითი შეტევები ემართებათ თხებსა და ღორებს, ამიტომ ამ დაავადების წმინდანობა ეჭქვეშ დააყენეს, მაგრამ ტერმინი ძალაში დარჩა. სინონიმები: ღვთაებრივი დაავადება, წმინდანთა დაავადება, ვარსკვლავის დაავადება, მთვარის დაავადება, კომიტეტის დაავადება, ჰერკულესის დაავადება.

ხაყლაპავის დაკლაკნილობის ნიშანი — საყლაპავის რენტგენოლოგიური ჩრდილის ნაკლოვანება, უსწორობა. ეზოფაგოსპაზმის ნიშანი.

ხაშიშროების (განგაშის) სინდრომი — გულის იშემიური დაავადების შემთხვევაში საშიშროების სინდრომის ქვეშ იგულისხმება სტენოკარდიული შეტევის განვითარების შესაძლებლობა.

ხაჩვენებელი თითის სიმპტომი — თითით ჩაზნექის, მიწოლის სიმპტომი. კუპის დიდ სიმრუდეზე რენტგენოლოგიური ჩრდილის შეზნექა მცირე სიმრუდის წყლულის მოპირდაპირედ, კუპის ცირკულარული კუნთების რეფლექტორული სპაზმის შედეგად. იხ. სინონიმი: დე კერვენის სიმპტომი.

ხაცერის დაავადება — ეწოდება გენუინურ ეპილეფსიას. ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადებაა. ახასიათებს გონების დაკარგვა და ხშირად ერთდროული ტონური და კლონური შეტევები პიროვნების თანდათანობითი დეგრადაციით. არსებობს ეპილეფსიის ბევრი, სხვადასხვანაირი კლინიკური ფორმა. ძირითადად კი მთავარია გაირჩეს გენუინური ეპილეფსია სიმპტომურისაგან. გენუინური ეპილეფსიის ტიპიურ შეტევას თან სდევს ეპილეფსიის შემდგომი კომა.

ხაძრობის სიმპტომი (კორპხაძრობის სიმპტომი) — ვენულების გაფართოება და კორპხაძრობისმაგვარი დაკლაკნილობა, რომლებიც განლაგებულია ბადურაზე ყვითელი ლაქის ირგვლივ. აღინიშნება ჰიპერტონიული და-

აავადების დროს. სინონიმი: გეისტის სიმპტომი, ადამიუკ-რელმან-გეისტის სიმპტომი.

საჭდომი ნერვის სიმპტომი — ტკივილის გაძლიერება ლასეგის სიმპტომის (იხ.) გამოწვევის დროს, მუხლში გაშლილი ფეხის შემოტრიალებისას. სინონიმი: ვარტენბერგის საჭდომი ნერვის სიმპტომი.

საჰაერო ბალიშის სიმპტომი — გულაღმა მწოლიარე ავადმყოფის მდგომარეობა, როდესაც თავი ხანგრძლივად უდევს გარკვეული სიმაღლის ბალიშზე. კატატონიური სტუპორის ნიშანია. სინონიმი: დიუპრეს სინდრომი.

საჰაერო დაავადება — იგივეა ზღვის დაავადება. წარმოადგენს პათოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ემართება ზოგიერთებს ჰაერში ფრენის ან გემით ცურვის დროს. მიზეზია ვესტიბულური აპარატის ხანგრძლივი გაღიზიანება. გამოვლინდება სისუსტით, თავბრუთი, ნერწყვის გაძლიერებული გამოყოფით, ოფლიანობით, გულისრევით და ღებინებით.

სებინის სინდრომი — იხ. საბინის ტრიადა.

სებრელას სინდრომი — ჰეილიტის, გლოსიტისა და დერმატიტის ერთად არსებობა არიბოფლავინოზის დროს.

სეგრენის (ანუ შეგრენის) სინდრომი — გარეგანი სეკრეციის ჯირკვლების უკმარისობის სინდრომი. დამახასიათებელია მშრალი კერატოკონიუნქტივიტი, პირის და ცხვირის ღრუს, ხახის სიმშრალე, სანერწყვე ჯირკვლების ჰიპერტროფია და ნერწყვის გამოყოფის უკმარისობა. კუპის სეკრეციის უკმარისობა ან სრული დათრგუნვა, ჯირკვლის გარეგანი სეკრეციის მოშლა. კანი მშრალია, იქერცლება, დეპიგმენტირებულია, შესაძლოა ეგზემის განვითარება. დამახასიათებელია ქრონიკული პოლიართრიტი, კბილების და ძვლების კალციფიცირების მოშლა, კბილების კარიესი. შესაძლოა ქრონიკული არტერიიტი კიდურების განგრენით, სისხლში დისპროტეინემია, ჰიპოქრომული ანემია, რკინის ნაკლებობა, ფიბრინოგენის კონცენტრაციის ზრდა. ვითარდება უპირატესად ქალებში კლიმაქსის ან მენოპაუზის პერიოდში, აგრეთვე ახალგაზრდა ასაკში, თუ ადგილი აქვს ოვარიულ უკმარისობას. სინონიმები: მიკულიჩ-გუეერო-სეგრენის დაავადება, მიკულიჩ-სეგრენის სინდრომი, მულოკ-ჰუეერ-გუეერო-სეგრენის სინდრომი, გუეერო-ჰუეერ-სეგრენ-მიკულიჩის სინდრომი.

სედერბერგის სიმპტომი — ცხვირ-თითის სინჯის ჩატარების დროს თითის მოძრაობა ავადმყოფს ვერ მიჰყავს ბოლომდე. წარმოადგენს ბრადიტელეკინეზიის გამოვლინებას ნათხემის დაზიანების დროს.

სედერლუნდის დაავადება — სედერლუნდის სინდრომი. არაინფექციური ინტერსტიციული ნეფრიტის (პიელონეფრიტის) ნაირსახეობა. კლინიკა: დიზურია, პოლიურია, ნიკტურია, სტრანგურია, მაკროჰემატურია, უპირატესად ავადდებიან ახალგაზრდა მამაკაცები, წელის ტკივილი, ლეიკოციტურია, ერითროციტურია, პროტეინურია, ინტენსიური ჩირქოვან-ფიბროზული ცისტიტი ლორწოვანი გარსის გამოხატული შეშუპებით, თირკმლის, მენჯის ფიალებისა და შარდსაწვეთის ტონუსის დაქვეითება, სპასტიკური შარდის ბუშტი, ურეთრიტი. პროგნოზი კარგი.

სეეისტრ-ჟაკეს პოსტეროზიული სიფილოიდი — რგოლისებრი პოსტეროზული სიფილოიდი, სტრეპტოკოკური იმპეტიგოს ნაირსახეობა ძუძუ-

მწოვარა ბავშვებში. დამახასიათებელია ფლიქტენები და ზედაპირული ეროზიები, შემდგომში მათ ადგილას პიგმენტური ლაქების წარმოშობით (ძირითადად დუნდულოებზე).

სევილის დაავადება — სეველის სინდრომი. ეპიდემიური ექსფოლიატიური დერმატიტი. ექსფოლიატიური დერმატიტის ეპიდემიური ფორმა. ნიშნები: ექსფოლიატიური დერმატიტი, რომელიც წარიმართება ორი ტიპით. პირველი — სეელი, ეგზემის მსგავსი და მეორე — მშრალი, რომელიც მოგვაგონებს ვარდისფერ ლიქენს. თმის დაცვენას უმთავრესად ადგილი აქვს ხელებზე, თავზე, შემდეგ გენერალიზდება კისრის ლიმფური კვანძების გადიდება, თმის და ფრჩხილების დისტროფია. პირველი გამონაყარი ქრება ოთხ-ექვს კვირაში, შემდეგ აღინიშნება რეციდივი. უფრო ხშირად ავადდებიან ასაკოვანი პირები.

სეზარიხ სინდრომი — სეზარის რეტიკულოზი. სინონიმები: სანგსტერის პიგმენტური ურთიკარია (იხ.), ნეტლეშიპის დაავადება.

სეზარიხ დაავადება — ანგიოსებოფიბრომატოზი, ცხიმოვანი ჯირკვლის ადენომა. ცხიმოვანი ჯირკვლის სიმეტრიული ახალწარმონაქმნი (სიმსივნე). წვრილი მრგვალი ან ოვალური რბილი კვანძები მომკრთალო-მოყვითალო, ყავისფერ-მოწითალო ფერებით, განლაგებულია ძირითადად სახეზე. უფრო ხშირად მოზარდებში. სინონიმი: პრინგლის სინდრომი.

სეზარიხ მასტოციტოზი — სინონიმები: სანგსტერის პიგმენტური ურთიკარია (იხ.), ნეტლეშიპის დაავადება.

სეზარ-მორიაკის ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია — ქრონიკული პუსტულოზური დერმატიტი — ქრონიკული სტაფილოკოკური პიოდერმია, თავის თმიან ნაწილებში, სახესა და ტანზე ადგილი აქვს პუსტულების ჩირქოვან გამონადენს. მათ ირგვლივ აღინიშნება დერმის არათანაბარი პაპილომატოზური ზრდა. სინონიმები: ლამბერგერის ფრამბეზიფორმული დერმატიტი, ჰალოპის ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია.

სეზონური დაავადება — დეპრესია, გამოწვეული ზამთრის თვეებში სინათლის ნაკლებობით. დადგენილია, რომ ინტენსიური განათება დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ეს გამოიხატება ყურადღების გაუმჯობესებაში, შეცდომების რიცხვის შემცირებასა და რეაქციების აჩქარებაში.

სეია-ჯერალდიხ სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების თანხვედრა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: პოლიდაქტილია, ანომალური გამოსავლის ატრეზია, ხერხემლის ანომალიები, რუდიმენტული და შეერთებული მალები, ნახევარმალები გაპობილი მალები, ზედმეტი მალები, მენჯის ანომალია, ზოგადი განვითარების დარღვევა.

სეიბენიხ ტრიადა — ჰიდროცეფალიის და ჭორიორეტინიტის თანხვედრა რენტგენოლოგიურად გამოვლინებულ გაკირულ უბნებთან თავის ტვინში. დამახასიათებელია ტოქსოპლაზმოზისათვის.

სეიკის სიმპტომი — გულის შედარებითი და აბსოლუტური საზღვრები არ არის დამოკიდებული სუნთქვის ფაზაზე. აღინიშნება შეხორცებითი პერიკარდიტის ან პლევრის შეხორცების დროს.

სეილიას სიმპტომი — მუცლის ღრუს არეში მწვავე ანთებითი პრო-

ცესის დროს სუნთქვის ხმიანობის ცალმხრივი შესუსტება. ელინდება ფილტვების აუსკულტაციით.

სენტის სინდრომი ანუ ტრიადა — იგივეა სენის სინდრომი, დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარის, ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და მსხვილი (იშვიათად წვრილი) ნაწლავის დივერტიკულოზის თანაარსებობა.

სეიპის სინდრომი — თანდაყოლილი დაავადება. გამოვლინდება აკრომეგალოიდური გიგანტიზმით, ნახშირწყლოვანი და ცხიმოვანი ცვლის მოშლით და ჰიპოფიზის ჰიპერფუნქციის სხვა ნიშნებით. შეპირობებულია შუამდებარე ტვინის განვითარების ანომალიით ან დაზიანებით. სინონიმი: ბერარდინელის სინდრომი.

სეკრეტანის დაავადება — სეკრეტანის სინდრომი, ხელის მტევნისა და გარეთა ზედაპირის პოსტტრავმული შეშუპება, რაც აღინიშნება ტრავმიდან რამდენიმე დღის შემდეგ. აღინიშნება თითების მოხრის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, ტკივილი მხოლოდ თითების მოღუნვის ცდის დროს. შეშუპება ნელა რეგრესირებს.

სელიეს სინდრომი — ადაპტაციური სინდრომი, არასპეციფიკურ ცვლილებათა თანაარსებობა, რომელიც ვითარდება ორგანიზმში ნებისმიერი პათოგენური გამღიზიანებლით (კლინიკური გამოვლინებაა ეგრეთ წოდებული სტრეს-რეაქცია). განასხვავებენ სტადიებს: განგაშის, რეზისტენტობისა და დაძაბუნებისას. მისი ძირითადი ცვლილებებია თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ჰიპერტროფია, თიმიკურ-ლიმფური სისტემის ატროფია, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის სისხლმდინარე წყლული.

სეზბ-გიონ-როზენთალის სინდრომი — წყლიანი ფაღარათი, კუჭქონა ჯირკვლის სიშსივნის სიმპტომოკომპლექსი ზოგიერთ ავადმყოფთან. ნიშნები: ინტერმიტირებული ტკივილი მუცელში, წყლიანი ფაღარათი, აქლორჰიდრია, ჰიპოკალიემია.

სემენსის მრავალფორმიანი კერატოზი — თანდაყოლილი პაქიონიქია, მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია ჰიპერჰიდროზით, პაქიონიქია, გაფანტული ფოლიკულური კერატოზი მუხლებსა და იდაყვებზე, ლეიკოკერატოზი ლორწოვან გარსებზე (ძირითადად პირის ღრუში), არაიშვიათია კატარაქტა, თმისა და კბილების დისტროფია, ინტელექტის დეფექტი. მემკვიდრეობის ტიპი დომინანტური. სინონიმი: იადასონ-ლევანდოვსკის სინდრომი.

სემერაუ-ხიემიანოვსკის სინდრომი — პაროქსიზმული კოლაფსი. განეკუთვნება სისხლძარღვოვან ნევროზებს და ვლინდება საერთო სისუსტის (გათიშვის) მოულოდნელი შეტევით, გონების დაკარგვის გარეშე, პერიფერიული სისხლმიმოქცევის უკმარისობით, ტაქიკარდიით, სიფერმკრთალით, არტერიული ჰიპოტონიით. შეტევა გრძელდება 16—30 წუთიდან 2 საათამდე, მთავრდება ასევე მოულოდნელად. დამახასიათებელია მკვეთრი ოფლიანობა, პოლიურია, დიარეა. ემართებათ ქალებს კლიმაქსურ პერიოდში სასქესო ჯირკვლების ფუნქციური უკმარისობისას. შესაძლოა ალერგოზების დროსაც.

სენატორის დაავადება — ხახის ფლეგმონა. ვლინდება ხახის კედლების ინფილტრატთა და შეშუპებით. ინფილტრატი გადადის ხორხზე, ენისქვეშა

ძვლის მიდამოში, კისრის გვერდით ნაწილებში და აღწევს შუასაყარს. ნიშნები: მწვავე ტკივილი ყლაპვის დროს, საერთო მძიმე მდგომარეობა, ხშირად ლეტალური გამოსავალი. დაავადება ვითარდება სტრეპტოკოკური ინფექციის შემდეგ.

სენატორ-ბანტის სინდრომი — მეორადი სპლენოპეპატომეგალიური სიმპტომოკომპლექსი: ანემია, თრომბოციტოპენია, ლეიკოპენია, შეგუბებითი სპლენომეგალია, ღვიძლის პორტული ციროზი. სინონიმი: ბანტის სინდრომი.

სენგერ-ბრაუნის სინდრომი — სპინოცერებრული ტრაქტის მემკვიდრეობითი დეგენერაცია, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. კლინიკა: ატაქსია, ჭუთუთოების პტოზი, სიელმე, დიპლოპია, პიგმენტური რეტინიტი, ოფტალმოპლეგია, მხედველობის ნერვის ატროფია.

სენდჰოფის დაავადება, ანუ სინდრომი — მემკვიდრეობითი განგლიოზიდოზების ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სიცოცხლის პირველ ექვს თვეში მომატებული აგზნებადობა, მხედველობის სწრაფი დაკარგვა, მოტორული და ფსიქიკური განვითარების პროგრესიული დარღვევა, თოჯინისმაგვარი სახე, კანზე მოწითალო ლაქები, კარდიომეგალია მაკროგლოსია, მეგალოენცეფალია, წელის კიფოზი. მიზეზია სისხლში და ღვიძლში ჰექსოზამინიდაზის დეფიციტი, რასაც მოსდევს განგლიოზიდების დაგროვება სხვადასხვა ქსოვილში, უპირატესად ნერვულში.

სენიარ-უშერის სინდრომი — ერითრომატოზური ან სებორეულ ბუშტუკელა. ეტიოლოგია და პათოგენეზი უცნობია. ვარაუდობენ ვირუსით ინფიცირებას ან ინტოქსიკაციას. გამონაყარი სახეზე, ტანზე და კიდურებზე (დამახასიათებელი ადგილები სებორეისათვის), ჩნდება ზედაპირული ბუშტები, დაფარული ყვითელი ბრინჯაოსფერი მრავალშრიანი ფუფხებით. მიმდინარეობა ქრონიკული რეციდივებით. ერითემატოზული ბუშტუკელა საბოლოოდ ექსფოლიატური ან ვულგარული ხდება, რომლის პროგნოზი მძიმეა.

სენის სინდრომი I — იგივეა სეინტის სინდრომი, ანუ სეინტის ტრიადა, დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებისა და მსხვილი ნაწლავის დივერტიკულოზის თანაარსებობა.

სეინის სინდრომი II — ოჯახური ციროზი, ინდოეთის ბავშვთა ციროზი. როგორც ჩანს, წარმოადგენს ღვიძლის მემკვიდრეობითს ციროზს, შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. უცნობი გენეზის ღვიძლის ციროზია, რომელიც ვითარდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. ნიშნები: ჰემოქრომატოზი, გლიკოგენოზი, გალაქტოზემია არ აღინიშნება. არის ეპითეული შემთხვევები ალფაერთიანტიტრიფსინის დეფიციტისა.

სენილური ჭკუასუსტობა — ფსიქიკური დარღვევების სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება მოხუცებულობისას ან სიბერის ასაკში. ვლინდება ჭკუასუსტობით, რომელიც შერწყმულია უმაღლესი ქერქული ფუნქციების კეროვან დარღვევებთან (აფაზია, აპრაქსია, აგნოზია). დაავადების არსია ტვინში სისხლის მიმოქცევის უკმარისობა და ნერვულ უჯრედთა და ბოჭკოების დისტროფია — ძირითადად მარცხენა საფეთქელისა და

თხემის მიდამოში. სინონიმები: ჰაკე-ბუშ-პეირ-გაიმანოვიჩის დაავადება, ალცჰეიმერისებური სინდრომი.

სენიორ-ლოჟენის სინდრომი — თირკმლების და თვალის მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: თირკმლების კონცენტრაციული თვისებების დაქვეითება, პროტეინურია, ბადურის თავისებური პიგმენტაცია, ე. წ. ყრუ ელექტროკოჭინოგრამა, ჰემიანოფსია, ნათხემისებრი ატაქსია და ჩონჩხის სხვადასხვაგვარი ანომალია. პისტოლოგიურად თირკმლის ინტერსტიციუმის ფიბროზი და უჯრუდოვანი ინფილტრაცია, სადინრების გაფართოება, ჰიგჰენტუოთ რეტინიტი.

სენირ-უშერის სინდრომი — სებორეული ბუშტუკელა, ბუშტუკელა ერითემატოზული. ჰეშმარიტი ბუშტუკელა, რომლის დროსაც ზედაპირული ბუშტების წარმოშობას წინ უსწრებს ერითემის კერების წარმოქმნა ინფილტრაციით, თან ახლავს ქერცლი და სისველე.

სენსტან-ლეჟანის სინდრომი — კუნთთა პროგრესიული ატროფიის ერთ-ერთი კლინიკური ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კონტრაქტურის, რეტრაქციისა და სახსართა დეფორმაციის დომინირება.

სენტის სინდრომი — დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქრის, ნაღველ-კენჭოვანი დაავადებისა და მსხვილი (იშვიათად წერილი) ნაწლავის დივერტიკულოზის თანაარსებობა. გვხვდება ძირითადად 35 წლის გადაცილებულ პირებში. იგივეა სენის სინდრომი.

სენტ-ლუისის ენცეფალიტი — ამერიკული ენცეფალიტი, მწვავე ინფექციური ენცეფალიტი კოღოს ვირუსული ჯგუფის ენცეფალიტებიდან, იწვევს არბო-ვირუსული ანტიგენი B ჯგუფისა. კლინიკურად იაპონური ენცეფალიტის მსგავსია. გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში და კუნძულ იამაიკაზე.

სენტონის სიმპტომი — I — ზედა ქუთუთოს ზემოთ აწევა, როცა ავადმყოფი ცდილობს მხედველობის ფიქსაციას ნივთზე, რომელიც გადაადგილდება ზემოდან ქვემოთ. აღინიშნება თირეოტოქსიკოზის დროს.

სენტონის სიმპტომი — II — შუბლის კუნთის სპაზმი ზემო ქუთუთოს ამწევი კუნთის მუშაობისას. ადგილი აქვს თირეოტოქსიკოზის დროს.

სენჰაუზ-კირკხის სინდრომი — შოკური მდგომარეობა, წარმოშობილი თირკმელზედა ჯირკვლებში სისხლჩაქცევებით, ანდა მათი ტოქსიკურ-ალერგიული დაზიანებით. გამოვლინდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით, კრუნჩხვებით, ჰიპოტონიით, ტაქიკარდიით, აკროციანოზით, ჰიპოთერმიით, სისხლში ნარჩენი აზოტის მომატებით.

სეპის სინდრომი — ლიპოატროფიული დიაბეტი, ლიპოდისტროფიული დიაბეტი. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გენერალიზებული ლიპოდისტროფია, ჰიპერლიპემია, ჰეპატომეგალია, შავი აკანტოზი, ძირითადი ცვლის მატება, ინსულინორეზისტენტული შაქრიანი დიაბეტი, საკვერცხეების პოლიკისტოზი, კუნთების ჰიპერტროფია, გონებრივი განვითარების შეჩერება, სისტემური და კისტოზური ანგიომატოზი. დაავადება ძირითადად ვითარდება სიცოცხლის პირველ წელს.

სერგისკის სინდრომი — ასპონტანობის, ადინამიისა და აბულიას

შერწყმა, რომელიც აღინიშნება დიდი ტვინის შუბლის მიდამოს დაზიანების დროს.

სერჟეველის სინდრომი — ოსტეოპოროზის, წვიების ძვლების დამოკლების და ქვედა კიდურებზე ვარიკოზულად გაფართოებული ვენების კვანძების თანდაყოლილი შერწყმა, რომელიც მოიცავს კირის შემცველ კონკრემენტებს.

სერჟენის სიმპტომი I — მყარი წითელი დერმოგრაფიზმი, ვეგეტატიური ნერვული სისტემის მომატებული ლაბილობის ნიშანი.

სერჟენის ნიშანი II — თეთრი დერმოგრაფიზმი მუცლის კანზე, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობისა და არტერიული ჰიპოტენზიის ნიშანი.

სერჟენის სინდრომი I — ცთომილი ნერვის დაზიანების შეხამება კისრის სიმპათიკური კვანძის დაზიანებასთან (მიოზი ან კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომი — იხ.) ერთდაიმავე მხარეზე. აღინიშნება ფილტვის მწვერვალის ტუბერკულოზის დროს.

სერჟენის სინდრომი II — გეხედება ბრონქოგენული კიბოს დროს, გართულების სახით, აღინიშნება ცთომილი და შებრუნებული ნერვების დაზიანება.

სესტან-ლეჟონის სინდრომი — კუნთების პროგრესიული ატროფიის კლინიკური ფორმა. დაავადების მიმდინარეობაში დომინირებს სახსართა კონტრაქტურები და დეფორმაციები.

სესტან-შენეს სინდრომი — ბაბინსკი-ნაჟოტის სინდრომის (იხ.) აბორტული ფორმა: ალტერნაციული ჰემიპარეზი, აველისის სინდრომი (იხ.) და თვალის საინერვაციო სიმპათიკური ბოჭკოების დაზიანების ნიშნები. გეხედება თავის ტვინის ღეროში სისხლის მიმოქცევის მოშლის დროს.

სვაირ-ჯეიმსის სინდრომი — წარმოადგენს ცალმხრივ ნათელ ფილტვს. დიაგნოზისათვის აუცილებელია სამი რენტგენოლოგიური მეთოდიკის გამოყენება: წინა მიმოხილვითი სურათი, ბრონქოგრაფია და ფილტვის სისხლძარღვთა ანგიოგრაფია. საჭიროა ამ სინდრომის გარჩევა ფილტვის ემპიოლიმის, ფილტვის აგენეზიისა (ჰიპოგენეზის) და ფილტვის არტერიაზე ცენტრალური კიბოს ან ლიმფომის ზეწოლისაგან.

„სველი ჩვრის" სიმპტომი — აღინიშნება კაუზალგიის დროს. ადგილი აქვს ტკივილის შემცირებას ან გაქრობას დაზიანებული კიდურის ცივ წყალში მოთავსების ან მასზე სველი ჩვრის შემოხვევისას.

სვიტიხ სინდრომი — ფებრილური დერმატოზი. ნიშნები: კონტინუას ტიპის ცხელება, ტანზე, სახეზე, კისერსა და ფეხებზე ვარდისფერი მრგვალი, მტკივნეული ბალთის მსგავსი გამონაყარი, მიალგია, ართრალგია (ცალკეულ შემთხვევაში ართრიტი ექსუდაციური მოვლენებით), ეპისკლერიტი, ჰისტოლოგიურად კანში ინტენსიური ნეიტროფილური ინფილტრატი. პროგნოზი კარგია.

სვიფტის სინდრომი — აკროდინული სინდრომი, პოლინეიროპათიული ერითროდერმია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება (გეხედება ძირითადად ბავშვებში ხუთ წლამდე), დამახასიათებელია ქცევის შეცვლა შესაძლო ფსიქიკურ დარღვევებამდე. კიდურთა კანზე აღინიშნება პოლიმორფული ცვლილებები, ძლიერი ქავილი, ტკივილი, გულ-სისხლძარღვთა სა-

ტემის დარღვევები, კუნთების ჰიპოტონია, პარეზები, დამბლები, ზოგჯერ კრუნჩხვითი შეტევები, იხ. სინონიმები: ზელტერ-სვიფტ-ფეერის სინდრომი, ფეერის დაავადება.

სიგალ-კატან-მამუს დაავადება — პერიოდული დაავადება, სომხური დაავადება, ოჯახური პერიოდული დაავადება. ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება, ექვსდღიანი ცხელება, პაროქსიზმული პერიტონიტი, პერიოდული პერიტონიტი, შებრუნებითი პოლისეროზიტი, ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი, ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც ვლინდება პერიოდულად, შეტევის მსგავსად სტერეოტიპული ტკივილით მუცლის არეში (ხშირად ასევე გულ-მკერდის არეში და სახსრებში) და პაროქსიზმული ცხელებით. სინონიმები: რეიმანის დაავადება, ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი.

სიგო-შაიუ-მაკ ოლიფას ტიპები — სიგო-შაიუ-მაკ ოლიფას კლასიფიკაციით (მას უფრო ხშირად მარტივად სირგოს კლასიფიკაციას უწოდებენ (იხ.), რომელიც მიღებულია და გავრცელებულია განსაკუთრებით საფრანგეთში, გამოყოფილია ოთხი ძირითადი კონსტიტუციური ტიპი — რეპირატორული, მუსკულური, დიგესტიკური და ცერებრული.

სიგრისტის ლაქები — კარგად გამოკვეთილი პიგმენტური ზოლები, პიგმენტის ჯაჭვისებრი დალაგება თვალის ბადურაში. განლაგებულია თეთრი და გამკვრიეებული სისხლძარღვების გასწვრივ სისხლძარღვოვან გარსში. გვხვდება ალბუმინური ქორეოიდიტის დროს ჰიპერტენზიისა და ალბუმინურიის სიმპტომოკომპლექსში. სასიცოცხლო პროგნოზისათვის ცუდი ნიშანია.

სიდბერის სინდრომი — ცხიმოვანი ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევა. საეარაუდოა მისი აუტოსომურ-რეცესიული გადაცემა. ნიშნები ვლინდება სიცოცხლის პირველ დღეებში: ლეთარგიული მდგომარეობა, კრუნჩხვები, ღებიდრატაცია, ჰეპატომეგალია, თრომბოპენია, ლეიკოპენია, შარდის თავისებური სუნი, ძვლის ტვინის ჰიპოპლაზია. სიკვდილის გამომწვევი სეპტიცემია. სინონიმები: სიდბერ-სმით-ჰარლანის სინდრომი, ჰარლან-სმითის სინდრომი.

სიდბერ-სმით-ჰარლანის სინდრომი — სინონიმები: სიდბერის სინდრომი, ჰარლან-სმითის სინდრომი.

სიდენჰამის დაავადება — ჩვეულებრივი ქორეა, რევმატიული ქორეა, ცენტრალური ნერვული სისტემის რევმატიული ბუნების დაავადება. დამახასიათებელია თავის ტვინის ბაზალური ბირთვების დაზიანება, გამოვლინდება ქრონიკული ჰიპერტენზიით, კუნთოვანი ჰიპოტონიით, რეფლექსების სიჯა ცვლილებებით. სინონიმები: ვიტეს ცეკვა, გვიდონის ცეკვა, ინგლისური დაავადება.

სი დრაგერის სინდრომი — პირველადი ორთოსტატიკული ჰიპოტენზია: არტერიული წნევის მკვეთრი დაქვეითება ვერტიკალური მდებარეობის მიღებისას. მიზეზია თავისა და ზურგის ტვინის ნეირონების ქრონიკული დეგენერაცია.

სიერის სიმპტომი — მკერდის ძვალზე მოთავსებულ მონეტაზე მეორე მონეტით კაკუნისას გულმკერდის უკანა მხარეს მოისმინება მეტალური

ეღერადობის სუნთქვა. ადგილი აქვს პნევმოტორაქსის და ფილტვის კავერნის დროს.

სივანდონ-ბუკერრის სინდრომი — სუნამოს ხმარების ნარკომანია.

ხივატის დაავადება — სივატის გადისებრი პიგმენტური პოიკილოდერმია, ომის დროის მელანოზი, რილის მელანოიდური სინდრომი, მელანოდერმია. დამახასიათებელია ბადისებრი მოყავისფრო-მორუხო ფერის პიგმენტაცია მცირე ზომის ფოლიკულურ ჰიპერკერატოზთან და კანის ღია ადგილებში ეპიდერმისის ატროფიასთან თანაარსებობა. მიზეზად გარაუდობენ მზისადმი მომეტებულ მგრძნობელობას და მის ზემოქმედებას. სინონიმი: რილის მელანოზი.

სიკარის სიმპტომი — I — კიდურის პერიფერიაზე თვალის დასანახი სისხლის ტალღისებრი გადაადგილება კანქვეშა ვენებში წამოხველების დროს (ვენების სარქველების უკმარისობის ნიშანია (ფეხებზე კანის ვენებისვარიკოზული გაფართოებისას).

სიკარის სიმპტომი II — წვივის მცირე ძვლის თავის მიდამოში ტკივილის წარმოშობა ტერფის ფორსირებულ მოღუნვისას. საჭდომი ნერვის ან მცირე წვივის ნერვის ნევრიტის ნიშანია. იხ. სინონიმი: გოვერსის სიმპტომი — III.

სიკარის სინდრომი — გლოსოფარინგული ნევრალგია, ენა-სახის ნერვის ნევრალგია, გაძოვლინდება ტკივილის მოულოდნელი შეგრძნებით ხახასა, ენის ძირსა და რბილ სასაში ცხელი, ცივი ან მკვრივი საკვების მიღებისას, ლაპარაკის, ხველების და მთქნარების დროს. სინონიმები: ვეიზენბურგ-სიკარ-რობინოს სინდრომი სიკარ-რუბინოს სინდრომი.

სიკარ-კოლეს სინდრომი — თავის ტვინის ბულბური ჯგუფის მე-9, მე-10, მე-11, მე-12 ხერვების ერთდროული დაზიანება უნილატერალურად. მეტწილად ადგილი აქვს ქალას ფუძის მოტეხილობის დროს (როცა მოტეხილობას ხახი გაიელის როკის წინა ხვრელსა და უკანა დაფლეთილი საუღლე ხვრელის დონეზე.

სიკარ-რუბინოს სინდრომი — სინონიმი: სიკარის სინდრომი. ვეიზენბურგ-სიკარ-რობინოს სინდრომი (იხ.).

სილვერ-ზალერ-შტედტის სინდრომი — ფილტვის ესენციური ჰემოსიდეროზი. ავადდებიან ადრეულ ბავშვთა ასაკში. ხასიათდება მორეციდიული ჰიპოქრომული ანემიით, გაჭვავებისას — მოხრჩობის მაგვარი შეტევებით და ხველებით, სისხლნარევი ნახველით. შესაძლოა მუცლის ტკივილი, სიყვითლე, მაღალი სიცხე, ზომიერი არტერიული ჰიპერტენზია. ფილტვებში რენტგენოლოგიურად აღინიშნება გაფანტული, წვრილკეროვანი ჩრდილები, უმეტესად ქვედა წილებში.

სილვერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, დასაშვებია გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: დაბადებისას სხეულის მცირე მასა, საერთო განვითარების შეფერხება, მომცრო სიმაღლე, ხელის მტევნის მეხუთე თითები მოკლე და მოღუნულია, თან ახლავს სინდაქტილია, კანი ადგილებში ჰიპერპიგმენტირებულია (უკავა-რძის ფერისა), აღინიშნება ლიმფანგიექტაზიკური შეშუპება მკერდისა და ტერფის გარე

თა მხარეს, გოგონებში ადგილი აქვს ჰონადოტროპინურიას, რაც მიზეზი ხდება ნაადრევი თვიურისა.

ხილვესტის დაავადება ანუ სინდრომი — ეპიდემიური მიალგია, მწვავე ეპიდემიური მიოზიტი, ეპიდემიური პლევროდინია, მშრალი პლევროზია, ეპიდემიურ-კუნთოვანი რევმატიზმი, „ეშმაკის გრიპი". ეპიდემიური მიოზიტი „ბ" ჯგუფის კოქსაკის ვირუსით გამოწვეული ეპიდემიური ხასიათის დაავადება. პირველად დადგინდა კუნძულ ბორნჰოლმზე. კლინიკური სურათი ხასიათდება მუცლის და გულმკერდის კუნთების ძლიერი ტკივილით, სიცხიანობით, ზემო სასუნთქი გზების გაღიზიანებით. პროგნოზი დადებითია. სინონიმები: ბორნჰოლმის სინდრომი ანუ დაავადება, დაეს დაავადება, ფინზენ-დაეს დაავადება, ეპიდემიური მიალგია, მწვავე ეპიდემიური მიოზიტი.

ხილვესტრონ-ბიანკის სინდრომი — მცირე თალასემია, ჰემოლიზური უკრედოვანი ანემია — მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემია, ხასიათდება ჰემოგლობინის სინთეზის დარღვევით. მემკვიდრეობით გადაცემის ტიპი რეცესიულია. მცირე თალასემია თალასემიის ჰეტეროზიგოტური ფორმაა. ხასიათდება მსუბუქი ჰიპოქრომული ანემიით, ერითროციტების მცირე რაოდენობით, ელენთის ზომიერი გადიდებით. სინონიმი: რიეტ-გრეპ-მიკელის დაავადება.

ხილვესტრინ-კორდას სინდრომი — ღვიძლის ციროზი ანდროგენულ და ესტროგენულ ჰორმონთა მეტაბოლიზმის დარღვევით. ნიშნები: ღვიძლის ციროზის სიმპტომები, გინეკომასტია, სათესლე ჯირკვლის ატროფია, თმიანი საფარის შემცირება, იმპოტენცია და საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითება.

ხილვერშულდის დაავადება — ტიპიური ქონდროპლასტიკური ცელილებები, რაც იწვევს ქონდროკაპას ძიდურთა ძვლების არანორმალური დამოკლებითურთ შეა პროქსიმულ ნაწილებში, ხერხემლის გამრუდებას, უნაგირისებრ ცხვირს და ფეხმრუდობას. რენტგენოგრამაზე აღინიშნება გრძელი ძვლების დიაფიზის გამრედება, ეპიფიზის სოკოსებრი გასქელება, გრძელ, ღულისებრ ძვლებში ეპიფიზურ-მეტაფაზური ქონდროდისტროფიული ცვლილებები. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: მორგ-სილვერშელდის სინდრომი, მორგის სინდრომი, ტურპინ-კოსიას სინდრომი.

სიდმონის სიმპტომი — გუგის გაფართოება საშვილოსნოს გარე ორსულობის დროს გამსკდარი ფალოპის მილის მხარეზე.

სიმანოვსკი-პლაუტ-ვენსანის ანგინა — წყლულოვან საფარიანი ანგინა, ღინური ანგინა, იწვევს სიმბიოზში მყოფი თითისტარისებრი პლაუტ-ვენსანის ბაქტერია და ვენსანის სპიროქეტა. ხასიათდება ნუშისებრი ჯირკვლების ზედაპირული დაწყლულებით, რაც დაფარულია ჭუჭყიანი მომწვანო ნადებით, აქვს პუტრიდული სუნი. სინონიმები: ვენსანის ანგინა, ვენსან-სიმანოვსკის ანგინა.

ხიმაღლისეული დაავადება — პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება დიდ სიმაღლეზე ფრენის დროს. წააგავს მთის დაავადებას (იხ.), მაგრამ მისი იდენტიური არ არის. სიმაღლისეული დაავადების მიზე-

ხებია ჰიპოქსია, ატმოსფერული წნევის სწრაფი ცვლილება, დიდი სისწრაფე, ხმაური.

სიმენსის აკრომელანობი — ხელის მტევნების მემკვიდრეობითი უპირატესი აკროპიგმენტაცია. ახასიათებს გაფანტული დეპიგმენტაცია ქინძისთავის ოდენა ლაქებით. შერწყმულია ატროფიასა და გასქელებასთან, თმის გათეთრებასა და დაცვენასთან.

სიმენსის მრავალფორმიანი კერატოზი — თანდაყოლილი პაქიონიქია — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია პიპერიდროზით, პაქიონიქია, გაფანტული ფოლიკულური კერატოზი მუხლებსა და იდაყვებზე, ლეიკოკერატოზი ლორწოვან გარსებზე ძირითადად პირის ღრუში, არაიშვიათია კატარაქტა, თმის და კბილების დისტროფია, ინტელექტის დეფექტი. მემკვიდრეობის ტიპი — დომინანტური. სინონიმი: ოადასონ-ლევანდოვსკის სიმპტომი.

სიმენსის ხინდრომი — თანდაყოლილი ანჰიდროზული ექტოდერმული დისპლაზია, მრავალფორმიანი იდიოპათიური კერატოზი, თანდაყოლილი ანომალიათა შერწყმა: საოფლე ჯირკვლების არარსებობა, სრული ან ნაწილობრივი ადენთია, ჰიპოტრიქოზი, ცხვირის ძვლების დეფორმაცია ჰეალიტი და კანის მოცისფრო პიგმენტაცია. სინონიმი: კრისტ-სიმენსის სინდრომი.

სიმენს-ბლოხის პიგმენტური დერმატოზი — პიგმენტური დერმატოზი, დერმის დეგენერაციული მელანოზი, ოჯახური ქრომატოფილური ნევუსი — მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს სხეულის გვერდით ზედაპირებზე, დაბადებიდან მცირე დროში, ახირებული ფორმის პიგმენტური ლაქების წარმოქმნა. შერწყმულია კბილების, თმის, თვალების და ა. შ. განვითარების ანომალიებთან. გეხვედება გოგონებში. სინონიმი: ბლოხ-სულბერგერის მელანობლასტოზი.

სიმერზის დაავადება ანუ სინდრომი — ლიმფადენოპათია გენერალიზებული ერითროდერმიითურთ. ნიშნები: იღლიასა და საზარდულში ლიმფომები, ერითროდერმია ან ლიქენოიდური დერმატიტი, ეგზემატოზური გამონაყარი, რომელიც იწვევს ქაოილს, ალოპეცია, სპლენომეგალია, ანემია, ლეიკოპენია, ეოზინოფილია, ძვლის ტვინში რეტიკულური ჰიპერპლაზია. მიმდინარეობა ქრონიკული, აღინიშნება მიდრეკილება რემისიებისადმი. არაიშვიათია ერითროდერმიის გადასვლა სარკომატოზში.

სიმიხ სიმპტომი — რენტგენოლოგიური ნიშანი, რომლის დროსაც ნაწლავის მარყუჟები სწორდება, იშლება, ლორწოვანის რელიეფი არაჩვეულებრივად ისახება (ჭარბი ექსუდაციის გამო), დაავადებულ სეგმენტებში ლორწქვეშა შრის შეშუპების ხარჯზე ვიწროვდება ნაწლავის სანათური. ამ შევიწროვებას თან ერთვის სპაზმი და ნაწლავი ღებულობს „სიმის“ გარეგნობას. სტენოზირების დროს „სიმის სიმპტომი“ მედმივად ჩანს. შევიწროებული ნაწილის მაღლა მდებარე მარყუჟი დილატირდება. „სიმის სიმპტომმა“ შეიძლება რამდენიმე ადგილას იჩინოს თავი. ამ ადგილების მაღლა ჩანს (მიმოხილვით სკოპიისას) სითხე და აირი.

სიმონდსის დაავადება — იხ. სინონიმი: სიმონდს-გლინსკის დაავადება.

სიმონდსის სინდრომი I — ოტოგენური ჩარმოშობის ქალასშიდა წნე-

ცის ჰომატების სინდრომი. გუხვდება ბავშვებში ან ჰოზარდებში. ხასიათდება შეტევითი ხასიათის თავის ტკივილით, ღებინებით, მხედველობის ნერვის დერილების შეშუპებით, ზოგჯერ განმზიდველი ნერვის პარეზით. თავ-ზურგ-ტვინის სითხე ნორმალურია, თუმცა განაცდის დიდი წნევის გაკლენას. აშვიათად ვითარდება მხედველობის ნერვთა ატროფია.

სიმონდსის სინდრომი II — ლიმფოციტური კეთილთვისებიანი მწკავე მენინგიტი. მწკავე მენინგიტის კეთილთვისებიანი ფორმა. ნიშნები: მენინგეალური სიმპტომები ლიმფოციტური პლეოციტოზით, ქლორიდების და შაქრის ნორმალური შემადგენლობით ლიქვორში. ჩვეულებრივ გუხვდება გრიბისა და უბაყურას შემდეგ.

სიმონდსის თირეოიდიტი — ქრონიკული ატროფიული თირეოიდიტი. დამახასიათებელია ფარისებრი ჯირკვლის გამოხატული ატროფია, შემაერთებელი ქსოვილის განვითარება, ლიმფოციტური ინფილტრაცია, კლინიკურად მიმდინარეობს როგორც მიქსედემა. ემართებათ ეშეტესად ხანშიშესულ ქალებს.

სიმონდს-გლინსკის დაავადება — ჰიპოფიზური კახექსია, დიენცეფალურ-ჰიპოფიზული კახექსია, პანჰიპოპიტუიტარიზმი, დაავადება, გამოწვეული ჰიპოთალამუსის ბირთვებში დაზიანებით და ჰიპოფიზის წინა ნაწილის ტროპული ჰორმონების პროდუქციის ნაკლოვანებით. ახასიათებს ფარისებრი, სასქესო ჯირკვლების და თირკმელზედა ჯირკვლების ქერქული ფენის ნაკლოვანების მოვლენები. ყოველივე ეს თანდათანობით გადადის კახექსიაში. სინონიმი: სიმონდსის დაავადება.

სიმონდს-სჩიდთ-ბარაკერ-ჰოლენდერის სინდრომი — ცხიმოვანი ქსოვილის პროგრესიული ატროფია უპირატესად სხეულის ზემო ნაწილსა და სახეზე ლოკალიზაციით, ამასთან მენჯის, დუნდულების და ბარძაყის მიდამოში აღინიშნება ცხიმოვანი გარსის მკვეთრი განვითარება. შესაძლოა ოსტეოსკლეროზის, ძვლებში ცისტების, ვაზომოტორული მოშლილობის განვითარება, მენსტრუაციის დარღვევა. უპირატესად ავადდებიან ქალები. მაზუსი გაერკვეველია.

სიმონსის სიმპტომი — წარმოადგენს მიტრალური სარქველების ჩაკირვას.

სიმონსის სინდრომი — პროგრესული პარადოქსული ლიპოდისტროფია. ცხიმოვანი ქსოვილის პროგრესიული ატროფია სხეულის ზედა ნახევარზე, განსაკუთრებით სახეზე და გულმკერდის ყაფაზის არეში და, პირიქით, ცხიმოვანი ქსოვილის ჭარბი განვითარება თეძოს, დუნდულებსა და ბარძაყის არეში. ზოგჯერ შეხამებულია ოსტეოსკლეროზთან, ძვლის კისტასთან, ვაზომოტორულ მოშლილობასთან, მენსტრუაციის დარღვევასთან. მიზეზია მეზო-დიენცეფალური არის პათოლოგია.

სიმპსონის სინდრომი I — ჰიპოთალამური რეგულაციის პოსტინფექციური დარღვევები, ჩვეულებრივ ვითარდება ბავშვებში, რომლებმაც რამდენიმე წნით ადრე გადაიტანეს წითელა ან ქუნთრუშა. ნიშნები: ბიჭებს აღენიშნებათ გაძლიერებული ზრდა, სიმსუქნე, გვიანი პუბერტატი, საერთო ქალური გარეგნობა, ქალური ხასიათის ნიშნები, წითელი ან მოვარდისფრო სტრიები. გოგონებში: ზრდის დაჩქარება, სიმსუქნე, გვიანი პუბერტატი, ჰირსუტიზმი.

სიმპსონის სინდრომი II — ბულდოგის სინდრომი. მემკვიდრეობითი დეფორმაციის ნაირსახეობა (შესაძლოა რეცესიული, შეკავშირებული X ქრომოსომასთან). ნიშნები: დიდი, წინ წამოწეული ქვედა ყბა, გაფართოებული ცხვირი, გადიდებული ენა, მოკლე და ფართო ხელის მტევანი და ითითები. ინტელექტი ნორმალური.

სიმხოვიჩის რეფლექსი — სიმხოვიჩის ცხვირ-ნიკაპის რეფლექსი, ორალური ავტომატიზმის რეფლექსი — ცხვირის კეხზე სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმისას დამახასიათებელია ნიკაპის კუნთების შეკუმშვა. სინონიმი: ფლატაუს რეფლექსი.

სინდრომი CRST — სისტემური სკლეროდერმიის ვარიანტი. ხასიათდება კალცინოზის (C), რეინოს სინდრომის (R), სკლეროდაქტილიისა (S) და ტელეანგიექტაზიების შერწყმით და შინაგან ორგანოთა იშვიათი დაზიანებით. ზოგიერთ უცხოურ კლასიფიკაციაში ცალკეა გამოყოფილი.

სინდრომი 47, XYY — საკმარისად ხშირი ანომალია, განსაკუთრებით ფსიქიატრიულ პრაქტიკაში. დამახასიათებელია მაღალი ტანი და სხეულის დიდი მასა, ატლეტური აღნაგობა (სიდაბლე არ გამორიცხავს ამ კარიოტიპს), მოძრაობის და მისი კოორდინაციის დარღვევა, თავის ტვინის ორგანული დაზიანება, ეეგ-ზე დიზრიტმია, დესინქრონიზაცია. შესაძლოა მხედველობის ველის დავიწროვება, ქრონიკული მიელოლეიკოზი.

სინთორელის ნიშანი — რეტრომანდიბულურ წერტილში მტკივნეულობა პალპაციის დროს. მენინგიტის ნიშანი.

სინუსური კვანძის სისუსტის სინდრომი — ბრადი-ტაქიკარდიის სინდრომი, სინუსური კვანძის დისფუნქციის სინდრომი, სინუსური ბრადიკარდიის ან სინუატრიკულური ბლოკადის ერთად არსებობის ფონზე სხვადასხვა არითმიების შეტევები (მაგალითად წინაგულთა თრთოლვა ან ციმციმი, სუპრავენტრიკულური ტაქიკარდია). შესაძლოა გამოვლინდეს სინო-აურიკულური კვანძების დაზიანების და ასევე მის ირგვლივ არსებული მიოკარდიუმის უბნებში პათოლოგიური პროცესების დროს.

ხანობრიჭკელი სინდრომი — სინუსიტების კავშირი ქვედა სასუნთქი გზების დაავადებებთან დღევანდელი შეხედულებით ხორციელდება იმუნური და არაიმუნური მექანიზმებით, რაც მათთვის საერთოა. კლინიკური სურათი მიმდინარეობს კარტაგენერის (ი.ხ.), მუკოვისციდოზის, კლასიკური სინობრონქიალური სინდრომის, ალერგიული რინიტის, ჰიპერრეაგირებული ბრონქული სინდრომის, სეზონური ალერგიული რინიტის, მწვავე და ქრონიკული ტონზილიტის ნიშნებით.

სიოგრენ-ლარსონის სინდრომი — იქტიოზის, ოლიგოფრენიისა და სპასტიკური დამბლის ერთად არსებობა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ხშირია ჩრდილოეთ შვეიცარიაში. ძირითადი ნიშანია მთელი სხეულის იქტიოზი (გარდა სახისა, იღლიებისა და თავის თმიანი ნაწილისა). აღინიშნება ოლიგოფრენია, სიარულის დარღვევა, კუნთების ტონუსის მოშატება, მყესთა რეფლექსის გაძლიერება, ავადმყოფთა გიგანტური ან ჯუჯა სიმაღლე.

ხიპლის სინდრომი — მემკვიდრეობითი მრავლობითი ენდოკრინული ხასიათის სიმსივნეთა კომპლექსი. ფარისებური ჯირკვლის მედულარული

კარცინომა შეუღლებული ორმხრივ ფეოქრომოციტომასთან და პარათირეოიდული ჯირკვლის ჰიპერპლაზიასა ან ადენომასთან. ადგილი აქვს აკტ, ერითროპოეტინს, კალციტონინის და სხვ. ჰორმონთა ექტოპიურ პროდუქციასაც. სინონიმი: შიმკეს სინდრომი.

სირნევის სიმპტომი — ტუბერკულოზური მენინგიტის ადრეული ნიშანი. აღინიშნება მუცლის ღრუს ლიმფური ჯირკვლების გამოხატული გადიდება, დიაფრაგმის მაღალი მდებარეობა და მსხვილი ნაწლავის აღმავალი ნაწილის მარყუჟის სპასტიკური შეკუმშვა.

სიროტინინის სიმპტომი — სისტოლური შუილის წარმოშობა ან გაძლიერება აორტის სარქვლის მოსასმენ ადგილზე ავადმყოფის მიერ ხელების (ან მარტო მარჯვენა ხელის) ზევით აწევისას (ან კეფაზე დადებისას). არის გულ-მკერდის აორტის აღმავალი ტოტის სკლეროზის ნიშანი. აღინიშნება ასევე აორტის ექტაზიისა და ანევრიზმის შემთხვევაში. სინონიმი: სიროტინინ-კეკოვეროვის ნიშანი.

სიროტინინ-კუკოვეროვის სიმპტომი — იხ. სინონიმი: სიროტინინის ნიშანი.

„სისტოლური წკიპურტის“ ფენომენი — ბგერითი ფენომენია, დამახასიათებელია მიტრალური სარქვლის პროლაბირებისათვის (ჩაზნექვა). სისტოლის დროს არასრულყოფილი სარქველის კარედი იკეცება და ბურთისებურად იზნიქება წინაგულისაკენ. სინდრომისათვის პათოგნომონურია: შუა სისტოლის დროს დამატებითი ტონი — სისტოლური წკიპურტი (სისტოლის დროს ქორდების ძლიერი დაჭიმვისა და შეკუმშვის გამო) და მის მომდევნოდ გვიანი სისტოლური შუილი.

სისხლის დაკარგვის სინდრომი — სისხლის დაკარგვის საპასუხოდ ორგანიზმში წარმოიქმნება რთული პათოფიზიოლოგიური რეაქცია, რომელიც განისაზღვრება როგორც სინდრომი. ამიტომ საჭიროა ამ პათოლოგიური მდგომარეობის მკურნალობა და არა ცირკულაციაში მყოფი დაკარგული სისხლის მოცულობის უბრალო აღდგენა. საჭიროა გვახსოვდეს ერითროციტების ნახევრის სწრაფი დაკარგვა არ არის სასიკვდილო, მაშინ როდესაც პლაზმის მესამედის შემცირებაც კი სიცოცხლისათვის ერთობ სახიფათოა. სისხლის მიმოქცევის გამოკვეთილი უკმარისობა ვლინდება ცირკულაციაში არსებული სისხლის მეოთხედზე მეტის დაკარგვის დროს.

სისხლის ჰიპერწებოვნების სინდრომი—სისხლის წებოვნება ჰემორეოლოგიურ თვისებათა ინტეგრანული მაჩვენებელია, დამოკიდებულია პლაზმის შემადგენლობაზე, მის ლიპიდურ და ცილოვან დონეზე, ჰემატოკრიტიკის მაჩვენებლებზე, ერითროციტების აგრეგაციაზე, მათ სისხლის მდინარების ცვლილებების ადაპტაციაზე და მათ დეფორმირებისადმი თვისებაზე. ორი ან მით უფრო სამი ფაქტორის მერყეობა ხელს უწყობს სისხლის წებოვნების წონასწორობის დარღვევას და ჰიპერწებოვნების განვითარებას. ამაში ჯეროვანი ადგილი უჭირავს ქსოვილოვანი სითხის მდგომარეობას და მათ ოქსიგენაციას.

სისხლიანი ნამის ფენომენი — „წერტილოვანი სისხლდენის ფენომენი“, პაპულიდან წერტილოვანი სისხლდენის გაჩენა მისი ქერქის მთლიანი აფხეკის დროს — ფსორიაზის სიმპტომი. სინონიმი: აუსპიტის სიმპტომი.

სიხხლძარღვში შედედების სინდრომი — შესაძლებელია შეგვხვდეს სხვადასხვა დაავადების დროს, მათ შორის სიმსივნეების, წყლულოვანი დაავადების და ა. შ. იხ. დსშ — სინდრომი.

სიხხლძარღვოვანი სინდრომი — ავთვისებიანი დაავადებები არაიშვიათად ვლინდება და მიმდინარეობს არასპეციფიკური გამოვლინებებით ანუ პარანეოპლასტიკური რეაქციებით, რომელთა ხასიათი მრავალმხრივი და ძრავალფეროვანია, მათ შორის უფრო ხშირია ოსტეოართროპათიები და სისხლძარღვოვანი სინდრომი. ეს უკანასკნელი უპირატესად ვლინდება მიგრირებადი თრომბოფლებიტის სახით.

„ხიცილის ავადმყოფობა" — ანუ „კურურუ". მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი სხეულება, რომლითაც დაავადებულია მხოლოდ ახალი გვინეის ტოოპიკულ ტყეებში მცხოვრები ფორას ტომი.

სიტკოვსკის სიმპტომი — მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის გაძლიერება მწოლარე ავადმყოფის მარცხენა გვერდზე გადმობრუნებისას. მჭკვიანე აპენდიციტის ნიშანი.

სკაგლიეტ-დაგნინას სინდრომი — აკრომეგალიის ფორმა მიმდინარე გარდა ჩვეული დამახასიათებელი ნიშნებისა და ლავიწის ძელის, ხერხემლის ძალებისა და მალთაშუა ხრტილების ჰიპერტროფიით. აღინიშნება გამოხატული ტკივილი, მოძრაობის შეზღუდვა, ვითარდება კიფოზი. სინონიმი: ერდჰეიმის სინდრომი II.

სკალენუს სინდრომი — კიბისებური კუნთის სინდრომი. კისრის არეში ტკივილის შერწყმა მხარის ზემოთ და ხელში — იდაყვის მხარეზე ტკივილთან, ხელის პერიფერიულ პარეზთან (უპირატესად დისტალურ ნაწილებში), მტკივნეულობასთან პალპაციის დროს წინა კიბისებური კუნთას მიმაგრების ადგილას, სხივის არტერიაზე პულსის დასუსტებასთან, ადგილობრივ ვეგეტატიურ სისხლძარღვოვან დარღვევებთან. გამოწვეულია ლავიწქვეშა არტერიაზე ზეწოლით და ასევე მხრის წნულის ლავიწქვეშა ნაწილის კისრის მალებქვეშ ზეწოლით ან ანომალიურად განლაგებული პირველი ნეკნითა და შეკუმშული კიბისებური კუნთით. სინონიმები: ნიფციგერის სინდრომი, წინა კიბისებური კუნთის სინდრომი.

სკედინგის სინდრომი — დიფუზური ინტერსტიციული პროგრესირებადი ფიბროზი. ფილტვების ფიბროზული დისპლაზია, იდიოპათიკური მაფიბროზირებელი ალვეოლიტი. ინტერსტიციუმის პროგრესირებადი პნევმოფიბროზი, რასაც მოყვება მზარდი სუნთქვითი უკმარისობა. სინონიმი: ჰამანი-რიჩის დაავადება.

სკვირსკის ნიშანი — ზეწოლა ან მსუბუქი პერკუსია, რომელიც ტარდება ხერხემლის ოდნავ მარჯვნივ გულ-მკერდის 9—11 მალების დონეზე. გამოიწვევს ტკივილი როგორც პალპაციის ადგილას, ასევე ნაღველის ბუშტის მიდამოში. ნაღველის ბუშტის დაავადების ნიშანი.

სკლეროზის სიმპტომი — ვეზიკულის დაცლა თავდაპირველად მას ირგვლივ კანზე ზეწოლისას, შემდეგ კი თვით ვეზიკულის მოპერის შემდეგ. აღინიშნება ჩეტყვავილის დროს და არ არის ყვავილის დროს.

სკორპილის სიმსივნე — ეპითელიომა ორმაგი მეტაპლაზიით, ლორწოს წარმომშობი ეპითელიომა — პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სიმსივნე

(უფრო ხშირად ავთვისებიანი), შედგება მუკოციტებისა და ბრტყელი ეპითელიოციტებისაგან.

სკოტ-აარსკოგის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი (აუტოსომურ-დომინანტური და იქს-ქრომოსომასთან შებმული გადაცემის ტიპით): თვალის ჰიპერტელორიზმი, გარეთ გადმობრუნებული ნესტოები, სქელი ტუჩი, უნაგირის პარკის მაგვარი სათესლე პარკი. შესაძლოა ემატებოდეს ზემო კიდურების თითების ზედმეტი გაშლა, ბრტყელი ტერფები და სხვ.

სკივერ-გოლდბლუმ-როთას სინდრომი — ამინომჟავეების ცვლის მექვიდრეობითი დარღვევები. ნიშნები: ჰიპოფოსფატემია, რაქიტის ნიშნები, თირკმლისმიერი ჰიპერგლიცინურია, თირკმლისმიერი გლიკოზურია და გლიცილპროლინურია.

სკრაივერ-შეფერ-ეფრონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: თირკმლების ჰიპოპლაზია, ინტერმიტირებული ჰემატურია და პროტეინურია, სიყრუე, ეპილეფსია (რომლის პროვოცირებას ახერხებენ ძლიერი სინათლე). შარდში დიდი რაოდენობით გამოიყოფა გლიცინი, L — პროლინი და L — ჰიდროქსიპროლინი.

სკულმანის პოსტტრანსფუზიული პურპურა — დამახასიათებელია ძლიერი პეტექიალური გამონაყარი, თრომბოციტოპენია და მეგაკარიოციტოზი ძვლის ტვინში. ჰემორაგიული მოვლენები ვითარდება სისხლის გადასხმიდან ერთი კვირის შემდეგ, გრძელდება 3—4 კვირა და ქრება სპონტანურად. ეტიოპათოგენეზური მექანიზმი დაკავშირებულია სისხლის გადასხმის დროს თრომბოციტურ შეუთავსებლობასთან. გვხვდება ხშირი ჰემოტრანსფუზიების ან ორსულობის შემდეგ.

სლადერის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვინდება ფრთა-სასის კუნთის დაზიანების დროს. ეს კუნთი — გაგნგლიუმი რთული შენებისაა, აქვს სამი ფესვი და დაზიანება იძლევა კლინიკურ სიმპტომთა მრავალფეროვნებას ტკივილის სინდრომის ფართო გამოვლინებით. კუნთის ჩათრევა ხდება შემდეგი პათოლოგიების დროს: ჰაიმორიტი, ლაბირინთის ანთება, ოდონტოგენური დაავადებები, ტონზილიტი, ოტიტი, რეფლექსურად შინაგან ორგანოთა დაავადების დროს (ღვიძლი, თირკმელები, ქალთა სასქესო ორგანოები). კლინიკა: ტკივილი, ვეგეტატიური — სისხლძრაღვოვანი დარღვევები.

სლოუკემის სინდრომი — სტეროიდული ფსევდორევმატიზმი. სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება გლუკოკორტიკოიდების ხანგრძლივი მიღების მოხსნის შემდეგ. ნიშნები: დაღლილობა, ემოციური ლაბილობა, შოუსვენრობა, დეპრესია, ტირილი, უმადობა; უძილობა; თაეის ტკივილი, ფოტოფობია, კუნთების თავისებური ფსევდორევმატიული ტკივილი, სახსრების ტკივილი მოძრაობისას, ლაბილური ტემპერატურა, სუბფებრილიტეტი, არითმია, გამონაყარი კანზე (ეჭიმოზი, პეტექია, ეგზანთემა, ჰიპერტენზია, ლეიკოციტოზი ან ლეიკოპენია, ეოზინოფილია, აჩქარებული ედს, ჰიპოალბუმინემია, ჰიპერკალციემია.

სლუდერის სინდრომი — იხ. სლადერის სინდრომი.

ხჩითის დაავადება — მცირე სიმპტომიანი ინფექციური ლიმფოციტოზი, ლიმფოციტური ცხელება. მწვავე ქვთილთვისებიანი ასიმპტომატური ლიმფოციტოზი, ინფექციური ლიმფოციტოზი. გვხვდება 7 წლის ასაკამდე ბავშვებში. კლინიკური სურათი ღარიბია. შეიძლება აღინიშნოს ტემპერატურის მომატება, ფაღარათი, ლიმფადენოპათია, ღვიძლისა და ელენთის უმნიშვნელო გადიდება. გამოხატულია ლეიკოციტოზი ლიმფოციტოზით 95%-მდე. ძვლის ტვინი ნორმალურია ან არის ლიმფოციტოზი 25%-მდე. ეტიოლოგია უცნობია. სავარაუდოა ვირუსული წარმოშობა. მკურნალობას ან სრულად არ საჭიროებს, ან სიმპტომატურია.

სმითის სიმპტომი — ფილტვის ჰილუსებში ლიმფური კვანძების გადიდებისას, ავადმყოფის მიერ თავის უკან გადაწევის დროს, მკერდის ძვლის სხეულის და მის მარჯვნივ მიდამოში აუსკულტაციით მოისმინება ვენური შუილი. სინონიმი: სმით-ფიშერის შუილი.

სმითის სინდრომი — ეწოდება პროგრესიულ ლიმფოდისტროფიას. დაავადება ხასიათდება კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილის თანდათანობითი განლევით და გაქრობით სხეულის ზედა ნახევარში (სახე, კისერი, გულმკერდი, ზედა კიდურები) და მისი მოჭარბებული დალაგებით სხეულის ქვედა ნახევარში. ხშირი კომბინაცია ოსტეოსკლეროზთან, ძვლის კისტოზებთან, ოლიგოფრენიასთან, დისმენორეასთან, ჰიპერთირეოზთან. სინონიმები: ჰოლენდურ-სიმონის დაავადება, ბარაკერ-სიმონის დაავადება, პარადოქსული ლიპოდისტროფია.

სმით-ახორის სინდრომი — ნივთიერებათა ცვლის მოშლა ჰიპოკალიემიით ნაწილობრივი შიმშილის ნიადაგზე. დამახასიათებელია სპრუს ნიშნები, კანის პელაგრისმაგვარი ცვლილებები, ჰიპერქრომული ანემია, დიარეა, ძლიერი სისუსტე, თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობის ნიშნები: აქლორჰიდრია, ჰიპოკალიემია, ჰიპოქოლერემია, ჰიპოკალციემია.

სმით-თეილორ-შახენმანის სინდრომი — ცერებროკოსტომანდიბულური სინდრომი. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ქვედა ყბის ჰიპოპლაზია, გლოსოპტოზი, რბილი სასის გაპობა, ჰიპოპლაზია და (ანდა) ენის გაპობა, ტრაქეის ხრტილთა ჰიპოპლაზია, სტრიდოროზული სუნთქვა, ქვედა ნეკნთა დეფექტები, გულმკერდის დისპლაზია (მეორეული), ზედა სასუნთქი გზების ინფექციისადმი მიდრეკილება, ყურების ნიჟარათა დისპლაზია, მიკროცეფალია, საერთო განვითარების შეფერხება, ხერხემლის დისპლაზია, ჰიპოტონია, პროგნოზი არასახარბიელოა.

სმით-ლემლი-ოპიცის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: დაბადებიდანვე მცირე ზომის ახალშობილი უარს ამბობს ჭამაზე, აღებინებს: თავის ქალასა და სახის დისტროფია, მოხუცებულის შესახედაობა, ქუთუთოს დაწევა, სიელმე, მიკროგენია, კბილებს შორის მანძილთა მოშატება, სასის გაპობა, კლინოდაქტილია, გონებრივი ჩამორჩენა, კუნთოვანი ტონუსი მომატებულია, ზოგჯერ დაქვეითებული, გულის სხვადასხვა თანდაყოლილი მანკი.

სმით-ფიშერის სიმპტომი ანუ შუილი. — იხ. სინონიმი: სმითის სიმპტომი.

სმით-სტრენგის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ღია ფერის თმა, თავის ღარიბი თმიანობა, ბავშვის მონოტონური ტირილი, მორეციდივე შეშუპება და მაღალი ტემპერატურა, ფსიქომოტორული განვითარების შეფერხება, შარდი დამწვარი შაქრის სუნით, ჰიპერამინოაციდურია. ლეტალური გამოსავალი ძუძუმწოვარა ასაკში.

სმირნოვის რეფლექსი — მკერდ-მხარის რეფლექსი. მკერდის ძვლის პერკუსიის დროს აღინიშნება მხრის მოზიდვა. რეფლექსი ფიზიოლოგიურია.

სნაიდერ-სტივენსის სინჯი — 15 სმ მოშორებით გამოსაკვლევი პირი ცდილობს ჩააქროს ანთებული სანთელი (პირი უნდა იყოს გაღებული), უარყოფითი სინჯი, ანუ როცა ავადმყოფი სანთელს ვერ აქრობს არის დამადასტურებელი ბრონქული განელადობის დაზიანებისა.

სნედონის სინდრომი — ცერებროვასკულური პათოლოგია, თანხვედრილი კანზე გენერალიზირებული ლივედოთი. ეტიოლოგია უცნობი. დამახასიათებელია წვრილი და საშუალო ყალიბის არტერიების არაანთებითი დაზიანება.

სნედონ-ვილკინსონის სინდრომი — პუსტულოზური სუბკორნეალური დერმატოზი, სუბკორნეალური პუსტულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ახასიათებს წვრილი სტერილური სუბკორნეალური პუსტულოზი, ტანის კანზე რგოლისებურად ან ხაზობრივად განლაგებული იღლიის ფოსოებში ან საზარდულის ნაოჭებში.

სობანსკის სიმპტომი I — სინონიმები: სალუს-გუნის სიმპტომი I, სალუსის სიმპტომი I (იხ.), გუნის სიმპტომი I.

სობანსკის სიმპტომი II — სინონიმები: გუნის სიმპტომი II, სალუსის სიმპტომი II, სალუს-გუნის სიმპტომი II.

სობანსკის სიმპტომი III — სინონიმები: სალუსის სიმპტომი III (იხ.), გუნის სიმპტომი III, სალუს-გუნის სიმპტომი III.

სოკოლოვის ნიშანი — ბოტალოს ღია სადინრის დროს (არტერიული სადინრის შეუხორცებლობა) სისხლის წნევა მარჯვენა ხელზე ზოგჯერ არის უფრო მაღალი, ვიდრე მარცხენაზე. სინონიმი ვესელოგის სიმპტომი.

სოკოლოვის სინჯი — ფილტვების ქრონიკული ემფიზემის რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის მეთოდი; დამოკიდებულია სამი ცალკე რენტგენოგრამის მიღებაზე ფილტვების რომელიმე უბნიდან — მაქსიმალური შესუნთქვის ფაზაში, სუნთქვითი პაუზის და მაქსიმალური ამოსუნთქვისას — ექსპოზიციისა და გამჟღავნების ერთი და იგივე პირობებში. ოპტიკური სიმკვრივის სხვაობა რენტგენოგრამაზე გვაძლევს შესაძლებლობას შევაფასოთ ფილტვების ემფიზემის გამოხატულება.

სოკოლსკი-ბუიოს დაავადება — რევმატიზმი, ინფექციურ-ალერგიული დაავადება, ეტიოლოგიურად დაკავშირებულია „ა" ჯგუფის სტრეპტოკოკებთან. დამახასიათებელია შემაერთებელი ქსოვილის სისტემური ანთება პროცესის უპირატესი ლოკალიზაციით გულ-სისხლძარღვთა სის-

ტეყაში და მორეცედივე მიმდინარეობა. სინონიმები: ბუიოს დაავადება, ბუიო-სოკოლსკის დაავადება.

ხომოჯის ფენომენი — პოსტჰიპოგლიკემიური ჰიპერგლიკემია. ინსულინის ჰიპერდოზირების ქრონიკული სინდრომი. ინსულინის მზარდი დოზებით მკურნალობის ფონზე ადგილი აქვს ჰიპერგლიკემიის პარალელურ ზრდას, ინსულინის დოზის შემცირება კი ხელს უწყობს ნორმოგლიკემიის მიღწევას. ვითარდება ჰიპერგლიკემიის მიზეზთა არასწორი შეფასების შედეგად.

სომხური დაავადება — სინონიმები: სიგალ-კატან-მამუას დაავადება (იხ.), ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი, რეიმანის დაავადება.

სორბსბის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლო გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: ორმხრივი მაკულარული კოლობომა, ბრაქიდაქტილია, პოლიდაქტილია, სინდაქტილია, ზოგჯერ ცალი თირკმელის აგენეზი.

სორეზის სიმპტომი — მტკივნეულობა მარჯვენა საზარდულის მიდამოში ავადმყოფის ფერდქვეშა არეზე ზეწოლის დროს, რომელიც ზერგზე წყვეს. ქრონიკული აპენდიციტის შესაძლო ნიშანი.

სორიანოს სინდრომი — მადეფორმირებელი პერიოსტიტი. ქრონიკული ჰიპერპლასტიკური პერიოსტიტის ნაირსახეობა. ნიშნები: მორეცედივე მრავლობითი ოსტეოგენური ოსტეოპერიოსტიტი, ცრუ სიმსივნეები, ორთორმეტ თვეში ვითარდება რეგრესია, ხშირია სიმსივნეთა სრული უკუგანვითარება, არარეგულარულია გამწვავებები. ყოველი მომდევნო რეციდივი ჩვეულებრივ უფრო სუსტია, ვიდრე წინა.

სოსმანის სიმპტომი — რენტგენოლოგიურად მიტრალური სარქველის გაკირვის გამოვლინება. ეს აძლიერებს რენტგენოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობას მიტრალური მანკის დიაგნოსტიკაში და იძლევა შესაძლებლობას დიაგნოზის დასმისა კლინიკური ნიშნების გამოვლინებამდე („სუბკლინიკური მიტრალური დაავადება").

სოტოსის სინდრომი — იდიოპათიკური გიგანტიზმი, ტვინისმიერი გიგანტიზმი, კონსტიტუციური გიგანტიზმი, მემკვიდრეობითი გიგანტიზმის ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი როგორც აუტოსომურ-დომინანტური, ისე რეცესიული. ნიშნები: ახალშობილის მასა 4,5 კგ-ის ირგვლივ, სიგრძე 60 სმ. დაბადების პირველსავე კვირეებში აღინიშნება ახალშობილის სწრაფი ზრდა, სახის ნაკვთები უხეში — ღრმად ჩავარდნილი თვალის კაკლებით, ჰიპერტელორიზმი, მაკროგენია, პროგერია, მაღალი სასა, ზედა და ქვედა კიდურთა დაგრძელება, გონებრივი განვითარების შეფერხება, შიგნითა ჰიდროცეფალია.

სოუველ-სოფერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების შეუღლება. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ან „იქს" ქრომოსომასთან შეწებებული რეცესიული ტიპი. ნიშნები: ჰიპოგონადიზმი, გინეკომასტია, ჩონჩხის სხვადასხვა ანომალია, გონებრივი ჩამორჩენა, ანდროტროპიზმი. ქრომოსომული ანომალიები არ აღინიშნება.

სოუვორეხ-ბუგარ-კოსტე-ვალადე-ხალეს სინდრომი — ადგილი აქვს

საავიაციო წარმოებაში მომუშავე პირებში შედეგად ხმაურისა და ვიბრაციის ზეგავლენისა: სმენის ნელი, მაგრამ პროგრესირებადი დაქვეითება სიყრუემდე, დაღლილობა, კუნთების სისუსტე, ადვილად აგზნებადობა, გახდომა, ჰიპოტონია. სინონიმი: ბუგარის სინდრომი.

სოუსუორსის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ვითარდება მწვავედ სულფანილამიდური პრეპარატების მიღების შემდეგ. ნიშნები: ჰემატურია, ტკივილი მუცელში, აზოტემია.

სოპარის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. სავარაუდოა გადაცემის აუტონომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: ასთენიური, მარფანოიდური შესახედაობა ძალზე გრძელი კიდურებით და თითებით, მაღალი სასა; დაახლოებით ათი წლის ასაკში ვითარდება სმენის დაქვეითება (რისი მიზეზიცაა შიგნითა ყურის განვითარების ანომალია), სფეროფაკია, ჰიპოსტენურია, ნარჩენი აზოტის სტაბილური ზომიერი მომატება სისხლში, ედს აჩქარებულია. ლეტალური გამოსაელის ყველაზე ხშირი მიზეზია თირკმლების უკმარისობა.

სპაირის სინდრომი — ფტუოროზი, უვითარდებათ იმ პირებს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე სვამენ ფტორის დიდი რაოდენობის შემცველ წყალს (1 მგ) ლიტრზე მეტს. ნიშნები: კბილის ემალის დისპლაზია (მოთეთრო წერტილები და ლაქები, დეფექტები), სტომატიტი, ფრჩხილების დისპლაზია (ტეხვადობა, სიგრძივი დაღარვა, დეფორმაცია), თმების დისტროფია (ტეხვადობა, და დაცვენა), სხვადასხვა სახის დერმატოზი, მეტეორიზმი, შეკრულობა, ხელისა და ფეხისგულთა პარესთეზია, კანკის კუნთთა კრუნჩხვები. რენტგენოლოგიურად გრძელ ლულოვან ძვალთა ოსტეოსკლეროზი და პერიოსტალური კალცინოზი.

სპენსერის დაავადება — ზამთრის ღებინების დაავადება, ნაწლავთა გრიპი, ეპიდემიური დიარეა, ეპიდემიური ფაღარათი, — მწვავე ინფექციური დაავადება, ალბათ ვირუსული ეტიოლოგიის, მიდრეკილი ეპიდემიური გავრცელებისადმი, ძირითადად ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ახასიათებს გასტროენტერიტის მოვლენათა მძაფრი განვითარება, ღებინებით და წყლიანი განავლის დიდი რაოდენობით, და ასევე ძლიერი სისუსტით და ხშირად ფარინგიტის ნიშნებით. სინონიმი: ჰანოვერის დაავადება.

სპენსის სინდრომი — ცნობიერების მოულოდნელი დაკარგვა, რასაც თან სდევს კრუნჩხვები, ღებინება, სიფერმკრთალე, უოველიე ეს იცვლება ციანოზით, სუნთქვის დარღვევით, შეტევის დროს წნევა არ ისაზღვრება და, ჩვეულებრივ, გულის ტონები არ ისმის. აღინიშნება რიტმის და გულის გაჩერებლობის დარღვევის ზოგიერთი ფორმის დროს, რაც იწვევს თავის ტკინის იშვიათ. სინონიმები: ადამს-სტოქსის სინდრომი, მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი. ადამს-მორგან-სტოქსის სინდრომი, სტოქსის სინდრომი, სტოქს-ადამსის სინდრომი.

სპერლინგის სინდრომი — ქსანტინოქსილაზის მემკვიდრეობითი დეფიციტი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰიპოურიკემია, ჰიპერკალციურია, ოსტეოპოროზი, შარდის მეავის თირკმლისმიერი კლირენსის მნიშვნელოვანი მომატება.

სპილენძის ჩამომხსნელთა ცხელება — კლინიკურად მოგვაგონებს

მალარიულ შეტევას. ახასიათებს შემცივნება, ტემპერატურის სწრაფი მატება, მისი კრიტიკული დაცემა, ოფლის ძლიერი დენა. ჩვეულებრივ შეტევას წინ უძღვის პროდრომალური მოვლენები: დამტვრეულობა, თავის ძლიერი ტკივილი, ხველა, კონიუნქტივიტი, რევმატიული ტკივილი, გუგების გაფართოება. დიაგნოზი ისმება პროფესიულ ანამნეზით.

სპილერის სინდრომი — პაქიმენინგიტი — ქვემწვავე ან ქრონიკული, რომელიც ვითარდება ტვინის რბილი გარსების თრომბოფლებიტის შედეგად. ნიშნები: ტკივილი, მგრძნობელობის მოშლა, აღმავალი დამბლა, კუნთების სხვადასხვა ჯგუფების ატროფიით და განივი მიელიტით. სიმპტომები ბევრადაა დამოკიდებული ზურგის ტვინის სისხლძარღვთა თრომბირების ხარისხზე.

სპლენდორ-ჰოპლის ფენომენი — ახასიათებს ხველა, სისუსტე. რენტგენოლოგიურად ფილტვებში ატელექტაზური და ინფილტრირებული უბნები. მორფოლოგიურად ფიბროზი, გრანულაცია, რღვევა, ეოზინოფილური სტრუქტურები და ასპერგილოზური კერები. წარსულში ძირითადად გეხვდებოდა ეეტერინარიაში.

სპორტსმენის გული — სინონიმები: მტვირთავის გული, ლობრის მიოკარდია (იხ.).

სპრენტ-ევანსის დაავადება — ინფექციური მონონუკლეოზი (ფილატოვ-პფეიფერის დაავადება).

სპრინც-ნელსონის სინდრომი — მიეკუთვნება მემკვიდრეობით პიგმენტურ ჰეპატიტებს. ამ დროს არის ღვიძლის დისტროფიული ხასიათის დაზიანება განვითარებული გენეტიკურად დეტერმინირებული ენზიმოპათიით. ძირითადი ნიშანია ქრონიკული ან ინტერმიტირებული სიყვითლე გამოწვეული შეკავშირებული ბილირუბინის უპირატესი სისხლის პლაზმაში, ან პიგმენტის ორივე ფრაქციის თანაბარი მომატებით. სინონიმები: დაბინ-ჯონსონის სინდრომი, დაბინ-შპრინცის სინდრომი.

სპროვსანის ანომალია — აღინიშნება თრომბოციტების ფუნქციის იზოლირებული დარღვევა, თრომბოციტების სუსტი აგრეგაცია ადენოზინფოსფატისა და თრომბინის მცირე დოზებზე და ნორმალური აგრეგაცია მათ მაღალ დოზებზე. ამავე დროს შენელებულია თრომბოციტებიდან ადფ-ის განთავისუფლება. ეკუთვნის თრომბოციტოპათიას.

სრბის სინდრომი — ჩონჩხის თანდაყოლილ ანომალიათა ნაირსახეობა. ნიშნები: ორი ნეკნის პიპოპლაზია და სინოსტოზი, რჩისებრი წანაზარდები გულ-მკერდზე, რაც რიგ შემთხვევაში იწვევს ზეწოლას შუასაყრის ნერვებსა და სისხლძარღვებზე. სავარაუდოა ამ სინდრომის მემკვიდრეობითი ხასიათი.

სტაინტონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ოდონტოპლაზია. გადაიცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. აღინიშნება მოყავისფრო ან რუხი სარძევე კბილები, მტვრევადი ემალი, დენთინური შრის უგრძნობლობა. კბილის გვირგვინი სწრაფად ცვდება და ვითარდება ყბების არასწორი დოგმა. ხშირად თან სდევს ძვლების მტვრევადობა, პოლიდაქტილია. სინონიმები: კაპდეპონის სინდრომი, სტაინტონ-კაპდეპონის სინდ-

რომი, კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი, ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი, სტაიტონ-ჰოჯის სინდრომი.

სტაინტონ-კაპდეპონის სინდრომი — სინონიმები: სტაინტონის სინდრომი (იხ.), კაპდეპონის სინდრომი, კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი, ჰოჯის სინდრომი, ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი, სტაიტონ-ჰოჯის სინდრომი.

სტაინტონ-ჰოჯის სინდრომი — სინონიმები: სტაინტონის სინდრომი (იხ.) ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი, კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი, კაპდეპონის სინდრომი, ანუ დაავადება.

სტანესკუს სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. საკარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: თაიის ქალას დიზოსტოზი — პატარა ზედა ნაწილი, ქალას ძვლები თხელია, აღინიშნება ჩაღრმავება, ქვედა ყბა განუვითარებელია, ეგზოფტალმი, დამოკლებული კიდურები. რენტგენოლოგიურად გრძელი ლულოვანი ძვლების ქერქულ ნივთიერებათა მასიური გასქელება.

სტარლინგის გული — გულის დიასტოლური დაძაბვა, რომელიც ვითარდება გულის სისტოლური მოცულობის მომატების შედეგად.

სტარლინგის კანონი — გულის კანონი — ფიზიოლოგიური კანონი, რომლის მიხედვითაც მიოკარდიუმის ბოჭკოების შეკუმშვის ძალა პროპორციულია მათი გაჭიმვის პირველადი დონისა. სინონიმი: ფრანკ-სტარლინგის კანონი.

სტასინსკის სიმპტომი — სკლერების ინიცირება ჯვრისებურად განლაგებული გაფართოებული სისხლძარღვებით. დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის ნიშანი.

სტეინბროკერის სინდრომი — მხარ-ხელ-ფეხის სინდრომი — ტკივილის, ვეგეტატიური და ტროფიკული ძერების შერწყმა მხრის სახსარში და ხელის მტევანში. ადგილი აქვს კისრის ოსტეოქონდროზის, მხრის სახსრის პერიართრიტის დროს.

სტენ-გრიქსონის მიოტონია — თანდაყოლილი მიოტონია. ვლინდება ადრე ბავშვობაში. ნებისმიერ უნებლიე მოძრაობაზე აღინიშნება კუნთების გახანგრძლივებული შეკუმშვა (მიოტონიური რიგიდობა). იგივე მოძრაობის გამეორებაზე კუნთების დაჭიმვა თანდათან ქრება და მოძრაობა ხდება თავისუფალი. სიმპტომები ძლიერდება დაძაბუნებისას, ფიზიკურ გადაძაბვაზე, სიცივესა და ემოციაზე. დაავადება ნელა პროგრესირებს. ამ მიოტონიის დროს, განსხვავებით სხვა მიოტონიებისაგან, პარეტიული ფაქტორი სჭარბობს გაძნელებულ მოდუნებას, რითაც ხდება მოძრაობის აქტიური გახანგრძლივების მასკირება. სინონიმები: თომსენის დაავადება, ოქეხოვსკის ფარული მიოტონია, ვესტფალ-თომსენის დაავადება, მარტინ-პანზემანის თანდაყოლილი მიოტონია.

სტეინერტის დაავადება — მიოტონური კუნთოვანი დისტროფია. ეპოწვეულია თანდაყოლილი ბიოქიმიური დეფექტით. გულის კუნთის, სინუსური კვანძისა და გულის გამტარი სისტემის დაზიანება სისტემური პროცესის ნაწილია. ძირითადი გამოვლინებაა იუვენილური კატარაქტა (20—30 წლის ასაკში) ნაადრევი სიბერე (პიპოგონადიზმი, კანის და კუნოვების ატროფია).

სტენდალის სინდრომი — ნერვული სისტემის მწვავე დარღვევა, რომელიც უეცარდებათ ტურისტებს ფლორენციის მუზეუმებში დიდებითი ეპოციების გადაჭარბებული ზემოქმედების შედეგად. ვლინდება გულის წასვლის კლინიკით. პირველად რეგისტრირებულია 1817 წელს (სტენდალის — ანრი მარი ბეილის — შემთხვევაა).

სტენტონის დაავადება — მელიოიდოზი, მორფინისტების სეპტიკოპიემია, პნევმოენტერიტი — ინფექციური დაავადება ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფიდან, ენდემურია ტროპიკული ზონის ზოგიერთი რაიონისათვის (ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ ავსტრალიისათვის). ადამიანის შემთხვევაში კლინიკური მიმდინარეობა სეპტიკოპიემიის მსგავსია. სხვადასხვა ორგანოში წარმოიშობა მოაბსცედირე გრანულომები. სინონიმი: ფლეტჩერის დაავადება.

სტერლინგის დაავადება — პირამიდო-პალიდური ამიოტროფია. აღინიშნება საშუალო და ხანშიშესულ პირებში. თანდათანობით ვითარდება სპასტიკური სინდრომი ჰიპერტონიულ-ჰიპოკინეტიკული (პარკინსონიზმი), მეტყველების დისპრაქტიკული დარღვევები, ფსიქიკური დარღვევები: განგაშის შეტევები, დეპრესია, დემენცია, დაბინდვის მდგომარეობა. ცხოვრების ბოლო წლებში შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიური გულყურებანა სინონიმები: დაეისონის დისემინირებული ენცეფალოპათია, იაკობ-კრეიტც-ფელდის დაავადება.

სტერლინგის სიმპტომი — აღინიშნება ეკონომოს დაავადების დროს. იანიშევსკის სიმპტომის (იხ.) ინვერსია. ავადმყოფი 10—15 წუთი რჩება გაშეშებული, მაქსიმალურად პირგაღებული.

სტერლინგ-ოკუნევსკის სიმპტომი — ავადმყოფს არ შეუძლია გამოთქვას ენა. აღინიშნება პარტახტიანი ტიფის დროს. მიზეზია ენისქვეშა ნერვის ბირთვების დაზიანება. სინონიმი: მალჩის სიმპტომი.

სტერჯ-ვებერის დაავადება — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი, ნევოიდული ამენცია, თანდაყოლილი ნეიროეგზოდერმული დისპლაზია, ნეიროკუტანული სინდრომი ნერვული სისტემის სხვა დარღვევებით; გლაუკომით, სისხლძარღვოვანი ნევუსებით სამწვერა ნერვის ტოტების გაყოლებით. სინონიმები: კრაბეს სინდრომი, ბრაშფილდ-უაეტის სინდრომი, შურგე-ვებერის დაავადება, სტერჯ-ვებერ-კრაბეს სინდრომი.

სტერჯ-ვებერის სინდრომი — სისხლძარღვთა ხალები (ნევუსები) ჰემიპლეგიის საწინააღმდეგო მხარეს. რენტგენოლოგიურად აღინიშნება ინტრაცერებრული გაძვალება ნევუსების მხარეზე, ცელილებები თვალის მხრივ იმავე მხარეს, ტენდენცია კრუნჩხვებისა და დებილობისადმი.

სტერჯ-ვებერ-კრაბეს სინდრომი — სინონიმები: კრაბეს სინდრომი, ბრაშფილდ-უაეტის სინდრომი, შტურგე-ვებერის დაავადება, სტერჯ-ვებერის დაავადება (იხ.).

სტეფანსკის დაავადება — თაგვების კეთრი — თაგვების ინფექციური დაავადება. გამოიყენება როგორც ექსპერიმენტული მოდელი კეთრის შესწავლის დროს.

სტეფანსკის სიმპტომი — ქსოვილთა ტალღისებური რხევა — გამოწ-

ეული საპერკუსიო ჩაქუჩით შეშუპებულ ადგილზე დარტყმისას. აღინიშნება ციმბირის წყლულის კანის ფორმის დროს.

სტივენს-ჯონსონის სინდრომი — ავთვისებიანი ექსუდაციური ერითემა-დერმატოზი, რომელიც ხასიათდება ერითემატოზული ლაქებისა და ბუშტუკების პოლიმორფული გამონაყარით, ხშირად ჰემორაგიული შემადგენლობის. ლოკალიზაცია — კანი, ლორწოვანი გარსი (პირის-ღრუსა და შარდის გამომყვანი გზების) და კონიუნქტივა. თან სდევს ინტოქსიკაციის მოვლენები. სინონიმები: ბადერის დერმატოსტომატიტი, ბადერის სინდრომი.

სტიკლერის სინდრომი — სახსართა და თვალების მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. პირველი ნიშნები ბავშვებში ვლინდება, კლინიკა: თანდაყოლილი გამოხატული სიელმე, ბადურის დეგენერაციული ცვლილებები სიბრმავემდე, კატარაქტა, გლაუკომა, ქრონიკული ქვეიტი, კერატოპათია, ყბის გაპობა, ცხოვრების მესამე-მეოთხე ათწლეულში მენჯ-ბარძაყის, მუხლისა და კოჭ-წვივის სახსართა ართროპათია, ცვლილებები შუა ყურში, რომელსაც საქმე სიყრუემდე მიჰყავს, კიფოზი, კიფოსკოლიოზი.

სტალის დაავადება — რევმატოიდული ართრიტის ფორმა ბავშვებში, რომელიც გამოვლინდება სტილის ტრიადით (იხ.). სინონიმი: სტილ-შოფარის დაავადება.

სტალის ტრიადა — ლიმფური კვანძების გადიდების შეუღლება სპლენომეგალიასა და სიმეტრიულად განლაგებულ სახსრების შეშუპებასთან. აღინიშნება სტილის დაავადების დროს.

სტალის შეილი — დიასტოლური შეილი მოისმინება ფილტვის არტერიის სარქვლის მიდამოში მისი შედარებითი ნაკლოვანების დროს, რაც გამოწვეულია ფილტვის არტერიის ჰიპერტენზიით და ფილტვის არტერიის დილატაციით. მისი მიზეზია ფილტვისმიერი გული, მარცხენა ვენური სვრელის გამოხატული შევიწროება და სხვ. სინონიმი: გრეპემ-სტილის, ანუ გრეპ-სტილის შეილი.

სტილ-რიჩარდსონ-ოლშევსკის სინდრომი — ოკულო-ფაციო-ცერვიკალური დისტონია. სუპრანუკლეარული პროგრესული დამბლა. ნევროლოგიური სიმპტომოკომპლექსი თავის ტვინის ზოგიერთი უბნის დეგენერაციის შედეგად. ნიშნები: ოფტალმოპლეგია, თვალი ვერ მოძრაობს ქვევით, ზემოთ მოძრაობა შეზღუდულია, ფსევდობულბარული დამბლა, დიზართრია, ინტელექტის დაქვეითება, კისრისა და ხერხემლის კუნთების რიგიდობა. პირველი ნიშნები ვლინდება 60 წლის შემდეგ ასაკში და ოთხ-სუი წელში ღებტალურად მთავრდება. პათოლოგიური ცვლილებები ხასიათდება ციტოლიზით, გლიოზით, მარცელოვანი დეგენერაციით და დემიელინიზაციით. სინონიმები: რიჩარდსონ-ოლშევსკის სინდრომი.

სტილ-შოფარის დაავადება — სინონიმი: სტილის დაავადება (იხ.).

სტილ-შოფარის სინდრომი — გვხვდება ბავშვთა და ახალგაზრდა ასაკში. დამახასიათებელია ლიმფური კვანძების გადიდება, სპლენომეგალია, პოლიართრიტის მოვლენები, ჰიპოქრომული ანემია, ლეიკოპენია. სისხლი დათესვით სტერილურია. ამ დაავადებასა და ფელტის სინდრომს

(იხ.) შორის განსხვავებული ნიშნები შემდეგია: ეს უკანასკნელი გვხვდება მოზრდილებში, ლიმფური კვანძების გადიდება იშვიათად აღინიშნება და ისიც მცირედაა გამოხატული. პროგნოზი ჩვეულებრივ კეთილსაიმედოა.

სტიუარტის ფაქტორი — ფაქტორი X, სისხლის პლაზმის ცილა, რომელიც წარმოიშობა ღვიძლში და ღებულობს მონაწილეობას ფაქტორ III-ის და თრომბოციტების წარმოქმნაში. ფაქტორ-X-ს უკმარისობა იწვევს სტიუარტ-პრაუერის დაავადებას (იხ.). სინონიმები: პრაუერ-ფაქტორი, სტიუარტ-პრაუერის ფაქტორი.

სტიუარტ-ბრასიხ სინდრომი — ღვიძლის ვენების დახშობა, გამოწვეული, როგორც ჩანს, ტროპიკული მცენარეების ტოქსინებით, რომელთაგანაც დასავლეთ ინდოეთში აზბადებენ სასმელს, ცნობილს „ბეჩქების ჩაის“ სახელწოდებით. ნიშნები: ძლიერი ტკივილი ღვიძლის და მუცლის არეში, ღვიძლის გადიდება, ასციტი, ყაზბობა, მცირე ჰიპერგამაგლობულინემია, გამოსავალი: ოთხ-ექვს კვირაში მორჩენა, ანდა მწვავე პერიოდში ვითარდება ღვიძლის მწვავე უკმარისობა, რომელსაც მოყვება ან სიკვდილი ან ღვიძლის ციროზი.

სტიუარტ-გრიგ-მორელის სინდრომი — შუბლის ძვლის გამსხვილება სიმსუქნის, არტერიული ჰიპერტონიის, ვირილიზმის და შაქრიანი დიაბეტის თანხლებით. უკავშირებენ ჰიპოთალამო-ჰიპოფიზულ ჰორმონულ ძვრებს. ავადმყოფს აწუხებს თავის ტკივილი, მხედველობის დაქვეითება და მესიერების სისუსტე. შესაძლოა ფსიქიკური მოშლილობაც. აღინიშნება უმეტესად ქალებში პოსტკლიმაქსურ პერიოდში. სინონიმები: მორგანი-სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-მორელის სინდრომი, აშარ-თიერის სინდრომი, მორგანის დაავადება, მორელის სინდრომი.

სტიუარტ-ზელცერ-აპტის სინდრომი — სინდრომი, რომელიც უყალიბდებათ ბავშვებს ნაწლავთა ჰიპით ინვაზიის დროს. ნიშნები: ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია, გლობულინემია, ჰეპატომეგალია, სპლენომეგალია, ინფილტრატი ფილტვებში და სხვადასხვა სიმპტომები თვალების ძირზე.

სტიუარტ-მორელის სინდრომი — სინონიმები: მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-გრიგ-მორელის სინდრომი (იხ.), აშარ-თიერის სინდრომი.

სტიუარტ-პრაუერის დაავადება — X ფაქტორის დეფიციტი, ჰემორაგიული დიათეზის თანდაყოლილი ფორმა. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. დაავადება მეღავნება ბავშვობაში. დამახასიათებელია სისხლდენა ცხვირიდან, ლორწოვანიდან, საშოლოსნოდან უმიზეზოდ ან მცირე ტრავმის მიღების შემდეგ. სისხლჩაქცევები აღინიშნება კანქვეშ, კუნთებში. ჰემართროზი იშვიათია, ქალებში მენსტრუაცია გახანგრძლივებულია. ჰემოგრამა ნორმალურია. კოაგულაციურ სისტემაში თრომბოპლასტინის დრო გახანგრძლივებულია. ყველა ფაქტორის კონცენტრაცია (გარდა X) სისხლში ნორმალურია.

სტიუარტ-ტრიფზის სინდრომი — ზედა კიდურების ლიმფანგიო-სარკომა, რომელიც უვითარდება ავადმყოფს სარძევე ჯირკვლებიდ რადიკა-

ლური ოპერაციის შემდეგ. ამ დროს ფონი არის სათანადო კიდურის ქრონიკული ლიმფადემა.

სტიუარტ-ჰოლმსის უკუბიძგის სიმპტომი — წინააღმდეგობის ქვეშ ხელის იდაყვის სახსარში მოხრა, თუ უეცრად მოვხსნით აღნიშნულ წინააღმდეგობას, დაგვიანებული და სუსტი ანტაგონისტური. რეფლექსის გამო მოხრა გრძელდება და ავადმყოფი წინამხარს მთელი ძალით მიირტყამს მკერდზე. გვხვდება ნათხემის დაზიანების დროს.

სტოკვისტ-ტალმას სინდრომი — იდიოპათიკური მეტპემოგლობინემია, აუტოტოქსიკური ციანოზი, ენტეროგენური ციანოზი, აუტოტოქსიკური მეტპემოგლობინემია. ეტიოლოგია სხვადასხვაა. ნიშნები: გამოხატული მუქი-ფერი, ხშირი ფაღარათი, რომელიც იცვლება შეკრულობით, ქრონიკული მეტ-ან სულფპემოგლობინემია. თუ ციანოზი ხანგრძლივია, თითები ღებულობს ღოლის ჩხირის ფორმას.

სტოლკაპის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. სიმპტომები ვლინდება დაბადებისთანავე. ნიშნები: არტერიული ჰიპერტენზია, კიდურთა განგრენა, მიოკარდიტი, ენტეროკოლიტი, შეშუპება, უგონო მდგომარეობა, კრუნჩხვები, თრომბოციტოპენია, ჰიპერკინეზია, სისხლძარღვთა შიდა დისემინირებული კოაგულაცია, სისხლის საერთო კატექოლამინების მომატება, დადებითი სინჯი ფენტოლამინზე. სასიკვდილო გამოსავალი ცხოვრების პირველ დღეებსა და კვირეებში.

სტოლოფ-კუგელის სინდრომი — გულის თანდაყოლილი იდიოპათიკური ჰიპერტროფია და დილატაცია. დამახასიათებელია ციანოზი, ქოშინი, ტაქიკარდია, რაც შესაძლოა გამოვლინდეს უკვე ჩვილობის პერიოდში. გულის საზღვრები გადიდებულია, მწვერვალზე შესაძლოა სისტოლური შეილი. პროგნოზი უარყოფითია.

სტორე-ვებერ-კრაბეს დაავადება — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი — გვხვდება იშვიათად. დამახასიათებელია ტრიადა: ხალები, თანდაყოლილი გლაუკომა და ეპილეფსიური გულყრები (ცერებრული ანგიომატოზის გამო).

სტოქსის სიმპტომი — ანუ სტოქსის საყელო. ორმხრივად კისერზე, ზედა კიდურებისა და გულ-მკერდის ზედა ნაწილის ვენების გაგანიერება. კისრის შეშუპება, ზოგჯერ ასევე სახის, ხელის, გულ-მკერდის ზედა ნაწილის და მხრის შეშუპება. გამოწვეულია გულ-მკერდში სიმსივნით ან აორტის ანევრიზმით.

სტოქსის სინდრომი — სინონიმები: ადამს-მორგან-სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი, მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი, ადამს-სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი (იხ.).

სტოქს-ადამსის სინდრომი — სინონიმები: მორგან-ადამს-სტოქსის სინდრომი, ადამს-სტოქსის სინდრომი, სტოქსის სინდრომი, პენსის სინდრომი, (იხ.), შარკოს ნელი მაჯა.

სტრაიკერ-ჰელბეიზენის სინდრომი — ერითემატოზური დერმატიტი მაკროციტული ანემიით. აღინიშნება ვიტამინ B კომპლექსის დეფიციტის დროს. დასაწყისში სახეზე, კისრის გვერდებსა, ბეკებზე, გულ-მკერდის ზედა ნაწილში და იღლიებში კანი მკრთალი ლაქოვანია ანდა არის დიფუ-

ზური, ზედაპირული, მშრალი ან ვეზიკულური ერითემა ქავილით. გვიან სტადიაში გამონაყარი ერთიანდება, ბუშტუკები ქრება, კანი სქელდება და შეიძლება. გამონაყარი ჩვეულებრივ სიმეტრიულია. სისხლში მაკროციტული ანემია, ლეიკოციტები — ნორმაში. არის ასევე აქლორჰიდრია—ან ჰიპოქლორჰიდრია. ავადდებიან უპირატესად შუა ასაკის პირები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე არასრულყოფილად იკვებებოდნენ.

სტრანსკის მიელინის წყვეტილი დაშლა — ნერვული ბოჭკოების სეგმენტური დეგენერაცია. პათოლოგიური პროცესი, რომელიც ხასიათდება ნერვულ ბოჭკოების მიელინური გარსის დაშლით გარკვეულ შემოფარგლულ უბნებში, მაშინ როცა ღერძული ცილინდრები შენახულია.

სტრანსკი-რეგალის დაავადება — ოჯახური თანდაყოლილი ჰემოლიზური ანემია მალაიას ხალხებში. იწყება ბავშვობაში ანემიით და სიყვითლით, სპლენომეგალიით. სისხლში გარდა ანემიისა აღინიშნება ერითრობლასტოზი და ერითროციტოზი. ძვლის ტვინში უმნიშვნელოდ გაძლიერებული ერითროპოეზის სურათი.

სტრაჟესკოს „ზარბაზნის ტონი" — გულის მკაფიოდ გაძლიერებული პირველი ტონი სრული ატრიოვენტრიკულური დისოციაციის დროს, რომელიც წარმოიშობა წინაგულისა და პარკუჭის სისტოლის თანხვედრის გამო.

სტრაჟესკოს ნიშანი — მტკივნეულობა გულ-მკერდის VIII—XI და ასევე მარჯვნივ გულმკერდის X—XI ნაღებზე ზეწოლისას. აღინიშნება კუპუჭანა ჭირკვლის თავის სიმსივნის დროს.

სტრაჟესკოს ფენომენი — პერკუტორული ფენომენი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კუჭის ტიმპანიტის ზონა განლაგებულია უფრო ჰორიზონტალურად, ვიდრე ნორმაში, მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მარჯვნივ და ერთგვარად ზევით (მარჯვენა ნეკნთაშუა რკალში), როცა ღვიძლის მოყურუების ქვედა საზღვარი შიგნითაა შედრეკილი. მკაფიოდ გამოხატული პერიგასტრიტის ნიშანი.

სტრაჟესკო-მენდელის სიმპტომი — მუცლის ფარის წინა კედლის მტკივნეულობა პერკუსიის დროს. წყლულოვანი დაავადების ნიშანი. სინონიმი: მენდელის სიმპტომი.

სტრასბერგის ფოლიკულური მადეკალვინირებელი კერატოდერმიტი — კერატოზი ფოლიკულური, ლოკალიზებული თავის თმიან ნაწილში, რომელსაც ალოპეციამდე მივყავართ. სინონიმი: ლანგის ატროფიული ფოლიკულური კერატოზი.

სტრახანის დაავადება — პოლინევრიტის ფორმა. არის პელაგრის კლინიკური გამოვლინება.

სტრეს-პოლიციტემიური სინდრომი — ეწოდება პოლიციტემიის კლინიკას, რომელიც გამოვლინდება ჰიპერტონიული კრიზის დროს. ანტიჰიპერტონიური მკურნალობა წნევის დაქვეითების ერთდროულად იწვევს პოლიციტემიის მოხსნას. ამ დროს სალურეტიკები უკუნაჩვენებია.

სტრუბინგ-მარკიაფავას სინდრომი — შეძენილი ჰემოლიზური ანემიის ნაირსახეობა. ღამის პარაქსიზმული ჰემოგლობინურია. მიმდინარეობს მსუბუქი სიყვითლით, ანემიით, ელენთისა და ღვიძლის გადიდებით, ჰე-

მოსიდენურიით, თრომბოციტოპენიით, რეტიკულოციტოზით, შეტეხისას ჰემოგლობინურიით. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა ნორმალურია. კრიზის დროს გულის ფრიალი, კუნთების ტკივილი, საერთო სისუსტე. ეტიოლოგია უცნობი. პროგნოზი მძიმე. სინონიმები: მარკიაფავას სინდრომი, მარკიაფავა-მიკელის ანემია.

სტუდენტთა დაავადება — ჯირკვლოვანი ცხელება. ინფექციური მონონუკლეოზი. მულტიგლანდულარული ადენოზი. ლიმფოიდოუჯრედოვანი ანგინა. მონოციტური ანგინა. მწვავე, კეთილთვისებიანი ლიმფობლასტოზი. ინფექციური ლიმფომონონუკლეოზი. ჯირკვლოვანი იდიოპათიკური ცხელება, მწვავე ინფექციური დაავადება, უცნობი ეტიოლოგიისა (ალბათ, ვირუსული), გაძოძწვევის გადაცემა უმთავრესად ჰაეროვან-წვეთოვანი გზით. დაძახასიათებელია რეტიკულოენდოთელიური სისტემის დახიანება და მიძდინარეობა ცხელებით, ტონზილიტით, პოლიადენიტით, ჰეპატოსპლენომეგალიით, ლეიკოციტოზით, ბაზოფილური მონონუკლეარების სიჭარბით. სინონიმები: ტიურკის დაავადება, ფილატოვის დაავადება.

სუაირ-ჯეიმხის სინდრომი — ფილტვების ცალმხრივი ემფიზემა, რომელიც ვითარდება განმეორებითი ბრონქიტებისა ან პნევმონების შემდეგ. ნიშნები: ფილტვის ცალმხრივი ან ფილტვის ერთი წილის ემფიზემა სათანადო ფიზიკალური მოვლენებით. რენტგენოლოგიურად შესუნთქვის დროს გული განიცდის ცდომას ჯანმრთელ მხარეს, დაავადებულ მხარეს შემცირებულია დიაფრაგმის მოძრაობა. ბრონქოგრაფიით — პერიფერიული ბრონქების ავსების დეფექტი, ანგიოკარდიოგრაფიით — ფილტვის არტერიის სანათურის შემცირება. ვლინდება ასევე ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის შემცირება. პროგნოზი შედარებით დამაკმაყოფილებელია. ზოგჯერ საჭირო ხდება ლობექტომიის ან პნევმოექტომიის ჩატარება.

სუკერის სიმპტომი — თვალების უკიდურეს გვერდით პოზიციაში ფიქსირების შეუძლებლობა. აღინიშნება თირეოტოქსიკოზის დროს.

სუკე-შარკოს სინდრომი — სქესობრივი მომწიფების პერიოდში კანი ხდება მშრალი, ბრწყინვალე, გათხელებული, ზოგჯერ დანაოჭებული. კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი ატროფირებული, სასქესო ორგანოები ჩამორჩება განვითარებაში. ვითარდება გონებრივი განვითარების დარღვევა.

სულცბერგერ-გარბეს დაავადება — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი, პლაზმოციტური ინფილტრატების წარმოშობა, გაფართოებული კანის პლაზმაციტური ინფილტრატების წარმოშობა სისხლძარღვთა ირგვლივ. გამოვლინდება ბალთების სახით, რაც ქავილსა და აქერცვლას იწვევს.

სუმატრის ტკივის ცხელება — ცუცუგამუში, აკამუში, ინდოეთის ტკივის ცხელება, იაპონიის მდინარის ცხელება, ცუცუგამუშის ცხელება, ჯუნგლების ტიფი — მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. დამახასიათებელია პირველადი აფექტი, რეგიონალური ლიმფადენიტი, ტემპერატურის უცაბედი მომატება. პირველი კვირის დასასრულს აღინიშნება გენერალიზებული მაკულოპაპულოზური კანის გამონაყარი. სინონიმი: პესკადორის კუნძულების ცხელება.

სუპერსკილ-ვალსშეხ სინდრომი — ინტრაჰეპატური მორეციდივე

კეთილთვისებიანი ქოლესტაზი. მემკვიდრეობითი ფიზიკურ-ქიმიური დეფექტი, რაც გამოიხატება ღვიძლის უჯრედებიდან შეკავშირებული ბილირუბინის გამოყოფის დარღვევაში. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ხასიათი. ნიშნები: მოინტერნირე სიყვითლე მაღალი პიპერბილირუბინემიით, სისხლში მომატებულია პირდაპირი ბილირუბინი, ჰეპატომეგალია, კანის ქავილი. ზოგჯერ პირველად ელინდება ორსულობის დროს. სინონიმი: ტირგსტრუპის სინდრომი.

ხუნთქვითი დარღვევების სინდრომი — მისი მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო ფილტვებისა და გულის დაავადებები. მას ეხედებით თითქმის ყველა ტერმინალური მდგომარეობის დროს.

სუნთქვის მწვავე უკმარისობის სინდრომი — ვითარდება სასუნთქ ორგანოთა დაავადებების დროს. ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია წნევის მომატება ფილტვის არტერიაში.

სუსპანის ნიშანი — ღია არტერიული სადინარის (ბოტალოს ღია სადინარი) დროს ანგიოკარდიოგრამაზე შესაძლოა აღინიშნოს აორტასთან სადინარის მიერთების ადგილას აორტის წინა კედლის რამდენადმე გაფართოება.

სუტერ-ლუჩიონის სინდრომი — მშობელთა არასაკმარისი ავტორიტეტის სინდრომი. ელინდება ბავშვებში ფსიქოპათიური მოვლენებით. ხასიათი ჰირვეული, მსუბუქი ეგოცენტრიზმი, სუსტი ნებისყოფა, იგი არ არის დარწმუნებული თავის თავში.

სუქუეს სიმპტომი I — დადამბლავებული ხელის პასიური ზევით აწევისას თითების უნებლიე გახსნა. ცენტრალური დამბლის ნიშანია.

სუქუეს სიმპტომი II — სინონიმი: სუქუეს-შარკოს სიმპტომი.

სუქუეს-შარკოს სიმპტომი — დადამბლავებულ ხელის პასიურად ზევით აწევისას თითების უნებლიე გახსნა. ცენტრალური დამბლის ნიშანია. მეორე — დამჯდარ ავადმყოფის სხეულის უეცარი პასიურად უკან გადახრაზე არ აღინიშნება ფეხების კომპენსატორული გაშლა, ნათხემის დაზიანების ნიშანია. სინონიმი: სუქუესის სიმპტომი II (იხ.).

სფორცინის სინდრომი — ეგზოფტალმუსის მემკვიდრეობითი ფორმა. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ეგზოფტალმი — ფარისებრივი ჯირკვლის პიპერფუნქციის გარეშე, მაღალი ტანადობა, ენტეროპტოზი, ენაბლუობა.

სწორი ზურგის სინდრომი — განვითარების ანომალია. ხერხემლის გულმკერდის ნაწილში არ არის ფიზიოლოგიური კიფოზი და არის წელის ლორდოზის შემცირება. ეს იწვევს გულმკერდის წინა-უკანა ზომის შემცირებას, გულზე და მსხვილ სისხლძარღვებზე ზეწოლას.

სწორი ნაწლავის ხოლიტარული წყლულის სინდრომი — ავადმყოფს აქვს ანორექტალური სიმპტომები: რექტალური სისხლდენა, ლორწო ნაწლავში, აბდომინური ტკივილი, ტენეზმები, სწორი ნაწლავის პროლაფსი, შეკრულობა, ხშირი დეფეკაცია.

სჰოპ-სინდრომი — აბრევიატორული ტერმინია, გამომდინარე სინდრომისათვის დამახასიათებელი შემადგენელი კლინიკური ერთეულებიდან:

სიმსუქნე (ფრელიპის ტიპის), ჰიპერთერმია (ინტერმიტიული ტიპის), ოლიგომენორეა, მორეციდიე პაროტიტი. საერთაშორისო ლიტერატურაში ცნობილია როგორც AHOP — სინდრომი (ადიპოზიტას, ჰიპერთერმია, ოლიგომენორეა, პაროტიტი), ხშირია ნერწყვში ფოსფორისა და კალციუმის შემცველობის მატება. მიეკუთვნება დიენცეფალოზთა რიცხვს. სინონიმი: რაუხის სინდრომი.

ტაბაჩნიკის სინდრომი — გულის არითმიის მემკვიდრეობითი შეუღლება ზედა კიდურთა განვითარების ანომალიასთან, ჩვეულებრივ დიდი თითის დამოკლების სახით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ტაველის დაავადება — პერიკოლიტი აპენდექტომიის შემდეგ. დამახასიათებელია ნაწიბურების წარმოშობა და მსხვილი ნაწლავის დავიწროება, ცხელება და ნაწლავთა ფუნქციის დარღვევა.

ტაიგის ენცეფალიტი — სინონიმები: რუსეთის ენცეფალიტი (იხ.), შორეული აღმოსავლეთის ენცეფალიტი.

ტაკაიასუს სინდრომი — პულსის არარსებობის სინდრომი. ხასიათდება აორტის და მსხვილ სისხლძარღვთა კედლის ანთებით და დისტროფიული ცვლილებებით, სტენოზირებით, შიდა არტერიული თრომბების ჩამოყალიბებით, ორგანოთა იშემიით. ზემო კიდურებზე პულსი არ ისინჯება, ქვემო კიდურებზე კი კარგადაა გამოხატული. ეტიოლოგიურ ფაქტორად ასახელებენ ათაშანგს, არტერიოსკლეროზს, ტუბერკულოზს, რევმატიზმს. არ არის გამორიცხული დაავადების კოლაგენოზური ხასიათი. პროგნოზი სერიოზულია. სინონიმები: ონიშის დაავადება, ტაკაიასუს აორტიტი, მარტორელ-ფაბრის სინდრომი, მაობლიტერებელი ბრაქიცეფალური არტერიიტი, აორტის ინვერტირებული კოარქტაცია, მრავლობითი მაობლიტერებელი პანარტერიიტი, აორტის რკალის სინდრომი.

ტაკაჰარას დაავადება — აკატალაზემია, აკატალაზია — მემკვიდრეობითი დაავადება. გამოწვეულია ქსოვილებში და სისხლში კატალაზის არარსებობით, დამახასიათებელია მყარი პიორეა, ალვეოლარული ძგიდის ატროფია, კბილების დაცვენა, წყლულოვანი ტონზილიტი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ტალალაევის ვალვულიტი — დიფუზური ვალვულიტი, უბრალო ენდოკარდიტი, რომელიც ხასიათდება დიფუზური მუკოიდური შეშუპებით, სარქველების შემაერთებელი ქსოვილის ცვლილებებით და გრანულომების წარმოშობით ისე, რომ არ ზიანდება ენდოთელიუმი და არ არის თრომბოტიული ნადებები. აღინიშნება რევმატიზმის აღრეულ სტადიაში.

ტამურა-ტაკაჰაშის დაავადება — ტამურა-ტაკაჰაშის სინდრომი: ნიგრემია — შავი სისხლის დაავადება (ინგლისელი აქტორებით) ლორწოვანი გარსის მემკვიდრეობითი მუქი შეფერვა, პირობადებული ჰემის სტრუქტურის ანომალიით, რომელიც შედის სისხლის ჰემოგლობინის შემადგენლობაში. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ტანჯიერის სინდრომი — განპირობებულია ლიპოპროტეინების სინთეზის მემკვიდრეობითი დეფექტით, არ მუშავდება ალფა-პირველი ლი-

პოპროტეინი. კლინიკურად აღინიშნება ლიმფური ჯირკვლების ჰიპერტროფია, ჰეპატოსპლენომეგალია, თვალის რქოვანა გარსის ინფილტრაცია. შესაძლოა პოლინევრიტი, სისხლში ჰიპექოლესტერინემია, ჰიპერბილირუბინემია (არაპირდაპირი ბილირუბინის ხარჯზე), ალფა-პირველი ლიპოპროტეინის არარსებობა, ლიპოპროტეინაზის აქტივობის მომატება. სინონიმი: ფრედერიქსონის სინდრომი.

ტაპიას სინდრომი — მბგერავი იოგების კუნთების და ენის ცალმხრივი დამბლა, ზოგჯერ თანხვედრილი მკერდ-ლავიწ-დვრილისებრივი და ტრაპეციოიდული კუნთების დამბლასთან. გამოწვეულია დამატებითი და ენისქვეშა ნერვების ბირთვების დაზიანებით ნათხემის უკანა ქვედა არტერიის თრომბოზის დროს.

ტარატინოვის დაავადება — ეოზინოფილური გრანულომა, კეთილთვისებიანი რეტიკულომა — დაავადება, რომელიც შედგება დიდი ჰისტიოციდებისა და ეოზინოფილებისაგან.

ტარნოვსკის ნიშანი — თმების გაძლიერებული ზრდა, რომელიც იშვერს შუბლს თითქმის წარბამდე. გვიანი თანდაყოლილი ათაშანგის ნიშანი.

ტარუის დაავადება — VIII ტიპის გლიკოგენოზი, მიოფოსფორფრუქტოკინაზური უკმარისობა — გლიკოგენოზი, რომლის მიზეზიცაა ფოსფორფრუქტოკინაზის უკმარისობა ან სრული არარსებობა კუნთებში. დამახასიათებელია კუნთოვანი სისუსტე, ადვილად დაღლა და ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ჰიპერლაქტაციდემიის არარსებობა.

ტაუსინგის სიმპტომი — თითებით ზედა ქუთუთოს აწევის დროს და (ანდა) თვალის კაკალზე ხელის დაჭერისას მტკივნეულობა. აღინიშნება ფლებოტომური ცხელებით დაავადების პირველ სამ დღეს.

ტაუსინ-ბინგის სინდრომი — გულის თანდაყოლილი მანკი: აორტის მარჯვენა პარკუჭიდან გამოსვლა, ფილტვის ღეროსი კი ორივე პარკუჭიდან, პარკუჭთაშუა ძგიდის მაღალი დეფექტი. გამოვლინდება ციანოზით, მცირე წრეში ჰიპერტენზიის ნიშნებით და აორტალური ჰიპოტენზიით.

ტაუსინგ-სნელენ-ალბერსის სინდრომი — ფილტვის ვენების სრული ტრანსპოზიცია. გულის თანდაყოლილი მანკი პირობადებული ფილტვის ყველა ვენის არასწორი განვითარებითა და არასწორი შერთვით (მარცხენა უსახელო ვენაში) და აგრეთვე გულის ნახევრების კავშირებით წინაგულებს დონეზე.

ტედეშის მულტიცენტრული ლიპომატოზი — მულტიცენტრული ლიპომატოზი — უცნობი ეტიოლოგიის ლიპომატოზი, ახასიათებს კანქვეშა ქსოვილში და შინაგან ორგანოებში მრავლობითი ლიპომების განვითარება. ლიპომა გარდა მწიფე და ემბრიონული ცხიმოვანი უჯრედებისა შეიცავს არადიფერენცირებულ მეზენქიმულ უჯრედებს.

ტევენარის სინდრომი — ოჯახური აკროოსტეოლიზი. წყლულოვანი მადეფორმირებელი აკროპათია. მემკვიდრეობითი დერმატოზი — გამოწვეული ზურგის ტვინის განგლიების დაზიანებით. გამოვლინდება კიდურთა (უხშირესად ქვედა) დისტალური ნაწილების ჰიპერკერატოზით, წყლულების წარმოშობით, ძვლების და ტერფის დეფორმაციით, წვრილი ძვლე-

ჰის ფსტეოლიზით. სინონიმები: პერონ-დრეკე-კულონის სინდრომი, ჯიაკაიას სინდრომი.

ტეიბის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, ტიპი რეცესიულ-შეკავებული „იქს“ ქრომოსომასთან. ნიშნები: დაბალი ან ჯუჯისებური სიმაღლე, გონებრივი განვითარების შეფერხება, სახე ანომალიური, გადიდებული თავის ქალა, წინ წამოწეული შუბლი, ჰიპერტელორიზმი, პატარა პირი, ყბილების განლაგების ანომალია, ჰიპოდონტია, სიყრუე ან სმენის დაქვეითება, დისპლასტიკური გულ-მკერდი, მაჯის და ტერფის დისპლაზია, კლინოდაქტილია, ბრაქიდაქტილია, სინდაქტილია, მენჯის ძვლების დისპლაზია, გამოხატულია ანდროტროპიზმი.

ტეიკეტასის სინჯი I — სისხლძარღვთა ზოგიერთი დაზიანების ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდი. ვენაში შეგვყავს ჰეპარინი და ვაკეთებთ კანის სისხლძარღვთა რეაქციის რეგისტრაციას.

ტეიკეტასის სინჯი II — მაობლიტირებული ენდარტერიტის დროს ქვედა კიდურთა სისხლით მომარაგების დარღვევის ხარისხის განსაზღვრის მეთოდი. ისაზღვრება დრო, რომელშიც გამოვლინდება გარდამავალი სიკოპლე წამში 2 ნაბიჯით სიარულის დროს.

ტეილორ-როზენბერგ-ჩუტორიენის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური ან რეცესიული. ნიშნები: ადრე ასაკში გამოხატული სმენის დაქვეითება — სიყრუემდე, მეტყველების განვითარების შეჩერება, ან ყრუმუნგობა, სამი-ხუთი წლის ასაკში იწყება სიარულის დარღვევა და ქვედა კიდურების კუნთების ატროფია. სიმწიფემდე ატროფირებს კიდურის მთელი დისტალური კუნთები, ოცი წლიდან იწყება მხედველობის ნერვის თანდათანობითი ატროფია. კუნთების ბიოფსიით — ნეიროგენული ატროფია, დემიელინიზაცია. სინონიმი: როზენბერგ-ჩუტორიენის სინდრომი.

ტეიმანის დაავადება — იუვენილური ასპტიკური ნეკროზი. თითებზე ფალანგოა ეპიფიზების სახსართა შესიების არახშირი მიზეზია. რენტგენოლოგიურად ეპიფიზის სტრუქტურის დარღვევის ნიშნები, რასაც მოყვება ძვლის ლიზისამდე და თითების დამოკლებამდე.

ტეი-საქსის სინდრომი — განგლიოდოზი. საქმე გვაქვს ცხიმოვანი ცვლის მოშლასთან (ლიპოიდოზი). ორგანიზმში არ არის ფერმენტი ჰექსოზამინაზა, რის გამოც აღინიშნება განგლიოზიდის დაგროვება. გენი გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული გზით. დაავადების სამი ფორმა გვხვდება: 1) ინფილტრატული (თვით ტეი-საქსის სინდრომი), 2) იუვენილური (ახალგაზრდული იხ. ბატენ-მეიო-ფოგტ-შპილმაიერის იუვენილური ფორმა), 3) მოზრდილთა (იხ. კუფს-სეიტელბერგის მოზრდილთა ფორმა). ინფანტილური ფორმა ჩვეულებრივ 5—6 წლის ასაკში იწყება. შეიძლება დაიწყოს 3—4 წლის ასაკში. ე. წ. მოგვიანებითი ინფანტილური ფორმა. ბავშვი პასიურია, ცუდად რეაგირებს გარე სამყაროზე, ველარ ლაღობა, აღარ თამაშობს, ჭერ იქერს თავს, აქვს კრუნჩხვები, აღინიშნება ჰიპოკინეზია, რამდენიმე ხანში გრმავდება. თაიი ზომაში იმატებს. ჰეპატოსპლენომეგალია იშვიათია. დაავადების ფინალი პირველი კლინიკური სიმპტომების გამომჟღავნებიდან 5—6 წლის შემდეგ.

ტეიჩლენდერის სინჯრომი — პროგრესული ინტრაჰუსკულური ლიპოგრანულომატოზი. გადაცემის ტიპი: აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: კუნთებსა და დიდი სახსრების ჩანთებში კალცინოზის კერების წარმოშობა. კერის ცენტრში მოფლექტუირე სიმსივნე. კენთების ფასციებსა და სეროზულ გარსებში ლაგდება ლიპოიდები, ვითარდება გრანულომერი ქსოვილი გიგანტური უჯრედებით. თვითშეგრძნება ძალზე ცუდია, პერიოდულად ცხელება, ჰიპერკოლესტერინემია, კუნთოვანი დისტროფია, ოსტეოპოროზი, სკლეროდერმია. გვხვდება მხოლოდ ოც წლამდე.

ტელეს ნიშანი — ქეთუთოების პიგმენტაციის გაძლიერება. ტოქსიკური დიფუზური ჩიყვის ნიშანია.

ტელეკის სიმპტომი — ხელის მტევნის გამშლელთა სისუსტე. სხივის ნერვის პარეზის ნიშანი. გაპირობებულია ტყვიით ქრონიკული მოწამვლით.

ტელეკინის სინდრომი — სხივის ნერვის სუსტი პარეზი. განსაკუთრებით გამოხატული მტევნის საერთო გამშლელებში. გვხვდება ტყვიით ქრონიკული მოწამვლის დროს.

ტელეფონის ბოძის სიმპტომი — ტანისა და კიდურთა ტრემორი ავადმყოფის ფეხზე დგომისა დროს. აღინიშნება დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს.

ტემპამის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჯუჯის სიმაღლე, საერთო განვითარების შეჩერება, სახის თავისებური ნაკეთები — კვადრატული წინ წამოწეული შუბლი, ეიწრო სახე, გრძელი ცხვირი, პატარა თვალები იშვიათი წამწამებითა და წარბებით, პატარა მომრგვალო ყურები, ძელები მტვრევადია.

ტენელაფუას დაავადება — კუჭის ნორმალურ გარსზე ცალკეული ეროზია. ლოკალიზაცია შესაძლებელია კუჭის სხვადასხვა უბანზე, უფრო ხშირია მის ზედა ნაწილში. შესაძლებელია სისხლდენა, ზოგჯერ ძლიერი (სასიკვდილო). მელორი-ვაისის სინდრომისაგან (იხ.) განსხვავებით აქ სისხლდენას წინ არ უძღვის ძლიერი (მატრავმირებელი) ღებინება.

ტენესონის დაავადება — კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი, კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომატოზი.

„ტენისისტის“ (ჩოგბურთელის) იდაყვი — ტკივილი იდაყვის მიდამოში, რომელიც ძლიერდება მტევანში. მუშად შეკვრის დროს. ხშირია ჩოგბურთელებში.

ტენტორიალური სინდრომი — თავის ტკივილის შერწყმა თვალის კაკლების ტკივილთან, სინათლისადმი შიშთან, ბლეფაროსპაზმთან, ცრემლის დენასთან და მენინგეალურ სიმპტომოკომპლექსთან. აღინიშნება ნათხემის ჭიის სიმსივნის დროს. სინონიმი: ბურდენკო-კრამერის სინდრომი, ნათხემის ნადების სინდრომი.

ტენ-ჰორნის სიმპტომი — მტკივნეულობა მარჯვენა საფესლე ჯირკვლის პარკის მაღლა აწევისას. აპენდიციტის შესაძლო ნიშანი. სინონიმი: ჰორნის სიმპტომი.

ტერის სინდრომი — რეტროლენტური ფიბროპლაზია — თვალის

ორმხრივი დაზიანება ღეჭვაკლულ ბავშვებში. გამოწვეულია პაერში ჟანგბადის მაღალი შემცველობით. ახასიათებს ფიბროზული ბაკის წარმოშობა და ცვლილებები შუშისებრ სხეულში, შეშუპება და ბადურის ატეცია შემდგომში ატროფიული პროცესის განვითარებით თვალების კაკალში.

ტერიეს სიმპტომი — კაროტიდულ-საუღლე ფისტულის არსებობის დროს აღინიშნება შეილი (რომელიც ძლიერდება პულსური დარტყმის სინქრონიულად) და კანკალი კისერში. ეს უკანასკნელი საძილე არტერიაზე ზეწოლისას ქრება, რასაც ტერიეს სიმპტომი ეწოდება.

ტერმინალური ბაკის ფენომენი — ფსორიაზული საფარის (ბაკის) ფენომენი — პაპულის აფხეკვის შემდეგ ვარდისფერი სწორი ზედაპირის გამოჩენა, ფსორიაზის სიმპტომი.

ტერნერის (ანუ ტურნერის) მცირე სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ფილტვის არტერიის სარქვლის სტენოზი, დაბალი სიმაღლე, ჰიპერტელორიზმი, მუცლის სწორი კუნთების დიასტაზი, ჩონჩხის დეფორმაცია, გონებრივი ჩამორჩენა, ანდროტროპიზმი. სინონიმები: ნუნანის სინდრომი, ულრიხის მცირე სინდრომი, ულრიხ-ტერნერის ფსევდოსინდრომი.

ტერნერის (ანუ ტურნერის) სიმპტომი — მუცლის გვერდით კედლებზე მწვავე პანკრეატიტის (უფრო ხშირად პანკრეონეკროზის) შემთხვევებში არის ციანოზის შემოფარგლული უბნები. სინონიმი: გრეი-ტერნერის სიმპტომი.

ტერნერის (ანუ ტურნერის) სინდრომი — ქალთა ქრომოსომული დაავადება, გამოწვეულია კარიოტიპში ერთი ქრომოსომის არარსებობით. გამოვლინდება პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებაში ჩამორჩენით და პტერიგიუმ-სინდრომით. სინონიმი: შერეშევსკი-ტერნერის სინდრომი, ტერნერ-ოლბრაიტის სინდრომი.

ტერნერ-კიზერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ართროოსტეოონიქოდისპლაზია, მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კვირისთავის ჰიპოპლაზია, იდაყვის ძვლის დისპლაზია, სხივის ძვლის თავის ამოვარდნილობით, ფრჩხილების დისპლაზია, მენჯის ძვლებზე ეგზოსტოზების წარმოშობა. მემკვიდრეობის ტიპის აუტოსომურ-დომინანტური.

ტერსილის სინდრომი — თანდაყოლილი პათოლოგიაა. დამახასიათებელია თავის ქალას ხრტილების ნაადრევი გაძვალება, კოშკისებური ან ოვალური ფორმის თავის ქალა, პროგნათია, ეგზოფტალმი, მხედველობის ნერვის ცალმხრივი ან ორმხრივი მოტორიკის დარღვევა, შესაძლოა ეპილეფსია და გონებრივი განუვითარებლობა. თავის ქალას რენტგენოგრამაზე აღინიშნება თითისებური ჩანაჭდევები და ხერხემლის კისრის ნაწილის ლორდოზი.

ტერსონის სინდრომი — სისხლჩაქცევა თვალის კაკალში (წინა კამერაში), ბადურაში, შუშისებრ სხეულში; თანხვედრილია სუბარაქნოიდულ სისხლჩაქცევასთან.

ტერფის უკანა ძვლის ოსტეოქონდროპათია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება დამახასიათებელია II—III და IV მეტატარზალური ძვლების თავების ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება ტკივილი ტერფის წინა

ნაწილში, მოძრაობის შეზღუდვით და შესაბამისი თითის დამოკლებით და ტერფის შესიებით. იხ. სინონიმი: კელერსის დაავადება.

ტვიგის სინდრომი — ნეიროგენული ანორექსიის ნაირსახეობა, რამაც თავი იჩინა სამოცდაათიან წლებში ინგლისელ ახალგაზრდა ქალებში და უკავშირდებოდა იმ დროს ცნობილ მანეკენ ტვიგის მიბაძვას.

ტვინისმიერი გიგანტიზმი — იდიოპათიკური გიგანტიზმი, კონსტიტუციური გიგანტიზმი. მემკვიდრეობითი გიგანტიზმის ნაირსახეობა. გადაცემის ტიპი როგორც აუტოსომურ-დომინანტური, ისე რეცესიული. ნიშნები: ახალშობილის მასა 4,5 კგ-ის ირგვლივ, სიგრძე 60 სმ. დაბადების პირველსავე კვირეებში აღინიშნება ახალშობილის სწრაფი ზრდა, სახის ნაკეთები უხეში — ღრმად ჩავარდნილი თვალის კაკლებით, ჰიპერტელორიზმი, მაკროვენია, პროგერია, მაღალი სასა, ზედა და ქვედა კიდურთა დაგრძელება, გონებრივი განვითარების შეფერხება, შიგნითა ჰიდროცეფალია.

ტიბერჟე-ვაისენბახის სინდრომი — რეინის (იხ.) დაავადების შერწყმა სკლეროდაქტილიასა, ცხიმოვანი კანქვეშა შრის გაკირვასთან და კატარაქტასთან.

ტიკსიეს სინდრომი — ჰემოლიზური ანემია მძიმე მიმდინარეობითა და არასასურველი გამოსავლით, რომელიც აღენიშნებათ ჰიპოტროფულ ძუძუმწოვარა ბავშვებს. ნიშნები: ანემია, სიყვითლე, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ჰემოგლობინურია.

ტილბერი-ფოქსის იმპეტიგო — იმპეტიგო, გამოწვეული სტრეპტოკოკებით. ახასიათებს სხეულის ღია ნაწილებში — გავრცელებული პერიფერიისაკენ — ფლიქტენების წარმოშობა, რომლებიც სწრაფად იხსნებიან და წარმოიშობა ფაშარი ყვითელი ქერქი. სინონიმი: ფოქსის იმპეტიგო.

ტიმეს სინდრომი — შინაგანი სეკრეციის რამდენიმე ჯირკვლის უკმარისობის თანაარსებობა. ესენია: მკერდუკანა ჯირკვალი, თირკმელზედა ჯირკვლები და ჰიპოფიზი. ნიშნები: დაღლილობა, არტერიული წნევის დაქვეითება, თავის ტკივილი, ზრდაში შეფერხება. პირველი ფაზა იწყება სქესობრივ მომწიფებამდე — გრძელი ლულოვანი ძვლების ეპიფიზების დახურვის შეჩერება, ცელილებები სახსრებში, თხელი თმიანობა, არადამაკმაყოფილებელი თმიანობა (წარბების წამწამების, იღლიებში), კუნთების კრუნჩხვები, სპაზმოფილია, მიდრეკილება კანში სისხლჩაქცევებისადმი, კბილების ამოსელის შეფერხება, ნუშისებრი ჯირკვლების გადიდება, ადენოიდები, ჰიპოგლიკემია, კიდურთა ციანოზი, ენურეზი. მეორე ფაზა იწყება პუბერტობის პერიოდში. ნიშნები: სწრაფი ზრდა, მენსტრუაციის დაწყების შეფერხება, გენიტალური ინფანტილიზმი, ჰიპერქლორჰიდრემია, ენურეზი. მესამე ფაზა — იწყება ოცი წლის შემდეგ. ახასიათებს თურქული კეხის გაფართოება, აკრომეგალია, ძილიანობა, ხშირი თავის ტკივილი, ზოგჯერ გონების დაკარგვა, ეპილეპტიფორმული კრუნჩხვები, ნელნელა განვითარებული ჰკუასუსტობა.

ტინელის სიმპტომი I — პერიფერიული ნერვის რეგენერაციის დროს აღინიშნება ნერვის ჭრილობის მიყენებიდან 4—6 კვირის შემდეგ. ჭრილობის ქვეით ნერვის საპროექციო არეზე ზეწოლის ან ჩაქუჩით პერკუსიის საპასუხოდ. ამავე ნერვის საინერვაციო ზონაში, აღინიშნება პარ-

ჭეელების ცოცეის შეგრძნება. ეს ნერვის რეგენეზაციაზე მიუთითებს. „ჭიანჭკლების" სიმპტომის გამოწვევის დრო რეგენერაციის დონის შესაბამისად თანდათან ინაცვლებს ქვევით. როდესაც იგი გამოვლენის შემდეგ არ განიცდის გადანაცვლებას, საქმე გვაქვს ნერვის რეგენერაციის შეჩერებასთან, „მანკიერ რეგენერაციასთან".

ტინელის სიმპტომი II — თავის ტკივილის გაძლიერება კისრის ვენაზე ხელოლის დროს ან თავის უკან გადაგდების დროს. თავის ქალას შიდა წნევის მომატების ნიშანია.

ტინელის სიმპტომი III — პერკუსიის დისტალურად — პარესთეზია, ჩხვლეტის შეგრძნების სახით, რომელიც ტარდება ნერვის დაზიანების საპროექციო ზონაში. ნერვის რეგენერაციის დაწყების ნიშანია.

ტინელის სინდრომი — აკრომეგალია, რომელიც ხასიათდება შეტევითი ხასიათის ტკივილით კიდურთა დისტალურ ნაწილებში, შეწითლებისა და შეშუპების გარეშე.

ტიპრე-რიკეტრის სინდრომი — კუჭის კარდიული ნაწილის სფინქტერების სპაზმი. ნიშნები: საკვების გაძნელებული ყლაპვა, მოუსვენრობა, რწყეება, რენტგენოლოგიურად საყლაპავის ქვედა ნაწილი გაფართოებულია. ხშირია ქოქოლწოვარა ბავშვებში.

ტირგსტირუპის სინდრომი — ანტრაპეპატური მორეციდივე კეთილთვისებიანი ქოლესტაზი. შემკვიდრეობითი ფიზიკო-ქიმიური დეფექტი, რაც მდგომარეობს ღვიძლის უჯრედებიდან და მცირე სანაღვლე სადინრებიდან შეკავშირებული ბილირუბინის გამოყოფის დარღვევაში, შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ხასიათი. ნიშნები: მოინტერნირე სიყვითლე ჰიპერბილირუბინემიით. სისხლში მომატებულია პირდაპირი ბილირუბინი, ჰეპატომეგალია, კანის ქავილი. ხოგერ პირველად ელინდება ორსულობის დროს. სინონიმი: სუპერსვილ-ვალშეს სინდრომი.

ტიტცეს დაავადება — (იგივეა ტიტცეს სინდრომი), ნეკნთა დისტროფია, ნეკნთა ხრტილების ცრუ სიმსივნე, ნეკნთა ქონდრიტი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ერთი ან რამდენიმე ნეკნის ხრტილთა სიმსივნის მსგავსი წანაზარდი ჰათი მკერდის ქვალთან შეერთების ადგილას თან სდევს ტკივილი ამაზე ადგილას. ანთებითი მოვლენებით არ ხასიათდება. ეხშირესად ადგილ აქვს ჰქონია ფიზიკური შრომით დასაქმებულ ქალებში. მიზეზად მიიჩნევენ აღნიშნული ადგილის ხშირ ტრავმატიზაციას.

ტიურკის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომლის დროსაც თავის ტკვნის პირველადი სიმსივნე შეუღლებულია მსხვილი ნაწლავის პოლიპოზთან.

ტიურკის მეორადი გადაგვარება — ნერვული ბოჭკოს დეგენერაცია, რომელიც მოცილებულია ნეირონისაგან.

ტიფფიეს სიმპტომი — პერიფერიული ვენების სისხლსავსეობა ვენაზე ერთდროული ხელოლის და თითით კიდურის მაგისტრალური არტერიის მიჭერის შემდეგ. სისხლის მიმოქცეეის საკმარისი კოლატერალური ხიმაჩი

ტიურკის დაავადება ანუ ლიმფოციტოზი — ინფექციური მონო-

წუკლეოზი. მულტიგანდულარული ადენოზი. ლიმფოიდოჯრედოვანი ანგინა. მონოციტური ანგინა. სტუდენტთა დაავადება. მწვავე კეთილთვისებიანი ლიმფომონონუკლეოზი. ჯირკვლოვანი ცხელება. ჯირკვლოვანი იდიოპათიკური ცხელება. მწვავე ინფექციური დაავადება, უცნობი ეტიოლოგიის (ალბათ ვირუსული), გამომწვევის უპირატესად ჰაეროვანი-წვეთოვანი გზით გადაცემით. დამახასიათებელია რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანება და მიმდინარეობა ცხელებით, ტონზილიტით, პოლიადენიტით, ჰეპატოსპლენომეგალიით, ლეიკოციტოზით — ბაზალური მონონუკლეარების სიჭარბით. სინონიმები: პფეიფერის დაავადება, ანუ პფეიფერის ჯირკვლოვანი ცხელება, ფილატოვის დაავადება, შეულის მონოციტური ანგინა.

ტიფნოს სინჯი — ტრაქეობრონქული გამავლობის შეფასების ფუნქციური სინჯი. ამისათვის მაქსიმალური შესუნთქვის შემდეგ ხდება ფორსირებულად ამოსუნთქული ჰაერის მოცულობის განსაზღვრა პირველ წამში. შემდეგ გამოითვლება მისი პროცენტული შეფარდება ფილტკუპის ფაქტიურ სასიცოცხლო მოცულობასთან. სინონიმი: ტიფნო-ვოტჩალის სინჯი.

ტიფნო-ვოტჩალის სინჯი — იხ. ტიფნოს სინჯი.

ტიცას სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. სავარაუდოა მისი აუტოსომურ-დომინანტური ტიპი. ნიშნები: ზოგადი ალბინიზმი, ღია-ცისფერი გუგები, ნისტაგმი, ფოტოფობია, წარბების ჰიპოპლაზია, ყრუ-მუნჯობა — გამოწვეული შიგა ყურის განვითარების ანომალიებით.

ტლაშუნის (დარტყმის) სიმპტომი — აქილევსის მყესზე სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმისას ტლაშუნის ხმიანობის წარმოშობა. აღინიშნება აქილევსის რეფლექსის დაქვეითების ადრეულ სტადიაში გავა-წყლის რადიკულიტის დროს. სინონიმი: ჰერმანის სიმპტომი IV.

ტობიასის სინდრომი — ფილტვის მწვერვალის ავთვისებიანი სიმსივნე. ნერვულ კვანძებზე და მკლავის ბრაქიალურ სისხლძარღვებზე ზეწოლის სინდრომი. დამახასიათებელია სუბფებრილიტეტი, უმადობა, ძლიერი სისუსტე, ხველა, მოხრჩობის გრძნობა, კლოდ ბერნარ-ჰორნერის სიმპტომი (იხ.), მხრის ტკივილი, ზემო კიდურის კუნთების ატროფია, პარესტეზია, ნეკნებისა და ხერხემლის მალების დესტრუქცია, ჰიპოქრომული ანემია, ლეიკოციტოზი მარხვნივ გადახრით, ედს-ი მომატებული. ავადდებიან უპირატესად მამაკაცები 40—60 წლის ასკში. სინონიმები: ჰერეს სინდრომი, პანკოსტის სინდრომი ან სიესივნე, პანკოსტ-ტობიასის სინდრომი.

ტობლერის სინდრომი — თანდაყოლილი ბრტყელი ჰემანგიომის შეუღლება სახეზე ზედა ყბის ნაწილობრივ ცალმხრივ ჰიპერტროფიასთან.

ტოდის დამბლა — დამბლა (ჰემიპლეგია ან ჰემიპარეზი) განვითარებული ეპილეფსიური კრუნჩხვითი შეტევის შემდეგ.

ტოინბის სიმპტომი I — მოხსენების არამკაფიო აღქმა, განსაკუთრებით როცა ერთდროულად რამდენიმე პირი ლაპარაკობს. ოტოსკლეროზის ნიშანი.

ტოინბის სიმპტომი II — გარეთა სასმენი მილის გასასვლელში ეგზოსტოზების არსებობა. ოტოსკლეროზის ნიშანი.

ტოლოზა-ჰანტის სინდრომი — მტკივნეული ოფთალმოპლეგია — დამახასიათებელია მუდმივი, მბურღავი ტკივილი რეტროორბიტულ არეში, რაც წინ უძღვის ოფთალმოპლეგიას ან შემდეგ ერთვის მას. გარდა თვალის მამოძრავებელი ნერვებისა, ზოგჯერ ზიანდება მხედველობისა და სამწვერა ნერვიც. დაავადება გრძელდება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვის განმავლობაში. მას მოსდევს სპონტანური რემისია, ზოგჯერ რეზიდუალური მოვლენებით. გამწვავება შეიძლება განვითარდეს რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ.

ტოლოჩინოვ-როჟეს დაავადება — გულის თანდაყოლილი პარკუჭთაშუა ძგიდის შეუხორცებლობა. დამახასიათებელია ადვილად დაღლა, სისუსტე, უხეში სისტოლური შუილი IV ნეკნთაშუა არეში მკერდის ძვალთან. შუილი ტარდება გარდიგარდმო მიმართულებით და ხერხემლისაკენ.

ტომაზელის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც აღინიშნება ჭინაჭინის ხანგრძლივი მიღებისა და ჰიპერდოზირების შემთხვევაში. ნიშნებია: ცხელება, ჰემატურია, ღებინება.

ტომა-კინბოკის წესი — აორტის ათაშანგურ ანევრიზმას ჩვეულებრივ თან სდევს აორტის გაფართოება მის მთელ სიგრძეზე. კარგი სადიფერენციაციო ნიშანია.

ტომასის რეფლექსი — მუხლის საქანელასებრი რეფლექსი — რიტმული, თანდათანობით რომ მცირდება ამპლიტუდაში რხეითი მოძრაობები ტერფისა მუხლის რეფლექსის გამოწვევის დროს. აღინიშნება ნათხემის ჰიპოტონიის შემთხვევაში. სინონიმი: რუსეცკის მუხლის რეფლექსის მერყეული ტიპი.

ტომპსონის სინდრომი — პემფიგოიდური ავთვისებიანი კანდიდომატოზი. პირველადი ელემენტია ბუშტუკი. მისი გასკდომის შემდეგ იწყება ეროზიის პროლიფერაცია და ჩნდება ჰიპერტროფიული მეჩეჩოვანი წარმონაქმნები, რომლებიც იზრდება პერიფერიულად. უპირატესი ლოკალიზაცია — კანის ნაოჭები, სასქესო ორგანოთა მიდამო, უკანა ტანი, ასევე შეიძლება განვითარდეს პირის ღრუში და სასქესო ორგანოებზე. მიმდინარეობა ქრონიკული. ბუშტუკში არის აკანტოლიზური უჯრედები. სისხლში ლეიკოციტოზი, ზოგჯერ ეოზინოფილია. პროგნოზი არაკეთილსაიმედო. სინონიმი: ნიომანის დაავადება.

ტომპსონის დაავადება — თანდაყოლილი სისხლძარღვოვანი პიოკილოდერმია. დასაწყისში დამახასიათებელია ანთებითი შეშუპების კერები, რასაც მოყვება სისხლძარღვთა გაფართოება, პიგმენტაციის დარღვევა. შესაძლოა ფრჩხილების, კბილების და ძვლების განვითარების დარღვევა. როტშუნდის დაავადებისაგან განსხვავებით არ აღინიშნება კატარაქტა და ეხდოკრინული ძვრები.

ტონზილოკარდიული სინდრომი — ქრონიკული ტონზილიტით ავადმყოფს აღენიშნება პიოკარდიოდისტროფიის სიმპტომები. გამოწვეულია ინტოქსიკაციით.

ტორეს სინდრომი — იშვიათი ონკოლოგიური სიმპტომოკომპლექსი,

ნიშნები: კანის საოფლე ჯირკვლების მრავლობითი სიმსივნეების შეუღლება შინაგან ორგანოთა ავთვისებიან სიმსივნეებთან. ახასიათებს ნელი პროგრესირება. სავარაუდოა გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპი.

ტორმაიერის სიმპტომი — ტუბერკულოზური პერიტონიტის შემთხვევაში ასციტი ხშირად არ არის თავისუფალი ანუ სითხე მეცლის ღრუში ნაკლებად მოძრავია. არაიშვიათად ჰიპის მარჯვნივ პერკუსიით აღინიშნება ტიმპანიური ხმიანობა. ამას ხსნიან იმით, რომ შეხორცების გამო ნაწლავთა მარყუჟების ბადექონი გადაწეულია მარჯვენა მხარეს. ეს ნიშანი შეიძლება გამოვლინდეს ასევე არატუბერკულოზური პერიტონიტის შემთხვევაში.

ტორეკსის სირინგომა — კეთილთვისებიანი ეპითელიური ცისტადენომა. ერუპტიული ჰიდრადენომა. სირინგოცისტადენომა. საოფლე ჯირკვლების ადენომა. ხშირად გვხვდება ქალებში — კისერზე, გულმკერდის წინა ნაწილზე და მუცლის არეში. კანზე აღინიშნება პატარა ხორკლები, ჭინძისთავის ოდენობიდან — ცერცვის სიდიდემდე, მრგვალი ან ოვალური, კანის ფერის ან მოყვითალო, სადა ზედაპირით, რბილი კონსისტენციის. სუბიექტურ გამოვლინებებს არ იწვევს და არ ახასიათებს ავთვისებიანი გადაგვარება. წარმოიქმნება საოფლე ჯირკვლების და მათი სადინრების გადაადგილებული ჩანასახიდან. სინონიმები: ნეიმანის სირინგოცისტომა, ბენიეს ცისტადენია, იარიშის ჰემანგიოენდოთელიომა, ჟაკე-დარიეს სინდრომი.

ტომსონის სინდრომი — მემკვიდრეობითი მასკლეროზებელი პოიკილოდერმია. ხასიათდება გენერალიზებული პოიკილოდერმიით (განსაკუთრებული გამოხატულებით კიდურების გამშლელ ზედაპირებზე) და ხელის და ფეხის გულების კანის გამკვრივებით. გადაიცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით.

ტოსიგის სინდრომი — გულ-სისხლძარღვთა თანდაყოლილი ანომალიების ფორმა. აორტის ტრანსპოზიცია, ფილტვის არტერიის მარცხენა პოზიცია, პარკუჭთაშუა ძგიდის მაღალი დეფექტი, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია. ნიშნები: ციანოზი — დაბადებიდან, პოლიციტემია, მიოკარდიოზი, დოლის ჩხირისებრივი ფორმის თითები, ძლიერი სისტოლური შუილი მკერდის მარცხნივ, მარჯვენა გულის გადაძაბვის ნიშნები. ანგიოკარდიოგრაფიით აორტისა და ფილტვის არტერიის ერთდროული ავსება საკონტრასტო ნივთიერებებით, აორტა უკეთესად კონტრასტირებს, ფილტვის არტერიის რკალი გაფართოებულია. სინონიმები: ბინგ-ტოსიგის სინდრომი, ტოსიგ-ბინგის სინდრომი.

ტოსიგ-ბინგის სინდრომი — სინონიმები: ტოსიგის სინდრომი (იხ.), ბინგ-ტოსიგის სინდრომი, ანუ ბინგ-ტოსიგის კომპლექსი.

ტოხმენის მიოტონია — ხასიათდება კუნთის აქტიური, უეცარი და ენერგიული შეკუმშვის შემდეგ მისი მოსვენების გახანგრძლივებით (მაგ. მუშტის გაკეთებას მოჰყვება მისი გახანგრძლივებული გაშლა). ამაეე დროს აღნიშნული სპაზმი განსაკუთრებითაა გამოხატული პირველი მოძრაობის შემდეგ. ყოველი მომდევნო მოძრაობისას იგი თანდათან კლებულობს და ბოლოს სავსებით ქრება. აღელვება და სიცივე მიოტონურ მოვლენებს

აქლერებას, სოლო სიტბო და სიმშვიდე ამცირებს. ზემოაღნიშნული მიოტოხური რეაქციით პასუხობს კუნთი მექანიკურ და ელექტრულ გაღიზიანებაზე. მიოტონური სპაზმი შეიძლება გავრცელდეს სხეულის ყველა კუნთზე ან შეპოიფარგლოს ამა თუ იმ კუნთთა ჯგუფით. უფრო ხშირად იგი გამოხატულია საღეჭ. კუნთებში, შემდეგ — თვალის კუნთებში. აღწერილია კონვერგენციის სპაზმი,. გუგების მიოტონური რეაქცია.

ტოტალური ასთენიის სინდრომი — იხილე შტოლერის სინდრომი, იხ. ალბერსის სინდრომი.

ტოქსიკური კარაქის სინდრომი — ესპანური კარაქის ავადმყოფობა (იხ.) პირველად აღწერილია 1981 წ. მადრიდში. დაავადება დაკავშირებულია საკვებში ანილინთან კონიუგირებული შალგის მარცვლებიდან მომზადებული კარაქის გამოყენებასთან. მიმდინარეობს ორ ფაზად. მწვავე ფაზას ახასიათებს: ცხელება, გამონაყარი, კუჭ-ნაწლავისა და ნერვული სისტემისმიერი დარღვევები, ინტერსტიციული პნევმონია სუნთქვით უკმარისობამდე. მოგვიანებითი სკლეროდერმიის მსგავსი ფაზა ხასიათდება კანის ინდურაციით, რეინოს სინდრომით, ალოპეციით, ფილტვების მცირე წრის ჰიპერტენზიით, მშრალი სინდრომით, მიოზიტით, ართრიტით, მოხეთქი კონტრაქტურებით, ნეიროპათიით.

ტოქსიკური შოკის სინდრომი — დამახასიათებელია უცაბედი დაწყება. ცხელება, ჰიპოტონია, გამონაყარი შეუღლებული ბევრი ორგანოს დისფუნქციასთან. წინათ მას უკავშირებდნენ ქალებში მენსტრუაციის დროს შიდავაგინული ტამპონების გამოყენებას. ამჟამად აღინიშნება შემთხვევათა გახშირება ცხვირის ღრუზე ოპერაციის შემდგომ ტამპონების გამოყენებისას. ამიტომ ამ ბოლო დროს გამოიყენება სინტეთიური ტამპონი, რომელიც არ შეიცავს ბამბის ბოჭკოებს და თავისუფალია ტოქსიკური ნივთიერებისაგან.

ტრანსპლანტანტი პატრონის წინააღმდეგ — სინდრომი უნეითარდებათ იმ პირებს, რომლებსაც ძვლის ტვინის გადანერგვით მკურნალობენ ლეიკემიას. ამ ავადმყოფთა საკუთარი ძვლის ტვინი დაავადებულია კიბოთი და სუსტია იმუნური თვალსაზრისით. გადანერგილი ძვლის ტვინი დიდი რაოდენობით შეიცავს აქტიურ იმუნურ უჯრედებს. „ტრანსპლანტანტი პატრონის (რეციპიენტის) წინააღმდეგ" გამოვლინდება პირის ღრუში წყლულებით, დერმატიტებით, ღვიძლის დისფუნქციით. ტრანსპლანტანტის იმუნური უჯრედების აქტივობის დასათრგუნავად გამოიყენება ციკლოსპორინი და ალიდომიდი.

ტრატერის სინდრომი — ტრატერის ტრიადა — შერწყმა ცალმხრივი ტკივილისა ქვედა ყბაში, ენასა და ყურში, ცალმხრივ სიყრუესთან და რბილი სასის მოძრაობის შეზღუდვასთან. აღინიშნება ხახის ცხვირის ნაწილის სიმსივნის დროს, როცა ქვედაყბის ნერვზე ხდება ზეწოლა.

ტრაუბეს ნიშანი — ექსუდატიური პერიკარდიტის დროს გულის საძგერი არეს გულის მარცხენა შედარებით მოყრუების საზღვრის შიგნით.

ტრაუბეს ორმაგი ტონი — ტრაუბეს სიმპტომი — აუსკულტაციური ფენომენი. გაორმაგებული ტონი მოსმენილი მსხვილი არტერიის ზეწო-

ლისას, აორტის სარქველის უკმარისობის ნიშანი. პირობადებული სისხლის რეგურგიტაციით მარცხენა პარკუჭში დიატოლშის პერიოდში.

ტრაუბეს სივრცე ანუ ნახევარმთვარისებრივი სივრცე — უბანი მარცხენა ფერდქვეშა არეში, რომელიც პერკუსიის დროს იძლევა ტიმპანიურ ხმიანობას. შემოფარგლულია მარჯვნივ ღეძლით, ქვევით და მედიალურად — ნეკნთა რკალის კიდით, ზევიდან — ფილტვის კიდით, უკნიდან კუპრის ძირით და განივი ნაწლავით.

ტრეზილიანის სიმპტომი — სტენონის სადინარის შესართავის შეშუპება და ჰიპერემია ეპიდემიური პაროტიტის დროს. სინონიმი: მურსონის სიმპტომი.

ტრეიტცის თიაქარი ანუ ტრეიტცის ჯიბე — პარადოუდენელური თიაქარი, მეზენტერიულ-პარიეტული თიაქარი — მუცლის შიგნითა თიაქარი, რომლის დროსაც მუცლის ღრუს რომელიმე ორგანო ხვდება დუოდენურეუნალურ ჩაღრმავებაში (ტრეიტცის ჯიბე).

ტრელას სიმპტომი — ტრელას წერტილები — წერილი მოყვითალო წერტილები ლორწოვან გარსზე, გამოვლინებული ტუბერკულოზური წყლულების გარემოცვაში.

ტრემნერის სიმპტომი — ტერფის დიდი თითის გაშლა კანჭის კუნთზე მოკერის დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანია.

ტრემნერის რეფლექსი — ფეხის ცერის გაშლა წვივის მასირების შედეგად. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანებისას.

ტრენდელენბურგის მდებარეობა — საოპერაციო მაგიდაზე ავადმყოფის მდებარეობა, რომლის დროსაც მენჯი არის უფრო მაღლა, ვიდრე თავი, რაც მიიღება მაგიდის თავის ბოლოს დახრით 30—45°-ით, გამოიყენება მცირე მენჯის ორგანოებზე ოპერაციის დროს, მწვავე ანემიის ან შოკის დროს და სხვ.

ტრენდელენბურგის სიმპტომი — შედეგია დუნდულოს შუა კუნთის დამბლისა და გვხვდება ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობის, ლიტლის დაავადებისა და ზურგის ტვინის წინა რქების ანთებით დაზიანების დროს. თუ ავადმყოფი დადგება დაავადებულ ფეხზე, ხოლო ჯანსაღ ფეხს ასწევს მაღლა, შეიმჩნევა მენჯის დაწევა ჯანმრთელ მხარეზე.

ტრესდერის სიმპტომი — ტკივილის შემცირება ავადმყოფის მუცელზე წოლის დროს. აპენდიციტის შესაძლო ნიშანია.

ტრესიელენის სიმპტომი — ყურის უკანა სადინარის შესასველელში ლორწოვან გარსზე მოწითალო შეფერილობა. ეპიდემიური პაროტიტის ნიშანია.

ტრეულ-ჟიუნეს სინდრომი — აკრომეგალოიდური ჰიპერთირეოზი — თავის ქალას ჰიპეროსტოზის დიფუზური შერწყმაა აკრომეგალიასა და ფარისებრივი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის ნიშნებთან. განპირობებულია ადენოჰიპოფიზის, სომატოტროპინისა და თირეოტროპული ჰორმონების გაძლიერებული სეკრეციით.

ტრივუსის სიმპტომი — ფილტვის ნათელი ხმიანობის გამოვლინება მცირე ზოლში პერკუსიით გულის მოყრუებასა და მის ქვემოთ განლაგებულ უბანს შორის. სუბდიაფრაგმული აბსცესის ნიშანი.

ტრიკო-დელორის სინდრომი — ავთვისებიანი ატროფიული პაპულოზი, რასაც საფუძვლად უდევს კანისა და კუპ-ნაწლავის წვრილი და მსხვილი ვენების თრომბოზი. იწყება კანზე პაპულების განვითარებით, რომელსაც ახასიათებს ცენტრიდანული დანეკროზება. შემდგომ რამოდენიმე კვირაში ან თვეში უეცრად ვითარდება მწვავე მუცლის კლინიკური სურათი ძლიერი ტკივილით ეპიგასტრიუმში, სისხლიანი პირღებინება, ციებცხელება. გამოსავალი ლეტალური. სინონიმები: დეგის დაავადება, კოლმერ-დეგის დაავადება, დელორი-ტრიკოს დაავადება.

ტრიუშვოვის რეფლექსი — ბოქვენის პერკუსიის საპასუხოდ მუცლის კუნთების შეკუმშვა. რეფლექსის გაქრობა მიუთითებს ზურგის ტვინის დაზიანებაზე სეგმენტების დონეზე.

ქროიერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. ეადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სიმპტომები ვლინდება ადრე ბავშვობაში. ნიშნები: დიზართრია, დისტალური კუნთების სისუსტე, უხერხული სიარული, დისტალური კუნთების ატროფია, სპასტიკური პარაპლეგია კონტრაქტურებით და ანკილოზებით, რაც ავადმყოფს უშლის სიარულს 30—40 წლის ასაკში.

ტროიცკის ნიშანი — ავადმყოფის სხეულის ნებისმიერი იძულებითი მდებარეობა. მუცლის ღრუს ღრუ ორგანოს პერფორაციის შემთხვევაში იწკევს ძლიერ ტკივილს.

ტროპიკული სპლენომეგალიის სინდრომი — გვხვდება ტროპიკულ და სუბტროპიკული ჰავის ქვეყნებში. უხშირესად სპლენომეგალიის მიზეზია მალარია, შისტომატოზი, ვისცერული ლეიშმანიოზი, ღვიძლის დაავადებები, ჰემოგლობინოპათიები. რიგ შემთხვევაში მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება. ასეთ დროს ლიტერატურაში მას უწოდებენ: „დიდი ელენთის“ დაავადება, აფრიკული მაკროგლობულინემია, ტროპიკული ან ბენგალური, ან კრიპტოგენული ანდა იდიოპათიკური სპლენომეგალია.

ტრუაზიე-ვირხოვის ნიშანი — ლავიწის ზემოთ მარცხნივ, ლავიწსა და მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთის ფეხთა შუა კუთხეში — ერთი ან რამდენიმე უმტკივნეულო, მკვრივი ლიმფური კვანძი. კუჭის ან ნაწლავების კიბოს შესაძლო მეტასტაზი. სინონიმი: ვირხოვის ნიშანი.

ტრუასიერ-ჰანო-შოფარის დაავადება — ბრინჯაოს დიაბეტი, ჰემოქრომატოზი, საფუძვლად უდევს ჰემოსიდერინის და ჰემოფუსცინის ჩალაგება შინაგან ორგანოებსა და კანში. ეტიოლოგია უცნობია. დამახასიათებელია კანის ჰიპერპიგმენტაცია, მსგავსი ადისონის დაავადების (იხ.) დროს არსებულის, რაც განსხვავებით უკანასკნელთან არ აღინიშნება ლორწოვანებზე, ჰიპერგლიკემია (პანკრიასის ციროზული გადაგვარების გამო), ღვიძლის გადიდება (პიგმენტური ციროზი), სპლენომეგალია, შარდში მომატებულია პორფირინის შემცველობა, სისხლში — რკინის რაოდენობა. ემართებათ 40 წელს გადაცილებულ მამაკაცებს, უკავშირებენ სპილენძით მოწამვლას, ავიტამინოზს, ჰიპოფიზარულ დარღვევებს. სინონიმები: ჰანოს სინდრომი, შოფარის სინდრომი, ტრუასიერის სინდრომი, ღვიძლის პიგმენტური ციროზი.

ტრუასიერის სინდრომი — იხ. სინონიმები: ჰანოს სინდრომი, შოფარის სინდრომი, ტრუასიერ-ჰანო-შოფარის სინდრომი.

ტრუელ-ჟუნეს სინდრომი — თავის ქალას სახურავის დიფუზური ჰიპეროსტოზი აკრომეგალიური ჰიპერთირეოდიზმით. ნიშნები: აკრომეგალია, კოლოიდური ჩიყვი, თავის ქალას სახურავის ჰიპეროსტოზი, ხშირად მთელი ჩონჩხის ჰიპეროსტოზი, ზოგჯერ შაქრიანი დიაბეტი. ავადმყოფობენ უპირატესად ასაკოვანი ქალები. საეარაუდოა მემკვიდრეობითი გენეზი.

ტრუნეჩეკის სიმპტომი — ლავიწქვეშა არტერიის გაძლიერებული პულსაცია მკერდ-ლავიწ-დერილისებრივი კუნთის მიმაგრების ადგილას. აღინიშნება აორტის ათეროსკლეროზის შემთხვევაში ლავიწქვეშა არტერიის ანევრიზმის დროს.

ტრუსოს დაავადება — სახის ნერვის იზოლირებული ნევრალგია. სახის მტკივნეული ტიკი, რაც იწვევს სახის ნახევრის ძლიერ ტკივილს, გრძელდება რამდენიმე სეკუნდს და მეორდება სხვადასხვა სიხშირით რამდენიმე კვირის მანძილზე. ტკივილი ვრცელდება მხოლოდ სახის ნერვის რეგიონზე, ჩნდება საუბრის და ჭამის დროს. სხვა ცვლილებები არ არის. დაავადება შეიძლება დაკავშირებული იყოს კეროვან ინფექციასთან, სიმსივნესთან, სისხლძარღვოვან პროცესებთან.

ტრუსოს სიმპტომი I — ტრუსოს ფენომენი — ხელის მტევნის ტონური კრუნჩხვა, წარმოშობილი მხრის ნერვულ-სისხლძარღვოვან კვანძის მიდამოში ზეწოლის პასუხად. სპაზმოფილიის ან ტეტანიის ნიშანია.

ტრუსოს სიმპტომი II — ხელის თითების ტონური კრუნჩხვა („მეანის ხელი") მხარზე ლახტის რამდენიმე წუთით (სისხლის მიმოქცევის სრულ შეწყვეტამდე) გადაჭერის საპასუხოდ. გვხვდება ტეტანიისა და სპაზმოფილიის დროს.

ტრუსოს სიმპტომი III — ტრუსოს ფენომენი — მსხვილი ვენების თრომბოფლებიტების განვითარება შინაგან ორგანოთა კიბოს დროს.

ტრუსოს სინდრომი — ეწოდება შებრუნებითი მიგრირებადი თრომბოფლებიტის შეუღლებას არტერიულ თრომბოზთან ავთვისებიანი სიმსივნით ავადმყოფებში. ამ უკანასკნელის ლოკალიზაციის დადგენა ავადმყოფის სიცოცხლეში ძნელია.

ტრუსოს ფორმა რევმატიზმისა — გვხვდება იშვიათად, მხოლოდ ბავშვებში. წარმოადგენს რევმატიზმის მწვავე ფულმინატურ ფორმას.

ტრუსოს წერტილი — პლევრის ღრუს საპუნქციო წერტილი აქსილარულ ხაზზე მე-7 ნეკნთაშუა მიდამოში.

ტრუსოს ჰიდროცეფალური ყვირილი — ჰიდროცეფალური ყვირილი, უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის უცაბედი წამოყვირება თანდართული თავზე ხელის წაყლებით. თავისქალას შიდა წნევის მძაფრი მომატების სიმპტომი, მაგალითად, მენინგიტის დროს.

ტულონის პარტახტიანი ტიფი — ხომალდის ტიფი. ენდემიური (ვირთაგვის)· პარტახტიანი ტიფი, ხასიათდება კეთილთვისებიანი სპორადული მიმდინარეობით. ხანგრძლივობა საშუალოდ 2 კვირა. ნიშნები: ცხელება, უხვი გამონაყარი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფო-

ციტოზი, ეოზინოპენია. სინონიმები: მექსიკური ტიფი, ხმელთაშუა ზღვის ვირიაგვის რიკეტსიოზი, ინდოეთის ტიფი, მანჯურიის ენდემიური ტიფი.

ტულუზ-ვულპის სიმპტომი — ტუჩის რეფლექსი ფსევდობულბური სინდრომის დროს. კვედა ტუჩის შუა ხაზზე პერკუსიისას ტუჩების წამოწევა წინ. ეკუთვნის ორალური ავტომატიზმის რეფლექსებს.

ტუნისის ენდემიური ტიფი — მარსელის ცხელება, მარსელის რიკეტსიოზი, ხმელთაშუა ზღვის ტკიპის ცხელება — მწვავე ინფექციური დაავადება. დამახასიათებელია ცხელება, რომელიც იწყება ერთბაშად, პირველადი აფექტის — პატარა წყლულის სახით, მუქი ყავისფერი გავრცელებული მაკულო-პაპულოზური გამონაყარით. ენდემიურია ძირითადად ხმელთაშუა ზღვის, შავი და კასპიის ზღვის სანაპიროებისათვის. სინონიმი: კარლენ-ოლმერის დაავადება.

„ტურ“ — სინდრომი — შესაძლოა განვითარდეს წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) ტრანსურეთრული რეზექციის შემთხვევაში. გამოიხატება ძირითადად ჰიპერკოლემიის კლინიკაში. მიზეზია სითხის დიდი რაოდენობით გადასხმა, როგორც პარენტერალური, ასევე ინტერავეზიკალური გზით.

ტურეგის თანდაყოლილი პოლიკერატოზი — მრავლობითი ექტოდერმული დისპლაზია, პოლიკერატოზი — ექტოდერმის განვითარების ანომალიების საერთო სახელი, რომლებიც გამოვლინდება ჰიპერკერატოზით.

ტურენის დიდი აფთოზი — სინონიმი: ჯილბერტ-ბეჰჩეტის სინდრომი (იხ.).

ტურენის პოლიფიბრომატოზი — ტურენის მემკვიდრეობითი პოლიფიბრომატოზი — მემკვიდრეობითი შერწყმა დიუპუიტრენის კონტრაქტურის, კელოიდისა და სასქესო ასოს პლასტიკური ინდურაციის ან საშვილოსნოს ფიბრომის.

ტურენის სინდრომი — განვითარების პოლიორგანული, მეტწილად მემკვიდრეობითი (დომინანტური ტიპით) ანომალია. ხასიათდება ჰიპერტროფიის და ჰიპერფუნქციონალიზმის მოვლენებით. სიმპტომატიკა: შავი აკანტოზი, ჰიპერპიდროზი, ჰიპერტრიქოზი, ლორწოვანი გარსების პაპილომატოზი, ჰიპერთირეოზი, სიმსუქნე, შინაგან ორგანოთა სიმსივნეები.

ტურენის სისტემური ელასტორექსისი — ელასტიკური ფსევდოქსანტომა, კანის ელასტომა, გენერალიზებული ელასტორექსისი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს ელასტიკური ბოჭკოების წარმონაქმნების დარღვევა კანის, თვალის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებით. სინონიმი: გრენბლად-სტრანდ-ბერგის სინდრომი.

ტურენის ფრჩხილქვეშა აკროპიგმენტაცია — თანდაყოლილი აკროპიგმენტაცია, ლოკალიზებული ფრჩხილების ფირფიტის \ირგვლივ და მის ქვეშ.

ტურენას შუასახის ლენტიგო — ცენტროფალანგური დიზრაფიული ლენტიგინოზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი ლენტიგოს ლაქების გამონაყარით შუბლზე, ცხვირზე, უფრო აშკარად ტუჩებსა და კისერზე. შეუღლებულია დიზრაფიასა და ნერვულ-ფსიქიკურ დარღვევებთან.

ტურენ-გისელბრეჰტის თანდაყოლილი ექტოდერმული პოლიდისპლაზია — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია, ჰიპერჰიდროზი, გაფანტული ფოლიკულური კერატოზი წერტილოვანი ალოპეციის უბნებით. სინონიმები: ტურენ-სულინიაკის თანდაყოლილი ჰიპერექტოდერმოზი, შეფერის სინდრომი.

ტურენ-სოლენტ-გოლის სინდრომი — გენერალიზებული ჰიპეროსტოზი პაქიდერმიით. მემკვიდრეობის გადაცემის ტიპი დომინანტური. პათოგენეზში მნიშვნელობა აქვს ენდოკრინული ჯირკვლების დისფუნქციას. ნიშნები: კიდურთა ორმხრივი სიმეტრიული ჰიპეროსტოზები, კანის — ნაკეცოვნება (შუბლზე, სახეზე, ქუთუთოებზე, თავის თმიან ნაწილში, მაჯასა და ტერფზე). ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიურობა გაძლიერებულია, ფრჩხილები საათის მინის ფორმის, მამაკაცთა შარდი დიდი რაოდენობით შეიცავს ესტეროგენებს.

ტურენ-სულინიაკოვის თანდაყოლილი ჰიპერექტოდერმოზი — სინონიმები: შეფერის სინდრომი, ტურენ-გისელბერპტის თანდაყოლილი ექტოდერმული პოლიდისპლაზია (იხ.).

ტურეტის დაავადება — სახის, კისრის და მხარის სახსრის კუნთების უნებლიე მოძრაობების შერწყმა ენისა და ტუჩების უნებლიე მოძრაობებთან, ხშირ ჩახველებასთან, გადაფურთხებასა და კოპროლალიასთან, უფრო ხშირად გამოიწვევა ზოლიანი სხეულის დაზიანებით, მაგრამ შეიძლება ფუნქციური ხასიათიც ჰქონდეს. ძირითადად აღენიშნებათ ბავშვებს. სინონიმი: ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომი.

ტურინის ნიშანი — იშიაზის ნიშანი. დამყარებულია დაჭიმვაზე. დიდი თითის დორზალური გადაზნექვა გაჭიმული ფეხებით მწოლიარე ავადმყოფზე იძლევა ტკივილს საჯდომ მიდამოში. დიდი თითის მოღუნვამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს ტკივილი იმავე ადგილზე. ამ ნიშნით შეიძლება ვისარგებლოთ საჯდომი ნერვის ცალკე ტოტების სადიაგნოსტიკოდ.

ტურისტების დიარეა — რომელიც აღმოცენდება ჩვეულებრივ ახალ ქვეყანაში მოხვედრის პირველ ორ კვირაში, მიმდინარეობა ერთგვაროვანია მიუხედავად იმისა, თუ სად გამოვლინდება. ძირითადი კლინიკური სინდრომია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე დაავადება. ზოგჯერ დასაწყისში აღინიშნება მხოლოდ მწვავე დისკომფორტი.

ტურკოს სინდრომი — იხ. ტიურკის სინდრომი.

ტურნეს გუგის რეაქცია — ტურნეს ფენომენი, გუგის რეფლექსი, გუგის გაფართოება თვალის უკიდურესად განზე განზიდვის დროს.

ტურნერის ატროფია — კიდურთა კუნთების ატროფია მოტეხილობების დროს, განპირობებული მოტეხილობის ზონიდან რეფლექტორული ზემოქმედებით.

ტურნერის სიმპტომი — იხ. ტერნერის სიმპტომი.

ტურნერის სინდრომი — იხ. ტერნერის სინდრომი.

ტურნერ-კიზერის სინდრომი — იხ. ტერნერ-კიზერის სინდრომი.

ტურნერ-ოლბრაიტის სინდრომი — სინონიმი: ტერნერის სინდრომი.

ტურნის სინდრომი — გენეტიკური, რეცესიული ტიპით გადაცემული

პათოლოგია. ახასიათებს სუბეპითელურად ტრავმული ან სპონტანური ბუშტუკების გაჩენა, ხშირად სისხლნარევი შიგთავსია. შეხორცების შედეგად მათ ადგილას აღინიშნება ატროფიული ნაწიბურები. ხშირად თან ახლავს ფრჩხილების უქონლობა ან მათი რუდიმენტირებული მდგომარეობა, ჰიპოტრიქოზი, ენდოკრინული და ფსიქიკური მოშლილობანი.

ტურნლის რეაქცია — თვალის კაკლების გვერდითი მოძრაობის დროს განზიდული თვალის გუგა ფართოა მოზიდულ თვალის გუგასთან შედარებით. გვხვდება ნორმაში.

ტურპინის სინდრომი — ბრონქული ხის, ტრაქეის, საყლაპავისა და გულ-მკერდის ძვლების მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური ნიშნები: თანდაყოლილი ბრონქოექტაზიები, მეგალოსაყლაპავი, ტრაქეოეზოფაგალური ფისტულები, ხერხემლის ანომალიები (ნაპრალები, ზედმეტი მალები), ნეკნთა პათოლოგია, ხშირია პირველი ნეკნის აგენეზია, მკერდის სადინარის პეტეროტოპია.

ტურპინ-კოსიას სინდრომი — ტიპიური ქონდროპლასტიკური ცვლილებები, რაც იწვევს ქონდრისკაცობას კიდურთა ძვლების არანორმალური დამოკლებით შუა და პროქიმულ ნაწილებში, ხერხემლის გამრუდებას, უნაგირისებურ ცხვირს და ფეხმრუდობას, რენტგენოგრამაზე არის გრძელი ძვლების დიაფიზის გამრუდება, ეპიფიზის სოკოსებური გასქელება, გრძელლულისებურ ძვლებში ეპიფიზურ-მეტაფიზური ქონდროდისტროფიული ცვლილებები. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: მორგ-სილვერშელდის სინდრომი, მორგის სინდრომი, სილვერშელდის დაავადება.

უაიბერნ-მეისონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი: შუა ტვინის, თვალის, ბადურის და კანის სისხლძარღვთა ანევრიზმები. სიმპტომატიკა დამოკიდებულია ანევრიზმის სიდიდესა და ლოკალიზაციაზე, შედარებით ხშირია მხედველობის დარღვევა, თავის ტკივილი, მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპება, პტოზი, კისრის კუნთების რიგიდობა, მეტყველების დარღვევა, ნათხემის სიმპტომები, ფსიქიკური დარღვევები. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

უაიდის ვარიოფორმის პარაფსორიაზი (ყვავილის ფორმა) — მწვავე პარაფსორიაზი, მწვავე ფსორიაზი. პაპულოზური ფსორიაზის ნაირსახეობა. ახასიათებს სწრაფი მიმდინარეობა, ჰემორაგიული პეტექიალური და პაპულოზურ-ნეკროზული გამონაყარი, რომელიც ჰგავს ყვავილის გამონაყარს. ახასიათებს რამდენიმე კვირაში თვითგანკურნების ტენდენცია. სინონიმი: მუკ-ჰაბერმანის დაავადება.

უაიტის სინდრომი — ციტომეგალია, მცირეწლოვან ბავშვთა მემკვიდრეობითი დაავადება ეპითელიური უჯრედების ბირთვთა ჩართვით. გადაცემის ტიპი შესაძლოა აუტოსომურ-დომინანტური. უპირატესი ლოკალიზაციის მიხედვით განარჩევენ გენერალიზებულ, რესპირატორულ, გასტროინტენსტინალურ, ცერებრულ ტიპებს. კლინიკური ნიშნები: ჰეპატოსპლენომეგალია, ერითრობლასტემია, ჰემორაგიული დიათეზი, კანის თრომბოპენიური პურპურა, სიყვითლე, ასციტი, კეროვანი პნევმონია, კრუნჩხვები, ფაღარათი.

უაიზ-რეინის დაავადება — წითელი მონილიფორმული ლიქენი. უც-

ნობი ეტიოლოგიის დერმატოზი მოყვითალო-მოწითალო პაპულების სახით, რომლებიც ზოლებად ერთდება. განლაგებულია უმთავრესად კიდურებზე.

უაიტეიკერის სინდრომი — საყმაწვილო აუტოიმუნური პოლიენდოკრინოპათია: ჰიპოპარათირეოზი, პირველადი ჰიპოთირეოზი, ჰიპოკორტიციზმი, პასიმოტოს (ანუ ჰაშიმოტოს) თირეოიდიტი (იხ.), ქრონიკული დიარეა, თმის გაცვენა, „ბ"—12-ის დეფიციტური ანემია, ღვიძლის პათოლოგია (იგიოპათიკური), გონებრივი ჩამორჩენილობა.

უაიტის დაავადება — ტუბერკულოზური მენინგიტი, რომელსაც მიეყავართ მწვავე ჰიდროცეფალიასთან.

უაიტის სინდრომი — ქუსლის მოყინვის დამახასიათებელი სიმპტომები: ერითემა, შეშუპება, მტკივნეული ანესთეზია, ბულოზური გამონაყარი, მოგვიანებით ნეკროზი.

უატერჰაუს-ფრიდერიქსენის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მწვავე უკმარისობა, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ჰორმონების პროდუქციის სწრაფი დაქვეითების სინდრომი, ახასიათებს ნერვული აგზნებადობა, მუცელში დიფუზური ტკივილი, ღებინება, ჰიპერთერმია, ჰემორაგიული სინდრომი, კოლაფსისა და კომის განვითარება. აღინიშნება, მაგალითად, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში სისხლჩაქცევის, ძდრენალექტომიის დროს.

უდაბნოს რევმატიზმი — კალიფორნიის ცხელება, კოკციდიომიკოზი, სოკოვანი წარმოშობის სასუნთქი ორგანოების დაავადება. კლინიკურად წააგავს კავერნოზულ ტუბერკულოზს, ახასიათებს რა სისხლიანი ხველება და კვანძოვანი ერითემა. ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პროცესის გენერალიზაციას მენინგიალური მოვლენებით. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება კანის დადებით სინჯებს და კომპლემენტის შეკავების რეაქციას. გვხვდება უმთავრესად კალიფორნიასა და არგენტინაში. სინონიმები: პოსადა-უერნიკეს სინდრომი, ანუ დაავადება, სან-ჟოაკინის ხეობის ცხელება, პოსადას დაავადება.

უდენ-რემჰელდის დაავადება — გასტროკარდიული სინდრომი, კუჭგულის სინდრომი, გულის ფრიალი, ტკივილი გულის არეში, გულის რიტმის დარღვევა, არტერიული წნევის მომატება ან დაკლება, რაც ვითარდება კუჭის ავსების ან მეტეორიზმის შედეგად. სინონიმი: რემჰელდის დაავადება ანუ სინდრომი.

უემურას სინდრომი — ავიტამინოზის („ა") ნაირსახეობა. ნიშნები ჰემერალოპია, ეპითელური ქსეროზი, ბადურაში მრავლობითი მკრთალი ლაქები. სიბნელისადმი ადაპტაციის დაქვეითება. ვიტამინ „ა"-ს მიღების შემდეგ ყველა ნიშანი ქრება.

უეხტის სინდრომი — ბავშვებში კრუნჩხვის ნაირსახეობა. სერიული მოხრითი სპაზმები. დღის მანძილზე შესაძლოა 80-მდე და მეტი კრუნჩხვა, თითოეული 15—20 კონვულსიით. ელექტრო-ენცეფალოგრამაზე გამოხატული დიზრიტმია. დაავადება ჩვეულებრივ, ვლინდება ორი წლის ასაკში. დროთა განმავლობაში კრუნჩხვითი შეტევები ღებულობს ეპილეპტიფორმულ ხასიათს. ხშირად ვითარდება ჭკუასუსტობა.

— უვაეტს-ჯოტეს სინდრომი — შეერთებული პაპილოზური პაპილომატოზი, უსახელო პაპილომატოზი. უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს მცირე ზომის წითელი პაპულების გამონაყარი, რომელიც სწრაფად მუქდება და განიცდის გარქოვანებას და ბოლოს ფორმდება რომბისებურ კერებად, ლოკალიზდება გულ-მკერდის და ბეჭთაშუა არეებში, ხელის მტევნის ლატერალურ მხარეს. სინონიმი: ვაის-ზაკსის პაპილომატოზი.

უიკჰემის ბადე — პაპულათა ზედაპირზე წვრილი ბადისებრიობა. წითელი ბრტყელი ლიქენის ნიშანი, განპირობებული არათანაბარი გრანულოზით.

უილიამს-კემპბელის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა მემკვიდრეობის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. აღინიშნება გენერალიზებული ბრონქოექტაზიები, ტრაქეასა და ბრონქებში ხრტილის არარსებობა ან განუვითარებლობა. კლინიკა: ხველება, ნახველი, შორეციდიე ცხელება, ფილტვებში სველი ხიხინი და კრეპიტაცია. ბოგვიანებით გულ-მკერდის დეფორმაცია, სასუნთქი გზების დახშობა, პნევმოფიბროზი, ემფიზემა.

უილსის სინდრომი — ორსულთა მეგალოციტური ანემია, გვხვდება სუბტროპიკულ ზონაში (ძირითადად ინდოეთის სამხრეთით). კლინიკა: საერთო სისუსტე, კიდურთა შეშუპება, ენისა და პირის ღრუს ლორწოვანის ანთება, ცხელება, ჰიპერქრომული ანემია, მეგალოციტოზი, ლეიკოპენია, შედარებითი ლიმფოციტოზი, თრომბოპენია. ჩვეულებრივ უვითარდებათ ორსულებს, რომლებიც იკვებებიან ცხოველური ცილით და „ა", „ბ", „ც" ვიტამინების მხრივ ღარიბი საკვებით. სინონიმი: უილს-ბალფურ-მაკ სვინის სინდრომი.

უილს-ბალფურ-მაკ სვინის სინდრომი — სინონიმი: უილსის სინდრომი (ი.ხ.).

უილსონ-მაიკატის სინდრომი — რესპირატორული დარღვევის სინდრომი, ინტერსტიციული მონონუკლეარული ფოკალური პნევმონია, რესპირატორული სიმპტომკომპლექსი ახალშობილებში. კლინიკა: ქოშინი, ხველება, პერიოდული ან მუდმივი ციანოზი, გაძნელებული ამოხველება, ასპირაციული პნევმონია, პროგრესირებადი ფილტვ-გულის უკმარისობა, არასტაბილური ეოზინოფილია. რენტგენოლოგიურად — მრავალკეროვანი ემფიზემა. უვითარდებათ დღენაკლულებს (1500 გრ-ზე ნაკლები წონის, 30 კვირაზე ადრე დაბადებულებს). პროგნოზი მძიმე.

უინტერბოტომის ნიშანი — აფრიკული ტრიპანოსომოზის დროს ლიმფური კვანძების გადიდება კისრის ლატერალურ მიდამოში.

უინტერის სინდრომი — აურო-ურო-გენიტალური სინდრომი. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, როგორც ჩანს გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით. კლინიკა: თირკმლების და შარდსაწვეთების ცალმხრივი ან ორმხრივი აპლაზია, საშოს აპლაზია ან რუდიმენტი, ზოგჯერ მისი ატრეზია, საშვილოსნოს და საკვერცხეების ჰიპოპლაზია, სმენის გამოხატული ორმხრივი დაქვეითება, გამოწვეული შუა ყურის განვითარების ანომალიებით, გარეთა სასმენი ხერელის სტენოზი, ყურის ნიჟარების

მიპო და დისპლაზია, პატარა ჩაჭეჭყილი ცხვირი, მიკროგნატია, გინეკოტროპიზმი.

უიწჩხტერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. კლინიკა: დაბალი, ჯუჯისებრი სიმაღლე, სახის ანომალია, კიდურთა კონტრაქტურები, რქოვანას შემღვრევა, ოსტეოპოროზი, ძვლების რეზორბცია, ინტრა-და პერიარტიკულური სტრუქტურის დესტრუქცია, რევმატოიდული ართრიტი. კანის ჰისტოლოგიით ფიბრობლასტების ფართო პროლიფერაცია. ელექტრონული მიკროსკოპიით მიტოქონდრიების დეგენერაცია.

უიპლის დაავადება — ინტესტინალური ლიპოდისტროფია. ბადექონის ლიპოგრანულომატოზი. ნაწლავთა ლიპოდისტროფია. გაურკვეველი ეტიოლოგიის (შესაძლოა ინფექციური) დაავადება. ამ დროს დარღვეულია ცხიმების რეზორბცია, ხდება ლიპიდურ-მუკოპოლისაქარიდული კომპლექსების დაგროვება ლორწოვანი გარსის და ლიმფური კვანძების ბადექონის ჰისტიოციტებში. ამას მოყვება ლიპოგრანულომების წარმოქმნა და ლიმფური დინების ბლოკადა. აღინიშნება სტეატორეა, ანემია, სიგამხდრე.

უიპლის ტრიადა — სისხლში გლუკოზის შემცველობის მუდმივად დაქვეითების შერწყმა უზმოზე ჰიპერინსულიზმის შეტევასთან, რომელიც იხსნება გლუკოზის შეყვანით. კუშუკანა ჯირკვლის ჰიპერფუნქციის სინდრომი, მაგალითად, ინსულინომის დროს.

უისკის სინდრომი — ღრძილების ელეფანტიაზი. ღრძილების თანდაყოლილი ჰიპერტროფია. თანდაყოლილი ჰიპერტროფიული გინგივიტი. თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი მანკი. სიმეტრიულად ახიანებს ორივე ყბას, უფრო მეტად ზედას.

უისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი — მემკვიდრეობითი იმუნური დეფექტი. კლინიკა: მელენა, ეგზემა, ინფექციებისადმი მომატებული მგრძნობელობა, ლიმფოციტოპენია, თრომბოციტოპენია, სისხლის დენის გახანგრძლივება, გამა-გლობულინების შემადგენლობა ნორმაშია ან ოდნავ მომატებულია, ორი „მ" გლობულინების შემადგენლობა შემცირებულია, მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული იზო-აგლუტინინების ტიტრი. პროგნოზი მძიმეა. სინონიმები: ოლდრიჩის სინდრომი, ჰუნტლეი-უისკოტ-ოლდრიჩის სინდრომი.

უიტკოპ-სალმანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. კლინიკა: ჭაფიან-ელატინოზური ბალთები კონიუნქტივაზე (მოგვაგონებს პტერიგიუმს), პირის ღრუს ლორწოვანის გასქელება, ცვლილებები პირის ღრუში მოგვაგონებს ლეიკოპლაკიას და აღინიშნება უკვე დაბადებისას). ბალთები კონიუნქტივაზე ჩნდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. მოგვიანებით ელინდება სინ:თლისადში შიში და მხედველობის დარღვევა.

„უკისრო ადამიანის" სინდრომი — იხ. სინონიმი: კლიპელ-თეილის სინდრომი. აორტული მანკი, აორტის კოარქტაცია. მიზეზია ალფა — „ლ" ილურონიდაზის დეფიციტი, რის შედეგადაც შემაერთებელ ქსოვილში გროვდება მუკოპოლისაქარიდები და შარდში მომატებული რაოდენობით

გამოიყოფა დერმატანსულფატი. სინონიმები: ჰურლერის გვიანი სინდრომი, შეიეს სინდრომი, შინცის სინდრომი.

ულენბრუკის მეთოდი — სისხლის მიმოქცევის ფარული უკმარისობის გამოვლინების მეთოდი. დამყარებულია იმაზე, რომ გულის უკმარისობისას სუფთა ჟანგბადით შესუნთქვის დროს მისი მოხმარება პირველ 6 წუთში 10—60%-ით მეტია, ვიდრე ჰაერით სუნთქვისას.

ულენბრუკის სინდრომი — მარჯვენა გულის მწვავე უკმარისობა ფილტვების ტუბერკულოზის ქრონიკული მიმდინარეობის დროს. ნიშნები: ძლიერი ციანოზი, ქოშინი, ძილიანობა, ღვიძლის გადიდება, კისერზე პატარ-პატარა სისხლჩაქცევები, სუსტი ავსების მაჯა, შეშუპებას ადგილი არა აქვს (ან სუსტადაა გამოხატული).

ულის დაავადება — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. დამახასიათებელია მარჯვენა პარკუჭის მიჯარდიუმის ჰიპოპლაზია, ციანოზი, გულის საზღერების გადიდება. რენტგენოლოგიურად მარჯვენა წინაგულის გადიდება.

ულრიხის მცირე სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ფილტვის არტერიის სარქველის სტენოზი, ჯუჯისებრი სიმაღლე, ჰიპერტელორიზმი, ქუთუთოების პტოზი, ეპიკანთუსი, კრიპტორქიზმი, მუცლის სწორი კუნთების დიასტაზი, ჩონჩხის დეფორმაცია, გონებრივი ჩამორჩენილობა, ანდროტროპიზმი. სინონიმები: ტერნერის მცირე სინდრომი, ულრიხ-ტერნერის ფსევდოსინდრომი, ნუნანის სინდრომი.

ულრიხის სინდრომი — განვითარების ანომალია: კისერზე კანის ნაკეცები აკრომიონსა და დერილისებრ მორჩს შორის დანაოჭებულია და შერწყმულია კიდურთა მრავალმხრივ ცვლილებებთან (სინდაქტილია, კლინოდაქტილია, ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა და ა. შ.). ამას თან სდევს ლიმფანგიექტაზიები და ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა ზედაპირების შეშუპება. სინონიმი: ბონე-ულრიხის სინდრომი.

ულრიხ-მორკიოს სინდრომი — მეოთხე ტიპის მუკოპოლისაქარიდოზი. მიეკუთვნება მემკვიდრეობით დაავადებათა რიცხვს, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. კლინიკურად აღინიშნება დისპროპორციული, დაბალი ან კარლიკური ტანი, მოკლე კისერი ან წელი, ქათმის მკერდი, კიფოზი, კიფოსკოლიოზი, იქსის მსგავსი ფეხები და ბრტყელტერფიანობა, დაზიანებულია კბილის ემალი. გენეტიკური დეფექტი პირველად რეალიზდება შემაერთებელ ქსოვილში მუკოპოლისაქარიდების მოჭარბებული ჩალაგებითა და შარდთან კერატანსულფატის და დერმატანსულფატის გამოყოფის ზრდით, რასაც თან სდევს ეპიფიზური ხრტილის დაშლა, ლულთვანი ძვლების მეტაფიზების გაგანიერება და დამოკლება, ხერხემლის მალების გაბრტყელება. სინონიმი: მორკიოს სინდრომი, ბლეილსფორდ-მორკიოს სინდრომი.

ულრიხ-ტერნერის ფსევდოსინდრომი — სინონიმები: ტერნერის მცირე სინდრომი, ულრიხის მცირე სინდრომი (იხ.), ნუნანის სინდრომი.

ულრიხ-ფეიხტიგერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, გადაცემის შესაძლო აუტოსომურ-რეცესიული ტიპი, მიჯაჭ-

ეული „იქს“ ქრომოსომასთან. ნიშნები: ნიღაბისებრი სახე, თვალების წვრილი ნაპრალები, ჩაშეკუმული ცხვირი, წინ წამოწეული შუბლი, დიდი პირი, დეფორმირებული ყურის ნიჟარები („კატის ყურები“), მიკროგენია, მგლის სახა, მიკროფტალმი, რქოვანას შემღერება, სიყრუე, პოლიდაქტილია (უპირატესად ექსადაქტილია), დისფალანგია, დისგენიტალიზმი, გულის თანდაყოლილი მანკები, კისტოზური თირკმლები, მოძრავი ბრმა ნაწლავი.

ულრიხ-ფრეშერ-დონის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი: აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ქვედა უბის ჰიპოპლაზია („ჩიტის სახე“), კბილების განლაგების ანომალია, მიკროფტალმი, კატარაქტა, სიელმე, რეფრაქციის ანომალია, ცრუეგზოფთალმია, ცისფერი სკლერები, ნეკნებისა და ლავიწების ჰიპოპლაზია, პროპორციული ჯუჯისებრი სიმაღლე, ჰიპოტრიქოზი, ლაქოვანი ლეიკოდერმია, სახის კანის მასკლეროზებელი ატროფია. არაიშვიათია მცირე სიმპტომური ფორმები. სინონიმები: ჰალერმანის სინდრომი, ჰალერმან-შტრეიფის სინდრომი, ფრანკოს დისცეფალია.

ულრიხ-შეიეს სინდრომი — მეხუთე ტიპის მუკოპოლისაქარიდოზი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება მოზრდილებში: სახის დისპლაზია, ჯუჯისებრი სიმაღლე, მოღუნული ფეხები, ჩონჩხის დეფორმაცია, რქოვანას შემღვრევა, ჭიპისა და საზარდულის თიაქარი, პიგმენტური რეტინიტი.

ულსტრომის სინდრომი — ასეთი დაავადებისას, მიუხედავად კარგი კვებისა, ბავშვებს უვითარდებათ ჰიპოქრომული ანემია, ჰიპოპროტეინემია, შეშუპება, სისხლის შრატში რკინისა და სპილენძის შემცველობის დაქვეითება. სინდრომი ენდოგენური წარმოშობისაა. პროგნოზი კარგია მკურნალობის გარეშე.

უმბილიკაციის ხიმპტომი — კანის ჩაწევის სიმპტომი, კანის ჭიპისებრი ჩაწევა სარძევე ჯირკვლის სიმსივნის თავზე.

უნას აკანთომა — კისტოზური ადენოიდური ეპითელიომა. ადენოკისტოზური ეპითელიომა. ადენოკისტოზური ეპითელიომა. ვითარდება ხალის დისპლაზიის შედეგად, ატარებს თანდაყოლილ ხასიათს, ხშირად ოჯახურია, ყველაზე ხშირია სახეზე. არის ნახევრადგამქვირვალე კვანძები, ჰგავს ბუშტუკებს, მკვრივი კონსისტენციისა, გაფანტული ან შეჯგუფულია, უმტკივნეულო, შედარებით ხშირია ახალგაზრდებში. ძალზე იშვიათად განიცდის ავთვისებიან გადაგვარებას. სინონიმები: ბრუკეს სინდრომი, ვერთერის ტრიქოეპითელიომატოზი, ვინკლერის ეპითელიომატოზური ხალი, იარიშის ტრიქოეპითელიომა.

უნას ენა — გეოგრაფიული ენა. გლოსიტი — ხასიათდება მკაფიო — წითელი ლაქებით, რუხი-თეთრი რგოლით გვერდებზე. აღინიშნება ახალგაზრდა ასაკში ზოგიერთი ენდოკრინული დარღვევებისა და „ბ“ ჯგუფის ჰიპოვიტამინოზის დროს. დერილები ატროფიულია. დამახასიათებელია ცვლილებების გადაადგილება და მორფოლოგიური სურათის ძვრები თითქმის ყოველდღიურად. სინონიმები: ბერეერონის გლოსიტი, ანუ ბერეერონის გეოგრაფიული ენა, ბროკის სინდრომი, რეიერის ენის პიტირიაზი,

ლეინის გლოსიტი, პოტრიეს გლოსიტი, ბრაკ-პოტრიეს რომბოიდული გლოსიტი.

უნას სიმპტომი — კანზე გამონაყარის გაწითლება და შეშუპება მათი მექანიკური გაღიზიანების დროს. პიემენტური ჰინჩრის ცების ნიშანი.

უნას სინდრომი — ჰიპერტრიქოზის მემკვიდრეობითი ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: თმიანობის მემკვიდრეობითი უკმარისობა, მოკლე თმა, გაიშვიათებული, ნაადრევად ცვენა, ჯალიბდება ტოტალური ალოპეცია. ხშირია ასევე წარბებისა და წამწაძთა ცვენა.

უნას სკუტულარული პარაკერატოზი — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. პარაკერატოზი დამახასიათებელია უპირატესად სახსრების მიდამოში, სადაც ხდება მოყვითალო ქერცლის კონცენტრული დალაგება.

უნას ფიბროკერატომა — კანის რქა, აკროკორდონი, რქის კერატომა — ბრტყელუჯრედოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნე, კანის შაეი ხასობრივი წარმოქმნის სახით. შედგება მკვრივი რქისებრი მასისაგან. უფრო ხშირად წარმოიქმნება სხეულის ღია ნაწილებში.

უნა-თოსტის მემკვიდრეობითი კერატოდერმია — უნა-თოსტის სინდრომი, უნა-თოსტის კერატოზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი. დამახასიათებელია მასიური გარქვანებული ნადებების წარმოშობა ხელისგულებსა და ფეხისგულებზე, შერწყმული ლოკალურ ჰიპერჰიდროზთან, ჰიპერონიქიასთან, ზოგჯერ მრავლობით ლიპომებთან, რქოვანას დისტროფიასთან და ოლიგოფრენიასთან.

უნა-სანტი-პოლიტცერის დაავადება —. პარაფსორიაზი ლიქენოიდური. პრელი პარაკერატოზი — უცნობი ეტიოლოგიის პარაკერატოზი. ახასიათებს პატარა ფოლიკულარული პაპულები, დაჯგუფებული გადაჯვარეებული ზოლებით, რაც ქმნის ბადეს.

უნდინის სინდრომი — ავტომატური სუნთქვის დაკარგვა. მიზეზია ბოგრძო ტვინის სასუნთქი ცენტრის გათიშვა სასუნთქი კუნთების სპინალურ მოტონეირომებთან, მაშინ როცა ამ უკანასკნელთა კავშირი თავის ტვინის ქერქთან შენარჩუნებულია.

უნდინის წყევლა — ძილში სუნთქვის შეჩერება. ტერმინს საფუძვლად უდევს ნორვეგიული საგა უნდინის შესახებ.

უნის სინდრომი — კეფის ან თავის კანის დანაოჭება და გამსხვილება. უფრო ხშირია ხანდაზმულ ასაკში, მაგრამ ადგილი აქვს ახალგაზრდებშიც.

უნტერჰარნშეიდტის სინკოპალური ვერტებრული სინდრომი — თავის მობრუნების დროს გულის ხანმოკლე წასვლა. აღენიშნებათ ავადმყოფებს ხერხემლის კისრის არის ოსტეოქონდროზით. გამოწვეულია სისხლის მიმოქცევის დარღვევით ხერხემლისა და ბაზალური არტერიის სისტემაში.

უნფერიხ-ტლუნდბორგის მიოკლონუს-ეპილეფსია — ხასიათდება მიოკლონური ჰიპერკინეზის ფონზე ზოგადი ეპილეფსიური გულყრით, პროგრესულად მიმდინარე ექსტრაპირამიდული შებოჭილობით და ინტელექტის მზარდი დეგრადაციით. ატარებს მემკვიდრეობით ხასიათს. შედე-

გია ნათხემის დაკბილული ბირთვის, ქვედა ოლივის, შავი ნივთიერების და მამოძრავებელი ქერქის დეგენერაციული ცვლილებებისა. განეკუთვნება სხვადასხვა პათოლოგიური ცვლილებებით დართულ და სხვადასხვა ეტიოლოგიის პროგრესულ პოლიოენცეფალომიელოპათიის ჯგუფს.

უორთინის სიმსივნე — ადენოლიმფომა, ბრანქიოგენური ადენომა, ბრანქიომა, ონკოციტომა, ცისტადენომა, პაპილური ლიმფომატოზური კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება სანერწყვე ჯირკვლების გამომტანი სადინარებისა და ლიმფოიდური ქსოვილის ეპითელიუმიდან.

უოლტ დისნეის ნანიზმი — ოჯახური ხასიათის თანდაყოლილ ანომალიათა კომპლექსი, გადაცემის რეცესიული ტიპი, მიჯაჭვული „იქს“ ქრომოსომასთან. ადგილი აქვს პროგერიას, ნანიზმს, მსხვილი სახსრების, ძვლების გენერალიზებულ დისპლაზიას, პიგმენტირებულ კბილებს, თვალის რქოვანა გარსის შემცირებას და შემღრეევას, კანი მომჭვარულია. სახის ნაკვთები მოგვაგონებს უოლტ დისნეისეულ ჯუჯებს. ოჯახის სხვა დანარჩენ წევრებს შესაძლოა აღენიშნოთ მიკროფტალმია და თანდაყოლილი გლაუკომა. სინონიმები: ბამატერის სინდრომი, ბამატერ-ფრანცეშეტი-კლაინ-სიროს სინდრომი.

უორთინის სიმპტომი — მწვავე პერიკარდიტის შესაძლო ნიშანი: ფილტვის არტერიაზე მეორე ტონის შესაძლო აქცენტირება.

ურალის ჰემორაგიული ცხელება — ჰემორაგიული ნეფროზო-ნეფრიტი, ჰემორაგიული ცხელება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად მცირე სისხლძარღვთა და კაპილარების დაზიანება, განსაკუთრებით თირკმლების, შემდგომში თირკმლების უკმარისობის განვითარებით. სინონიმები: შორეულაღმოსავლეთის ჰემორაგიული ცხელება, ამიერკარპატის ჰემორაგიული ცხელება, კორეის ჰემორაგიული ცხელება, იაროსლავის ჰემორაგიული ცხელება.

ურბახის უჯრედგარეშე ჭოლესტეროზი — კანისა და ლორწოვანი გარსის ჰიალინოზი, კანისა და ლორწოვანი გარსების ლიპოიდოზი, ლიპოიდური პროტეინოზი — მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს ჰიალინის ჩალაგება კანსა და ლორწოვან გარსებში. მემკვიდრეობის ტიპი რეცესიული, მიჯაჭვული სქესთან. სინონიმი: ურბახ-ვითეს დაავადება.

ურბახ-ვითეს დაავადება — სინონიმი: ურბახის უჯრედგარეშე ჭოლესტეროზი (იხ.).

ურბახ-ოპენჰეიმის კანის დისპლაზია — ლიპოიდური ნეკრობიოზის ფორმა, რომელიც ვითარდება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებში. სინონიმები: ურბახ-ოპენჰეიმის სინდრომი, ოპენჰეიმის ლიპოიდური ატროფიული დერმატიტი, დიაბეტური ლიპოიდური ნეკრობიოზი.

ურეთრო-ოკულო-სინოვიალური სინდრომი — ინფექციურ-ალერგიული დაავადება. ახასიათებს მწვავე ურეთრიტის, კონიუნქტივიტისა და მრავლობითი ართრიტის შერწყმა (ზიანდება ქვედა კიდურთა დიდი სახსრები, ზოგჯერ ხერხემლის სახსრებიც). უგითარდებათ უმთავრესად გენეტიკურად განწყობილ პირებს, რომლებმაც გადაიტანეს არასპეციფიკური ურეთრიტი, დიზენტერია ან იერსინიოზი. იხ. სინონიმები: რეიტერის და-

ვადება ანუ სინდრომი, ანუ ტრიადა, ფისენკე-ლერუას სინდრომი, „ვენერიული ართრიტი“.

უროვის დაავადება — ძვალ-სახსართა დისტროფია. თირეოტოქსიკური დისტროფიული პროგრესული ქრონიკული პოლიართრიტი. ატარებს ენდემურ ხასიათს. დამახასიათებელია სახსრების მრავლობითი სიმეტრიული დეფორმაცია მოძრაობის მეზღუდვისა და ანთების გარეშე, კრეტინოიდული გარეგნობა. სინონიმი: კაშინ-ბეკის დაავადება.

უტჰოფის სიმპტომი — ნისტაგმი, რომელიც გვხვდება გაფანტული სკლეროზის დროს.

უხლინგერის სინდრომი — ჰიპეროსტოზური სინდრომი. დამახასიათებელია ძვლის სპონგიოზური შრის ჭარბი კალციფიკაცია, ძვლოვანი წარმონაქმნების გაჩენა, ძვლების დეფორმაცია, სახსრების მოძრაობის შეზღუდვა. ატარებს თანდაყოლილ ხასიათს.

ფაბერის ანემია — აქილანემია. კუჭის აქილია შერწყმული ჰიპოქრომულ (ჰიპოსიდერემიულ) ანემიასთან. აღნიშნული კომბინაცია არ მიუთითებს იმას, რომ აუცილებლად არსებობს რაიმე ეტიოლოგიური კორელაცია ამ ორ პათოლოგიურ მდგომარეობას შორის. სამკურნალო საშუალებებიდან იხმარება რკინის შემცველი პრეპარატები, ერითროციტული მასის ტრანსფუზიები, კუჭის ნატურალური წვენი, აციდინპეპსინი. ამ სინდრომით შეპყრობილ ავადმყოფთათვის მიზანშეწონილია კუჭის რენტგენოლოგიური გამოკვლევა წელიწადში ორჯერ. პროგნოზი ჩვეულებრივ კარგია.

ფაბერ-ჰაემის დაავადება — ჰიპოქრომული ესენციური ანემია, მარტივი აქლორჰიდრული ანემია, მემკვიდრეობითი დაავადება. კლინიკური ნიშნებია სისუსტე, გულის ფრიალი, ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სიფერმკრთალე, შეიძლება იყოს ფუნიკულური მიელოზის ნიშნები, პლუმერ-ვინსონის სინდრომი (იხ.), აქლორჰიდრია, ელენთის ზომიერი გადიდება, ჰიპოქრომული ანემია (მიკროციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით) ლეიკოპენია-ლიმფოციტოზით. პროგნოზი კარგია. სინონიმები: კაცნელსონის სინდრომი, ვიტსის დაავადება.

ფაბრის დაავადება — ანუ სინდრომი, ტანის დიფუზური ანგიოკერატომა, მემკვიდრეობითი დისტოპიური ლიპოიდოზი, კვანძოვანი ჰემორაგიული პურპურა, ფაბრის ანგიოკერატომა — მემკვიდრეობითი დაავადება, განპირობებული გლიკოპროტეიდების ცელის დარღვევით და გამოელინებულია ტანის კანის დაზიანებით — მრავლობითი კეთილთვისებიანი სისხლძარღვოვანი წარმონაქმნების წარმოშობით (ანგიომის ტიპის), რომელსაც თან სდევს ჰიპერკერატოზი, ტკივილი კიდურებში, ვაზომოტორული ლაბილობა, თვალის, ნაწლავთა და თირკმელების დაზიანება.

ფაგეს დაავადება — კრეტინიზმი, თანდაყოლილი ათირეოზი, თანდაყოლილი ჰიპოთირეოზი. ფარისებრი ჯირკვლის თანდაყოლილი უკმარისობა. კლინიკურად ვლინდება ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების მკვეთრი ჩამორჩენილობით.

ფავალ-ჰირშსპრუნგის დაავადება — ნაწლავის აგანგლიოზი, რომლისათვისაც დამახასიათებელია კედლისშიდა ნერვული კვანძების რო-

მელიმე ნაწილში განგლიების არარსებობა, რის შედეგადაც ეღებელობთ ამ ნაწილის პერისტალტიკისაგან სრულ გათიშვას, აგრეთვე გაფართოებასა და ატონიას ზემომდებარე ნაწილებში. გამოვლინდება შეკრულობით, ქრონიკული ინტოქსიკაციის ნიშნებით. სინონიმი: ჰირშსპრუნგის დაავადება.

ფავრ-რაკუშის დაავადება — კანის კოლოიდური დეგენერაცია, კოლოიდური ფსევდომინიუმი, კანის ელასტოზი კვანძოვანი კისტოზური კომედონებით, უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი,. რომელიც გვხვდება მხოლოდ ხანშიშესულ მსუქან მამაკაცებს შორის. ახასიათებს მრავლობითი, გასქელებული, მკვრივი დანაოჭებული მუქი-მოწითალო ფერის კვანძები და კომედონები, კისრის, ყურის ნიჟარებისა და საფეთქლის არეებში კანზე. სინონიმი: ბენიე-ბალზერის კანის კოლოიდური დეგენერაცია.

ფავრ-შეს პარაპაროზულ-პიგმენტური ანგიოდერმატიტი — ფეხის კანის ჰემოსიდეროზი ლალისფერი ან რუხი ფერის, დიამეტრით 0,5 სმ ლაქები, რომელიც წარმოადგენს ვენების ვარიკოზული გაფართოებით გამოწვეული გართულების წარმონაქმნს.

ფათერგილის დაავადება — სამწვერა ნერვის ნევრალგიის ისტორიული სახელწოდება.

ფაიანს-კონის სინჯი — გლუკოზა კორტიზონის სინჯი, შაჭრიანი დიაბეტის ლატენტური ფორმის გამოსავლინებელი მეთოდი. კორტიზონის მიღებიდან 2 საათის შემდეგ ისაზღვრება ჰიპერგლიკემიის დონე შაქრით დატვირთვაზე.

ფალკონე-ვედელის სინდრომი — კოსტოკლავიკულარული სინდრომი, რაც გამოიხატება ნეირო-ვასკულარულ დარღვევებში, შედეგად ლავიწის ძვლის ქვეშ განლაგებული ნერვების და სისხლძარღვების დაზიანებისა: ხელის გულების პარესთეზია და ნევრალგია, ვენური სტაზი ხელში, თითების შეშუპება და ტროფიკის მოშლა. ღრმა ჩასუნთქვისას და ხელის ერთდროული ქვევით. ჩამოწევისას სიმპტომატიკა მატულობს და ქრება პულსაცია სხივის არტერიაზე. უპირატესად აღენიშნებათ ხანში შესულებს ან მსუქან ახალგაზრდებს.

ფალოს დაავადება, ანუ ფალოს ტეტრადა — გულის თანდაყოლილი კომბინირებული მანკი — აღინიშნება ფილტვის არტერიის სტენოზი, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, აორტის დექსტროპოზიცია, მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია. კლინიკური ნიშნებია: ჭოშინი, ციანოზი, დოლის ჩხირისებური თითები, კატის კრუტუნი, უხეში სისტოლური შუილი მკერდის ძვლის შუაში, ელექტროკარდიოგრამაზე — მარჯვენაგრამა. სინონიმი: კორვიზარის კომპლექსი.

ფალოს პენტადა — გულის რთული თანდაყოლილი კომბინირებული მანკი. აღინიშნება პარკუჭთაშუა და წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი, აორტის დექსტროპოზიცია („დამჭდარი აორტა"), ფილტვის არტერიის შესასვლელის დავიწროება (სტენოზი) და მისი ღეროს ჰიპოპლაზია, მარჯვენა გულის გადიდება — ჰიპერტროფია.

ფალოს ტრიადა, ანუ ტრილოგია — გულის თანდაყოლილი კომბინი-

რებული მანკი, ლერჯი დაავადება, ციანოპათია. ამ დროს ფილტვის არტერიის სტენოზი შეეღლებულია წინაგულთაშუა ან (პარკუჭთაშუა) ძგიდის დეფექტთან და მეორადად განვითარებულ მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიასთან. სახეზეა ძლიერი ციანოზი, ჭოშინი, დოლის ჩხირისებური თითები, ერითროციტოზი. სინონიმი: მორგანის სინდრომი.

ფალლონის სინდრომი — შარდის ბუშტის გაღიზიანება და შარდვის გაძნელება სრულ შეხლეჩამდე ქალებში. შარდსადინარის უკანა ნაწილზე ჯირკვლოვანი წარმონაქმნის (ანალოგიურის მამაკაცებში არსებული წინამდებარე ჯირკვლის) ზეწოლის შედეგია. სინდრომის განვითარების მიზეზად ითვლება აღნიშნული პერიურეთრალური ჯირკვლების ანთება. ერთგვარი წამყვანი ნიშანია ურეთრალური წარმოშობის პიურია. მკურნალობა წარმოადგენს ქირურგიული, საოპერაციო ჩარევით. სინონიმი: კოლკის სინდრომი.

ფალტის სინდრომი — პლურიგლანდულარული სინდრომი — მშრალი დანაკვებული კანის შეღლება კბილების ნაადრევ დაცვენასთან, სქესობრივი ფენქციის დაქვეითებასთან, ფსიქიკურ და ფიზიკურ ასთენიასთან. აღინიშნება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ატროფიის დროს. სინონიმები: გუეერო-ფალტის სინდრომი, გუეეროს სინდრომი.

ფანკონის დაავადება — ქრონიკულად მიმდინარე მემკვიდრეობითი ანემია, შეღლებელი განვითარების ანომალიებთან, ხშირად ატარებს ოჯახურ ხასიათს; დამახასიათებელია მაკროციტოზი, მეგალოციტოზი, რეტიკულოციტოზი, ლეიკოპენია, განვითარების მანკები (დაბალი ტანი, ინფანტილიზმი, ჰიპოგენიტალიზმი, მიკროცეფალია, ჰიპერრეფლექსია, მიკროფტალმი, სიელმე), ძვლის ტვინის ჰიპოპლაზია, გვხვდება უმეტესად ბავშვებში.

ფანკონი-დებრე-დე ტონის სინდრომი — გლუტამინო-ფოსფატ დიაბეტი, მემკვიდრეობითი დაავადება. გამოწვეულია ფოსფორის, ამინომჟავების, ნახშირწყლებისა და ბიკარბონატების თირკმლების პროქსიმულ მილაკებში რეაბსორბციის დარღვევით. გამოვლინდება ცხოვრების პირველი წლის ბოლოს და მეორე წლის დასაწყისში პოლიურიით, არტერიული ჰიპერტენზიით, ჰიპორეფლექსიით, ძვლოვანი სისტემის რაქიტის მსგავსი ცვლილებებით და ძვლების სპონტანური მოტეხილობებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმები: დებრე დე ტონი-ფანკონის სინდრომი, დე ტონი-დებრე-ფანკონის სინდრომი.

ფანკონი-პატრასის დაავადება — მცირე თალასემია, ხშელთაშუა ზღვის მცირე ფორმის ანემია. არის მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ჰიპერქრომული ანემია მაკროციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით, რეტიკულოციტოზით. დასაწყისში — ერითრობლასტოზი. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა მომატებულია: აღინიშნება სიყვითლე, ღვიძლის და ელენთის გადიდება. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმი: პატრასის სინდრომი.

ფანკონი-ბრადერის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლების ქრონიკული უკმარისობის და ტვინის სკლეროზის მემკვიდრეობითი შერწყმა.

ქლინიკა ვლინდება ბავშვთა ასაკში: ადისონის დაავადების სიმპტომატიკა (იხ.), ატაქსია, სპასტიკური დამბლა, დემენცია. პროგნოზი უარყოფითია. ეინონიმი: ადისონ-შილდერის სინდრომი.

ფანკონი-შლეზინგერის სინდრომი — ქრონიკული იდიოპათიკური ჰიპერკალცემია ოსტეოსკლეროზით. დამახასიათებელია ტანმორჩილობა, გონებრივი განუვითარებლობა, ჰიპერკალცემია, ჰიპერფოსფატემია, ნეფროპათია, პროტეინურია ჰიპერკალციურიით. შესაძლოა დაერთოს გულის თანდაყოლილი მანკები, სიყრმე.

ფანკონი-ჰეელინის სინდრომი — ანთებითი კერები ფილტვებში მიმდინარე ვასერმანის დადებითი რეაქციით. აღინიშნება ხველა, სისუსტე, ანორექსია, სუბფებრილიტეტი, მსტვინავი, მოგუგუნე ან სველი ხიხინი ფილტვებში. ედს მომატებულია. უმეტესად ემართებათ ალერგიული დიათეზით და ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებს. შესაძლებელია ელენთის გადიდება და ცერებრული მოვლენები. სინონიმები: ჰეგლინის სინდრომი — II, ვასერმან-პოზიტიური სინდრომი.

ფაჟეს სიმპტომი — შედარებითი ან ჭეშმარიტი ბრადიკარდია სხეულის მაღალი ტემპერატურის დროს. აღინიშნება სხვადასხვა ინფექციური დაავადების დროს. მაგალითად მუცლის ტიფი, ყვითელი ცხელების მეორე პერიოდი.

ფარდის სიმპტომი — შარდის ბუშტის ცისტოსკოპიით გამოვლინებული ყელის ნაპრალისებური შევიწროება. წინამდებარე ჯირკვლის ადენომის ნიშანი.

ფარბერის სინდრომი — თანდაყოლილი დისემინირებული ლიპოგრანულომატოზი. ლიპიდიური ცვლისა და მუკოპოლისაქარიდების ცვლის დარღვევა ატიპიური მუკოპოლისაქარიდულ-ლიპოპროტეიდული კომპლექსების პათოლოგიური ჩალაგებით. პათოლოგოანატომიურად „ქაფიანი უჯრედები", რომლებითაც ინფილტრირებულია შინაგან ორგანოთა და ნერვული სისტემის ქსოვილები. ნიშნები: ხმის თანდაყოლილი ჩახლეჩა, ყლაპვის გაძნელება, ღებინება, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, კანქვეშა და სახსარშიდა გრანულომები გარშემორტყმულია ჰიპერემიის ზონებით, კონტრაქტურები, გადიდებული ღვიძლი, ჩონჩხის მრავლობითი დესტრუქცია.

ფარგინ-ფარიოლეს სინდრომი — მემკვიდრეობითი ოდონტოპლაზია. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. აღინიშნება მოყვითალო ან რუხი სარძევე კბილები, მტვრევადი ემალი, დენთინური შრის არამგრძნობელობა. კბილის გეირგვინი სწრაფად ცვდება, ვითარდება არასწორი ღრმა ყბების. ხშირად თან სდევს ძვლების მტვრევადობა, პოლიდაქტილია. სინონიმები: სტაინტონის სინდრომი, სტაინტონ-კაპდეპონის სინდრომი, კაპდეპონ-ჰოჯის სინდრომი, კაპდეპონის სინდრომი.

ფარეუსის სიმპტომი, ანუ რეაქცია — ერითროციტების დალექვის სისწრაფის სიმპტომი. სისხლი, რომელიც არ დედდება (სათანადო რეაქტიების დამატებით: მაგალითად, მეაუნმეაყა ნატრიუმის) პათოლოგიური მდგომარეობების დროს ილექება სხვადასხვა სიჩქარით (დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მაგალითად, ერთ საათში), ჯანმრთელებში ეს მერყეობა

უმნიშვნელოა. სინონიმები: ვესტერგიენის სიმპტომი, ბერნაცკის სიმპტომი.

ფარის ნეფროსკლეროზი — გამოყოფილია ჩვეულებრივი, უბრალო, კეთილთვისებიანი ჰიპერტონიისაგან თავისი სწრაფი, მძიმედ და შედარებით უფრო ხანმოკლე მიმდინარეობის გამო. მიზეზად მიიჩნევენ თირკმლის არტერიოლების თავისებურ ცვლილებებს მათი კედლების ნეკროზით. სინონიმი: ფოლგარდის და ფარის ავთვისებიანი ჰიპერტონია.

ფარის გლომერულოსკლეროზი — ფარის ნეფროსკლეროზი, არტერიოლონეკროტიული ნეფროსკლეროზი, ავთვისებიანი ჰიპერტონიის ფორმის დროს. ახასიათებს გორგლების არტერიოლებისა და კაპილარების ფიბრინოიდული ნეკროზი.

ფარის სინდრომი ანუ დაავადება — ტვინის სისხლძარღვთა მემკვიდრეობითი გაკირვა. ოჯახური დაავადება. ხდება ქერქვეშა კვანძებისა და შიდა კაფსულის სისხლძარღვთა ნაადრევი გაკირვა (20—30 წლის ასაკში). პათოლოგოანატომიურად ვითარდება ქერქვეშა განგლიებისა და ნაკლებად ნერვული სისტემის სხვა ნაწილთა მიდამოების დეგენერაციული გადაგვარება სისხლძარღვთა ცვლილებების გამო მათი გაკირვით. კლინიკა: პროგრესული ჰკუასუსტობა, ექსტრაპირამიდული სიმპტომოკომპლექსი, სპასტიკური პარეზები და დამბლები, ეპილეპტიფორმული შეტევები. რენტგენოლოგიურად ტვინშიდა ჩაკირული უბნები („ტვინის ქვეშა").

ფატერის დვრილი — თორმეტგოჯა ნაწლავის დიდი დვრილი.

ფაულერის მდებარეობა — იგივეა ფოულერის მდებარეობა — საწოლში ავადმყოფის ნახევრად მჯდომარე მდებარეობა. ამ დროს საწოლის თავი აწეულია 50 სმ-ით.

ფაუნდლერ-ჰურლერის დაავადება — ახასიათებს გარგოილიზმი (სახიზღარი შესახედაობა), ლიპოჰონდროოსტეოდისტროფია. თანდაყოლილი დაავადება, ხასიათდება ორგანოების ლიპოიდური ინფილტრაციით (უხშირესად ღვიძლის, ელენთის), მრავლობითი დიზოსტოზებით, ჭონდროდისტროფიით, ფსიქიკური განუვითარებლობით, ტანმორჩილობით, ვლინდება სიცოცხლის პირველ 3—4 თვეს. დაავადებულნი ცოცხლობენ არა უმეტეს 20 წლისა. დამახასიათებელია აგრეთვე ქუთუთოების პტოზი, ეგზოფტალმი, ეპიკანტუსი, გლაუკომა, მხედველობის ნერვის დვრილის ატროფია და შეშუპება, ბადურის ჩამოშლა, თანდაყოლილი კატარაქტა. სიკვდილი ვითარდება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი ორგანოების უკმარისობის შედეგად. სინონიმი: ჰურლერის დაავადება.

ფეერის დაავადება — აკროდინული სინდრომი, პოლინეიროპათიული ერითრომელრმია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება (ძირითადად ბავშვებში ხუთ წლამდე), დამახასიათებელია ქცევის შეცვლა გამოხატულ ფსიქიკურ დარღვევებამდე. კიდურთა კანზე არის პოლიმორფული ცვლილებები; აღინიშნება ძლიერი ქავილი, ტკივილი და ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევები, კუნთების ჰიპოტონია, პარეზები, დამბლები, ზოგჯერ კრუნჩხვითი შეტევები. სინონიმები: ზელტერ-სვიფტ-ფეერის სინდრომი, სვიფტის სინდრომი.

ფეიგენბაუმის სიმპტომი — თვალის ფსკერის უკანა ნაწილების მოყვითალო შეფერილობა, რომელიც აღინიშნება ოფტალმოსკოპიის დროს სინათლის ძლიერ წყაროზე. შაქრიანი დიაბეტის ნიშანია.

ფეიერაბენდის დაავადება — მრავლობითი ეპიფიზური დისპლაზია, ოჯახურ-მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს ენდოქონდრული გაძვალების დარღვევა, განსაკუთრებით ბარძაყისა და დიდი წვივის ძვლების, მხრის ძვლის პროქსიმალური და სხივის ძვლის დისტალური ეპიფიზისა. გამოიხატება დაბალი ტანით, სახსრებში მოძრაობის დაბრკოლებით, განსაკუთრებით ქვედა კიდურების დეფორმაციით და ტკივილით.

ფეიერშტეინის სიმპტომი — ტკივილი ავადმყოფ ფეხზე დგომისას, როდესაც ირხევა გაჭიმული ჯანმრთელი ფეხი. ბაშიასის სიმპტომი.

ფეიქართა ხველა — მქსოველთა ხველება, მრთველების ცხელება (იხ.), ბისინოზი, მას ასევე არასწორად ბამბეულის პნევმოკონიოზი ეწოდება. აღწერილია როგორც ორშაბათობითი ცხელება (იხ.). არსებითად ეს არის სასუნთქი გზების ალერგიული კატარი. გვხვდება მათ შორის, ვინც მუშაობს განსაკუთრებით დამტვერიანებულ ბამბეულის წარმოებაში. მნიშვნელობა აქვს მტვერის კონცენტრაციას. კლინიკა: ორშაბათობით, მეშაობის დაწყებიდან რამდენიმე საათში, აღინიშნება სასუნთქი გზების ლორწოვანას მწვავე გაღიზიანება, ხველა, ტემპერატურა, სისუსტე. კვირის სხვა დღეებში ჩვეულებრივ ეს ნიშნები არ არის. მას ადგილი აქვს დასვენების მომდევნო დღეს. დროთა განმავლობაში ეს მოვლენები ცხრება ანდა შეიძლება 2—3 დღეს გაგრძელდეს.

ფელდმანის ბრტყელი წვეტიანი ატროფიული ლიქენი — წითელი ფოლიკულური დეკალვილირებული ლიქენი—ფოლიკულური კერატოზული გამონაყარი თავის არეში, ნაწიბუროვან ალოპეციასთან შერწყმა, იღლიისქვეშა ჩაღრმავებასა და ბოკვენის არეში. ეტიოლოგია დადგენილი არ არის. სინონიმები: ლიტლის წვეტიანი ფოლიკულური დეკალვილირებული ლიქენი, ლიტლ-ლასიუერის სინდრომი, პიკარდ-ლასიუერ-ლიტლის სინდრომი, გრემ-ლიტლის სინდრომი.

ფელდმანის ილეთი — მეხბლისა და აჭილევსის რეფლექსის შეკავების მოხსნა. ამისათვის ავადმყოფს ეძლევა წინადადება წამოახველოს.

ფელინგის დაავადება, ანუ სინდრომი — ფენილკეტონურია. ოქსიფენილკეტონურია. ფენილპიროყურძნისმჟავის ოლიგოფრენია. მემკვიდრეობითი დაავადება, გაპირობებულია ფენილალანინის ცვლის დარღვევით. გამოვლინდება ფიზიკური და გონებრივი განვითარების ჩამორჩენით, მოძრაობის და კუნთთა ტონუსის დარღვევით (პიპერკინეზია, დისკინეზია). გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ფელტის დაავადება, ანუ სინდრომი—ეკუთვნის რევმატოიდულ ართრიტს. ახასიათებს მძიმე, პროგრესირებადი პოლიართრიტი, გამოხატული ლიმფადენოპათია, ანემია, ლეიკოპენია, სპლენომეგალია, ჰიპერსპლენიზმი და მყარი ცხელება. გვხვდება ძირითადად ქალებში.

ფენესტრაციის ფენომენი — მცირე ზონაში მოპულსირე გამოდრეკვა უმოძრაო ან თითქმის უმოძრაო გულის რენტგენოლოგიურ ჩრდილის კონტურზე, უხშირესად მისი მწვერვალის მიდამოში. კონსტრიქციული პე-

რიკარდიტის რენტგენოლოგიური ნიშანი, როცა არის თავისუფალი ადგილი გელის ირგვლივ შეხორცებებში.

ფენცის ფენომენი — კისრის მიდამოში ტკივილის წარმოშობა ავადმყოფის მიერ წინ დახრილი თავის ბრუნვის დროს, ხერხემლის კისრის არის ოსტეოქონდროზის ნიშანია.

ფერანდ-ტალბოტის სინდრომი — ქვანძოვანი პერიარტერიიტი, პანარტერიიტი, ნეკროზული არტერიიტი. მწვავე დაავადება, ვითარდება უპირატესად არტერიისა და უფრო იშვიათად ვენის გარეთა და შუა გარსების დაზიანება. ჩნდება ქვანძები, პათოლოგიურ პროცესში ირთვება სისხლძარღვთა ირგვლივი ქსოვილი. კლინიკური სურათი მრავალფეროვანია და დამოკიდებულია პროცესის ლოკალიზაციაზე და გავრცელებაზე. ნიშნები: პოლინევრიტი, მიოზიტი, კუნთ-ნაწლავისა და თირკმლებისმხრივი გართულებები, ოფლიანობა, კანქვეშ სისხლძარღვთა სიგრძეზე წვრილი ქვანძები, ლეიკოციტოზი, ნეიტროფილოზი, ეოზინოფილია. უფრო ხშირია მამაკაცებში. უპირატესი ასაკია 30—40 წლები. პროგნოზი მძიმე. სინონიმები: ჰოლცკნეხტ-იაკობსონის სინდრომი, კუსმაულ-მეიერის სინდრომი.

ფერარო-ვან ბოგარტ-ნისენის დაავადება — ცენტრალური ნერვული სისტემის ოჯახური დაავადება. ახასიათებს თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ატროფია და ბაზალური ბირთვების დეგენერაცია. გამოვლინდება 40—45 წლის ასაკში დემენციითა და აკინეტიკო-რიგიდული სინდრომით.

ფერგიუსონის დაავადება — ტკივილის აღმოცენება ხერხემლის მალთა შესახსრებაში, როცა ავადმყოფი დგას სკამზე ცალი ფეხით და ცდილობს ჩამოუშვას მეორე ფეხი სკამის დონის ქვეით. საკროილეიტის ნიშანია.

ფერგიუსონ-სმითის სინდრომი — თავისით განკურნებადი სპინოცელულარული კიბო. ჩნდება თითქოსდა ჯანმრთელ კანზე, კერები მრავლობითია, ჰგავს დაწყლულებულ ეპითელიომას, ძნელად გასარჩევია ჰისტოლოგიურად კერატოაკანტოზისაგან. ძირითადი განმასხვავებელია კლინიკურად სწრაფი განვითარება და თვითდანაწიბურება. ლოკალიზაცია — კანის ღია ადგილები. მიმდინარეობა ქრონიკული. ახასიათებს რეციდივები. ზოგიერთებ დაავადების ინფექციური ხასიათს.

ფერეირა-მარკიშის სინდრომი — ცხიმოვანი ქსოვილის რგოლისებური ატროფია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს კანქვეშა ცხიმოვანი — ქსოვილის ატროფია, ღრმა რგოლისებური ღარების სახით. აღინიშნება სიმეტრიულად წინამხრებზე.

ფერეოლ-ბენის ერითროდერმია — ქუნთრუშის მსგავსი მორეციდივე ერითემა. კანის მორეციდივე გამონაყარი ქატოსმაგვარი აქერცლით, რაც მსგავსია ქუნთრუშის გამონაყრის და აქვს ტენდენცია ერითროდერმიაში გადასვლის. ეტიოლოგია არ არის დადგენილი.

ფერეტის ნიშანი — პერკუტორული ხმიანობის შესუსტება და დამოკლება თეძოს ძვლის წინა ზემო წვეტზე. აპენდიციტის არასავალდებულო ნიშანი.

ფერის დისტროფია რქოვანასი — რქოვანას ლაქებიანი დისტროფია — თვალების მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს რქოვანას თანდათანობითი პროგრესირებადი შემღერება, რუხი გაუმქვირვალე ლაქების გაჩენით და მხედველობის დაქვეითებით. მემკვიდრეობით გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ფერსტერის სიმპტომი — ყველა გაღიზიანების აღქმა როგორც მტკივნეულის, დამახასიათებელია თალამუსის დაზიანებისათვის.

ფერსტერის სინდრომი — კუნთების სკლეროზული რიგიდობა, კუნთების მოხუცებულობითი რიგიდობა, კატალეფსიის, დენერვაციისა და ოპოზიციონიზმის სიმპტომები.

ფერსტ-ოსტრუმის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: კისრის მალების სინოსტოზი, ბეჭების მაღლა მდებარეობა და პლატიბაზია, სახის ნერვის პარეზი, მარცხენა ხელის ასოცირებულ მოძრაობათა არარსებობა, მხრის ორთავა კუნთის მომატებული რეფლექსი, ასევე მარცხნივ და მისი გაკრობა მარჯვნივ.

ფეტ-ბაზედოვი ანუ მსუქანი ბაზედოვი — ეწოდება ბაზედოვის დაავადების ნაირსახეობას, როცა ავადმყოფი მსუქანია და არა გამხდარი. დანარჩენი კლინიკური ნიშნები ერთნაირია.

ფიბრომიალგიის სინდრომი — პათოგენეზი უცნობია. დამახასიათებელია ქრონიკული მტკივნეულობა და დაღლილობა. ცელილებები და დეფორმაციები არ აღინიშნება. სპეციფიკური დიაგნოსტიკური ტესტები არ არის. უპირატესად ავადმყოფობენ 20—25 წლის ქალები. ტკივილის ჩვეული ლოკალიზაციაა კისერი, მხრები, წელი, ბარძაყები, დამახასიათებელია დილით მოძრაობის შეზღუდვა, მომატებული მგრძნობელობა სიცივესა და სიცხეზე, ტკივილი მუცელში, შეკრულობა ან ფაღარათი და სხვ.

ფიდლერის დაავადება — იწვევს იქტეროპემორაგიული ლეპტოსპირა. დასნებოვნება ხდება კანიდან, ლორწოვანიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. ბუნებაში გამომწვევის რეზერვუარი ძირითადად თაგვებია. ინკუბაციური პერიოდი 8—15 დღეა. დასაწყისი უეცარი, შემცივნებით, ტემპერატურით 40 გრადუსამდე. კლინიკური ნიშნებია თავისა და კუნთების ტკივილი, მრავლობითი ჰემორაგიები კანში, ლორწოვანასა და კონიუნქტივაში, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, სიყვითლე, მომდევნო პერიოდში ნეფრიტის ნიშნები. დაავადების ხანგრძლივობა 3—4 კვირა. სინონიმები: მატიეს დაავადება, ვასილიევ-ვეილის დაავადება, ლანდუზის დაავადება, ვეილის დაავადება.

ფიდლერის მიოკარდიტი — იხ. სინონიმი: აბრამოვ-ფიდლერის მიოკარდიტი.

ფიდლერის სიმპტომი — ეიფორია ნარკოტიკების ხმარებისას.

ფილატოვის დაავადება — სინონიმები: პფეიფერის სინდრომი, შულცის მონოციტური ანგინა, ტურკის ლიმფოციტოზი ანუ დაავადება (იხ.) ფილატოვ-პფეიფერის დაავადება.

ფილატოვის ლაქები — წვრილი მოთეთრო პაპულები ლოყის ლორწოვან გარსზე. ქვედა მეორე მოლარის მოპირდაპირე მხარეს. წარმოიქმნება

წითელათი დაავადების დასაწყისში. სინონიმები: ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, ფილატოვ-კოპლიკის ლაქები, კოპლიკ-ბელსკი-ფილატოვის ლაქები.

ფილატოვის მეთოდი — გადიდებული პარატრაქეალური ლიმფური კვანძების გამოელინების მეთოდი ფილტვების პირველადი ტუბერკულოზის დროს. ამისათვის ტარდება ჩუმი (სუსტი) პერკუსია მკერდის ძვლის ტარის მარცხნივ და მარჯვნივ.

ფილატოვის სამკუთხედი — გამონაყრიდან თავისუფალი კანის უბანი ცხვირის, ტუჩებისა და ნიკაპის მიდამოებში. თავისი სიფერმკრთალით გამოირჩევა მკაფიოდ — ვარდისფერი ან წითელი ლოყებისაგან. ქუნთრუშის სიმპტომი.

ფილატოვ-დიუკსის დაავადება — ქუნთრუშასებური წითურა — უცნობი ეტიოლოგიის მწვავე ინფექციური დაავადება. კლინიკურად ემსგავსება ქუნთრუშის მსუბუქ ფორმას.

ფილატოვ-კოპლიკის ლაქები — სინონიმები: ფილატოვის ლაქები, ბელსკი-ფილატოვ-კოპლიკის ლაქები.

ფილატოვ-პფეიფერის დაავადება. — სინონიმები: პფეიფერის დაავადება, ტიურკის დაავადება, ფილატოვის დაავადება.

ფილიპოვიჩის სიმპტომი — ხელისა და ფეხისგულის მოყვითალო შეფერვა ხანგრძლივი ცხელების დროს. უფრო ხშირად აღენიშნებათ მუცლის ტიფით დაავადებულთ.

ფილოსოფიის ფიალის სიმპტომი — წინა შუასაყარის ზედა ნაწილის პერკუტორული საზღვრების გაფართოება. ქრონიკული მედიასტინიტის ნიშანი.

ფილტვ-თირკმლის მემკვიდრეობითი სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, ახასიათებს ფილტვებიდან სისხლდენა და თირკმელების დიფუზური დაზიანება ჰემატურიითა და პროტეინურიით. იხ. სინონიმი: გუდპასჩერის სინდრომი.

ფილტვ-თირკმლის სინდრომი — ფილტვები და თირკმელები ძალზე სიმეტრიული ორგანოებია, აქვთ მსგავსი შენება (გლომერულები და ალვეოლები კაპილარული ქსელით). რიგ შემთხვევებში ასევე აღინიშნება მსგავსი მორფოლოგიური ცვლილებები და პათოლოგიური პროცესის ერთდროული მიმდინარეობა. მაგალითად, კოლაგენური დაავადებების, ტუბერკულოზის, სოკოვანი დაავადებების და სხვათა დროს. ვინაიდან მსგავსი პათოლოგიური პროცესები დაკავშირებულია ამ ორგანოთა გამომყოფ ფუნქციასთან, გვთავაზობენ მას ასევე ეუწოდოთ გამომყოფ ორგანოთა სინდრომი (იხ.).

„ფილტვის გაჭრობის" სინდრომი — ძირითადი ნიშანია ხველება, ქოშინი, რენტგენოგრამაზე დიდი ზომის ბულები, ლოკალიზდება ძირითადად ფილტვის ერთ წილში, რაც იწვევს ამ ორგანოს ჯანმრთელი ნაწილის ატელექტაზს ზეწოლის გამო. მკურნალობა ოპერაციული.

ფინგერის ფსევდოფურუნკულოზი — ფსევდოფურუნკულოზი, ცრუფურუნკულოზი, საოფლე ჯირკვლების მრავლობითი აბსცესი, პერიპორი-

ტი — ძუძუმწოვარა ბავშვებში საოფლე ჯირკვლების მრავლობითი ჩირქოვანი ანთება სტაფილოკოკური გენების აბსცესების წარმოშობით.

ფინერტის სიმპტომი — ორსულთა ნეფროპათიის და გლომერულონეფრიტის ნიშანი: თვალის ბადურის შეშუპება თავისებური ელვარებით, რაც შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ბადურა დაფარულია თხელი, გამქვირვალე ფირით.

ფინზენის დაავადება — ეპიდემიური პლევროდინია, ეშმაკის გრიპი, ეპიდემიური მიალგია, ეპიდემიური მიოზიტი, მშრალი პლევრაზია, კეთილთვისებიანი მშრალი პლევრიტი, ეპიდემიური კუნთოვანი რევმატიზმი — მწვავე ინფექციური დაავადება, გამოწვეული კოქსაკი B (ტიპი 1—5) ვირუსით. ახასიათებს მწვავე დასაწყისი კუნთების ტკივილით მუცლის ზედა ნაწილში და (ანდა) გულ-მკერდში; ცხელება და თავის ტკივილი. სინონიმები: სილვესტროს დაავადება, ბორნჰოლმის სინდრომი, ანუ დაავადება, ფინზენ-დაეს სინდრომი ანუ დაავადება, დაეს დაავადება.

ფინზენ-დაეს სინდრომი ანუ დაავადება — სინონიმები: ბორნჰოლმის სინდრომი ანუ დაავადება, დაეს დაავადება, სილვესტრის დაავადება, ფინზენის დაავადება (იხ.).

ფინკელბურგის კრემასტერის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი. სათესლე ჯირკვლის აწევა (აქაჩვა) და მსუბუქი ერექცია სასქესო ასოს ზურგის კანის შტრიხულ (ხაზობრივ) გაღიზიანებისას.

ფინური ანგინა — წყლულოვან საფარიანი ანგინა, იწვევს სიმბიოზში მყოფი თითისტარისებრი პლაუტ-ვენსანის ბაქტერია და ვენსანის სპიროქეტა. ხასიათდება ნეშისებრი ჯირკვლების ზედაპირული დაწყლულებით, რაც დაფარულია ჰეპატიანი მომწვანო ნადებით, აქვს პუტრიდული სუნი. იხ. სინონიმები: ვენსანის ანგინა, ვენსან-სიმანოვსკის ანგინა, სიმანოვსკი-პლაუტ-ვენსანის ანგინა.

ფისენგე-ლერუას სინდრომი — იხ. სინონიმი: რეიტერის სინდრომი.

ფისინგერ-დეკურა-ლაურის დაავადება — მწვავე ფებრილური ჰემოლიზური ანემია. შემთხვევები რეგისტრირებულია მხოლოდ ჩრდილოეთ-ამერიკაში. მცირე პროდრომის შემდეგ, რაც გამოიხატება ყელის კატარში, თავის ტკივილში, პირღებინებაში, კუჭის აშლილობაში, იწყება ძლიერი ციებ-ცხელება, მაღალი ტემპერატურა, პროგრესულად ვლინდება სიყვითლე. შესაძლებელია მუცლის შეტევითი ხასიათის ტკივილი: ელენთის, ღვიძლისა და ლიმფური კვანძების ზომიერი გადიდება. ჰემორაგიული დიათეზის მოელენები. სისხლში ანემია მეგალოციტოზით, პოიკილოციტოზით, მარცხნივ გადახრით, მიელობლასტების გაჩენით. ეტიოლოგია უცნობია, არ არის გამორიცხული ინფექციური საწყისი. სინონიმი: ლედერერ-ბრილის დაავადება.

ფისკის სინდრომი — აღინიშნება მარცხენა თირკმელზე გადიდებული ელენთის ზეწოლის დროს, ზეწოლის შეგრძნება მუცლის მარცხენა მხარეს, ისინჯება გადიდებული ელენთა და დისპოზიციური თირკმელი. შარდი არ იცვლება. იხ. სინონიმი: გლორ-ფისკის სინდრომი.

ფიურბრინგერის სიმპტომი — პუნქციური ნემსის სუნთქვასთან ერთდროული მოძრაობა, როცა ის შეყვანილია სუბდიაფრაგმულ აბსცესის

ღრუში, მაშინ ნემსის ეს მოძრაობები არ არის. სადიფერენციაციო დიაგნოსტიკური ნიშანი.

ფიშბერგის სინჯი — შარდის კონცენტრაციის განსაზღვრის გამარტივებული სინჯი. ადრეული ვახშამი (საღამოს 6 საათზე) შედგება ძირითადად ცილის შემცველი პროდუქტებისაგან, სითხე — არა უმეტეს 200 მლ. დილამდე გამოსაკვლევი პირი არ ღებულობს არაფერს, ამასთან დილამდე გამოყოფილი შარდი იღვრება. დილით შარდი გროვდება რვა და ცხრა საათზე ავადმყოფის მწოლიარე მდგომარეობაში, შემდეგ დება და შარდი კვლავ გროვდება 10 საათზე. ამ სამი ულუფით განისაზღვრება მისი კუთრი წონა.

ფიშერის მეთოდი — მსხვილი ნაწლავის კონტრასტირების მეთოდი რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს. მდგომარეობს მის ერთდროულ შევსებაში ბარიუმის ფაფით და ჰაერით, რომელიც უკანა ტანიდან შეჰყავთ ზონდის საშუალებით.

ფიშერის სიმპტომი I — სისტოლური შუილი ან მსტვინავი ხიხინი მკერდის ძვლის პროექციაზე ავადმყოფის თავის უკან მაქსიმალურად გადაწევის პოზიციაში. ნიშანია გულ-მკერდის შიდა ლიმფური კვანძების გადიდების და ამ ნიადაგზე მსხვილ სისხლძარღვთა და სასუნთქი გზების კომპრესიისა.

ფიშერის სიმპტომი II — პრესისტოლური შუილი აღმოცენებული შეხორცებითი პერიკარდიტის ნიადაგზე გულის ატრიოვენტრიკულურ ფაბრონული რგოლის მიდამოს კომპრესიის გამო.

ფიშერის სინდრომი I — მემკვიდრეობითი პათოლოგია, დამახასიათებელია ოფლიანობა, ფრჩხილების შეცვლა, მოგვიანებით ფრჩხილების განლევა, თხელი თმიანობა თავზე, ეშვიათი წამწამები, დოლის ჩხირისებური თითები, ფარისებური ჯირკვლის დისფუნქცია.

ფიშერის სინდრომი II — თანდაყოლილი დაავადება გადაცემის აუტოსომურ-დომინანტური ტიპით. ხასიათდება კერატოდერმიის, ხელფეხის — გულის, ჰიპერჰიდროზის, ონიქოგრიფოზის, თმის ზრდის დათრგუნვის და ხემო და ქვემო კიდურების თითების დისტალური ფალანგების გასქელების შეუღლებით. ვლინდება ბავშვთა ადრეულ ასაკში. სინონიმი: ბეშო-ფიშერის სინდრომი.

ფიშერ-ბრიუგეს სინდრომი — პერიორალური სინდრომი — პირის ირგვლივ კანის მყარი გაწითლება. ანგიოტროფონევროზის გამოვლინება.

ფიშერ-ევანსის სინდრომი — აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიისა და აუტოიმუნური თრომბოციტოპენიის შერწყმა. სინონიმი: ევანსის სინდრომი.

ფლაიანის დაავადება — დიფუზური ჩიყვი თირეოტოქსიკოზით, ტოქსიკური ჩიყვი, ეგზოფტალმური ჩიყვი, დაავადება, რომელსაც ახასიათებს ფარისებური ჯირკვლის დიფუზური გადიდება და მისი ფუნქციის მომატება. გამოვლინდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევით (მომატებით), სიგამხდრით, ტაქიკარდიით, ტემპერატურის მომატებით, ოფლიანობით. ხშირია ეგზოფტალმი. სინონიმები: გრეივსის დაავადება, ბაზედოვის დაავადება, პარის დაავადება.

ფლეშნერის დაავადება — ხელისა და ფეხის თითების ძვლების ანთებითი ბრტილქსეული ატიპიური ნეკროზი. პროცესი ვითარდება ცხოვრების 12—17 წლებს შორის, სქესობრივი მომწიფების წინა პერიოდში და მთავრდება მაშინ, როცა თავი მიუხორცდება ძვლის ტანს. როგორც შედეგი ჩნდება დეფორმაციები. სინონიმი: თითების დაავადება.

ფლანდრიის ცხელება — ხუთდღიური პაროქსიზმული ცხელება, სანგრის ცხელება (იხ.), პაროქსიზმული რიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს რიკეტსია „როხალიმაია ქვანტანა", გადაეცემა ტილით. ტიპიურ შემთხვევაში მიმდინარეობს პაროქსიზმული ფორმით. გამოირჩევებითი მეოთხე-მეხუთე დღეს ცხელების შეტევებით, რამდენიმე დღით რემისიის ანდა ტიფოიდური ფორმით, მრავალდღიანი უწყვეტი ცხელებით. სინონიმები: ვერნერ-პისის დაავადება, იკვას ცხელება.

ფლატაუს ერექციული რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: სასქესო ასოს ერექცია ტანის პასიური ენერგიული მოზრისას. აღინიშნება ტუბერკულოზური მენინგიტის დროს.

ფლატაუს რეფლექსი — ცხვირნიკაპის რეფლექსი — ორალური ავტომატიზმის რეფლექსი — ცხვირის კიბეზე საექიმო ჩაქუჩის დარტყმის დროს ნიკაპის კუნთების შეკუმშვა. სინონიმი: სიმხოვიჩის რეფლექსი.

ფლატაუს სიპატომი — გუგების გაფართოება თავის პასიური ინტენსიური მოხრის დროს. მენინგიტის ნიშანი.

ფლატაუს ფონასთენია — ჩუმი არამოდულირებული მეტყველება, რომელიც ნელ-ნელა ქრება აფონიამდე. გამოხატული დეპრესიის ნიშანია.

ფლეშერის რგოლი — თავისებური მომწვანო პიგმენტაცია რქალის სახით რქოვანა გარსის ირგვლივ. ვილსონის დაავადების (იხ.) ყურადსაღები ნიშანია.

ფლეტჩერის დაავადება — მელიოიდოზი, მორფინისტების სეპტიკოციტემია, პნევმოენტერიტი — ინფექციური დაავადება ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფიდან, ენდემიური ტროპიკული ზონის ზოგიერთი რაიონისათვის (ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ ავსტრალიისათვის). ადამიანის შემთხვევაში კლინიკური მიმდინარეობა სეპტიკოციემიის მსგავსია. სხვადასხვა ორგანოში წარმოიშობა მოაბსცედირე გრანულოზები. იხ. სინონიმი: სტენტონის დაავადება.

ფლექსნერის დიზენტერია — დიზენტერიის კლინიკურ-ეტიოლოგიური ვარიანტი, გამოწვეული ფლექსნერის დიზენტერიული ბაქტერიებით. ტიპიურ შემთხვევაში ახასიათებს კოლიტის მოვლენები ლორწოვანი გარსის კერებანი დაზიანებებით და არამძაფრი ინტოქსიკაციით.

ფლინტის შუილი — ფუნქციური ხასიათის დიასტოლური შუილი, მოისმინება მწვერვალზე. წარმოიშობა აორტის სარქველის ნაკლოვანების შემთხვევაში. მისი წარმოშობის მიზეზია მარცხენა ვენტრი ხერელის დავიწროება მიტრალური სარქველით სისხლის იმ ნაკადით, რომელიც ბრუნდება პარკუჭში აორტიდან დიასტოლის დროს (რეგურგიტაციული ნაკადი). დიასტოლური შეილი შესაძლოა წარმოიშვას აგრეთვე მიტრალური სარქველის ვიბრაციით, რასაც აქვს ადგილი აორტიდან დაბრუნე-

ბულ სისხლის და მარჯვენა გულიდან მომდინარე სისხლის შეხვედრის დროს.

ფლისის წერტილები — ცხვირის ლორწოვანი გარსის უბნები (უფრო ხშირად ქვედა და შუა ნიჟარების წინა ნაწილებში და ცხვირის ძგიდის ბორცვებზე), რომლებზედაც ზემოქმედება (მაგალითად, ნოვოკაინის ხსნარის წასმა) იწვევს სხვადასხვა ორგანოს და სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შეცვლას. გამოიყენება რეფლექსოთერაპიის დროს.

ფლორის ფაქტორი — ნივთიერება, რომელიც აღმოჩენილია ტვინის ქსოვილის ექსტრაქტებში. ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირონებზე შემაკავებელი მოქმედება.

ფოგტის სინდრომი ანუ დაავადება — კონგენიტური ორმაგი ატეტოზი კუდიანი სხეულისა და ჩენჩოს დაზიანებისას. ხასიათდება სიცოცხლის პირველი დღეებიდანვე ატეტოზის ტიპის ჰიპერკინეზიით სახესა და ზედა კიდურებში, კუნთთა ჰიპერტონიით ქვედა კიდურებში. გონებრივ ჩამორჩენას ადგილი არა აქვს. დაავადების მიმდინარეობაში შესაძლოა უკუგანვითარება.

ფოგტის ცენტრალური ფხვნილისებური კატარაქტა — ფხვნილის მსგავსი კატარაქტა, ფხვნილის მსგავსი ბირთვისებრი კატარაქტა. თანდაყოლილი, ჩვეულებრივ ორმხრივი, სტაციონალური კატარაქტა. დამახასიათებელია ბროლის ემბრიონული ბირთვის მტვერისმსგავსი მოთეთრო შემღვრევა. სინონიმი: კოპოკის კატარაქტა.

ფოგტ-კოიანაგის სინდრომი — ორმხრივი უვეიტი ლეიკოდერმიის, გამელოტების, თმების, წარბების და წამწამების გაუაღარავების ან სმენის დაქვეითების თანხლებით. უმეტესად ემართებათ მამაკაცებს 30-დან 40 წლამდე ასაკში. ეტიოლოგიურ მომენტებად ასახელებენ: ალერგიას, ენდოკრინულ დარღვევებს, ვირუსულ ინფექციას, ათაშანგს, ტუბერკულოზს. სინონიმები: პეტერსის სინდრომი — II, ფოგტ-კოიანაგ-ჯარადის სინდრომი.

ფოგტ-კოიანაგ-ჯარადის სინდრომი — იხ. სინონიმები: ფოგტ-კოიანაგის სინდრომი (იხ.), პეტერსის სინდრომი.

ფოგტ-შპილმაიერის სინდრომი — ამაეროზული ოჯახური იდიოტიის მოზარდთა ფორმა. ხასიათდება კლინიკური სიმპტომოკომპლექსის გამოვლენით 6—15 წლის ასაკში. 2—3 წელიწადში მთავრდება სიკვდილით.

ფოდერის სიმპტომი — თვალის ქვემო ქუთუთოს შეშუპება, აღინიშნება ნეფროპათიისა და ლიმფოსტაზის დროს.

ფოვილის სინდრომი — სახის ან გამზიდველი ნერვებით მონერვირე კუნთების დამბლა ან პარეზი, ტვინის ხიდის (ვაროლის ხიდის) დაზიანების მხარეს — ჰემიპლეგიით ან ჰემიპარეზით მოპირდაპირე მხარეს. სინონიმი: პოლტინის მოალტერნირე სინდრომი.

ფოვინკელის სინდრომი — მუტილირებადი კერატოდერმია, მემკვიდრეობითი კერატომა — მემკვიდრეობითი კერატომა თანხვედრილი კონტრაქტურების განვითარებასთან და თითების მუტილაციასთან, ზოგჯერ ფოლიკულურ კერატოზთან სახსრების მიდამოში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ფოქს-ფორდაისის დაავადება — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს მკვრივი მოწითალო მორუხო, კონუსისებრი კვანძები, რომლებიც იწვევენ ქაოლს, შეჯგუფულნი არიან იღლიის ქვეშ, ძუძუს დვრილების ირგვლივ და ბოქვენზე.

„ფოლაქის მარყუჟის" მტევანის სიმპტომი — რევმატოიდული ართრიტისათვის დამახასიათებელია მტევნის თითების დეფორმაცია, რომელიც ზოგჯერ ღებულობს „ფოლაქის მარყუჟის" ფორმას, აქედან მისი აღნიშნული სახელწოდებაც.

ფოლინგის დაავადება — ფენილკეტონურია. ფენილკეტონიური ოლიგოფრენია. ფერმენტ ფენილალანინ ჰიდროქსილაზის რეცესიული მემკვიდრეობითი ნაკლოვანებაა. განეკუთვნება თირმლების მილაკების პათოლოგიას. ამ ენზიმოპათიის შედეგად ირღვევა ფენილალანინის გადასვლა თიროზინში, რასაც მოყვება თავის ტვინში ლ-ფენილალანინისა და მის ტოქსიკურ ნაწარმთა დაგროვება და შარდით პიროყურძნისმჟავას გამოყოფის გაძლიერება. დაავადება ვლინდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით მცირე ასაკის ბავშვებში. მათი კანი და თმა ღია ფერისაა, აღინიშნება ფსიქომოტორული განვითარების შეფერხება, ტრემორი, ჰიპერკინეზია, ატაქსია, ოლიგოფრენია, გულყრები, შარდი თაგვის სუნისაა, სისხლში მომატებულია ფენილალანინის დონე, შარდში დადებითია ფოლინგის სინჯი.

ფოლკმანის იშემიური კონტრაქტურა — იშემიური კონტრაქტურა — ხელის მტევნის (უფრო იშვიათად ტერფის) და თითების კონტრაქტურა, წარმოშობილი კუნთებისა და ნერვების მწვავე იშემიის შედეგად, რაც გამოიწვევა კიდურებზე თაბაშირის ნახვევის ზეწოლით.

ფოლკმანის პლანტოგრაფია — რომლის დროსაც გამურულ ქაღალდზე ფეხის ტერფის ანაბეჭდების ფიქსაციას სპირტისა და ტუტის ხსნარით ახდენენ.

ფოლკმანის სინდრომი — ფოლკმანის დეფორმაცია წვივ-ქუსლის ორიენ სახსრის მემკვიდრეობითი ან თანდაყოლილი ამოვარდნილობა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. ფეხისგულის შიგნითა მხარე წინაა შემობრუნებული, წვივის კუნთები ატროფირებულია, წვივის დიდი ძვალი გარეთაა გამოდრეკილი, ხშირია წვივის მცირე ძვლის დეფექტები და მისი ტოტალური აპლაზია. ზოგჯერ აღინიშნება მიკრომელგალია და სხივის ძვლის აპლაზია.

ფოლკმანის ჰეილტი — ზედაპირული ჩირქოვანი გლანდულარული ჰეილტი, დამახასიათებელია ქსოვილთა ანთებითი ინფილტრაცია სანერწყვე ჯირკვლების ირგვლივ, მორეციდივე ეროზიების და წყლულების გაჩენით, რომელთა ლოკალიზაცია უპირატესად ქვედა ტუჩზე ხდება. სინონიმი: ბელც-უნის ქეილიტი.

ფოლმარის სინდრომი — სიმპტომოკომპლექსი, რომელიც უნვითარდებათ ავადმყოფებს აორტის მენჯის ტოტებისა და ბადექონის ქვედა არტერიის აუზის ობლიტერაციით. ამ დროს, სირბილისა და ჩქარი სიარულისას ადგილი აქვს შეტევითი ხასიათის ტკივილებს მუცლის ქვედა ნაწილში. ქვედა კიდურებზე პულსი არ ისინჯება.

ფოლჰარდის მკრთალი ჰიპერტონია — ჰიპერტონია, რომელსაც საფუძვლად უდევს თირკმლების დაავადება, მის სისხლძარღვოვა დაზიანება. ახასიათებს მკრთალი ფერი. მას აგრეთვე უწოდებენ სეკორულ ჰიპერტონიას. სხვა შემთხვევაში არტერიული ჰიპერტონიით დაავადებულთ მოწითალო ელფერი ახასიათებს.

ფოლჰარდის სიმატომი — გულ-მკერდის წინა ნაწილის პულსაციის ტალღისებრი გადაადგილება შუა ხაზიდან ორივე მხარეს. შეხორცებითი პერიკარდიტის არამყარი ნიშანია. გამოწვეულია გულის პარკუჭების ასინქრონული შეკუმშვებით და პლევროდიაფრაგმული შეხორცებების არსებობით.

ფოლჰარდის სინჯი I — თირკმლისმიერი შარდის განზავების მეთოდი, წყლის სინჯის ვარიანტი, რომლის დროსაც ავადმყოფი სვამს 1500 მლ წყალს, ხოლო შარდის მოგროვება გრძელდება 4 საათის მანძილზე, ყოველ ნახევარ საათში. ისაზღვრება შარდის კუთრი წონა.

ფოლჰარდის სინჯი II — წარმოადგენს შარდის კონცენტრაციაზე სინჯის ვარიანტს, რომლის დროსაც ავადმყოფი მთელი დღე იმყოფება მშრალ საკვებზე, შარდის შეგროვება იწყება მეორე დღეს. შარდი გროვდება ყოველ ორ საათში და გრძელდება რვა საათის მანძილზე. მთელ ამ პერიოდში ავადმყოფი მთლიანად ზღუდავს სითხის მიღებას. ისაზღვრება შარდის კუთრი წონა.

ფოლჰარდის ფსევდოურემია — ფოლგარდის კრუნჩხვითი ურემია. ამ დროს თირკმლების ფუნქცია არ იცელება, ნარჩენი აზოტის რაოდენობა სისხლში არ არის მომატებული. მისი ნიშნები წარმოიქმნება ტვინის ინტრა და ექსტრაცელულარული შეშუპებით. კლინიკური ნიშნებია — თავის ტკივილი, ღებინება, ბრადიკარდია, ეპილეპტიფორმული კრუნჩხვები, გონების გარდამავალი დაკარგვა. ყველაზე ხშირად გვხვდება მწვავე ნეფრიტის დასაწყის სტადიაში.

ფოლჰარდ-ფარის ავთვისებიანი ჰიპერტონია — გამოყოფილია ჩვეულებრივია, უბრალო, რბილი, კეთილთვისებიანი ჰიპერტონიისაგან თავისი სწრაფი, მძიმე და შედარებით უფრო ხანმოკლე მიმდინარეობის გამო. მიზეზად მიიჩნევენ თირკმლის არტერიოლების თავისებურ ცელილებებს მათი კედლების ნეკროზით, რასაც ასევე ფარის ნეფროსკლეროზს უწოდებენ.

ფონტან-პეტინარის დაავადება — პირველადი სპლენომეგალია ერითრემიის გარეშე. დი გულელმოს დაავადების ნაირსახეობაა (იხ.), დამახასიათებელია ელენთის გადიდება ქრითრობლასტური მეტაპლაზიით. სისხლში აღინიშნება ზომიერი ანემია ერითრობლასტოზის გარეშე. სინონიმი: პეტინარის დაავადება.

ფორბეს-ოლბრაიტის ხინდრომი — ენდოკრინულ დარღვევათა ტრიადა: ამენორეა, გალაქტორეა, შარდში ჰონადოტროპინთა შემცველობის დაქვეითება. უმთავრესად მემკვიდრეობითი წარმოშობისაა და უკავშირდება ჰიპოფიზის ადენომატოზს ან სიმსივნეს. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. კლინდება ახალგაზრდა დაუფეხმძიმებელ და არა-

ნამშობიარებ ქალებში. სინონიმები: აუმადა-დელ კასტილიოს სინდრომი, არგონც-დელ კასტილიოს სინდრომი.

ფორ-ბოლიეს სიმპტომი — თაეის ტკივილის დაწყება ან გაძლიერება ქუსლებზე დახტომისას. აღწერილია ქალას ტრავმის შემდგომი სიმპტომოკომპლექსის დროს.

ფორბსის დაავადება — მესამე ტიპის გლიკოგენეზი, ლიმიტდექსტრინოზი, გლიკოგენოზი, შეპირობებული ამინო — 1,6 გლუკოზიდაზის ან გლიკოგენ განშტოებადი ფერმენტის კუნთებში და ღვიძლში ნაწილობრივი ან სრული აქტივობის დაკარგვით. ახასიათებს: ჰეპატომეგალია, კუნთოვანი ჰიპოტონია, კუნთების ცალკეულ ჯგუფთა ჰიპერტროფია, გულის გამტარებლობის და სისხლის მიმოქცევის დარღვევა. სინონიმი: კორის დაავადება.

ფორდაისის დაავადება — მოყვითალო-წერტილოვანი კვანძები ლოყების, ტუჩების, ღრძილების და გარეთა სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსზე, რომელიც გაპირობებულია ცხიმოვანი ჯირკვლების ჰეტეროტონული განლაგებით. სინონიმები: დელბანკოს დაავადება, დელბანკო-დიეანსოს დაავადება.

ფორდაისის კანის სიმეტრიული ატროფია — კანის იდიოპათიკური პროგრესირებადი ატროფია, ხასიათდება შეგუბებითი მოლურჯო ერითემით ტერფისა და ხელის მტევნის გარეთა ზედაპირზე და ასევე იდაყვის და მუხლის სახსრების მიდამოში სიმეტრიულად ან ერთ მხარეს. ნელა ერცელდება მთელ კიდურზე, შემდგომში ვითარდება დაზიანებული კანის ატროფია. იხ. სინონიმები: პიკის ერითრომელია, მეშჩერსკის პროგრესირებადი დისტროფიული ერითემა, ჰერქსჰეიმერ-ჰარტმანის ქრონიკული ატროფიული აკროდერმატიტი, ჰერქსჰეიმერის ატროფოდერმატიტი.

ფორდაისის სინდრომი — სათესლე პარკის ფორდაისის შემოფარგლული ანგიოკერატომა, სათესლე პარკის შემოფარგლული ნევიფორმული ანგიოკერატომა. ახასიათებს დაზიანების ლოკალიზაცია სათესლე პარკის კანზე. სინონიმები: სატონის ანგიოკერატომა, ფორდაის-სატონის სათესლე პარკის ანგიოკერატომა.

ფორდაის-სატონის სათესლე პარკის ანგიოკერატომა — სინონიმები: ფორდაისის სინდრომი (იხ.), ანუ ფორდაისის სათესლე პარკის შემოფარგლული ანგიოკერატომა, სატონის ანგიოკერატომა.

ფორესტიეს დაავადება — ეწოდება ხერხემლის მოხუცებულობით მაინკილოზებელ ჰიპეროსტოზს. უნდა გავარჩიოთ ბეხტერეეის დაავადებისაგან. ბოლო ხანებში ამჯობინებენ ფორესტიეს დაავადებას „ჩონჩხის დიფუზური იდიოპათიკური ჰიპეროსტოზი“ უწოდონ.

ფორთხლის ჭერქის სიმპტომი — სარძევე ჯირკვლის კანის გასქელება და შეშუპება, მასზე საოფლე ჯირკვლების ნახვრეტების მკაფიო გამოხატვით. სარძევე ჯირკვლის კიბოს ნიშანია.

ფორის ფენომენი — მარჯვენა ლავიწქვეშა არტერიის ცთომა ზემოთ და გლინჩიკოეის დადებითი სიმპტომი (იხ.). გამოიხატება სხეულის არტერიაზე პულსის შესუსტების მარჯვენა ხელის მაღლა აწევისას. ლუესური აორტიტის არამედმივი ნიშანი.

ფორნის სინდრომი — ანუ ფორნეის სინდრომი, ოჯახური მემკვიდ-

რეოპითი დაავადება. დამახასიათებელია თანდაყოლილი მიტრალური მანკის შეუღლება ოტოსკლეროზთან და ოსტეოქონდროდისტროფიასთან.

ფორსელის სინდრომი — ნევროგენული პოლიციტემია. ყალიბდება თირკმლის ერითროპოეტინების ჰიპერფუნქციის ნიადაგზე. აღინიშნება ჰემატურია, პლეთორული სახე, სისხლში ერითროციტოზი, ჰემოგლობინის მომატებული შემცველობა. ადგილი აქვს თირკმლის სიმსივნის, კისტის, ჰიდრონეფროზის დროს.

ფორბჰეიმერის ნიშანი — წითელას ენანთემა, წითელი ენანთემა რბილ სასაზე. წითელას ნიშანი.

ფოსიუსის რგოლი — ფოსიუსის რგოლისებრი კატარაქტა, თვალის კაკლის კონტუზიის შემდეგ ბროლის კაფსულის წინა ნაწილის შემღვრევა. შეპირობებულია მასზე ფერადი გარსის პიგმენტების დალექვით.

ფოსტერ-კენედის სინდრომი — შუბლ-ბაზალური სინდრომი, მხედველობის ნერვის ცალ თვალზე პირველადი ატროფიის შერწყმა შეგუბებით დვრილთან მეორეზე. ადგილი აქვს თავის ქალას პათოლოგიური პროცესების დროს (სიმსივნე, არაქნოიდიტი, ანევრიზმა), რასაც თან ახლავს მხედველობის ნერვის ცალმხრივი კომპრესია თავის ქალაშიდა წნევის მომატებით. სინონიმები: ჰოვერს-პატონ-კენედის სინდრომი, კენედის სინდრომი.

ფოკსის იმპეტიგო — სტრეპტოკოკებით გამოწვეული იმპეტიგო, ახასიათებს სხეულის ღია ნაწილებში გავრცელებული ფლიქტენების წარმოშობა. პერიფერიისაგან, სადაც სწრაფად ქრება და წარმოიქმნება ფაშარი ყვითელი ქერქი. სინონიმები: ტილბერ-ფოქსის იმპეტიგო.

ფოქსის მგლურა — ფოლიკულური დისემინირებული — სახის კანის მილიარული დისემინირებული ტუბერკულოზი. სახის ჩვეულებრივი მილიარული დისემინირებული მგლურა, კანის ტუბერკულოზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახის კანზე მოწითალო-მოყავისფრო რბილი ნახევრადბურთისებრი მილიარული კვანძები, რომლებიც არ ერთიანდებიან და რომლებშიც ვლინდება „ვაშლის ჟელეს“ ფენომენი. აღინიშნება გამოქვეყნების ჰემატოგენური დისემინაციის დროს.

ფოშაი-მოლარეტის სინდრომი — კატის ნაკაწრის დაავადება. კეთილთვისებიანი ვირუსული ლიმფადენიტი კანის დაზიანების შედეგად. ხშირია კატის ნაკაწრის შემდეგ. წარმოადგენს შემავალი ინფექციის კარს. ადგილი აქვს რეგიონულ ლიმფადენიტს (უპირატესად იღლიისქვეშ ფოსოში და საზარდულის მიდამოში), ლიმფური კვანძების დაჩირქებას და ფისტულის გაჩენას, ციებას, მოთენთილობას, წონაში დაკლებას, შესაძლოა მაკულოპაპულოზური გამონაყარიც. გამოყოფენ ექტოპიურ და ატიპიურ ფორმებს. პირველისთვის დამახასიათებელია მწვავე ტონზილიტი ლიმფური კვანძების დასიებით და არც თუ იშვიათად რეტროფარინგეალური აბსცესით. ატიპიურთა შორის ვარჩევთ კონიუნქტივურ (პარინოს სინდრომი), მეზენრიალურ, თორაკალურ ფორმებს, ხშირად რთულდება ენცეფალიტით, ენცეფალომიელიტით, ნევრიტით. სინონიმები: დებრეს III სინდრომი, პეტცეტაკისის დაავადება.

ფოშარის დაავადება — ამფოდონტოზი, ალვეოლების ნაადრევი ატ-

როფია, პარადენტიტი, პაროდონტოკლაზია, პერიოდონტოზი, ალვეოლარული პიორეა, პოლიალვეოლიზი — დაავადება, რომელსაც ახასიათებს კბილების ალვეოლების ძვლოვანი ქსოვილის პროგრესირებადი რეზორბცია, ღრძილების ანთებით და კბილების მორყევით, რასაც მივყავართ კბილ-ღრძილის პათოლოგიური ჯიბეების წარმოშობამდე, იქიდან ჩირქდენამდე და არაიშვიათად ალვეოლური აბსცესის არმოშობამდე.

ფრაგას სინდრომი — მალარიის ფორმა, მიმდინარე თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობით: გარდა მალარიისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა, ადგილი აქვს კუნთების სისუსტეს, ჰიპოტენზიას, ტაქიკარდიას, სხეულის ტემპერატურის დაქვეითებას, კანის პიგმენტაციას.

ფრანკის დაავადება — მწვავე აპლასტური ანემია. მიმდინარეობს ჰემორაგიული დიათეზით, წყლულოვან-ნეკროზული ცვლილებებით პირის ღრუში. ელენთა ოდნავაა გადიდებული; სისხლში, გარდა ანემიისა, ადგილი აქვს ლეიკოპენიას, გრანულოციტების ძალზე მცირე რაოდენობას, თრომბოპენიას. ძვლის ტვინში აღინიშნება გენერალიზებული აპლაზიის სურათი. გახანგრძლივებულია სისხლდენის შედედების დრო. მიმდინარეობს ელვისებურად, მწვავედ ან ქვემწვავედ. პროგნოზი მძიმეა. ეტიოლოგია უცნობია.

ფრანკის ესენციული თრომბოპენია — ღვიძლისმიერი ფსევდოჰემოფილია, ფსევდოჰემოფილია ციროზის დროს, გაპირობებულია სისხლში პროთრომბინის შემადგენლობის შემცირებით.

ფრანკის სიმპტომი — ზურგისა და გულ-მკერდის კანზე გაფართოებული კაპილარების ბადის არსებობა. ვხედებით ფილტვების ტუბერკულოზის და ტუბერკულოზური ბრონქადენიტის დროს.

ფრანკის ჰემორაგიული ალეიკია — აგრანულოციტოზისა და თრომბოციტოპენიის შერწყმა. რაც ჰემორაგიული დიათეზით გამოვლინდება.

ფრანკლინის დაავადება — მძიმე ჯაჭვების დაავადება (იხ.).

ფრანკლ-ჰოხვარტის სინდრომი — ჯალღუზისებრი სხეულის სიმსივნე, მიმდინარე თავის ტვინის კომპრესიის ნიშნებით: სიყრუე, ატაქსია, მხედველობის ველის კონცენტრაციული შევიწროება, ჰიპოპიტუიტარიზმი.

ფრანკოს დისცეფალია — სინონიმები: ჰალერმანის სინდრომი, ჰალერმან-შტრეიფის სინდრომი, ულრიხ-ფრემერ-დონის სინდრომი (იხ.).

ფრანკ-სტარლინგის კანონი — სინონიმი: სტარლინგის კანონი (იხ.).

ფრანსისის დაავადება — იხ. ფრენსისის დაავადება.

ფრანსუას დისტროფია რქოვანასი — რქოვანას ოჯახური დისტროფია წინწკლებიანი. რქოვანას მემკვიდრეობითი დისტროფია ორივე თვალზე მრავალობითი წერილი მორუხო შემღერევის კერების გაჩენით მის სტრომაში. გამოვლინდება სინათლის არაძლიერი შიშით.

ფრანსუა-ფრანკის სიმპტომი — სხივის მარცხენა არტერიაზე პულსი ზოგჯერ შეიძლება იყოს უფრო შესუსტებული და შემცირებული შესუნთქვის დროს, და უფრო მაღალი ამოსუნთქვისას. ბოტალოს ღია სადინარის (არტერიული სადინარის) შეუხორცებლობის შესაძლო ნიშანი.

ფრანჩესკეტის ექტოდერმული დისპლაზია — ექტოდერმის განვითა-

რების ანომალია. გამოვლინდება ეპიდერმისის და კანის დანამატების დისპლაზიით, კბილების დისტროფიით, რაქიტით, ქვილიტით, კონიუნქტივიტით, მაგრამ ოფლის გამოყოფის დარღვევას ადგილი არა აქვს.

ფრანჩესკეტი-იადასონის სინდრომი — ინკონტინენცია პიგმენტის ნაირსახეობა, რომლის დროსაც დაბადებიდან მეორე წელს ბავშვს უვითარდება სიმეტრიულ კერატოდერმიასთან შერწყმული ბადისებრი იერის პიგმენტური ლაქები. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტურია. სინონიმები: ნეგელის სინდრომი I, ნეგელი-იადასონის სინდრომი.

ფრანჩესკეტ-ცვალენის სინდრომი — ყბისა და სახის დიზოსტოზი, რომელსაც ახასიათებს ქვედა ყბის და ლავიწის ძვლების ჰიპოპლაზია, კბილების განვითარების დარღვევა, ყურის ნიჟარების დეფორმაცია, ზოგჯერ შუა ყურისაც და ასევე მაკროსტომია, („თევზის" ან „ფრინველის" სახე). მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ფრანცელის სიმპტომი — გულის მწვერვალზე დიასტოლური შუილი, რომელიც იწყება გულის მეორე ტონთან, დიასტოლის შუაში თანდათან მცირდება (ან ქრება), მაგრამ მერე ისევ ძლიერდება და შეერწყმის გულის მომდევნო ციკლის პირველ ტონს. მარცხენა ატრიოვენტრიკულური ხვრელის სტენოზის ნიშანი.

ფრეგოლის სიმპტომი — ნაირსახეობა სიმპტომისა, რომლის დროსაც ავადმყოფს ეჩვენება, რომ დასდევს ვიღაც პიროვნება, რომელიც მის სხვადასხვა ნაცნობის სახეს ღებულობს. იხ. სინონიმი: კაპგრას სიმპტომი.

ფრედერიკის სიმპტომი — მუცლის ღრუს აუსკულტაციისას მოისმინება გულის ტონები. ნაწლავის პერფორაციის შესაძლო ნიშანია.

ფრედერიკის სინდრომი, ანუ ფენომენი — წინაგულთა ციმციმის და სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის შერწყმა. კლინიკურად ვლინდება ძალზე იშვიათი, რიტმული მაჯით. დიაგნოსტირება ხდება მხოლოდ ელექტროკარდიოგრამის მიხედვით.

ფრედერიკ-ფრომენის სინდრომი — მემკვიდრეობითი მიდრეკილება ნეოპლასტიკური პროცესებისაკენ. უმთავრესად ვითარდება რბილ ქსოვილთა სარკომა, სარძევე ჯირკვლის კიბო, რაბდომიოსარკომა, შინაგან ორგანოთა სიმსივნეები. აღენიშნებათ ერთი ოჯახის წევრებს, ნათესაებს. სინონიმი: ფრომენის სინდრომი.

ფრიდერიქსონის სინდრომი — განპირობებულია ლიპოპროტეინების სინთეზის მემკვიდრეობითი დეფექტით, არ მუშავდება ალფაპირველი ლიპოპროტეინი. კლინიკურად აღინიშნება ლიმფური ჯირკვლების გენერალიზებული გადიდება, ნუშისებრი ჯირკვლების ჰიპერტროფია, ჰეპატოსპლენომეგალია, თვალის რქოვანი გარსის ინფილტრაცია,. შესაძლოა პოლინევრიტი. სისხლში ჰიპერქოლესტერინემია, ჰიპერბილირუბინემია, არაპირდაპირი ბილირუბინის ხარჯზე, ალფაპირველი ლიპოპროტეინის არარსებობა, ლიპოპროტეინაზის აქტივობის მომატება. სინონიმი: ტანჯიერის სინდრომი.

ფრეის სიმპტომი — სინონიმი: აივნის სიმპტომი (იხ.).

ფრეის სინდრომი — აურიკულოტემპორალური სინდრომი, ყურის-ირგვლივი ნერვის სინდრომი — კანის ჰიპერემიისა და გაძლიერებული

ოფლდენის შერწყმა ყურის ირგვლივ და საფეთქლის არეში საჭმლის მიღების დროს ან მის წარმოდგენაზე და ასევე ფიზიკური მუშაობისას. აღინიშნება ყურ-საფეთქლის ნერვის დაზიანებისას. სინონიმი: ფრეი-ბაეარჟეს სინდრომი.

ფრეი-ბაეარჟეს სინდრომი — იხ. სინონიმი: ფრეის სინდრომი.

ფრეიბურგსკის სინდრომი — ჰუჩუისფერი-მოყავისფრო კანის საფარველი (უპირატესად ღია ადგილებზე), ჰიპერტრიქოზი და ადინამია, ძვლების სპონტანური მოტეხილობები, ოსტეოფიტების წარმოშობა ფალანგებისა და ნების ძვლებში. გამოწვეულია მწვავე პელაგრის დროს თირკმელზედა ჯირკვლების დაზიანებით.

ფრეიდენთალის პაპულოზური მიქსედემა კანის — კანის პაპულოზური მუცინოზი, მიქსედემატოზური ლიქენი, კანის კვანძოვანი მუცინოზი, ლიქენოიდური ფსევდომიქსედემა, კანის მუცინოზის ფორმა. ახასიათებს წვრილი ბრტყელი პაპულების წარმოშობა გულმკერდსა და ხელებზე. სინონიმი: დალტონ-სეიდელას კანის პაპულოზური მუცინოზი.

ფრელიხის დაავადება, ანუ სინდრომი I — ადისპოგენიტალური დისტროფია, ჰიპოფიზური ევნუქოიდიზმის, ჰიპოფიზური სიმსუქნე, ნეიროენდოკრინული დაავადება, გამოწვეული ჰიპოთალამუსის და ჰიპოფიზის დაზიანებით. ახასიათებს სიმსუქნე და სქესობრივი განვითარების დარღვევა. სინონიმი: პეჯრანც-ბაბინსკი-ფრელიხის სინდრომი.

ფრელიხის სინდრომი II — მუცლის კუნთების არარსებობის სინდრომი. ადგილი აქვს მუცლის კუნთების სრულ ან ნაწილობრივ განუვითარებლობას. შესაძლებელია თან ახლდეს ჰიდრონეფროზი, დიდი შარდის ბუშტი, ბიჭებში კი — კრიპტორქიზმი.

ფრენიკუს სიმპტომი — იხ. მიუსეს სიმპტომი II.

ფრენკელის სიმპტომი — მენჯის სარტყლის კუნთების ტონუსის დაქვეითება ზურგის ტვინის ხმობის დროს.

ფრენსისის (ანუ ფრანსისის) დაავადება — ტულარემია, კურდღლის ცხელება, კურდღლის დაავადება, იწვევს ტულარენსის ბაქტერია, ბაქტერიის რეზერვუარია ძუძუმწოვრები (განსაკუთრებით კურდღელი), გადამტანი კი — სხვადასხვა ფეხსახსრიანი. ადამიანზე გადატანა ხდება დაზიანებული კანიდან — ლორწოვანიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და სასუნთქი გზებიდან. კლინიკური ფორმებია: ბუბონური, თვალ-ბუბონური, ანგინოზური, აბდომინური და ფილტვისმიერი. პრაქტიკულად დიაგნოზისთვის მნიშვნელოვანია სეროლოგიური და კანშიდა რეაქციები. სინონიმები: ჩერის დაავადება, პარინოს დაავადება.

ფრერიხსის სიმპტომი — ღვიძლის ყვითელი ატროფიის შესაძლო ნიშანი: შარდის ნალექში ჩნდება ლეიცინის და თიროზინის კრისტალები.

ფრეშელსის სიმპტომი — I — კანის ტაქტილური მგრძნობელობის დაქვეითება გარეთა სასმენ მილთან. აღინიშნება ოსტეოსკლეროზის დროს.

ფრეშელსის სინდრომი II — ასოციური დისტროფია. მეტყველების ნევროზის ნაირსახეობა, დამახასიათებელი ნიშანია ენაბლუობა.

ფრეშელს-შტეკერტის სიმპტომი — ხდება ზურგის პირდაპირი აუსკულტაცია ყურით. მეორე ყური დახურულია. როდესაც პლევრის ღრუში სითხეა, პაციენტის მიერ წარმოქმნილი ბგერა იცვლის თავისი ჟღერადობის ელფერს. მაგალითად, „ა“ მოისმინება როგორც „ო“, ან „უ“.

ფრეშელს-ცემახის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: თვალის გუგების გადახრა ხმის წყაროსკენ, თავ-ტანის ერთდროული გადახრით მოპირდაპირე მხარეს.

ფრთა-სასის ძირითად-სასის) კვანძის სინდრომი (ნევრალგია — ხასიათდება ნევრალგიური და ვეგეტატიური მოშლილობით. პირველი გამოიხატება ტკივილის შეტევით ცხვირის ფუძის, თვალის კაკლის, მის ირგვლივ მდებარე ქსოვილების, ზედა, იშვიათად ქვედა ყბის მიდამოებში და კბილებში, ირადიაციით საფეთქლის, ყურისა და დვრილებში მორჩისაკენ, ზოგჯერ კი — კეფის, კისრისა და ზედა კიდურებისაკენ (თითების ჩართვით). ვეგეტატიური მოშლილობა აღინიშნება ნაზალური და ოკულური კრიზებით (იხ.), ზოგჯერ თან ერთვის ასთმური ხასიათის ჭოშინი, იშვიათად მოციმციმე სკოტომა, ნერწყვის დენა, გემოს შეგრძნების გაუკუღმართება, შეტევა იწყება უეცრად, უფრო ხშირად ღამით და გრძელდება რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე. გვხვდება ძირითადი ან დაცხრილული წიაღის ანთებით პროცესის, ტრავმის, ზოგჯერ აღნიშნული მიდამოს სიმსივნის დროს. სინონიმი: სლუდერის სინდრომი.

ფრიდერიქსენ-ვატერჰაუზ-ბამატერის სინდრომი — თირკმელზედა ჯირკვლების მწვავე უკმარისობა. მიზეზია მათში ჰემორაგიის შედეგად უმწვავესი სეფსისის გამო სისხლძარღვთა შიგნითა დისემინირებული კოაგულოპათიები თრომბოზით. დამახასიათებელია სწრაფი, უეცარი დასაწყისი, თავის ძლიერი ტკივილი, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ცხელება, სისხლჩაქცევები კანსა და კანქვეშ, კოლაფსი, კრუნჩხვები, ლეტალური გამოსავალი რამდენიმე საათში. უმთავრესად აღინიშნება 15 წლამდე ასაკში. სინონიმები: ვატერჰაუზ-ფრიდერიქსენის სინდრომი, მარჩანდ-ვატერჰაუზ-ფრიდერიქსენის სინდრომი.

ფრიდლენდერის დაავადება — მაობლიტირებელი ენდარტერიიტი, თირკმელზედა ჯირკვლოვანი არტერიოზი, სპონტანური განგრენა, იუვენილური განგრენა, მაობლიტირებელი თრომბანგიოზი, დაავადება, რომელიც ხასიათდება ენდარტერიიტით (უფრო ხშირად ქვედა კიდურებზე), გამოვლინდება პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევით, სხეულის სათანადო უბნის იშემიური ნეკროზის განვითარებით. სინონიმი: ვინივარტერის დაავადება.

ფრიდლ-პიკის ციროზი — წარსულში ეწოდებოდა ფსევდოციროზი. ეს არის პერიკარდიტის შედეგად განვითარებული ღვიძლის ციროზი. ძირითადი ნიშანია ასციტი. შესაძლებელია ამ დროს არ აღინიშნოს ელენთის გადიდება და ღვიძლის ფუნქციების დარღვევა. ციროზის განვითარებას საფუძვლად უდევს, ერთის მხრივ, გულის ტამპონირება და, მეორეს მხრივ, პერიკარდიუმიდან გავრცელებული ანთებადი და შემდგომ ასევე ღვიძლში განვითარებული შეხორცებითი პროცესი. სინონიმი: პიკის ღვიძლის ციროზი.

ფრიდმანის სინდრომი — პიკნოლეფსია, 4—10 წლის ასაკის ბავშვებში; ეპილეფსიის ეს ფორმა გამოვლინდება მრავლობითი ხანმოკლე თანმიმდევნო შეტევებით, რაც გამოიხატება თავის უკან გადაგდებაში, თვალების ჩაკარდნაში, კუნთების ტონუსის მომატებაში, კლონური კრუნჩხვებისა და წონასწორობის დაკარგვის გარეშე. ავადმყოფს შეტევა არ ახსოვს. ფსიქიკის ცვლილება არ აღენიშნება.

ფრიდრაიხის დაავადება — ხასიათდება ტაბესურ-ცერებრული ატაქსიით, ინკორდინაციით, მგრძნობელობის, ძირითადად ღრმა მგრძნობელობის სხვადასხვა ინტენსივობას დაზიანებით უმეტესად კიდურების დისტალურ ნაწილებში, არეფლექსიით, ნისტაგმით, მეტყველების მოშლით (ნელი, წაშლილი, ექსპლოზიური მეტყველება). დამახასიათებელია სკოლიოზი, ან კიფოსკოლიოზი, ფრიდრაიხის ტერფი (იხ.), იშვიათად მტევნის ანალოგიური დეფორმაცია და ინტელექტის დაქვეითება. დაავადება შედგება ზურგის ტვინის სვეტების კომბინირებული გადაგვარებისა (ნათხემის სისტემებისა და უკანა სვეტების უპირატესი დაზიანებით). ახასიათებს ოჯახობრივი მიდრეკილება. გვხვდება ერთი ოჯახის რამდენიმე წევრში (უმეტესად და-ძმებს შორის).

ფრიდრაიხის ტერფი — ტერფის თაღი გაღრმაებულია მკვეთრად, თითები, განსაკუთრებით ცერი, მაქსიმალურად გაშლილია და მოხრილია დანარჩენ ფალანგებში. აღწერილია ფრიდრაიხის დაავადების დროს (იხ.), გვხვდება აგრეთვე დეევრინ სოტას სინდრომი (იხ.), კუნთთა პროგრესიული დისტროფიის ნეირალური ფორმის დროს.

ფრიდრაიხის მემკვიდრეობითი ატაქსია — მემკვიდრეობითი დაავადებაა, ახასიათებს პროგრესული ატაქსია, ჩონჩხის დეფორმაცია (ხერხემლის, გულმკერდის ყაფაზის, ტერფის და სხვ.), მიოკარდიუმის დისტროფიული ცვლილებები, გადაეცემა მემკვიდრეობით აუტოსომურ-დომინანტური ან აუტოსომურ-რეცესიული ტიპით.

ფრიდრაიხის სმიპტომი I — გულის დიასტოლის დროს დაბერილი საუღლე ვენების ერთგვარი დაჩუტვა. კონსტრიქციული პერიკარდიტის არამყარი ნიშანია.

ფრიდრაიხის სიმპტომი II — პერკუტორული ტიმპანური ეფერადობის მატება ჩასუნთქვისას ჰაერის შემცველი ღრუს პროექციის არის პერკუსიის დროს.

ფრიდრაიხის სიმპტომი III — ღეიძლის ვენური პულსაცია, სამკარიანი სარქვლის ნაკლოვანების შემთხვევაში პარკუჭის შეკუმშვის დროს წარმოშობილი ტალღა ვრცელდება ღეიძლის ვენებზე და იწვევს ღეიძლის პულსაციას.

ფრიდრაიხის ფენომენი — ტიმპანური ხმიანობის მომატება და დამოკლება შესუნთქვაზე პერკუსიის დროს (ამოსუნთქვასთან შედარებით). აღინიშნება ფილტვებში დიდი ღრუების მიდამოში.

ფრიდრიხის სინდრომი — ლავიწის ძვლის გულმკერდის ბოლოს სუბქონდრალური ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება მტკივნეული შეშუპებით და შეწითლებით მკერდ-ლავიწის სახსრის მიდამოში.

ფრიდრიხ-ერბ-არნოლდის სინდრომი — ჰიპერტროფიული ოსტეო-

დერმოპათია, ვენერალიზებული ჰიპეროსტოზი პაქიდერმიით. ნიშნები: კიდურთა დაგრძელება, ლულოვანი ძვლებისა და მენჯის ძვლების ჰიპეროსტოზი, პაქიდერმია — განსაკუთრებით წინამხარსა და კოპის მიდამოში, თაიის ქალასა და შუბლზე, თითები — დოლის ჩხირისებრი, ყურის ნიჟარები გასქელებული, ფრჩხილები — საათის მინისებური. დაავადება იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, უფრო ხშირია მამაკაცებში. პროგრესირება ნელია და სამ-შვიდ წელიწადში მისი განვითარება წყდება. სავარაუდოა მემკვიდრეობის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. სინონიმი: იულინგერის სინდრომი.

ფრიის-პიერუს სინდრომი — ფილარიატოზი, ლიმფადენოპათია, ინფილტრატები ფილტვებში, ეოზინოფილია, მიკროფილარია სისხლში.

ფრიმონდ-მელერის სინდრომი — ტროპიკული ეოზინოფილია. დაავადება იწყება თანდათანობით, საერთო სისუსტით, მოდუნებით. შემდეგში ვლინდება უმადობა, სიგამხდრე, ცხელება — კვირებისა და თვეების მანძილზე, მშრალი ხველება, ასთმოიდური შეტევები, რენტგენოლოგიურად — ფილტვების წვრილმილიარული სურათი, ელენთა გადიდებულია, მცირედაა გადიდებული ყველა ლიმფური კვანძი, ფაღარათი, ლეიკოციტოზი, ეოზინოფილია (60—80%-მდე), ხშირად დადებითია ვასერმანის რეაქცია, მიმდინარეობა ხანგრძლივია, პერიოდული გამწვავებით. გვხვდება ყველა ასაკში. სინონიმი: ვეინგარტერის სინდრომი.

ფრიდლენდერის პნევმონია — კეროვანი ან წილაკოვანი პნევმონია, გამოწვეული პნევმონიური კლებსიელით. ახასიათებს ლორწოსმაგვარი ექსუდატის ჭარბი გამოყოფა და ანთებითი კერების ნეკროზისკენ მიდრეკილება.

ფრიდმანის სინდრომი — ინტენსიური თავის ტკივილის, თავბრუს, გაღიზიანებადობის, ნაღვლიანობის, შიშის, უძილობის და მეხსიერების დაქვეითების შერწყმა პოსტტრავმული ენცეფალოპათიის დროს. მიზეზია თავის ტვინში სისხლძარღვოვანი დარღვევები (წვრილი სისხლძარღვებისა და კაპილარების გაფართოება, კაპილარული ჰემორაგიები).

ფრინველთა მოყვარულების დაავადება — ალერგიული ალვეოლიტის ნაირსახეობა, რომელიც გვხვდება ფრინველებთან კონტაქტში მყოფ პირებში. გამოწვეულია ფილტვებში პრეციპიტატის ჩალაგებით. ეს უკანასკნელი შედგება იმუნოგლობულინ-ანტისხეულისა და ორგანიზმში მოხვედრილი ალერგენისაგან.

ფრიტცშე-კლებსის სინდრომი — ძირითადი ნიშანია აკრომეგალია. დაავადებას საფუძვლად უდევს ჰიპოფიზის მიერ სომატოტროპული ჰორმონის ჭარბი პროდუქცია ჰიპოფიზის წინა ნაწილის ჰიპერპლაზიის ან ადენომის ნიადაგზე. დამახასიათებელია ხელის მტევნების, ფეხის ტერფების, ცხვირის, ტუჩების, ქვედა ყბის და შინაგანი ორგანოების გადიდება. თუ დაავადება განვითარდა ზრდის დასრულებამდე, ვითარდება გიგანტიზმი. შესაძლოა სხვა ჰორმონული ძვრებიც, რომლის კლინიკური ნიშნებია: იმპოტენცია, ფემინიზაცია ან მასკულინიზაცია, ჰიპერგლიკემია, სინონიმები: მარის სინდრომი, მარი-ლერის სინდრომი, რეკლინგჰაუზენის სინდრომი.

ფროენის სიმპტომი — ზერგის ტვინზე ზეწოლის დროს (განსაკუთრებით როცა ეს გამოწვეულია სიმსივნით) ზერგტვინის სითხე იძლევა დამახასიათებელ ნიშანთა ჯამს. ზეწოლის ქვეშ აღინიშნება ქსანტოქრომია, ცილის შედედება ანდა მისი რაოდენობის მომატება (როგორც ალბუმინების, ისე გლობულინებისა). მაგრამ ამ დროს ადგილი არა აქვს უჯრედთა რაოდენობის მომატებას. სინონიმი: ნონეს სიმპტომი.

ფროლიკის არასრულყოფილი ოსტეოგენეზი, ანუ სინდრომი — არასრულყოფილი, თანდაყოლილი ოსტეოგენეზი, ძვლების ტეხვა ნაყოფად ყოფნის პერიოდში, თანდაყოლილი ოსტეოპოროზი, ფეტალური თანდაყოლილი ოსტეოპოროზი, არასრულყოფილი ოსტეოგენეზი, რომელსაც ახასიათებს ჩონჩხის მრავლობითი მოტეხილობები და დეფორმაციები ნაყოფად ყოფნის პერიოდში. სინონიმი: პორაკ-დიურანტის სინდრომი.

ფროლიკის დაავადება ანუ სინდრომი — არის ჰეევს სიმპტომკომპლექსის (იხ.), ანუ ედოვსის სიმპტომოკომპლექსის ანუ დაავადების (იხ.) ანდა ადაირ-დაიტონის სიმპტომოკომპლექსის (იხ.) პირველი ტიპი. დამახასიათებელია ცისფერი სკლერები, სმენის დარღვევა (სიყრუემდე) და მიდრეკილება მრავლობით მოტეხილობებისადმი, რომლებიც ვლინდება სიცოცხლის პირველ დღეებში. ზოგჯერ შეიძლება ადგილი ექნეს შეხორცებულ მოტეხილობებს დიდი ძვლოვანი ბებერათი. კიდურები მნიშვნელოვნადაა დამოკლებული და დეფორმირებული. სინონიმი: ფროლიკ-დიურანტის ცისფერი სკლერების.

ფროლიკ-დიურანტის ტიპი ცისფერი სკლერების — სინონიმები: ფროლიკის დაავადება, პორაკ-დიურანტის სინდრომი.

ფროლიხის სინდრომი — იხ. ფრელიხის სინდრომი II.

ფრომან-განდურის ნიშანი — ოთხთავა კუნთის ატონიის გამო კვირისთავისთავის პასიური მოძრაობა ყველა მიმართულებით გაადვილებულია. აღინიშნება ბარძაყის ნერვის დაზიანების დროს.

ფრომან-ვეგელინის სინდრომი — საღამოობით ხელების პარესთეზია შეხურების გრძნობით, ანდა ტკივილით, იმ ქალებს შორის, რომელთაც აქვთ ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმფათიკური ნაწილის მომატებული მგრძნობელობა.

ფრომენის სინდრომი—სინონიმი: ფრედერიკ-ფრომენის სინდრომი (იხ.).

ფროსტბერგის ნიშანი — თორმეტგოჯა ნაწლავის კონტურის დეფორმაცია რიცხვ 3-ის სარკისებრი გამოსახულების სახით. ქრონიკული პანკრეატიტის ან თორმეტგოჯა ნაწლავში ჩაზრდილი კუჭუკანა ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის რენტგენოლოგიური ნიშანი.

ფრუგონის დაავადება — თრომბოფლებიტური სპლენომეგალია.

ფრუენის სინდრომი — ლიქვორული ბლოკადის სინდრომი — ზურგის ტვინის სითხეში ცილის მომატებული რაოდენობის შერწყმა უმნიშვნელო ციტოზთან ან მის არარსებობასთან და ქსანტოქრომიასთან. გამოწვეულია ზურგის ტვინის სუბარაქნოიდულ სივრცეში გამტარებლობის დარღვევით. აღინიშნება, მაგალითად, ექსტრამედულური სიმსივნეების, პაქიმენინგიტების დროს. სინონიმები: ნონეს კომპრესული სინდრომი, ფრუენ-ნონეს სინდრომი.

ფრუენ-ნონეს სინდრომი — სინონიმები: ფრუენის სინდრომი (იხ.), ნონეს სინდრომი.

ფრჩხილის ფირფიტის სინდრომი — ონიქოოსტეოდისპლაზია. ანიქოართროდისპლაზია. გენეტიკური თანდაყოლილი დაავადება. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომური. დამახასიათებელია ფრჩხილების დისპლაზია, ძვლების მრავლობითი ცვლილებები და ნეფროპათია. უპირატესად ზიანდება მუხლის, იდაყვის და მენჯის სახსრების ძვლები. რენალური ნიშნებია: პროტეინურია, შარდის კონცენტრაციისა და განზავების დარღვევა, გლომერულონეფრიტისა და ნეფროზული სინდრომის სურათი.

ფსევდოაბდომინური სინდრომი — სიმპტომთა თანაარსებობა, რაც დამახასიათებელია მუცლის ღრუს ორგანოთა მწვავე დაავადებებისათვის, მაგრამ აღმოცენებულია პათოლოგიური პროცესის სხვა ლოკალიზაციიდან, მაგალითად, ფილტვების ანთების, გულის კუნთის ინფარქტის დროს და სხვ.

ფსევდო-ადისონის სინდრომი — ინტრარენული ანდროგენული ინტოქსიკაცია, ადრენოგენიტური სინდრომი მარილების დაკარგვით, თირკმელზედა ჯირკვლების პარადოქსული უკმარისობა, ფსევდოპილოროსტენოზი, აღინიშნება დეჰიდრატაცია, გულსისხლძარღვთა უკმარისობა, მეტაბოლური აციდოზი. ჰიპერკალიემია, ნატრიუმის მომატებული გამოყოფა შარდთან. არის მემკვიდრეობითი დაავადება, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით და გაპირობებულია კორტიკოსტეროიდების ბიოსინთეზის დარღვევით. სინონიმები: დებრე-ფიბიგერის სინდრომი.

ფსევდო-ბირმერის ანემია — ახალშობილთა ცრუპერნიციოზული ანემია. სიმპტომატიკა წააგავს მოზრდილთა „ბ"-12 დეფიციტურ ანემიას. სისხლში ნორმო ან ჰიპერქრომული ანემია, მეგალოცისტოზი, ძვლის ტვინში მეგალოციტოზი, გლოსიტი, ანორექსია, დისფაგია, გადიდებული ღვიძლი. თავს იჩენს უპირატესად 2—3 წლის ბავშვთა ასაკში. პროგნოზი აღჯვატური მკურნალობის შემთხვევაში დადებითია. სინონიმი: ჯერბაზის სინდრომი.

ფსორიაზული აპკის ფენომენი — ტერმინალური საფარის (აპკის) ფენომენი, პაპულის აფხეკის შემდეგ, ვარდისფერი სწორი ზედაპირის გამოჩენა ფსორიაზის სიმპტომია.

ფ — სინდრომი — მემკვიდრეობით ანომალიათა კომპლექსი. კანის და ძვლის სინდაქტილია ფეხისა და ხელის I და II თითებს შორის; ქათმისებური მკერდი, spina bifida oculta, ჰიპერტელორიზმი, ეპიკანტი, მიკროგენია, მსხლისებური ცხვირი; შესაძლოა სიყრუე. სახელწოდება დაკავშირებულია ავადმყოფის გვარის საწყის ასოსთან, რომლის დაავადებაც აღწერილია პირველად.

ფუას სინდრომი — კავერნოზული სინუსის (მღვიმოვანი სინუსის) გარეთა კედლის სინდრომი, მღვიმოვანი სინუსის სინდრომი — სრული ოფტალმოპლეგიის შერწყმა თვალბუდის არეში ტკივილთან. გამოწვეულია თვალის მამოძრავებელი, განმზიდველი და მისი ნერვების დაზიანებასთან, რომლებიც გადის მაგარი გარსის მღვიმეში სინუსის ლატერალურ

კედელში. აღინიშნება ჰიპოფიზის სიმსივნის, კრანიოფარინგიომების, გა-ზალური მენინგიომების, შიდა სმენის ნერვის არტერიის ანევრიზმის დროს.

ფუა-ალაჟუანინის სინდრომი — დაავადება, რომლის მიზეზია ზურგის ტვინის სისხლძარღვთა და მისი გარსის პათოლოგიური ზრდა, ზურგის ტვინის ქსოვილის შემდგომი ნეკროზით. გამოვლინდება სათანადო ლოკალიზაციის კერების დაზიანების ნევროლოგიური სიმპტომებით.

ფუა-თევენარის პოსტურალური რეფლექსი — თუ პირქვე მწოლარე ავადმყოფის ფეხს პასიურად მოუხრით მუხლის სახსარში, წვივს გარკვეული დროით ვამაგრებთ ძლიერი მოხრის მდგომარეობაში და შემდეგ გავუშვებთ ხელს, წვივი გაიშლება უმნიშვნელოდ. ნორმაში ხდება მისი სწრაფი გაშლა. მსგავსი ფენომენი აღინიშნება წინამხრის მომხრელებში და ტერფის ზურგის მხრივ მომხრელებში (იხ. პოსტურალური რეფლექსები). გამოხატულია ექსტრაპირამიდული სისტემის (მკრთალი ბირთვი, რუხი სუბსტანცია) სხვადასხვა პროცესით დაზიანების დროს.

ფუა-თევენარის რეფლექსი — გამართულად დგომის რეფლექსი, პოზოტონიური რეფლექსი, რომელიც ხელს უწყობს სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებას წინ, უკან ან გვერდით, უცაბედი ხელის კერისას. სინონიმი: დელმა-მარსალის რეფლექსი.

ფუა-თევენარის სიმპტომი — ხელისკერის სიმპტომი, ბიძგის ფენომენი — ვერტიკალურ მდგომარეობაში წონასწორობის დაკარგვა გვერდული მსუბუქი ბიძგის დროს. ნათხემის დაზიანების ნიშანია.

ფუა-თევენარის „წაბიძგების" რეფლექსი — მსუბუქი უკან წაბიძგება ჯანმრთელებში იწვევს ქვემო კიდურთა ექსტენზორებისა და მუცლის კუნთების დაჭიმვას, ხოლო წინ წაბიძგება ფლექსორების დაჭიმვას. ნათხემის დაზიანებისას ეს რეაქცია შენახულია, თუმცა წაბიძგებისას ავადმყოფი ადვილად კარგავს წონასწორობას. რეფლექსი ქვეითდება ან ისპობა ექსტრაპირამიდული სისტემის დაზიანების დროს.

ფუა-შავინ-ჰილემანის სინდრომი — რბილი სასისა და ხორხის ბილატერალური სიმეტრიული მიოკლონიები. აღინიშნება ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების დროს (ნათხემის სიმსივნე, ცერებროსპინალური მენინგიტი, გაფანტული სკლეროზი და სხვ.). სინონიმები: გრუშეს მიორიტმია, გრუშეს სიმპტომი, კუპერ-სპენსერის ნისტაგმი.

ფუნიეს ანო-რექტული ხიფილომა — გენიტო-ანო-რექტული ელეფანტიზი. ქრონიკულ ანთებად პროლიფერაციულ და შეხორცებით პროცესებს მოყვება სპილოვნება (ელეფანტიაზი), უკანა გასავლის არეში (მისი დავიწროება), შორისის მიდამოში და ქალის სასქესო ორგანოებში. ძირითადი მიზეზია ვენერიული დაავადებები. სინონიმი: ჯერსელდის სინდრომი.

ფურნიეს განგრენა — სასქესო ასოს და პარკის მწვავე ნეკროზი, გამოწვეული კანში ანაერობული მიკროორგანიზმების შეჭრით.

ფურნიეს კბილები — ყველა პირველი მოლარული კბილის დაზიანება (კბილის ბორცვების ატროფია, გვირგვინების დამოკლება, ტეხვადობა). მიზეზია კბილის ჩანასახისა და გაძვალების დარღვევები. თანდაყოლილი ათაშანგის ნიშანია.

ფურნიეს მესამეული როზეოლა — სიფილისური მესამეული როზეოლა, მესამეული ერითემა — სიფილისური როზეოლა მესამეული ათაშანგის დროს. ერთეული ასიმეტრიული, დიდი ზომის რგოლისებრი ლაქები ფართო წითელი არშიებით.

ფურნიეს სინდრომი — ინტენსიური თავის ტკივილის, თაებრუს, ინტელექტის დაქვეითების, მეხსიერების გაუარესების და ასთენიური სინდრომის შერწყმა გარდამავალ ჰემიპარეზთან, ხშირად თვალის მამოძრავებელი ნერვის, განმზიდველი და სახის ნერვების დაზიანებასთან. აღინიშნება სიფილისური მენინგოენცეფალიტის გვიან სტადიაში.

ფურუი-მისიმის პროგრესირებადი აკრომელანოზი — დერმატოზი, რომელსაც ახასიათებს ადრეულ ბავშვობაში პროგრესირებადი ჰიპერპიგმენტაცია თითების ზედაპირზე, ზურგის გარეთა მხარეს. ზოგჯერ შერწყმულია ეპილეპტიკურ გულყრებთან.

ფუქსის დიქტიომა — დიქტიოციტომა, ბადურის მედულობლასტომა, მედულოეპითელიომა — ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება ბადურის წამწამოვანი ნაწილის მცირედ დიფერენცირებული უჯრედებისაგან.

ფუქსის კატარაქტა — ჰეტეროქრომული კატარაქტა, გართულებული კატარაქტა, რომელიც ვითარდება ფუქსის სინდრომის დროს.

ფუქსის კერატიტი — ზედაპირული წერტილოვანი კერატიტი — წერტილოვანი კერატიტი, რომლის დროსაც ინფილტრატები განლაგებულია რქოვანას ყველაზე ზედაპირულ შრეებში. ამას თან სდევს კონიუნქტივიტი. უფრო ხშირად აღინიშნება ვირუსული დაავადებების დროს (გრიპი, წითურა და სხვ.). სინონიმი: ტაიჯესენის კერატიტი.

ფუქსის სიმპტომი — ქვემოთ მზერისას ზედა ქუთუთოს უნებლიე ზემოთ აწევა. აღინიშნება თვალის მამოძრავებელი ნერვის პარეზის მხარეს. გამოვლინდება პარეზის უკუგანვითარებისა და დაზიანებული ნერვული ბოჭკოების არასწორი რეგენერაციის დროს.

ფუქსის სინდრომი I — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს კანზე და პირის ღრუს, თვალების, სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსზე მრავლობითი ბულოზური გამონაყარი და საერთო მძიმე მდგომარეობა.

ფუქსის ჰეტეროქრომია ანუ სინდრომი II — ჰეტეროქრომია გართულებული, უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს დისტროფიული ცვლილებები წამწამოვანი სხეულის, ფერადი გარსის ჰეტეროქტერმია და კატარაქტის განვითარება.

ფუქსის სინდრომი III — სხვადასხვა ფერის ფერადი გარსი. თანდაყოლილი თავისებურება. რაიმე გაელენა მხედველობის სიმახვილეზე არა აქვს. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმი: შტეიფის სინდრომი.

ფხვნილისმაგვარი კატარაქტა — ფხვნილისმაგვარი ბირთვისებრი კატარაქტა, თანდაყოლილი ჩვეულებრივ ორმხრივი, სტაციონარული კატარაქტა, დამახასიათებელია ბროლის ბირთვის ემბრიონული მტვერისმაგვარი მოთეთრო შემღერება. სინონიმი: კოპოკის კატარაქტა.

ქათმისებრი გულ-მკერდი — რაჩიტისმიერი გულ-მკერდის გამოხატუ-

ლი ფორმა, რომლის დროსაც ნეკნების ფიზიოლოგიური მოხრილობა მკვეთრადაა შემცირებული. ნეკნები ჰორიზონტალურადაა განლაგებული, ამის გამო მკერდი არანორმალურად წინ არის წამოწეული, მკერდ-ხერხემლის დიამეტრი დაგრძელებულია, გარდიგარდმო — შევიწროებული. გულმკერდის ქვედა ნაწილი, სახელდობრ შუასაძგიდი, ზოლისებურად შეზნექილია, ჰარისონის ღარი (იხ.) მკაფიოდაა გამოხატული.

„ქალთა დაავადება" — ქვედა კიდურთა ვენების ვარიკოზული გაფართოება, პროცესი ლოკალურია. „ქალთა დაავადებას" უწოდებენ იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად გვხდება ფეხმძიმობისა და მშობიარობის შედეგად.

ქეირის ერითროპლაზია ანუ დაავადება — ხაეერდოვანი ეპითელიომა, სიფილოზის მსგავსი კეთილთვისებიანი ეპითელიომა. ერითროპლაზია — სასქესო ასოს კანის კარცინომა — უფრო იშვიათად პირის ღრუს, სასისა და ვულვის, გამოვლინდება ვარდისფერი-მოწითალო, ხაეერდოვანი, ქერცლებადი ზედაპირის კერების წარმოშობით.

ქენიუ-მიურეს სიმპტომი — აღინიშნება სისხლძარღვთა ანეერიზმის დროს კარგად განვითარებული კოლატერალების ქსელის არსებობისას: კანქვეშა ვენაში შეყვანილი ნემსიდან სისხლი გამოდის შესაბამისი მაგისტრალური არტერიის გადაკეტვის შედეგადაც.

ქენოს დაავადება — მადეკავირებადი ფოლიკულიტი. თავის თმიანი ნაწილის სტაფილოდერმია. კლინიკურად ხასიათდება ხანგრძლივად მიმდინარე ფოლიკულიტებით, რის შემდეგ რჩება ბრტყელი ნაწიბური და ნაწიბუროვანი ალოპეცია.

ქენკოს სიმპტომი — ხელის მტევნის განზე გაშლილი თითების კანკალი ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. ვლინდება მკვლევარის ხელის გულის მიდებისას ავადმყოფის თითების ბოლოზე.

ქერვენის დაავადება — იხ. დე ქერვენის დაავადება.

ქერნერ-როეეს შუილი — როეეს დაავადების (იხ.) დროს (პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი) მარცხნივ მესამე-მეოთხე ნეკნთაშუა არეებში მკერდის ძვალთან მოისმინება ძლიერი, გახანგრძლივებული, მძაფრი, უხეში შუილი, რომელსაც როგორც წესი, თან სდევს კატის კრუტუნი. სინონიმი: როეს შუილი.

ქვარელიხ სინდრომი — ნეეროლოგიური სინდრომი ავადმყოფებში გოგირდწყალბადით მოწამელის დროს. დომინირებს სტრიოპალიდური სიმპტომები კანკალით, რომელიც მოგვაგონებს პარკინსონიზმს.

ქვაფენილის ნიშანი — ენდოსკოპიური შესწავლის დროს შესაძლოა აღინიშნოს ლორწოვანის დაზიანების მოზაიკური ხასიათი, მისი უსწორმასწორობა. დამახასიათებელია კრონის დაავადებისათვის.

ქვედა ღრუ ვენის სინდრომი — ღვიძლში სისხლის შეგუბებისა და ასციტის შერწყმა საერთო შეშუპების გრაეშე. აღინიშნება ქვედა ღრუ ვენაზე ზეწოლისას.

ქვედა კიდურთა იშემიის სინდრომი — ძირითადი მიზეზებია მპობლიტირებელი ენდარტერიიტი და ათეროსკლეროზი, შესაძლებელი არა-

სისხლძარღვოვანი დაავადებები (მაგალითად, ნევროლოგიური დაავადებები, ბრტყელტერფიანობა და სხვ.).

ქვეირატის დაავადება — განეკუთვნება კანის კიბოს წინარე მდგომარეობას. ძირითადად ლოკალიზდება სასქესო ორგანოებზე (მამაკაცებში სასქესო ასოზე, ქალებში საშოზე). ვითარდება ინფილტრირებული ბალთები მოელვარე ზედაპირით, რომელიც დროთა განმავლობაში ეპითელიომაში გადადის.

ქვეენშტედტის სიმპტომი — კისრის ვენების სინჯი — წარმოადგენს ზურგის ტვინის სუბარაქნოიდური განელადობის გამოკვლევის მეთოდს, რაც დაფუძნებულია ცერებროსპინალური სითხის წნევის მერყეობის რეგისტრაციაზე საუღლე ვენებზე ზეწოლის დროს. დადებითი რეაგირების დროს არ აღინიშნება ცერებროსპინალური სითხის წნევის მერყეობა ვენებზე ხელის დაჭერისას, რაც მიუთითებს განელადობის დარღვევაზე.

ქვიკის მეთოდი — სისხლის შედედების დარღვევის დიაგნოსტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ისაზღვრება პროთრომბინის თრომბინად სახეცვლილების ეტაპი. ემყარება პროთრომბინის განსაზღვრასა და მისი ინდექსის დადგენას.

ქვინკეს მდებარეობა — დაწოლილი ავადმყოფის მდებარეობა, როდესაც მას აწეული აქვს კიდურები. ეს მდებარეობა ავადმყოფს ეძლევა სამკურნალო მიზნით, მაგალითად, ფილტვის ღრუს დრენირებისათვის.

ქვინკეს მაჯა ანუ სიმპტომი — პრეკაპილარული პულსაცია, რაც ვლინდება ფრჩხილების პროქსიმალური ნაწილის შეფერილობის პულსთან სინქრონულ ცვალებადობაში. აღინიშნება აორტის სარქველის უკმარისობისას.

ქვინკეს შეშუპება ანუ დაავადება — ანგიონევროზული შეშუპება გიგანტური ურთიკარია. მწვავე შემოფარგლული შეშუპება. ალერგიული ან ჰემკვიდრეობითი დაავადება. კანის, კანქვეშა ქსოვილისა და ლორწოვანი გარსის მორეციდივე შეშუპება. სინონიმები: ბანისტერის დაავადება, შალტონის ურთიკარია.

ქისისებრი პირი — სისტემური სკლეროდერმიის ნიშანი. პირის ირგვლივი არე დანაოჭებულია. ამის გამო ავადმყოფს უჭირს პირის ფართოდ გაღება, ვერ ხმარობს სუფრის კოვზს, საჰმელს ჭამს ჩაის ან დესერტის კოვზით.

ქოლენდერ-სიმონსის ადგილობრივი დაავადება — სეგმენტური პროგრესირებადი ლიპოდისტროფია. პარადოქსული ლიპოდისტროფია — ლიპოდისტროფია, რომლის დროსაც შემცირებულია ცხიმის დალაგება სხეულის ერთ უბნებზე და გაძლიერებულია სხვა ადგილებში. იხ. სინონიმები: ბარაკერ-სიმონსის დაავადება, სიმონსის სინდრომი.

ქოლესტაზის სინდრომი — ღანგბადის უკმარისობა ღვიძლში იწვევს ცხიმის მოჭარბებულ დალაგებას ჰეპატოციტებში. ქოლესტაზის სინდრომი გვხვდება ღვიძლის სხვადასხვა დაავადების დროს და მათ შორის ხშირია ვირუსული ჰეპატიტების დროს. ძირითადი ნიშნებია სიყვითლე, ღვიძლისმხრივი პალპატორული ცვლილებები და ღვიძლის ფუნქციური ძვრები.

ქოლეცისტო-კოლონარული სინდრომი — კორონარული უკმარისო-

ბის სიმპტომების გაუარესება ქოლეცისტიტის გამწვავების დროს და სიმპ-
ტომების შემცირება ან გაქრობა და ელექტროკარდიოლოგიური მონაცე-
მების გაუმჯობესება ქოლეცისტექტომიის შემდეგ და ასევე ქრონიკული
ქოლეცისტიტის გამწვავების ჩაცხრომის შემდეგ. სინონიმები: ბოტკინის
სიმპტომი — III, ბოტკინ-კუშელევსკის სინდრომი.

ქუთუთოების ჰიპოტონიის სიმპტომი — ცენტრალური დამბლის შემ-
თხვევაში იმაზე მხარეს მაღლა აწეული ქუთუთოს შედარებით უფრო
დაყოვნებული დაშვება. აღნიშნება ავადმყოფის კომატოზურ მდგომარე-
ობაში. სინონიმი: ბოგოლეპოვის სიმპტომი — II.

ჭუ ცხელება — გადაცემის წყაროა რქოსანი საქონელი, რომელთა
დასნებოვნების დროს რძეში გამოიყოფა დაავადების გამომწვევი რიკეტ-
სიები. ეპიდემიები ჩნდება სასაკლაოს, რძის წარმოების მუშებსა და სა-
ქონლის გადამრეკთა შორის. ცნობილია აგრეთვე ლაბორატორიული დას-
ნებოვნება. დაავადება მიმდინარეობს როგორც ფილტვების ატიპიური ან
ინტერსტიციული ანთება. კლინიკური ნიშნებია: ტემპერატურა, დამტვრე-
ულობა, თავის ტკივილი. სინონიმი: კენსლანდის ცხელება.

ღამის პაროქსიზმული ჰემოგლობინურია — ვითარდება სომატური
მუტაციის შედეგად ღეროს უჯრედებში, რასაც მივყავართ ერითროციტე-
ბის ანომალიური პოპულაციების წარმოქმნამდე, რომელთაც ახასიათებთ
უჯრედული მემბრანის მომატებული მგრძნობელობა კომპლემენტისადმი,
გამოვლინდება მუდმივი სისხლძარღვთშიგნითა ჰემოლიზით, ეს უკანას-
კნელი ზოგჯერ ძლიერდება (უფრო ხშირად ღამით) ჰემოგლობინურიის
წარმოშობამდე. სინონიმები: მარკიაფავა-მიკელის დაავადება, შტრუბინგ-
მარკიაფავას დაავადება, ჰერლეის დაავადება.

ღია პირის სიმპტომი — უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყო-
ფის ნახევრად ღია პირი. პირის გაღების ხარისხი იცვლება სუნთქვის
სინქრონულად. აღინიშნება აპოპლექსიური კომის დროს.

ღვთაებრივი დაავადება — ეპილეფსია. საქართველოში მას უწო-
დებენ ბნედას, ავ ზნეს, გვემულობას, გულყრას. შორეულ წარსულში
ეპილეფსია მიაჩნდათ წმინდანთა დაავადებად. შემდგომში დადგინდა, რომ
ეპილეფსიური კრუნჩხვითი შეტევები თხებსა და ღორებსაც ემართებათ.
ამ ფაქტმა დაავადების ღვთაებრივი წარმომაელობა ეჭვქვეშ დააყენა. ტერ-
მინი მაინც ძალაში დარჩა. სინონიმები: წმინდანთა დაავადება, საღმრთო
დაავადება, ვარსკვლავური დაავადება, მთვარის დაავადება, კომიტეტის
დაავადება, ჰერკულესის დაავადება.

ღვიძლ-ელენთის სინდრომი — ღვიძლისა და ელენთის გადიდების
თანხვედრა. აღორძინება ღვიძლის ციროზების, ინფექციურ დაავადებათა,
ლეიკოზების დროს და სხვ. სინონიმები: ჰეპატოლიენური სინდრომი.

ღრუბლიხებური თირკმელი — იგივეა „ჭაფიანი" თირკმელი. თირკმ-
ლების პოლიკისტოზის მსუბუქი ვარიანტი. მემკვიდრეობით გადაცემის
ტიპი არ არის დადგენილი. დამახასიათებელია თირკმლის მილაკების
პროგრესული დისტროფია. ნიშნები: ქრონიკული მორეციდივე პიურია,
მიდრეკილება კენჭების წარმოშობისადმი, თირკმლის ჭვალი, ჰემატურია,

ზომაში მომატებული თირკმლები, ზოგჯერ შარდსაწვეთის გაორება, შარდსაწვეთის დივერტიკული, პანკრეასისა და ფილტვების პოლიკისტოზი.

ყველის დაავადება — არტერიული წნევის მომატება, დაკავშირებული სხვადასხვა სახის ყველით რეგულარულ კვებასთან (ძველი ყველი, ჰოლანდიური ყველი). ასეთივე მდგომარეობა შეიძლება განვითარდეს შოკოლადის, წიწილის ღვიძლის, დაშაშხული ღვიძლის, ლობიოს, ბანანის, ანანასის, ზოგიერთი მარკის წითელი ღვინის ხშირი და ჭარბი რაოდენობით მიღების ნიადაგზე. ყოველივე ეს კავშირშია აღნიშნულ პროდუქტებში თიროზინის და თირამინის მაღალ შემცველობასთან. ისინი სწრაფად იწოვებიან და იწვევენ სიმპატიკურ ნერვულ დაბოლოებებში დეპონირებულ ნორადრენალინის გამოყოფის გაძლიერებას, რასაც მოყვება წნევის მომატება.

ყვითელი ფრჩხილების სინდრომი — დამახასიათებელია ტრიადა: ფრჩხილების გაყვითლება, ლიმფატიური შეშუპება და პლევრალური გაწონადენი, უფრო ხშირად ავადდებიან კაცები. ეტიოლოგია უცნობი. დამახასიათებელია რეციდივები.

ყვითელი ცხელება — ამარილეზი, ამარილური ტიფი, ამარილური ცხელება — მწვავე კეროვანი დაავადება, იწვევს იმავე სახელობის B არბოვირუსი ანტიგენური ჯგუფის. გადაეცემა კოღოთი. დამახასიათებელია უცაბედი დაწყება, ორფაზიანი ცხელება, ინტოქსიკაცია, ჰემორაგიული სინდრომი, სიყვითლე, ღვიძლის და ელენთის გადიდება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და თირკმლების დაზიანება. გვხვდება ცხელ ქვეყნებში. მიჩქუთვნება საკარანტინო დაავადებებს.

ყირიმის ჰემორაგიული ცხელება — ინფექციური მწვავე კაპილაროტოქსიკოზი, კონგო-ყირიმის ჰემორაგიული ცხელება, ჰემორაგიული ცხელება გამოწვეული არბოვირუსის ჯგუფის ერთსახელოვანი ვირუსით. გადაეცემა ტკიპით. დამახასიათებელია დაავადების ენდემიურობა და სეზონურობა. გამოელინდება მაღალი სიცხით, ორთავიანი ტემპერატურული მრუდით, ძლიერი ინტოქსიკაციით, თავისა და კუნთების ტკივილით, სისხლდენით, ჰემორაგიული ენანთემით და კანის პეტექიული გამონაყარით.

ყიფშიძის სიმპტომი — ხელის წინ გამოწვევის დროს ნეკის უნებლიე უკან გაწევა. აღინიშნება ნათხემის ნახევარსფეროს დაზიანებისას მის ნახევარზე.

შაგახის დაავადება — ამერიკული ტრიპანოსომოზი—ტრიპანოსომოზი გამოწვეული ტრიპანოსომა კრუციით. ენდემიურია ცენტრალური ამერიკის სათვის. დამახასიათებელია გამომწვევის ლიმფოჰემატოგენური დისემინაცია, არამყარი ცხელება, ლიმფადენოპათია, ჰეპატოსპლენომეგალია, შემდგომში ცენტრალური ნერვული სისტემის, მიოკარდიუმისა და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაზიანების ნელი განვითარება.

შაგახის სინდრომი — ტრუ ორგანოთა პათოლოგიური გაფართოება (მეგაკოლონ, მეგადუოდენუმ, მეგაცისტიტი) გამოწვეული ნერვული უჯრედების დესტრუქციით. შორეული შედეგი ამერიკული ტრიპანოსომოზის მწვავე ფორმისა (იხ. შაგასის დაავადება).

„შაგოშა“ პირველადი (ბრაზილიელი ექიმის შაგასის სახელისაგან) — პირველადი აფექტი ამერიკული ტრიპანოსომოზის დროს (იხ. შაგასის დაავადება). წარმოადგენს ანთებად ინფილტრატს ლიმფანგიტით და რეგიონული ლიმფადენიტით, რომელიც არ ჩირქდება.

„შაგოშა“ მეორადი — კანში შეხორცებული მკვრივი კანქვეშა კვანძი, რომელიც წარმოიქმნება ამერიკული ტრიპანოსომოზის დროს (იხ. შაგასის დაავადება), გამომწვევის ჰემატოგენური დისემინაციის შედეგად.

შავანის შაკიკი — მუდმივი თავის ტკივილი, ძლიერდება შეტევის სახით, განსაკუთრებით ემოციური დაძაბუნების დროს, დაღლისას ან თავის ერთ მდგომარეობაში ხანგრძლივად ფიქსაციისას. ტკივილს თან სდევს ვეგეტატიური დარღვევები, ძილიანობა ან პირიქით უძილობა. გამოწვეულია თავის ტვინის მაგარი გარსის ნამგლისებური წანაზარდის გაკირვით (სავარაუდოა მემკვიდრეობითი დაავადება).

შავერის დაავადება — მიქსტა (შერეული) პნევმოკონიოზი, გამოწვეული ალუმინიო — სილიკოზით. ემართებათ მუშებს, რომლებიც დაკავებულნი არიან კორუნდის და ბოქსიტების წარმოებებში.

შავი დაავადება — კალა-აბარი, ინდური ეისცერული ლეიშმანიოზი. ასამური ცხელება, დუმ-დუმ ცხელება, ლეიშმანიოზის ნაირსახეობა, ენდემიური დაავადება ტროპიკულ-ნესტიანი ზონისათვის, ძირითადად აღმოსავლეთ ინდოეთსა და ბანგლადეშისათვის. განსხვავდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის დაზიანებით და აქედან გამომდინარე კანის ძლიერი სიმუქით.

შავი კარდიოპათია — ფილტვების არტერიების პირველადი სკლეროზის შედეგად განვითარებული ფილტვისმიერი გულის შორსწასული სტადია. ბოლო ხანებში აერზის სინდრომად იხსენიება ასევე ფილტვისმიერი გულის სხვა მძიმე შემთხვევები. კლინიკური ნიშნებია შავი (თუჯისებრი) ციანოზი, ხველა, თავის ტკივილი, ძილიანობა, გულის ზემო საზღვრის მოშატება, ფილტვის არტერიაზე სისტოლური და დიასტოლური შუილი, მეორე ტონის გაძლიერება, ერითროციტოზი ეკგ-მარჯვენაგრამა, რენტგენოლოგიურად პნევმოსკლეროზი და ემფიზემა, ე. წ. „ფილტვების ფესვთა ცეკვა“. სინონიმები: აერზ-არილაგის სინდრომი, აერზის სინდრომი.

შავი ფარისებრი ჯირკვლის სინდრომი — ფარისებრ ჯირკვალში ნახული ყავისფერი ჰიგმენტი მიეკუთვნება ნეირომალანინს, რომელიც ლიპოფუსცინის მსგავსად ლაგდება ასაკთან ერთად. ამრიგად პიგმენტის დალაგება ფარისებრ ჯირკვალში-ნორმალური ასაკობრივი პროცესია. პიგმენტაციის გაძლიერება აღინიშნება მონოციკლინით მკურნალობისას, მაგრამ შეიძლება მას ადგილი ჰქონდეს მკურნალობის გარეშეც. მონოციკლინით მკურნალობის დროს პიგმენტის დაგროვება შეინიშნება როგორც შავ სუბსტანციაში, ისე ათეროსკლეროზულ ფოლაქებში.

შავი ფსევდოაკანტოზი — შავი აკანტოზის (იხ.) კეთილთვისებიანი ნაირსახეობა. გვხვდება სიმსივნით შეპყრობილ ქალებში. აკანტოზისათვის დამახასიათებელი კანის ცვლილებები ლოკალიზდება იღლიის ქვეშა მიდამოში. ვარაუდობენ ენდოკრინულ ეტიოლოგიას. სინონიმები: კურტ-ოლენდორფის სინდრომი.

შავნი-შენიეს სინდრომი — ვითარდება ოქროთი მკურნალობის დროს, როგორც ჩანს, ნეიროტროპული ვირუსის აქტივაციის შედეგად. ნიშნები: მწვავე დიფუზური ტკივილი, განსაკუთრებით კიდურების, კანის ჰიპერესთეზია, საგანგაშო განწყობილება, გაძლიერებული ოფლდენა, კუნთების გენერალიზირებული ფიბრილაცია, უძილობა, სიგამხდრე, სუბფებრილური მდგომარეობა.

შაია-დრეიჯერის სინდრომი — ნერვული სისტემის ქრონიკული დაავადება. ახასიათებს ორთოსტატიკური არტერიული ჰიპოტონიის (მაჯის გახშირების გარეშე) შერწყმა ანჰიდროზთან, მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის დარღვევასთან, პარკინსონიზმთან, კუნთოვან ჰიპოტროფიასთან, ატაქსიასთან, პირამიდული გზების დაზიანების ნიშნებთან. აღინიშნება 40—60 წლის ასაკში უფრო ხშირად მამაკაცებში.

შამბერგის დაავადება — კანის ბადებრივი მოხუცებულობითი ჰემოსიდეროზების ჯგუფიდან. ახასიათებს მრავლობითი სიმეტრიული წითელი ლაქების და ტელეანგიოექტაზიების წარმოშობა წვივზე, ზოგჯერ ბარძაყის, დუნდულოსა და წელის მიდამოში, კიდევ უფრო იშვიათად ზედა კიდურებსა და სახეზე.

შანცის სინდრომი — ხერხემლის სისუსტე, მალების ნაკლოვანება. ხერხემლის შემაკავშირებელი აპარატის (მყესების) უკმარისობა. ნიშნები: ფეხზე დგომისას და ჯდომისას სწრაფად ვითარდება დაღლილობა, ხერხემლის ტკივილი პალპაციის დროს და ხერხემლის ტკივილი მუცელზე წოლისას.

შაპიროს სიმპტომი — მაჯის სიხშირე არ იცვლება ავადმყოფის მიერ მწოლიარე მდგომარეობის მიღებისას. დამახასიათებელია გულის კუნთის ორგანული დაზიანებისათვის.

შაპოშნიკოვის წესი — პერიკარდიუმის პუნქციის წესი. ნემსი შეჰყავთ მესამე ან მეოთხე ნეკნთაშუა არეში მკერდის ძვლის მარჯვენა კიდესთან ანდა მეექვსე ნეკნთაშუა არეში მკერდის ძვლის მარცხენა კიდესთან.

შარკოს ანთება — იხ. შარკოს პნევმონია.

შარკოს გარდამავალი კოჭლობა — იხ. შარკოს სინდრომი (შარკოს სინდრომი) გარდამავალი (შენაცვლებითი) კოჭლობა, ტკივილი ქვემო კიდურებში სიარულისას, რომელიც გადის შესვენებისას. დამახასიათებელია ასევე მგრძნობელობის მოშლა, პარესთეზიები, ტერფების გაცივების შეგრძნება, თითების სიფერმკრთალე, ქვემო კიდურების პერიფერიული არტერიების პულსაციის დაქვეითება ან გაქრობა. მოგვიანებით ვითარდება ქვემო კიდურის ქსოვილთა დაწყლულება და ნეკროზი. სინდრომს საფუძვლად უდევს ქვემო კიდურების ბრტერიოსკლეროზი, შესაძლოა ანგიოსპასტიკური გენეზიც. მის განვითარებაში მნიშვნელობა ენიჭება თამბაქოს წევას, ალკოჰოლს, შაქრიან დიაბეტს, სიფილისს.

შარკოს დაავადება — გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი — უცნობი ეტიოლოგიის ნერვული სისტემის ქრონიკული პროგრესირებადი დაავადება. ახასიათებს თავისა და ზურგის ტვინის მამოძრავებელი ნეირონების დაზიანება, ქერქ-ზურგტვინისა და ქერქ-ბირთვთა ბოჭკოების დეგენერაცია. გამოვლინდება კიდურთა და თავის კუნთების ცენტრალური და პერიფერიული დამბლების (პარეზების) შერწყმით და ასევე სამწვერა, ენისმამოძ-

რაკებელ, ცდომილის და ენისქვეშა ნერვების მამოძრავებელი ფუნქციების დარღვევით.

შარკოს დიდი ისტერია — ისტერია, რომელიც მიმდინარეობს მოძრაობითი მოშლილობით (ისტერიული შეტევები, დამბლა ან პარეზი), მგრძნობელობითი ორგანოების ფუნქციის დარღვევით (მაგალითად, ამაუროზი, სიყრუე).

შარკოს ისტეროგენული ზონები — მტკივნეული წერტილები სხეულზე (ეფაზე, ღავიწის ქვეშ, სარძევე ჯირკვლებქვეშ, მუცლის ქვემო ნაწილში და სხვ.), რომლებზეც ხელის დაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს ისტერიის შეტევა. აღინიშნება ისტერიულ ავადმყოფებში.

შარკოს ისტერიული რკალი — ისტერიული რკალი — საერთო ტონიკური კრუნჩხვების შეტევა: ავადმყოფის ტანი გამოდრეკილია რკალად, რომლის ბრჯენია ქუსლები და კეფა. აღინიშნება ისტერიული გულყრის მეორე ფაზაში.

შარკოს ნელი მაჯა — აღინიშნება გულის რიტმის დარღვევისას (სრული ან ნაწილობრივი ატრიოვენტრიკულური ბლოკადა, ხანმოკლე ასისტოლია) და რთულდება უგონო მდგომარეობით, ეპილეპტოიდური კრუნჩხვებით ტვინის სისხლით მომარაგების მოშლის შედეგად. სინონიმები: მორგანი-ადამს სტოქსის სინდრომი, ადამს-სტოქსის სინდრომი, სტოქსის სინდრომი, სპენსის სინდრომი. სტოქს-ადამსის სინდრომი.

შარკოს პატარა ისტერია — ისტერია მოძრაობით მოშლილობასთან ერთად, რომელიც გამოვლინდება ტიკის, ტრემორის, ცალკეული კუნთების შეკუმშვის სახით.

შარკოს პნევმონია — ქრონიკული პნევმონია, რომელიც წარმოიშობა, როგორც პლევრიტის შედეგი. დამახასიათებელია ფილტვის ქსოვილში პროდუქციული ცვლილებები.

შარკოს სიმპტომი I — იხ. სინონიმი: შარკო-მარის სიმპტომი.

შარკოს სიმპტომი II — წარბების შედარებით მაღლა დგომა მიმიკური კუნთების პერიფერიული პარეზის დროს და მათი უფრო დაბლა დგომა კონტრაქტურის დროს. აღინიშნება სახის ნერვის პერიფერიული დაზიანებისას.

შარკოს სიმპტომი III — იხ. ჩაჩქანის სიმპტომი.

შარკოს ტრიადა — გაფანტული სკლეროზის სამი მთავარი ნიშნის თანაარსებობა: ნისტაგმი, სკანდინირებული მეტყველება და ინტენციური კანკალი.

შარკოს ფილტვების ქრონიკული პლევროგენული ანთება — იხ. შარკოს პნევმონია.

შარკოს ღვიძლის ინტერმიტირებული ცხელება — აღინიშნება ნაღველის სადინრის კენჭით ვენტილური დახურვის დროს. კენჭის ზევით არის ნაღველის შეგუბება და ქოლანგიტი.

შარკოს შხაპი — ნაკადისებრი შხაპი — წყალსამკურნალო პროცედურა, რომელიც გამოიხატება წნევის ქვეშ წყლის კომპლექსური ნაკადის სხეულის სხვადასხვა უბნებზე და ნაწილებზე ზემოქმედებით. პროცედურა იწყება და მთავრდება მარაოსებრი წყლის ნაკადის ზემოქმედებით.

შარკოს ციროზი — ბილიარული ღოლანგიური ციროზი. მიეკუთვნება მეორეულ (მეორად) ციროზებს (ძველი კლასიფიკაციით). ვითარდება როგორც გამოსავალი ნაღვლის გამოდენის დაბრკოლება (მაგალითად, სანაღვლე გზების კესპი, სიმსივნე და სხვ.).

შარკო-ბრისოს სიმპტომი — ტუჩების სკაზმი, ტუჩის კუთხის გაწევა და ენის იმავე მხარეს გადაწევა. აღინიშნება ისტერიის დროს.

შარკო-ვეის ბეკერის სინდრომი — კაროტიდული სინუსის სინდრომი. აღგილი აქვს საძილე არტერიის სინუსის მიდამოს ზემგრძნობელობის შეჭთხვევებში. მისი გაღიზიანება იწვევს თავის ტვინის სისხლძარღვთა რეფლექტორულ შევიწროვებას და სხვა დანარჩენ სისხლძარღვთა გაფართოებას. არტერიული წნევა ეცემა, ტკივილი გულის არეში, ბრადიკარდია, კოლაფსი. შესაძლებელია ლეტალური გამოსავალი. უმეტესად გვხვდება ახალგაზრდებში, ორგანოპათოლოგიური ცვლილებათა გარეშე აღელვებისას, თავის მკვეთრი დახრისას, წვერის პარსვისას, ვიწრო საყელოს ტარებისას; ხანმიშესულთა შორის იშვიათია და აღგილი აქვს კაროტიდული სინუსის სკლეროზულ ცვლილებათა შემთხვევაში.

შარკო-ვილპიანის (ანუ ვილპიანის) დაავადება — გაფანტული სკლეროზი, მრავლობითი სკლეროზი, — ნერვული სისტემის ქრონიკული პროგრესიული დაავადება, როგორც ჩანს ვირუსული ეტიოლოგიის. დამახასიათებელია დემიელინიზაციის გაფანტული უბნები, სკლეროზული ბალთები უპირატესად თავისა და ზურგის ტვინის თეთრ ნივთიერებაში, ინტერმიტირებული მიმდინარეობა სიმპტომატიკით დამახასიათებელი დაზიანებული უბნის ლოკალიზაციისათვის. მაგალითად, მოძრაობითი დარღვევებით, მენჯის ორგანოთა ფუნქციის მოშლით, მოძრაობათა კოორდინაციის, მხედველობის, ფსიქიკური მოშლილობებით.

შარკო-ლეიდენის კრისტალები — ფორმის, ოქტაედრის ბრტყელი კრისტალები. გამოყოფილდება ნახველის მიკროსკოპული გამოკვლევის დროს ბრონქული ასთმის ან ასთმოიდური ბრონქიტის შემთხვევაში. სინონიმი: ბიცოცერო-ნეიმანის კრისტალები.

შარკო-მარიხ ამიოტროფია, ანუ კუნთოვანი ატროფია — ნევრალური მემკვიდრეობითი ამიოტროფია, პერონეალური ტიპის კუნთოვანი ატროფია, მემკვიდრეობითი დაავადება, ხასიათდება პერიფერიული დამბლით და ტერფისა და წვივის ამიოტროფიით, შემდგომი გავრცელებით ამიოტროფიისა ზედა კიდურთა დისტალურ ნაწილებში, ტროფიკული ცვლილებებით და მგრძნობელობის დარღვევის პერიფერიული ტიპით. მემკვიდრეობის გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური, აგრეთვე იშვიათად აუტოსომურ-რეცესიული და სქესთან შეჯვარებული ტიპით. სინონიმები: შარკო-მარი-ტუთას დაავადება, შარკო-მარი-ტუთა-ჰოფმანის დაავადება.

შარკო-მარიხ სიმპტომი — ზემო კიდურების წვრილი ტრემორი თირეოტოქსიკოზის დროს. სინონიმი: შარკოს სიმპტომი I.

შარკო-მარი-ტუთას დაავადება — სინონიმები: შარკო-მარი-ტუთა-ჰოფმანის დაავადება, შარკო-მარის ამიოტროფია (იხ.)

შარკო-მარი-ტუთა-ჰოფმანის დაავადება — სინონიმები: შარკო-მარი-ტუთას დაავადება, შარკო-მარის ამიოტროფია (იხ.).

შარლენის სინდრომი — ნაზო-ცილიარული ნერვის ნევრალგია. შეტევითი ტკივილი თვალისა და ცხვირის ფრთის არეში, ჰერპესული გამონაყარი ცხვირზე და შუბლის მიდამოში, კერატიტისა და ირიტის მოვლენები, ნესტოს ლორწოვანის შეშუპება და ჰიპერემია, შეტევის დროს დაზიანებული მხარის ნესტოდან დიდი რაოდენობით თხიერი გამონადენი. პალპაციით მტკივნეულია თვალბუდის შიდა კუთხე. გვხვდება ცხვირის ნიკარის ჰიპერტროფიის, ცხვირის ძგიდის გამრუდების, ქრონიკული ინფექციის (ტუბერკულოზი, მალარია და სხვ.), დიაბეტის, გლაუკომის, კონიუნქტივიტისა და რქოვანას დაავადების დროს.

შარპანტიეს ფენომენი — ადაპტაციის დარღვევის სიმპტომი — აჟიტირებული დეპრესიის გაძლიერება ავადმყოფის ირგვლივ მყოფი გარემოს შეცვლის დროს. აღინიშნება ენდოგენური დეპრესიის, ინვოლუციური მელანქოლიის, სისხლძარღვოვან და სენილური ფსიქოზების დროს.

შარპის სინდრომი — შერეული შემაერთებელქსოვილოვანი დაავადება. ახასიათებს — რეინოს სინდრომი (იხ.), ართრალგია, სოსისისმაგვარი თითები, ედს-ის ზომიერი აჩქარება, ჰიპერპროტეინემია, პოლიკლონიური ჰიპერგლობულინემია და ანტისხეულები რიბონუკლეინპროტეინისადმი.

შარპ-შუბახ მეთოდი — პერიკარდიუმის პუნქციის მეთოდი, რომლის დროსაც ნემსი შეჰყავთ მკერდის ძვლის მარცხენა კიდესთან მესამე ნეკნთაშუა არეში.

შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი — ბეკის დაავადება, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი, მორტიმერის დაავადება, ტენესონის დაავადება, ჰეერფორდტის დაავადება, იუნლინგის დაავადება II, დარიე-როსის დაავადება, მიელერ-ბეკის დაავადება.

შაუმანის ჩანართები ანუ ოვალური ან მრგვალი სხეულაკები — ხშირად კალციფიცირებული ჩანართები გიგანტურ უჯრედებში. გვხვდება სარკოიდულ ან ბერილიდურ გრანულებში.

შაფერის სინდრომი — ჰიპერპროლინემია, მემკვიდრეობითი დაავადება. გადაცემის ტიპი აუტოსომურ — რეცესიული. მიზეზია პროლინის ტრანსპორტირების დარღვევა. ამ დროს ვლინდება ღვიძლის ფერმენტ პროლინოქსიდაზის ნაკლოვანება. კლინიკა მსგავსია ალპორტის სინდრომისა (იხ.), განმასხვავებელია ჰიპერპროლინემია და ამინოაციდურია. ნიშნები: მიკრომემატურია, თირკმლის ჰიპერპლაზია, სიყრუე, გონებრივი განვითარების ჩამორჩენა. სისხლში ზოგჯერ მატულობს გლიცერინის დონე.

შეგლენ-ლარსონის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება, ახასიათებს მსუბუქი და საშუალო ხარისხის ოლიგოფრენია შეუღლებული სპასტიკურ სიარულთან. თანდაყოლილ იქტიოზთან, ბადურ დეგენერაციასთან, ცნობიერისკაცობასთან ან პირიქით გიგანტიზმთან, სასქესო ორგანოთა ჰიპოპლაზიასთან და ანემიასთან. მემკვიდრეობის ტიპი-რეცესიული.

შეგრენის (ანუ სიეგრენი) სინდრომი I — ორმხრივი თანდაყოლილი ცატარაქტის შეუღლება ოლიგოფრენიასთან, ფიზიკური განვითარების შეფერებასთან და ნათხემისებურ ატაქსიასთან. იგივეა სიეგრენის სინდრომი.

შეგრენის (ანუ სიეგრენის) სინდრომი II—სახსრების ანთება. ორმხრივი მშრალი კერატოკონიუნქტივიტი (ქრონიკული მიმდინარეობის), სადაც

წამყვანი ნიშანია ცრემლის გამოყოფის შემცირება (თვალები რჩება მშრალი — ტირილის დროს). შემდეგ ასევე აქვს ადგილი ცხვირის ლორწოვანისა და პირის ღრუს სიმშრალეს (სანერწყვე ჯირკვლების ჰიპოფუნქციის გამო), ამას მოწმობს ყლაპვის გაძნელება, ხმის ჩახლეჩა, მშრალი ცვლილებები, მაგალითად ფრჩხილების და საერთო ნიშნები. ავადდებიან ძირითადად 50 წელს გადაცილებული ქალები.

შევალიეს დაავადება — პემპიგოიდის ძლიერი გამოყოფით. ვეგეტატიური სიმპტომების კომპლექსი — ოფლის გაძლიერებული გამოყოფა, სველის დაზიანებული არის ტემპერატურის მომატება, შემდეგ ტემპერატურის დაცემა, ციანოზი და შეშუპება.

შევასიუხ სიმპტომი — შარდსაწვეთის კათეტერში სისხლის გამოყოფა, როცა სიმსივნის ირგვლივ შარდსაწვეთში გაიელის. კათეტერის შემდგომი წინ გაწევისას სისხლის გამოსელა წყდება.

შევერის სინდრომი — ალუმინის წარმოებაში მომუშავეთა ფილტვების პროფესიული დაავადება. ზემო სასუნთქი გზების ქრონიკული კატარის სურათი. ფილტვების ემფიზემა, ხშირია სპონტანური პნევმოთორაქსი, ზოგჯერ ჰემოპტოე. რენტგენოლოგიურად — ჰილუსები გაფართოებულია, ფილტვების სურათი გაძლიერებული. ხშირია ტუბერკულოზთან ერთად. პროგნოზი სერიოზულია. სინონიმი: შეეერ-რიდელის სინდრომი, იგივეა შაეერის სინდრომი.

შევერ-რიდელის სინდრომი — სინონიმი: შეეერის სინდრომი, (იხ.).

შეიეს სინდრომი — მესუთე ტიპის მუკოპოლისაქარიდოზი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება მოზრდილებში: სახის დისპლაზია, ჯუჯას სიმაღლე, მოღუნული ფეხები, ჩონჩხის დეფორმაცია, რქოვანას შემღერევა, ჰიპისა და საზარდულის თიაქარი. პიგმენტური რეტინიტი, აორტული მანკი, აორტის კოარქტაცია, მიზეზია ალფა-ელ-იდურონიდაზის დეფიციტი, რის შედეგადაც შემაერთებელ ქსოვილში გროვდება მუკოპოლისაქარიდები და შარდში მომატებული რაოდენობით გამოიყოფა დერმატანსულფატი. სინონიმები: შინცის სინდრომი, ჰურლენის გეიანი სინდრომი, ულრიხ-შეიეს სინდრომი, შინცის სინდრომი.

შეიერმანის დაავადება — ბეჭის აკრომიონის ოსტეოქონდროპათია. ახასიათებს ასეპტიკური ნეკროზული უბნის წარმოქმნა და დეფორმაცია, შემდგომში კი მხრის სახსარში მოძრაობის შეზღუდვა.

შეიერმან-მაუს დაავადება — ოსტეოქონდროპათიკული კიფოზი, მოზარდთა კიფოზი, ყრმათა კიფოზი, შეგირდის კიფოზი. გულ-მკერდის, უპირატესად VII—X მალების ეპიფიზების ოსტეოქონდროპათია. გამოვლინდება ხერხემლის ამ ნაწილის მყარი კიფოზით და კომპენსატორული ლორდოზით კისრისა და წელის მიდამოში. სინონიმი: შმორლის დაავადება.

შეინისის სინჯი — სამლახტიანი სინჯი. ქვედა კიდურთა ვენების გაფართოების დიაგნოსტიკური სინჯი. მწოლიარე ავადმყოფს მაღლა ეუწევეთ ფეხებს და ვადებთ სამ ლახტს: საზარდულის ნაოჭთან, ბარძაყისა და სახსრის ქვემოთ. ავადმყოფის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლისას ერთ-ერთი ლახტის ქვემოთ ან თანმიმდევრულად მოხსნილი ლახტის ზე-

მოთ კანქვეშა ვენების სისხლსაცესეობა ვენების უკმარისობის მაუწყებელია, რომელიც აერთიანებს ღრმა და ზედაპირულ ვენებს ამ უბანზე.

შეიტპაურ-მარი-სენტონის სინდრომი — ლავიწ-თაიის ქალას დიზოსტოზი, კლეიდოკრანიალური დიზოსტიზი, რომელსაც ახასიათებს თაიის ქალას ყიფლიბანდის შეუხორცებლობა, ბრაქიცეფალია, სახის ძვლების ჰიპოპლაზია (ძირითადად ზედა ყბის), ლავიწის ნაწილობრივი ან სრული განუვითარებლობა.

შელდონის დაავადება — დარღვევები კუნთების განვითარებაში. გამოვლინებულია ზოგიერთი კუნთის ან კუნთების ჯგუფის არასრულყოფილი წარმოშობა ან მათი არსებობა. დაავადების მიმდინარეობაში პროგრესირება არ აღინიშნება. კუნთების უარესობა იწვევს მეორეულ დეფორმაციებს, კონტრაქტურებს, ხერხემლის მანკიერ მდებარეობებს. ამ ცვლილებებს თან ახლავს განვითარებაში სხვა მანკები. სინონიმები: მიდლტონის მიოდისტროფია, შტერნის სინდრომი.

შელდონის სინდრომი — ორსულობისას და მშობიარობისთანავე გამოვლინებული ენდოკრინოპათია. ადგილი აქვს წონაში მკვეთრ მატებას, მშობიარობას გიგანტური ნაყოფით. შესაძლოა ადგილი ექნეს შაქრიან დიაბეტთან, ჰიპერკორტიციზმთან შერწყმას.

შელის დაავადება — ტროპიკული ანჰიდროზი, ანჰიდროზული ტროპიკული ასთენია — ანჰიდროზი, რომელიც აღინიშნება ტროპიკული ჰავის პირობებში და ახასიათებს ვეზიკულური გამონაყარი. ვითარდება ჯირკვლების შესასვლელის მტვრით დახშობის გამო. სინონიმი: ო'ბრეინის ტროპიკული ანჰიდროზი, შელის ღრმა სუდამინა.

შელის ღრმა სუდამინა — სინონიმები: ო'ბრეინის ტროპიკული ანჰიდროზი, შელის დაავადება (იხ.).

შელონგ-შტრიზოვერის ფენომენი — სისხლის წნევის დაცემა ავაღმყოფის ჰორიზონტული მდგომარეობიდან ვერტიკალურში გადასვლის დროს. აღინიშნება აორტის და მსხვილ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზის დროს, მათი ელასტიკურობის გამო და ასევე ზოგიერთი ჰიპოტენზიური პრეპარატების მიღების შედეგად.

შენდუბეს ჰიპოფიზინის სინჯი — ოდის სფინქტერის (ღვიძლ-პანკრეასის ამპულის სფინქტერი) გამოკვლევის მეთოდი, დამყარებულია იმაზე, რომ ჰიპოფიზინის ნორმალურ მდგომარეობაში მიღება იწვევს სფინქტერის შეკუმშვას თორმეტგოჯა ნაწლავში ნაღვლის მიწოდების შეწყვეტით.

შენკის დაავადება — რინოკლაიდოზი, ქრონიკული მიკოზი, იწვევს სპოროტრიქუმის ჯგუფის პარაზიტული სოკო, რომელიც ძირითადად ახიანებს კანს და კანქვეშაქსოვილს. დამახასიათებელია დაწყლულებული კვანძები ლიმფური ძარღვების მიმართულებით. იშვიათად ზიანდება კუნთები, ძვლები და შინაგანი ორგანოები. სინონიმი: ბერმანის დაავადება.

შენლეინ-ჰენოხის დაავადება — ჰემორაგიული პურპურა, კაპილაროტოქსიკოზი. მიეკუთვნება ჰემორაგიულ დიათეზთა ჯგუფს. გეხედება როგორც უფროსი ასაკის ბავშვებში, ისე ზრდასრულებში. დამახასიათებელია სისუსტე, სიცხიანობა, სახსრების ტკივილი, რასაც თან სდევს ოდნავ მოგვიანებით წვრილი სისხლჩაქცევები კანში, განლაგებული უხშირესად ორთავე

ქვემო კიდურის შიგნითა ზედაპირზე სიმეტრიულად. კანზე აგრეთვე ადგილი აქვს დიფუზურ ერითემას. სახსრები სიდება, სასახსრე პარკში შესაძლოა სეროზული ან ჰემორაგიული გამონაჟონი, სისხლიანი პირღებინება, მელენა, შეცლის ტკივილი, ნეფროლოგიური გართულებები. სისხლში მორფოლოგიურ ცვლილებებს ადგილი არ აქვს. კოაგულოგრამა ნორმალურია. ეტიოლოგიურ მოშხტად ვარაუდობენ კაპილარების ალერგიულ დაზიანებას. მიმდინარეობს თვეობით რემისიების და გამწვავებათა ფაზების შენაცვლებით. პროგნოზი დადებითია.

შენბნის პერიფერიული ქორიოიდიტი — პერიფერიული ქორიოიდიტი, რომელიც ლოკალიზდება თვალის ფსკერის პერიფერიაზე.

შერეშევსკის მეთოდი — დიფუზური ტოქსიკური ჩიყვით ავადმყოფთა ოპერაციისათვის მოსამზადების მეთოდი. მდგომარეობს შემდგომში: ავადმყოფს ეძლევა იოდის პრეპარატები, ვალერიანი და ღუმინალი.

შერეშევსკის სიმპტომი — ჩაჯდომის სიმპტომი. ავადმყოფს არ შეუძლია წამოდგომა ჩაცუცქული მდგომარეობიდან ფეხების პროქსიმალურ ნაწილთა სისუსტის გამო. აღინიშნება თირეოთოქსიკოზის, მიოპათიის, პოლირადიკულონევრიტის დროს.

შერეშევსკი-ტერნერის სინდრომი — სინონიმები: ტერნერის სინდრომი (იხ.), შერეშევსკი-ტერნერ-ბონევ-ულრიხის სინდრომი.

შერეშევსკი-ტერნერ-ბონევ-ულრიხის სინდრომი — სინონიმები: ტერნერის სინდრომი, შერეშევსკი-ტერნერის სინდრომი.

შერინგტონის რეფლექსი — მოხრითი და გაშლითი მოძრაობები, რომელიც მოგვაგონებს სიარულს, და რაც წარმოიშობა დადამბლავებულ კიდურთა შენაცვლებით ტკივილით გაღიზიანებაზე. დაცვითი რეფლექსი ზურგის ტვინის გაურცობილი დაზიანების დროს მისი წელის არის გასქელების ზემოთ.

შერინგტონის „სიარულის" რეფლექსი — იხ. შერინგტონის რეფლექსი.

შეურმანის დაავადება — ჭაბუკთა მადეფორმირებელი ოსტეოქონდროზი. ახასიათებს ტკივილი გულ-მკერდში და მათ შორის გულის არეში, ავადდებიან ძირითადად ახალგაზრდები. დიაგნოზი ისმება რენტგენოლოგიურად.

შეუსაბამო ანტიდიურეზის სინდრომი — დამახასიათებელია ჰიპონატრიემია და შრატის ჰიპოოსმოლარობა, მაშინ როცა შარდი წარმოადგენს ჰიპერტონიულ ხსნარს. სისხლში ასევე ხშირია ანტიდიურეზული ჰორმონის შემადგენლობის ცვლილება.

შეფერის პათოლოგიური რეფლექსი — აქილევსის მყესზე ხელის მოკვრის საპასუხოდ ადგილი აქვს ცერის გაშლას. ეკუთვნის ექსტენზორული ტიპის პათოლოგიურ რეფლექსებს. გვხვდება პირამიდული გზების დაზიანებისას და მენინგიტის დროს.

შეფერის რეფლექსი — ფეხის დიდი თითების გაშლა აქილევსის ქუსლის მყესზე მოკვრის დროს. პირამიდული გზების დაზიანების ნიშანი.

შეფერის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს კერატოდერმია, ჰიპერკიდროზი, გაფანტული ფოლკლორული კერატოზი. წერტილოვანი ალოპეციის უბნებით. სინონიმები: ტურერ-სულინიაკის თანდა-

ყოლილი ჰიპერკერატოდერმოზი, ტურერ-ჰისელბრეჰტის თანდაყოლილი ექტოდერმული პოლიდისპლაზია.

შეფერის წესი ფილტვების ხელოვნური ვენტილაციისა — ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის წესი, რომლის დროსაც ამოსუნთქვას აწარმოებენ მუცელზე დაწოლილი დაზიანებული პირის გულმკერდზე ზეწოლით, ხოლო შესუნთქვა წარმოებს პასიურად.

შეფერ-ემერსო-აივის ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის წესი — იხ. შეფერის წესი.

შეხორცებითი დაავადება — სინდრომი განპირობებულია მუცლის ღრუში შეხორცებების არსებობით, რაც ჩნდება გადატანილი დაავადების, ტრავმის ან ოპერაციების შემდეგ. დამახასიათებელია ნაწლავის შედარებითი გაუვალობის ხშირი შეტევა.

შვაბის სინდრომი — ერთ-ერთი ხელის აცდენა თით-ცხვირის სინჯის დროს, დავარდნისადმი მიდრეკილება ხელის იმავე მხარეს, სადაც ხდება აცდენა და რომბერგის მდგომარეობაში (იხ.). იმავე მხარეს აკინეტიკორიგიდული სინდრომი. აღინიშნება თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების საფეთქლის წილის სიმსივნის დროს.

შვანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების შერწყმა, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: ხელისგულისა და ფეხისგულის კერატოზი, ტოტალური ლეიკონიქია, ფოლიკულური კერატოზი, ფეხისგულის ჰიპერჰიდროზი, ჰიპერტრიქოზი, თაღისებრი სასა, კბილების განლაგების ანომალია, პარადონტოპათია, სიყრუე (შიდა ყურის განვითარების ანომალიის გამო), ყრუ-მუნჯობა, სინდაქტილია, დიუ-პიუტრენის კონტრაქტურა.

შვარცის სამკუთხედი — სამკუთხედის ფორმის რენტგენოლოგიური ჩრდილი, მდებარეობს კუთხეში, რომელიც წარმოიქმნება გულის მარცხენა კონტურით და დიაფრაგმით. დაკვირვება შეიძლება წინა პროექციაში. წარმოიქმნება პერიკარდიუმში ცხიმის დალაგებით.

შვარცის სიმპტომი — მეორე ნეკნის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილას კანის ჰიპერალგეზიური უბანი. დამახასიათებელია ათაშანგით გამოწვეული აორტიტისათვის.

შვარცის სინდრომი — ოსტეოქონდრომუსკულარული დისტროფია. მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: მიოტონია, დაბალი სიმაღლე, მენჯის ძვლების დისპლაზია, ბლეფაროფიმოზი ან ბლეფაროსპაზმი, ქუთუთოების ჰიპერტრიქოზი, მაღალი სასა, სასულეს ჰიპოპლაზია, სტრიდორული სუნთქვა, სუსტად განვითარებული კუნთები, სფინქტერის სისუსტე, ინტერმიტირებული ენურეზით და განავლის შეუკავებლობით, სახსართა რიგიდობა, ჰისტოლოგიურად კუნთებში ატროფია, ფიბროზი, ცხიმოვანი ინფილტრაცია, გლიკოგენის ჩალაგება. სინონიმი: შვარც-ჯემპელის სინდრომი.

შვარც-ბარტერის სინდრომი — ბრონქოკარცინოზის ნაირსახეობა. ნიშნები: ჰიპერნატრიურია, ჰიპონატრიემია, ჰიპოკალიემია, შეშუპებები, შარდით 17 კეტოსტეროიდების გამოყოფის მომატება და ალდოსტერონის გამოყოფის შემცირება. ბრონქოკარცინომის სიმპტომები.

შვარც-ლელეკას სინდრომი — კრანიომეტაფიზური მემკვიდრეობითი დარღვევების ნაირსახეობა. გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. სიმსხვილე: დიდი თავი, ძვლების გადიდების შედეგად, X ან O-ს მსგავსი ფეხები, ჯრჯელი ღულოვანი ძვლების გაფართოება, ანდრორტროპიზმი. სისხლის შრატში მომატებულია ტუტე ფოსტატაზის შემადგენლობა.

შვარც-ჯემპელის სინდრომი — სინონიმი: შვარცის სინდრომი (იხ.).

შვეიცარული ტიპი იმუნოპარეზის — ალიმფოციტური აგამაგლობულინემია. მემკვიდრეობითი დაავადება, რომელსაც ახასიათებს თიმუსის აპლაზია, ლიმფოციზებსა და ქსოვილებში პლაზმური უჯრედების არსებობა, იმუნოგლობულინების ყველა კლასის დეფიციტი. ვლინდება ცხოვრების პირველ თვეში სეპტიკური პროცესით და ფილტვების, კანის და შარდგამომყოფი გზების დაზიანებით. მემკვიდრეობითი გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. სინონიმი: გლაცმან-რონიკერის სინდრომი.

შვეცმანის სინდრომი — კუჭუკანა ჯირკვლის გარეთა სეკრეციული ფუნქციის მემკვიდრეობითი ნაკლოვანების სიმპტომოკომპლექსი. გადაცემა აუტოსომურ-რეცესიული. ვლინდება ადრე ბავშვობაში. ნიშნები: ქრონიკული მორეციდივე ფაღარათი, ზრდის შეფერხება, ეზმოზე ჰიპოგლიკემია, მეტაბოლური აციდოზი, გლუკოზის ან ადრენალინის ინიექციაზე სისხლში ნაკლებად მატულობს შაქრის დონე, გალაქტოზაზე ტოლერანტობის დაქვეითება, ნეიტროპენია, მეტაფიზური ლიპომატოზი, დაბალი სიმაღლე, მორფოლოგიურად-კუჭუკანა ჯირკვლის ლიპომატოზი, სინონიმი: შვეკმანოსკი-კაკავის სინდრომი, შვეკმან-დიამონდ-ოსკი-კაკავის სინდრომი. სინონიმები: შვეკმანის სინდრომი (იხ.), შვეკმან-ოსკი-კაკავის სინდრომი.

შვეკმან-დიამონდ-ოსკი-კაკავის სინდრომი — სინონიმები: შვეკმანის სინდრომი (იხ.), შვეკმან-ოსკი-კაკავის სინდრომი.

შვენინგერ-ბუცის ანეტოდერმია — სიმსივნისებური ანეტოდერმია. ანეტოდერმიის ფორმა, რომლის დროსაც ატროფიულ კერებს აქვთ სიმსივნის მსგავსი მოცისფრო-მოთეთრო რბილი წარმონაქმნების ხასიათი ზურგის კანზე, ისე, რომ ანთებადი ცვლილებები არ არის.

შვენინგერ-ბუცის სინდრომი — კანის ლორწოვანი ატროფია. იდიოპათიური ლაქოვანი ატროფიის ნაირსახეობა, წინასწარი ანთების პერიოდის, ერითემის და ცნობილი მიზეზის გარეშე, პალპაციისას თითი ვარდება კანის ჩაღრმავებაში.

ში-დრეიჯერის სინდრომი — პირველადი პოსტურალური არტერიული ჰიპოტონიის ცერებრული ფორმა — არტერიული ჰიპოტონიის ფონზე აღინიშნება წნევის მკვეთრი დაცემა ავადმყოფის მწოლიარე მდგომარეობიდან მჯდომარე ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლისას, რასაც თან ერთვის ცნობიერების გამოთიშვა. შეტევის გარეშე ნიშნები: საერთო სისუსტე, იმპოტენცია, სხვადასხვა სახის ვეგეტატიური მოშლილობა, მოგვიანებით თავის ტვინის მძიმე ორგანული დაზიანების ნიშნები.

შიდს (შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი) — ადამიანის ახალი ინფექციური დაავადება, ახასიათებს იმუნური სისტემის უპირატესი დაზიანება. იწვევს ადამიანის ლიმფოტროპული რეტროვირუსის III ტიპი. სშირია ჰომოსექსუალისტებისა და ნარკომანებში. ინკუბაციური პერიოდი 3 თვიდან — 5 წლამდე. ამ დროს ძირითადი ნიშანია ლიმფადენოპათია.

შემდეგ ვლინდება ტემპერატურა, ღამის ოფლიანობა, სისუსტე, წონის დაკარგვა (15 კგ-მდე), დუნედ მიმდინარე პნევმონია, უწყვეტი ფაღარათი, გენერალიზებული ინფექციური და სხვა, დაკავშირებული იმუნურ დეფიციტთან პროცესები.

შიდსის არაძირითადი კომპლექსი — სინონიმი: პალს-შიდსის წინა სინდრომი (იხ.).

შიდს-ის წინა სინდრომი — შეძენილი იმუნური დეფიციტის წინა სინდრომი, შიდს-ის არაძირითადი კომპლექსი (იხ.).

შიენის სინდრომი — ჰიპოპიტუიტარიზმი, განვითარებული მშობიარობის შემდგომ საშვილოსნოდან სისხლდენის შედეგად, ადენოჰიპოფიზის ნაწილობრივი ნეკროზის გამო. კლინიკური სურათი იგივეა, რაც სიმონდსის სინდრომისას (იხ.). სინონიმი: რეიეს სინდრომი.

შიკის რეაქცია — კანის სინჯი დიფთერიული ტოქსინით ანტიტოქსიკური იმუნიტეტის დონის განსასაზღვრავად, რაც იწვევს ადამიანში დიფთერიისადმი შეუთვისებლობას.

შიკის სიმპტომი — სუნთქვის გაძნელება ტრაქეაზე ან მსხვილ ბრონქებზე შუასაყრის გადიდებული ლიმფური კვანძების ზეწოლის შედგად.

შილდერის ბრადიტელეკინეზი — ბრადიტელეკინეზია — მოძრაობის შენელება ან შეჩერება მიზნის მიღწევის წინ. ბრადიკინეზის გამომქღავნება.

შილდერის დაავადება, ანუ ენცეფალიტი — ხასიათდება ფსიქიკის პროგრესული დეგრადაციით, დემენციით, მეტყველების მოშლით, ზოგადი კრუნჩხვითი გულყრით და ნერვული სისტემის კეროვანი დაზიანების ნიშნებით. ადრეულ პერიოდში ადგილი აქვს პომონიმური ან კვადრატულ ჰემიანოფსიას, მოგვიანებით — სრულ ამაუროზს. თუ პროცესი იწყება საფეთქლის წილიდან, სიბრმავეს წინ უსწრებს სიყრუე. მოგვიანებით ადგილი აქვს ქვედა სპასტიკური პარაპარეზის (შემდეგ კი დამბლის) განვითარებას, ფსეუდობულბურ მოვლენებს, მგრძნობელობის მოშლას, ნათხემისა და ვესტიბულური აპარატის დაზიანებას, დეცერებრაციულ რიგიდობას, ღრმა კახექსიას, მთავრდება სიკვდილით. სინონიმი: შილდერ-ფუას პერიაქსილური დიფუზური სკლეროზი.

შილდერის სიმპტომი — ორგანული ჰემიპარეზის დროს ავადმყოფს გვერდზე სელა უფრო ადვილად შეუძლია პარეზის მხარეზე, ვიდრე საღ მხარეზე.

შილდერის სინდრომი — მემკვიდრეობითი სუდანოფილური დიფუზური ცერებროსკლეროზი. აღინიშნება თავის ტკივილი, სიცხის მომატება, თვალის დერილის შეშუპება, მხედველობის ნერვის ატროფია ამაუროზით; სპასტიკური ტერცია — ტეტრაპლეგიები, კრუნჩხვები, აფაზია, ყნოსვის და სმენის დარღვევა, ჭკუასუსტობა. სინონიმები: შილდერ-ფოიქსის სინდრომი, ჰეუბნერ-შილდერის სინდრომი.

შილდერის სინჯი — ნათხემის დაზიანების გამოვლინების მეთოდი, რომლის დროსაც წინ წამოწეული ხელებით მდგარ, თვალდახუჭულ ავადმყოფს წინადადება ეძლევა, სწრაფად მოაბრუნოს თავი. დაზიანების მხარეს ხელი მაღლა იწევს და მერე ორივე ხელი იქით იხრება.

შილდერ-ფოიქსის სინდრომი — სინონიმები: შილდერის სინდრომი, იხ. ჰეუბნერ-შილდერის სინდრომი.

შილდერ-ფუას პერიაქსილური დიფუზური სკლეროზი — სინონიმი: შილდერის დაავადება, ანუ ენცეფალიტი. (იხ.).

შილდერ-შტეინგლის სინდრომი — დოლიქოზული ასიმბოლია. მტკივნეულ გაღიზიანებაზე რეაგირება და მისგან თავდაცვის უნარი ძოსპობილია, მტკივნეული გაღიზიანების თითქმის სწორი აღქმის მიუხედავად. განიხილება, როგორც რეფლექსურ მოძრაობათა „აპრაქსია“ ტკივილზე. მიზეზია ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადება.

შილერის სიმპტომი — ავადმყოფის უნარი გადაადგილდეს ფეხებით ჰემიპარეზით დაზიანების მხარეს უფრო თავისუფლად და აქტიურად, ვიდრე მოპირდაპირე მიმართულებით. ცენტრალური ჰემიპარეზის ნიშანი.

შილინგის სინდრომი — შილინგის ტიპის მონოციტული ლეიკემია, რეტიკულოენდოთელიოზის ნაირსახეობა — პერიფერიულ სისხლში პათოლოგიური მონოციტების მსგავსი რეტიკულური უჯრედები. ნიშნები: მაღალი ტემპერატურა, კანსა და ლორწოვან გარსზე სისხლჩაქცევები ან ნეკროზები, თრომბოციტოპენია, ლეიკოციტოზი (ბევრია რეტიკულური უჯრედების მსგავსი მონოციტები), ძვლის ტვინში მონორეტიკულური ტრანსფორმაცია, ლიმფური კვანძების, ღვიძლისა და ელენთის გადიდება. კლინიკური სურათი მოგვაგონებს მწვავე ლეიკოზს. დაავადება თავდება ლეტალურად რამდენიმე კვირაში ან თვეში.

შიმანს-დანჰის სიმპტომი — სიცარიელის შეგრძნება, რომელიც წარმოიშობა პალპაციის დროს მარჯვენა ფერდქვეშა არეში. ილიოცეკალური ინვაგინაციის ნიშანი, გამოწვეული ნაწლავის ინვაგინირებული ნაწილის გადაადგილებით მარჯვენა ფერდქვეშა არეში.

შიმელბუშის დაავადება — კისტოზურ-პროლიფერაციული მასტოპათია — კისტოზური მასტოპათია, რომელიც ხასიათდება ეპითელიუმის პაპილური გახრდით კისტის შიგნით და სადინარებში.

შიმკეს სინდრომი — მემკვიდრეობითი მრავლობითი ენდოკრინული ხასიათის სიმსივნეთა კომპლექსი: ფარისებური ჯირკვლის მედულარული კარცინომა შეუღლებული ორმხრივ ფეოქრომოციტომასთან, პარათირეოიდული ჯირკვლის ჰიპერპლაზიასა და ადენომასთან. ადგილი აქვს აკტჰ, ერითროპოეტინის, კალციტონინის და სხვ. ჰორმონების ექტოპიურ პროდუქციასაც. სინონიმი: სიპლის სინდრომი.

შინცის სიმპტომი — გრძელ ღულოვან ძვლების რენტგენოგრამაზე განათებული ზოლის არსებობა ეპიფიზისა და მეტაფიზის საზღვრის მიდამოში. ჩირქოვანი ართრიტის რენტგენოლოგიური ნიშანი.

შინცის სინდრომი — სინონიმები: ჰურლერის გეიანი სინდრომი, ულრიხ-შეიეს სინდრომი, შეიეს სინდრომი. (იხ.).

შიპენის ხინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია ნათხემისებრი ატაქსია და სასქესო ჯირკვლების ზრდაში დაუსრულებლობა. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

შირე-როეტის სიმპტომი — საჯდომი ნერვის ან S_1 ფესვის დაზიანების დროს ავადმყოფს დაავადებული კიდურის ფეხის თითებზე დიდხანს დგომა არ შეუძლია.

შირმერის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების ტრიადა. გა-

დაცემა დასაშვებია აუტოსომურ-რეცესიული. შესაძლოა ასევე აუტოსომურ-დომინანტური ნიშნები: ჰემანგიომები სახეზე, თანდაყოლილი გლაუკომა, ჩვეულებრივი ცალმხრივი ეგზოფტალმი. აღნიშნული სინდრომი არის სტერჯ-ვებერის სინდრომის (იხ.) არასრული ფორმა.

შიულერ-კრისტჩენის სინდრომი — ქოლესტერინის მემკვიდრეობითი გრანულემატოზურ ტეტაურისმოზი, აღინიშნება ჩონჩხის ცვლილებები, თავის ქალას, ბარძაყის ძვლებში და ხერხემალში განლევის კერების გაჩენით: ეგზოფტალმი, უშაქრო დიაბეტი, სიმსუქნე, ზრდაში ჩამორჩენა, ღვიძლის და ელენთის გადიდება, იშვიათად სიყვითლე, ცვლილებები კანზე — ქსანტომა, პაპულოზური ეგზანთემა, პურპურა, სისხლდენა ღრძილებიდან, კბილების დაცვენა, ინფანტილიზმი. სისხლში ჭარბადაა ქოლესტერინი. მიმდინარეობა ხანგრძლივია. სინონიმები: ჰენდ-შიულერ-კრისჩენის სინდრომი, კრისჩენის სინდრომი.

შიუპის კიბო — ბაჭიის კანის ბრტყელუჯრედოვანი კიბო, განვითარებული შიუპის პაპილომიდან, მისგან განსხვავებით არ შეიცავს ჭირუსს.

შიფის დაავადება — მემკვიდრეობითი მოკიმია. კუნთების ჯგუფის ადგილობრივ უნებლიე შეკუმშვებს თან ერთვის ჰიპოგლიკემიური მდგომარეობა და ფარისებური ჯირკვლის ფუნქციის მოშლა.

შიფონიეს დაავადება — ციმბირის წყლული.

შიპენის სინდრომი — იხ. შიენის სინდრომი.

შკოდას სიმპტომი ანუ ტიმპანიტი — ტიმპანიური ბერკუტორული ხმიანობა ფილტვების უბნების ზემოთ, რაც მდებარეობს ბერკუტორული მოყრუების ზონის ზემოთ. ეს წარმოშობილია მასიური ექსუდატიური პლევრიტით ან კრუპოზული ბნევმონიით — გაღვიძების სტადიაში. გაპიროვნებულია ფილტვების ზეწოლისაგან თავისუფალი უბნების ვიკარული ემფიზემით.

შკოდა-ვილიამსის სიმპტომი — გულის არის დათვალიერებისას შეინიშნება პარადოქსული საძგერი — მისი არის ჩაზნექვა ყოველი სისტოლის დროს. შეინიშნება შეხორცებითი პერიკარდიტის დროს.

შლანგეს სიმპტომი — მუცლის მოსმენისას აუსკულტაციური შუილების სრული შეწყვეტა. ნაწლავთა პარეზის ნიშანი.

შლატერის დაავადება — წვივის დიდი ძვლის ხორკლების ოსტეოქონდროპათია. უფრო ხშირად აღენიშნებათ ვაჟებს 13—17 წლის ასაკში. იხ. სინონიმი: ოსგუდა-შლატერის დაავადება.

შლეზინგერ-პულის სიმპტომი — მწოლიარე ავადმყოფს თუ პასიურად ავუწევთ მუხლში გაშლილ ფეხს, 1—2 წუთის შემდეგ ფეხი მოიხრება მუხლის სახსარში, ხოლო ტერფი გადადის სუპინაციის მდგომარეობაში, გვხვდება ტეტანიის დროს.

შმელევ-პირკეს სინჯი — გრადუირებული ტუბერკულინური სინჯი — პირკეს სინჯის (იხ.) მოდიფიკაცია, გამოიყენება ტუბერკულონის ოთხი სხვადასხვა განზავება, ტუბერკულოზური პროცესის აქტივობის განსასაზღვრავად.

შმიდის სინდრომი — მეტაფიზური დიზოსტოზი — სუბეპიფიზური ოსტეოქონდროზი, მეტაფიზური ენქონდრული მემკვიდრეობითი დიზოს-

ტოზი. დაავადება ვლინდება ცხოვრების მეორე წელზე ზრდის შესამჩნევი შეფერხებით, რაც პირობადებულია გრძელი ლულოვანი ძვლების პათოლოგიური ცვლილებებით უპირატესად მეტაფიზებში. რენტგენოლოგიურად არასწორი ეპიფიზური ხაზი, იქვე გამკვრიეების და ოსტეოპოროზის კერები. ბიოქიმიური ცვლილებები არ არის. ინტელექტი ნორმალური.

შმიდტის რეფლექსი — მუცლის ფარის კუნთების ფასციკულური შეკუმშვა შესუნთქვის მაქსიმუმზე ავადმყოფებში, რომელთაც ეწყებათ დიაფრაგმული პლევრიტი.

შმიდტის სინდრომი I — ალტერნატიული დამბლის ნაირსახეობა, რაც ჩვეულებრივ აღინიშნება მოგრძო ტვინის კაუდალური ნაწილების დაზიანებისას. ადგილი აქვს რბილი სასის და ბგერითი იოგების ჰომოლატერალურ დამბლას, მკერდ-ლავიწ-დვრილისებური და ტრაპეციის მაგვარი კუნთების ჰომოლატერალურ დამბლას და კონტრლატერალურ ჰემიპლეგიას. სინონიმი: აველის-შმიდტის სინდრომი.

შმიდტის სინდრომი II — ორი ან მეტი ენდოკრინული ჯირკვლის პირველადი დაზიანება მათი შემდგომი უკმარისობით. ეტიოპათოგენეზი უკავშირდება იმუნური სისტემის ენდოკრინულ ჯირკვლების მიმართ ტოლერანტობის დარღვევას. შედარებით უფრო ხშირია სინდრომის შემდეგი ვარიანტები; ჰიპოთირეოზი და შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოთირეოზი და ჰიპოპარათირეოზი, ჰიპოკორტიციზმი და შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოპარათირეოზი და ჰიპოკოროციტოზი.

შმიდტის სინდრომი III—ბულბალური მოალტერნირე სინდრომი, რბილი სასის დამბლის (პარეზის) შერწყმა მბერავი იოგების, ტრაპეციოიდული და მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი კუნთების დამბლასთან — სხეულის მოპირდაპირე მხარეს.

შმინკეს სიმსივნე — შმინკეს სარკომა. ლიმფოეპითელიომა, ნუშისებრი ჯირკვლის ეპიდერმული კიბო. ნუშისებრი ჯირკვლებსი ავთვისებიანი სიმსივნე, შედგება ლიმფოიდური და ეპითელიური უჯრედებისაგან.

შმიტის დაავადება, ანუ სინდრომი — ხერხემლის ტრავმული პროფესიული დაზიანება, აღენიშნებათ მიწის მთხრელებს. პირველი ნიშნები ვლინდება მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. სიმპტომები: დაღლის შეგრძნება, ხერხემლის მიდამოში, კისრის წიდამოში, კეფაში და ბეჭებს შუა ფსევდორევმატიული ტკივილი. ამის მიზეზია კისრის ქვედა და გულმკერდის ზემოთა მალების წარზიდულ მორჩების დისტროფიული ზონები. შემდეგში ტკივილი ძლიერდება მოძრაობებისას, რაც გამოწვეულია ამ მორჩების მოწყვეტით.

შმორლის დაავადება — სინონიმი: შეიერმან-მაუს დაავადება.

შნეერბერგიის კიბო — შნეერბერგიის საბადოების მაძიებელთა დაავადება — ფილტვების კიბო, გამოწვეული მინერალების (მადანთა) მტვერის სისტემური შესუნთქვით, რომლებიც შეიცავენ რადიაქტიულ ნივთიერებებს.

შნეიდერის დეპრესია — დეპრესია, რომელიც არ არის დაკავშირებული მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზთან. ახასიათებს დათრგუნული გუნება-განწყობის შეხამება შიშთან, აქვიატებულ მდგომარეობებთან და დეპერსონალიზაციასთან.

შნეიდერის პირველადი ბოდვა დამოკიდებულების — სისტემატიზებული ბოდვა დამოკიდებულების ან დევნის, მიმდინარეობს ჰალუცინაციების გარეშე. დიდხანს არის როგორც ფსიქოზის ერთადერთი გამოვლინება.

შნეიდერის ფსიქოზები სომატიური წარმოშობის — ფსიქოზების საერთო სახელი, წარმოშობილი შინაგან ორგანოთა დაავადების, ინტოქსიკაციებისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებების დროს. გამოვლინდება ძირითადად მწვავე მიმდინარეობისას, უპირატესად რეაქციების ეგზოგენური მიმდინარეობით, ქრონიკული მიმდინარეობისას — სიმპტომებით, რაც შიზოფრენიას ან მანიაკურ დეპრესიას მოგვაგონებს.

შნეიდერის რჩოვანას დეგენერაცია — მემკვიდრეობითი დაავადება. გამოვლინდება რჩოვანას ცენტრში დისკისებური შემღერებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

შნიტცლერის მეტასტაზი — კიბოს მეტასტაზი, რომელიც განლაგებულია მცირე მენჯის ჭსოვილში შარდის ბუშტსა (ან .სამვილოსნოსა) და სწორ ნაწლავს შორის. საშმლის მომნელებელი ტრაქტის (უფრო ხშირად კუჭის) კიბოს ნიშანი.

შობის დაავადება — თავის ტვინის ერთი ნახევრის ატროფია, ძირითადად თავის დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქის მესამე შრის შემცირების შედეგად. გამოვლინდება ფსიქიკური განუვითარებლობითა და ეპილეფსიით.

შოლცის სინდრომი — თავის ტვინის სისხლძარღვოვან — კაპილარული ჭსელის დეგენერაცია. გვხვდება ხანში შესულებში და მოხუცებულებში. განსაკუთრებით 80 წლის ასაკის შემდეგ. სისხლძარღვების ირგვლივ ლაგდება ჰომოგენური სუბსტანცია, რომლის შემადგენლობა უახლოვდება მოხუცებულთა ლაქებს. კლინიკურად ვლინდება დეზორიენტაციით, აფაზიით, აგნოზიით, ქერქოვანი სიბრმავით.

შოლც-ბილშოვსკის დაავადება — შობის დაავადების (იხ.) ფორმა, როცა ის პროგრესირებს ნელა, გამოვლინდება 8—11 წლის ბავშვებში კრუნჩხვით, დემენციით, ქერქული სიყრუით, არტიკულაციის დარღვევით, თავის ქალას ნერვთა პარეზებით, ცენტრალური დამბლებით, ქორეოატეტოზმით, მხედველობის სიმახვილის დაქვეითებით.

შოლც-გრინფილდის ლეიკოდისტროფია — მეტაქრომატული ლეიკოდისტროფია — ლეიკოდისტროფია, რომლის დროსაც ლიპიდების დაშლის პროდუქტები იფერება მეტაქრომულად. გამოვლინდება უფრო ხშირად ბავშვთა ასაკში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

შოლც-ვან ბოგარტის დაავადება — შობის დაავადების (იხ.) ფორმა, გამოვლინდება 2—4 წლის ბავშვებში ეპილეფსიური გულყრებით, ფსევდობულბარული დაქვეითებით, სპასტიკური პარეზებით და დეცერებრაციული რიგიდობით დაავადების ტერმინალურ სტადიაში.

შონის სინდრომი — პარაშუტისებური მიტრალური სარქველის, აორტის კოარქტაციის და მიტრალური სტენოზის შეუღლება. მიეკუთვნება განვითარების თანდაყოლილ ანომალიათა რიგს, არ არის გამორიცხული სინდრომის მემკვიდრეობითი გენეზი. პარაშუტისებური მიტრალური სარქველების სახელწოდებით აღინიშნება მიტრალური სარქველების ანატომი-

ური ვარიანტი, როდესაც ორივე სარქველის ქორდები შეერთებულია და მიმაგრებულია მხოლოდ ერთ დურილისებურ კუნთზე.

შორეული აღმოსავლეთის ენცეფალიტი — ტკიპისმიერი ენცეფალიტი. გაზაფხულ-ზაფხულის ენცეფალიტი. მწვავე არბოვირუსული დაავადება. ნიშნები: მწვავე დაწყება, შემცივნება, ცხელება, თავისა და მთელი სხეულის ტკივილი, ღებინება, ბრადიკარდია, ჰიპოტენზია, პნევმონია, ენის კასკალი, ყაბზობა, პროტეინურია, მენინგეალური ან მენინგოენცეფალიტური ან პოლიმიელიტური ანდა პოლირადიკულონევრიტული მოვლენები. სინონიმები: ტაიგის ენცეფალიტი, რუსეთის ენცეფალიტი.

შორეული აღმოსავლეთის ლეპტოსპიროზი — ლეპტოსპიროზი სიყვითლის გარეშე. გრიპოტიფოზური ლეპტოსპიროზი. ჭაობის ცხელება. წყლის ცხელება — ლეპტოსპიროზის კლინიკური ვარიანტი, რომელიც მიმდინარეობს სიყვითლის გარეშე. სინონიმი: ბუშე-გზელის დაავადება.

შორეული აღმოსავლეთის ჰემორაგიული ცხელება — ამიერკარპატის ჰემორაგიული ცხელება, კორეის ჰემორაგიული ცხელება, ურალის ჰემორაგიული ცხელება, იაროსლავის ჰემორაგიული ცხელება, ჰემორაგიული ნეფრიტი, ჰემორაგიული ცხელება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უპირატესად მცირე სისხლ-ძარღვთა და კაპილარების დაზიანება, განსაკუთრებით თირკმლების, შემდგომში თირკმლების უკმარისობის განვითარებით.

შორიხის დაწევის სინდრომი — ანუ მენჯის ძირის კუნთების სისუსტე. ხშირად აღენიშნებათ 40—60 წლის ქალებს, რომელთა ანამნეზში არის ძალიან მშობიარობა. ამ სინდრომს თან ახლავს ფსიქიკური დეპრესია, პროლაპსის მოვლენები და სწორი ნაწლავის დაავადებები.

შოსიეს სიმპტომი — მწვავე ტკივილი ეპიგასტრიუმში. წინ უძღვის ორსულთა ეკლამფსიური გეჯყრას.

შოტლანდიური ტკიპის ენცეფალიტი — ცხვრის ენცეფალიტი შოტლანდიური, — ინფექციური დაავადება ტკიპის ვირუსული ენცეფალიტების ჯგუფიდან. იწვევს არბოვირუსები B ჯგუფის. დამახასიათებელია ადამიანის შემთხვევაში ორტალღიანი ცხელება მრავალობითი სინდრომებით დაავადების პირველ ფაზაში და მენინგოენცეფალიტით მეორე ფაზაში. ძირითადად გვხვდება დიდ ბრიტანეთში.

შოტლანდიური ენცეფალომიელიტი — იხ. შოტლანდიური ტკიპის ენცეფალომიელიტი.

შოუპის ფიბრომა — ბაკიის კანის ვირუსული სიმსივნე, ჩვეულებრივ განიცდის სპონტანურ გასრუტვას, გამოიყენება ექსპერიმენტულ ონკოლოგიაში.

შოუ-რიდის სინდრომი — მოზარდებში ძვლების განვითარების პროგრესირებადი გენერალიზირებული დარღვევა. ნიშნები: ხერხემლის მალების დაშლა, მენჯის ძვლების ფრაგმენტაცია, მრავლობითი მოტეხილობა, ტკივილი წელის არეში. მოგვიანებითი სპონტანური რემისია მოტეხილობათა შეხორცებით.

შოფარის ხამკუთხედი — მუცლის არე გამოყოფილი სხეულის შუა ხა-

ზით, ხაზით ჰიპიდან მარჯვნივ და ზევით 45°-ით და ჰორიზონტული ხაზით გატარებული ჰიპიდან 6 სმ-ით ზევით. ტკივილი ამ მიდამოში დამახასიათებელია პანკრეატიტისათვის. სინონიმი: შოფარ-რიევეს ზონა.

შოფარის სინდრომი I — სუბარაქნოიდალური სისხლჩაქცევის ეგრეთ წოდებული ტეტანური ფორმა. ელინდება კუნთების ტეტანური კონტრაქტურებით.

შოფარის სინდრომი II — სინონიმები: ტრუასიეს სინდრომი, ჰანოს დაავადება, ტრუასიე-ჰანო-შოფარის სინდრომი (იხ.).

შოფარ-ლერიშის კიბოს ფორმა — კუპუკანა ჯირკვლის სხეულისა და კუპის კიბო, მიმდინარეობს ძლიერი ტკივილით, მცირე კახექსიით და ძლიერად გამოხატული სისუსტით.

შოფარ-შინკოვსკი-გენსელნის დაავადება — სინონიმი: გენსელნის სინდრომი, ერბ-გენსელნის სინდრომი (იხ.).

შოფერ-რიევეს ზონა — სინონიმი: შოფარის სამკუთხედი.

შოუპის პაპილომა — ბაჭიის კანის პაპილომა, იწვევს შოუპის ვირუსი, ხშირად ხდება მალიგნიზაცია ბრტყელუჯრედიან კიბოში გადასვლით. გამოიყენება ექსპერიმენტულ ონკოლოგიაში.

შაანლანგ-ტაპეინერის სინდრომი — ფეხისგულ-ხელისგულის მემკვიდრეობითი კერატოზის ნაირსახეობა (საეჭვოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი). ნიშნები: კერატოზი ხელისგულზე მომრგვალო ძაბრისებრი გარქოვანების და ფეხისგულების დიფუზიით გარქოვანებით, გამოხატული ჰიპერჰიდროზი, აქერცლა, კერატიტი.

შაატცის სიმპტომი — სხეულის ერთი ნახევრის კუნთოვანი ტონუსის მომატება ცერებრალური ინსულტის დროს.

შაიგლერის სიმსივნე — კანის ცილინდრომა, კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც გამომდინარეობს საოფლე ჯირკვლების ეპითელიუმიდან ან თმის ფოლიკულებიდან. ძირითადად ლოკალიზდება თავის თმიან ნაწილებში.

შაიგლერ-ფენდტის სარკომატოზი — სინონიმები: ბეევრსტეტდის სინდრომი, კაპოში — შაიგლერის სარკომატოზი (იხ.).

შაიგლერ-ჰოფმანის სიმსივნე — კეთილთვისებიანი სიმსივნე. შეიძლება თანდაყოლილი ან განვითარდეს მექანიკური ტრავმის შედეგად. ლოკალიზაციის უხშირესი ადგილი თავის ქალას თმიანი ნაწილია. წარმოდგენილია მრავლობითი კვანძებით. კანის ფერი არ იცვლება. შესაძლებელია ავთვისებიანი გადაგვარება განმეორებითი ტრავმირების პირობებში.

შაილმაიერ-შტოკის სინდრომი — სინონიმები: ფოგტ-შაილმაიერის სინდრომი, შაილმაიერ-ფოგტ-ბატენის სინდრომი, შაილმაიერ-ფოგტის დაავადება (იხ.).

შაილმაიერ-ფოგტის დაავადება. — ახალგაზრდული ამაუროზული იდიოტია. ვლინდება 6—10 წლის ასაკში. პიგმენტური რეტინიტით, ინტელექტის დაქვეითებით, მოდუნებით, მეხსიერების დარღვევით, გამოხატული ვეგეტატიურ-ენდოკრინული დარღვევებით, არამუდმივი მოძრაობითი მოშლილობებით. სინონიმები: შაილმაიერ-ფოგტ-ბატენის ამაუროტიული იდიოტიის ფორმა, ანუ სინდრომი, შაილმაიერ-შტოკის სინდრომი.

შპილმაიერ-ფოგტ-ბატენის სინდრომი — სინონიმები: შპილმაიერ-ფოგტის დაავადება (იხ.), შპილმაიერ-შტოკის სინდრომი.

შპრანგერ-ვიდემანის სინდრომი — ჩონჩხის მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. ნიშნები: დისპროპორციული დაბალი სიმაღლე, ხერხემლის ანომალიები, გრძელი ლულოვანი ძვლების პროქსიმალურ ეპიფიზთა დისპლაზია, თეალის ანომალიები. სიმპტომები ვლინდება დაბადებისთანავე. სიმწიფისა და მოხუცებულობის ასაკში ხერხემლის დაზიანებულ ნაწილებში ვითარდება ოსტეოართროზი.

შრედერის სინდრომი — არტერიული ჰიპერტენზიის შერწყმა სიმსუქნესთან და საოფლე ჯირკვლების სეკრეტში ქლორ-ნატრიუმის შემცველობის შემცირებასთან. გაპირობებულია თირკმელზედა ჯირკვლის ქერქული ნივთიერების ფუნქციის მომატებით.

შრედერის ჰემორაგიული მეტროპათია — დიზოვარიული ჰემორაგიული დიათეზი, დიზოვარიული პურპურა, ჰემორაგიული მეტროპათია, ჰემორაგიული „იუვენილური" მეტროპათია. სინდრომს საფუძვლად უდევს საკვერცხეების ფუნქციური უკმარისობა და ჰიპოფიზის წინა წილის გონადოტროპული ფუნქციის დარღვევა. გვხვდება ახალგაზრდა ქალებში და მიმდინარეობს ქრონიკულად. კლინიკურად დამახასიათებელია საშვილოსნოდან სისხლდენა. მენსტრუაციის გახანგრძლივება 1—2 კვირამდე, რის გამოც ავადმყოფს უვითარდება ანემია. მკურნალობის საშუალებებიდან აღსანიშნავია პროგესტერონი, ქორიოგონინი, ფოლიკულინი.

შრედერის ფანტასტიკური ჰალუცინოზი — ჰალუცინოზი ენტეროცეპტიკური ჰალუცინაციების სიჭარბით, რომელთა შინაარსი ფანტასტიკურია.

შპრენგელის დაავადება — განვითარების ანომალია: მოკლე და ფართო ბეჭი, შემობრუნებული თავის საგიტალურ ღერძზე და მოცილებული გულმკერდის კედელს „ფრთების" სახით.

შრივერ-ბერნჰარდის რეფლექსი — პირამიდული გზების დაზიანებისას ქვემო კიდურთა დისტალურ ნაწილებზე ჩაქუჩის დარტყმის საპასუხოდ აღინიშნება თითების მოხრა.

შტადლერის სიმპტომი — გულ-მკერდზე წინა ნაწილში აღინიშნება კანის ვენების გულქანდას მიმსგავსებული გაფართოება. აორტის ანევრიზმისა და შუასაყრის სიმსივნის ნიშანია.

შტანგეს სინჯი — სინონიმი: შტანგე-გენჩის სინჯი (იხ.).

შტანგე-გენჩის სინჯი — ფუნქციური სინჯი — გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მდგომარეობის განსასაზღვრავად. გამოიხატება სუნთქვის უნებლიე შეჩერების მაქსიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრაში შესუნთქვის შემდეგ (შტანეს სინჯი — (იხ) ან მერე (გენჩის სინჯი).

შტარგარდტის დეგენერაცია ყვითელი სხეულის — ყვითელი ლაქის ჰაბუკური დეგენერაცია. ოჯახური — მემკვიდრეობითი ბადურის ორმხრივი დეგენერაცია, ვითარდება 8—15 წლის ასაკში. ახასიათებს ყვითელი ლაქის (ბადურის ლაქის) დაზიანება. ვლინდება მხედველობის სიმახვილის დაქვეითებით, ცენტრალური სკოტომის განვითარებით. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

შტაუბეს ფენომენი — ჰიპოგლიკემიის გაღრმავება და ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესება ხდება გლუკოზის შეყვანის შემდეგ გახანგრძლივებული ინსულინური (ჰიპოგლიკემიური) კომის დროს. გაპირობებულია ენდოგენური ინსულინის გაძლიერებული გამოყოფით.

შტეიდ-ალბერს-შენბერგის სინდრომი — ძვლების გაფანტული ოჯახური სკლეროზი. დამახასიათებელია სახსრების ტკივილი, ნევრალგია, რენტგენოლოგიურად ძვლების ცვლილებები — მრავლობითი მრგვალი ან ოვალური ფორმის გამკვრივებული უბნები, უპირატესი ლოკალიზაციით გრძელი ძვლების ეპიფიზებში. მათი ღერძი მიმართულია ძვლის ღერძის პარალელურად, კანზე შესაძლოა ფიბროზის მოყვითალო სიმეტრიული უბნების გაჩენა. ცნობილია, აგრეთვე ბუშკე-ოლენდორფორდის დისემინირებული ლენტიკულური დერმატოფიბროზის სახელწოდებით. ეტიოლოგია უცნობია.

შტეინბრინკის სინდრომი — ნივთიერებათა ცელის იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადება. ახასიათებს პიოგენურ-ინფექციური პროცესების მორეციდივე მიმდინარეობა, ზოგადი ჰიპოპიგმენტაცია, ალბინიზმი, ოფლიანობა, ჰეპატოსპლენომეგალია, ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია, გენერალიზებული ლიმფადენოპათია, რაც დაკავშირებულია გრანულოციტების ფუნქციის დარღვევასთან. ნეიტროფილებში არის გიგანტური სხივგადამტები გრანულომები. პროგნოზი მძიმეა. ავადმყოფი იშვიათად აღწევს ოცი წლის ასაკს. სინონიმები: შტეინბრინკ-ბეგუეზ-ცეზარის ანომალია, ჩედიაკ-ჰიგაშის სინდრომი ანუ დაავადება, ბეგუეზ-ცეზარის სინდრომი, შტეინბრიკ-ცეზარის სინდრომი.

შტეინბრინკ-ბეგუეზ-ცეზარის ანომალია — სინონიმები: ბეგუეზ-ცეზარის სინდრომი, ჩედიაკ-ჰიგაშის სინდრომი, შტეინბრინკის სინდრომი.

შტეინბრინკ-ცეზარის სინდრომი, ანუ დაავადება სინონიმები: შტეინბრინკის სინდრომი (იხ.), ბეგუეზ-ცეზარის სინდრომი, ჩედიაკ-ჰიგაშის სინდრომი, ანუ დაავადება.

შტეინის სინდრომი — გინეკოლოგიური დაავადება, ახასიათებს საკვერცხეების პოლიკისტოზი. კლინიკური ნიშნებია: ამენორეა, აციკლური სისხლდენა საშვილოსნოდან, ჰირსუტიზმი, სიმსუქნე, უნაყოფობა. სინონიმი: შტეინ-ლევენთალის სინდრომი.

შტეინ-ლევენთალის სინდრომი — სინონიმი: შტეინის სინდრომი (იხ.).

შტეინერის სინდრომი — შიზოფრენიისა და მემკვიდრეობითი ანომალიების თანაარსებობა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: სხეულის ცალკეულ ნაწილთა ცალმხრივი თანდაყოლილი გიგანტიზმი (განსაკუთრებით სახის), სინდაქტილია, კანისა და ფრჩხილების დისტროფია, მიკროცეფალია, კანის ემალის დისპლაზია, ჰიპოდონტია, ამბლიოპათია, ჰეტეროლოპია, შიზოფრენია.

შტეინერ-ფერნერის სინდრომი — მილიარული ანგიომატოზი, წერტილოვანი ტელეანგიექტაზიების შეუღლება სახის ერითემასთან. აღინიშნება შინაგან ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

შტეინერტის დაავადება — მემკვიდრეობითი (აუტოსომურ-დომინანტური) სნეულება, რომელსაც ახასიათებს: მიოტონია, ამიოტროფია, კატარაქტა. ამ ტრიადას შეიძლება დაემატოს: ნერვულ-ფსიქიკური (მყესოვანი

რეფლექსების დაქვეითება, გონებრივი დარღვევები); ენდოკრინული (სკლეროდერმიის ატროფია, გინეკომასტია, ეუთირეოდიული ჩიყვი), კანის (ნაადრევი სიჭაჩლე), კარდიული (ბრადიკარდია, კარდიომეგალია; რიტმისა და გამტარებლობის დარღვევა), სუნთქვითი და სხვა ხასიათის მოშლილობანი.

შტეინერტის სინდრომი — ახალგაზრდათა მიოტონური დისტროფია, ვლინდება 20—30 წლის ასაკში, იუვინილური კატარაქტით, ნაადრევი სიბერის მოვლენებით. ახასიათებს ჰიპოგონადიზმი, კანის და კუნთების ატროფია.

შტეინერტ-ბატენის დაავადება — იხ. შტეინერტ-ბატენ კურშმანის დაავადება.

შტეინერტ-ბატენ-კურშმანის დაავადება — მიოტონიკური დისტროფია. დამახასიათებელია სთაესლე ჯირკვლების ატროფია, კატარაქტა, კუნთების (განსაკუთრებით სახის) მიოტონია, თვალის შიდაწნევის დაქვეითება, ნაადრევი გამელოტება (დასაწყისი შუბლიდან), გოთური რბილი სასა, ყლაპვისა და მეტყველების მოშლა. თავის ქალას ძვლების გასქელება, მცირე ზომის თურქული კეხი, ფსიქიკის შეცვლა. ვლინდება ძირითადად საშუალო ან ხანშიშესულ ასაკის ასთენიურ აღნაგობის პირებში. ეტიოლოგია გაურკვეველია.

შტეინერტ-კურშმანის მიოტონია ატროფიული — ხასიათდება ერთი მხრივ მსუბუქად გამოხატული მიოტონური მოვლენებით მტევანსა და ენაში, მეორე მხრით კუნთთა ატროფიით. ატროფიას განიცდის მიმიკური (მიოპათური სახე), მკერდ-ლავიწ-დვრილისებური, მხრის სარტყლის, წინამხრის და მტევნის, იშვიათად პერონეალური ჯგუფის კუნთები. დამახასიათებელია მთელი რიგი ენდოკრინულ-ვეგეტატიური მოშლილობები (იმპოტენცია, ამონორეა, თმისა და კბილების ცვენა, სიმონდსის კახექსიის ტიპის სიგამხდრე, წყურვილისა და ნერწყვის დენის გაძლიერება და სხვ). ხშირად ატარებს ოჯახურ ხასიათს. წარმოადგენს ჰიპოთალამურ ჰიპოფიზური მიდამოს და თირკმელზედა ჯირკვლების პათოლოგიის (სიმსივნე, ცისტა) შედეგს.

შტეინმანის სიმპტომი — ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება მუხლის გარეთა როტაციის დროს, რომელიც მოხრილია სწორი კუთხით. შიგნითა მენისკის დაზიანების ნიშანი.

შტეიტაუერ-მარი-სენტონის სინდრომი — მსხვილი ძვლების თანდაყოლილი სისტემური განუვითარებლობა — თავის ქალის, მენჯის, ხერხემლის, ბარძაყის, ლავიწის. ეტიოპათოგენეზი უცნობია.

შტეიფის სინდრომი — სხვადასხვა ფერის ფერადი გარსი. თანდაყოლილი თავისებურება. რაიმე გავლენა მხედველობის სიმახვილეზე არა აქვს. ეტიოლოგია უცნობი. სინონიმი: ფუკსის სინდრომი.

შტელვაგის სიმპტომი — აღინიშნება ბაზედოვის დაავადების და პარკინსონიზმის დროს. ადგილი აქვს ზემო ქუთუთოს რეტრარქიის შეუღლებას არასრულ და იშვიათ თვალების ხამხამთან.

შტელცნერის თანდაყოლილი აკროანგიონევროზი — თანდაყოლილი აკროერითროზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი, გამოვლინდება ყრმობის

ბასკში ყურის, ნიკარების, სახისა და ხელის გულების მყარი ერითემითო, იხ. სინონიმი: ბეხტერევის ერითროზი.

შტეპელიწ-ფრიფეირო-ლევის სინდრომი — თავისა და თვალების შეტევითი ხასიათის უნებლიე კრუნჩხვითი დევიაცია — თვალები მიიმართება ზევით, თავი გადახრილია უკან. გულყრას თან ერთვის ნეიროვეგეტატიური მოვლენები და შიში; გრძელდება წამებიდან რამდენიმე წუთამდე. დამახასიათებელია ენცეფალიტური პარკინსონიზმისათვის.

შტერგე-ვებერის დაავადება — იხ. შტურგე-ვებერის დაავადება.

შტერნის სინდრომი — ხელისგულის კანის გაღიზიანებაზე ტაცებითი მოძრაობები ხელის მტევნის და ტუჩების წუწენითი რეაქციები. დიდი ტვინის შუბლის წილის დაზიანების ნიშანი მოპირდაპირე მხარეს.

შტერნბერგის დაავადება — ლიმფოსარკომის გენერალიზებული ფორმა. ხასიათდება ლიმფური კვანძების მრავლობითი დაზიანებით, რასაც შემდგომ თან სდევს პროცესში ღვიძლის და ელენთის ჩათრევა. სინონიმი: კუნდრატის დაავადება.

შტერნბერგის რეფლექსი — ტერფის გარეთა რეფლექსი — პათოლოგიური რეფლექსი: ტერფის თითების ფეხისგულისკენ მოხრა მის გარეთა ზედაპირზე საქიმო ჩაქუჩის დარტყმის პასუხად. სინონიმი: მენდელ-ბეხტერევის სიმპტომი.

შტერნბერგის სიმპტომი I — მხრის სარტყელში შემავალი კუნთების მცირე რიგიდობა და მტკივნეულობა ცალმხრივ, ფილტვების ტუბერკულოზის ადრეული ნიშანი.

შტერნბერგის სიმპტომი II — მტკივნეულობა წვრილი ნაწლავის ჯორჯლის მიმართულებით. მეზადენიტის ნიშანი (შეიძლება აღინიშნოს ასევე ქრონიკული ენტერიტის დროს).

შტერნბერგის სიმპტომი III — აღინიშნება მტკივნეულობა და რიგიდობა გულ-მკერდის დიდი კუნთების პალპაციის დროს. მშრალი პლევრიტის კლინიკური ნიშანია.

შტერნბერგის უჯრედები — ორ ან მრავალბირთვიანი დიდი უჯრედები. აღინიშნება ლიმფოგრანულომატოზის დროს დაზიანებულ ლიმფურ უჯრედებში. სინონიმები: ბერეზოვსკი-შტერნბერგის უჯრედები, რიდ-შტერნბერგის უჯრედები.

შტერნჰეიმერ-მალბინის უჯრედები — სეგმენტბირთვიანი ნეიტროფილური გრანულოციტები გადიდებული ორჯერ, რომელთა ციტოპლაზმა იღებება საფრონინისა და გენციანვიოლეტის სპირტიანი ხსნარით მკრთალ-ისფრად, ბირთვები კი — მუქად. მათი გამოელინება ხდება დილის შარდის ნალექში პიელონეფრიტის დროს.

შტერცის სიმპტომი — ტვინის სისხლძარღვების სკლეროზის დროს ტვინის ფუნქციის პერიოდული მერყეობა, რომელიმე კიდურის სწრაფად გარდამავალი პარეზი და მეტყველების დროებითი დაკარგვა. დიდი ხანი მიმდინარეობს ფიზიკური სრულყოფის დარღვევის გარეშე.

შტიკერის სიმსივნე — ტრანსმისიური ვენერიული სარკომა — ვენერიული სარკომა — ძაღლის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნე, შედგება რეტიკულოენდოთელიური უჯრედებისაგან, გადაიცემა სქესობრი-

ვი გზით. გამოიყენება როგორც მოდელი ექსპერიმენტულ ონკოლოგია ში.

შტილის დაავადება ანუ მოტეხილობა — რბილ ქსოვილთა კალციფიკაცია ბარძაყის ძვლის ირგვლივ ჩვეულებრივ მუხლის ტრავმის შემდეგ. ნიშნები: ტკივილი და შეშუპება ბარძაყის ძვალზე, რომელიც ძლიერდება სიარულის დროს. რენტგენოლოგიურად ბარძაყის ძვლის ტიბიალურ მხარეზე მცირე ზომის ძვლის შედრეკილი ჩრდილი, ეპიფიზის დიაფიზში გადასვლის ადგილზე. სინონიმები: პელეგრინ-შტილის დაავადება, შტილ-პელეგრინის სინდრომი, კეპლერ-პელეგრინ-შტილის დაავადება.

შტილ-პელეგრინის სინდრომი — სინონიმები: შტილის დაავადება (იხ.) ანუ შტილის მოტეხილობა, კეპლერ-პელეგრინ-შტილის დაავადება.

შტილერის დაავადება — შტილერის სინდრომი, შტილერის ასთენია, კონსტიტუციური ანომალიის ნაირსახეობა, ნიშნები: მაღალი სიმაღლე, ვიწრო გულმკერდი, გრძელი კისერი, ჰიპოტონიური კუნთები, მკრთალი კანი, წვეთოვანი გული, სპლანქნოპტოზი, შემაერთებელი ქსოვილის სისუსტე (განსაკუთრებით მყესების), ბრტყელტერფიანობა, ვენების ვარიკოზული გაფართოება, თიაქრები.

შტილერის სახე — შტილერის ჰაბიტუსი, შტილერის შესახედაობა, ეგრეთ წოდებული პარალიზირებული (დადამბლავებული) გულმკერდი, ტოტალური ასთენია. დამახასიათებელია ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, ასთენიკებისათვის, რომელთაც აქვთ ენტერპტოზი მოძრავი თირკმლით. გულმკერდი ამ დროს არის გრძელი, ბრტყელი, მახვილი ეპიგასტრალური კუთხით. ხშირად პირებს ასეთი გულმკერდით არასამართლიანად აუცილებლად ტუბერკულოზით დაავადებულად მიიჩნევენ.

შტილინგ-ტიურკ-დუენის სინდრომი — თვალის გუგის თანდაყოლილი რეტრაქციის სინდრომი, უფრო ხშირად თვალის გუგის კუნთების ცალმხრივი დამბლა, ვლინდება მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით და თვალის უკან გაწევით (რეტრაქციით), ხშირად შეუღლებულია განვითარების სხვა ანომალიებთან. სინონიმი: დუენის სინდრომი.

შტილ-ჰარტშორნის სინდრომი — ნეიროცირკულარული ასთენიის კარდიოვასკულარული ფორმა.

შტირლინის სიმპტომი — ბარიუმის ფაფის მიღების 5—6 საათის შემდეგ საკონტრასტო ნივთიერება იმყოფება თეძოს ნაწლავის ბოლო მარყუჟებში, ხოლო ფაფის მნიშვნელოვანი ნაწილი არის განიავოლიანი ნაწლავის საწყის მესამედში. ამ სეგმენტებს შორის საკონტრასტო ნივთიერება არ არის. სინონიმები: „ნახტომის“ სიმპტომი. ილიოცეკალური მიდამოს ტუბერკულოზური დაზიანების სიმპტომი.

შტიერმერ-შტურგე-ვებერ-კრაბე-პარკეს-ოსლერ-დიმიტრის დაავადება— ხასიათდება სახის და ლორწოვანას ცალმხრივი თანდაყოლილი, სისხლძარღვოვანი ხალის არსებობით, თვალის რეტინის ანგიომით, გლაუკომით, ეპილეფსური სინდრომით, პარეზებით, ფსიქიკური მოვლენებით, ენდოკრინული სისტემის განუვითარებლობით.

შტიტაუერ-მარი-სენტონის სინდრომი—თავის ქალას, მენჯის ბარძაყის, ხერხემლის, ლავიწისა და სხვა ძვლების თანდაყოლილი სისტემური

განუკითარებლობა. გვხვდება ორთავე სქესის წარმომადგენლებში. ეტიოპათოგენეზი უცნობია.

შტიფმანის სინდრომი — კუნთების პროგრესირებადი რიგიდობა, ვლინდება 50 წლის ასაკის შემდეგ, წერტილოვანი მიოსკლეროზი, პერიოდული მტკივნეული კრუნჩხვების შედეგად. რიგიდობამ შეიძლება გამოიწვიოს ხერხემლის და კიდურების დეფორმაცია. კუნთი მკვრივდება. ელექტრომიოგრამა ნორმიდან არ იხრება, ნერვულ სისტემაში ძვრები არ აღინიშნება. პათოლოგიურად — ცელილებები არის კუნთების ბოჭკოებში, პიგმენტის არასწორი განაწილება, განივზოლიანობის გაქრობა. სინდრომი გვაგონებს კრუნჩხვების მტკივნეულ შეტევას, ქრონიკულ ტეტანუსს, კუნთების შეკუმშვა შეიძლება იყოს ისეთი ძლიერი, რომ მოხდეს ძვლის გადატეხვა.

შტოდტმეისტერის ლეიკოციტების ანომალია — სისხლის მემკვიდრეობითი დაავადება. ხასიათდება მხოლოდ მრავალფეროვანი გრანულოციტოზური ნეიტროფილებით, მათ აქვთ ზღვის უბის ჩაღრმავება და ფოჩიანი ბირთვები ნაზი ქრომატინული ძაფებით, რომლებიც გამოდიან აქედან ციტოპლაზმაში.

შტოფერის სინდრომი — თირკმლის სიმსივნით (ჰიპერნეფრომა) ავადმყოფებში ღვიძლის ფუნქციების დარღვევა. ნიშნები: ანორექსია, სისუსტე, სიგამხდრე, ჰიპოტენზია, ღვიძლის გადიდება, უფრო იშვიათად ელენთის გადიდება, ტუტე ფოსფატაზის აქტიობის მომატება, ალბუმინების დონის დაკლება და ალფაორი გლობულინების მომატება სისხლში, დადებითი რეაქცია ბრონსულფანილზე. სიმსივნის მოცილების შემდეგ ყველა ნიშანი ქრება.

შტრანსკი-რიგელის სინდრომი — მემკვიდრეობითი ჰემოლიზური ანემიის ნაირსახეობა. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ავადმყოფობენ უპირატესად მალაიელები. ჰემოლიზური ანემია ეითარდება ბავშვებში. ამას ემატება სიყვითლე, სპლენომეგალია, ურობილინოგენურია, ჰიპოქრომული მიკროციტული ანემია, ერითრობლასტოზი, ზომიერი რეტიკულოციტოზი.

შტრაუბ-ტრაუბოტის სინჯი — სინჯი გლუკოზის ორმაგი დატვირთვით — კუშუკანა ჯირკვლის ინკრეტორული ფუნქციის შეფასების მეთოდი. მდგომარეობს გლუკოზის ხსნარის ორჯერად შიგნით მიღებაში (ინტერვალით 90 წუთში) და სისხლში გლუკოზის განსაზღვრაში: პირველ მიღებამდე და შემდგომ სამი საათის განმავლობაში ყოველ ნახევარ საათში.

შტრაუსის პარაამილოიდოზი — სისტემური ამილოიდოზი. პათოლოგიური ცელილებები ძირითადად გვხვდება ენის კუნთებში, პირის ღრუს და საკმლის მომნელებელი ტრაქტის ლორწოვან გარსში, ჩონჩხის კუნთებსა და გულის კუნთებში. ადრეული ნიშანია ენის მნიშვნელოვანი გაზრდა (მაკროგლოსია), მისი მტკივნეულობა და დამახასიათებელი შესახედაობა. ცელილებები კანში მოგვაგონებს ცელილებებს შემოფარგლული სკლეროდერმის ან ლორწოვანის შემოფარგლული შეშუპების დროს. სინონიმი: დეგას ამილოიდოზი.

შტრაუსის პარადოქსული პროკტოსტაზი — სწორი ნაწლავი სრულა-

და დახურული ფანაურული ქვებით, რომელშიც არის ცენტრალური არხი და რომლიდანაც გამოდის მხოლოდ თხიერი მასები.

შტრაუსის ხიმპტომი — სახის ნერვის დაზიანების დროს ოფლის გამოყოფის მნიშვნელოვანი შემცირება დადამბლავებულ მხარეზე პილოკარპინის შეყვანის პასუხად. ნიშანი, რომელიც იძლევა საშუალებას გაკეთდეს დიფერენციაცია სახის ნერვის პერიფერიული დაზიანებისა ცენტრალურისგან.

შტრაუსის სინდრომი I — იხ. შტრაუსის პარაამილოიდოზი.

შტრაუსის სინდრომი II — კანის, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის სისხლძარღვთა ალერგიული გენეზის ანთებითი გრანულომატოზი. კლინიკურად აღსანიშნავია მსგავსება კვანძოვან პერიარტერიიტთან.

შტრეიფის სინდრომი — სხვადასხვა ფერის ფერადი გარსი. თანდაყოლილი თავისებურება. რაიმე გავლენა ნორმალურ მხედველობაზე არა აქვს. ეტიოლოგია უცნობი სინონიმი. ფუკსის სინდრომი.

შტრელინის ხიმპტომი — სინკინეზიის სახით უნებლიე მოძრაობა ჰემიპლეგიის დროს.

შტრუბინგ-მარკიაფავას დაავადება — ღამის პაროქსიზმული ჰემოგლობინურია — დაავადება ვითარდება სომატური მუტაციის შედეგად ღეროვან უჯრედებში, რასაც მივყავართ ერითროციტების ანომალიური პოპულაციების წარმოშობამდი. მათ ახასიათებს უჯრედული მემბრანის მომატებული მგრძნობელობა კომპლემენტისადმი. გამოვლინდება მუდმივი სისხლძარღვთა შიგნითა ჰემოლიზით, რომელიც ზოგჯერ ძლიერდება უფრო ხშირად ღამით) ჰემოგლობინურიის წარმოშობამდე. სინონიმები: ჰარლეს დაავადება, მარკიაფავა-მიკელის დაავადება, მარკიაფავა-ნაზარის დაავადება.

შტრუმპელის დაავადება — სინონიმები: ბეხტერევის დაავადება, ბეხტერევ-შტრუმპელ-მარის დაავადება, შტრუმპელ-ბეხტერევ-მარის დაავადება.

შტრუმპელის ხინდრომი — ხასიათდება ქვედა სპასტიკური პარაპარეზით, კუნთთა ტონუსის მკვეთრი მომატებით, ჰიპერეფლექსიითა და პათოლოგიური რეფლექსებით. აქტიურ მოძრაობას თან ახლავს კრუნჩხვა ან სინკინეზია. გვხვდება 3—20 წლის ასაკში. ეკუთვნის მემკვიდრეობით ოჯახურ დაავადებათა ჯგუფს.

შტრუმპელის სპასტიკური პარაპლეგია — ნერვული სისტემის მემკვიდრეობით — ოჯახური ქრონიკული პროგრესირებადი დაავადება. დამახასიათებელია ცენტრალური ქვედა პარაპარეზის განვითარება, ისე რომ მენჯის ორგანოთა ფუნქციები შენახულია. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული და დომინანტური.

შტრუმპელის ტიბიალური ფენომენი — ტერფის უნებლიე ტიბიალური მოხრა ავადმყოფის ცდის დროს მოხაროს პარეზული ფეხი მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში. პათოლოგიური სინკინეზია. აღინიშნება ცენტრალური ჰემიპარეზის დროს.

შტრუმპელ-ბეხტერევ-მარიხ დაავადება — სინონიმები: ბეხტერევის და-

ბადება (იხ.), შტრუმპელის დაავადება, ხეხტერევ-შტრუმპელ-მარის დაავადება, ხეხტერევ-შტრემპელ-მარის დაავადება.

შტრუმპელ-ლაიხტენშტერნის ენცეფალიტი — ჰემორაგიული მენინგოენცეფალიტი, პირველადი ჰემორაგიული მწვავე ენცეფალიტი — მენინგოენცეფალიტი ინფექციურ-ალერგიული ბუნების, ახასიათებს მრავლობითი სისხლჩაქცევები თავის ტვინსა და მის გარსებში, მძაფრი დაწყება და მიმდინარეობა, კომატოზური მდგომარეობა, თავის ტვინის ღეროს დაზიანების ნიშნები, ცერებროსპინალურ სითხეში სისხლი. ყველაზე ხშირად ბწვევს გრიპის ვირუსი. სინონიმი: ლაიხტენშტერნის სინდრომი.

შტრუმპელ-ლორენის სინდრომი — შტრუმპელის სინდრომის კლინიკურ ნიშნებს თან ერთვის კოორდინაციისა და მგრძნობელობის მოშლა, შეიძლება ადგილი ექნეს ასევე ნისტაგმს და მხედველობის ნერვის ატროფიას. ეკუთვნის მემკვიდრეობით — ოჯახურ დაავადებათა ჯგუფს.

შტუმერიხ სინდრომი — პოსტოპერაციული მაობლიტირებელი სკლეროზული ბალანიტი. სასქესო ორგანოს თავის ატროფიული ცვლილებები. გვხვდება ასოზე ოპერაციების შემდეგ; როცა ამის მიზეზი მორეციდიული ანთებაა, ეწოდება დელბანკოს სინდრომი.

შტურგე-ვებერის დაავადება — ენცეფალოტრიგემინული ანგიომატოზი, ნეეროიდული ამენცია, თავდაყოლილი ნეიროექტოდერმული დისპლაზია, ნეიროკუტანული სინდრომი, ნერვული სისტემის თანდაყოლილი ანგიომატოზი. გამოვლინდება ეპილეპტიფორმული გულყრებით და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დარღვევებით, გლაუკომით, სისხლძარღვოვანი ნევუსებით სამწვერა ნერვის ტოტების გაყოლებით. სინონიმები: ბრაშფილდ-უაეტის სინდრომი, კრაბეს სინდრომი, სტერე-ვებერის დაავადება, სტერე-ვებერ-კრაბეს სინდრომი.

შტურგე-ვებერ-დიმიტრის სინდრომი — სინონიმები: შტურგე-ვებერ-ოსლერ-დიმიტრის დაავადება, შტურგე-ვებერის დაავადება, მილის სინდრომი.

შტურგე-ვებერ-ოსლერ-დიმიტრის დაავადება — სინონიმები: შტურგე-ვებერ-დიმიტრის სინდრომი, შტურგე-ვებერის დაავადება (იხ.), მილის სინდრომი.

შტურგე-ვებერ-კრაბის დაავადება — სინონიმები: პარკეს-ვებერ-ოსლერ-დიმიტრის დაავადება, შტურგე-ვებერ-დიმიტრის სინდრომი, შტურგე-ვებერის დაავადება, მილის სინდრომი.

შუაზიური ცხელება — ქუ-ცხელება, ავსტრალიური დაავადება, ოლიმპიური ცხელება. პნევმორიკეტსიოზი — მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზების ჯგუფიდან. გადაეცემა პაეროვან-წვეთოვანი, ალიმენტური ან კონტრაქტური გზით. ახასიათებს რეტიკულოენდოთელიური სისტემის დაზიანება, ინტოქსიკაცია, ცხელება, ხშირად ინტერსტიციული პნევმონია. სინონიმები: დერიკის დაავადება, დერიკ ბერნეტის დაავადება, ბერნეტის დაავადება.

შუაწილის სინდრომი — მარჯვენა ფილტვის შუა წილის რენტგენოლოგიური ჩრდილის შემცირება და გამკვრივება. ტერმინი გამოიყენება რო-

გორც წინასწარი რენტგენოლოგიური დიაგნოზი, იმ შემთხვევებში როცა საჭიროა მისი შემდგომი დაზუსტება.

შუბლის შიგნითა ჰიპეროსტოზის სინდრომი — ფრონტალური ჰიპეროსტოზი, დაავადება გვხვდება მხოლოდ ქალებში და ხასიათდება შუბლის ძვლის შიგნითა ფირფიტის ჰიპეროსტოზით, ვირილიზმით, სიმსუქნით, ამენორეით. სინონიმები: მორგან-ჰენშერის სინდრომი, მორგანის დაავადება, ანუ მორგანის სინდრომი, ანუ მორგანის ტრიადა, მორელის სინდრომი, სტიუარტ-მორელის სინდრომი, სტიუარტ-გრიგ-მორელის სინდრომი, აშარ-ტიერის სინდრომი, მორგან-სტიუარტ-მორელის სინდრომი.

შუბლ-ბაზალური სინდრომი — მხედველობის ნერვის ერთ თვალზე პირველადი ატროფიის შერწყმა მეორე თვალის შეგუებით დერილთან. ადგილი აქვს თავის ქალას პათოლოგიური პროცესების დროს (სიმსივნე, არაქნოიდიტი, ანევრიზმა), რასაც თან ახლავს მხედველობის ნერვის ცალმხრივი კომპრესია თავის ქალაში წნევის მომატებით. სინონიმები: ჰოვერს-პატონ-კენედის სინდრომი, კენედის სინდრომი, ფოსტერ-კენედის სინდრომი.

შუგარის პიგმენტური გლაუკომა — პიგმენტური გლაუკომა, ღია კუთხოვანი გლაუკომა, შეპირობებული თვალის დრენაჟული აპარატის დახშობით პიგმენტის ნაწილებით, რომლებიც წარმოიქმნება დეგენერაციული პროცესებით პიგმენტურ ეპითელიუმში.

ულმანის სინდრომი — მიეკუთვნება შემაერთებელი ქსოვილის დიფუზურ დაავადებათა ჯგუფს. ხასიათდება წვივის და წინამხრის დაზიანებით, ცელილებებით კანის მხრივ. ჰისტოლოგიურად ხდება ფასციის გასქელება და ფიბროზი, ანთებითი პერივასკულური ინფილტრაცია ლიმფოციტებით, პლაზმოციტებით და ეოზინოფილებით.

შულტც-ჩარლტონის ფენომენი — გამონაყარის ჩაქრობის ფენომენი — ქუნთრუშის დროს კანის გამონაყარის გაფერმკრთალება ანტიტოქსიკურ შრატის კანში შეყვანის ადგილას. გამოიყენება ქუნთრუშის დიფერენციული დიაგნოზისათვის. სინონიმი: ჩარლტონის ფენომენი.

შულცის დაავადება — სინდრომი, ანუ მონაცრისფრო ანგინა — ინფექციური მონონუკლეოზი, აღინიშნება ანგინა, ფებრილიტეტი, ლიმფური კვანძების სისტემური გადიდება, ელენთის გადიდება. ლეიკოციტოზი ლიმფოციტოზით, პლაზმოციტური უჯრედებით. დადებითია პაულ-ბრუნელის რეაქცია (იხ), ეტიოლოგიას უკავშირებენ ვირუსს. სინონიმები: პფეიფერის სინდრომი, ტურკის ლიმფოციტოზი, ფილატოვის დაავადება.

შულტცის სიმპტომი — სახის კუნთების შეკუმშვა, რომელიც აღმოცენდება ლოყაზე მსუბუქი ზედაპირული დარტყმით. ტეტანუსის ნიშანია.

შუმლიანსკი-ბოუმენიხ კაფსულა — თირკმლის გორგლის კაფსულა-ნეზრონის საწყისი ნაწილი, რომელსაც აქვს ფინჯნის ფორმა და რომლის კედელი შედგება შინაგანი და გარეგანი ეპითელური ფურცლებისაგან მათ შორის არსებული ნაპრალოვანი ფოსოებით. სინონიმი: ბოუმენის კაფსულა.

შუპლიხ სინდრომი — პარადონტოზის თანხვედრა ფრჩხილების დისტროფიასთან. ნიშნები: ხელისა და ფეხის ფრჩხილებს დაკარგული აქვთ

სიბრწყინვალე, მასში ჩნდება თეთრი ლაქები, ფრჩხილები ცვივა, მძიმე პარადონტოზი კბილების დაცვენით. დამახასიათებელია რემისიებისა და რეციდივების მონაცვლეობა, ედს მომატებულია, სიდეროპენია, გინეკოტროპიზმი.

შურიგინის რეფლექსი—ლოკოკინა გუგის რეფლექსი, გუგის კობლეარული რეაქცია, გუგის ოტოგენური რეაქცია, კობლეოპუპილური რეფლექსი — გუგის რეფლექსი, გუგის სწრაფი დავიწროება მისი შემდგომი ნელი გაფართოებით, რომელიც წარმოიშობა უცაბედად ძლიერი ხმით ზემოქმედებისას.

შჩერბაკის გალვანური საყელო — გალვანური დენით სეგმენტურ-რეფლექსურად ზემოქმედების მეთოდი, რომლის დროსაც აქტიური ელექტროდი განლაგებულია კისრის ქვედა ნაწილსა და ტანის ზედა ნაწილზე („საყელო ზონა"), ხოლო ინდიფერენტული ელექტროდი ბევრად დიდ ფართობით, წელის მიდამოში.

შჩერბაკის იონური რეფლექსი — გულის ფუნქციური მდგომარეობის ცვლილება, გამოწვეული მარჯვენა მხარის კანზე გალვანური დენის ზემოქმედებით და მისი გამოყენებით სამკურნალო საშუალებათა იონების შეყვანა.

შჩოტკინ-ბლუმბერგის სიმპტომი — მუცელში ტკივილის გაძლიერება, როცა მუცლის ფარიდან სწრაფად ვიღებთ ხელს, რომლითაც მანამდე მსუბუქი ზედაჭერით ვაწარმოებდით პალპაციას. პერიტონიტის ნიშანი. სინონიმი: ბლუმბერგის ნიშანი.

ჩაგახის დაავადება — სინონიმი: შაგასის დაავადება. (იხ.).

ჩადოკის რეფლექსი — ფეხის დიდი თითის გაშლა ფეხისგულის გარეთაწინა ნაწილის ხაზობრივი გაღიზიანებისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს.

ჩაკლინის სიმპტომი I — კუნთოვანი მუფთის არსებობა ხერხემლის რკალის გამოდრეკილი ნაწილის გაყოლებით სკოლიოზის დროს, გამოწვეულია ხერხემლის ტორსიით.

ჩაკლინის სიმპტომი II — ბარძაყის მედიალური ფართო კუნთის ატროფია მუხლის სახსრის მედიალური მენისკის დაზიანების დროს.

ჩანდრა-კეტარპალის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილი ანომალიები: ორმხრივი ბრონქოექტაზიები, ქრონიკული ჰაიმორიტი შუბლის წიაღის აპლაზიით. კარტაგენერის (იხ.) სინდრომისაგან განსხვავებით, აქ არ არის დექსტრაკარდია.

ჩაკლინ-ლიაშუცის ვულვის მწვავე წყლული—ვულვის მწვავე წყლული, ფსევდოვენერიული წყლული — ქალის გარეთა სასქესო ორგანოს მწვავე დაავადება. გამოწვეულია დიდერლეინის ჩხირების მიერ ორგანიზმის სენსიბილიზაციით. ვითარდება მრავლობითი ჩირქოვანი წყლულები გარეთა სასქესო ორგანოთა ლორწოვან გარსზე.

ჩარლინის სინდრომი — ცხვირის ნერვის სინდრომი, ცხვირ-წამწამის ნერვის სინდრომი — თვალის მედიალურ კუთხეში ტკივილის შეტევის შერწყმა ცხვირის მედიალურ ნაწილში ტკივილსა და შეშუპებასთან, ჰიპერესთეზიასთან, კონიუნქტივის ჰიპერსეკრეციასთან, სკლერების ღრმა ინფი-

ცრემლასთან, ირიდოციკლიტთან, კერატიტთან და ჰიპოპიონთან. შეხორცებულია ცხვირ-წამწამის ნერვის დაზიანებით.

ჩარლტონის ფენომენი — გამონაყარის ჩაქრობის ფენომენი — ქუნთრუშის დროს კანის გამონაყარის გაფერმკრთალება ანტიტოქსიკური ანტისტრეპტოკოკური შრატის კანში შეყვანის ადგილას. გამოიყენება ქუნთრუშის დიფერენციული დიაგნოზისათვის. სინონიმი: შულტც-ჩარლტონის ფენომენი.

ჩარჯ-სტრაუსის სინდრომი — ალერგიული ანგიიტისა და გრანულომატოზის მდგომარეობა. კლინიკურად ვლინდება როგორც ბრონქული ასთმა გამოხატული ეოზინოფილიითა და სისტემური ვასკულიტით.

ჩაჩუმების ფენომენი — მოულოდნელი, უცაბედი სრული ან ნაწილობრივი სპონტანური გაქრობა ფსიქოზის სიმპტომებისა.

ჩაჩქანის სიმპტომი (რუს. კასკა)—ნევრასთენიული სიმპტომი. მეტალური ჩაჩქანით ან გვირგვინით თავზე მოჭერის გრძნობა. აღინიშნება ნევრასთენიის დროს. სინონიმი: შარკოს სიმპტომი III.

ჩაჯდომის სიმპტომი—ავადმყოფს არ შეუძლია წამოდგომა ჩაცუცქულ მდგომარეობიდან — ფეხების პროქსიმალურ ნაწილთა სისუსტის გამო. აღინიშნება თირეოტოქსიკოზის, მიოპათიის, პოლირადიკულონევრიტის დროს. სინონიმი: შერეშეესკის სიმპტომი.

ჩედიაკ-შტეინბრიკ-ჰიგაშის ლეიკოციტების ანომალია — იხ. შტეინბრინკის სინდრომი.

ჩედიაკ-ჰიგაშის სინდრომი, ანუ დაავადება — სინონიმები: შტეინბრინკის სინდრომი, (იხ.) ბეგუეზ-ცეზარის სინდრომი, შტეინბრიკ-ცეროზის სინდრომი ანუ დაავადება.

ჩეინ-სტოკსის სუნთქვა — ზედაპირული და იშვიათი სუნთქვითი მოძრაობები თანდათანობით ხშირდება, ღრმავდება და აღწევს რა მაქსიმუმს, ისევ სუსტდება და იშვიათდება. შემდეგ კი დგება პაუზა. ნორმალურ მდგომარეობაში არაიშვიათად აღენიშნებათ უმცროსი ასაკის ბავშვებს, იშვიათად მოზრდილებს ძილის დროს. ჩეინ-სტოკსის პათოლოგიური სუნთქვა აღმოცენდება თავის ქალაში წნევის მომატებისას, გულის უკმარისობისას, სხვადასხვა მოწამვლის დროს და სხვ.

ჩელაბიტის სინდრომი — ვითარდება ფილტვების რეზექციის შემდეგ; როგორც მარჯვენა ჰემოთორაქსიის და მარჯვენა ფილტვის ქვედა წილის მოცულობის შემცირების შედეგი. ვითარდება ბრონქოთორაკალური ფისტულა. რამდენიმე წლის შემდეგ ყალიბდება გართულებები, ნაწლავთა გადაადგილება, ტკივილი მუცელში ანორექსია, მუცლის ბერვა და სხვ.

ჩენდერის სინდრომი — გარეთა ყურის ანთების დროს განვითარებული ნევროლოგიური გართულება. გარეთა სასმენი მილის ანთებას ზოგჯერ თან სდევს საფეთქლის ძვლის მანეკროზებელი ოსტიტი და ანთების გადასვლა ქალას ფუძეზე. ნიშნები: ყურის ტკივილი, ჩირქოვანი ან სეროზული გამონადენით, იმავე მხარეს სახის ნერვის დამბლა, სახის შეშუპება, ყბაყურა ჯირკვლის შესივება და მტკივნეულობა, ტრიზმი, თავის ტვინის მე-6, მე-9, მე-10, მე-11 წყვილი ნერვების დამბლა, მაღალი ტემპერატურა

და ბოლოს მენინგიტი. სახის ნერვის დამბლა ითვლება ერთ-ერთ წაადრევ სიმპტომად.

ჩერის დაავადება — კურდღლის ცხელება, კურდღლის დაავადება, იწვევს ტულარენსის ბაქტერია, რომლის რეზერვუარი ძუძუმწოვრებია (განსაკუთრებით კურდღელი), გადამტანები კი სხვადასხვა ფეხსახსრიანები. ადამიანზე გადატანა ხდება დაზიანებული კანიდან და ლორწოვანიდან, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ტრაქტით, სასუნთქი გზებით. კლინიკური ფორმებია: ბუბონური, თვალ-ბუბონური, ანგიოზური, აბდომინური და ფილტვისმიერი. პრაქტიკულად დიაგნოზისათვის მნიშვნელოვანია სეროლოგიური და კანშიდა რეაქციები. სინონიმები: ფრენსისის დაავადება, პერინოს დაავადება.

ჩერმაკის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: მაჯის შენელება 10 დარტყმით 1 წუთში, როცა ვაწვებით კისერში ქვედა ყბასთან ცდომილ ნერვს, მისი გაელის ადგილას.

ჩერნის სიმპტომი — შესუნთქვისას მუცლის ფარის ჩაწევა და დიაფრაგმის აწევა, აღენიშნებათ ბავშვებს მცირე ჭორეის დროს.

ჩერნოგუბოვის დაავადება — ქვემწვავე სეპტიკური ენდოკარდიტი, ბაქტერიული ქვემწვავე ენდოკარდიტი, გახანგრძლივებული სეპტიკური ენდოკარდიტი, სეფსისის ფორმა, გამოწვეული მომწვანო სტრეპტოკოკით. დამახასიათებელია მეპეპოვან-წყულოვანი ენდოკარდიტის განვითარება, ძირითადად აორტის სარქველზე, გახანგრძლივებული, მძიმე მიმდინარეობა, სხვადასხვა ორგანოებში ემბოლიებისა და ინფარქტების განვითარება, კეროვანი გლომერულონეფრიტი, სპლენომეგალია, პროგრესირებადი ანემია.

ჩერნოგუბოვის პიოდერმია — ქრონიკული წყულოვანი ვეგეტატიური პიოდერმია. განეკუთვნება შერეულ პიოდერმიათა რიცხვს და ხასიათდება პუსტულოზური გამონაყარის ვრცელი უბნებით, რომლებიც ერთმანეთშია შერწყმული. პუსტულები დაფარულია ქერქით, მის ქვეშ მიმდინარეობს დაწყულება პაპილომატოზური ზრდით.

ჩერნოგუბოვის სინდრომი — შემაერთებელი ქსოვილის მემკვიდრეობითი პათოლოგია. მისი სიმპტომოკომპლექსია სახსართა ჰიპერმოძრაობა, ხშირი ამოვარდნილობა, კანის ელასტიკურობის მომატება, სისხლძარღვთა დაშლა, კანის მსხვრევადობა, კუნთების ჰიპოტონია. იხ. სინონიმები: ელერს-დანლოსის სინდრომი, ბეკერენ-ელერს-დანლოსის სინდრომი, ლეგერის მეზენქიმატოზური ელასტიკური ფიბროდისპლაზია და თანდაყოლილი მეზენქიული დისტროფია.

ჩიარის სინდრომი — იხ. კიარის სინდრომი.

ჩიბუხის სიმპტომი — იალქნის სიმპტომი — კომატოზურ მდგომარეობაში ყოფნისას სუნთქვის ტაქტისამებრ ავადმყოფის მიერ ლოყის პასიური გამობერვა. აღინიშნება თავის ტვინში ინსულტის დროს — დაზიანების კერის მოპირდაპირე მხარეს.

ჩიბუხის ფენომენი — ნაწლავის მეზობელი უბნების ლოკალური შევიწროება და გაფართოება. კრონის დაავადების რენტგენოლოგიური ნიშანი.

ჩიკუნგუნიას ცხელება — მწვავე ინფექციური დაავადება ტროპიკულ

კოღოსმიერი ცხელებიდან, იწვევს იმავე სახელწოდების „ა" ჯგუფის არბოვირუსი. ახასიათებს მეტად მწვავე ტკივილი სახსრებში, ორტალღოვანი ცხელება, მეორე ტალღის პერიოდში დამახასიათებელია მაკულურ-პაპულოზური გამონაყარი.

ჩილაგას დაავადება — წეთისებრი სკლეროდერმია, თეთრი ლაქების დაავადება, პირველადი ატროფიული ლიქენი, ბრტყელი ატროფიული ლიქენი, ატროფიული სკლეროზული ლიქენი, კეროვანი სკლეროდერმიის ფორმა, რომლის დროსაც დაზიანებულ უბნებს აქვთ მრავლობითი, წვრილი, მომრგვალო, ოდნავ ჩავარდნილი სადაფისებრი ლაქები, ლოკალიზებული ტანის ზედა ნაწილში.

ჩინური რესტორნის სინდრომი — პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა საკვებთან საჭმლის სახით ნატრიუმის გლუტამატის დიდი რაოდენობით მიღებისას. გამოვლინდება კუჭის წვის შეგრძნებით, გულმკერდის ტკივილით, სახის ჰიპერემიით, მსუბუქი თავბრუთი, გულისრევითა და მაჯის გახშირებით.

ჩიყის სიმპტომი — თვალის მორუხო-ტყვიისფერი ელვარება ეპილეფსიის დროს.

ჩიტელის აბსცესი — ანუ ჩიტელის მასტოიდიტი — კისრის ღრმა ჩამოწვეთილი აბსცესი, განვითარებული როგორც მასტოიდიტის გართულება, როცა ჩირქი იხსნება პერისინუსული აბსცესიდან.

ჩოგბურთელის იდაყვი — „ტენისისტის" იდაყვი. ტკივილი იდაყვის მიდამოში და ხელებში, რომელიც ძლიერდება მტევანში, მუშად შეკვრის დროს. ხშირია ჩოგბურთელებში.

ჩრდილოამერიკული ბლასტომატოზი — სინონიმი: ჯილკრისტის ბლასტომიკოზი (იხ.).

ცაკის სიმპტომი — აორტის საპროექციო არეზე, კანის გაღიზიანებისას სისხლძარღვთა გაფართოების გამო კანის სათანადო არეზე აღინიშნება მთვარისებრი — მოწითალო შეფერვა.

ცანგემეისტერის ტრიადა — ორსულთა ნეფროპათიის სამი ნიშნის შერწყმა: არტერიული ჰიპერტენზიის, შეშუპებისა და პროტეინურიის.

„ცარიელი" თურქული კეხის სიმპტომი და სინდრომი:—საჭიროა გაირჩეს „ცარიელი" თურქული კეხის სიმპტომი და სინდრომი„. სიმპტომი კლინიკურად არ გამოვლინდება და მხოლოდ სექციაზე დასტურდება. სინდრომისათვის დამახასიათებელია ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზული დარღვევები.

ცეიკას სიმპტომი — სუნთქვის სხვადასხვა ფაზაში გულის მოყრუების საზღვრების უცვლელობა. ექსუდატიური პერიკარდიტის ნიშანი.

ცელენის სინდრომი — ფილტვების იდიოპათიკური ჰემოსიდეროზი. პნევმოჰემორაგიული ჰიპოქრომული მორემიტირე ანემია. ფილტვების ესენციური ჰემოსიდეროზი. ფილტვების იდიოპათიკური წაბლისფერი ინდურაცია, ფილტვების პირველადი მურა ინდურაცია. უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ჩვეულებრივ იწყება ადრე ბავშვობაში. ხასიათდება პერიოდული სისხლდენით ფილტვებიდან, ფილტვის ქსოვილის ჰემოსიდეროზით და გამოხატული ჰიპოქრომული ანემიით. სინონიმი: ცელენ-გელერსტედტის სინდრომი.

ცელენ-გელერსტედტის სინდრომი — იხ. სინონიმი: ცელენის სინდრომი.

ცელსიუსის კერთონი — ინფილტრატიულ-დაჩირქებადი ტრიქოფიტია, რომლის დროსაც დაზიანება ღოკალიზებულია თავის თმიან ნაწილებში.

ცენკერის დივერტიკული — სასულეს მიმდებარე საყლაპავის დივერტიკული.

ცერებრულ-მედულური სიმახინჯის სინდრომი — კრანიოცერვიკული მიდამოს განვითარების მანკი, რაც გამოიხატება კეფის დიდი ხვრელის შევიწროებით და ხერხემლის ზედა ნაწილის დეფორმაციით. ამას თან ახლავს ტვინის ღეროსა და ნათხემის ჩაქედვა დასახელებულ მიდამოში. კლინიკურად აღინიშნება ნათხემისა და თავის ტვინის X—XI წყვილი ნერვების დაზიანების ნიშნები. ზიანდება აგრეთვე კისრის ზედა ნერვებიც, რაც ელინდება კისრის უკანა ზედაპირზე ტკივილით. აღნიშნულ მანკს შეიძლება თან ახლდეს spina bifida კისრის ან გავა-წელის მიდამოში, ჰიდროცეფალია, ჰიდრომიელია (კისრის ნაწილში), მენინგოცელე, ატლანტის ასიმილაცია, კლიპელ-ვეიდის სინდრომი, ინფანტილური აგებულება და სხვ. აღინიშნება თავ-ზურგ-ტვინის სითხის ბლოკი, ქალას რენტგენოგრამაზე კეფის დიდი ხვრელის შევიწროება. სინონიმი: არნოლდ-კიარის სინდრომი.

ცთომილი ნერვის სინდრომი — დისფაგია, დისფონია, რბილი სასის და მბერავი იოგების კუნთების პარეზი, რეფლექსის არარსებობა საყლაპავზე და რბილ სასაში დაზიანების მხარეს. ზოგჯერ ამას თან სდევს გუღისცემის და სუნთქვის სიხშირის ცვლილებები. აღინიშნება ცთომილი ნერვის ან მისი ბირთვის ცალმხრივი დაზიანებისას.

ციენის ტორსიული ნევროზი — ტორსიული დისტონია, ლორდული დისბაზია, კუნთების მადეფორმირებელი დისტონია, ტორზიული სპაზმი — ნერვული სისტემის ქრონიკული პროგრესირებადი დაავადება. ახასიათებს სხვადასხვა არარეგულარულად განმეორებადი კუნთოვანი ტონუსის ცვლილება სხვადასხვა კუნთოვან ჯგუფებში (უპირატესად, ტანის კუნთებში და კიდურთა პროქსიმულ ნაწილებში) ჰიპოტონიიდან ექსტრაპირამიდულ რიგიდობამდე, რასაც მივყავართ ჰიპერკინეზიამდე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ფორსირებულ პოზებამდე.

ციენ-ოპენჰეიმის სინდრომი — სტრიალური სისტემის მემკვიდრეობითი დეგენერაციული დაავადება მოძრაობის დარღვევით (ტორსიული დისტროფია). გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური, თავისებური იძულებითი მოძრაობები კუნთთა ჰიპერტონიულ და ჰიპოტონიულ მდგომარეობათა პერიოდული მონაცვლეობით. დაავადება ჩვეულებრივ იწყება ერთი კიდურის მოძრაობის დარღვევით. ვითარდება სპასტიკური ტორტიკოლისი, ძლიერი ლორდოზი, წელის მიდამოს სკოლიოზი.

ცივეს სინდრომი — ხასიათდება ზომიერად გამოხატული ჰემოლიზური ანემიით, სიყვითლით (უპირატესად არაპირდაპირი ბილირუბინის დონის მომატებით) და ჰიპერლიპემიით. შერწყმულია ღვიძლის სტეატოზთან ან ალკოჰოლურ ჰეპატიტთან (სპლენომეგალიის გარეშე).

ციკი წყლის სიმპტომი — ციკ წყალში თითების ჩაყოფისას მათი გა-

ფერმკრთალება, გულისება და მგრძნობელობის დაქვეითება. რვინოს დაავადების ნიშანია.

ცილერიხ გამძაფრებული გრანულომა — გამძაფრებული მგლურა. სარკოიდოზის კლინიკური ვარიანტი. ახასიათებს კანზე იისფერი, მყარი, ამობურცული ლაქები, დიასკოპიისას გამოვლინებული მოყვითალო ლაქებით. სინონიმი: ბენიე-ტენესონის გამძაფრებული გრანულომა.

ციხლერ-ჯოულ-ენგმენის სინდრომი — თანდაყოლილი დისკერატოზი — მემკვიდრეობითი დერმატოზი. ახასიათებს პოიკილოდერმია, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ლეიკოპლაკია, ფრჩხილების დისტროფია, ფეხისა და ხელისგულების ჰიპერჰიდროზი, საცრემლე გზების დაცობა. ზოგჯერ შეხვედრებულია თრომბოციტოპენიურ პურპურასთან.

ციპლიაევის მეთოდი — ვენური წნევის გამოკვლევის უსისხლო მეთოდი. ემყარება კანქვეშა ვენაზე პელოტის ზეწოლისას, მასში (ვენაში) სისხლის მიმოქცევის სრულ შეწყვეტამდე. შემდეგში ხდება წნევის შემცირება ვენაში სისხლის დინების აღდგენამდე. სისხლის მიმოქცევის აღდგენისას პელოტში წნევის მაჩვენებლის დონე მიიღება ვენური წნევის მაჩვენებლად. სინონიმი: ციპლიაევ-იანოვსკის მეთოდი.

ციპლიაევ-იანოვსკის მეთოდი — იხ. სინონიმი: ციპლიაევის მეთოდი.

ციპრკოვსკის სინდრომი — სმენითი აპარატის მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი და კანის პიგმენტის სინთეზის დარღვევა. თანდაყოლილი სიყრუე ყრუ-მუნჯობის განვითარებით, კანის ნაწილობრივი ლაქოვანი ალბინიზმი ტოტალური ალბინიზმისას. მემკვიდრეობის გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული იქს ქრომოსომასთან შეჯვარებული.

ცისფერი დაავადება—ამერიკული ტიპის რიკეტსიოზი, ბრაზილიური პარტახტიანი ტიფი, სან-პაულოს ტიფი. ინფექციური დაავადება ტკიპას რიკეტსიოზების ჯგუფიდან. დამახასიათებელია ცხელება, პოლიმორფული გამონაყარი მთელ სხეულზე (არაიშვიათად პაპულოზურ-პემორაგიული), ლორწოვანი გარსის ენანთემა და სხვადასხვა სახის გართულებები, განსაკუთრებით კანის ნეკროზები საზარდულის მიდამოში, ისე რომ პირველადი ეფექტი არ ახლავს. ენდემიურია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისათვის.

ცისფერი სკლერების სიმპტომი — დამახასიათებელია ცისფერი სკლერები, ძვლების მტვრევადობა და სმენის დაქვეითება ან სიყრუე. სიმპტომები სმენის ორგანოს მხრივ ვითარდება მოგვიანებით, ჩვეულებრივ სქესობრივი მომწიფების პერიოდში. არჩევენ სიმპტომკომპლექსის ორ ტიპს. პირველია ფროლიკ დიურანტას ტიპი, რომლის დროსაც ძვლების მოტეხილობები ვლინდება ჯერ კიდევ ნაყოფად ყოფნის პერიოდში ან დაბადებისას. მეორეა ლობშტეინის ტიპი, რომლის დროსაც ცისფერი სკლერები თანდაყოლილია, ხოლო ძვლების მტვრევადობა („შუშისებრი ადამიანი") მოგვიანებით ვლინდება. ძვლების მტვრევადობა 25 წლის მერე მნიშვნელოვნადაა შემცირებული, მიზეზია მეზენქიმური ქსოვილის განვითარების დარღვევა. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: ჰეგეს სიმპტომოკომპლექსი, ედოვსის სიმპტომკომპლექსი, ადაირ-დაიტონის სიმპტომოკომპლექსი.

ცისფერი ხალი — თანდაყოლილი ხალი, იადასონ-ტიხეს ხალი, ცისფერი თანდაყოლილი ხალი. შეიძლება აღენიშნოს ახალშობილს, უფრო და-

მახასიათებელია 20—40 წლის ასაკში. ყველაზე ხშირი ლოკალიზაციის ადგილია სახე, ხელის მტევნისა და ტერფის გარეთა მხარე. ხალი ჰგავს 3—5 მმ დიამეტრის პაპულას. ცისფერი ელფერი მიზეზია იმისა, რომ პიგმენტი სიღრმისეულია საკუთრივ კანში, ძაბრისებრ ბიგმენტურ უჯრედებში.

ციტოპენიური სინდრომი — ამ დროს აღინიშნება ჰემოპოეზის დარღვევა, რომელიც შეიძლება იყოს ერთ, ორ ან სამივე განშტოებაში.

ცუვერკალოვის სინჯი — კანის ალერგიული სინჯი დიზენტერიის დროს. ავადმყოფის სენსიბილიზაცია გამოვლინდება 24—48 საათში და ამის შემდეგ დადებითი რეაქციის შემთხვევაში ინექციის ადგილზე კანი შეშუპდება და გაწითლდება.

ცოლინგერის სინდრომი — წეფროზული სნდრომით გართულებული გლომერულონეფრიტი: პროტეინურია, დისპროტეინემია, შეშუპება, ჰიპერქოლესტერინემია. კლინიკური ნიშნები აღინიშნება წლობით.

ცოლინგერ-ელისონის სინდრომი — კუჭუკანა ჯირკვლის უღეროგენული ადენომა. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის პეპტიკური წყლულების შერწყმა პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულაკების ადენომასთან, რომელიც ვითარდება ალფა-უჯრედებიდან.

ცრუ რეინოს დაავადება — ვიბრაციული დაავადება, ვიბრაციული ანგიონევროზი, თეთრი თითების სინდრომი. ვიბრაციული სინდრომი, პროფესიული დაავადება, გამოწვეული ვიბრაციის ზემოქმედებით, გადაცემულია ხელებით ან სხეულის საყრდენი ზედაპირით. ახასიათებს ანგიოტროფონევროზის განვითარება, რასაც თან სდევს რიგ ორგანოთა და სისტემების სხვა ფუნქციური დარღვევები.

ცუელცერ-კაპლანის დაავადება I — ოჯახური ჰემოლიზური ჰიპოქრომული ანემია. ოვალოციტოზით და ელიფსოციტოზით. ერითროციტების სიცოცხლის დრო შემცირებულია. შარდში გამოხატულია ურობილინურია, ძვლის ტვინში — გაძლიერებული ერითროპოეზის ნიშნები.

ცუელცერ-კაპლანის დაავადება II — ჰემოგლობინის დაავადება. ჰემოგლობინის თალასემია. ქრონიკული ჰიპოქრომული მიკროციტული ანემია სფეროციტოზითა და დამიზნული ნიშანდებული ერითროციტებით. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა მომატებულია. ძვლის ტვინში მომატებული ერითროპოეზის ნიშნები. ნორმობლასტებში გვხვდება ბაზოფილური ელემენტების ჩაწინწკვლა.

ცუელცერ-ოგდენის დაავადება — ძუძუთა ასაკის ბავშვებში ჰიპოქრომული ანემია. შეპირობებულია კვებისას ციანოკობალამინის, ფოლიუმის მჟავისა და ასკორბინის მჟავის უკმარისობით. დამახასიათებელია ჰემორაგიული დიათეზი, მეგალობლასტური ფორმის ჰემოპოეზი, ჰეპატოსპლენომეგალია.

ცუმბუშის სინდრომი — წითელი ბრტყელი ლიქენის ატროფიული ან სკლეროზული ფორმა. ეტიოლოგია უცნობია, წარმოადგენს დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულს. სხეულის ზედა ნაწილში, ზედა კიდურებზე, სასქესო ორგანოებსა და ანუსის მიდამოში არის ერთეული ან შეჯგუფული პატარა, ბრტყელი, ფაიფურისებრივად თეთრი კვანძები, ზოგჯერ მწვერვალის ჩაღრმავებით, უფრო გვიან პერიოდში ამ ადგილში რჩება

წვრილი, ატროფიული, შეშმუხნილად დანაწევრებული პატარა კერებად. სინონიმები: ჰალოპოს სინდრომი, კასილაგას დაავადება.

ცხიმიანი სახის სიმპტომი — ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებული სეკრეცია სახის კანზე პარკინსონიზმის დროს.

ძველი ქვეყნის კანის ლეიშმანიოზი — სინონიმები: ბოროვსკის დაავადება, აღმოსავლეთის მუწუკი, პენდინის წყლული, აშხაბადის წყლული, ალიბერის დაავადება (იხ.).

ძვლების მარმარილოსებრი დაავადება — ზოგადი ოსტეოსკლეროზის უველაზე მძიმე ფორმა. დაავადება მემკვიდრეობითია. რენტგენოლოგიურად უურადღებას იპყრობს ჩრდილის პათოლოგიური სიმკვრივე. დაკარგულია კომპაქტური ძვლების სტრუქტურა. მეტაფიზებში აღინიშნება ქინძისთავისებური გასქელება. ძვლები მტვრევადია. ხშირია და წამყვანი ნიშანია ოსტეოსკლეროზული ანემია. მიმდინარეობა კეთილთვისებიანიცაა და ავთვისებიანიც. სინონიმი: ალბერს-შენდ-ბვრგის დაავადება.

ძილში სუნთქვის შეჩერების სინდრომი (აპნოეს) — თუ ძილის დროს განვითარებულ აპნოეს მივუყვართ ავადმყოფურ გამოვლინებამდე, მაშინ ლაპარაკია ძილში აპნოეს სინდრომზე. უველაზე ხშირი ობსტრუქციული ფორმა სუნთქვის დროს წარმოიქმნება ზედა სასუნთქი გზების ინტერმიტიული კოლაფსიის დროს. აქედან ვლინდება პათოფიზიოლოგიური ფენომენები და მათი კლინიკური შედეგები.

ჭამლისმიერი ცხელება — საშუალოდ იწყება წამლის მიღების 7—10 დღეს. ცხელება ატარებს მუდმივ ან რემიტირებულ ხასიათს და გრძელდება, სანამ არ მოიხსნება გამომწვევი წამალი. აღინიშნება შემცივნება, ლეიკოციტოზი, ზოგჯერ ეოზინოფილია. სამკურნალწამლო საშუალების განმეორებით მიღებას მოჰყვება ცხელების რეციდივი. კლინიკურ სურათში შეიძლება აღინიშნოს: გამონაყარი, პურპურა, არტერიიტი, ექსფოლიატიური ღერმატიტი, ჰემოლიზური ანემია, თრომბოციტოპენია.

ჭამწამთა უმოძრაობის სინდრომი — კარტაგენერის სინდრომი (იხ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი ბრონქების ეპითელიუმის უმოძრაობა. ამ დროს კლინიკურად ვლინდება კარტაგენერის სინდრომი, მუკოვისციდოზი და საერთოდ სინობრონქიალური სინდრომი (იხ.).

წანაზარდის ნიშანი — მტკივნეულობა წანაზარდზე მსუბუქი დარტყმისას. ხერხემლის დაშავების ან მისი პათოლოგიური პროცესით დაზიანების ნიშანია. სინონიმი: რაზდოლსკის სიმპტომი II.

წერტილოვანი სისხლდენის ფენომენი — იხ. სინონიმი: აუსპიტცის სიმპტომი.

წითელი ბიჭი — კვაშიორკორი, ჰიდროკახექსია, ბავშვთა პელაგრა, პოლიკარენც-სინდრომი; სინდრომი დეპიგმენტაცია-შეშუპება, ალიმენტური დისტროფიის მძიმე ფორმა ბავშვებში. ვითარდება ცილოვანი შიმშილის შედეგად. ახასიათებს ფიზიკური განვითარების შეფერხება, გავრცობილი შეშუპება, კანის პიგმენტაციის დარღვევა, ნაწლავთა შეწოვის დარღვევა, ფსიქიკური მოშლილობანი.

წითელი პარატიფიანი ტიფი — მექსიკური ტიფი, მალაის ქალაქური ტიფი, მანჯურიული ტიფი, იწვევს რიკეტსთა მიოსერი. გადამტანია უპირატესად რწყილი, რომლის პატრონია თაგვი. კლინიკა მსგავსია ეპიდემიური

პარტახტიანი ტიფის, თუმცა მიმდინარეობა არის უფრო მსუბუქი და ხანმოკლე. დიაგნოზი ისმება ლაბორატორიული გამოკვლევებით. სინონიმები: ჰონის დაავადება, მექსიკური ტიფი, მეკსის დაავადება.

წვერებიანი ქალების დიაბეტი ანუ სინდრომი — სინონიმი: აშართიერის სინდრომი. ჰიპერკორტიციზმის ფორმა ქალებში: ჰირსუტიზმი, შაქრიანი დიაბეტი, ამენორეა, სიმსუქნე.

წინაგულ-თითის სინდრომი — ანუ წინაგულ-თითის დისპლაზია, ანუ ხელის და გულის სინდრომი. გულისა და ძვლების თანდაყოლილი სიმპტომოკომპლექსი. აღინიშნება განვითარების მემკვიდრეობითი კომბინირებული მანკი. ძირითადად გვხვდება ბაგშვებში, მოზრდილებში იშვიათია. გულის უველაზე ხშირი მანკია წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტი. უფრო იშვიათია პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, სარქველებისა და გულის დიდ სისხლძარღვთა ანომალიები. ზედა კიდურთა მანკი შეიცავს თითების, მაჯის, სხივისა და იდაყვის ძვლების ანომალიებს. უფრო იშვიათია მხრის სახსრის ძვლების ანომალიები. უველაზე ტიპიურია მარცხენა ხელის პირველი თითის დაზიანება. სწორედ ამიტომ ამ სინდრომს აქვს ზემოდასახელებული სახელწოდებები. სინონიმია: ხოლტ-ორამის სინდრომი.

წინაკიბისებური კუნთის სინდრომი — კიბისებური კუნთის სინდრომი. სკალენუს სინდრომი, კისრის არეში ტკივილის შერწყმა მხრის ზემოთ და ხელში — იდაყვის მხარეზე ტკივილთან, ხელის პერიფერიულ პარეზთან (უპირატესად დისტალურ ნაწილებში), მტკივნეულობასთან პალპაციის დროს წინაკიბისებური კუნთის მიმაგრების ადგილას, სხივის არტერიაზე პულსის დასუსტებასთან, ადგილობრივ ვეგეტატიურ სისხლძარღვოვან დარღვევებთან. გამოწვეულია ლავიწისქვეშა არტერიაზე ზეწოლით და ასევე მხრის წნულის ლავიწქვეშა ნაწილის კისრის მალებქვეშ ზეწოლით ან ანომალიურად განლაგებული პირველი ნეკნითა და შეკუმშული კიბისებური კუნთით. სინონიმი: ნიფციგერის სინდრომი.

წმინდა გვიდონის ცეკვა — ანუ ინგლისური დაავადება, ანუ რევმატიზმული ქორეა, ჩვეულებრივი ქორეა. რევმატიული ეტიოლოგიის ცენტრალურ ნერვული სისტემის დაავადება. ხასიათდება ქორეიდული ჰიპერკინეზიებით; კუნთოვანი ჰიპოტონიით, რეფლექსთა ცვლილებებით, ემოციის დაქვეითებით და ზოგჯერ სხვა ფსიქიკური დარღვევებით. სინონიმი: სიდენჰაიმის დაავადება, წმინდა ვიტეს ცეკვა.

წმინდა ვიტეს ცეკვა — სინონიმები: წმინდა გვიდონის ცეკვა (იხ.), სიდენჰაიმის დაავადება, ვიტეს ცეკვა.

წმინდანთა დაავადება — სინონიმები: ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, ვარსკვლავთა დაავადება, მთვარის დაავადება. ჰერკულესის დაავადება (იხ.).

წყლის ცხელება — იწვევს ლეპტოსპირა, ხასიათდება კლინიკურად ლეპტოსპიროზის სურათით. გადაცემა ხდება მინდვრის თაგვით. ადამიანიდან-ადამიანზე გადაცემა არ ხდება. ამიტომ ინფექცია თაედება ერთი ავადმყოფით. დაავადება იწყება ერთბაშად, ტემპერატურის მომატებით, აღინიშნება ბრადიკარდია, ჰიპოტონია, ჰეპატო-ლიენური სინდრომი, მიმდინარეობა კეთილთვისებიანია.

ჰაბუათა მადეფორმირებელი ოსტეოქონდროზი — ახასიათებს ტკივილი გულ-მკერდში და მათ შორის გულის არეში. ავადდებიან ძირითადად ახალგაზრდები. დიაგნოზი ისმება რენტგენოლოგიურად. იხ. სინონიმი: შეურმანის დაავადება.

ჰაობის ცხელება — ლეპტოსპიროზი სიყვითლის გარეშე. გრიპტიფოზური ლეპტოსპიროზი. შორეული აღმოსავლეთის ლეპტოსპიროზი. წყლის ცხელება — ლეპტოსპიროზის კლინიკური ვარიანტი, რომელიც შიმდინარეობს სიყვითლის გარეშე. იხ. სინონიმი: ბუშე-გზელის დაავადება, შორეული აღმოსავლეთის ლეპტოსპიროზი.

ჰიანკველების სიმპტომი — აღინიშნება ნერვზე ჭრილობის მიყენებიდან 4—6 კვირის შემდეგ. ჭრილობის ქვემოთ ნერვის საპროექციო არეზე ზეწოლის ან ჩაქუჩით პერკუსიის საპასუხოდ ამავე ნერვის საინერვაციო ზონაში, დამახასიათებელია სხეულზე მცოცავი ჭიანჭველების შეგრძნება. ეს ნერვის რეგენერაციაზე მიუთითებს. „ჭიანჭველების" სიმპტომის გამოწვევის დონე რეგენერაციის დონის შესაბამისად თანდათან ინაცვლებს ქვემოთ. როდესაც იგი გამოვლინების მერე არ განიცდის გადანაცვლებას, საქმე გვაქვს ნერვის რეგენერაციის შეჩერებასთან, „მანკიერ რეგენერაციასთან". სინონიმი: ტინელის სიმპტომი I.

ჭუჭყიანი იდაყვის სიმპტომი — იდაყვისა და მუხლის მიდამოს ეპიდერმისის გარქოვანება და გასქელება. აღინიშნება ჰიპოთირეოზის დროს. სინონიმი: ბერის სიმპტომი.

ხავკინის ილეთი — პლევრის ხახუნის ხმიანობის გარჩევის მეთოდი (ილეთი) სუნთქვითი ხმიანობისაგან. დამყარებულია მასზე, რომ სტეტოსკოპის ყურზე მიჭერის შემცირებისას მოისმინება მხოლოდ პლევრის ხახუნის ხმიანობა.

„ხანჯლის ჩაცემის" სიმპტომი — მუცლის ღრუს ორგანოთა პერფორაციის დაწუების ნიშანია. მუცლის ღრუში კუჭნაწლავის ტრაქტის შიგთავსის ჩაქცევა იწვევს ძლიერ ტკივილს. 3—4 საათში ტკივილი ერთგვარად მცირდება. ტკივილის მეორე ტალღა ესადაგება პერიტონიტის დაწუებას.

ხარის გული — კარდიომეგალიის მნიშვნელოვანი ხარისხი.

ხატსუსიმი-ხარკამორის დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება. გამოწვეულია პოლისაქარიდების ცვლის დარღვევით და მათი მარცვლების სახით დაგროვებით პარენქიმულ ორგანოთა უჯრედებში, რეტიკულოციტებში. გამოვლინდება ღვიძლის, ელენთისა და ლიმფური კვანძების გადიდებით, ღვიძლის ციროზის განვითარებით.

ხეიმს-კრეისიგის სიმპტომი — იგივეა ჰეიმს-კრაიზიგის სიმპტომი. ნეკნთაშუა არეების ჩადრეკა პრეკარდიულ არეში და მარცხენა იღლიის მიდამოში გულის სისტოლის დროს. შეხორცებითი პერიკარდიტის და პლეეროპერიკარდიტის არამუდმივი ნიშანი. იხ. სინონიმი: ჰეიმს-კრაიზგის სიმპტომი.

ხელემსკის ნიშანი — ტკივილის აღმოცენება მენჯის მიდამოში, როდესაც გულაღმა მწოლიარე ავადმყოფი ცდილობს სხეულის ზედა ნაწილის აწევას. მენჯის ძვლის მოტეხილობის ნიშანია.

ხელების პაროქსიზმული პერსტომა, თითების აპოპლექსია — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, ახასიათებს პერსტომების განვითარება (სპონტანურად ან მექანიკური ზემოქმედების შედეგად) ხელის გულის მხარეს, თითების დისტალურ-ფალანგებზე. სინონიმი: ახენბახის სინდრომი (იხ.).

ხელისა და გულის სინდრომი — წინაგულ-თითის დისპლაზია, ანუ წინაგულ თითის სინდრომი (იხ.). გულისა და ძვლების თანდაყოლილი სიმტკიცის კომბინირებული მანკი. გულის ყველაზე ხშირი მანკია წინაგულთა ძგიდის დეფექტი, სარქველებისა და გულის დიდ სისხლძარღვთა ანომალიები. ზედა კიდურთა მანკი მოიცავს თითების, მაჯის, სხივისა და იდაყვის ძვლების ანომალიებს. ფეხის ფეხისთითის მხრის სახსრის ძვლების ანომალიები. ყველაზე ტიპიურია მარცხენა ხელის პირველი თითის დაზიანება. აქედან იღებს სათავეს ამ სინდრომის სახელწოდება. სინონიმი: პოლტ-ორამის სინდრომი.

ხელისგულ-ნიკაპის სიმპტომი — პალმომენტალური რეფლექსი, ორალური ავტომატიზმის რეფლექსი, ნიკაპის კუნთის შეკუმშვა (ნიკაპის კანის ხემოთ ცთომა) ხელის მტევნის ხაზობრივი გაღიზიანებისას (სხეულის იმავე მხარეზე პირველი თითის შემაღლების დონეზე). აღინიშნება ქერქ-ბირთვების გზების დაზიანების დროს. სინონიმი: მარინესკუ-რადოვიჩის რეფლექსი.

ხელისკვრის სიმპტომი — ბიძგის ფენომენი — ვერტიკალურ მდგომარეობაში წონასწორობის დაკარგვა გეერდული მსუბუქი ბიძგის დროს. ნათხემის დაზიანების ნიშანია. სინონიმი: ფუა-თევენარის სიმპტომი.

ხელოვნური ავადმყოფობა (არტიფიციული დაავადება) — ამ ტერმინით აღინიშნება სომატურ დაავადებათა სხვადასხვა სიმპტომი, რასაც შეგნებულად წამოაჩენს ავადმყოფი ,რომ გაუწიონ სამედიცინო დახმარება; ამავე დროს, ავადმყოფს ეს გაცნობიერებული არა აქვს. ამით განსხვავდება ხელოვნური ავადმყოფობა სიმულაციის, ისტერიისა და პოქონდრიისაგან და ითვლება მიუნჰაუზენის სინდრომის ერთ-ერთ ჭეეტიპად.

ხერხემლის არტერიის სინდრომი — კისრის შაკიკი. კისრის უკანა ნაწილის სიმეტრიული სინდრომი. ტკივილისა და პარესთეზიის შერწყმა (უფრო ხშირად ცალმხრივი) კისრის და თავის არეში: გარდამავალი თავბრუთი, ყურებში შუილით, მხედველობის დაქვეითებით. აღინიშნება კისრის ოსტეოქონდროზის, კისრის ტრავმის ან სიმსივნის დროს, რაც იწვევს ხერხემლის არტერიაზე და მის სიმპატიკურ წნულზე ზეწოლას. სინონიმები: ნერი-ბარეს სინდრომი, ბარე-ლიეუს სინდრომი. ხერხემლის ნერვის სინდრომი.

ხერხემლის ნერვის სინდრომი — სინონიმები: ნერი-ბარეს სინდრომი, ბარე-ლიეუს სინდრომი, ხერხემლის არტერიის სინდრომი (იხ.).

ხვოსტეკის ნიშანი — სახის ნერვის გამოსვლის მიდამოში საეჭიმო ჩაქუჩის დარტყმისას სახის კუნთების შეკუმშვა. ნერვ-კუნთოვანი აგზნებადობის მომატების ნიშანია. მაგალითად, ჰიპოკალციემიის, ალკალოზის, ჰიპომაგნიემის დროს.

ხიარის დაავადება (ზოგი ავტორით: კიარის ან ჩიარის) — სინონიმები: ბად-ხიარის სინდრომი, კიარის სინდრომი (იხ.).

ხილაიდიტის. **სინდრომი** — ღვიძლ-დიაფრაგმის ინტერპოზიცია. სინდრომის არსია მსხვილი ნაწლავის, ღვიძლის კუთხის გადაადგილება ღვიძლსა და დიაფრაგმას შორის. მიზეზია თანდაყოლილი ანომალია ან ღვიძლის იოგის არარსებობა, დიაფრაგმის ფუნქციის დარღვევა (დამბლა), ბუცლის ღრუს შიგნითა წნევის მომატება.

ხმელთაშუა ზღვის ვირთაგვის რიკეტსიოზი — ხომალდის ტიფი. ხასიათდება კეთილთვისებიანი სპორადიული მიმდინარეობით. ხანგრძლივობა საშუალოდ 2 კვირაა. ნიშნები: ცხელება, უხვი გამონაყარი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფოციტოზი, ეოზინოპენია. იხ. სინონიმები: მექსიკური ტიფი, მანჯურიის ენდემიური ტიფი, ტულონის პარტახტიანი ტიფი, ინდოეთის ტიფი.

ხმელთაშუა ზღვის ვისცერული ლეიშმანიოზი — ბავშვთა ლეიშმანიოზი. ძირითადად ავადდებიან ბავშვები. დაავადებას ახასიათებს 3 პერიოდი. საწყისი — სრული განვითარებისა და კახექსიის ნიშნები: სისუსტე, ცხელება, პნევმონია, პასტოზობა, სიყვითლე, დიარეა, ჰეპატოსპლენომეგალია, ანემია, ლეიკოპენია, მაღალი ედს, ჰემორაგიები და სხვ.

ხმელთაშუა ზღვის მცირე ფორმის ანემია — მცირე თალასემია, მეზოკვიდრეობით ჰემოლიზური, ჰიპერქრომული ანემია, მაკროციტოზით, ელიპტოციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით, რეტიკულოციტოზით. დასაწყისში აღინიშნება ერითრობლასტოზი. ერითროციტების ოსმოსური რეზისტენტობა მომატებულია. აღნიშნულია სიყვითლე, ღვიძლის და ელენთის გადიდება. ეტიოლოგია უცნობია. სინონიმები: ფანკონ-პატრასის დაავადება, პატრასის დაავადება.

ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება — პერიოდული დაავადება, სოშხური დაავადება, ოჯახური პერიოდული დაავადება, ექვსდღიური ცხელება, პერიოდული პერიტონიტი, პაროქსიზმული პერიტონიტი, შებრუხებით პოლისეროზიტი. ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი, ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი. სინონიმები: სიგალ-კატან-მამუას დაავადება, ჯეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი, რეიმანის დაავადება (იხ.).

ხმელთაშუა ზღვის ცხელება — მელიტოკოკოზი. მელიტოკოკოზია, ბაქტერიული ზოონოზების ჯგუფის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს მიკროორგანიზმები ბრუცელას ჯგუფიდან. ადამიანს გადაეცემა ავადმყოფი ცხოველიდან ალიმენტური ან კონტაქტური გზით. ჩვეულებრივ მიმდინარეობს ქრონიოსეფსის ტიპით, პოლიმორფული კლინიკური სურათით, რეციდივებით და გაშწვავებით. სინონიმები: ბანგის დაავადება, ბრუსის დაავადება, ჰიბრალტარის ცხელება, მალტის ცხელება.

ხობკის რეფლექსი — მკერდის ძვლის ტარზე საექიმო ჩაქუჩის დარტყმისას მიიღება ზემო კიდურების კუნთების სიმეტრიული შეკუმშვა. რეფლექსი ფიზიოლოგიურია.

ხოლოდენკოს სიმპტომი — ფეხების უნებლიე მოხრა მუხლის სახსარში, როცა ექიმი ცდილობს წამოაყენოს ავადმყოფი, რომელსაც გულ-მკერდზე აქვს დაკრეფილი ხელები და წინამხრით ცდილობს მის დასმას. მენინგეალური ნიშანი.

ხომალდის ტიფი — ხასიათდება კეთილთვისებიანი სპორადიული მიმ-

დინარეობით. ხანგრძლივობა საშუალოდ 2 კვირაა. ნიშნები: ცხელება, უხეი გამონაყარი, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ლიმფოციტოზი, ეოზინოპენია. იხ. სინონიმები: მექსიკური ტიფი, მანჯურიის ენდემიური ტიფი, ტულონის პარატიფიანი ტიფი, ინდოეთის ტიფი, ხმელთაშუა ზღვის ვირთაგვის რიკეტსიოზი.

ხოპე-კორიგენის ტიპი აორტის სარქველის ნაკლოვანებისა — აორტის სარქველის უკმარისობა რევმატიულ ვალვულიტის (ძალზე იშვიათად ბარტერიული ენდოკარდიტის) შედეგად, მასს შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონდეს. სარქველის მყარი ნაკლოვანება ხშირად შერწყმულია ხვრელის სტენოზთან. იხ. სინონიმი: კორიგენის ტიპი აორტის სარქველის ნაკლოვანებისა.

ხოპფის ვერუკოზული აკროკერატოზი — მეპეპოვანი აკროკერატოზი ხელის მტევნის გარეთა ზედაპირზე (იშვიათად ტერფზე), ვლინდება შეერთებისადმი მიდრეკილების მქონე მრავალრიცხოვანი კვანძების სახით, მოგვაგონებს მეპეპეებს.

ხუპუპა თმების სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. გამომწვეველია ორგანიზმში სპილენძის შეწოვა და ტრანსპორტირების დარღვევა. გამოვლინდება ბავშვთა ადრე ასაკში მიკროცეფალიით, კრუნჩხვებით, ხუპუპა უპიგმენტო თმებით და მათი კეროვანი დაცვენით. მემკვიდრეობის ტიპი რეცესიული შეჯვარებული იქს — ქრომოსომასთან, სინონიმი: მენკესის სინდრომი.

ჯაბერგ-ჰეიუორდის სინდრომი — ორო-კრანიო-დიგიტალის (პირის, თავისა და თითების) სინდრომი. მემკვიდრეობითი მრავლობითი ანომალიების კომპლექსი. შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპი. ნიშნები: ტუჩებისა და სასის ორმხრივი გაპობა, ეპიკანტი, ჰიპერტელორიზმი ცხვირის ბოლო დამრგვალებული, კბილების შემცირება, მოკროცეფალია, ხელის დიდი თითების ჰიპოპლაზია, სხივის ძვლის დამოკლება, კლინოდაქტილია, სინდაქტილია.

ჯადოხნის ფსევდოლეიკემიური ინფილტრატი — დაავადების მიზეზია ლიმფური სისტემის რეაქცია სხვადასხვა ინფექციურ ფაქტორზე. მიმდინარეობა კეთილთვისებიანია. კანში ჩნდება მორფოლოგიურად ბეკის სარკოიდის მსგავსი (იხ.) სხვადასხვაგვარი ზომის კვანძები, ლოკალიზაცია ძირითადად ტანსა და კიდურებზე, უფრო იშვიათად სახეზე. სინონიმები: ბიფერშტედტის კანის კეთილთვისებიანი ლიმფადენოზი, შპიგლერ-ფენდტის სარკოიდი, კაუფმან-ეოლფის ლიმფოციტომა.

ჯაკობის სინდრომი — მიკროცეფალია, რომელსაც თან ერთვის ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენილობა და ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების მკაფიო ნიშნები (ეპილეფსიური გულყრა, ათეტოზი, სპასტიკურობა).

ჯანბონის სინდრომი — ანტიბიოტიკებით მკურნალობის ფონზე განვითარებული მწვავედ მიმდინარე ტოქსიკური ენტერიტი, ხშირია კოლაფსი. მძიმე ინტოქსიკაციის თან ერთვის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები. პათოგენეზში მნიშვნელობა ენიჭება ანტიბიოტიკების გამანადგურებელ ზემოქმედებას ნაწლავის მიკროფლორაზე, რასაც თან

სტენტის ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ფლორის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ძირითადად წარმოდგენილია სტაფილოკოკებითა და მრავალრიცხოვანი ბაქტერიებით.

ჭარიბდის გული — მიეკუთვნება გულსისხლძარღვოვან ნევროზთა რიცხვს. სახეზეა მოვლენები გულის, სისხლძარღვების და სასუნთქი სისტემის მხრივ. ეტიოპათოგენეზურ მომენტად ასახელებენ ჰიპოთალამურ-ვისცერიული რეგულაციის მოშლას. დამახასიათებელია ტკივილი გულის მიდამოში, გულის ფრიალი და ქოშინი მცირე ფიზიკური ან ემოციური დატვირთვისას. მაჯა აღწევს 100—120-ს წუთში ვერცხლისწყლის სვეტისა, არც თუ იშვიათად არტერიული ნევის მომატება 150 — 190-მდე ადგილი ჰქონდა ახალგაზრდებში, ზოგჯერ ბავშვებშიც. ცნობილია აგრეთვე როგორც დაძაბვის სინდრომი, აგზნებადი გული. სინონიმი: და კოსტას სინდრომი.

ჭარკოს სინდრომი — აღინიშნება ძვლის ტვინის კარცინომის დროს: მეტასტაზი ძვლებში, თრომბოციტოპენია, პურპურა.

ჭეიმსის კონა — სპეციფიკური გამტარი ქსოვილის კონა, რომელიც აერთებს ერთ-ერთ წინაგულს ატრიოვენტრიკულურ შენაერთებთან, ან რომელიც გადის მის შიგნით. ჭეიმსის კონით აგზნების იმპულსი ნაადრევად ვრცელდება გულის პარკუჭში კლერკ-ლევი-კრისტენსკოს სინდრომის დროს და სხვა შემთხვევებში.

ჭეინუეია-მოზენთალის პაროქსიზმული სინდრომი — პერიოდული დაავადება, სომხური დაავადება, ოჯახური პერიოდული დაავადება, ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება, ექვსდღიური ცხელება, პაროქსიზმული პერიტონიტი, პერიოდული პერიტონიტი, შებრუნებითი პოლისეროზიტი. ოჯახური მორეციდივე პოლისეროზიტი, ოჯახური ქრონიკული პოლისეროზიტი. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება, რომელიც გამოვლინდება პერიოდულად (ხშირად ასევე გულ-მკერდის არეში და სახსრებში) და პაროქსიზმული ცხელებით. სინონიმები: სიგალ-კატან-მამუას დაავადება, რეიმანის დაავადება.

ჭეინუეიას სიმპტომი — ხელისგულზე ან ფეხისგულებზე წითელი, ლაქები ან მტკივნეული ეკხიმოზები, რაც ზოგჯერ აღინიშნება გახანგრძლივებულ სეპტიკური ენდოკარდიტის დროს.

ჭეინუეიას სინდრომი — მემკვიდრეობითი აგამაგლობულინემია. კლინიკურად გამოვლინდება რევმატოიდული ართრიტის ან წითელი მგლურას სიმპტომებით.

ჭეკობის სინდრომი — კუნთთა ათეროსკლეროზული რიგიდობა, აკინეზურ-რიგიდული სინდრომი. გვხვდება მოხუცებულობის ასაკში თავის ტვინის გამოხატული ათეროსკლეროზის შემთხვევებში. კანკალი და ვეგეტატიური მოშლილობა (სახის ცხიმიანობა), რაც დამახასიათებელია პარკინსონიზმისათვის აქ არ ვლინდება. სინონიმი: ფერსტერის სინდრომი.

ჭეკხონის ადენომა — ბრონქის ადენომა, შეადგენს ბრონქების ყველა სიმსივნეთა 5%-ს და კეთილთვისებიან სიმსივნეთა 80%-ს. ყველაზე ხშირად გვხვდება 30—40 წლის ასაკში. სიმსივნე წარმოიქმნება ბრონქების ლიმფური უკრედებისა და ლორწოვანი გარსის სადინრებისაგან, სიმსივნე მრგვალია, 3—4 სმ, 10% ღებულობს ავთვისებიან მიმდინარეობას. თვით

ადენომა იზრდება ნელა. პირველი კლინიკური ნიშნებიდან — დიაგნოზამდე ხანგრძლივობა 5 წელია. კლინიკური ნიშნებია: ხანგრძლივი შეტევითი ხველება, სისხლდენა (ქალებში დაკავშირებული თვიურთან), მსტვენავი სუნთქვა, ბრონქული ასთმის მსგავსი პერიოდული ქოშინი, ბრონქიტის, ფილტვების ანემიის, გრიპისათვის დამახასიათებელი პერიოდული ცხელება, მკურნალობა ოპერაციულია.

ჯეკსონის ალტერნაციული სინდრომი — პათოლოგიური კერის მხარეზე ალინიშნება ენისქვეშა ნერვის პერიფერიული პარეზი, მოპირდაპირე მხარეს კი ჰემიპარეზი. პათოლოგიური კერა, სისხლძარღვოვანი (წინა სპინალური არტერიის სტენოზი, ოკლუზია), ლოკალიზდება მოგრძო ტვინში. გვხვდება იშვიათად, ვინაიდან ავადმყოფები იღუპებიან სისხლის მიმოქცევის მოშლის ჩწვაე პერიოდში.

ჯეკსონის ეპილეფსია — ფოკალური ეპილეფსია. კორტიკალური ეპილეფსია, პარციალურ-მოტორულ გულყრათა ჯგუფს მიეკუთვნება. ნათელი ცნობიერების ფონზე ვითარდება კლონური კრუნჩხვები, თუმცა კლონურს შეიძლება წინ უსწრებდეს ხანმოკლე ტონური ფაზა. კლონური კრუნჩხვები სტერეოტიპულად ვითარდება სხეულის ან კიდურის ერთსა და იმავე სეგმენტში და აქედან შესაძლოა განიცადოს გენერალიზაცია მთელი სხეულის კუნთების ჩათრევით და გონების შემდგომი დაკარგვით, ეს ე. წ. მეორადად გენერალიზებული გულყრაა. ვითარდება თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის მამოძრავებელი არეების გაღიზიანების შედეგად (უცხო სხეული, ტრავმული ნაწიბური, სიმსივნე, ჰემატომა და სხვ.). სინონიმი: ბრავე-ჯეკსონის ეპილეფსია.

ჯეკსონის მხედველობითი ჰალუცინაცია — ბინდისებური მდგომარეობა, რომელსაც თან ერთვის მხედველობითი ჰალუცინაცია, წინ უძღვის ეპილეფსიურ გულყრას. დამახასიათებელია საფეთქლის წილის (მეტად მედიალური ნაწილის) დაზიანებისათვის.

ჯეკსონის სიმპტომი I — ნერწყვის და ღორწოს მოგროვება ხახის სისლისებრ ჯიბეში საყლაპავში გამტარებლობის შეფერხების დროს.

ჯეკსონის სიმპტომი II — სუნთქვა გაგრძელებული ამოსუნთქვით, ბრონქიული ასთმის ან ფილტვების ემფიზემის დროს.

ჯეკსონის სიმპტომი III — ნათხემის ჭიის სიმსივნის დროს კიდურთა გამშლელი კუნთების ტონური კრუნჩხვების შეტევები.

ჯეკსონის სიმპტომი IV — მსტვინავი სუნთქვა, რომელიც მოისმინება პირის ირგვლივ ტრაქეაში ან ბრონქში უცხო სხეულის არსებობის დროს.

ჯეკსონის სიმპტომი V — პულსის დეფიციტი, გულის ცემის სიხშირესთან შედარებით ნაკლები სიხშირე მაჯისა. აღინიშნება მოციმციმე არითმიის და ექსტრასისტოლიის დროს. მიზეზია გულის ზოგიერთი შეკუმშვის ჰემოდინამიკური უეფექტობა.

ჯეკსონის სიმსივნე — იხ. ჯეკსონის ალტერნაციული სინდრომი.

ჯენვეის სიმპტომი — იგივეა ჯენეუეის სიმპტომი — ხელის გულებზე წითელი ლაქები ან უმტკივნეულო სისხლჩაქცევები, ადგილი აქეს გახანგრძლივებული სეპტიური ენდოკარდიტის დროს.

ჯენერის მეთოდი ყვავილის აცრისა — ვაქცინაცია, ძროხის ყვავილის აცრა ადამიანზე, რაც იცავს მას ნატურალური ყვავილისაგან.

ჯერბაზის სინდრომი — ახალშობილთა ცრუპერინციოზული ანემია. სიმპტომატიკა წააგავს მოზრდილთა ვიტამინ „ბ" — 12-ის დეფიციტურ ანემიას. სისხლში ნორმული ან ჰიპერქრომული ანემია, მეგალოციტოზი, ძვლის ტვინში მეგალობლასტოზი, გლოსიტი, ანორექსია, დისფაგია, გადიდებული ღვიძლი, თავს იჩენს უპირატესად 2—3 წლის ასაკში, პროგნოზი ადექვატური მკურნალობის შემთხვევაში დადებითია. სინონიმი: ფსეედობიომერის ანემია.

ჯერსილდის სინდრომი — გენიტო-ანო-რექტული ელეფანტიაზი. ქრონიკული ანთებად-პროლიფერაციულ და შეხორცებით პროცესებს მოყვება ელეფანტიაზი (სპილოვნება) უკანა გასავლის არეში (მისი დავიწროება), შორისის მიდამოში და ქალის სასქესო ორგანოებში. მიზეზია ძირითადად ვენერიული დაავადებები. სინონიმი: ფურნიეს ანო-რექტული სიფილომა.

ჯერუელ-ლანგე-ნილსენის სინდრომი — თანდაყოლილი სიმპტომოკომპლექსი სმენის დაქვეითების შერწყმით პერიოდულად განვითარებულ შეტევებთან გულის, წინაგულთა და პარკუჭთა ფიბრილიზაციასთან.

ჯეფერსონის სინდრომი — პირობადებულია შიგნითა საძილე არტერიის ანევრიზმით. ნიშნები: თავის ტკივილი, ყურებში შუილი, თავბრუ, თვალისმხრივი ნიშნები.

ჯიაკაიას სინდრომი — ოჯახური აკროსტეოლიზი. წყლულოვანი მადეფორმირებული აკროპათია. მემკვიდრეობითი დერმატოზი — გამოწვეული ზურგის ტვინის განგლიების დაზიანებით. გამოვლინდება კიდურთა (უხშირესად ქვედა) დისტალურ ნაწილების ჰიპერკერატოზით, წყლულების წარმოშობით, ძვლების და ტერფის დეფორმაციით, წერილი ძვლების ოსტეოლიზით. სინონიმები: პერონ-დრეკე-კულონის სინდრომი, ტევენარის სინდრომი.

ჯიანოს სინდრომი — ფილტვების ვენტილაციის ცალმხრივი მოშლის კლინიკურ-რენტგენოლოგიური სურათი. კლინიკურად ხასიათდება ძირითადი დაავადების ნიშნებით (ბრონქოექტაზია, შეძენილი ან თანდაყოლილი ცალმხრივი ემფიზემა და ა. შ.), ხოლო რენტგენოლოგიურად ადგილი აქვს ფილტვის გამქვირვალობის ცალმხრივ მკვეთრ გაძლიერებას სუსტი სისხლძარღვოვანი სურათით. იხ. სინონიმები: იანუსის სინდრომი, ბრეტის სინდრომი.

ჯილბერის სინდრომი — კოლიბაცილოზი, ნაწლავის ჩხირით გამოწვეული სეფსისი.

ჯილბერტ-ბეჰჩეტის სინდრომი — ქრონიკული სეპტიკური-ალერგიული დაავადება. სავარაუდოა ვირუსული ეტიოლოგია. ყველაზე ხშირი გამოვლინებაა ქრონიკული კოლიტი. შეიძლება აღინიშნოს პირის ღრუს, საყლაპავის, კუჭის, გენიტალისის და ანუსის ლორწოვანი გარსების აფტოზური დაწყლულება, ანთებითი პროცესი თვალში, თრომბოზი, თრომბოფლებიტი, ჰემატურია, სისხლდენა კუჭ-ნაწლავიდან, ჰემოპტოე, მენინგეალური მოვლენები, პოლიართრიტი. შედარებით ხშირია მამაკაცებში. სინონიმები:

ტურენის დიდი აფთოზი, ბეჰჩეტის სინდრომი, ადამანტიად-ბეჰჩეტის სინდრომი, სეპტიკური ირიდოციკლიტი, სეპტიკური ირიტი.

ჯილფორდის დაავადება — გამოვლინდება 1—2 წლის ასაკში ზრდის შეფერხებით, კანის, კანქვეშა ცხიმოვანი გარსის და კუნთების ატროფიით, თმების დაცვენით, სასქესო ორგანოების განუვითარებლობით, სახსრის ირგვლივი ფიბროზით, ოსტეოპოროზით და საერთო სკლეროზით. ბავშვი იღუპება 13 წლამდე. სინონიმები: ჰატჩინსონის დაავადება, ჰატჩინსონის პროგერია, ჰატჩინსონ-ჯილფორდის დაავადება, ნაადრევი სიბერე.

ჯილფორდის სიმპტომი — ზემო ქუთუთოს ამობრუნების შეუძლებლობა. დამახასიათებელია სკლეროდერმიისათვის, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ასევე თირეოტოქსიკური ეგზოფთალმის ან მიქსედემის დროს.

ჯილქრისტის დაავადება — ჩრდილოეთ ამერიკული ბლასტომიკოზი, რაც გამოიწვევა სოკო ბლასტომიცეს დერმატიტიდით. ინფექცია ორგანოზმში აღწევენ კანის ან სასუნთქი გზებით. დაავადება ქრონიკულია. არჩევენ კანისა (აბცესები და გრანულომები) და გენერალიზებულ ფორმებს. ეს უკანასკნელი იწყება ბრონქიტით, რასაც მოსდევს ცვლილებები ფილტვებში (უხშირესად ცალმხრივი). ამ დროს რენტგენოლოგიური სურათი წააგავს ტუბერკულოზისას: ცვლილებები ერცელდება ჰილუსებამდე. დისემინირებისას ზიანდება ბევრი ორგანო, ჩნდება ფისტულა. გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაში უპირატესად და უმთავრესად მხოლოდ მამაკაცებში.

ჯიფორდ-გალასის რეფლექსი — თუ გამოსაკვლევ პირს ძალდატანებით შეუჩერებთ ქუთუთოს მოძრაობას (ხამხამს), თვალების დახუჭვისას გუგები შეეიწროედება. ფიზიოლოგიური რეფლექსია.

ჯოვანეტის დიეტა — დიეტა, რომელიც საკმარისი კალორიულობის დროს, შეიცავს ცილების უმნიშვნელო რაოდენობას მაღალი ბიოლოგიური ფასეულობით (კვერცხები) და ნატრიუმის შეზღუდვით. გამოიყენება თირკმლების უკმარისობის დროს..

ჯოზეფ-დიამონდ-ბლეკფანის სინდრომი — ქრონიკული თანდაყოლილი არეგენერაციული ანემია, ერითრობლასტოფტიზი, თავს იჩენს ჩვილ ბავშვებში. ყურადღებას იპყრობს ფიზიკური და ფსიქიკური ჩამორჩენა, სასქესო ორგანოების განვითარების დათრგუნვა. სისხლში ჰიპოქრომული ანემია, არეტიკულოციტოზი, ძვლის ტვინში სისხლმბადი ფუნქციის მკვეთრი შეზღუდვა, ლიმფოციტებისა და რეტიკულური უჯრედების რაოდენობის მომატება. ეტიოლოგია უცნობია, პროგნოზი მძიმეა. სინონიმი: დიამონდ-ბლეკფანის სინდრომი.

ჯოლიფის სინდრომი — ენცეფალოპათია ნიკოტინის მჟავის დეფიციტის გამო. ნიშნები: გონიერების დარღვევა, ძილიანობა, სხვადასხვა ჰიპერკინეზი, კანსა და ლორწოვან გარსზე პელაგროიდული გამოვლინებანი. ნიკოტინის მჟავის გამოყენებით სიმპტომები ქრება.

ჯონსონ-დუბინის სიყვითლე — დამახასიათებელია არაჰემოლიზური ტიპის მუდმივი სიყვითლე და ღვიძლში დიდი რაოდენობით გაურკვეველი ჭარმოშობის პიგმენტის არსებობა. ვლინდება ბავშვობაში. განწყობილება ჯარგია, ღვიძლის ფუნქციები არ ირღვევა, სანაღვლე გზებში მექანიკური

დაბრკოლებები არ არის. პროგნოზი კარგი. სინონიმი: დუბინ-ჯონსონის სიყვითლე.

ჯონსტონის სინდრომი — ხელების სარკისებრი მოძრაობა. აღწერილია ამ მდგომარეობის ოჯახური შემთხვევები. პათოლოგ-ანატომურად დადგენილია ზურგის ტვინში პირამიდების არასრული გადაჯვარედინება, რაც უჩვეულო სინდრომის საფუძველია.

ჯონსტონის ნიშანი — ჭიპის ფერის შეცვლა მოყვითალო შეფერილობით პანკრეატიტის დროს.

ჯუნგლების ტიფი — ცუცუგამუში, აკამუში, ინდოეთის ტიპის ცხელება, იაპონიის მდინარის ცხელება, ცუტუგამუშის ცხელება, მწვავე ინფექციური კეროვანი დაავადება რიკეტსიოზის ჯგუფიდან. დამახასიათებელია პირველადი აფექტი, რეგიონული ლიმფადენიტი, ტემპერატურის უცაბედი მომატება. პირველი კვირის დასასრულს აღინიშნება გენერალიზებული მაკულოპაპულოზური კანის გამონაყარი. სინონიმები: პესკადორის კუნძულების ცხელება, სუმატრის ტიპის ცხელება.

ჯულიენ მარი-დებრეს სინდრომი — ნეიროვეგეტატოზური სინდრომი: მცოცავი ტკივილი მთელ სხეულში. მთელ სხეულში (განსაკუთრებით კიდურებში) რბილი დამბლები, ჰიპორეფლექსია, მასიური გენერალიზებული შეშუპება. გრძელდება 2—3 კვირის მანძილზე და შემდეგ განიცდის უკუქცევას. გვხვდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ბანალური ინფექციის გადატანის შემდეგ. სინონიმია დებრეს II სინდრომი.

ჰაიბის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: გუგის შეიწროება ბნელ ოთახში, როცა გამოსაკვლევი პირი წარმოიდგენს სინათლის სხივის წყაროს.

ჰაბერის სინდრომი — მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია სახეზე ვარდისფერისმაგვარი გამონაყარი, შერწყმული მზის სხივების მიმართ მომატებული მგრძნობელობასთან და ტანზე კანის ინტრაეპიდერმულ ეპითელიომებთან. გამოვლინდება ბავშვთა ასაკში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ჰაგედორნ-იენსენის მეთოდი — სისხლში შაქრის დონის განსაზღვრის მეთოდია. იგი ემყარება ტუტე გარემოში შაქრის მიერ წითელი მარილის ყვითელ მარილად აღდგენის თვისებას. შაქრის დონეზე წარმოდგენას იძლევა წითელი მარილის სიჭარბე, რომელიც ტიტრომეტრის მეშვეობით განისაზღვრება.

ჰაგემანის სინდრომი — სისხლის შედედების მემკვიდრეობითი ანომალია, დაკავშირებული მეთორმეტე ფაქტორის (ჰაგემანის ფაქტორის) არარსებობასთან. ახასიათებს სისხლდენის მკვეთრი გახანგრძლივება, კონჩალოვსკი-რუმპელ-ლეედეს დადებითი სიმპტომი, სისხლის შედედების დრო და სისხლის კოლიტის რეტრაქცია ნორმალურია. მიდრეკილებას სისხლდენისკენ ადგილი არა აქვს და ვლინდება მხოლოდ სისხლის შედედების დროის განსაზღვრისას.

ჰაგის დაავადება — მეცხრე ტიპის გლიკოგენოზი, რომელიც შეპირობებულია ფოსფორილაზ „B“-კინაზის უკმარისობით. დამახასიათებელია ჰე-

ბატომეგალია, უმადობა. მემკვიდრეობის ტიპი — რეცესიული, დაკავშირებული სქესთან.

ჰაგლუნდ-შინცის დაავადება — ქუსლის ძვლის აპოფიზის ოსტეოქონდროზი-ოსტეოქონდროპათია ქუსლის ძვლის აპოფიზის დაზიანებით, გამოვლინდება შესიებით და ტკივილით აქილევსის მყესის მიმაგრების ადგილზე.

ჰადელსონის რეაქცია — იგივეა ჰედელსონის რეაქცია. ბრუცელოზის სწრაფი დიაგნოზის სეროლოგიური მეთოდი დამყარებულია აგლუტინაციის რეაქციაზე. ავადმყოფის განუზავებელი სისხლის შრატს ემატება კონცენტრირებული ანტიგენი (დახოცილი ბრუცელების ნარევი ქლორიანი ნატრიუმის 12%-ან ხსნარში) და საღებავები (გენციან იისფერი და ბრილიანტის მწვანე).

ჰადენის დაავადება — ჰემოლიზური ხასიათის, მონოქრომული ტიპის თანდაყოლილი ოჯახური მაკროციტული ანემია, თან ახლავს სიყვითლე, ელენთის გადიდება.

ჰაეროვანი ტალღის სიმპტომი — ქალას ძვლოვანი დეფექტის არსებობისას სუბარაქნოიდულ სივრცეში ჰაერის შეყვანას თან ახლავს ნაწიბურის გამობურცვა დეფექტის მიდამოში, რომელზედაც ხელის თანდათანობითი დაჭერა და შემდეგ დაწოლის სწრაფი შეწყვეტა იწვევს ძლიერ ტკივილს აღნიშნულ უბანში. თუ იგივე ფენომენი აღინიშნება პნევმოენცეფალოგრაფიის გარეშე, სავარაუდოა პათოლოგიის არსებობა პარკუჭოვან სისტემაში. სინონიმი: მინდაძის სიმპტომი.

ჰაველოკ-ელისის სინდრომი — ონდინიზმი. უროლოგია, წყლისმიერი სქესობრივი სურვილის დაკმაყოფილება (ხელ-პირის დაბანა, ბანაობა). ჩვეულებრივ აღინიშნება ქალებში.

ჰაიდის კვანძოვანი ქავილი — ნერვულ-ალერგიული და ჰორმონული წარმოშობის კვანძოვანი ქავილი. კიდურთა გამშლელ ზედაპირზე, ტანსა და სხეულის სხვა ნაწილებზე გაფანტულია მკვრივი კონსისტენციის სხვადასხვა ზომის ხორკლები. დაავადებას თან ახლავს მტანჯველი ქავილი. მიმდინარეობა ქრონიკულია, მორეციდივე. ჰისტოლოგიურად ანთებად ინფილტრატში ელინდება ნერვული ქსოვილის ჰიპერტროფია. სინონიმები: ლელებროკას ლიქენი, პოტრიეს კვანძოვანი ლიქენოფიკაცია.

ჰაიდენჰაინის სინდრომი — სინონიმი: ალცჰეიმერის დაავადება (იხ.).

ჰაიემ-ვიდალის დაავადება — გაურკვეველი ეტიოლოგიის ჰემოლიზური ანემია სიყვითლითა და ელენთის გადიდებით. სისხლში — რეტიკულოციტოზი, ერითროციტების რეზისტენტობის დაქვეითება.

ჰაიემ-ფაბერის დაავადება — ჰიპოქრომული ესენციური ანემია, მარტივი აქლორჰიდრული ანემია, მემკვიდრეობითი დაავადება. კლინიკური ნიშნებია: სისუსტე, გულის ფრიალი, ფრჩხილების ტროფიკული ცვლილებები, სიფერმკრთალე. შეიძლება აღინიშნოს ფუნიკულური მიელოზი, პლუმერ-ვინსონის სინდრომი, აქლორჰიდრია, ელენთის ზომიერი გადიდება, ჰიპოქრომია მიკროციტოზით, პოიკილოციტოზით, ანიზოციტოზით, ლეიკემია — ლიმფოციტოზით. სინონიმები: კაცნელსონის სინდრომი, ვიტსის დაავადება, ფაბერ-ჰაიემის დაავადება, ჰაიემ-ფაბერ-აინჰორნის დაავადება.

ჰაიემ-ფაბერ-აინჰორნის დაავადება — იხ. ჰაიემ-ფაბერის დაავადება.

ჰაინს-ბრაუნის სინჯი — ლატენტურ არტერიული ჰიპერტენზიის გამოსაელინებელი სინჯი. დამყარებულია წნევის მძაფრი აწევის ეფექტზე, როცა ავადმყოფი ჩაყოფს ხელს ყინულივით ცივ წყალში.

ჰალბანის სიმპტომი — ვლინდება ორსულობის დროს. აღინიშნება თმიანობის მომატება მთელ სხეულზე.

ჰალგრენ-ალსტრემის სინდრომი — განვითარების თანდაყოლილი ანომალიათა კომპლექსი (ოჯახური ხასიათისა, გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპით): ნისტაგმი, სიელმე, პიგმენტური რეტინიტი, სიყრუე, სიმსუქნე, ჰიპერურიკემია, შაქრიანი დიაბეტი.

ჰალერმანის სინდრომი — მემკვიდრეობითი ანომალიების კომპლექსი. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ქვედა ყბის ჰიპოპლაზია („ჩიტის სახე"), კბილების განლაგების ანომალია, ცრუ ეგზოფტალმია, ცისფერი სკლერები, ნეკნებისა და ლავიწების ჰიპოპლაზია, პროპორციული ჯუჯისებრი სიმაღლე, ჰიპოტრიქოზი, ლაქოვანი ლეიკოდერმია, სახის კანის მასკლეროზებელი ატროფია. არაიშვიათია მცირესიმპტომური ფორმები. სინონიმები: ჰალერმან-შტრაიფის სინდრომი, ფრანკოს დისცეფალია, ულრიხ-ფრემერ-დონის სინდრომი.

ჰალერმან-შტრაიფის სინდრომი — სინონიმები: ფრანკოს დისცეფალია, ჰალერმანის სინდრომი (იხ.), ულრიხ-ფრემერ-დონის სინდრომი.

ჰალერმან-შტრაიფ-ფრანსუას სინდრომი — მანდიბულოოკულოფაციალური დიზმორფია — განვითარების ანომალია, მიკროფტალმის, კატარაქტის, კანის ატროფიის, ჩრნჩხის (განსაკუთრებით თავის ქალას) შერწყმა, კბილების და თმის ზრდის დარღვევა.

ჰალერვორდენ-შპატცის დაავადება — პროგრესიული რიგიდობა — მემკვიდრეობითი დაავადება, დაკავშირებული რკინისა და ლიპიდების ცვლის დარღვევასთან, გამოვლინდება 7—9 წლის ასაკში, კუნთოვანი ტონუსის მომატებაში, ჰიპერკინეზებში, პროგრესირებულ დემენციაში, მხედველობის დაქვეითებაში და პიგმენტურ რეტინიტში. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ჰალმაგის პულმო-პულმონური რეფლექსი — ფილტვების არტერიების და ვენების გენერალიზირებული სპაზმი ერთ-ერთი მათგანის გაღიზიანებისას, რაც მიზეზი ხდება მცირე წრეში სისხლის წნევის მომატებისა.

ჰალოპოს მყარი პუსტულოზური აკროდერმატიტი — სუპერატიული მორეციდიე პოლიდაქტილიტი, მოპერსისტირე აკროდერმატიტი. ხასიათდება მოლურჯო-მოწითალო ჰიპერემიით და თითების კანის დაქიმვით, უფრო ხშირად ბეშტუკების წარმოშობით. თანდათანობით ვრცელდება კიდურებზე, ზოგჯერ მთელ სხეულზე.

ჰალოპოს პროლიფერაციული პიოდერმია — პროლიფერაციული კეთილთვისებიანი ბუშტუკელას ნაირსახეობა. ერთეული ვეზიკულა და პუსტულა ერთიანდება და წარმოიქმნება დიდი ვარდისფერ-მოყავისფრო ბალთა, რომელიც პროლიფერაციას განიცდის და ამოდის კანს ზემოთ. ხშირია ლოკალიზაცია ბოქვენთან, იღლიებში, თავის თმიან ნაწილებში. მიმდინარე-

ობის ხანგრძლიობა რამდენიმე თვეა. შეიძლება თვითგანკურნება, შემდეგ კი რჩება ჰიპერპიგმენტაცია.

ჰალოპოს სინდრომი — წითელი ბრტყელი ლიქენის ატროფიული ან სკლეროზული ფორმა. ეტიოლოგია უცნობია, წარმოადგენს დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულს. სხეულის ზედა ნაწილში, ზედა კიდურებზე, სასქესო ორგანოებსა და ანუსის მიდამოებში აღინიშნება ერთეული ან ჯგუფური პატარა, ბრტყელი, ფაიფურის მაგვარი თეთრი კვანძები, ზოგჯერ მწვერვალოს ჩაღრმავებით.

ჰალოპო-ლერედ-დარიეს ცხიმოვანი ჯირკვლების სიმეტრიული ადენომა — ხასიათდება მკვრივი კონსისტენციით და მეტეჭოვანი ზედაპირით, რისი მიზეზიცაა ფიბროზული ქსოვილის ჩაზრდა.

ჰალოპოს ქრონიკული ვეგეტირებადი პიოდერმია — ქრონიკული პუსტულოზური დერმატიტი — ქრონიკული სტაფილოკოკური პიოდერმია, ახასიათებს თავის თმიან ნაწილებში, სახესა და ტანზე პუსტულები ჩირქოვანი გამონადენით. მათ ირგვლივ აღინიშნება დერმის არათანაბარი პაპილომატოზური ზრდა. სინონიმები: ლამბერგერის ფრამბეზიეფორმული დერმატიტი, სეზარი — მორიაკის ქრონიკული ეგეტირებადი (მოეგეტირე) პიოდერმია.

ჰალსტედის სიმპტომი — მწვავე პანკრეატიტის ნიშანი. სხეულის პერიფერიული ნაწილებში აღინიშნება კანის სილურჯე და მარმარილოსებრი ელფერი.

„ჰამაკის" სიმპტომი — კაროტიდულ ანგიოგრამაზე აღინიშნება ზონა, რომელიც თავისუფალია სისხლძარღვებისაგან. ის მოთავსებულია ჭალას კონტურსა და თავის ტვინის კომპრესირებულ ზონას შორის. უსისხლძარღვო ზონის გასწვრივ კონტრასტით შევსებული სისხლძარღვოვანი ქსელი ჰამაკს ჰგავს. გვხვდება სუბდურული და ეპიდურული ჰემატომების დროს. სინონიმი: არსენის სიმპტომი.

ჰამბურგის ტუბერკულოიდი — კანის პაპულონეკროზული ტუბერკულოზი, აკნიტი, პაპულონეკროზული ტუბერკულოიდი — კანის ტუბერკულოზი, რომელიც ხასიათდება კიდურთა გამშლელ ზედაპირზე მკვეთრი, მკრთალ-მოწითალო პაპულებით, რომლებიც ნეკროზდება ცენტრში და ვითარდება წყლულები შემდგომი დანაწიბურებით. აღინიშნება გამომწვევის ჰემატოგენური დისემინაციის დროს.

ჰამენის სიმპტომი — მაღალი ხრაკუნა ან ტკაცუნა ხმიანობა, რომელიც მოისმინება გულ-მკერდზე სინქრონულად გულის ცემის ერთ-ერთ ფაზაში. პნევმოპერიკარდიტის პათოგნომური სიმპტომი.

ჰამენ-რიჩის სინდრომი—უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ხასიათდება სწრაფად პროგრესირებადი დიფუზური პნევმოფიბროზით, სუნთქვითი უკმარისობის განვითარებით, მცირე წრის ჰიპერტენზიით და ფილტვისმიერი გულის ჩამოყალიბებით. სინონიმი: სკეტინგის სინდრომი.

ჰანდ-კრიხტიან-შულერის დაავადება — კრანიოჰიპოპლაზიური ქსანტომა. კრანიოჰიპოფიზული დიზოსტოზი. ლიპოიდური გრანულემატოზი. ცლინდება უფრო ბავშვებში, აღინიშნება მოზრდილებშიც. გაფაშრება და შეშუპება ღრძილების, კბილების მორყევა. კანში პატარა მოყვითალო კვან-

ძვლები. ძვლებში, უპირატესად თავის ქალაში დეფექტები, ლულოვანი ძვლებს მოტეხილობები. რენტგენოლოგიურად — ძვლებში ოსტეოპოროზი, ღრუნთა და ღვიძლი მცირედ გადიდებული. სისხლში — ჰიპერქოლესტერინემია. უმნიშვნელო ანემია. ძვლის ტვინში — რეტიკულური უჯრედები და ქრალსტერინის ჩალაგება, ზოგჯერ უშაქრო დიაბეტი და ეგზოფტალმიც უფრო იშვიათად ადიპოზოგენიტალური დისტროფია. მიმდინარეობა ქრონიკული. პროგნოზი ცუდი. სინონიმი: კრისტიან-შულერის დაავადება.

ჰანზალოვის სიმპტომი — თუ თვალდახუჭული ავადმყოფი ხელებს გაშლის წინ, დაავადებული კიდურის მტევანი მოიხრება ხელისგულისაკენ. აღინიშნება ჰემიპარეზის დროს.

ჰანის სიმპტომი — თავის მყარი მუდმივი როტაცია ერთიდან მეორე მხრისაკენ. აღინიშნება თავის ტვინის დაავადების დროს.

ჰანოვერის დაავადება — ეპიდემიური დიარეა, ეპიდემიური ფაღარათი, მწვავე ინფექციური დაავადება, ალბათ ვირუსული ეტიოლოგიის, მიდრეკილი ეპიდემიური გაერცელებისადმი, ძირითადად ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში. ახასიათებს გასტროენტერიტის მოვლენათა მძაფრი განვითარება, ღებინებით და წყლიანი განავლის დიდი რაოდენობით, ძლიერი სისუსტით და ხშირი ფარინგიტის ნიშნებით სინონიმები: სპენსერის დაავადება, ზამთრის ღებინების დაავადება, ნაწლავთა გრიპი.

ჰანოს დაავადება — ბრინჯაოს დიაბეტი. ჰემოქრომატოზი. საფუძვლად უდევს ჰემოსიდერინისა და ჰემოფუსცინის ჩალაგება შინაგან ორგანოებსა და კანში. ეტიოლოგია უცნობია. დამახასიათებელია ადისონის დაავადების მაგვარი კანის ჰიპერპიგმენტაცია (რაც უკანასკნელთან განსხვავებით ლორწოვანებზე არ აღინიშნება), ჰიპერგლიკემია პანკრეასის ციროზული გადაგვარების გამო, აგრეთვე ღვიძლის გადიდება (პიგმენტური ციროზი), სპლენომეგალია, შარდში მომატებულია პორფირინის შემცველობა, სისხლში — რკინის რაოდენობა. ემართებათ 40 წლის ასაკს გადაცილებულ მამაკაცებს. უკავშირებენ სპილენძით მოწამვლას, ავიტამინოზს, ჰიპოფიზულ დარღვევებს. სინონიმები: ტრუასიეს სინდრომი, შოვარის სინდრომი, ტრუასიე-ჰანო-შოფარის სინდრომი, ღვიძლის პიგმენტური ციროზი.

ჰანოს ღვიძლის ციროზი — ღვიძლის ბილიარული ციროზი, ღვიძლის ქოლეანგიოლიტური ციროზი, ღვიძლის ციროზი გაპირობებული სანაღვლე გზების ანთებითი პროცესებით და ნაღვლის შეგუბებით.

ჰანხენის დაავადება — ჰანსენოზი, ჰანსენიოზი, კეთრი, ლეპრა. ქრონიკული ინფექციური დაავადება, გამოწვეული კეთრის ჩხირით. ხასიათდება კანის შეყოვნებული ნელი განვითარებით, პერიფერიული ნერვული სისტემის, თვალისა და ზოგიერთი შინაგანი ორგანოს დაზიანებით.

ჰანტის ეპილეფსია — ნერვული სისტემის დაავადება, განპირობებულია ნათხემის დაბილული ბირთვის და შუა ტვინის წითელი ბირთვის დეგენერაციით. გამოვლინდება მიოკლონიის შერწყმით ნათხემის სინდრომთან და ეპილეფსიურ გულყრებთან. სინონიმი: ჰანტის მიოკლონური ნათხემისებური დისინერგია.

ჰანტის სინდრომი I — ნათხემისებრი მიოკლონური დისინერგია. ნერვული სისტემის პროგრესული დაავადება, რომლის დროსაც მიოკლონიას-

ან ერთად აღინიშნება ნათხემის დაზიანების მკაფიო ნიშნები და ეპილეფსიური გულყრა. მიოკლონური ეპილეფსიისაგან განსხვავებით ჭკუასუსტობა არ ახასიათებს.

ჰანტის სინდრომი II — დამუხლული განგლიის სინდრომი — პერპეს ზოსტერის ერთ-ერთი ფორმა. გამოვლინდება დამახასიათებელი გამონაყარით ყურის ირგვლივ, ყურის ძლიერი ტკივილით, ირადიაციით სახის მიდამოში, აგრეთვე კეფასა და კისერში. ხშირია სახის ნერვის ნევრიტი. სინონიმი: რამზაი-ჰანტის სინდრომი.

ჰანტის მიოკლონიური ნათხემისებური დისინერგია — იხ. ჰანტის ეპილეფსია.

ჰანჰარტის სინდრომი I — ხელ-ფეხისგულთა მემკვიდრეობითი კერატოზის ფორმა. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული. ნიშნები: ჰიპერჰიდროზი არ აღინიშნება, დამახასიათებელია რქოვანას დისტროფია, ეპითელიუმში დენდრიტისებრი განტოტებების წარმოქმნით. რქოვანას მგრძნობელობა არ არის დაქვეითებული, ადგილი აქვს გონებრივი და ფიზიკური განვითარების ძლიერ შეფერხებას. ნიშანდობლივია დაბალი ან ჯუჯასებრი სიმაღლე, ენურეზი, მრავლობითი ლიპომა. სინონიმები: რიპერ-ჰანჰარტის სინდრომი, რიპერის სინდრომი.

ჰანჰარტის სინდრომი II — ტვინის თანდაყოლილი კისტოზური გადაგვარება, შერწყმული თირკმლების, ღვიძლის, კუჭსუკანა ჯირკვლისა და საკვერცხეების პოლიკისტოზთან. ადგილი აქვს პოლისინდაქტილიას, ჰიპერტელორიზმს. სინონიმები: გრუბერის სინდრომი, მეკელის სინდრომი.

ჰანჰარტ-რიპერის სინდრომი — ზემო და ქვემო კიდურების ფრჩხილების ფალანგების მომატებული გარქოვანება, ტანმორჩილობა, ენურეზი, ოლიგოფრენია.

ჰაპელის დაავადება — მრავლობითი მიელომა. პლაზმოციტომა, მიელომატომა. პარაპროტეინურია, რეტიკულოზი. რეტიკულოპლაზმოციტოზი, ძვლის ტვინისა და ლიმფური ქსოვილის ავთვისებიანი სისტემური დაავადება. დამახასიათებელია დიფუზური ან კვანძოვანი ავთვისებიანი ზრდა პლაზმური უჯრედებისა, რომელთაც უნარი აქვს პარაპროტეინების პროდუცირებისა. სინონიმები: კალერ-ბოცოლოს დაავადება, კალერის დაავადება, რუსტიცკის დაავადება, რუსტიცკი-კალერის დაავადება.

ჰარბიტც-მიულერის სინდრომი — მემკვიდრეობით — ოჯახური ჰიპერქოლესტერინემია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური, დაავადების საფუძველია ქოლესტერინის ცვლის დეფექტი. კანზე ვლინდება კვანძოვანი ქსანტომები, რომლებიც იდაყვზე, მუხლზე, ფალანგთაშუა სახსრებზე და ქუთუთოებზე ლოკალიზდება. უფრო ხშირად ზიანდება გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვები. ავადმყოფებს ადრეულად უეითარდებათ სტენოკარდია და გულის ინფარქტი. სისხლში აღინიშნება ჰიპერქოლესტერინემია და ვიტამინ „D"-ს და კაროტინის მომატება.

ჰარგრეივსის უჯრედები — წითელი მგლურას უჯრედები, მწიფე წეიტროფილური გრანულოციტები, რომელთა ბირთვები პერიფერიისაკენ გაზიდულია ფაგოციტირებული სხვა უჯრედთა ბირთვის ნივთიერებებით. ეოზინით შეღებვისას ღებულობს ჰომოგენური ვარდისფერი ბურთების

სახეს. გეხვდება სისტემური წითელი მგლურათი დაავადებულთა პერიფერიულ სისხლში.

შარგრეივსის ფენომენი — აღინიშნება სისტემური წითელი მგლურას დროს. წარმოადგენს უჯრედთა ბირთვებისა და ანტისხეულთა (რომლებიც დაშლილია ანტიხუკლეარული ანტისხეულებით) ლეიკოციტების მიერ გამოწვეულ ფაგოციტოზს, რასაც მოჰყვა წითელი მგლურას უჯრედების ფორმირება.

შარდი-გორჩაკოვის სიმპტომი — იმპეტიგინოზური ან ექიმატოზური გამონაყარი, დაფარული წერტილოვანი ქერქით — იდაყვის სახსრის მიდამოს კანზე, მის გაშლით ზედაპირზე. აღინიშნება პიოდერმიით გართულებული მუნის დროს. გამომწვევია სეპტიცემია. სინონიმები: სიდბერ-სმით შარლანის სინდრომი, სიდბერის სინდრომი.

შარის მტკივნეული წერტილები — სხეულის უბნები, რომლებიც ზეწოლისას მტკივნეულია გავა-წელის რადიკულიტის დროს. ეს წერტილები განლაგებულია წელის IV—V მალების განივი წანაზარდების, აქილევსის მყესის, მუცლის შუა ხაზზე, ჰიპის ოდნავ ქვემოთ და ასევე სხვაგან.

შარიხონის კვალი — გულ-მკერდის დეფორმაცია რაქიტის დროს გარდიგარდმო ჩაღრმავებების სახით, რაც განლაგებულია დიაფრაგმის მიმაგრების შესაბამისად.

შარიხონის ღარი — ღარი, რომელიც აღინიშნება მახვილისებრი მორჩიდან დაწყებული ქვემოთ სხეულის ორივე გვერდზე (მუცელზე). მას უკავშირებენ შუასაძგიდის მუდმივ დაჭიმულობას.

შარიხონ-ვონახ სინდრომი — ქრონიკული, მიელოსკლეროზული ლეიკოპლასტიკური ანემია. ნიშნები: გამოხატული სპლენომეგალია, ზომიერი ჰეპატომეგალია, ნაადრევი ნიშანია ოსტეოსკლეროზი (დასაწყისში ძვლების), სისხლში ლეიკემოიდური სურათი ერითროპლასტოზითა და ანემიით, დასაწყისი არაიშვიათად ერითროციტოზი, ანიზოციტოზი, პოლიქრომაზია, ზომიერი ლეიკო და თრომბოციტოზი. ძვლის ტვინში: მეგაკარიოციტოზი და მეგაკარიობლასტოზი. ელენთაში, ღვიძლში, თირკმლებსა და სხვა ორგანოებში, ლიმფურ კვანძებში მიელომური მეტაპლაზია. პროგრესირება ნელი. სინონიმი: ვონას დაავადება. ანუ სინდრომი, კონას მიელოსკლეროზი.

შარკავის სინდრომი — უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. ახასიათებს ორგანოთა ქსოვილების ინფილტრაცია ეოზინოფილებით და ეოზინოფილია სისხლში, კოლაგენური ბოჭკოების (განსაკუთრებით ვენების კედლების) მრავლობითი კეროვანი ნეკროზი და ასევე მომატებული მგრძნობელობა არაბაქტერიული ანტიგენების მიმართ (თამბაქო, მტვერი, საკვები პროდუქტები).

შარკეუეის სინდრომი — ალერგიული ვასკულიტი. ატარებს სისტემურ ხასიათს, კლინიკური სურათი კვანძოვანი პერიარტერიიტის მსგავსია. მიმდინარეობს პერიოდული გამწვავებით, ავთვისებიანად. ჰისტოლოგიურად აღინიშნება კანის და შინაგან ორგანოთა საშუალო კალიბრის არტერიების და ვენების ნეკროზული ანთება.

ბარლან-სმითის სინდრომი — ცხიმოვანი ცელის მემკვიდრეობითი დარღვევა. საკარაუდოა მისი აუტოსომურ-რეცესიული გადაცემა. ნიშნები ვლინდება სიცოცხლის პირველ დღეებში: ლეთარგიული მდგომარეობა, კრუნჩხვები, დეჰიდრატაცია, ჰეპატომეგალია, თრომბოპენია, ლეიკოპენია, შარდის თავისებური სუნი, ძვლის ტვინის ჰიპოპლაზია.

ბარლეის დაავადება — ღამის პაროქსიზმული ჰემოგლობინურია, დაავადება ვითარდება სომატური მუტაციის შედეგად ღეროს უჯრედებში, რასაც მივყავართ ერითროციტების ანომალიური პოპულაციების წარმოქმნამდე, რომელთაც ახასიათებს უჯრედული მემბრანის მომატებული მგრძნობელობა კომპლემენტისადმი, გამოვლინდება მუდმივი სისხლძარღვთშიგნითა ჰემოლიზით, ეს უკანასკნელი ზოგჯერ ძლიერდება (უფრო ხშირად ღამით) ჰემოგლობინურიის წარმოშობამდე. სინონიმები: მარკიაფავა-მიკელის დაავადება, შტრუბინგ-მარკიაფავას დაავადება.

ბარტინგსის პროგერია — ბავშვთა გეროდერმია, ბავშვთა პროგერია. უცნობი ეტიოლოგიის დაავადება. გამოვლინდება პროპორციულ ქონდრისკაცობაში და პროგერიაში. სინონიმები: გილფორდის სინდრომი, ჰეტჩინსონ-გილფორდის დაავადება.

ბარტნუპის დაავადება — მემკვიდრეობითი დაავადება. შეპირობებულია ნაწლავებში ტრიპტოფანის შეწოვის და თირკმლის მილაკებში მისი რეაბსორბციის დარღვევით. გამოვლინდება ნათხემისებრი ატაქსიით, კანის ჰელიოგრისებრი ცვლილებებით, ამინოაციდურიით, შარდში ინდიკანისა და ინდოლის შენაერთების შემადგენლობის მომატებით. მემკვიდრეობის ტიპი რეცესიული.

ბარცერის სინდრომი — გულის საძგერის ლოკალიზაცია ეპიგასტრულ მიდამოში. აღინიშნება გულის მარჯვენა ნაწილის მნიშვნელოვანი გადიდების დროს.

ბასის დაავადება ანუ ბასის სინდრომი — მხრის ძვლის თავის ასეპტიკური ნეკროზი. გამოვლინდება ტკივილით, მხრის სახსარში მოძრაობის შეზღუდვით, მოგვიანებით მხრის პათოლოგიური ამოვარდნილობით.

ბასკოვეცის სიმპტომი — აკატიზია. მოძრაობათა გაღარიბების ფონზე ხანგრძლივად ჯდომის შეუძლებლობა. გვხვდება პარკინსონული სინდრომის დროს.

ბასიმოტოს ჩიყვი — ლიმფომატოზური თირეოდიტი, აუტო-იმუნური-აუტო-ალერგიული თირეოიდიტი, ლიმფომატოზური ჩიყვი, ლიმფოციტარული ჩიყვი, ქრონიკული თირეოიდიტი. დაავადების განვითარება დაკავშირებელია იმუნური სისტემის გარკვეული რგოლების სისუსტესთან (იმუნოდეფიციტთან), ლიმფოციტების გარკვეული კოლონიების გადაჭარბებულ გენერალიზაცია დაავადების მეორე ფაზაა. კლინიკურად გამოვლინდება ჩიყვით და ჰიპოთირეოზის სიმპტომებით.

ბაუდეკის „ნიშა“ — წარმოადგენს რენტგენოლოგიურ სიმპტომს ბარიუმის ფაფის მიღების შემდეგ. ეს არის მყარი კონტრასტული ლაქა ან გამოდრეკა კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის ჩრდილზე, რაც შეპირობებულია ფაფის მოხვედრით წყლულოვან კრატერში. წყლულოვანი დაავადების სარწმუნო, პირდაპირი ნიშანი.

ჰაუდეკის სიმპტომი — თორმეტგოჯა ნაწლავის ბოლქვიდან ძალზე სწრაფი ან პირით საკონტრასტო ნივთიერების ნელი გამოყოფა რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაზიანების ნიშანი.

ჰაუატის სინჯი — კუჭუკანა ჯირკვლის ფუნქციის შესასწავლი მეთოდი. დამყარებულია სისხლის შრატში ფერმენტების (დიასტაზის, ლიპაზის და ბიკარბონატების) განსაზღვრაზე. თანდათანობით, სეკრეტინისა და პანკრეოზიმინის შეყვანიდან 30 წუთის შემდეგ. პანკრეატიტის შემთხვევაში ეს ზემოქმედება იწვევს აღნიშნულ ნივთიერებათა დონის მომატებას სისხლში.

ჰაუელ-ჯოლის სხეულაკები — მრგვალი, იისფერი-მოწითალო ჩანართები, ელემენტები, რომლებიც ზოგჯერ ერითროციტებში გვხვდება რომანოვსკი-გიმზათი შეღებვისას. წარმოადგენს ნორმობლასტების ბირთვის ნაჭსხვრევებს. სინონიმი: ჯოლის სხეულაკები.

ჰაუზ-სტოვინის სინდრომი — ფილტვის არტერიის ანევრიზმის შეუღლება პერიფერიული ვენების თრომბოფლებიტთან. ძირითადად აღნიშნებათ ახალგაზრდა კაცებს. გამოვლინდება ცხელებით, სისხლიანი ხველით და სისხლის დენით ფილტვებიდან, ქოშინით და ფილტვის არტერიის ანევრიზმის ნიშნებით.

ჰაუშიპის სიმპტომი — ბარძაყის სამკუთხედის მიდამოში მოულოდნელად წარმოშობილი ტკივილი, ირადირებული ბარძაყის ნერვის გაყოლებით. აღინიშნება ბარძაყის თიაქარის ჩაჭედვის დროს.

ჰაუშიპ-რომბერგის სიმპტომი — იხ. ჰაუშიპის სიმპტომი.

ჰაქსტჰაუზენის სინდრომი — კლიმაქტერიული კერატოდერმია, კლიმაქტერიული კერატოზი — კერატოდერმია, რომელიც უვითარდებათ ქალებს კლიმაქტერიულ პერიოდში, უფრო ხშირად ქუსლების კიდეებზე. ჩვეულებრივ თანხვედრილია სიმსუქნესთან, ჰიპერტონიულ დაავადებასთან, მადეფორმირებელ ართროზთან.

ჰებერდენის დაავადება — სტენოკარდია, რომელიც ვითარდება კისრის სიმპათიკური განლაგების გაღიზიანების შემდეგ (სპონდილიტი, ხერხემლის მოტეხილობა, სპონდილოართროზი). სინონიმი: ელსნერის ასთმა, რუნიონ-ჰებერდენის დაავადება.

ჰებერდენის კვანძები — მკვრივი ძელოვანი წანაზარდები, რომლებიც გამოდის ბოლო ფალანგთა ფუძიდან და შუა ფალანგების თავიდან. გამოვლინდება მადეფორმირებელი ართროზის დროს ხელის მტევნის ფალანგთაშუა დისტალურ ნაწილებში.

ჰებრ-კაპოშის პერიეტიფორმული იმპეტიგო — ჰერპეტიფორმული იმპეტიგო — უცნობი ეტიოლოგიის დერმატოზი. ახასიათებს ერითემატოზულ-შეშუპებული ბალთები ზედაპირზე პატარა პუსტულებით. გვხვდება, როგორც წესი, ორსულებში.

ჰებრის ერითემული სებორეა — ქრონიკული ერითემული სებორეას ნაირსახეობა. კანის გამოვლინებანი ერითემულ-დესკვამაციური ბალთების მსგავსია, რომლებიც არ არის ძლიერ ინფილტრირებული, არ ტოვებს ქვალს, ანდა ტოვებს უმნიშვნელო ატროფიას. ეტიოლოგია და პათოგენეზი

ისეთივეა როგორც წითელი ლიქენის: კეროვანი ინფუქცია, შემაერთებელი ქსოვილის შეცვლილი რეაქცია, მომატებული რეაქცია სხვადასხვა ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ გამაღიზიანებელზე, განსაკუთრებით მზის სხივებზე. სინონიმი: ბიეტ-ბროკას სებორეა.

ჰეგლინის დაავადება, სინდრომი I ანუ ანომალია — მემკვიდრეობითი პანმიელოპათია, პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტების მომწიფების დარღვევით, თრომბოპათიით, გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. გახედება ერთდროულად ოჯახის რამდენიმე წევრთა შორის. დარღვეულია ძელის ტვინის სისხლმბადი ფუნქცია. სისხლში ადგილი აქვს პანმიელოპათიის სურათს, დელეს სხეულაკების (იხ.) ჩართვით სეგმენტბირთვიან და ბაზოფილურ ლეიკოციტებსა და მონოციტებში, თრომბოციტოპენიას გიგანტური უჯრედებით. სინონიმი: მეი-ჰეგლინის სინდრომი:

ჰეგლინის სინდრომი II — სისხლის მიმოქცევის ენერგო-დინამიკური უკმარისობა. ამ დროს შესუსტებულია გულის შეკუმშვა, რაშიც ძირითადი როლი ენიჭება ჰიპოკალიემიის ფაქტორს. დამახასიათებელია სისუსტე, უმადობა, მცირედ აჩქარებული ან შენელებული პულსი, ჰიპოტონია, მსუბუქი შეშუპებები, ეკგ-ზე PQ ინტერვალის გახანგრძლივება, მექანიკური შეკუმშვის დროს შემცირება, სისხლში — ჰიპოკალიემია. სინდრომი ვითარდება გულის ჰიპოქსიის, დიაბეტური და ჰეპატარგიული კომის, ჰიპოგლიკემიის, ხანგრძლივი პირღებინებისას და ფაღარათიანობის, ჰიპერთირეოზის, პორფირიის მოწამვლების დროს.

ჰეგლინის სინდრომი III — ანთებითი კერები ფილტვებში, რომელიც მიმდინარეობს ვასერმანის დადებითი რეაქციით. აღინიშნება ხველება, სისუსტე, ანორექსია, სუბფებრილიტეტი, მსტვინავი, მოგუგუნე ან სველი ხიხინი ფილტვებში. ედს-ი მომატებულია. უმეტესად ემართებათ ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებს. შესაძლებელია ელენთის გადიდება და ცერებრული მოელენები. სინონიმები: ფანკონი-ჰეგლინის სინდრომი, ვასერმან-პოზიტიური სინდრომი.

ჰედბლომის სინდრომი — ტკივილი შესუნთქვისას, რომელიც სწრაფად უუჩდება და შერწყმულია მუცლის ფარის წინა ნაწილის დაყოვნებულ სუნთქვით მოძრაობასთან. დიაფრაგმის მწვავე მიოზიტის ნიშანია.

ჰედის ზონები — კანის ნაწილები, რომლებზედაც გარკვეული შინაგანი ორგანოების დაავადებებისას აღინიშნება ტკივილის არეკვლა და ასევე ჰიპერესთეზია ტკივილსა და ტემპერატურაზე.

ჰედინგერის სინდრომი — ვლინდება კარცინოიდოზი, კასიდი შოლტის სინდრომის დროს (იხ.) და მისი ერთ-ერთი ნიშანია. ადგილი აქვს მარჯვენა გულის ენდოკარდის ფიბროზულ ცვლილებებს, რაც ვლინდება როგორც ძედლისამყოლი, ასევე სარქველოვანი აპარატის დაზიანებით (სამკარიან სარქველსა და ფილტვის არტერიაზე). მარჯვენა გულზე იზოლირებული ზემოქმედება აიხსნება იმით, რომ კარცინოიდულ უჯრედებში წარმოქმნილი 5—ჰიდროქსიტრიპტამინი ძირითადად პროდუცირდება ღვიძლში (მეტაბოლიზირების შემდეგ) და გზად გადის მხოლოდ მარჯვენა გულში.

ჰეერფორდტის სინდრომი, ანუ დაავადება — ქვემწვავე ფებრილური უვეოპაროტიტი. დამახასიათებელია ხანგრძლივი სუბფებრილიტეტი, სიგამ-

ხდრე, ნოდოზური ირიდოციკლიტი, ქრონიკული პაროტიტი, შესაძლოა სასქესო ჯირკვლების ანთებაც, მენინგოენცეფალიტი, სარკოიდოზისმაგვარი ცვლილებები ფილტვების მხრივ, რის გამოც არ გამოირიცხება, რომ ეს სინდრომი სარკოიდოზის ერთ-ერთი ვარიანტია. სინონიმი: მილიუს-ჰეერფორდტის სინდრომი.

ჰევეს სინდრომი — იხ. ჰუვეს სინდრომი.

ჰეიბნერის ენდარტერიტი — თავის ტვინის სისხლძარღვთა ენდარტერიტი, განვითარებული ნეიროსიფილისის დროს.

ჰეიბნერის სიმპტომი — მკერდის ძვალზე და მისგან მარცხნივ მოყრუება, რომელსაც აქვს ადგილი წინა შუასაყარის ლიმფური კვანძების მნიშვნელოვანი გადიდების დროს.

ჰეიბნერ-ჰერტერიხ დაავადება — ცელიაკია, ქრონიკული დაავადება, შეპირობებული იმ ფერმენტთა ნაკლებობით, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გლუტინის გადამუშავებაში. გამოვლინდება კუების დაქვეითებით, სტეატორეით, მუცლის მძაფრი გადიდებით, ავიტამინოზითა და ფოსფორ-კალციუმის ცვლის დარღვევით. აღვნიშნებათ ბავშვებს. სინონიმი: გიპერტერ-ჰეიბნერის დაავადება.

ჰეიმის ნიშანი — ნეკნთაშუა არეების ჩადრეკა პრეკორდიალურ არეში და მარცხენა იღლიის მიდამოში გულის სისტოლის დროს. შეხორცებითი პერიკარდიტის და პლევროპერიკარდიტის არამუდმივი ნიშანი. სინონიმი: ჰეიმ-კრაიზიგის სიმპტომი.

ჰეიმს-ვიდალიხ დაავადება — შეძენილი აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემია, განპირობებული სითბოთი წარმოშობილი აუტოანტისხეულებით.

ჰეიმ-კრაიზიგის სიმპტომი (იგივე ჰეიმს-კრეისიგის სიმპტომი). სინონიმი: ჰეიმის ნიშანი.

ჰეილ ბრონერის სიმპტომი—გულაღმა მწოლიარე ავადმყოფის ბარძაყის რბილი ქსოვილების გამკვრივება, ორგანული დამბლის ან ბარძაყის კუნთების პარეზის ნიშანია.

ჰეილი-ჰეილის დაავადება — ქრონიკული კეთილთვისებიანი ოჯახური ბუშტუკელა. ბულოზური, მემკვიდრეობითი დისკერატოზი — მემკვიდრეობითი ბუშტუკელა. ახასიათებს ბეკებზე, კისერზე, იღლიებში, საბარდულის ნაკეცებში ლოკალიზებული დაზიანებანი. მემკვიდრეობის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. სინონიმი: გუჟერო-ჰეილი-ჰეილის ბუშტუკელა.

ჰეილმეირ-შენერის ერითრობლასტოზი — მოზრდილთა ქრონიკული სუფთა ერითრობლასტოზი. ერითრობლასტოზის ტიპი. კლინიკური მოვლენები ნაკლებადაა გამოვლინებული, ვიდრე მწვავე ერითრემიის — გულეელმოს დაავადების (იხ.) დროს. პროგნოზი შესაბამისად უკეთესია.

ჰეინე-მედინის დაავადება — პოლიომიელიტი, ზურგის ტვინის წინა რქების მწვავე ანთება, იწვევს ვირუსი, გამოვლინდება ეპიდემიურად. დამბლების წინა პერიოდი გრძელდება 1—8 დღე ცხელებით. ადრეული ნევროლოგიური სიმპტომებია ტკივილი და მენინგეალური სინდრომები. დაავადება მიმდინარეობს დიდი კლინიკური პოლიმორფიზმით.

სინონიმები: ვესტის დამბლა, დრეიპერის სინდრომი.

ჰეინერხ სინდრომი — განპირობებულია ძროხის რძისადმი მომატებუ-

ლი მგრძნობელობით. დამახასიათებელია ფილტვების ქრონიკული ანთების შეუღლება რკინადეფიციტურ ანემიასთან, დიარეასთან და ზოგადი განვითარების შეფერხებასთან. რენტგენოლოგიურად ფილტვებში ინფილტრაციული ცვლილებები და ატელექტაზური უბნები.

ჰეიტც-ბოერის სინდრომი — ენდოგენური სეფსისი გამოწვეული ნაწლავის ჩხირით. ჰემატოგენური გზით მოხვედრილი თირკმლებში ის იწვევს საშარდე გზების დაღმავალ ანთებას.

ჰელერის დაავადება-ინფანტილური დემენცია — პროგრესირებადი ჰკუასუსტობა ბავშვებში 3—5 წლის ასაკში. გამოვლინდება მიღებული ჩვევების გაქრობით, მეტყველების პროგრესირებული გაღარიბებით მის სრულ დაკარგვამდე, სახის გამომეტყველების შენარჩუნებით. აღინიშნება, მაგალითად, ბავშვთა ავთვისებიანი შიზოფრენიის დროს.

ჰელერის სინდრომი — ხასიათდება ფრჩხილებში ღარების წარმოშობით (ყველაზე ხშირად დიდ თითებში). განვითარებაში გარკვეული როლი ენიჭება ტრავმას.

ჰელერის სინჯი — შარდში და ზურგტვინის სითხეში (და ასევე სხვაგან) ცილის გამოვლინების სინჯი. დამყარებულია რგოლისებური შემღერევის გარენაზე გამოსაკვლევი სითხის სინჯარაში აზოტის მჟავასთან შეხვედრის დონეზე.

ჰელერ-დელის დაავადება — ღუესური მეზოაორტიტი. ათაშანგური აორტიტი. აორტიტის შუა გარსის ღუესური ანთება, ვლინდება გვიან (ათაშანგის მესამე პერიოდში) ძირითადად გულის არეში მოკერის გრძნობით, აორტალგიით. მოსმენით აორტაზე სისტოლური შუილი, მეორე ტონი გაძლიერებული (მეტალური ელფერით), დაავადება აღინიშნება ასაკოვან პირებში, უპირატესად მამაკაცებში. სინონიმი: დელ-ჰელერის მეზოაორტიტი.

ჰელერსტრემის ტუბერკულოიდური ტრავმული გრანულომა — დაზიანებული კანის ატიპიური მიკობაქტერიებით ინფიცირების შედეგად განვითარებული ტუბერკულოზური გრანულომა.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი — ეტიოლოგიური ფაქტორია შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებები. სიმსივნური პროცესი, ინფექციები, ორსულობა, სამკურნალწამლო საშუალებები. პათოფიზიოლოგია ბოლომდე არ არის გარკვეული, პათოლოგიური სუბტრატია — ფიბრინოთრომბოციტული მიკროთრომბები. სინდრომი იწყება მწვავედ, ცხელებით, ოლიგოანურიით, ჰემორაგიული სინდრომით, აბდომინალგიით. ვითარდება თირკმელების მწვავე უკმარისობა პროტეინურიით. ჰემატურიით, ჰემოლიზური ანემიით. მიმდინარეობა მძიმე.

ჰემორაგიული ხინდრომი — გამოწვეულია სისხლძარღვთა კედლების მომატებული განვლადობით. მიზეზია იქ მაკროგლობულინების ინფილტრაცია და ასევე სტაზი და მაკროგლობულინების პრეციპიტაცია წვრილ სისხლძარღვებში მათი შემდგომი გასკდომით. ახასიათებს სისხლდენა ღრძილებიდან, ცხვირიდან. გვხვდება, მაგალითად ვალდენსტრემის დაავადების, ღვიძლის ციროზის, ზოგიერთი პარაზიტული დაავადების დროს.

ჰემპტონის ხაზი — სინათლის ზოლი, რომელიც ჰკვეთს ნიშის ფუძეს რენტგენოგრამაზე კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავა-

დების დროს. შეეფარდება ანთებით ლილვს, რომელიც გარს არტყია წყლულის კრატერს.

ჰენდის ჰისტიოციტოზი — იხ. ჰანდ-კრისტიან-შულერის დაავადება.

ჰენდ-შულერ-კრისჩენის სინდრომი — იხ. ჰენდ-კრიატიან-შიულერის დაავადება.

ჰენებერგის რეფლექსი — ორალური ავტომატიზმის რეფლექსი: პირის ირგვლივი კუნთების შეკუმშვა შპატელით მაგარი სასის გაღიზიანებაზე. ფსევდობულბარული დამბლის სიმპტომი.

ჰენელის სიმპტომი — თვალის კაკალზე ზეწოლა ავადმყოფებში ტკივილს არ იწვევს. ადგილი აქვს ზურგის ტვინის ხმობისას.

ჰენერის ნიშანი — სიარულის დროს ტანის თანდათანობით მზარდი უკან გადაწევა, რასაც ავადმყოფის დავარდნა მოსდევს. თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების შუბლის წილის ქერქის დაზიანების ნიშანია.

ჰენოხის დაავადება — სწრაფად მიმდინარე პურპურა. გამოირჩევა მძიმე და ძალზე სწრაფი მიმდინარეობით, ჰემორაგიული გამონაყარით. თან ახლავს ნეიტროფილური ლეიკოციტოზი, ანემია, ჰიპერგამაგლობულინემია, ჰემატურია, შესაძლოა ლეტალური გამოსავალი. სინონიმი: შენლეინ-ჰენოხის დაავადება.

ჰენრი-გაუერის რეფლექსი — ფიზიოლოგიური რეფლექსი: ანტი-დიურეზული ჰორმონის გამოყოფის შეფერხება გულის მარჯვენა ნახევართან სისხლის მიწოდების მომატებისას, როდესაც პიროვნება დიდხანს იმყოფება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. გამოვლინდება დიურეზის მომატებით.

ჰენჩ-როზენბერგის სინდრომი — რევმატოიდული ართრიტის ვარიანტი. დამახასიათებელია სწრაფი განვითარება, უმნიშვნელო მტკივნეულობა, ხანმოკლე მიმდინარეობა, ხშირი რეციდივები.

ჰეპატოკარდიული სინდრომი — გულის მუშაობის დარღვევის საერთო დასახელება (ჰიპოტონია, ტაქიკარდია და სხვ.) ღვიძლის ან სისაღლე გზების დაზიანებათა დროს.

ჰეპატო-ლიენური სინდრომი—ღვიძლ-ელენთის სინდრომი—ღვიძლისა და ელენთის გადიდების თანხვედრა. აღინიშნება ღვიძლის ციროზების, ინფექციურ დაავადებათა, ლეიკოზების დროს და სხვ.

ჰეპატო-რენული სინდრომი — უფრო ხშირია მწვავე მიმდინარეობით, ქრონიკული ფორმები იშვიათია. წინათ მას ჰეპატონეფრიტისა და ურემიგენულ ანტიოქოლიტს უწოდებდნენ. ამ დროს გვაქვს ღვიძლისა და თირკმლების ერთდროული ან ურთიერთმომდევნო დაშავება. აღინიშნება ღვიძლის დაავადებათა თითქმის 1%-ში. ხშირია ღვიძლის მძიმე დაზიანების და ხანგრძლივად მიმდინარე სიყვითლის დროს. ამას ხელს უწყობს თირკმლების დაავადება ანამნეზსა და აწმყოში. ცვლილებები სპეციფიკური არ არის. კლინიკურად დამახასიათებელია ღვიძლისა და თირკმლების უკმარისობის ნიშნები.

ჰეპატო-ცერებრული სინდრომი I — იხ. კონოვალოვის სინდრომი ანუ დაავადება.

ჰეპატო-ცერებრული სინდრომი II — თეთრი ღვიძლი. ღვიძლ-ტვინის

მემკვიდრეობითი (შესაძლოა გადაცემის აუტოსომურ-რეცესიული ტიპის) ან ინფექციური დაავადება (ქოქსურ-ეირუსული წარმოშობისა). აღინიშნება ადრეულ ბავშვობაში. კლინიკური ნიშნებია: ზედა სასუნთქი გზების ფებრილური ინფექციის რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ მაღალი ტემპერატურის ახალი ტალღა, ღებინება; ზოგჯერ სისხლით, ადგილი აქვს სოპორს, კომას, კრუნჩხვით შეტევებს, კიდურთა კუნთოვანი ტონუსის დარღვევას. ლეიკოციტოზს, გარდამავალ ჰიპოგლიკემიას, კეტონემიას, აციდოზს, ჰიპერნატრიემიას, სიკვდილი მოსალოდნელია რამდენიმე დღეში. სინონიმები: რეიე-მორგან-ბარალის სინდრომი, რეიეს სინდრომი III.

ჰეპატოციტების უმარისობის სინდრომი — ვლინდება ღვიძლის ფუნქციების დარღვევისას და დაკავშირებულია ჰეპატოციტების ფუნქციურ სისუსტესთან. სისხლში მცირდება ღვიძლის მიერ გამომუშავებული ნივთიერებები — ალბუმინი, ფიბრინოგენი, პროთრომბინი, ქოლესტერინი.

ჰერბას პრურიგო — ნეიროდერმატოზი, აღმოცენებული ბავშვთა ასაკში, რომელსაც ახასიათებს მრავალობითი პაპულები, სეროზული სითხის შემცველი, აგრეთვე ქავილი. გამონაყარი ძირითადად თავმოყრილია კიდურთა გამშლელ ზედაპირზე. ასევე ვითარდება კანზე ლიქენიზაციის უბნები.

ჰერენშვანდის სინდრომი — თვალის ფერადი გარსის ჰეტეროქრომია, გამოწვეული სიმფატიკური ნერვის დაზიანებით, ხშირია კლოდ ბერნარ-ჰორნერის სინდრომთან შერწყმა.

ჰერეს სინდრომი — სინონიმები: პანკოუსტის სინდრომი, პანკოუსტის სიმსივნე, ტობიასის სინდრომი, პანკოუსტ-ტობიასის სინდრომი (იხ.).

ჰერიკის დაავადება, ანუ სინდრომი — ნამგლისებური უჯრედიანი ჰემოლიზური მემკვიდრეობითი ანემია, აფრიკული ანემია. გადაცემა აუტოსომურ-დომინანტური წესით. გარდა ზოგად ანემიური სიმპტომკომპლექსის, კლინიკურად აღინიშნება სიყვითლე, ჰეპატოსპლენომეგალია, ლიმფური კვანძების გადიდება, ინფანტილიზმი, მიდრეკილება თრომბოემბოლიისაკენ, ტროფიკული წყლულები წვივებზე, ოსტეოპოროზი. ავადდებიან მხოლოდ ზანგები.

ჰერინგის რეფლექსი — სუნთქვის შეჩერებაზე ღრმა შესუნთქვის ფაზაში მაჯის შენელება. თუ ჯდომის დროს ეს შენელება აღემატება 6 დარტყმას 1 წუთში, მაშინ ეს მიგვანიშნებს ცდომილი ნერვის აგზნებადობის მომატებაზე.

ჰერინგის სიმპტომი — სუსტი მოზუზუნე ან მოგუგუნე შუილი, რომელიც ზოგჯერ მოისმინება პარკუჭთა ფიბრილაციის დროს მკერდის ძვალთან, მახვილისებური მორჩის ზემოთ.

ჰერინგ-ბრეიერის რეფლექსები — ორი ურთიერთდამოკიდებული რეფლექსი, რაც საფუძვლად უდევს სუნთქვის თვითრეგულაციას. გაპირობებულია შესუნთქვის და ამოსუნთქვის ბოლოს ფილტვების მექანორეცეპტორების გაღიზიანებით და შესაბამისად მდგომარეობს შესუნთქვის შეკავებასა და სტიმულაციაში.

ჰერინგის ფენომენი — სუნთქვითი არითმია. სინუსური არითმიის ნაირსახეობა. ახასიათებს შესუნთქვის დროს გულისცემის სიხშირის მომატება

და მისი შემცირება ამოსუნთქვის დროს. შეპირობებულია ცდომილი ნერვის ტონუსის შეცვლით. ყველაზე ხშირად გვხვდება ბავშვთა ასაკში და ჰაბუკობისას.

ჰერკულესის დაავადება — ეპილეფსია. მითის მიხედვით ჰერკულესი შეპყრობილი ყოფილა ეპილეფსიით. ამ დაავადების რამდენიმე სახელწოდებაა ცნობილი. საქართველოში მას უწოდებენ: ბნედას, ავზნეს, გვემულებას, გულყრას. იხ. სინონიმები: ღვთაებრივი დაავადება, საღმრთო დაავადება, ვარსკვლავთა დაავადება, მთვარის დაავადება, კომიტეტის დაავადება, წმინდანთა დაავადება.

ჰერლეინის მეტჰემოგლობინემია — მეორე ტიპის მემკვიდრეობითი მეტჰემოგლობინემია, მიეკუთვნება მემკვიდრეობითი მეტჰემოგლობინემიათა რიცხვს. გადაიცემა დომინანტური ტიპით. დაკავშირებულია სისხლში M — ჰემოგლობინის არსებობასთან, კლინიკურად ვლინდება სიცოცხლის პირველსავე წელს ციანოზით და მუქი სისხლით.

ჰერლეინის სინდრომი — მემკვიდრეობითი მეტჰემოგლობინემია. კლინიკურად ვლინდება მოყავისფრო — მორუხო ზოგადი ციანოზით ბავშვობიდანვე კარგი თვითგრძნების და ფიზიკური განვითარების ფონზე. სისხლში ნახულობენ ტიპიურ მეტჰემოგლობინს. შესაძლოა ადგილი ექნეს შაქრიანი დიაბეტის, ბრონქული ასთმის და სიმსუქნის შერწყმას. დამახასიათებელია ათეროსკლეროზის ნაადრევი განვითარება. სინონიმი: ჰერლეინ-ვებერის სინდრომი.

ჰერლეინ-ვებერის სინდრომი — სინონიმი: ჰერლეინის სინდრომი (იხ.).

ჰერლიტცის თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი — თანდაყოლილი სასიკვდილო ბულოზური ეპიდერმოლიზი. თანდაყოლილი ბულოზური ეპიდერმოლიზი, რომლის დროსაც ახალშობილს სცილდება დიდ-დიდ უბნებად ეპიდერმისი და უჩნდება ბუშტუკები ლორწოვან გარსზე. თავდება ნაყოფის დაღუპვით პირველსავე საათებში.

ჰერმანის რეფლექსი I — მყესთა და მყეს-ძვალთა რეფლექსები დასაწყისში ცოცხალია, რაც განმეორებითი გამოწვევისას თანდათან ქრება (მყესოვანი მიასთენიური ხანგამოშვებითი რეფლექსი). გვხვდება მიასთენიის დროს.

ჰერმანის რეფლექსი II — ფეხისგულის რეფლექსის გამოწვევისას აღინიშნება ტერფის ტონური მოხრა და ტაცებითი მოძრაობები ფეხის თითებში. აღწერილია შუბლის წილში პათოლოგიური პროცესის ლოკალიზაციის დროს.

ჰერმანის სიმპტომი I — შეტევითი ტკივილი სახის, სხეულის და კიდურების კუნთებში მიასთენიის მტკივნეული ფორმის დროს. სინონიმი: ერბგოლდფლამის დაავადება.

ჰერმანის სიმპტომი II — კეფა — დიდი თითის ნიშანი ტუბერკულოზური ცერებროსპინალური მენინგიტის დროს. აღინიშნება დიდი თითის დორზალური მოღუნვა თავის წინ პასიური გადაწევისას, როდესაც ავადმყოფს გაშლილი აქვს მუხლები მწოლიარე მდგომარეობაში. ტვინის ქსოვილის ქერქის მამოძრავებელი მიდამოს და პირამიდული გზების დაზიანების ნიშანია.

ბერმანის სიმპტომი III — ტერფის თითის გაშლა, როცა ექიმი ცდილობს მენჯ-ბარძაყის სახსარში მოხაროს მუხლის სახსარში გაშლილი ავადმყოფის ფეხი. მენინგიტის ნიშანია.

ბერმანის სიმპტომი IV — ტლაშუნის (დარტყმის) სიმპტომი. აქილევსის მყესზე სამედიცინო ჩაქუჩით დარტყმისას ტლაშუნის ხმიანობის წარმოშობა. აღინიშნება აქილევსის რეფლექსის დაქვეითების ადრეულ სტადიაში გავა-წელის რადიკულიტის დროს.

ბერმანის სინდრომი I — პოსტტრავმული ნეიროვასკულარული სიმპტომკომპლექსი: ვაზოგენური მარმარილოსმსგავსი ციანოზი ფსიქიკის და მეტყველების დარღვევით, პირამიდული და ექსტრაპირამიდული ნიშნებით, თან ახლავს არტერიული ჰიპერტენზია. უპირატესად ვითარდება თავის ქალას დახურული ტრავმის დროს.

ბერმანის სინდრომი II — კუნთთა პროგრესული ატროფია, რომელსაც თან ერთვის კუშინგის სინდრომის სიმპტომები, ან ე. წ. მეტაბოლური (ცვლითი) კრანიოპათია.

ბერმანსკი-ბუდლაკის სინდრომი — ხასიათდება კან-თვალის ალბინიზმით, სისხლის შედედების დარღვევით (ფსევდოჰემოფილია თრომბოციტების დისფუნქციის შედეგად). რეტიკულოენდოთელიური სისტემის სხვადასხვა ორგანოში ცეროიდომსგავსი ნივთიერებების დაგროვებით. ზოგჯერ თან სდევს ფილტვების ინტერსტიციული ფიბროზი და გრანულომატოზური კოლიტი. მიეკუთვნება აუტოსომურ-რეცესიული ტიპის მემკვიდრეობით ანომალიათა რიცხვს.

ბერსის დაავადება — მეექვსე ტიპის გლიკოგენოზი, ჰეპატოფოსფორილაზური უკმარისობა, გლიკოგენოზი, განპირობებული ღვიძლის გლიკოგენფოსფორილაზის უკმარისობით. ახასიათებს ჩამორჩენილობა სიმაღლეში, გამოხატული ჰეპატომეგალია, ზომიერი ჰიპოგლიკემია, ლიპემია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-რეცესიული.

ბერსტის აჭალაზია — გვხვდება მეგაკოლონის შემთხვევებში. მსხვილი ნაწლავის ნერვულ დაბოლოებათა დეგენერაციული ცვლილებების შედეგად აღინიშნება სათანადო ნაწილების უმოქმედობა და აქედან — შეკრულობა.

ბერტვიგ-მაჟანდის სიმპტომი — შეძენილი სიელმე, როცა თვალის ერთი კაკალი მიემართება ქვემოთ და შიგნით (დაზიანების მხარეს); მეორე კი ზემოთ და გარეთ. წარმოიქმნება თავის ტვინის ღეროს ნაწილის დაზიანების დროს.

ბერტოგის სიმპტომი — წამწამების ნაწილობრივი ან მთლიანი დაცენა საფეთქლის მხრივ ქუთუთოებზე. ადგილი აქვს სიმენსის სინდრომისა და ჰიპოთირეოზის დროს.

ბერტცელის სიმპტომი — მხრის არტერიაში სისტოლური არტერიული წნევის მომატება სინდიყის სვეტის 50 მმ-ით და მეტით, როცა ორივე ფეხსა და მეორე ხელზე დავადებთ ლახტს. აორტის ათეროსკლეროზის ნიშანია. გაპირობებულია მისი კედლის ელასტიკური თვისებების დაქვეითებით.

ბერფორტ-ლიტშნაიის სიმპტომი — მწვავე პანკრეატიტის დროს, აღინიშნება ნეიტროფილური- ლეიკოციტოზი აბსოლუტური ლიმფოპენიით.

ჰერქსჰეიმერის ატროფოდერმატიტი, სინდრომი ანუ დაავადება, — კანის იდიოპათიკური პროგრესირებადი ატროფია. ხასიათდება შეგუბებითი — მოლურჯო ერითემით ტერფებსა და ხელის მტევნის გარეთა ზედაპირზე, იდაყვის სახსრების მიდამოში სიმეტრიულად ან ერთ მხარეს; ნელა ვრცელდება მთელ კიდურზე, შემდეგში ვითარდება დაზიანებული კანის ატროფია. სინონიმები: პიკის ერითრომელია, ჰერსჰეიმერ-ჰარტმანის ქრონიკული ატროფიული აკროდერმატიტი, ფორდაისის კანის სიმეტრიული ატროფია, მეშჩერსკის პროგრესირებადი დისტროფიული ერითემა, ტეილორის დაავადება.

ჰერსჰეიმერ-იარიშის რეაქცია — ათაშანგით ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუარესება (სხეულის ტემპერატურის მომატება, თაეი, ტკივილი, საერთო სისუსტე და სხვ.) ანტიათაშანგური საშუალებებით მკურნალობის დასაწყისში. ვითარდება მკრთალი ტრეპონემების მასიური დაშლის შედეგად, რასაც თან ახლავს ენდოტოქსინის გამოყოფა. სინონიმები: იარიშ-ჰერქსჰეიმერის რეაქცია, ჰერსჰეიმერ-იარიშ-ლუკაშევიჩის რეაქცია, იარიშ-ჰერქსჰეიმერის რეაქცია.

ჰერსჰეიმერ-იარიშ-ლუკაშევიჩის რეაქცია — სინონიმები: იარიშ-ჰერქსჰეიმერის რეაქცია, ჰერქსჰეიმერ-იარიშის რეაქცია.

ჰერქსჰეიმერ-ჰარტმანის ქრონიკული ატროფიული აკროდერმატიტი — სინონიმები: პიკის ერითრომელია, მეშჩერსკის პროგრესირებადი დისტროფიული ერითემა, ფორდაისის კანის სიმეტრიული ატროფია, ჰერქსჰეიმერის ატროფოდერმატიტი (იხ.), სინდრომი ანუ დაავადება, ტეილორის დაავადება.

ჰერციხ ფრენოკარდია — ტკივილი გულის არეში, რომლის მიზეზია დიაფრაგმის მტკივნეული შეკუმშვები (კრუნჩხვის მსგავსი) ნევროპათებში (ხშირად მისი მიზეზია სექსუალური საფუძველი).

ჰერც-რომბერგის სინდრომი — სახის ჰემიატროფია. პროგრესირებადი ჰემიატროფია: სახის ცალმხრივი მემკვიდრეობითი პროგრესირებადი ატროფია. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური. იხ. ნიშნები: თანდათანობით, სახის ცალ მხარეზე ატროფირდება კანი, კანქვეშა ქსოვილი, კუნთები და მოგვიანებით ძვლები, ჰემოლატერალურად ბგერითი იოგი, ენისა და ხორხის ნახევარი. ხდება დაავადებულ მხარეზე თმის, წამწამისა და წარბის დაცვენა. სინონიმები: რომბერგის სინდრომი, ანუ რომბერგის დაავადება, რომბერგის ტროფონევროზი.

ჰესელბახის თიაქარი — ბარძაყის თიაქარი, ბარძაყის კუნთ-ლაკუნური თიაქარი გამჭოლ კუნთოვან ლაკუნში და შესავალით თეძო-სუკის კუნთში.

ჰესიხ სინჯი — სისხლძარღვთა კედლებზე განვლადობის განსაზღვრის მეთოდი. ამისათვის კანქვეშ შეგვყავს ფიზიოლოგიური ხსნარი. ჰემორაგიების არსებობა ან არარსებობა (ინიექციების ადგილზე) იძლევა სისხლძარღვთა განვლადობის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ჰესლინის სიმპტომი — დადამბლავებული კიდური ხანმოკლე დროით ინარჩუნებს მისთვის შინიშებულ აწეულ მდებარეობას შემდგომი თანდათანობითი მდორე ჩამოშვებით. აღინიშნება ისტერიის დროს ორგანული დამბლებისას.

ჰესტერის ინფანტილიზმი — წვრილი ნაწლავის დაზიანების დროს ზოგჯერ გვხვდება გამოხატული ოსტეოპოროზი. ასევეა გარდა ამ სინდრომისა სპრუს დროსაც. ამის მიზეზი ისაა, რომ ცხიმი ძირითადად იწოვება წვრილ ნაწლავებში. წვრილი ნაწლავების გაძლიერებული პერისტალტიკის დროს კი ნაწლავთა შემადგენლობა მსხვილ ნაწლავში გადადის უცვლელად. წვრილ ნაწლავში ამ დროს დიდი რაოდენობით იკარგება კალციუმი, რისი მიზეზიცაა მისი შეერთება ცხიმოვან მჟავეებთან.

ჰეტშის სინჯი — დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დიაგნოსტიკის მეთოდი. დამყარებულია თირეოტოქსიკოზის ნიშნების გაძლიერებაზე კანქვეშ ადრენალინის შეყვანის საპასუხოდ.

ჰეტჩინსონის გაავებული მგლურა — დაავადება, რომელიც წარმოადგენს წითელი მგლურას შეერთებას კანის პაპულონეკროზულ ტუბერკულოზთან. მიმდინარეობს სახეზე მოლურჯო-წითელი დაზიანებული კერების არსებობით.

ჰეტჩინსონის გუგა — გამოხატული მიდრიაზი, გუგის სინათლეზე პირდაპირი და შეთანხმებული რეაქციის არარსებობით. სუპრატენტორული სიმსივნის ან ჰემატომის სიმპტომი.

ჰეტჩინსონის დაავადება — პროგერია, ნაადრევი სიბერე, გამოვლინდება 1—2 წლის ასაკში ზრდის შეფერხებით, კანის ატროფიით, კანქვეშა ცხიმოვანი გარსის და კუნთების ატროფიით, თმის გაცვენით, სასქესო ორგანოების განუვითარებლობით, სახსრის ირგვლივი ფიბროზით, ოსტეოპოროზით და საერთო სკლეროზით. ბავშვი იღუპება 13 წლამდე. სინონიმები: პარტინგსის პროგერია, ჰეტჩინსონ-ჯილფორდის დაავადება.

ჰეტჩინსონის კბილები — ზედა ცენტრალური მჭრელი კბილები შეცვლილია, არის გვირგვინის ფორმის, ნახევარმთვარისებური ორმოთი მჭრელ კიდეზე და შემცირებულია სიგრძესა და სიგანეში სხვა კბილებთან შედარებით. აღინიშნება თანდაყოლილი ათაშანგის დროს.

ჰეტჩინსონის სახე, ანუ ნიღაბი — ორმხრივი პტოზის შეხამება თვალის კაკლების უძრაობასთან, კომპენსატორულად თავის უკან გადაგდებასთან და სრულ ორმხრივ გარეთა ოფტალმოპლეგიასთან.

ჰეტჩინსონის სინდრომი — ახასიათებს ცხიმოვანი ცვლისა და სქესობრივი თანდაყოლილი დარღვევები (ფრელიხის ადიპოზოგენიტალური დისტროფიის მსგავსად (იხ), პიგმენტური რეტინიტი, სინდაქტილია ან პოლიდაქტილია, გონებრივი განუვითარებლობა (ოლიგოფრენია). აღინიშნება განვითარების მრავალი სხვა დეფექტიც: მხედველობის მხრივ (სიბრმავემდე), გულის თანდაყოლილი მანკები, სმენის დაქვეითება, სიყრუე, ქვემო კიდურთა სპასტიკური დამბლები, სახსრებში მოძრაობის სიფართის მომატება, მემკვიდრეობითი დიენცეფალურ-რეთინული დეგენერაცია. სინონიმები: ლორენსის სინდრომი II, ბიმონდის სინდრომი, მუნის სინდრომი, ბარდეს სინდრომი, ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-როზაბალის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლის სინდრომი, ლორენს-მუნ-ჰეტჩინსონის სინდრომი, ლორენს-მუნ-ბიდლ-ბარდეს სინდრომი, როზაბალის სინდრომი.

ჰეტჩინსონის ტრიადა — პარენქიმული კერატიტი, სმენის დაკარგვა და ცვლილებები კბილების მხრივ: კბილები ერთმანეთისაგან დაცილებულია,

ტლანქად დაღარულია, წინა კბილებზე — ზედა შუა საჭრელების თავისუფალ კიდეზე — მთვარისებრი ამონაკვეთებია. დამახასიათებელია თანდაყოლილი სიფილისისათვის.

ჰეტჩინსონის კანის წყლულოვან ინდურაციული ტუბერკულოზი — კანის ინდურაციული წყლულოვანი ტუბერკულოზი — კანის ტუბერკულოზის ნაირსახეობა, რომლის დროსაც კვანძის ცენტრალურ ნაწილში ჩნდება წყლული სწორი გეერდებით და სეროზულ-ჩირქოვანი გამონადენით.

ჰეტჩინსონ-ბეკის დაავადება, ანუ ჰეტჩინსონ-ბეკის გრანულომატოზი— კეთილთვისებიანი გრანულომატოზი, ეპითელოიდურ-უჯრედოვანი ქრონიკული რეტიკულოენდოთელიოზი, კეთილთვისებიანი მილიარული ლუპოიდი, ეპითელოიდური გრანულომა, ატიპიური ტუბერკულოზი — უცნობი ეტიოლოგიის ქრონიკული დაავადება. ხასიათდება ლიმფური სისტემის, შინაგან ორგანოთა და კანის დაზიანებით, სპეციფიკური გრანულების წარმოშობით, რომლებიც გარშემორტყმულია ჰიალინის ფენით. სინონიმები: შაუმანის კეთილთვისებიანი ლიმფოგრანულომატოზი, ბეკის დაავადება, ბენიე-ბეკ-შაუმანის დაავადება, ტენესონის დაავადება, დარიე-როსის დაავადება, მოელერ-ბეკის დაავადება, მორტიმერის დაავადება, იუნგლინგის დაავადება II.

ჰეტჩინსონ-გილფორდის (ანუ ჯილფორდის) დაავადება — სინონიმები: ჰარტინგსის პროგერია, გილფორდის სინდრომი.

ჰეტჩინსონ-ვებერ-პეიტცის სინდრომი — სახის, კანისა და ტუჩების პიგმენტაციის შერწყმა ნაწლავთა პოლიპებთან. მემკვიდრეობითი ბუნებისაა. პოლიპების უხშირესი ლოკალიზაციაა წვრილ ნაწლავებში. შესაძლოა თან ახლდეს მალიგნიზაციისადმი მიდრეკილება. სინონიმები: პეიტც-ტურენის სინდრომი, პეიტც-ჯიგერსის სინდრომი.

ჰეტჩინსონ-კროკერის ანგიომა — ამებიოდური ანგიომა. ეტიოლოგია უცნობი. ქვედა კიდურებზე სიმეტრიულად ჩნდება ძალიან პატარა, წერტილოვანი ანგიომები, რომლებიც ლაგდება რგოლისებურად, აქვს ტენდენცია პერიფერიისაკენ ზრდისა და ცენტრში შეხორცების, აქედან ამ ელემენტების ტალღისებურება ან რგოლისებურება. ზოგჯერ ამას თან სდევს ლიქენიზაცია და დესქვამაცია.

ჰეუბნერ-შილდერის სინდრომი — მემკვიდრეობითი სუდანოფილური დიფუზური ცერებროსკლეროზი. აღინიშნება თავის ტკივილი, სიცხის მომატება, თვალის დვრილის შეშუპება, მხედველობის ნერვის ატროფია ამავროზით, სპასტიკური ტერცია — ტეტრაპლეგიები, კრუნჩხვები, აფაზია, ყნოსვის და სმენის დარღვევა, ჰკუასუსტობა. სინონიმები: შილდერის სინდრომი, შილდერ-ფოიქსის სინდრომი.

ჰეუბნერის სიმპტომი — ფილტვების აუსკულტაციის დროს ზოგჯერ აღინიშნება გულმკერდის მეოთხე მეხუთე მალამდე ლარინგო-ტრაქეული სუნთქვა, რაც ნორმალურად პირველი მალის ქვეით არ უნდა ვრცელდებოდეს. ეს სიმპტომი დადებითია შუასაყრის ლიმფური ჯირკვლების გადიდების შემთხვევაში.

ჰეხტის პნევმონია — ახალშობილთა პნევმონია. გიგანტურუჯრედოვანი პნევმონია. ქვემწვავე ან ქრონიკული პნევმონია ბავშვთა ადრეულ ასაკში,

რომელიც ვითარდება როგორც მწვავე ინფექციურ დაავადებათა გართულება, განსაკუთრებით წითელასა და ყივანახველას შემდეგ.

ჰეხტის სიმპტომი—ჩქმეტის სიმპტომი — წვრილი ჰემორაგიების გაჩენა კანის ადგილზე სისხლძარღვთა მტვრევადობის დროს. სინონიმი: მოზერის სიმპტომი.

ჰიგერის პროკურსული ეპილეფსია — ეპილეფსია პროკურსული. ავადმყოფი გულყრის მდგომარეობაში მირბის წინ. ეპილეფსიის დამოუკიდებელ ფორმად არ ითვლება.

ჰიდრალაზინური დაავადება — წამლისმიერი დაავადების ვარიანტია. მას იწვევს ჰიდრალაზინების (აპრესინი, დეპრესინი და სხვ.) ხანგრძლივი დროით, უწყვეტად მიღება. ძირითადი კლინიკური გამოვლინებაა მძიმე იმუნოპათოლოგიური ძვრები. მას აგრეთვე უწოდებენ მგლურას მსგავს სინდრომს.

ჰიდროპექსიული სინდრომი — იხ. პარხონის სინდრომი.

ჰიკსის დაავადება — რეტიკულური სენსორული მემკვიდრეობითი ნევროპათია. მემკვიდრეობითი დაავადება. დამახასიათებელია ზურგ-ტვინის ნერვების უკანა ფესვების დაზიანება და გამოვლინდება მყესთა არეფლექსიით, ფეხის დიდი თითების არეში მგრძნობელობის გამოვარდნით, დაზიანებული ფესვების ინერვაციის მიდამოში ტროფიკული მოშლილობებით, ფეხებისა და სმენის დასუსტებით, ტკივილით.

ჰილგერის სინდრომი — ანუ კაროტიდოდინია, ეშვიათი დაავადებაა. მისი არსია საძილე არტერიის ბასეინში შემავალ სისხლძარღვთა გაფართოება ნეიროვეგეტატიური მოშლილობით. უფრო ხშირია ახალგაზრდა ქალებში. დამახასიათებელია ძლიერი, შეტევითი, უფრო ცალმხრივი ტკივილი კისრის არეში, ირადიაცია სახეში, ქვედა ყბასა ან ყურში, ყლაპვის შეფერხება. შეტევა გრძელდება საათებიდან რამდენიმე დღემდე. გადის სპონტანურად. რემისია დღეებიდან — კვირეებამდე.

ჰილის სიმპტომი ანუ ფენომენი — ქვემო კიდურების არტერიებში სისტოლური წნევის მკვეთრი მომატება — ვერცხლის წყლის სვეტის 45—80 მმ, სხივის არტერიასთან შედარებით. აღინიშნება აორტის სარქველის უკმარისობის, თირეოტოქსიკოზის, არტერიოსკლეროზის, არტერიოვენური ანასტომოზის განვითარების დროს. სინონიმები: ჰილ-ტესიერის სიმპტომი, ჰილ-ფლეკის სიმპტომი.

ჰილ-ტესიერის სიმპტომი — აორტის სარქველების ნაკლოვანებისა და აბდომინალური აორტიტის დროს ქვედა კიდურებზე სისტოლური წნევა ვერცხლის წყლის 45—80 მმ მეტია, ვიდრე ზედაზე. სინონიმები: ჰილის ფენომენი, ჰილ-ფლეკის სიმპტომი.

ჰილ-ფლეკის სიმპტომი — მნიშვნელოვანი 45—80 მმ სინდიყის სვეტისა და მეტი (განსხვავება-მომატება სისტოლური წნევისა) წვივის არტერიაში სხივის არტერიასთან შედარებით. აღინიშნება აორტის სარქველის უკმარისობის, თირეოტოქსიკოზის, არტერიოსკლეროზის, არტერიულ-ვენური ანოსტომოზის დროს. სინონიმები: ჰილ-ტესიერის სიმპტომი, ჰილის ნიშანი.

ჰიმსგორთის სინჯი — შაქრიანი დიაბეტით ავადმყოფებში ჰეშმარიტი

ინსულინური რეზისტენტობის დასადგენი დიაგნოსტიკური მეთოდი. ჭეშმარიტი ინსულინური რეზისტენტობის შემთხვევაში ინსულინისა და გლუკოზის ერთდროული შეყვანისას ავადმყოფს არ აღენიშნება სისხლში შაქრის კონცენტრაციის შემცირება.

ჰიპელ-ლინდაუს დაავადება — ცერებრულ-რეტინული ანგიომატოზი — მემკვიდრეობითი დაავადება, გაპირობებული სისხლძარღვოვან კაპილარების განვითარების ანომალიით. გამოვლინდება ბადურის ანგიომატოზით, რაც შერწყმულია ნათხემის, ზურგის ტვინისა და სხვა ორგანოთა ანგიორეტიკულომებთან. გადაცემის ტიპი აუტოსომურ-დომინანტური.

ჰიპერგლიკემიური სინდრომი — კანისა და ლორწოვანი გარსის სიმშრალე, პოლიურია და წყურვილი. ვითარდება სისხლში შაქრის კონცენტრაციის გაზრდის დროს. აღინიშნება შაქრიანი დიაბეტის, ღვიძლის ციროზის, ჰიპოფიზის დაზიანების და სხვა ცროს.

ჰიპერვენტილაციური სინდრომი — ა2 სინდრომის ჩამოყალიბებაში (სხვადასხვა სომატურ და ფსიქიკურ დაავადებათა დროს) მნიშვნელობა აქვს სუნთქვით ალკალოზს, ნევროლოგიურ დარღვევებს, რასაც იწვევს სისხლში ნახშირორჟანგის შემადგენლობის მერყეობა (მოფლუქტუირე ჰიპოკაპნია). სინდრომის კრიტერიუმებია: ტაქიპნოე (60—70 წუთში, არა უმცირეს 3 წუთის მანძილზე), ნახშირორჟანგის პარციული წნევის დაქვეითება საწყისიდან არა ნაკლებ 66%-სა, 20—30 წუთის შემდეგ წარმოიქმნება ტვინის ჰიპოქსიის სიმპტომები, ტკივილი გულ-მკერდის არეში და „სუნთქვითი შიშშილი", თავბრუ, ტაქიკარდია, ექსტრასისტოლია, ტრემორი, ოჟღიანობა, სიმშრალე პირში და სხვა.

ჰიპერკალციემიის სინდრომი — ნიშნები: საერთო სისუსტე, შეკავებულობა, უმადობა, რძის ნაწარმთა აძულება, ღებინება, თირკმლების უკმარისობის ნიშნები. გაპირობებულია ჰიპერკალციემიით, მეტაბოლური ალკალოზით და კალციუმის მარილების ქსოვილებში ჩალაგებით. ძირითადად აღენიშნება წყულით დაავადებულ ავადმყოფებს, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებიან რძის დიეტაზე და ხმარობენ დიდი რაოდენობის ტუტოვან ნაერთებს. სინონიმები: ბერნეტის (ანუ ბარნეტის) სინდრომი, რძისა და ტუტის სინდრომი.

ჰიპერკინეზიული გულის სინდრომი ანუ სისხლის მიმოქცევის ჰიპერკინეზული მდგომარეობა. საფუძველია გულის გაძლიერებული მუშაობა წუთმოცულობის მომატება. ამ დროს პერიფერიული სისხლძარღვოვანი წუთმოცულობა მომატებულია. კლინიკა: გულის ფრიალი, ტაქიკარდია, გულის გაძლიერებული შეკუმშვის შეგრძნება, შებოჭვის გრძნობა, გულის არეში ხანგრძლივი არაინტენსიური ტკივილი. მოელენები ძლიერდება ფიზიკურ დატვირთვასა და ემოციურ აგზნებაზე, დამახასიათებელია სისტოლური ჰიპერტონია და მაღალი პულსური წნევა, აორტაზე და ფილტვის არტერიაზე სისტოლური შუილი.

ჰიპერკინეტიკული სინდრომი — წარმოიქმნება ქერქქვეშა წარმონაქმნთა დაზიანების დროს. არა აქვს მნიშვნელობა დაზიანების ხასიათს, არის ეს ინფექცია, ინტოქსიკაცია თუ თავის ტვინის ტრავმა. მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობით განწყობას, მოხუცებულობით ასაკს, სქესს (მამაკაცე-

ზი ორჯერ უფრო ხშირად ავადდებიან). თუ პარკინსონიზმი ატარებს მემკვიდრეობით ან ოჯახურ ხასიათს. მას პარკინსონის დაავადებას უწოდებენ. ძირითადი ნიშნებია რიგიდობა, ბრადიკინეზია და ტრემორი.

ჰიპერპროლაქტინემიის სინდრომი — ტიპიური ნიშნებია — გალაქტორეა და მენსტრუალური ციკლის დარღვევა. ჰიპერპროლაქტინემია არის ერთ-ერთი უხშირესი მიზეზი ქალთა შორის რეპროდუქტიული დარღვევებისა.

ჰიპეროსტოზური სინდრომი — დამახასიათებელია ძვლის სპონგიოზური შრის ჭარბი კალციფიკაცია, ძვლოვანი წარმონაქმნების გაჩენა, ძვლების დეფორმაცია, სახსრების მოძრაობის შეზღუდვა. ატარებს თანდაყოლილ ხასიათს. სინონიმი: უხლინგერის სინდრომი.

ჰიპერტენზიული სინდრომი — არტერიული წნევის სიმპტომურ მომატებას სხვადასხვა პათოლოგიის დროს აღნიშნავენ როგორც ჰიპერტენზიულ სინდრომს.

ჰიპერჰიდროპექსიული სინდრომი — იხ. პარხონის სინდრომი.

ჰიპოგლიკემიური სინდრომი — შიმშილის გრძნობა, კუნთოვანი სისუსტე, მოძრაობითი და ფსიქიკური აგზნება, ტაქიკარდია, კიდურთა კანკალი, ოფლიანობა. გამოწვეულია სისხლში შაქრის კონცენტრაციის დაქვეითებით.

ჰიპოთალამური (დიენცეფალური) არტერიული ჰიპერტონიის სინდრომი — ხასიათდება ლაბილური ჰიპერტონიით, ტაქიკარდიით, ოფლიანობით. კიდურები ფერმკრთალია და ცივი. შესაძლოა ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლაზია და ძირითადი ცვლის მომატება, რაც მიზეზი ხდება თირეოტოქსიკოზის არასწორი დიაგნოზისა. სინონიმი: პეიჯის სინდრომი.

ჰიპოთალამური სინდრომი — დიენცეფალური სინდრომი — საერთო დასახელება ვეგეტატიური, ენდოკრინული, ცვლითი და ტროფიკული სხვადასხვა დარღვევებისა, რაც გვხვდება ჰიპოთალამუსის დაზიანების დროს.

ჰიპოკრატეს თითები — დოლის ჩხირისებრი თითები, თითების დეფორმაცია, როცა ბოლო ფალანგები გასქელებულია ძაბრისებურად. აღინიშნება გულის, ფილტვების, ღვიძლის ქრონიკულ დაავადებათა დროს.

ჰიპოკრატეს სახე, ანუ ნიღაბი — სახის დამახასიათებელ ცვლილებათა შერწყმა (უგულისხმიერო, გულგრილი გამოხედვა, ჩაცვენილი ბაგეები, ჩავარდნილი თვალები, ოფლის წვეთებით დაფარული მკრთალი შორუხო კანი) უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისა სხეულის გაუწყლოების, გამოფიტვის, დიფუზური პერიტონიტის, ქოლერის, ნაწლავთა გაუვალობის გამო.

ჰიპოკრატეს ფრჩხილი — საათის მინისებრი ფრჩხილები. ფრჩხილების დეფორმაცია, რომლის დროსაც მათი ფირფიტა მეტად ფართოვდება და ამოიზნიქება შუა ნაწილში, ხოლო გვერდითი და უკანა ღილვაკი ზეწამოიწევა. აღინიშნება დოლის ჩხირისებრი თითების დეფორმაციის ადრეულ სტადიაში.

ჰიპოკრატეს შავი ავადმყოფობა — მელენა, კუპრისებრი განავალი — განავლის გამოყოფა შავი ფერის, ფისივით მწებარე მასის სახით, ჩვეულებრივ კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის ნიშანია.

ჰიპოკრატეს შხეფის ხმა — გულ-მკერდში შხეფის ხმა, რომელიც მო-

ისმინება ავადმყოფის შენჯღრევით ან მისი მდებარეობის სწრაფი შეცვლისას. აღინიშნება პლევრულ ღრუში სითხისა და გაზის ერთდროულად არსებობისას.

ჰიპოფიზალური ადიპოზოგენიტალური სინდრომი—სინონიმები: ფრელიხის სინდრომი (იხ.). ლონუა-კლერეტ-ლანჟერონის სინდრომი, ბაბინსკი-ფრელიხის სინდრომი.

ჰიპოქონდრიული სინდრომი — ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მძიმე და განუკურნელი დაავადება აქვს. ასეთმა აკვიატებულმა აზრმა შეიძლება ბოდვის ხასიათიც კი მიიღოს.

ჰირტცის ნიშანი — ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს, როცა გადადის დამჯდარ მდგომარეობაში, მოხრილია წელში და მუხლები აწეული აქვს ნიკაპამდე ან როცა ავადმყოფი გადადის იდაყე-მუხლის მდგომარეობაში. ექსუდატიური პერიკარდიტის ნიშანი.

ჰირშბერგის რეფლექსი — ტერფის მოზიდვა და შიგნითა როტაცია ფეხისგულის შიგნითა კიდის ხაზობრივ გაღიზიანებისას. აღინიშნება პირამიდული გზების დაზიანების დროს. იხ. სინონიმი: მარინესკუ — ჰირშბერგის სიმპტომი.

ჰირშის ტრიადა — ბიტემპორალური ჰემიანოფსიის, ჰიპოფიზის დისფუნქციის და რენტგენოლოგიურად გამოვლინებულ თურქულ კეხის გაფართოება ან დაწლის შეხამება, დამახასიათებელია ჰიპოფიზის ქრომოფობული ადენომისათვის.

